

ბათუმის შუთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო გერქენიშვილის ინსტიტუტი

წერილები  
სტამბოლის ქართული  
საუნივერსიტეტო

ტომი II

ბათუმი  
2020

**BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY  
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

**LETTERS FROM THE GEORGIAN  
SANCTUARY IN ISTANBUL  
II**

Batumi  
2020

კრებული – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, - ტომი მეორე, მკითხველის წინაშე წარმოაჩენს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში საიმედოდ დაცულ, სამომავლოდ შემონახულ ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავ ნიმუშებს.

წინამდებარე კრებულში (ტომი მეორე) წარმოდგენილია საზღვარგარეთ, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში საიმედოდ დაცული და შემონახული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშები, როგორცაა: პუბლიცისტური და კერძო (ურთიერთმიმოწერის) წერილები, მემუარული ჩანაწერები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის საქმიანობის ამსახველი, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე ისტორიული წყაროები.

კრებული შედგება **შვიდი კარისაგან**. კრებულის პირველ კარში მოცემულია სამეცნიერო ნაშრომები და სტამბოლის ქართული სავანის ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა – **პაულა და პავლე ზაზაძეების** თანავტორობით შესრულებული ის სტატიები, რომლებიც მათ მიერ წაკითხულ იქნა **ვატიკანში** (რომში) გამართულ **პეტრე ხარისჭირაშვილის** (1861 წელს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის დამაარსებლის) **დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე**.

მონოგრაფიის - „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ - ორივე (ტ. I, ტ. II) ტომში წარმოდგენილი მასალა მოპოვებულია 1999-2006 წლებში ქალბატონ შუმანა ფუტკარაძის მიერ თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის (პრეზიდენტები - ნიჰათ გოქოთი (გოგითიძე), ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე) და საქართველოს საპატიო მოქალაქის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო პროფესორის ბატონ სიმონ ზაზაძის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით; ასევე, ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტერთა არსებული ფონდის (პრეზიდენტი სიმონ ზაზაძე; ამჟამად პრეზიდენტი პავლე სიმონის ძე ზაზაძე) თანხმობითა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სპეციალური ნებართვის საფუძველზე. აგრეთვე, ბიბლიოთეკის და არქივის შესწავლა მიმდინარეობდა 2013-2020 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე კრებული – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი მეორე, საინტერესო წიგნი იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის; იგი ბევრ ახალ ცნობას მიაწვდის საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების (დიალექტოლოგიის), ლიტერატურათმცოდნეობის, თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველ საზოგადოებას.

წიგნის ავტორები: *როინ მალაყმაძე*, ისტორიის დოქტორი, პროფესორი  
*შუმანა ფუტკარაძე*, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი  
*ელზა ფუტკარაძე*, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი  
*შორენა ფუტკარაძე*, დოქტორანტი

**რედაქტორი:** როინ მალაყმაძე – ისტორიის დოქტორი, პროფესორი

**თანარედაქტორები:** *ჩიჭიკო დიასამიძე*, ემერიტუს-პროფესორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
*ნოდარ კახიძე*, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
*ელზა ფუტკარაძე*, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** პროფესორები – *იზა ჩანტლაძე*, *† ტარიელ ფუტკარაძე*, *ავთანდილ ნიკოლეიშვილი*.  
რეზიუმისა და სტატიების თარგმანი პროფესორ *თამარ სირაძისა*  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: *ეთერ ხეციძე*

*წიგნი ეძღვნება სტამბოლის ქართული სავანის  
ამაღდარი პიროვნებების მამა-შვილ  
პავლეს და სიმონ ზაზაძეების ხსოვნას.*

*Dedicated to Simon and Paul Zazadze, great  
caretakers of the Georgian Sanctuaty in Istanbul.*



**პავლე ზაზაძე-სტამბოლის ქართული  
სავანის მზრუნველი (1901-1989)**



**სიმონ ზაზაძე-ცნობილი საზოგადო  
მოდვანე, საქართველოს საპატიო  
მოქალაქე (1930-2016)**



## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა - შუშანა ფუტკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი კრებულის შემდგენელი	12
POREWORD, Shushana Putkaradze	22
<b>კარი პირველი</b>	
<b>შესავლის მაგიერ</b>	
შუშანა ფუტკარაძე, პავლე ზაზაძე, სტამბოლის გულში აღმოცენებული „პატარა საქართველო“	30
Shushana Putkaradze; Paul Zazadze, A „SmaiL Georgia“ Originated in the heart of Istanbul,	38
შუშანა ფუტკარაძე, პაულა ზაზაძე, სტამბოლის ქართული სავანის ფუძემდებელი აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი	44
Shushana Putkaradze, Paul Zazadze, Fr Petre Kharischirashvili – the Founder of „the Georgian Catholic Monastery in Istanbul	49
როინ მალაკმაძე, ქართული ეროვნული სულის თავშესაფარი უცხოეთში	55
Roin Malakmadze, The Shelter of the Georgian National Spirit Abroad	63
ელზა ფუტკარაძე, შორენა ფუტკარაძე, სიკეთის სამსახურში დახარჯული სიცოცხლე,	68
Elza Putkaradze, Shorena Purkaradze, Life Spent in Serving Kindness	72
<b>კარი მეორე</b>	
<b>ისტორიული მესხეთის დაუვიწყარი მხარეების ქრონიკები სტამბოლის ქართული სავანის საგანმურიდან</b>	
შავშეთი „ტბეთის „ტბეთის სულთა მატანე“, იოანე შავთელი და გიორგი ჯვარელი	77
XXX არტაანი, ჩილდირი, კოლა, ფოცხოვი, ერუშეთი, ოლთისი, ბასიანი და თორთომი	86
<b>კარი მესამე</b>	
<b>კონსტანტინე ოდიშარას მასალები სტამბოლის ქართული სავანიდან</b>	
ერთგული მოხელე	109
კონსტანტინე ოდიშარია, არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები), რვეული 1, შესავალი (კონსტანტინე ოდიშარას მასალები სრულყოფილად პირველად მიეწოდება ქართველ მკითხველს)	110
კონსტანტინე ოდიშარას დღიურები არტაანის მხარეში მოგზაურობის შესახებ	111
კონსტანტინე ოდიშარას წერილები გაზეთ „საქართველოდან“ (შენახულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში)	157
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“, I	157
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“, II	161
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), სოფელი კურტყალა	163
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის ქართველი მაჰმადიანები, სოფელი ოლჩაგი (არტაანის ნაწილი)	163
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის ქართველი მაჰმადიანები	165
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	168
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	170
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	173
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	174
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	176
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	178
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	180
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	182
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	186
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანის მხარეში	189

კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანიდან თორთუმამდე	192
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), არტაანიდან თორთუმამდე	196
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), მოგონება (ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის გამო)	204
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), კორესპონდენცია ახალციხიდან	207
კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია), „სამაჰმადიანო საქართველო, არტაანის ოლქის ქართველობა (ბ.კ.ო-ს მოხსენებიდან)	208
კონსტანტინე ოდიშარია, ბოლშევიკების შიში	208
კონსტანტინე ოდიშარია, საქართველოს აღდგომა	210
კონსტანტინე ოდიშარია, ამხ. რედაქტორო!	210
კონსტანტინე ოდიშარია, ორიოდ სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ და ხალხურ თქმულების მკვლევარებზე	212
შუმანა ფუტკარაძე, კ. ოდიშარიას ცნობები ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესახებ	217

### კარი მეოთხე

<b>აჭარის, სამაჰმადიანო საქართველოს წარსულის გახსენება სტამბოლის ქართული სავანის საგანძურიდან</b>	
ანდრეი ბელი, „ამას შენზე ამბობდნენ, მშობლიურ აჭარავ!“ (მონასტრის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნში ჩარჩენილ რომელიღაც გაზეთის ფურცლიდან)	226
წერილი ციმბირიდან (დღევანდელმა მსოფლიო ომისაგან აწეწილ-დაწეწილმა ცხოვრებამ ბევრ მცხოვრებთ სასჯელი არგუნა)	226
გ. ახალციხელი (უცნობი ფსევდონიმი), სალამი გამოფხიზლებულ ქართველ მუსულმანებს! რა დარჩენია ქართველ მაჰმადიანებს მამა-პაპური?	227
გენერალი ფურცელაძე, ბათომი	229
თათბირი ქართველ მაჰმადიანების შესახებ	230
აჭარელთა საკითხი	231
ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებაში (წლიური კრებისთვის)	235
მაჰმადიანთა ცხოვრება	236
ოსმალეთში დაპყრობილ მიწების ბედი	236
დ. კახელი (დავით ვაჩნაძე), აჭარელთა შაბათი	237
დ. კახელი (დავით ვაჩნაძე), აჭარის კლდეებიდან (ნახული და გაგონილი)	238
ჯავახი (გიორგი მუმლაძე), წერილი ბათომიდან	240
კაპიტონ დ. ბაქრაძე, ტყვე მაჰმადიანი ქართველის ნაამბობი	241
დ.კ.-ძე (უცნობი ფსევდონიმი), ჯაჭვის ნაწყვეტი ზეიმი	244
გ. წერეთელი, ბათუმის მხარე	245
მეველე (დავით მიქელაძე), ტფილისი, 9 ივნისს	246
სანგანიძე (სანდრო გრძელიშვილი), სამაჰმადიანო საქართველო დავით კასრაძე, „აჭარელთ ასამართლებენ	249
ი. ჯაიანი, დაბა და სოფელი	250
ისკენდერ ეფენდი ცივაძე, წერილი ქობულეთიდან	253
სამსონ ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი	254
სამსონ ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი	256
სამსონ ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი	261
სამსონ ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი	265
სამსონ ფირცხალავა, მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ სპარსეთში	269
სამსონ ფირცხალავა, მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ ოსმალეთში	272
სიტყვა (სამსონ ფირცხალავა), დღიური, მაჰმადიან ქართველების აღორძინება	275
აპ. წულაძე, წერილი აჭარიდან (მაჭახლის ხეობა)	276
ა. წულაძე, აჭარიდან	278
აპოლონ წულაძე, აჭარის გასაჭირი	281

აპოლონ წულაძე, წერილი აჭარიდან (მთავრობის სკოლები აჭარაში), თხილვანის სკოლა, ოლადაურის სკოლა, ფაჩხის სკოლა, ადაძეს სკოლა, ხულოს სკოლა	282
აპ. წულაძე, წერილი აჭარიდან	285
აპ. წულაძე, აჭარაში მოგზაურთა საყურადღებოდ	286
კოკი აბაშიძე, მწარე შთაბეჭდილებანი, აჭარა, შავშეთი და ლაზისტანი	289
კოკი აბაშიძე, მწარე შთაბეჭდილებანი, აჭარა, შავშეთი და ლაზისტანი	293
ზაქარია ჭიჭინაძე, მოწერილი ამბავი	295
ზაქარია ჭიჭინაძე, ქართული ენის დაკარგვა შავშეთში	296
ატომი (ივ. ბუაჩიძე), შავშეთ-იმერხევი	297
შავშეთში ნამყოფი ქართველი (უცნობი ფსევდონიმი), წერილი სათლელიდან (შავშეთი)	298
ლევანი (უცნობი ფსევდონიმი), შავშეთში (მგზავრის შთაბეჭდილებანი)	300
შავშეთი	303
ილ. თეზბიტელი (ილია ფერაძე), ქართველ მაჰმადიანთა კაცთმოყვარეობა	303
კ.ე. (უცნობი ფსევდონიმი), იმერხეველის ჩივილი	304
კ.ე. (უცნობი ფსევდონიმი), იმერხეველის ჩივილი (დასასრული)	308
მხედარი (კოტე ტყავაძე), ჩვენები ომში, ქ. ართვინის აღება	312
მუსტაფა ჩიმურ ოღლი, მუხამედ ალა ქერქაძე, არტაან-ართვინი	314
ბათომის ოლქში (საქ. დეპ. სააგენტო)	315
საწყალი მუშა (პ. ლორია), პროვინცია	316
მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი, ართვინის რაიონის მცხოვრებთა ვექილებისაგან	316
საქართველო ბრძოლის ველზე	318
ემილ ეფენდი (ერმილე ნაკაშიძე), ქალაქი ტრაპიზონი (წერილი ოსმალეთიდან)	319
გ. ბარელი (უცნობი ფსევდონიმი), ტრაპიზონი და მისი მიდამოები, პირველი შთაბეჭდილებანი „ბ.გ.“, ჭოროხის იქით მდებარე რაიონი და ტრაპიზონის ვილაეტი	322
ნესტორ მიქელაიშვილი, წერილი ტრაპიზონიდან	323
ივ. ესიკაიშვილი, პროვინციის ცხოვრება	325
იაძე (უცნობი ფსევდონიმი), ბათომიდან ტრაპიზონამდე	325
ჩილდირის, არტანუჯის, ფოცხოვის, აზრუმის მისადგომების ქრონიკები სტამბოლის ქართული სავანის არქივიდან	329
ოტია ათაბაგი, ჩაღდირის (ჩილდირი) თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით	332
ჩილდირის ამბების გამო	339
მემედ-ბეგ აბაშიძე, რაშია ხსნა?	340
ხ.ე.რ.-შვილი (უცნობი ფსევდონიმი), კორესპონდენციები	342
ს. ბავრელი (სოლომონ ასლანიშვილი), რაბათის ეკლესია	343
ვ.ს.-შვილი (სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე), ბრძოლის ველიდან კორესპონდენტი	344
ვ.ს.-შვილი, ოსმალთა ოფიცრები	345
ოსმალეთის ასკერი. ქართველი მაჰმადიანები	346
მგზავრის შენიშვნები. სოფ. დევირმანქოი	347
სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე, მგზავრის შენიშვნები	349
სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე, სტუმრად მიწის ქვეშ მცხოვრებ მეფესთან	353
სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე, მგზავრის შენიშვნები	355
ჯარისკაცი ი. მიქაძე, მაჰმადიანთა აწიოკება სოფ. ბეგრიკალში	367
გ. ახალციხელი (გიორგი სალარიძე), წერილი არტაანიდან	368
საწყალი მუშა (პარმენ ლორია), არტაანი	370
მ.ე. კარაკოზოვი, არტაანის არემარეში	372
ვ. კოპტონაშვილი, მგზავრის დღიურიდან (ქართველი მგზავრი არდაჰანის „სანჯახში“)	374
იოლა (უცნობი ფსევდონიმი) არტაანი	378
არტაანის ბედი	380
არტაანის ლიკვიდაციისათვის	381

ობოლი მგზავრი (ხარიტონ ვარდოშვილი), მესხეთ-ჯავახეთში მგზავრის დღიურიდან	382
ობოლი მგზავრი (ხარიტონ ვარდოშვილი), მესხეთ-ჯავახეთში მგზავრის დღიურიდან	384
მემედ-ბეგ აბაშიძე, შური იძიეს	388
ფოცხოველების დეპეშა	390
აზრუმის გარშემო	391
ალექსანდრე გორგაძე, წერილი აზრუმიდან	391
ალექსანდრე გორგაძე, მოგონება ჩემი დღიურიდან აზრუმის აღების დროს	393
ალექსანდრე გორგაძე, ჩემი შთაბეჭდილებანი ოსმალეთის ფრონტზე	394
ალექსანდრე გორგაძე, ჩემი მოგონება პოზიციის ცხოვრებიდან	396
ალ. გორგაძე, წერილი აზრუმიდან	398
ალ. გორგაძე, წერილი სარიყამიშიდან	398
ექიმი ივ. თ-ძე (უცნობი ფსევდონიმი), ვარლამ გელოვანის ხსოვნას (სამხედრო ექიმის დღიურიდან)	399
ოლთისის მცხოვრებთა გასამართლება	403
ვანო გამეზარდაშვილი, ქართველი ჯარისკაცის წერილი	404
სანგანიძე (გრძელიშვილი ალექსანდრე (სანდრო), როგორ შეეხვდით აღდგომას სამაჰმადიანო საქართველოში	405
დათიკო ნიკოლოზის ძე ლოღობერიძე, წერილი სოფელ იჯლისიდან (ქალაქ აზრუმის რაიონი)	407
ქართველები ჯარში	408
იამე (რუხაძე ილია), დახმარება ქართველ მაჰმადიანებს	408

### კარი მეხუთე

დავით ჩიქოვანი, სტამბოლის ქართველთა ცხოვრებიდან	413
დავით ჩიქოვანი, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი	415
დ. ნინოშვილი, დავით ჩიქოვანი, წერილი სტამბოლიდან	415
† პატრი ათანასე ნასყიდაშვილი	417
ბავრელი (სოლომონ ასლანიკაშვილი), პატრ მულაშვილის მკვლელობა	417
ს. ბავრელი, ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვრის არჩევა	418
ს. ბავრელი (სოლომონ ასლანიკაშვილი), სტამბოლის ქართველობა, ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა, უპატრონო საყდარს ემშაკები დაეპატრონენო	419
წერილები გაზეთ „დროების“ რედაქტორთან!	421
ქართული სამკითხველო სტამბოლში	422
ვინმე მესხის (ივ. გვარამაძის) წერილი	422
დ. კოჭორიძე, პ.ი. ხარისჭარაშვილი (1814-1890)	423
სახალხო განათლების გამოჩენილი მოღვაწე-დ. ნაცვალაძე, ბათუმის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი	425
ა. მანველიშვილი, ქართველ კათოლიკეთა საკითხი ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისით	427
შ.ბ. (შაქრო ბაქრაძე), ძველი და ახალი ცნობა სტამბოლის ქართველ მამათა მონასტერზე	436
სტამბოლის ქართული სავანის არქივში, ცალკე საქალაქში, მოთავსებულია მოკლე ინფორმაციები, მათ შორისაა შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული სტამბოლში, წმინდა ნინოს დღესასწაული, საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის დღესასწაული, უკანასკნელი ცნობები წერილი სტამბოლიდან	438
ქართული მწიგნობრობა უცხოეთში	440
ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან (1629 წლიდან)	445
მემედ აბაშიძე (მეგობარი)	446
გერასიმე ნადარეიშვილი, წერილი სტამბოლიდან	447
ს. ბავრელი (სოლომონ ასლანიკაშვილი), მღვდ. მიხეილ თამარაშვილი (ბიოგრაფიული ცნობანი)	450
ვლ. წერეთელი, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი	450
ივ. ქიზიყელი (უცნობი ფსევდონიმი), ქართული სტამბის დაარსება	451

ვლადიმერ ჯ. წერეთელი, წერილი რედაქციის მიმართ. ანდრია წინამძღვრიშვილი (ნეკროლოგის მაგიერ)	459
ფარსმან (უცნობი ფსევდონიმი), ნეკროლოგი, † მამა ანდრია წინამძღვრიშვილი	460
ფარსმანი, სტამბოლის ქართველობა	461
სტამბოლელი ქართველები	466
ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი, მთარგმნელ-მოღვაწე მოძღვარი ივანე მამულაშვილი	466
პ. შიო ბათმანაშვილი, ღია წერილი	469
მიხა კ-ლია, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ	469
გ. ახალციხელი, სამაგალითო მამულიშვილის ხსოვნა (ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი მამა ივანე გვარამაძე-ვინმე მესხი) 1831-1812 წ. ნეკროლოგი	471
ვ. ჯ. წერეთელი, კიდევ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ	473
ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პატრი იოსებ წალდაძოვი (წალდაძე)	474
უნაღვლეელი (უცნობი ფსევდონიმი), წერილი სტამბოლიდან	476
ავტორი ნ-ი (უცნობი ფსევდონიმი), კათოლიკე ქართველები კონსტანტინეპოლში	480
მესხი კ. გვარამაძე, ქართველი კათოლიკენი (წერილი სამეცხეთოდან)	483
ვლადიმერ ღამბაშიძე, † მღვდელი მიხეილ თამარაშვილი	484
ს. ქვარიანი, მღ. მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას	485

### კარი მეოთხე

#### მასალები სტამბოლის ქართული საგანის არქივიდან

მირვეთ ხანუმ შაშიკოლლის თხოვნა საფრანგეთის ელჩს მორის ბომპასს	489
მიხეილ თარხნიშვილის თხოვნა	489
ვახტანგ ბაგრატიონის თხოვნა	490
მიხა თარხნიშვილის თხოვნა	490
გრიგოლ გვაზავას თხოვნა	491
„პროექტი მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა (ასლი)	492
XXX შეერთებული კრება	493
მიმართვის ბარათები	494
შალვა ვარდიძე, „ჩემი ლოცვა“	500
ჰაიდარ ჯაფარიძე, ძვირფასო ანტონ	500
თბილისის სახალხო უნივერსიტეტის პროფესორს ბატონ აკაკი შანიძეს	502
შალვა ვარდიძე, წმინდა ნინოს გალობა	503
შალვა ვარდიძისა და მიხეილ თარხნიშვილის მიმართვის ბარათები მამაოს, ლეოს (იგულისხმება ლეო კერესელიძე), ემელიანეს	503
შალვა ვარდიძის შემოქმედებიდან	505
შალვა ვარდიძის წერილი ლეო კერესელიძეს	509
XXX წერილი სტამბოლიდან	510
XXX წერილი სტამბოლიდან ბატონ ურატაძეს	517
XXX პარიზი, ქაქუცას საფლავზე, 1930 წელს; შალვა ვარდიძე, ქაქუცას პანაშვიდზე	517
ვანო ბერიძის პოეზიის ნიმუშები	518
აიდინის საქმე (გზათ პეტროგრადისაკენ ტაშკენტით), 18 ივნისი, 1917 წ. წერილი გ. ნიკოლაძეს	524
გიორგი კერესელიძის წერილი ბერლინიდან	526
რაფიელ ნებერიძის ბარათი მღვდელ პიო ბალაძეს	531
ბარათი მღვდელ პიო ბალიძეს ვინმე (უცნობი) ლევანისაგან	534
ნიკო ნიკოლაძის წერილი აკაკი ხოშტარას, გააგა (ჰოლანდია) 21 ნოემბერს, 1921, საღამოს 9 საათი	535
XXX Nikoladze, London, NW22 ნოემბერს, 1921	536
ლოცვა ყრმა იესოსადმი განსაცდელში მყოფ სოფლისათვის	538
რითმებისგან კუბო დავსწან	538

საინფორმაციო მასალები	540
XXX ქართველ ლტოლვილის განცდილი	543
XXX შალვა ვარდიძის რვეულიდან, სუმერელები ( სიმართლე სიცრუედ მიღებული იქნება, მეცნიერი-უმეცართა და მიტოლოგიური მოთხრობები ისტორიულ ფაქტებით)	545
შალვა ვარდიძე, სტუმრობა ლიბანის კედრებთან და მათთან საუბარი	546
XXX ქართული საღამო, მგალობელთა გუნდის წევრები, მკათათვის 5-ს, 1925 წ., კათოლიკური ეკლესიის ისტორიისათვის	547
<b>მიმოწერის ბარათები და ლექსები სავანის არქივიდან</b>	
ნინო სალიას ბარათი პავლე ადგულაძეს (აკობაშვილს)	548
XXX პავლე ჯავახიშვილის ბარათი ბატონ პეტრეს	549
მოკლე ცნობები სტამბოლში გადახვეწილი გიორგი ყაზბეგის ბიოგრაფიის შესავსებად	549
XXX „წერილი სამშობლოდან	550
ელისაბედ ბეჟანიძის ბარათი ზუბალაშვილებს	551
XXX მილოცვა ქართველს	552
იოსებ თათაშვილისა, 29 თიბათვეს, 1914 წ.	552

### კარი მეექვსე

#### წერილები სხვადასხვა თემაზე

მემედ აბაშიძე, „კიდევ ეროვნული შეგნების შესახებ“	555
ს. ბავრელი (სოლომონ ასლანიშვილი), წერილი რედაქციის მიმართ, ერთი კეთილი საქმის თავგადასავალი	556
მღვდ. შალვა ვარდიძე, ხმა ლიბანის კედართა მალნარიდან	558
შალვა ვარდიძე, „ჩემი ლოცვა“	559
შალვა ვარდიძე, „წმინდა ნინოს“	560
შალვა ვარდიძის წერილი ვიქტორ ნოზაძეს, „თვალთა პატიოსანთა არაბული სახელნი“	561
მიხეილ თარხნიშვილი, ვინ არის მართალი?	564
მიქელ თარხნიშვილი, შენიშვნები ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე	568
დ. კობახიძე, მშვენიერი ქართველი ქალი და ბედი ქართლისა	574
სპირიდონ კედია, ერთობის საკითხი	581
სპირიდონ კედია, ეროვნული დოკტრინისა და ორგანიზაციისათვის	583
ნ. მარი, ორი სურათი ანისში, წმინდა ნინო და თამარ მეფე	585
ლევ მეტრეველი, ქართული სული	589
ა. მეუნარგია, ალი ბეი ელ კებირ	590
ვ. ნოზაძე, ბოლოსიტყვა	594
ქ. რაჭველი (ქრისტეფორე რაჭველიშვილი), მოგზაურობა ანისსა და ეჩმიადინში (გამგზავრება)	599
ქ. რაჭველი, მოგზაურობა ანისსა და ეჩმიადინში (დასასრული), ანისის ნანგრევები	601
გ. რცხილაძე, ოსმალეთის საქართველო (მემორანდუმი)	604
პ. სარჯველაძე, ძვირფას მეგობრის ხსოვნას	607
პეტრე სურგულაძე, მცირე შენიშვნა (წერილი რედაქციის მიმართ	608
მეზობელი (უცნობი ფსევდონიმი), პეტრე სურგულაძე	610
კონსტანტინეპოლში	610
სამსონ ფირცხალავა („სიტყვა“), დღიური, „ნალჩიკი“ თუ „მატბერდი“	611
მღვდელი გრ. ფერაძე (ბიოგრაფია)	613
გრიგოლ ფერაძე, ქადაგება წარმოთქმული პირველ ქართულ მართლმადიდებელ წირვაზე პარიზში, მაისის 31-ს, 1931 წელს	614
გრ. ფერაძე, ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსი	617
„ჯვარი ვაზისა“	620
ვახტანგ ღამბაშიძე, შორეული წარსულის მოგონება, ვუძღვნი პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას; ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის დღიურიდან	621

ჯავით-ბეი (დავით ჩიქოვანი), ქართველი მაჰმადიანები ისმიითის სანჯაკში	631
ზაქარია ჭიჭინაძე, საჭირო წიგნი	635
საინტერესო ინფორმაციები	635
ქართველ ერის საცოდავი ნაშთები	639
სანდრო მენალარიშვილის გარდაცვალება	645
ლ (ლევან) ზურაბიშვილი, სიტყვა, წარმოთქმული ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე პარიზში, ქართველთა სათვისტომოს სხდომაზე (1918-1968 წ.წ.)	646
ლევან ზურაბიშვილი, ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან–125 წლის და გარდაცვალებიდან – 40 წლისთავზე	647
ვიქტორ ნოზაძე, სიტყვა ლევან ზურაბიშვილის დასაფლავებაზე	651
გ. ყიფიანი, ლევან ზურაბიშვილს	652
სპირიდონ კედია, ქართული პოლიტიკის ნიმუშები	652

#### კარი მეშვიდე

რეცენზიები კრებულზე – „წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან, ტომი პირველი,  
2017 წელი, ბათუმი

<b>როინ მეტრეველი, გურამ ლორთქიფანიძე</b> ქართული აგიოგრაფიის დიდი მოამაგე, სამშობლოში დაბრუნებული საგანძური	659
<b>Roin Metreveli, Guram Lortkipanidze</b> Great Caretaker of Georgian Archaeography Treasury Returned to Homeland	663
<b>ბონდო არველაძე</b> სტამბოლის ქართული საგანის მატთანე	668
<b>Bondo Arveladze</b> Chronicle of the Georgian Cloister in Istanbul	671
<b>იზოლდა ბელთაძე</b> ობლად დარჩენილი საგანე	675
<b>Izolda Beltadze</b> Forsaken Sanctuary	679

## წინათქმა

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან მოყოლებული ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად, ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

წინარეისტორიულ ხანაში ამ მიმართულებით ნაღვაწი თითქმის დავიწყებას მიეცა, ჩვენს თვალსაწიერს მიეფარა. საქართველოს ისტორიის მეხსიერება წვდება მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურის სათავეებს. ყოველი ჩვენგანისათვის რაოდენ საამაყო იმის შეგნება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის შენებაში თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართველი ერის სახელოვან შვილებს. ბევრის ჩამოთვლა არცაა საჭირო, მართლოდენ **პეტრე იბერისა და გიორგი მთაწმინდელის** ღვაწლიც იკმარებს საამისოდ.

ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჩვენი დიდი წინაპრები შინ და გარეთ არ იშურებდნენ ძალასა და სახსარს მამულის სამსახურში; მიდიოდნენ შორს მამულიშვილური საქმიანობის საწარმოებლად, განათლების მისაღებად. მაშინ უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე **მსოფლიო ცივილიზაციის ოაზისებში** მხოლოდ იმისთვის, რომ იქ **ქართული კულტურისა და განათლების კერები** შეექმნათ, ქართული ეკლესია-მონასტრები დაეფუძნებინათ, უცხო ქვეყნებისა და ხალხების კულტურისა და განათლების მიღწევები ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინათ. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა. ამ მხრივ ფასდაუდებელია **ათონის ივერიონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სინასა და შავი მთის, ანტიოქიის, პეტრიწონის** – ქართული კულტურისა და განათლების ამ უშესანიშნავესი ტაძრების – ღვაწლი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შესასწავლია საზღვარგარეთ არსებული რამდენიმე მსგავსი კერის საგანძური. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ **ბეირუთთან** ახლოს მდებარე **ლიბანის მთის ქრისტიანული კერები**. ასევე საყურადღებოა **იზმირში** არსებული ქართული მონასტრის საქმიანობაც. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის **პლატონ იოსელიანის** ცნობით, 1849 წლისათვის აქ მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები. მათ შორის იყვნენ აჭარიდან გადახვეწილნიც. ერთი მათგანი მონასტრის წინამძღვარიც კი გახლდათ მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში, 1822 წელს ქრისტიანობისათვის წამებით რომ აღესრულა და 2002 წლის 17 ნოემბერს წმიდანად შეირაცხა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით. ეს ბრძანდება **წმიდა თეოდორე აჭარელი**. ამავე ტაძარში მოღვაწეობდა წმიდანის ძმისშვილი – **მამა ნეოფიტე**, რომელიც შეხვდა **პლატონ იოსელიანს** და მოუთხრო თავისი ბიძის წამებით აღსრულების შესახებ. ნეოფიტე განათლებული პიროვნება, მწერალი ყოფილა. ამ ტაძარს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. დღემდე შეუსწავლელია ქართული კულტურის ამ კერის ისტორიაც. საგულისხმო და აღსანიშნავია ისიც, რომ **ლიბანის მთისა და იზმირის** ქართული სავანეების შესახებ ცნობებს ინახავს მხოლოდ სტამბოლის ქართული სავანე, მისი მდიდარი არქივი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, აგრეთვე, გამოირჩეოდა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში მამა **პეტრე ხარისჭირაშვილის** მიერ სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ **მონთობონში** დაარსებული ეკლესია-მონასტერი სტამბით, ბიბლიოთეკითა და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური პროფილის სემინარიით. დასანანი და თანაც გასაკვირია ის, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის თითქმის თვალწინ, პარიზიდან არცთუ ისე შორს, მონთობანში, ეს ცენტრი უკვალოდ გაქრა, დაიკარგა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. დღეს



ქალაქ მონთობანის არქივშიც კი ვერ ვპოულობენ მკვლევარები ქართული კულტურის ამ ცენტრის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს. საკვლევი ობიექტის მისამართი შემორჩა მხოლოდ სტამბოლის ქართულ სავანეში მონთობანიდან გამოგზავნილ საფოსტო ბარათებს.

მეტად დასანანია, სამწუხაროა ის გარემოება, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ საზღვარგარეთ ნაშენები ქართული კულტურის თითქმის ყველა კერა დაკარგა; გაიბნა, უმთავრესად განადგურდა, ამ ტაძრებში შექმნილი ხელნაწერი წიგნების დიდი ნაწილი; **გასხვისდა ათონის ივერიონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი; შავი და სინას მთის, ანტიოქიის ქართული კერების** კვალი თითქმის წაიშალა; ამასთანავე, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ერთი ნაწილი დღემდე ელოდება ქართველ მკვლევარს...

საიმედოდ დაცული და შენახულია მხოლოდ **სტამბოლში არსებული ქართული კულტურის კერა**. აქ შემონახული საგანძური – **ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა, ძვირფასი არქივი, საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები – შეგვინახა თურქმა ხალხმა, თურქეთის რესპუბლიკამ**, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავი, საგულისხმო და დასაფასებელია, სიმბოლოა თურქი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობისა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გამოჩენილი გულისხმიერი, ფაქიზი დამოკიდებულებისა. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, **სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის, მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების ფასდაუდებელი ღვაწლი ამ საგანძურის მოვლა-შენახვის საქმეში**.

სტამბოლი (ძვ. კონსტანტინეპოლი) – ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდი, კაცობრიობის კულტურისა და განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა, უხსოვარი დროიდანვე იზიდავდა ქართველებს. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში სწორედ ამ გზით შემოდიოდა **ევროპული ცივილიზაცია**.

ქართული კულტურისა და განათლების კვალი სტამბოლში ისტორიის სათავეებშია საძიებელი. წერილობითი წყაროები მათ შესახებ ჯერჯერობით ძირითადად მხოლოდ მე-9 საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობები დაცულია ძველ **ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, არაბულ, ებრაულ წყაროებში**.

სტამბოლში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, გამოჩენილი სასულიერო პირები, წმინდანები. მათ შორის აღსანიშნავია წმინდანები – **ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი**. სტამბოლში ჩვიდმეტი თვე ცხოვრობდა დიდი მამულიშვილი **სულხან-საბა ორბელიანი** და, შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად, ეძიებდა გზებს საქართველოს გადასარჩენად. **სტამბოლში, გალათას უბანში, 1626 წლის შემოდგომაზე** თავისი ამალით დასახლდა დიდი მოურავი **გიორგი სააკაძე**. სტამბოლის **შვიდკოშკიანი** ციხე დღესაც აღძრავს ხოლმე მწარე მოგონებებს შავზნელი წარსულის შესახებ და არ გვავიწყებს **სვიმონ მეფის (1537-1611 წ.წ.)** ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულს. სტამბოლში შექმნა მნიშვნელოვანი შრომა სვიმონ მეფის ძმამ **დავით XI-მ (დაუთ-ხანმა)** – „**იადგარდაუდი**“ – სამკურნალო წიგნი. მან 1578 წელს სტამბოლს შეაფარა თავი; იქვე გარდაიცვალა კიდევ.

სტამბოლის ერთ-ერთ უბანში, გალათაში, უძველესი დროიდანვე არსებობდა ქართველთა ახალშენი (დასახლება). 1453 წლიდან ოსმალებმა ამ ადგილს უწოდეს „**გურჯუ ქაფუ**“ („**ქართველთა კარი**“) და დღემდე ასეა ცნობილი. **გალათაში** ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი, საყდარი (როგორც აქაურები უწოდებენ ხოლმე) – **წმ. პეტრეს სახელობის ეკლესია**. აქაური ქართველები უმეტესად **მესხეთ-ჯავახეთიდან** გადმოსახლებული კათოლიკეები იყვნენ.

ქართველთა უძველესი სავანე იყო, აგრეთვე, ძველი კონსტანტინეპოლის გარეუბანში, რომანა ხევის იმ ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა „სოსთენი“. ტაძარს ერქვა „ჰრომანა“. იგი ააშენა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი მაკედონმა (866-886 წლებში) ულუმბოს (ოლიმპოს) მთიდან აქ გადმოყვანილი ქართველი ბერებისათვის (იგულისხმება „ტროადისა ოლიმპო... მთასა მას თურქნი ქეშიშტალსა უწოდებენ. იხ. მოხილჳა წმინდათა და სხჳათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა, დაბეჳდილი ტფილისს, 1852 წ; გვ. 118-119). სწორედ, მათ მიანდო იმპერატორმა თავისი შვილების-ლეონისა და ალექსანდრეს აღზრდა. იმპერატორის სიტყვები დაცულია ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში: „ლოცვა ჰყავთ ამათთვის, წმიდაო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაი თქჳენი, რათა იყვენენ ეგე შვილნი ლოცვისა თქჳენისანი (იხ. ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901 წ. გვ. 102). ეს არცაა გასაკვირი, რადგან მაშინ ქართულ ენაზე შექმნილ ძველ ქრისტიანულ მწერლობას მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. უმაღლესი სასულიერო განათლების ცენტრებში დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ქართული ჰაგიოგრაფიის შედეგებს.

822 წლის 19 ნოემბერს თესალონიკში გარდაიცვალა დიდი სასულიერო მოღვაწე, სასწაულთ-მოქმედი, წმიდა ილარიონ ქართველი. იგი იქვე არსებულ უძველეს ქართულ მონასტერში დაკრძალეს. მაგრამ იმდენად ცნობილი და საპატიო იყო ამ წმიდანის პიროვნება, რომ იმპერატორმა ბასილი მაკედონმა იგი კონსტანტინეპოლში გადმოსვენებინა და დააკრძალვინა ქართველთა „ჰრომანა“ მონასტერში. ამიერიდან, ეს მონასტერი, როგორც მოგვითხრობენ უძველესი წყაროები, ზიარეთად და სამკურნალო ადგილად გადაიქცა. ისტორიული წყაროების ცნობით, წმ. ილარიონ ქართველის საფლავიდან ღვთიური მადლი გადმოდიოდა და ჰკურნავდა ადამიანებს. სამწუხაროდ, დღემდე მიუკვლეველია ეს ადგილი – „ჰრომანა“ ტაძრის მდებარეობა. თესალონიკში, წმ. დიმიტრის სახელობის ტაძრის კედელზე, დღემდე შემორჩენილი ყოფილა წმიდა ილარიონის ფრესკა. მეჩეთად გადაკეთებულ ტაძარში მუსლიმანებსაც კი არ წაუშლიათ ამ წმიდანის ხატი.

სტამბოლში ქართველთა სალოცავი მდგარა, აგრეთვე, იმ ადგილას, სადაც 1573 წელს ფიალი ფაშის მეჩეთი აიგო. ამაზე მეტყველებს სტამბოლის ერთ-ერთი უძველესი გეგმა (იხ. ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1921 წ. გვ. 25). ე.ი. ფიალი ფაშის მეჩეთი დგას ქართველთა სალოცავის ბალავარზე. გადმოცემის მიხედვით, ფიალი ფაშა წარმოშობით ქართველი ყოფილა. იგი ამ მეჩეთის ეზოშია დაკრძალული, მამასადამე, უძველესი ქართული სალოცავის ეზოში.

ყოველი ეკლესია-მონასტერი, როგორც ცნობილია, კულტურისა და განათლების კერა იყო ოდითგანვე, რადგან მე-6 მსოფლიო კრების გადაწყვეტილებით (პარაგრაფები – 19, 64), ეპისკოპოსებს ევალებოდათ სწავლა-განათლების უფასოდ გავრცელება თავიანთ სამწყსოში. ცხადია, ასეთივე მდგომარეობა იყო კონსტანტინეპოლის ქართულ ეკლესიებშიც. აღნიშნული ტაძრები ასრულებდა კულტურის კერის ფუნქციას. ამიტომაც კონსტანტინეპოლი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი კერა. ჯერ კიდევ IX საუკუნეში აქ არსებულ კულტურის კერებს საქართველოდან ეწვივნენ გრიგოლ ხანძთელი და ილარიონ ქართველი იქაური სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად.

სტამბოლის ქართველობა ოდითგანვე მოსახლეობის განათლებულ ფენას წარმოადგენდა. ამიტომაც კონსტანტინეპოლი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი კერა. ჯერ კიდევ ადრე კონსტანტინეპოლის აკადემიებში ბევრი ქართველი სწავლობდა. მაგალითად, ცნობილ მანგანის აკადემიაში უმაღლესი სასულიერო განათლება და სამეცნიერო ხარისხი მიიღო ბევრმა სახელოვანმა ქართველმა. მათ შორის იყვნენ წარჩინებული პიროვნებანი-პეტრე

ბერი, იოანე გრძელიძე, ილარიონ თუალელი, საბა თუხარელი, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე, გიორგი ილთისელი, ბასილ და იოანე ხახულარები და მრავალი სხვა.

XI საუკუნიდან ქართველები მოღვაწეობდნენ კონსტანტინეპოლის რამდენიმე სავანეში, კერძოდ: **ხორაში, აგიაპატსა და ტრიანდაფლივში** (იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 248-249). 1031 წელს **ხორას** მონასტერში **ბასილს** დაუმზადებია „**მცირე სჯულის კანონი**“, **გრიგოლ მთაწმინდელის** დავალებით, რის შესახებ მოგვითხრობს ამ ხელნაწერის (A N96) მინაწერი. ბასილი ცნობილი მწერალი ყოფილა. მას რამდენიმე ხელნაწერი დაუმზადებია, აგრეთვე, მამამთავარ **ზაქარია ვალაშკერტელის** (ბანელის) დავალებითაც. მწერალ **ისაკს** კი ხელნაწერები დაუმზადებია **აგიაპატის** მონასტერში.

ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ, აგრეთვე, **ტრიანდაფლივის** მონასტერში. სექტემბრის თვის წმინდანების ცხოვრებათა კრებულში (A+h. N20) მოცემულია ანდერძი, რომლის საშუალებითაც ვეცნობით „მონასტერსა შინა ყოვლად შუერიერსა ტრიანდაფლივს“ მოღვაწე ქართველ მწიგნობართა ჯგუფის ლიტერატურულ საქმიანობას. აქ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა **თეოფილე ხუცესმონაზონი** და მღვდელი **საბა**, რომლებმაც ბერძნულიდან ქართულად თარგმნეს **მეტაფრასი** და 1081 წელს დაამზადეს ხელნაწერი.

საუკუნეთა მანძილზე ქართველები ისწრაფოდნენ კონსტანტინეპოლის არა მარტო სასულიერო დაწესებულებებისაკენ, არამედ ცდილობდნენ განათლება მიეღოთ იქაურ საერო სასწავლებლებშიც. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ **გიორგი მთაწმინდელმა** საქართველოდან იქ სასწავლებლად, აღსაზრდელად წაიყვანა 80 ბავშვი; მოგვიანებით კი **დავით აღმაშენებელმა** იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად გაგზავნა 40 ახალგაზრდა.

ოდითგანვე სახელგანთქმული იყო კონსტანტინეპოლის უმაღლესი სკოლები. მათგან გამორჩეული იყო **კონსტანტინე IX მონომახის** მიერ 1044-1047 წლებში დაარსებული მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება-**მანგანის აკადემია**, რომელიც **რენესანსის მძლავრ კერად იქცა** და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის კულტურის ისტორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველები მანგანის აკადემიაში არა მარტო სწავლობდნენ, არამედ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ ხოლმე.

ამ მხრივ სანიმუშოა **არსენ იყალთოელის** მოღვაწეობა. მან ბერძნულიდან ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები. მათგან განსაკუთრებით ფასეულია მეშვიდე საუკუნის მწერლის **ანასტასი სინელის** ნაწარმოები „**წინამძღვარი**“.

ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა კონსტანტინეპოლში საუკუნეთა განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა; ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგაც არ შეწყვეტილა ეს ურთიერთობა. სხვადასხვა დროს მსოფლიო ცივილიზაციის ამ სახელგანთქმულ ცენტრში, სტამბოლში, უცხოვრიათ და მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა უწარმოებიათ გამოჩენილ ქართველებს.

მეთექვსმეტე საუკუნის სახელგანთქმული წერილობითი ძეგლი, საექიმო წიგნი-კარაბადინი „**იადიგარ დაუდი**“ შესრულებულია სტამბოლში გახიზნული საქართველოს მეფის **დავით ბაგრატიონის (დაუთ ხანის)** მიერ. იგი იყო მეფე **ლუარსაბ პირველის** (1534-1558) შვილი. საქართველოში იმეფა ცხრა წელიწადს – 1569-1578 წლებში. მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, იგი იძულებული გახდა 1579 წელს ოსმალეთში გახიზნულიყო. საექიმო წიგნი „**იადიგარ დაუდი**“, მკვლევართა აზრით, მას შეუსრულებია 1579-1585 წლებში ოსმალეთის სულთნის **მურად მესამის** სამეფო კარზე ყოფნის დროს. საგულისხმოა ისიც, რომ მას მფარველობდა სულთნის დედა,

წარმოშობით ქართველი, **ნურბან დედოფალი**. დაუთ ხანს კარგად შეუსწავლია თურქულ ენაზე შექმნილი ძველი კარაბადინები, ბევრი რამ იქიდან აუღია და გაუმდიდრებია საქართველოდან წაღებული ხელნაწერი ნაშრომი.

აღსანიშნავია, აგრეთვე, **სულხან-საბა ორბელიანის, დომენტი ბაგრატიონის, იესე ტლაშაძის, ტიმოთე გაბაშვილის, ივანე გედევანიშვილის, გიორგი ავალიშვილის** მიერ სტამბოლში შექმნილი ნაშრომები.

**სულხან-საბა ორბელიანმა**, როგორც ცნობილია, „იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოს ათსა და ქრონიკონს ჩლივ (1716), იანვრის ოცს გაასრულა“. ე.ი. იგულისხმება „**სიტყვის კონას**“ ხელნაწერი, რომელზედაც სულხან-საბა 1715 წლის ათი აგვისტოდან 1716 წლის 20 იანვრამდე მუშაობდა, იგი შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მეორე რედაქციის სახელითაა ცნობილი. მისმა შესწავლამ ნათელყო, რომ კონსტანტინეპოლში ყოფნისას სულხან-საბამ თავისი ლექსიკონი შეავსო, განავრცო, დახვეწა და სრულყო, როგორც ნათქვამია სამეცნიერო ლიტერატურაში.

სტამბოლში ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანი, აგრეთვე, მუშაობდა ნაწარმოებზე „**მოგზაურობა ევროპაში**“. დიდმა მამულიშვილმა იქ ყოფნისას შეკრიბა საინტერესო ცნობები კონსტანტინეპოლზე და მოკლე აღწერილობით შეავსო **ქართული სამოგზაურო-მემუარული ლიტერატურის** ეს შედეგები.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ მე-18 საუკუნეში სტამბოლში მიმდინარე ლიტერატურულ საქმიანობაზე. კერძოდ, ეს უკავშირდება ვახტანგ VI-ის ძმის **დომენტი ბაგრატიონის** ცხოვრების ეპიზოდებს. იგი იყო ქართლის კათალიკოსი. თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო 1724-1738 წლებში გადასახლებულ იქნა სტამბოლთან ახლოს მდებარე კუნძულ **ტენედოზე** (ახლანდელი **ბოჰჩა ადა**). მიუხედავად მძიმე პირობებისა, იგი გადასახლებაშიც ახერხებდა ლიტერატურულ საქმიანობას. მას თან ახლდა მწიგნობარი **ელისე საგინაშვილი**, რომელსაც გადააწერინა სასულიერო შინაარსის მოზრდილი კრებული. მეორე მხლებელმა – პოეტმა **იესე ტლაშაძემ** გადასახლებაში ყოფნისას შეთხზა პოემა „**კათოლიკოსბაქარიანი**“, სადაც აღწერა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და პატრიარქის ტრაგიკული თავგადასავალი.

1756-1757 წლებში სტამბოლში ყოფნის დროს **ტიმოთე გაბაშვილმა** დაასრულა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები – „**მოხილტა წმინდათა და სხტა აღმოსავლეთისა ადგილთა**“, რომელშიც კარგად არის აღწერილი კონსტანტინეპოლის ისტორიული და საუცხოო ადგილები, ბუნება და ხალხის ყოფა-ცხოვრება (ტიმ. გაბაშ. 1852, გვ. 113-114). ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა კონსტანტინეპოლში სტამბოლში გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც.

სტამბოლი, როგორც განათლებისა და კულტურის კერა, მე-16 საუკუნიდან ერთნაირად იზიდავდა **ქრისტიან** და **მაჰმადიან** ქართველობას. უმაღლესი მუსლიმანური სასულიერო განათლების მიღება მაშინ მხოლოდ სტამბოლში, **ფათიჰის** ცნობილ მეჩეთთან არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შეიძლებოდა. აქ ბევრი მაჰმადიანი ქართველი სწავლობდა **ყურანის ფილოსოფიას**. ბევრმა დაამთავრა, აგრეთვე, სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული და საღვთისმეტყველო ფაკულტეტები, სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლები; ბევრიც სამხედრო და საზღვაო აკადემიებში დაეუფლა პროფესიულ განათლებას. მათ შესახებ საინტერესო ცნობები მოცემულია თურქი ისტორიკოსის **მურათ ქასაბის** მონოგრაფიაში „**ოსმალეთის ქართველები**“ (სტამბოლი, 2012 წელი).

ქართველთა რიცხვმა სტამბოლში განსაკუთრებით იმატა 1828-1829 წლებისა და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ისტორიული ზემო ქართლის (მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი) მოსახლეობის დიდი ნაწილი, ომის შედეგებით შეწუხებული, ლტოლვილად იქცა, ოსმალეთში იძულებით გაიხიზნა. ისინი უმეტესად დასახლდნენ მარმარილოს ზღვის ნაპირებში, სტამბოლსა და მის გარეუბნებში. იქ გადახვეწილი ქართველობა სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია „**მუჰაჯირი ქართველების**“ – ჩვენებურების სახელწოდებით.

ამ ხანებში სტამბოლში მომძლავრდა ქართველთა ახალი ახალშენი **ნური ოსმანიეს** დიდ ბაზართან ახლოს, რომელსაც ეწოდა „**ვეზირხანი**“. აქ უმთავრესად ქართველი ვაჭრები ცხოვრობდნენ ოჯახებით და ქართული კათოლიკური ტაძრების მრევლს წარმოადგენდნენ.

დიდი ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „**საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმაღვე სწვდებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების – მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით**“.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ **ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე – წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის** ეკლესია-მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ამ სასულიერო და კულტურულ-სავანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა **პეტრე ხარისჭირაშვილი**. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – **ფერიქოში** (ანგელოზთა სოფელში) 1861 წელს აშენდა კათოლიკური **ეკლესია** და დაფუძნდა **დედათა და მამათა მონასტრები**. 1870 წლისთვის აქ უკვე მუშაობდა **ქართული სტამბა**, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები. მოგვიანებით იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზედაც.

ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ბევრ უბანში – **გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, უსკუდარში, პერაზე, ფაფაზსქეფრში** – დროთა სვლამ წაშალა. ბედნიერ ფეხზე აშენებული დარჩა მხოლოდ **ფერიქოს ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი-ქართული კულტურის საყდარი, ქართველთა სავანე**.

ფერიქოს ეკლესია-მონასტერთან 1875 წლიდან ჩამოყალიბდა **ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები**. ფერიქოს სავანეში 1908 წელს გაიხსნა აკაკი წერეთლის **სახელობის ბიბლიოთეკა**, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული გამოცემები, დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართულ და სხვა ენებზე არსებულ სტამბებში. წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან აქ იგზავნებოდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში შენახულია ჩვიდმეტ ენაზე შესრულებული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, სულ 70 000-ზე მეტი ერთეული.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში ბევრი საინტერესო მასალაა დაცული თურქეთ-საქართველოს კულტურული, კეთილმეზობლური ურთიერთობის უახლესი ისტორიის შესასწავლად.

ღვთის შეწევნითა და ნებით შესაძლებლობა მომცა 1989 წლის მაისიდან ნელ-ნელა (პერიოდულად) გავცნობოდი ამ მდიდარ საგანძურს, რომელიც განთავსებული იყო წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ 1908 წელს გახსნილ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში. ჩემი მონოგრაფიის პირველ ტომზე მუშაობისას („ჩვენებურების ქართული“, I, 1993, ბათუმი, 720 გვ.) საშუალება მქონდა მესარგებლა ამ სავანეში დაცული ისტორიული წყაროებითა და საჭირო ლიტერატურით. ეს შესაძლებლობა მომცა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან შექმნილი ფონდის პრეზიდენტის, სულმნათი პიროვნების, დიდი ქართველის **პავლე ზაზაძის** მიერ ჩემს სახელზე დაწერილმა ანდერძმა, რომელიც ამ სავანეში სამეცნიერო მუშაობის უფლებას მანიჭებდა.

2000 წელს სტამბოლში ჩამოყალიბდა **თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი**. ფონდი დაფუძნდა თურქეთის რესპუბლიკაში ცნობილი ბიზნესმენებისა და საზოგადო მოღვაწეების (წარმოშობით ქართველი) მონაწილეობით. ფონდის პრეზიდენტი გახლდათ ცნობილი **პიროვნება ნიჰათ გოქიითი (გოგიტიძე)**, ვიცე-პრეზიდენტები – **ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე)** და **სიმონ ზაზაძე**; გენერალური დირექტორია **მევლუდ ართვინლი (გოგლიძე)**. სამი წლის მანძილზე ეს ფონდი აფინანსებდა ჩემი ხელმძღვანელობით სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის ექსპონატების საუკუნოვანი მტვრისაგან გაწმენდისა და აღწერის პროცესთან დაკავშირებულ საქმიანობას. მუშაობა პერიოდულად, ხანგამოშვებით მიმდინარეობდა. ჯანმრთელობისათვის საშიშ პირობებში მუშაობისას სავანეში დასაქმებულებს ყურადღებას არ გვაკლებდნენ ექიმები – ცნობილი კარდიოლოგი პროფესორი **ისმეთ დინდარი (მიქელაძე)** და მისი მეუღლე ექიმი **ულქერ დინდარი (მიქელაძე)**. მამობრივ მზრუნველობას არ გვაკლებდა ბატონი სიმონ ზაზაძე.

მონასტრის ძველი, ნესტიანი შენობიდან წიგნები და ხელნაწერები 2000 წლის ივლის-აგვისტოში გადატანილ იქნა მონასტრის გვერდით მდებარე **სიმონ ზაზაძის** კერძო ლიცეუმის – „**ოზელ ბილგი კოლეჯის**“ – შენობაში; გაწმენდითი, აღწერითი საქმიანობა დასრულდა 2006 წლის ზაფხულში. წიგნები და ხელნაწერები განთავსდა ქაღალდის ყუთებში, დაილუქა და საიმედოდ შენახულ იქნა უშუალოდ ბატონ **სიმონ ზაზაძის** მეთვალყურეობით. 2006-2015 წლებში ეს საუნჯე ინახებოდა აღნიშნულ ყუთებში. ამჟამად განთავსებულია ეკლესია-მონასტრის ყოფილ ბაღში აშენებული ახალი **შენობის პირველ სართულში მდებარე საცავში**, სადაც დაცულია ბიბლიოთეკისა და საარქივო მასალის მოვლა-შენახვისათვის აუცილებლად საჭირო პირობები (ტემპერატურა, ვენტილაცია...).

1989 წლიდან დღემდე ჩემ მიერ ბევრი წერილი, სტატია, წიგნი დაიწერა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკისა და არქივის მდგომარეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ქართველ მკითხველს პერიოდულად ვაწვდიდით ინფორმაციას ამ სავანეში მიმდინარე საქმიანობაზე (იხ. მონოგრაფიები – „**სტამბოლის ქართული სავანე**“, გამომცემლობა „**არტანუჯი**“, 2012 წელი; *Istanbul Gücü Ocağı*” (თურქ. ენაზე, იგივე გამომცემლობა, 2012) საგაზეთო სტატიები იბეჭდებოდა გაზეთებში: „**საქართველოს რესპუბლიკა**“, „**ლიტერატურული საქართველო**, „**აჭარა**“...).

სავანეში მუშაობის პერიოდში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების-უნივერსიტეტების მეცნიერი თანამშრომლები, პროფესორები, ჟურნალისტები სტუმრობდნენ ხოლმე ბატონ სიმონ ზაზაძის ოჯახს, ეცნობოდნენ სავანეში დაცულ წყაროებს და კმნიდნენ ნაშრომებს. მათ შორის აღსანიშნავია პროფესორების – **ტარიელ ფუტყარაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ციური ლაფაჩის, ნატო ყრუაშვილის** ნაშრომები; ჟურნალისტების – **მარადი ანასაშვილისა და ლალი მესხის** საგაზეთო სტატიები. სტამბოლის ქართული სავანის შესახებ ტელევიზუეტებს გადას-

ცემდა ქართული და თურქული სატელევიზიო არხები: „პირველი არხი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „საპატრიარქოს ტელევიზია“, „აჭარის ტელევიზია“, „ზამანი“, TV show“...

სტამბოლის სავანესთან დაკავშირებული საკითხების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩეოდნენ: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა (დირექტორი **გ. კეკელიძე**, განყოფილებების ხელმძღვანელები – **მ. ხოსიტაშვილი**, **ლ. თაქთაქიშვილი**, **ჟ. ქვათაძე**), საქართველოს ცენტრალური არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (დირექტორი **ზ. აბაშიძე**), საქართველოს საპატრიარქო, ბათუმის კათოლიკური ეკლესია (მამა **გაბრიელ ბრაგანტინი** და ბათუმელი კათოლიკე **თენგიზ პარმაქსიზიშვილი**), ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის უნივერსიტეტები (რედაქტორები: **ნ. ვერძაძე**, **აზ. ახვლედიანი**, **ა. ბაკურიძე**, **მ. ხალვაში**, **შ. ზაზაშვილი**, **მ. ბერიძე**, **გ. ონიანი**).

სტამბოლის ქართულ სავანეში მუშაობისას მცირეოდენ ფინანსურ დახმარებას ვიღებდით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებისაგან. კერძოდ, ასეთი დახმარება გაუწევიათ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (**ასლან აბაშიძის**, **ედუარდ ფუტკარაძის** ინიციატივით), საქართველოს საპატრიარქოს (**შორენა თეთრუაშვილის** დახმარებით), თიბისი ბანკს (**ირაკლი კოპლატაძის** თაოსნობით), „არტანუჯს“ (**ბუბა კუდავას** შემწეობით). ცხადია, ძირითადი დამფინანსებელი იყო საქართველოს საპატრიარქო მოქალაქე, ცნობილი ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი ბატონი **სიმონ ზაზაძე**, მისი ვაჟი - **პავლე ზაზაძე**. ზაზაძეების ოჯახის თითოეული წევრი თავიანთი გულისხმიერი დამოკიდებულებითა და მზრუნველობით გვიმსუბუქებდნენ საკმაოდ მძიმე პირობებში მიმდინარე სამუშაო პროცესს, კერძოდ, 100-120 წლის მანძილზე დაკეტილი მონასტრის, უკვე გარდაცვლილ მონაზონთა კელიებში შენახული წიგნებისა და ხელნაწერების დასუფთავება-აღწერასთან დაკავშირებულ, ჯანმრთელობისათვის საშიშ სამუშაოს შესრულებისას (ცნობისთვის) ჩემი მარჯვენა ხელის შუა თითი ლამის მოსაკვეთი გახდა; წიგნის მტვერმა დამიზიანა მხედველობაც.

სტამბოლის ქართულ სავანეში 1861 წლიდან 1982 წლამდე ნაგროვები ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დასუფთავება-აღწერის სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობდნენ ჩემი ოჯახის წევრები, ახლობლები და ნდობით აღჭურვილი პირები: **ელზა**, **შორენა**, **იამზე**, **თეონა**, **რუსუდან ფუტკარაძეები**; **გიორგი გოგიტიძე**, **გოჩა აბაშიძე**, **ციალა მაისურაძე**, **ციალა ნარაკიძე**, **ნარგიზ ახვლედიანი**.

1989 წლიდან დღემდე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რამდენჯერმე შეიცვალა. ჩვენ ყველა დროის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებს ვთხოვდით ხოლმე სტამბოლის ქართული სავანის მიმართ სათანადო ყურადღების გამოჩენას, მისი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით დაინტერესებას. სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა „უდაბნოსა შინა ღალადად“ რჩებოდა უმეტესად. ღვთის შეწევნით, ჩვენმა „სანთელ-საკმეველმა“ თავის საწადელს მიაღწია. ამ საქმეს გვირგვინი **დაადგა რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა**. 2013 წელს დაფინანსდა შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საგრანტო პროექტი – „**სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა**“. ამ საგრანტო პროექტის წევრების (**როინ მაღაყმაძე**, **ელზა ფუტკარაძე**, **თამილა ლომთათიძე**, **ნაილა ჩელებაძე**, **შორენა ფუტკარაძე**, **შუშანა ფუტკარაძე**) მეშვეობით განხორციელდა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის საუნჯის განთავსება ახალ შენობაში. ასე ჩამოყალიბდა **სტამბოლის ქართული სავანის ახალი ბიბლიოთეკა**, რომელიც, როგორც განთავსების ხასიათით (სანახაობრივად, ვიზუალურად), ისე შინაარსობრივად, მოწონებას იმსახურებს და დღითიდღე იზიდავს მეცნიერ-მკვლევარებს როგორც საქართველოდან, ისე სხვადასხვა ქვეყნიდან, რადგან ამ ბიბლიოთეკაში დაცულია

უნიკალური ლიტერატურა მსოფლიოს 17 ენაზე. ამ საგრანტო პროექტის დაფინანსებით რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა გააკეთა დიდი სამშენებლო, ეროვნული საქმე როგორც საქართველოსათვის, ასევე იმ ბევრი ქვეყნისთვის, რომელთა მშობლიურ ენაზე შექმნილ წიგნებს, სწორედ, ეს ბიბლიოთეკა ინახავს.

კრებული „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ ტომი პირველი, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 2017 წელი, არის რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ნაშრომი. იგი შედგება შვიდი კარისაგან. მკითხველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ კრებულის მიმართ და სათანადოდ შეაფასა ნაშრომი.

საგრანტო პროექტის მონაწილეთა სახელით უგულითადეს მადლობას მოვახსენებთ რუსთაველის ეროვნულ ფონდს საგრანტო პროექტის – „სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა“ – დაფინანსებისათვის, რომლის სამუშაოებიც შეიქმნა სქელტანიანი ნაშრომი „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“. ტომი პირველი, 2017 წელი. საგრანტო პროექტის მონაწილეთა მიერ ახალ შენობაში განთავსდა 1908 წელს სტამბოლის ქართულ სავანეში შექმნილი აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა და 1861–1982 წლების განმავლობაში ნაგროვები საარქივო მასალა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იქ, სტამბოლის ქართულ სავანეში, დაუნჯებული საარქივო მასალის დიდი ნაწილი დაუმუშავებელია; საჭიროა მისი საფუძვლიანი აღწერა, საზოგადოების წინაშე წარმოჩენა, რათა მკვლევართათვის გახდეს ხელმისაწვდომი. იქ დაცული ისტორიული წყაროები ერთ ლამაზ ფურცელს ჩასწერს თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლეს ისტორიაში.

მეტად სამწუხაროა, რომ სტამბოლის ქართული სავანის უანგარო ქომაგი, წინაპართა ტრადიციების პატივისცემელი დიდი პიროვნება, მშობელი ქვეყნის ერთგული, მის სამსახურში მუხლჩაუხრელი მშრომელი, ბატონი სიმონ ზაზაძე ვეღარ მოესწრო ამ წიგნის გამოცემას. საქართველოს საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენით დაჯილდოებული, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის, ახალციხის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ყოველდღიურ მზრუნველობას სათანადო ყურადღებას არ აკლებდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან საუნჯეს – ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივს. გვჯერა, ბატონ სიმონ ზაზაძის ლამაზი ოჯახი, მისი ძვირფასი შთამომავლობა ერთგულად გააგრძელებს ამ საქმეს. სიმონ ზაზაძის ვაჟი, ბატონი პავლე ზაზაძე, გვწამს, რომ ერთგულად გააგრძელებს მამის მიერ დაწყებულ საქმეს და ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობის კერას, ამ მდიდარ ბიბლიოთეკასა და არქივს, არ მოაკლებს მზრუნველობას, კიდევ უფრო წარმოაჩენს მის მნიშვნელობას ორი ქვეყნის კულტურის ისტორიაში.

წინამდებარე კრებული – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი მეორე მკითხველ საზოგადოებას სთავაზობს ფასეულ ისტორიულ წყაროებს, აცნობს ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის სასულიერო პირებისა და მრევლის მაღალ ეროვნულ სულისკვეთებას. მკითხველი დაგვერწმუნება, რომ ეს სავანე ჩვეულებრივი სასულიერო დაწესებულება (ეკლესია-მონასტერი) როდი იყო, არამედ გახლდათ ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ურთიერთსიყვარულისა და ძმობის კერა მრავალმილიონიან სტამბოლში „პატარა საქართველო“, როგორც უწოდებდა ამ სავანეს დიდი ივანე ჯავახიშვილი.



წიგნი მოემსახურება თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური, კულტურული ურთიერთობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

კრებული – „წერილები სტამბოლის ქართული საგანიდან“, ტომი მეორე–გვჯერა კვლავ დაიმსახურებს ქართველი მკითხველის მოწონებას და სათანადოდ იქნება შეფასებული ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნაშრომ-ნაღვაწი და ნაოცნებარი, მათ სულიერ სამყაროში დაფრთიანებული წერილები.

მე-13 საუკუნის სასულიერო მოღვაწე **არსენ ამარტოლი** წერდა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ“... ვისურვოთ, რომ სამომავლოდ, მართლაც, საუკუნოდ წარმოსაჩენი კიდევ ბევრი წერილობითი ძეგლი შეექმნას ჩვენს ბრძენ ხალხს; თავისი კუთვნილი სიტყვა ეთქვას მსოფლიოს ხალხთა სულიერი კულტურის წინსვლაში.

ჩვენო მკითხველო, ამ წიგნის წინათქმას დავასრულებთ ქართველი ხალხის საყვარელი მეფის „პატარა კახად“ წოდებული **ერეკლე მეორის** (1720-1798) სიტყვებით– **„ხელი მწერლისაჲ ლპების საფლავსა შინა, ხოლო ნაწერი თითთა მისთა ჰგიებს საუკუნოდ“**.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ემერიტუსი პროფესორი **შუშანა ფუტყარაძე**.  
ბათუმი, 2021 წელი, 20 მარტი.

## FOREWORD

Since the ancient times our prominent ancestors had strived to take the cultural and educational achievements of the Georgian nation outside the country and tried to acquaint the leading people of the world with attainment of our nation, making the name of Georgia famous worldwide.

All the achievements and endeavors of the prehistoric period have fallen to oblivion, passed our horizon. The memory of the history of Georgia can only reach the beginnings of the Georgian Christian culture. We are proud to realize that the outstanding people of the Georgian nation made their humble contribution to the development of the world civilization for fifteen centuries suffice it to mention the names of PetreIberi and GiorgiMtatsmindeli.

The hearts of our great ancestors were blazed with love of God and the motherland. They never spared might and energy in serving their country; they often left their motherland and went far away to conduct patriotic activities or get good education. In those times, educated Georgian living abroad used to settle down in the oasis of the world civilizations with only one goal – to found the centers of Georgian culture and education there as well as Georgian churches and monasteries and bring the cultural and educational achievements of the foreign countries and nations to the service of the Georgian nation. This was the way how spiritual values of different nations used to be exchanged. In this aspect, the contribution and merits of outstanding monasteries – **Iveroni on Mount Athos, monastery of the Cross in Jerusalem, Sinai, Antioch, Petritsoni**, etc. is invaluable.

Regretfully, the treasuries of several centers functioning abroad are still to be studied, including the Christian centers of Mount Lebanon in the vicinities of the city of Beirut. The activities of the Georgian monastery in Izmir is also worth attention. According to the Georgian historian **Platon Ioseliani**, a number of Georgian clergymen had served there by 1849, including those exiled from Ajara. One of them appeared to be the prior of the monastery in the first quarter of the 19<sup>th</sup> century, was martyred for Christianity and sanctioned as a saint on 17 November 2002 by the decision of the Holy Synod of the Georgian Patriarchate. This person was **St. Teodore Achareli**. His nephew – Father Neophyte used to serve in the same church as well. He happened to meet PlatonIoseliani and tell him about the martyrdom of his uncle. Neophyte used to be a writer and a very educated person. This church used to have a very rich library. The history of this center of the Georgian culture has not been studied to this day either. It is also very remarkable that the information about the Georgian centers on Mount Lebanon and in Izmir is kept only in the rich library of the Georgian Center in Istanbul.

The church in the city of Montauban, South France, with a printing press, library and a theological seminary, established by father PetreKharischirashvili in the last quarter of the 19<sup>th</sup> century, was also distinguished with cultural-educational activities. It is regrettable and surprising at the same time that this center disappeared right in front of the National Georgian Government in exile in France, disappeared without a trace in Montauban, near Paris, in the first half of the 20<sup>th</sup> century. Today not a single document verifying the existence of this center of the Georgian culture can be found in the archive of the city of Montauban either. Only the address of the center survives on the postcards sent from Montauban to the Georgian Center in Istanbul.

Unfortunately, the Georgian people lost almost all the centers of Georgian culture established and nourished abroad by our ancestors for centuries. Most part of the manuscripts created in those churches and centers has been destroyed or lost and the centers on Mount Athos, Sinai, Antioch and Jerusalem have

been alienated. The surviving part of the Georgian centers abroad is still awaiting its Georgian researchers and scholars...

Only the Georgian cultural center in Istanbul has been reliably preserved and protected to this day. It is especially remarkable that the treasury preserved here – the church, rich library, valuable archive, interesting museum exhibits – has been kept by the Turkish people and the Republic of Turkey, and can be regarded as the symbol of longtime friendly and neighborly relations between the Turkish and Georgian nations and their tactful and tender attitude towards the Georgian cultural heritage. The contribution of the family of **Zazadze** in Istanbul – father and son **Simon and Paul Zazadze** – in the preservation of the treasury is of special significance.

**Istanbul (former Constantinople)** – a bridge between Europe and Asia, one of the important cultural and educational centers, has always attracted the Georgian since the ancient times. During the centuries the European civilization used to reach Georgia through this road.

The traces of Georgian culture and education in Istanbul should be sought at the beginnings of history. The written sources about them have been found since the ninth century so far. The information is preserved in the Georgian, Greek, Latin, French, Arabic and Hebrew sources.

Great Georgian philosophers, translators, prominent clergymen and saints used to live and work in Istanbul for years. Among them most distinguished are the saints – **Ilarion Kartveli** and **Giorgi Mtatsmindeli**. A great countryman **Sulkhan-Saba Orbeliani** lived in Istanbul for seventeen months. Apart from creative activities, he strove to find the ways of Georgia's salvation. In autumn of 1626, a great Georgian commander **Giorgi Saakadze** settled in Galata district in Istanbul together with his army. The seven-tower fortress in Istanbul still arouses bitter memories about the desperate past and never lets to forget the tragic end of **King Svimon's** life (1537-1611). King Svimon's brother **Davit XI (Daut-Khan)** wrote his famous medicinal work "Iadigar-Daudi" in Istanbul. He had escaped to Istanbul in 1578 and died there.

In Galata, one of the districts of Istanbul, a Georgian settlement existed from ancient times. From 1453 the Ottomans called this place "*Gurjuqapu*" (The Georgians' Gate). It is still known with this name. In Galata Georgians used to have their own chapel – St. Peter's Church. The Georgians of Istanbul were comprised generally of the Catholics exiled from Meskheta-Javakheti.

One of the ancient abodes from Georgian in the historical times was in the outskirts of Constantinople, in Romanakhevi place called "Sosten". The church was called "Hromana". It was built by the Byzantine emperor Basil of Macedon (866-886) for the Georgian monks transferred from Mount Olympus. They were privileged to teach and educate emperor's sons Leon and Alexander. The emperor's words are preserved in the Georgian manuscript of 1074 in the Iveroni monastery on Mount Athos. It is not surprising inasmuch as the old Christian literature written in Georgian used to have universal worldwide importance in those days. Moreover, in the higher education centers of theological studies the masterpieces of Georgian hagiography had been studied with great interest.

On 19 November 882 a great religious figure and wonder-worker **St Ilarion Kartveli** died in Thessaloniki. He was buried in an old Georgian monastery there. However, the saint was so famous and honorable that the Emperor Basil of Macedon had him reburied in the Georgian monastery of "Hromana". Since then the monastery has become the place of cure and pilgrimage as the divine grace exposed from the saint's grave used to cure people. Unfortunately, the location of the "Hromana" monastery is unknown today. In Thessaloniki, on the wall of the church of St. Demetrius the fresco of St Ilarion is still preserved

to this day. In the temple turned into a mosque, even the Muslims have not erased the icon of the famous saint.

A Georgian chapel had stood in Istanbul on the place where in 1573 the Fiali Pasha mosque was built. It is verified by one of the oldest plans of Istanbul (see **Evgeni Dalgio Dalesio**, *The Georgians in Constantinople*, Istanbul, 1921, p. 25). It means that the Fiali Pasha mosque stands on the foundation of the Georgian chapel. According to the oral tradition, Fiali Pasha was Georgian. He is buried in the mosque yard, i. e. in the yard of the old Georgian chapel.

As it is known, every church and monastery was a cultural and educational center from ancient times owing to the decision of the sixth Ecumenical Council (paragraphs 19, 64) by which bishops were ordered to disseminate education and literacy for free in their parishes. Obviously, this was the situation in the Georgian churches in Constantinople too. These churches functioned as the educational centers as well. Therefore, Constantinople used to be one of the centers of Georgian literacy for centuries. As early as in the ninth century, the cultural centers here were visited by GrigolKhandzteli and IlarionKartveli for the study of the monastic life. Georgians of Istanbul represented the educated part of the population. Many Georgians used to study at the academies in Constantinople in the old times. For example, many famous Georgians obtained theological education and were awarded academic degrees at the famous Mangan Academy. Among them were the following: **Petre Iberi, Ioane Grdzeldze, Ilarion Tualeli, Saba Tukhareli, Giorgi Mtatsmindeli, Ioane Petritsi, Arsen Ikaltoeli, Ekvtime Atoneli, Efrem Mtsire, Giorgi Oltiseli, Basil and Ioane Khakhulari** and many others.

From the eleventh century the Georgian conducted creative activities in several centers in Constantinople, namely in Khora, Agiapat and Triandapliv (see L. Menabde, *Centers of Old Georgian Literature*, II, Tbilisi, 1980, pp. 248-249). In 1031, by GrogolMtatsmindeli's order, Basil prepared "A Concise Divine Law" at the Khora monastery. He had also made several manuscripts by ZakariaValashkerteli's (Baneli) order. The scrivener Isaac had made several manuscripts too in the Agiapat monastery.

Georgian priests also served Treandapliv monastery. The literary activities of the group of Georgian clergy are depicted in the will included in the collection of September month saints (A+h.N20). Among these figures the activities of the monk Theofile and priest Saba should be singled out who translated metaphrasis from Greek into Georgian and made a manuscript in 1081.

Georgians aspired to Constantinople not only for theological institutions but to secular ones as well in order to get good education. **Giorgi Mtatsmindeli** took 80 children with him for giving them education abroad; later **Davit Aghmashenebeli** sent 40 students to schools there. Higher educational institutions were also very popular in Constantinople in those times where Georgians used to study and conduct literary activities at the same time. **Arsen Ikaltoeli's** contribution is significant in this aspect. He translated many important works from Greek into Georgian, including Anastasios of Sinai's "Viae Dux".

Literary activities of Georgians did not cease and continued after the fall of the Byzantine Empire. The activities and contribution of **Sulkhan-Saba Orbeliani, Domenti Bagrationi, Iese Tlashadze, Timote Gabashvili, Ivane Gedevanishvili, Giorgi Avalishvili** should be mentioned here, who created significant portions of their works in Istanbul. While being in Constantinople, **Sulkhan-Saba Orbeliani** improved and completed his "Dictionary", as well as worked on his "Voyage in Europe" in which he gathered interesting information about Constantinople and contributed a very useful work to the memoir genre of the Georgian literature.

Literary activities in the 18<sup>th</sup> century are connected to the names of **Domenti Bagrationi**, brother to the **King Vakhtang VI**. He was the Catholicos of Kartli, who was exiled to the isle of Tenedo (present Bokhcha Ada) near Istanbul in 1724-1738 due to his political beliefs. He was accompanied by two assistants –Elise **Saginashvili** and **Iese Tlashadze** – who helped him to make copies of significant religious works as well as created their own literary collections. While being in Istanbul in 1756-1757, **Timote Gabashvili** completed his work “*Visiting Sacred and Other Places in the East*” of the travel genre in which he skillfully describes historical and marvelous sights of Constantinople, its nature and everyday life (Tim. Gabashvili, 1852, pp. 113-114).

Literary and educational activities of the Georgians in Istanbul continued in the 19<sup>th</sup> century as well. As a center of culture and education, Istanbul has attracted Christian and Muslim Georgians ever since the 16<sup>th</sup> century. Many of them acquired education and studied the philosophy of Koran at the famous **Fatih mosque**. Others studied law, theology, music and art at Istanbul University and other educational institutions. Famous Turkish historian **Murat Kasab** provides interesting information about them in his monograph “*The Ottoman Georgians*” (Istanbul, 2012).

The number of Georgian increased in Istanbul after the Russian-Turkish wars in 1828-1829 and 1877-1878 as well as due to the exile of the Georgians from Meskhet-Javakheti, Ajara and Tao-Klarjeti to Turkey where they mostly settled along the Marmara Sea coastline, Istanbul and its vicinities. The exiled Georgians are known in the scholarly literature as “Muhajir Georgians” or “Chveneburebi”.

In that time a new settlement called “Vezirkhan” evolved near the Osmaniye Bazaar mostly resided with Georgian merchants and their families who represented the parish of the local Georgian Catholic churches.

Great **Ivane Javakhishvili** justly remarked that “the cultural significance of the Georgian centers abroad was valuable indeed. Apart from the rich cultural heritage preserved there during the centuries, the centers were important in other aspects as well. Through the monasteries abroad, Georgia was able to track every success of cultural development of the educated countries of those times. Everything new and important created or written in the Georgian centers established abroad immediately reached Georgia through the assistance of the Georgian writers, scholars and artists working in those places.”

For centuries such type of institution was “**The Georgian Sanctuary in Istanbul**” – the Georgian Catholic Monastery of the Virgin Mary, which Georgian printing press and a rich library. The founder of this religious and cultural-educational center was a catholic priest from Akhaltsikhe, **Petre Kharishvili**. It was with his painstaking endeavor that in 1861 a Catholic Church was built in one of the beautiful districts of Istanbul – Ferikoy – “Village of angels” and a cloister and monastery were founded very soon afterwards. By 1870, a Georgian printing press had already been functioning there and books were printed in Georgian and French languages. The Georgian Sanctuary in Istanbul – the church, cloisters and monasteries, Georgian printing press, the AkakiTsereteli Library with archive, Georgian-French andGeorgian-Greek Girls’ and Boys’ schools – was a great cultural-educational and spiritual center for over a century. The **Akaki Tsereteli library** preserves the unique Georgian publications printed in Georgia as well as abroad. For years emigrant literature had been sent to this center from different countries of Europe and America. The library preserves over 70 000 copies of books, newspapers and journals in seventeen languages.

I have been honored to have gained permission to work at the AkakiTsereteli library by an official will of a great Georgian countryman and public figure **Simon Zazadze**, endowing me the right of working

in the library and using the materials preserved in the Sanctuary in my monograph (“Chveneburebi’s Georgian”, I, 1993, Batumi, 720 p.).

In 2000 a Turkish-Georgian Educational and Cultural Fund was established in Istanbul with the participation of a famous Turkish (originally Georgian) businessmen and public figures. The President of the Fund was **Nihat Goqit (Gogitidze)**, Vice-Presidents – **Ismet Ajari (Vacharidze)** and **Simon Zazadze**; Director General – **Mevlud Artvinli (Goglidze)**. For three years this Fund finances and conducted registration and cleaning process of the library under my supervision. Due to unhealthy and dangerous conditions of work, we were under constant care and attention from famous local doctors – cardiologist, Professor **Ismet Dindari (Mikeladze)** and his wife, also physician **Ulker Dindari (Mikeladze)**.

In July-August of 2000 the books and manuscripts were transferred from the library next to the monastery – to the Simon Zazadze’s private “OzelBilgi College” building. The cleaning and registering works were completed in the summer of 2006. Today the materials are kept in the reserve stock on the first floor of the new building in the relevant conditions (temperature, ventilation...) suitable for the library and archive materials.

Numerous materials – letters, articles or books – have been written with my authorship about the state and importance of the Georgian Catholic Center, library and archive, periodically providing the Georgian readers with the information about the activities taking place in the Sanctuary (see the monographs “*Georgian Abode in Istanbul*”, Artanuji Publishing, 2012; “*Istanbul Gücü Ocağı*” – in Turkish, the same publishing house, 2012; newspaper article in “Literaturuli Sakartvelo”, “Sakartvelos Respublika”, “Achara”, etc.). Many scholars, professors, researchers from different higher educational and research centers of Georgia as well as journalists have visited Simon Zazadze’s family while getting acquainted with the materials of the Georgian Catholic Center in Istanbul. Among them were **Tariel Putkaradze, Avtandil Nikoleishvili, Tsiuri Lapachi, Nato Kruashvili, Maradi Anasashvili and Lali Meskhi**. A number of Georgian and Turkish TV channels have covered materials about the Sanctuary – “Pirveli Arkhi”, “Rustavi 2”, “Imedi”, “Sapatriarko’s Televizia”, “Ajara TV”, “Zaman”, “TV Show”, etc.

The following organizations and persons can be singled out who have expressed special attention and consideration towards the Georgian Sanctuary during these years: National Parliamentary Library of Georgia (General Director **G. Kekelidze**, Deputy General Director **M. Khositashvili**, Department heads – **L. Taktakishvili, Zh. Kvatadze**), Central Archive of Georgia, Georgian National Center of Manuscripts (Director **Z. Abashidze**), Patriarchate of Georgia, Batumi Catholic Church (Padre **Gabriele Bragantini** and a Catholic from Batumi **Tengiz Parmaksizishvili**), universities of Batumi, Kutaisi and Akhaltsikhe (Rectors: **Az. Akhvlediani, N. Verdazadze, A. Bakuridze, M. Khalvashi, Sh. Zazashvili, M. Beridze, G. Oniani**).

During the work at the Georgian Sanctuary in Istanbul considerable support has been granted by several private or state institutions, namely: the Government of Ajara Autonomous Republic (**Aslan Abashidze and Eduard Putkaradze**), Patriarchate of Georgia (**Shorena Tetrushvili**), and TBC Bank (**Irakli Koplatadze**), Artanuji publishing (**Buba Kudava**). However, the main supporter was a famous businessman and philanthropist, Honorary Citizen of Georgia, public figure **Simon Zazadze**, together with the members of his splendid family.

We should particularly mention here those who participated in the registration and cleaning process of the Georgian cultural heritage accumulated in the Georgian Sanctuary in Istanbul from 1861 to 1982. These are the members of my family, close acquaintance and trustworthy personalities: **Elza, Shorena,**

Iamze, Teona, Rusudan Putkaradze; Giorgi Gogitidze, Gocha Abashidze, Tsiala Maisuradze, Tsiala Narakidze, Nargiz Akhvlediani.

Since 1989 the Georgian government has been changed several times. We have asked almost all of them to render certain attention to the heritage of the Georgian culture but mostly without success. Fortunately, our efforts have been crowned by the **Shota Rustaveli National Science Foundation**. In 2013 the Foundation sponsored the grant project of the Niko Berdzenishvili Research Institute of Batumi Shota Rustaveli State University – “**Epistolary and Memoir heritage of the Georgian Sanctuary in Istanbul**”. Participants of the project (Roin Malakmadze, Elza Putkaradze, Tamila Lomtadze, Naila Chelebadze, Shorena Putkaradze, Shushana Putkaradze) accomplished the task of the transfer of the books and manuscripts of the library in a new building. This is how the new library originated with renovated visual and contextual character, attracting scholars from Georgian and many other countries of the world. By financing this grant project, the Shota Rustaveli National Science Foundation has accomplished a glorious deed of national importance for the Georgians as well as other countries inasmuch as the library contains and preserves the ancient unique books in the native languages of many other countries as well.

The present book – “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” is a scholarly work accomplished within the frames of the grant project financed by the Shota Rustaveli National Science Foundation. It consists of seven chapters.

**Chapter One** – “Instead of Introduction”, deals with the articles and papers presented at different conferences in Georgia as well as abroad. It also comprises obituaries to the devoted caretaker of the Sanctuary, Mr Simon Zazadze.

**Chapter Two** – presents publicist and journalistic letters preserved at the library and the archive of the Georgian Sanctuary in Istanbul the authors of which are famous public figures and respectable countrymen. Majority of them often visited the Georgian Catholic Monastery in Istanbul. The Sanctuary was a political shelter for many of them. Namely, 19 publicist letters written by Memed Abashidze have been preserved only in the archive of this Sanctuary and are published for the first time.

**Chapter Three** – contains private letters and correspondence of public figures and outstanding personalities including a short letter written by great Akaki Tsereteli. There are letters written by I. Javakhishvili, K. Gamsakhurdia, A. Khoshtaria, Kalistrate and Nino Salia, Zakaria Paliashvili, Ia Kargareli, Irakli Bagrationi and others.

**Chapter Four** – comprises the correspondence of the clergy.

**Chapter Five** – is dedicated to the materials of Mount Athos preserved at the Georgian Sanctuary in Istanbul.

**Chapter Seven** – offers to the readers the manuscripts on different topics that are preserved at the Georgian Sanctuary in Istanbul. Among the materials is the diary titled “Georgian Catholic Monastery in Constantinople” – written by **Otar Ketiladze**, radio-reporter of “The Voice of America” Georgian edition.

The book provides the index of names.

We would like to express our gratitude on behalf of the grant participants to the Shota Rustaveli National Science Foundation for financing of the grant project “Epistolary and Memoir heritage of the Georgian Sanctuary in Istanbul”, on the basis of which the present book – “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” has been accomplished. Also, Akaki Tsereteli Library, established at the Georgian Sanctuary in Istanbul in 1908, which has moved in a new building. It should also be noted here that most part of the materials preserved in the archive and the library have not been studied so far and are still

awaiting researchers. We strongly believe that the study of the historical sources and materials preserved here will contribute a significant page into the history of the Turkish-Georgian cultural relations.

Regretfully, the devoted caretaker and protector of the Georgian Sanctuary in Istanbul, the great respecter of his ancestors' traditions, painstaking and hard-working philanthropist Mr Simon Zazadze could not live to the publication of the present book. This generous person, Honorary Citizen of Georgia, owner of the Order of Merit, Honorary Doctor of the Universities of Tbilisi, Batumi, Kutaisi and Akhaltsikhe took care of the Sanctuary, library and archive every single day. We hope his respectable family will continue his traditions in the same way, especially his son, Mr Paul Zazadze, and foster further the friendly relations in the cultural history of the two nations.

The present book – “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” offers the readers valuable historical sources, introducing the lives and high national aspirations of the clergy and parish of the Georgian Catholic Monastery in Istanbul. Readers will be convinced that this monastery was not only an ordinary religious institution but a significant center of Georgian culture, the center of mutual love and friendship of Christian and Muslim Georgians, “a small Georgia” in multi-million Istanbul.

The book can be of service to the readers interested in history, ethnography, linguistics and literary studies issues of Turkish-Georgian relations.

Dear reader, I would like to conclude this Foreword with the words by the **King Erekle II** (1720-1798), called by his beloved nation as “PataraKakhi”: *“The author’s hand will finally decay in the grave while the writings fulfilled by his fingers will survive centuries”*.

**Shushana Putkaradze**

Scientific Supervisor of the Grant Project,


Doctor of Philological Sciences,

Professor Emeritus

20 February, 2020, Batumi



**კარი პირველი  
შესავლის მუხიერ**



## სტამბოლის გულში აღმოცენებული „კატარა საქართველო“

დიდი ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „საზღვარგარეთ მყოფ ქართული სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვის თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმაღლვე სწვდებოდა იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების – მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით“.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ ქართველ კათოლიკეთა **სტამბოლის** ეკლესია – მონასტერი, რომელიც მოკლედ ასე იწოდებოდა – „**სტამბოლის ქართული სავანე**“. ეს სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – **ფერიქოში** – ანგელოზთა სოფელში (თურქ. ფერია – ანგელოზი, ქოი – სოფელი). იქ დღესაც ლამაზად გამოიყურება წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და ოთხსართულიანი მონასტერი, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად ცარიელია.

სტამბოლის ქართული სავანე – ქართველ კათოლიკეთა ეკლესია, მამათა და დედათა მონასტრები, ქართული სტამბა, **აკაკი წერეთლის** სახელობის ბიბლიოთეკა არქივით, ქართულ – ფრანგული და ქართულ – ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები – ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო დიდი კულტურულ – საგანმანათლებლო და სასულიერო ცენტრი, საქართველოს – განმათავისუფლებელი მოძრაობის მხურვალე კერა. იგი დაარსა ახალციხელმა კათოლიკე მღვდელმა **პეტრე ხარისჭირაშვილმა**. ეს სახელოვანი პიროვნება მთელი სიცოცხლის მანძილზე იღვწოდა საქართველოს ნათელი მომავლისათვის, იღვწოდა იმისთვის, რომ ქართველს ქართული ენა არ დაეკარგა არა მარტო ისტორიულ მესხეთ – ჯავახეთში, არამედ თურქეთშიც.

მე – 19 საუკუნის 60 – იანი წლებიდან სტამბოლის ქართულ სავანეში მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა შემოიკრიბა პროგრესულად მოაზროვნე, სამშობლოს სამსახურისთვის მოწოდებული, როგორც სასულიერო, ისე საერო, პირები; ისინი სტამბოლში იყვნენ გახიზნულნი და სამშობლოს ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის კერას აჩაღებდნენ. მათი სულისკვეთების წარმოსაჩენად მკითხველს გავახსენებთ დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს: „ადამიანის სულიერი ბუნება იმგვარია, რომ **ეროვნული გრძნობა უცხოებაში უფრო ცხოველდება ხოლმე**; ხოლო საღს, ეროვნულ სხეულს ისეთი თვისება აქვს, რომ რაც უფრო დიდი ბრძოლა მოუხდება სხვათა ეროვნულ მძლავრ გრძნობასთან, მასში ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო გაკაჟდება ხოლმე და თვითშეგნება უფრო გარკვეული და მკაფიო ხდება. ეროვნულ დევნას მუდამ დევნულთა უფრო მჭიდრო შეკავშირება და შეერთება მოჰყვება ხოლმე შედეგად. სწორედ ამიტომ იყო, რომ **უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბერები** ცდილობდნენ ერთმანეთთან დაახლოებას და ერთ ადგილას თავმოყრას, **ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას**“... (ივ. ჯავახიშვილი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 171).

მართლაც, სტამბოლის სავანის მადლი მთელი საუკუნის მანძილზე სულში ეღვრებოდა სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ, ოსმალეთის მთა – ბარს შეხიზნულ, თუ საქართველოს საზღვრის იქით დარჩენილ ქართულ მიწებზე ბინადარ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ქართველი მუსლიმანების ეროვნული თვითშეგნების ამადლებისათვის, ქართული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების საზღვარგარეთ გატანისთვის. ეს საშვილიშვილო საქმე განხორციელდა ამ სავანეში მოღვაწე დიდი მამულიშვილების – **პეტრე ხარისჭირაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, ანდრია წინამძღვრიშვილის, სტეფანე გიორგიძის, იოსებ და პეტრე მერაბიშვილების, შალვა ვარდიძის, პიო ბალიძის, პეტრე ტატლაშვილის, პავლე ადგულაძის, პავლე ზაზაძის** ყოველდღიური მოღვაწეობით.

მართლაც, სამშობლოდაკარგულ ქართველებში აღორძინდა ეროვნული სული. ეს ნაპერწკალი დღესაც ნაღვერდალივით ღვივის და ქართული ენის ფესვებს, ქართული სისხლის ყვილს აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ ქართველებში. ამ საშვილიშვილო საქმეში, სხვა მრავალ წყაროსთან ერთად, სტამბოლის სავანის ღვაწლიცაა ხელშესახები და სამუდამოდ დასამახსოვრებელი.

1918 – 1921 წლებში აჭარისა და ისტორიული ტაო – კლარჯეთის სხვა მხარეების დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხი ძირითადად, სწორედ, ამ სავანეში წყდებოდა. აქაური ეროვნული სულიერებით იმოდღვრებოდნენ ამ სავანის სტუმრები – **მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, ისკენდერ ცივაძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, ასლან ბეჟანიძე** და სხვები. ამ სავანეში შეისწავლა ქართული წერა – კითხვა და საქართველოს ისტორია თურქეთის ქართველთა მიერ **ილია ჭავჭავაძეზედ** წოდებულმა დიდმა ქართველმა **ახმედ მელაშვილმა**.

პირველი მსოფლიო ომის დროს – 1914 – 1919 წლებში საქართველოდან ლტოლვილი ქართველებისთვის მონასტერში შექმნილ საქველმოქმედო საზოგადოებას აფინანსებდა ამ სავანეში აღზრდილი, საფრანგეთში ცნობილი ექიმი **პეტრე მერაბიშვილი**, რომელიც იმ წლებში იყო **აბისინიის** (ეთიოპიის) მეფის **მენელიქ მეორის** პირადი ექიმი. ეს საქველმოქმედო საზოგადოება ასაზრდოებდა რამდენიმე ხნის მანძილზე საქართველოდან გახიზნულ **ნოე ჟორდანიას** მთავრობასა და მის მრავალრიცხოვან ამაღას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთ გახიზნულმა მთავრობამ 1921 წლის მარტში, სწორედ, ამ სავანეში დაიდო ბინა. მღვდელი **შალვა ვარდიძე** ერთ პატარა ლექსში წერდა:

„ლტოლვილები მომეჯარნენ  
საზღვარგარეთ უდაბნოში,  
შევიკედლე ცრემლოვანნი,  
ჭირნახულნი ამ ჩემს ქოხში“.

მონასტრის საარქივო მასალა იუწყება, რომ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია – მონასტერთან შექმნილი საქველმოქმედო საზოგადოების ამარად იყო დარჩენილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის **გიორგი ყაზბეგის** სტამბოლში გახიზნული ექვსსულიანი ოჯახიც კი. ასე, რომ მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში განსაკუთრებით დიდი მამულიშვილური ტვირთის ზიდვა არგუნა ბედმა სტამბოლის ქართველთა სავანეს.

სტამბოლის ქართული სავანის დაუვიწყარ ღვაწლზე მიგვითითებს, აგრეთვე, ქართული ემიგრაციის ერთ – ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **გივი ზალდასტანიშვილი**. 1970 წელს იგი ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა და მონასტრის საქმიანობას გაეცნო. **ნიუ – იორკში** გამომავალ ქართულ გაზეთში – **„ქართული აზრი“** – იგი ასე წერდა: „სტამბოლის მონასტერს – ჩვენი კულტურის სავანეს – საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში დიდი მონაწილეობა

მიუღია. თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა“ (იხ. N85, 1970).

ამ მნიშვნელოვანი კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრის დამაარსებელმა მამა **პეტრე ხარისჭირაშვილმა** 1861 წლამდე, ე.ი. ეკლესია – მონასტრის, სტამბის დაფუძნებამდე, ცხოვრების მეტად საინტერესო და ეროვნული მოღვაწეობის დასაწყებად მოსამზადებელი სასარგებლო გზა გაიარა. მოგეხსენებათ, წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო, ამბობს ხალხური სიბრძნე. ასე იყო მაშინაც, როცა პეტრე ხარისჭირაშვილი სტამბოლში ქართული სავანის დაარსებაზე ოცნებობდა. ყველასათვის ისიც ცნობილია, რომ ორი უძველესი და უგანათლებულესი ერის – **სომხებისა** და **ქართველების** – კარის მეზობლობა ბიბლიური **ჰაოს – ქართლოსის** ეპოქიდან იწყება. საუკუნეთა მანძილზე ამ ორ მეზობელ ხალხს ბევრჯერ ერთად უბრძოლია საერთო მტრის წინააღმდეგ, ბევრჯერ ურთიერთმხარდაჭერით შეუნარჩუნებია მშობელი მიწის თავისუფლება, დამოუკიდებლობა. სტამბოლის ქართული სავანის დამაარსებელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა, სწორედ, სომეხი ერის შვილებისაგან მიიღო მხარდაჭერა და დახმარება თავისი მიზნების შესასრულებლად.

**პეტერბურგში** სწავლის დამთავრების შემდეგ პ.ხარისჭირაშვილი გაემგზავრა **რომში** და ვატიკანთან არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდა. იგი აქ, საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად, კარგად დაეწაფა უცხო ენებს – ლათინურს, გერმანულს, იტალიურს, პოლონურს, ფრანგულს, თურქულსა და ბერძნულს. მღვდლად კურთხევის შემდეგ იგი რომიდან გადადის **ვენეციაში**, სადაც სომეხი ერის შვილებს – სომეხ კათოლიკებს დაარსებული ჰქონდათ დიდი სასულიერო და კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრი. რომის სამღვდელოების მიზამდვითა და მითითებით, ისინი სომხურ ენაზე ბეჭდავდნენ წიგნებს; სომხეთის ისტორიულ წყაროებს თარგმნიდნენ უცხო ენებიდან. მათ დაარსებული ჰქონდათ ძმობა – „**კონგრეგაცია**“. ამ ძმობას ეწოდებოდა **მხითარისტები**. ეს იყო სასულიერო და სამეცნიერო ხასიათის საზოგადოება. მისი დამაარსებელი იყო სომეხი კათოლიკე **მხითარი**. მათი სავანე მდებარეობდა **ვენეციაში, ლაზარეს კუნძულზე**. ამ კონგრეგაციას ეხმარებოდნენ ევროპის სახელმწიფოები, რის გამოც ეს ძმობა ძალიან ძლიერი იყო ფინანსურადაც და სულიერების თვალსაზრისითაც. მათი მთავარი მიზანი იყო სომეხი ერის სულიერების გაძლიერებისათვის თავდაუზოგავი ზრუნვა. მხითარისტებმა სომხურ ენაზე დაარსეს სასწავლებლები სხვადასხვა ქვეყანაში, გახსნეს სტამბები, გააძლიერეს წიგნების ბეჭდვის საქმე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სომხეთის ძველი ისტორიის წარმოჩენის საკითხს. ბევრი წიგნი დაიბეჭდა მაშინ ძველი სომხეთის ისტორიის შესახებ, ახალი სომხეთის მწერლობაზე და ა.შ. მაშინ იქ მოღვაწეობდა სომხეთის სახელოვანი შვილი **გევონდ ალიშანი**.

გევონდ ალიშანი დაიბადა 1820 წელს **კონსტანტინეპოლში**, მეცნიერ – ნუმისმატიკის ოჯახში. მან პირველდაწყებითი განათლება მიიღო კონსტანტინეპოლის სომხურ კათოლიკურ სკოლაში. სწავლის გასაგრძელებლად ალიშანი გადადის ქ. ვენეციაში მხითარისტების **მურად – რაფაელიანის** სახელობის სკოლაში. აქ იგი საფუძვლიანად სწავლობს ძველ სომხურ ენას – **გრაზარს**, აგრეთვე, ეწაფება იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ ენებს და დიდ ცოდნას იძენს ისტორიის, გეოგრაფიისა და ფილოლოგიის დარგებში. 14 წლის ალიშანი გადაწყვეტს ატაროს **სომეხი ხალხის 451 წლის ეროვნულ – გამათავისუფლებელი მოძრაობის გმირის** – „**გევონდის**“ სახელი. იგი მოსწავლეობის პერიოდიდანვე გახდა სომეხთმცოდნეობის კონგრეგაციის – „**მხითარისტების**“ აქტიური წევრი. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას

თავის მშობლიურ სკოლაში და სიკვდილამდე მასწავლებლობდა ვენეციასა და **პარიზში**. 1849 – 1855 წლებში იგი რედაქტორობდა მხითარისტების ჟურნალს „**ბაზმავებს**“.

1850 წლიდან იგი იწყებს კვლევით საქმიანობას ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და არქივებში სომეხთმცოდნეობის მიზნით. სწავლობს იქ დაცულ ძველ სომხურ ხელნაწერებს და ცდილობს წარმოაჩინოს სომეხი ხალხის ისტორიის, უძველესი კულტურის ამსახველი წყაროები. იგი არის ავტორი ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომისა, რომლებიც ეხება სომეხი ხალხის ისტორიას, ეთნოგრაფიას, კულტურას. მათი უმრავლესობა თარგმნილია იტალიურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. გეგონდ ალიშანი იყო შესანიშნავი პოეტი. იგი ლექსებს წერდა ძველ სომხურ ენაზე – გრაბარზე. წერდა პროზაულ ნაწარმოებებსაც. დიდი აღიარება მოიპოვა მისმა რომანმა „**მოგონებები სომეხთა სამშობლოზე**“. იგი გარდაიცვალა 1901 წელს ვენეციაში წმ. ლაზარეს კუნძულზე და იქვეა დაკრძალული.

ცნობილია, რომ პარიზის ორიენტალისტთა საზოგადოების აქტიურმა წევრმა არმენისტმა **სენ მარტენმა** წინადადება მისცა მხითარისტებს, რომ **სომხურ ისტორიასთან ერთად ეკვლიათ საქართველოს ისტორიაც**, ეწერათ წერილები საქართველოს ისტორიის შესახებაც უცხოურ ენებზე. სენ მარტენი ნამყოფი იყო საქართველოში. ბევრ საინტერესო მასალას ინახავს მისი საქართველოში მოგზაურობის ამსახველი დღიურები. მან კარგად იცოდა ქართველი ხალხის დიდი წარსულის ამსახველი მასალები. მართლაც, მხითარისტებმა კარგად შეისწავლეს დასავლეთი საქართველო, განსაკუთრებით **აჭარა, ლაზეთი**, ისტორიული **ტაო – კლარჯეთის** სხვა მხარეებიც – **არტანი, კოლა, ტაოსკარი, კლარჯეთი, ლივანა, ერუშეთი, შავშეთი**. ამ მხარეების შესახებ მხითარისტებმა სომხურ ენაზე გამოაქვეყნეს წერილები ვენეციაში, რომელსაც მრავალი ორიენტალისტი (აღმოსავლეთმცოდნე) დიდი ინტერესით დაეწავა. კერძოდ, საქართველოს, სწორედ, აქედან გაეცნო შვეიცარიელი სწავლული **დებუა დე მონპერი**. მხითარისტებმა კარგად აღწერეს **იმხნის, ხახულის, პარხლის** ტაძრები. ამ აღწერებით ისარგებლა დიდმა სწავლულმა **გეგონდ ალიშანმა**. მან თავის საინტერესო ნაშრომში – „**კილიკიის ვრცელ ისტორიაში**“ ჩაურთო ამ ტაძრების სურათები და მასალები. **სენ მარტენმა** და **მარი ბროსემ** მხითარისტებს ქართული ენის შესწავლაც კი დაავალეს; მოთხოვეს მოპოვებული მასალების ქართულ ენაზე თარგმნა და ქართულად წიგნების ბეჭდვაც. სწორედ, ამ პერიოდს ემთხვევა **პეტრე ხარისჭირაშვილის** ყოფნა ვენეციაში მხითარისტებთან. მას აქ ბევრი თანამოაზრე ჰყავდა. მათ შორის იყო **გეგონდ ალიშანიც**.

პეტრე ხარისჭირაშვილი მხითარისტებს უმტკიცებდა, რომ ქართველთა შორისაც იყვნენ კათოლიკეები, რომ ქართველი კათოლიკეები ეროვნებით იყვნენ ქართველები და არა სომეხი, როგორც ამას ადრე თვლიდნენ; რომ ქართველი კათოლიკეების მშობლიური ენა იყო არა სომხური, არამედ – ქართული, რომ წირვა – ლოცვა საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში უნდა ჩატარებულიყო არა სომხურად, არამედ ქართულად. ამრიგად, პეტრე ხარისჭირაშვილი გამოდიოდა ქართული ენის, ქართველი ერის ინტერესების დამცველად. პეტრემ მხითარისტებს შორის გაიჩინა რა თანამოაზრეები, **ვენეციაში დააფუძნა ქართული სტამბა**. იგი ვენეციიდან გაემგზავრა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და დაიწყო **კათოლიკურ ტაძრებში ქართველთა შესახებ ქადაგება**. შემდეგ იგი **რომს** ეწვია და **პაპს** წარუდგინა ვრცელი ისტორიული მოხსენება საქართველოს შესახებ. ამის შემდეგ მან მიიღო **სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა და მონასტრის დაარსების ნებართვა**, ცხადია, ოსმალეთის მაშინდელი მმართველის სულთან **აბდულ აზიზის** ბრძანების საფუძველზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტრის **სტამბოლში** დაარსებისათვის ზრუნვა მამა **პეტრე ხარისჭირაშვილმა** რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ

სულთან აბდულ მეჯიდის სიცოცხლეში ოსმალეთის სამეფო კარზე დაისვა ეს საკითხი და სულთნის აბდულ მეჯიდის დედის – **ბეზმიალემ ვალიდე სულთნის** დახმარებით მომხრე პირები გაიჩინა სულთნის მრჩეველთა შორის. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან აბდულ მეჯიდის დედა **ტომით ქართველი იყო, ქობულეთელი თავადის თავდგირიძის ასული – შუშანი თავდგირიძე** (მისი მშობლები, გადმოცემის თანახმად, დაიღუპნენ 1808 წელს რუსებთან შებრძოლების დროს). სწორედ, 1861 წლამდე, სულთან აბდულ მეჯიდის სიცოცხლეში შეიძინა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა **ფერიქოის** უბანში ეკლესია – მონასტრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი (აბდულ მეჯიდი გარდაიცვალა 1861 წლის 25 ივნისს). საგულისხმოა ისიც, რომ ეკლესია – მონასტრის დაარსების ბრძანება გამოსცა ისევ **დედით ქართველმა** ოსმალეთის სულთანმა **აბდულ აზიზმა** (მისი დედა იყო **სამტრედიელი ქუთათელაძის** ქალიშვილი.სახელი არაა ცნობილი). ასე ჩაეყარა **საფუძველი სტამბოლის ქართული სავანის დაარსებას.**

**სტამბოლის** ქართული სავანის დაფუძნებაში დიდი როლი მიუძღვით სომეხ მხითარისტებსა და მათ სულიერ მოძღვარს, დიდ სწავლულ პიროვნებას **გევონდ ალიშანს**. სწორედ, მხითარისტებს შორის ყოფნამ გამოაწრო პეტრე ხარისჭირაშვილის პიროვნება; **ვენეციაში** მათთან ყოფნის დროს ჩაისახა ეს იდეა, მათ მაგალითს მიბაძა მამა პეტრემ და მთელი თავისი ცხოვრება, სიცოცხლე შეაღია ქართველი ერის მიმართ ზრუნვას. 1895 წელს (პეტრეს გარდაცვალების შემდეგ. იგი გარდაიცვალა 1892 წელს) ცნობილი საზოგადო მოღვაწე **ზაქარია ჭიჭინაძე** წერდა თავის წიგნში – „**აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი**“ – რომ „მხითარისტებში პ. ხარისჭირაშვილმა იქამდინ აიმაღლა სახელი, რომ დღევანდელამდის მხითარისტების სასწავლებელში არის ერთი ოთახი, სადაც აწყვია მხითარისტების ბიბლიოთეკის წიგნები და დღესაც მთელი „კონგრეგაცია“ პეტრე ხარისჭირაშვილის ოთახს უწოდებს ამ ოთახსაო“. ეს ოთახი გადაიქცა იტალიაში ჩასული ქართველების სასტუმროდ. აქ დამე აქვს გათენებული ბევრ ქართველს. მათ შორის აღსანიშნავია ქართველი ერის ორი სახელოვანი შვილი – **მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი**. ისინი რომში იმაღლებდნენ თავიანთი ცოდნის დონეს და ხშირად სტუმრობდნენ ვენეციელ მხითარისტებს – თავიანთი სამშობლოს ერთგულ მსახურებს, რომელთა საქმიანობა ორ გამორჩეულ ქართველ ჭაბუკში კიდევ უფრო აძლიერებდა სამშობლოს სიყვარულს და ასწავლიდა მათ მშობელი ერის მიმართ ერთგულ სამსახურს.

პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში, **ფერიქოის** უბანში (დღევანდელ **შიშლში**) დაარსებულ ქართველთა სავანის გვერდით მდებარეობდა სომეხ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტერი, სტამბითა და ბიბლიოთეკით აღჭურვილი. ამ ორი ერის შვილები სტამბოლში გვერდიგვერდ მდგარ ტაძრებში, **ფერიქორის** ლამაზ უბანში, ლოცულობდნენ თავიანთი ქვეყნების– **საქართველოსა და სომხეთის** – უკვდავებისათვის; მათ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ (სამწუხაროდ, **ფერიქოის** უბანში სომხური ეკლესია – მონასტერი ამჟამად უფუნქციოდაა, დანერგვის პირასაა მისული).

პეტრე ხარისჭირაშვილის ოცნება იყო თურქეთს შეხიზნული ყოველი **სომეხი სომეხად** დარჩენილიყო, **ქართველი – ქართველად**, რომ უცხო ქვეყანაში მცხოვრები სომხები და ქართველები არ გადაგვარებულიყვნენ და შეენაჩუნებინათ თავიანთი მეობა. სწორედ ამ მიზნით იქნა დაარსებული სომხური და ქართული სტამბები საზღვარგარეთ. კერძოდ, **1858 წლიდან** მხითარისტების დახმარებით, **ვენეციაში** დაარსდა ქართული სტამბა და დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. აქ დაიბეჭდა „**სიბრძნის წიგნი**“ (ფილოსოფიური ხასიათისა), „**წმინდანების ცხოვრება**“, „**ეზოპეს იგავნი**“, „**გეოგრაფია**“, „**გზა ცხოვრებისა**“, „**გვირგვინი წამებულთა**“, „**ყვავილის კონა ყრმათა**“ და სხვა მრავალი. ქართული სტამბები პეტრემ დაარსა, აგრეთვე, **სტამბოლში** და

მონთობანში (საფრანგეთში), სადაც მრავალი წიგნი დაიბეჭდა ქართულ და ფრანგულ ენებზე. სტამბოლში ქართული სტამბა მუშაობდა 1871 წლიდან 1950 წლამდე.

სომეხი მხითარისტების მიერ დაწერილი წერილები საქართველოს წარსულის შესახებ ვენეციაში იბეჭდებოდა სომხურად და ფრანგულად. მას ეცნობოდა მთელი ევროპის განათლებული საზოგადოება. მაგალითად, კათოლიკე სასულიერო პირმა **ოგუსტ დარასმა** სწორედ ამის საფუძველზე ბევრი წერილი დაწერა საქართველოს წარსულზე, ბევრი წყარო თარგმნა ქართულიდან ფრანგულად. მან ფრანგულად შეასრულა მეტად საინტერესო ნაშრომი „**წმ. ნინოს ცხოვრება**“, სადაც საქართველოს წარსულის ეპიზოდები კარგადაა წარმოჩენილი. სამწუხაროდ, **ო. დარასის ეს ნაშრომი დღემდე არაა ქართულად თარგმნილი.**

**პეტრე ხარისჭირაშვილი, გევონდ ალიშანის** მსგავსად, უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე, დღენიადაგ ზრუნავდა ქართველი ერის განათლებაზე, გრძნობდა, რომ ქართული სკოლები სასწავლო წიგნებით არ იყო სათანადოდ მომარაგებული. ამიტომ **სტამბოლში** და **მონთობანში** (საფრანგეთი) გახსნილ სტამბებში ბეჭდავდა სასკოლო სახელმძღვანელოებს; ძირითადად თვითონ ამზადებდა ასეთ სასკოლო სახელმძღვანელოებს თითქმის ყველა საგანში. იგი **ფილოსოფოსიც იყო, გრამატიკოსიც, ისტორიკოსიცა და გეოგრაფიის სპეციალისტიც**, და რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, იყო შესანიშნავი **პედაგოგი, ორატორი, თეოლოგი** და, მეტად **გულკეთილი მოძღვარი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.**

1895 წელს **ზაქარია ჭიჭინაძე** თავის ნაშრომში – „**აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი**“ (გვ. 3, ტფ., 1895) გულდაწყვეტით წერდა: „ქართველ ერს თითო – ოროლა მოღვაწეები ჰყვანდნენ, რომლებმაც საკმარისად იღვაწეს ქართველთა გვარის სასარგებლოდ; ამ მოღვაწე პირებმა ბევრი რამ შექმნეს და აღადგინეს ქართველთათვის; თვითონ ეს მოღვაწე პირები – კი ისე წყნარად და ჩუმად ცხოვრობდნენ, რომ მათი მოქმედების ცნობებს ქართველობა სრულებით ვერ იცნობდა. ეს მოღვაწე პირები ისე დაიხოცნენ, რომ მათ შესახებ არსად კრინტი, სიტყვაც არ დამრულა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ვერ იცნობდნენ ამ მოღვაწე პირებს და თვითონ ეს პირებიც არ ნდომობდნენ ამ ცნობას. ერთ ასეთ მოღვაწე პირად ჩვენ მიგვაჩნია აბატი **პეტრე ხარისჭირაშვილი**, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ისე წყნარად და საიდუმლოდ გაატარა, რომ ქართველები არამც თუ მისი ცხოვრების ცნობებს, არამედ თვით მის სახელსაც არ იცნობდნენ“ – ო.

მართლაც, მეტად დასანანია დიდი ქართველის **პეტრე ხარისჭირაშვილის** მიმართ ქართველი ერის მიერ დღემდე გამოხატული ასეთი გულგრილობა; მისაბაძი კი ნამდვილად არის სომეხი ერის მიერ გამოჩენილი მაღლიერება დიდი სომეხი მოაზროვნის – **გევონდ ალიშანის** ღვაწლის მიმართ. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესებულია **საპატიო მედალიც** კი. წინამდებარე სტატიის ერთ – ერთი ავტორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შუმანა ფუტკარაძე** – არის ამ საპატიო მედლის მფლობელი. ჟურნალმა „**ჰაოს – ქართლოსმა**“, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, იგი დააჯილდოვა „**გევონდი ალიშანის საპატიო მედლით**“. ეს სიმბოლურიც არის, რადგან შუმანა ფუტკარაძე ორი წელი და ოთხი თვე, ექსპედიციის წევრებთან ერთად, აწარმოებდა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის აღწერას, იმ ქართული სავანისას, რომლის დაფუძნებას დიდი ამაგი დასდო დიდმა სწავლულმა **გევონდ ალიშანმა**, რომლის ძალისხმევით სტამბოლის ძველ უბანში – „ვერიქოში“ ერთმანეთის მეზობლად დაფუძნდა ორი სასულიერო დაწესებულება – სომეხ და ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტრები.

**პეტრე ხარისჭირაშვილისა და გევონდ ალიშანის** იდეებმა ფრთები შეისხა, რეალობად იქცა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში – **სტამბოლში**. ორი სულთნის – სულთან **აბდულ მეჯიდისა**

და სულთან აბდულ აზიზის თანადგომით განხორციელდა ქართველი და სომეხი ხალხის სასახელო შვილების – პეტრე ხარისჭირაშვილისა და გევონდ ალიშანის ჩანაფიქრი.

ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტერი, დაარსებისთანავე გადაიქცა ქართული კულტურის ცენტრად: ამუშავდა ქართული სტამბა, შეიქმნა მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი. 120 წელზე მეტი ხნის მანძილზე (1861 – 1982 წ.წ.) ეს სასულიერო დაწესებულება ემსახურებოდა დიდ კულტურულ – საგანმანათლებლო საქმეს. ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია – მონასტერთან შეიქმნა ქართულ – ფრანგული და ქართულ – ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები; მონასტრის სტამბაში ქართულ და ფრანგულ ენებზე იბეჭდებოდა წიგნები და ჟურნალები; მონასტერთან შექმნილ ბიბლიოთეკაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იგზავნებოდა საინტერესო ლიტერატურა მეცნიერების ყველა დარგში. ასე თანდათან მდიდრდებოდა 1908 წელს დაარსებული აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა.

სტამბოლის ქართული საგანე – სასულიერო და საერო დანიშნულების დაწესებულება – უკვე 158 წლისაა და დღესაც მოქმედია, არ გასხვისებულა; შენარჩუნებული აქვს სახელწოდება (GÜRCÜ KATOLİK KİLİSESİ VAKFI, KÜTÜPHANE VE ARŞİVİ“ – „ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდი, ბიბლიოთეკა და არქივი“.ეს, უცხოეთში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძვირფასი საუნჯის პატრონი დაწესებულება, შემოგვინახა თურქეთის (ჯერ ოსმალეთის) სახელმწიფომ, თურქმა ხალხმა,რასაც საქართველოდან სათანადოდ დაფასება და აღიარება სჭირდება.

განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის დამსახურება. მამა – შვილი – პავლე და სიმონ ზაზაძეები (ბერ – მონაზვნების გარდაცვალების შემდეგ) 1966 წლიდან, საკუთარ მშობლიურ სახლივით უვლიან, ჰპატრონობენ ამ დაწესებულებას – სტამბოლის ქართულ საგანეს, რადგან იგი არის თურქი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო, თურქეთ – საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის დამადასტურებელი მაგალითი; ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდი, ბიბლიოთეკა და არქივი მომავალშიც შეიტანს თავის წვლილს თურქეთ – საქართველოს მეგობრობის, კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. ამ კეთილშობილურ საქმეს ამჟამად ხელმძღვანელობს ზაზაძეების გვარის სახელოვანი შვილი პავლე სიმონის ძე ზაზაძე, საქართველოს საპატიო მოქალაქე.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დაწესებულება მისი ხელმძღვანელობით მომავალშიც გაჰყვება ჩვენი წინაპრების მიერ არჩეულ გზას,გააგრძელებს წინაპართა ტრადიციებს და სტამბოლის გულში მომავალშიც აცოცხლებს „პატარა საქართველოს“, როგორც უწოდა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ამ საგანეს 1918 წელს, როცა მონასტრის სასტუმროში დროებით ცხოვრობდა ცნობილ მეცნიერთან პავლე ინგოროყვასთან ერთად და ფიქრობდა საქართველოს საზღვრების შესახებ. სწორედ, მაშინ, 1918 წლის ივნის – ივლისში დაიწერა პავლე ინგოროყვას ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ (მოკლე) სამახსოვრო ცნობა, რომელიც მალე დაიბეჭდა სავანის სტამბაში (კონსტანტინეპოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 4 – 6 ივლისი, 1918).

მკითხველს ვთავაზობთ მონასტრის „შთაბეჭდილებათა წიგნში“ ივ. ჯავახიშვილის ჩანაწერს: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ საქართველოს პატარა კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ. ივანე ჯავახიშვილი, იოსებ გოგოლაშვილი, 16 თებერვალი, 1918 წელი“.

სტამბოლის ქართულ სავანეს ბევრი საპატიო სტუმარი ჰყოლია: დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, წმ. ათონის მღვდელ – მონაზონი ილია, გელათელი ნიკოლოზ არქიმანდრიტი, ზაქარია ჭიჭინაძე, სპირიდონ კედია,



ევგენი გეგეჭკორი, ვიქტორ ნოზაძე, ნოე ჟორდანიას, მიხაკო ყაუხჩიშვილი, ივანე ზურაბიშვილი, გიორგი ყაზბეგი, გრიგოლ რობაქიძე, ნიკო და იაკობ ნიკოლაძეები... საქართველოს კათალიკოს – პატრიარქი ილია მეორე...

მონასტრის სტუმართა შთაბეჭდილებებში ცოცხლობს სტამბოლის ქართული სავანის საქმიანობა, მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. სახელოვანი ქართველების ჩანაწერებში წარმოჩენილია საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთადერთი ცოცხალი კერის სახე, მისი ფასეულობა, მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოსათვის. მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს „შთაბეჭდილებათა წიგნიდან“:

„ამ ძველებურ ქართულ მონასტერში ყველაფერი საყვარელ საქართველოს მოგვაგონებს“... „ზნეობრივი სისპეტაკე და სამშობლოს სიყვარული უხვად შლის თავის სხივებს ამ მონასტერში“... „საქართველოს დიდება, ეროვნული სულის საუნჯე; სამშობლოსათვის დევნილ ნამდვილ მამულიშვილთა თავშესაფარი“... „ქართული კულტურის სამოთხის კუთხე უცხოეთში“... „კონსტანტინეპოლში ქართველთა სულიერი და კულტურული თავშესაფარი“... ქართველი ემიგრანტების ერთადერთი ნავსაყუდელი“... „საქართველოს წმიდა სავანე, წმიდა ტაძარი“... „საქართველოს ლამპარი უცხოეთში“... „სიმბოლო ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა“... „შუქურ ვარსკვლავივით მანათობელი უცხოეთში“... „შორეულ სტამბოლში ვარსკვლავი საქართველოსი“... „საქართველოს კუთხე ოსმალეთში“... „ოსმალეთის ზღვა უდაბნოში ჩანერგილი საქართველოს ოაზისი“...

დასასრულს, მომავლის იმედით, გავიმეორებთ საქართველოზე გულითადად შეყვარებული ერთი იტალიელი დიპლომატის (კერძოდ, დამოუკიდებელი საქართველოს სტამბოლის დიპლომატიური წარმომადგენლობის მუშაკის) ევგენი დალეჯიო დალესიოს სიტყვებს წიგნიდან „ქართველები კონსტანტინეპოლში“ (გვ. 31 – 32):

„უცხოეთში გადმოტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში, შეიარე ეკლესიაშიც, დააკვირდი ღვთისმშობლის საკურთხეველს: მალა სწერია: „მარიამ – ქართველთა მხსნელი“ და ძირს წმიდა საკურთხეველის ქვაზე – „მარიამ ღვთის მშობელო, ივერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ ჩვენ, ცოდვილთა ქართველთა“. მალა დგას უსიტყვოდ ქალწული ნინო და თავის ვაზის ჯვრით გვამღევს ზეციურ კურთხევას და ნუგეშსა...“

სულით განახლებულო, წადი, ქართველო, და ჩაეხი ცხოვრების ტალღებში... შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილიშვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას. ამინ!“

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ჯავახიშვილი, ტ. II, თბ., 1983
2. ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895
3. RINALDO MARMARA, DOCUMENTS POUR L'HISTOIRE DE L'ÉGLISE GÉORGIENNE, Turquie, 1895 – 1934, Volume I, ISTANBUL, 2018. Sous Les auspices de la Famille **Simon Zazadze**
4. შ. ფუტკარაძე, პ. ზაზაძე, ქართული კულტურის კერა სტამბოლის სავანეში ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ტ. I, ბათუმი, 2011
5. უ. ბლუაშვილი, მესხეთის სახელოვანი შვილები, თბილისი, 2008
6. ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1921
7. Поэзия Армении. Народная – средневековая – новая в пер. рус. поэтов, Москва, 1966.
8. შ. PHUTKARADZE, ISTANBUL GÜRCÜ OCAĞI, TBILISI, 2012.

### A “Small Georgia” Originated in the Heart of Istanbul

Great Ivane Javakhishvili justly remarked that “the cultural significance of the Georgian centers abroad was valuable indeed. Apart from the rich cultural heritage preserved there during the centuries, the centers were important in other aspects as well. Through the monasteries abroad, Georgia was able to track every success of cultural development of the educated countries of those times. Everything new and important created or written at the Georgian centers established abroad immediately reached Georgia through the assistance of the Georgian writers, scientists and artists working in those places.”

For centuries such type of institution was the Georgian Catholics Monastery, briefly called “**The Georgian Abode in Istanbul**”. This monastic complex is located in one of the beautiful districts of Istanbul – Ferikoy – village of angels (Turk. *Feria* – angel; *koy* – village). The Virgin Mary Church and a four-storied monastery still look beautiful, though, unfortunately, empty, today.

Georgian Abode in Istanbul –the church, cloisters and monasteries, Georgian printing press, AkakiTsereteli library with archive, Georgian-French and Georgian-Greek Girls’ and Boys’ schools –was a great cultural-educational and spiritual center for over a century as well as a fervent center for national-liberation movement. It was founded by a catholic priest from Akhaltsikhe Petre Kharischirashvili. This outstanding person worked painstakingly all his life for the glorious future of Georgia, strove for preservation of the Georgian language by the Georgians living not only in historical Meskhet-Javakheti but in Turkey as well.

The grace of the Istanbul Abode for hundreds of years caressed the souls of millions of Georgians forcefully exiled to foreign lands or remained in the Georgian lands occupied by the Ottomans. The Abode devotionally functioned for a century for raising national awareness in Georgian Muslims. With great patriotic activities of famous devoted countrymen – Petre Kharischirashvili, Alfons Khitarishvili, Andria Tsinamdzgvishvili, Stafane Giorgidze, Ioseb and Petre Merabishvili, ShalvaVardidze, Pio Balidze, Petre Tatalashvili, Pavle Adguladze, Pavle Zazadze – the national spirit was revived in the Georgians deprived of their motherland. This spark still burns like embers to this day and revives the roots of the Georgian language as well as the call of the Georgian blood in the Georgians longing for the motherland care. Among numerous other sources, the merit and contribution of the Georgian Abode in Istanbul is quite remarkable and outstanding. In 1918-1921 the issue of reunion of Ajara and other parts of historical Tao-Klarjeti with the motherland of Georgia was discussed and debated in this very center. Many guests of the Abode used to be taught and edified here including **Memed and HaidarAbashidze, IskenderTsivadze, Jemal Khimshiashvili, Aslan Bezhanidze** and others. It was in this Abode that Akhmed Melashvili, a great Georgian called the **Ilia Chavchavadze** of the Georgians of Turkey studied Georgian reading, writing and History of Georgia.

The charity society created for the refugee Georgians during the World War I – 1914-1919, was financed by the famous Georgian doctor in France **Petre Merabishvili** who was brought up in the Abode. In those times he used to serve as a private doctor to the king of Abyssinia (Ethiopia) **Menelik II**. This charity organization sustained **Noe Zhordania’s** government and his numerous members exiled from Georgia for certain period. The archive materials show that this charity society was the last and only

supporter of the family of famous public figure **Giorgi Kazbegi**, exiled to Istanbul. All in all, the Georgian Abode in Istanbul was destined to bear heavy patriotic burden, especially in the first quarter of the twentieth century.

One of the outstanding representatives of the Georgian emigration **Givi Zaldastanishvili** also points to the unforgettable contribution of the Georgian Abode in Istanbul. In 1970 he specially travelled to Istanbul from America to get acquainted to the activities of the monastery. In the Georgian newspaper published in New York – “Kartuli Azri” (“Georgian Opinion”) – he wrote: “The Istanbul monastery – the center of our culture – took great part in the struggle of Georgia for eternity. The existence of such center in Turkey is of particular importance for our nation, and in the light of other centers, deserves to gain priority if we consider that one part of the Turkish population is of Georgian origin” (see N85, 1970).

The founder of this important cultural-educational center Father **Petre Kharischirashvili** led an interesting and useful way of life up to 1861, i.e. before the foundation of the monastery and the printing press. As folk wisdom states, the forerunner is the bridge for the follower. This was the case when Petre Kharischirashvili dreamed about establishing a Georgian center in Istanbul. It is also well-known for everybody that friendship and neighboring of the two ancient and most educated nations – Armenians and Georgians – begins from the biblical Haos-Kartlos period. During the centuries these two neighboring nations used to fight side by side many times against common enemies or maintained freedom and independence through mutual support. It was from the representatives of the Armenian nation that Petre Kharischirashvili found the first support and assistance in achieving his goal.

After finishing studies in St Petersburg, P. Kharischirashvili traveled to Rome and entered a higher theological institution at Vatican. Together with theological subjects he learnt foreign languages there too – Latin, German, Italian, Polish, French, Turkish and Greek. After ordaining into priesthood he moves to Venice from Rome where the sons of the Armenian nation – Armenian Catholics had established a large religious and cultural-educational center. With the imitation and instruction of the Roman clergy they printed and published books in Armenian, translated from foreign languages. They had established a brotherhood there – “Congregation”. The brotherhood was called the **Mkhitarists**. It was a religious and at the same time scholarly society. The founder was an Armenian Catholic Mekhitar of Sebaste. Their center was located in Venice, San Lazzaro. The Congregation was supported by the European countries; accordingly, the brotherhood was strong financially as well as spiritually. Their goal was to work relentlessly for strengthening Armenian people’s spirituality. The Mkhitarists founded Armenian schools in different countries, opened printing houses, increased publication activities. They also paid particular attention to the issue of promoting ancient history of Armenia. Many books were printed on Armenian history, modern Armenian literature, etc. at that time the great son of the Armenian nation – **Ghevond Alishan** – used to work there.

Ghevond Alishan was born in Constantinople in 1820, in the family of a scientist-numismatist. He received primary education in an Armenian Catholic School in Constantinople. For continuation of his studies Alishan moved to Venice, to **Murad Raphaelyan** School of the Mkhitarists. Here he thoroughly studies the old Armenian language – Grabar, as well as other languages and subjects – Italian, French, German, history, geography and philology. 14-year-old Alishan decides to wear the name of the hero of the national-liberation movement in 451 – “**Ghevond**”. From the period of studies he became an active member of the **Mkhitrist** Congregation of Armenian Studies. After finishing school he began teaching

activities in his native school and worked as a teacher in Venice and Paris till the end of his days. In 1849-1855 he was the editor of the Mkhitarist academic journal “**Bazmavep**”.

From 1850 he begins research activity in libraries, museums and archives for the purpose of Armenian Studies. He studies old Armenian manuscripts preserved there and strives to reveal sources reflecting old Armenian history and culture. He is the author of many significant works concerning history, ethnography, culture of the Armenians. Majority of them is translated into Italian, English, German, French languages. Ghevond Alishan was a splendid poet. He wrote poems on Grabar – old Armenian language. He also wrote prose. His novel “**Memories on Armenians’ Motherland**” won high acclaim. He died in 1901 in Venice, San Lazzaro and is buried there.

It is a well-known fact that the Armenist **San Marten**, active member of the Parisian Oriental Society, proposed the Mkhitarists to study the history of Georgia apart from the history of Armenia and write articles on Georgian history in foreign languages. San Marten had visited Georgia. His diaries on visiting Georgia keep many interesting materials about Georgia. He was well acquainted with great past of the Georgian people. And indeed, the Mkhitarists studied well Western Georgia, especially **Ajara, Lazika**, and other parts of historical **Tao-Klarjeti – Artaani, Kola, Taoskari, Klarjeti, Livana, Erusheti, Shavsheti**. They published articles in Venice in the Armenian language and many Oriental scholars got interested in them. Namely, a Swiss scholar **Dubois de Montperreux** learnt about Georgia from these letters. The Mkhitarists described the **Ishkhani, Khakhuli** and **Parkhali** monasteries very well. The great scholar **Ghevond Alishan** used these descriptions and included the pictures and materials about them into his interesting work – “**History of Cilicia**”. San Marten and Marie Brosset even commissioned the Mkhitarists to learn the Georgian language; they demanded from them to translate the obtained materials into Georgian and publish books in Georgian as well. This period coincided with Petre Kharischirashvili’s stay in Venice with the Mkhitarists. He used to have many followers there, including **Ghevond Alishan**.

Petre Kharischirashvili claimed to the Mkhitarists that Catholics were among the Georgians as well and that Georgian Catholics were Georgians in nationality and not Armenians, as it was thought before; that the native language of the Georgian Catholics was Georgian and not Armenian, that divine liturgy in the Georgian Catholic churches had to be served in Georgian and not in Armenian. Thus, Petre Kharischirashvili was the protector of the Georgian language and Georgian nation’s interests. Petre acquired many followers and supporters among the Mkhitarists and managed to **establish a printing house in Venice**. He traveled from Venice to different countries in Europe and began preaching about the Georgians in Catholic churches. After this he visited Rome and presented to the Pope a vast historical paper about Georgia. Eventually he got a permission **to found Georgian Catholics Monastery in Istanbul**, obviously, on the basis of the order of the Ottoman governor of that period, sultan Abdul Aziz.

It is also remarkable that Padre Petre Kharischirashvili began activities for founding the Georgian Catholics Monastery in Istanbul long before. As early as during the sultan Abdulmejid the issue had risen on the Ottoman court and acquired supporters among the sultan counselors with the help of the mother-sultan Bezmialem Valide. It was natural as Abdulmejid’s mother was Georgian by origin, the daughter of a nobleman Tavdgiridze from Kobuleti – Shushani Tavdgiridze (her parents died in 1808 during the battles against the Russians). It was during the reign of sultan Abdulmejid, before the year 1861 that padre Petre Kharischirashvili purchased a plot of land in the Ferikoy district of Istanbul to build a monastery (Abdulmejid died on 25 June, 1861). It is also important to know that the order on establishing the monastery was issued by the Ottoman sultan Abdul Aziz whose mother was also Georgian by origin (his

mother was Kutateladze from Samtredia, first name is unknown). **This is how the foundation was laid for the establishment of the Georgian monastery in Istanbul.**

Particularly significant in the foundation of the Georgian centre in Istanbul was the role played by the Mkhitarists and their spiritual leader, great scholar and person **Ghevond Alishan**. The personality of Petre Kharischirashvili was formed while staying with the Mkhitarists. The idea was conceived while being with them in Venice, Petre followed their example and since then dedicated his life to the service of the Georgian nation. In 1895 (after Petre's death; he died in 1890) a famous Georgian public figure **Zakaria Chichinadze** wrote in his book "**Abbot Petre Kharischirashvili**" that "P. Kharischirashvili became so popular among the Mkhitarists that even to this day there still exists a room in the Mkhitarist school with books from the Mkhitarist library which is still called by the "Congregation" as Petre Kharischirashvili's room". This room turned into a hotel for the Georgians visiting Italy. Many Georgians spent the night in this room, including two prominent sons of the Georgian nation – **Mikheil Tamarashvili and Mikel Tarkhnishvili**. They raise their qualification and knowledge in Rome and often visited Venetian Mkhitarists – devoted servants of their country, whose activities and deeds further strengthened patriotic feelings and in two distinguished Georgian fellows and taught them faithful service to the motherland.

Next to the Georgian Abode founded by Petre Kharischirashvili in Istanbul was an Armenian Catholic Monastery equipped with a printing house and a library. Representatives of these two neighboring countries prayed for their countries – **Georgia and Armenia** – in the temples erected side-by-side in a beautiful district of Ferikoy in Istanbul. They had friendly relations between each other (Regretfully, the Armenian monastery in the district of Ferikoy has lost its function for today and is almost ruined).

Petre Kharischirashvili's dream was that **Armenians** exiled to Turkey remained **Armenians**, and **Georgians** remained **Georgians**; that Armenians and Georgians living in a foreign country never degenerated but preserved their identity. This was the reason for establishing Georgian and Armenian printing houses abroad. In particular, in 1858 with the help of the Mkhitarists a Georgian printing house was founded in Venice and since that time Georgian books began to be published. The following books were printed there: "**A Book of Wisdom**" (philosophical), "**The Lives of the Saints**", "**Aesop's Fables**", "**Life Road**", "**Martyrs' Crowns**", "**Youngsters' Bouquets**" and many others. Petre also founded Georgian printing houses in **Istanbul** and **Montauban, France** where numerous books were printed in Georgian and French languages. Georgian printing house was functioning in Istanbul from 1877 to 1950.

The letters and article written by Armenian Mkhitarists about the history of Georgia were printed in Venice in Armenian and French languages. The entire educated European society got acquainted with these works. For instance, a catholic clergyman **Ogust Darras** wrote many letters about the past of Georgia according to these materials as well as translated many sources from Georgian into French. He performed a very interesting work in French – "**St. Nino's Life**" with depiction of historical episodes from the past of Georgia in a very interesting manner. Regrettably, O. Darras's work has not been translated into Georgian so far.

Like Ghevond Alishan, Petre Kharischirashvili was greatly in love with his motherland and permanently cared about education of the Georgian nation; he felt that Georgian schools were not sufficiently supplied with books. Therefore, he printed school textbooks in the printing houses established in **Istanbul and Montauban** (France). The textbooks were mostly prepared and compiled by him in almost

every subject. He was a philosopher, historian, grammarian, and geographer, and what is more, he was a splendid teacher, orator, theologian and a kind spiritual father, ardent patriot.

In his work “Padre Petre Kharischirashvili” (Tbilisi 1895, p. 3), Zakaria Chichinadze regrettably remarked in 1895: “Georgian nation had very few figures who sufficiently contributed to the favor of the Georgians; these personalities created and restored much for the Georgians; these persons themselves lived and worked so quietly and silently that the countrymen knew not about their deeds. They died in a quiet way, without a word of mention about them. The reason was that the Georgians did not know these great figures and these persons never wanted their names to be glorified. Among such figures I would mention Abbot **Petre Kharischirashvili** who spent all his life in secret and silence so that nobody knew about his life and even his name”.

Indeed, it is regrettable that the Georgian nation showed such indifference and negligence towards Petre Kharischirashvili, and on the other hand, the gratitude of the Armenian nation towards their great thinker **Ghevond Alishan** is really worthy and remarkable. Even an **honorary medal** has been introduced to commemorate his name. One of the authors of this article – Doctor of Philological Sciences, Professor Shushana Putkaradze is the holder of this medal. The journal “**Haos-Kartlos**” awarded her with this honorary medal for her contribution to the strengthening of friendship between these nations. It is also symbolic inasmuch as Shushana Putkaradze registered and made an inventory of the library and archive of the Georgian Abode in Istanbul for two years and four months together with other members of the expedition – of the Georgian center for the establishment of which the great scholar Ghevond Alishan made a valuable contribution.

The ideas of **Petre Kharischirashvili and Ghevond Alishan** came true; they became real in the capital of the Ottoman Empire – Istanbul. The plan of the two famous sons of the Georgian and Armenian nations - Petre Kharischirashvili and Ghevond Alishan was implemented through the assistance of the two sultans – sultan Abdulmejid and sultan Abdul Aziz: in a beautiful district of Istanbul – Ferikoy – a Georgian Catholic monastery was built, a Georgian printing house began functioning and a rich library and archive was founded. For over 120 years this religious and spiritual institution served to the glorious pursuit of educational and cultural significance: Georgian-French and Georgian-Greek Girls’ and Boys’ schools were functioning, books and journals were published, interesting literature in all the fields was sent from different countries of the world and enriched the Akaki Tsereteli library established in 1908.

The Georgian Abode in Istanbul, a religious and secular institution, is 158 years old and still functions to this day. It has been preserved by the government of Turkish Republic (former Ottoman Empire), as well as the Turkish people. Especially great in this respect is the role and merit of the Zazadze family in Istanbul. Father and son – Simon and Paul Zazadzēs looked after this institution like their home. It has been a symbol place for the friendship between Turkish and Georgian peoples for all this period, evidence verifying century-old Turkish-Georgian cultural relations.

We hope that this center will further follow the path chosen by our ancestors and make its contribution to the development and strengthening of Turkish-Georgian cultural relations.

***Reference:***

1. I. Javakhishvili, vol. II, Tb., 1983
2. Zakaria Chichinadze, Padre Petre Kharischirashvili, Tiflis, 1895
3. RINALDO MARMARA, DOCUMENTS POUR L'HISTOIRE DE L'ÉGLISE GÉORGIÉENNE, Turquie, 1895-1934, Volume I, ISTANBUL, 2018
4. Sh. Putkaradze, P. Zazadze, Georgian Cultural Center in Istanbul Abode, Linguo-Cultural Studies, Batumi, 2011
5. U. Bluashvili, Famous Sons of Meskheta, Tbilisi, 2008
6. Evgeni Dalegio Dalesio, The Georgians in Constantinople, Istanbul, 1921
7. Armenian Poetry. Folk-Medieval-Modern, in translation of Russian poets, 1966
8. Sh. Putkaradze, Istanbul Gürcü Ocağı, Tbilisi, 2012

## სტამბოლის ქართული სავანის ფუძემდებელი – აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი

ქართველი ერი მსოფლიოს ცივილიზაციის შემომქმედ ხალხთა რიგებში ირიცხება. ქართული კულტურის სათავეები წინარექრისტიანული ხანიდან იწყება. ქართველთა სახელოვან წინაპრებს საუკუნეთა მანძილზე მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ მსოფლიო ცივილიზაციის შენებაში. ისინი ყოველნაირად ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად; ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ქართული კულტურის მონაპოვარი, შორს გაეტანათ საქართველოს სახელი. უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრებში; იქ ქმნიდნენ ქართული კულტურისა და განათლების კერებს; აფუძნებდნენ ეკლესია – მონასტრებს, ეცნობოდნენ მოწინავე ერების კულტურისა და განათლების მიღწევებს. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა – გამოცვლა. ფასდაუდებელია ათონის ივირონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სინასა და შავი მთის, პეტრიწონის – ქართული კულტურისა და განათლების ამ უმნიშვნელოვანესი ტაძრების ღვაწლი, სადაც შეიქმნა უძველესი ქართული წყაროები, ქართული ქრისტიანული კულტურის შედეგები. საქართველოში და საზღვარგარეთ მოქმედ კულტურულ – საგანმანათლებლო კერებში მოღვაწე სახელოვანი ქართველების შემოქმედების წიაღში აღმოცენდა და განვითარდა **თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორია**. ამ ისტორიის გრძელი გზის ერთ მონაკვეთს საინტერესო, მრავალფეროვანი ეპიზოდებით ამდიდრებს **სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია – მონასტერი**, მდიდარი ბიბლიოთეკითა და არქივით. ამ სასულიერო და კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო **აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი**.

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, თეოლოგი, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში გათვითცნობიერებული, შესანიშნავი ორატორი, პედაგოგი **პეტრე ხარისჭირაშვილი** დაიბადა ქალაქ ახალციხეში **1804** (ზოგიერთი ცნობით 1818) წელს. დაწყებითი განათლება ახალციხის წმინდა ნათლისმცემლის ეკლესიის სამრევლო სკოლაში მიიღო. შემდეგ მშობლებმა ალექსანდრეპოლის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. სემინარიის დამთავრების შემდეგ პეტრე იტალიაში გაემგზავრა და რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდა. იქ მან სრულყოფილად შეისწავლა ფრანგული, იტალიური, გერმანული, ბერძნული, პოლონური, თურქული ენები. 1842 წელს პეტრე ხარისჭირაშვილი მშობლიურ ახალციხეში დაბრუნდა და მღვდლად აკურთხეს. მან მალე გაითქვა სახელი. მის ქადაგებას სიამოვნებით ისმენდა მრავალრიცხოვანი მსმენელი. პეტრე დარწმუნებისა და მქადაგებლობის იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული. „იგი იყო სიტყვამჭევრი და ენითრიტორი“, ასე ამბობდნენ მასზე თანამედროვენი. იგი შესანიშნავი გარეგნობითა და თბილი ხმით გამოირჩეოდა. ცნობილი მკვლევარი **ზაქარია ჭიჭინაძე** წერდა: „პეტრე ხარისჭირაშვილი მონაზვნეობრივს ცხოვრებაში ატარებდა დროს. იგი იყო სუფთა განდეგილი ბერი; შესანიშნავი თვალტანადი, მისი სახის ხილვა ნათელს გვრიდა კაცსა... მისი ხმა ორღანოთა ხმა და ბგერა იყო. ასეთი



მშვენიერი მოძღვარი მთელს რუსეთში არსად იყო“... (ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფ., 1895, გვ. 22, 48, 63, 74).

მართლაც, ღვთაებრივი ნათელი ადგა მის ლამაზ სახეს. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მთელი სიცოცხლე ღვთის სამსახურისთვის მიეძღვნა. ისტორიული წყაროების თანახმად, სიცოცხლის მანძილზე წმინდანივით იცხოვრა. ახალციხეში და მესხეთის სოფლებში – **ხიზა-ზავრასა და ვალეში** მღვდლად მუშაობის პერიოდში გლეხკაცობას ნამდვილ მფარველად მოეწოდებოდა. გლეხებს ის უყვარდათ, რადგან სიკეთეს, სამართლიანობას, პატიოსნებას, ქველმოქმედებას ემსახურებოდა საქმითა და სიტყვით. ის ყოველმხრივ სანიმუშო, ყველასათვის საყვარელი მოძღვარი იყო.

1856 წელს პეტრე ხარისჭირაშვილი იტალიაში გაემგზავრა. იგი ვენეციაში ჩავიდა და სომეხ მხითარისტების ძმობას დაუკავშირდა. მაშინ იქ მოღვაწეობდა სომეხი ხალხის სახელოვანი შვილი, დიდი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი **გევონდ ალიშანი**. პეტრე ალიშანს დაუმეგობრდა. მათი მთავარი მიზანი, სასულიერო საქმიანობასთან ერთად, იყო სამშობლოსთვის თავდადებული სამსახური, ქართველი და სომეხი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების გაცნობა ევროპის მოწინავე საზოგადოებისათვის. პეტრემ ამ მიზნით ვენეციაში ქართული სტამბა გახსნა და თავის მეგობარ **ივანე მამულაშვილთან** ერთად წიგნების ბეჭდვა დაიწყო. მას სურდა თავისი წვლილი შეეტანა ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების განვითარების, წინსვლის საქმეში.

პეტრე ხარისჭირაშვილმა თავისი დაუღალავი საქმიანობით **ვატიკანის** კარდინალთა ყურადღება და კეთილგანწყობაც დაიმსახურა; ცნობილია, რომ **პეტრე ხარისჭირაშვილმა** მოახერხა **ვატიკანში პაპთან** შეხვედრა. მას წარუდგინა ვრცელი ისტორიული მოხსენება საქართველოსა და ქართველი კათოლიკეების შესახებ. მოხსენებაში, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია იყო ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების დამკვიდრების ისტორია, რომ იგი სათავეს იღებდა მე – 13 საუკუნიდან. გააცნო **რომის პაპებთან** საქართველოს მეფეების მიწერ – მოწერის ეპიზოდები. მოხსენებაში საუბარი იყო რომში დაარსებულ ქართულ სტამბასა და იქ 1626 წელს დაბეჭდილ პირველ ნაბეჭდ ქართულ წიგნზე, იტალიელი მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის შესახებ. ცნობილია ისიც, რომ პაპმა ყურადღებით მოუსმინა პეტრე ხარისჭირაშვილს და ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინა. პეტრეს აფასებდნენ კარდინალებიც. მაშინ იგი დროებით განწესებულ იქნა ერთ დიდ ეკლესიაში, სადაც იგი ხშირად თანამწირველი იყო რომის უმაღლეს სასულიერო პირებთან ერთად. ასეთი შემთხვევა მეტად უჩვეულო იყო ქართველი მოძღვრისთვის. ეს ღვთის წყალობა იყო პეტრე ხარისჭირაშვილის მიმართ მოვლენილი. მას რომის ეკლესიებში მისცეს ქადაგების ნება და ისიც ხშირად წირვაზე ქადაგებდა ხოლმე საქართველოს შესახებ იტალიურ, პოლონურ, ფრანგულ ენებზე. პეტრე ხარისჭირაშვილი რვა ენას (ქართულს, იტალიურს, ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, პოლონურს, ბერძნულს, ოსმალურს) ფლობდა კარგად და რვა ენაზე შეეძლო ქადაგება მოქარგული, მხატვრული ენით. სასულიერო პირნი სიამოვნებით ისმენდნენ პეტრეს ქადაგებას და ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიას.

**პეტრე ხარისჭირაშვილმა** მალე გაითქვა სახელი მორწმუნეთა შორის, მათი პატივისცემა, სიყვარული დაისახურა. რომის პაპმა და კარდინალებმა დალოცეს პეტრე, ლოცვა – კურთხევა, დახმარება მისცეს. ამის შემდეგ იგი რომიდან გაემგზავრა ევროპის სახელმწიფოებში; პაპის ნებართვის თანახმად, შეძლო ევროპის უმაღლეს სასულიერო და სახელმწიფო პირებთან შეხვედრა და მათ გააცნო მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა. მას ყველგან აძლევდნენ ქადაგებისა და წირვის უფლებას. ამასთანავე, პეტრემ ევროპის პრესაში მაშინ ბევრი ცნობა გამოაქვეყნა

საქართველოს შესახებ; თითქმის მთელს ევროპას გააცნო საქართველო. სწორედ მაშინ გაიცნო მან მამა **ოგუსტ დარასი**, რომელმაც საქართველოს შესახებ ბევრი ცნობა ქართულიდან ფრანგულად გადათარგმნა. პეტრეს რჩევით **დარასმა** ფრანგულად დაწერა **წმინდა ნინოს ცხოვრება** და 1874 წელს გამოაქვეყნა **პარიზში**.

პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ ვენეციაში გახსნილ ქართულ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს იცნობდნენ და სათანადოდ აფასებდნენ იმჟამინდელი გამოჩენილი მეცნიერები – პარიზის უნივერსიტეტის ორიენტალისტები **სენ – მარტენი დამარი ბროსე**, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი **დავით ჩუბინაშვილი**, შვეიცარიელი სწავლული **დებუა დე მონპერი**, **ტრაპიზონში** იტალიის საკონსულოს ვიცეკონსული **მარენგო**... ვენეციაში დაბეჭდილ წიგნთაგან აღსანიშნავია: **„ისტორია გინა მოთხრობა ძველისა და ახლისა აღთქმისა“**, **„წმინდანების ცხოვრება“**, **„იგავნი იეზეპოს ფილოსოფოსისა“**, **„გეოგრაფია“**... მაშინდელი ფრანგული და იტალიური პრესა ხშირად ბეჭდავდა პეტრესა და მისი მიმდევრების სტატიებს ქართველიკათოლიკების შესახებ. ასეთი საქმიანობა ხელს უწყობდა უძველესი ქართული კულტურის ისტორიის პოპულარიზაციას მთელს მსოფლიოში.

პეტრე ხარისჭირაშვილმა იტალიაში პირველად დააარსა ქართული მონასტერი, სახელწოდებით **„ივერიის ღვთისმშობელი, უმანკო შთასახებისა“**, რომელსაც დიდი შეწირულობა მისდიოდა სხვადასხვა უმაღლეს სასულიერო პირებისაგან. ამავე სახელწოდებით იტალიელ მისიონერებს ადრეც დაუარსებიათ ქართველთათვის ძმობა რომში XVII – XVIII საუკუნეებშიც. სწორედ, ამ ძმობის თაოსნობითაა დაბეჭდილი რომში პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები. მაშინდელი **პატრი ტულუკანთ დავითაც** ამ ძმობას ასახელებს იმ პერიოდში დაბეჭდილ წიგნებზე დართულ მინაწერებში – **„უმანკო შთასახების ძმობა“ ქართველთა გვარის კათოლიკეთა**. 1737 წელს ქართულად დაბეჭდილ აღსარების წიგნსაც ასევე აწერია.

პეტრე ხარისჭირაშვილმა იცოდა, რომ **სტამბოლში** მაშინ 2000 კომლზე მეტი ქართველი ცხოვრობდა. იგი მოწოდებული იყო **სტამბოლში** მცხოვრებ ქართველობაზე სამსახურისათვის; გადაწყვეტილი ჰქონდა, ოსმალეთში გადასახლებულ ქართველებში ქართული ცნობიერების შენარჩუნებისათვის ეზრუნა. ამიტომ პაპისაგან ლოცვა – კურთხევა აიღო და სტამბოლში გადასახლდა, განიზრახა ეკლესია – მონასტრის დაფუძნება, სტამბისა და სასწავლებლების გახსნა. მას ნება დართეს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაცია დაეარსებინა. პეტრემ მალე **„ქართველთა ძმობა“** დააფუძნა და საეკლესიო მსახურებას ქართულ ენაზე წარმართავდა. სტამბოლში მცხოვრები ქართველი დიდებულების დახმარებით მოახერხა ოსმალეთის საიმპერატორო კართან – სულთანის სასახლესთან დაახლოება. იმჟამინდელი ფადიშაჰები – **სულთან აბდულ მეჯიდი** და **სულთან აბდულ აზიზი** ნახევრად ქართული სისხლის მატარებელნი იყვნენ, დედის მხრით ქართველები. სულთან აბდულ მეჯიდის დედა – **ბეზმიალემ ვალიდესულთანი** წარმოშობით ქართველი **შუშანი თავდგირიძე** იყო და ქართველობას შეძლებისამებრ ჰპატრონობდა. სულთან აზიზის დედაც ქართველი იყო – **ფერთეგნიალ სულთანი** (**სამტრედიელი ქუთათელაძე**; სახელი უცნობია) ოსმალეთის სამეფო კარამდე მაშინ უკვე მისული იყო ცნობა პეტრე ხარისჭირაშვილის განზრახვის შესახებ. სულთან **აბდულ მეჯიდი(1839 – 1861)** თანახმა იყო, პეტრე ხარისჭირაშვილს სტამბოლის ერთ – ერთ ულამაზეს უბანში – **ფერიქოიში** (ანგელოზთა უბანში) ეკლესიის ასაშენებლად შეესყიდა მიწის ნაკვეთი. სამწუხაროდ, იგი 1861 წლის 25 ივნისს გარდაიცვალა და აღარ დასცალდა ამ ბრძანების ოფიციალურად გაფორმება.

**ეკლესიის დაფუძნების ნებართვა სულთან აბდულ აზიზმა(1861 – 1876)**გასცა. ეკლესიის საძირკველი 1861 წლის 28 აგვისტოს გაითხარა, წმ. მარიამობის (მარიამ ღვთისმშობლის ხსენების

დღეს) დღესასწაულის აღსანიშნავად. მალე პირობები მომზადდა ეკლესიის ასაშენებლად. 1865 წელს მანვე დააფუძნა მამათა მონასტერი; მონასტერთან გახსნა ვაჟთა სასწავლებელი. ამ ფაქტის შესახებ პეტრემ სპეციალური წერილით მიმართა მესხეთ – ჯავახეთის მოსახლეობას და იქაურ ახალგაზრდობას სტამბოლში განათლების მისაღებად მოუწოდა.

მამათა მონასტრის კაპიტალური ოთხსართულიანი შენობა 1894 წელს აშენდა. მისი მშენებლობისთვის 300 ოქრო გადაიხადა ოსმალეთში მყოფმა **საფრანგეთის საელჩომ**. ეს მონასტერი სულ მალე გადაიქცა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების კულტურისა და განათლების კერად. ჯერ კიდევ პეტრე ხარისჭირაშვილის სიცოცხლეში **მართლმადიდებელი, კათოლიკე და მუსლიმანი ქართველები** კვირაობით სიამოვნებით ისმენდნენ პეტრეს მიმზიდველ ქადაგებას, ესწრებოდნენ სადღესასწაულო შეხვედრებს.

მონასტერთან გახსნილ ვაჟთა სასწავლებელში პირველ წელს 100 – ზე მეტი მოსწავლე შეკრებილა. მასწავლებლებად ქართველი კათოლიკე მოძღვრები იყვნენ, რომლებსაც განათლება ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული. სკოლაში სწავლის დაწყებით ეტაპზე ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ; მომდევნო წლებში კი სხვადასხვა ენების სწავლებას აწყებინებდნენ. ასწავლიდნენ ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, ოსმალურ ენებს. სასწავლებელში ისწავლებოდა ქართული ლიტერატურა, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, გრამატიკა, რიტორიკა, ესთეტიკა, გალობა, გეოგრაფია, ასტრონომია, თეოლოგია, სამედიცინო საგნები, მათემატიკა...

მამათა მონასტრის გვერდით **პეტრე ხარისჭირაშვილმა** დააფუძნა **დედათა მონასტერიც**, სადაც მონაზვნებად ირიცხებოდნენ მამათა მონასტერში მოღვაწე ბერების დები და ახლო ნათესავები. დედათა მონასტერთან მალევე გაიხსნა ქალთა **ქართულ – ფრანგული სასწავლებელი**, რომლის დირექტორი 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე იყო ცოდნითა და სიწმინდით გამორჩეული მონაზონი **ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე (ბეჟანიშვილი)**, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტის (1989 – 2016 წ.წ.) **სიმონ (ალექსანდრე) ზაზაძის** დედის დეიდა. ამჟამად (2016 წლიდან) ამ ფონდის პრეზიდენტია **პავლე სიმონის ძე ზაზაძე**, რომელიც აგრძელებს წინაპართა ტრადიციებს და გულისხმიერ მზრუნველობას იჩენს ფონდთან არსებული ეკლესიის, ბიბლიოთეკისა და არქივის მიმართ.

პეტრე ხარისჭირაშვილმა 1870 წელს მონასტერში გახსნა ქართული სტამბა. აქ დაიბეჭდა ბევრი საინტერესო წიგნი. მათგან აღსანიშნავია **ალფონს ლუგორის ქადაგებანი**, რომელიც გერმანულიდან თვით პეტრემ თარგმნა და სახელწოდებით – **„გზა ცხოვრებისა“** – დაბეჭდა 1878 წელს. აქვე დაიბეჭდა **„გვირგვინი წამებულთა“**, **„ყვავილების კონა“**, **„წინამძღვარი ზეცისა“**, **„ბრძენი კაცი“**, **„მოკლე რიტორიკა“**, **„ფრანგულ – ქართული გრამატიკა“**, **„პატარა საქრისტიანო მოძღვრება“**, **„წალკოტი ლოცვათა“**, **„მზა პასუხი“**...

პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის სხვა უბნებშიც გახსნა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიები, კერძოდ: **პერაზე წმ. იოსების სახელზე, უსკუდარში, დარდანელში**... სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ **მონთობანშიც** გახსნა ეკლესია – მონასტერი და ქართული სტამბა. მონთობანის ქართულ სტამბაში დაბეჭდილ წიგნთაგან აღსანიშნავია **„სიბრძნე კაცობრივი“** (1877 წ.), **„მოკლე გეოგრაფია“**, **„მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენის შესასწავლად“**, **„ისტორია საზოგადო“** (1877)...

პეტრე ხარისჭირაშვილის საქმიანობის, მისი დამსახურების შესახებ მისივე სიცოცხლეში ბევრი იწერებოდა მე – 19 საუკუნის ბოლო მეოთხედის ევროპულ, თურქულ, ქართულ პრესაში. განსაკუთრებით ბევრი ცნობაა მოთავსებული მაშინდელი გაზეთების – **„დროება“**, **„ივერია“** **„ინდეპენდანტ ბელგიე“**, **„LaTürk“** – ფურცლებზე.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ქართველი ხალხის უანგარო მზრუნველი, ქართული კულტურის უბადლო პოპულარიზატორი, დიდი განმანათლებელი, ხალხთა შორის მეგობრობის დღენიადაგ მქადაგებელი, თურქი და ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების მოამაგე, წმინდანის გულის მატარებელი, **დიდი ქართველი მოძღვარი პეტრე ხარისჭირაშვილი** გარდაიცვალა 1892 წელს. იგი დაკრძალულია მის მიერ დაფუძნებულ ეკლესიაში.

სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – ფერიქოიში – ქართულად „**ანგელოზთა სოფელში**“ დღესაც დგას პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებული ეკლესია. პეტრეს მიერ დალოცვილ ამ ტაძარში, დიდად პატივცემული **რომის პაპის** ლოცვა – კურთხევით დაფუძნებულ ამ წმინდა სალოცავში, აღიზარდნენ შესანიშნავი სასულიერო პირები, საზოგადო მოღვაწეები – **ივანე გვარამაძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, სტეფანე გიორგიძე, იოსებ და პეტრე მერაბიშვილები, პიო ბალიძე, შალვა ვარდიძე, ელისაბედ ბეჟანიძე, პეტრე ტატალაშვილი, ალფონს ხითარიშვილი, პავლე ზაზაძე, მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი...** პეტრე ხარისჭირაშვილის მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა თავიანთი ნიჭითა და მაღლიანი კალმით გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის წინსვლაში, ამ ტაძარში აღზრდილი ადამიანების სულიერების სიწმინდეში, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

ამ ტაძარში 1908 წელს გახსნილი ბიბლიოთეკა, დიდი ქართველი პოეტის **აკაკი წერეთლის** სახელობისა, დღესაც დაცულია და ხელუხლებლად შენახული. ამჟამად ბიბლიოთეკა განთავსებულია ახალ კომფორტაბელურ ბინაში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით; წიგნების დასაცავად შექმნილია სათანადო პირობები და კლიმატი. ბიბლიოთეკა საკმაოდ მდიდარია. ლიტერატურა 15 ენაზეა. წიგნების ასაკი იწყება 1523 წლიდან. წიგნების რაოდენობა ჟურნალ – გაზეთებთან ერთად 83.000 ერთეულს აღწევს. აქ დაცულია ევროპის, აზიისა და ამერიკის მრავალი ქვეყნის სტამბებში დაბეჭდილი წიგნები, გაზეთები, ჟურნალები. შენახულია საინტერესო საარქივო მასალები. დაცულია საქართველოში რეპრესიების დროს დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთები, რეპრესირებულთა ცნობები, მათი სტატიები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოში განადგურებულია.

ეს ბიბლიოთეკა არის თურქეთ – საქართველოს კულტურული ურთიერთობის ერთ – ერთი დამაკავშირებელი ხიდი, ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარი საგანძური. აღსანიშნავი და საგულისხმოა ისიც, რომ **სტამბოლის ქართული საგანე არის საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის ერთადერთი, დღემდე მოქმედი კერა.**

ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის, ცნობილი სასულიერო და კულტურულ – საგანმანათლებლო ტაძრის ერთგული მზრუნველი და მოამაგე გახლდათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი (1989 – 2016 წ. წ.), საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება, საქართველოს საპატიო მოქალაქე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, დიდი ქველმოქმედი პიროვნება ბატონი სიმონ ზაზაძე, სტამბოლში მცხოვრები ზაზაძეების სახელოვანი ოჯახი. სწორედ ამ ოჯახის მზრუნველობით, თურქეთის სახელმწიფოს მფარველობით, განადგურებას გადაურჩა ეს ლამაზი ტაძარი და იქ დაცული კულტურული მემკვიდრეობა. ამჟამად (2016 წლიდან დღემდე) ამ ფონდის პრეზიდენტია პავლე სიმონის ძე ზაზაძე, რომელიც ამავე დროს არის თურქეთ – საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ვიცე პრეზიდენტი.

პეტრე ხარისჭირაშვილის სული, ალბათ, თავს დასტრიალებს მის მიერ დაფუძნებულ ამ ტაძარს, ლოცავს და აძლიერებს ზაზაძეების ლამაზ ოჯახს, რომ თურქ და ქართველ ხალხს სამომავლოდაც შეუნახოს ეს შესანიშნავი სასულიერო და კულტურულ – საგანმანათლებლო კერა – „სტამბოლის ქართული სავანე“ – ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდთან არსებული ბიბლიოთეკა, არქივი და დედა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში,ფერიქოში (შიშლში), ყველა ქართველს მასპინძლობს ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევი თბილი ქართული კერა და წმინდა სალოცავი ტაძარი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ზაქარია ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895;
2. RINALDO MARMARA, Documents Pour L'HISTOIRE DE L'ÉGLISE GÉORGIENNE, Turquie, 1895 – 1934, Volume I, Istanbul, 2018.
3. Şuşana Putkaradze, İstanbul Gürcü ocağı, Tbilisi, 2012;
4. Mümin Yıldıztaş, Osmanlı Arşiv kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, İstanbul, 2012;
5. Murat Kasap, Osmanlı Gürcüleri, İstanbul, 2010;
6. Abdülkadir Dedeoğlu, Osmanlılar Albümü, İstanbul, 1976;
7. ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან შალვა ვარდიძისა, სტამბოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 1921;
8. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902.

Shushana Putkaradze

Paula Zazadze

#### Fr Petre Kharischirashvili – the Founder of the Georgian Catholic Monastery in Istanbul

The Georgian nation is counted among the nations creating the world civilization. The origin of the Georgian culture takes its beginning in the pre-Christian era. During the centuries the outstanding Georgian ancestors used to make humble contribution to building up the world civilization. They constantly strived to export the achievements in Georgian culture and education outside the country borders; tried to acquaint the leading peoples of the world with the successful performance of the Georgian culture and make their country famous. Educated Georgians gone abroad, used to settle down in the centers of the world civilization where they created centers of Georgian culture and education, founded churches and monasteries, got acquainted with the cultural and educational achievements of the leading countries of the world. This was the activity through which the spiritual values of different nations were interchanged. The contribution of the Holy Monastery of Iviron on Mount Athos, Monastery of the Cross in Jerusalem, Mount Sinai and Black Mountain, Petritsoni Monastery – these prominent centers of Georgian culture and education are invaluable as most of the ancient Georgian sources and masterpieces of

Georgian Christian culture had been created in these places. The fifteen-century-old history of the Georgian culture originated and developed within the realms of the creations of the prominent Georgians conducting their activities in cultural-educational centers within and outside Georgia. One of the sections of this long history is enriched with interesting and diverse episodes by the Georgian Catholic Monastery of the Virgin in Istanbul. The founder of this spiritual and cultural-educational center was Father Petre Kharischirashvili.

**Petre Kharischirashvili** was a Georgian religious and public figure, writer, translator, philosopher, theologian, connoisseur of various cultural and scientific fields and a brilliant teacher. He was born in Akhaltsikhe in 1804 (according to some versions 1818). He got the primary education at Akhaltsikhe St John the Baptist congregational school. Then his parents sent him to a Theological Seminary in Alexanderpole. After graduating from the seminary Peter went to Italy and entered a higher educational institution in Rome. There he learnt French, Italian, German, Greek, Polish and Turkish languages perfectly well. In 1842 Petre Kharischirashvili returned to his native Akhaltsikhe where he was ordained as a priest. He became famous quite soon. Numerous parish members listened to his sermons with great interest and pleasure. He was endowed with a rare gift of persuasion and preaching. “He was as eloquent speaker and rhetorician” – he contemporaries used to say about him. He was also distinguished by pleasant appearance and warm voice. A famous scholar Zakaria Chichinadze wrote: “Petre Kharischirashvili used to pass his time in monastic life. He was definitely a hermit monk; good-looking; his visage gave light to every viewer... his voice was a sound of organ. There were no fathers like him in all Russia...” And, indeed, his handsome face was lit with divine radiance. He had firmly decided to devote his life to the service of God. He lived a life of a saint during all his life. During his service as a priest in the villages of Akhaltsikhe and Meskheta – Khizabavra and Vale – he appeared as a real guardian angel and protector to the local peasantry. Local peasants loved him as he always served kindness, justice, honesty and charity in word and in deeds. He was an exemplary and beloved confessor for everyone.

In 1856 Petre Kharischirashvili went to Italy. He arrived in Venice and contacted Armenian *Mekhitarist* brotherhood. At that time a famous son of the Armenians, great religious and public figure, writer and scholar **Gevond Alishan** was working there. Petre made friends with Alishan. Apart from the religious activities, their aim was a devoted service to their motherland, promotion of Georgian and Armenian cultural and educational achievements to the advanced European society. With this purpose in mind, Petre began printing books together with his friend Ivane Mamulashvili. He wanted to make his contribution in the cultural and educational development of the Georgian people.

With his self-denying and painstaking activities Petre Kharischirashvili soon deserved the attention and favor of Vatican cardinals. As it is known, Petre Kharischirashvili managed to meet the **Pope in Vatican**. He delivered a long speech on the history of Georgia and Georgian Catholics. With the reference to the historical sources, the speech reflected the history of dissemination of the Catholic faith among the Georgians, that it took its origins from 13<sup>th</sup> century. He also spoke about the episodes of correspondence between the Georgian kings and Roman Popes. The speech also contained information about the Georgian printing press established in Rome as well as the first Georgian book about the Italian missionaries travelling in Georgia printed there in 1626.

It is also known that the Pope listened to Petre Kharischirashvili with great attention and rendered him a considerable assistance. Petre was respected by the Cardinals as well. Then he was temporarily assigned to one of the big churches where he was often giving service together with the highest clergy in

Rome. Such incidents were rather unusual for the Georgian priest. It was God's great grace bestowed on Petre Kharischirashvili.

He was given the right to preach in the churches of Rome and he often preached during the liturgies about Georgia in Italian, Polish and French languages. Petre Kharischirashvili spoke eight languages fluently (Georgian, Italian, French, German, Russian, Polish, Greek and Ottoman). He could preach in eight languages in eloquent and expressive language. The clergy used to listen to Petre's sermons with great pleasure and got acquainted with the history of Georgia.

Petre Kharischirashvili soon became famous among the believers and gained their respect and love. The Pope and Cardinals blessed him and gave support. After that he travelled to the European countries. In accordance with the Pope's permission, he was given a chance to meet higher religious figures and statesmen and explain to them the situation in Georgia. He was given permission to preach and conduct service of liturgy almost everywhere. At the same time, he published a great deal of information about Georgia in the European press and introduced Georgia to almost entire Europe. It was then that he met Father August Darras who translated much information about Georgia from Georgian into French. With Petre's advice, Darras wrote "The Life of St Nino" in French and published it in 1874.

The books printed in the Georgian printing press opened in Venice by Petre Kharischirashvili were well-known and respectively estimated by the prominent scholars of that time – Orientalists of the University of Paris San Martin and Mari Brose, the member of the Russian Academy of Sciences Davit Chubinashvili, a Swiss scholar Dubois de Monpere, vice-consul of Italy in Trabzon Marengo... Among the books printed in Venice the following should be singled out: "The Story of Old and New Testaments", "Lives of the Saints", "Fables by Aesop the Philosopher", "Geography"... In those days the French and Italian press often printed the articles by Petre and his followers about the Georgian Catholics. Their activities promoted the popularization of the history of ancient Georgian culture throughout the world.

Petre Kharischirashvili founded a Georgian monastery first in Italy. It was the monastery of Most Holy Virgin, Immaculate Conception", which received great donation from various higher religious figures. There was also a Brotherhood of the same name founded by the Italian Missionaries earlier in Rome in XVII-XVIII centuries. This is the Brotherhood with the aegis of whom the first Georgian books were printed in Rome. The then Padre Tulukaant Davit also mentions the Brotherhood in the postscript to the books printed in that period – "The Immaculate Conception Brotherhood of the Georgian Catholics". He same was written on the Book of Confession printed in Georgian in 1737.

Petre Kharischirashvili knew that there were over 2000 Georgian families living in Istanbul at that time. His mission and calling was to serve the Georgians living in Istanbul; he decided to care for maintenance of the Georgian identity in the Georgians exiled to the Ottoman Empire. Therefore, he asked for the Popes blessing and moved to Istanbul. He intended to establish a monastery and open a printing press and a school. He was given permission to found a congregation of Georgian Catholics in Istanbul. Soon Petre founded "The Georgian Brotherhood" and conducted liturgy in Georgian. With the support of the Georgian nobility living in Istanbul he managed to establish close contacts with the Ottoman imperial court – the Sultan Palace. The then padishahs – Sultan Abdul Mejid and Sultan Abdul Aziz were of half-Georgian blood, Georgians by their mothers. Sultan Abdul Mejid's mother – Bezmialem Valide Sultan was Georgian Shushani Tavdgiridze by origin and she assisted the Georgians as much as she could. Sultan Aziz's mother was also a Georgian – Fertevnial Sultan (her Georgian surname has not been known so far). The news about Petre Kharischirashvili's intention had already reached the Ottoman palace. Sultan Abdul

Mejid (1839-1861) agreed to give Petre Kharischirashvili permission for purchasing a plot of land in one of the finest districts of Istanbul – Feriqoi (the District of Angels) for constructing a church there. Unfortunately, he died on 25 June, 1861 and was not able to officially sign the order.

The permission for establishing a church was granted by Sultan Abdul Aziz (1861-1876). The foundation of the church was laid on 28 August, 1861 on the holiday celebrating the Most Holy Virgin's day (commemoration day of the Virgin Mary). Soon the conditions were prepared for the construction of the church. In 1865 he founded a monastery as well with a Boy's school attached to it. In connection to this fact Petre addressed the population of Samtskhe-Javakheti with a special letter and appealed to the local youth to get education in Istanbul.

The complete four-storied building of the monastery was built in 1894. The amount of 300 gold was paid for the construction by the Embassy of France in the Ottoman Empire. The monastery soon turned into the cultural and educational center for Christian and Muslim Georgians. Even during the life of Petre Kharischirashvili the Orthodox, Catholic and Muslim Georgian listened to Petre's interesting sermons on Sundays with great pleasure and attended festive events.

The Boys' School opened at the monastery had over 100 pupils in the very first year of admission. The teachers were Georgian Catholic priests who had received education in different higher religious institutions throughout Europe. At the initial stages of teaching the subjects were taught in Georgian whereas at the upper stages different languages were also taught including French, Italian, Greek, Latin, Armenian and Ottoman languages. The following subjects were also taught at the school: Georgian Literature, History of Georgia, World History, Grammar, Rhetoric, Aesthetics, Chanting, Geography, Astronomy, Theology, Medical subjects, Mathematics...

Next to the monastery Petre Kharischirashvili established a **convent** where the sisters and close relatives of the monks living in the monastery were registered as nuns. At the convent soon the **Girls' Georgian-French School** was opened the director of which for over 30 years was **Elisabeth (Ana) Bezhanidze (Bezhanishvili)**, a nun distinguished by her intelligence and purity. She was mother's aunt to honorable **Simon (Alexander) Zazadze**, the present President of the Georgian Catholics Foundation in Istanbul.

In 1870 Petre Kharischirashvili opened a printing press in the monastery. Many interesting books had been printed there. Among them we should mention "Alphonsus Liguori's Sermons" translated from German by Petre himself and published in 1878 under the title "The Way of Life". The following books were also printed there: "**The Martyrs' Crown**", "**Bunch of Flowers**", "**The Divine Prior**", "**A Wise Man**", "**A Concise Rhetoric**", "**French-Georgian Grammar**", "**A Brief Christian Teaching**", "**The garden of Prayer**", "**The Ready Answer**"...

Petre Kharischirashvili opened Georgian Catholic churches in other districts of Istanbul as well, namely: in Pera the church of St. Josef, in Uskudar, Dardanel... He also opened a church-monastery and a Georgian printing press in the city of Montauban in South France. Among the books printed in the Montauban Georgian printing press we should mention "**Human Wisdom**" (1877), "**A Concise Geography**", "**A Concise Textbook for Learning French**", "**General Gistory**" (1877)...

Much was written about Petre Kharischirashvili's activities and merits during his lifetime in the European, Turkish and Georgian printed media in the last quarter of XIX century. Especially much information is placed on the pages of such famous newspapers of those days as "**Droeba**", "**Iveria**", "**Indépendante Belgique**", "**La Türk**", etc.



Great lover of his homeland, selfless guardian of Georgians, splendid popularizer of the Georgian culture, great enlightener, constant preacher of friendship among the peoples, votary of Turkish and Georgian culture and education, a man with a pure heart, **the great Georgian priest Petre Kharischirashvili** died in 1892. He was buried in the church founded by him.

In a beautiful district of Istanbul – Periqoi – in Georgian “The Angels’ Village” the church founded by Petre Kharischirashvili still stands. Many prominent religious and public figures have been educated in the temple blessed by the Pope and Petre as well – Ivane Gvaramadze, Andria Tsinamdzghvrishvili, Stepane Giorgidze, Ioseb and Petre Merabishvili, Pio Balidze, Shalva Vardidze, Elisabeth Bezhanidze, Petre Tatalashvili, Alphons Khitarishvili, Pavle Zazadze, Mikheil Tamarashvili, Michel Tarkhnishvili... with their gift and virtuous pen, Petre Kharischirashvili’s pupils and pupils’ pupils made certain contribution in the development of the Georgian culture, purity of the people educated in this temple as well as strengthening friendship between the nations. The library opened in the church in 1908 under the name of the great Georgian poet Akaki Tsereteli has still been preserved to this day. Today the library is located in a new comfortable apartment equipped with modern equipment; corresponding conditions and climate are provided for book preservation. The library is quite rich. The literature is on 15 languages. The age of books starts from 1523. The number of books including journals and magazines is 83.000 units. The library preserves books, newspapers and journals published in the printing presses of European, Asian and American countries. There are also interesting archive materials. This library is one of the linking bridges in the Georgian-Turkish cultural relations, a kind of treasury of cultural heritage.

Today the devoted guardian and keeper of the famous religious and cultural-educational center - Georgian Catholic Monastery of the Virgin Mary – is Mr Simon Zazadze, the president of the Georgian Catholics Foundation in Istanbul, outstanding personality, Honorary Citizen of Georgia, Honorary Doctor of Tbilisi State University, Batumi Shota Rustaveli State University, Akhaltsikhe Teaching University, Honorary Professor of Kutaisi State University, a great philanthropist, and together with him – the prominent family of the Zazadzeebi in Istanbul. It is with the striving and care of this family and patronage of the Turkish state that this beautiful church and the cultural heritage preserved there was rescued from destruction. We are sure that Petre Kharischirashvili’s soul is still dwelling in the temple blessing and strengthening the Zazadzeebis’ marvelous family in order to preserve this glorious religious and cultural-educational center for the future generations of the Turkish and Georgian nations in one of the beautiful districts of Istanbul.

***Reference:***

1. Zakaria Chichinadze, Padre Petre Kharischirashvili, Tpilisi, 1895;
2. RINALDO MARMARA, DOCUMENTS POUR L'HISTORIE DE L'ÉGLISE GÉORGIÉENNE, Turquie, 1895-1934, Volume I, ISTANBUL, 2018
3. **Şuşana Putkaradze**, İstanbul Gürcü ocağı, Tbilisi, 2012;
4. **Mümin Yıldıztaş**, Osmanlı Arşiv kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, İstanbul, 2012;
5. **Murat Kasap**, Osmanlı Gürcüleri, İstanbul, 2010;
6. **Abdülkadir Dedeoğlu**, Osmanlılar Albümü, İstanbul, 1976;
7. **Evgeni Dalegio Dalesio**, The Georgians in Constantinople, translated from French by Shalva Vardidze, Istanbul, printing press of the Georgian Catholics Abode, 1921;
8. **Mikheil Tamarashvili**, History of Catholicism among Georgians, 1902

## ქართული ეროვნული სულის თავშესაფარი უცხოეთში

დიდია სტამბოლის ქართული სავანის დანიშნულება; მისი როლი მხოლოდ ღვთისმსახურებით როდი შემოიფარგლებოდა. მე – 19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე – 20 საუკუნის 60 – იან წლებამდე ის იყო **საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ერთადერთი ცენტრი**, რომელიც ხელს უწყობდა ქართველთა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებას. ამასთანავე, სავანე მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური კერა იყო და შესაბამისად, იქ ჩქეფდა კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ ღვაწლის შესახებ ცნობები შემოგვინახა მე – 20 საუკუნის პირველი ნახევრის პრესამ, სავანის არქივში დაცულმა მემუარულმა ბარათებმა. კერძოდ, სავანის კულტურული საქმიანობის თაობაზე წერილები გვხვდება ისეთ ჟურნალ – გაზეთებში, როგორცაა: „ივერია“, „დროება“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „მინაური საქმეები“, „სახალხო საქმე“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“ და სხვა. აღნიშნული ჟურნალ – გაზეთები დაცულია სტამბოლის ქართულ სავანის ბიბლიოთეკაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაშინ სავანის კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობა მაღალ დონეზე იდგა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტერი მხოლოდ სასულიერო დაწესებულება არ იყო. ის **პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ პირთა ერთგვარ კერას, საქართველოდან გადახვეწილ მამულიშვილთა პოლიტიკურ თავშესაფარსაც წარმოადგენდა.**

სავანე სამშობლო ქვეყნის მაჯისცემის ფიზიკური მოყურადე იყო და ამიტომაცაა, რომ არაერთი კულტურული საქმიანობის განმახორციელებლად გვევლინებოდა. სტამბოლის სავანეში 1908 წლის 26 აპრილს აღინიშნა დიდებული მგოსნის **აკაკი წერეთლის იუბილე**. სტამბოლის სავანის არქივში დაცულია ორი ხელნაწერი, რომელიც აკაკი წერეთლის იუბილეს აღნიშვნას უკავშირდება. ერთი ხელნაწერი, რომლის ტექსტი სრულყოფილად არაა შემონახული, შედარებით მცირეა, მას წელი არა აქვს მინიშნებული. ჩანს, რომ წერილი ნოემბერის თვეში სტამბოლშია დაწერილი. ხელნაწერიდან ირკვევა, რომ სტამბოლის ქართულ საზოგადოებას გადაუწყვეტია ა. წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილის აღნიშვნა. ისინი სამართლიანად მიიჩნევენ მგოსნის იუბილეს დიდ ეროვნულ დღესასწაულად. წერილის თანახმად, 6 ნოემბერს სტამბოლის ქართველობას ჩაუტარებია საზოგადო კრება. ამ კრებაზე სიტყვით დამსწრე საზოგადოებისათვის მიუმართავს **ვლადიმერ წერეთელს**. ხელნაწერს შემოუნახავს ვ. წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ის საუბრობს აკაკის დამსახურებაზე, მის ღვაწლზე და განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ აკაკი თავდადებით ემსახურება სამშობლოს და ქართული ლიტერატურის წინსვლას. მისი შემოქმედებით ხალხის, ერის სამსახურში დგას და მისი ჩანგი ჭირ-ვარამს აჟღერებს. ამასთანავე, გამოკვეთს, რომ აკაკი წერეთელი ის მწერალია, რომლის სახელი მთელმა საქართველომ იცის და მისი ლექსები ის ლექსებია, რომლებიც სიმღერადაა ქცეული:

ვლადიმერ წერეთლის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ორმოცდაათი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს დიდებულმა შვილმა აკაკი წერეთელმა დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მას აქეთ თავდადებულად ემსახურება სამშობლო ქვეყანას და ლიტერატურას. ბევრი სიმწარე, ბევრი ტანჯვაც და შევიწროებაც გამოიარა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ მგოსანმა გული არ გაიტეხა, არ უღალატა თავის მოწოდებას და იმ ქარცეცხლშიაც მხნეთ აწარმოვა ქართული ლიტერატურის სვე-ბედი. არც მუქთად ჩაიარა შრომამ: მის ხელში ქართული სიტყვაკაზმული

მწერლობა აყვავდა და გაიფურჩქნა. მისი ჩანგის სიმები იმ დღიდან აქამომდე მუდამ ხალხის გულთან იყო გადაბმული, ერის ჭირ-ვარამის გარშემო ჟღერდა. ამიტომ იგი შეიქმნა ხალხის საყვარელი პოეტი: საქართველოში არ მოიძებნება იმისთანა კაცი, რომ ცოტაოდენი რამ არ გაეგებოდეს და არ იცოდეს, ვინ არი და რა არი აკაკი. მისი ტკბილი ლექსები, ბევრი სიმღერად გადაკეთებული, დღეს ყველგან გაიგონება. ამ ნოემბრის დამლევს მთელი საქართველო დღესასწაულობს მისი მოღვაწეობის ორმოცდაათი სწლისთავს. კუთხე არ არი ჩვენი ქვეყნისა, რომ დიდებული პოეტის საიუბილეოდ არ ემზადებოდეს და ჩვენც სტამბოლელი ქართველები...“ (ამით მთავრდება ხელნაწერი).

სტამბოლის ქართული საგანის ბიბლიოთეკაში შენახულია გაზეთ „დროების“ ნომრები. მათ შორისაა 1908 წლის 25 ნოემბრის №6, რომელშიც მივაკვლიეთ აღნიშნული ხელნაწერის სრულ ტექსტს. ტექსტი ასე გრძელდება: „...და ჩვენც, სტამბოლელი ქართველები, შევუერთდეთ ჩვენს სამშობლოს; გამოვარკვიოთ, რა სახით მივიღოთ მონაწილეობა აკაკის იუბილეში და რით აღვნიშნოთ იგი.“

გაზეთი მოგვითხრობს, რომ „ვლადიმერ წერეთლის სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი. ბევრი რამ გამოსთქვეს; სთქვეს ისიც, რომ სასურველია, ერთი მასწავლებელი ვიყოლიოთ ქართული ენისა, თორემ ჩვენი შვილები ქართულს ივიწყებენო (წერილის სრული ტექსტი იხ. კრებულის პირველ ტომში, კარი მესამე; „აკაკის იუბილეი სტამბოლში“, გაზეთი „დროება“, 25 ნოემბერი, 1908, №6).

არქივში მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, რომ სტამბოლში შექმნილა აკაკის საიუბილეო კომიტეტი. სწორედ, ამ კომიტეტის მოხსენების გადაწყვეტილების თანახმად უნდა გახსნილიყო სტამბოლის ქართული საგანის ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც ა. წერეთლის სახელი უნდა მიენიჭებინათ. აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დასაარსებლად საზოგადოებას შეძლებისდაგვარად შეუკრებია თანხა. შეგროვილი თანხით მგოსნისათვის მისალოცი დეპეშა და მილოცვა გაუგზავნიათ. ასევე, თანხის ნაწილი გაუგზავნიათ წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში აკაკისა და სხვა მწერლების სურათებისა და წიგნების გამოსაწერად.

სტამბოლის ქართული საგანის არქივში დაცულია სტამბოლის ქართველთა ერთსულოვნებით დაწერილი აკაკის საიუბილეო კომიტეტის მოხსენების ხელნაწერი. აღნიშნულ ხელნაწერში მოცემულია მგოსნის შემოქმედების შეფასება; იგი ქართველი ერის მესაიდუმლედ, ერის უდიდებულეს პოეტადაა მიჩნეული. მისი ნაღვაწის მთავარ დამსახურებად იმას თვლიან, რომ ქვეყნის წარსული, მომავალი და აწმყო იკითხება მის ლექსებსა თუ პოემებში და რაც მთავარია, ქართული ეროვნული სულითაა ნასაზრდოები მისი შემოქმედება. ხელნაწერიდან ჩანს, რომ პოეტის სიტყვა არ დაკარგულა; ის ხვდება ქართველის გულს. მის შემოქმედებაში გაცოცხლებული გმირების ვაჟკაცობა კი მაგალითი უნდა იყოს ქართველისათვის. მწერლის ღირსებად მიიჩნევენ იმასაც, რომ მან პირუთვნელად დაგმო და გაკიცხა ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეები. ამასთანავე, იმედიც დაუსახა მთელ ერს.

ხელნაწერი მოგვითხრობს: „თქვენ იყავით ჩვენ ახალ პოეტთა შორის უპირველესი, უნიჭიერესი. თქვენ ლექსებში და პოემებში მშვენივრად გამოხატეთ საქართველოს წარსული, მომავალი და აწმყო; თქვენ შთაბერეთ ნამდვილი ქართული, ეროვნული და თავისებური სული იმ მშვენიერსა და დიდებულ ნაწარმოებებში, რომელიც ამშვენებს დღეს ქართულ ლიტერატურასა. თქვენ ჰგავდით ჩვენს დიდებულ წარსულსა და ამ გოდებაში, მართლაც, ისმოდა ქართველის ის მწარე კვნესა, რომელიც სწორედ თქვენის წყალობით ღრმადა სწვდება ქართველის გულსა, აგლოვინებს მამულის სიყვარულსა და დაკარგულ ბედზე დატირებს. თქვენ აღწერეთ, აგრეთვე,

ჩვენი გმირები, რომელთა ვაჟკაცობა მაგალითად უნდა დაედვას ყოველ დღევანდელ ქართველსა, დაფიდან აღარა დაეძვებ გმირებს ყოველთვის, რომ კვლავ გაიღვიძოს, ჯერ კიდევ ცოცხალმა, მხოლოდ დროებით მიძინებულმა საქართველომ. თქვენ პირუთვნელად დაჰგმეთ და აღშფოთებით გაკიცხეთ ის ცუდი მხარეები ჩვენის ცხოვრების, რომელიც აღორძინდა ჩვენს ჩაგრულს ქვეყანაში ამ უკანასკნელის მონობის დროსა. თქვენ, სამაგიეროდ, გული არ გაიტყუებთ და ჩაგრულ და შეურაცხყოფილ, გასრესილ და დაცემულ საქართველოზე და გმირულადაც შესძახებთ საქართველოს, – „მოვა დრო და ჯაჭვს გაიხსნის, თავს აიშვებს გმირთაგმირი,“ – და ამით გულს იმედი ჩაუსახებთ მთელს ერსა“, – ნათქვამია საიუბილეო კომიტეტის განაცხადში.

ასევე, სამართლიანად მიჩნეულია მგოსანი ქართული ენის გამამშვენიერებლად: „**თქვენ განამშვენიერეთ ქართული ენა**, თქვენ აღადგინეთ იგი დაცემისაგან, თქვენ დაუბრუნეთ ერს დიდი საუნჯე, რომელიც მან მასალად გათხოვათ, მასვე დაუბრუნეთ გამშვენიერებული და გასპეტაკებული სახით, როგორც ხელოვნება, – უდიდესი ხელოვნება მეტყველებისა“.

ხელნაწერიდან ნათლად ჩანს გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დიდებული მგოსნის მიმართ. მათი აზრით, აკაკისთანა პოეტი ერის დამამშვენიებელია და უკვდავების სახელის მომხვეჭია. გულისტკივილითაა აღნიშნული ისიც, რომ ბევრჯერ აკაკისთანა დიდებულ ადამიანს ძირ-მწარით გაუმასპინძლდნენ. თუმცა იმედოვნებენ მგოსნის დიდსულოვნებით, რომ პოეტი თავის საყვარელ ერს აპატიებს: „იმ მწერლებს, იმ პოეტებს, რომელთაც ეპოქა შეუქმნიათ ერის ცხოვრებაში, მის ლიტერატურაში, რომელსაც გამოუხატავთ მთელი სული ერისა, მისი სრული სახე, – გენიოსები ჰქვია და **გენიოსთა დაფასება კი რამდენიმე შთამომავლობის ხანგრძლივ მუშაობას თუ ძალუძს**. ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რომ აკაკისთანა პოეტი, რომელიც გინდათ დიდებულ ერს დაამშვენებდა და უკვდავების სახელს მოუხვეჭდა, ჩვენ ისიც ვიცით, რომ **დიდებული ერი მას დაფნის გვირგვინით შეუმკობდა შუბლსა** და ეცდებოდა, რაც შეიძლება მეტი სიტკბოება ესმია მის მეტყველ ბაგეთათვის; ჩვენ კი ძლიერ ბევრჯერ ძირ-მწარით გაუმასპინძლდით ჩვენს დიდებულ ადამიანსა, მაგრამ დიდსულოვანი პოეტი იმედია აპატიებს ამას იმ ერს, რომელიც მას უყვარდა, უყვარს და ერთად-ერთი საგანია მისი მღერისა, მის ცეცხლ-მომკიდებელი ტრფობისა“...

მგოსანს უდიდესი მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით ულოცავენ 50 წლის მოღვაწეობას, მის დაუღალავ შრომას შორეულ ქვეყანაში – **ბიზანტიის ძველ სატახტო ქალაქში მცხოვრები ქართველები**: „ჩვენც, შორეულ ქვეყანაში გადარჩენილნი, გულწრფელ სალამს გიძღვნით, გილოცავთ თქვენის ნახევრის საუკუნის შრომის იუბილესა, იმედი გვაქვს, რომ ის ერი, რომლის სამსახურს თქვენ თავი შესწირეთ, რომელმაც დიდი აკაკი წარმოშვა, არ დაილუპება არასდროს, შეიძლება აღარც კი სძინავდეს და უკვე გაიღვიძა და ბიზანტიის ძველი სატახტო ქალაქიდან, რომელიც იმავე დროს ახალგაღვიძებულ ოსმალეთის სატახტო ქალაქია, – ჩვენც ჩვენის სუსტის, მაგრამ წრფელი გულიდან ამონალები ხმით ვიბარებთ: გაუმარჯოს აკაკის, დიდებულ მგოსანსა და მის 50 წლის დაუღალავ შრომას, **გაუმარჯოს მისი სიყვარულის საგანს, მის ვარდს, ვინაიდან მუდამ ვარდზედ მჯდომარე შეყვარებული ბულბულია, გაუმარჯოს საქართველოს!**“

ხელნაწერი მთავრდება ისევ გულწრფელი მილოცვით. სტამბოლში მცხოვრები ქართველები იმედოვნებენ, რომ მათი მცირედი საქმით უკვდავყოფენ დიდებული მგოსნის სახელს და პოეტის მოღვაწეობა ისევდაისევ საქართველოს, ერის მსახურებას მიეძღვნება: „დღეს, შორიდან, ყველა სჯულისა და რწმენის ქართველობა გილოცავთ ბრწყინვალე იუბილესა; დღეს, ყველანი ჩვენ, შვერთებულის ძალით, ვსცდილობთ მცირე საქმითაც აქ უკვდავყოთ სახელი შენი და შენთან ერთად შევძახოთ, – **გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს, გაუმარჯოს მის ისეთ ბრწყინ-**

**ვალე მომავალსა**, ... რომლის უპირველესი შემოქმედი თქვენა ხართ და თქვენ იქმნებით უკანასკნელ წუთამდე. ღმერთს ვსთხოვ, რომ სიკვდილამდე გაგეგრძოთ თქვენი ბრწყინვალე მოღვაწეობა საქართველოს აღდგინებისათვის და უკვდავებისათვის“.

ამ საკითხით დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, აკაკის იუბილის გადახდა მაშინ, 1908 წლის ნოემბრის თვეში, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რის გამოც სტამბოლელ ქართველობას, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ღირსეულად ჩაუტარებიათ ეს ეროვნული დღესასწაული.

1909 წლის 26 აპრილს სტამბოლში, **ფერიქოის** ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იმართება აკაკისადმი მიძღვნილი საღამო. დაწვრილებით ცნობებს ამის შესახებ გვაწვდის იმდროინდელი ქართული პრესა. „სტამბოლში განზრახული აკაკის იუბილეი თავის დროზე ვერ იქნა გადახდილი. მიზეზი იყო დაგვიანება საქართველოდამ დაბარებულ წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათებისა; ჩვენი სურვილი იყო, იუბილესათვის მზათა გვექონოდა **აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც**, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალწინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველი ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები.

დაბარებული ნივთები მოგვივიდა დიდი მარხვის ბოლო კვირეებში და საქმის მოთავეებმა დიდად იმეცადინეს და ყველაფრით გაემზადნენ ამ დღისთვის. საიუბილეო კომიტეტმა მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა საზოგადოებას, მაგრამ, ოსმალეთის უკანასკნელი ამბების გამო, კვლავ შეფერხდა საქმე. თუმცა არც ეხლაა სრული მშვიდობიანობა, სამხედრო წესი მოქმედებს და აქაური მაჰმადიანი ქართველები, მეტ წილად სამსახურში ან ახალგაზრდა ოსმალთა წრეებში მყოფნი, გართულნი არიან საქმეებში და ზოგმა მოცდა ითხოვა, მაგრამ გვეფიქრიანა, შემდეგ უფრო მეტი დაბრკოლება არ შეგვხვედროდა და **26 აპრილისათვის დაენიშნეთ დღესასწაული**.

... ვინც 26 აპრილს ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო. იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე. მონასტრის უმცროსი ძმების ხელით მშვენვირად იყო მორთული საკმაოდ მოზრდილი ზალა და სურათი აკაკისა. სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზე ზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: **„აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი“**. გული გვეთანაღვრებოდა: დროება მძიმეა და ვაითუ ხალხი სულ ცოტა მოვიდესო, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა. ორ საათზე ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავის ოჯახებით. დაესწრო, სხვათა შორის, სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით გამოძევილებული და დღეს აქ მყოფი რუსული გაზეთების კორესპოდენტი **ი. ამირეჯიბი**. მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენდა სასიამოვნოდ, **მაჰმადიანი ქართველებიც, მაღალი ჩინის მატარებელნიც კი**. მართალია, ისინი რიცხვით მცირენი იყვნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ეს მხოლოდ სტამბოლში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო იყო; გული მწყდება, რომ **ბევრი პატივსაცემი მაჰმადიანი ქართველი უკვდავებასავით ელოდა ამ დღეს**, მაგრამ, ვინ იცის, სამსახურმა ვის რა საქმე გაუჩინა და ვერ შეძლო მოსვლა, ვერ ეზიარა ამ დღესასწაულს...“ (იხ. გაზეთი „დროება“, N 101, 1909 წ.).

დღის სამ საათზე აკაკი წერეთლის სახელობა პარაკლისი გადაუხდია მონასტრის წინამძღვრის მოადგილეს მღვდელ **სტეფანე გიორგიძეს** ქართული საგალობლით. მასვე წარმოუთქვამს აკაკისადმი მიძღვნილი გულმხურვალე სიტყვა. მისასალმებელი სიტყვებით დამსწრე საზოგადოება გაუხარებიათ **იასე რაჭველს (მეხუზლას)**, საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს **ვლადიმერ წერეთელს**, თბილისიდან ჩასულ **პატრს დომინიკე მულაშაშვილს**... გაზეთში ვკითხულობთ, რომ „სიტყვებს ზედ მოჰყვა მუსიკა; უკრავდნენ წმ. იოსების სკოლის მოსწავლეები ამავე სკოლის

დირექტორის მამა ანდრია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით. მათ სპეციალურად ამ დღისთვის შეესწავლათ ქართული „მრავალჯამიერი“. „კარგ სიტყვებთან მოსწავლეთა მხიარული მუსიკაც მშვენიერი დამატება იყო; ძლიერ ისიამოვნა საზოგადოებამ.

შემდეგ მონასტრის ეზოში დამსწრეთ საერთო სურათი გადაიღეს.

ნამდვილი ლხინი გაიმართა ბიბლიოთეკის გახსნაზე. დაათვალიერეს წიგნების შკაფი, რომლის თავთა შვენოდა საქართველოს ღერბი; ხოლო, რაც ზედმეტი წიგნი იყო, იქვე დაურიგდა დამსწრეთ, ვისაც რა შეხვდა.

უკვე საღამოს შვიდი საათი თავდებოდა, ხალხი რომ დაიშალა დიდად კმაყოფილი...“ (იხ. „აკაკის იუბილური სტამბოლში“ (წერილი სტამბოლიდან), გაზეთი „დროება“, 9 მაისი, 1909 წელი, №101, გვ.3).

სტამბოლში 1909 წლის 26 აპრილს აკაკი წერეთლის იუბილუ, მართალია, პოეტის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, მაგრამ სულ რაღაც ორიოდე თვის შემდეგ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, სტამბოლელ ქართველებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი თვალთ ეხილათ დიდი მოსანი და პირადად მიელოცათ მისთვის სახელოვანი იუბილუ.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1909 წლის 14 ივლისს ბათომიდან სტამბოლზე გავლით აკაკი მიემგზავრება საფრანგეთში მყოფ ცოლშვილთან. სტამბოლამდე მგზავრობისას აკაკი შეივლის ტრაპიზონში, სადაც ნახულობს იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ მეორის საფლავს და გადმოიწერს ეპიტაფიას. საბედნიეროდ, ყოველივე ეს თვითონ აქვს მოთხრობილი აკაკის თავის „მგზავრის შენიშვნებში“ (იხ. აკაკი წერეთელი, „ტრაპიზონი“ (მგზავრის შენიშვნები), ჟურნალი „განათლება“, 1910 წელი, № 7; შდრ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 14, თბ; 1961, გვ. 363 – 364); გ. შარაძე, აკაკის იუბილუ, თბ., 2006, გვ.274).

ტრაპიზონის შემდეგ აკაკი გემით მიემგზავრება სტამბოლისაკენ, სადაც იქაური ქართველობა ერთი დღით შეჩერებულ საყვარელ პოეტს უწყობს საზეიმო შეხვედრას. ქალაქისა და მისი ღირშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ, აკაკიმ მოინახულა ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და ესაუბრა ქართველ სასულიერო პირებს, შესახვედრად მოსულ საზოგადოებას. ამ შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს 1909 წლის 20 აგვისტოს გაზეთი „დროება“ (იხ. № 184) „გადახვეწილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „აკაკი სტამბოლში“. გაზეთში ვკითხულობთ: „აქ გაიარა ევროპაში მიმავალმა აკაკი წერეთელმა. აქაურ ქართველობას აკაკის მოლოდინი არა ჰქონდა, რადგან მისი განზრახული მოგზაურობა წინდაწინ არვინ იცოდა. მხოლოდ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა ვლადიმერ ჯიბოს ძე წერეთელმა მიიღო წინა დღეს კერძო დეპეშა და მთელი საზოგადოება მიიწვია აკაკის დასახვედრად. იმ დღეს დილაადრიან სტამბოლის ნავსადგურში თავი მოიყარა იქაურ ქართველთა პატარა ოჯახმა. ყველას საქმისთვის თავი დაენებებინა. ლაპარაკი აკაკის სახელის გარშემო ტრიალებდა. ყველა მოუთმენლის სიხარულით ელოდა ჰაკეს გემს, რომელსაც ჩვენი სასიქადულო სტუმარი უნდა მოეყვანა...

...პირველად აკაკიმ მოისურვა ენახა ქართველ კათოლიკეთა ფერიქიის მონასტერი, სადაც ებაასა ქართველ პატრებს და შეკრებილ ხალხს. ყველა გულდადებით ისმენდა საყვარელი მოსნის თითოეულ სიტყვას. ბალები, რომელნიც აკაკის თავს დასტრიალებდნენ, გაკვირვებულნი უსმენდნენ, თითქოს სცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ მია აკაკის აზრებს...სადილის შემდეგ მოსანმა მოისურვა შესანიშნავ ადგილების დათვალიერება. სხვათა შორის, დაათვალიერა აია – სოფია და პარლამენტი, სადაც მას შეეგებნენ ქართველი მუსლიმანი დეპუტატები.

საღამოს სტამბოლის ქართველობა გულდაწყვეტილი გამოემშვიდობა საყვარელ მოსანს“ .

სტამბოლის შემდეგ აკაკიმ გეზი საფრანგეთისაკენ აიღო.

პარიზში აკაკის იქაურმა ქართველებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. პარიზელი ქართველებისათვის გახსნეს აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა. დიდი პოეტის **პარიზში** ყოფნას გამოეხმაურა ფრანგული პრესა. მაგრამ შორ გზაზე მგზავრობით დაქანცული პოეტი პარიზში შეუძლოდ გამხდარა. **იაკობ გოგებაშვილს** აკაკი პარიზიდან ატყობინებდა: „მას უკან აქა ვარ პარიზში, მაგრამ ჯერ ოთახიდან არ გამოვსულვარ. ვერა ვარ კარგად და ექიმის საშუალებაც არა მაქვს. **უშარი** (დოქტორია) მარტო გასასინჯავს იღებს სამას ფრანკს და მერე კიდევ საკურორტო სხვა იქნებაო. მე სულ სამასი მანეთით წამოვედი მანდედან და იქიდანაც ნახევარი გზის ქირად დამეხარჯა. დამრჩა სულ თხუთმეტი თუმანი და ისიც მალე შემომეხარჯება ღვთით. ასე რომ, რომ ვიექიმო, საშუალება არ არის, და ღმერთთან სწორი სჯობს, არცა ვღირვარ. ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. გუშინ გავათავე პოემა „**ვარანცოვი**“ და შევატყვე თავს, რომ ძალინ შორს ჩამოვგორებულვარ თავდაღმართში“(იქვე).

პარიზიდან აკაკის მიმოწერა ჰქონდა რომში მოღვაწე **მიხეილ თამარაშვილთან**. იქ ჩასვლა სურდა და იტალიურსაც ამიტომ სწავლობდა. რომშიც ემზადებოდნენ იქაური ქართველები საყვარელ პოეტთან შესახვედრად. სტამბოლელი ქართველებიც ფიქრობდნენ, რომ პარიზიდან რომში ჩასული აკაკი სტამბოლში გამოივლიდა და ერთხელ კიდევ მოეფერებოდნენ მას. მაგრამ აკაკის ხელმოკლეობამ და ჯანგატეხილობამ გადააფიქრებინა **პარიზიდან რომი – სტამბოლის** გზით უკან დაბრუნება და სამშობლოში სულ სხვა მარშრუტით – **გერმანიაზე** გავლით გადაწყვიტა წამოსვლა.

სწორედ, მაშინ უნდა მოეწერა მღვდელ **იოსებ მერაბიშვილისათვის** წერილი აკაკის. ეს წერილია შენახული სტამბოლის ქართულ სავანეში. წერილი ნაჩქარევად დაწერილს ჰგავს. მასზე თარიღიც არაა მითითებული. აკაკის ეს პატარა ბარათი პირველად დაიბეჭდა ამ კრებულის პირველ ტომში. მკითხველს აქვე ვთავაზობთ ძვირფასი მგოსნის ამ პატარა ბარათს, რომელშიც მოცემული მცირე ინფორმაცია ბიოგრაფიული ხასიათისაა: „**კონსტანტინეპოლში** გამოვლა, როგორც ვხედავ, აღარ მომიხდება, მაგრამ რომში კი ვფიქრობ წასვლას ამ თვის დამლევს, თუ მოვახერხებ. იქ მე, რასაკვირველია, უცხო ვიქნები, მაგრამ **თამარაშვილის** იმედი მაქვს, თუ იქ იქმნა... სტამბოლის ქართველობამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბევრი მქონდა მოსალაპარაკებელი, მაგრამ, ვიფიქრე, ამ მოკლე ხანში რაღას მოვასწრებ-მეთქი და სამერმისოდ გადავხედავ. ახლა კი ვსწუხარ, რომ არ დავრჩი, რამდენიმე ხნით. მე ვერავარ კარგად და დიდი მოწყენილიც ვიქნებოდი, რომ წერით არ ვიყო გართული. ამას გარდაც, იტალიანური სახელმძღვანელო მიმოვინა აქ შვილმა. იმას შევუდექი ამ სიბერის დროს. იმედი მაქვს ცოტაოდენი მაინც შევისწავლო. **დავითები მარად თქვენი ბედნიერების მოსურნე აკაკი**“.

1910 წლის 29 იანვარს მგოსანი აკაკი წერეთელი თბილისში ჩამოდის. იუწყებოდა გაზეთი „დროება“ („დროება“, 1910, № 22).

სტამბოლის ქართულ სავანეში ტრადიციულად ყოველწლიურად აღინიშნებოდა **ნინოობის დღესასწაული**. ამ დღესასწაულს ორმხრივი დანიშნულება ჰქონდა. ერთი რომ ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა აღევლინებოდა ფერიქოის უმანკო ჩასახების სავანეში 14 იანვარს და მეორე, იქ მყოფი ქართველობა, სწორედ, ამ დღეს თითქმის უკლებლივ იკრიბებოდნენ. ბუნებრივია, რომ ეს ღონისძიება აისახა პრესის ფურცლებზე. იმავე 1909 წლის „დროებაში“ დაბეჭდილია **ქართველიშვილის** (რაჟდენ ხუნდაძის) წერილი „**ნინოობა სტამბოლში**“. აქ დეტალურად აღწერილია ნინოობის დღესასწაული. ასევე, ვგებულობთ, რომ წირვის შემდეგ იქაური ქართული საზოგადოება შეიკრიბა საქველმოქმედო მიზნით. კრებას დაესწრნენ მონასტრის იმჟამინდელი უფროსი – წინამძღვარი **ბენედიქტე ვარდიძე (ჩილინგარიშვილი)**, მამა **ანდრია წინამძღვარიშვილი** და



**პატრი მერაბი (იოსებ მერაბიშვილი).** სწორედ, ამ კრებაზე ვლ. წერეთელმა წარადგინა აკაკის საიუბილეო კომიტეტი. მანვე იქ შეკრებილ ქართველ საზოგადოებას ანგარიში წარუდგინა. კერძოდ, ილიას მკვლელობის ამბებთან დაკავშირებით მის სახელზე გაუხსნიათ ფონდი და თანხა გაუგზავნიათ „ისრის“ რედაქციაში 1907 წლის 18 ოქტომბერს. გარდა ამისა, მათ სურვილი გამოუთქვამთ, რომ ჩამოყალიბდეს სტამბოლელ ქართველთა გამაერთიანებელი საზოგადოება – „ერთობა“, რათა შეკავშირდნენ და საერთო ძალით სწიონ **ეროვნული უღელი**. საზოგადოების საქველმოქმედო საქმიანობის დასტურია კასის დაარსება, საიდანაც დახმარება უნდა მიეღოთ სტამბოლში მყოფ უმწეოდ დარჩენილ და ეკონომიურად გაჭირვებულ ქართველობას.

სტამბოლის ქართული სავანის საქმიანობაში ბუნებრივია, რთული დღეებიც მდგარა. განსაკუთრებული გულისტკივილი კი გამოუწვევია იმას, რომ თანდათან ქართული ტიპიკონით აღარ აღევლინებოდა წირვა – ლოცვა. აღნიშნულზეა საუბარი წერილში – „ქართული ტიპიკონი და სტამბოლელი ქართველობა“ (იხ. ჟურნალი „შინაური საქმეები“, №4, 1913), საიდანაც ვგებულობთ, რომ ქართველ ბერ – მონაზვნებს თხოვნით მიუმართავთ რომის **პაპის პიო X – თვის**, რათა ნინოობა ქართული ტიპიკონისამებრ გადაიხადონ. თხოვნა გაუთვალისწინებია პაპს და მღვდელ **პიო ბალიძეს** გადაუხდია ეს წირვა ქართულად.

ამავე საკითხს ეხება „მარანელი“ წერილში „წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში („შინაური საქმეები“, 1913წ., №2, გვ.6 – 7). ჩანს, რომ პ. ბალიძეს და შ. ვარდიძეს თანამწირველობით შესრულდა 14 იანვარს ნინოობის ლიტურდია უმანკო ჩასახების სავანეში ქართულ ენაზე. გამოთქმულია გულისტკივილი, რომ სავანის დამაარსებლის სიკვდილის შემდეგ ქართულმა ტიპიკონმა დაკარგა მფარველი.

სტამბოლის ქართული სავანე არასდროს გულგრილი არ დარჩენილა ეროვნული საქმეების მიმართ. 1919 წელს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ცნობით ვგებულობთ, რომ 26 მაისს იქაურმა ქართველობამ უმანკო ჩასახების სავანის ძმობის მეთაურობით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი („საქართველოს რესპუბლიკა“, 1919წ., №161. გვ.1). ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის „სახალხო საქმე“ (1919, № 582, გვ. 2).

სტამბოლის სავანე დიდ ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, საგანმანათლებლო საქმიანობას. 1897წ. იასე რაჭველი „ივერიაში“ ბეჭდავს წერილს (უსათაუროდ), რომელიც მოგვითხრობს, რომ წინა წელს (1896წ) **სტამბოლში დაარსებულა ქართულ – ფრანგული სკოლა პატრი სტეფანეს თაოსნობით**, სადაც ათამდის მესხი ყმაწვილი სწავლობდა. ავტორი მაღლობას უხდის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ, რომ სკოლისათვის გამოუგზავნიათ სახელმძღვანელო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

განსაკუთრებით საინტერესოა სავანეში მოღვაწე პირის – სავანის წინამძღვრის – **შიო ბათმანაშვილის** წერილი „**მივხედოთ ჩვენს მოძმეებს**“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში „თემი“. სტატიაში (იხ. გაზეთი „თემი“, 1913 წელი, №116) საუბარია, რომ პატრონობა უნდა **გამაჰმადიანებულ ძმებს**, რათა **სრულიად არ დაგვეკარგონ**. სტამბოლში მყოფ ქართველებს გადაუწყვეტიათ ოსმალეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველობაში გაავრცელონ ქართული წერა – კითხვა და ამრიგად, საშობლოს დაუბრუნონ გადახვეწილნი. წუხილია, რომ ქართველები აქ – იქ შერეულ ქორწინებაში არიან, თათრებზე თხოვდებიან, მათაც მოჰყავთ თურქი ცოლები. აქამდე ეს იშვიათი იყო. თათრის ქალებს კი ქართული ენა სძულთ. თვითონ არ სწავლობენ, შვილებსაც უშლიან ქართულად ლაპარაკს. ბათმანაშვილის აზრით, მედგარი მუშაობაა საჭირო, რომ ქართველობა არ გადაგვარდეს. საჭიროა **„სხვანაირი ცოცხალი ძეგლი დაგუდგათ ქართველობის უკვ-დავებას**. შევხედოთ მესხებს... იმათ შორის **დავანთოთ მეცნიერების ლამპარი**, ამაზედ უკეთესად

ვერაფერი გაანათებს შოთას სულს“. ავტორი უსაჭიროეს მოთხოვნად მიიჩნევს, რომ რუსთველის სახელობის ერთი სასწავლებელი ან სტამბოლში, ან ბურსას მახლობელ ადგილებში გაიხსნას, სადაც სწავლა მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარმოებდეს. იმედოვნებს, რომ შეძლებული ქართველობა ხელს შეუწყობს ამ საქმეს.

ქართული სავანე და სტამბოლელი ქართველობა საქველმოქმედო საქმიანობას ყოველთვის ეწეოდა. სტამბოლელ ქართველებს რუსთველის ძეგლის შესაქმნელი ფონდისთვის შეგროვილი ფული გაუგზავნიათ „ივერიის“ რედაქციისათვის („ივერია“, 1893, №281, გვ.2, იასე რაჭველი, წერილი რედაქციის მიმართ). ამრიგად, სტამბოლის ქართული სავანე დაარსებისთანავე ქართული სულიერების, ეროვნული ცნობიერების, ქართული სულისკვეთების გაძლიერებისა და გადარჩენის ქომაგი იყო. იქ განხორციელებული კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობა ამის უტყუარი დადასტურებაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გადახვეწილი (მ. წერეთელი), აკაკი სტამბოლში, გაზეთი „დროება“, № 184, გვ. 2, 1909 ;
2. ქართველიშვილი, ნინოზა სტამბოლში, გაზეთი „დროება“, №25, გვ. 2 – 3, 1909;
3. ქართველიშვილი, აკაკის იუბილუი სტამბოლში, გაზეთი „დროება“, №101, 1909;
4. ქართული ტიპიკონი და სტამბოლელი ქართველობა, ავტორია შ.ბ (ფსევდონიმით) გაზეთი „შინაური საქმეები“, №4, გვ.11 – 12, 1913 ;
5. მარანელი, წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში, „შინაური საქმეები“, №2, გვ. 6 – 7, 1913;
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №161, გვ.1, 1919;
7. გაზეთი „სახალხო საქმე“, № 582, გვ.2, 1919;
8. გაზეთი „ივერია“, № 281, გვ.2, 1893;
9. იასე რაჭველი, წერილი სტამბოლიდან, გაზეთი „ივერია“, №146, გვ.3, 1894;
10. შიო ბათმანაშვილი, მივხედოთ ჩვენს მოძმეებს, გაზეთი „თემი“, №116, 1913;
11. შარაძე გ., აკაკის იუბილე, თბ., 2006.

### The Shelter of the Georgian National Spirit Abroad

The mission of the Georgian cloister in Istanbul is great; its role was not restricted only to divine service. From the second half of the 19<sup>th</sup> century up to the 1960s it was the only center of Georgian culture abroad that fostered strengthening of the national identity of the Georgians as well as encouraging the spirit of the nation. At the same time, the cloister was the significant center for Kartvelian studies and, accordingly, it promoted the successful development of cultural-educational activities. The information about this contribution was preserved in the media of the first half of the 20<sup>th</sup> century as well as the memoir cards preserved in the archive of the cloister. Namely, the letters on the cultural activities of the cloister have been preserved in such journals and newspapers as “Iveria”, “Droeba” (“Times”), “Sakartvelos Respublika” (Republic of Georgia), “Shinauri Sakmeebi” (“Internal Affairs”), “Sakhalkho Sakme” (“People’s Affairs”), “Sakhalkho Gazeti” (“People’s Newspaper”), “Temi” (“Community”) and others. The mentioned newspapers and journals are kept at the library of the Georgian Cloister in Istanbul. We can say that at that time the cultural and educational activities were conducted at a high level in the cloister. It is natural, inasmuch as the Georgian Catholic Monastery in Istanbul was not a religious institution only. **It also represented a political sheltering and gathering center for patriotic fellow citizens exiled from their motherland.**

The cloister was the active watch guard of the homeland’s life. Therefore, a number of cultural activities had been carried out within its walls. On 26 April 1908 the cloister celebrated the jubilee of the famous Georgian poet Akaki Tsereteli. Two manuscripts are preserved at the cloister library that are related to the celebration of Akaki’s jubilee. One of the manuscripts is short and not completely preserved. The date is not indicated but the letter seems to be written in November in Istanbul. The manuscript makes clear that the Istanbul community had decided to mark the 50<sup>th</sup> anniversary of Akaki Tsereteli’s public activities. They considered the date as a great national holiday. According to the letter, the Georgian community in Istanbul had held a general meeting on 6 November. Vladimer Tsereteli addressed the audience in his public speech. The manuscript has preserved the speech made by V. Tsereteli. He talks about Akaki’s merits and contribution and specially highlights that Akaki heartfully serves his country and does his best to promote Georgian literature. He serves the Georgian nation with his creative works and his lyre weeps of the adversity of his people. He also remarks that Akaki Tsereteli is a writer whose name is well-known all over the country and his verses are turned into songs.

Vladimer Tsereteli’s notes read as follows: “it has been 50 years since the great son of Georgia Akaki Tsereteli started his public activities. Since that time he has painstakingly been serving his homeland and literature. There was a lot of suffering and harassment during this time but he did not give up, never betrayed his calling and courageously promoted the Georgian literature. This was not a vain endeavor: Georgian imaginative literature has flourished and bloomed under his care. The strings of his lyre have always been bound to the hearts of the Georgian people. That is the reason that he has become people’s beloved poet. You cannot find a single person in the country unaware of Akaki’s name and poetry. His sweet poems, turned into songs, can be heard everywhere. The 50<sup>th</sup> anniversary of Akaki’s public activities is widely celebrated throughout the country on these late November days. There is no part in our country

that is not making preparations for the celebration and we, the Georgians in Istanbul.....” Here the letter is disrupted and the manuscript ends.

The library of the Georgian cloister in Istanbul preserved the issues of the newspaper “Droeba”. Among them is the issue №6 of 25 November 1908 in which we found the full text of the manuscript. This is how the letter ends: “... and we, the Georgians in Istanbul, should join our motherland and find out how we can participate in the celebration of Akaki’s jubilee.”

The newspaper says that “after Vladimer Tsereteli’s speech a discussion arose. Many ideas were expressed; it was also remarked that it would have been good to have at least one teacher of Georgian because the new generation was forgetting the language (see the full version of the letter in Collection vol.1, part three: “Akaki’s Jubilee in Istanbul”, newsp. “Droeba”, 25 November 1908, №6).

The materials found in the archive show that a committee was formed for Akaki’s jubilee. The resolution made by this committee served as the basis for opening a library of the Georgian cloister in Istanbul, named after Akaki Tsereteli. The community had collected money for the establishment of the library. With the collected money the community had sent a telegram of congratulation to the poet. Part of this money was also sent to the bookshop of the Society for Spreading Literacy among Georgians to order Akaki’s and other writers’ photos and books.

The archive of the Georgian cloister in Istanbul preserves the manuscript of the paper written by the jubilee committee. The mentioned manuscript gives the assessment of the poet’s creative work; he is considered as the confidant and the Georgian nation and the greatest poet. The main merit of his work is that his verses and poems reflect nation’s past, present and future and, most importantly, his creations are fed on the Georgian national spirit. The manuscript shows that the poet’s word had not been lost, he felt the heart of Georgians and the brevity of the heroes revived in his works should give example to every Georgian. The writer’s dignity is also worth considering that he had openly condemned and rebuked vices of the people as well. On the other hand, he also engendered hope to the entire nation.

The manuscript reads: “You were the first and most talented among the new poets; you have brilliantly expressed Georgia’s past, present and future in your verses and poems; you have rendered a genuine Georgian, national spirit in your beautiful and glorious works that belong to the treasury of the Georgian literature. You resembled the past of our country with weeping together with Georgian people who sought for heroes and saviors inspired by the brave-heart characters from your works. You have inspired our nation to hope for the best future, promising that Amirani, changed to the Caucasus, would soon be unchained and free to liberate the Georgian nation”.

The poet is also rightfully considered as the beautifier of the native Georgian language. The manuscript also shows the sincere love and respect towards the great poet. In their opinion, poets like Akaki, serve to immortalizing their countries. It is also regretfully remarked, that quit often great people like Akaki, are painfully treated by compatriots but owing to Akaki’s generosity he will pardon his homeland, hopefully.

The Georgians living in the ancient capital city of Byzantium also congratulated the great poet on his 50<sup>th</sup> anniversary of literary activities. As they remarked: “He is a nightingale sitting on a rose – Georgia, as his object of love. Long live to Georgia!” – This is how they end their speech.

The manuscript ends in one more congratulation. The Georgians living in Istanbul express their hope that with their little labor they will immortalize the great poet’s name and the poet’s activities will be dedicated to the service of his nation.

The readers interested in this issue should know that due to various reasons, the celebration of Akaki's jubilee was not made possible to hold in November 1908. However, the Georgians in Istanbul managed to celebrate this national event later.

The event dedicated to the celebration of Akaki's jubilee was held in the Georgian Catholic Monastery in Istanbul on 26 April 1909. The details can be found in the periodicals of that period. The information provides the reasons for delay – belated arrival of books and picture materials from Georgia. The article also describes the emotions and great number of participants including Christian and Muslim Georgians as well (“Droeba”, N 101, 1909).

At 3 pm that day a prayer was served in the name of Akaki Tsereteli by Stephane Giorgidze with Georgian church songs. He made a welcome speech too. The speeches were also made by IAse RACHveli (Mekhuzla), Vladimer Tsereteli (Head of the Jubilee Committee), Dominike Mughashashvili (who arrived from Tbilisi)... at the end of the event a group photo was taken. The opening of a library was a real celebration. The audience enjoyed the event indeed (see “Akaki's Jubilee in Istanbul [e letter from Istanbul]”, “Droeba”, 9 May 1909, №101, p.3).

Although Akaki Tsereteli's jubilee on 26 April 1909 was held without the poet's personal participation, the Georgians living in Istanbul had the pleasure to meet the great poet in two months' time, with a lucky chance, and personally congratulate him on his anniversary.

According to the historical sources, on 14 July 1909 Akaki was travelling from Batumi to France through Istanbul to visit his family. Before getting to Istanbul Akaki visited the grave of the last king of Imereti in Trabzon and copied the epitaph from the tombstone. Fortunately, the information is told by Akaki himself in his “TRaveller's Notes” (see Akaki Tsereteli, “Trabzon” (Traveler's Notes), journal “Ganatleba”, 1910, № 7; cf. Akaki Tsereteli, complete collection of works, vol. 14, Tb.; 1961, pp. 363-364); G. Sharadze, Akaki's Jubilee, Tb., 2006, p.274).

After Trabzon Akaki sails to Istanbul where he stays for a day and is solemnly met by the Georgians living there. After sightseeing the city and its vicinities, Akaki visited the Georgian Catholic Monastery and talked to the Georgian clergy and community. The meeting is described in an article of the newspaper “Droeba” of 20 August 1909 (see № 184) under the title „Akaki in Istanbul” published under the pseudonym “Gadakhvetsili” (exiled).

After Istanbul Akaki Tsereteli continued the journey to France.

Akaki was heartily welcomed by the Georgian in Paris as well. A library named after Akaki Tsereteli was opened for the Georgians living in Paris. The French press responded to Akaki's visit in Paris. However, the long journey might have affected the poet and he became sick in Paris. In his letter to Iakob Gogebashvili, Akaki writes that he still feels feeble and cannot leave the room. Neither could he have proper treatment from the doctor owing to lack of money. From Paris Akaki also had correspondence with Mikheil Tamarashvili in Rome. Akaki wanted to visit Italy, learning Italian for this purpose. The Georgians living in Rome were also preparing a meeting with the beloved poet. Georgians in Istanbul also thought that while traveling to Rome from Paris, Akaki would pass through Istanbul and meet them once more. Due to the lack of finances as well as bad health, Akaki was unable to return to Georgia from Paris via Rome-Istanbul route but changed the plans and returned through Germany.

It was then that Akaki must have sent a letter to Ioseb Merabishvili. The letter is kept at the Georgian cloister. It seems to be written in a hurry. Neither is it dated. This small letter from Akaki was first published in volume 1 of this collection.

On 29 January 1910 Akaki Tsereteli arrives to Tbilisi – wrote the newspaper “Droeba” (“Droeba”, 1910, № 22).

The holiday of Ninooba (St Nino’s Day) was traditionally annually celebrated at the Georgian cloister in Istanbul. The holiday used to have a double purpose. The first was that the liturgy was served in Georgian on 14 January at the church of Immaculate Conception, and the second – it was the day when all the Georgians living in Istanbul gathered completely. Naturally, the event was covered by the press. In the same issue of “Droeba” in 1909, a letter is published – “Ninooba in Istanbul” by Kartvelishvili (Razhden Khundadze). The article describes the event in details. After the celebration, a charity meeting was arranged attended by the prior of the monastery – Benedict Vardidze (Chilingarishvili), father Andria Tsinamdzgvrishvili and padre Merab (Ioseb Merabishvili). It was at this meeting that Vl. Tsereteli presented the committee for Akaki Tsereteli’s jubilee. He also presented a report to the attending audience. Namely, in connection to Ilia’s assassination, a foundation was opened and an amount of money was sent to the editorial office of “Isari” on 18 October 1907. Apart from this, they expressed a wish to establish a society of “Unity” that might unify the Georgians in Istanbul. The proof of the charity activities of the foundation is that they established a cashbox for the needy and economically poor Georgian in Istanbul.

Certainly, there were difficult times in the activities of the Georgian cloister in Istanbul. Particularly painful was the fact that liturgy gradually ceased to be served in Georgian. The situation is described in the letter titled “Georgian Typikon and Georgian in Istanbul” (see journal “Internal Affairs”, N4, 1913), from which we learn that the Georgian monks had applied to the Pope Pius X asking to serve St Nino’s day in Georgian. The request was sustained and the clergyman Pio Balidze served the liturgy in Georgian on that day.

The same topic is touched upon in the article “St Nino’s Holiday in Istanbul”, by “Maraneli” in the same journal (“Internal Affairs”, 1913, N2, pp.6-7). It shows that both P. Balidze and Sh. Vardidze co-served the liturgy on St. Nino’s Day on 14 January at the church of the Immaculate Conception in the Georgian language. The article also reveals the sadness on having lost the patronage for the gorgian rite of Typikon after the death of the founder of the cloister.

The Georgian cloister in Istanbul never stayed indifferent towards the national activities. With the information published in “Sakartvelos Respublica” (“Republic of Georgia”) in 1919, we learn that on 26 May the local Georgians celebrated the anniversary of the Independence Day of Georgia together with fellowship of the church of the Immaculate Conception (“Sakartvelos Respublica”, 1919, N 161, p. 1). The same information is provided by the “Sakhalkho sakme” (“People’s Deeds”, 1919, N 582, p. 2).

The Istanbul cloister paid great attention to the educational activities as well. In 1897 Iase Rachveli published an article in the “Iveria’ (without a title) saying that the previous year (1896) a **Georgian-French school was founded in Istanbul** by the initiative of Padre Stephen. About ten Meskhi boys were studying there. The author expressed his gratitude towards the Society for Spreading Literacy in Georgia and the publishers of Georgian newspapers and journals for sending textbooks and periodicals to the school.

A special attention should be given to the letter “We Should Take Care of Our Brothers” published by the prior of the cloister – **Shio Batmanashvili** in the newspaper “Temi” (“Community”). The article (see newspaper “Temi”, 1913, N 116) writes that the brothers, who became Muslims, require assistance in order not to get completely lost. The Georgian living in Istanbul decided to spread literacy – reading and writing abilities in Georgian language – among the Georgians living in various regions of the Ottoman Empire. It would be the way to return the exiles to their motherland. They also express their concern about mixed

marriages that became so frequent. Turkish women hated Georgian and prohibited their children from mixed marriages to talk in Georgian. In Batmanishvili's opinion, a strong struggle is needed to prevent degrading of the Georgians. The author thinks it necessary to demand opening of a school named after Rustaveli either in Istanbul or in Bursa vicinities where teaching would be only in Georgian. He hopes that wealthy Georgians support the case.

The Georgian cloister and Istanbul Georgians had always conducted charity activities. The Georgians from Istanbul sent the money collected for the foundation of Rustaveli monument to the editorial office of "Iveria" ("Iveria", 1893, N 281, p. 2, Iase Rachveli, a letter to the editorial board).

In conclusion, the Georgian monastery in Istanbul has been the promoter of Georgian spirituality, national consciousness and awareness since its foundation. The cultural-educational activities conducted here are the proof to this statement.

#### **References:**

1. Gadakhvetsili (M. Tsereteli), Akaki in Istanbul, newspaper "Droeba", № 184, p. 2, 1909;
2. Kartvelishvili, Ninooba in Istanbul, newspaper "Droeba", №25, pp. 2-3, 1909;
3. Kartvelishvili, Akaki's Jubilee in Istanbul, newspaper "Droeba" №101, 1909;
4. Georgian Typikon and Istanbul Georgians, author Sh. B. (Pseudonym), newspaper "Internal Affairs", №4, pp.11-12, 1913;
5. Maraneli, St Nino's Day in Istanbul, newspaper "Internal Affairs", №2, pp. 6-7, 1913;
6. Newspaper "Sakartvelos Respublika" ("Republic of Georgia"), №161, p.1, 1919;
7. Newspaper "National Deeds", № 582, p. 2, 1919;
8. Newspaper "Iveria", № 281, p. 2, 1893;
9. Iase Rachveli, A Letter from Istanbul, newspaper "Iveria", №146, p. 3, 1894;
10. Shio Batmanashvili, Take Care of Our Brothers, newspaper "Temi" ("Community"), №116, 1913;
11. Sharadze G., Akaki's Jubilee, Tb., 2006.

## სიკმეთის სამსახურში დახარჯული სიცოცხლე

ქართველი ერის ისტორიას არაერთი ღირსეული მამულიშვილის სახელი ამშვენებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეულია თურქეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი **სიმონ პავლეს ძე ზაზაძე**. სამწუხაროდ, საქართველომ, თურქეთის ქართველობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა მისი გარდაცვალებით. არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი გარდაცვალებით აკლდებიან მთელ ერს. ასეთი გახლდათ ბატონი სიმონი.

სიმონ ზაზაძე დაიბადა თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცენატის **პავლე ზაზაძის** ოჯახში, სადაც გამოიწროთ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. ის მამასთან ერთად ერთ-ერთ დარაჯად ედგა სტამბოლის ქართულ კერას, მის მდიდარ ბიბლიოთეკასა და სიძველეთ-საცავს; დარაჯად ედგა იმ სავანეს, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების აღორძინებას, ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას ხელს უწყობდა. დღეს სტამბოლის ცენტრალურ უბანში – ფერიქოში რომ დგას ქართული სავანე, მისი ბიბლიოთეკა რომ ხელუხლებლადაა შენახული ბატონ **სიმონ ზაზაძის** დამსახურებაა.

სიმონ ზაზაძის ცხოვრების გზა მისაზაბი და სამაგალითოა. ამიტომაც ვცდილობთ თვალი გადავავლოთ მას. მონასტრის არქივში ინახება 8 წლის **სიმონ ზაზაძის** ბარათი თავისი მასწავლებლის **შალვა ვარდიძისთვის** დაწერილი. ბარათი სამშობლოს სიყვარულითაა გამთბარი: „**მე ვარ პატარა ქართველი... მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედაენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს. სამშობლოს სილამაზის სიყვარულს თქვენ მასწავლით... დამაცადეთ, ცოტა კიდევ გავიზარდო, დედ-მამასთან ერთად ჩვენი მშვენიერი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალით ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო, რასაც დღეს წიგნში მაკითხამ და მაშინ ნახავთ ჩემს ქართველობას, ჩემს ქართულ ლაპარაკსა და წერაკითხვას, ჩემს მამულიშვილობას... თქვენი ეხლა დათესილი მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფსა და მდიდარ ნაყოფსაც“.** ამას 1941 წლის 14 ივნისს წერს და აუხდა ნატვრა. კიდევ მოინახულა სათაყვანებელი სამშობლო, კიდევ იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდი ქართველი.

ზაზაძეების ოჯახი, მათი საქმიანობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის წამყვან ქვეყნებშია ცნობილი. ბატონი სიმონი სტამბოლიდან სამშობლო ქვეყნის მაჯისცემის მოყურადეა. ბატონი სიმონის დამსახურებაა, რომ თბილისში ხშირად ჩამოდის და ურთულეს ოპერაციებს აკეთებს მსოფლიოში ცნობილი კარდიოქირურგი, პროფესორი **აქსფენდიოს ქალანგოსი**, შვეიცარიის მოქალაქე, სიმონ ზაზაძის სიძე. სწორედ სიმონ ზაზაძის დაინტერესებით მოხერხდა თბილისში კ. ერისთავის სახელობის ქირურგის ეროვნულ ცენტრში კარდიოქირურგიის კლინიკის „**ღია გულის**“ გახსნა. მისი დაფინანსებით ბევრი ქართველი გადაურჩა სიკვდილს.

ბატონი სიმონი ქართული კულტურის მოამაგე და ქომაგი იყო არა მარტო სტამბოლში, არამედ მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ემიგრანტ ქართველთა მიერ დაარსებულ კულტურის კერებსაც. წლების განმავლობაში აფინანსებდა ჟურნალ **„ბედი ქართლისას“** ქართულ და ფრანგულენოვან ნომრებს. მამა-შვილი პავლე და სიმონ ზაზაძეები ებმარებოდნენ საზღვარგარეთ არსებულ სხვა პერიოდულ გამოცემებსაც, როგორცაა: „**კავკასიონი**“, „**პრომეთე**“, „**გუშაგი**“, „**საქართველოს გუშაგი**“, „**თეთრი გიორგი**“, „**თავისუფალი საქართველო**“ და



სხვა. ბატონი სიმონი ფინანსურად ხშირად ეხმარებოდა, აგრეთვე, სტამბოლში გამომავალ ჟურნალებს – „ჩვენებურსა“ და „ფიროსმანს“.

2006 წელს, თავის ისტორიულ სამშობლოში სტუმრობისას, ახალციხის უნივერსიტეტმა ის აირჩია საპატიო დოქტორად, ხოლო ახალციხის მხარემ – საპატიო მოქალაქედ. ბატონი სიმონის სტუმრობა ახალციხეში გადაიქცა საერთო-სახალხო ზეიმად. სიმონ ზაზაძე არჩეული იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, აგრეთვე, ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად. იყო საქართველოს საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენით დაჯილდოებული.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, რომ პირადად ვიცნობდით ამ დიდ ადამიანს, ქველმოქმედს, საქართველოს მოსიყვარულე-მოამაგეს. სიბრძნით გამორჩეული ბრძანდებოდა ბატონი სიმონი. მისი სიბრძნე აშკარად გამოსჭვივოდა უდიდეს თავმდაბლობასა და მოკრძალებაში. ამ მართლაცდა რკინისებური პიროვნების მიღმა უდიდესი გულისხმიერება და უბრალოება იმალებოდა. ამაშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით ჩანდა მისი დიდი ადამიანობა. მის იერსახეს უდიდესი სათნოება ამშვენებდა. ის სულიერი თვისებებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ფაქიზი, მოწესრიგებული, ღრმა აზრიანი სულიერი სამყაროთი მდიდარი ქართველი. იგი კეთილი, გულმოწყალე კაცის სახელით დააბიჯებდა მრვალმილიონიანი ქალაქის ყოველდღიურობაში. ცხადია, რთულია, რომ ატარო კარგი ადამიანის სახელი. დიახ, მისი მისამართით თამამად იტყვიან ნაცნობ-მეგობრები, რომ ნამდვილად იყო გამორჩეული და დიდბუნებოვანი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცნობილ ბიზნესმენს, ჰქონდა ეკონომიკის დარგში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ ეს არაფრად ჩანდა იმ დიდ ღირსეულ და რთულ პროფესიასთან, რომელსაც ბატონი სიმონი დაუფლებოდა – ეს პროფესია მისი დიდი ადამიანობა გახლდათ. ის ადამიანთა სულის შემსწავლელი დიდი ხელოვნების მფლობელიც ბრძანდებოდა. ეს ხელოვნებაც ისევ და ისევ ჭეშმარიტი ადამიანობა იყო. მისი კეთილშობილური ადამიანობით, კეთილი გულით სხვასაც ათბობდა, უანგაროდ გასცემდა სიტბოს გარშემომყოფებს, აძლიერებდა მათ და ეხმარებოდა. იმაზე მშვენიერი და ამაღლებული რა უნდა იყოს, რომ მრავალ ადამიანს მიანიჭო ბედნიერება. ბევრს ძალუმს სხვისთვის სიხარულის მინიჭება, ხელის გაწვდენა, მაგრამ არ აკეთებენ მას. ბატონი სიმონი კი ყველასათვის იყო მხსნელი, მშველელი, დროზე მისწრებული მალამო. სხვისი სიხარულით ტკბობის უნარი ბედნიერს ხდიდა. უფალი ერთეულებს დაანათლებს ხოლმე ასეთ რჩეულობას.

ბევრის მთქმელი იყო მისი სიტყვა, ქცევა და საქმე. მასზე დაკვირვებით ბევრის სწავლა შეიძლებოდა. მის მდუმარებაშიც რაღაც უიშვიათესი სიდიადე ჩანდა. ბევრს ისწავლიდა კაცი მისგან. ნათქვამი იქნებ ვინმეს გადაჭარბებული შექება მოეჩვენოს, მაგრამ არა იმას, ვინც იცნობდა ბატონ სიმონს. ის ცხოვრებისეული წიგნი იყო, რომელიც უნდა წაგვეკითხა და მთავარია, სწორად გაგვეგო.

მშობლიური კუთხის სიყვარულით სავსე ჯიქანმა ისე გამოკვება, რომ ყოველივე კეთილი დასადგურებელიყო მასში. მას შეემლო სხვისთვის სიხარული ეჩუქებინა, გაეთბო სხვათა გულები. ეს ხომ დიდი ადამიანური ბუნების მქონეთა ხვედრია. ხელეწიფებოდა კეთილი საქმეების გაკეთება და არ იშურებდა მას. ამიტომაც ყველგან სიყვარულითა და თბილი ღიმილით ხვდებოდნენ მას.

წლების სიმძიმეს არ ეპუებოდა. აქტიური ყოველდღიურობით ცოცხლობდა. ალიონს ასწრებდა გაღვიძებას. მისი სამუშაო დღე დილის 5 საათიდან იწყებოდა. შრომის სიყვარული, შრომის მაღლი და გარჯა მშობლებისაგან მიეღო.

მშობლები იყვნენ მისთვის მაგალითის მიმცემნი. შრომას მიჩვეული სხვისგანაც ბოლომდე გახარჯვას ითხოვდა. სტამბოლის ქართულ სავანეში ჩვენი ექსპედიციის ყოფნისას ყოველდღე დილაადრიან მოგვინახულებდა, მოგვიკითხავდა, მრავალგზის გაგვიმეორებდა – რამე ხომ არ გინდათო. შემდეგ ჩქარობდა, **საყდარში** მივდივარო. ყოველი დილის 8 საათზე მოკრძალებით შეაბიჯებდა საყდარში (ამ ძველ ქართულ სიტყვას იყენებდა მუდამ), აანთებდა სანთელს, ილოცებდა და ისე მიდიოდა სამსახურში. მამისგან ნაანდერძევი ჰქონია ეს ჩვევა. ჩქარობდა მოხუცი, საყდრისკენ მიიჩქაროდა. იქ ხომ მამის სახე ცოცხლდებოდა მის წარმოსახვაში. მამის **პავლე ზაზაძის** სიცოცხლის ბოლო პერიოდზე, აი, რას ყვებიან: **ლოგინად ჩავარდნამდე** თითქმის ყოველდღე მიდიოდა საყდარში, **ლოცულობდა, დაობლებული, დაცარიელებული მონასტრის კარებს კრძალვით შეაღებდა, მონაზონთა საცხოვრებელ ოთახებში შეიხედავდა, სავანის ბიბლიოთეკაში ჩამოჯდებოდა თავის შვილიშვილთან პავლე (პოლ) ზაზაძესთან ერთად და საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა, იქიდან ნაღვლიანი თვალებით გადახედავდა ფერიქოის. ეამაყებოდა ისიც, რომ წმ. ექვთიმეს მსგავსად ერთგულად სდარაჯობდა უცხოეთში შენახულ ქართულ საუნჯეს. სიამაყით გადახედავდა ხოლმე ახალციხის სოფლებიდან ჩამოტანილი ხეხილის ნერგებით შემოსილ მონასტრის ბაღს. აი, კიდევ რატომ ჩქარობდა ყოველდღიურად საყდრისაკენ ბატონი სიმონი. იქ თავადაც ოცნებით მამის სულს გაესაუბრებოდა. ამით ივსებოდა, ისრუტავდა ძალას, მშობლიურ ფესვებთან სიახლოვეს უცხო ქვეყანაში ამით ახერხებდა და ეს აძლიერებდა ბატონ სიმონს.**

„მამა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე კარგი გაკვეთილი იყო. ბევრი იმუშავე და ცოტა ილაპარაკე“, – მეტყოდა მამაჩემიო. ამას ხშირად იხსენებდა ბატონი სიმონი უდიდესი მოკრძალებით. იგი განსაკუთრებით დავალებული იყო მამისგან, მისგან ბევრი რომ ჰქონდა ნასწავლი; მათ შორის მთავარი იყო **სიმართლისმოყვარეობა, სიცრუის სიძულვილი**. ბატონი სიმონი მუდამ იხსენებდა მამის დარიგებას: „ტყუილი არ თქვაო. ამ თითს ხედავ?“–მაჩვენებდა ხოლმე საჩვენებელ თითს მამაო. „**როგორც ამ თითის უკან ვერ დაიმალები, ისე ტყუილსაც ვერ გაექცევი, გამტყუნდები, სირცხვილს ჰამ, შერცხვებიო...** მამა ძალიან გონიერი, მოხერხებული, გამბედავი, სიმართლისმოყვარე, თავაზიანი, წესრიგიანი, შრომისმოყვარე, ნამდვილი ქართველი იყო“. – უდიდესი სიყვარულით ჰყვებოდა ლამაზ მოგონებებს ბატონი სიმონი მამაზე. ვინც ბატონ სიმონს სამუშაო ოთახში სწვევია, სამუშაო მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მამის სურათს შეამჩნევდა. მამის სურათი, მისი გამოხედვა, აძლიერებდა, ნუგეშს, იმედს აძლევდა ბატონ სიმონს, მომავლის გზას უჩვენებდა. „**მამა ჩემთან არის, ცხოვრების სწორ გზაზე მატარებს ხოლმეო**“,– ხშირად ჩაურთავდა ამ სიტყვებს საუბარში.

ბატონი სიმონი გულთბილი მასპინძელი, თანამშრომლობაში საოცრად თბილი და უანგარო ბრძანდებოდა; ასე დაგვამახსოვრდა ბატონი სიმონ ზაზაძე ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს. ქალბატონი **შუშანა ფუტკარაძე** მისთვის ის ერთადერთი პიროვნება და მეცნიერი იყო, ვისაც მამის ანდერძის თანახმად, ანდო ქართული სავანის წიგნთსაცავის შესწავლა. ქალბატონი შუშანას ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ყოველწლიურად ჩავდიოდით სტამბოლში ბატონ სიმონთან ქართული საქმის საკეთებლად. სწორედ, ქალბატონ **შუშანას თაოსნობით ასწლოვანი მტვერისგან განთავისუფლდა ბიბლიოთეკის საგანძური და თანამედროვე დონეზე მოეწყო ახალ შენობაში განთავსებული ბიბლიოთეკა**. ამ თანამშრომლობას სამშობლოდან მასთან, სტამბოლის უკიდევანო სივრცეში, ჩაჰქონდა მშობლიური სურნელი.

დღესაც სიყვარულით ვიხსენებთ მასთან შეხვედრის წუთებს; თვალწინ ცოცხლდება, თუ როგორი სიყვარულით, სათუთად და მოკრძალებით ელოლიავებოდა წიგნთსაცავის თითოეულ

ფურცელს ბატონი სიმონი. ვგრძნობდით, რომ მოგონებად ცოცხლდებოდა მის ცნობიერებაში, სავანეში ყოფნის ყოველი დღე, ლამაზი წარსული. პატარაობიდანვე იქ ტრიალებდა ბატონი სიმონი. იგი საუბრებში ხშირად იგონებდა იქაურ პირობებს: მონასტრის სკოლაში როგორ აჩვევდნენ წესრიგს, სიფაქიზეს, ზრდილობას. ახსოვდა აღმზრდელ-მასწავლებლები, მაშინდელი ცხოვრების სურათებს ხშირად იგონებდა: ეკლესია-მონასტრის ირგვლივ დიდი ყანები, ბაღები იყო. ქათმები, ბატები, ინდაურები ჰყავდათ მონაზვნებსო: ხანდახან პატარა წიწილებს ჩუქნიდნენ თურმე. მისი ყოველდღიურობა, ცხოვრების ნაწილი, იყო სავანე. ამასთანავე, **უცხო ქვეყნის ცის ქვეშ ერთგვარი ნავსაყუდელიც ეს სავანე იყო, სულის საოხად იქ მიდიოდა. იქ მსუბუქად ადგამდა ფეხს, თითქოს შორიდან ქართული მიწის მოფერებას იქ გრძნობდა, მონასტრის ცივი კედლები სამშობლოს სიყვარულზე იქ ეჩურჩულებოდნენ;** ქართული სიტყვა იქ, სავანეში, ესმოდა; ეროვნული სულისკვეთებით იქ იმსჭვალებოდა.

... ჩვენი საქმიანობა დიდ და ლამაზ ურთიერთობაში გადაიზარდა. ბატონი სიმონი ხშირად გვიმასპინძლდებოდა თავის ლამაზ ოჯახში. ჩვენ იქ პატარა საქართველო ვიყავით მისთვის, ჩვენთან საუბრით ხარობდა; აცნობდა ჩვენს თავს მის ირგვლივ მყოფ საზოგადოებას; წიგნების გასუფთავების პროცესში რომ გვნახავდა, გულწრფელად ხარობდა მოხუცის გული. განსაკუთრებული და – ძმური სიყვარულით და უდიდესი სითბოთი ხვდებოდა **ქალბატონ შუშანას**. ულამაზესი იყო ეს ურთიერთობანი. რამდენჯერ ვმსხდარვართ მისი სასახლის აყვავებულ ეზოში; **თბილ საუბარსა და მოგონებებში საათები წამივით იპარებოდა, თითქოს ვერ ველოდით ერთმანეთს.** მასთან ერთად ხარობდა მისი უკეთილშობილესი მეუღლე **ქალბატონი ქლაუდე...** ეს ეხლა ლამაზ მოგონებებად რჩება, ერთგვარ ნუგეშად, **სამშობლოს გულწრფელი სიყვარულის მაგალითად.**

ბატონი სიმონი ღირსეული მამის ღირსეული შვილი იყო, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელი, საქართველოდან ჩასულთა მასპინძელი. გვწამს, მის საქმეს ასევე ღირსეულად გააგრძელებს მისი შვილი პავლე ზაზაძე და სტამბოლის ამ ლამაზ უბანში ისევე შენარჩუნდება „პატარა საქართველოს“ თბილი კერა.

ბატონი სიმონი ის ქართველთაგანია, რომელიც ისტორიულ ბედუკუდმართობას მოუწყვეტია მშობლიური კუთხისათვის, მამაპაპისეული ბუდიდან სხვაგან დაფრთიანებულია, მაგრამ ქართულ ფესვებს, ქართულ გენს, ქართულ სისხლს მაინც თავისი გაუტანია. სტამბოლის ქართულ სავანეში მას ისტორიული სამშობლოს ფესვები ძალუმაღ იზიდავდა და სამშობლოს მონატრების გრძნობით მოძრაობდა მის ძარღვებში მიმდინარე სისხლი. მამაპაპისეული, წინაპართა საძვალეების მიწა ეძახდა, ფესვები სამშობლოსკენ ეწეოდა, სისხლი ახალციხეში დაბრუნებაზე უყიოდა; ბევრს ფიქრობდა სამშობლოს მომავალზე, დიდებულ წარსულს თვალს მოავლებდა და ამბობდა კიდევ: „**მე ქართველი ვარ, საქართველოსთვის ვარ, ამის მეტი არაფერი ვიცი**“.

სიმონ ზაზაძის პიროვნებაში განცხადდა ქართული გენის სიძლიერე, მისი უკვდავება. ზაზაძეების ოჯახმა თავისი ეროვნული მეობა და მრწამსი ვაჟკაცურად გამოატარა წუთისოფლის ქარტეხილებს; უცვლელად, თავდაუზოგავად შეინარჩუნა ლამაზი გვარსახელი – ზაზაძე და თავისი სულიერება. ვინ იცის, ეს გზა როგორი ეკლიანი იყო; მაგრამ ყოველივეს გაუძლო, დაძლია და დღეს მთელმა თურქეთმა იცის ამ მისაბადი პიროვნების ქართული გვარი – ზაზაძე. ამიტომაცაა დასაფასებელი და სათაყვანო მისი პიროვნება, მისი დიდი ქართველობა. მტკიცედ გვჯერა, რომ მამის კვალს გაჰყვება მისი ოჯახი, მისი ძვირფასი ვაჟი ბატონი პავლე (პოლ) ზაზაძე და გააგრძელებს სიცოცხლეს ქართული გვარსახელი – ზაზაძე მრავალმილიონიან დიდ ქვეყანაში,

ჩვენს კარისმეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში, თურქი და ქართველი ხალხის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის სიმბოლოდ.

სამწუხაროდ, გაჩერდა სამშობლოზე ფიქრით მშფოთვარე გული. ქირურგიულ ჩარევას აღარ დაელოდა ბატონი სიმონის გული. უნებლიედ გვახსენდება **ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „გული“**. ემიგრანტი ქართველის გული დაფერფლილიყო სამშობლოს მონატრების გრძნობით. ბატონი სიმონის გულიც, ალბათ, ანალოგიურად დაფერფლილ-დაფლეთილი, დასერილ-დაკოდილი იქნებოდა საქართველოს, მშობლიური ახალციხის სიყვარულით. დიდბუნებოვანმა, გაუტეხელმა და შეუდრეკელმა ადამიანმა სამზერად არავინ ჩაახედა მის დაფერფლილ გულში, რათა სხვას არ ამოეცნო მისი გულის ფერფლად ქცევის მიზეზი და იგიც არ დამწუხრებელიყო ახალციხის ფერადოვანი ყვავილების ხილვას მოწყურებული სათუთი გულის ტკივილით.

დიახ, ადამიანები ორი სიცოცხლით ცოცხლობენ – ერთია საკუთარი, პირადი სიცოცხლე, რომელიც მთავრდება აღსრულებისთანავე, **ხოლო მეორე სიცოცხლე ხალხის გულშია**, რომელიც არასოდეს მთავრდება, არასოდეს ეძლევა დავიწყებას. **ასეთი სიცოცხლით იცხოვრა ბატონმა სიმონმა და ყველა ნაცნობის გულში უკვდავად დაისადგურა**. მისი პიროვნების პატივისმცემლებს ამჟამად სანუგეშოდ დაგვრჩა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში გახსნილი სპეციალური კაბინეტი – **„სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის კვლევის ცენტრი“**, რომელსაც მალე მიენიჭება ბატონ სიმონ ზაზაძის სახელი.

კიდევ ერთხელ დიდ გულისტკივილს გამოვხატავთ ასეთი დიდი ქართველის გარდაცვალების გამო. მას შემდეგ სამწელიწადნახევარი გავიდა უკვე, ჩვენ კი გუშინდელი ამბავი გგონია და მწარედ გვახსოვს. ერთხელ კიდევ ვუთანაგრძნობთ ბატონი სიმონის ოჯახს, თურქეთში მცხოვრებ ქართველობას და მის სათაყვანებელ სამშობლოს – საქართველოს.

**უფალმა ნათელი დაუმკვიდროს ბატონ სიმონ ზაზაძის სულს, ამინ!**

**Elza Putkaradze, Shorena Putkaradze**

### **Life Spent in Serving Kindness**

The history of the Georgian nation is adorned with the names of many dignified personalities. One of such distinguished names is Simona Zazadze, the representative of the Georgian emigration in Turkey. Georgia, as well as the Georgians in Istanbul, have suffered great loss on his death. There are people whose deaths diminish the whole nation. Mr Simon is among them.

Simon Zazadze was born in the family of Pavle Zazadze, a Georgian philanthropist living and working in Turkey where he was brought up with sincere love of his motherland. Together with his father he used to stand on guard to the Georgian hearth in Istanbul, its rich library and depository; he was the guardian of the abode which promoted the revival of the national spirit of the Georgian people and awakening of the national self-consciousness. It is Mr. Simon Zazadze's merit that the Georgian cloister is still preserved with its library in the central part of Istanbul – Ferikoy today.

Simon Zazadze's life is worthy and exemplary. That is why we are trying to have a glance at it. The archive of the monastery keeps eight-year-old Simon Zazadze's letter to his teacher Shalva Vardidze. The letter is permeated with love for his motherland: "I am a little Georgian... I have not been to Georgia yet

to see its beauty with my own eyes, or hear the sweetness of the mother tongue with my own ears. You are teaching me how to love my motherland... Just wait, I will grow up and visit my beautiful Georgia, see and feel what I am reading in the books today. And then, you will see how well I will speak and read Georgian, be a good Georgian...what you sow today will have a great fruit in future.” The author wrote it on 14 June 1941 and his dream came true. He managed to visit his homeland and become a true patriot, great Georgian.

The family of the Zazadze and their activities are well known not only in Georgia but throughout Europe as well. Mr. Zazadze felt the pulse of his native Georgia from Istanbul. It is owing to him that the world famous cardio-surgeon, professor **Akspendios Kalangos**, a citizen of Switzerland and Simon Zazadze’s son-in-law, so often arrives in Tbilisi to perform most difficult operations. It was on Simon Zazadze’s initiative that a clinic “Open Heart” was opened in the K. Eristavi National Center of Surgery in Tbilisi.

Mr Simon Zazadze was the supporter and promoter of the Georgian culture not only in Istanbul but of the cultural centers established by Georgian emigrants in Europe and America. For years he used to finance the series of the journal “Bedi Kartlisa” (“Kartli’s Fate”) in Georgian and French languages. Father and son – Pavle and Simon Zazadze assisted other periodical publications abroad such as “Kavkasioni”, “Promete”, “Gushagi”, “Sakartvelos Gushagi”, “Tetri Giorgi”, “Tavisupali Sakartvelo” and others. Simon Zazadze also assisted financially the journals – “Chveneburi” and “Pirosmani” published in Istanbul.

In 2006, while visiting his historical motherland, the Akhaltsikhe University elected him as an Honorary Doctor, whereas the region of Akhaltsikhe elected him as an Honorary Citizen. Mr Simon’s visit in Akhaltsike turned into a national celebration. Simon Zazadze was also elected as Honorary Doctor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Batumi Shota Rustaveli State University and Kutaisi Akaki Tsereteli State University. He was the Honorary Citizen of Georgia and was awarded with the Order of Merit.

We were lucky to have personally known this great man, philanthropist and lover of Georgia. Mr. Zazadze was distinguished by his wisdom, modesty and esteem. Behind the iron man great kindness and simplicity was hidden. It once more revealed his great humanity. His appearance was adorned with great virtues. He was a person of outstanding spiritual qualities. A tender, orderly Georgian with rich spiritual world he stepped in the everyday routine of a multimillion city with the name of a kind and merciful personality. Naturally, it is hard to maintain the name of a good person. And indeed, his friends would boldly say that he was outstanding and generous in heart. A well-know businessman throughout the world, he held the academic degree of a Doctor of Economics but considered it nothing compared to his worthy and difficult profession – being a human. He owned a great art of studying human souls. He warmed others with his kind heart, strengthened and encouraged everyone. There are many people able to assist and help others but they never do it. Unlike them, Mr Simon was always a great savior, helper and timely remedy for the needy. He was happy with granting joy to others. God renders such gift only to the elected.

His word, deed and action used to say a lot. You could learn much observing him. Even his silence showed greatness. It may sound exaggerated but not to those who knew him – he was a book of life to read and properly understood.

He never surrendered to the weight of years but lived active everyday life. He woke up before dawn. His working day started at 5 am. He got love of labor and diligence down from his parents.

His parents were exemplary for him. Accustomed to labor, he demanded the same diligence from others too. While being at the Georgian cloister in Istanbul as members of the expedition, we were visited by him early every morning and asked whether we needed anything or not. Afterwards, he hurried to the chapel. Every morning at 8 a.m. he used to visit the chapel, light a candle and go to work. The habit came down from his father. His father's ghost would revive in his imagination while fulfilling his will. Father was the dearest person for him. Love of justice and truth and hatred of lies was taught by his father. Simon often said that his father was always with him, leading him to the righteous way.

Mr. Simon Zazadze was a warmhearted host and kind and unselfish in collaboration. This is how we – the researchers of the Niko Berdzenishvili Research Institute – remember him. Ms Shushana Putkaradze was the one and only person and scholar whom he trusted the investigation and study of the book depository of the Georgian monastery according to his father's will. Under the supervision of Professor Shushana Putkaradze we visited Istanbul for many years to fulfil a Georgian task. It was owing to Shushana Putkaradze's initiative that the treasury of the library was freed of the centenary dust and the library was renovated at high modern level.

We still fondly recall the minutes of meeting him; how delicately he treated every paper in the library. We felt how the pictures from the past days spent at the monastery revived in his memories. He often remembered the conditions in the monastery: how he was taught order, politeness, discipline, and the cloister school. He remembered his teachers and environment, everyday life: there were fields and gardens round the monastery. Nuns looked after hens, geese, turkeys. Sometimes he was given small chickens. The cloister was part of his everyday life. At the same time, it was a shelter under the sky of a foreign land. Cold walls of the monastery whispered to him about love of his motherland. He heard Georgian word within the cloister walls and his soul was filled with great affection to his native land.

Our work grew into a great and warm relationship. Mr. Simon Zazadze often hosted us in his beautiful family. There we used to be a small Georgia for him. He enjoyed talking to us, introduced us to his friends and acquaintances; he was happy to see us working in the library. Time used to pass rapidly while sitting and talking in his lovely garden... today, everything is a nice memory, example of sincere and true affection towards one's homeland.

Mr Simon was a worthy son of a worthy father, follower of the traditions of his ancestors, host of everybody who came to Istanbul from Georgia. Fortunately, his great deeds are continued by his no less worthy son Paul Zazadze with the help of whom this warm hearth of "small Georgia" is still kept in the beautiful district of Istanbul.

Simon Zazadze's personality is a revelation of strength and immortality of Georgian gene. The Zazadze family devotedly carried the national identity and faith through the misfortunes of time and fate, preserving the surname – Zazadze and their spirituality. We firmly believe that this family will follow the steps of Simon Zazadze and the Georgian surname Zazadze will continue existence in the multimillion country, our neighboring Turkish republic as the symbol of friendly relations between Georgia and Turkey.

Unfortunately, the heart painstaking thinking about his homeland, did not wait for the surgical interference and stopped as a burnt heart of an emigrant Georgian, broken out of longing for the motherland.

Yes, people live with double lives – one their personal lives that end with death, and the other – life within people's hearts that never ends. Simon Zazadze found place in the hearts of his beloved and

respected people. For us the only comfort of the heart is the special auditorium – “The Research Center for Georgian Cloister Library and Archive in Istanbul” - at the Niko Berdzenishvili Research Institute of the Batumi Shota Rustaveli State University, opened in commemoration to Simon Zazadze and named after him.

Once again, we express our grief over the death of this great Georgian person. Over two years have passed since his death but we still think as if it happened yesterday. Once again, we sympathize with the Zazadze family, the Georgian living in Turkey and his beloved homeland – Georgia.

Let his soul rest in peace, Amen!

**კარი მეორე**  
**ისტორიული მესხეთის დაუპინჯარი**  
**მხარეების ქრონიკები სტამბოლის ქართული საჰანის**  
**საბანძურიდან**





## **შ ა ვ შ ე თ ი**

### **„ტაგეთის სულთა მათიანე“;**

### **იოანე შავთელი და გიორგი ჭვარცილი**

**შავშეთი** ისტორიული მხარეა სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში. ამჟამად მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში. ეს მხარე შემოსაზღვრულია ბუნებრივი ზღუდეებით, როგორცაა: სამხრეთით **სახარის უღელტეხილი**, ქედი არტაანში გადასასვლელი, ჩრდილოეთით – ზემო აჭარის მხარეს – **არსიანის მთაგრეხილი**; აღმოსავლეთით – **არტანუჯის კლდის მასივი** და ჩრდილო – დასავლეთით კი მდინარე **ჭოროხი**. გეოგრაფიული სახელწოდება „შავშეთი“ მომდინარეობს ამავე სახელწოდების დაბის სახელისაგან – **შავშეთი**, რომელიც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. შავშეთის მხარე ისტორიულად გაერთიანებული იყო ტაო – კლარჯეთის საერისთავოში. მისი ერისთავები იყვნენ ბაგრატიონების სამეფო გვარის „**კლარჯეთის სახლის**“ შვილები. მომდევნო ხანაში ამ მხარეს ჯერ **ჯაყელები (ათაბაგები)** განაგებდნენ, ბოლოს კი **ხიმშიაშვილები**.

შავშეთის მხარე კულტურისა და განათლების მხრივ ძალიან დაწინაურდა IX საუკუნიდან, როცა ტაო – კლარჯეთში ძლიერი საერისთავო შეიქმნა **აშოტ I კურაპალატის – ბაგრატიონის** ხელმძღვანელობით და საგანმანათლებლო საქმე გაჩაღდა **გრიგოლ ხანძთელის** მეთაურობით. შავშეთში კულტურის გამორჩეული კერა იყო **სოფელი ტბეთი**. მე – 10 საუკუნის დასაწყისში, 914 წელს, ერისთავთერისთავმა **აშოტ კუხმა** აქ საკათედრო ტაძარი ააგო და დანიშნა პირველი ეპისკოპოსი **სტეფანე მტბევარი**.

მაშინ ტბეთის ეპარქიაში შედიოდა **მაჭახელი, შავშეთი** და **ზემო აჭარა** სოფელ **დანდალომდე**. დანდალოდან მოყოლებული აჭარის ტერიტორია შედიოდა **ქუთათლის სამწყოსში**. XI საუკუნეში ეპისკოპოსმა **საბა მტბევარმა** სოფელ **სვეტში** ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა შავშეთი ბიზანტიელთა შემოსევისაგან. ამის გამო, ქართლის სამეფო ხელისუფლებამ ეპისკოპოს **საბა მტბევარს** საერო **ხელისუფლებაც – შავშეთის ერისთავობაც უბოძა**.

ტბეთის ეკლესია – მონასტერი იყო მნიშვნელოვანი კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრი. ეპისკოპოსმა **სტეფანე მტბევარმა** აღწერა **მიქელ გობრონის წამება** თხზულებაში – „**წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი**“. მან ეს ნაწარმოები დაწერა ერისთავთერისთავის **აშოტ კუხის** თხოვნით 914 – 918 წლებში. ნაწარმოებში აღწერილია ქართველების ბრძოლა **ფოცხოვში** არაბთა წინააღმდეგ.

**ყველის ციხე**, სადაც ეს ბრძოლა გაიმართა, მდებარეობს **ფოცხოვის** მხარეში. მაშინ ყველის ციხის დაცვას ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული ქართველი აზნაური აჭარიდან **მიქელ გობრონი**. აჭარაში, კერძოდ, ქედის რაიონში, მდებარე ერთი ლამაზი სოფელი – **გობრონეთი** დღემდე აცოცხლებს გმირის სახელს. გობრონეთში მცხოვრებ უხუცესებს კარგად ახსოვთ ლეგენდები სახელოვანი გობრონის შესახებ.

914 წელს საქართველოზე გამოილაშქრა აზერბაიჯანში გამეფებულმა არაბთა ამირამ **აბულ – კასიმმა**. მან მოაოხრა თბილისი, კახეთი, სამცხე – ჯავახეთი; მაგრამ კარგად გამაგრებული **თმოგვის ციხე** არაბებმა ვერ აიღეს და გაემართნენ ფოცხოვისაკენ. ალყა შემოარტყეს ფოცხოვში ცნობილ **ყველის ციხეს**. ამ ციხეს, ორასიოდე თავდადებულ დამცველთან ერთად, იცავდა **მიქელ გობრონი**. ოცდარვადღიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ მეციხოვნეები მტერს დანებდნენ, ტყვედ ჩავარდნენ. ტყვე გობრონს აბულ – კასიმმა გამაჰმადიანება მოსთხოვა. გობრონმა უარყო არაბი

სარდლის წინადადება, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. ქართულმა ეკლესიამ იგი წმიდანად შერაცხა სახელით **მიქელი**. გობრონის ცხოვრებისა და წამების ეპიზოდები აღწერილია **სტეფანე მტბევარის** ნაწარმოებში – „**წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი**“. სტეფანე ამ ნაწარმოებში გვაწვდის მდიდარ ისტორიულ მასალას, გამოკვეთილი აქვს ქართველთა მამულიშვილური გრძნობები. ნაწარმოები გამოირჩევა ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით, ავტორის მხატვრული ოსტატობით და წერის მაღალი კულტურით.

სტეფანე მტბევარი გამორჩეული პიროვნება გახლდათ მეათე საუკუნეში. ეს კარგად ჩანს მეათე საუკუნეში შედგენილ ერთ ხელნაწერ კრებულში. ერთ – ერთი წერილის ავტორი კარგად ახასიათებს **სტეფანე მტბევარს**. იგი ასე მიმართავს მას: „ღირსო მამაო, **ქრისტეს გამორჩეულო მამფალო. კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩჴენდა, მკურნალად სულიერად, აღმაშენებლად ჩჴენდა**“.

ტბეთის საგანმანათლებლო ცენტრის თვალსაჩინო მოღვაწეა, აგრეთვე, **დავით ტბელი**, მე – 10 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე. იგი იყო ტბეთის ეპარქიის ეპისკოპოსი. **ეფრემ მცირის** ცნობით, იგი თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად. მას უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე ნაწარმოები.

ტბეთის ეპისკოპოსი იყო, აგრეთვე, მე – 10 საუკუნის ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი **იოანე მტბევარი**. ტბეთის სახარების მინაწერებიდან ჩანს, რომ იგი 978 წლიდან არის ტბეთის ეპარქიის ეპისკოპოსი. 995 წლიდან კი იგი აწყურის ეპარქიაში გადაუყვანიათ და **მაწყვერელად** დაუდგენიათ, აწყურის ეპისკოპოსად. მას უთარგმნია მე-7 – მე-9 საუკუნეების ბერძენ ავტორთა ჰიმნები – საგალობლები. მან შემოიღო ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინი – **მოკაზმული**.

იოანე მტბევარის საგალობლები შესულია ერთ დიდ ხელნაწერში, რომელსაც ჰქვია „**საგალობელი**“. ესაა ცნობილი ჰიმნოგრაფის **მიქაელ მოდრეკილის** კრებული. როგორც ჩანს, „978 – 988 წლებში, როდესაც მიქაელ მოდრეკილი ქართული სასულიერო პოეზიის ძვირფას ქმნილებებს კრებდა, იოანე მტბევარი უკვე ჩამოყალიბებული პოეტი ყოფილა. ამრიგად, იოანე მტბევარი მე – 10 საუკუნის გასულისა და მე – 11 საუკუნის დამდეგის მოღვაწეა“, – წერს ცნობილი მეცნიერი **ლევან მენაბდე** (იხ. ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი მეორე, თბ., 1962, გვ. 471).

**იოანე მტბევარი გვარად არსენისძეა**, დიდად განათლებული მწიგნობარი, ნაყოფიერი შემოქმედი. **მიქაელ მოდრეკილის** კრებულში შემონახული მისი საგალობელთა 15 ჯგუფი გამოირჩევა „ღრმა ღვთისმეტყველებით, ფილოსოფიური აზროვნებით, ლამაზი სტილითა და ჩამოყალიბებული ლიტერატურული ენით“ (იქვე).

იოანე მტბევარი (არსენისძე) ზრუნავდა ხელნაწერთა გამრავლებაზედაც. მისი შეკვეთით შექმნილა რამდენიმე ხელნაწერი; მათ შორის გამოირჩევა ცნობილი „**ტბეთის სახარება**“ (995 წლისა), რომელიც ამჟამად პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული. იოანე მტბევარს (არსენისძეს) და მამა თევდორეს ტბეთის ტაძარში გადაუწერიათ „**აბოს წამების**“ ტექსტიც. ეს არის ამ ნაწარმოების ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი“, – აღნიშნავს **ლ. მენაბდე** (იქვე, გვ. 472).

ხელნაწერი „**საგალობელი**“ მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული კულტურის ისტორიაში არა მარტო იმიტომ, რომ საგალობელთა კრებულისა, არამედ განსაკუთრებით იმიტომაც მისი ღირებულება განუზომლად დიდია, რომ მასში მოცემულია **ნოტები** – სპეციალური სანოტო ნიშნები, რომელიც ემსახურება საგალობელთა წარმოთქმას, მათ მუსიკალურ მხარეს. საგალობლების სანოტო ნიშნები, როგორც აღნიშნავს მკვლევარი **მოსე ჯანაშვილი**, დაწერილია წითელი მეღვინით.

ზოგიერთი ნიშანი ჰგავს გრძელ ფრჩხილს, მაღლა ამართულს, ზოგი ხაზი ზევით მიდის მაღლა დეღვით (ტალღისებურად), ალბათ **სარაკრაკო ხმას** აღნიშნავს. ხშირად ერთსა და იმავე ასოს ზემოდანაც უზის ხაზი და ქვემოდანაც. „საგალობელი“ დაწერილია ეტრატზე (ტყავზე) ხუცური ხელით, შედგება 544 ფურცლისაგან.

ეს ხელნაწერი პირველად შეისწავლა ისტორიკოსმა **მოსე ჯანაშვილმა**. იგი წერს, რომ „ევროპის ცივილიზაციის კულტურის მკვლევარებს X – XI საუკუნეების რაიმე თვალსაჩინო ნაშთი თავიანთ ქვეყნებში ვერ აღმოუჩენიათ, მაგრამ საქართველოში – **„აზიის ერთ კუნძულში“**, სახელდობრ, ჩვენს სამშობლოში, იწერება დიდი საგალობელი თავისი ნიშნებით (ნოტებით)”. **მსოფლიო მუსიკის ისტორიაში მსგავსი ნამუშევარი შუა საუკუნეებისა, მართლაც, არ არსებობს, ეს იშვიათი მოვლენა არისო, – აღნიშნავს ისტორიკოსი** (იხ. „საუნჯე მეთე საუკუნისა“, ტფ. 1891 წ. გვ. 6-7).

რამდენიმე თავი ამ ხელნაწერისა შეუდგენია **იოანე მტბევარს**, ამ კრებულში შეუტანია მის მიერ შექმნილი საგალობლები **სანოტო ნიშნებით**. ე.ი. **იოანე მტბევარი პოეტიც ყოფილა – საგალობლების ავტორი და მუსიკოსიც**. მასვე შეუდგენია კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც ცნობილია **„სვანური ხელნაწერის“** სახელით. ამ ხელნაწერებში მითითებულია, რომ იოანე მტბევარი იყო **დავით კურაპალატის** თანამედროვე, „ღმერთ – შემოსილი“ მტბევარი ეპისკოპოსი. მას ძალიან კარგად ცოდნია ქართული ენის ბუნება. მშობლიური ენის საგანძურიდან ამოზიდული ენობრივი მარგალიტებითაა შემკული „საგალობელში“ მოთავსებული – **შობის, ნათლისღების, აღდგომის, სხვა დღესასწაულებისა და, აგრეთვე, წმიდანების მოსახსენებელი საგალობლები**. მათ შორის არის წმ. **აბო თბილელის** საგალობელიც.

შავშეთ – კლარჯეთში ოქრომჭედლობაში დაწინაურებული იყო **ოპიზისა და ტბეთის** სკოლა. **ტბეთის სკოლის ოქრომჭედლის მიერ უნდა იყოს შესრულებული ტბეთის სახარების ყდის მოჭედილობა**. ამას ასაბუთებს **შალვა ამირანაშვილი** და არ **იზიარებს ე. თაყაიშვილის, დ. კაკაბაძის და ლ. მაცულევიჩის** მოსაზრებას, რომლის მიხედვით ტბეთის სახარების მოჭედილობის ავტორად მიჩნეული იყო **ბექა ოპიზარი (შალვა ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 303)**.

**შ. ამირანაშვილის** თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს **„ტბეთის სულთა მატიანის“** XIV კევის 183 – ე მოსახსენებელი, სადაც ვკითხულობთ: „სულსა ოქრომჭედლისა არსლანისასა შეუნდვენ ღმერთმან“. მართლაც, ცნობილია ოქრომჭედელი **არსლან გვაზავასძე**. მის მიერ მოჭედილი ხატი დაცული ყოფილა სვანეთში. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტბეთის სახარების ყდის მოჭედულობის ავტორია სწორედ ეს **არსლან (არსლან) გვაზავასძე**, რომლის სულის მოსახსენებელი მოცემულია ტბეთის ტაძარში შექმნილ **„ტბეთის სულთა მატიანეში“**, კერძოდ 183 – ე მოსახსენებელში..

ტბეთის საგანმანათლებლო ცენტრში შეიქმნა ძველი ქართული მწერლობის შედევრების ხელნაწერები: კრებული „**საგალობელი**“, „**ტბეთის სახარება**“ (995 წ.), „**სვანური მრავალთავი**“, „**აბო თბილელის მარტვილობა**“, „**წამება** □ **წმიდისა მოწამისა გობრონისი**“, „**პავლე მტბევრისეული ოთხთავი**“, „**წყაროსთავის ოთხთავი**“ (1195 წ.), „**ტბეთის სულთა მატიანე**“... მოღვაწეობდნენ ცნობილი გადამწერლები: **იოვანე მტბევარი (არსენისძე), მამა თევდორე, იოანე ფუკარალისძე, გიორგი სეთაისძე, აკვილა მტბევარი...**

ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილი პირია, აგრეთვე, უაღრესად ნაყოფიერი მთარგმნელი **დავით ტბელი (მტბევარი)**. მას ბერძნულიდან უთარგმნია **„მართას ცხოვრება“**, „**ბარლამის ცხოვრება**“, „**გრიგოლ ეპისკოპოსის ცხოვრება**“ და სხვა... მაშასადამე, ტბეთის ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირები მთარგმნელობითი საქმიანობითაც გამოირჩეოდნენ.

XII საუკუნიდან ტბეთის ტაძარში დაუწყიათ სულთა მოსახსენებლების – აღაპების ჩაწერა. ასე თანდათანობით შეიქმნა მე – 12 – მე – 17 საუკუნეებში შედგენილი დიდი კრებული, ცნობილი ძეგლი – „ტბეთის სულთა მატთანე“, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ.

\*\*\*

სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში შექმნილი ისტორიული წყაროების უმეტესობა ჟამთასვლაში დაიკარგა, მტერთა შემოსევების შედეგად განადგურდა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მცირე ნაწილმა. ქართველი ერის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, სასულიერო და საერო ცხოვრების საინტერესო სურათებია ასახული ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა: „წამება ცხრა ძმათა კოლაელთა“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ტბეთის სულთა მატთანე“...

„ტბეთის სულთა მატთანე“ XII – XVII საუკუნეებში შექმნილი ტექსტია, იმ ქართველების სულთა მოსახსენებელი კრებულია, რომლებმაც რაღაც (ბევრი თუ მცირე) საფასე გაიღეს შავშეთის ცენტრში მდებარე, სოფელ ტბეთში, აშენებული დიდებული ტაძრისათვის, ტბეთის ეკლესია – მონასტრისათვის. ამ ისტორიულ წყაროში შემონახულია 588 მოსახსენებელი, რომლებიც შეიცავენ მდიდარ მასალას სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და საკუთარ სახელთა შესასწავლად.

სააღაპე ჩანაწერები და სულთა მატთანეები საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნიან იმ ეკლესიისა თუ მონასტრის ისტორიის შესახებ, სადაც ისინი შეადგინეს. მათში შემწირველთა მშობლიური ადგილების საინტერესო თავგადასავალიც კი იკითხება. მათი საშუალებით ვეცნობით მრევლის შემადგენლობას, ეკონომიურ შესაძლებლობასა და მათ სადაურობას. ასეთ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ეს ძვირფასი ისტორიული წყარო – „ტბეთის სულთა მატთანე“.

ტბეთის საყდარი, სადაც ეს ძეგლი შეიქმნა, აშენებულია ტაო – კლარჯეთის ბაგრატიონთა უფროსი შტოს (შავშეთ – კლარჯეთის მფლობელთა) წარმომადგენლის გურგენ კურაპალატის ძის – ერისთავთერისთავის აშორ კუხის მმართველობის ბოლო წლებში. კუხი გარდაიცვალა 918 წელს. ე.ი. ტაძარი აშენებული უნდა იყოს 918 წლის ახლო ხანაში.

შავშეთის თემი, სადაც ტბეთის ტაძარი აშენდა, ადმინისტრაციულად ადრეულ ხანაში დაკავშირებული იყო კლარჯეთთან და აჭარასთან. ქართლის სამეფოს არსებობის პერიოდში იგი შედიოდა კლარჯეთის საერისთაოში. იმ რვა საერისთავოდან, რომლებიც განაწესა ფარნავაზ მეფემ ძველი წელთაღრიცხვით მეოთხე საუკუნის ბოლოსა და მესამე საუკუნის დასაწყისში, ერთ – ერთს შეადგენდა კლარჯეთის საერისთავო. მასში შედიოდა ტერიტორია „არსიანთგან ზღუამდე“, ე.ი. ისტორიული კლარჯეთი მთლიანად – შავშეთი, ნიგალი, მაჭახელი აჭარითურთ.

მომდევნო ეპოქაში, ახალი წელთაღრიცხვით მეცხრე – მეათე საუკუნეებში, ქართველთა საკურაპალატო – სამეფოს არსებობის პერიოდში, შავშეთის თემი, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, წარმოდგენდა ცალკე საერისთავოს. ბაგრატ IV-ის (1027 – 1072 წ.წ.) მეფობის დასაწყისში, შავშეთის ერისთავი იყო ჩანჩახი, რომელმაც უღალატა მეფეს და მოღალატე ტაო – კლარჯელ თავადაზნაურებთან ერთად, ბიზანტიელებს მიემხრო. მაშინ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველობას სათავეში ჩაუდგა ტბეთის ეპისკოპოსი საბა მტბევარი და ქვეყანა იხსნა ბიზანტიელი დამპყრობლებისაგან. შავშეთის საერისთავო მომდევნო წლებში, საბა მტბევარის გარდაცვალების შემდეგ, გაუქმდა.

XII საუკუნისათვის **შავშეთი კლარჯეთთან და ტაოსთან** ერთად წარმოადგენდა ერთ საერისთავოს; მას ხელმძღვანელობდა ცნობილი ერისთავი **გუზან ტაოსკარელი**. იგი **თამარ მეფის** ეპოქის მოღვაწე იყო; სამწუხაროდ, მანაც უღალატა მეფეს, განუდგა და **გიორგი რუსის** მხარი დაიჭირა, მაგრამ მალე დამარცხდა.

მეთოთხმეტე – მეთექვსმეტე საუკუნეებში შავშეთის თემი შედის **სამცხე – საათაბაგოში** და მას განაგებენ **ჯაყელი – ათაბაგები**. მე – 19 საუკუნის პირველი მეოთხედიდან შავშეთის გამგებლები არიან **ხიმშიაშვილები**. კერძოდ, 1820 წლიდან შავშეთის გამგებელია **სელიმ ხიმშიაშვილის** ვაჟი – **აბდი ხიმშიაშვილი**, შემდეგ კი შავშეთის ერისთავი გახდა აბდის ვაჟი **ნური ბეგ ხიმშიაშვილი**.

ისტორიის ამ ქართველებს გაუძლო ტბეთის ტაძარმა და ჩვენამდე მოაღწია. თუმცა 1981 წელს ტერორისტმა ქურთებმა ააფეთქეს ტაძრის ერთი მხარე და ძალიან დააზიანეს შენობა.

\*\*\*

ტბეთის ეპისკოპოსის სამწყსო, როგორც მოგვითხრობს ისტორიული წყაროები, დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა **აჭარაც**. მე – 16 საუკუნიდან კი, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ტბეთის ეპარქიაში კვლავ შედის **შავშეთი, მაჭახელი** (ძვ. მიჭიხიანი), და მხოლოდ ზემო **აჭარა – „დანდალოთ ზეითი“**. დანდალოს ქვემოთი აჭარა კი ქუთათლის სამწყსოშია.

„ტბეთის სულთა მატთანეში“ მოხსენიებული პიროვნებანი სწორედ ამ მხარეების წარმომადგენლები, ტბეთის ეპარქიის სამწყსოს წევრები არიან. ეს ძეგლი სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: „სულთა მატთანე მიჭიხიანის ხევისა“, „მაჭახლის სულთა მატთანე“, „მაჭახლის ხეობის სულთა მატთანე“. ეს ძეგლი 1977 წელს გამოსცა მკვლევარმა **თინა ენუქიძემ** და დაამტკიცა, რომ ამ ძეგლს მიზანშეწონილია ეწოდოს **„ტბეთის სულთა მატთანე“**, რადგან შემომწმირველები არიან ტბეთის მთელი ეპარქიიდან და არა მარტო მაჭახლიდან; ამასთანავე, ხელნაწერი შედგენილია ტბეთის ტაძარში. „სინას მთის სულთა მატთანის“, „ჯვრის მონასტრის სულთა მატთანის“, „გერგეთის სულთა მატთანის“, „ნიკორწმინდის სულთა მატთანის“ მსგავსად, მასაც უნდა ეწოდოსო, სამართლიანად მიუთითა თ. ენუქიძემ, **„ტბეთის სულთა მატთანე“ – ო.**

სულთა მოსახსენებლები ტექსტში დაწერილია ნუსხა – ხუცურით, მოყავისფრო, შავი, ზოგან ლურჯი მელნით; მთავრული ასოები და ზოგიერთი სტრიქონი შესრულებულია მოოქროვილი საღებავით. ხელნაწერი დაყოფილია ნაწილებად – კეფებად. ეს კეფები ერთმანეთთან გადაკერებულია სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით. ხელნაწერი **დედანია, უთარილოა**, წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და ხარისხის **ეტრატის 18** კეფისაგან შემდგარ **გრაგნილს**. ძეგლი დათარიღებულია პალეოგრაფიული ნიშნების, ძირითადად, ხელის მიხედვით. ამის შესაბამისად განსაზღვრულია ძეგლის ასაკი. ყველაზე ძველი ნაწილი დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში, ყველაზე გვიანდელი კი არის მეჩვიდმეტე საუკუნისა. ე.ი. **ძეგლი იქმნებოდა XII – XVII საუკუნეების განმავლობაში**, როგორც აღნიშნავს მკვლევარი თ. ენუქიძე.

„ტბეთის სულთა მატთანეში“ დაცულია მდიდარი ონომასტიკონი (საკუთარი სახელები), რომელიც მრავალმხრივია საყურადღებო, როგორც საისტორიო მასალა. ძეგლის 588 მოსახსენებელში, რომლის ძირითადი ფენა (160 მოსახსენებელი) განეკუთვნება XII – XIII საუკუნეებს, ხოლო დანარჩენი ფენები – XIII – XVII საუკუნეებს, დასახელებულია **348** გვარი და **21** გეოგრაფიული სახელი. ეს სახელები ძირითადად წარმოადგენს შავშეთის თემის კუთვნილებას, ნაწილობრივ კი ეხება **კლარჯეთსა და აჭარას**.

...„ტბეთის სულთა მატიანის“, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ძეგლის მოპოვებისა და მისი არსის შესახებ, ცნობას პირველად ვხვდებით „დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა რუსულ ენაზე 1878 წელს. წიგნი მკითხველს აცნობდა, რომ გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს სამ ისტორიულ საბუთთან ერთად, შავშეთში, ტბეთში, მიაკვლია ძველ ხელნაწერს. დ. ბაქრაძეს ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონია და იგი გადაუცია მარი ბროსესათვის, ფრანგი მკვლევარისათვის, რომელიც პეტერბურგში მოღვაწეობდა და იკვლევდა საქართველოს ისტორიის საკითხებს. მარი ბროსეს კოლექციიდან ეს ხელნაწერი მოხვდა სააზიო მუზეუმში. ამჟამად ინახება პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა განყოფილებაში.

\*\*\*

ტბეთის ტაძართან დაკავშირებულია, აგრეთვე, ცნობილი ჰიმნოგრაფის იოვანე შავთელის მოღვაწეობაც. მისი მშობლიური სოფელი „შავთა“ სოფელ ტბეთთან ახლოს მდებარეობს. „ტბეთის სულთა მატიანის XII კეფის 424 – ე სულის მოსახსენებელში ვკითხულობთ: „სულსა ქუაბულის ძისა შავთელისასა შეუნდვენ ღმერთმან“. ე.ი. იოვანე შავთელი გვარად ყოფილა „ქუაბულისძე“. „შავთელი“ ზეწოდებაა, სადაურობის მანიშნებელი. ტექსტის მეორე კეფის 558 – ე მოსახსენებელიც მასვე ეკუთვნის, მეუღლესთან ერთად: „სულსა ქუაბულისძის შავთელსა და მისა მეუღლეს ნათელს შეუნდვენ ღმერთმან“. ეს გვამღევეს საშუალებას, ვივარაუდოთ იოვანე შავთელის სიახლოვე ტბეთის კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრთან – ტბეთის ეკლესია – მონასტერთან. „ტბეთის სულთა მატიანე“ ის ძვირფასი ისტორიული წყაროა, რომელიც გვაწვდის სახელოვანი ჰიმნოგრაფის – იოვანე შავთელის ბიოგრაფიის უტყუარ ცნობებს, რომ იგი გვარად ქუაბულის ძეა, მეუღლის სახელია ნათელი. ეს ღვთისმოსავი ოჯახი, როგორც ჩანს, დღენიადაგ ერთგულად ჰპატრონობდა დიდებულ ტბეთის ტაძარს და სწორედ ამ სამსახურისათვის უკვდავყო მათი სახელი და გვარი „ტბეთის სულთა მატიანე“ და ამიტომაც ცოცხლობს მათი ხსოვნა ორ ალაპში.

დასანანია, რომ ადრე რატომღაც მკვლევარებმა გულთან არ მიიტანეს ამ ისტორიული წყაროს 424 – ე და 558 – ე ალაპში მოცემული ცნობები იოვანე შავთელის ვინაობის შესახებ. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ მოგვეცა საშუალება ამ ცნობების წარმოჩენისა, ისტორიული სოფლების – ტბეთისა და შავთის ნახვისა...

შავშეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე და მწიგნობარი იყო, აგრეთვე, გიორგი ჯვარელი – შავშეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამშენებელი. ჩვენი კრებულის მკითხველს მოკლედ გავაცნობთ ამ სახელოვანი პიროვნების მოღვაწეობის ეპიზოდებს.

\*\*\*

ჩვენი დიდებული წინაპრები, როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, თავიანთ ნიჭსა და სიცოცხლეს უანგაროდ ხარჯავდნენ სამშობლოს სამსახურში.

სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ, გამბედავ ქართველობას თანდათანობით აღარ აკმაყოფილებდა სამშობლოს საზღვრებში არსებული კულტურის კერების მიღწევები. ისინი თვალყურს ადევნებდნენ მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრების საქმიანობას და ცდილობდნენ ასეთი კერების ცხოვრების შუაგულში მოქცევას, რათა თავიანთი განათლებისა და კულტურის დონე

აემალღებინათ, ქართველი ხალხის სულიერების მონაპოვარნი საზღვარგარეთის კულტურის ოაზისებში გადაეტანათ და, რაც ყველაზე მთავარი საზრუნავი იყო, ამ სავანეებში დაუნჯებული ცივილიზაციის მიღწევები გადმოენერგათ სამშობლოში. ამიტომაც საზღვარგარეთულ კულტურულ – საგანმანათლებლო კერებში მე – 5 საუკუნიდან მოყოლებული, თანდათანობით იზრდებოდა ქართველ სასულიერო მოღვაწეთა რიცხვი. IX – XI საუკუნეებში საზღვარგარეთის ცნობილ კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრებში მოღვაწე ქართველთა უმრავლესობა იყო უმეტესად ისტორიული ზემო ქართლიდან, კერძოდ, **სამცხიდან და ტაო – კლარჯეთიდან**. ერთ – ერთი ასეთი სახელოვანი **შავშეთელი** ქართველი იყო **გიორგი – პროხორე ჯვარელი**.

მისი მშობლიური სოფელი **ჯვარები** მდებარეობს შავშეთისა და იმერხევის მოსაზღვრედ, მდინარე **ფაფართის** ხობაში. **ჯვარების ციხე – ჩაქველთა** დღესაც საკმაოდ შემონახულია და ამჟამად გადაჰყურებს **იმერხევს**, იმერხევის ხეობაში მიმავალ მდინარე **ფაფართს**. სოფელ ჯვარებში **გიორგი ჯვარელის შორეული შთამომავლები დღესაც საკმაოდ კარგად საუბრობენ ქართულად. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი იციან თავიანთი სახელოვანი წინაპრის მოღვაწეობისა. ახსოვთ მხოლოდ, რომ ერთი დიდი კაცი იყო ამ სოფლიდან, ვინმე გიორგი.**

გიორგი – პროხორე ჯვარელის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს აგიოგრაფიული ნაწარმოები **„პროხორეს ცხოვრება“**, რომლის ავტორი **უცნობია**. **გიორგი – პროხორე ჯვარელის – შავშელის შესახებ ცნობები გვხვდება**, აგრეთვე, ბევრ სხვა ისტორიულ წყაროში; მაგრამ ცნობათა სისრულით გამოირჩევა **„პროხორეს ცხოვრება“**. ნაწარმოებში ნათქვამია: **„პროხორე – ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით“**. იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კლარჯეთის ცნობილ **წყაროსთავის** მონასტერში დამკვიდრდა, თავის ძმასთან. გიორგი ჯვარელი ამ სავანეში საფუძვლიანად დაეწავა სასულიერო განათლებას, თავი გამოიჩინა სულიერი სიწმინდით და მალევე აკურთხეს დიაკვნად. შემდეგ „შეიმოსა სახე მონაზვნობისაჲ“ და „აკურთხეს ხუცად“. სასულიერო განათლების სრულყოფისათვის მან მიაშურა შორეულ **პალესტინას, საბაწმიდის** ქართულ სავანეს. ნაწარმოებში ვკითხულობთ: **„წარვიდა წმიდად ქალაქად იერუსალამად და დაემკჳიდრა წმიდისა საბაჲს ლავრასა და დაყენა მას შინა წელნი მრავალნი“** (ძეგლები, IV, 1968, 345).

უშორესი და უძნელესი გზა გაიარა გიორგი ჯვარელმა საბაწმიდამდე. მაშინ, XI საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისში, მას აქ მდიდარი ტრადიციების მქონე სავანე დახვდა. ქართველებს აქ მოღვაწეობა დაწყებული ჰქონდათ მერვე საუკუნიდან, როცა არაბთა ბატონობის გამო სამშობლოში ვეღარ შესძლეს შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელება და **პალესტინის** წმიდა სავანეებს მიაშურეს.

გიორგი ჯვარელის თანამედროვეთაგან ისტორიის მეხსიერებას შემორჩა მხოლოდ ორი საბაწმიდელი მოღვაწე – **მიქაელ ჩიხუარელი** და **მიქაელ დვალი**. მიქაელ ჩიხუარელი უნდა იყოს გიორგი ჯვარელის თანამემამულე – **იმერხევის** ერთ – ერთი ლამაზი სოფლის – **ჩიხორის** მკვიდრი. სოფელი **ჩიხორი** მდებარეობს მდ. ფაფართის შენაკადის **მდინარე ჩიხორის** ხეობაში (იმერხევაში, შავშეთის რაიონში). სოფლები – **ჯვარები** (გიორგი – პროხორეს სოფელი) და **ჩიხორი** ერთმანეთისაგან 10 – 15 კილომეტრით თუ იქნება დაშორებული. როგორც ჩანს, საბაწმიდის ქართულ სავანეში ჯერ **გიორგი ჯვარელი** დამკვიდრდა და შემდეგ კი მის კვალს გაჰყვა **მიქაელ ჩიხუარელი** ანუ თანამედროვე ქართულით – **ჩიხორელი** (უა → ვა → ო).

საბაწმინდის ლავრაში მიმდინარეობდა მწიგნობრული საქმიანობა, იქმნებოდა ხელნაწერი წიგნები. გიორგი ჯვარელი ამ ლავრაში მალე დაწინაურდა, გახდა ტაძრის მოძღვარი. სწორედ

მისი დავალებითა და მიქაელ დვალის დახმარებით მიქაელ ჩიხუარელმა გადაწერა იოანე ოქროპირის მიერ თარგმნილი „იოანეს სახარება“ 1038 წელს. ამ ცნობას გვაწვდის ხელნაწერ წიგნზე დართული ანდერძი, რომ ხელნაწერი გადაიწერა „ბრძანებითა შავშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩუენისა გიორგი ჯუარელისადათა“.

პროფესორი **ლ. მენაბდე** ეჭვს გამოთქვამდა ამ ანდერძ – მინაწერში მოხსენიებული პიროვნების „გიორგი ჯუარელი“ ვინაობის შესახებ. მისთვის არ იყო ნათელი, თუ რატომ იწოდებოდა გიორგი ჯუარელად. მან იცოდა, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ამშენებული გიორგი – პროხორე ჯუარელი იყო, მაგრამ ხელნაწერის შესრულებისას, 1038 წელისთვის, ჯვრის მონასტრის მშენებლობა როცა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ანდა ახლად მშენებარე იყო. ამის გამო ვერ აეხსნა, გიორგი ამ პერიოდისათვის თუ რატომ იწოდებოდა „ჯუარელად“. მონასტრის მშენებლობა საკმაოდ დიდხანს, 1065 წლამდე გაგრძელებულა. ცხადია, **პატივცემულმა მეცნიერმა მაშინ არ იცოდა, რომ შავშეთში, იმერხევში, მდებარეობს ერთი ლამაზი სოფელი ჯვარები (ჯუარები). გიორგი – პროხორე სწორედ ამ სოფლის შვილი იყო და სწორედ ამიტომაც იგი გვარსახელად იყენებდა „ჯუარელს“, ისე როგორც საზღვარგარეთ მოღვაწე სასულიერო პირთა უმრავლესობა თავის გვარსახელში სათუთად ინახავდა თავისი მშობელი მიწის სახელს, თავის ვინაობას: ჯუარელი, ჩიხუარელი (ჩიხორელი), ოპიზარი, ოლთისარი, საფარელი, კუმურდოელი, ფანასკერტელი და ა.შ.**

**სარფის კარის გახსნის შემდეგ, დღევანდელ მკვლევარებს საშუალება მოგვეცა უშუალოდ შეგვესწავლა ისტორიული საქართველოს ამჟამინდელი გეოგრაფიული გარემო და შეგვედარებინა იგი ისტორიულ წყაროებში შემონახულ ცნობებს. სწორედ ამან შეგვაძლევინა სწორად აგვეხსნა ბევრი საკითხი, რომელიც წინა პერიოდში ბუნდოვანი იყო. ასე, რომ „ჯუარელი“ (ჯვარელი) გიორგი – პროხორეს გვარსახელი იყო ჯერ კიდევ საბაწმიდის ქართულ ლავრაში მოღვაწეობის დროსაც. ასე, რომ იგი მომდინარეობს მისი მშობლიური სოფლის სახელისაგან და არა ჯვრის მონასტრისაგან (სოფელი ჯუარები→ჯუარელი).**

საბაწმიდის ქართულ სავანეში მოღვაწეობამ გიორგი – პროხორე ჯვარელი სულიერად აამაღლა და იმდენად გააძლიერა, რომ თანდათან დაიწყო ფიქრი და ზრუნვა ახალი მონასტრის დაარსებისათვის. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ XI საუკუნის 30 – იანი წლებიდან გახშირდა არაბთა მოძალეობა, საბაწმიდის მონასტრის დარბევა. ამიტომ ბერ – მონაზვნებმა თანდათან დატოვეს საბაწმიდის ქართული სავანე და სხვა სავანეებს მიაშურეს. გიორგი – პროხორე ჯვარელმა კი, ღვთის ნებითა და **ბაგრატ კურაპალატის** დახმარებით, დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა და როგორც ჩანს, საბაწმიდის ქართულ სავანეში მოღვაწეთა ერთი ჯგუფი მშენებარე ჯვრის მონასტრის მახლობლად დაამკვიდრა.

„ადგილი, სადაც ჯვრის მონასტერი აშენდა, მიჩნეული იყო წმიდა ადგილად. რადგან, ცნობილი გადმოცემით, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში სხვადასხვა ვარიანტითაა გავრცელებული, იქაური ხისაგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც აწამეს **ქრისტე**. ეს გადმოცემა იერუსალიმელ ქართველთა წრეშიც ყოფილა გავრცელებული. ამას მოწმობს ჯვრის მონასტრის დამაარსებლის მინაწერი (1038 წ.) ერთ ხელნაწერზე: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი **გიორგი – პროხორე**, სახელად ოდენ მდდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა სიგლახაკითა ჩემითა **აღშენებად წმიდასა ამას ცხოველს მყოფელისა ჯუარისა ადგილსა**“. ესაა უძველესი წერილობითი ცნობა ქართულ წყაროებში. შემდეგ ხანაში გადმოცემა ჯვრის მონასტრის ადგილზე (სხვადასხვა ვარიანტით) არაერთი ქართველის ჩანაწერებში გვხვდება. დასავლურ წყაროებში იგი ცნობილია XII საუკუნიდან. კარგად იცნობენ მას სლავი



მოღვაწენიც. ამ გადმოცემამ ჩვენს დრომდე მოაღწია და ხელი შეუწყო ჯვრის მონასტრის პოპულარობას. იგი პალესტინის ერთ – ერთ უმნიშვნელოვანეს სიწმინდედ ითვლებოდა“ (მენაბდე, 1980, 71).

ჯვრის მონასტრის მდებარეობის შესახებ საკმაოდ სრული ცნობა მოცემულია **ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაშიაც“**. იგი წერს: „უკეთეს გენებოს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ვპოვენით მუნ წერილთა შინა... სულიერი ვინმე მონაზონი **შავთელი**, სახელად **პროხორე**, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა, დაყუდებულა, და მეფესა საქართველოსასა **ბაგრატ კურაპალატს** საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა **ჯვრის მონასტერი აღაშენოს**. და მას აღუშენებია ჯვრის მონასტერი შესაკრებლად ქართველთათვის“ (გაბაშვილი, 1852, 77 – 78).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ **ბაგრატ IV** დიდ ინტერესს იჩენდა იერუსალიმის წმიდა მიწის მიმართ. ფრანგი მკვლევარი **რ. ჟანენი**, რომელიც 1913 წელს იკვლევდა იერუსალიმის ქართულ სავანეებს, თავის ნაშრომში **„ქართველები იერუსალიმში“**, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, წერს, რომ „დაახლოებით 1050 წელს (ე. ი. ჯვრის მონასტრის მშენებლობის დროს) საქართველოს მეფეს **ბაგრატ კურაპალატს** ბერძნის იმპერატორისაგან მიუღია თხემის ნახევარი გოლგოთაზე, სადაც მას განუწესებია ერთი ქართველი ეპისკოპოსი“ (ჟანენი, 1921, 14).

გიორგი – პროხორე შავშელი – ჯვარელი ჯვრის მონასტრის დიდი ტაძრის მშენებლად დასახელებულია **„გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც“**.

ხელნაწერებზე დართული ანდერძი – მინაწერებიდან ჩანს, რომ ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის მშენებლობა დაწყებულია XI საუკუნის 30 – იან წლებში და დასრულებულია 50 – იანი წლების მიწურულსა თუ 60 – იანი წლების დამდეგს. 1065 წლიდან გიორგი – პროხორე ჯვრის მონასტერში აღარ ჩანს. მკვლევარ **ელ. მეტრეველის** ვარაუდით, გიორგი – პროხორეს სიცოცხლის ბოლო წლები გაუტარებია **შეჰანის** უდაბნოში (ტრანსიორდანიამში). ეს უდაბნო დაუარსებია **გაბრიელ თბილელს** (მეტრეველი, 1975, 42 – 43).

გიორგი – პროხორეს თაოსნობით აშენებულ ჯვრის მონასტერში იმთავითვე გაჩაღებულია კულტურულ – საგანმანათლებლო საქმიანობა. აქ მოღვაწე სასულიერო პირები უმთავრესად ხელნაწერთა გამრავლებასა და კრებულების შედგენას მისდევდნენ. მონასტრის **პირველი წინამძღვარი გიორგი – პროხორე** წარმართავდა ამ კეთილშობილურ საქმიანობას. თვითონაც შესანიშნავი მწიგნობარი, კალიგრაფი იყო. იგი უშუალოდ მონაწილეობდა ხელნაწერთა დამზადებაში. ინგლისში (**ბოდლეს** წიგნსაცავში) ინახება მისი ხელით დამზადებული მოზრდილი კრებული, რომელშიც მოთავსებულია მამათა და დედათა **„ცხოვრება – წამებანი“**.

გიორგი ჯვარელი მისი ხელმძღვანელობით დამზადებულსა თუ მოგებულ ხელნაწერებს ჯვრის მონასტერს სწირავდა და ამით საფუძველს უშვებდა დიდ წიგნთსაცავს. მისი თანამედროვენი სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ პროხორემ „ჯუარსა შინა დასხნა ყოველნივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი“.

ყოველი ქართველისათვის რაოდენ საამაყოა, რომ **ჯვრის მონასტრის – როგორც ქართული კულტურისა და განათლების ერთ – ერთი უძლიერესი საზღვარგარეთული კერის – დამაარსებელი** არის **შავშეთის** ძირძველი ქართული მიწის **შვილი გიორგი – პროხორე ჯვარელი – შავშელი, იმერხევის სოფელ ჯვარების მკვიდრი**, უგანათლებულესი ძველი ქართველი. მისი თავდადებული შრომით აშენებული ტაძარი საუკუნეთა განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს ინტერესებს; „ჯვარს გაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის გაზრდის მიზნით“... (მეტრეველი, 1962, 14).

ძველი ეგვიპტური სიბრძნის თანახმად, „სამარადყამოდ ბედნიერია ის, ვისაც კეთილად მოიგონებენ“. მართლაც, ყოველთვის კეთილად მოსაგონარი იქნება გიორგი ჯვარელი – შავშეთის სასახელო შვილი.

\*\*\*

**ვახუშტი ბატონიშვილი** ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვარგად ახასიათებს სამცხე – საათაბაგოს – **ზემო ქართლის** – ერთ ლამაზ მხარეს, **შავშეთს**: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა – მთიანი, ღელე – ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ – ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ – ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის“...

ტბეთის ეკლესიის შესახებ კი აღნიშნავს: „**ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდ – შუენიერი. ეს აღაშენა აშოტ კუხმან ბაგრატიონმან. იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა**“.

შავშეთის მისადგომთან მდებარეობს ცნობილი **სათლელის** ციხე, რომელსაც ბევრჯერ უზეიმო გამარჯვება მომხდურ მტერთან ბრძოლაში.

შავშეთი ამჟამად მოზრდილი დაბაა. იგი არის ამ მხარის რაიონული ცენტრი. შავშეთის რაიონში შედის მნიშვნელოვანი მხარე – **იმერხევი**, სადაც 40 – ზე მეტი ქართული სოფელია ქართულ ენაზე მოლაპარაკე. შავშეთის რაიონის სხვა მხარის სოფლებში კი ქართული ენა დაკარგული აქვთ. **ზ. ჭიჭინაძის** ცნობით, მე – 20 საუკუნის დასაწყისისათვის შავშეთში ქართულად ლაპარაკობდა მხოლოდ სამი სოფელი: **გარყელობი, ახალდაბა და ჯვარები**. დანარჩენ სოფლებში კი ქართული აღარ ისმოდა. შავშეთში ასეთი სოფლებია: **ციხისძირი, ბალვანა, კუჭენი, მორღელი, ჩართულეთი, წეწლაური, მოგვთა, კოთხევი, თურმანიძე, სხლობანი, ჯარათი, შავთა, ტბეთი, მოროხოზი, სოფორო, მამანელისი, სათლელი, ველი...**

სოფელ სათლელში არის ცნობილი **სათლელის ციხე** და ერისთავთა საგვარეულო ეკლესია. ეკლესიის ეზოში დიდი სასაფლაოა, სადაც განისვენებენ **ათაბაგებისა (ჯაყელების) და ხიმშიაშვილების** სახელოვანი შვილები.

შავშეთში სოფლების ქართული სახელები დღესაც ყველას ახსოვს. ამასთანავე, დასახელებულ სოფლებში შიგა ადგილების სახელები, **მიკრო და მაკრო ტოპონიმები, თითქმის მთლიანად ქართულია**. მოსახლეობის დიდ ნაწილს შენარჩუნებული აქვს ქართული ცნობიერება. შავშეთის რაიონი შედის **ართვინის** გუბერნიაში (ვილაიეთში). ეს ძირძველი ქართული მიწა მოქცეულია თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში.

\*\*\*

**არტაანი** არის ისტორიული მხარე და ციხე – ქალაქი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს. არტაანის მხარეში მოედინება მდინარე **მტკვარი** და ქმნის **არტაანის ხევს**. მტკვარი სათავეს იღებს **კოლას** მთებიდან. ამ მდინარის ორთავე მხარეს გაშლილია არტაანი, „**ქართლის ცხოვრების**“ თანახმად, „**ქუყყანა არტაანისა**“.

არტაანს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება **კოლა**, ჩრდილოეთიდან – **ჯავახეთი**, მესხეთის მხრიდან კი **ფოცხოვი** (ფოსო). ამჟამად გზა არტაანიდან გადადის **ფოცხოვში**, ფოცხოვიდან კი გზა შედის **ვალეში**, სადაც გახსნილია ვალეს საბაჟო – გასასვლელი.

ძველ საქართველოში „**არტაანთან**“ ერთად იხმარებოდა სახელწოდება „**არტაჰანი**“, აქედან წარმოდგება თურქული ტოპონიმი **არდაჰანი**, რუსულად – **არდაგანი**. ძველ ქართულ წყაროებში უმეტესად გამოიყენება **არტაანი**.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, **არტაანი** იყო მხოლოდ მხარის სახელწოდება. **ლეონტი მროველის** ცნობით, „**ქართლის ცხოვრების**“ შემქმნელი მწერლის თანახმად, ლეგენდარული პერსონაჟის **მცხეთოსის** ძემ, **ჯავახოსმა**, ააშენა არტაანის **ციხე – ქალაქი**, რომელსაც მაშინ **ქაჯთა ქალაქი** რქმევია. მროველის დროს კი, მეთერთმეტე საუკუნეში, ერქვა **ჰური**. ლეონტი მროველის „**ქართლის ცხოვრების**“ მიხედვით, **ფარნავაზ პირველმა** (ძველი წ.აღ. მესამე საუკუნე) შექმნა **წუნდის საერისთავო**, რომელშიაც შედიოდა **არტაანი, ჯავახეთი და კოლა**. **არტაანი** ფაქტიურად არის ისტორიული ჯავახეთის მიმდებარე მხარე.

ლეონტი მროველი „**ქართლის ცხოვრებაში**“ წერს, რომ „**ფარავნითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა... არს ჯავახეთი და კოლა – არტაანი**“ – ო. ე.ი. **ფარავნის** ტბიდან მტკვრის სათავეებამდე გრძელდება **ჯავახეთი და კოლა-არტაანი**. მაშასადამე, ჯავახეთის სამხრეთი საზღვარი გადიოდა არტაანთან; ცნობილი გეოგრაფიული პუნქტი – **ნაქალაქევი** არტაანს ეკუთვნოდა. ლეონტი მროველის სიტყვით, ფარნავაზი „**მიეგება ნაქალაქევსა თანა არტაანისასა**“.

**ვახტანგ გორგასალმა** მეხუთე საუკუნეში არტაანში საეპისკოპოსო შექმნა და კათედრა **ერუშეთში** დააწესა. **თამარ მეფის** ეპოქაში არტაანი სანაპირო სამთავრო იყო. მომდევნო ხანაში ეს მხარე სამცხის ათაბაგთა სამთავროში შედიოდა. მე – 16 საუკუნეში აქაურობა თანდათან შეიერთა ოსმალეთმა. მათ არტაანი ორ ადმინისტრაციულ ერთეულად გაყვეს: **დიდ არტაანად** (შედიოდა გურჯისტანის ვილაეთში, ე.ი. ოსმალეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ნაწილში) და **პატარა არტაანად**, რომელიც შედიოდა **ყარსის** ვილაეთში – გუბერნიაში.

არტაანი ღვთის მიერ დაჯილდოებულია ულამაზესი ბუნებით. **ვახუშტი ბატონიშვილი** წერდა: „ხოლო არს არტაანი ვაკე და უტყეო, ბალახ – ყვავილიანი; მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე“.

1877 – 78 წლების რუსეთ – ოსმალეთის ომის შემდეგ არტაანის მხარე და ქალაქი არტაანი **სან-სტეფანოს** საზავო ხელშეკრულებით, **ბერლინის** კონგრესის გადაწყვეტილებით შეუერთდა რუსეთს, ე.ი. **დაუბრუნდა საქართველოს**. 1914 – 1920 წლებში არტაანის მხარე იყო რუს და თურქ ჯარისკაცთა საომარი ველი, რის გამოც ეს მხარე ძალიან განადგურდა. სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახულ წერილებში კარგადაა აღწერილი პირველი მსოფლიო ომის დროს ამ მხარეში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ყარსის საზავო ხელშეკრულებით, 1921 წლის 15 ოქტომბერს, არტაანის მხარე გადავიდა ოსმალეთის მფლობელობაში. დღეს შედის თურქეთის რესპუბლიკაში, **ყარსის** გუბერნიაში (ვილაეთში).

არტაანის მხარეში დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები ნაკლებად არის შესწავლილი. აქ 1915 – 19 წლებში იმოგზაურა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულმა არტაანის მხარეში **კონსტანტინე ოდიშარიამ** (**კოტე მარტვილელმა**). მისი მოგზაურობის დღიურები, წერილების სახით, იბეჭდებოდა გაზეთ „**საქართველოში**“. ამ წერილებში მკითხველი ეცნობა არტაანის მხარის მოსახლეობის ყოფა – ცხოვრების სურათებს პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა ეს მიწა გადაქცეული იყო რუსთა და ოსმალთა ჯარების ბრძოლის ველად. წინამდებარე კრებულში მკითხველი გაეცნობა **კონსტანტინე ოდიშარიას** ნაშრომს „**არტაანის მხარეში**“.

არტაანისა და ჩილდირის მხარის სოფლებში, ფოლკლორულ – დიალექტოლოგიური მასალების მოპოვების მიზნით, 1998 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ვიმოგზაურე მკვლევარ **ნუგზარ**

ცეცხლამესთან ერთად, რომლის მეუღლეს **გულიკო ცეცხლამეს** ნათესავი ჰყავდა არტაანის სოფელ **ჯინჭრობაში**, რომელიც გვეხმარებოდა სამეცნიერო კვლევა – ძიების ორგანიზებაში, მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებაში. ჩაწერილი მასალები შევიდა ჩემი მონოგრაფიის – „ჩვენებურების ქართულის“ მესამე ტომში, რომლის გამოქვეყნებას, უფლის დახმარებით მალე შევძლებთ.

\*\*\*

**ჩილდირი** (ძველი „**ჩრდილი**“) არის ერთ – ერთი ულამაზესი მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ეს არის **ფოცხოვს** (აზოცს), **ჯავახეთს**, **კოლა-არტაანსა** და **ყარსს** (ისტ. კარი) შორის მდებარე მიწები. იგი ისტორიულად შედიოდა **ფარნავაზ მეფის** მიერ ჩამოყალიბებულ სამეფოში (ძვ. წ. აღ. – ით IV – III ს.ს.).

ჩილდირი მე – 12 საუკუნის ბოლო პერიოდში ადმინისტრაციულად ჯავახეთის სანაპირო საერისთავოში შედიოდა. მომდევნო საუკუნეებში სამცხე – საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამ მხარის შესახებ ბევრი ისტორიული წყარო არ მოგვეპოვება. ცნობილია, რომ **1186-87 წლებში** ჯავახეთის ერისთავთერისთავმა **გამრეკელ კახას ძე თორელმა** დაამარცხა **პალაკაციოში – ჩილდირში** შემოსეული თურქები. ოსმალებმა „**ჩრდილის**“ მხარეს „**ჩილდირი**“ დაარქვეს. მათ მე-16 საუკუნიდან თანდათანობით დაიწყეს ამ მხარის მიტაცება. **1578 წელს** აქ გაიმართა დიდი ბრძოლა ოსმალთა და სპარსელთა ჯარებს შორის. მტრები ერთმანეთს შეებნენ **ჩილდირის ველზე**. ოსმალებმა მაშინ გამოიყენა სპარსეთში მიმდინარე შინაური არეულობა, დაარღვია **ამასიის ზავის პირობები** და ომი გამოუცხადა სპარსეთს.

ოსმალეთი შეეცადა ამ ომში მიემხრო საქართველოს მეფე-მთავრები. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი არმია **ლალა – მუსტაფა – ფაშის** მეთაურობით სამხრეთ საქართველოში შეიჭრა. მათ აიღეს მნიშვნელოვანი **ციხე – სიმაგრეები**, როგორც იყო – **ქაჯეთის ციხე, ველის ციხე, თეთრი – ციხე**. ეს ციხეები ჩილდირის მხარეშია. ოსმალები **ჩილდირის ველზე** დაბანაკდნენ. სპარსელთა ჯარი 30 000 ითვლიდა. გადამწყვეტი ბრძოლა **ჩილდირის ველზე** გაიმართა **1578 წლის 9 აგვისტოს**. ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ ხელთ იგდეს 500 ტყვე და დიდძალი ნადავლი. ბრძოლაში 5000 სპარსელი დაიღუპა. ოსმალებმა ტყვეები დახოცეს, დააჭრეს თავები და გორები აღმართეს სისხლიანი თავებით. ეს საშინელი სანახაობა ოსმალებმა გამართეს **თეთრ ციხესთან**, რომელიც აღმართული იყო ჩილდირის ტბაში შეჭრილ ნახევარკუნძულზე. თეთრ ციხესთან დაიბარეს **სამცხე-საათაბაგოს** დიდებულები და აყურებიანეს ამ საშინელ სურათზე. ამით დაუმტკიცეს, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათი თავებიც მიემატებოდა სისხლიანი თავების გორას. ამ საშინელი სურათის მხილველნი იყვნენ სამცხე-საათაბაგოს მაშინდელი მმართველნი – **მანუჩარ ათაბაგი**, მისი დედა **დედისიმედი** (ქეთევან წამებულის უფროსი და თუ ბიძაშვილი. მუხრანელი ბაგრატიონების ასული) და სხვა დიდებულები. ურჩი ქართველები კოცონზე დაწვეს. ამის შემდეგ ახალციხის საფაშო მთლიანად დაიკავეს ოსმალებმა. **დედის იმედმა** აჭარას შეაფარა თავი, კერძოდ, ქედაში **ზენდიდის ციხეს** – **ბეჟანიძეების ციხე-სიმაგრეს**, სადაც გარდაიცვალა და ხალხური გადმოცემების თანახმად, იქვეა დასაფლავებული.

ჩილდირში დღემდე შემორჩენილია ქართული ციხე – სიმაგრეებისა და ეკლესია – მონასტრების ნაშთები. მათ შორის აღსანიშნავია ჩილდირის ტბის ნახევარკუნძულზე მდგარი **თეთრი ციხის** (თურქ. **აქჯაყალე**) ნანგრევები. საქართველო – თურქეთის საზღვრის ჩილდირის მონაკვეთში დგას ცნობილი **მგლის ციხე** (ქურთქალე). საკმაოდ კარგადაა შემონახული **ჭალის ეკლესია**. ლამაზი სანახავია დაბა ჩილდირთან ახლოს მდებარე **ქაჯის ციხე** და სოფელ **ველის ციხე**, საკმაოდ

კარგად შენახული ეკლესიითურთ. ჩილდირის მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები შეუსწავლელია; ელოდება მომავალ მკვლევარებს.

ჩილდირის მხარე ისტორიულად დასახლებული იყო მესხებით.

**1828 – 29 წლების რუსეთ – ოსმალეთის** ომის დასრულება გაფორმდა **ადრიანოპოლის** საზავო ხელშეკრულებით. თურქეთმა დაკარგა მიტაცებული ქართული მიწების დიდი ნაწილი, მათ შორის **ფოცხოვი** და **ჩილდირი**. ჩილდირში რუსეთის მთავრობამ გადმოასახლა **მალაკნები**. მალაკნები არიან ერთ – ერთი ქრისტიანული სექტის წარმომადგენლები, „**დუხოზორების**“ ნაირსახეობა, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ბოლოს. ისინი უარყოფენ მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას. ლოცულობენ სამლოცველო სახლებში, სადაც გალობენ ბიბლიურ ტექსტებს. მოგვიანებით მათი ნაწილი შეუერთდა **ბაპტისტებს**.

1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით **ჩილდირი** ისევ შეუერთდა **თურქეთს**. თურქეთის მთავრობამ აქ ჩამოასახლა თურქული მოდემის სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები. მოსახლეობა ძალიან აჭრელდა. ადგილობრივი მესხები კი გადაასახლეს შიდა თურქეთში. ამიტომ აქაურმა მოსახლეობამ დღეს არ იცის ქართული, არც აქვთ შერჩენილი ქართული ეროვნული ცნობიერება. მხოლოდ რამდენიმე სოფელში შეხვდებით **ძირძველ მესხებს**. მათ ქართული აღარ ახსოვთ, მაგრამ იციან, რომ ძველად მათი წინაპრები ქართველები იყვნენ. აქა – იქ გვხვდება ქართული გეოგრაფიული სახელები. 1998 წელს ჩილდირის სოფლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში ჩავიწერე ქართულენოვანი ტოპონიმები და ზეპირსიტყვიერი მასალები.

ჩილდირის შესახებ ძალიან მწირი ცნობებია შემონახული. მათგან აღსანიშნავია 1896 წლის ჟურნალ „**კვალში**“ დაბეჭდილი **ოტია ათაბაგის** წერილები ჩილდირზე. **ოტია ათაბაგი** ჩილდირში რამდენიმე ხანს მუშაობდა „სამხედრო უფროსად“, ევალეობდა რუსის ჯარის დაბინავება. იგი კარგად აღწერს ჩილდირის მხარის ბუნებასა და მოსახლეობას; აღნიშნავს, რომ ჩილდირი არსებითად ჯავახეთის ნაწილია. **ოტია ათაბაგის** ცნობით, მაშინ ჩილდირში ყოფილა **ორმოცდაორი ქართული სოფელი**, როგორცაა: **წყაროსთავი, ურთა, საბადური, ჭალა, ვაშლობი** და სხვა. **ოტია ათაბაგი** აქ გაეცნო მოხუც ქართველს **დადა ხახალაშვილს**, რომლისგანაც ჩაიწერა მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობები **ჩილდირის ტბის, ქაჯის ციხისა** და აქაური ეკლესიების შესახებ. **ოტიას** დაუთვალა იერებია **წყაროსთავის, ურთის, ჩაისის** ეკლესიები. იგი მოხიბლულია **წყაროსთავის ეკლესიის სილამაზით**. იგი წერს: „გამოჩნდა დიდი უზარმაზარი გუმბათიანი საყდარი, რომელიც ნაშენია ფერადფერადი გაწმენდილი ქვებით... ეკლესია სიგრძით 47 არშინია და სიგანით 22 არშინი. გარშემო კედლებზე მრავალი ხუცური და მხედრული წარწერებია. იგი აუშენებია **ვახტანგ გორგასლის** შვილს **მირდატს V** საუკუნეში... გელათზე ბევრად მაღალი უნდა იყოს. **კარგადაა შენახული ღვთისმშობლის ხატი**“.

ჩილდირის მხარის ეკლესიები ნაკლებად არის შესწავლილი, ელოდება მომავალ მკვლევარებს საქართველოდან.

საუბედუროდ, საქართველოს ისტორიაში მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება ჩილდირის შესახებ. ძველ ისტორიულ წყაროებში **ჩილდირი** იხსენიება უცხოური სახელით (ალბათ ბიზანტიური წარმოშობისა) – **პალაკაციო**. ასეა ეს მხარე აღნიშნული „**ქართლის ცხოვრებაში**“, კერძოდ, ნაშრომში „**ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი**“.

„**ქუეყანა პალაკაციო – ანუ ჩილდირი ივ.ჯავახიშვილსაც** არა აქვს საფუძვლიანად განხილული შრომაში – „**საქართველოს საისტორიო გეოგრაფია VII – XII ს.ს.**“ დიდი მეცნიერი გულნაკლულად წერს, რომ „**პალაკაციოს**“ საზღვრების გამორკვევა **ცნობების უქონლობის გამო ჯერჯერობით არ შეიძლება**. ვიცით, მხოლოდ, რომ დასავლეთისაკენ **პალაკაციო** კოლას საზღვრამდი უწევდა.

მამასადამე, მისი მდებარეობა კოლას გასწვრივ უნდა ყოფილიყო” (იხ.ივ. ჯავახიშვილი, ტ. II, გვ. 61).

ვახუშტი ბატონიშვილსაც ცოტა ცნობები მოაქვს ამ მხარის შესახებ. ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ ფრანგულად რომ დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“ პარიზში, წიგნის სარჩევში მითითებული აქვს, რომ „პალაკაციოს“ ძველად „ძაღლის ხევი“ ეწოდებოდაო. ეს შენიშვნა გაკეთებული აქვს თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაზე დაყრდნობით. როგორც ჩანს, სხვა ცნობები ჩილდირის შესახებ არ მოგვეპოვება. ამიტომ ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდილი ოტია ათაბაგის წერილები ჩილდირის შესახებ ძალიან საყურადღებო მასალაა ამ მხარის წარსულის შესახებ (ოტია ათაბაგის წერილებს ჩილდირის შესახებ მკითხველი გაეცნობა წინამდებარე კრებულში).

ჩილდირისა და ფოცხოვის ზოგიერთი სოფელი 1914 – 1920 წლებში მოინახულა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულმა არტაანის მხარეში პუბლიცისმა კონსტანტინე ოდიშარიამ (კოტე მარტვილელმა). მის მიერ მოპოვებული მასალები დაბეჭდილია, აგრეთვე, წარმოდგენილ კრებულში. საინტერესოდ იკითხება კ. ოდიშარიას მიერ ჩაწერილი ლეგენდები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ სიუჟეტზე აგებული ლეგენდა და თქმულება ჩილდირის ტბის წარმოშობის შესახებ. ამ ლეგენდების უმრავლესობა კ. მარტვილელს ჩაუწერია თემურ ბეგ ხიმშიაშვილისაგან, რომელიც ავტორს შეხვედრია ჩილდირის სოფელ თამარაშენში.

\*\*\*

**კოლა** წარმოადგენდა ერთ – ერთ მნიშვნელოვან მხარეს ისტორიულ ზემო ქართლში, სამხრეთ საქართველოში. იგი მოიცავს მდინარე მტკვრის სათავეების ქვაბულს; დღეს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. ისტორიკოსების ვარაუდით, სახელწოდება „კოლა“ მომდინარეობს უძველესი ქართველური ტომის „კოლხას“ – სახელისაგან. ამ მიდამოებში უძველესი ადგილობრივი (აბორიგენი) მესხი მოსახლეობა დასავლურ – ქართული მოდგმისა უნდა ყოფილიყო. იბერიის (ქართლის) სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ.წ. აღ. IV ს.), კოლა მისი შემადგენელი ნაწილი გახდა; წარმოადგენდა სამხრეთით მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულს და შედიოდა წუნდის საერისთავოში.

წუნდა იყო ისტორიული ქალაქი სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთში. ამ მხარის უძველესი ცენტრი მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. გადმოცემის თანახმად, წუნდა დააარსა ერთ-ერთი ქართული ტომის მეთაურმა ჯავახოსმა. ამ მხარეს ამიტომ ეწოდა ჯავახეთი. ფარნავაზ მეფემ ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში დააარსა წუნდის საერისთავო, რომელშიც შედიოდა ჯავახეთი, არტაანი და კოლა. მეათე საუკუნისათვის წუნდა თანდათან დაქვეითდა და ჯავახეთის ცენტრი თმოგვის ციხე-ქალაქში გადავიდა. დღემდე შემორჩენილია XII – XIII საუკუნეების წუნდის დარბაზული ეკლესია.

კოლა ძველი წელთაღრიცხვით მეორე – პირველ საუკუნეებში შედიოდა სომხეთის სამეფოში. ახალი წელთაღრიცხვით პირველ – მეორე საუკუნეებში იბერიას დაუბრუნდა. შემდგომში, როცა სომხეთი კვლავ გაძლიერდა, არშაკიდების დინასტიის დროს, სომხეთმა კვლავ მიიტაცა. კოლას ეჭირა მნიშვნელოვანი მიწა – წყალი. აქ გადიოდა სავაჭრო – საქარავნო გზა, რომელიც საქართველოს აკავშირებდა აზიის ქვეყნებთან. მეცხრე – მეათე საუკუნეებში კოლა კვლავ დაუბრუნდა დედასამშობლოს. იგი შედიოდა აშოტ კურაპალატის მიერ ჩამოყალიბებულ სამეფოში.

კოლას ნაყოფიერი მიწის მიტაცებისათვის იბრძოდნენ ბერძნებიც. მე – 11 საუკუნის პირველ მეოთხედში, 1021 წელს, კოლაში მოხდა დიდი ბრძოლა მეფე გიორგი პირველსა და ბიზანტიის კეისარ ბასილის შორის. რომელიც ცდილობდა საქართველოსთვის წაერთმია მოსაზღვრე ტერიტორიები. დავით კურაპალატის დროს შემომტკიცებული მოსაზღვრე ტერიტორიებისაგან ჩამოყალიბებული იყო იბერიელთა თემი. სწორედ ამას ვერ ეგუებოდნენ ბიზანტიელები. ისინი 1014-1018 წლებში ეომებოდნენ ბულგარელებს და საქართველოსათვის არ ეცალათ. ამით ისარგებლა საქართველოს სამეფო კარმა. მეფე გიორგი პირველმა (1014-1027) ბრძოლა დაიწყო ტაოს სამხრეთით მდებარე ქართული მიწაწყლის დასაბრუნებლად, რომელიც ისევე ბიზანტიას ჰქონდა მიტაცებული. გიორგი პირველმა მაშინ დაიბრუნა სამხრეთ ტაოს მნიშვნელოვანი ციხე – სიმაგრეები.

ბულგარელებთან ომის დამთავრების შემდეგ ბიზანტიელებმა გიორგი პირველს მოსთხოვეს დაკავებული ტერიტორიების დატოვება, რაზედაც ქართველები არ დაეთანხმნენ. გიორგი პირველმა შეკრიბა ლაშქარი და გაემართა საბრძოლველად. აღმოჩნდა, რომ ბიზანტიელების ძალები ბევრად აღემატებოდნენ ქართველებისას. ამიტომ გიორგი პირველმა უკან დახევა ამჯობინა ბრძოლის დაწყებას. ბიზანტიელები დაედევნენ და ბრძოლა გაიმართა ჩილდირის ტბის მახლობლად სოფელ შირიმთან. პირველად ქართველებმა წარმატება მოიპოვეს, მაგრამ მტრის სიმრავლის გამო უკან დაიხიეს. ბერძნები დაედევნენ ქართველებს, კოლა – არტაან – ჯავახეთზე გადმოიარეს. მტერმა თრიალეთამდე სდია ქართულ ჯარს. გიორგი I – მა შემოიკრიბა ძალები და ბრძოლის განახლება დააპირა, მაგრამ ბერძნებმა ბრძოლაზე უარი თქვეს, უკან დაიხიეს. საუბედუროდ, მოახრეს გზად ქართული მიწა – წყალი. შირიმის ბრძოლაში 1021 წელს დაიღუპნენ სახელოვანი ქართველები – კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და ხურსი.

1074 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძემ, ბიზანტიის დედოფლის – მარიაშის (მართას) თანხმობით (დავით აღმაშენებლის მამიდის), ბასიანის მხარე, მისი მიმდებარე ტერიტორიები, მათ შორის კოლაც დაუბრუნა საქართველოს უბრძოლველად. ეს დაუვიწყარი საქმე გაკეთდა მარიამ ბაგრატიონის (დავით აღმაშენებლის მამიდის) დახმარებით.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში სომხები და თურქმანები ხშირად თარეშობდნენ საქართველოს სამხრეთ – დასავლეთის განაპირა მხარეებში, მათ შორის კოლაშიც. 1123 წელს შირვანში და რანში ლაშქრობას რომ მორჩა დავით აღმაშენებელი, სომხითის ციხენი შემოიმტკიცა (იგულისხმება გოგარენის მიდამოები), განვლო ჯავახეთი, კოლა – ბასიანი და სპერამდე ჩააღწია. შემოიმტკიცა ეს განაპირა მხარეები და გამარჯვებული თრიალეთს მოვიდა.

თამარ მეფის ცხოვრების ეპიზოდებიც დაკავშირებულია კოლასთან. აქ მეფეს აგარაკი ჰქონდა. თამარ მეფის ისტორიკოსი წერს: „მეფე თამარ ზამთარს დვინს იყვს და ზაფხულს კოლას და ცელის ტბას. ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს“ (ქართლ. ცხ. გვ. 111, ტ. II, თბილისი, 1959 წელი).

როგორც ცნობილია, ტაოს ერისთავმა გუზან ტაოსკარელმა 1191 წელს თამარ მეფის მიმართ ორგულობა გამოიჩინა; მოღალატე აზნაურებთან ერთად დაბანაკდა „მთასა კოლისასა“. მაგრამ თამარ მეფემ აქ მათ დაახვედრა ზაქარია ფანასკერტელი, კალმახელნი, ძინიელნი თავის მომხრეებთან ერთად. ამ სახელოვანმა ქართველებმა მაშინ „დიდი დაჭირებული ომი“ გარდაიხადეს, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს. ძლევაძმოსილნი მოყმენი თამარმა შესაფერისად დააჯილდოვა.

მეთოთხმეტე საუკუნეშიც საქართველოს მეფეებს კოლაში საზაფხულო სასახლეები – აგარაკები ჰქონდათ. კოლა მაშინაც საკმაოდ დაწინაურებული მხარე იყო. კოლაში, სოფელ დადეშში იყო აშენებული დიდი ტაძარი, დადეშის საეპისკოპოსო კათედრალი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში – „**აღწერა სამეფოსა საქართველოსა**“ – წერს, რომ მდინარე მტკვრის სათავეებში გაშლილ მხარეში, **კოლაში**, „მტკვრის კიდეზედ, **დადეშს**, არს ეკლესია დიდმუენიერ გუმბათიან – შენ და აწ უხმოზენ **დორთქილისას**. აქ იჯდა ეპისკოპოზი სრულიად კოლისა, და აწ უქმი არს” (ქართლ. ცხ.ტ. III გვ. 674).

კოლას მხარე ხშირად იხსენიება, აგრეთვე, **თემურ ლენგის** საქართველოში ლაშქრობებთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებშიც.

ისტორიული გეოგრაფიის ნაშრომებში აქა – იქ შევხვდებით მწირ ცნობებს კოლას მხარის ბუნების შესახებ. კერძოდ, **ივ. ჯავახიშვილს** აღნიშნული აქვს, რომ კოლაში მისი მაღლობი მდებარეობის წყალობით, ზაფხულობით საუცხოო ბალახი იცოდა და მშვენიერი საძოვრები იყო, რომლითაც საქართველოს სხვა თემების მესაქონლეებიც სარგებლობდნენო. ასეთივე ბუნებრივი პირობები ყოფილა კოლაში **თემურ ლენგის** შემოსევების დროსაც. ამიტომ მას ბრძოლის ველიდან დასასვენებლად, ძალის მოსაკრებად, თითქმის ყოველთვის კოლაში მოჰყავდა თურმე თავისი ლაშქარი. კერძოდ, მეორე შემოსევის დროს, 1393 წელს, სამცხისა და ჯავახეთის მოახრების შემდეგ, კოლის მთიანეთს მიაშურა და იქ რამდენიმე ხანს დარჩა (საქართველოს მეფე იყო **გიორგი მეშვიდე**). მეექვსე შემოსევის დროს მან დაამარცხა საქართველოს ერთ – ერთი უძლიერესი მთავართაგანი **ივანე ჯაყელი**, სამცხის ციხეები დაანგრია, **მთიულეთი** მოახრა და დასასვენებლად **კოლას** საზაფხულო საძოვრებისაკენ გაემართა. იქ მას შეატყობინეს, რომ **ტაოში**, **ფანასკერტის ციხეში**, აჯანყებულები იყვნენ გამაგრებულნი. იგი კოლადან გაემშურა ფანასკერტისაკენ, დაამარცხა ისინი და ისევ **კოლას** მთიანეთში დაბრუნდა. იქ თავისი ცხენოსანი ჯარის მოსამჯობინებლად ორ თვეს დარჩა... მეშვიდე შემოსევის დროსაც ჯარის ნაწილი კოლას საზაფხულო მთიანეთში გაგზავნა, ნაწილი კი **ბაღდადისაკენ** დამრა.

**თემურ ლენგმა** 1400 წლის 21 ივლისს **ბაღდადი** დაიპყრო; 1401 წლის აპრილში – **ყარაბაღი**; **შამქორი** მოახრა და საქართველოს საზღვრებს მოადგა. კოლას მთიანეთიდან ამბავი მოუვიდა, რომ 200 – მდე აჯანყებული ქართველი **თორთომის** ციხეში იყო გამაგრებული. მან თავისი სარდლობა, ჯარი თორთომის ციხის ასაღებად გაგზავნა. მეექვსე დღეს თორთომის ციხე დაეცა, 200 ქართველი ამოხოცეს. 1402 წლიდან საქართველოს მეფემ **გიორგი მეშვიდემ** მონღოლებისათვის ხარკის გადახდაზე უარი განაცხადა. **თემურ ლენგმა** საქართველოს დალაშქვრა გადაწყვიტა. მოღონიერებული კვლავ კოლას დაბანაკდა. იგი ჯერ **ყარსისკენ** დაიძრა, მალე კი საქართველოს მოადგა. მონღოლებმა მაშინ 700 სოფელი დაარბიეს, გაძარცვეს, „**დაყარნეს მძოვარნი მკვდრისა, ვითარცა მჭელი თივისაო**“, ნათქვამია „**ქართლის ცხოვრებაში**“. საუკუნეთა მანძილზე ასე ნადგურდებოდა ძველი მესხური მოსახლეობა კოლას მთიანეთში, მდინარე მტკვრის სათავეების ულამაზეს ადგილას.

მე – 16 საუკუნიდან ოსმალებმა დაიწყეს ამ მხარის თანდათან მიტაცება. მე-16 საუკუნის 50-იანი წლებიდან **კოლა** მოექცა ოსმალეთის იმპერიაში. ... 1828-29 წლის რუსეთ – ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ, ქ. **ადრიანოპოლში** დაიდო ზავი (1829 წლის 2(14) სექტემბერი), რომლის თანახმად რუსეთის ხელში გადავიდა ოსმალეთში შემავალი ახალციხის საფაშოს ნაწილი, კერძოდ: **ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის** (ქობლიანის), **აწყურის, ხერთვისის, აბასთუმნის** (ოდრხისა), **ჭაჭარაქისა, ფოცხოვისა** და **პალაკაციოსი** (ჩილდირისა), რაც ძველს **სამცხეს, ჯავახეთს, ჩილდირსა** და **ერუშეთს** უდრიდა. ეს მხარე რუსეთის ხელისუფლების მიერ შემდეგში **ახალციხისა** და **ახალქალაქის** მაზრებად და **ფოცხოვის უბნად** იყო წოდებული. რუსეთ – ოსმალეთის 1877 – 78 წლების ომის შემდეგ, **ბერლინის კონგრესის** გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთს დაუბრუნდა ძველი მესხეთის მეორე ნაწილი – **აჭარა – ქობულეთი**(ბათუმი), **შავშეთი,**



კლარჯეთი (ართვინი, არტანუჯი), კოლა, არტაანი და ისტორიული ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი – ოლთისი. დღეს კოლა შედის თურქეთის საზღვრებში. კოლა თურქულად სახელდებულია როგორც „გოლა“. გოლის რაიონი მოქცეულია ყარსის გუბერნიაში (ვილაიეთში).

კოლას უკავშირდება აგიოგრაფიული ნაწარმოები – „წამება ცხრა ძმათა კოლაელთა“, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს წყაროებში სხვანაირი სათაურითაც – „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“. ნაწარმოებში აღწერილია მეოთხე თუ მეექვსე საუკუნეში კოლაში მომხდარი ამბავი. ამ დროისათვის, მეოთხე თუ მეექვსე საუკუნეში, კოლაში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ ყოფილა განმტკიცებული. მოსახლეობის უმრავლესობა წარმართული რწმენისა ყოფილა. ქრისტიანებს ჰქონიათ ეკლესია, სადაც ლოცვა შეეძლოთ, მაგრამ სასტიკად იყო აკრძალული ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება წარმართთა შორის. მშობელს მაშინ განუსაზღვრელი უფლება ჰქონია შვილის მიმართ. მას შეეძლო სიკვდილითაც დაესაჯა ურჩი შვილი. ნაწარმოებში აღწერილია, რომ შვიდი-ცხრა წლის ბავშვებმა ქრისტიანობა მიიღეს მშობლების დაუკითხავად, მალულად. განრისხებულ მშობლებს ჯერ უწამებიათ ბავშვები ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებით, შემდეგ კი თავები დაუხეთქავთ მათთვის და წარმართი მეზობლების დახმარებით ჩაუქოლავთ კიდევ.

ჩვენამდე მოღწეულია „კოლაელ ყრმათა მარტვილობის“ (წამების) ერთადერთი მეათე საუკუნის ხელნაწერი, რომელსაც მიაკვლია ნიკო მარმა 1897 წელს ათონის ივერთა მონასტრის წიგნთსაცავში. მან ეს ტექსტი გადმოიწერა და 1903 წელს რუსული თარგმანითურთ გამოსცა პეტერბურგში. შემდეგ 1914 წელს გამოსცა დ. კარიჭაშვილმა, 1944 წელს – ილ. აბულაძემ.

ამ ნაწარმოების შესახებ მეცნიერთა შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. კორნელი კეკელიძე თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ 1941 წელს (6, 481) აღნიშნავდა, რომ ეს ნაწარმოები თავდაპირველად სომხურად უნდა იყოს დაწერილი. ქართველებს უთარგმნიათ მე – IX საუკუნეშიო. ამ მცდარ შეხედულებას იზიარებდა ილ. აბულაძე თავის წიგნში “ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე – IX – X საუკუნეებში”. მისი აზრით, VIII საუკუნემდე თითქოს სომხებს ეპყრათ მთლიანად ტაო და კოლა. თითქოს მოსახლეობაც ამ მიწებზე სომხური იყო. მაგრამ ამ საკითხს სწორი ახსნა მისცა დიდმა მამულიშვილმა, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ. მან თავის ბრწყინვალე ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ (თბ., 1954 წ.) მეცნიერულად დაამტკიცა, რომ „წამება ცხრა ძმათა კოლაელთა“ არ ეხება იმ ტერიტორიას, რომელიც პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული. იგი წერს: “ეს ძეგლი ეხება მტკვრის ხეობის კოლას; თვით ძეგლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ აღწერილი ამბები სწარმოებდა „თავსა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰქვიან მტკვარი, ხევსა, რომელსა ჰქვიან კოლაჲ“... მტკვრის ხეობის კოლა, რომელიც შეადგენდა ნაწილს არტაანის (კოლა – არტაანის) მხარისას, წარმოადგენდა ძირძველ ქართულ ქვეყანას, რომელიც სომხეთთან პოლიტიკურად არასოდეს ყოფილა დაკავშირებული. ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ „მარტვილობა ცხრათა ძმათა კოლაელთა“ ქართული ძეგლია, რომელიც საქართველოს ძირძველ მხარეს ეხება” (ინგოროყვა, გვ. 502).

მცდარად იყო გაგებული ნაწარმოების დაწერის თარიღიც (დროც). ილ. აბულაძისა და კ. კეკელიძის მიხედვით, ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს მე-IX-X საუკუნეებში, რასაც არ იზიარებს პავლე ინგოროყვა. მისი აზრით, ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს მე-IV-VI საუკუნეებში. პ. ინგოროყვა აღნიშნავს: „ამას ცხადყოფს მთელი რიგი მაჩვენებლები... ძეგლი აგვიწერს იმ ხანას, როდესაც წარმართობა საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მეტოქეობას უწევდა ქრისტიანობას. ამის მიხედვით ამ ძეგლში აღწერილი ამბები არ სცილდება მე-IV-VI საუკუნეთა

ფარგლებს...ნაწარმოებში არათუ მხოლოდ აღწერილია არქაული ეპოქა, არა უგვიანესი მე-IV-VI საუკუნეთა, არამედ თვით ნაწარმოებიც ამავე ძველ ეპოქაშია დაწერილი.

ჯერ ერთი, გვიან ხანაში არათუ არ იწერებოდა ასეთი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმართობის ძლიერებას აგვიწერდნენ, არამედ, პირიქით, გვიან ხანაში ასეთ ნაწარმოებებს სპობდნენ კიდევ, როგორც წარსული ისტორიული სინამდვილის არასასამოვნო დოკუმენტებს იმ ეპოქიდან, როდესაც ქრიატიანობას უხდებოდა უკან დაეხია და უპირატესობა დაეთმო წარმართობისათვის. ამასთანავე, ამ ძეგლში აღწერილი ისტორიული გარემო ისე ორგანულად, ისე უშუალოდ არის ასახული, რომ აქ არ იგრძნობა გვიანდელი ხანის ავტორის ხელი.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით დასტურდება, რომ „**მარტვილობა ცხრა ძმათა კოლაელთა**“ ძველი ქართული მწერლობის ერთ – ერთი ადრინდელი ძეგლია, რომლის თარიღი მე – IV – VI საუკუნეთა ფარგლებს არ სცილდება. „**შუშანიკის მარტვილობისა**“ და „**ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა**“ წიგნებთან ერთად, „**მარტვილობა ცხრა ძმათა კოლაელთა**“ ეკუთვნის უძველეს ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც ქართულ ენაზე ჩვენამდე მოღწეულა“ (ინგოროყვა, გვ. 503).

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლის „**ქართლის მოქცევის**“ **მატიანის** ცნობათა თანახმად, **არტაან – კოლას** მხარე ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი იყო **ადრინდელი ქრისტიანობისა იბერიაში...** არტაან – კოლას მხარე ადრინდელ გამხდარა ცენტრი როგორც **საეკლესიო – საქრისტიანო მშენებლობისა**, ისე **ადგილობრივი საქრისტიანო მწერლობისა**. „**მარტვილობა ცხრა ძმათა კოლაელთა**“ შეიცავს მოთხრობას არტაან – კოლას მხარის ადგილობრივი ისტორიიდან და, ცხადია, ადგილობრივ არტაან – კოლას მხარეშია დაწერილი“. – ამტკიცებს მკვლევარი. მაშასადამე, „წამება ცხრა ძმათა კოლაელთა“ ადასტურებს იმ ისტორიულ სინამდვილეს, რაზედაც მოგვითხრობს ცნობილი ისტორიული წყარო, „**ქართლის ცხოვრების**“ **შემადგენელი ნაწილი – „მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ – ჩვენი სამშობლოს წარსულის **დიდებული მათიანე**.

ამრიგად, **კოლა** ერთ – ერთი ულამაზესი მხარეა მდინარე მტკვრის სათავეებში. ისტორიულად შედიოდა **ზემო ქართლში**, დასახლებული იყო **მესხებით** – ძველი ქართული მოდგმის ხალხით, როგორც **ჯავახეთი** და **არტაანი**. თავდაპირველად **ჯავახეთი**, **არტაანი** და **კოლა** ერთ საერისთავოს წარმოადგენდა – **წუნდის საერისთავოს**. **ბაგრატიონთა სამეფოში** ეს მიწაწყალი ორად გაიყო – ჩამოყალიბდა **წუნდისა** და **არტაანის საერისთავო**. 1745 წლისათვის, როცა იწერებოდა **ვახუშტი ბატონიშვილის (ვახტანგ VI-ის ვაჟის)** ნაშრომი „**აღწერა სამეფოსა საქართველოსა**“, **კოლა** შედიოდა ოსმალეთის იმპერიაში. მაშინ **კოლაში** იჯდა **ფაშა**, რომელიც ემორჩილებოდა ახალციხის საფაშოს, **ათაბაგ – ჯაყელებს**.

**კოლას** ბუნებასა და მოსახლეობას **ვახუშტი ბატონიშვილი** ასე აღწერს: „**უვენახო, უხილო, უტყეო... მოსავლითაც უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი... ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი... ზაფხული ფრიად შუენიერი... მროწლელნი (ნახირი) და ჯოგნი მრავალნი. თევზი მრავალნი, თაფლნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გუარობენ, მრავალნი. ქალნი და კაცნი მზგავსნი ქართლის გლეხთა; ტანოვანნი, შუენიერ – ჰაეროვანნი, უსაქციელონი, გულუბრყვილონი**“.

**კოლაელები** ადრე ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ოსმალეთის საზღვრებში რომ მოექცნენ, იძულებული გახდნენ გამუსლიმანებულიყვნენ. ისინი დიდხანს ინარჩუნებდნენ ქართულ ენას. ამჟამად ქართულად აღარ ლაპარაკობენ, თურქულენოვანნი არიან. **კოლას** ადგილებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ქართული გეოგრაფიული სახელები. **წმ. ექვთიმე თაყაიშვილის** შემდეგ, **კოლას** სოფლები მოინახულა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულმა არტაანის მხარეში **კონსტანტინე ოდიშარიამ**. მან თავის მოგონებებში, საგაზეთო წერილებში დიდი

სითბოთი და სიყვარულით აღწერა კოლა-არტაანის მხარის ცხოვრების სურათები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. მკითხველს ამ მასალებს ვთავაზობთ წინამდებარე კრებულში.

ასე, რომ **კოლა** ახლო მომავალში ელოდება ქართველ მკვლევარებს.

\*\*\*

**ფოცხოვი** ისტორიული მესხეთის სილამაზით გამორჩეული ერთ – ერთი შესანიშნავი მხარეა. ისტორიული წყაროები ფოცხოვის წარსულის შესახებ ძალიან მწირია. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფოცხოვი წარმოადგენდა ცალკე ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ ერთეულს.

ეს მხარე ადრიდანვე ეკუთვნოდა **ჯაყელთა** საგვარეულოს, **ათაბაგებს**. მოგვიანებით ფოცხოვში გაძლიერდა **ჯაყელთა** განაყოფი შტოგვარი – **ბოცოსძენი**.

მათი სამფლობელო იყო **ფოცხოვი**, საგვარეულო სალოცავი კი სოფელ **აღში**, **აღის ეკლესია**. საგვარეულოს ფუძემდებელი იყო მე – 12 საუკუნის მიწურულის სამცხის ერისთავთერისთავი და სპასალარი **ბოცო ჯაყელი**. ბოცოსძენი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XIII-XIV საუკუნეების სამცხის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ საგვარეულოს წიაღში აღიზარდა არაერთი გამოჩენილი მოღვაწე და სარდალი.

XII საუკუნის მიწურულს **ბოცო ჯაყელმა** დაკარგა სამცხის (მესხეთის) ერისთავთერისთავობა და სპასალარობა **თამარ მეფის** წინააღმდეგ მოწყობილ დიდგვაროვანთა აჯანყებაში მონაწილეობის გამო. ამის შემდეგ ერისთავთერისთავობა ჯაყელთა მეორე შტოს – **ციხისჯვარელების** ხელში გადავიდა. მაგრამ **ბოცოსძენი** შემდეგაც არ ჩამოშორებია პოლიტიკურ ასპარეზს. ბოცო ჯაყელის ვაჟს – **ბოცოს** თამარ მეფემ **ჩუხჩარხობა** (**ჩურჩერახი** – დიდი რამ სამეფო კარის მოხელე – **საბა**) უბოძა.

ლაშა გიორგის ლაშქრობაში **განძაზე** (დაახლოებით 1213 – 1214 წ.წ.) **ბოცო ჯაყელი** – **ჩუხჩერახი**, სხვა მესხებთან ერთად, მეთაურობდა წინამძღოლთა გუნდს და თავი გამოიჩინა სიმამაცით. 1226 წელს **რუსუდან მეფემ** ძმებს – **ბოცოს** და **მემნას** დაავალა თბილისის დაცვის ხელმძღვანელობა **ჯალალედინის** შემოსევის დროს. ქალაქში მცხოვრებ სპარსელთა შინადალატის შედეგად მტერი ქალაქში შემოიჭრა, **მემნა ბრძოლაში დაიღუპა**. თბილისის დამცველები **ბოცოსძე ბოცოს** მეთაურობით ისანში გამაგრდნენ. ისინი თავდადებით იცავდნენ ქალაქის ამ ნაწილს და ბევრის სიცოცხლეს შეეწირა ამ ბრძოლას.

ისტორიულ წყაროებში მომდევნო ხანის თვალსაჩინო წარმომადგენლები **ბოცოსძეთა** გვარიდან აღარ ჩანან. მე – 16 საუკუნეში შედგენილ სამცხის ფეოდალთა სიაში ბოცოსძენი საერთოდ აღარ იხსენიებიან. მათი საფეოდალო – ფოცხოვი კი **ოლადასშვილთა** ხელში იყო უკვე გადასული.

მომდევნო პერიოდში ფოცხოვში კვლავ დაწინაურდნენ ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენლები – **ათაბაგები** (თურქ. ათაბეგ – o←ata – მამა, beg – ბატონი). თავდაპირველად ეს სახელწოდება შემოღებულ იქნა სელჩუკთა სამეფოში. ეს სახელწოდება მე-11 საუკუნეშიც სელჩუკთა სახელმწიფოში აღნიშნავდა სულთნის მემკვიდრის აღმზრდელს, მეურვეს. შემდეგ ხანაში ეს სახელწოდება გამოიყენებოდა დამოუკიდებელი სამთავროს მეთაურის თანამდებობის გამოსახატავად. **ეგვიპტის** მამლუქთა სახელმწიფოში კი აღნიშნავდა მხედართმთავარს. საქართველოშიც შემოვიდა ეს უცხო სიტყვა ვეზირის (მეფის თანაშემწის) აღსანიშნავად, რომელიც ამავე დროს იყო ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი.

ათაბაგობა საქართველოში პირველად 1212 წელს ებოძა **ივანე მხარგრძელს**. 1334 წელს **გიორგი მეხუთემ** ათაბაგობა უბოძა თავის ბიძას – მესხეთის მთავარს **სარგის ჯაყელს**. **ათაბაგობა**

ამის შემდეგ სამცხის მთავართა ტიტულადაც კი იქცა. აქედან მომდინარეობს ამ მხარის სახელწოდება – **სამცხე – საათაბაგო**. მომდევნო ხანაში სიტყვა „ათაბაგი“ გვარსახელად იქცა.

სამცხე – საათაბაგოში შედიოდა ფოცხოვის მხარეც. აქ სოფელ **ჯაყში** იყო ჯაყელთა საგვარეულო ციხე–**ჯაყის ციხე**, რომელსაც განაგებდნენ **ჯაყელები – ათაბაგები**.

ფოცხოვში იყო, აგრეთვე, **ყველის ციხე**, სიმაგრით გამორჩეული და მტრისთვის მიუვალი. ეს ციხე ისტორიულად **არსიანის** მთისკენ მიმავალ გზას სდარაჯობდა. ეს გზა მდინარე ფოცხოვის სათავეებთან იტოტებოდა; ერთი გზა **შავშეთისკენ** მიდიოდა, მეორე კი **ზემო აჭარისკენ** (მკითხველს გვინდა მივაწოდოთ ერთი საინტერესო ცნობა: ეს გზა ისტორიულად გადიოდა არსიანის მთის ფერდობის შუა წელზე. გზის ნაკვალევი ჯერ კიდევაა შერჩენილი არსიანის ქედზე. ამ ნაკვალევზე ჯერ კიდევ არ არის ამოსული ბალახი. ალბათ კვლავ ელოდება მომავალ მგზავრს. ნაკვალევი კარგად ჩანს **ჩირუხის** მთის მაღლობიდან, **ყარაფონლარის** წყაროდან (სტატიის ავტორს ბავშვობაში ამ გზას აჩვენებდა ამ გზით ბევრჯერ ნამგზავრი ბაბუა). გზის ნაკვალევი დღესაც კარგად მოჩანს. ეს გზა ერთმანეთთან აკავშირებდა ზემო აჭარას, ფოცხოვს, შავშეთსა და არტაანს).

ყველის ციხეში არაბებმა აწამეს მიქელ გობრონი (იხ. შავშეთი). ყველის ციხე იხსენიება ბერძნულ წყაროებში, რომლებსაც იმოწმებს დიდი ივანე ჯავახიშვილი (ტ .2, გვ. 59).

ფოცხოვში სოფელ **წურწყაბში**, იყო საეპისკოპოსო ტაძარი. სილამაზითა და დანიშნულებით გამოირჩეოდა, აგრეთვე, **ალის ეკლესია**. მე – 16 საუკუნეში ფოცხოვი, საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად, დაიკავა ოსმალებმა. მათ აქ შექმნეს ადმინისტრაციული ერთეული **ფოცხოვის ლივა**. მისი ცენტრი იყო **დიღური** (ამჟამინდელი ფოცხოვის ადმინისტრაციული ცენტრი). ეს ლივა (მხარე) იყოფოდა **მზვარისა** და **ჩრდილის** (ჩილდირის) ქვეადმინისტრაციულ ერთეულებად.

ფოცხოვი ემეზობლება **ზემო აჭარას**, **ხიხაძირის** მთიანეთს. ისტორიულად სოფელ **თხილვანის** მთებიდან საცალფეხო გზები გადადიოდა ფოცხოვში. ხიხაძირის თემის სოფლებიდან ბევრი გადასახლდა ფოცხოვში საცხოვრებლად, ფოცხოვის სოფლებში, მეწყრული მოვლენების გამო. ასეთი ერთ-ერთი სოფელია **ფაფალო**, რომელიც დიღურთან ახლოს მდებარეობს.

რუსეთ – ოსმალეთის 1828 – 1829 წლების ომის დროს რუსეთის ჯარმა, ქართველებთან ერთად, 1828 წლის ივლისში აიღო **ფოცხოვი**, **არტაანი**, **ყარსი**, **ახალქალაქი**, **ახალციხე** – ე.ი. ძველი **სამცხე-საათაბაგო**, რომელიც მიტაცებული ჰქონდა ოსმალეთს 1550 წლიდან. 1829 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალეთი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო, რადგან რუსეთის ჯარმა **ტრაპიზონამდე** მიაღწია. ევროპაში კი ოსმალეთმა ქ. **ადრიანოპოლიც** კი დაკარგა. ამიტომ ოსმალები ზავის პირობებს დათანხმდნენ. 1829 წლის 2 (14) სექტემბერს რუსეთმა და ოსმალეთმა ქალაქ **ადრიანოპოლში** ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე მიიღო ქალაქები – **ფოთი**, **ახალციხე**, **ახალქალაქი**, აგრეთვე, ძველი სამცხე – საათაბაგოს 10 რაიონი – **ახალციხის**, **ახალქალაქის**, **ასპინძის**, **აწყურის**, **ხერთვისის**, **ქვაბლიანის** (ადიგენის რ.), **აბასთუმნის**, **ჭაჭარაქის**, **ფოცხოვისა** და **ჩილდირის** რაიონები.

1917 წლის ოქტომბერ – ნოემბერში, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორმა **ნიკოლოზ მეორემ** ტახტი დაკარგა; დაიშალა რუსეთის იმპერია. იმპერიაში შემავალმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ასეთი ვითარება შეიქმნა საქართველოშიც. გამოცხადდა **საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა**. მაგრამ მტერს არ ეძინა. ჯერ ერთი, რუსეთი არ გვანებებდა თავს და მეორეც, თურქეთი ცდილობდა დაებრუნებინა ადრე მიტაცებული, **ადრიანოპოლის** ზავის თანახმად დაკარგული, ძირძველი ქართული მიწები. ასე, რომ ისტორიულ სამცხე – საათაბაგოში

კვლავ გაჩაღდა ბრძოლა. მტერი ცდილობდა ჩილდირის, ფოცხოვის, ახალციხის, ახალქალაქის ხელში ჩაგდებას.

ფოცხოვში მაშინ ერისმთავრობდა **ახმედ ათაბაგი (ჯაყელი)**. იგი იყო **მემედ ბეგ აბაშიძის** სიძე, **დის – მინირე აბაშიძის** მეუღლე. ახმედ ათაბაგი მემედ აბაშიძის თანამოაზრე იყო. ცდილობდა სამუსლიმანო საქართველოს რაიონები – მათ შორის **ფოცხოვიც**, საქართველოს შემადგენლობაში ყოფილიყო. მაგრამ მაშინ ფოცხოვში მომრავლებულიყო ანტიქართული შეხედულების მქონე საზოგადოება. ისინი ისწრაფოდნენ ფოცხოვის რაიონი თურქეთის საზღვრებში მოქცეულიყო. ჯერ კიდევ სუსტი ქართული ჯარი ფოცხოვში შესვლას რატომღაც აგვიანებდა.

**ახმედ ათაბაგსა** და მის შვილს **აბას ათაბაგს** დაბა **დიღურში** თავს დაესხნენ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ბანდის წევრები და საშინელი წამებით დახოცეს მამა – შვილი – **ახმედ და აბას ათაბაგები**. ამ ფაქტთან დაკავშირებით მემედ ბეგ აბაშიძეს დაწერილი აქვს სტატია „**შური იდიეს**“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთში – „**სამუსლიმანო საქართველო**“ (იხ. გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო, 1919 წელი, 9 მაისი). გაზეთი „**სახალხო საქმე**“ ამ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით **მემედ აბაშიძის** მისამართით აქვეყნებს სამძიმრის ბარათს – „**სამშობლოს მსხვერპლნი**“. სტატიას თან ერთვის **წამებული ფოცხოველი რაინდების** – მამა – შვილ **ახმედ და აბას ათაბაგების** ფოტოსურათები (იხ. გაზეთი „სახალხო საქმე“, № 524, 1919 წელი).

ამ უბედური შემთხვევის ამსახველი მასალები საქართველოში კომუნისტური რეპრესიების დროს გაანადგურეს. **მემედ ბეგ აბაშიძე** რეპრესირებული იყო. იგი 1937 წელს დააპატიმრეს და მალევე მოკლეს ციხეში. მის შესახებ არსებული ისტორიული წყაროების დიდი ნაწილი კი გაანადგურეს. ზემოთ აღნიშნული მასალები, საგაზეთო სტატიები, დაცულია **სტამბოლის ქართველთა სავანეში**. მას გავეცანი ამ სავანესთან არსებულ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში მუშაობისას და ვუძღვენი სტატია „**ამბავი ტაო – კლარჯეთის წამებული მიწისა**“, რომელიც დაიბეჭდა ქართულ გაზეთებში (იხ. გაზეთი „ახალი ერა“, 2001 წლის 20 აპრილი, გვ. 6 – 7). ამავე საკითხს ეხება, აგრეთვე, გენერალი **გ. კვინიტაძე** თავის წიგნში „**მოგონებები**“, რომელიც საფრანგეთშია დაწერილი. გამოქვეყნდა 1998 წელს თბილისში (იხ. გვ. 133).

გენერალი **გ. კვინიტაძე** მოხიბლულია **მემედ აბაშიძის დის – მინირე აბაშიძის** გმირული საქციელით. ვაჟიშვილისა და მეუღლის მოწამეობრივი სიკვდილის შემდეგაც სულიერად არ დაცემულა **მინირე აბაშიძე**. იგი ფოცხოვში შესულ ქართულ ჯარს სიხარულით შეხვდა და მეუღლის დანატოვარი საბრძოლო ტექნიკა გადასცა. **ეს მაშინდელ პირობებში გმირობის ტოლფასი იყო, რადგან ქვეყანა თურქეთის აგენტებით იყო სავსე და ყოველ წუთს მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა**. უშიშარი ქართველი მანდილოსანი მოსახლეობას გმირობის მაგალითს აძლევდა და მოუწოდებდა საქართველოსთვის თავდადებისაკენ. **მინირე აბაშიძე ქართველი ქალის სამაგალითო სახეა**.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში შემონახულ გაზეთ „**საქართველოს**“ ფურცლებიდან ასე გვესაუბრება უცნობი ჟურნალისტი, ფოცხოვის ბრძოლების მოწმე: „**პირველად ეკვეთა მტერს ქართული ლეგიონი. თითქო ქეიფში მიდიოდნენ, ისე მიიჭრებოდნენ ბრძოლაში ტანაყრილი ჭაბუკები და შეაკვდნენ მტერს კიდევ. აჭარელი, ბორჩალოელი მუსულმანი ბიჭები და ქართლელი ქრისტიანები – ყველანი ერთგულად მიიწევდნენ მტრის წინააღმდეგ და ერთხელაც არ შემდრკალან. ბევრი დაეცა ფოცხოვის მიწაზე უსულოდ, ბევრს დააჭკნა მომღიმარ ტუჩებზე სამშობლოს სიყვარული...**“

მტერს შეაკვდა ლეგიონი. ყველა მისი აფიცრები, ორს გარდა, ბრძოლაში დაეცნენ. დამსხვრეული რაზმი თავს იყრიდა და მტრისთვის ერთი ციდა მიწა არ დაუნებებია. **სახელი და დიდება**

დაღუპულ ამხანაგებს, რომლებმაც აქ, ძველ მესხეთში, თავისი სისხლით საძირკველი ჩაუყარეს განახლებულ საქართველოს განმტკიცებას. თავდადებული მეზრძოლების ობოლი საფლავები მოუთხოვნიერ მომავალ თაობებს მესხეთის ტრაგედიას... მისი განახლებისათვის თავდადებულებს საუკუნო ძეგლს აუგებენ შთამომავლები“ (იხ. გაზეთი „საქართველო“, 1919 წელი, № 28, „ბრძოლა ფოცხოვთან“).

ღმერთს შევთხოვოთ, ქართველი ერის მომავალ თაობას შეაძლებინოს გმირულად დაღუპული ქართველი ვაჟკაცების საძმო საფლავის ყვაილებით შემკობა და მათი ხსოვნის ძეგლის აგება ფოცხოვის ძირძველ ქართულ მიწაზე.

\* \* \*

**ერუშეთი** ისტორიული მხარეა სამხრეთ საქართველოში. ეს ძირძველი ქართული მიწა მოქცეულია არტაანის ტერიტორიას, **არსიანის** ქედსა და **ნიალის** ველს შორის. სახელი ეწოდა მხარის ცენტრალური პუნქტის მიხედვით. ქართლის სამეფოს უძველესი ადმინისტრაციული დანაწილებით, **ერუშეთი** არტაანთან ერთად, **წუნდის** საერისთავოში შედიოდა. ძველი ქართული წყაროების მიხედვით, საქართველოში პირველი ქრისტიანული ტაძარი **ერუშეთში** აუგიათ მეოთხე საუკუნეში. მეხუთე საუკუნეში **ვახტანგ გორგასალს** ერუშეთში საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია.

**ერუშეთი**, ჯავახეთის მიმდებარე მიწა – წყალი, ძირძველი ქართული მიწა, საქართველოს ოქროს ხანაში – XI – XII საუკუნეებში შედიოდა გაერთიანებული საქართველოს საზღვრებში. **თამარ მეფის** მეფობის ხანის ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი დაკავშირებულია ერუშეთთან. კერძოდ: როგორც ცნობილია, თამარის პირველი ქმარი – **გიორგი რუსი** უღირსი ადამიანი აღმოჩნდა. მემატიანეთა ცნობით, მას „სილოდა“ სჭირდა; „უბედურს რუსს“ სოდომური ცოდვა და ქცევა აღმოაჩნდა. ამიტომაც საქართველოდან გააძევეს. იგი **კონსტანტინეპოლში** გაიხიზნა. მაგრამ საქართველოს მოღალატე თავადებმა კვლავ მოიწვიეს საქართველოში და მხარში დაუდგნენ, თამარ მეფეს უორგულეს. ორგულთა შორის იყვნენ **ვარდან დადიანი** – მეფის მსახურთუხუცესი და ტაოს ერისთავი **გუზან ტაოსკარელი**.

თამარ მეფის მომხრეებსა და გიორგი რუსის თანამზრახველებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა **თმოგვსა** და **ერუშეთს** შუა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, „მედგარ და ფიცხელ ბრძოლაში „მიეცა ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისათა“ („ქართლ. ცხ. ტ. II, გვ. 440). გიორგი რუსის მომხრეები დამარცხდნენ. **თამარ მეფის** მხარეს სასახელოდ იბრძოდნენ სახელოვანი გვარის წარმომადგენლები – **თორელები, მხარგრძელები და გამრეკელები**.

დიდი **ივანე ჯავახიშვილი**, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, წერდა: „ერუშეთი“ საეპისკოპოსო საჯდომი იყო“ (ტ. 2, გვ.59).

მე – 16 საუკუნეში **ერუშნელი ეპისკოპოსის** ეპარქიაში, ერუშეთს გარდა, არტაანის მხარის მტკვრის მარცხენა სანაპიროც შედიოდა.

მე – 16 საუკუნიდან **ერუშეთი**, სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად, ოსმალთა სახელმწიფოში მოექცა. რუსეთ – ოსმალეთის 1877 – 78 წლების ომის შემდეგ **სან – სტეფანოს** საზავო ხელშეკრულებისა და **ბერლინის** კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, 1878 წლის ზაფხულში **ერუშეთი** რუსეთის იმპერიას გადაეცა, ე.ი. შემოუერთდა საქართველოს. შემდგომში, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის საზავო ხელშეკრულებით, ერუშეთს კვლავ ოსმალეთი (თურქეთი) დაეუფლა.

მე – 19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ერუშეთში იმოგზაურა და ისტორიული ძეგლები შეისწავლა წმ. **ექვთიმე თაყაიშვილმა**. ეს მასალები მოცემულია მის შესანიშნავ ნაშრომში „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, თბ., 1960 წელი.

\* \* \*

**ოლთისის** მხარე ერთ – ერთი ულამაზესი მიწა – წყალია ისტორიული საქართველოსი. ოლთისის მხარე, **ექვთიმე თაყაიშვილის** ცნობით, „გაშლილია მდინარე **ოლთისის** წყლის ბასეინში. ეს მხარე ფრიად დასერილს მთიანეთს წარმოადგენს. წყალგამყოფი მაღალი ქედები და მთები ავსებენ მთელს ამ მხარეს. ოლთისის წყალს ერთვის ბევრი მდინარე, რომლებიც ცალკე ხევებს ქმნიან. **ბანასწყალი** ერთი შენაკადია ოლთისის წყლისა, რომელსაც საკუთრივ თავისი შენაკადებიც აქვს, როგორცაა **ბარდუსისწყალი** და **ყანლისწყალი**. ამ მდინარის ერთი მოზრდილი შენაკადია, აგრეთვე, **სალაჩურისწყალი**, რომელსაც ასევე თავისი შემდინარეები ახლავს. ასე, რომ ოლთისის მხარე ხეობების სიმრავლით ხასიათდება. ამ ხეობების გორაკებზე გაშლილია ოლთისის სოფლები. თვით ოლთისის წყალი შემდინარეა ჭოროხისა მარჯვენა მხრით; იწყება **სევრიდაღის** მთიდან და სდის 145 ვერსის მანძილზე“ (ექ. თაყ. გვ. 312).

ძველი საქართველოს მხარეთა შორის ოლთისის შემოგარენი ოდითგანვე ითვლებოდა ერთ – ერთ დაწინაურებულ ადგილად, ბუნებრივი სიმდიდრით დაჯილდოებულ კუთხედ. აქაური ხეხილი გამოირჩევა მიმზიდველი გემოთი და მაღალი ხარისხით. წიაღისეული სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია ძვირფასი ქვები; განსაკუთრებით ფასობს აქაური **გიშერი**. თურქეთში დღეს ამ ქვას ჰქვია „**ოლთუტაშ**“, რაც ქართულად ნიშნავს „**ოლთისის ქვას**“. მისი საბაზრო ღირებულება საკმაოდ მაღალია; მისგან ამზადებენ ძვირფას სამკაულებს.

ოლთისის მიდამოების ლამაზ ფერებში ამეტყველებული ბუნებრივი სილამაზე მნახველზე მომაჯადოებელ გავლენას ახდენს, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს. ისტორიული წყაროები ძალიან ცოტა მოგვეპოვება ამ ლამაზი მხარის შესახებ. ალბათ, ბევრი რამ დაიკარგა საუკუნეთა ქარტეხილებში. „ოლთისის მხარე შეადგენდა ძველი ქართული პროვინციის – ტაოს ნაწილს. ტერიტორია მისი შეიცავდა 2958 კვ. კილომეტრს; მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა 275 450 სულს. უმეტესობა შეადგენდა **გამაჰმადიანებულს ქართველობას, მესხებს**. სხვებთა შორის იყვნენ **ბერძნები, ქურთები და სომხები**“, წერდა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილი როცა ამ მხარეში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა (იხ. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა – ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს გვ. 319).

ოლთისის გამგებლები მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან იყვნენ **ხიმშიაშვილები – სელიმ ხიმშიაშვილის შვილი ქორ – ჰუსეინ ბეგი** და მისი შთამომავლები. ექვთიმე თაყაიშვილს ექსპედიციის დროს, 1907 წელს, ოლთისის მხარის ისტორიული ძეგლების დათვალიერება – შესწავლაში ეხმარებოდნენ ამ გვარის შვილები – **ფანასკერტისა და კარნავაზის მამასახლისები**. მათ შორის აღსანიშნავია **რუსტემ ბეგ ხიმშიაშვილი**, ოსმალეთის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი ოლთისიდან. თავისი ეროვნება, გვარი, რომ შეენარჩუნებინა, მან „**ხიმშიაშვილის**“ („**ჰიმშიოღლუს**“) გვარით გაიარა დეპუტატობის რეგისტრაცია 1920 წლის 18 აგვისტოს, რაც მაშინ კანონით დაუშვებელი იყო (ქასაბი, 185; თაყაიშ. 133).

მხარის სახელი – „**ოლთისი**“ მომდინარეობს ისტორიული იმიერტაოს მხარის დედაქალაქის, ცენტრის სახელისაგან – „**ოლთისი**“. ეს იყო სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში ერთ – ერთი გამორჩეული ციხე – ქალაქი. იგი გაშლილია მდინარე ოლთისწყლის შუა წელზე. მეათე საუკუნეში ოლთისი **დავით III დიდი კურაპალატის** რეზიდენცია (სატახტო ქალაქი) იყო. მისი

გარდაცვალებისთანავე ოლთისის მხარე მიიტაცეს ბერძნებმა. დავით III კურაპალატის შემდეგ, 1001 წლიდან, **მეფეთა მეფე გურგენი** შეეცადა დაებრუნებინა ეს ლამაზი მხარე, მაგრამ ბიზანტიელების წინააღმდეგობას ვერ გაუმკლავდა. საბოლოოდ ოლთისი, იმიერტაოს სხვა მხარეებთან ერთად, ბიზანტიის კეისარმა **ბასილი მეორემ** დაიკავა.

1121 – 23 წლებში, როგორც მოგვითხრობენ ისტორიული წყაროები, მიმდინარეობდა ბრძოლები ე.წ. **„ზემონი ქუეყანანის“** (ტაო – ოლთისისა და თორთომის, ბასიანის) დასაბრუნებლად, შემოსამტკიცებლად, მაგრამ ამაოდ. მომდევნო წლებში, კერძოდ, XI საუკუნის 70 – იანი წლებიდან, მდგომარეობა გაუმჯობესდა. ოლთისს, კარნუ – ქალაქსა (ერზრუმს) და კართან (ყარსთან) ერთად, მიმდებარე ტერიტორიებს განაგებდა ბიზანტიის დიდმოხელე **ტაოელი ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძე**.

საქართველოში „დიდი თურქობის“ დროს(XI – XII ს.ს.) აღნიშნულ ტერიტორიებს, მათ შორის ოლთისს, ფლობდნენ თურქ – სელჩუკები. **დავით IV აღმაშენებლის** წინამძღოლობით დიდი ბრძოლა გაიმართა ამ მიწების დასაბრუნებლად. ბრძოლაში ციხე – ქალაქი ოლთისი თითქმის მთლიანად დაიწვა.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, დიდი ივ. **ჯავახიშვილი** აღნიშნავდა: **გიორგი II** (1072 – 1089) **ფარცხისტან** გამარჯვების შემდეგ (თურქ – სელჯუკებთან გამართული ბრძოლის შემდეგ) „აქეთგან წავიდა „მამულსა თჳსსა ტაოს“ და **ბანაში** დაბინავდა. აქვე მოვიდა და მეფეს ეახლა „ზორავარი აღმოსვლისა“ **გრიგოლი**, ერისთავთ – ერისთავის **ბაკურიანის ძე**, განთქმული ქართველი მოღვაწე... ამ **გრიგოლ ბაკურიანისძეს** ჰქონდა **ოლთისნი, კარნუ-ქალაქი** და **კარი**. მეფეს ძალიან ეამა გრიგოლის მოსვლა და ნახვა. გრიგოლმა „მისცა გიორგი მეფესა კარის ციხე – ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“. გახარებულმა მეფემ კარში მცველად შავშელი აზნაურნი ჩააყენა და თვითონ შინისაკენ გამოემგზავრა“ (ივ. ჯავახ. ტ. 2, გვ. 160).

შემდგომ ერთხანს ოლთისის მხარე საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული. XIII საუკუნის 40 – იანი წლებიდან, მონღოლთა ბატონობის დროს (უმეფობის ხანაში), მცირე აზიელმა თურქმანებმა დაიკავეს, მაგრამ ეს მხარე სამცხის ლაშქარმა მალე გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან.

XV – XVI საუკუნეებში **ოლთისი** ბევრჯერ იქცა საბრძოლო მოედნად. XVI საუკუნის დასაწყისიდან ოლთისის მხარე მიიტაცეს ოსმალებმა. ოსმალების ბატონობის დროინდელ ოლთისში მომხდარი ერთი ამბავი გვინდა გავახსენოთ კრებულის მკითხველს, რომელიც ეხება მეფე **თეიმურაზ პირველის** მოღვაწეობის დროს. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი **„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“** მოგვითხრობს თეიმურაზ მეფის (1605 – 1661) ოჯახის სტუმრობას **ოლთისში**.

თეიმურაზ პირველმა, როგორც ცნობილია, დიდი ბრძოლები გამოიარა სამეფო ტახტის შენარჩუნებისათვის. **იმერეთში** ყოფნის დროს მან ოსმალების ხონთქარს **სტამბოლში** თხოვა თავშესაფარი და შეწევნა. მალე ის **გურიას** ესტუმრა, **მამია გურიელს**. აქ ყოფნისას ამბავი მოუვიდა ხონთქრისაგან. ხონთქარი მას ჩუქნიდა **გონიას** (გონიოს) და **ახალციხის** მიდამოებს. მალე იგი ახალციხეში გადავიდა **მანუჩარ ათაბაგთან**. იქიდან კი, ხონთქრის მიწვევით, **სტამბოლს** გაემგზავრა.

გამგზავრებამდე ათაბაგმა მას აჩუქა **ოლთისი**. თეიმურაზმა ოჯახი გადაიყვანა ოლთისში და თვითონ შვიდასი კაცის თანხლებით, „ფრიად მდიდრად“ წავიდა სტამბოლში. ეს ამბავი გაიგო **შაჰაბასმა**, ძალიან განაწყენდა მეფის ოსმალებთან დაახლოების გამო. 1620 წელს **ისპაჰანში** ჩააყვანინა თეიმურაზის შვილები – **ლევანი** და **ალექსანდრე** და გამოასაჭურისებინა, რის შემდეგაც ისინი მალე გარდაიცვალნენ. გარდა ამისა, ერევნის ბეგლარ – ბეგს **ამირ – გუნახანს**



უბრძანა, რომ თავს დასხმოდა ოლთისის ციხეში შეფარებულ თეიმურაზის ოჯახს და ტყვედ წამოეყვანა ისინი **ისპაჰანში**.

მაშინ დიდი ზამთარი, თოვლიანობა ყოფილა და ერევნის ბეგლარ – ბეგმა მალევე ვერ შეასრულა შაჰის ბრძანება. ამასობაში თეიმურაზის მეუღლემ **ხუარაშანმა** თურმე სიზმარი ნახა, რომ საფრთხე ემუქრებოდა. დედოფლის დავალებით ოლთისის ციხე გაუმაგრებიათ ისე, რომ ერევნელმა ბეგლარ ბეგმა ვერ შეძლო მისი აღება და შაჰის დავალების შესრულება. თეიმურაზი სტამბოლიდან ხონთქარ **მუსტაფას** ძვირფასი საჩუქრებით გამოუსტუმრებია, მაგრამ დახმარებაზე უარი უთქვამს... **ესაც ერთი ეპიზოდია ჩვენი სამშობლოს მიმე წარსულისა...**

1877 – 78 წლების ომის შემდეგ, **ბერლინის კონგრესის** გადაწყვეტილებით, ოლთისის მხარის დიდი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა. პირველი მსოფლიო ომის დროს ოლთისის მხარე კვლავ იქცა საბრძოლო მოედნად. რუსეთისა და თურქეთის ჯარები ერთმანეთს ებრძოდნენ ამ მხარის დასაკავებლად. ოლთისის მხარის მაშინდელი დუხჭირი ცხოვრების სურათებია ასახული **სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში** შემონახული პრესის ფურცლებზე, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

1921 წლის 13 ოქტომბრის **ყარსის** ხელშეკრულებით ოლთისის მხარე კვლავ მთლიანად მოექცა ოსმალეთის საზღვრებში. ამჟამად შედის თურქეთის რესპუბლიკის **ყარსის** ოლქში.

ოლთისის მხარის შესახებ ისტორიული წყაროები ბლომად არ მოგვეპოვება. საინტერესო ცნობებია მოცემული მხოლოდ **ვახუშტი ბატონიშვილისა** და **ექვთიმე თაყაიშვილის** ნაშრომებში. უკვდავი ნაშრომი „**აღწერა სამეფოსა საქართველოსა**“ გვაცნობს ოლთისის მხარის ულამაზეს ბუნებასა და ისტორიული ადგილების ღირსშესანიშნაობას. **ვახუშტი ბატონიშვილი** წერს: „**ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ – ჰაოვანი**. აქ არს ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი **ათაბაგისა**, ვითარცა **ახალციხე**. ოლთისს ზეით, ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არს **გარუმაკი** და აწ **ნარიმანი**, დაბა დიდი. აქვე არს **ფანასკერტი**, **ოლთისი** ხილიანი, ვენახიანი... ამ წყალზედ, ჭოროხის აღმოსავლით, არს **ციხე ფანასკერტისა**, კლდესა ზედა, დიდ – შენი, მაგარი. აქ იჯდა ერისთავი **ფანასკერტ – ოლთისისა**, და არს აწ დაბა. ამას ზეით, ამ წყალზედ, მთაში, არს **ბანა**, აწ უწოდებენ **ფანქს**. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, დიდი, შუენიერად ნაგები, კეთილ – შტენიერს ადგილს. აღაშენა მეფემან **ადარნასემ**. აქ დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ფანასკერტისა და სრულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა და აწ არს ცალიერი“ (ვახუშტი, „ქართ. ცხ. ტ. IV, გვ. 683).

**ექვთიმე თაყაიშვილმა** 1907 წელს შეისწავლა ოლთისის მხარეში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები და საქართველოს გააცნო ამ ძირძველი ქართული მიწის წარსულის დიდებული სურათები, იმჟამინდელი იქაური მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. იგი წერდა: აქ „მაჰმადიან ქართველებს ქართული ენა საზოგადოდ დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთ სოფელში, **ფანასკერტში**, **ანზავში**, **ნიაკომში** მოხუცებულებს ზოგჯერ ესმოდათ ქართული; ხოლო **შეგნება**, რომ ისინი წინათ ქართველები იყვნენ, თითქმის ყველას **ჰქონდა**“ (თაყაიშ. გვ. 134).

დიდი **ექვთიმე თაყაიშვილი** თავის ნაშრომში „**არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა – ოლთისში და სოფელ ჩანგლში**“ – მკითხველს საფუძვლიანად აცნობს ოლთისის მხარის დიდებულ წარსულს. უპირველესად იგი ყურადღებას ამახვილებს **ბანას** ტაძარზე. იხსენებს ბანას შესანიშნავი ტაძრის ამშენებელს **კვირიკე ბანელს**, რომ მეფე **ადარნასემ** (881 – 923) აღაშენა ბანა კელითა **კვირიკე ბანელისადათა**, რომელი იგი იქმნა პირველ **ეპისკოპოს ბანელ**“. იხსენებს, აგრეთვე, **ზაქარია ბანელს**, რომლის ბრძანებით მეთერთმეტე საუკუნეში გადაიწერა დიდი კრებული.

1843 წელს ბანას ტაძარი უნახავს გერმანელ ბოტანიკოსს **კარლ კოხს**. ექვთიმე გვაცნობს კარლ კოხის სიტყვებს: „ეჭვ გარეშეა, ყველაზე უფრო ლამაზი და ყველაზე უფრო მშვენიერი მათ შორის, რაც მე ამგვარი რამე მინახავს მთელს აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლის გამოკლებით, ეს ბანას ტაძარიაო“. ბანას ტაძრის ჩუქურთმებს მოუხიბლავს ბევრი ცნობილი მოგზაური თუ მეცნიერი (კოხი, ვეიდენბაუმი, დ. ბაქრაძე...) როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ქმნილებას.

ექვთიმე თაყაიშვილი თავის ნაშრომში მკითხველს აცნობს ძველი ქართული სოფლის – **სოლომონისის** (სოლომონ – ყალას) ციხის ნაშთებს, ციხის გალავნის შიგნით დაცულ თლილი ქვისაგან ნაშენ პატარა ლამაზ ეკლესიას, რომელსაც 1907 წლისთვის შემონახული ჰქონდა **ხუცური წარწერები, მხატვრობა** (მაცხოვარი მოციქულებითურთ...), ფრესკები. წარწერებში მოხსენიებული ყოფილა **ათაბაგი ყვარყვარე** და მისი მეუღლე **მარეხი**.

ე. თაყაიშვილმა არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღწერა ოლთისის ბევრი ისტორიული ძეგლი. მათგან აღსანიშნავია: სოფელ **კოსორის** მღვიმის ეკლესია, **კალკოსის** ეკლესია (სადაც მაშინ შემონახული იყო ძველი ქართული სახარება), სოფელ **ორთულის**, **პატარა ვანქის**, **პერტუსის**, **ზობისგერის**, **ლექსორის**, **ქალაქ ოლთისის**, **ფარნაკის**, **ოლორის**, **ორთისის**, **ვაჩემორის**, **ტაოსკარის**, **ფანასკერტის**, **კარნავაზის**, **კინეპოსის**, **ანზავის**... ეკლესიებისა და ციხე – სიმაგრეების ნაშთები. სწორედ, ამ დიდმა მამულიშვილმა საქართველოს პირველმა გააცნო აღნიშნული უძველესი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები; გაგვაცნო ამ მხარის ერისთავთ – ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის **ზაზა ფანასკერტელის**(ციციშვილის) ვინაობაც. აგრეთვე, მოგვითხრო ზაზას ძმის – **ციცის დამსახურებაზე**. **ციცი და ზაზა ფანასკერტელები** 1465 წელს გადმოსახლებულან ქართლში. მომდევნო წლებში ეს გვარეულობა ცნობილია ციციშვილებად (თაყაიშ. გვ. 364).

1878 წლის **ბერლინის** კონფერენციის გადაწყვეტილებით, როცა საქართველოს ფაქტიურად დაუბრუნდა ეს მხარე, იმ დროიდან მოყოლებული, 1907 წლისთვის, უკვე გასული იყო 29 წელიწადი. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამალღებისათვის ამ 29 წლის მანძილზე **დედასაქართველოს თითქმის არ უზრუნვია**; ამ კუთხით ბევრი არაფერი გაკეთებულა: **არ გახსნილა ქართული სკოლები**, კულტურულ – საგანმანათლებლო დაწესებულებები, რასაც დღენიადაგ ითხოვდა იქაური მოსახლეობა.

**წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა** პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში ამ მხარეში არსებულ ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. სამხედრო ჟურნალისტების მიერ დაწერილი საფრონტო დღიურები მოგვითხრობენ აქაური მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრების შესახებ. **დარწმუნებული ვართ, მკითხველი შეძრწუნდება ამ ძირძველი მესხი მოსახლეობის მძიმე პირობების გაცნობით და ცრემლმორეული შეევედრება დედა მარიამს, რომ ღვთისმშობელმა აპატიოს ქართველობას, დედასაქართველოს ამ ძირძველი ქართული მიწის, მესხი ქართველების მიმართ მაშინ გამოჩენილი გულგრილობისათვის.**

ოლთისის მხარეში 1915 – 1919 წლებში იმოგზაურა **კონსტანტინე ოდიშარიამ** (კოტე მარტვილელმა), როგორც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულმა არტაანის მხარეში. მისი მოგზაურობის დღიურები დიდი ინტერესით იკითხება და გვაცნობს პირველი მსოფლიო ომის წლებში ამ მხარის მცხოვრებთა სიდუხჭირეს, ძირძველი მესხი მოსახლეობის განადგურების შემზარავ სურათებს. კრებულის მკითხველს ვთავაზობთ კ. ოდიშარიას დღიურებს, რომელიც უკეთ გააცნობს ოლთისის მხარეს.

## **ბასიანი და თორთომი - ყარსისა და ეზრუმის მიმდებარე მხარეები**

ქართველთა ისტორიული სამშობლოს საზღვრები სამწუხაროდ, საუკუნეთა ქარტეხილებში შეიკვეცა ჩვენი სამშობლოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე იმ უბანებშიც, რომელიც ესაზღვრებოდა ისტორიულ სომხეთს. ეს არის **ბასიანის** მხარე. იგი მოიცავს საკუთრივ **ბასიანსა და კარის (ყარსის)** მიმდებარე მიწა-წყალს.

ისტორიული ბასიანი გაშლილია მდინარე **არაქსის** ხეობაში.

ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველ ტომთა (**იბერების, მესხების, მოსინიკების (ხეთაონების, ხალიბების)**) დასახლებები არსებობდა მდინარეების – **არაქსისა და ევფრატის** ხეობებშიაც; კერძოდ, ამ ხეობების ზემო ნაწილში. ამჟამად ეს მიწა-წყალი შედის თურქეთის რესპუბლიკაში და მოიცავს სამ **ოლქს** – **ყარსის, არზრუმისა და ერზინჯანის** ვილაეთებს (ოლქებს).

ძვ.წ. აღ.-ით მეორე-პირველ საუკუნეებამდე ეს მხარეები – **„ზემონი ქუეყანანი“** და **ბასიანის მხარეები** – ქართველთა სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა. აქ იგულისხმება IV საუკუნის დასასრული და მესამე საუკუნის **დასაწყისი** – **ფარნავაზიანთა დინასტიის** დასაწყისი ეპოქა; ძვ. წ. აღ.-ით მეორე-პირველ საუკუნეებში კი ძლიერდება სომხეთის სახელმწიფო და თავის საზღვრებში აქცევს **მდ. არაქსისა და ევფრატის** ზემო წელის ხეობებში გაშლილ ამ მხარეებს.

პირველი საუკუნის (ახ.წ.აღ. – ით) მეორე ნახევრიდან, როგორც ვიცით, ძლიერდება **იბერთა სახელმწიფო** და იბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს აღნიშნულ მხარეში. მაგრამ მომდევნო ხანაში კვლავ კარგავს ამ მიწებს და თანაც იწყება ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკური გადაგვარება. თუმცა მე – 7 საუკუნემდე აქაურ მოსახლეობას ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონია **ქართული სახე**.

საქართველოს სახელმწიფო არასდროს შეგუებია ამ მხარეთა დაკარგვას, სულ მუდამ ცდილობდა მის დაბრუნებას, რის გამოც ებრძოდა **სომხებს, ბიზანტიელებს, არაბებსა და ოსმალებს**. თუმცა დღესდღეობით დაკარგულად ითვლება ეს მიწები. იქ თითქმის წაშლილია ქართული გენისა და ენის კვალი. მხოლოდ აქა-იქ შემორჩენილია **ქართული გეოგრაფიული სახელები** – ტოპონიმები.

**„ზემონი ქუეყანანი“** საქართველომ ნაწილობრივ დაიბრუნა მე-12-13 საუკუნეებში, ძირითადად **თამარ მეფის ეპოქაში**. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური დაკავშირება საქართველოსთან; ეთნოგრაფიულად ამ მხარეების მოსახლეობას მაშინაც უკვე დაკარგული ჰქონდა ქართული სახე.

ქართული მიწების – **„ზემონი ქუეყანანის“** პროვინციებიდან, რომლებიც მდებარეობდნენ მდინარეების – **არაქსისა და ევფრატის** – ზემო წელის ხეობებში, საქართველოსთან უფრო დაახლოებულნი იყვნენ **ბასიანის** მხარეები, რადგან ისინი ყველაზე დიდხანს იყვნენ საქართველოს შემადგენლობაში და მოსახლეობის უმრავლესობაც ქართველი იყო.

**ბასიანი** მდებარეობს მდ. არაქსის ხეობაში და ესაზღვრება მესხეთის უძველეს მხარეს – **ტაოს**. ისტორიკოსები ამას **უწოდებენ საკუთრივ ბასიანს**. არის, აგრეთვე, **ზემობასიანი** ანუ **ვანანდი**. იგი მდებარეობს მდ.არაქსის შენაკადის **ყარსისწყლის ხეობაში**. ამიტომ მას ეწოდება **„კარისმხარე“** ანუ **„ყარსის მხარე“**. **„კარი“** ახლანდელი **„ყარსი“**-ა. ზემობასიანი ანუ ყარსის მხარე კი ესაზღვრება **კოლას, ჩილდირსა და ტაოს**.

ანტიკურ წყაროებში **„ბასიანი“** მოხსენიებულია როგორც **„ფასიანი“**. აქ მოსახლე ქართველ ტომს ბერძნები უწოდებენ – **„ფასიანნი“** (იხ. ქსენოფონტე, კონსტანტინე პორფიროგენეტი და

სხვები). სიტყვა „ფასისი“ ქართული წარმოშობისაა. **პ. ინგოროყვა** მიიჩნევს, რომ სიტყვა „ფასი“ ნიშნავდა „წყალს“ უძველეს ქართულში. ბერძნულ წყაროებში ამ სახელწოდებით აღინიშნება მდინარეები – „არაქსი“, „რიონი“, „ჭოროხი“ (ფასისი→ფაზისი).

ასევე ქართული წარმოშობის გეოგრაფიული სახელია „კარი“, ზემო ბასიანის მთავარი ქალაქის სახელი. ახლა „ყარს“-ადაა გადაკეთებული. ეს ადგილი სამხრეთ საქართველოს „კარი“ იყო, მართლაც, უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმაგრე.

საუბედუროდ, მე-7-9 საუკუნეებში საკუთრივ ბასიანის მხარეში მოსახლეობა ძალიან აჭრელდა. **სომხურსა და ქართულ ელემენტს დაემატა არაბულიც**. არაბებმა ჩამოასახლეს არამარტო არაბები, არამედ სხვა მოდგმის მუსლიმანური რწმენის მქონე ტომები. მიუხედავად მოსახლეობის სიჭრელისა ამ მხარეში, საქართველოს მაინც არასდროს დაუკარგავს ინტერესი და სიყვარული ამ მიწის მიმართ. **დავით დიდი კურაპალატის** დროს საქართველომ დაიბრუნა „**ზემონი ქვეყანანი**“ და ბასიანის მხარეები. **დავით კურაპალატმა** შესძლო საქართველოს სანაპირო მხარეების განთავისუფლება არაბთაგან. ქართველთა სამეფოს საზღვრები **ვანის** ტბამდე გავრცელდა. მან უცხო ტომებისაგან გაწმინდა ეს მიწა და ხელი შეუწყო ქართული და სომხური მოსახლეობის დამკვიდრებას, ქრისტიანობის განმტკიცებას.

დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ეს მიწები სადავოდ იქცა **ბიზანტიასა და საქართველოს** შორის, ხელიდან ხელში გადადიოდა. **1021-1023** წლებში ბასიანში ერთმანეთს ებრძოდა საქართველო და ბიზანტია. იმპერატორმა **ბასილი მეორემ** გამარჯვება მოიპოვა და ეს მიწები შეიერთა. ეს გაგრძელდა **1074** წლამდე, როცა **გიორგი მეორემ** დაიბრუნა წართმეული მიწები. ამ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით დასამახსოვრებელია შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ბიზანტიის სამეფო კარზე მოღვაწეობდა ქართველი დიდებული ტაოელი **გრიგოლ ბაკურიანის ძე**. იგი იყო ბიზანტიის იმპერიის **აღმოსავლეთის ქვეყნების მხედართმთავარი** და მას, მის მმართველობას ექვემდებარებოდა **ბასიანის მხარეები** და **ყარსის (კარის) მხარე**. ამ დროს ბიზანტია ებრძოდა თურქ-სელჯუკებს ანატოლიაში და ამ მხარეებისათვის არ ეცალა. **ამით ისარგებლა გრიგოლ ბაკურიანის ძემ და უომრად ჩააბარა გიორგი მეორეს ეს მხარეები**. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ **ბანაში**, სადაც ოფიციალურად გაფორმდა ამ ფაქტზე შეთანხმება **1074** წელს.

გრიგოლ ბაკურიანი წარმოშობით იყო **იმიერტაოდან**. **1083 წელს** მან ბულგარეთში – **პეტრიწონში** დაარსა ქართველთა მონასტერი; მონასტერს შეუდგინა **წესდება – ტიპიკონი**, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, საბერძნეთისა და ბულგარეთის მნიშვნელოვანი საინტერესო წყაროა.

1074 წლისათვის დასამახსოვრებელია კიდევ ერთი ისტორიული გარემოება. მაშინ ბიზანტიის იმპერიის დედოფალი იყო **მარიამ (მართა) ბაგრატიონი** – **ბაგრატ IV-ისა და ზორენა დედოფლის** ასული (იგი საბერძნეთის დედოფალი იყო 1071–1081 წ. წ. **ჯერ მიხეილ VII დუკას მეუღლე (1078 წ.-მდე)**, შემდეგ კი გახდა **ნიკიფორე III ბოტანიატეს მეუღლე**). იგი, **დავით აღმაშენებლის მამიდა გახლდათ** – დიდად განსწავლული და მეტად სათნო, ულამაზესი ქალბატონი, დიდი პატრიოტი. ცხადია, იგი გრიგოლ ბაკურიანთან ერთად დიდად ზრუნავდა საქართველოს საკეთილდღეოდ... ცხადია, მარიამის თანხმობა და სურვილიც იყო, რომ გრიგოლმა **გიორგი II-ს** – **მარიამის ძმას „მოსცა კარისა ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“**, როგორც ამას გვამცნობს **დავით აღმაშენებლის** ისტორიკოსი.

გიორგი მეფემ ამის შემდეგ ბასიანის მხარეებიდან განდევნა თურქები და გაწმინდა ქვეყანა უცხოელებისაგან. მაგრამ თურქ-სელჯუკების ლაშქრობები მომდევნო ხანაშიც არ ცხრებოდა.

**1123 წელს დავით აღმაშენებელმა** კვლავ გაწმინდა თურქთაგან ეს მხარეები. **თამარ მეფის** ეპოქაში, **1205 წელს, რუქნადინთან** ბრძოლა სწორედ, **ბასიანის** მხარეში გაიმართა, **ქ. ბოლის** ციხესთან. **1206 წელს** თამარის ჯარმა აიღო **კარი (ყარსი)**. შეიქმნა საეპისკოპოსო – **კარელის სამწყსო**. მე – 13 საუკუნის პირველმესამედში – **1233 წლისათვის** აქ მოღვაწეობდა ცნობილი მწერალი **საბა სვინგელოზი, კარელი (ყარსელი)**.

ყარსში არის ცნობილი ციხე-სიმაგრე – **ყარსის ციხე**. იგი 1206 წელს, მისი აღების დროს, ძალიან დაზიანებულია; შეკეთება დაუწყია **თამარ მეფეს**, მშენებლობა დაუმთავრებია **რუსუდან მეფეს 1237 წელს**. ყარსის (კარის) ციხეს, ამ მხარეს საერთოდ, **1206 – 1225 წლამდე** განაგებდა **იოანე ახალციხელი (თორელი)**.

ბასიანის მხარეში, **კარნიფორის რაიონში**, არის ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი – **ჩანგლის** მონასტერი, რომელიც შეისწავლა **ექვთიმე თაყაიშვილმა**.

**ბასიანის მხარეში** ოსმალთა შემოსევები გახშირდა მე-15 საუკუნიდან. 1545 წელს ბრძოლა გაიმართა **ბასიანში**, ოსმალებმა გაიმარჯვეს. მათი ბატონობა ამ მხარეში გაგრძელდა 1878 წლამდე. **ბერლინის საზავო ხელშეკრულებით** რუსები და თურქები დაზავდნენ და ბასიანის მნიშვნელოვანი ნაწილი მოექცა რუსეთის იმპერიაში, ე.ი. დაიბრუნა საქართველომ. მაგრამ 1918-1920 წლებში ეს მხარე კვლავ თურქებმა დაიკავეს და დაიმკვიდრეს **1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით**.

ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოსის **ზაქარია ჭიჭინაძის** მასალებით ცნობილია ყარსის ციხის დაცემის მიზეზები. ყარსის ციხეს მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, განაგებდა, ერისთავი **სოლომონ გოგიტიძე**. იგი იყო სამშობლოს მოსიყვარულე, უშიშარი, შეუპოვარი პატრიოტი. იგი დიდხანს იცავდა ყარსის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ოსმალთა შემოსევებისაგან.

ყარსის გადაღმა მხარეში, როგორც ცნობილია, ისტორიულად სომხები მოსახლეობდნენ. ყარსიდან რამდენიმე კილომეტრში არის ისტორიული ქალაქი **ანი (ანისი)**, რომელიც დიდხანს ითვლებოდა **სომხეთის დედაქალაქად**. მაგრამ ხშირად სომხები მარცხდებოდნენ ხან ბიზანტიასთან, ხან არაბებთან ბრძოლაში და კარგავდნენ ანისს. **დავით აღმაშენებელმა** მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში **ანისიდან** განდევნა **არაბები** და საქართველოს შემოუერთა სომხეთის დიდი ნაწილი, მათ შორის ქალაქი **ანისიც**. მაშინ ანისში დავითმა ააშენა **ქართული ეკლესია**, რომლის ნანგრევები, წარწერებიანი ქვები დღემდეა დაცული. მაგრამ მე-16 საუკუნის პირველი მეოთხედიდან ეს მხარე შეიერთეს ოსმალებმა.

**ზ. ჭიჭინაძის** ჩანაწერებიდან ცნობილია ასეთი თქმულება: ერთ დღეს სომხები, ქრისტიანული დროშებითა და ჯვრებით ხელში, თურმე მოადგნენ ყარსის ციხის კარებს და ითხოვეს თავშესაფარი. გაიძახოდნენ: – ოსმალები გვხოცავენ, ძალით გვამუსლიმანებენო. ყარსის ციხის მცველებს შეეცოდათ ქრისტიანი სომხები და **სოლომონ გოგიტიძეს** სთხოვეს მათი შეფარება. მართლაც, გაუღეს ციხის კარები, შემოუშვეს ციხეში. მაგრამ ისინი აღმოჩნდნენ ოსმალთა აგენტები. ერთ ღამეს, როცა ციხის მცველებს ეძინათ, მათ გაუღეს ოსმალებს ციხის კარები და შემოუშვეს მტერი ციხეში. უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დაიხოცნენ. ოსმალებმა ასე აიღეს **ყარსის ციხე**.

**სოლომონ გოგიტიძე** იძულებული გახდა დამორჩილებოდა ოსმალებს. მან მიიღო მუსლიმანობა და დაარქვეს **სეითი**. ამის შემდეგ იგი **სეითფაშად** იხსენიება. ქრისტიანობას იგი დიდხანს

იცავდა მალულად, მოსახლეობასაც არ უშლიდა ქრისტიანული ადათ-წესების დაცვას. მაგრამ მალე დაასმინეს სტამბოლში ფადიშაჰთან – ოსმალეთის იმპერატორთან. იგი იძულებული გახდა ყარსი დაეტოვებინა და საქართველოს შიდა რაიონებში გადასახლებულიყო. მართლაც, მთელი გოგიტიძეთა საგვარეულო გადმოსახლდა აჭარაში, მესხეთში, გურიაში.

ყარსში დღესაც დგას ის ციხე; ციხის მისადგომებთან კი დგას გოგიტიძეთა საგვარეულო ეკლესია – მუზეუმად გადაკეთებული.

ყარსის ციხე-ქალაქისა და ეკლესიის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის უზუცესმა წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ იციან სოლომონ (სეით) გოგიტიძის თავდადებული ბრძოლის ამბები. 1998 წლის ნოემბერში, ამ მხარეში სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის დროს, ყარსში ყოფნისას მათ ჩაგვაწერინეს ლეგენდები სოლომონ გოგიტიძის ვაჟკაცობის შესახებ. ისინი სოლომონის (სეითის) სახელს უკავშირებენ ოლთისთან ახლოს მდებარე სოფლის – „სოლომონისის“ ისტორიას. სოფელი სოლომონისი დღეს იწოდება სოლომონყალედ – სოლომონის ციხედ. მთქმელები დაბეჯითებით გვიმტკიცებდნენ: სოფელს ადრე სხვა სახელი ერქვა. სოლომონმა აქ დიდი ბრძოლა გადაიხადა თურქების წინააღმდეგ და იმის შემდეგ სოფელს ეწოდა „სოლომონისიო“; შემდეგ თურქებმა უწოდეს „სოლომონყალეო“. ამ სოფლის ერთ-ერთ მთაგორიან ადგილას, კლდეებში, დღესაც შენარჩუნებულია ეკლესია, წმინდანთა ხატებითა და ძველი ქართული წარწერებით. ეკლესია თითქმის კლდეშია გამოჭრილი. ეკლესია აღწერა 1907 წელს ექვთი მეთაყაიშვილმა. აქვეა ციხის ნაშთებიც.

ისტორიულ „ბასიანს“ ოსმალებმა უწოდეს „ჰასან-ყალა“; დღესაც ამ სახელითაა ცნობილი. აქ შემორჩენილია ამავე სახელწოდების ციხის ნანგრევი, საკმაოდ კარგად შემონახული, ერთი კოშკით. ამჟამად გაშლილ მინდორზე კარგად ჩანს ციხე-ქალაქის ნანგრევი. მნახველის ყურადღებას იმსახურებს ეკლესიის ნაშთი; მეტრნახევარი სიმაღლის კედლები დღესაც დგას. მხლებლებთან ერთად ბასიანის (ჰასან – ყალას) ნაშთები მოვინახულე 1998 წლის 20 ნოემბერს. ეკლესიის ნანგრევებთან სანთლის ანთების უფლება არ მოგვცეს აქაურმა სომხებმა, რაც მწარედ დავგამახსოვრდა.

\*\*\*

**თორთომი** (თორთუმი) არის მხარე ისტორიული საქართველოს სამხრეთ – დასავლეთ ნაწილში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). მხარის ცენტრად ითვლება დასახლება, სადაც არის შემორჩენილი თორთომის ციხის ნანგრევები. ეს ადგილი მდებარეობს მდინარე თორთომის წყლის შუა წელზე. თორთომის მხარე გაშლილია მდინარე თორთომის ხეობაში. მდინარე ამჟამად იწოდება თურქული სახელით – თორთუმჩაი. იგი არის მდინარე ოლთისის წყლის შენაკადი (ოლთისის წყალიც თურქულად გამოითქმის, როგორც ოლთუჩაი).

ისტორიულად თორთომი შედიოდა ტაოს მხარეში. თორთომის სამხრეთ – დასავლეთის საზღვარი იყო „გზა ქართლისა“, ანუ „საქართველოს ყელისა“, რომელსაც თურქებმა „გურჯი ბოლაზი“ (საქართველოს ყელი) უწოდეს.

ვახუშტი ბატონოშვილი (ბაგრატიონი) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერდა: „ოდეს დაიპყრნეს ოსმალთა აზრუმი, მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე... ჯეობა ესე არს ფრიად ვიწრო, კლდიანი და ტყიანი... გურჯი ბოლაზის ხეობა გამოდის დევაბოინის მთიდან და აწევს სპერის მდინარამდე. ეს ხევი არის საზღვარი ბაიბურთის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა“ (ვახუშტი, გვ. 688).

ეკლესიურად ეს მხარე ექვემდებარებოდა იშხნის ეპისკოპოსს. აქ იყო ქართული კულტურის მძლავრი კერები – **ოშკისა და ხახულის მონასტრები**, რომლებიც დღემდე საკმაოდ კარგადაა შემონახული. საბედნიეროდ, ოშკის ტაძარში ამჟამად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები.

თავისი მდებარეობის გამო, როგორც საქართველოს განაპირა მხარეს, **თორთომს** ერთ-ერთ პირველს უხდებოდა სამხრეთიდან შემოსეული მტრის იერიშების მოგერიება. თორთომის ციხის მიდამოები ჩვენი წინაპრების სისხლითაა მრავალჯერ მორწყული.

ისტორიული წყაროები თორთომის შესახებ ძალიან ცოტაა შემორჩენილი. ცნობილია, რომ XIII საუკუნეში ტაოს ერისთავმა **თაყა ფანასკენტელმა** თორთომის ციხესთან დაამარცხა თურქთა მომთაბარე ტომები.

თორთომი ერთხანს შედიოდა სამცხე – საათაბაგოს შემადგენლობაში. ისტორიული მესხეთის განაპირა მხარეების მსგავსად, XVI საუკუნიდან თორთომის მხარეს თანდათან დაეუფლა ოსმალეთი. ამჟამად შედის თურქეთის რესპუბლიკის **ეზრუმის** გუბერნიაში.

თორთომის მხარემ მძიმე დღეები გამოიარა პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში. ბრძოლების შედეგად გადაიწვა სოფლები, განადგურდა უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლები, გაწყდა მოსახლეობის ერთი ნაწილი; რუსეთისა და ოსმალეთის ჯარი ერთმანეთს თავგანწირვით ებრძოდა ამ მხარის მიწების დასაკავებლად. თორთომი გადაქცეული იყო სამსხვერპლო მიწად.

სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში შემონახული 1914-1919 წლების პრესის ფურცლები მოგვითხრობს პირველი მსოფლიო ომის მძიმე ეპიზოდების შესახებ. **სამხედრო ჟურნალისტების ცრემლით დანამული წერილები გვაცნობს თორთომის წარსულის მძიმე სურათებს. წინამდებარე კრებულში მკითხველი გაეცნობა ამ წერილებს და გვჯერა, რომ ერთხელ კიდევ ლოცვას ადავლენს თორთომის ციხის კედლებთან სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნის დროს დაღუპული ჩვენი გმირი წინაპრების სულის საცხონებლად.**

**კარი მესამე  
კონსტანტინე ოდიშარიას მასალები  
სტამბოლის ქართული საჰანიდან**





## ერთგული მოხელე

*(კ. ოდიშარიას შესახებ რომელიღაც გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა, შენახული იყო წინამდებარე კრებულში წარმოდგენილ მასალასთან ერთად)*

კონსტანტინე ოდიშარია–აქციზის მოხელე და მწიგნობარი, თითქმის 18 წ. სააქციზო უწყებას ემსახურება და ამავე დროს სამშობლო მწიგნობრობაში მონაწილეობს. მან დაბეჭდა ბევრი საყურადღებო კორესპონდენცია **სამუსლიმანო საქართველოზე**, განსაკუთრებით **ჩვენი ისტორიული ნაშთების** შესახებ, რაიცა **თვალსაჩინო საისტორიო მასალას** წარმოადგენდა.

კ. ოდიშარია კიდევ უფრო ცნობილია როგორც დაუცხრომელი მამულიშვილი და რესპუბლიკის ერთგული მოხელე, მისი ინტერესების ფხიზელი დარაჯი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება შეხვედრია.

მისი მუყაითი მუშაობით აღმოჩენილი იქმნა მრავალი სათამბაქო თუ მაგარ სასმელთა საიდუმლო სავაჭრო ქარხანა, უმეტესად უცხო ტომთა, რომელნიც ჩვენს ხაზინას სრულიად არავითარ შემოსავალს აძლევდენ.

(ძველი გაზეთის გაცრეცილ ქაღალდზე მხოლოდ ეს ტექსტი იყო შემორჩენილი).

## არტაანის მხარე

(ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები)

რვეული 1

### შესავალი

ვიდრე პატივცემული მკითხველი საზოგადოება ჩემს შრომას გაეცნობოდეს, მსურს თავშივე გავაფრთხილო, რომ ეს შრომა არაა მეცნიერული კვლევა – მიების ნაყოფი, ის უფრო დაინტერესებული მოგზაურის შთაბეჭდილებებია, რომელიც მე შევკრიბე არტაანის ყოფილ ოლქში 1913 – 1918 წლებში.

არტაანის ყოფილი ოლქი, როგორც ჩვენი უძველესი კულტურის აკვანი, მე დიდად მაინტერესებდა და ვფიქრობდი მეპოვნა „ვეფხისტყაოსანის“ უძველესი ხელნაწერები, ვინაიდან როგორც ცნობილია, ისტორიულ საქართველოს ეს მიდამოები იყო დიდი შოთას სამშობლო და ჩვენი კულტურის მაჯისცემის ერთი მთავარი ცენტრთაგანი. მე, მართლაც, წავაწყდი ასეთ ხელნაწერს, თუმცა, სამწუხაროდ, მისმა მფლობელმა მე ის არ დამითმო. „ვეფხისტყაოსანის“ უძველეს ხელნაწერის გარდა, მე აქ მოვინახულე ჩვენი წარსულის დიადი, ჭაღარა ძეგლები, რღვეული ტაძრები, ციხე – სიმაგრეები, ნაქალაქევეები, გავიცანი იქაური გადმოცემები, ლეგენდები. თითოეული მათგანი წარმოგვჩვენებს მარგალიტა ჩვენი წარსულის საგანძურიდან, თითოეული ოქროპირი მჭევრმეტყველია ჩვენი რაობისა და ჩვენი კულტურის სიდიადისა: არტაანის, ველის ციხეები, შეითან ყალეს ციხე – ქაჯეთისციხედ წოდებული, ოლთისის ციხე და მრავალი სხვა ციხე – ქალაქი, ნაქალაქევი, მათი გვირაბები, დიადი არხის ნაშთები, დიდებული ტაძრები, განსაკუთრებით დიდი გვირაბი სოფ. ჭალასი, რომელიც ტბა პალაკაციოს კუნძულიდან ჩადის კიბეებით, შემდეგ მის ფსკერში იკარგება და 16 ½ ვერსის იქით ამოდის კლდიდან, ნაპრალთან, რომლის ახლოს აშენებულია ფიქრაშენის დიდებული ტაძარი, – განა ყველა ეს ძეგლები ჩვენი დიადი კულტურის წარსულის დამახასიათებელი არაა? რა ვუყოთ, რომ მრავალ ომიანობას, თურქეთის თუ სხვა იმპერიალისტთა თარეშებს გაუნადგურებია ოდესღაც აყვავებული ეს ქვეყანა. ეს ნაშთები წარსულის მატაანის ფურცლებია, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ შესწავლას, გადმოღებას, აღდგენას, მოვლასა და პატრონობას. აქ ერთი კაცი ვერაფერს გახდება, ინდივიდუალური თავის გამოდგება ვერაფერს გვარგებს. იმ დროს – კი, იმპერიალისტური ომის ხანაში, როდესაც ენვერ – ფაშას ურდოები და ნიკოლოზის ყაზახები ერთმანეთს ეკვეთებოდნენ, ძნელი იყო ერთი კაცისათვის შემოვლა ამ ძვირფასი და ფრიად საინტერესო მხარისა, შესწავლა და ფოტოგრაფირება ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, ზუსტი აღწერა მოსახლეობისა.

მაგრამ მე მაინც მოვახერხე, რკინის ჯოხი ხელში ამელო და იმ ცეცხლსა და ორომტრიალში შემომძეარა არტაანის ოლქი, დამეთვალაიერებინა ეს ღირსშესანიშნავი ადგილები: ალი, წყაროსთავი, ფიქრაშენი; ოლთისის ოლქში: ბანა, ოლთისის ციხე, იშხანი; ისპირის ოლქში – ოშკი; თორთუმის ოლქში – ხახული, ერზურუმი და სხვები.

რაც ვნახე, რაც მოვისმინე, ავწერე და კორესპონდენციებად დავბეჭდე გაზ. „საქართველო“ – ში. ცენზურამ კორესპონდენციები შემიმოკლა და რიგ შემთხვევებში დამიმახინჯა. მაშინ იმ

წერილების აზრი ის იყო, რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიმექცია ამ ჩვენგან მოწყვეტილ მოძმე მხარისათვის. დღეს მთელი ის მხარე, ფიზიკურად მოკვეთილია ჩვენგან. იქ არსებული ძეგლთა შესწავლა, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ამდენ ამაგსა სწევს ჩვენი ძველი კულტურის ნაშთების შესწავლისათვის და აღდგენისათვის, სასურველი და აუცილებელი არის. ჩემმა იქ ნანახმა და აღწერილმა, შესაძლებელია, პატარა დახმარება გაუწიოს ჩვენს მკვლევარებს. მაშინ ვიტყვი, რომ ცუდად არ ჩაუვლია ჩემს ამაგსა და შრომას.

კ. ოდიშარია (კ. მარტვილელი)

10 ივლისი, 1937 წ.

ქ. ტფილისი

## კონსტანტინე ოდიშარიას დღიურები არტაანის მხარეში მოგზაურობის შესახებ

ჩემი დიდი ხნის სურვილი განვახორციელე – 1913 წლის მიწურულში ქ. ერევნიდან გადმოვედი და არტაანისაკენ გავემგზავრე. ქალ. არტაანიდან მტკვრის გაღმა გასწვრივ ნასოფლარ კარგი სოფლისაკენ გავსწიე, რომელიც არტაანს ერთი ვერსით ახლავს. აქ დავათვალიერე თამარისეული ორი ეკლესიის ნანგრევები და გავუდექი გზას ნასოფლარი ქვაბის ციხისაკენ. გზაზე სოფ. ვარდციხელი ბერძენი შემხვდა და გზა გამასწავლა. ქართველებს ამ სოფლისათვის ტყუილად კი არ დაურქმევიათ ქვაბის ციხე; ადგილი, სადაც გაშენებულია სოფელი, მართლაც, ქვაბს მოგაგონებთ. ადგილმდებარეობა საუცხოვოა და სტრატეგიულადაც გამოსადეგი. ციხის შიგნით ჩასავალი გზა მტკვრის პირიდან გვირავით მიიმართება. გვირავის კიბე კლდის კალთიდან ოთხ საჟენის სიმაღლიდან იწყება წვრილი ქვებიდან ნაგებ საფეხურებით.

მტკვარს ვიწრო კალაპოტი აქვს. შიგნით გვირავი განიერია და მაღალ დარბაზებადაა დაყოფილი, რომლებიც ერთი მეორეზე მიდის. ერთ დარბაზს მეორესთან გვირავები აკავშირებს. ზევითა დარბაზიდან გვირავი დამოუკიდებლად ჩამოდის ქვეშ. განზე მიდის მტკვრის გასწვრივ 10 – 12 ვერსის მანძილზე თეთრი ციხისაკენ. ამ გვირავს მტრების შემოსევისას იყენებდნენ. ქვაბის ციხე დანგრეულია და მხოლოდ მისი კედლებიღა დგას. აქედან სოფ. ვარდციხისაკენ გავუდექე გზას.

ვარდციხე არტაანიდან 12 ვერსით არის მოშორებული, თუ ყარსისაკენ მიდიხართ. იგი მაღალ, ბრტყელ – ზურგიან, მთაზე დგას. მთისაკენ ერზრუმიდან მიხვეულ-მოხვეულ თამარისეული დიდი შარა-გზა მოიმართება, რომელიც სოფელს შუაზე ჰყოფს. აქედან შარა გზა, ორად განკვეთილი, იმავე სახით მიექანება ქვემოთ და ველზე ერთი მიმართულებით მიიმართება ახალქალაქისაკენ, მეორე – ყარსისაკენ. სოფ. ვარდციხეში ბერძნები ცხოვრობენ. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიაჩნეს: ამ ასი, ას ოცი წლის წინათ აქ ქართველ მაჰმადიანებს უცხოვრიათ თურმე. სოფლის ახლო ეკლესიის ნანგრევებია. სოფელს იქით, დასავლეთისაკენ, ერთი მოშორებით, ხშირ ნაძვნარს ტყეში, სადაც მთას ზედ ზურგზე კეხი დაუდგამს, აღმართულია ვარდისფერი თლილი ქვისაგან ნაგები პატარა, მაგრამ ლამაზი ციხე და გუმბათიანი ეკლესია. ადგილობრივ მცხოვრებლებს მათთვის ქვები ჩამოუცლიათ და მხოლოდ კირში შედუღებული კედლები დარჩენილა. ამ ქვისაგან მათ სახლები და ერთი ეკლესიაც კი აუგიათ. სოფლად სახლის კედლებზე მრავლად ნახავთ ხუცურად შესრულებულს ქართულ წარწერებსა და წმინდანთა სახეებს.

ვარდციხიდან დავეშვი ქვემოთ თამარისეულ შარა – გზით სოფ. **ოჯახისაკენ**. **ოჯახი** სოფ. ვარდციხეს ორი ვერსით ახლავს, მაგრამ რადგან დიდი მალლობია, გზა ცხრა ვერსზე უხვევს. აქ 69 კომლი, ანუ 514 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. შუა სოფელში ერთი ეკლესიის ნანგრევია, სოფლის გარეთ კი ორი. აქვეა ციხის ნანგრევები, რომელიც მხოლოდ კირში შედუღებულ ლოდებად ყრია. აქ, მეჩეთის წინ, ხალხს მოეყარა თავი და გულდასმით უსმენდნენ ერთ მოხუც ქართველ მაჰმადიანს, რომლის ლამაზი სახე, მოხდენილი წვერ – უღვაში, ბრგე ტანი და სახის საერთო გამომეტყველება დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

– გამარჯობათ ძებო! – მივესალმე ქართველ მაჰმადიანებს. მოქადაგემ ბაასი შეწყვიტა, მყისვე ფეხზე წამოდგა და მათი ჩვეულების მიხედვით, მოსასალმებლად ჩემკენ წამოვიდა.

– ღმერთმა მოგცეს, ეფენდი, გამარჯობა და ხანგრძლივი სიცოცხლე! – მომღიმარის სახით მიპასუხა მან და მათი ადათის მიხედვით, ხელი ჩამომართვა. სხვებმა კი თავი დამიკრეს. მოხუცს ჩემი ნახვა თითქო გაუხარდა, მთხოვა სახლში წავყოლოდი და პურმარილი მიმელო, მაგრამ მე უარი ვუთხარი და მივმართე:

– პატივცემულო ბიძა, ამ სოფელს რა ჰქვია სახელად?

– ძველად **ოჯახი** ჰქმევია, ჩვენ – კი **ოლჩაგი** ვუწოდეთ. – მიპასუხა მან.

– რატომ? – გაკვირვებით შევეკითხე მე.

– ეფენდი, **ოჯახი სიწმინდისა და დიდების ფუძეა და სოფელი – კი, როგორც მოგეხსენებათ, სიწმინდისა და ბოროტებისა. სოფელში ანგელოზებიც ბევრია და ბოროტი ძალებიც. სახლში კი მარტო ანგელოზებსა აქვთ სადგური.** – მიპასუხა მან.

– თქვენ, ბიძა, ქართული სად გისწავლიათ? თქვენ ისე კარგად ლაპარაკობთ ქართულად, თითქო ძველ ქართულ ოჯახში იყოთ აღზრდილი. – შევეკითხე მე ცნობისმოყვარეობით.

– არსად. ჩვენი მამა – პაპები სახლში ქართულად ლაპარაკობდნენ, ვკითხულობდით ქართულ წიგნებსა და მეჩეთში ვსწავლობდით ქართულად და თათრულად.

ჩემმა მოსაუბრემ თავის თავს **უსუფ – ბეგ შარვაშიძე** უწოდა.

სოფლიდან საცალფეხო გზით გამოვსწიე. სოფ. **ოჯახიდან** მეხუთე ვერსზე, ზედ მტკვრის პირზე სოფ. **დუდუნაა** გადაშლილი, რომლის ქვეშ მაღალ კალაპოტში ჩამწყვდეული მტკვარი აღმოსავლეთისაკენ დუდუნით მიემართება. ალბათ, ამ სოფლისათვის ჩვენს ძველებს ამიტომ დაურქმევიათ დუდუნა. აქ 14 კომლი, ანუ 165 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. გვარად **დუდუნჩაგები**. სოფელში ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია, რომლისაგან მხოლოდ საძირკველი და ქვებიღა დარჩენილა. ეს ქვები თითქმის ორი საყენის სიგრძეა, და მეტად ფაქიზად გათლილებს წვრილი ღარები აქვს ამოღებული. მისი სუფთა შეხედულებაც ძალიან წააგავს თეთრხაზოვან მარმარილოსას. საერთო სიგრძე ამ საძირკველისა 15 ადლია.

აქედან მტკვრის გასწვრივ სოფ. **თამამისაკენ** გავუდექი გზას. თამამი ქართული სიტყვაა. როგორც გადმომცეს, ამ სოფელს სხვა სახელი რქმევია და **თამამი** მერე დაურქმევიათ. როდესაც ოსმალოს ჯარები არტაანში შემოსულან, აუკლიათ იქაურობა; აქეთ წამოსულან, რომ გაეწმინდათ არტაანის მხარე ქართველებისაგან და მერე ყარსს შესეოდნენ. ამ დროს თამამელები იქვე, შორი ახლოს ტყეში, ყოფილან გახიზნულები და როდესაც დადლილ – დაქანცულს ოსმალოს ჯარს თავი ძილისთვის მიუცია, თავს დასხმიან თამამელები, აუყრიათ მტრისათვის იარაღი და ვისაც წინააღმდეგობა გაუწევია, დაუხოცნიათ. ეს ამბავი გაუგიათ სხვა ქალაქ – სოფლებიდან გახიზნულ ქართველებს, დასხმიან თავზე მტრებს და ამოუხოციათ. ამის აღსანიშნავად ამ სოფლისათვის უწოდებიათ სახელი **თამამი**.

ეს სოფელი დიდი და მდიდარი ყოფილა, მაგრამ 1877 – 78 წლებში რუსებს თათრებთან ომის დროს აქ მცხოვრები **შარვაშიძეები**, თავიანთი ყმებით, ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები, **ციმბირში გადაუსახლებიათ** და სოფელი დაუნგრევიათ. აქვე მტკვრის პირად მალლობზე, ორი ეკლესია დგას, ერთი დიდია, მეორე – მცირე; ორივე გუმბათიანია და ფიქალითაა დახურული. ეკლესიის კედლების თლილი ქვები ვიღაცას გაუტაცნია და კირში შედუღებული ჩონჩხილა დარჩენილა.

აქედან სოფ. **ურჩი** გადავდი. **ურჩი** ქართული სიტყვაა და როგორც მოხუცებულებმა მიაჩნეს, ამ სოფლის თავადები **თამარის შვილს – ლაშა გიორგის** – გადასდგომიან. გიორგის ისინი დაუსჯია და სოფლისათვის **ურჩი** დაურქმევია. აქ მხოლოდ 33 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. 1877-78 წლებში ამ სოფელსაც სოფელ თამარის ბედი სწვევია. აქაც ორი ეკლესია დგას; პატარა სოფელშია, მოზრდილი სოფლის გარეთაა. ორივე გუმბათიანებია და ფიქალის ქვებით დახურული. ხოლო კედლებიდან თლილი ქვები ვიღაცას ჩამოულია და მარტო ჩონჩხი დარჩენილა.

აქედან, თავქვე, მტკვრის პირად, მდებარეობს სოფ. **ორ – ყიზი**, რაც ნიშნავს **ორ ასულს**. მოხუცებულებმა მიაჩნეს, რომ ეს სოფელი საქართველოს რომელიღაც მეფის ორ ასულს დაუარსებია, როგორც დედ – მამისაგან განდევნილებს და ამიტომ დაურქმევიათ ორი ყიზიო. აქ 32 კომლი, ანუ 217 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფელში გუმბათ – გადატეხილი და პერანგის ქვებისაგან გამარცვლი ერთი პატარა ეკლესია დგას. ის იყო დავათვალიერე სოფელი და მივდიოდი სოფელ **ყიზილ – ქილისისაკენ** (ოქროს ეკლესიისაკენ), რომ მომესმა უკანიდან ხმა: – „ეფენდი!“ (ნიშნავს განათლებულს). – რომ მოვიხედე ვიღაც ღრმა მოხუცებული ქართველი მაჰმადიანი მეძახდა. მე მყისვე მოვბრუნდი და ქუდის მოხდით სალამი მივეცი.

მოხუცი ადგილობრივი მცხოვრები **ოთარ – ბეგ შარვაშიძე** აღმოჩნდა. მას გაეგო, რომ ვიღაც ქართველი ეფენდი ჩამოსულა თბილისიდან და ჩვენს შესახებ ცნობებს აგროვებსო. ოთარ – ბეგი, თავის ადათის თანახმად, შემომეგება, მომიკიდა ხელი და მოღიმარის სახით თავის სახლში წამიყვანა. იგი ქართულად წმინდად ლაპარაკობს, უფრო **„ვეფხისტყაოსანის“** კილოზე. ეტყობა განათლებული კაცია. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის. სახლში რომ შევედით, იატაკზე დაგებულ დიდ ხალიჩაზე მუთაქა დასდო და დამსვა; თითონ ამოიღო ჯიბიდან საკმაოდ დიდი გასაღები, გააღო ზანდუკი და აბრეშუმის დიდ ბაღდადში რაღაც გრძლად გახვეული ამოიღო და რომ გახსნა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: პერგამენტზე სპარსული ტიპის სურათებით შემკული ხელთნაწერი **„ვეფხისტყაოსანი“** იყო, მასზე ქორონიკონი **1436** წ.ესვა; სულმა წამძლია, მყისვე გამოვართვი და გაკვირვებით და თანაც სიხარულით დავუწყე კითხვა. იგი წვრილისა და მეტად ლამაზის ხელით არის დაწერილი; ადგილ – ადგილ წითელი ასოები ამკობს მას.

– ოთარ ბეგ! ეს საქართველოსათვის დიდი განძია და მოგვყიდეთ მუზეუმისათვის! – მივმართე თხოვნით. ოთარ ბეგს ეწყინა, წარბები შეიკრა და მრისხანე თვალები შემომამტერა. მე მივხვდი, რომ ჩემზე იყო გაჯავრებული და ბოდიში მოვიხადე. მან თვალებში თვალები გამიყარა:

– ეფენდი, ეს რა მითხარი! თქვენ იცით, რომ ეს მე **პაპის პაპის პაპისაგან** მაქვს გადმოცემული, როგორც უფროს შვილს და მეც ფიცის მიხედვით, ჩემს უფროს შვილს უნდა გადავცე, როგორც **მამა-პაპული განძი** და არა მაქვს უფლება, გავყიდო, გავასაჩუქრო, ანუ გავათხოვო; მოპარვითაც კი არავინ ხელს არ ახლებს, რადგანაც ყველამ იცის, რომ წყევლა – კრულვითაა ხსენებული, ვინც მას მოპარვის განძრახვით ხელს ახლებს და ერს დაუკარგავს.

მითხრა მან და გამომართვა. მერე დაახვია მრგვალ ჯოხზე და აბრეშუმის ქაღალდში გახვეული კვლავ ფერად თუნუქით მოჭედული ზანდუკში ჩაკეტა და განაგრძო ბაასი:

– მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენმა უფროსმა ძმებმა – ქართველმა ქრისტიანებმა გაიხსენეს **თავიანთ დაკარგულ სამშობლოში** მცხოვრები უმცროსი ძმები – **ქართველი მაჰმადიანები** და გვნახეს. კარგია, განათლებულო, რომ მოგვინახულეთ და გაიფიქრეთ ჩვენს შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა, – მიპასუხა მან.

– მერე თქვენ როგორ ჰფიქრობთ, ოთარ – ბეგ! – შევეკითხე მე, განა არ უნდა აღსდგეს ჩვენს შორის ეროვნული კავშირი? განა თქვენ თავს ქართველად არა სცნობთ?

– ჰმ, როგორ არა, განათლებულო. ჩვენ სისხლითა და ხორციით ქართველები ვართ.

– ოთარ – ბეგ! თქვენა ბრძანეთ, ქართველი დიდი მგოსნის დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ განძია ჩვენიო, ან კიდევ თქვენ **თამარ მეფეს** დიდ პატივსაც სცემთ, ეს იმიტომ, რომ თქვენ იცით თამარის ღვაწლი საქართველოს წინაშე, ისიც იცით, რომ ის საქართველოს დიდი მოამაგე მეფეთაგანი იყო. ყველაფერი ეს მაჩვენებელია მხოლოდ იმისა, რომ ისტორიულ – კულტურული კავშირი ჩვენს შორის არასდროს არ დარღვეულა და არც შეიძლება დაირღვეს.

სახლის კარი გაიღო და სინებზე დალაგებული თევზებით სხვადასხვა საჭმელები შემოიტანეს. ოთარ – ბეგის შვილისშვილებმა მე და ოთარ – ბეგს ხელები დაგვაბანინეს. მივუსხედით სუფრას. ისინი სუფრასთან დადგნენ და შარბათს გვისხამდნენ, ხოლო მეზობელი გლეხები, ჩვენის ბაასით დაინტერესებულნი, კედლებს მიუსხდნენ და დროგამოშვებით შეკითხვას გვაძლევდნენ. სადილს მოვრჩით, გამოვესალმე ოთარ – ბეგს, მის შვილებს, მეზობლებს და გამოვედი სახლიდან.

– გთხოვთ, გთხოვთ, კოტე ეფენდი. – ხელის ჩამორთმევით მთხოვა ოთარ – ბეგმა.

– ხშირად გვინახულეთ ხოლმე. ჩვენ მოხარული ვართ ჩვენი ძმების სტუმრობით. გადაეცით იქ, **ტფილისში**, ჩვენს ძმებს ჩვენი გულითადი სალამი და სიყვარული. ჩვენ გვიყვარს ისინი; ქართველი ჯარისკაცები აქ დიდათ გვექჟომაგებიან, ჩვენ თუ ამ ომიანობის დროს ცოცხლები დავრჩით, უეჭველია, მათის წყალობით.

– დიახ, დიახ, ეფენდი. მოკითხვა გადაეცით ჩვენს ძმებს. – მთხოვეს გლეხებმაც.

გამოთხოვებისას ყველამ ხელი ჩამომართვა და მეც გავუდექი გზას ნასოფლარი **ყიზილ – ქილისისაკენ**, რაც ნიშნავს წითელ ეკლესიას. ეს ნასოფლარი მტკვრის გაღმავა. **ოთარ ბეგის შვილმა – ჯამალ ბეგმა** მდინარეზე ცხენით გამიყვანა.

აქ ერთი მოზრდილი გუმბათიანი ეკლესია დგას. მას გუმბათი წვერზე გადატეხილი აქვს და პერანგის ქვებისგან კედლები გამარცვულია. აქ **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ, მაგრამ 1877 – 78 წლებში ომის დროს ისინი ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულნი, **ციმბირში გადაუსახლებიათ**.

ნასოფლარი **ყიზილ – ქილისიდან** 6 ვერსის იქით სამხრეთისაკენ სოფ. **კრის ვარდოსანია**. ორივე ეს სიტყვა ქართულია, **ვარდოსანი** რასაც ნიშნავს ყველა ჩვენგანმა იცის, ხოლო **კრი** ქართულად ხშირქვიან მიწას უწოდებენ. მართლაც, ეს სოფელი მიწახშირქვიანია, და ზედ ვარდის ბუჩქები ხარობენ. ამ სოფელსაც ყიზილ – ქილისას ბედი მოსვლია და დღეს ნასოფლარია. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან 3 – 4 ვერსის იქით, ქედის თავზე, სოფ. **ქობალია** გაშლილი. **ქობალი** – ხორბალი – მეგრული სიტყვაა და მეგრულად ნიშნავს **პურს**. აქ 19 კომლი ანუ 100 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი გემრიელი პურითაა ნაქები. ალბათ, იმიტომ დაურქმევიათ იმისათვის

**ქობალი.** აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლები პერანგის ქვებისაგან გამარცხული დგას.

აქედან აღმოსავლეთით სოფ. **ჩიხირეთი** დგას. აქ არავინ ცხოვრობს, ნასოფლარია. შემდეგ მეოთხე ვერსზე, მტკვრის გაღმა, ნასოფლარი ქვემო **ჩიხირეთია**. აქ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან უკან წამოვედი და მტკვრის გაღმა, რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ, დავადექი გზას **მდინარე წყაროსმანის** გასწვრივ და მივედი დიდს და ლამაზად გათლილი თეთრი ქვებით აგებულ ციხესთან. ამ ციხეს ქართველი მაჰმადიანები **კირ – ნავს უწოდებენ**. ესეც ქართული სიტყვაა. **კირი** და **ნავი** ალბათ იმიტომ დაურქმევიათ, რომ აგებულია კირით, ნავის მსგავსად. ამ ციხეს არტაანის ოლქში თავის სიდიდით, სილამაზით და ხელოვნებით მეხუთე ადგილი უკავია, მაგრამ სტრატეგიულად მას შეუფერებელი ადგილი უჭირავს. იგი **მდინარე წყაროსმანის** პირად, დაბლობზე, დგას და ზედ თავზე წყაროსმანის კალაპოტის მაღლობი დასცქერის. ციხის კედლები ორ – სამ ადგილზე გაზნარულია. მიუხედავად იმისა, რომ ციხეს შესავალი კარი აქვს, ვიღაცას კედლის ქვეშ მიწა გამოუთხრია, კედლები გამოუნგრევია; აქ კედელი ძირიდან 8 – 9 საყენის სიმაღლეზე გაზნარულია და მიუხედავად მტკიცე ნაგებობისა, შესაძლებელია მიწის ძვრის დროს კედელი ჩამოინგრეს. ციხის შიდა კედლებს რამდენიმე ორ – სამ სართულიანი, ლამაზად თლილი ქვით აგებული სახლები აქვს მიდგმული, ხოლო შუაგულ ციხეში ერთი პატარა, ლამაზი ეკლესიაა აშენებული, რომლის მხოლოდ კედლები – ღა დარჩენილა. ეკლესიის შიგნით ტრაპეზის ქვა წაქცეულია და ქვეშ მიწაში გვირაბი მიდის **თეთრ ციხისაკენ**. აქვე არის საუცხოო ხელოვნებით შემკული თეთრი, თლილი ქვებისაგან ნაგები სარდაფები.

ამ ციხიდან ქვევით, ხეობაში მდინარე **წყაროსმანი** გიჟურის თავდავიწყებით მიექანება, ეხეთქება ლოდებს აღქაფებული ყვირილით და დაბლობისაკენ ეშვება. აქ დგას სოფ. **ყვირილის ციხე**. აქ ხალხი არ ცხოვრობს, ნასოფლარია, ხოლო ციხის საძირკველი შეურყეველია. იქვე ახლოს, ქედზე, მეორე პატარა, ლამაზი ციხე დგას, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. ამ ნასოფლარშიც ორი პატარა ეკლესიის ნანგრევებია.

აქედან 3 – 4 ვერსის დაშორებით მდებარეობს სოფ. **ჩალური** (**ჩალური** მეგრული სიტყვაა და ნიშნავს „ჩაკვდის“). აქაც ეკლესიის ნანგრევებია და სოფელიც აოხრებულია. შემდეგ იწყება აღმართი და 4 ვერსის იქით **მდებარეობს სოფ. ფიქრობი**. აქაც ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლები – ღა მოსჩანს. შემდეგ იწყება **მასხარა**. აქ თურქმანები ცხოვრობენ. შუა სოფელში პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან მე – 5 ვერსზე სოფ. **სანამ – ბექია**. მე მგონია, ესეც ქართული სიტყვაა – **სანამ, ბეგო?** სანამ უნდა ინავარდო, ბეგო? ეს სოფელიც ერთ დროს **ქართველ მაჰმადიანებით** ყოფილა დასახლებული, მაგრამ დღეს გაოხრებულია.

აქედან სამი – ოთხი საათი ცხენით სიარულის შემდეგ, მდებარეობს სოფლები: **ზემო და ქვემო თიკნები**. ქვემო თიკანში 50 კომლი ანუ 522 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. **მოხუცებულების მეტმა ნაწილმა ქართული ლაპარაკი კარგად იცის**, ოღონდ ყოველ სიტყვას „ყე“ – თი აბოლოვებენ. ზემო თიკანში 30 კომლი ანუ 272 სულია. დანარჩენი ყარაფაფახებია.

თუმცა აქედან სოფელი **ხანახი** ახლოს იყო, მე სოფელ **ვარდოსანისკენ** გავუხვიე. აქ 42 კომლი, ანუ 246 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. სოფელ ვარდოსანის ადგილმდებარეობა, მართლაც, შეეფერება სახელს. ირგვლივ ღია ადგილია. მშვენიერი ბუნება, წმინდა ჰაერი. სოფელს წინ რაკრაკით აღმასივით სუფთა წყარო ჩამოუდის, რომელშიც პატარ – პატარა ცქრიალა კალმახები მზის სხივებს ეთამაშებიან.

რატომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის ვარდოსანი? – შევეკითხე. აქაური მოხუცი ქართველი მაჰმადიანი მუსა ოღლი ქავთარაძე, რომელიც ქართულს მშვენივრად ლაპარაკობს, ამბობს:

- ეფენდი, აქ სოფელში ვარდი ხარობს და ალბათ, ამიტომ დაარქვეს ვარდოსანი.
- მიპასუხა მან და ხელი ვარდის ბუჩქებისაკენ გამიშვირა,

– როგორც ჩვენი ძველებისაგან გამიგონია, – განაგრძო მან. – აქ ზაფხულობით თამარ ყიზილ (თამარ ოქროს მეფე) ჩამობრძანდებოდა ხოლმე, დაჯდებოდა წყლის პირად და სტკბებოდა ამ ბუნების სილამაზით, გალალეზულ პაწია თევზების ცხოვრებით.

აქ გაღმაც და გამოღმაც ეკლესიის ნანგრევებია. უკვე ღამდებოდა, ზაფხულის გრილმა ნიაგმა ღაწვები ამისუსხა. მაგრძნობინა ჩვენებური შემოდგომის სუსხი და ვარდოსანიდან სოფ. ქვემო ხანახისაკენ წამოვედი.

**ხანახში** სამი ეკლესიის ნანგრევია. ესენი ადგილობრივად მცხოვრებ ბერძნებს დაუნგრევიათ და მათის ლამაზის ქვებით ეკლესია აუშენებიათ. მათს ეკლესიაში ტილოზე დახატული ღვთისმშობლის უძველესი დროის ხატი ასვენია ქართული წარწერით. ეს ხატი ბერძნებს ამ ასი წლის წინათ აზრუმის წმინდა გიორგის ეკლესიაში უპოვნიათ. ეს ხატი, როგორც ბერძნების, ისე ქართველი მაჰმადიანების მიერ ცნობილია სასწაულმოქმედად და მის დღესასწაულს წელიწადში ორჯერ უქმობენ – აპრილში და მარიამობისთვის. ძალიან მინდოდა ეს ხატი მენახა, მაგრამ მღვდელი ყარსში წასულიყო და ეკლესიის გასაღებიც თან წაეღო. იმ ღამეს შიო მღვიმელის სიძემ ვასილ ზუბიაშვილმა მიმიპატიჟა; იგი ფერშლად იყო გამოგზავნილი თბილისიდან ხანახში. მეორე დღეს გამოვეთხოვე ცოლ – ქმარს და ზემო ხანახისაკენ გამოვეშურე. აქ 32 კომლი, ანუ 309 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ორივე ხანახში ეკლესიის ნანგრევებია. ქვემო ხანახთან ახლოს სამი ნასოფლარია. სამივეში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ თურმე; მაგრამ 1877 – 78 წ. ომის დროს ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები ციმბირში გადაუსახლებიათ.

აქედან სოფ. ნაქალაქევი წავედი. აქ 112 კომლი ანუ 749 სული – ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. სოფლის ახლომახლო 7 მოზრდილი ეკლესიის ნანგრევებია. სოფ. ნაქალაქევი ოდესღაც დიდმნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა. ადგილმდებარეობაც მეტად ლამაზი აქვს. სოფელი ცოტათი ზურგაბურცულ ადგილზე დგას და არე – მარეს ირგვლივ 40 ვერსიის მანძილზე დაჰყურებს. სოფლის გარეთ ერთ ეკლესიის ნანგრევზე, 30X20 კვ. ადლის ფართობზე, მშვენივრად თლილი თეთრი მარმარილოს საძირკველი დარჩენილა. როგორც ხალხში შენახული ლეგენდით სჩანს, ამ ქალაქს თავის დროზე საქართველოს კულტურულად აღორძინების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უთამაშია, მაგრამ, როდესაც ალახის ბრძანებით, მაჰომედს თამარ ყიზილ ფადიშაჰი სიცოცხლეში „ზეცაში აუყვანია“, ქალაქს მტერი შემოსევია და აუოხრებია. აქ გარდა ეკლესიების ნანგრევებისა სხვა მრავალი ნანგრევებიც არის.

აქედან სოფ. მაღაროსაკენ მდინ. წყაროსმანის მიმართულებით დავეშვი. სოფ. მაღარო თავის ადგილმდებარეობის მიხედვით საინტერესოს არას წარმოადგენს, მაგრამ მაღარო, რომელიც თავის შეხედულებით პატარა ვარძიას მოგვაგონებს, საინტერესოა და მიმზიდველი. სოფ. მაღაროს ერთნახევარი ვერსიის დაშორებით, მტკვრის მარცხნიდან მაღალ კლდოვან ხევში, რომლის კედლები ძირიდან თავამდე ორ ვერსზე აღმართულია, ხოლო მარჯვნიდან ერთი ვერსის ზევით, მოთავსებულია დიდი და განიერი მღვიმე. მღვიმეში დაფენილ კლდის პირით შედის გზა. ხევის ორივე კალთები გაღმა – გამოღმა დაფარულია ათასწლოვან ნაძვ – წიფლის ტყით. ქვედა დიდ მღვიმეში გზა მიდის მაღლობიდან ქვემ და 10 – 12 საუენის მიახლოებით ვიწროვდება, მერე იშლება ორად და ერთი შედის საერთო შესავლით მარცხენა, უფრო პატარა მღვიმეში, მეორე გზა



შედის მარჯვენა, უფრო ვრცელ მღვიმეში. აქ ერთი – მეორის მიყოლებით 58 მღვიმეა, რომლებიც ზევით მიჰყვება მიუვალ ხევის კედელს. უჩინრად, გვირაბის საშუალებით, მიდის ეს გზა და გვირაბითვე გამოდის განზე, ჩადის დაბლა და მტკვრის ნაპირის გასწვრივ მიემართება გვირაბით, ხოლო 10 – 12 ვერსის დაშორებით მიდის ქვედა მაღაროში. აქედან კი მიდის მეტად შესანიშნავ ველისციხეში. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, **ტარიელ ბეგს** („ვეფხისტაოსნის გმირს) ამ ქვედა მაღაროს დარბაზში უცხოვრია.

მაღაროდან, ნაცვლად სოფელ ველისციხისა, მტკვარზე გადასული, წავედი ნასოფლარ **ოქროს ქოთანისაკენ**. აქ პატარა ციხისა და ეკლესიის ნანგრევებია.

– თქვენ იცით, ბიძა? – შევეკითხე გზაზედ მომავალ ღრმად მოხუც ქართველ მაჰმადიანს, – რატომ დაურქმევიათ ამ ნასოფლარისთვის ოქროს ქოთანი?

– ეფენდი, მე ასე გამიგონია, – მიპასუხა მოხუცმა, – როდესაც მობრძანებულა აქ **თამარ ყიზილ ფადიშაჰი** ეკლესიის ასაგებად, ამ ქვაზედ, – ხელით მიმითითა მოხუცმა, – ფეხებით შემდგარა და ათვალიერებდა, თუ სად აღმართოს მეჩეთი. ამ დროს ქვას პირი გაუღია და ფადიშაჰს ორივე ფეხი ჩავარდნია. ქვას პირი ისევ შეუკრავს. ვეზირები და დიდებულები შეწუხებულან, გაუმართავთ თათბირი, მაგრამ ვერას გამხდარან; მოლაც შევედრებია ალახს, ვერც მის ლოცვას გაუჭრია; ამ დროს ყავარჯენზე დაბჯენილი მოხუცი მათხოვარი მოსულა და ფადიშაჰისათვის მოწყალება უთხოვია. ფადიშაჰს, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, მათხოვარი გულუხვად განუკითხავს. მას თაყვანი უცია და უთქვამს: – დიდებულო ფადიშაჰო, შენ ალახს უყვარხარ და ამიტომ გეტყვი. ამის ქვეშ თორმეტი ოქროს ქოთანია, ოქროთივე სავსე, თუ ამ ქოთნებს არ ამოიღებ, ქვაპირს არ გააღებსო.

ვეზირებსა და დიდებულებს მათხოვრის სიტყვისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და კვლავ ბჭობა დაუწყიათ; ფადიშაჰს უსაყვედურნია:

– თქვენ რა იცით, რომ ეს მათხოვარი ალახის პირით არ მელაპარაკება? დაუმახეთ მუშებს, ამოათხრევინეთ ქვის ძირი და ნახეთო.

ფადიშაჰის ბრძანება მყისვე შეუსრულებიათ. ქოთნები რომ ამოიღეს, ქვას პირი დაუღია და ფადიშაჰი გაუნთავისუფლებია.

– აი, ეფენდი, დააკვირდით ახლა ამ ქვას (ხელის მოკიდებით მიმიყვანა ქვასთან, მოხუცმა) **თამარ ყიზილ ფადიშაჰის** ფეხი როგორ ამჩნევია. – და რომ დავაკვირდი, პატარა ფეხების ნაკვალევი, ხელოვნურად ამოჭრილი, მართლა აჩნია ქვას. ეს ქვა ეკლესიის ნანგრევის შიგნით, აღმოსავლეთის მხარეზე, დევს, ალბათ, ტრაპეზად დაუდგამთ. აქედან **თეთრ ციხისაკენ** გავუდექი გზას.

სოფ. **თეთრი ციხე** აღმოსავლეთიდან მტკვრის მარცხენა მხარეზეა და მდინარე **თეთრი წყაროს** პირად ძევს. ციხე დანგრეულია და მისი კედელიაა დარჩენილი. აქ, ციხის წინ, დიდი და სუფთად გაშალაშინებული თეთრი ქვის ფიცარი გდია. ქვა შუაზეა გატეხილი სიგანეზე და ზედ **ხუცური წარწერაა**, მაგრამ ისე გადალესილი, რომ უთვალთვარად მისი წაკითხვა არ შეიძლება. ციხის შიგნით ნაეკლესიარზე გვირაბის თავია, რომელიც ქვებითაა ამოხორცილი. თუმცა ჩასვლა შეიძლებოდა, მაგრამ მე აღარ ჩავსულვარ. ციხის ახლოს ნასოფლარია, რომელშიც ეკლესიის ნანგრევი ჩანს; ხოლო მაღლობზე, წყლის გაღმა, საშუალო ზომის **თეთრი ციხე** დგას. ციხე ნახევრად დანგრეულია.

სოფ. **ველისციხე თეთრ ციხეს** რვა ვერსით ახლავს და მდებარეობს მტკვრის ახლოს, დიდ ველზე. აქ 55 კომლი, ანუ 465 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. **ბევრი მათგანი ქართულად კარგად ლაპარაკობს**, „ყე“ – ს დაბოლოებით.

სოფელში ხმა გავარდა: თბილისიდან ქართველი პოლკოვნიკი (ყველა უცხო და პატივსაცემ სტუმრებს ქართველი მაჰმადიანები, თუნდაც გენერლები იყვნენ, პოლკოვნიკს უწოდებდნენ მაშინ) ჩამოვიდაო და დიდი და პატარა, კაცი და ქალი, ჩემკენ წამოვიდნენ; უხაროდათ ჩემი ნახვა. მამაკაცები ხელის ჩამორთმევით მამლევენენ სალამს, ხოლო ქალები და ბავშვები, ერთმანეთთან მობაასენი, შორიდან მილიმოდნენ.

– ეფენდი, (განათლებულო), რა ამბავია ტფილისში? – შემეკითხნენ ისინი და სიხარულით თვალებს თვალეში მიყრიდნენ.

– მე ჩამოვედი, რომ გავეცნო ჩვენს ძმებს – ქართველ მაჰმადიანებს, შევისწავლო მათი ცხოვრება, ავწერო გაზეთში და ვამცნო მათი გარემოება ჩვენებს.

– მოზრძანდით და გაჩვენებთ ჩვენს ციხეს, რომელიც ჩვენი მამა – პაპათა სისხლითა და ძვლებითაა მორწყულ – მოფენილი. იქ არის ქართულის წარწერით და ქრისტიანულ ღმერთებისა და მეფეების სახეებით დასურათებული. – მითხრეს მათ.

ჩვენ ბაასით გავუდექით გზას ველისციხისაკენ.

სოფლიდან ველისციხემდე ნახევარი ვერსია. აქ წყდება ციხის თავდაღმართი თავისი ბუნებრივი სიმაგრით და მიდის ნახევარ ვერსზე, მერე უფრო ძლიერდება და მიდის ნახევარ ვერსის მანძილზე ხელოვნურის სიმაგრით ეკლესიის მოედანზე. ეს სიმაგრე წარმოსდგება სამი კუბიკური ფორმის შავი ფერის ქვებისაგან. თითო ქვის ზომა აღმოჩნდა 2X2,5X3 კუბიკური ადლი. მოედანი, სადაც ეკლესიაა აღმართული, წარმოადგენს სწორ ადგილს. ზომით 300 კვ. საჟენს. გუმბათიანი ეკლესია წითელი, მარმარილოს მსგავსი ფერის ქვისაგანაა, არაჩვეულებრივი ლამაზი ხელოვნებით ნაგები, რომლის ფართობი 96 კვ. ადლია. ეკლესია დაუზიანებელია, მხოლოდ კარები აქვს მოხსნილი. შიგნით მხატვრობა ისე ბრწყინავს, თითქოს ამ 10 – 15 წლის წინეთ დაუხატათო. შიგნით, ჩრდილოეთის მხრისაკენ, კედელზე დახატულია სრული სახის იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, დიდი ბასილი, დავით აღმაშენებელი (?). თავი წაშლილია, ხოლო ტანი ხელუხლებელია, მას ხელში პატარა ეკლესია უკავია და წელზე ხმალი არტყია. შემდეგ იწყება ათთორმეტი მოციქული. მათ გვერდით ვიღაც ქალის ტანია დახატული, რომელსაც ორი გრძელი თმის ნაწნავები წინ აქვს ჩამოშვებული და ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოდრეკილი დგას; მას ტანზე სამეფო ტანისამოსი აცვია, სახე წაშლილია. ეს სურათი, მე მგონია თამარ მეფეს უნდა გამოხატავდეს. დასავლეთისაკენ დახატულია ყალფზე მდგარი თეთრი ცხენი, რომლის ფეხქვეშ ოთხფეხიანი და გრძელკუდიანი პირდაღებული გველეშაპი წევს და პირში შუბი აქვს ჩაცემული. ცხენზე მჯდომის უზანგში გაყრილ ფეხი – და მოსჩანს ცხენის მუცლის ქვეშ.

იქვე, ეკლესიაში შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს, სადაც ტრაპეზი ყოფილა, ერთი დიდი ქვა გდია. ქვის სიმაღლე ადუნახევარია, განი კი ადლზე ცოტა მეტი, ალბათ, ტრაპეზის ქვაა. როგორც შიგნით ეკლესიაში, ისე გარეთაც მრავალი კაცის ძვლები ყრია; ბევრგან ქალის ძვლებსაც შეხვდებით. შესავალი კარის გარედან ქართული ხეცური წარწერებია ამოჭრილი. უკიბოდ და უთვალთვალად მისი წაკითხვა ვერ შევძელი. ეკლესიას ზედ ჩრდილოეთით მიდგმული აქვს მაღალი კოშკის აგებულების სახლი. იქ შესავალი კარი არსად ჩანს. მეორე სართულის კედლები ერთი ადლის სივრცეზე ამოუჭრიათ. მესამე სართულის სახურავი თითქმის ნახევრად დაუნგრევიათ. კედლის ქვები შუაზეა გადატეხილი. მეორე სართულში, შიგნით, მშვენიერი, მოზრდილი და დაბალი ოთახია. იატაკზე ჭერიდან მონანგრევი ქვები ყრია. თვით ოთახს სამი ადლი სიგანე აქვს, 8 სიგრძე და 3,5 სიმაღლე. კედლებს შიგნით გარშემო ჩაყოლებული აქვს 216 უჯრა, თითოეული 6 ბრტყელი თადის ქვებით, რომელთა სისრულე ¼ ადლისაა და სიღრმე 2/5 – ს. როგორც ეტყობა, ეს სახლი ციხის სალარო უნდა იყოს.

12 წლის წინეთ, მიაბზო ჩემთან დამეგობრებულმა ირემამემ, ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანს იზიატ მეზინ გულიაშვილს 6 ოქროს ფულები უპოვნია, რუსული ახალი შაურისანების ოდენები და ვიღაც არტანელი ვაჭარისათვის მიუყიდნია თითო 7 მან. და 50 კ. 8 – 9 წლის შემდეგ ვიღაცეები ლომებითა და წერაქვებით მოსულან ღამე და ზემოხსენებული კედლები ჩამოუნგრევიათ და ათზე მეტი ოქრო უპოვნიათ. ამ სალაროს ქვემო სართული მთელია და მასში შესავალი კარი არსად ჩანს. აქაც, ეკლესიის გვერდით, აღმოსავლეთისაკენ საფლავებია. საფლავების მხოლოდ სამი ქვა შევამჩნიე. საკმარისია, როგორც ციხის შიგნით, ისე ციხის გარეთაც, სადაც გინდათ ფეხი წაჰკრათ ფხვიერ მიწას, რომ ადამიანის თავები და ძვლები ამოცვივდება.

აქვე, ეკლესიის დაშორებით, ორი მოზრდილი სარდაფის მსგავსი თხრილია, მაგრამ არ ვიცი, რა დანიშნულება აქვს მათ. შეიძლება ქვევრები იყოს, ჩაყრილი ღვინისათვის, მაგრამ ქვევრი ვერსად ვნახე. ეკლესიის წინ, მტკვრის მიმართულებით 5 – 6 საჟენზე, თავქვე დაშვებული დაღმართია, აქაც ოთხი დესიატინის ოდენა ველია, რომელზედაც მრავალი სახლი დგას. ყველა სახლი თეთრი, სუფთად გაშალაშინებული დიდრონი ქვის ფიცრებითაა აგებული. სახლებს ქვის სახურავები ჩანგრევია. კედლები სრულიად დაუზიანებელია და მაღალ – ხელოვნურის ნიჭითაა ნაგები.

იქვე აბანოა, სახლებზე უფრო ღამაზის ხელოვნებით ნაგები. აბანოს ხელოვნება უფრო წააგავს რომელიმე დიდებულ ეკლესიის გრებილ – ჩუქურთმებს, ვინემ აბანოებს. რომ უყურებთ ამ ხუროთმოძღვრებას, გიკვირთ, რად უნდოდათ აბანოსათვის ასეთი ძვირფასი ხელოვნებით აგებული კედლები. აბანოში მტკვრიდან წყლის ამოსაყვანი მოკლე, წითელი მიწის მილებია. მილები, თევზის მსგავსად, სუფთად გამომწვარი, ერთ ვერს – ნახევრის მანძილზე ჯაჭვით ერთი მეორეზე მიბმული, კედლებზე მიმაგრებული, ჩადის მტკვარში. აბანოში აბაზანები მშვენივრად და სუფთად გაშალაშინებულ ერთიან ქვებიდანაა ამოყვანილი, რომლებიც ზოგიერთი წვრილად და ზოგიც შუაზე გატეხილია. სამი აბაზანა კი მთელია. ეს აბანო პირველი შეხედვით, დიდ და უზარმაზარ ეკლესიის დამხოზილ გუმბათს მოგაგონებთ.

აბანოს გვერდით სახლებია თითო თვალიანი აგებული, დიდ და მრგვალ დარბაზებიანი. მათი სიმაღლე დაახლოებით 2,5 ადღს უდრის. სარკმლები განიერი და ფართე აქვს, რომლებიც მტკვრისაკენ იყურება. იქვე სამი სარდაფია, ქვებით ამოვსებული. ვერ გავიგე ამ სარდაფების დანიშნულება. აქედან  $\frac{2}{3}$  ვერსის სიმაღლიდან კედელი ქვეშ ეშვება. ადამიანი უბაწროდ ვეღარ ჩავა. ქვევით უფრო დიდი ფართობის მოედანია.

ამ მოედნის შუაგულ ადგილზე, ჭანურ სპილენძის დამხოზილი ქვაბის ფორმის მსგავსად, აღმართულია 60 – 70 საჟენის სიმაღლის გორა, რომლის წვერზე დგას ციხე, დაახლოებით 700 – 800 კვ. საჟენის ფართობისა, ღამაზი და მაღალის კბილებით. ციხე აქა – იქ ჩამონგრეულა და დარჩენილა 7 – 8 საჟენის სიმაღლე კედლები. ციხეს ირგვლივ შიგნიდან კედელზე ნათალ ქვებით ნაშენი სახლებია მიდგმული, ხოლო შუა ადგილზე აგებულია ოთხკუთხა 14 – 15 საჟენის სიმაღლის კოშკი, დაახლოებით 60 – 65 კვ. საჟენის ფართობისა და სართულებად დაყოფილი.

კოშკს სახურავი გადამძვრალი აქვს. ნახევარ ვერსის მანძილზე, მთის ფერდობზე, აგებულია გიგანტი ქვებისაგან გაღავანი, რომელიც ციხის ფართობს ქვევიდან უვლის მტკვრის სწორი ნაპირით და ამოდის მაღლა, დასავლეთიდან, იმავე კარკარის კედლით, ველის მინდორზე და წყდება აღმოსავლეთის გაღავნის პირდაპირ. ხსენებული გაღავანი ირგვლივ მთელია და არც ერთი ქვა არ ჩამოვარდნილა. ქვეშ მტკვრის პირზე გაღავნის გარეთ ორი თითოსართულიანი ქვის სახლი დგას. მათ პირდაპირ მტკვრიდან სამი არხი გამოდის – ორი სახლის იატაკების ქვეშ და

ერთი სახლების შუა. აქვე, სახლების იქით, აღმოსავლეთისაკენ ორი ფართო დიდი ქვა გდია. მე მგონია, წისქვილის ქვები უნდა იყოს, ხოლო თვით ნაგებობა – წისქვილი.

სოფელ ველისციხიდან, მტკვარზე გადასული, სოფლებში – **ზემო და ქვემო ხელოვანში** მივედი. ამ სოფელში დასაბამიდან ხელოვნები ცხოვრობენო, მითხრა ადგილობრივმა მცხოვრებელმა მოხუცმა **უსუფ ტალი წიქარიძემ** და ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **ხელოვანო**. **ხელოვანში** 19 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს, ხოლო **ქვემო ხელოვანი** ნასოფლარია. როგორც მიაშობო ხსენებულმა **წიქარიძემ**, 1877 – 78 წლების ომის დროს, რუსის მეფის ჯარის სარდლობის განკარგულებით სოფლის მცხოვრებლები **ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები, ციმბირში გადაუსახლებიათ**. უკან არავინ დაბრუნებულა.

აქედან ისევ მტკვარზე გადმოვედი და აღმოსავლეთით 15 ვერსის იქით, სოფ. **გუგუბას** მიმართულებით, აღმოსავლეთისაკენ წამოვედი, სადაც კარგად მოზრდილი კუზაწეული მთა მოსჩანს, რომლის შეხედულება ძალიან წააგავს დიდი არარატისას. აი, ამ მთის მწვერვალზე დგას **დიდი ეკლესია**, რომელიც დანგრეულა და მისი ერთი კედელი ჩანს. კედელი ხუთი საჟენის სიმაღლისაა. ქალაქ არტანიდან ეს ციხე, მიუხედავად იმისა რომ 40 ვერსითაა დაშორებული, ერთნახევარ კაცის სიმაღლე მოჩანს. კედელი სუფთა, დიდრონი, თეთრი ქვების ფიცრებითაა აგებული. ამ ეკლესიიდან უკან დავბრუნდი სოფ. **გუგუბაში**. აქ 79 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ადგილობრივმა მცხოვრებელმა **თითქმის ყველამ იცის ქართული**. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია, ხოლო სოფლიდან 1,5 ვერსის დაშორებით, აღმოსავლეთისაკენ, დგას გუმბათიანი მოზრდილი, **მეტად ლამაზი ეკლესია, მაგრამ 1877 წელს, როგორც დიდებული ბანას ეკლესია, რუს – ოსმალთა ომის დროს ასაფეთქებელ საომარ მასალების საწყობად გადაუქცევია რუსის მეფის მხედრობას**. ეს გაუგია ოსმალთა ჯარს, დაუმიზნებია ეკლესიისათვის ქვემეხები და ეკლესია გუმბათიდან ძირამდე შუაზე გახეთქილა. დასავლეთის ნახევარი იქვე ნანგრევადა ჰყრია, ხოლო მეორე ნახევარი თავის გუმბათიანად ამაყად დგას. მისი სურათები, მიუხედავად ხანდაზმულობისა და იმისა, რომ მზე მათ პირდაპირ დაჰყურებს, **ფერშეუცვლელია**. გეგონებათ ამ 5 – 10 წლის წინეთ დაუხატიათო. გარედან ეკლესიის კედლები პერანგის ქვებისაგან გამარცვლია.

ამ მოხუცმა **თეიმურაზ ყადირ ოღლი წითლანაძემ** სახლში მიმიწვია. იგი წმინდად ლაპარაკობს ქართულს და სახეც წმინდა ქართველის აქვს, უყვარს საქართველო და ამაყობს, რომ ქართველია. **წითლანაძემ კარგად იცის საქართველოს ისტორია, იცის წერა – კითხვაც**. მან ზანდუკიდან ამოიღო **დიდი ფორმის ტყავის ყდიანი ხელნაწერი, ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია**. ის მას წითელს ფარჩაში ჰქონდა გახვეული. წიგნი ლამაზის ხელითაა დაწერილი და ქაღალდი სქელი, რუხი ფერისაა. ასოები მკრთალად გამოიყურება.

– 17 წლისა ვიყავი, რომ მამას გავეპარე ახალქალაქში და მამედ ალა ბეგ ფალავანდიშვილის მამასთან დავდექი მოჯამაგირედ; ექვსი თვის შემდეგ **ტფილისში** წაველი და **პლატონ იოსელიანთან** დამაყენეს, მაშინ იგი მოხუცებული იყო. აცხონოს ღმერთმა, კარგი კაცი იყო. იქ მან **შემასწავლა ქართული წერა – კითხვა** და საქართველოს ისტორია. ეს წიგნი მუდამ ხელთა მქონდა და ვკითხულობდი. 28 წლისა რომ გავხდი, გამოვართვი ალას ანგარიში, სამი მანეთიც მეტი მაჩუქეს, გამოვემშვიდობე იქაურობას და ეს წიგნი, ნულარ დამძრახავთ, არავისთვის მიკითხავს, გავხვიე ჩემს ბარგში და წამოვიღე. **დღეს ეს წიგნი შვილებს მირჩევენია** და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცი, თავისუფალ დროს ამოვიღებ და ვკითხულობ. – მითხრა მან.

აქედან სოფ. **ლეჯისაკენ**, ანუ **გეჯეთისაკენ** წამოვედი. **ლეჯი** ანუ **გეჯეთი** მეგრული სიტყვაა. პირველი ნიშნავს – **ღორს**, მეორე – **ხის დიდ გობს** და ესეც რომ არ იყოს, სოფ. **გეჯეთი** სამეგრელოშია, მარტვილიდან 15 ვერსზე **სენაკის** მიმართულებით. აქ 36 კომლი სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც არის **ერთი ეკლესია**, რომლის კედლები პერანგის ქვებისაგან გაცლილია.

აქედან მე – 4 ვერსზე სოფ. **ბერგია**. ესეც მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **თოხს**. აქაც 46 კომლი, ანუ 420 **ქართველი მაჰმადიანი**. აქაც პერანგის ქვებისაგან გაძარცული ეკლესია დგას.

შემდეგ წავედი სოფ. **კონქში**. ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს **კამარას**. აქ 77 კომლი, ანუ 400 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც ერთი ეკლესიაა, პერანგის ქვებისაგან გაძარცული.

სოფ. **კონქს** აღმოსავლეთით მე – 12 ვერსზე სოფ. **ორუშეთია**, აქ ქურთები ცხოვრობენ. **წინეთ ქართველ მაჰმადიანებს უცხოვრიათ** თურმე, მაგრამ **1877 – 78 წ. რუს – თათართა ომის დროს ზოგი დაუხოციათ და ზოგი სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ**. აქ სოფელში საშუალო ზომის ეკლესიის ნაშთია დარჩენილი.

სოფ. **ორუშეთის იქით**, მთის კალთაზე ერთი დიდი ეკლესია დგას, რომელიც **ძლიერ წააგავს მარტვილის მონასტერს**. ეკლესია კარგად არის შენახული, წარწერები ვეღარ ამოვიკითხე, რადგან ასოები ამოშლილია. **სურათები კი ხელუხლებელია**. გუმბათი ფილაქნითაა დახურული. გარედან კედლებზე და კარების ლავგარდანებზე ლამაზად და **ფაქიზის ხელოვნებით შესრულებული ჩუქურთმებია**, ამბობენ: ეს ნასოფლარი **ზემო ორუშეთიაო**.

აქედან სოფ. **ახალშენში** გადავედი. ამას ადგილობრივი ქურთები **ახა – შენს** უწოდებენ, ისე როგორც კახეთში კახელები თავის სოფელ **ახალშენს** დამახინჯებით **ახაშენს** ეძახიან.

სოფ. **ახალშენიდან** გადავედი სოფ. **ჯვარის ხევში**. ეს სოფელი ჯვარედინა ხევშია გაშლილი და ალბათ, ამისათვის დაურქმევიათ მისთვის სახელი **ჯვარის ხევი**, აქ 52 კომლი ანუ 395 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სოფ. **ჯარისხევში** გადავედი. რატომ დაარქვეს ამ სოფელს ჯარის ხევი? ალბათ აქ ჯარსა მალავდნენ მტერზე თავდასასხმელად. ამ შემთხვევისათვის ეს ადგილი სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს. აქ 49 კომლი ანუ 408 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. სოფლის გარეთ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან 4 ვერსის შემდეგ, აღმოსავლეთით, მაღლობზე, მთის კალთებში სოფ. **მაჩუეთია**. აქ 39 კომლი ანუ 419 **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**.

აქედან ხუთი ვერსის იქით სოფ. **ნუნუსია**. **ნუნუ**, ანუ **ნინო** ქართველი ქალის სახელია. როგორც მითხრეს ღრმად მოხუცებულებმა, ძველად, უხსოვარ დროს აქ **მოსულა ვიღაც ქართველი ქალწული და ხალხში ღვთის სარწმუნოება გაუვრცელებია** და ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **ნუნუსი**. აქ 32 კომლი ანუ 352 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

აქედან **ზემო და ქვემოთამარში** შევიარე. აქ კი **ქურთები ცხოვრობენ**, ერთი საშუალო ზომის ეკლესიის ნანგრევი აქაც არის. ორივე სოფლები მაღლობზეა გაშლილი. აქ საყურადღებოა მთა, რომელიც სოფლების იქით, სამხრეთისაკენ დგას. ეს მთა თითქოს ხელოვნურად დაუდგამთო. მთას ოთხკუთხიანი ცილინდრის სახე აქვს. მისი ზედა მოედანი 1600 კვ. საჟ. მოცულობისაა. მოედნის შუა გულზე მარმარილოს ერთი დიდი სასაფლაოს ქვა, ზომით 4X2 ადლის ფართობისაა. **ზედ ქართულ – მხედრული წარწერაა**. წარწერა ისეა გადალესილი, რომ წაკითხვა ვეღარ მოვახერხე. საჭიროა ასოების შავად შეღებვა, რომ ამოვიკითხოს კაცმა. ამ სოფელში მე 30 აპრილს

მომიხდა მისვლა. ღამე აქ გავატარე, მინდოდა დილით წავსულიყავი, მაგრამ მასპინძელმა შემაჩერა: დღეს ჩვენ სალოცავი გვაქვს, მოიცადეთ, ილოცეთ ჩვენთან, ისადილეთ და მერე წაბრძანდითო. მე ნებას დავყევი.

1 მაისს დილიდანვე ხალხმა ჯალაბობით იწყო დენა ამ სალოცავისკენ. აქაურებსა აჰყავთ ამ სალოცავისკენ ცხვრები, კლავენ, ამზადებენ საღმრთოს, ლოცულობენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰის საფლავზე**, მოუწოდებენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰს**. უკითხავენ, ნიშნად სიყვარულისა, ერთმანეთს საღმრთოს და სხდებიან ჭამად. ხოლო მზის ჩასვლისას მათ კვლავ მოილოცეს საფლავი და სახლისაკენ გაუდგნენ გზას.

– ვინ არის აქ დამარხული? – შევეკითხე მასპინძელს.

– **თამარ ყიზილ ფადი შაჰი**. – მიპასუხა მან.

– როგორ! საქართველოს მეფე თამარი?!.. გაკვირვებით შევეკითხე.

გამოვეთხოვე ჩემს მასპინძელს და სოფ. **ქერქიდანისაკენ** გაუდექი გზას.

სიტყვა **ქარქიდან** ქართულია. აქ **თურქმენები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ, მთის კალთაზე, მოზრდილი თიხის ნანგრევია. აქედან 4 ვერსის მანძილზე სოფ. **დაბახეია**. ეს სიტყვა დამახინჯებული უნდა იყოს, რადგანაც სოფელი მაღალი ხევის თავზეა გაშენებული. აქაც **თურქმენები** ცხოვრობენ. სოფლის განაპირას ერთი ეკლესიის ნანგრევია.

სოფ. **დაბლა – ხევიდან** შორს სოფ. **სორსია**. აქაც თურქმენები ცხოვრობენ. ესეც ქართული სიტყვაა. სოფ. **სორსი** რუქაშიაც არის. ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

შემდეგ იწყება სოფ. **ჩამლეჩაი**<sup>1</sup>. პირველი სიტყვა ჩამმლეღია (ჩამომღლეღი); ქართულია, მეორეც თათრული (მდინარე). ამ სოფელს წინ მდინარე ჩამოუღის და ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ეს სახელი. აქაც ეკლესიის ნანგრევია; აქ **თურქმენები ცხოვრობენ**.

შემდეგ იწყება **ვერანა – ნაქალაქევი**. პირველი სიტყვა თათრულია და ნიშნავს აოხრებულს, მეორე ქართულია. ეს სოფელი ოდესღაც დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ მტერს აუოხრებია. **1878 წელს, ომის დროს რუსეთის მეფის მხედრობას აუკლია, ზოგი ამოუხოცია ქართველი მაჰმადიანები და დანარჩენები დიდიან პატარიანად სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებია და ციხეში გადაუსახლებია** და მათ სახლებში **ქურთები** ჩასახლებულან.

როგორც ლეგენდა ამბობს, ოდესღაც ამ ქალაქს დიდი როლი უთამაშნია საქართველოს აყვავებაში და შემოსეულ მტრისათვის არა ერთხელ ღვთის რისხვად დასტეხია. აქ 14 ეკლესიის ნანგრევია, 4 დიდრონი და 10 მცირენი. ვერ გავარჩიე, როგორც ეტყობა, აქ დიდი ციხე ყოფილა. ამ ნაქალაქევის შორი – ახლოს 13 ნასოფლარია.

აქედან სოფ. **კართანა ხევისაკენ** გაუდექი გზას. გზა და გზა მრავალი ნასოფლარი შემხვდა; ყველგან არის ეკლესიის ნანგრევები. **1877-78 წლებამდე არტაანის ოლქი ქართველი მაჰმადიანებით მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მაგრამ რუსის მეფის მხედრობას ამოუწყვეტია და ზოგან ქურთები და ზოგანაც თურქმენები დაუსახლებია**.

თვით არტაანის ოლქი რაღაც ზღაპრულის სიმდიდრითა და სიუხვითაა ბუნების მიერ დაჯილდოებული. ხალხს აქ დიდი სიმდიდრე მოსდის თავის დიდად შეუწუხებლად. აქაურმა 100 ძროხა და ამდენი სხვა მსხვილფეხა პირუტყვი შეიძლება გაიჩინოს. ომამდე აქ ბეგებსა და ალებს 300 – 400 ძროხა და 3000 – 4000 – მდე ცხვარი ჰყოლიათ. აქაური ქერი და თივა, არამცთუ ამიერკავკასიაში, რუსეთშიაც განთქმული ყოფილა. თუ კი კაცი გაირჯება და თესლს ხელიდან გააგ-

<sup>1</sup>ჩამლეჩაი-ნამძვარი მდინარე (ყამ-ნამვი, ყაყირ-მდინარე; შ.ფ.).

დებს, მიწა ერთი – ათასად უკან უბრუნებს. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ყველაფერი თავსაყრელად ჰქონდათ: მთელ ამიერკავკასიის ჯარსა და დაბა ქალაქებს არტაანი ასაზრდოებდა: თივა, ქერი, სახორცე პირუტყვი, რძის ნაწარმი, შინაური და გარეული ფრინველები, თაფლი და სხვა აქედან გაჰქონდათ. მინერალური წყლებიც აქ უხვად მოიპოვება. აქ ჰაერიც შესანიშნავია და საღი. **ხშირად ნახავთ აქ 130 – 140 წლის მოხუცებს, რომლებიც ჯერ კიდევ საღი ჯანისანი არიან და მუშაობენ.** ეს მხარე ძველად ისტორიაში ცნობილი იყო თავისი ეკონომიურისა და კულტურულის ცხოვრებით; **პირველი აკვანი ქართველი ერის კულტურისა არტაანში დაირწა.** ამანვე აღზარდა უამრავი ჩვენი სახელოვანი მამა – პაპა.

სოფ. **ვერანა – ნაქალაქევიდან** მიველი სოფ. **კართანა – ხევში.** ეს სახელი ამ სოფელზე ზედ გამოჭრილია. სოფელს წინ ვეება ხევი ჩამოუდის ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთ – სამხრეთით. ამ 40 წლის წინათ, ეს სოფელი 25 საყენით მალა მდგარა, მაგრამ ქვეშ დაწეულია წყლიანი ნიადაგის გამო და ადგილობრივი მცხოვრებლები აშკარად ატყობენ, რომ სოფელი თანდათანობით დაბლა იწევა. აქ 49 კომლი ანუ 443 **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი.

აქედან პირდაპირ ხევისა და **მდ. წყაროსმანის** გაღმა მალლობზე, გაშლილია სოფ. **მგლის ციხე.** ამ სოფლისათვის ახალქალაქელ სომხებს „**ყურტყალა**“ უწოდებიათ. აქ 39 კომლი ანუ 460 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.** მეტი წილი **ბერიძეთა** გვარისანი არიან, ნაკლები – **ორბელიანებისა.**

სოფლიდან ცოტა დაშორებით, კარკარ კლდეზე ციხე მდებარეობს, რომელსაც თავისი სიდიდით, სილამაზით, სტრატეგიულისა და ბუნებრივს სიმაგრით არტაანის ოლქში მე – 4 ადგილი ეკავა. კლდე, რომელზედაც ციხე დგას, გიგანტური სიმაღლისაა. მას ქვეშ მდ. მტკვარი მოუდის. ციხე ოდნავ დაშვებულია. მაგრამ მისი ხელოვნება და მტკიცე ნაშენობა განაკუთვნიებს მას მეხუთე საუკუნის პირველ ნახევრისას და როგორც მისი სახელწოდება ამტკიცებს, ის **ვახტანგ გორგასლანს** ეკუთვნის.

სოფ. **მგლის ციხიდან** სოფ. **წყაროსთავი** პირდაპირი ხაზით სულ ერთი ვერსითაა დაშორებული, მაგრამ ღრმა ხევეები და მდინარის ვეება კალაპოტი მას 10 – 12 ვერსით აშორებს. წყაროსთავის მთის მწვერვალი თითქო განგებ გადაუჭრიათო. მის 6000 – მდე სწორს საყენის სივრცის სუფრასავით გაშლილს მოედანზე ეკლესიაა გაშენებული მეტეხის ციხის ეკლესიის მსგავსად, სუფთად გათლილი, დიდრონი ყვითელი ქვების ფიცრებისაგან. **ამ ეკლესიაში ებრაულ ენიდან ქართულად უთარგმნიათ სახარება.** ეკლესია შედარებით დაუზიანებელია. მხოლოდ დანგრეულია კოშკი, რომელიც ეკლესიის გვერდით მდგარა. ეკლესიის კედლები **მშვენიერის ხუროთმოძღვრების ხელოვნებითაა აშენებული** და ხშირად ამშვენიებს მის კარებსა და კედელ – სარკმლებს სუფთად ამოჭრილი **ჩუქურთმები.** აქვე მცხოვრები **ალა შარიფ ოღლი საღირძის** წყალობით, ეკლესია შიგნით სუფთადაა შენახული. იატაკი მორთულია ძვირფასი ხალიჩებით. **შიგნით მხატვრობა ძალზე კარგადაა დაცული. არსად დაფხაჭნილი და წაშლილი არ არის.** შესავალ კართან გამოსახულია **მეფე ვახტანგ გორგასლანი,** მჯდარი თავის მერანზე, ხელში ამოღებულის ხმლით, რომელიც მიემშრება გოლიათი ბაჰავარისაკენ საომრად. **აქ ქართველ მეფეებისა და წმინდანების სურათები თავდება ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დაჩოქებული თამარ მეფეთი,** რომელიც **ბრილიანტით მორთულ საყურეს დებს ღვთისმშობლის ხატის წინ.** ეკლესიის მოედანზე დგას ერთი ლამაზი და დიდი ოდა, რომელშიც ცხოვრობს ამ ეკლესიის მოამაგე **ალა შარიფ ოღლი საღირძე.** მისი გარეგნული შეხედულება მოგაგონებთ როგორც სახის სილამაზით, ისე დარბაისლურის მიხვრა – მოხვრით **ძველ და ამაყ ქართველ მეომარს.** მან ქართული არ იცის, მაგრამ **უდიდესი მოსიყვარულეა და პატივისმცემელი ქართული კულტურისა.**

წყაროს თავის მთა სამხრეთიდან წარმოადგენს მაღლა აშვერილ გორს, ხოლო ჩრდილოეთისაკენ თავისი სიმაღლის შესაფერად დაფენილს კალთას 15 – 18 ვერსის მანძილზე. ეკლესიიდან ქვეშ, 35 – მდე საყენზე, გაშენებულია ეგვიპტური სახის წყალსადენი, თეთრი, ლამაზად გაშალაშინებული ვეება მარმარილოს მსგავსი ქვების ფიცრებით, ხუთი ცალი ონკანით, საიდანაც უხვად მოჩუხჩუხებს წმინდა ალმასივით ანკარა წყარო, რომელიც ჩადის ქვემოთ დადგმულ თეთრი ქვისაგან გამოთლილს როფეში. წყლის ქვეშ, რამდენიმე საყენით დაბლა, გაშლილია **სოფ. წყაროს-თავი**. აქ **ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ** 57 კომლი ანუ 9437 სული. **ზოგიერთი მოხუცი ქართულს კარგად ლაპარაკობს**.

სოფ. წყაროსთავის შემდეგ იწყება სოფ. **ჩაი – ტურეცი** (ჩაირ – çayır – მინდორი, ველი. შ.ფ.) სოფლისათვის ეს სახელი, როგორც ადგილობრივმა მოხუცებულებმა მითხრეს, 1877 წელს, ომის დროს დაურქმევით. საკვირველია, რატომ დაარქვეს ამ მდინარეს „**ჩაი – ტურეცი**“. მდინარე ოსმალეთიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მდინარე წყაროსმანის ტოტია, რომლის სათავე არტაანის მთაშია. 1877 წლამდე ამ სოფლის ნამდვილი სახელი **ქვემო წყაროსთავი** იყო. აქ 61 კომლი, ანუ 511 სული **ქართველი, მაჰმადიანი ცხოვრობს**. სოფელში **მოხუცებულებმა თითქმის ყველამ იცის ქართული**.

სოფ. **ქვემო წყაროსთავის** შემდეგ 10 – 12 ვერსია დაბა **ზურზუნამდე**. ზევით, ზურგ – ბრტყელა მაღალ მთის წვერზე, გაშლილი სოფ. **რაბათი** მდებარეობს; აქ 32 კომლი, ანუ 427 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**, გვარად **თარხნიშვილები** და **თარხან – მოურავები**. პირველნი გლეხებია, მეორენი – ბეგები. ეს სოფელი მაინცდამაინც არაფრითაა შესანიშნავი, მხოლოდ აქაა ციხე **შე – ქალად** წოდებული. ეს ციხე თავისი ადგილმდებარეობით, სტრატეგიულის თვალსაზრისით, თვალსაჩინო ნაგებობაა და იგი სოფლიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ორი ვერსის დაშორებით, დგას კედელსავით ჩამოტეხილი კარკარი მთის თავზე, რომლის სიმაღლე დაახლოებით სამ ვერსს უდრის. ქვეშ ციხეს სამი მხრიდან: არტაანიდან მარჯვნივ – **მტკვარი**, სამხრეთიდან – **წყაროსმანი** და სამხრეთ – აღმოსავლეთიდან **თეთრი წყარო** ჩამოუდის.

სოფ. **რაბათიდან** ციხისაკენ მხოლოდ ნახევარ ვერსზე თამარისეული შარაგზა მიდის და მერე იწყება მთის დაწოლილ ფერდობებზე საცალფეხო წვრილი გზა, მაგრამ ეს გზა, მე მგონია, მტრის თვალსაზრისითაა გაბმული, რადგანაც ციხეს ამ გზის მიმართულებით კარი არა აქვს. სინამდვილეში ციხეში შესავალი გზა იწყება მთის კედელს ამოფარებული გვირაბით, რომელიც 1,5 ვერსს მიდის მიწის ქვეშ და მიწის ქვეშიდანვე შედის ციხეში. გალავანი ციხისა 16 საყენის სიმაღლეზეა. გარედან, სადაც ციხეს ადგება საცალფეხო გზა, ვიღაცას კედელი ერთ ნახევარ საყენზე გამოუნგრევია და დღეს მნახველი აქედან შედის.

ციხე მრავალი კოშკის მზგავსადაა აშენებული თეთრი, ნათალის ქვით; სისქე კედლისა, გამონგრეულის მიხედვით, ორ ადლს აღემატება. შიგნით გალავანში ციხე დგას, რომლის სიმაღლე ორი – სამი საყენით აღემატება გალავნისას. გალავნის კედელსა და ციხეს შორის 120 საყენის ფართობი ეზოა, რომელიც ირგვლივ უვლის ციხეს. ციხის ფართობი 650 საყენს აღემატება. აქ ეზოში 6 სახლი დგას. ყველა თეთრი, ლამაზად გათლილი ქვებითაა აშენებული. აღმოსავლეთით, სადაც მდინარეები უერთდებიან ერთმანეთს, აგებულია **ხუროთმოძღვრულის ხელოვნებით აშენებული**, ვეება ეკლესიის გუმბათის მსგავსად გამოყვანილი აბანო, რომელშიაც ქვემოდან ზევით ამოდის წითელი თიხის მიღებით წყალი. აბანოში აბაზანები ყველა თეთრი მარმარილოს ერთიან ქვებისაგანაა გამოჭრილი, რომელთა შორის ერთია მთელი. დაუზიანებელი მიღები, რომლებიც კედელზეა მიკრული, ჯაჭვივით ჩადის ქვეშ მდინარეში. შიგნით გალავნის კედლებს იატაკიდან კბილებამდე მისდევს რამდენიმე წყებად ქვის კიბეები, რომლებსაც ზევით ორი



ადლის სიფართოე ფეხზე დასადგამი აქვს შემორტყმული, ალბათ ციხეზე მომდგარ მტრებზე ისრების დასაშენად. კიბეებს აქა – იქ სამი, ოთხი საფეხური აქვს ამოტეხილი. ამის გამო მაღლა ასვლა ძალზე ძნელია.

მე შევძელი ზევით ასვლა და რომ გადავხედე ქვეშ მიდამოს, მთელი ტერიტორია ჩემს წინ ფიანდაზად გადამეშალა. წინა ეზოდან, ციხის ეზოში შესავალი კარი საიდუმლოდაა გაკეთებული. აქვე მშვენიერი ლამაზი სახლებია, მაგრამ ეს სახლები მიწაზე კი არ დგანან, როგორც წინა ეზოში, ისინი გალავნის კედელზე არიან მიდგმული, 4 – 5 საჟენის სიმაღლეზე. ეს, ალბათ, ჯარის მეთაურთა საცხოვრებელი ბინები იყო. ამ სახლებიდან მხოლოდ კედლები და დარჩენილა. აქვე ეკლესიის საკურთხეველთან გვირაბია, მაგრამ არ ვიცი, სად მიდის ის. ციხის ეზოში ლამაზი თეთრი ნათალი ქვის ორსართულიანი სახლი დგას, რომელსაც ფიქალის სახურავი გადახდილი აქვს და იქვე მიწაზე ყრია. კედლებიც აქა – იქ დაზიანებული აქვს. **ეტყობა, ეს სახლი მეფის ან სპასალარის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო.** სამხრეთით ციხის კედელზე მიშენებულია სამსართულიანი სახლი, რომლის შიგნითა კედლებში ჩაყოლებულია 40 ოთხკუთხა უჯრები 2/3 არშინის ზომისა; ესენი მგონი სალაროები იყო. როგორც ველისციხეში, ისე აქაც, სადაც არ უნდა წაჰკრათ ფეხი ფხვიერ მიწას, კაცის ძვლები ამოჰყვება ხოლმე.

– ჰაჯი ალა, მითხარი გეთაყვა, ციხეს **მზე – ქალას** სახელი რატომ დაარქვეს და როდის? – შევეკითხე ჩემი გზის მაჩვენებელს **თარხნიშვილს**.

– გადმოცემით ვიცი, ეფენდი, რომ **თამარ ყიზილ ფადიშაჰის** დროს აქ ჩამოსულა თავის საცოლე **მზე – ქალათი** სახელგანთქმული **გმირი ტარიელ – ბეგი**, როდესაც იგი სანადიროდ წასულა, ღამით მოფრენილა ქაჯთა მეფე, მოუტაცნია ეს მზე – ქალა და ამ ციხეში გადაუყვანია და ამიტომ დაურქმევიათ ამ ციხისთავის **მზე – ქალა**.

მივხვდი, რომ იგი **ტარიელ და ნესტან – დარეჯანზე** ლაპარაკობდა და დაინტერესებულმა ვთხოვე, ეამბნა ჩემთვის მთელი ლეგენდა. იგი დამპირდა, შინ მივიდეთ და იქ გიამბობო. ამით გახარებული მყისვე წავყევი სახლში, მაგრამ ჰაჯი ალამ, ნაცვლად თავისი სახლისა, **იბრაჰიმ – ბეგ სულხან – მოურავის** სახლში მიმიყვანა.

აქ გლეხებს ვალად აქვთ მიღებული, სტუმარი თვითონ არ მიიღონ, არამედ უნდა მიიყვანონ სოფლის გავლენიან პირის სახლში და თვითონ ხარჯი მიუტანონ.

ჩემი მისვლა **იბრაჰიმ – ბეგს** ესიამოვნა. იგი ფეხმოკეცილი ტახტზე იჯდა და ხელში კრიალოსანს ათამაშებდა; რომ დამინახა, მყისვე ფეხზე წამოდგა, კრიალოსანი ჯიბეში ჩაიღო და თავის ადათზე, მისალმებით ორივე ხელით ხელი ჩამომართვა, შემდეგ მომკიდა ხელი და ტახტზე დიდი აბრეშუმის მუთაქაზე დამსვა. ხოლო **ჰაჯი – ალა** ჩვენს შორი – ახლო კედელთან დადგა და მოწიწებით ჩვენს ბაასს ყურს უგდებდა. მალე 40 – მდე ბეგები და გლეხები მოვიდნენ: ისინი დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს ამბებით, უნდოდათ ჩემი ვინაობა გაეგოთ. ვილაცას ხმა გაევრცელებინა, რომ ქართველები შიდა ოსმალეთის საქართველოში გადმოსახლებას აპირებენო. იმ დროს **იბრაჰიმ – ბეგი** ფეხზე ადგა და გლეხებს განკარგულება მისცა, რომ დაეკლათ ცხვარი და სადილი დაემზადებინათ, მაგრამ მე მეჩქარებოდა, თანაც თქმულება მაინტერესებდა და სადილზე უარი ვუთხარი. მაგრამ როგორც **იბრაჰიმ – ბეგმა**, ისე სხვებმა, არ გამიშვეს.

– ეფენდი, ამას როგორ კადრულობთ, ჩვენი უფროსი ძმა ჩამობრძანდით საქართველოდან; გაგვახარეთ და თქვენ არ გნებავთ მიიღოთ ჩვენი პურ – მარილი. ეგ ხომ ჩვენი მოკვლაა, ჩვენ ძმობაზე უარისყოფა! არა, არა, ეფენდი, ამას ნუ იკადრებთ, ნუ დაგვიხშობთ სიხარულს, თქვენდამი სიყვარულს. **ქართველი მაჰმადიანები, ოდესღაც განუყრელი ძმები, და დღესაც, ეფენდი, ძმები ვართ თქვენი სისხლითა და ხორციით, გულითა და მისწრაფებით. დარჩით, მიიღეთ ჩვენი**

**პურ – მარილი, გავაახლოთ ძმობა და სიყვარული ერთმანეთში.** ასე მეუბნებოდნენ ბეგები და წინ გზას მილობავდნენ.

მალე სადილიც შემოიტანეს.

ბეგები ათამდე იყვნენ, ყველანი სუფრას მივუსხედით. გლეხები კი კედელთან დასხდნენ და გვიმზერდნენ.

მზე უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა, რომ ჩვენ სადილს მოვრჩით და რადგანაც უკვე გვიან იყო და წასვლა სხვა სოფელში არ შეიძლებოდა, დავრჩი.

– იბრაგიმ ბეგ, თუ არ შეწუხდებით და იცით თქმულება **მზე – ქალას ციხეზე**, მიაშბეთ. – მივმართე მე მას.

– ევენდი, არტანის კი არა, მთელი ყარსის, აღზევანის, ოლთისის, ისპირის, კისკისის, თორთუმის, ბაიბურთის ოლქები, არზრუმის, ტრაპეზუნდის ვილაეტები (გუბერნიები) სულ საქართველოს ეკუთვნოდა ოდესღაც; ყველგან ჩვენი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ყველგან ჩვენი დიდებაა, თამარ ყიზილ ფადიშაჰის აშენებული მეჩეთები და ციხეებია; ყველა სოფლებს დღესაც ქართული სახელები ჰქვიათ.

– მიპასუხა იბრაგიმ ბეგმა და დასძინა დიდის სიამოვნებით: – დაბრძანდით, აი, აქ, ჩემთან და გაიმბობთ ყველაფერს.

შემდეგ იბრაგიმ ბეგმა მიმართა გლეხებს.

– აბა, ვახშამი გაამზადეთ!

გლეხები რომ გაისტუმრა, თვითონ იწყო თხრობა.

– როდესაც ჩვენმა სასოებამ **თამარ ყიზილ ფადიშაჰმა** ალაგო ეს ციხე, გაიხარა, მოეწონა დიდად, დაიბარა მთელი დუნია (მსოფლიოს) ქვრივ – ობლები, დავრდომილები და უხვად გასცა მოწყალება. ის იყო ნადიმად დასხდნენ, რომ ეწვია მას ყრმობიდან გადახვეწილი საყვარელი ბიძაშვილი **ტარიელ ბეგი**, თავისი დანიშნულ **მზე – ქალით**. მზე – ქალა ისეთი ლამაზი იყო, აიხდოდა თუ არა პირბადეს, მზე ბნელდებოდა, ხოლო ტარიელ ბეგი ისეთი მძლავრი იყო, რომ ლომს ცალი ხელით იჭერდა. ტარიელ ბეგის სიმძლავრე მთელს დუნიაზე გრგვინავდა. მისი შიშით მდეგები და ქაჯები ძრწოდნენ; შესახედავადაც ისეთი ლამაზი, ახოვანი და ტანადი იყო, რომ ქალები მისი სიყვარულით იწოდნენ. თამარ ყიზილ ფადიშაჰი ბიძაშვილის ნახვით სიხარულს მიეცა და ნადიმი ნადიმზე გადაიხადა. ხარობდა და ლალობდა საქართველო ტარიელ – ბეგისა და მზე – ქალას მოსვლით, ხოლო ჩვენი გმირები სიხარულითა და ტარიელ – ბეგის სიყვარულით ცასა სწვდებოდნენ. იწვევდნენ მას სანადიროდ, ისრის ნიშანში სროლასა და ჯირითშიც, მაგრამ ამაოდ, მასთან ყველანი უსუსურნი აღმოჩნდნენ. მას სჭვრეტდა თამარ ყიზილ ფადიშაჰი, განაგებდა სამეფოს და მზე – ქალა სიხარულით უკოცნიდა მას ხელებს და აქებდა მის სიბრძნეს. თუ ხმა დაირხეოდა, საქართველოზე მტერი მოდისო, მზე – ქალა მყისვე დაიბარებდა ტარიელ – ბეგს და ეტყოდა:

– აბა, ჩემო ვეფხვო, ტარიელ – ბეგ. დამიმტკიცე სიყვარული, შეები მტერს და დაუმორჩილე იგი შენს ბიძაშვილსა.

ტარიელ ბეგიც არ ყოყმანობდა, მყისვე აისხამდა იარაღს, გაუძღვებოდა თავის რაზმს, შეებმებოდა მტერს და მალე მათ კისერზე ხმაღჩამოკიდებულს მოათრევდა და მეფეს მიჰგვრიდა ხოლმე, თამარ ყიზილ ფადიშაჰს. დააჩოქებდა მის წინაშე შებორკილ მტერს და ბოდის მოახდევინებდა.

ამასობაში გავიდა დრო, დამშვიდდა ქვეყანა. საქართველოს მტერი აღარ ჰყავდა. სწყუროდა ტარიელ – ბეგს ომი, სწყუროდა ქართველ გმირებსაც ომი, მაგრამ მტერი არა ვინა ჰყავდა საქართველოს. ამასობაში ტარიელ ბეგი სახლში ვეღარ ჩერდება, მიდის ღამ – ღამობით სანადიროდ,

ეომება ლომებს, ვეფხვებს, ხოცავს და დროს ამაში ატარებს. სცხვენოდა ჩვენს გმირებს, რომ ველარ უწევინ ტარიელ – ბეგს მეტოქეობას.

ერთხელ თამარ ყიზილ ფადიშაჰს ესტუმრა უცხო სახელმწიფოს მეფე დიდის ამალითა და ძღვენით. თამარ ყიზილ ფადიშაჰი ღირსეულად შეხვდა, გაიმართა ზეიმი და სამ დღეს ილხინეს; მეოთხე დღეს სანადიროდ წავიდნენ, მაგრამ ტარიელ ბეგის ნასროლ ისარს ნადირი არ გადაურჩა. ამ დროს მოისმა მონადირეების ყვირილი და განგაში. მათ დაინახეს მათკენ მომავალი ლომები და ვეფხვი. მათი ყვირილი ციხის გრგვინვას მოგაგონებდათ, პირდაღებული ვეფხვი კი კატასავით მიიპარებოდა. ტარიელ ბეგმა დაინახა რა მხეცები, მყისვე მათკენ გაექანა და შეიქმნა ომი. ტარიელმა სძლია ლომებს და ვეფხვს შეუტია; მაგრამ შეშინებულმა ვეფხვმა მოჰკურცხლა. დაედევნა ტარიელ – ბეგი.

ამასობაში დაღამდა, სამარისებურ სიბნელემ მოიცვა ბუნება. მონადირეები ელვის განათებით იკვლევდნენ გზას; სწუხდნენ ტარიელ – ბეგის გაჭრას ტყეში, ეშინოდათ რაიმე ხიფათი არ შეჰყროდა; უნდოდათ დახმარების აღმოჩენა, მაგრამ გზა – კვალს ველარ იკვლევდნენ. ტყეში მეხი გრგვინავდა, ამტვრევდა ხეებს; კვნესოდა ტყე, ზანზარებდა მიდამო. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. დადგა ნიაღვარის ტბა. თამარ ყიზილ ფადიშაჰი და მზე – ქალა ერთად ისხდნენ, ბაასობდნენ, ელოდნენ ტარიელ – ბეგს. მათი გული ნალველმა მოიცვა.

შუალამე გადასულიყო. **თამარ ყიზილ ფადიშაჰი და მზე – ქალა** მოსვენებას მიეცნენ. დალილ – დაქანცულებს ძილი მოერიათ. **ქაჯთა მეფე გამოდვრა პალაკაციოს ტბის ქვეშ გვირაბიდან.** იგი ჯადოსანი იყო. იცოდა ტარიელ ბეგის ტყეში გაჭრა. მოფრინდა თამარ ყიზილ ფადიშაჰის სასახლეში. აქაც სამარისებური სიჩუმე იყო. სეფე ქალებსაც დასძინებოდათ. აფრინდა ქაჯთა მეფე, შეაღო სარკმელი, შევიდა თამარ ყიზილ ფადიშაჰის სახლში. ქაჯთა მეფემ ფრთხილად მოხვია ხელი მზე – ქალას, აიყვანა, ჩაიხუტა გულში და რადგანაც ადამიანის ტომს წყლის ქვეშ გვირაბში ცხოვრება არ შეეძლო, ჩაფრინდა ციხეში და მზე – ქალი ფადიშაჰის სასახლის სარეცელზე დააწვინა და თვითონ ჩაჰკეტა შიგნიდან კარები და ზედ დარაჯები დააყენა.

ამ დროს გამოედვიდა მზე – ქალას და რა ნახა თავისი თავი ქაჯთა მეფესთან, მორთო მოთქმით ტირილი და ძახილი. იგი ტარიელ ბეგს მოუწოდებდა. – ტარიელ ბეგ! ტარიელ ბეგ! მოდი, მიშველე! ქაჯთა მეფემ მომიტაცა და დამიხსენიო, მაგრამ ამაოდ. ციხე ისე მტკიცედ იყო გაკეთებული, რომ გარეთ ადამიანთა ხმა არ გამოდიოდა.

გათენდა. გამოედვიდა თამარ ყიზილ ფადიშაჰს, გადახედა მზე – ქალას სარეცელს და მზე – ქალი რომ ვერ იხილა, ელდა ეცა. მოუხმო სეფე ქალებს, მაგრამ ამაოდ; არავინ იცოდა მზე – ქალას დაკარგვის ამბავი. მისი ამბავი რომ ველარ გაიგო, შეწუხდა ფადიშაჰი; აფრინა მდევარი სოფ. **ჭალაში**, ტბის ქვეშა გვირაბში. იცოდნენ, რომ აქ ცხოვრობდა ქაჯთა მეფე და იგი მოიტაცებდა მზე – ქალას. მაგრამ ამაოდ, მნახველიც კი ვერავინ ნახეს. ამ დროს ტარიელ ბეგიც მოვიდა. მას ვეფხვი მოეკლა და ტყავი თამარ ყიზილ ფადიშაჰისათვის მოჰქონდა. სეფე ქალებმა მოახსენეს **თამარ-ყიზილ ფადიშაჰს**. შემოვიდა ტარიელ ბეგიც, მოიყარა მუხლები თამარ ყიზილ ფადიშაჰის წინ, თაყვანი სცა. მიართვა ვეფხვის ტყავი და მოახსენა:

– დიდებულო ფადიშაჰ! მთლად გამარჯვებული იყავი შენი სამწყსოს სიბედნიერით! – მაგრამ ტარიელ ბეგმა ფადიშაჰს რომ თვალეზე ცრემლი შეამჩნია, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. კვლავ თაყვანი სცა ფადიშაჰს და გაიჭრა ველად მზე – ქალას სამებნელად. მას თან გაჰყვა **ასმათი**. ტარიელმა და ასმათმა მალაროს ქვემოთა დიდ მღვიმეში მოიკალათეს. ტარიელ ბეგი მტირალი დადიოდა ველში სანადიროდ, ჰკლავდა შველს, მოჰქონდა მალაროში და ასმათი ცვრიან მწვადებს ამზადებდა და ორივე მტირალნი შეექცეოდნენ მწვადს.

თამარ ყიზილ ფადიშაჰზე ცუდი გავლენა იქონია მზე – ქალას მოტაცებამ და ტარიელ ბეგის გაქრამ ველად. დაიბარა თავისი ვაჟიშვილი და დაუწყო დარიგება: – მე, შვილო, უკვე ოცი წელი ვემსახურე სამწყსოს, დავთრგუნე მტრები, ორგულნი გავაერთოვლე. არაბთა, სპარსთა და თურქთა ხარკი დავადევი. გავამდიდრე ქვეყანა, ავაყვავე სწავლა – განათლებით ხალხი. ავაგე ეკლესიები, მოვფინე სარწმუნოება მაჰმადისა (უნდა იყოს ქრისტესი), შევუქმენი ხანა ოქროსი ჩემს ერს. დღეს მძლავრია სამწყსო ჩემი. მე უკვე მოვიქანცე. ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე ერის წინაშე და ახლა მინდა შევუდგე სულზე ზრუნვას, მოვიწინაო ნებსითი თუ უნებური ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვები. ამიტომ მე მინდა აღვიკვეცო მონასტერში მონაზნათ და შევავედრო ჩემი საყვარელი სამწყსო ზეცას. აწ მიიღე, შვილო, სამწყსო ესე, იგი წილხვედრია ალახის, გაუძეხ მას, მტკიცედ დაადექ ჩემს მიერ გაკაფულ გზას. ყოველი პირადი შენი ინტერესები უკუ აგდე და შეუდექი სამწყსოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას. ნუ გახდები გულუბრყვილო ვითა ბავშვი, ნუ ენდობი სხვათა ლამაზ სიტყვებს, რადგანაც სიტყვაში მაცდურობაა. ყველა შენი ხელქვეითთა მოქმედება ასწონ – დასწონე, დაუფიქრდი ღრმად, გაეცანი მისი სულის ვითარებას, მის ფარულ აზრებს და თუ ნახო მასში ერთგულება, ნუ განიშორებ. იყავი მხნე და მედგარი, ვითა ლომი; ღვთის მოშიში, მცოდნე კეთილისა, შემბრალეული ქვრივ – ობლებისა და დავრდომილთა; უხვად გასცემდე მოწყალებას. ნულარ დაინდობთ მოღალატეთა და ბოროტ მოყმეთ; არ მიეცე ვნებას, რათა ალაჰმა არ წარსწყმინდოს სამწყსო შენი. გახსოვდეს, რომ შენ ხარ პასუხისმგებელი ღვთისა და ხალხის წინაშე ყოველ შენსა და შენი ხელქვეითთა მოქმედებაში, გახსოვდეს, რომ ერის ბედი და უბედობა შენს ხელშია. ასე დაარიგა შვილი **თამარ ყიზილ ფადიშაჰმა**. აკურთხა, მოიხადა თავიდან სამეფო გვირგვინი და დაადგა შვილს თავზე. მერე ილოცა, შვილსაც ალოცვინა, გამოესალმა სამწყსოს და წარვიდა მეჩეთათ და შეუდგა ალლახს.

– ალლახ, ალლახ, შეგცოდე და მიიღე სული ჩემიო. – შეევედრა ბოლოს **თამარ ყიზილ ფადიშაჰი**.

ღმერთმა ისმინა მისი ლოცვა, გამოუგზავნა ანგელოსთა თანხლებით მაჰომედი, **ალიყვანა ცოცხლად ზეცაში და ჩვენ კი მის საფლავს აქ ვეძებთ**. ტარიელ ბეგი კი ამ დროს დადიოდა მტირალი და ეძებდა მის **მზე – ქალას**. გაიგეს რა ტარიელ ბეგის ამხანაგებმა – ავთანდილ ბეგმა და ფრიდონ ფადიშაჰმა, გადასწყვიტეს წასულიყვნენ ტარიელ ბეგთან და მომზადებული იყვნენ ქაჯებთან საომრად. ავთანდილ ბეგი ამ დროს, გმირობასთან ერთად, გულთმისანიც იყო. ფრიდონი ფადიშაჰი კი გმირი და მპყრობელი უამრავ ჯართა. მას შეეძლო ქაჯთა წინააღმდეგ დიდძალი ჯარის გამოყვანა. ავთანდილმა იფიქრა, იაზროვნა და დიდი ძეზნის შემდეგ მიაგნო, გაიგო ყოველივე მზე – ქალას დაწვრილებითი ამბავი და წამოვიდნენ ტარიელ – ბეგთან.

ამ დროს ტარიელ ბეგი ლომებზე ნადირობდა, რომ სოფ. **სარძევეში** დაინახა შავი მდევი მიდგომია აუზს, რომელშიაც ზევითა აუზიდან რძე ჩამოდიოდა. ტარიელ ბეგი განრისხდა, ვერ მოითმინა უსამართლობა მდევისა ხალხის მიმართ და მყისვე გაეშურა მდევისაკენ საბრძოლველად. მდევი შეკრთა, გაქცევა დააპირა, მაგრამ უკვე გვიან იყო და ისიც საომრად მოემზადა. შეიზნენ ტარიელ ბეგი და მდევი. მათი ლახტის ცემით მთები ზანზარებდნენ. გახარებული გლეხები სოფელ **ჭინჭროფში** აუზთან იდგნენ და ტარიელ ბეგის სიცოცხლეს ღმერთს ავედრებდნენ.

კარგა ხანი ბრძოლის შემდეგ ტარიელ ბეგმა ჩააგო ლახტი ბუდეში და ხელდახელ შეეჭიდა მდევს. დიდხანს იბრძოლეს. ბოლოს ტარიელ ბეგმა გადმოიღო მდევი მხარულზე, დასცა მიწაზე და გული ხანჯლით გაუგმირა. და ის იყო გაეკიდა მის მიერ დაკოდილ ვეფხვს, რომელიც იქვე მტკვრის პირად იდგა და ილოკავდა ჭრილობას, რომ ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი ურიცხვის ჯარით თავს წაადგნენ. ტარიელ ბეგმა იცნო მეგობრები და სიხარულით აღივსო.

ავთანდილ ბეგმა გადასცა ტარიელ ბეგს მზე – ქალას მიერ გამოგზავნილი წერილი, ტარიელ ბეგს გაუხარდა. გახსნა წერილი და რომ წაიკითხა, მეტის სიხარულისაგან გული შეუღონდა. რომ მოასულიერეს, ტარიელ ბეგმა უჩვენა მეგობრებს მოკლული მღვვი და სოფელი მღვვის საჭურჭლე-საკენ წაიყვანა.

გახსნეს ზანდუკი, ამოალაგეს უამრავი ოქრო, ვერცხლი, თვალ – მარგალიტი და აღმასის ხმლები, ჩაიცვეს ფოლადის აბჯრები და გაუდგნენ მზე – ქალას ციხისაკენ საბრძოლველად. შევიდნენ გვირაბში და რომ ციხეში შესავალი კარი ველარ ნახეს, ტარიელ ბეგმა ჰკრა წიხლი ციხის კედელს და შეამტვრია. შეიქმნა საშინელი ომი. ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი, ვით კაკაბთა გუნდს შევარდენი, მუსრს ავლებდა ქაჯთა ჯარს. ამ დროს ტარიელ ბეგი ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებდა მტერთან, ერთი ქაჯის შეტყორცნით ასა ხოცავდა. ჯარი დაფრთხა, ველარ გაუძლო ტარიელ ბეგის მკლავთა ღონეს და აცნობეს ქაჯთა მეფეს, რომ მოშველებოდა ჯარით. ქაჯთა მეფე შეშინდა, მთელი ჯარი შეუსია ტარიელ ბეგს, მაგრამ ამაოდ. ქაჯთა ჯარი ამოსწყვიტეს და შეიჭრენ ციხეში. აქაც გაიმართა ომი. ქაჯთა ჯარი აქაც დამარცხდა და მყისვე ჩაიკეტა კარი ციხის მთავარ სიმაგრეში. ტარიელ ბეგმა აქაც ჰკრა წიხლი ციხის კედელს და შეანგრია, შევიდა და ქაჯებს მუსრი გაავლო. შეშინებული ქაჯები ციხის მესამე სიმაგრეში მოექცნენ.

დიდი სისხლი დაიღვარა ქაჯთა; სადაც მივიდოდა ტარიელ ბეგი, იქ მყისვე დახოცილ ქაჯთა მთები დგებოდა. ასე იბრძოდნენ ავთანდილ ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი.

გაიგო რა მზე – ქალამ ტარიელისა, ავთანდილისა, ფრიდონის მოსვლა, გამარჯვება ქაჯებზე, მოესმა მათი გმირული ყიჟინის ხმაც და შეშინებული ქაჯთა განგაში. დაიწყო გმირების გასამხნეველად სიმღერა. მოესმა რა ტარიელ ბეგს მზე – ქალა – ნესტან – დარეჯანის სირინოზივით გულის მომაჯადოებელი სიმღერის ხმა, ძალა ერთი ათასად გაუორკვედა. ველარ გაუძლო ტარიელის გონებამ მზე – ქალას ხმის სიხარულს. მიანება აქ ციხეში ომს თავი, შემოუარა ციხის კედელს, ჰკრა წიხლი და როს შეამტვრია, გაექანა მზე – ქალასაკენ.

ამ დროს შიშით შეძრწუნებული ქაჯთა მეფე მივარდა მზექალას და ის იყო ყელი უნდა გამოეჭრა მზე – ქალისათვის, მაგრამ მოსწრო ტარიელ – ბეგმა. შეშინებული ქაჯთა მეფე აფრინდა და ას მთას იქით გადაიკარგა. მზე – ქალა კი წამოდგა ფეხზე, გამოექანა ტარიელ ბეგისაკენ და სრულის სიყვარულის გრძნობით ჩაეკრა გულში ტარიელ ბეგს.

ამ დროს ავთანდილ – ბეგი და ფრიდონ ფადიშაჰი ხოცავდნენ მტერთა ჯარებს და ხმალთა ქნევით დაეძებდნენ ტარიელ ბეგს და რომ დაინახეს ორი მიჯნური ერთმანეთს გადახვეული, მიულოცეს მათ გამარჯვება.

მოსპეს ქაჯთა ჯარი, გაწმინდეს არე – მარე მათი სიბილწისაგან; დატვირთეს ჯორ – აქლემები ქაჯთა უთვალავ სიმდიდრით და თავიანთ გმირი ჯარის თანხლებით წამოვიდნენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰთან**, რომ მიელოცნათ, გაეხარებინათ მისი გული; მაგრამ რა გაიგეს თამარ ყიზილ ფადიშაჰი უკვე აღარ არის, **აღლახმა იგი მისი თხოვნით აიყვანა ცოცხალი ცაში**, სცნეს თავიანთი თავი დამნაშავეთ. დაიწყეს ტირილი და გლოვა, იხოკავდნენ ღაწვებს. გამოეთხოვნენ ავთანდილ ბეგსა და ფრიდონ ფადიშაჰს, რომ მარტონი დარჩენილიყვნენ ტარიელ ბეგი და მზე – ქალა; გადაკოცნეს ძვირფასი მეგობრები და გლოვად დასხდნენ. იგლოვეს, იგლოვეს და ბოლოს, როგორც დამნაშავენი ყიზილ ფადიშაჰის ამ წუთისოფელს გამოსალმებისა, შეჭვიცეს ერთმანეთს და – ძმობა და დასდეს პირობა, რომ მთელ მათს სიცოცხლეში, ჩამოსულიყვნენ ყოველწლიურად ერთხელ და ელოცნათ, ეგლოვათ **თამარყიზილ ფადიშაჰი**. ეკოცნათ მისი ნაკვალევი მიწა და დილას, გათენების ჟამს, ადამიანთა თვალთაგან დაუნახველები წასულიყვნენ.

ამიტომ ალლახმა ისინი უკვდავყო და მას მერმე ყოველ წელს ღამე, 30 აპრილს, მოდიან, ტირიან, ლოცულობენ და პირველ მაისს, რიჟრაჟის დროს, ტარიელ ბეგი მაღალის ხმით მტირალი შესძახებს **თამარიცილი ფადი შაჰს** ცოდვების პატიებას და მის ნაკვალევზე პირდამხოვლი ჰკოცნის მიწას. როდესაც ტარიელ ბეგი ადგება, **მზე – ქალა დაიჩოქებს**, აიხდის პირბადეს, რომ ემთხვიოს თამარ ყიზილ ფადი შაჰის ნაკვალევ მიწას. ამ დროს ერთბაშად დაირღვევა სიბნელის ზეწარი და ვით დღე, არემარე განათდება. ისინიც მყისვე უჩინარ იქნებიან. და აი, ამის შემდეგ ამ ჩვენს რაბათის ციხეს დაარქვა ხალხმა **მზე – ქალას** ციხე.

ასე დაასრულა სიტყვა იბრაგიმ ბეგმა.

დილას გამოვემშვიდობე იბრაჰიმ ბეგს და დაბა **ზურზუნასაკენ** გავემურე. დაბა ზურზუნა ჩალდირის საუფროსო ნაწილის ქალაქია და მდებარეობს პალაკაციოს ტბის აქეთ ორი ვერსის დაშორებით, **თამარისეულ დიდ გზატკეცილზე**, რომელიც ერზრუმიდან მოდის ახალქალაქ-ბორჯომ-ტფილისში. ეს დაბა, როგორც ქ. არტანანი, კულტურულადაა ამენებული **ქართველ მაჰმადიანების მიერ**. მაგრამ 1914 წლის ბოლო თვეებში, იმპერიალისტური ომის გამოცხადების დროს, როგორც მიაბნეს **ქართველმა მაჰმადიანებმა**: მეფის ოფიცრები დარევიათ უდანაშაულო და მშვიდობიან მცხოვრებთ, ზოგი დაუხოცნიათ, ჩამოურთმევიათ სახლები მთელის ქონებით და ზოგში თვითონ ჩასახლებულან. მას შემდეგ არც ერთი ქართველი მაჰმადიანი დაბა ზურზუნაში აღარ ცხოვრობს.

დაბა ზურზუნადან გადავედი სოფ. **ყორე – ველში**. 1878 წლის შემდეგ აქ **ყარა – ფაფახები** ცხოვრობდნენ, წინათ კი **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ. მაგრამ ხსენებულ წლის ომის დროს რუსის მეფის სარდლობას **ზოგი დაუხოცია და დანარჩენები, როგორც სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები, ციმბირში გადაუსახლებიათ**.

აქ სოფლის გარეთ, ერთი საშუალო ზომის ეკლესიის კედლები – ღა დგას და ისიც პერანგის ქვებისაგან გაცლილი.

აქედან პალაკაციოს ტბის ახლოს სოფ. **ფრუთია**. ეს ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ნისლიან წვიმას**. მართლაც, აქ ხშირად სცოდნია ნისლიანი წვიმა, როდესაც მოიღრუბლება და წვიმას დაიწყებს, ნისლი ისე დაბლა ჩამოწვება, რომ ერთი საჟენის იქით კაცი კაცს ვეღარ ხედავს.

სოფ. ფრუთში 29 კომლი ანუ 400 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. აქედან სოფ. **ურთაში** ანუ **ორ მთაში** გადავედი. ეს სოფელი, მართლაც, ორ მთას შუა დგას. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ეკლესიის ნანგრევი.

შემდეგ სოფ. **მერემდისია**. **მერემდის** ქართული სიტყვაა. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის შუა ეკლესიის ნანგრევი. აქედან პალაკაციოს ტბის ნაპირით, თამარისეული გზატკეცილით, რომელიც გადადის შავშეთ – ერუშეთში, მივედი სოფ. **ფიქრაშენში**.

**ფიქრაშენიც** ქართული სიტყვაა. აქ მარტო 8 კომლი ანუ 70 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. დანარჩენი **ყარაფაფახებია**. ეს სოფელი დევს 60 – 80 საჟენის მოშორებით ფიქრაშენიდან, დაშორებით ტბაზე. მას შუაზე სჭრის **თამარისეული შარაგზა**. აქ, მცხეთის დედათა მონასტერზე ცოტათი უფრო დიდი, ეკლესიაა. ეკლესია ძვირფასის ქვებისაგან **ლამაზი ხუროთმოძღვრული ხელოვნებით** არის ნაგები. მას **ლამაზი ჩუქურთმები ამშვენებს**. ეს ეკლესია თავისი **ლამაზი და დიდებული გუმბათითურთ მთელია**. დაზიანებული აქვს მხოლოდ კედლები. როგორც მითხრეს, ეს ეკლესია სრულიად ხელუხლებელი და მთელი ყოფილა ამ 35-40 წლის წინეთ; მაგრამ ფიქრაშენის ვიღაც მდიდარ ადას, სოფლის გავლენიან ყარაფაფახს, დაუსაკუთრებია ეს ეკლესია; გამოუმტვრევია კედელი გზატკეცილის პირზე ეკლესიის კარიდან ორ ადგილზე. შიგ ეკლესიაში ორსართულიანი 6 ოთახიანი დიდი სახლი ჩაუდგამს თავისი სამხარეულოთი, ბოსლით და ფეხისადგილით.

1914 წელს, იმპერიალისტურ ომამდე, თივის ზვინს ცეცხლი გაჩენია. მართალია, ცეცხლი ჩაუქრიათ, მაგრამ **აღს ეკლესიის მხატვრობა გაუშავებია** ზოგან. სადაც მხატვრობას ცეცხლის ალი მოსდებია, საღებავი აზურთულა და სურათებს თავისი სახე დაუკარგავს. ეკლესია, ეტყობა, რომ შვიდ საკურთხეველიანი ყოფილა; მაგრამ აღას ეკლესიისათვის რომ მიეცა დიდი დარბაზის სახე, საკურთხეველთან სამი – ოთხი საჟენის სიმაღლე კედლები გამოუნგრევია და გაუერთიანებია, ხოლო ზევითა კედლის თავები ქვეშ ჩამოკიდებულივითაა დარჩენილი. ტრაპეზის მარმარილოს ქვები იქვე გდია, ზოგი ნაჯახით და რკინებით დაჩლუნგული და ზოგჯერ ჩამოტეხილები (იხ. ჩემი მოხსენება 1917 წ. გაზეთ „საქართველო“-ს 24,25, 20, 27 და 28 იანვრის ნომრებში „**არტანის ქართველი მაჰმადიანები**“-ს სათაურით **კ. ოდიშარია**).

ეკლესიის ძვირფასი მარმარილოს კარნიზები, **უძვირფასესი ჩუქურთმით შემკული**, ჩამოუგდიათ და იქვე ყრია, ზოგი დამტვრეული და ზოგიც დატეხილ – დამსხვრეული. ეკლესიის წინა კარის ზემოთ **წარწერიანი მარმარილოს დიდი ქვა** ჩამოუგდიათ და ქვეშ ორად გატეხილი იქვე გდია, კაცისა და პირუტყვის სიბინძურეში ამოსვრილი. თვით წარწერის ასოები ისეა დაჩეხილი და ამომტვრეული, რომ ფორმა ასოებისა ეტყობა, მაგრამ ამოკითხვა ვერ შევძელი. **წარწერიანი ერთი მოზრდილი მარმარილოს ქვა** აღას შუა ცეცხლის ბუკად დაუდგამს და ცეცხლის სიმხურვალეს გაუშავებია და დაუჟანგია. **მესამე წარწერიანი მარმარილოს ქვა** ბუხარში მოუყოლებია და წარწერები კირით ამოუვსია და ამოკითხვა არ შეიძლება. ეკლესიას 3 – 4 – 5 საჟენის ზევით **წარწერები** აქვს, მაგრამ აღამ კიბე არ მათხოვა და უკიბოდ ვეღარ ამოვიკითხე. **ეს ეკლესია ბანას, ოშკის, ხახულის და მცხეთის ხელოვნების ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო მისი მხატვრობა ამ ეკლესიებზე უფრო ლამაზია, მკაფიოდ გამომზირალი და ცოცხალი.**

მარჯვნივ, ტბის გასწვრივ, წასულმა, შუა გზაზე, სოფ. **ფიქრაშენ – გურაშენს** შუა, ტბის პირად ქვის კედელზე, ტბიდან ამომავალი გვირაბის თავი შევნიშნე, მაგრამ არ ვიცი, საიდან მოდის და ან ვის, რისთვის ჩაუყვანია ამ ტბაში ეს გვირაბი.

**გურაშენი** ქართული სიტყვაა. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ორი ეკლესიის ნანგრევი. აქედან 6 ვერსის იქით, ყარსის მიმართულებით, მე – 7 ვერსზე სოფ. **ტაშბაშია**, რაც ნიშნავს **ქვის თავს**. ეს სახელწოდება ზედმიწევნით შეჰფერის სოფელს. მართლაც, სოფელი ქვის თავზე დგას და ზევიდან ქვეშ ტბას დაჰყურებს. ეს ტბა თანდათან ვიწროვდება და 6 ვერსის შემდეგ მისი სიგანე 18,5 ვერსისა 30 – 40 საჟენზე დგება. აქ, გადმოცემით, **თამარ მეფეს** ტბაზე დიდებული ხიდი გაუდგამს, ხიდი ცოტათი კუზიან ხიდს წააგავს. ალბათ, ხანდაზმულობის გამო კუზი ჩატეხია ერთი საჟენის სიგრძეზე.

სოფ. **ტაშბაშიდან** სოფ. **ტაშქოფრში** მივედი. **ტაშქოფრი** ქართულად ნიშნავს **ქვის ხიდს**. ალბათ, ამ სოფელს ქვის ხიდი ერქვა. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის უკან პატარა ეკლესიის ნამტვრევია. იქვე სხვა ნანგრევებიც არის, მაგრამ ვერავინ მითხრა, რის ნანგრევებია.

აქ პალაკაციოს ტბა თავდება. მისი ყელის სიფართოე 2,5 საჟენია. აქ გზაზე ვიღაცას, ტბის ხიდის მაგიერ, სამი საჟენის სიგრძე და 1 ადლის სიფართოე ქვა ხიდად დაუდგამს. ქვას ზედ **წარწერა აქვს**. მაგრამ ვერ ამოვიკითხე. მისი ასოები უფრო დაწყობილ **ლურსმანსა** ჰგავს. ჩემის ფიქრით, **ეს წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მე – 8 ან მე – 9 საუკუნეს ქრისტეს წინ**.

აქედან მაღლა გორაზე გზა გადადის სოფ. **ქამარვანისაკენ**. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქ სოფლის გარეთ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან გზას აღმოსავლეთის მხრით მოვექეცი და რამდენიმე ვერსის შემდეგ სოფ. **ირიშლში** მივედი. **ირიშლი** ქართული სიტყვაა. ეს დიდი სოფელი ზედ ტბის პირზეა გაშლილი და აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის გასავალთან ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან ტბის გასწვრივ გავყევი და მე – 7 ვერსზე სოფ. **ყიზილვერში** მოვედი. ეს სახელი თათრულია და ქართულად ნიშნავს „**ოქრო მომეც**“. ამბობენ, ამ ტბაში მბრწყინავი მსხვილი ქვიშა არის და ღელვის დროს წყალი ხშირად ნაპირზე გადმოყრის ხოლმეო. ეს ქვიშა ჩვეულებრივ ქვიშაზე უფრო მძიმეა წონით. შეიძლება ოქროს ქვიშა იყოს. აქ მეთევზეები ნავებით შედიან და კალმახებს იჭერენ. აქ დიდი სიგრძის კალმახები გვხვდება ხოლმე. **აქაური კალმახი საუკეთესო ხარისხის კალმახად ითვლება ამიერკავკასიაში**. აქ მოდიან ვაჭრები **ყარსიდან, ბაქოდან, ტფილისიდან**, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და ვაგონებით ყიდულობენ. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან, 15 ვერსის მანძილზე გავიარე დაბა **ზურზუნის** მიმართულებით. გზა აქ ხან ტბის პირად მიდის და ხან მთის მწვერვალთ. მივედი სოფ. **ჭალაში**. ეს სოფელი ზედ ტბის პირად, ნახევარ ვერსის ფართობზეა გაშლილი და ზედ მთა დაჰყურებს. სოფელი, შედარებით სხვა სოფლებთან, დიდია და ლამაზი. სოფლის პირზე, ტბის პირად ერთი დიდი და უაღრესად **მაღალი ხუროთმოძღვრული ხელოვნების უგუმბათო ეკლესიაა, რომლის სილამაზე და სუფთად გათლილ თეთრ ქვაზე ფაქზად ამოჭრილი ჩუქურთმები აოცებს მნახველს**. მისი დიდრონი, მარმარილოს მსგავსი, თეთრი და სუფთად გამალაშინებული ქვის ფიგურები, მშვენიერი გრეხილები და სხვა უმაღლესი ხელოვნების ნიმუშები მნიშვნელოვან ძეგლად ხდის ამ ნაგებობას. ჭალის ეკლესიას შესავალ კარს ზევით, კედელში, ჩაყოლებული აქვს 1,2X1 კვ. ადლის სიდიდის წმინდა **მარმარილოს ქვა ხუცურის წარწერით**. ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკლესია მეჩეთად გამოუყენებიათ. ეკლესიის სახურავი დაუზიანებელია. მუხის უძველესი კარებიც, თავისი ურდულებითა და ძველებური გრძელი გასაღებით, მშვენივრად და დაუზიანებლად არის შენახული.

ეკლესიიდან გზა სულ 150 საჟენითაა დაშორებული. ტბის პირი ხუთ საჟენამდე ძალიან თხელია და შიგნით თეთრი და მოყვითალო კენჭები ისე მოჩანს, როგორც სარკვეში. აქ პატარა – პატარა **კალმახები მზის სხივებზე ციბრუტივით თამაშობენ**. 5 საჟენის შემდეგ ტბა თანდათან ღრმავდება და თეთრი ფერის მაგიერ რუხ ფერს იღებს. ნახევარი ვერსის იქით ტბაში კუნძულია, დაახლოვებით 150 კვ. საჟენის ფართობისა, და ზედ კოშკის ნანგრევია. კუნძულის სიმაღლე ტბაზე ერთის მტკაველით მაღლაა და მიუხედავად იმისა, რომ ტბაში ქარის დროს შავი ზღვისებური ღელვა იცის და ნაპირზე ათ საჟენზე ისვრის ხოლმე ზვირთებს, კუნძულზე წყალი არ შედის.

შუა ღღის 12 საათი იყო, ძლიერი ქარი ჰქროდა. ნახევრად მოღრუბლული ცა ერთბაშად დაბნელდა, გაიელვა, დასჭექა და წვიმამ ცრა დაიწყო. აბობოქრებულმა ტბის ტალღებმა იქვე ნაპირზე მიბმული ნავი ნაფოტივით აათამაშა. ღელვა თანდათან მატულობდა და ნავებიც აქეთ – იქეთ ეხეთქებოდნენ.

– მამედ – ალა, მიმიყვანე კუნძულზე, – მივმართე ადგილობრივ მცხოვრებ მამედ – ალას, რომელიც გაცნობისთანავე დამიმეგობრდა. მე მას ჯილდოს დავპირდი.

– მეშინია ტალღებმა ნავი არ გადამიბრუნოს, მით უმეტეს ტბა კუნძულთან 8 – 10 საჟენის სიღრმეა, – მითხრა მან, მაგრამ მე არ ვეშვებოდი.

მამედ ალამ ხათრი არ გამიტეხა, დაუმახა ორ ამხანაგს, – ნავი უნდა დავამძიმოთ და მოდითო. ჩვენც კუნძულისაკენ გავსწიეთ. მათ უკვირდათ ჩემი გამბედაობა. სჯეროდათ, რომ ტბის ძირზე ქაჯები ცხოვრობენ და თანაც ხომ ქაჯები ასეთ ამინდში ამოდიან ხოლმე ზევით, ნადირობენ ქალებზე და ბავშვებზე.

ის იყო შევცურდით ტბაში, რომ სახლებიდან სახეზე ჩადრაფარებული ქალები გამოვიდნენ და მე სიბრაღულით დამიწყეს ცქერა. ეტყობოდათ, რომ ვენანებოდით. ერთმა ქალმა თავი ვეღარ შეიკავა და ხელების ქნევით მანიშნა, რომ დავბრუნებულიყავი. მე მას მადლობის ნიშნად ქუდი მოვუხადე. სამივე მენავეები ნიჩბებს ღონივრად სცემდნენ, ხან იქეთ და ხან აქეთ აბრუნებდნენ,



რომ მოზავებული ტალღებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ნავი მაინც ნაფოტივით დახტოდა; ტალღა ხან მალლა აგვაგდებდა, ხან თითქო ქვესკნელისაკენ დაბლა ჩაგვიშვებდა.

ქალები ნაპირს მოუახლოვდნენ და ჩვენს დანახვაზე ტიროდნენ, ვენანებოდით, ხელებს გვიქნევდნენ, რომ მოვბრუნებულიყავით უკან. მენავები შეშინდნენ, ისინი ნახევარ საათს ებრძოდნენ ტალღებს და ბოლოს, როგორც იყო, ნავი კუნძულს მიადგა. მამედ ალა გადახტა კუნძულზე და მყისვე ნავი ბაწრით მიაბა; ჩვენც გადავხტით. ამ დროს წვიმამ კოკისპირულად დაუშინა. მე დავათვალიერე კუნძულის კოშკი. მისი წინა კედლის ნანგრევი – ღა დგას მხოლოდ. მიუხედავად ავდრისა, და იმისა, რომ გვირაბში შესავალი კარები ნამტვრევებით იყო სავსე, გვირაბში ჩავედი. მამედ ალამ ხელი მომკიდა და არ მიშვებდა. მაგრამ მე არ დავუჯერე და ჩავდიოდი. მემედ ალიმ ამხანაგებს უთხრა:

– ალბათ ეს კაცი ადამიანის სახით გამოცხადებული ქაჯია, დეე, იგი წავიდეს, ჩვენ კი ჩავსხდეთ ნავში და სახლისაკენ გავსწიოთო. ამხანაგები დაეთანხმნენ. მათ ეგონათ მე თათრული არ ვიცოდი. შემეშინდა არ დამტოვონ – მეთქი და მივუბრუნდი მენავებს:

– თუ ღმერთი გწამთ, მეგობრებო, ნულარ წახვალთ, დამიცადეთ, სანამ დაუბრუნდებოდეთ უკან – მეთქი და გავსწიე გვირაბში. ამ დროს მომესმა მემედ ალის ხმა:

– არა, არა, ძმებო, ნუ დავტოვებთ ჩვენს სტუმარს. მაშ, მოვუცადოთ, ძმებო!

მე გამეხარდა და უფრო თამამად დავიწყე ჩასვლა. გვირაბში ჩამავალ ქვის კიბის საფეხურები თეთრი, თლილი ქვისაა, ქვეშ თანდათან განიერდება. სანთელი ხშირად ჩაქრებოდა ხოლმე, გზა თანდათან მიბნელებოდა. 52 საფეხურის შემდეგ იატაკზე ფეხი დავადგი. აქ ზევიდან ჩამონაყარი ქვები ეყარა, სინათლე აღარ იყო, მაგრამ უკან რომ მოვიხედე, ყველაფერი ბუნდოვნად ჩანდა. კიბის საფეხურებს გარკვეულად ვხედავდი. ფეხებს წინ ფრთხილად ვდგამდი. მეშინოდა, სადმე უფსკრული არ ყოფილიყო და არ გადავარდნილიყავი. დარბაზი ძალზე სრული იყო. ასანთს რომ გაკვრავდი, ცოტა ხანს ალს გააჩენდა და მემრე ქრებოდა. ეტყობოდა რომ ჰაერი მძიმე იყო.

დიდხანს ვიხეტიალე. დასავლეთისაკენ გვირაბში სიოს რხევა შევნიშნე და მეც იქით გავყევი გზას. დავრწმუნდი, რომ ქვეშ ჩასავალია. მალე ჩასავალ კიბესაც მივაგენი. აქ კიბის საფეხურებზე ქვები მტვრად ქცულიყვნენ. მე, ოთხზე დამდგარი, ფეხით გზას ვიკვლევდი. თუ ვინიცობაა, კიბის საფეხურები ჩამტვრეული იქნებოდა, თავს შევიკავებდი, რომ არ გადავარდნილიყავი. აქ სანთელს აღარ ეკიდებოდა, ჰაერიც ძალზე მძიმე იყო. გულმა ცემას მოუხშირა, მაგრამ მე მაინც ქვევით მივემართებოდი. ძალიან მინდოდა, დამეველო ქვედა დარბაზიც. 92 საფეხურის შემდეგ იატაკზე ფეხი დავადგი, მაგრამ ფეხზე მაინც არ დავმდგარვარ, მეშინოდა, სადმე იატაკი ჩამტვრეული არ ყოფილიყო. ოთხზე დამდგარი, კედლების გაყოლებით, დავიარე დარბაზი.

კარგა ხანს ვიარე და მივადექი დასავლეთისაკენ ჩასავალ კიბეს, მაგრამ გულმა შემაშინა და ვეღარ ჩავედი. დავრწმუნდი რომ აქ ჩასავარდნი არსად იყო და ფეხზე დამდგარი, როგორც თვალხუჭობის მოთამაშე ბავშვი, ორივე ხელზე წინგაშვერილი, მივადგამდი ფეხებს. სამასი ნაბიჯის შემდეგ დავეჯახე სვეტებს; შევჩერდი, დავუწყე ხელებით სინჯვა. სვეტი სამი იყო, სამივე მსხვილი. თითოეულ სვეტს სამი კაცი ძლივსლა შემოარტყამდა ხელებს. ისინი სუფთა თლილი ქვებისა იყო. მინდოდა სიმაღლე გამეგო, მაგრამ ხელი ვეღარ ვუწვდინე.

აქედან აღმოსავლეთისკენ რომ გავიხედე, სინათლის ვიწრო სხივები თვალეში გამეყარა. ალბათ, ზევიდან კიბეებზე ჩამომავალი სინათლის სხივი იყო და მეც ხელებ გაშვერით მიყევი იმას. კიდევ სამას ცხრა ნაბიჯი და კიბის საფეხურს ფეხი დავადგი. აქ კი გაბედვით ამოვედი ზევით. დარბაზს სინათლე ანათებდა. კიბეს მოახლოვებული ვარჩევდი ფერებსა და საგნებს.

დარბაზი მაღალია. მისი ჭერი დიდს ვეებერთელა გუმბათს წარმოადგენს. კედელი სუფთა, ნათალი ქვებით იყო ნაშენი, მისი ფართობი ქვეითურზე უფრო პატარა იყო. ქვეშ კიბის საფეხურის ქვები სამი საჟენის სიგრძე იყო. ზევით თანდათან ვიწროვდებოდა, სიგანე ნახევარი ადლისა. ზევით რომ მივდიოდი, სინათლე თვალებსა მჭრიდა. ზევით რომ ამოვედი, ორი – სამი წუთი თვალები ვეღარ გავახილე.

მენავებმა რომ დამინახეს, გაუხარდათ. ჩამსვეს ნავში და წამოვედით. წვიმა მაგრად გვირტყამდა. ტალღებიც მოსვენებას აღარ გვაძლევდა, ნავს ნაფოტივით ისროდა ხან წინ, ხან უკან და ხანაც გვერდზე. შიშმა შემიპყრო; მე თვალები ამიჭრელდა, თავბრუ დამესხა და ის იყო უნდა გადავვარდნილიყავი, რომ მამედ ალიმ ნიჩაბს ხელი გაუშვა და მე მომეშველა; დანარჩენი ორი მენავე ისე მძლავრად იქნევდნენ ნიჩბებს, რომ სახეზე ოფლი ასკდებოდათ. ნახევარ საათზე მეტი ვიხეტიალეთ ტბაში. ნაპირზე მდგარნი გვიძახოდნენ და გვამხნევებდნენ. რამდენსაც წინ მივდიოდით, იმაზე უფრო მეტ მანძილს ტალღა უკან გვიტაცებდა. ჰა, გვეშველა, მივადექით ნაპირს და ის იყო უკან დაბრუნებულ ტალღას უნდა მოვეტაცეთ, რომ ერთმა მენავემ ნიჩაბს ხელი გაუშვა და ხალხს ბაწარი გადაუგდო. ხალხმა ტალღას მოასწრო, სტაცა ბაწარს ხელი და ნავი ხმელეთისკენ მიიზიდა. ჩამოვხტით ნავიდან. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. ჩვენ თავიდან ფეხებამდე სველი ვიყავით და ნაცვლად იმისა, რომ სახლში წავეყვანეთ, ყველა თითოეულად მოდიოდა ჩემთან, მართმევდა ხელს და მილოცავდა მშვიდობით გადარჩენას. წარმოიდგინეთ, წინააღმდეგ მათი ჩვეულებისა, ქალებიც კი მოდიოდნენ ჩემთან და ხელის ჩამორთმევით მილოცავდნენ გადარჩენას.

ბოლოს ხალხმა აღას სახლში წამიყვანა; დაანთეს ბუხარში ცეცხლი და ბუხრის წინ დიდ მუთაქაზე დამსვეს. აღა გვერდით მომიჯდა, გლეხები, რიცხვით ასამდე, კედლებს მიუსხდნენ და დრო გამოშვებით გვირაბში ვითომდა გამეფებულ ქაჯების შესახებ ბაასობდნენ. უკვე საათის ხუთი იყო, მე ტანისამოსი შემაშრა, ფეხზე წამოვდექი, რომ წამოვსულიყავი. მაგრამ აღამ ხელი მომკიდა და აღარ გამიშვა.

– ეფენდი, ეგ ჩემი ოჯახის გალანძღვაა. უკვე გვიანია, სოფელი აქედან მე – 18 ვერსზეა, გზაც მთა – ღრუბლიანი გექნებათ სავალი. ღამე იქ წასვლას ვეღარ შესძლებ. ხვალ წვიმაც გადაიღებს და წაბრძანდებით.

მე დავთანხმდი და დავჯექი. ამ დროს შუა კარი გაიღო და აღას სამმა შვილმა სინებზე დაწყობილი თევზებით ცხვრის ხორცი, ფლავი, ჯოხებზე შემწვარი დიდრონი კალმახები, ქათმის ხორცი, კარაქი, თაფლი და სხვა გემრიელი საჭმელები შემოიტანეს; ბოლოს ქერის ლავაში მოიტანეს. ბუხრის წინ დაბალ ტაბაკზე სუფრა გაშალეს. დაგვაბანინეს ხელები და ოცი კაცის ულუფა მარტო მე და აღას დაგვიდგეს. გლეხები ამ დროს თავიანთ ჭირ – ვარამზე გვემუსაიფებოდნენ.

უკვე 8 საათი იყო, რომ გარეთ ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. აღას შვილმა მყისვე კარი გააღო და გავიდა. მოგვესმა ორი კაცის ხმა. მალე მეორე შვილიც გავიდა, მაგრამ იგი გაჩქარებით შემოვიდა და მამას მორიდებით მოახსენა:

– მამა, **თემურ – როსტომ ბეგი ხიმშიაშვილი** მობრძანდაო. აღამ ჩემთან ბოდიში მოიხადა, მყისვე წამოდგა და აჩქარებულის ნაბიჯით მიეგება ბეგს. ცხენს აღვირზე ხელი მოჰკიდა, შვილმა უზანგს ჩამოსწია და აღა და ბეგი, ორივე, ხელი ხელზე ჩაკიდებული სახლში შემოვიდნენ.

სტუმარი მოხუცი, ბრგე ტანის კაცი იყო და დიდ ულვაშებიანი, ლამაზი სახისა. მე ფეხზე წამოვდექი. აღამ სტუმარი შორიდან გამაცნო; ბეგი ფეხაჩქარებით ჩემსკენ წამოვიდა, მომიახლოვდა, მარჯვენა ხელი გულზე დაიდო, მერე შუბლზე და ბოლოს ბაგეებზე დადებით ჰაერში კოცნა გამომიგზავნა; დამიკრა თავი და ხელი ჩამომართვა. ჩემი საჯდომი მუთაქა შევთავაზე, იგი

თითქო შეწუხდაო, ბოდში მოიხადა და ხელის მოკიდებით მთხოვა დაჯდომა. ამ დროს აღამ მესამე მუთაქა გამოიტანა და ჩემს გვერდით დასვა ბეგი. ბეგმა ჩემს მუხლზე ხელის დადებით დაიწყო მუსაიფი. იგი, ეტყობოდა, რომ ჩემის ნახვით გახარებული იყო. მოყვა ქართველებზე ბაასს. იგი აღფრთოვანებით მებაასებოდა ქართველებზე, აქებდა და უმაღლოდა მათ. ქართველები არამთუ ჩვენი ძმები, ჩვენი მფარველი ანგელოზებიანო. ქართველები რომ არ მოგვევლენ-ბოდნენ, ამ ომის დროს არც ერთი ქართველი მაჰმადიანი ცოცხალი არ დავრჩებოდითო. მერე გამომკითხა მიზეზი ჩემი ჩამოსვლისა და რომ ვუთხარი ისტორიული მასალების აღსაწერად ჩამოვედი – მეთქი, თვალეზე სიხარულის ცრემლები მოადგა. თეიმურაზ – როსტომ ბეგმა ბევრი რამ მიაშბო ჩვენი წარსულიდან. ამ ნაამბობს ცალკე წიგნში მოვუთხრობ მკითხველს.

– თეიმურაზ – როსტომ ბეგ! – ბოლოს მივმართე მე.

– თქვენ ალბათ გეცოდინებათ თქმულება ამ ტბის და კოშკის შესახებ?

– დიახ, ეფენდი, ვიცი, – მიპასუხა მან და მომიყვა, რაც იცოდა. ნაამბობში განმეორებული იყო ზევით მოთხრობილი ლეგენდა, ციხის, ტარიელის, მზე – ქალას და თამარ მეფის შესახებ, რომელსაც მე აქ აღარ გავიმეორებ. რამდენიმე ახალი ცნობა პალაკაციოს ტბაზე გადმომცა.

– ძველად აქ ქალაქი ყოფილა, – დაიწყო თეიმურაზ – როსტომ ბეგმა

– ფართობი, რომელიც აქ წყალს უკავია, ქვაბნარივით ჩაზნექილი ადგილი ყოფილა და ზედ ქართველებს ქალაქი გაუშენებიათ. ეს ქალაქი სიმდიდრით, ადგილ – მდებარეობით და სხვა მრავალ სიკეთითა და სიმშვენიერით შესანიშნავი ყოფილა. ამიტომ საქართველოს ფადიშაჰს თავისი ძმა დაუნიშნავს ამ ქალაქის გამგეთ. მიუცია უამრავი ყმა და ჯარი. ჰყვოდა, ხარობდა და ლალობდა საქართველო და ქართველები. მტერი ირგვლივ დამორჩილებული ჰყავდა მეფესა და მის ძმას.

ამ დროს მოკვდა სპარსეთის შაჰი და რადგან მას ვაჟიშვილი არ დარჩა, მისი ძმა გამეფდა. ძმას არ უყვარდა მეფე საქართველოსი და რადგანაც ძალით ვერას უზამდა, შემოისყიდა მისი ძმა, შემოუთვალა:

– მე მსმენია შენი ჭკუა, მახვილი გონება და სიბრძნე. მე მყავს ასული, რომლისთვისაც მზე საწუნარია, ვეძებ მის საკადრის საქმაროს, მაგრამ თქვენი მსგავსი ვერავინ ვნახე. ამიტომ მობრძანდით, ნახეთ და იქორწინეთ; მე ამისი მეტი შვილი არა მყავს და შენ შვილი იქნები ჩემი და ჩვენ ორივემ ერთად განვაგოთ სახელმწიფო. ჩემი მტერი იყოს საქართველოს მტერი და მოყვარე საქართველოსი – მოყვარე სპარსეთისაო.

მეფის ძმას გაეგონა შაჰის ასულის სილამაზე და დასთანხმდა. იგი ძმის დაუკითხავად გაემგზავრა თეირანს, შეუღლდა შაჰის ასულთან და უკან მობრუნდა.

საქართველოს მეფე, რა გაიგო ძმის ასეთი კადნიერება და ლალატი ქვეყნისა, შეწუხდა. მან იცოდა სპარსეთის მეფის ვერაგული ოინები, იგი შვილს კი არა თავსაც სიამოვნებით გასწირავდა, ოღონდ საქართველო მოესპო, მასზე სპარსეთი გაემეფებინა. მეფემ ძმას შემოუთვალა:

– ძმაო, იცოდე რომ შაჰთან მეგობრობას გველთან მეგობრობა სჯობია, შესწყვიტე მასთან ყოველი მეგობრობა, თორემ საქართველოს დალუპავ.

ძმამ შეიგნო თავისი შეცდომა, მაგრამ უკვე გვიან იყო. ცოლმა რომ გაიგო ეს, მოხიბლა ქმარი, დაიმორჩილა როგორც ბავშვი, გადაიყვანა თავის ჭკვაზე. იგი უღონო გამოდგა ცოლისა და სიძამრის წინაშე. მეფე შორსმჭვრეტელი იყო და რომ სამეფო არ დალუპოდა, ძმის ფარულად სოფ. ფიქრაშენთან გვირაბი გაიყვანა ქალაქამდე, ხოლო გვირაბის თავზე მარმარილოს ქვის აბანო აუშენა ძმას. ძმას ამ დროს ორი ასული ყავდა, ორივე მზისადარი: უფროსი 17 წლისა იყო, უმცროსი – 15 – სა. შაჰმა მისწერა სიძეს:

– ალლახმა მოგცა შენ ორი ასული. ჟამი უკვე მოახლოებული არის მათი გათხოვებისა. უფროსი მე უკვე დავნიშნე არაბთა მეფის შვილზე, ხოლო მეორე – ჩემი ნაზირ – ვეზირის შვილზე. და ჰა, შვილო, რომ დასტკბეს ჟამი ჩემი მოხუცებულობისა, ჩამოდი და ვაქორწინოთ.

მამას ეწყინა, არ უნდოდა უცხოთა მთავრებზე შვილების გათხოვება, მაგრამ ცოლი ძალას ატანდა. მამამ ნება დართო მხოლოდ იმ პირობით, რომ სასიძოვები აქვე დაქორწინებულიყვნენ. მამასაც ეს უნდოდა, გამოუგზავნა შვილები და ერთი თვის შემდეგ სასიძოვებიც დიდი ჯარის თანხლებით, ჩამოვიდნენ ვითომდა საქორწინებლად, სინამდვილეში კი საქართველოს დასაპყრობლად. მოტყუვდა მეფის ძმა. ჩამოსულმა სპარსეთის ჯარმა დაიპყრო ქალაქი. თავისი ძმა საქართველოს მეფემ თავის ცოლშვილით სპარსეთში გაგზავნა. არაბთა და სპარსთა ჯარი საქართველოს აღარ ასვენებდა. თავს ესხმოდა ქალაქებს და იკლებდა მათ. სწუხდა მეფე. სამეფო თანდათანობით ხელიდან ეცლებოდა. ესეც არაფერი, ქალაქის მცხოვრებთ არაბთა და სპარსთა ჯარი აწიოკებდნენ, ძალით გადაჰყავდათ მაჰომედის რჯულზე; ქალაქი გარშემორტყმული ჰქონდათ. ქალაქში მცხოვრებთ ქალაქის გარეთ აღარ უშვებდა.

ამ დროს აქ ცხოვრობდა საქართველოს მეფის ძიძის შვილი. მან იცოდა საიდუმლოება გვირაბისა და გააცნო ის ხალხს. ზამთრის პირი იყო. გარეთ საშინლად ციოდა და მცხოვრებთ ადრევე ჩაეკეტათ სასახლის კარები და ზოგს ეძინა, ზოგნიც ბაასობდნენ, რომ ქართველებმა ნელნელა იწყეს დენა აბანოდან გვირაბში. გვირაბს 18,5 ვერსის სიგრძე აქვს და როდესაც ქართველებისაგან დაიცალა ქალაქი, მეფის ძიძიშვილმა ჩაკეტა გვირაბის კარი, გააღო აბანოების ონკანები და 8 ონკანმა იწყეს დენა, როგორც მდინარე. დილას უკვე ქალაქი წყალში იყო დამალული. მტერთა მთელი ჯარი თავის წინამძღვრებით ზოგი წყალში დასცურავდა და ზოგიც დამხრჩვალნი ტბის ქვეშ დაძირულიყვნენ. ხოლო მეფის ძიძის შვილი კალმახად გადაიქცა, დასცურავდა ტბაში და ლაღობდა. მეთევზეები მას დღესაც **კალმახის დედას** ეძახიან და არავინ ხელს არ ახლებს. მაგრამ ბოლოს ეს გვირაბი ქაჯებმა დაიპყრეს და ყოველ ავდარში ღამე გამოდიან გარეთ და ადამიანზე ნადირობენო. – დაასრულა **თეიმურაზ – როსტომ ბეგმა** სიტყვა.

იმ ღამეს ვახშამმა დიდხანს გასტანა.

დილას გამოვეთხოვე ჯერ ადას, ბეგს და მერე სხვებს და გავუდექი გზას **თეთრი ციხისაკენ**.

აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

– რატომ ქვია ამ სოფელს თეთრი ციხე? – შევეკითხე ადგილობრივ მცხოვრებს.

– იმიტომ, ეფენდი, რომ ეგერ მაღლობზე თეთრი ციხე რომა დგას, იმის საპატივცემოთ. – მიპასუხა მან. მე ავედი მაღლობზე და დავათვალიერე. ციხე ნახევრად დანგრეულია და კედლები – ლა დგანან. იქვე მეორე პატარა ციხეა, მაგრამ იქ არავინ ცხოვრობს, ნასოფლარია.

აქედან სოფ. **კაკაბეთისაკენ** გავუდექი გზას. სოფ. კაკაბეთი მთის პირად დგას და უკან საკმაოდ მაღალი ქვის კლდე აფარია. სოფლის თავი სამხრეთისკენ ტბაშია შეჭრილი, და წინ ტბაში ათეული ათასი ფუთიანი ქვებია ჩაყრილი. ალბათ, იმიტომ, რომ დელვამ არ დააზიანოს სახლების კედლები, ხოლო მეორე წვერი სოფლისა ზედ კლდესაა მიბჯენილი. გზა სოფელს შუა გულზე სჭრის, მერე ადის კლდეზე და ორი – სამი ვერსის შემდეგ ეშვება ქვეშ.

ტბის გასწვრივ ამ მთაში ასეულ ათასობით ბუდობენ კაკაბები, თითქო გაუმინაურებიათო. მათის კაკანით ყურთა სმენა აღარ არის. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

სოფლის მაღლა, კლდის თავზე ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქედან ისევ მთა – ღრეებით და თანაც ტბის პირას გზა მიდის სოფ. **ქვედა ჯამბაზში**.

სოფ. **ჯამბაზი** თვალუწვდენელ მინდორზეა გაშლილი და დიდიცაა. მდინარე „შავი წყარო“ სოფელს შუაზე ყოფს. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფ. **კოდა – მეხი**. ესეც ქართული სიტყვაა. კახეთში ქალებმა იციან წყევლა: „ვაი ერთი **კოდი მეხი** კი დაგაყარე თავზეო“. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სოფ. **ყარა – ყალასაკენ** გავუდექი გზას. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. ამ სოფელს, როგორც **ქართველმა მაჰმადიანებმა** მითხრეს, **შავი – ციხე** რქმევია. მაგრამ ყარაფაფახებს შავი ციხე **ყარა – ყალად** გადაუთარგმნიათ.

აქ სოფლის გარეთ ერთი პატარა შავი ქვისაგან გაშენებული ციხე დგას, რომლის კედლებიღაც დარჩენილი. ალბათ, ამ ციხეს პატივსაცემრად უწოდებიათ ეს სახელი სოფლისათვის.

შემდეგ იწყება სოფ. **ბაშქეი**. ამ სოფელს **ქართველი მაჰმადიანები უწოდებენ სოფლის თავს**, ხოლო ყარაფაფახები „ბაშ – ქეის“.

ეს სოფელი ქვიან გორის თავზეა გაშენებული და ქვეშ 10 – 12 სოფელს დასცქერის, რომლებიც გაშლილა პალაკაციოს ტბის თავზე. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ და **6 კომლი (ანუ 50 სული) ქართველი მაჰმადიანი**.

იქვე ზევიდან ჩამოვედი სოფ. **ჩადუნაში**. **ჩადუნა** ქართული სიტყვაა; **ჩადუნას გვიმრის ყვავილს უწოდებენ**, რომელიც ღამე იშლება და იმავე წუთში ჰქრება. მას ჩვენში გოგო – ბიჭები დარაჯობენ, რომ გაშლის დროს დაინახონ და ბედი სთხოვონ თხოვნა – გათხოვებაში. **აქ 8 კომლი (ანუ 80 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. დანარჩენი ყარაფაფახებია**. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **სუხარაა**. ეს სოფელი არტანის ოლქის სხვა სოფლებზე უფრო დიდია. ქართველმა მაჰმადიანებმა მითხრეს: „ამ სოფელს წინეთ **„სხვა არა“** ერქვა“, ზოგიც ამბობს – **შავი წყალიაო**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ და 96 კომლი, (ანუ 900 სული) **ქართველი მაჰმადიანი**. იმათ შორის 84 კომლი **სულხანიშვილებია**. სოფელს შუაზე ჰყოფს მდინარე **შავი – წყარო**, რომელიც უერთდება პალაკაციოს ტბას. აქ 4 ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ იწყება სოფ. **ჭოლოთი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 28 კომლი (ანუ 98 სული) **ქართველი მაჰმადიანია**. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

შემდეგ იწყება სოფ. **კოდისი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. აქაც არის ეკლესიის ნანგრევი.

მერე სოფ. **ვაშლობში** გადმოვედი. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედელიღაც დგას.

მერე არის სოფ. **ჩაბურდა**. **ჩაბურდა** ქართული სიტყვაა, მართლაც, რომ ამ სოფლის ბუნება ჩაბურდულია. აქ ისევე არეულია მთა, ველი, გორები და მთელი მიდამო, როგორც ზარმაცი დიასახლისის ოჯახი. აქ 21 კომლი (ანუ 200 სული) **ქართველი მაჰმადიანი** სახლობს. სოფლის გარეთ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია, რომლის იქით, მარჯვნივ, მოჩანს ციხის ნანგრევი.

შემდეგ საშინელი თავდაღმართია, რომელზედაც, ჯერ ჩაკიდული ბაწარივით და შემდეგ წელგატეხილი გველივით, მიხვეულ – მოხვეული მიდის გზა 20 – 25 ვერსის მანძილზე ქვევით. თვით მალლობი 2,5 სიმაღლის არც კი იქნება. აზრუმიდან მომავალი **თამარისეული შარა – გზა** თითო და ორ – ორი ვერსის სიგრძეზე თითქოს იკეცებაო და ეს ნაკეცები 50 – 60 საჟენით არის დაშორებული ერთი – მეორეზე. ეს შარა – გზა **მეწამული ტბის** პირად მდებარე სოფ. **ყანარბილში** ჩადის და შუაზე ჰყოფს მას. ტბის გასწვრივ 35 – 40 ვერსის მანძილზე მიიმართება ახალქალაქის მომიჯნე, **სომხებით** დასახლებულ სოფლისაკენ. აქ უხვევს სამხრეთისაკენ და თვალს ეკარგება.

აქ ბუნება მეტად ლამაზია. მარცხნივ მწვანედ მოზიბინე ბარიდან აღმართულან მთის კალთები, ხოლო მარჯვნივ 40 ვერსზე გადაჭიმულა მეწამული ტბა, რომლის სიგანე 8 ვერსს უდრის.

დასავლეთ – ჩრდილოეთით ტბას გადმოჰყურებს ვეებერთელა დიდი ველი, ადგილ – ხეივნებად დასერილი.

სოფ. **ყანარბილში ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

აქედან დავბრუნდით უკან და 45 ვერსის შემდეგ მივედი სოფ. **თათალეთში**. ესეც ქართული სიტყვაა. სოფ. **თათალეთი** სოფ. **სუხარბს** 1,5 ვერსით ახლავს არტაანისაკენ. აქ 39 კომლი (ანუ 497 სული) **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის ნაპირზე ერთი საკმაოდ მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან გადავედი სოფ. **ხამუშში** (ამუში ქართული სიტყვაა და ნიშნავს მუშაკთა მხნედ მუშაობას). აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სოფ. **ზარაბუქში** მოვედი (ესეც ქართული სიტყვაა. **ზარა** აღმოსავალს ნიშნავდა, ხოლო **ბუქი** თოვლიან ქარს). აქ 23 კომლი, ანუ 277 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი **ზურზუნას** თავზეა. როგორც ღია ადგილზე, აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარი გამუდმებითა ჰქერის (ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის „**ზარა ბუქი**“). აქ **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქედან **თამარისეულის შარა – გზით** ავეყვი მაღლობს 10 ვერსის იქით. აქ სოფ. **ბეგრა – ხატუნია** (მე მგონია ესეც ქართული სიტყვაა. **ბეგრა** – დაბეგრა და **ხატული** – ხატის დასახელება. შეიძლება, ეს სოფელი დაბეგრილია და ამიტომ სახელიც ასე უწოდეს). აქ **აისორები** ცხოვრობენ. აქვე არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. ამ სოფელს სამი ვერსიის მანძილზე წყალი არ ახლავს. სოფელი ორ ხევის შუა მდებარეობს და გვერდით **თამარისეული შარა გზა** უვლის.

აქედან დასავლეთით, ზედ შარა გზაზე, სოფ. **პარკაუა**, რომელიც სოფ. **ბეგრა – ხატულისაგან** ნახევარი ვერსითაა დაშორებული. აქაც **აისორები** ცხოვრობენ. სოფ. **პარკაუც** წყლის მხრივ იმავე მდგომარეობას განიცდის, რასაც **ბეგრა – ხატული**. მაგრამ მიუხედავად ამისა, პური აქ საგანგებოდ უხვად მოდის.

აქედან დავბრუნდი უკან სოფ. **მერიემში**. **მერიემი** ქართული სიტყვაა, საკუთარი სახელია – **მარიამი**. ეს ვიცი, რომ წარსულში აქეთ სოფლებს თათრული სიტყვა არ რქმევია. ამ სოფლის სახელი ან ქართულიდან გადაუთარგმნიათ, ანდა ქართული სახელი დავიწყებისათვის მიუციათ და თითონ, როგორც ნასოფლარისათვის, ახალი სახელი მიუციათ. აქ **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. სოფლის განაპირას ერთი პატარა გუმბათიანი ეკლესია დგას, პერანგის ქვებისაგან კედლებგამარცული. ეკლესიის გუმბათი ქვებითაა დახურული და ზედ ბალახი ამოსულა.

შემდეგ გადავედი სოფ. **სალორეთში**. ეს ქართული სიტყვაა. აქ ერთი გუმბათიანი **ეკლესია დგას**, რომელიც ადგილობრივ ალას სათივედ გადაუქცევია. **ლამაზი ეკლესია სრულიად მთელია**. აქა – იქ **ჩუქურთმებითაა** შემკული. შიგნით **დიდებული მხატვრობაა**, მაგრამ ვიღაცას დაუფხაჭნია და მხატვრობა გაუფუჭებია. შესავალი კარის გარედან ზევით მარმარილოს ქვაა და **ზედ ხუცური წარწერა აქვს**. აქ 19 კომლი (ანუ 219 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**.

შემდეგ იწყება სოფ. **ვარდბანდი**. ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ვარდითშებარდულს**. აქ 17 კომლი ანუ 200 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. სოფელში ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

აქედან საცალფეხო გზა მტკვრის პირისაკენ უხვევს და ზედ მტკვრის პირზე სოფ. **საბადურთან** ჩერდება. **საბადური** ქართული სიტყვაა და შეიძლება ორნაირად განვმარტოთ: რომელიმე მადნეულის საბადური (ბუდობი), ან 2/ ბადის სასროლი ადგილი; უფრო მგონია **ბადის სასროლი ადგილი უნდა იყოს**, რადგანაც სოფლიდან ქვემ მტკვარში გზა ჩადის. აქ მტკვარი ფართოდ გაშლილა და ნელა მიდის, ზოგან ფონია და ზოგანაც ტბა, სადაც სასროლი ბადით თევზის დაჭერა ადვილია. ამ სოფელში მარტო ექვსი კომლი (ანუ 53 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

აქედან ქალაქ არტაანისაკენ წამოვედი.

არტაანი (ანუ **არტანი**, ხოლო რუსულად – **არდაგანი**) ეს ქალაქი ოლქის დედა – ქალაქია და როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, ამ ქალაქს თავის დროზე უმნიშვნელოვანესი როლი უთამაშნია ქართველი ერის ცხოვრებაში. ეს ქალაქი ირგვლივ მთებითაა შემოზღუდული და გაშლილ ადგილზე ძვეს, რომელსაც მდინარე მტკვარი ორად ჰყოფს. როგორც ნანგრევებიდან ჩანს, ქალაქი ძველად მტკვრის გამოღმა ყოფილა, მაგრამ 1878 წელს გადაუტანიათ მტკვრის გაღმა, რასაც ამტკიცებს თვით სახელწოდება – **ძველი და ახალი ქალაქი**. ამ ახალ ქალაქს შუაზე ჰყოფს აზრუმიდან მომავალი **თამარისეული შარაგზა** და აღმოსავლეთისაკენ მიდის მაღლობზე მიხვეულ-მოხვეული, ჭრის შუაზე ტყეს და ადის სოფ. **ვარდისციხეზე**, ხოლო დასავლეთისაკენ 15 – 20 ვერსის დაშორებით მდებარეობს სოფ. **კოდისწყარო**. სოფ. კოდისწყაროდან **თამარისეული შარაგზა** მტკვარს მისდევს მაღალ მთისაკენ და ადგება სოფ. **მერდენეგს**. აქ ყარსისა და არტაან – ოლთისის **თამარისეული შარაგზები** ჯვარედინად ერთდება ერთ გზად და მიიმართება აზრუმისაკენ.

აქედან გავემგზავრე **აღუნდირისაკენ** (**აღუნდირი** საზღვარია **არტაანისა** და **ოლთისის** ოლქებისა). სოფ. აღუნდირიდან შარაგზა მიდის ხელოვნურად გაჭრილ მაღალ კლდით. ამ მთის სიმაღლე დაახლოვებით ერთნახევარი ვერსია და სიფართოე 24 საჟენი. შარაგზა მიდის სოფ. **კოსორამდე** (ქართველი მაჰმადიანები ამ სოფელს ასე უწოდებენ). აქ კლდე მარცხენა მხარეს უერთდება **არსიანის** მაღალ მთის კალთას. ხოლო კლდის მარჯვენა მხარე გრძელდება ქალაქ **ბანას** მოსახვევამდე.

აქ ამზობენ, ვითომც აქ კლდეში გაკეთებულია გამოქვაბული, რომელშიაც სამი საჟენის სიმაღლისა და 4 საჟენის სიგანისა გამოქვაბულში **მუხის დიდი ზომის კუბოა**. კუბოს თავით უდგას (მაღალი, დიდი) შანდალი, რომელზედაც ამომწვარია სანთლის კელაპტარი, ხოლო შანდალთან ახლოს თეთრი საცეცხლურია, ნახევრად ამომწვარი. გამოქვაბულში ჩასასვლელად ზევიდან ხელებისა და ფეხების ჩასადგომია ამოჭრილი, ჯაჭვი ჰკიდია.

აქედან სამი ვერსის სიმაღლეზე, კლდის მიუვალ მწვერვალზე **სახეა გამოთლილი დაჩოქილი ბერისა**. ბერს ბარტყულა ახურავს თავზე და ხელაპყრობილი **ზეცას ევედრება**. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიამბეს: როდესაც მტერი ოლთისს შემოესია, აიღო ოლთისი და ხოცვაჟლეტით წინ მოიწევდა, **ბანას მთავარი მოლა აქ მოსულა**, და ქართველი ერი ალაჰისათვის შეუვედრებიაო. მტერი ბანასთან დამარცხებულ იქნა. მოლლას კი უთხრეს, მტერმა ბანა აიღო, დახოცა ქართველები და დაანგრია ბანას მეჩეთიო. შეწუხდა მოლა, ვერ აიტანა ბანას დანგრევა და ნაპრალში გადაიგდო თავიო. ამისათვის ხალხმა მისი სხეული ზევით აიტანა და იქ დადგაო; ხალხი მასზე ლოცულობსო.

აქედან **თამარისეული შარაგზა** მოდის **ბანას** დიდებულ ტაძრისაკენ. სადაც იქორწილა და იკურთხა საქართველოს დიდებული მეფე **დავით კუროპალატი**. ტაძრის საკურთხეველიდან ქვეშ, მიწაში, ჩადის ისტორიულად ცნობილი შესანიშნავი გვირაბი. გვირაბზე, ტაძრიდან ასი საჟენის დაშორებით, გადადის ალაზნის სიდიდის მდინარე – **ბარდის წყარო**. გვირაბის სიგრძე 30 ვერსია. ის სწორ ხაზით ოლთისის დიდებულ ციხისაკენ მიიმართება, გაუდის ქვეშ **ოლთისის წყაროს**, ჩაუდის **ოლთისის ციხეს** და ორი ვერსის სიმაღლეზე ადის მაღლა ციხის მეხუთე ეზოში, წმ. **გიორგის ეკლესიის ტრაპეზით**.

დიდებულ ბანას ტაძართან, რომლის ახლომახლოს 25 ეკლესიის ნანგრევია, **თამარისეული შარაგზა** მარჯვნივ, განზე, მიიმართება და 150 საჟენის შემდეგ, **ბარდის წყაროს** გაღმა, უერთდება ახალ სამხედრო გზის მოსახვევს. ოლთისიდან **თამარისეული შარაგზა მიდის, ისპირისა და კისკისის** ოლქების გავლით, სოფ. **ხახულიდან** 40 ვერსის დაშორებით. შარაგზა განზე სტოვებს

კუზიან ხიდს და მიიმართება ერზრუმისაკენ. კუზიან ხიდს ხახულის ღვთისშობლის ტაძარი აღმოსავლეთით დაშორებულია 76 ვერსით.

ქალაქ არტაანის ციხეს თავისი მნიშვნელობით მთელს ოლქში პირველი ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ციხე უპატრონოდაა დარჩენილი. ჟამთა ვითარებას მისი ბუმბერაზი მაღალ – კბილებიანი, სიმაღლეზე მიდგმული, ორ-ორი, სამ-სამი სართულიანი დიდრონი სახლები ნახევრად დაუნგრევია.

არტაანის ციხე ვაკეზე დგას. იგი გვერდობად მიდის ნახევარ ვერსის მანძილზე, საიდანაც მისი კედლები ეშვება ქვემოთ, მტკვრის კალაპოტის ღრმა ხევი და იქ მტკვრის პირად უერთდება მეორე კედელს, რომლის გარეთ, მტკვრიდან რამდენიმე ათეული საყენის ზევით, ორთვალისანი გვირაბია.

შიგნით გვირაბში მალარობია, რომლის ფართობი 15 კვ. ადლს აღემატება. ზემოდან გვირაბს ფართო, მაგრამ საშიშო გზა ჩამოუდის, რომლის თავი ქვეშ მტკვრის მიუვალ პირით ციხის კარს ადგება. გარეთ, მტკვრის ხეობაში, მრავალი ნანგრევებია ციხისა და სახლებისა, რომელთა მხოლოდ მაღალი კედლები დარჩენილა.

მტკვრიდან ციხის მწვერვალამდე, მე მგონია, ორი ვერსი იქნება. შიგნით ეზო, როგორც ვთქვი, გვერდულად მიდის სამხრეთიდან აღმოსავლეთით და დაყოფილია მაღალი კედლებით რამდენიმე ათეულ ეზოებად. ეზოებში ყველგან მრავლადაა სახლები, ზოგი დანგრეულია და ზოგიც მთელი. ციხის წინ მდგარა დიდი ზომის ეკლესია, მაგრამ დანგრეულა და ნანგრევებიდაა. უკანა ეზოში მტკვრიდან წლის ამოსაყვანი მილი მოკლე და წითელი თიხიდანაა გამომწვარი, რომელიც, კედლად ჩამოსულ მთას მიკრული, ჩადის მტკვარში და დღესაც დაუზიანებელია.

იქვე მშვენივრად გაშალაშინებული თეთრი დიდრონი ქვის ფიცრებით აგებული აბანოა აუხებით და მაზმაროებით, რომლებს ახლოს მილია გაჭრილი ჭუჭყიანი წყლისათვის. ვაკედან ციხეში შესავალ დიდ რკინის კარებს ზევით ჩასმულია მარმარილოს ქვები ხუცურის წარწერებით. მაღლა ორი ქვაა მიკრული, ერთი – არაბული დამწერლობით, მეორე – სომხური წარწერით, რომელიც ახალს ჰგავს. ადგილობრივმა მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკემ ი. ხარიშარაშვილმა მიამბო, რომ მე მაშინ წვერ – ულვაშიანი ვიყავი (1915 წელს იგი 60 წლისა იყო), როდესაც ეს სომხური წარწერა ამოაჭრევინეს ქვის მთლელს სავა სამანაპულოს სოფ. ბაღდადიდანო. მეორე ქართულ წარწერიან ქვაზე ვიღაცის ქართული ხუცური წარწერები საღებავით გაუშვებია და ქვეშ თავისი გვარიც მიუწერია რუსულად. ერთი, არა მარმარილოს ქვა, მიწიდან 1,5 ადლის სიმაღლეზეა მიკრული და ზედ არაბული ასოებით რაღაცაა გამოხატული. მეორე წარწერა სამხრეთის მხრისაკენ არის, მიწიდან ერთი ადლის სიმაღლეზე. აღმოსავლეთისკენ, ციხის ზემოთ, მრავალი ნანგრევია. იქვე მრგვალი, საყენზე მეტი ფართობის თხელი ქვა გდია, რომელიც შუაზე არის გახვრეტილი. ეს ქვა ძალზე წააგავს წისქვილის ქვას. აქ ხშირად შეხვდებით კაცის ძვლებს. ციხეში შესავალი კარი გამოუმენებიათ. მის ზემოთ ადლიანი ზომის ქვაა ჩადგმული არაბული ასოებით შესრულებული წარწერით. ეს ქვა სრულიად არ შეეფერება ციხის ქვას, უფრო ახალია და ქვაც სულ სხვა ფერისაა, ალბათ ახალი ჩადგმულია.

არტაანიდან მტკვრის ხევი თავდება ორ ვერსზე სოფ. საზარით. აქ დიდი ეკლესიის კედლები დღესაც ამაყად დგას. აქ მდ. მტკვარი ისევ იშლება და სწორ ადგილზე მიდის. აქ მტკვრის ხევის გასწვრივ მრავალი ეკლესიის ნანგრევებსა ნახავთ. ერთი დიდი და დიდებულ ეკლესიის ნანგრევი 1896 წ. ქ. არტაანში ამოუყრიათ და მისი ქვებით მის ნანგრევზე პირველი დაწყებითი სკოლა აუშენებიათ.



აქვე, აღმოსავლეთით, არტაანის ხევში ნასოფლარია **საფიცხარი**. სოფ. საფიცხარის გაღმა ქართველების ძველი სასაფლაოა, რომლის ნახევარზე მეტი ძეგლები დაუტაცნიათ. სასაფლაო მრავალგანაა ღრმად ამოთხრილი. ხსენებულმა ხარიშარაშვილმა მიაჩნო, რომ აქ საფლავების ამოთხრის დროს ჩინურის მსგავსი ქოთანის უნახიათ მშვენიერი სურათებით და ქართულ – ხუცური წარწერებით შემკული. ადგილობრივ მცხოვრებს სასაფლაო ამოუთხრია, რამე ნივთებს ვიპოვნო და ბრინჯაოს უძველესი ხანჯალი უპოვნია. მცხოვრები სიხარულით კინაღამ გაგიჟებულა, ოქროს ხანჯალი ვიპოვნეო! ხანჯალზე ასოები გარკვევით ყოფილა ამოჭრილი, მაგრამ ყველასათვის უცნობი, ვერავის ვერ ამოუკითხავს. ხარიშარაშვილისავე სიტყვით, მცხოვრებლებს გაუთხრიათ სასაფლაო და ბევრი საგნები უპოვნიათ. **ეჩმიაძინიდან** ჩამოსულ მღვდელს, არტაანის სობორის აფეთქებამდე, ეკლესიის შიგნით ამოუთხრია ტრაპეზის ახლოს მიწა და ხის ყუთში აღმოუჩენია მრავალი საეკლესიო ოქროსა და ვერცხლის ნივთები, სადაც სხვათა შორის უძველესი ხელნაწერები ყოფილა და ოქროსყდიანი სახარება. ყველა ეს განძი ამ მღვდელს ვითომც ეჩმიაძინის მონასტერში გადაუტანია.

აქვე არტაანში არის სომეხ-ფრანგთა ეკლესია, სადაც უამრავი ქართული წარწერიანი სხვადასხვა სახის საგნებია: ანგელოზები, მხეცები და სხვა. მრავალი მარმარილოს ქვა აწყვია ქართულ – ხუცური წარწერით. სხვათა შორის ქართული ხელნაწერებიც აქვთ ნაპოვნო, მითხრა ხარიშარაშვილმა.

კვირა დღე იყო. ეკლესიაში კათოლიკეთა წირვა მიდიოდა. შევედი ეკლესიის წინა შესავალ დერეფანში. აქ აწყვია ძვირფასი მარმარილოს ქვის ფიცრები, სხვადასხვა ხუცურის წარწერებით, რომლებიც ჩუქურთმებით შემკულია. შემდეგ შევედი ეკლესიაში; ხალხი მრავლად იყო. პირჯვარი გადავიწერე და კედლებს დავუწყე თვალიერება. ხარიშარაშვილის სიტყვები გამართლდა. კედელზე ერთი ვერცხლის ღვთისშობლის ხატი ჰკიდია, რომელსაც ქვეშ აქვს წარწერა. ის ვიღაც ორბელიანს შეუწირავს არტაანის ეკლესიისათვის. აქ ყველაზე საინტერესოა მარმარილოს სამ – გოჯნახევრიანი ჯვარცმა ხუცურის წარწერით. ეს ხატი ხელოვნების მშვენიერი ნიმუშია. ჯვარზე ქრისტე ისეა გამოქანდაკებული, რომ სხეულის ყველა კუნთი ცოცხალი გეგონებათ. თმა და წვერ – უღვაში მეტად ფაქიზად არის შესრულებული, ჩანაჭედი ლურსმნები მშვენიერად არის გამოყვანილი. ის იყო ამოვიღე უბის ჯიბიდან რვეული და ფანქარი, შევუდექი წარწერის ჩაწერას, რომ პატრმა სომეხმა თვალი მომკრა, მიატოვა წირვა, მოვიდა ჩემთან და ზრდილობიანად მითხრა:

– გადაწერა ეკლესიის სამკაულებიდან შეუძლებელია. გთხოვთ გვიბოძოთ რვეულიო. – ჩამომართვა, ამოხია ჩაწერილები და ცარიელი რვეული დამიბრუნა. შემდეგ ჩემს წინააღმდეგ პროპაგანდა გასწია მლოცველებთა შორის.

მე მგონია, მეტი არ იქნება, მოვიყვანო ჯამი ჩემ მიერ შეგროვილი ცნობებისა, როგორც ქ. არტაანში, ისე არტაანის ოლქში მცხოვრები მოსახლეობისა 1916 წლის მიწურულამდე.

ქ. არტაანში:

სომეხი და სომეხ – ფრანგები 805 სული, ბერძნები 717, მალაკნები 208, ქართველი მაჰმადიანები 779, ქართველი ქრისტიანები (გარდა ქართველი მეომრებისა და მოსამსახურეებისა) 55 სული და ქურთები 152 სული.

არტაანის ოლქში:

ქართველი მაჰმადიანები 3250 კომლი, ანუ 36.585 სული; ქურთები 1828 კომლი, ანუ 16. 905 სული; თურქმენები 816 კომლი, ანუ 5293 სული; ყარაფაფახები 1045 კომლი, 12. 298 სული. ბერძნები 1305 კომლი, ანუ 11.106 სული; მალაკნები 201 კომლი, ანუ 1517 სული; უკრაინელები

101 კომლი, ანუ 845 სული, კათოლიკე – სომხები 29 კომლი, ანუ 250 სული; გარდა ქ. არტაანში მცხოვრებ კათოლიკე – სომხებისა. ქართველი ქრისტიანები არც ერთი; სომეხი 36 კომლი ანუ 147 სული; კათოლიკე სომეხი 12 კომლი, ანუ 92 სული; აისორები 90 კომლი, ანუ 706 სული და ლეკი 1 კომლი, ანუ 7 სული; სულ არტაანის ოლქში ირიცხება 8. 964 კომლი, ანუ 88. 002 სული, გარეშე ქ. არტაანისა. 1914 წლის ომის გამოცხადებამდე, როგორც არტაანის ოლქის სამმართველოს ცნობიდან ჩანს, **ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი არტაანის ოლქში ყოფილა 64. 157 სული.**

მართალია, ქალაქ არტაანში ითვლებიან სხვა ეროვნებებზე მეტი სომხები და სომხის კათოლიკეები, მაგრამ ამათში მეტი წილი სომხები და სომხის ფრანგი ვაჭრებია, რომლებიც გადმოსულან 1878 წლის შემდეგ არტაანში სოფ. **ოქრობაგეთიდან** (ართვინის ოლქი), **ყარსიდან**, ერევნის გუბერნიიდან, **თბილისიდან**, – **ახალციხიდან**, მეტი წილი კი ოსმალეთიდან გამოქცეულია – კახთაგანი. აი, სურათი, არტაანში მცხოვრები მოსახლეობის.

არტაანიდან ორი ვერსის მოშორებით არის ნასოფლარი **მინდაშენი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **შეურყეველად დგას ერთი პატარა, ლამაზი ეკლესია**, რომლის გუმბათი დახურულია ფიქალის ქვებით, ხოლო მისი კედლები პერანგის ქვებისაგან გაუძარცვიათ.

ამის შემდეგ არის სოფ. **გურჯი – ბეგი**, რაც ნიშნავს **ქართველ აზნაურს**. 1914 წელს, იმპერიალისტური ომის დროს, ეს სოფელი სრულიად გაუნადგურებიათ, აქ **მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ზოგი დაუხოციათ, ზოგიც სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებიათ, ციმბირში გადაუსახლებიათ.**

ამ ახალ ნასოფლარის იქით, დაახლოვებით 304 ვერსზე, მტკვრის პირად, გაშლილია სოფ. **პატარა სარძევე**. აქ **მაღაცნები** ცხოვრობენ, რომლებსაც სოფლისათვის რუსული სახელი დაურქმევიათ. „ველიკნიაჟევსკი“.

შემდეგ იწყება **საბუღარი**. **საბუღარი** ქართული სიტყვაა. აქ 25 კომლი ანუ 409 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**, ამ სოფელში, როგორც გადმოგვცეს, **თამარ მეფეს მთიდან 15 ვერსის მანძილზე წყარო გამოუყვანია და შუა სოფელში ეგვიპტურ სტილზე წყალსადენი აუშენებია**, თავისივე ქვის ონკანებით, რომელსაც ქვეშ ერთიან ქვისაგან გამოჭრილი როფე უდგას საქონლისათვის.

აქედან გავყევი საცალფეხო გზას, რომელიც მიდის დაფენილ მინდორზე მდინარე მტკვარსა და **თამარისეულ შარას შუა**, სოფ. **კოდის წყაროს** მალლობისაკენ. აქ პირველი სოფელი პატარა **ჭინჭრობია**, რომლისთვისაც აქ მცხოვრებ უკრაინელებს „**ნესვიატოვა**“ დაურქმევიათ (რაც ნიშნავს არა წმინდას).

აქედან ერთი ვერსის მოშორებით სოფ. **დიდი ჭინჭრობია**, აქ 42 კომლი **ქართველი მაჰმადიანია**. აქაც ერთი **ეკლესიის ნანგრევია**.

აქედან ორი ვერსის იქით სოფ. **ბაღდათია**. აქ ბერძნები და **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. უკანასკნელი 53 კომლია (ანუ 598 სულია). აქვე, სოფლის მისავალთან, მშვენიერი წყალსადენია აგებული.

მე – 5 ვერსზე, მთის კალთის ქვეშ, გზის გასწვრივ 2,5 ვერსზე, მდებარეობს სოფელი **კოდისწყარო**. სოფლის მისავალთან, დასავლეთით, ჩამოდის დიდი ხევი, რომელიც წააგავსკოდს; ალბათ ქართველებმა ამიტომ უწოდეს ამ სოფელს **კოდის წყარო**. სოფელში ხევიდან ჩამოდის ალმასივით სუფთა ცივი წყარო, რომელშიც პატარ – პატარა ლამაზი კალმახები ციბრუტით დასრიალებენ და ეთამაშებიან მზის სხივებს. აქაც არაჩვეულებრივი წყალსადენია აღმართული, რომელსაც აქა – იქ ხავსი მოჰკიდებია და რომელსაც თავი მოსტეხია. ეტყობა უშნოთ გათლილი ქვა ცემენტით მიუკრავს. აქაც **უკრაინელები ცხოვრობენ**, რომელთაც სოფლისათვის ახალი

სახელი (ქართული სახელი არ მოსწონებიათ და მისთვის) „**მიხაილოვკა**“ დაურქმევიათ. აქაც არის ერთი **ეკლესიის ნანგრევი**, ხოლო ზევით, მტკვრის მაღალ კალაპოტის თავზე, საშუალო ზომის **ციხის ნანგრევია**, რომლის კედლები ორი საჟენის სიმაღლეზე დგას.

აქედან პირდაპირ საურმე გზით გადავდი **თამარისეულ შარა – გზაზე**. აქ შარა – გზის პირზე სოფელი **ქერმანია**. 1914 წლის ომამდე აქ 70 კომლი (ანუ 683) სული **ქართველი მაჰმადიანი**, გვარად **მიქელაძეები, ჩხეიძეები, ფაღავები** ცხოვრობდნენ. მაგრამ **რუსის მეფის ჯარს 15 კომლიანი სოფელი დაურბევია**. 15 კომლი ანუ 156 სული **ამოუხოცია, ხოლო 93 სულს გაქცევა მოუსწრია**. სიტყვა ქერმანი ქართულია და ნიშნავს **ქერი – მანდს**. მართლაც, აქ ქერი კარგად ხარობს და თანაც მსხვილმარცვლოვანია.

აქედან შარა – გზით მაღლა ავედი და აღმოსავლეთისაკენ შეხვევით ჩავედი ქვეშ სოფ. **სინ-დისგომში**. სოფლის ეს სახელი, არ ვიცი, რა ენაზეა წარმოებული. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც ყოფილა ერთი საშუალო ზომის **ეკლესია**, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუნგრევიათ. ახალი ეკლესია აუშენებიათ, რომლის კედელზე აქა – იქ **ხუცური წარწერები** ემჩნევა.

შემდეგ სოფ. **ენიქეთა**, რაც ნიშნავს ახალ – სოფელს. სინამდვილეში ამ სოფელს **თამარაშენი** რქმევია, მაგრამ იქ მცხოვრებ ბერძნებს **ენიქეთ** გადაუკეთებიათ. 1878 წელს ბერძნები სოფ. **ტახტაკრანში** გადასულან, ხოლო ომის დროს **ოლთისიდან ქართველი მაჰმადიანები** გამოქცეულან, აქ დასახლებულან და სოფლისათვის სახელი **ენიქეთ** დაუტოვებიათ. აქ დღეს 36 კომლი (ანუ 373 სული) **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი 3 ვერსის სიმაღლიდან გადმოსცქერის ქვეშ ართვინის ოლქს და საზღვარია მისი. აქაც არის ერთი პატარა **ეკლესია** და **ციხის ნანგრევები**.

აქედან სოფ. **ხაზნაფარზე** ავედი. აქ ერთი მოზრდილი **ეკლესია** და ასეთივე **ციხე** დგას. მათი მაღალი კედლები ახლაც დასცქერის არე – მარეს. როგორც მოხუცებულებმა (ხალხში გავრცელებული ლეგენდა) მიაძბეს, **თამარ მეფე** ორ – სამ წელიწადში ერთხელ აქ ჩამოვიდოდა და რამდენიმე დღე რჩებოდა საზაფხულოდო. სოფ. **ხაზნაფარის** ადგილმდებარეობა და **ბუნება საუცხოოდაა მოქარგული**. **ირგვლივ მშვენიერი ყვავილნარია**, რომლებს შუა მთის სუფთა წყარო ჩამოდის. სოფ. ხაზნაფარი 4 ვერსის სიმაღლიდან დაჰყურებს შორს ფართოდ გადაშლილ ართვინის ზეთისხილის ბაღნარს. აქვეა მჟავე წყარო – **ნარზანი**, რკინის წყარო, გოგირდის, რძის ფერი ცივი წყარო და სხვა. ბუნებით მდიდარი საქართველოს შვილებისათვის ასეთი ადგილები არ არის სანატრელი, მაგრამ ხაზნაფარას ბუნება კი სულ სხვაა. ტყუილად კი არ ამბობდნენ ქართველი მაჰმადიანები, რომ **ხაზნაფარის ჰაერი მომაკვდავსაც კი არჩენსო**.

აქედან უკან დავბრუნდი და სოფ. **შადრევანში** გადმოვედი. **შადრევანი** ქართული სიტყვაა – წყლის მაღლა ასროლას ნიშნავს. აქ **ეკლესიის ნანგრევებია**, რომელთა მაღალი კედლები დღესაც ამაყად დგას. აქ 119 კომლი (ანუ 839 სული) **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**.

აქედან სოფ. **ხასქეთში** მოვედი. ეს სოფელი მტკვრის პირად, მაღლა გორაკზეა აშენებული. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც **სამი ეკლესიის ნანგრევია**, ერთი მათგანი **მოზრდილია, გუმბათიანი**.

აქედან დავბრუნდი უკან და ჩამოველი არტაანის ვაკეში, სადაც მდინარე მტკვარი არტაანისაკენ გველივით მიიკლაკნება. აქ სოფ. **ზედა ტარასის** ხევია. აქაც ორი **ეკლესიის ნანგრევია**. აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ.

იქვე ახლოს **ქვედა ტარასის** ხევია. აქ 64 კომლი, ანუ 107 სული **ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს**. აქაც ერთი მოზრდილი **ეკლესიის ნანგრევია**.

შემდეგ არის სოფ. **ბებერი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ, აქაც არის **ეკლესიების ნანგრევები**; ერთი სოფელშია, ერთი გარეთ – მთის მწვერვალზე. ამას იქით სოფ. **ფიჩხის გომია**. აქ 36 კომლი (ანუ 355 სული) **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობდა. აქაც ერთი **ეკლესიის**

ნანგრევია. შემდეგ არის სოფ. **თანისგომი**. აქ 16 კომლი (ანუ 156 სული) ქართველი მაჰმადიანია. სოფლის თავზე ერთი ეკლესიის ნანგრევია; იქვე ცოტა დაშორებით სოფ. **ქინძი – თამარია**. ამის შემდეგ სოფ. **ალუბალაა**. აქ 19 კომლი (ანუ 259 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.

შემდეგ არის სოფ. **ქვედა ალუბალა**. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქედან სოფ. **კონქში** გადმოვდი. **კონქი** ქართული სიტყვაა. აქ 23 კომლი ანუ 299 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქედან სოფ. **დეგერმან ქევში** გადავდი. **დეგერმანქევი** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **წისქვილის სოფელს**. აქ შუა სოფელში ერთი მეორეზე წისქვილი დგას. ეტყობა აქ ძველადაც წისქვილები ყოფილა, ამას ადასტურებს წისქვილის ნაშთები. აქ 49 კომლი (ანუ 535 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. სოფლის გარეთ ერთი ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **კუნძულეთია**. **კუნძულეთი** თავის რაიონით, რომლებშიაც შედის ნასოფლარები, როგორც მითხრა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ღრმად მოხუცმა **ფალავანდიშვილმა**, მრავალი მხრით შესანიშნავი ყოფილა არტაანის ოლქში. აქ იზრდებოდნენ თურმე საუკეთესო ქართველი მეომრები და მამულიშვილები. აქ ჰყვოდა მერძეობა, მემატყლეობა, მოჰყავდათ საუკეთესო ხორბალი, ნამეტნავად, შავი ღვინო „**ოჯალეში**“ – ს სახელწოდებით, რომელიც თავისის ღირსებით კახურ ღვინოზე მაღლა მდგარა. აქ ღვინის უხვ მოსავლიანობას ადასტურებს უხვად მიწაში ჩაყრილი უამრავი **დიდი ქვევრები**.

აქ, როგორც **კუნძულეთში**, ისე ყველა ნასოფლარი მიწები კვლავადაა დაყოფილი. ყველა ეს კვალი ძალზე ჰგავს სავენახე კვლებს და აქა – იქ **ტყის ვენახების ჩირგვებს** შეხვდებით. აქ, კუნძულეთის მაღლობზე, 8x7 კვ. საჟენის ფართობზე **კომპივით დარბაზი დგას**, რომლის 4 საჟენიანი სიმაღლის კედლები უზარმაზარი ლოდებით უკიროდ არის აშენებული და ქვის ფიქალითაა დახურული. კედლები შეურყეველია. იქვე ახლოს უძველესი სასაფლაოა, რომელზედაც **წარწერებია**, ზოგზე **ხუცურის ასოებით**. ზოგზე **ჩემთვის უცნობის ასოებით**. მგონი **ლურსმული** უნდა იყოს. **ქვებს ფორმა ზოგს ცხენისა, ზოგს ხარის, ზოგს სხვა ცხოველის და ზოგს კაცისა აქვთ**. ყველა ეს ქანდაკება დიდის დაკვირვებითაა შესრულებული. რომ აკვირდები, ჰფიქრობ, რა დიდებული ნიჭია აქ გამოჩენილიო. **ა. ფალავანდიშვილმა** მითხრა, მამა – პაპიდან გვაქვს გადმოცემული, რომ არავინ ხელი არ ახლოს მათ. არვინ დაამტკრიოს საფლავების ქვებიო და დასძინა:

– **ეს საფლავი, როგორც ლეგენდა გადმოგცემს, ეკუთვნის ქრისტეს წინა საუკუნეებს და ყველანი მას თვალს ვადევნებთო**. აქ სოფლის ახლო – მახლო და ერთიგ შუა სოფელში სამი ეკლესიის ნანგრევია, როგორც მიაშობო ხსენებულმა **ა. ფალავანდიშვილმა**. აქ 60 კომლი **ფალავანდიშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ 1877 – 78 წლების ომიანობის დროს რუსის მეფის ჯარს ისინი ამოუწყვეტია**.

მხოლოდ ეს **ა. ფალავანდიშვილი გადარჩენილა** და ისიც იმიტომ, რომ იგი, როგორც **ნასწავლი კაცი და რუსულის კარგად მცოდნე, თარჯიმნად წაუყვანიათ**. **ა. ფალავანდიშვილი ქართულსაც კარგად ლაპარაკობს**. რუსული სიტყვების მარაგი მცირე აქვს, მაგრამ რაც იცის, იმას გარკვევით და სუფთად გამოსთქვამს.

იქედან სოფ. **ჭანჭახისაკენ** წამოვდი.

**ჭანჭახი** ნასოფლარია და გადაჰყურებს ზევიდან სოფ. **დიდ სარძევს**. **ჭანჭახში**, სადაც კლდე პატარა გორად ჩამოდის, ქვეშ მშვენიერი მარმარილოს მსგავსი თეთრი ქვების ფიცრებისაგან გაკეთებული მრავალი აუზებია, დაახლოებით 6 საჟენის ფართობზე. ქვები სუფთად გაშალაში-ნებული და ერთი მეორეზეა მიდგმული. აუზს ირგვლივ შემოყოლებული აქვს ერთი მეორიდან, ნახევარი ადლის დაშორებით, **თავჯამა წვრილი ქვის დარები**, რიცხვით 175. აქ ჩვენი ქალები ათასობით ძროხებს მორეკავდნენ, ჩააყენებდნენ წრეში ძროხებს ისე, რომ თავჯამა ძროხის ძუძუს ქვეშ მოქცეულიყო და წველიდნენ. თავჯამიდან რძე აუზში ჩადიოდა, ხოლო ზედა აუზიდან ქვეშ

სოფ. დიდ სარძევეში გამართულ აუზში მოდიოდა. აქ რძეს ანაწილებდნენ, ზოგს ყველისათვის, ზოგს ერბოსათვის და სხვა. მერე მზამზარეული რძის ნაწარმი იგზავნებოდა საქართველოს ყველა ქალაქ – სოფელში. ეს აუზები დღესაც ყველა მთელია, მხოლოდ აქა – იქ მოაჯირების ზედა პირია შელახული და ჯამები მომტვრეული.

სოფ. დიდ სარძევეში მალაკნები 1882 წლიდან ცხოვრობენ, რომლებსაც ქართული სახელი – სარძევე არ მოსწონებიათ და სოფლისათვის „ნიკოლაევკა“ დაურქმევიათ. მაგრამ ქართველი მაჰმადიანები ნიკოლაევკას ისევ სარძევეს უწოდებენ. აქ. სოფ. სარძევეში, მტკვრის პირად, ნახავთ გვირაბის თავს „მდევთა საჭურჭლედ“ წოდებულს, რომლის შესავალ თავთან უზარმაზარი ქვა ძევს. გვირაბის თავი იწყება შუა სოფლიდან და მოდის ვერსნახევრის მანძილზე ჭალაში, მტკვრის პირით, ხსენებულ ქვაბამდე. 1882 წ. აქ პიატიგორსკის რაზმი მდგარა და ჯარისკაცებს აქ თავიანთი საჭიროებისათვის ორმო რომ ამოუთხრიათ, გვირაბის ზემო კედლები ჩაქცეულა და ჯარისკაცები შიგ ჩაცვენილან. მათ ამოსაყვანად ამხანაგები რომ ჩასულან, უნახავთ დიდი მუხის ყუთში ჩაკეტილი საეკლესიო განძი ოქრო – ვერცხლისა, ძვირფასი ქვებით მორთული. ეს განძი ჯარის სარდალს პეტერბურგში (ლენინგრადში) გაუგზავნია.

აქედან სოფ. თაბაქეთში მივედი. აქ 64 კომლი ანუ 607 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.

აქვე, სოფლის მალლობზე, ეკლესიის ნანგრევია. აქედან სოფელ წერეთელუბანში გადმოვედი. ამ სოფელს ახალგაზრდები წერეთუბანს უწოდებენ. აქ 31 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქ დიდი ეკლესიის ნანგრევია. აქვე ორი ვერსის იქით სოფ. წერეთმანია. აქ 20 კომლი ანუ 179 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქვე მალლობზე მეორე წერეთმანია. ეს ნასოფლარია. აქ ერთი ნაეკლესიარია.

აქედან სოფ. ჩადში მივედი. ეს სოფელი ხევშია. აქ 9 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. სოფლის გარეთვე მოზრდილი ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ, ცოტათი მოშორებით, სოფელი ჩიქორაა. აქ 72 კომლი ანუ 360 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.

აქედან სოფ. დადაგულში გადავედი, აქ 126 კომლია ანუ 533 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქ ერთი მოზრდილი გუმბათიანი ეკლესია მდგარა, უძვირფასესი ჩუქურთმებით შემკული, მაგრამ დაუნგრევიათ, და მისი კედლებილა დგას. აქვე ახლოს მეორე სოფ. დადაგულია. ამ სოფელში 140 კომლი ანუ 599 სული ქართველი მაჰმადიანი ბინადრობს. აქ ორი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან ცოტათი მოშორებით სოფ. მანდოთხია. ეს სახელწოდება ალბათ სოფლისათვის ეკლესიების საპატიოდ დაურქმევიათ. აქ ოთხი ეკლესიის ნანგრევია. აქ 18 კომლი ანუ 146 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. შემდეგ არის სოფ. რევაზი. აქ 40 კომლი ანუ 340 სული ქართველი მაჰმადიანია. აქ ერთი მოზრდილი და ლამაზი ჩუქურთმებით შემკული ეკლესია დგას გუმბათით, რომელიც ნახევრად დანგრეულია.

შემდეგ იწყება სოფ. ტბეთი. აქ 45 კომლი ანუ 247 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ სოფ. ხევშია. ეს სოფელი სოფ. ხევშია გაშლილი და ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ხევში. აქ 6 კომლი ანუ 77 სული ქართველი მაჰმადიანია.

აქედან სოფ. ჩაქრაში გადავედი. აქ 20 კომლი ანუ 135 სული ქართველი მაჰმადიანია. რატომ დაურქმევიათ ასეთი ცუდი სახელი ამ სოფლისათვის? არავინ იცის. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლების ნაშთილაა დარჩენილი.

აქედან გადავედი სოფ. **არმადახევში**. არმა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **სულ** ანუ **ყველას**, და კავშირია, ხოლო **ხევი** ქართულია. აქ 26 კომლი ანუ 271 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქ ერთი **პატარა ეკლესიისა და ციხის ნანგრევია**.

აქედან სოფ. **გინდაშენში** ჩამოვედი. აქ 56 კომლი ანუ 387 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქ არის **ორი ეკლესიის ნანგრევი**.

იქვე ახლოს ქვემო **გინდაშენია**. აქ 15 კომლი ანუ 103 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ მივედი სოფ. **კალანდარ – დარაში**. აქ სამი კომლი ანუ 37 სული **ქართველი მაჰმადიანია**. სოფლის გარეთ ერთი **პატარა ეკლესიის ნანგრევია**.

შემდეგ სოფელი **ქირფაშენია**. უფრო სწორეთ იქნება, ვთქვათ **ქორფა – შენი**. აქაც 27 კომლი ანუ 348 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქაც დიდი ეკლესიისა და **პატარა ციხის ნანგრევია**.

შემდეგ მივედი სოფ. **ფალასაში**. აქ ათი კომლი ანუ 129 სული **ქართველი მაჰმადიანია**. სოფ. **ლუმეც** იქვეა. აქ 37 კომლი ანუ 386 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქ კლდის ქვეშ, ღელესთან ერთი **ეკლესიის ნანგრევია**, რომლის მარტო კირში შედუღებული ნანგრევები ყრია.

აქედან სოფ. **ფეთოზანში** გადავედი. აქაც 40 კომლი ანუ 480 **ქართველი მაჰმადიანია**.

აქედან სოფ. **გიორგის უბანში** მივედი. აქაც 19 კომლი ანუ 380 სული **ქართველი მაჰმადიანია**. ერთი **პატარა ეკლესიის ნანგრევია**. შემდეგ სოფელი **მულლაურია**. აქ 10 კომლიანუ 60 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

აქედან გადავედი სოფ. **ლამიანში**. **ლამიანი** ქართული სიტყვაა, ნიშნავს სინესტეს, ანუ წყლის ნარჩენ ტალახს. აქაც 10 კომლი ანუ 139 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

აქედან სოფ. **შუაწყალაა**; აქაც 40 კომლი ანუ 589 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ სოფ. **ხერთვისია**, აქ კი 9 კომლი ანუ 109 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ სოფ. **სათლელია**. აქ 20 კომლი ანუ 346 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

აქედან სოფ. **ქრემია**. აქ 10 კომლია ანუ 120 სული **ქართველი მაჰმადიანია**. ეს სოფელი მაღლობზეა. ამ მაღლობზე დიდი **ციხეა აღმართული**, რომლის 6 – 7 საყენიანი კედლები ამყად გადმოსცქერის მტკვარს. ციხე თითქმის დაუზიანებელია და მეტად ლამაზად გამოიყურება. ციხის კედლებზე მიდგმული სახლები დანგრეულია.

აქვე ახლოს სოფ. **სტეფანწმინდაა**. აქ 22 კომლი ანუ 200 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

შემდეგ სოფ. **ზეინდალია**. **ზეინდალი** ქართული სიტყვაა და ნიშნავს **აბჯრის ჯაჭვის თვალს**. ეს სოფელი ოდესღაც ზევით ყოფილა გაშლილი და მიწის ნძრევის გამო ნახევარი ვერსით ქვეშ ჩამოსულა, ხოლო მის თავზე **მდგარი ჩუქურთმიანი და გუმბათიანი დიდი ტაძარი** ზევით დარჩენილა **სრულიად დაუზიანებლად**. ეკლესიაში **მხატვრობა სრულიად დაუზიანებელია**.

შემდეგ სოფ. **დიღვრია**. ეს სოფელი მტკვრის პირად სწორ ადგილზე დგას. იქვე სახლის ახლოს **პატარა ციხეა**, რომლის მაღალი კედლები ხელუხლებელია. ხოლო სახლები, როგორც ციხის შიგნით, ისე გარეთ დანგრეულია და კედლებილა ჩანს.

ციხის პირდაპირ, მტკვარზე, **თამარისეული ხიდია** გაშენებული. მისი თავები მთელია, მხოლოდ შუა ადგილზე ჩამტვრეულია. აქ 60 კომლი ანუ 606 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

იქვე სოფ. **ჯმაჯუნია**. ესეც ქართული სიტყვაა. ეს სოფელი ტყეში დგას, აქაც **ციხეა...** სოფელს გვერდით დიდი ხევი მიუდის თავისი ღელეთი. აქ 46 ანუ 570 სული **ქართველი მაჰმადიანია**.

სოფ. **ღვინიაც** იქვეა. აქ **გუმბათიანი საშუალო ზომის ეკლესია დგას**. ეკლესია **ხელუხლებელია**. როგორც მიაჩნებს მოხუცებულებმა, მიწისძვრის დროს მრავალ **ჭურის თავებს ვნახულობდითო**. მართლაც, აქ უამრავი ქვევრების ნატეხები ყრია. ოდესღაც აქ ვენახების ზვარი ყოფილა და ქართველები ღვინოს იწევდნენ.

აქედან ერთი ვერსის დაშორებით, სოფელზე უფრო დაბლა, კლდის მწვერვალზე საშუალო ზომის ციხე დგას, რომლის მაღალი კედლები დღესაც მთელია. დასავლეთის მხარეს ციხეს პატარა ღელე უვლის თავის ციცაბო კლდით, ხოლო აღმოსავლეთით მდ. მტკვარი თავისი თვალ-უწვდენელი ხედებით. ციხეს მისასვლელად სოფლიდან პატარა ბილიკი მიუდის და პირდაპირ ციხის კარებს ადგება; ეს ციხე წინეთ მაღლა მდგარა, მაგრამ 1900 წელს მიწისძვრა ყოფილა და ნაწილი კედლისა ჩამონგრეულია, აქ 26 კომლი ანუ 340 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ არის სოფ. ჭაბურია. აქ ოდესღაც ღრმა ჭა ყოფილა, მაგრამ ქართველ მაჰმადიანებს ამოუვსიათ. ჭის თავი დღესაც ჩანს. აქ 30 კომლი ანუ 355 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ არის სოფ. კოდისწყარო. აქ 17 კომლი ანუ 1245 სული ქართველი მაჰმადიანია.

იქვე მეორე კოდისწყაროა, ნასოფლარი.

იქვე სოფ. საჯაა. საჯა თათრული სიტყვა არ არის; მე მგონია, ქართული უნდა იყოს, რადგანაც საჯ ძირია ქართული სიტყვისა. აქ 15 კომლი ანუ 122 სული მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობს.

იქვე სოფ. კაპანია. კაპანი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ქვალოჯს. აქ, მართლაც, ადგილმდებარეობა ღოჯ – ქვებისაგან შედგება და ალბათ ამიტომ დაარქვეს ამ სოფელს კაპანი. აქ 5 კომლი ანუ 66 სული ქართველი მაჰმადიანია.

იქვე სოფ. ჩოჩრევანია. ესეც ქართული სიტყვაა, აქაც 14 კომლი ანუ 156 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ სოფ. კობალაა. ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს ხარის გაბარებას. აქ 9 კომლი ანუ 130 სული ქართველი მაჰმადიანია.

აქვე სოფ. სათიბია. აქ 12 კომლი ანუ 108 სული ქართველი მაჰმადიანია.

იქვე ახლოს სოფ. ბანარხევია, აქ 28 კომლი ანუ 230 სული ქართველი მაჰმადიანია. აქ პატარა ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ იწყება სოფ. სურგიშენი. სურგი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს მიჯნას, საგორაოს. აქ 5 კომლი ანუ 50 სული ქართველი მაჰმადიანია.

იქვეა სოფ. დგას. ამ სოფელს ირგვლივ ტყე არტყია და სოფლის ადგილმდებარეობა ფეხმიუკარებელი თავდადმართია. აქ 9 კომლი ანუ 90 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ არის სოფ. ვარძინა. ვარძინა მე მგონია ქართული სიტყვაა (ლაზი ენათმეცნიერის ციალა ნარაკიძის ცნობით, სიტყვა „ვარძია“ მომდინარეობს ლაზური სიტყვისაგან „ვარძირა“; „ვარ“ არის უარყოფითი ნაწილაკი – „არ“, ხოლო „ძირა“ ნიშნავს „ნახვა“ – ს. ე. ი. „ვარძირა – „არნახვა“, „არნახო“. ქალბატონ ციალას ეს ცნობა მოაქვს სოფელ კვარიათში მცხოვრები ორი მოხუცის ნაამბობიდან. მთქმელები არიან მემედ ნარაკიძე და იუსუფ კაკაბაძე. მასალა ჩაწერილია 1975 წელს სოფელ კვარიათში. შ.გ.). აქაც 20 კომლი ანუ 250 სული ქართველი მაჰმადიანია.

იქვე სოფ. მარცვალეთია; აქ 9 კომლი ანუ 108 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ სოფ. ზედაწმინდაა. აქაც 16 კომლი ანუ 170 სული ქართველი მაჰმადიანია.

აქაც სოფ. ვარხანაა. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 20 კომლი ანუ 240 სული ქართველი მაჰმადიანია.

იქვე სოფ. ობოლია. აქაც 10 კომლი ანუ 180 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ სოფ. ყველია. აქ ქართველი მაჰმადიანები დღესაც ჩინებულ ყველს აკეთებენ. ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის სახელად ყველი.

იქვე სოფ. აღარაა. ეს სიტყვა უარყოფას ნიშნავს ქართულად. აქ სოფლის ციცაბო კლდეზე აღმართულია დიდი ციხე. ეს ციხე დღესაც ხელუხლებელია და მიუვალი. მისი მაღალი და დიდრონკბილებიანი კედლები, როგორც ამაყი დარაჯი, ისე დასცქერის ქვევით სოფელს. ციხე,

როგორც შიგნიდან, ისე გარეთაც ლამაზი სანახავია. შიგ სახლები დანგრეულია. ციხეში წყლის ასაყვანი მილები ყველა მთელია. ციხეს გვირაბიც აქვს, მაგრამ ველარ გავიგე, სად მიდის ეს გვირაბი და ვერც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მითხრეს ამის შესახებ რაიმე. აქ 32 კომლი (ანუ 250 სული) **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ იწყება სოფ. **საიხვე.** აქ უამრავი გარეული იხვი ბუდობს და სოფლისათვის ამიტომაც დაურქმევიათ **საიხვე.** აქ 18 კომლი (ანუ 222 სული) **ქართველი მაჰმადიანია.**

აქედან ცოტა მოშორებით სოფ. **ვაშლია;** აქ ჩინებული ვაშლი ხარობს. ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ მისთვის ასეთი სახელი, **ვაშლია.** აქაც 40 კომლი ანუ 459 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ არის სოფ. **ჯუმათლი.** აქ 31 კომლი ანუ 29 სული **ქართველი მაჰმადიანია.** ეს სოფელი ცნობილია საერთოდ ხილით და მეტად ვაშლით.

მერე არის სოფ. **წურწყაბი.** ესეც ქართული სიტყვაა, აქ 93 კომლი ანუ 920 სული **ქართველი მაჰმადიანია.** მერმე იწყება სოფ. **ხევათი.** აქ 18 კომლი ანუ 202 სული **ქართველი მაჰმადიანია.** ამ ზემოთ აღნიშნულ 34 სოფელში მცხოვრებლებმა **ქართველმა მაჰმადიანებმა თითქმის ყველამ იცის ქართული ლაპარაკი.**

მერე იწყება სოფ. **ხუნაგოსი. ხუნაგოსი** ქართული სიტყვაა და ნიშნავს სასის გასიების ავად-მყოფობას. ღრმად მოხუცებულებმა მითხრეს, რომ ადგილობრივი წყლის წყალობით, ხშირად ხდებიან აქ ბავშვები ხუნაგით ავით და სოფლისათვისაც, ალბათ, იმიტომ დაურქმევიათ ეს სახელი. აქ 28 კომლი ანუ 263 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ეს სოფელი მაღლობზე დგას და მის დაბლობზე ერთი **ლამაზი და სრულიად მთელი პატარა ციხე დგას.** ხოლო სოფელს ზევით **გუმბათიანი ეკლესიაა, რომლისთვისაც ვიღაცას გუმბათი მოუტეხია და კედლებილა დარჩენილა.**

შემდეგ სოფ. **თამარია.** ეს სოფელი განთქმული ყოფილა **ბუნებრივი თბილი აბანოთი,** რომლის კედლები დღესაც მთელია. მხოლოდ აქა – იქ დაზიანებულია. აბანო თეთრი, მარმარილოს მსგავსი ქვების მაზმაროთია შემკული. აბანოს შენობა მოგაგონებთ დამხობილ თუჯის ქვაბს, ვინემ სახლს. აქ 6 კომლი ანუ 60 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ სოფ. **ღვრიაა.** აქ 6 კომლი, ანუ 82 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **ოხთელია.** აქ პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი **ეკლესია** დგას, რომელიც **გეგონებათ, ამ ათი წლის წინეთ აუშენებიათო.** შიგნიდანც **მხატვრობა მშვენივრადაა შენახული.** აქ 14 კომლი ანუ 90 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

იქვე, ახლოს, მდებარეობს სოფ. **სამხლია.** აქ 52 კომლი ანუ 179 სული **ქართველი მაჰმადიანია.**

შემდეგ იწყება სოფ. **მერე.** სოფელი მაღლა სალი კლდის თავზეა გაშლილი. ხოლო ცოტა დაბლა, მთის მაღალ გოხს კალთაზე, სრულიად **მთელი და მაღალ – კბილებიანი ციხე დგას.** რომელიც მტკვრის ღრმა ხეობას ჩასცქერის. აქ 9 კომლი ანუ 153 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ.

აქედან 304 ვერსის იქით სოფ. **ალია.** **ალი** თათრული სიტყვაა და ნიშნავს **აიღეს,** ანუ შეიძლება **ცეცხლის ალსა** ნიშნავს. ეს – ყოველ შემთხვევაში. აქ არც თათრებს და არც სხვა რომელიმე ეროვნებას, გარდა ქართველებისა, არ უცხოვრია და სახელიც ქართული უნდა ერქვას. აქ 42 კომლი ანუ 473 სული **ქართველი მაჰმადიანია.** აქ მცხოვრებლები თითქმის **ყველანი ქართულს ლაპარაკობენ.** აქ სოფლის თავზე, მაღლობზე, ერთი **დიდი და დიდებული ეკლესია დგას.** ეს ეკლესია **გელათის მონასტრის ოდენაა.** ეკლესია სრულიად მთელია, მხოლოდ **გუმბათი,** იქ სადაც **ჯვრის ადგილია,** ერთი **ადლის ფართობზე ჩამტვრეულია.** შიგნით ეკლესიაში ძვირფასი ძველებური მხატვრობა



სრულიად დაცულია. ეკლესიის წინ ერთი დიდი და სუფთად გაშალაშინებული თლილი ქვა გდია, რომელიც თავისი მოყვანილობით ემზავს მოგაგონებს. თვით ეკლესია ძვირფასი ფაქიზი ჩუქურთმებითაა მორთული და გუმბათიც ლამაზი აქვს. ეკლესიის ეზოში სასაფლაოა. მიწა ფხვიერია, და სადაც ფეხს წაჰკრავთ მიწას, ადამიანის ძვლები და ქალა ამოსცვივა. ქართველი მაჰმადიანები ამ ეკლესიას კრძალვით ეპყრობიან. სოფელში ცრუმორწმუნეობაა გამეფებული, თითქოს ეკლესია ღამ – ღამეობით ანათებს. ამის შესახებ ღრმა მოხუცებულმა ა. მიქელაძემ მიაჩნო, რომ ბნელს ღამეში სიკვდილის ანგელოზი მოფრინდება ხოლმე. ჩამოჯდება ეკლესიის გვერდით დიდ ხეზე და როგორც ცეცხლი ანათებსო. გვათვალისწინებს, თუ ვინ არის ბოროტი, რომ წავვიყვანოს, მიგვაბაროს მაჰომედის სასუფეველს და ჯოჯოხეთში ჩაგვაგდოსო.

სოფ. ალის შემდეგ სოფ. საკირეა. ამბობენ, როდესაც ამ ეკლესიას აშენებდნენ, კირს აქ სწვავდნენ და მერე გაშენდა ეს სოფელი და სახელად საკირე დაარქვესო. აქ ერთი პატარა, კარგად შენახული, ციხე დგას. სოფელში 45 კომლიანუ 478 სული ქართველი მაჰმადიანია. ქართულს აქაც თითქმის ყველა ლაპარაკობს.

შემდეგ არის სოფ. ენიქეი. ენიქეი თათრული სიტყვაა და ნიშნავს ახალ სოფელს. წინეთ მას მიქელაძეთა უბანი ჰრქმევია. აქ 30 კომლი ანუ 387 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგ არის სოფ. ჭანჭახი. ეს სოფელი ჩავარდნილ ადგილზეა გაშენებული, რომლის მწვერვალებზე, ერთი მეორის პირდაპირ, ვეებერთელა ციხეები დგას, რომელთაც ქვეშ გიჟი წყარო საშინელის ღრიალით ჩაურბის. სოფელში ერთი პატარა ეკლესია დგას, რომლის კედლები პერანგის ქვისაგან გაცლილია. აქ 30 კომლი ანუ 365 სული ქართველი მაჰმადიანია. აქვე ახლოს მდებარეობს სოფ. არილი. არილი ქართული სიტყვაა, ნიშნავს დასასვენებელ წმინდა ადგილს. აქ 74 კომლი ანუ 1002 სული ქართველი მაჰმადიანია. აქვე ერთი ეკლესიის ნანგრევია.

აქედან ახლოსსოფ. ჩრდილეთია. აქ ქურთები ცხოვრობენ. ეს სოფელი გაშლილია გიჟი წყაროს პირთან, სადაც გაშენებულია თამარისეული დიდებული ბადელას ხიდი. აქედან გადავედი სოფ. დარინ – დარაში. ეს თათრული სიტყვაა და ქართულად ღრმაღელესა ნიშნავს.

– ძველად, ჩვენს მახსოვრობაში, ამ სოფელს ღრმაღელეს ვუწოდებდითო – მითხრა ღრმად მოხუცებულმა თ. ფალავამ.

შემდეგ სოფ. სატყებელია. ესეც ქართული სიტყვაა და ამ სოფელში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ.

შემდეგ არის სოფ. შავწყალა. ეს ნასოფლარია. აქამდე ეს სოფელი შავწყალად იწოდებოდა, ახლა ის დამავლიათ გადმოუნათლავთ.

აქედან ქალაქ არტაანში დავბრუნდი და გზადაგზა ნასოფლარ ქოფალაში გამოვიარე. ეს ნასოფლარი 17 – 18 ვერსით ახლავს ქ. არტაანს. ეს ნასოფლარი გაშლილია ერთ მაღალ მთის კალთის ქვეშ. ძირში მას მტკვარი მოუდის. ჩემის აზრით, სიტყვა ქოფალი დამახინჯებულია. უნდა იყოს – ქობალი ანუ ხორბალი. ქობალი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს პურს, ხოლო ხორბალი – მარცვალა, პური. მიუხედავად არტაანში მოკლენიანი ზაფხულისა, აქ პური კარგად ხარობს და თავის ღირსებით აჭარბებს გარე კახეთის პურს.

აქვე, ახლოს, მდებარეობს ნასოფლარი ყიზილ – ქილისა. ეს სიტყვა ქართულად ნიშნავს ოქროს ეკლესიას. ნასოფლარის ზემოთ, ასე, ასი – ორასი საჟენის დაშორებით, ერთი საკმაო მოზრდილი, ლამაზი და საუკეთესო ღირსების მქონე, თეთრი ქვებისაგან აგებული გუმბათიანი ეკლესიაა აგებული, რომელიც ჟამთა ვითარებას შუაზე გაუხეთქია. ნახევარი, როგორც დიდებული ბანას ტაძარი, დანგრეულია, ნახევარი კი გუმბათით მთელია. მხატვრობა მშვენივრად არის დაცული. ეკლესიის მაღალი ხელოვნების გრეხილები და ნაირ – ნაირი ჩუქურთმები დიდის

ხელოვნებით არის შესრულებული. აქვე, ახლოს, რამდენიმე პატარა – პატარა ეკლესიების ნანგრევებია. არის სხვა ნანგრევებიც, მაგრამ ვერ გავიგე, ციხისაა, თუ გალავნის. შეიძლება, აქ ოდესმე ქალაქი ყოფილიყო.

აქედან 3 ვერსის დაშორებით, მთის კალთაზე, მტკვრის პირად, სოფ. **პანკისია**. აქ ქურთები ცხოვრობენ. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი.

შემდეგ არის ნასოფლარი **ბებერია**; აქ მტკვრის პირად, მთის მაღალ ფერდობზე ერთი დიდი და **ლამაზი ეკლესია ყოფილა გაშენებული**, მაგრამ დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიღა დგას, მშვენიერის **ჩუქურთმებით შემკული**.

შემდეგ არის ნასოფლარი **თუთიყუში**. ეს ნასოფლარი უშნო ადგილზე ყოფილა გაშენებული და ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ **თუთიყუში**. აქაც ქურთები ცხოვრობენ.

აქვე, მთაზე, აღმართულია საშუალო ზომის **ლამაზი ციხე**, რომლის კბილებმოტეხილი კედლებიღაა დარჩენილი. შემდეგ იწყება სოფ. **ქარგალი**. ეს ქართული სიტყვაა. სოფელი მთის მაღლობზეა გაშენებული და ქვეშ მტკვარი ჩაუდის. აქაც ქურთები ცხოვრობენ. **ეკლესიის ნანგრევები** აქაც არის.

ორი ვერსის შემდეგ, ხევის პირად სოფ. **სიხარბეთია**. ეს ქართული სიტყვაა; აქაც ქურთები ცხოვრობენ. სოფლის გარეთ, ნახევარ ვერსის დაშორებით, მაღალ კლდეზე **ციხე** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიღა გადარჩენილა.

შემდეგ იწყება სოფ. **დამალი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც ქურთები ცხოვრობენ. სოფლის ზემოთ, მთის წვერზე, საშუალო ზომის **ციხე** დგას, რომლის კედლებიც აქა – იქ ჩამონგრეულია.

შემდეგ სოფ. **ბანიკია**. იგი მთის ქვედა კალთებზეა გაშენებული, ხოლო ზემო კალთაზე დიდი ზომის **ეკლესია** მდგარა, მაგრამ დანგრეულა და **მისი მაღალი კედლები სვეტებივით დგას**; ეტყობა, ეკლესია **უადრესი ხუროთმოძღვრული ხელოვნებით** ყოფილა აშენებული.

ამის შემდეგ იწყება სოფ. **დიდი ყურთ-ოღლი**, რაც ნიშნავს დიდი მგლის შვილს. აქაც ქურთები ცხოვრობენ. სოფლის გარეთ, მთის მწვერვალამდე საშუალო ზომის **ეკლესია**აა აღმართული, მაგრამ ისიც პერანგის ქვებისაგან არის გაძარცვული.

ამ სოფლიდან ორი ვერსის იქით **პატარა ყურტყ – ოღლია**. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქაც მთის მაღლობზე **ეკლესია** დგას, მაგრამ პერანგი ქვებისაგან გაძარცვულია.

შემდეგ არის ნასოფლარი „შავ“ – ი.

მერე კიდევ ნასოფლარი „**კბლი**“ – ა. **კბლიც** შეცთომია, უნდა იყოს **კბილი**.

შემდეგ სოფ. **ლეემლია**. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქაც მოზრდილი **ეკლესია** დგას, მაგრამ პერანგი ქვებისაგან გაძარცვულია.

შემდეგი სოფ. **ომარ – აღა**. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქედან ორი ვერსის დაშორებით სოფ. **ჩალაბაშია**. ამ სოფელს წინათ **თავ – ჩალას** ეძახდნენ თურმე და ქურთებს **ჩალაბაში** დაურქმევიათ, ე.ი. ქართული სიტყვა თათრულად გადაუთარგმნიათ. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქ სოფლის ზევით მთის მაღლობზე დიდი **ეკლესია** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ და მისი კედლებიღა დარჩენილა.

აქედან 4 ვერსზე დაშორებით, ყარსის მიმართულებით, **თამარისეული შარას** პირად, სოფ. **ხასეია**. ქართველი მაჰმადიანები ამ სოფელს **კარგსოფელს** უწოდებდნენ თურმე, მაგრამ რუსის მეფის მთავრობას **1878 წლის შემდეგ ამოუხოცნიათ** ისინი და ზოგიც **სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები** ციმბირში გადაუგზავნია. აქ დასახლებულან ქურთები და კარგი სოფელი **ხასეიად** მოუნათლავთ. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქ ერთი საშუალო ზომის ეკლესიის ნანგრევი

და **ორი ციხის**; ერთი პატარა და მეორე დიდი. დიდი ციხე მთელია, პატარა – დანგრეულია და მხოლოდ მისი კედლები გადარჩენილა.

აქედან სამი ვერსის შემდეგ **თამარისეული შარა – გზის პირად**, ხევის ფერდობზე, გაშლილია სოფ. **ხევის კარი**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ ნასოფლარია **შინაუა**. მოხუცმა **ქართველმა მაჰმადიანებმა** მითხრეს, რომ ამ ნასოფლარის სახელად **შინაური** დაურქმევიათო. აქ **ეკლესია** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ.

აქედან შორს, ოლთისის ოლქის მიმართულებით, სოფ. **მწყემსის – კეხია**. მაგრამ ეს სახელი ადგილობრივ **ქურთებს ჩობან – კეხად** გადაუნათლავთ. სოფელი გაშლილია საშუალო სიმაღლის მთის კალთაზე, რომლის მწვერვალი უნაგირის კეხივით ჩაზნექილია და, ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **მწყემსის კეხი**. ძველად სოფელში განსაკუთრებით მწყემსებს უცხოვრიათ. მაგრამ რუსის მეფის სარდლობას **ქართველი მაჰმადიანები ამოუხოციათ** და აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც **ეკლესია** მდგარა, მაგრამ ქურთებს დაუნგრევიათ და მისი კედლებილაც დარჩენილი. მთაზე პატარა **ციხე** მდგარა, მაგრამ ესეც დაუნგრევიათ და მისი კედლების გარდა არა დარჩენილა რა.

აქედან მე – 4 ვერსზე დიდ და განიერ ხოშორქვიანს ველზე სამი ვერსის ფართობი შამბნარიანი უქვო მინდორია, რომელიც ირგვლივ გალავნის მსგავსი ბრტყელ და მაღალი მთით შემოზღუდულია; მაგრამ აღმოსავლეთით თითქო მთას სიგრძე არ ყოფნიათო, ათი საჟენის ფართობზე კარი ღია დარჩენილა. შიგნით ამ შამბნარში **40 წყაროა**, რომლებიც მიწის ქვეშიდან ზევით, ნაბუვარი ადლის მოცულობის სიმსხო, როგორც შადრევანი, ცემს, დგება ადლის სიმაღლეზე ტბა და ღია კარებთან მოსული თანდათან ვიწროვდება, იღებს მდინარის სახეს და სამი საჟენის ფართობი ჯერ სწორად და შემდეგ გველივით მიხვეულ – მოხვეული უახლოვდება მეოცდაათე ვერსზე ხევს და, ვით დაჭრილი ლომი, ყვირილით ექანება ქვეშ, ქ. არტაანისაკენ. **წყალი, როგორც ალმასი, წმინდაა, ცივი, ანკარა**, რომელშიაც პატარ – პატარა კალმახები დასრიალებენ და ეთამაშებიან მზის სხივებს. აქ, გასავალ კართან, ვიღაცას ძვირფასი მარმარილოს დიდრონი ქვის ფიცრებიდან აღუმართავს გუმბათიანი ეგვიპტე, წინ მარმარილოსავე ონკანით და ქორონიკონი „**უ ო ვ**“ (476) **ხუცურად წაუწერიათ**. წარწერა ვიღაცას რკინის იარაღით გაუფუჭებია და ამოკითხვა მნელია. მე ამოვიკითხე და აზრი **წარწერისაც** დაახლოებით ამ შინაარსისაა: ვიღაც საქართველოს მეფეს **უოვ წელს** დაღუპვია ამ მტკვრის სათავეში ბანაობის დროს ქალიშვილი და სახსოვრად იმ დამხრჩვალ ქალიშვილისა აუშენებია ეს გუმბათიანი ეგვიპტე თავისი ონკანით, რათა ვინც წყალს მიირთმევდა, შეეთვალა მისი ასულისათვის შენდობა. წარწერა ვრცელია, მაგრამ მისი ამოკითხვა ვერ შევძელი (უშავსაღებოთ) უთვალთვალად.

მტკვრის სათავეს დათვალიერების შემდეგ გადავედი სოფ. **ორდინაქში**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფ. **უჩიკილისა**, რაც, ჩემის აზრით, „**სამი ეკლესიის**“ თარგმანია. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. ბერძნებს სოფლის სახელი არ მოწონებიათ და **სამი ეკლესია უჩიკილისად** გადაუთარგმნიათ. როგორც მითხრეს, ბერძნები აქ **გადმოსახლებულან 1878 წელს**. **ქართველ მაჰმადიანების ამოჟლეტის შემდეგ**.

სოფელში მართლაც **ეკლესია** მდგარა, მაგრამ ბერძნებს პერანგის ქვეები ჩამოუღიათ. აუშენებიათ ერთი ეკლესია და რაც ქვეები გადარჩენილა, თავიანთთვის სახლები აუშენებიათ.

შემდეგ იწყება სოფ. **ვარგენეს**. აქაც **სამი ეკლესია** ყოფილა. ერთი მათგანი, რომელიც სოფელში მდგარა, ადგილობრივ **ბერძნებს დაუნგრევიათ** და მის ადგილზე აუშენებიათ თავიანთთვის ეკლესია, ხოლო დანარჩენი ორი ეკლესია ჯერ გაუძარცვიათ პერანგის ქვეებისაგან და მერე

დაუნგრევიათ. ხოლო **ბალავერი და ტრაპეზის ქვები ხელუხლებელი დაუტოვებიათ**. მაღალ მთაზე, სოფლის მოშორებით, **ხელუხლებლად დგას დიდი ეკლესია, რომელსაც ბერძნები ნაცვლად ღვთისმშობლისა, წმინდა ილიასას უწოდებენ**.

შემდეგ ტრიალ მინდორზე სოფ. **არფაშენია**. არფა თათრული სიტყვაა და ნიშნავს **პურს**, მაგრამ მე ვფიქრობ **არფა** არ უნდა იყოს, არამედ **აზა – შენია**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე, ახლოს, სოფ. **მერდენევისაკენ** სოფ. **თელიოღლია**. ეს ქურთიადას სახელია. შეიძლება ვინმე მდიდარმა ქურთმა, როგორც სოფლის მბრძანებელმა, მიითვისა სოფელი და მას თავისი სახელი უწოდა. აქ სოფლის გარეთ **ეკლესიის** ნანგრევი ჩანს.

შემდეგ მდებარეობს სოფ. **ხირშიანი**. ეს სიტყვა დამახინჯებულია, რადგანაც **ხირ** არც ქართულში, არც თათრულში, არც სომხურში არ მოიპოება. ამიტომ სინამდვილეში სოფლის სახელი **პირ – მზიანი** უნდა იყოს და არა **ხირ – მზიანი**. ეს სოფელი მაღლობსა და ღია ადგილზე დგას; მზიან დღეს დილიდან საღამომდე მზე დასცქერის ზედ. აქ სამი **ეკლესია დგას**, ორი დანგრეულია და მისი კედლებიდაა დარჩენილი, მესამე კი **ხელუხლებელია და მთელი დგას**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე, ახლოს, ნასოფლარი **არფა – ერმაზია**. ეს სახელი თათრულია და ქართულად ნიშნავს „**ქერიარხარობს**“. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

იქვე ნასოფლარი **სინაბეზანია**. აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევი. შემდეგ იწყება ნასოფლარები **ხარაბახევი**. **ხარაბა** თათრული სიტყვაა, ნიშნავს **ცარიელი, აოხრებული**. ე.ი. **აოხრებული ხევი**. აქ **ორი ეკლესიაა**. პატარა ეკლესია, რომელიც ნასოფლარშია და დანგრეული, მეორე თვით ნასოფლარის ხევის გარეთ, ისიც დანგრეულია და კედლებიდა დგას.

იქვე **არხი – ოღლია**. **არხი – ოღლი** ქართულად ნიშნავს **გამხდარ შვილს**.

შემდეგ ორი დიდი ხევის პირზე დგას სოფ. **ხევი**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი დიდი **ეკლესიის** ნანგრევი.

ხევის ცოტა დაშორებით სოფ. **კუნდრუკია** გამლილი. კუნდრუკი ქართული სიტყვაა, **გუნდრუკსა** ნიშნავს. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე ნასოფლარი **ქამარბელია**. აქ დიდი **ეკლესიაა**, რომელიც დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიდა დგას.

იქვე დაშორებით სოფ. **ფლორშანია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **ოღჩევანი**. ეს ქართული სიტყვაა.

მეორე სოფელი **ხარაბა – ალთუნაბულახია** და ნიშნავს **გაოხრებულ ოქროს წყაროს**. აქ ეტყობა რომ მშვენიერი აუზი ყოფილა წყაროს თავზე, მაგრამ სანახევროდ დაუნგრევიათ და მისი მაღალი კედლებიდა დარჩენილა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე სოფ. **ზვინია**. ზვინი ქართული სიტყვაა. ეს სოფელი, მართლაც, იმერულ ზვინსა ჰგავს; აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება **ხომ – დოღბანდი**. ეს თათრული სიტყვაა. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე, სამი ვერსის დაშორებით, სოფ. **ამურია**. აქ 6 კომლი ანუ 58 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს.

შემდეგ ჩრდილოეთით **დემურ – ყაფია**. ადგილობრივმა ბერძნებმა მითხრეს, რომ ჩვენ აქ მოსვლამდე, **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობდნენ. ამას **რკინის კარს** უწოდებდნენო, მაგრამ ჩვენ **დემურ – ყაფად** გადმოვთარგმნეთო. აქ ერთი ეკლესია ყოფილა, მაგრამ **ადგილობრივ ბერძნებს დაუნგრევიათ** და მისის ქვებით თავისათვის ეკლესია გაუშენებიათ.

აქედან ერთი ვერსის დაშორებით სოფ. **თათრის დემურ – ყაფია**, აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

იქვე ნასოფლარი **შავი – ციხეა**. სოფლის ახლოს დიდი მთაა, რომლის მწვერვალზე შავი ქვი-საგან ერთი დიდი ციხეა გაშენებული. **ციხე მთელია** და მეტად ლამაზი. ციხეზე ასავალი გზაც მეტად საშიშია.

სანამ კაცი იქ ავიდოდეს, 4 – 5 ჯერ უნდა დაისვენოს. ამ ციხეს წყლის ამოსაყვანი მილები ჩაუდის ქვეშ. მაგრამ მდინარე იქ ახლო – მახლოს არ არის და არ ვიცი, საიდან ამოჰქონდათ წყალი.

ციხიდან გამოსული მოვედი ნასოფლარ **ხერთეოზში**. ხერთეოზი, ე.ი. **ხერთვისი**, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ჭალაკს**. აქ ერთი დიდი **ეკლესია** მდგარა მთაზე. მაგრამ დღეს მარტომისი მაღალი კედლები – ღაა დარჩენილი.

**ხერთეოზიდან** ჩამოსული მოვედი ნასოფლარ **მაღალი – ჯიხაში**. **ჯიხა** ქართული სიტყვაა და ნიშნავს **კოშკს**. მთის მწვერვალზე ამ **კოშკის გიგანტური სიმაღლის კედლები დღესაცა დგას**.

აქედან წამოვედი სოფ. **ტახტაკრანში**. სიტყვა **ტახტაკრანი** თათრულია, და ნიშნავს **ფიცრებს**. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც ეკლესია მდგარა, მაგრამ **ბერძნებს დაუნგრევიათ** და მისი ქვებით ახალი ეკლესია აუშენებიათ.

შემდეგ სოფ. **ტეხაშენია**. აქ **ხუთი ეკლესია მდგარა**, მაგრამ ზოგი სრულიად დანგრეულია და კირში შედუღებული ქვები ყრია, **ორი კი მთელია**, ქვის ფიქალით დახურული. ადგილობრივი **ბერძნები ერთ – ერთ ამ ეკლესიას წმ. სოფიოს ეკლესიას უწოდებენ, მეორეს – წმინდა გიორგისას**.

სოფ. **ტეხაშენის** შემდეგ ნასოფლარი **გუმბათია**. ესეც ქართული სიტყვაა და თვით ადგილიც გუმბათსა ჰგავს თავისი აბურთული ადგილ – მდებარეობით. ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **გუმბათი**. აქ სოფელში ერთი **ეკლესიის ნანგრევია**.

სოფ. **სანამ – ოლიც** აქვე ახლოა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ყოფილა **ეკლესიის** ნანგრევი.

ერთი ვერსის დაშორებით ნასოფლარი **ფალ – ოლია**. აქაც ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ კიდევ ნასოფლარი **ფურქი – ფულია**.

აქედან მეოთხე ვერსზე არის სოფ. **პირ – დამალვა**. ეს ქართული სიტყვაა. აქაც არის ერთი **ეკლესიის** ნანგრევი.

შემდეგ არის სოფ. **კიალზი – ქალი** (კერპი ქალი?). აქ **სამი ეკლესია** მდგარა. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება ნასოფლარი **კეხი**. ეს ადგილი, სადაც სოფელი ყოფილა გაშენებული, ძალიან ჰგავს **კეხს** და ალბათ ამიტომ დაურქმევიათ **კეხი**.

შემდეგ სოფ. **თოფ – დაშია**. ეს სიტყვა თათრულია და ნიშნავს **ქვათაგროვას**. მართლაც, აქ ქვები გროვებად ყრია. აქ, **ქურთები** ცხოვრობენ. სოფლის გარეთ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **ლაუსტანია**. აქ 5 კომლი ანუ 50 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქაც ერთი **ეკლესია** მდგარა, რომლის დაბალი კედლებიღაა დარჩენილი.

იქვე სოფ. **შაქია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქ სოფლის გარეთ დიდ და მაღალ კლდეზე **ციხე** დგას, რომლის დაუზიანებელი კედლები ქვეშ მტკვრის გაღმა სოფელს გადაჰყურებს.

იქვე ახლოს ნასოფლარი **სამი – ყრანია** (ამ სოფელს **სამი ონკანი ნარქმევა**, მაგრამ რუსებს **სამი კრანტი** დაურქმევიათ. მათ აქ მხოლოდ სამი წელიწადი უცხოვრიათ და შემდეგ თვითონ დასახლებულან).

აქედან სამი ვერსის დაშორებით სოფ. **ჩულია**. **ჩული** ქართული სიტყვაა და ჰქვიან **ცხენზე მოსახურავს**. აქ 1877 წლამდე **ქართველ მაჰმადიანებს** უცხოვრიათ. შემდეგ **რუსის მეფის ჯარს ისინი ომის დროს ამოუხოცნიათ**. სოფელი გავერანებულა... აქ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

აქვეა სოფ. **ყარა – თათოხია**. ეს თათრული სიტყვაა და ნიშნავს **შავ – ქათამს**. აქ ერთი **ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ სოფ. **ლალა – ვარგან – ესია** (ლალა თათრულია და ნიშნავს მოადგილეს). აქ ქურთები ცხოვრობენ. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

იქვე შორი – ახლოს სოფ. **ბულა – თაფა**. (ბულა ქართულია, თაფა – თათრული და ნიშნავს მთას) აქ ერთი ეკლესიის ნანგრევი. აქ **მალაკნები** ცხოვრობენ და სოფლისათვის **ნოვია ვორონცოვკა** დაურქმევიათ.

მერე იწყება სოფ. **ოჩხი** (ქართული სიტყვაა და ნიშნავს თევზის საბუნავოს. **ოჩხი, ოჩხომური**). აქ ქურთები ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფ. **ბულა – თაფა**. აქაც **მალაკნები** ცხოვრობენ და სოფლისათვის **ვორონცოვკა** დაურქმევიათ. იქვე, შორი – ახლოს, მდებარეობს საკვანძო სოფელი **მერდენეჯი**. მას სამი გზა სჭრის: ყარსი – აზრუმი და ახალქალაქ – არტაანი – მერდენეჯი. ყველა ესენი **თამარისეული შარა გზებია**. ეს სოფელი თავისი სტრატეგიულის მნიშვნელობით ყოველთვის ომის ბედის გადამწყვეტი იყო. აქ **სამი ეკლესია** და ერთი პატარა **ციხე** მდგარა. ისინი 1877 – 78 წლის ომის დროს დაუნგრევიათ და მათი ნაშთილა ჩანს. ამ სოფლიდან დასავლეთით ორი ვერსის სიმაღლე მთაა, რომელზედაც აღმართულია ცნობილი **ქორ – ოღლისციხე**, რომელსაც მაჰმადიანები **ქაჯეთის ციხეს** უწოდებენ. ეს **ციხე მგლის ციხეზე უფრო დიდია და მიუვალი**. ციხის გალავანი მეტად მაღალია. მისი ფართობი ნახევარ ვერსს უდრის. შიგნით გალავანში გიგანტური სიმაღლის კოშკია აღმართული თავისი სახლებით, მაგრამ სახლები დაუნგრევიათ და აქა – იქ საფეხურები ჩამონგრეული აქვს. ზედ ასვლას დიდი გაბედულება უნდა. ციხეს **ბარდის წყარო** უვლის, რომელიც მიუხედავად თავისი სიდიდისა, შავ ზონრად მოჩანს ქვევიდან. **ქოროღლის ციხე ყოველი მხრივ შესანიშნავია და მტრისათვის მიუვალი**.

აქედან გადავდივართ სოფ. **მხკერეკში**. **მხკერეკში** ორი ეკლესიის ნანგრევი. აქ ქურთები ცხოვრობენ.

აქედან სამი ვერსის იქით სოფ. **სალუქია**. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. ერთი ეკლესია აქაც ყოფილა აღმართული, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს პერანგის ქვებისგან გაუძარცვავთ. ეკლესიის ქვებით თავიანთთვის უშნო ეკლესია გაუშენებიათ. სიტყვა **სალუქი** ქართულია და ნიშნავს **შემკობის მოყვარეს**.

**სალუქიდან** ჩრდილოეთისაკენ, მთის ფერდობზე, გაშლილია სოფ. **მუზარეთი**. **მუზარეთი** სოფ. **მერდენეჯს** ტრიალი მინდვრით სამი ვერსით ახლავს. ეს სოფელი განთქმულია უდიდესი ღირსების **ნარზანის წყლით**, რომლის დღე – ღამის დებეტი, როგორც ეს უკვე დამტკიცებულია, 15.000 ვედროს უდრის. ეს წყალი ცოტათი მოთბობა, მაგრამ სასიამოვნო სასმელი. მის არხში ნალექიც არის. ეს ნალექი, როგორც ექიმები ირწმუნებიან, **გამოსადეგია რევმატიზმისა და სხვა ამგვარ სნეულებათა სამკურნალოდ**. ნალექი ღრმად, ამბობენ სამ საჟენზე მეტიაო. მაგრამ იქ ჩასული კაცი მკერდზე ზევით არ იძირება. ამ **მუზარეთის ნარზანმა** არტაანის ოლქიდან განდევნა ბორჯომისა და კავკასიის მინერალური წყლები. სოფ. **მუზარეთში ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც **ორი ეკლესია** და **ერთი ციხე** ყოფილა აღმართული, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს პერანგის ქვისაგან გაუძარცვიათ და თავიანთთვის ეკლესია და საცხოვრებელი სახლები გაუშენებიათ.

აქ შორი – ახლოს თავდება **არტაანის ოლქი** და იწყება **ოლთისი**, აღუნდირის სადგურთან, მერდენეჯიდან 25 ვერსის იქით.

ამიტომ სოფ. **მუზარეთიდან** უკან მოვბრუნდი და **თამარისეული** მეორე გზით მოვედი სოფ. **შარაფში**, რომელიც მერდენეჯს ახლავს აქეთ სამ ვერსზე. სოფ. **შარაფი** მცირე ბორცვის კალთაზე, ზედ **თამარისეულ შარა გზაზე**, დგას. (სიტყვა **შარაფი** ქართული სიტყვაა და წარმოდგება **შა-**

რასაგან, ხოლო „ფ“ ზედნართი). აქ ერთი ეკლესია დგას პერანგის ქვებისაგან გამარცვლი. აქ ბერძნები ცხოვრობენ. აქედან თამარისეული შარა – გზის გასწვრივ ორ ვერსზე სოფ. ქვეშარია. (ქვეშარი ქართული სიტყვაა, და ნიშნავს ჩვენების ნიშანს – ქვეშ არის). ეს სოფელიც, როგორც შარაფი, ბორცვის კალთაზეა გაშენებული, თამარისეულ შარა გზაზე. აქაც ბერძნები ცხოვრობენ. აქაც არის ერთი ეკლესიაა პერანგის ქვებისაგან გამარცვლი.

მერე არის ნასოფლარი იზლამ – ყალა, ანუ ისლამის ციხე. აქ სოფელთან მთის წვერზე ერთი ციხე დგას. ციხე დაუზიანებელია და მეტად ლამაზი. მაღლა, ექვსი საჟენის სიმაღლეზე, ხუცურად წარწერა აქვს, მაგრამ სიმაღლის გამო ვერ გავარჩიე.

შემდეგ არის სოფ. დადა – შენი. აქაც ეკლესიის ნანგრევია. აქ 56 კომლი ( ანუ 521 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქაც არის საშუალო ზომის ლამაზი ეკლესია, რომელსაც გუმბათი მოტეხილი აქვს. დაუზიანებელი მხოლოდ კედლებია.

შემდეგ სოფ. ურუთია. აქ 14 კომლი (ანუ 80 სული) ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. დანარჩენი 16 კომლი სომეხ კახთაგნებია. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევი ყრია.

შემდეგ სოფ. ქონქია. ესეც, როგორც ურუთი, ქართული სიტყვაა, ორნაირია მნიშვნელობით: კამარა და ტაშტი. აქაც ეკლესიის ნანგრევია. აქ ბერძნები ცხოვრობენ.

იქვე ახლოს დორთქილისაა, ანუ ოთხი ეკლესია. მართლაც, სოფელში ოთხი ეკლესიის ნანგრევია და მათი კედლებილა დგას.

აქვე ახლოს სოფ. იორამია(იორამი ბიძის ადგილსა ჰქვიან თათრულად). აქ მთის მაღლობზე პატარა ციხე დგას, რომლის კედლები ნახევრად დანგრეულია.

შემდეგ იწყება სოფ. სამსალაქი. ეს სიტყვა დამახინჯებულია. უნდა იყოს სამსალაგას. მართლაც, ერთი მეორის დაშორებითაქ სამი საყდარი ყოფილა, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებლებს პერანგის ქვებისაგან გაუმარცვავთ და ამ ქვისაგან ერთი ეკლესია და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი აუშენებიათ. აქაც ბერძნები ცხოვრობენ. შემდეგ იწყება მტკვრის გადაღმა, თამარისეულ შარას პირად, სოფ. თურქი – შენი. თურქული შენი ქართული სიტყვაა. აქაც სამი ეკლესიის ნანგრევია. აქაც ბერძნები ცხოვრობენ.

იქვე ახლოს ნასოფლარი ლარიხევის კარია. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქაც ბერძნები ცხოვრობენ.

იქვე ახლოს ნასოფლარი ლარიხევის კარია. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ არის სოფ. ყიზილ – ქილისა, რაც ნიშნავს ოქროს საყდარს. აქ ორი ეკლესიის ნანგრევია, რომლებს მარტო დაბალი კედლებილა დარჩენილა. აქ ქურთები ცხოვრობენ.

შემდეგ ნასოფლარი კალანდაა. ეგეც ქართული სიტყვაა. აქაც არის ეკლესიის ნანგრევი.

აქედან, მთის გადაღმა, სოფ. ყორე – ვანია. ესეც ქართული სიტყვაა. აქ ქურთები ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება ნასოფლარი თეთრი ქოში. აქ, ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის კედლებილა დგას და ისიც პერანგის ქვებისაგან გამარცვლი.

იქვე სოფ. ჩოლფენიაკია. აქ ქურთები ცხოვრობენ. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი.

შემდეგ იწყება ნასოფლარი შიგა – მელია.

შემდეგ სოფ. ორი ქილისაა, ე.ი. ორი ეკლესია. აქ მართლაც ორი ეკლესიის ნანგრევია. აქ ქურთები ცხოვრობენ.

აქედან გადმოვედი სოფ. ფონადიქში. აქაც ქურთები ცხოვრობენ. აქაც მაღლობზე ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ, მთის მაღალ კალთაზე სოფ. სასადილოა. აქ კათოლიკე სომხები ცხოვრობენ. ქართველ მაჰმადიანმა მამიამბო, რომ ისინი სოფ. ოქროზაგეთიდან (ართვინის ოლქი) გადმოვიდნენო

ურუთელების დახმარებით 1892 წელს, ღამე იარაღით ხელში თავს დაგვესხნენო, გამოგვყარეს სახლებიდან და ჩვენს სახლებში თითონ დასახლდნენო.

აქ ერთი პატარა სოფელია ჩამურდა. მალაკნები ცხოვრობენ 1896 წლიდან. სოფელს რუსული სახელი მურავიოვკა დაარქვეს.

იქვეა სოფ. ჯოჯორია. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 26 კომლი ანუ 315 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქ ერთი საშუალო ზომის, სრულიად მთელი, დაუზიანებელი და ჩუქურთმებით შემკული ეკლესიაა. მხატვრობა ეკლესიის შიგნით ძვირფასი ხელოვნებითაა შესრულებული. არსად არ არის დაზიანებული. როგორც წარწერებიდანაც ჩანს, მეთერთმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელს ეკლესია გაუშენებია.

იქვე ნასოფლარი ასკილია, რაც ნიშნავს თეთრ ტაძარს. როგორც მითხრა ა. დიასამიძემ (სოფ. ჯოჯორიდანაა). 1878 წლამდე ამ სოფელს თეთრ საყდარს ვუწოდებდითო. მართლაც, აქ მშვენიერი თეთრი თლილი ქვისაგან ნაგები ეკლესიაა. ეკლესიას სახურავი ფიქალი ქვებისა აქვს. ეკლესიას მუხის კარიც ჰქონია, მაგრამ ის ვიღაცას ჩამოუღია. იქვე ნასოფლარი პეტრე – პავლეა. სოფლის მალა, მთაზე, ერთი ეკლესია დგას, რომლის კედლები გადარჩენოდა.

აქვე ნასოფლარიაჯამეთია. აქ ერთი დიდი და მშვენიერი ეკლესია დგას. შიგნით, სურათებს შორის ქართულ – ხუცური წარწერებია, მაგრამ ვიღაცას ადგილ – ადგილ მოუფხვკია.

შემდეგ იწყება ნასოფლარი არდადექი. არ დადექი, ეს ქართული სიტყვაა. აქაც ეკლესიის ნანგრევია.

შემდეგ ნასოფლარი შავიჯიხაა. აქ ერთი დიდი ციხე დგას მაღალ მთის მწვერვალზე. მისი გალავანი ჩვეულებრივზე მაღალია. გალავანში კოშკი დგას, რომლის სიმაღლე ორი საყენით მეტი იქნება გალავანზე. ციხეს გალავანი კლდიდან, არტაანის ციხის მსგავსად, ჩამოუდის ქვეშ და იქვე მტკვრის პირად უერთდება მის მეორე გალავანს და მერე ადის მაღლა.

აქედან იწყება ნასოფლარი ზირა – შენი. ესეც ქართული სიტყვაა. აქ ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევები დგას.

შემდეგ ნასოფლარი მირიანია. აქ მაღლობზე დიდი ეკლესია მდგარა, რომლის ვეებერთელა კედლებიღა გადარჩენილა.

იქვე ნასოფლარი აბადელიაა. აქვე მაღლობზე სამი პატარა ციხეა. სამივე ციხის კედლები მთელია.

შემდეგ ნასოფლარი სამოთხეა. აქ ერთი ციხედგას, მარტო კედლებიღა გადარჩენია. იქვე პატარა ეკლესიის ნაშთია, ადგილმდებარეობა ძალიან ლამაზი და მომხიბლავია. მწვანე ხალიჩასავით გაშლილი ხვედროვანი ფიჭვნარის ლამაზი ტყე უფრო ამკობს ციხის მშვენიერებას.

შემდეგ კარგა მოშორებით ნასოფლარი აქიფერისმაა. აქ დიდი ლამაზი ჩუქურთმებით შემკული ეკლესია დგას. ეკლესია დაუზიანებელია და როგორც შიგნით, ისე გარეთ ხუცური წარწერები აქვს.

შემდეგ იწყება ნასოფლარი ყარაბახი. აქაც ერთი ეკლესიაა, რომელიც ნახევრად დანგრეულია, მაგრამ სახურავი დაუზიანებელია.

შემდეგ სოფ. ალაგიოზია. აქ ყარაფაფახები ცხოვრობენ. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. სულ არტაანის ოლქში 331 სოფელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მაჰმადიანები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ჩვენ მამა – პაპათა კულტურულ ძეგლებს.

დასასრული I რვეულისა.

კ. მარტვილელი/კ. ოდიშარია/

ქ. არტაანი, 1915 წ., 20 ივნისი.



# კონსტანტინე ოდიშარიას წერილები ბაგმით „საქართველოდან“

(შენახულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში)

კ. მარტვილელი  
(კ. ოდიშარია)

## „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“, I

არტაანის ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გამგეობის დავალებით დავიარე არტაანის და ჩილდირის საპოლიციო ნაწილში მდებარე სოფლები და შევკრიბე ბრძოლის დროს დაზარალებული იქ მცხოვრებ ქართველებისა და ქართველ მაჰმადიანების შესახებ ცნობები. წარსულ წლის გიორგობის თვეში გავემგზავრე სოფლების დასათვალიერებლად.

სოფელში ჩამოსული ჩამოვხდებოდი ხოლმე ვინმე საპატიო ქართველ მაჰმადიანის სახლში, ვსთხოვდი, დაეძახნა იმავე სოფელში მცხოვრებ ყველა საპატიოთ მიჩნეული ქართველი მაჰმადიანის სახლიდან თითო უფროსი პირისათვის და როცა შეიკრიბებოდნენ, ჯერ დაწვრილებით გავაცნობდი ყველა იქ მყოფთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებას და შემდეგ რამდენიმე საპატიო პირის თანხლებით შევდიოდი მათ სახლებში, რომ ჩემივე თვალთ დასაყრდენად მათი მოძრავი ქონება და ოჯახური მდგომარეობა. თოვლიანი ქარბუქის გამო თითქმის ყველანი სახლში იყვნენ და თუ რამ საქონელიც ჰყავდათ, იქვე სახლში ებათ; ასე რომ, მთელი მათი ქონება დაუმალავად შემემძლო ჩემი თვალთ მენახა.

ბევრი ამ ღარიბ – დატაკთა სახლი შედგება ქვების ყორესაგან აყვანილ ოთხ – კედლისაგან. ზევიდან დახურულია მიწით, ბევრ სახლსკარებიც არა აქვს. რადგანაც არტაანში თათრის ჯარის შემოსვლის დროს, უკან წამოსულ რუსის ჯარს, შეშის უქონლობის გამო სახლები დაუნგრევიათ დაზოგისაც კარები ჩამოუღიათ და დაუწვავთ. ბევრს ალაგას ასეთ დანგრეულ და უკარო სახლში შესვლის დროს წინ, გზისმაჩვენებლად, ერთი კაცი მიმიძღოდა. დანარჩენი უკან მომყვებოდნენ. ერთ სრულიად ბნელ და მიწურ ოთახში, სადაც ფანჯრის უქონლობის გამო, სინათლე საკომლედან შემოდოდა, იქვე კუთხეში ნესტიან კედელზე პატარა-პატარა ბოძებით მიკრული იყო, ფიცრების უქონლობის გამო ჯოხებისაგან გაკეთებული ერთი განიერი და მოკლე ტახტი, რომელზედაც ეყარა სქლად თივა და სახლში მყოფთა საგებ-სახურავი ეს იყო. სახლის კედელზე აყოლებულ ღია ბუხარში, თუმცა წივის მყრალი და ბოლიანი ცეცხლი ენთო, მაგრამ მაინც შესამჩნევად ციოდა; სახლში მყოფნი, ნამეტნავად ბალები, თითქმის სრულიად ტიტველ – შიმშველნი, შემოსხდომოდნენ ბუხარს და ცეცხლთან თბებოდნენ. იქვე, მათთან ახლოს, დამონძილ – დაკონკილ ტანისამოსში გახვეულნი ცოლ – ქმარნი ისხდნენ და დაღონებულნი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ სრულიად არა გველოდნენ და რომ დაგვინახეს, შეკრთნენ. მამაკაცი გაფითრებული წინ შემოგვეგება, ცოლი კი, თავსახურავით პირისახის დამალვისთანავე, შეშინებულად „უჰ“, „უჰ“ – ს ძახილით ადგა და სწრაფად იქვე კუთხეს მიეყუდა; ბავშვებიც წივილ – კივილით დედას მიეკვრნენ.

– ნუ გეშინიათ, თქვენთან მეგობრად ვარ მოსული, – ვამშვიდებდი მე, მაგრამ მაინც კანკალებდნენ, ეშინოდათ ჩემი.

– „ყორხმა“, „ყორხმა“, – გაისმა სახლის პატრონის ხმა და ისინიც დამშვიდდნენ. დავათვალიერე მთელი მათი სახლი. ზოგს სრულიად დახეულ – დაფლეთილი და მატყლის ძონძებად ჩამოკიდებული ჭუჭყიანი ორი თუ სამი საბანი და ერთი ან ორი აგეთისავე სახის ნალები ჰქონდა და ზოგს – ისიც არა. იქვე ებათ ზოგს ერთი ძროხა, ზოგს ორი, ბევრს მათგანს სულაც არ ჰყავდა. სახლის დანარჩენ ავეჯეულობას შეადგენდა: ერთი უბრალო ყუთი, რომელშიაც ერთი, თუ ორი ფუთი, ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები ქერის ფქვილი ეყარა. ყუთზე ერთი თაბახი იდო, ორ – სამ ადგილას დაკრებული, იქვე ყუთთან იდგა ორიც ხის სურა. აი, ომისაგან დაზარალებულ ზოგიერთი ქართველი მაჰმადიანის სახლი.

– განა ასე ღარიბათ იყავით ომის დაწყებამდე? – შევეკითხე.

– არა, წინეთ კარგათ ვიყავით. 30 – 40 სული მსხვილფეხა საქნელი გვყავდა, 200 – 300 სულიც წვრილფეხა, 15 – 20 წყვილი საგებ – სახურავი გვქონდა, 10 – 15 ხალიჩები, სახლის მოწყობილობაც კარგა ბლომდა გვქონდა, მაგრამ წაგვართვეს.

– როგორ თუ წაგართვეს? ეგ შეუძლებელია! აქ ხომ თათრის ჯარი არ მოსულა? – გავიკვირვე მე.

– მართალია, აქ თათრის ჯარი არ ყოფილა და რომ შემოსულიყვნენ, გარდა საჭმელებისას, არას წაიღებდნენ. რაც გვიყო, **ახალქალაქელ და არტანულ სომხებმა და ადგილობრივმა ბერძნებმა** გვიყვეს; თუ რამგვებადა კარგი სახლში, ჩვენს თვალთა წინ იტაცებდნენ; თუ ვეტყოდით რასმე, სასიკვდილოდ გვიმეტებდნენ, ბევრი ჩვენგანი სოფლებშივე მოჰკლეს წინააღმდეგობისათვის. ჩვენი საქონელიც იმათ წაასხეს. ბოლო, რაც გადარჩათ, მათ მიერ მოყვანილ ყაზახებმა წაგვართვეს და მას მერე ვართ ასე ტანჯულ – წამებულნი; ვწვალობთ, შრომით წელზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ თუ რამ ვიშოვეთ, ისიც ჯარსა და პოლიციელებს მიაქვთ. ნამეტნავად პოლიციელებს სრულიად არ ვებრალეებით. გვცემენ, გვტყეპენ და თუ რამ გვაბადია, ქრთამად გვართმევენ, – დააბოლოვეს სიტყვა ჩვენმა თანამოსაუბრეებმა.

ჩილდირის ნაწილში რამდენიმე სოფელში ცალ – ცალკე შეიკრიბნენ ღარიბები, შეძლებულ პირთა დაუსწრებლივ, და მთხოვეს:

– ჩვენ ვიცით, რომ თუ აქამდე სიცოცხლე შეგვრჩა, **სულ ქართველების წყალობითა**, ისიც ვიცით, თუ როგორ შრომობენ და ცდილობენ ისინი ჩვენს სასარგებლოდ და რადგანაც აქაც მობრძანდით, გეტყვით ჩვენს გულისტკივილს, მხოლოდ ნულარ დაგვასახელებთ, თორემ ნაწილის უფროსი და მისი ცოლი სიცოცხლეს გაგვიმწარებს. ჩვენის ნაწილის უფროსი თუნდაც სულ უბრალო საქმისათვის ქრთამსა გვთხოვს; შეძლებულნი აძლევენ, ჩვენ რა გვაქვს, რომ მას მივცეთ. ამიტომ არას გვიგონებს, გვცემს, გვლანძღავს; ჩაფრებს ნებას აძლევს, როგორც უნდათ, ისე იმოქმედონ ჩვენთან. ისინიც ტყავს გვამრობენ; როცა მივალთ მასთან სათხოვნელად, ის ხშირად მთვრალია; გამოვა მისი ცოლი, მოგვარდება ვით პირუტყვს, გვლანძღავს, გვაგინებს. ნაწილის სამმართველოს ახლოსაც არ გაგვაკარებს:

– დაიკარგენით, თქვენ ძაღლის ლეკვებო, თქვენთვის ბატონს არა სცალიანო, და იქვე ჩვენთან ახლოს მდგარ შეძლებულთ ხელს ართმევს, ეფერება, ეპატიჟება სახლში და ჩვენ კი ცემა – ტყეპით გვერეკება ნაწილის სამმართველოს დერეფნიდან. თუ რა შეგიძლიანთ, სთხოვეთ ბ. ოლქის უფროსს გადაიყვანოს ის ჩვენი ნაწილიდან, ეყოფა, რაც ჩვენა გვტანჯა და გვაწვალა, ისიც ეყოფა, რაც გვჭამა და ფულები წაგვართო. წარმოიდგინეთ, გამოგვიგზავნის ჩაფარს და შემოგვითვლის,

<sup>1</sup>ნუ გემინიათ! ნუ გემინიათ!

ამდენი ერბო შენ გამოგზავნეო, იმან ამდენი ქათმებიო, იმან კიდევ ამდენი კვერცხი და სხვა. რა ვქნათ, თუ ჩვენი არა გვაქვს, სხვას უნდა გამოვართვათ და გავუგზავნოთ, მეტი გზა არ არის!

– როგორ თუ რა ჰქნათ?! – ვუთხარი მე. – უჩივლეთ ოლქის უფროსთან, ის პატიოსანი კაცია, მომხრეა საწყალოთა, მაშინვე დასჯის, სხვაგან გადაიყვანს.

– ვიცით, ვიცით, რომ ოლქის უფროსი პატიოსანი კაცია, შემბრალებელი, ჩვენი დედა და მამა, ღარიბ – დავრდომილთა, მაგრამ რომ ვუჩივლოთ, ამ ნაწილის შეძლებულები ჩვენს წინააღმდეგ წავლენ, მიემხრობიან ნაწილის უფროსს და ჩვენ გავმტყუნდებით, მერე არ გინდა სოფელში ცხოვრება? ცალკე მამასახლისი შეგვჭამს და ცალკე კიდევ შეძლებულები. ნაწილის უფროსი ხომ მოგვისპობს სიცოცხლეს და თვითონ ოლქის უფროსიც, რომელსაც ისე შევყურებთ, როგორც მოსიყვარულე შვილები მამას, ჩვენზე გულს გაიტეხს და აი, რისა გვეშინიან. – ერთხმით მიპასუხეს გლეხებმა.

– არა, არა, თქვენ ნურასი გეშინიათ, მიდით მასთან, უთხარით, ყველაფერს მოგისმენთ, შეგისრულებენ კიდევ თხოვნას, – ვარწმუნებდი მათ, მაგრამ ისინი უარზე იდგნენ.

– თუ რამ შეგიძლიანთ, თქვენ გვიშველეთო, – იმეორებდნენ ერთხმად ყველანი.

აქვე მომყავს სტატისტიკური ცნობები შეგროვილი არტაანისა და ჩილდირის საპოლიციო ნაწილებში ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებიდან:

არტაანის საპოლიციო ნაწილი:

1) სოფელი **ქვედა – ტიკანი. მახმუდა ომაროღლი** – ელიკაძე, 55 წლისაა, ქართულად **ლაპარაკობს, თავს ქართველად აღიარებს**. ერთი ვაჟიშვილი და ოთხი ქალი ჰყავს. ღარიბია, საჭიროა დახმარება. შვილებს ყველას სიხარულით აძლევს სკოლაში.

2.) სოფელი **ქონკი. რაჯიბ შირინოღლი** – კობტაშვილი, 45 წლისაა, შვილები არა ჰყავს, **ქართველობს**. შეძლებულია ცოტათი.

3) იქიდანვე. **მოვლუდ ჯომშუნოღლი** (სახლში არ იყო). მისი ქართული გვარი სხვებმა არ იციან, სოფელ **კოთელიადანაა**, ახალქალაქის მაზრა. ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. უფროსი შვილი 18 წლისაა. ქალები: ერთი 8 წლისაა, მცირე – 6 წლისა. დედამ სურვილი განაცხადა შვილების სკოლაში მიცემაზე. ძრიელ ღარიბია. შემწეობის აღმოჩენა აუცილებელია,

4) იქიდანვე. ობლები მოვლუდის ძმისა: **სადო რეშიდოღლი** – 10 წლისა, ცხოვრობს უმცროს ბიძასთან, რომელსაც შემწეობის აღმოუჩენლად შეუძლიან იცხოვროს. სადოს ბიძამ თავშესაფარში მიცემაზე სიამოვნებით სურვილი განაცხადა. თვითონ სადოს ბიძა 25 წლისაა, ერთი გოგო ჰყავს ორი წლისა.

5) სოფელი **გუგუზა. თემური კადროღლი** – წითლანაძე 70 წლისა, წმინდათ **ლაპარაკობს ქართულს**, კილო ლაპარაკისა და სახე ნამდვილი **ქართველისა** აქვს. თემურს ორი ვაჟი ჰყავს. უფროსი ცოლიანია, ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს; უმცროსი ვაჟი 10 წლისაა, მუნჯია, მეორე – 4 წლისაა, გოგო – ერთი 6 წლისაა, მეორე – ხუთისა, უმცროსი – 6 თვისა. მეორე შვილი თემურისა უცოლოა, 21 წლისაა. **სახე ყველას ქართული აქვთ, თავს ნამდვილ ქართველად სცნობენ**. შეძლება საკმარისად აქვთ. ცხოვრობენ ერთად.

6) იქიდანვე. **ბინალი ჯომშუნიოღლი** – წითლანაძე, 28 წლისაა, ცოლიანი, ერთი ვაჟი სამი წლისა ჰყავს, მათი ძველები ქართველები ყოფილან. მოსულან სოფელ **ადარადან** (ახალციხის მაზრა). თავისი გვარი ნამდვილად არ იცის. ამბობს, **წითლანაძე** უნდა ვიყოვო. თავს ბუნდოვნადა გრძნობს ქართველად.

7) იქიდანვე. **ამფურ ოსმან საფაროღლი** – 65 წლისა, ორი ვაჟი ჰყავს – ცოლშვილიანები: უფროსს ორი ვაჟი და 1 ქალი ჰყავს, უფროსი ვაჟი 8 წლისაა. უმცროსი – სამისა, ქალი კი 4 წლისაა.

უფროს შვილს სიხარულით აძლევს სკოლაში. თავისი გვარი არ იცის. გადმოსულა **ს. აღარადან**, მისი გვარისანი დღესაც აღარაში ცხოვრობენ, ზოგი მათგანი ქართველებია, თვითონაც თავს ნამდვილ ქართველად სცნობს. ამჟღერის უმცროს შვილს ერთი ვაჟი ჰყავს – 3 წლისაა. ერთად ცხოვრობენ. შეძლება საკმაოდა აქვთ.

8) **ს. ჩაისტურეკი – ჩალდირის ნაწილი. ხალილ** მამედოღლი – **კონაევი** – 50 წლისაა, ორი ვაჟი და ერთი გოგო ჰყავს. უფროსი ვაჟი – **ჯალილი** 22 წლისაა, უმცროსი – **მიშური** თორმეტისა, ქალი კი ექვსი წლისა. ქართული არ იცის, მაგრამ თავს ნამდვილ ქართველად **გრძნობს** გვარის მიხედვით. მიშურს სკოლაში აძლევს.

9) **სოფელი წყაროსთავი**. ალა შერიფოღლი **სალირიძე** 55 წლისაა. ქართული არ იცის, მაგრამ თავს ნამდვილ ქართველად გრძნობს. სახე ნამდვილი ქართველი თავადიშვილისა აქვს. ძრიელ მდიდარია. **კანარბელის** საზოგადოების მამასახლისია. ხუთი ვაჟი ჰყავს: უფროსი 30 წლისაა, მეორე – 22 – ისა, მესამე – 17 – ისა, მეოთხე 12 – ისა – სწავლობს არტანის პირველდაწყებით უმაღლეს სკოლაში; ძრიელ უნდა ალა შარიფს ამისი შეყვანა თავისი ხარჯით **თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში**, რომ ქართველად **აღიზარდოს**; შარშან პატივცემულ **ალექსი ჭიჭინაძეს** თხოვნა გაუგზავნა ამის მიღებაზე; შემდეგ მე მთხოვა დახმარება. მეც კერძოდ მივწერე წერილი, როგორც კარგად ნაცნობ პირს; მაგრამ არც მე და არც ალას პასუხი არ მოგვსლია; ალა ამის შესახებ თბილისშიაც წასულა წრეულს, მაგრამ, როგორც უენო კაცს (რუსული არ იცის) ვერა გაუწყვია რა და უკან მოვიდა; დღესაც იხვეწება: – თუ ორი არა, ერთი მაინც მიიღონ ქართველებმა თავიანთ გიმნაზიაში ჩემის ხარჯით, რომ **დაიბრუნოს თავისი დედაენა** უკანა და ხელი მიმითითა მის სახლის წინ ამაყად მდგარ, ჯერედ დაუნგრეველ, უზარ – მაზარ თამარისაგან აშენებულ **ეკლესიაზე**, რომელიც დღეს მეჩეთია.

– **განა შემიძლიან ამის მაყურებელს გულგრილად ვიყო ჩემ წინაპართა ენასთან?!** ბერვჯერ მოვდივარ ხოლმე ამ ეკლესიის კედლებთან და დაღონებული ვფიქრობ ჩემს წარსულზე; მაგრამ რა?! მე უსწავლელი კაცი ვარ, არ მესმის რა და სხვები კი არას მეუბნებიან. მისწერეთ თქვენ, **ეგების მიიღონჩემი შვილები ქართველებმა მათ გიმნაზიაში**. უკანასკნელ შემთხვევაში, **მიჩუქნია ქართველებისათვის ორივე შვილი**, რაც უნდა, უყონ“.

– სიბრაღულის ხმით წარმოსთქვა ალამ უკანასკნელი სიტყვები. მეხუთე შვილი ალასი 8 წლისაა;

სიხარულით **განაცხადა**: – **თუ ღმერთი მომასწრებს არტანში ქართულ სკოლას, მაშინვე შევიყვანო.**

ალას უფროსი შვილი ცოლიანია; ერთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს. ვაჟი წლინახევრისაა, ქალი 4 – ისა. ყველანი ერთად ცხოვრობენ. **ალამ მომავალ ქართულ სკოლას ჯერ 10 მანეთი შესწირა.**

– შემდეგ მე ვიცი, რასაც შევსწირამ, თუ გაიხსნაო.

ალამ არტანის ოლქის უფროსსაც სთხოვა დახმარება შვილის დასახელებულ გიმნაზიაში შეყვანაზე, მაგრამ ოლქის უფროსმა ბატონმა **ჯავრიშვილმა** მე მომანდო.

10) იქიდანვე. **ხორენ შარიფოღლი** (უფროსი ძმა ალა შარიფისი) 65 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს – 33 წლისა, ამას 7 წლის ვაჟი ჰყავს. აძლევს სკოლაში, თავს **ქართველად გრძნობს, სახე ქართველისა აქვს.**

კ. ოდიშარია (შემდეგი იქნება).

„საქართველო“, № 18, 1917 წ. სამშაბათი, 24 იანვარი.

## „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“, II

„სოფელ რაბათში 34 კომლი ქართველი მაჰმადიანები არიან, ყველანი ერთი გვარიდან მომდინარეობენ. ზოგი მათგანი იძახის – **თარხნიშვილები** ვართო, ზოგიც ამბობენ – **ხახალიშვილი**. ნამდვილად თავიანთი გვარი არ იციან. მოსულან სოფელ **კაკაშენიდან** და **ხიზაბავრიდან**; – დღესაც არიან იქ ჩვენი გვარისანო, – ასეამბობენ.

1) ს. **გუგუბა**. **ფაშა მოლლაისმაილოლი** 23 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს, ორი წლისაა, მდიდარია. თავს ქართველად გრძნობს, ცნობს.

2) ფაშას ძმა ბალა ბეგი 27 წლისაა, ცოლიანია, ორი ვაჟი ჰყავს, უფროსი 7 წლისაა, უმცროსი – 2 – ისა. უფროსს აძლევს სკოლაში. თავს ქართველად გრძნობს.

3) მისი ძმები – **ჰაჯი** 17 წლისაა, უცოლოა, ბალა – ბეგთან ცხოვრობს. შეძლებულები არიან.

4) **გასან გაჯიემინოლი** – 60 წლისაა. სამი ვაჟი ჰყავს. ისა 28 წლისაა, ხალილი 22 – ისა და უმცროსი 14 წლისაა. შვილებს სკოლაში აძლევენ. ისას ერთი ვაჟი ჰყავს, 2 წლისაა, ყველანი ერთად ცხოვრობენ, შეძლებულნი არიან.

5) **ოსმან გუსეინოლი** 65 წლისაა, სამი ვაჟი ჰყავს: თამარი – 35 წლისაა, ოსმანი 25 წლისაა და იუნუსი 5 წლისაა. უმცროსი – სამისა, ქალი 8 წლისაა, სკოლაში არ აძლევს. ოსმანს ერთი ვაჟი ჰყავს, სამი წლისაა.

6) **სულეიმან გაჯიასლანოლი** – 50 წლისაა, ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. ვაჟები: **დილაბრა** – 5 წლისაა, უმცროსი – ერთისა და უფროსი ქალი 8 წლისაა. უმცროსი 6 – ისაა. ცოტათი ღარიბია (სოფლისტაროსტაა). სკოლაში შვილებს არ აძლევენ.

7) **ისა ისკანდეროლი** 45 წლისაა, სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს. უფროსი ვაჟი 20 წლისაა, მეორე – 15 – ისა და მესამე – ოთხისა. ქალი სამი წლისაა. ღარიბათ არ არის. ფულით დახმარება საჭირო არ არის.

8) **მაჰომედ ალიოლი** – 50 წლისაა, ერთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს; ვაჟი 5 წლისაა, ქალი – შვიდისა. სკოლაში არ აძლევს. დახმარება საჭირო არ არის. მაჰომედს ორი ძმა ჰყავს: **უსუფი** ორმოცი წლისაა, **ტაშტან** – 35 წლისა. უსუფას ორი ვაჟი და 1 ქალი ჰყავს. უფროსი ვაჟი 20 წლისაა, უმცროსი – 4 – ისა. ქალი 6 წლისაა. ტაშტანს ერთი ვაჟი ჰყავს, 5 წლისაა. ყველანი ერთად ცხოვრობენ.

9) **აბდულა იბრაგიმოლი**, 36 წლისაა, ორი ქალი ჰყავს. უფროსი სამი წლისაა, უმცროსი – ერთისა. შემწეობა საჭირო არ არის.

10) **გამიდ** მოლლა **იბრაგიმოლი** 39 წლისაა, ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. ვაჟი 7 წლისაა, ქალები – ერთი 6 წლისაა, მეორე ორისა. ძმა გამიდისა – გალეი 15 წლისაა; მამა არა ჰყავს, დედა კი ცხოვრობს ბიძასთან. ბიძამ გალეის სკოლაში მიცემაზე სურვილი განაცხადა.

11) **გაჯი ალი ალლახსულეიმანოლი** 76 წლისაა, ოთხი ვაჟი ჰყავს. ქიარიმ 40 წლისაა, დისაია ამირხან 32 – ისა, **მირზა** 28 – ისა და **მიქეილი** 15 – ისა. ქიარიმს ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს; ვაჟი 4 წლისაა, ქალი – ექვსისა. ამირხანს ერთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს; ვაჟი 3 წლისაა, ქალი ორისა. ყველანი ერთად ცხოვრობენ. შემწეობის აღმოჩენა საჭირო არ არის.

12) **ახმედ თახიოლი** 14 წლისაა (ობოლია), დედასთან ცხოვრობს. ახმედას ერთი და ჰყავს – 5 წლისა. შემწეობის აღმოჩენა საჭირო არ არის.

13) **რასულ ისკანდეროლი** 55 წლისაა, სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს; **ქიამილი** 28 წლისაა, **ფაშა** – 25 – ისა, **ისკენდერი** 10 – ისა. ქალი 7 წლისაა. ქიამილს ერთი ვაჟი ჰყავს; 4 წლისაა; ფაშას

ერთი გოგო ჰყავს, 2 წლისაა. ისკანდერს სკოლაში აძლევენ. ყველანი ერთად ცხოვრობენ. შეძლებულად არიან.

14) **ალა – მამად ორუჯოღლი** 35 წლისაა, ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს. ვაჟები: ერთი 12 წლისაა, მეორე 5 – ისა. ქალები – ერთი 8 წლისაა, მეორე 6 – ისა, მესამე 2 – ისა. უფროს ვაჟს სკოლაში აძლევს. შეძლებულად არის.

15) **გაჯი ასლან დადაოღლი** 80 წლისაა, ქართულს კარგად ლაპარაკობს. ერთი ვაჟი – **გუზეინი** და ერთი ქალი ჰყავს. გუზეინი 45 წლისაა, გოგო 6 – ისა. ღარიბია, ცოტაოდენი შემწეობა აუცილებელია.

16) **ისკანდერ ასკიაროღლი** 65 წლისაა; 3 ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს. ალი 18 წლისაა, გუზეინი 13 – ისა და **ალაშრაფი** 10 – ისა, ქალი 8 წლისაა. ორივე შვილებს აძლევს სკოლაში; ქალს – არა; ცოტაც შეძლება აქვს.

17) **შენიკ ისკანდეროღლი** 55 წლისაა; ერთი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს. ვაჟი – პირველი 6 წლისაა; ერთი ქალი 12 წლისაა, მეორე – ოთხისა და მესამე – ორისა; სკოლაში არ აძლევს; შეძლებულია.

18) **სულეიმან ისკენდეროღლი** 65 წლისაა. ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. ისმაილი 36 წლისაა, უმცროსი – 28 – ისა (ორი თვალით ბრმაა). ქალები: უფროსი 14 წლისაა, მეორე 12 – ისა. ისმაილს ერთი ვაჟი ჰყავს, 2 წლისაა. შეძლებულად არის.

19) **ფაშა გაჯი იდრისოღლი** 55 წლისაა; ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს: **თორანი** 15 წლისაა, ქალი – 12 – ისა. სკოლაში არ აძლევს; შეძლებულია.

20) **შენიკ ისმაილოღლი** 46 წლისაა. მისი ძმები – **მუსა** 40 წლისაა, ისა 18 – ისა. შენიკს 5 ვაჟი ჰყავს. **ქიამილი** 18 წლისაა. **აზი** 12 – ისა, მესამე 10 – ისა, მეოთხე რვისა, მეხუთე ხუთისა. ისა უცოლოა. შენიკი შვილებს სკოლაში აძლევს. შეძლებულად არიან.

21) **გასან დადაოღლი** 70 წლისაა. ორი ვაჟი ჰყავს. ედიგარი 35 წლისაა. იბრაგიმი 22 – ისა. ედიგარს ერთი ვაჟი ჰყავს, 12 წლისა. იბრაგიმი უცოლოა. შვილს სკოლაში აძლევს. შეძლებულია.

22) **მუსთაფა დადაოღლი** 60 წლისაა; სამი ვაჟი ჰყავს. **გადიმი** 24 წლისაა, **გაჯი** – 15 – ისა, და მესამე – ორისა; შეძლებულია.

23) **დადა გაჯი იდრისოღლი** 65 წლისაა, ორი ვაჟი ჰყავს; **ტაშთანი** 28 წლისაა, **სარი** – 25 – ისა. ორივე უცოლონი არიან. ღარიბათაა.

24) **ურუმან ალიმანოღლი** 27 წლისაა, ორი ძმა ჰყავს; **ბინალი** 15 წლისაა, **ალიხანი** 7 – ისა. **ურუმანს** ორი ქალი ჰყავს, ერთი 6 წლისაა, მეორე სამისა. ძმებს სკოლაში აძლევს. ღარიბია, საჭიროა დახმარება.

25) **ასლან მუსთაფაოღლი** 45 წლისაა; ორი ვაჟი ჰყავს, ტყუბები. 15 წლისანი არიან. ორივეს სკოლაში აძლევს. შეძლებულია.

26) **მოლლა ისაოღლი** 90 წლისაა, **ქართულს კარგად ლაპარაკობს**. ხუთი ვაჟი ჰყავს: **დურსუნი** 40 წლისაა, **ფაშა** 35 – ისა, **კიამზარი** 25 – ისა, **ბიქარ** 12 – ისა, **სალაი** 10 – ისა და **ოსმანი** 8 – ისა. 15 ძროხა და ხარი ჰყავს, უღელი კამეჩი, სახლი კარგად აქვს მორთული. მასვე სამი ქალი ჰყავს; ემინა 14 წლისაა, **ბალახანა** 9 – ისა და **შაჰრი** 4 – ისა. **ბიქარს** და **ოსმანს** აძლევს სკოლაში. **ქართველად თავს არ სცნობს, თუმცა ოდესღაც მათი ძველები ქართველი ყოფილა.**

27) **მელიქ მუსაოღლი** 35 წლისაა; სამი ძმა ჰყავს. იონისი 35 წლისაა, **კეისა** 15 – ისა, **აბდულა** 10 – ისა. **მელიქს** ერთი ვაჟი ჰყავს; 5 წლისაა; ძმას – **აბდულას** სკოლაში აძლევს. ცოტაოდენი შეძლება აქვს.

28) **გუზეინი სულეიმანოღლი** 25 წლისაა; ერთი ვაჟი ჰყავს, 4 წლისა. ცოტაოდენი შემწეობა საჭიროა.

29) **გუსეინი იბრაგიმოლი** 45 წლისაა; ერთი ვაჟი და ორიც ქალი ჰყავს. ვაჟი 11 წლისაა, ქალები: ერთი – თოთხმეტისა, მეორე – რვისა; ვაჟს აძლევს სკოლაში, ქალებს – არა. ღარიბათ არის. შემწეობა საჭიროა.

30) **სულიმან იადიგეზალიოლი**, 50 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს, 25 წლისაა – **ბინიალი**. ბინიალის ერთი ქალი ჰყავს – 6 წლისა. ცოტაოდენი შემწეობა საჭიროა.

## სოფელი კურტყალა

**დადა ბეგი ოლი ორბელიანი** – 60 წლისაა, ქართული არ იცის. თავს ნამდვილ ქართველად სცნობს. ამბობს, ნათესავია ჩემი გენერალი **ვანო ორბელიანი**, ხშირად ვნახულობდი ომამდეო. სამი ვაჟი ჰყავს და ერთიც ქალი. **შაით ბეგი** 35 წლისაა; **გამიდ ბეგი** 25 – ისა; მამედ ბეგი 20 – ისა. ქალი 28 წლისაა, გაუთხოვარია. შაით ბეგს ერთი ვაჟი ჰყავს, ერთი წლისაა. დანარჩენი უცოლონი არიან. ძლიერ ღარიბად არიან, რადგანაც სახლები ყაზახებმა დაუნგრეს და მთელი მისი ქონება სომხებმა და ბერძნებმა დაიტაცეს. თვით დადა ბეგი რუსის ჯარის ს. **ზურზუნაში** ყოფნისას (აქ ცხოვრობდა დადა ბეგი) **ყაზახის ოფიცრებმა და სომხებმა სცემეს ჩილდირის ნაწილის უფროსის ზამანოპულოს დასწრებით, რომლის გამო დღესაც ლოგინად არის ჩავარდნილი, ფეხზე ვედარა დგება, დამბლა დანაცემივითაა ლოგინში**. ყოველთვიურ დასახმარებლად 40 მანეთს უგზავნის ახალქალაქელი მამად ალი ბეგი **ფალავანდიშვილი**. შვილები ყველგან ლაპარაკობენ რუსულად, წერა – კითხვაც იციან რუსულად, ქართულად – არაფერი. დადა ბეგის სათიბი ნაწილის უფროსს ძალით მოუთიბავს, თივა 2000 მანეთად გაუყიდნია და დადა ბეგისათვის 20 თუმანი მიუგდია. საჭიროა ასეთ ძალადობას ყურადღება მიექცეს.

კ. ოდიშარია (შემდეგი იქნება)

გაზეთი „საქართველო“, № 19, 1917 წელი, 25 იანვარი.

## „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“. სოფელი ოლჩაგი (არტაანის ნაწილი)

1) **მოლლა იუსუფ შარვაშიძე** 60 წლისაა. წმინდათ **ლაპარაკობს ქართულს**. თავს ნამდვილ ქართველად სცნობს. **საქმეში ყველგან შარვაშიძეთ იწერება**. არტაანში ორი კარგი სახლი აქვს. ერთი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს. ვაჟი 7 თვისაა, ქალები – ერთი 15 წლისაა, მეორე 12 – ისა და მესამე სამისა. სკოლაში არ აძლევს.

2) **ალიხან იფერადოლი** – **გიკოლაშვილი** 50 წლისაა. სამი ვაჟი ჰყავს და ოთხი ქალი. ვაჟი **რეზი** 20 წლისაა, **ასლანი** 17 – ისა, **ჰამიდი** 15 – ისა. ქალები: **ზულალ** 12 წლისაა, **ღანიმე** – ათისა, **ზეითჯან** – ოთხისა და **ნაზი** – ერთისა; ვაჟებს სკოლაში აძლევს. **ქართულად კარგად ლაპარაკობს**. ცოტაოდენი შეძლებაც აქვს.

3) **სარი ფერადოლი გიკოლაშვილი** 35 წლისაა, სოფ. **ველი** (ვალედან არის, ახალციხის მაზრა). ერთი ვაჟი ჰყავს; 25 წლისაა; იგი ძმის სამ ობოლს არჩენს: **ისკანდერი** 17 წლისაა, **მუხედინი**

12 – ისა და ერთი ცქალი საჩლი – 10 წლისაა. მუხდინს მისცემს სკოლაში. ცოტაოდენი შეძლება აქვს.

4)ობლები, სარი ფერადიოღლის მეორე ძმისა ცხოვრობენ დედასთან: ალადინისმაილ ოღლი 12 წლისაა, სეიფულა 8 წლისაა, ბეშიერი 6 – ისა. ყველას აძლევს სკოლაში. ცოტათი აქვს შეძლება.

5) ობლები, სარი ფერადიოღლის მესამე ძმისა, დედასთან ცხოვრობენ, ვაჟები – თეიფური 25 წლისაა, ეზიზო20 – ისა, შაბანი15 – ისა, სულეიმანი12 – ისა და მამედი 10 – ისა და ერთი ცქალი: სურმენ – 8 წლისა. სულეიმანს და მამედს მისცემენ სკოლაში, შეძლებულად არიან.

6) ობლები, სარი ფერადიოღლის მეოთხე ძმისა, დედასთან ცხოვრობენ. ვაჟი ერთი წლისაა, ცქალი სამისა. შეძლებულად არის ცოტათი.

7) ომერი იბრაგიმოღლი 90 წლისაა, ქართული კარგად იცის, გვარი არ ახსოვს. მისი ძმა სოფ. ვალეში დღესაცცხოვრობს. ორი შვილი ჰყავს; ემინი 40 წლისაა. ისკანდერი კი35 წლისა. ემინს ერთი ვაჟი ჰყავს – სულეიმანი, 8 წლისაა; მეორე ცქალია, სამი წლისა. ცოტათი შეძლებულად არის.

8) ომერის შვილიშვილები (ობლებია):სულეიმანი 10 წლისაა, ისმაილი 8 – ისა, ალი სულთანნი – სამისა; ცქალები: უფროსი 6 წლისაა, საშუალო – ოთხისა და უმცროსი – ორისა. დედასთან ცხოვრობენ. სკოლაში აძლევს. შეძლება ცოტა აქვს.

9) კიდევ მისი შვილიშვილები: ფაიცი 25 წლისაა, ცოლიანია, ერთი შვილი ჰყავს; სამი წლისაა; შეძლებულია.

10) კიდევ მისი შვილისშვილები: რიდვანი 9 წლისაა, ჯაფარი – ხუთისა, ჯამილი 4 – ისა, გოგო – ორისა. ყველანი დედასთან ცხოვრობენ. შვილებს სკოლაში აძლევენ. ცოტათი შეძლებულია.

11) მამედოღლი 40 წლისაა (გვარი „გიქოთი“ მაქვსო, ამბობს) სოფ. ვალედანაა,ქართულს კარგად ლაპარაკობს. მამედს ორი ვაჟი ჰყავს: დურსუნი 20 წლისაა, ასლანი – 18 – ისა; შეძლება ცოტათი აქვს.

12) ყადირ სეფეროღლი გიკოლაშვილი 60 წლისაა, ს. ვალედანაა, ქართული ლაპარაკი აღარ იცის. ოთხი ვაჟი ჰყავს: მამედი 35 წლისაა, ვეშაპი 30 – ისა, რიზა 20 – ისა, ზია 15 – ისა; მამედას ორი შვილი ჰყავს: ალადინი 3 წლისაა და შაქირი 6 თვისა. ალადინს აძლევს სკოლაში, ცოტაოდენი შეძლება აქვთ.

13) ყადირ სეფეროღლის ძმის ობლები: მაჰვიდან 12 წლისაა, სეიფალი – ხუთისა. მაჰვიდანს აძლევს სკოლაში; ერთი ცქალიცა ჰყავს – ტატანი, 15 წლისა. ცხოვრობენ დედასთან, ცოტა აქვს შეძლება.

14) ასლანოღლი 54 წლისა. თავისი გვარი არ იცის. არც ქართული ლაპარაკი იცის. მათი ძველები სოფელ ჭალიდან (ახალც.მაზრა) ყოფილან. ქართველებად თავს მამა – პაპათა სიტყვითა სცნობენ. ორი ვაჟი და ორი გოგო ჰყავს. ცქალები:ქიარის 14 წლისაა, სიდრად – ორისა; ვაჟები: მაჰმედი 16 წლისა და ყეიდანი – 12 – ისა. ვაჟებს სკოლაში აძლევს. ცოტათი შეძლებულად არის.

15) ნური ისმაილოღლი 54 წლისაა, სოფელ მურსიდანაა, ენიკეისთან ახლოს, ახალციხის მაზრა. ეს სოფელი უკვე აოხრებულია ქართველ – თათართა ომის დროს და არავინა სცხოვრობს იქ. ორი შვილი ჰყავს: აბდულ – ქიამილი 8 წლისაა, ალაშა ორისა. სამი ცქალიცა ჰყავს: სელკი 16 წლისაა, ეთერი – 12 – ისა, ზამზუხ – შვიდისა. მისი გვარი, როგორც მას გაუგონია, არის „გულო“, ქიამილს სკოლაში აძლევს. შეძლება აქვს.

16) ხალილ სადისოღლი თულუმბაშვილი 60 წლისაა, ს. ვალედანაა. ერთი ცქალი ჰყავს – თენზილი, 6 წლისაა, შეძლებულად არის.

17) ხასან სადისოღლი თულუმბაშვილი 35 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს, ერთი წლისაა. ცოტათი შეძლებულია.



18) ობლები ხასანას ძმისა: უსეინი 20 წლისაა. ყოჩალი – 18 – ისა,მეირალი – 12 – ისა. დედა გათხოვილია. ობლები ხასანთან ცხოვრობენ. მეირალს სკოლაში აძლევს, ცოტათი შეძლებულია.

19) რაჯაბ იაღაოღლი 30 წლისაა; მისი ძმა – შაჰრი 28 – ისაა. შაჰრის სამი შვილი ჰყავს: სალმანი 6 წლისაა და ალიოსმანი – 3 – ისა, ქალი ზეიჯა 4 წლისაა. სოფ. ვალედანაა. რაჯაბს შვილი არა ჰყავს, ცოტათი ღარიბია.

20) ისკანდერი მუსთაფაოღლი გიკოლიშვილი 50 წლისაა. ს. ვალედანაა, ქართული არ იცის. შვილი არა ჰყავს.

21) თეარი მუსთაფაოღლი გიკოლაშვილი 48 წლისაა. სამი შვილი ჰყავს: მირზა 12 წლისაა, ნაჯიბი – 10 – ისა და ჯიუმი – შვიდისა; ორიც გოგო ჰყავს: ჯეივარი 8 წლისაა, მეორე – ხუთისა. ერთ ქალსა და სამ ვაჟს სკოლაში აძლევს. შეძლებულია.

22) ობლები დავრი მუსთაფაოღლისა: გიკოლაშვილი მამედა 25 წლისაა. ამას ჰყავს სამი შვილი – ხუთი – სამი და ერთი წლისანი. შეძლება აქვს. მცხოვრებია სოფელ ოლჩაგისა, თავს ზოგი სცნობს ქართველად და ზოგიც – არა.

ამნაირად, 28 ნოემბრიდან 7 ამა დეკემბრამდე დავიარე სულ 37 სოფელი, სადაც 7 სოფელი აღმოჩნდა ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული. საერთოთ, 61 კომლია, ანუ 397 სული ორივე სქესისა. ამათში მომავალ ქართულ სკოლაში აძლევენ 44 ბავშვს, რომელთაგან 5 ქალია. აუცილებელი დახმარების აღმოჩენა საჭიროა 7 კომლისათვის, რომელიც შესდგება 44 სულისაგან.

ამ მგზავრობაში ამა საზოგადოების წევრად ჩავწერე 25 კაცი და ქალი, რომელისაგან შემოწირულებიანად შეგროვდა ას ოცდა თექვსმეტი მანეთი, რომელსაც, ამასთან ერთად, ვუდგენ გამგეობას.

შენიშვნა: როგორც მცხოვრებლებმა მითხრეს, აგრეთვე, საოლქო სამმართველოს საქმეებიდანაც სჩანს, ამ ზემოდ ნაჩვენებ მცხოვრებთა, გარდა ს. ოლჩაგისა, არავითარი მთავრობისაგან დახმარება არ მიუღიათ არავის, რაც დაადასტურა თვით არტაანის ოლქის უფროსმა ბატონმა ჯავრი-შვილმა. ოლჩაგელებს ეძლეოდათ (მხოლოდ დიდებს) მთავრობისაგან თვითური დახმარებით თითო სულზე ერთი ფუთი ქერის ფქვილი შვიდი თვის განმავლობაში. მერე ისიც მოუსპიათ.

კ. ოდიშარია (დასასრული იქნება)

გაზეთი „საქართველო“, №21, 1917 წელი, პარასკევი, 27 იანვარი.

## „არტაანის ქართველი მაჰმადიანები“

„ქრისტეშობისთვის 9 გავემგზავრე ს. ქერმანში (არტაანის ნაწილი) მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა ცხოვრების გასაცნობად. მათი მდგომარეობა ენით გამოუთქმელია და კალმით აუწერელი. სულ ამ სოფელში ყოფილა ქართველი მაჰმადიანები, როგორც თვითონ ამბობენ, 70კომლი. არტაანში თათრის ჯარის შემოსვლამდე და გასვლის შემდგომაც მრავალი მამაკაცი დაუბოციათ ციმბირის ყაზახებს, სომხის მოხალისეებს და არტაანის „ოპორნი პუნქტის“ ჯარისკაცებს. ვინც გადარჩენილან ცოცხალი, გაქცეულან სხვადასხვა ადგილას. მთელი თავიანთი საცხოვრებელი კი აქ დარჩენიათ, რადგანაც, არამცთუ ბარგისწაღება, თავიანთ პატარა შვილების წაყვანასაც ვეღარ ასწრებდნენ თურმე. მთელი მათი ქონება და ავლა – დიდება დაუტაცნიათ ს. ურუთელ (გელის ნაწილი, არტაანის ოლქი) სომხებს, სოფ. მიხაილოვის რუსებს (სამი ვერსით

ახლავს სოფელ ქერმანს), ს. **ნიკოლაევის მალაკნებს** (ხუთი ვერსით ახლავს ს. ქერმანს), **ბაღდათელ ბერძნებს** (ერთი ვერსით ახლავს სოფ. ქერმანს) და **არტაანელ სომხებს** და **ბერძნებს**. ბევრის სახლებიც დაუნგრევიათ. რაც ამათ დანგრევას გადარჩენიათ, ის მთავრობას დაუნგრევია და შემათ წამოუღიათ. როცა ქერმანელები დაბრუნებულან (სამი – ოთხი თვეა, რაც დაბრუნდნენ), სახლები დანგრეულები უნახავთ, მაგრამ რას იზამდნენ. ტალახით, ქვებით შეუკეთებიათ და ცხოვრობენ სრულიად შიშველ – ტიტველნი, უსაგებ – უსახურაოთ, მშიერ – მწყურვალნი, ღვთის ანაბრად დაგდებულნი. ყველას შველასა სთხოვენ მხოლოდ ფულით არა! პურით, საცვლებით. **ადამიანს, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, ქვის გული უნდა ჰქონდეს, დაინახოს ქერმანელი ტიტველი ბავშვები, ქალები, კაცები და ძალაუნებურად არ ამოიხროს მათი მდგომარეობის დანახვაზე და უხვად დახმარება არ აღმოუჩინოს.** განსაკუთრებით ქერმანელი ქალების სილამაზე განირჩევა არტაანის ოლქის სხვა სოფლების ქალებისაგან. მიუხედავად ამისა, რომ თითქმის ტიტველ – შიშველნი არიან და თუ ვინმე მათგანს სრულიად დაფარული აქვს ტანი, ისიც ჭუჭყიანი ძონძებით, **ადამიანს ხიბლავს მათი ლამაზი ქართული პირისახე**, რომელიც მორცხვით და ნაზად გამოსჭვივის დახეულ – დაფლეთილი თავსახვევიდან. სჩანს, ძრეულ შეშინებულები არიან, რადგანაც სოფელს მიუვახლოვდი თუ არა, ყველანი სახლებში დაიმალნენ და შიშით აკანკალებულნი გარედ გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ.

ორ საათამდე ვიცადე, ბოლოს ერთი კაცი გამოვიდა. მოვიხმე ჩემთან და ავუხსენი ჩემის მოსვლის მიზეზი, მითხრა:

– ამ სოფელში სულ 7 კაცი დარჩა, დანარჩენი დახოცეს, ქალებს ეშინიათ და იმალებიან უცხო კაცის დანახვაზე, რა ვიცით, რა განზრახვით მოდისო და აცნობა ყველას ჩემი მოსვლის მიზეზი. მალე ყველა სახლების კარები გაიღო, გამოვიდნენ გარეთ ბავშვები, ქალები, შემომხევივნენ და შველასა მთხოვდნენ. **ბევრ მათგანს ჩემი ჯიბიდან ფულები მივეცი**, თითქმის არც კი იღებდნენ:

– ჩვენ ფული არ გვინდა, მოგვეცით პური, გვშიან; ჩაგვაცვით, გვცივა, მიხედეთ ალლახს, ისიც თქვენ მოგხედავთო, – იხვეწებოდნენსაცოდავები.

– აქ ჩვენთან იყო სახელმწიფოს სათათბიროს წევრი ბატონი **ჩხენკელი**, დაგვპირდა შემწეობას, მაგრამ ჯერ არა მიგვიღია რაო. თქვენი ცოლ – შვილის სადღეგრძელოთ მოგვაწოდეთ პური; შიმშილით ვიხოცებით, ზამთარია, გვცივა და აი, როგორ დავდივართო, – იხვეწებოდნენ. ყველანი ამბობდნენ:

– **ჩვენები ძველად ქართველები იყვნენ** და ახლა კი თათრები ვართო. თავიანთი გვარი არავინ იცის, რადგანაც მამაკაცები და ნამეტნავად მოხუცებულები დაუხოცნიათ და რომელიც გადარჩა, ათასნაირ ავათმყოფობას მოუკლავს. აი, ამათს შესახებაც შეკრებილი ცნობები:

1) **სულიმანოღლი** 40 წლისაა, ცოლიანია, სამი ვაჟი ჰყავს. **ათამი** 12 წლისაა, **იდრისი** – 10 – ისა, **სარი** 7 – ისა. ათამი და იდრისი **უღეში სწავლობენ**.

2) **რუსთამ მამედოღლი** 25 წლისაა. ცოლიანია. შვილები არა ჰყავს. ორი ძმის ობლებს არჩენს: **ნაზიმი** 8 წლისაა, **ბეგიაზადი** 4 – ისა. სკოლაში და თავშესაფარში აძლევს, თუ გაიხსნება.

3) ცოლი და ობლები **აზიზ მამედოღლისა**: ფანთუშა დედაა, 40 წლისა: ჰყავს ორი ვაჟი და ორიც ქალი: ერთი 12 წლისაა, მეორე 9 – ისა. გოგოები: **გულგაზი** 10 წლისაა, **გულნაზი** 7 – ისა. ყველას აძლევს სკოლაში.

4) **აჰმაზია მევლუდოღლი** 30 წლისაა, ცოლი მისი – **გმინთა** 16 წლისაა. ვაჟი მისი – **ალი** – 6 წლისაა. ბებიასთან არის ს. **ნაქალაქევში**.

5) ქვრივი, **ისმაილ სულიმანოღლი** სათუქიასი 50 წლისაა. ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს. ბიჭები: **ამრაზი** 9 წლისაა, **გეისა** 5 – ისა; გოგოები: **სალვერი** 15 წლისაა, მეორე ცამეტისაა და **გუჰარნაზი** 10 წლისა. სკოლაში ყველას აძლევს.

6) ქვრივი **ადლიოლისა** 25 წლისაა. სამი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. ვაჟი **ზაქარი** 9 წლისაა. **იაღია** – 7-ისა, **ზაქარია** – სამისა. ქალები: **გულარ** 10 წლისაა, **ნაზი** – ორისა. ჰყავს ქმარის დედა – **სონა**, 50 წლისა. ზაქარია ბაქოელ კაცს წაუყვანია. დედა ტირის, არ იცის, რა მდგომარეობაშია მისი შვილი.

**ნაზი** და **იაღია** უდეს ქართულ სკოლაში სწავლობენ. **სონას** ერთი ვაჟი ჰყავს, 12 წლისაა. ჰყავს, აგრეთვე, სამი გოგო: **რუსსა** 22 წლისაა, ქვრივია, შვილები არა ჰყავს; **ჰურაზადი** 9 წლისაა; მესამე ხუთი წლისაა. მალე ყველანი უდებან ჩამოვლენ და აქ მისცემენ სკოლაში და თავშესაფარში.

7) ქვრივი **ფაშაოლისა** – **ადია** 28 წლისაა; ერთი ბიჭი და ორი გოგო ჰყავს: ბიჭი – **ზაქო** ექვსი წლისაა; ; თუმცა, ამჟამად, ორივე უდებენ სწავლობენ.

8) ქვრივი **ფახლურ შაბანოლისა** – **სონა** 40 წლისაა. სამი ვაჟი და ორიც გოგო ჰყავს. ბიჭები: **მუსტაფა** 15 წლისაა, **შაჰან** 9 – ისა, **ქიჰან** – ხუთისა; გოგოები: **მალაქი** 11 წლისაა, **კამათია** 4 – ისა; მალაქი და შაჰან უდებენ სწავლობენ; სამი მასთან არის; სამივეს აძლევს თავშესაფარში და სკოლაში.

9) **ისკანდერ ფაჰამოლი** 50 წლისაა, ცოლიანია. ორი ბიჭი და ორი გოგო ჰყავს. ბიჭები: **რაფისი** 6 წლისაა, მეორე 6 თვისაა; გოგოები: **ადლიბან** 12 წლისაა, **გულთანა** 8 – ისა; გოგოები უდეს სკოლაში სწავლობენ.

10) **რაზას ქიამილოლი** 24 წლისაა, ცოლიანია; ერთი ბიჭი 6 თვისა ჰყავს. მისი ძმა ფართალი 10 წლისაა. უდეს სკოლაში სწავლობს. მეორე 8 წლისაა, ორი გოგო ჰყავს: **ხუბათი** 15 წლისაა, **ხალი** 12 – ისა. ყველას სკოლაში აძლევს.

11) ძმა **რაზახასი** – **აბასი** 30 წლისაა, ცოლიანია; ერთი გოგო ორი ბიჭი ჰყავს. **ფოლადი** 4 წლისაა, **ნამეზი** 6 თვისაა. გოგო – **ბადირი** 6 წლისაა.

12) **შამორუსთამ ოლი** 50 წლისაა, ცოლი – **თუნთულა** 40 წლისაა; სამი ბიჭი და 4 გოგო ჰყავთ. **ზაურ** 12 წლისაა, **ზაქო** – რვისა, **რეის** – ოთხისა; გოგოები: **შაჰრი** თერთმეტისაა, **ფამბე** 9 – ისა, **ყადრია** 7 – ისა და **ბადირ** 6 – ისა. აქვე არიან ობლები შამოს ძმისა: ერთი ბიჭი და ერთი გოგო: **ნაზირი** 10 წლისა და **ხეირა** 8 – ისა. ხუთი მათგანი უდეს სკოლაში სწავლობს, დანარჩენი დედასთან არიან. ორს აძლევს სკოლაში.

13) **ალო მუსთაფოლი** 35 წლისაა, ცოლიანია. შვილი არა ჰყავს.

14) **მუსთო მახოლი** 37 წლისაა, ცოლიანია, ორი ბიჭი ჰყავს: **ილთაზი** 6 წლისაა და **ზაქარია** 4 – ისა.

15) ქვრივი **ახმედ მახოლისა** – **ჰიდიადი** 30 წლისაა. ორი ბიჭი ჰყავს; ერთი 7 წლისაა, მეორე 5 – ისა. გოგოებიც ჰყავს. ყველას აძლევს თავშესაფარში და სკოლაში.

16) **ლითვიარი ალიოლი** 30 წლისაა, ცოლიანია. შვილები არა ჰყავს. ძმის ობლებს და მათ დედას არჩენს. დედა – **სეათ შარიფ ქიზი** 35 წლისაა; ერთი ბიჭი და ერთი გოგო ჰყავს. ბიჭი – **შაეყი** 10 წლისაა, გოგო – ოთხისა. სკოლაში აძლევს. ყველანი თხოულობენ უდებან მათი შვილების არტანში გადმოყვანას.

შენიშვნა: ცოტათი შეძლებული ნიშნავს, ვისაც ერთი ან ორი ძროხა ჰყავს და ორი – სამი ფუთი ქერის ფქვილი აქვს, აგრეთვე საწოლი ემოვნება. ყველა ამათვის, თუ საშუალება იქნება, შემწეობის მიცემა საჭიროა.

კ. ოდიშარია.

გაზეთი „საქართველო“, № 22, 1917 წელი, 28 იანვარი.

## „არტაანის მხარეში“

„2 ენკენისთვის არტაანში ცხენი ვერ ვიშოვე და ფეხით მომიხდა ჩვენი უძველესი კულტურის აკვანის დათვალიერება. დილაადრიან გავემართე. კარგი სოფლის გვერდით **თამარეულ ეკლესიის ნანგრევებს** გავცდი და ს. **ქვაბისციხისაკენ** გზას დავადექი. გზაზე ბერძენი მეზავრი შემხვდა, რომელმაც გზა გამასწავლა ამ სოფლისკენ. ტყუილად კი არ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის **ქვაბისციხე**. ადგილი, სადაც ციხეა გაშენებული, ქვაბს მოგაგონებს. ციხის მხოლოდ კედლებიღა დარჩენილა, დანარჩენი დანგრეულია. აქ ოდესღაც ქართველებს უცხოვრიათ, დღეს კი მარტოკა ნასოფლარია. ქვაბისციხიდანს. **გიულაბერთში** მოვედი. სოფელი გიულაბერთი ცოტათი მაღლობზეა, ტყის პირად გაშენებული. როგორც ამბობენ, სულ 30 წელიწადია, რაც აქ **ბერძნები** დასახლებულან, **წინეთ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ** თურმე. აქ სოფლის ახლო – მახლო **6 ეკლესიის ნანგრევია**. აქაურ მცხოვრებთ უსარგებლიათ ნანგრევებით, მშვენიერი ნათალი ქვები გაუზიდნიათ და ლამაზი სახლები გაუშენებიათ.

მე მიკვირს, რატომ დაურქმევიათ ამ სოფლისათვის „**გიულა**“, რაც ნიშნავს თათრულად „**ვარდს**“ და „**ბერთი**“ კი სომხურად – „**ციხეს**“, მაშინ როდესაც ყველამ ვიცით, რომ **ყარსის მიდამოში სომხები არასოდეს ყოფილან** და თუ ეხლა არის, ეგენი **სათათრეთიდან გამოქცეულები (კახთაგანები)** არიან. შემდეგ სოფელ „**ოლჩაგში**“ მივედი; აქ 69 კომლი ანუ 514 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქვე სოფელში და მის გარშემო **სამი ეკლესიის ნანგრევებია**, ზოგან მარტო კედლებიღა დარჩენილი და ზოგან მხოლოდ ნაშთია.

აქედან გვერდით წამოვედი ს. **დუდუნაში**. სოფელი „**დუდუნა**“ მტკვრის პირადაა გაშენებული. აქ მტკვარი დუდუნით მიექანება თავქვე; ალბათ, სოფლისთვის **დუდუნა** ამიტომ დაურქმევიათ ქართველებს. აქ 14 კომლი ანუ 165 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის გარეთ, აღმოსავლეთის მხრით, ერთი მოზრდილი **თამარისეული ეკლესიის ნანგრევია**, რომლის მარტო საძირკველიღა მოსჩანს. იქვე ვეებერთელა შეკირული ქვების ხროვა ჰყრია.

აქვე მტკვრის გაყოლებით სოფ. **თამამში** მოვედით. **თამამი** ოდესღაც დიდი სოფელი ყოფილა, მაგრამ ნანგრევებია დარჩენილა. ბერები ამბობენ, რომ 1877 – 78 წელს, რუს – თათართა ბრძოლის დროს, აქ მცხოვრები **ქართველი მაჰმადიანები ზოგი ამოჟლიტეს რუსებმა და ზოგიც ოსმალებში გადასახლდაო**. აქვე, ნასოფლართან, მტკვრის მაღალ ხიდის მახლობლად, **ერთი დიდი ეკლესიის ნანგრევია**, რომლის კედლებიდან ნათალი ქვები ვიღაც ბოროტ სულს ჩამოუცლია და მარტოკა კირის კედლებიღა დაუტოვებია. ს. **ურიც** (ქართული სახელია) იქვე ახლოს იყო; იქაც გადავედით; აქ მცხოვრები 33 სული **ქართველი მაჰმადიანი** არის. სოფლის განაპირას ერთი პატარა კედლებით გაცარცული **ეკლესია დგას**, ნახევრად დანგრეული. აქვე სოფელში ერთი **მოზრდილი ეკლესიაა, თითქმის სულ მთელი**.

შემდეგ გზა იწყება თავქვე და აქ მტკვრის პირად სოფელი **ორი ყიზია**, რაც ნიშნავს „**ორიქალიშვილი**“. აქ 32 კომლი, ანუ 217 სული **ქართველი მაჰმადიანები** სცხოვრობენ. აქვე შიგ სოფელში ერთი პატარა **ეკლესია დგას**, რომელიც ნახევრამდე ქვებისაგან გამარცულია; ორი ყიზის პირდაპირ, მტკვრის გაღმა, ს. **ყიზილ – ქილისაა**, რაც ნიშნავს ქართულად „**ოქროს საყდარს**“.

გადავედით მტკვარზე. **ყიზილ – ქილისაში** დღეს არავინა ცხოვრობს. მას იგივე ბედი მოსვლია, რაც სოფ. **თამამს**. აქვე მაღლობზე, სოფლის გარედ, ერთი მოზრდილი **საყდარი დგას**, ესეც ქვებისაგან გაცარცულია, კედლებიც უკვე დანგრეულია, რომლის ნაშთი აქა – იქა სჩანს. 6 ვერსით მოშორებულს ყიზილ – ქილისას, სოფელი „**კრი** – – **არდოსანია**, ან **ვარდოსანი**; მხოლოდ „**კრი**“ არ ვიცი, რა არის. აქაც ოდესღაც **ქართველი მაჰმადიანები** ყოფილან. მაგრამ დღეს კი არავინაა,

სოფელი გაოხრებულია. აქ ერთი პატარა ეკლესიაა, მაგრამ დანგრეულა. აქედან 304 ვერსის სიშორეზე, მალა გორაკზე, სოფელი ქობალი მოსჩანს. „ქობალი“ მეგრული სიტყვაა, რაც ნიშნავს „პურს“. აქ 19 კომლი ანუ 106 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ეს სოფელი ძრიელ ნაქებია პურის მოსავლით. ალბათ ამისთვის დაურქმევიათ „ქობალი“. აქვე პატარა ეკლესიის ნანგრევია, რომლის მარტოკა გაშიშვლებული დაბალი კედლები მოსჩანს.

ს. ქობალიდან აღმოსავლეთის მხრით, 4 – 5 ვერსის მანძილზე, ს. ჩიხირეთი სძევს. სოფელში არავინ ცხოვრობს, გაოხრებულია. იქვე, სოფლის პირად, მდინარეს გაღმა, პატარა ეკლესიის ნანგრევია. აქედან დასავლეთის მხრით, კლდის ძირას, მდინარე წყაროსმანის პირად, ერთი დიდი ციხეა გაშენებული, რომელსაც სახელად „კირ – ნავი“ ჰქვია. ალბათ ქართული სახელია. ამ ციხეს არტაანის ოლქში სიდიდით მეოთხე ადგილი უჭირავს. ციხის კედლები აქა – იქ არის დანგრეული, დანარჩენი მთელია. ვიღაც ბოროტ ადამიანს ორ ადგილას, სამ – სამი საყენის სიგრძეზე, თითო არშინის სიღრმე კედლები გამოუთხრია. საკმარისია კიდევ ერთი არშინის გამოთხრა, რომ კედლები წაიქცეს. კარგი იქნება ქართველი ეთნოგრაფიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს ამას. შიგნით ციხის კედლებზე მრავალი სახლებია მიდგმული; შიგაც, შუაგულშიაც ყოფილა, არ ვიცი სახლი და არ ვიცი ეკლესია, რადგანაც დანგრეულია და მარტოკა ნანგრევებიდა სჩანან. შემდეგ იწყება სარდაფები. ციხის კედლებთან, შიგნით, გაყვანილია განზე გარედ თხრილი მიწაშივე; არ ვიცი, რა არის; მე მგონია, მღვიმე არ უნდა იყოს ქვეშ.

წყაროსმანის გაყოლებით, დაბა ალში, სადაც მდინარე წყაროსმანი გაგიჟებული ეხეთქება დიდ ვეებერთელა ქვებს, სდგას ს. ყვირილის ციხე. ამ სოფლისთვის, მე მგონია, შესაფერისი სახელი მიუციათ. ს. ყვირილის ციხე დღეს დანგრეულია; მასზე მხოლოდღა სოფლის ნანგრევები მოსჩანს. სოფლის ზემოდ, გორაკზე, პატარა ციხე დგას, რომლის ნაშთიღაა დარჩენილი. სოფელში პატარა ეკლესიის ნანგრევიცაა.

ყვირილის ციხიდან მარჯვნივ, სამი – ოთხი ვერსის მანძილზე, ს. ჩილური დევს. აქ სულმნათ თამარ მეფეს ეკლესია აუშენებია, მაგრამ უკვე ნახევრად დანგრეულია. სოფელიც გაოხრებულია.

ოთხი ვერსის შემდეგ იწყება აღმართი და აი, აღმართზე სოფელი ფიქრობია გაშენებული. აქ თურქმანები ცხოვრობენ. სოფლის გარედ ერთი საშუალო სიდიდის ეკლესიის ნანგრევია.

აქვე ახლოს სოფელი მასხარაა. აქაც თურქმანები ცხოვრობენ. იქვე შუა სოფელში პატარა ეკლესიაა, რომლის გაცარცული კედლები – ღა მარტოკა დგას.

სოფელ მასხარიდან აღმოსავლეთით, 4 – 5 ვერსის სიშორეზე, მალა გორაკზე, სოფელი სანამბეჯი მოსჩანს. ეს ოდესღაც კარგა მოზრდილი სოფელი ყოფილა, მაგრამ დღეს გაოხრებულია. აქაც პატარა ეკლესიის ნანგრევია.

აქედან სულ სამი საათისსავლელია ცხენით ზემო და ქვემო ტიკანმდე, სადაც 50 კომლი, ანუ 522 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ბევრმა აქაურებმა იციან ქართული ლაპარაკი; მხოლოდ ზემო ტიკანში კი 30 კომლი, ანუ 278 სული ქართველი მაჰმადიანი და 23 კომლი, ანუ 180 სული ყარაფაფახებია. ორივე ტიკანში პატარა ეკლესიების ნანგრევებია.

აქ სოფელიხარახი თუმც ახლოს იყო, მაგრამ ჩვენ სოფელ ვარდოსანს გავუხვიეთ, სადაც 42 კომლი ანუ 246 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ს. ვარდოსანისმდებარეობა, მართლაც რომ შეედარება სახელს. ირგვლივ ღია ადგილია; მშვენიერი ბუნება, წმინდა ჰაერი, აქვე ახლოს წმინდა ანკარა წყალი ჩაუდის, რომელშიაც პატარა კალმახები ციბრუტივით დასრიალებენ. მთელი ეს ბუნება ჰხიბლავს კაცს და თანაც ძალაუნებურად იპყრობს ადამიანის გონებას.

– რატომ ჰქვია ამ სოფელს ვარდოსანი, – დავეკითხე იქვე, ჩემს გვერდით მდგომ, ადგილობრივ ბებერ ქართველ მაჰმადიანს, რომელიც ქართულს კარგად ლაპარაკობს.

– ალბათ იმიტომ, რომ აქ სოფლის განაპირას ტყის ვარდები ჰხარობს, – მითხრა მან და ხელი ვარდის ჩირგვებისაკენ მიმიშვირა. იქვე ვარდების ჩირგვებთან **ორი ეკლესია** იყო. ერთიც და მეორეც სოფლის მეორე განაპირას იდგნენ. ერთი მოზრდილია, მეორე კი პატარა. ორივე დანგრეულია, მარტო კედლებიღა დარჩენილა.

უკვე ღამდებოდა. მალე სოფელ **ქვემო ხანახში** მივედით. აქ სამი ეკლესიის ნანგრევებია, სადაც, ნაცვლად კედლებისა, კირშიშედულებული ქვები – ღა გდია. სულ დაუმტვრევიათ, **ალბათ, ბერძნებს**. როგორც გავიგე, **ბერძნებს აზრუმის ქართულ ეკლესიაში ერთი არშინის სიდიდე ხის ღვთისმშობლის ხატი** უპოვნიათ ამ 30 წლის წინეთ და აქ **ქვემო ხანახის ეკლესიაში მოუსვენებიათ. ხატს ქართული წარწერა ჰქონია**. მდაბიო ხალხსა სჯერა, ეს ძრიელი ხატია, რასაც სთხოვ, აგისრულებსო. **წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ ხატის პატივსაცემად, 8 ენკენისთვის და აპრილის შუა რიცხვებშიო**. მინდოდა მენახა ხატი, მაგრამ მღვდელი ყარსში წასულიყო. უკვე თვალით სინათლე აღარ იყო. ძველ მეგობრისაკენ გავეშურე ღამის გასათიებლად.

კ. მარტვილელი (შემდეგი იქნება)

გაზეთი, „საქართველო“, № 230, 1917 წელი, ენკენისთვი 25, კვირა.

## არტაანის მხარეში

„მეორე დილას გამოვეთხოვე ჩემს მასპინძელს და **ზემო და შუა ხანახისაკენ** გავსწიე. აქაც **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. **ზემო ხანახში** 32 კომლია, ანუ 309 სული და **შუა ხანახში** კი 45 კომლი, ანუ 350 სული. **ორივე ხანახში საყდრებია**, მაგრამ ორივე დაუნგრევიათ. ქვემო ხანახის ახლოს სამი ნასოფლარი ადგილებია. ამბობენ, სამივე სოფელში **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობდნენ, მაგრამ **ოსმალეთში გადაასახლესო**. ამ სოფლებს სახელები ქართული ჰქონდა, მაგრამ აქ მცხოვრებლებმა ვერ გაიხსენეს.

ხანახიდან პირდაპირ ს. **ნაქალაქევი** წავედი. აქაც ყველა **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს, 112 კომლი, 746 სული. აქვე ახლო – მახლოს **7 ეკლესიის** ნანგრევებია, კედლები არა სჩანს, მხოლოდ სამირკველია და კირში შედულებული ვეებერთელა ქვები ჰყრია იქვე. აქედან პირდაპირ **მდინარე წყაროსანში** დავეშვით და მის ნაპირით **მალაროს** გზასგავუდექით. **მალარო ვარძიასავით გამოქვაბულია**, სადაც 5 – 6 სართულიანი ოთახებია.

შემდეგ სოფელ **ოქროს ქოთანისაკენ** გავსწიე. ეს სოფელი, როგორც გადმომცეს, ოდესღაც მდიდარი და დიდი ყოფილა, მაგრამ შემდეგ 1877 – 78 წლის რუს – თათართა ომის დროს, მხოლოდ **ნასოფლარი – ღა დარჩენილა**. აქვე ნასოფლარებში ერთი ეკლესიის ნანგრევიღა დარჩენილა. აქედან სოფელ **თეთრციხეზე** გადავედით. აქაც იგივეა, რაც სოფელ **ოქროს – ქოთანში**. **ნასოფლარში ერთი ეკლესიის ნანგრევი**. მხოლოდ სოფლის გარედ, მარჯვნივ, მაღლობზედ ერთი, მართლაც, **თეთრი ციხე** სდგას, რომელიც თითქმის დანგრეულია და კედლების რამოდენიმე ნაწილი – ღა დგას.

იქვე, მოშორებით, სოფელი **ველია**. მართლაც, რომ შეეფერება სახელს. 3 – 4 ვერსის მანძილზე, სოფლის გარშემო, ველია. აქ 55 კომლი ანუ 465 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. ბევრი მათგანი **ქართულს წმინდად ლაპარაკობენ**. სოფელში ხმა გავარდა, ქართველი მოხელე ჩამოვიდაო. ყველას უხაროდა ჩემი მისვლა. დიდი, პატარა, ქალი, კაცი – ყველა ხელს მართმევდა და თანაც მეკითხებოდა:

– როდის გადმოსახლდებიან თქვენები აქითო. – მე უარი ვუთხარი;

– არა, ქართველები აქეთ არ გადმოსახლდებიან, მხოლოდ გვინდა, არტაანი და ოლთისის ოლქები საქართველოს საზღვრებში შემოვიტანოთ – მეთქი.

– ჰმ, გაიკვირვეს მათ, რაღა საქართველოს საზღვრებში უნდა შეტანა, როცა ისედაც საქართველოა, არტაანი, ოლთისი, თორთუმი და სხვა სულ საქართველო იყო და არის კიდევ, ყველგან-თამარ მეფის აშენებული ციხე და საყდრებია, ყველა სოფელსაც ქართული სახელები ჰქვია, მხოლოდ აქა – იქ თუ შეგხვდებით თათრული ან სხვა სოფლის სახელი, ეს პირდაპირ ქართულიდანაა გადათარგმნილი, რადგანაც ბევრ ჩვენგანს და მეტად კი თურქებს და თურქმანებს ეძნელებათ ქართული სიტყვის გამოთქმა. არის ბევრი ახალი სოფელი, რომელიც ძველ სოფელზე გაუშენებიათ და სახელად „ენიქოი“ დაურქმევიათ, რაც ნიშნავს „ახლსოფელს“. ასე, მაგალითად, რუსებმა და მალაკნებმა სოფელი გააშენეს და ნაცვლად „კოდი წყაროსი“, რომელიც წინედ ერქვა და დღესაც თათრები მას ეძახიან, „მიხაილოვკა“ დაარქვეს. აგრეთვე, მალაკნებმა ნაცვლად „სარძევისი“ „ნიკოლაევკა“ უწოდეს. თათრები კი სულ სხვაფრივ მოიქცნენ. მაგ., სოფელი „შავი ციხე“ „ყარა ყალათი“ გადათარგმნეს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ „შავი ციხე“ მართლა „ყარა – ყალა“ ანუ თათრის ქვეყანა იყვეს; აი, თუ არა გჯერა, წამოდი, გაჩვენო თამარ მეფის აშენებული ეკლესია და ციხე ქართული წარწერით, ქართველებისავე სურათებით. ეკლესიაში ჩვენ ბინძურ ხალხს არ ვუშვებთ, მაგრამ შარშანწინ, როცა რუსმა ჩხუბი გამოუცხადა თათარს, რუსმა, ბერძენმა, სომეხმა ქრისტიანებმავე აიკლეს იგი.

შემდეგ ეკლესიისაკენ წავედით. სოფლიდან ციხის დაღმართამდე ნახევარი ვერსი გზაა, შემდეგ იწყება დიდი თავდაღმართი, რომელიც ბუნებრივი სიმაგრითაა შეზღუდული. ნახევარი ვერსის მერე კი იწყება ხელოვნური ციხე – გალავანი. საოცარია, რა ადამიანის ხელმა შესძლო მისი აშენება. ეს ვეებერთელა ქვები ერთი – მეორეზე როგორ დააწყვეს. ზოგიერთი ქვის სისქე და სიფართოე ერთ არშინს აღემატება, მხოლოდ სიგრძე ორ – ნახევარ, ზოგან სამს არშინს.

როგორც იყო ავედით დანიშუნლს ადგილას. პატარა ველზე მშვენიერი ციხეა აგებული. ციხეს გვერდით მხარს უმშვენებს პატარა, მაგრამ ლამაზი წითელი სუფთათ გათლილი ქვის ეკლესია, რომლის სიგანე 8 არშინია და სიგრძე კი 12. ეკლესია ახალი აშენებულია, სურათები თითქმის მთლად შენახულია. კედელზე აშკარად სჩანს სრული კაცის სიმაღლის იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, ბასილი დიდი, ვგონებ – დავით აღმაშენებელი, რომელსაც თავი წაშლია, მაგრამ ტანი მთლად დარჩენია და ხელში პატარა საყდარი უჭირავს. შემდეგ იწყება 10 – 12 მოციქული ქრისტესი; იქვე, მათ გვერდით, დახატულია ვიღაც ქალის ტანი, რომელსაც გრძელი თმის ნაწნავი ჩამოშვებული აქვს წინ, და მუხლდაკრებილი სდგას. ტანზე სამეფო ტანისამოსი ემჩნევა, თავი არა აქვს. მე მგონია თამარ მეფე უნდა იყოს.

დასავლეთისკენ თეთრი ცხენია დახატული, რომლისაც ქვეშ გველვეშაპი აგდია და შუბი პირში უდევს. ცხენზე მჯდომი წაშლილა, მხოლოდ ცხენის მუცელზე ერთი ფეხი მოსჩანს კაცისა.

ვიღაცა სომეხს იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის სახეებზე ოთხ – ოთხი პწკარი რაღაც დაუწერია სომხურათ და მით სრულიად დაუმახინჯებიათ სახე მათი.

კედლებზე მრავალი წარწერაა ქართულად, რუსულად, ბერძნულად, სომხურად. ქართული წარწერებიდან, რაც გავარჩიე, გადმოვწერე; „1811 года მე ტარას სეფის ოტომარნი დავსწერე“. დაწერილია ლამაზი ბეჭდური ხელით, მაგრამ აქა – იქ წაშლილა და ვერ გავარჩიე. მეორე – „1915 года ვიყავით ოყუჯავა და ტულუში“, (ალბათ, ჯარისკაცები არიან და არტაანიდან წამოსულებმა, თათრის შემოსვლის დროს თავი აქ შეაფარეს, როგორც ორი პოლკი ყაზახ – რუსებმა – მაღაროში).

მესამე – „1784 პატარ ფოლიქტომან“ და მეოთხე – „ვიყავი აქ გულმტირალნი ერთი მამულისშვილნი 1906. ს. ბავლი“. დანარჩენი წარწერები ვერ ამოვიკითხე.

იქვე, ეკლესიაში შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს, სადაც ტრაპეზი ყოფილა, ერთი დიდი ქვა გდია, რომელიც არშინ – ნახევრის სიმაღლეზეა და სისქე – სიფართოე არშინზე მეტი, ალბათ ტრაპეზი ყოფილა. როგორც შიგ ეკლესიაში, აგრეთვე, ეკლესიის გარეთაც, მრავალი კაცის ძვლები ყრია; ბევრგან კაცის თავის ქალასაც შეხვდებით.

გარეთ აღმოსავლეთისაკენ, მაღალი ფანჯრის თაღის ქვაზე, **ქართული ხუცური ასოებია ამოჭრილი**, მაგრამ უთვალთვალად მისი წაკითხვა შეუძლებელია.

ჩრდილოეთით, ეკლესიას ზედვე, მიდგმული აქვს მასზე შორს **მაღალი ციხესავით სახლი, რომელიც თითქმის მთელია. მისი შესავალი კარი არსაიდანაა სჩანს**, რომლის გამო ვიღაცაებს კედელი ერთი არშინის სიფართოეზე ამოუჭრიათ: მეორე სართულზემემძვრალან, შიგნითაც მაღლა მეორე ამოდენათვე სართული სჭერია, მხოლოდ მესამე სართულის სახურავი კი თითქმის ნახევრად დაუნგრევიათ. კედლის ქვები შუაზეა გადატეხილი.

მეორე სართულში შიგნით მშვენიერი მოზრდილი და დაბალი ოთახია. იატაკზე ჭერიდან მონანგრევი ქვები ჰყრია, თვით ოთახს სამი არშინის სიგანე აქვს, რვა არშინი სიგრძე და ორი არშინიც სიმაღლე; კედლებზე შიგნით გარშემო ხელოვნურად გაკეთებული პატარ – პატარა უჯრები აქვს ბრტყელი ნათალი ქვით, რომლის სიფართოე და სისრულე კვადრატულად მეოთხედი არშინია, მხოლოდ კედელში შეყვანილი სიგრძე კი ორი მეხუთედი არშინისაა. ასეთი უჯრები 216 ერთეულიდავითვალე. როგორც სჩანს, ამ ოთახში ციხისსალარო ყოფილა.

– 12 წლის წინეთ, – მითხრა ჩემმა თანამგზავრმა **იუსუფ გულამადოღლიმ**, – ადგილობრივ მცხოვრებს ქართველ მაჰმადიანს **იზიატ მეზინოღლის აქ 6 ქართული ოქროს ფული უპოვნია**, რუსულ შაურთანებზე ცოტათი მეტი და ვიღაც არტანელი ვაჭრისთვის მიუყიდნია 7 მანეთნახევრად თითო. ამ 8 – 9 წლის წინეთ კი ვიღაც ბერები მოსულან ღამე ლომითა და წერაქვით, დაუნგრევიათ ეს ზემოდ ნაჩვენები კედლები და **100 – ზე მეტი ქართული ოქროს ფული უპოვნიათ**. ამ სალაროს ქვემო სართული ჯერედ სრულიად მთელია და მისი შესავალი კარი კი ვერსად ვერ ვიპოვნეთ. აქვე, ეკლესიის გვერდით, აღმოსავლეთის მხარეს, საფლავებია. აქვე, ეკლესიის მოშორებით, ორი სარდაფით თხრილებია, მაგრამ არ ვიცი კი რისთვის არისო.

შემდეგ, მტკვრის მხრისკენ დასავლეთით, თავქვე დაღმართი იწყება, სადაც **მრავალი სახლებია აშენებული. ყველა სახლები თეთრი გათლილი ქვებითაა გაშენებული**. სახლებს მარტო სახურავები დანგრევიათ, თორემ **კედლები სულ ახალი აქვთ. აქვე აბანოა, მშვენიერი თეთრი ნათალი ქვით აშენებული**, რომლის წყალის ამოსაყვანი მილები ეხლაც მთელია, მხოლოდ აქა – იქ მილებს თავები წასტეხიათ. იქვე, აბანოში, აუზის ქვებია. ყველა სახლები და აბანო უგუმბათო საყდრის მსგავსად არის აშენებული.

მეორე სახლი დიდია, ერთი თვალია, მაგრამ გრძელი, რომლის დაბალი და განიერი ფანჯრები მტკვარში იყურება, საიდანაც გადახედვა საშიშოა; იქვე, გარედ, სამი დიდი სარდაფია ამოთხრილი, მხოლოდ ვერც ეს გავიგე, რისთვისაა.

შემდეგ იწყება საშინელი ჩასასვლელი გზა, თავქვე, სადაც უბაწროდ ჩასვლა ადამიანს არ ძალუძს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩადის ვეებერთელა გალავანი ციხისა, მთელ ნახევარი ვერსის სიგრძეზე.

შემდეგ იწყება პატარა გორა, რომელიც დამხოზილ ქვაბს მოგაგონებს. აი, ამ გორის მაღლობზე გაშენებულია საშვალო შეხუდულობის **მრგვალი ციხე**, რომლის მხოლოდ კედელია დარჩენილა. გარშემო ამ ციხეს დიდი საზოგადო გალავანი უვლია და მიდის მაღლა **სოფელ ველის მაღლობზე**.



ქვეშ, გალავნის გარედ, მტკვრის პირად, რამდენიმე სახლია გაშენებული; ამბობენ, წისქვილი იყო. მართლაც, იქვე, წისქვილის პირდაპირ, პატარა შავი ზონარივით მოჩანს მტკვრიდან გამოყოფილი არხი, მაგრამ მასში წყალი არ მოდის. აქვე, სახლთან ახლოს, არხთან, ორი მრგვალი ქვაა, ალბათ წისქვილისა.

ციხის შიგნით ოთახები კაცის ძვლებითაა სავსე. ზოგიერთ ადგილას ფხვნილი მტვერით რბილი მიწაა; ფეხს რომ წაჰკრამ, ყველგან კაცის ძვლები ამოცვინდება. ციხეს სამი მხრივ მტკვარი უვლის და მეოთხე მხარეს კი სოფ. ველის აღმართი ჰფარავს.

კ. მარტვილელი

(შემდეგი იქნება)

გაზეთი „საქართველო“, № 232, ენკენისთვის 28, 1917 წელი, ხუთშაბათი.

## „არტაანის მხარეში“

„შემდეგ ვეწვიე სოფლებს – ზემო და ქვემო ხელოვანს. ხელოვანში, ალბათ, დასაბამიდან ხელოვნები ცხოვრობდნენ და სოფელი „ხელოვანი“, ალბათ, ამიტომ დაურქმევიათ. **ქვემო ხელოვანში** არავინაა, სოფელი გაოხრებულია. მტკვრის გაღმა, სოფელ ველიდან 15 ვერსის მანძილზე, სოფელ გუგუბის იქით, ერთი პატარა, მაგრამ მაღალი მთა მოსჩანს, რომლის შეხედულობა ძრიელ წააგავს **დიდს არარატს**. აი, ამ მთაზე სდგას **დიდი ეკლესია**, რომლის ერთი კედელიაა დარჩენილი. ეს კედელი თითქმის 5 საყენის სიმაღლეა, რომელიც, მიუხედავად მაღალი მთებისა, და 40 ვერსის მანძილისა არტაანიდან, ერთნახევარი კაცის სიმაღლეზე მოსჩანს.

აქედან სოფ. **გუგუბასა** შევიარეთ, სადაც 79 კომლი ანუ 597 სული **ქართველი მაჰმადიანებია**. აქაურ მცხოვრებთაგანმა **ბევრმა იცის ქართული ლაპარაკი**. თავად გუგუბაში ერთი ეკლესიის ნანგრევია, მხოლოდ ერთი ვერსის მოშორებით კი ერთი საშუალო, მაგრამ ლამაზი და მაღალი **გუმბათიანი ეკლესია სდგას**, რომელიც გუმბათიანად შუაზეა გახეთქილი და დანგრეული. მეორე ნახევარი კი მთლად დგას. **კედლებზე ეკლესიას აჩრდილივით ემჩნევა დიდი სურათები**.

გუგუბიდან ს. **გეჯში** ანუ „**ლეჯში**“ გადავდით. სიტყვა „**ლეჯი**“ მეგრულია და ნიშნავს „**ღორს**“. შეიძლება, მართლაც, სოფელს ღორის სახელი უწოდეს, რადგანაც თათრულში „**გეჯი**“ და არც „**ლეჯი**“ არ მოიპოვება. შეიძლება „**გეჯიც**“ იყოს, რადგანაც სოფელი „**გეჯეთი**“ სამეგრელოში მარტვილთან 15 ვერსის მოშორებითაა. აქ 36 კომლი ანუ 390 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქაც **ეკლესიაა**, რომელიც თუმცაღა დგას, მაგრამ სრულიად გამარცვულია; ქვები ჩამოუხსნიათ.

აქედან სოფელ **ბერგში** გადავდით. „**ბერგი**“ მეგრული სიტყვაა, ნიშნავს „**თოხს**“. თათრებს სიტყვა „**ბერგი**“ არა აქვთ. აქაც 47 კომლი ანუ 642 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. ერთი **ეკლესია** სდგას; იმავე სახისაა, რაც გეჯში.

ბერგიდან **ქონქში** გადმოვდით. აქაც 37 კომლი ანუ 400 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქაც იგეთივე სახის **ეკლესიაა**, რაც ბერგში. ქონქს 12 ვერსით ახლავს, აღმოსავლეთის მხარეს, ს. **ორუშეთი**, აქ კი **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც ერთი **პატარა ეკლესიაა**, მაგრამ დანგრეულია და კედლებიღა დგას; მხოლოდ ორუშეთის იქით მთის ძირს **ერთი დიდი ეკლესია დგას**, რომელიც **ძლიერ წააგავს გელათის მონასტერს და თითქმის მთელიცაა**. ამაზე წარწერები ვეღარ წავიკითხე, რადგანაც მაღლათაა და მასთან ნახევრად მოშლილი. შენობა აქა – იქ **ჩუქურთმულია**

და ლამაზი, წმინდათ გათლილი დიდრონ ქვებიდან. შიგნით სურათებიც ემჩნევა, ქართული ხუცური წარწერებიცაა აქვს, მაგრამ მათ წასაკითხავად გამადიდებელი შუშაა საჭირო. სახელი ამ ნასოფლარისა, არავინ იცის.

აქედან ს. ახალშენში გადავდივართ. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე, სოფლის ახლოს, ეკლესია დგას, თითქმის ნახევრად დანგრეული და გამარცხლი. სოფელ ახალშენიდან სოფელ ჯვარის-ხევში ჩავდივართ. ეს სოფელი ჯვარედინა ხევში დგას, ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ჯვარის ხევი. აქ 52 კომლი ანუ 395 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც ეკლესიაა, მაგრამ ნახევრად დანგრეული. ჯვარის ხევიდან 3 – 4 კერსის სიშორეზე, მაღალი მთის ძირად, სოფელი მაჩუეთია. აქაც 39 კომლი ანუ 419 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც ეკლესიაა დანგრეული, მარტო კედლებიღაა შერჩენილი. აქედან სოფლებ ზემო და ქვემო თამარში შევიარე. აქ კი თურქმანები ცხოვრობენ. თითო ეკლესია აქაც არის, ოღონდ დანგრეულან. იქვე მოშორებით სოფელი ქირქიადანი არის. აქაც თურქმანებია. სოფლის გარედ, მთის ძირას, ციხის ნანგრევია. სოფელში ეკლესიაა.

იქვე ახლოს სოფელი დამაქეთია. იქაც თურქმანებია. იქვე, სოფლის გარედ, პატარა ეკლესიის ნანგრევია. იქვე 6 კერსზე სოფელი შორს არის. სახელი „შორს“ ყველამ ვიცით, რომ ქართულია. აქაც თურქმანები ცხოვრობენ. აქ სოფლის გარედ მოზრდილი ეკლესიის ნანგრევებია. სოფელ ჩამლი – ჩაირშიაც გამოვიარე, აქაც თურქმანებია. იქვე სოფელში პატარა ეკლესიის კედლებიღა სდგას. აქედან სოფელ ვერანა ნაქალაქევიმაც შევიარე. აქაც თურქმანებია. აქ კი, სოფლის გარშემო, 4 ეკლესიის ნანგრევებია, ზოგი დიდია, ზოგიც პატარა. გარშემო ვერანა ნაქალაქევისა ათამდე სოფელი ყოფილა, ყველას ქართული სახელები რქმევია, მაგრამ არავის ახსოვს მათი სახელები. სოფლების გარშემო 13 ეკლესიის ნანგრევებია.

აქედან პირდაპირ გავწიე სოფელ კართანახევში. გზაზე ბევრი დანგრეული სოფლებისა და ეკლესიების ნანგრევებია, მაგრამ სახელები არავინ იცის. სოფელი „კართანახევი“ ზედგამოჭრილი სახელია ადგილ – მიდამოსი. მართლაც, ზედ სოფელზე ვეებერთელა ხევი გადის. სოფელი წინათ 10 საჟენით მაღლა მდგარა, მაგრამ რადგანაც მიწისქვეშ ნიადაგი წყლიანია, ჩაწეულა. აქ 49 კომლი ანუ 483 სული ქართველი მაჰმადიანი სცხოვრობს. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. კართანახევის პირდაპირ, მთაზე, სოფელი ყურტ – ყალაა, რაც ნიშნავს მგლის ციხეს. აქაც 39 კომლი ანუ 406 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. მომეტებული ამათში ბერძნის გვარისანი არიან. ყურტყალას ცოტათი მოშორებით ერთი დიდი ციხე დგას, რომელსაც მგლის ციხეს ეძახიან. ეს ციხე ერთ დიდ ვეებერთელა ციხაბო კლდეზე დგას, საიდანაც მტკვარს გადაჰყურებს დაბლა ხეობაზე.

კ. მარტვილელი  
(შემდეგი იქნება)

გაზეთი „საქართველო“, № 234, 1917 წელი, ენკენის თვე, 30, შაბათი.

## „არტაანის მხარეში“

„ყურტყალიდან სოფ. წყაროსთავში გადავდივართ. იქ 57 კომლი ანუ 437 ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობენ. აქ, შუა სოფელში, დგას გელათის ტამარზე ცოტა პატარა, მაგრამ მისი მსგავსი ეკლესია, რომლის სურათები სრულიად არის დაცული. ამ ეკლესიას, როგორც შიგნით, აგრეთვე, გარეთაც

მრავალი ქართულ – ხუცური წარწერები აქვს. ეს ეკლესია ძრიელ სუფთადაა შენახული. ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანს შერიფ ალა საღირიძეს ნაბრძანები აქვს აქაური მოლისათვის, რომ სუფთად ქონდეს შენახული იგი.

შემდეგ ს. რაბათში გადმოვედი. აქაც 32 კომლი, ანუ 427 სულიქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. რაბათის ორი ვერსის მოშორებით აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის პირად, მაღლობზედ, გაშენებულია ერთი მშვენიერი და მეტად ლამაზი ციხე; სიდიდით, მართალია, ველისციხეზე ცოტა პატარა იქნება, სამაგიეროდ, ეს უფრო ლამაზია მასზე. ციხეზე გაყვანილია მშვენიერი სოშეს ლამაზი გზა სულმნათი თამარისაგან, რომელიც დღესაც დარჩენილა. ციხეს გარშემო, მიუხედავად იმისა, რომრაც კლდეზე დგას, რომლის პირები სამივე მხრივ პირდაპირ ჩამოტეხილია, თვალუწვდენელ სიშორემდე, ვეებერთელა გალავანი არტყია, რომელიც დღესაც დაუზიანებელია. გალავანში მაღალი მრგვალი ციხე დგას. ამ ციხეში კიდევ მეორე ციხეა. შიგ ამ ციხეში სახლები დგას. როგორც ეტყობა, სალარო უნდა იყოს. სახლები და ორივე ციხეები სულ მრთელია. შიგნით ჩავედი, დავათვალიერე ყველაფერი. შემდეგ მეორე ციხის გალავანზე ავცოცდი, მინდოდა მაღალი კოშკის ფანჯრებში ჩამეხედა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ორივე მხრიდან თვალუწვდენელი ხევი უვლის ციხეს, აღმოსავლეთიდან მტკვრისა და დასავლეთ – სამხრეთიდან ზურზუნის მდინარე, ზევიდან მაღალი მთა გადმოჰყურებს ციხეს. ერთადერთი მისავალი სოფელ რაბათიდან აქვს. დანარჩენი რაბათის ციხისა, ისევეა მოწყობილი, როგორც ველის ციხე; წყლის ამოსაყვანი მილი აქ შორსაა უფრო დიდია და მაღალი, ვიდრე ველის ციხეში. სახლები აქ ყველა დანგრეულია, ალბათ ძალით. ამბობენ, რაბათში ბევრი ოქროს ფულები, ოქროს რაღაც სამკაული უპოვნიათ.

რაბითიდან ს. ზურზუნაში გადმოვედი; შემდეგ მოველი ს. ყორე – ველში, რომელიც ყარაფაფახებითაა დასახლებული. ყორეველი ანუ ყორე და ველი ქართული სიტყვაა. აქ სოფლის განაპირზე საშუალო ზომის ეკლესია ყოფილა აშენებული, მაგრამ დღეს მისი კედლებიდაა დარჩენილი. ხუთი ვერსის შემდეგ ს. ფრუთი იწყება. სიტყვა „ფრუთი“ „ბრუნდს“ უნდა უდრიდეს; ყოველ შემთხვევაში ეს თათრული არ არის და სომხურში სულაც არ არის საძებნელი, რადგანაც სომხები არტაანის ოლქში დასაბამიდან არ სახლობდნენ, მხოლოდ ამ 25 წლის წინეთ გადმოსახლდნენ, მაგრამ აქით ჩალდიჩობა არტაანისა (არტაანის გამოკლებით), აგრეთვე, ფოცხოვის ნაწილებში მათი ხსენებაც არ არის; არის მხოლოდ გელის (კოლას) ნაწილში ერთი პატარა სოფელი ურუთი, რომელზედაც 14 მოსახლე ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ და 17 კი სომეხი „კახთაგანები“, რაც ნიშნავს ქართულად გამოქცეულებს და ისიც გალმოსახლდნენამ ათი წლის წინეთ. ისინისოფელ სასადილოშიაც ცხოვრობენ, მაგრამ ეგენი ართვინის ოლქიდან გადმოსული სომეხი ფრანგები არიან, რომლებიც არც სჯულითა და არც ეროვნებით სომხებს არ ეკარებათ.

სოფ. ფრუთში 29 კომლი ანუ 400 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც არის ქართული ეკლესიის ნაშთი დარჩენილი.

სოფელი ურთაში, ან ორ – მთაში მოვედით. ესეც, ადვილი შესადლებელია, ურთა კი არა ორ – მთა იყოს, რადგანაც ეს სოფელი ორ – მთას შუაა გაშენებული. აქ მცხოვრები ყარაფაფახები არიან. იქვე, სოფლის გარდა, ნასაყდრევი ადგილია. სჩანს აქაც ყოფილა ქართული ეკლესია.

ურთას შემდეგ სოფელი მერედისი, ანუ მერემდისია, რაც ორივე მხრიდან ქართული სახელია. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ. სოფელში ეკლესიის ნანგრევი არის.

ს. მერემდისიდან 15 – 16 ვერსიჩალადირის (ჩილდირის) ტბის პირას ყარსის გზატკეცილს გავყევით და ს.ფიქრაშენში ანუ უმაღ ფიქრი – შენი, მოვედით. აქ მარტო 8 კომლი ანუ 76 სულია ქართველი მაჰმადიანია. დანარჩენი ყარაფაფახებია; შუა სოფელში, ზედ გზის პირად, მხოლოდ

ტბას 80 – 100 საჟენით მოშორებული, ერთი ვეებერთელა ქართული ტაძრის კედლებია, რომლის სიმაღლე მგონი 406 საჟენი იქნება. საყდრის კედლებზე ადგილობრივ ყარაფაფახს სახლი და დუქანი მიუშენებია; მხოლოდ ვეებერთელა კედლებია საბოსლეთ, სათივეთ და მრავალი სხვა უარესი სიბინძურეთი გაუხდიათ, თანაც კედლებიდან ქვები ჩამოუხსნიათ და მით სახლი გაუშენებიათ. შიგნით ეკლესია რამდენიმე ნაწილითაა დაყოფილი. სჩანს, მრავალი საკურთხეველი ჰქონია. აქ კედლებზე ქვაც ყოფილა ქართული ხუცურის წარწერით, მაგრამ აღას ჩამოუხსნია, გაუთლია, ბუხრათ გაუკეთებია. საჭიროა ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს ამას.

ფიქრიშენიდან ტბა მარცხნივ დავტოვეთ. ჩვენ მარცხნივ მთაზე გადავედით და მივედით. გერაშენში, ანუ უკეთა ვსთქვათ, გერი – შენში, რადგანაც „გერაშენი“ თათრული სიტყვა არაა. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ; პატარა ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

გერიშენიდან 6 ვერსის სიშორეზე, წინა ყარსისკენ, სოფელი ტაშაშია. ეს სოფელი ქვის მალლობზეა გაშენებული და გადაჰყურებს ჩილდირის ტბას. შემდეგ ტაშაშისა, ტბა თანდათან ვიწროვდება და 6 ვერსის შემდგომ მისი სიფართო მხოლოდ 30 – 40 საჟენს შეიძლება ცოტათი აღემატოს. აქ სულმნათ თამარ მეფეს მშვენიერის ხელოვნურათ დიდი და თანაც სქელი ქვის ხიდი გაუკეთებია, რომელიც დღეს სრულიად შეურყეველია და მგონი ათას წელზე მეტიც გასძლოს კიდევ.

კ. მარტვილელი

(შემდეგი იქნება).

გაზეთი „საქართველო“, № 216, 1917 წელი, ღვინობისთვის 3, სამშაბათი

## არტაანის მხარეში

შემდეგ მიველი ტაშქეფრში. სიტყვა „ტაშქეფრი“ თათრულია და ქართულად „ქვის ხიდსა“ ნიშნავს. ალბათ წინათ ამ სოფელს ქვის ხიდი ერქო და თათრებს კი გადაუთარგმნიათ „ტაშქეფრად“. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ. მალლობზე, სოფლის უკან, პატარა საყდრის ნანგრევი. იქვე ახლოს სხვა ნანგრევებიც მოჩანს, მაგრამ არ ვიცი, რის ყოფილა, შეიძლება პატარა ციხე იყო. ს. ტაშქეფრიდან წინ, ისევ ყარსისაკენ, ხუთი ვერსით წავიწიეთ, სადაც თავდება ჩილდირის ტბა. აქ უფრო დიდი მალლობია, ვიდრე ტაშქეფრისა. ზემოდ ამაზე გაშენებულია ს. ქამარვანი; აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ. ქამარვანის მარჯვნივ ცოტათი მოშორებით ეკლესიის ნანგრევი ჩანს, აქაც ყოფილა ეკლესია.

აქედან უკან მოვტრიალდით და ტბის მეორე პირით ს. ირიშლში მივედით; ეს სახელი ქართული უნდა იყოს. ირიშლი ზედ ტბის პირადაა გაშენებული და სოფელიც დიდია. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ. ეკლესიის ნაშთი აქაც არის.

აქედან, ისევ ტბის პირით, 7 ვერსი წავედით და სოფ. ყიზილვერანში მივედით. სიტყვა „ყიზილვერანი“ თათრულია და ქართულად „ოქროს იძლევა“ – ს ნიშნავს; ალბათ, წინეთ „ოქროს იძლევა“ ერქო. აქაც ყარაფაფახებია. აქაც არის პატარა ეკლესიის ნანგრევი. ს. ყიზილვერანიდან 15 ვერსი ტბის პირადსულ მთა – ხევებია სავლელი. შემდეგ მთის ქვეშ დაეშვები, სადაც ტბის ჭალაა გამლილი.

აი, ამ ჭალის გაღმა, ცოტათი აღმართზე, სოფ. **ჭალაა** გაშენებული, რომლის შუაგულს ამშვენებს **დიდი უგუმბათო ქართული ეკლესია**. ეკლესიას არსად ერთი ქვაც არ აკლია, **სრულიად მთელია, გეგონებათ ამ ათი წლის წინეთ აუშენებიათო**. გარედან **ქართულ – ხუცური ნაწერებია**. ეკლესია **ყარაფაფახებს** მეჩეთათ აქვთ. ამბობენ, შიგ **ეკლესიაში სურათები** არისო, მაგრამ, სამწუხაროთ, მოლა ყარსში წასულიყო და ეკლესიის გასადები თან წაეღო.

შემდეგ პატარა ტბას წავადექით. ტბის შუაგულში პატარა კუნძულია აღმართული, რომლის სიგანე ნახევარ ვერსს აღემატება. აი, ამ კუნძულზე ძველი **თამარისეული ციხეა** გაშენებული, რომლის მაღალი კედლები დღესაც ამაყადა სდგანან. იქვეა ნაგები. ვსთხოვე ერთ **კეთილ ყარაფაფახს**, წავეყვანე კუნძულზე, რომლის გამო გასამრჯელოს დავპირდი. მან მოხსნა ნავი, ჩავჯექე შიგ და 20 წუთში კუნძულზე ამოვყევი თავი და ციხეში შეველით. ციხის შიგნით ხვრელი დავინახეთ. კარტოფილის სანთელი ავანთეთ და ხვრელშიჩავძვერით; სანთელი ხშირათ გვიქრებოდა. ქვემ დიდი სარდაფი აღმოჩნდა. ყველგან დავიარე. სარდაფის ბოლოს, კედლის ქვემ იატაკთან, კარივით გამოჭრილი ადგილი ვნახეთ; იქაც შევედით, მაგრამ აქ სანთელი აღარ ეკიდებოდა, დიდი სიბნელე იყო სარდაფში. მიუხედავად ამისა, სარდაფი, ოთხზე დამდგარმა, სულდავიარე.

აქედანს. **თეთრი ციხისაკენ** წამოვედი. თეთრ ციხეშიაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. რატომ ჰქვია „**თეთრი ციხე**“ ამ სოფელს? ალბათ იმისათვის, რომ აქ სოფლის მაღლობზე თეთრი ქვისაგან გაშენებული ციხე სდგას, რომელიც თითქმის უკვე დანგრეულია. იქვე მოშორებით მეორე სოფელი – **პატარა თეთრი ციხეცაა**, მაგრამ აქ არავინ ცხოვრობს, მარტოკა **ნასოფლარია**.

აქედან სოფელი **კაკაჩი**, ანუ მგონი უფრო მართალი იქნება, „**კაკაბში**“ მივედით. ს. **კაკაბის** ერთი წვერი შიგ ტბაშია შეწეული, რომლის კედლები ათას ფუთიანი ქვებითაა შეზღუდული, ალბათ ტბის ტალღების სიმკაცრის ასაცდენად. ამ სოფლის მეორე ნაწილი, თუმცა ცოტათი გაშლილია, მაგრამ სულ 100 საყენით, რომლის შემდეგ იწყება ქვიანი მთა; ამ მთაში ათასობით და ასიათასობით ბუდობს კაკაბი; ალბათ ამისთვის დაურქმევიათ ამ სოფლისათვის სახელი „**კაკაბი**“. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ. იქვე ახლოს, მთის ძირას, **პატარა ეკლესიის ნანგრევებია**; ალბათ, აქაც ეკლესია ყოფილა გაშენებული.

აქედან ისევ მთა – ღრეებით სოფ. **ქვედაჯამბაზში** მოვედი. სოფელი ჯამბაზი თვალუწვდენელ ტრიალ მინდორზეა გაშენებული, სადაც „**სუ – ყარა**“ ანუ „**შავი წყალი**“ გველივით მიიკლაკნება. „**ჯამბაზიც**“ ქართული სახელია, რაც ნიშნავს ბაწარზე მოსიარულე კაცს. აქაც **ყარაფაფახები** არიან. აქაც პატარა ნანგრევია, ალბათ **ეკლესიისა**. მარჯვნივ, აღმოსავლეთისაკენ, სოფ. **ზედა – ჯამბაზია**. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

იქვე სოფელი **კოდამეხია**; **კოდა – მეხი**, მგონი ქართული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „**კოდი-მეხს**“. ჩვენში ეხლაც არის დარჩენილი წყევლა – „**ერთი კოდი მეხი დაგაყარეო**“. ალბათ აქედან წარმოსდგა ამ სოფლის სახელიც – „**კოდა – მეხი**“. აქაც **ყარაფაფახები** არიან. კოდა – მეხშიაც არის ერთი პატარა ნანგრევი, მგონი **საყდრისა**.

აქედან სოფ. „**შავ ციხეში**“ გადავედით. ეხლა ამას ზოგიერთი თათრები „**ყარაყალეს**“ ეძახიან; ე.ი. „**შავ ციხეს**“. ძველად „**შავი ციხე**“ რქმევია და ბევრი ახლაც შავ – ციხეს უძახიან. რატომ უძახიან „**შავ ციხეს**“? – ალბათ იმისთვის, რომ იქვე სოფლის გარედ შავი ქვისაგან აშენებული ციხე დგას, რომელისაც ეხლა კედლებიღაა დარჩენილი. აქაც **ყარაფაფახები** ცხოვრობენ.

შავ ციხიდან მაღლობზე სოფ. **ბაშქეია**, „**ბაშქეი**“ თათრული სახელია და ქართულად ნიშნავს „**სოფლის თავს**“. ბაშქეი, მართლაც, რომ სოფლის თავია მაღლობზე გადამდგარი; მთელ 10 – 15 სოფლებსზემოდან დასცქერის. ბაშქეიში მხოლოდ 6 კომლი ანუ 50 სულია **ქართველი მაჰმადიანი**. დანარჩენი **ყარაფაფახებია**.

აქედან ქვეშ, დაბლობზე, ჩამოვედი და სოფელ ჩამდურასაკენ გზას გავუდექი. აქაც ყარაფაფახები ცხოვრობენ. სიტყვა „ჩამდურა“ თათრული არ არის. მე, მგონია, ქართული უნდა იყოს.

კ. მარტვილელი  
(შემდეგი იქნება)

გაზეთი „საქართველო“, №217, 1917 წელი, ღვინობისთვის 4, ოთხშაბათი.

## „არტაანის მხარეში“

„შემდეგ სოფლებში საინტერესოა სოფელი ყანარბილი, რომელიც საზღვარია არტაანის ოლქისა, ახალქალაქის მაზრასთან. ყარაფაფახები ცხოვრობენ. სოფელი ყანარბილი ყანარბილის ტბასთან ძვეს ღია, გაშლილ მინდორზე. მხოლოდ დასავლეთისაკენ მაღალი მთა ეფარება, რომელზედაც არტაან – ახალქალაქის შარაგზა გველივით მიიკლაკნება და სოფელს ორად ჰყოფს.

აქედან სოფელ ჩაბურდაში მოველით. აქ 21 კომლი ანუ 200 სული ქართველი მაჰმადიანია. აქვე სოფლის გარედ პატარა საყდრის ნანგრევია. შემდეგ იწყება სოფელი ვაშლობი. აქ ქურთები ცხოვრობენ. აქვე ეკლესიის ნანგრევია, რომლის მარტო პატარა ნატეხივით კედლის ნაწილი დარჩენილა. აქვე სოფელი კოდასია. „კოდასი“ ქართული სახელია. აქ ყარაფაფახები ცხოვრობენ. აქაც ერთი ეკლესიის ნაშთია. შემდეგ იწყება სოფელი ჭოლოთი. „ჭოლოთი“ ქართული სახელია. აქ 28 კომლი ანუ 393 სული ქართველი მაჰმადიანია. აქაც ეკლესიის ნანგრევებია.

აქედან სოფელ თათალეთში გადმოვედი. აქაც 39 კომლი ანუ 497 სული ქართველი მაჰმადიანებია. სოფლის ზემოთ ერთი მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი დგას. იქვე ახლოს სოფელი ხამაში იწყება. აქ ქურთები სცხოვრობენ. სიტყვა „ხამაში“ – ც ქართულია. სოფელში პატარა ეკლესიის ნანგრევია. აქედან სოფელ ზარაბუქში გადავედი. „ზარაბუქი“ ქართული სიტყვაა. აქ 23 კომლი ანუ 277 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იქვე პატარა ეკლესიის ნანგრევია. ზარა – ბუქიდან სოფელ ბეგრახათუნში მოვედი. ეს სოფელი სძვეს დიდი ხევის პირად, ახალქალაქისშარაგზასთან ახლოს. ამ სოფლის ახლო – მახლოს წყალი არ მოიპოვება და მცხოვრებნი, რომლებიც 23 კომლი, ანუ 279 სული ქართული მაჰმადიანებისაგან შესდგება, უწყლობისა გამოძრიელ შევიწროებულნი არიან. აქვე სოფელშიპატარა ეკლესიის ნანგრევია, რომელიც სრულიად გამარცულია.

იქვე, ამ ხევის პირად, სოფელიპარკაუ ანუ ახალი ბეგრახათუნია. აქ 90 კომლი აისორი ცხოვრობს. ესენიც იმ დღეში არიან, როგორც ბეგრახათუნელნი. იქიდან სოფ. მერიამისკენ გავბრუნდით. აქ ყარაფაფახები ცხოვრობენ. აქ პატარა გუმბათიანი ეკლესიადგას, რომლის ნახევარი კედელიღა სდგას გუმბათიანად.

აქიდან სოფელ საღირებში მივედი. საღირები ანუ ჩემის აზრით, „საღირალი“ ქართული სიტყვაა; აქ პატარა ეკლესიაა, რომელიც ადგილობრივ ადას სათივეთ გაუხდია. იგი მთელია; აქა – იქ მხოლოდ ქვები აქვს მოცლილი. აქ 19 კომლი, ანუ 219 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იქვე სოფელ ვართბანდაა, რომელშიაც 17 კომლი, ანუ 207 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია. სოფელი „საბადურიც“ იქვე მტკვრის პირადაა, რომელშიაც 6 კომლი, ანუ 53 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. „საბადური“ ქართული სიტყვაა, ალბათ იმიტომ დაურქმევიათ, რომ აქ მტკვარი ნელა მიდის და გაშლილიც არის, თანაც ღრმა. ნამდვილი ბადეს სასროლი ადგილია. აქაც არის ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევი.

აქედან კი დადლილ – დაქანცულმა არტაანისაკენ გამოვქუსლე ცხენით. დაბა **არტაანი**, ანუ **არა ტანი**, ნამდვილი ქართული სიტყვაა. არტაანი დედაქალაქია მთელი ოლქისა. სჩანს, არტაანს-თავის დროზე დიდი როლი უთამაშია ქართველთა ცხოვრებაში. თვით არტაანი სწორ მინდორ-ზეა გაშენებული, რომელსაც მტკვარი შუაზე ჰყოფს; გარშემო 4 – 5 ვერსისსიგრძეზე მთები ჰფარავენ. მხოლოდ დასავლეთისაკენ, საიდანაც **წელგატეხილი მტკვარი მიიზღაზნება**, ღიაა და სწორი მთელ 15 – 20 ვერსამდე.

**არტაანის ციხეს** მთელ ოლქში მეორე ადგილი უჭირავს. ეს, მიუხედავად იმისა, რომ უპატრონოდაა დაგდებული, დღესაც, ამ უდიდესი მსოფლიო ბრძოლის ქარტეხილსაც, ვერა დაუკლია რამის ბუმბერაზ ციცაბოდ აღმართულ კბილებიან კედლებისათვის. ჯერედ სრულიად დაუზიანებლივ სდგას კედლებზე მიდგმული სახლებიც. მხოლოდ **ციხის ეკლესია** და სახლები თითქმის დანგრეულია. ეკლესიის მხოლოდ პატარა კედლებიღა სჩანს. აღმოსავლეთის მხარეს ციხის კედელითვალგადუწვდენელ კლდიდან, რომელიც გადაჰყურებს მტკვარს, ქვეშ ეშლება და იქ, მტკვრის პირად, უერთდება მეორეს. ციხის გარედან, ორ ადგილას, **ხუცური წარწერებია** (ავტორს აქ გადმოუხატია წარწერები, რის ულიტოგრაფიოდ დაბეჭდვა შეუძლებელია. რედაქცია).

აქ, მაღლა, **წარწერებთან**, ვიღაცა, მიუხედავად იმისა, რომ სამ – ოთხ საუენზე მაღლაა წარწერა, ასულა და ასოები გაუშავებია, თანაც თავისი გვარი მიუწერია რუსულად. ამ წარწერების ერთი ქვით **დაბლა რაღაც არაბული ასოებივით დახატულია**. მეორე **წარწერა** სამხრეთის მხრისკენ არის მიწიდან ერთ არშინის სიმაღლეზე (აქაც გადმოხატულია წარწერა).

აღმოსავლეთისკენ, ციხის ზემოთ, მრავალი ნანგრევებია; სჩანს, **არტაანი** წინეთ აქ ყოფილა გაშენებული და არა იქ, სადაც ეხლა არის. იქვე მრგვალი საუენიანი ქვა გდია, შუაში მეოთხედი არშინის სიღრმეზე გახვრეტილი. ქვა ძრიელ წააგავს წისქვილის ქვას. აქაც ალაგ – ალაგ კაცის ძვლებს შეხვდებით. ციხის შესავალი კარი რუსებს გამოუშენებიათ, რომლის ზემოთ არშინიანი ქვაა და ზედ **თათრულად აწერია**. ეს ქვა სრულიად არ შეეფარდება ციხის ქვებს, უფრო ახალია და ქვაც სულ სხვა ფერისაა. ალბათ ახალი ჩადგმულია. ციხის გვერდით, მტკვრის პირად, პატარა **ორთვალისანი მალაროა**, რომლის ოთახები თითო 15 არშინს აღემატება. მალაროს ზემოთ ფართო გზა ჩამოდის, რომლის თავი ციხის კარს მტკვრის პირად ადგება. გზა ძრიელ კარგათ ეტყობა. იქვე, ხეობაში, მრავალი ციხე და სახლების ნანგრევებია, რომლის ზოგიერთი კედლები ეხლაცაა.

არტაანის მტკვრის ხევი ორი ვერსის სიშორეზე, სოფ. **საზარის** ახლოს, თავდება **დიდი ეკლესიით**, რომლის ნანგრევი და კედლები ეხლაც ამაყად დგანან. შემდეგ ამისა, მტკვარი ისევ იშლება და სწორ ადგილზე მიდის. საზოგადოდ, არტაანში ბევრ ადგილას შეხვდებით **ეკლესიების ნანგრევებს**. ერთი დიდი ეკლესიის ნანგრევი ნაღმით ამოუგდიათ ადგილობრივ მცხოვრებთ ამ 10 წლის წინეთ და მის ადგილზე ეხლანდელი პირველ მაღალ **დაწყებითი სკოლის სახლი აუშენებიათ იმისვე ქვებით**.

აქვე, აღმოსავლეთისაკენ, არტაანს ხევი ჰყოფს, რომელსაც სახელად **საფიცხარი** ჰქვია. **საფიცხარის** გაღმა ქართველების სასაფლაო ყოფილა, რომელიც ნახევრად დანგრეულია და ამოთხრილი; ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ – ფრანგ **იოსებ ივანესძე ხარიშარაშვილს** სომხების მიერ ამოთხრილ ქართველის **საფლავში ჩინური ქოთნის მსგავსი ქოთანი უპოვნია**, რომელსაც **გარშემო ქართული წარწერები ჰქონია**. ეხლახან ერთ სომეხს სამარე ამოუთხრია და თითბრის ხანჯალი უპოვნია **ქართულის წარწერით**. მას ოქრო ჰგონებია და კარგად შეუნახია. ხანჯლის მპოვნელ სომეხს **ხარიშარაშვილი** იცნობს; მისი სიტყვით, ბევრი რამ უპოვნიათ სომხებს არტაანში პირველ ხანაში. ერთს სომხის მღვდელს აქ ნაეკლესიარი ადგილი ამოუთხრია და ორმოში მრავალი **საეკლესიო ოქროს ნივთები** აღმოუჩენია. **აქვე უპოვნიათ სომხებს ძველი ქართული სახარება**.

ვგონებ, მეტი არ იქნება მოვიყვანო ჩემ მიერ შეგროვილი და ბოლოს არტაანის ოლქის სამმართველოს საკალენდრო საქმესთან შედარებული სტატისტიკური ცნობები.

არტაანში მცხოვრებნი: სომხები ფრანგ – სომხებიანად – 805 სული; ბერძნები – 217 სული, მაღაკნები – 208 სული; ქართველი მაჰმადიანები – 779 სული, ქართველი ქრისტიანები – 55 სული (გარდა მოხელეებისა, მუშებისა და თუშ – მეცხვარეებისა) და ქურთები – 15 სული.

მხოლოდ არტაანის ოლქში: ქართველი მაჰმადიანები – 3250 კომლი ანუ 36585 სული, ქურთები – 1828 კომლი ანუ 16905 სული, თურქმანი – 816 კომლი ანუ 5293 სული, ყარაფაფახები (შავქუდიანები) – 1054 კომლი ანუ 12298 სული, ბერძნები – 1305 კომლი ანუ 11106 სული, მაღაკნები – 201 კომლი, ანუ 1517 სული; რუსები (უკრაინები) – 101 კომლი, ანუ 845 სული; სომხის ფრანგები – 29 კომლი, ანუ 250 სული (გარდა არტაანში მოხსენებულ სომხებთან ერთად სომხის ფრანგებისა); ქართველი ქრისტიანები – 7 კომლი, ანუ 55 სული (გარდა ზემოდ აღნუსხულ პირებისა), სომხები კი 80 კომლი, ანუ 998 სული (არტაანში მცხოვრები სომეხი ფრანგებიანად, მოხელეებით, ვაჭრებით და უსაქმოდ მოხეტიალე პირებით); აისორები – 90 კომლი, ანუ 706 სული, ლეკი – 1 კომლი ანუ 7 სული.

მართალია, სხვებზე მეტი, დაბა არტაანში სომეხი და სომხის ფრანგები ცხოვრობენ, აქედან მომეტებული ნაწილი ვაჭრებია, რომლებიც ამ 25 წლისა და ზოგიც შემდეგ გადმოსულან ერევნის, ბაქოს, განჯის, ყარსის გუბერნიებიდან და მეტი კი ართვინის ოლქიდან და ახალქალაქ – ახალციხის მაზრებიდან.

კ. მარტვილელი  
(შემდეგი იქნება).

გაზეთი „საქართველო“, №218, ხუთშაბათი, 1917 წელი, ღვინობისთვის 5, ხუთშაბათი

## არტაანის მხარეში

„შემდეგ არტაანისა, იქვე, ორ ვერს მოშორებით, არის ნასოფლარი ადგილი **მინდაშენი**, სადაც დღესაც შეურყვნელად სდგას ერთი **პატარა ეკლესია** თავის სახურავით, მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი ქვებისაგან გაუძარცვიათ. შემდეგ ამისა, იწყება სოფელ **გურჯი – ბეგი**, რაც ნიშნავს ქართველ აზნაურს. სოფელ **გურჯი – ბეგი** 1914 წელს ჩვენს ჯარს ისე დაუნგრევია, რომგეგონება **500 წლის ნასოფლარი იყოს, ქვა – ქვაზე აღარ დაუტოვებიათ**; მასზე მცხოვრები **ქართველი მაჰმადიანები ზოგი გაიქცნენ და ზოგიც დახოცეს**.

შემდეგ იწყება **მაღაკნების** პატარა სოფელი, სახელდობრ, **პატარა სარძევე**, სადაც დღესაც მერძეობენ. მხოლოდ სოფლისათვის **ველიკო – კნიაჟესკი** დაურქმევიათ. შემდეგ იწყება სოფელი **საბუღარო**. **საბუღარო** ქართული სახელია და ნიშნავს ბუღა ხარების ადგილს. აქ 25 კომლი ანუ 309 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. ამ სოფელში სულმნათ **თამარ მეფეს** ღირსშესანიშნავი წყარო გამოუყვანია მთიდან და ზედ, სადაც წყარო ამოდის, მშვენიერი ქვის თავი, თავის წყლისსადენი დაუდგამს.

აქედან სოფელ **ქერმანში** გადავედი, აქაც 70 კომლი ანუ 683 სული **ქართველი მაჰმადიანები** ყოფილან, მაგრამ **რუს ჯარს ამოუწყვეტია** და დღეს მხოლოდ 25 კომლი ანუ 193 სულია არის. სახელი „ქერიმანი“ ქართულია – „ქერმანი“ ანუ „ქერიმანდ“.



აქედან უკან არტაანისაკენ წამოვედი. აქ პატარა სოფელია, **პატარა ჭინჭრობი**. „**ჭინჭრობიც**“ ქართულია და ნიშნავს იმ ადგილს, სადაც **ჭინჭარი** ამოდის. აქ **რუსები(უკრაინელები)** ცხოვრობენ დასოფლისთვისაც რუსული სახელი „**ნესვიატოვკა**“ დაურქმევიათ, რაც ნიშნავს „არაწმინდას“, შემდეგ მტკვრის პირას სოფელი **დიდი ჭინჭრობია**; აქ 42 კომლი ანუ 337 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქ **ნაეკლესიარიც** არის.

ორი – სამი ვერსის მოშორებით სოფელი **ბაღდათია**. აქ ნახევარი **ბერძნები** სცხოვრობს და ნახევარიც, რომელიც შეადგენს 53 კომლს, ანუ 398 სულს **ქართველ მაჰმადიანს**. აქ არის **ეკლესიის** ნაშთი.

ზემოდ იწყება სოფელი **კოდის წყარო**. მართლაც, რომ კოდსა ჰგავს ის ხევი, რომლიდანაც ჩამოდის მშვენიერი, ცრემლივით სუფთა ცელქი წყარო, რომელშიაც პატარ – პატარა კალმახები ბუდობენ. აქაც **უკრაინელები** ცხოვრობენ, რომლებსაც სოფლისათვის „**მიხაილოვკა**“ დაურქმევიათ.

კოდის წყაროდან მაღლა გორას ავეყვი და სოფელსინდისგომში მივედი. სინდისგომიც ქართულია. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქაც ერთი **ეკლესიის ნაშთია, სრულიად დანგრეული**. აქედან მტკვრის ხეივანს გავეყვი და სოფელ **ენიქეში** მივედი. „**ენიქე**“ თათრული სახელია – „**ახალი – სოფელი**“. აქ ძველად ნასოფლარი ყოფილა, რომელსაც ქართული სახელი ჰქვია, მაგრამ როცა **ქართველი მაჰმადიანები** დასახლებულან, „**ენიქე**“ დაურქმევიათ. ეს სოფელი ზედ ართვინს გადაჰყურებს და საზღვარია მისი არტაანის ოლქიდან. აქაცარის **ეკლესიის**და **პატარა ციხის** ნანგრევები.

აქედან სოფელ **ყაზნაფარში** მივედი; აქ **ერთი ეკლესია** და მოზრდილი **ციხეა**, რომელთა კედლები ეხლაც დარჩენილან ნახევრად დანგრეული. აქ **თურქმანები** ცხოვრობენ. აქედან დიდი ხევიდან ქვეშ ჩამოვედი, სადაც მტკვარი სისწრაფით მიექანება არტაანისკენ, რომელზედაც ცხენით გადავედით და სოფელ **კინძო – თამარის** აღმართს მივადექით, სადაც თვით სოფელია გაშენებული. **კინძო – თამარი** ქართული სიტყვაა. „**კინძო**“ ანუ კისერმოგრეხილი; მაგრამ ეს მაკვირვებს, კისერ – მოგრეხილი თამარი ვინ ყოფილა? აქ სოფელში ერთი მოზრდილი ციხე დგას, იქვე **ციხესთან ეკლესიაცაა**, რომლების **კედლები დღესაც თითქმის შეურყეველნი არიან**. როგორც გადმოცემით, ამბობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, **მეფე თამარი** აქ დადიოდა საზაფხულოდაო. ესეც ართვინს გადაჰყურებს. აქ **ქურთები** ცხოვრობენ.

აქედან სოფელ **შადრევანში** გადმოვედი. **შადრევანი** ქართული სახელია. აქ **სამი ეკლესიის ნანგრევია**, რომელთა კედლები დღესაც დგანან. აქ 119 კომლი ანუ 809 სული**ქართველი მაჰმადიანებია**. შემდეგ სოფელ **ხასკეიში** მივედი. ესეც მტკვრის პირზე მაღალ მთაზეა გაშენებული. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქვე **სამი ეკლესიის ნანგრევებია**, ორი პატარა და ერთი დიდისა, რომელთა კედლების ნაშთი ეხლაც კი არის. აქედან ჩამოვედი ქვეშ, ტრიალ მინდორზე, სადაც მტკვარი გველივით მიიკლაკნება. მას ცოტა გაშორებით სოფელი ზედა **ტარასის ხევია**. ტარასის ხევში **ორი ეკლესიის ნანგრევია**. აქა ყველა **ბერძნები** ცხოვრობენ. აქვე, ახლოს, ქვედა **ტარასის ხევია**, სადაც 64 კომლი ანუ 607 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქაც **ერთი ეკლესიის** ნანგრევია.

შემდეგ იწყება სოფელი **ბებერი** – აქ. ესეც ქართული სახელია. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქ სოფელში ერთი პატარა და სოფლის გარედ, მაღალს მთაზე, ორი **პატარა ეკლესიების** ნაშთებია. შემდეგ ამისა იწყება სოფელი **ფიჩხის გორი**. აქ 36 კომლი, ანუ 356 სული **ქართველი მაჰმადიანები** სცხოვრობენ. აქ სოფელში ერთი საშუალო ზომის **ეკლესიის ნანგრევი** სჩანს. ფიჩხისგომთან სოფელითანისგომია, აქ 16 კომლი, ანუ 156 სული, **ქართველი მაჰმადიანები** სცხოვრობენ. აქაც არის ერთი **პატარა ეკლესიის ნანგრევი**.

სოფელი კინძოთამარს ცოტათი მოშორებით სოფელი ზედა ალაბალაა. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია, აქაც 19 კომლი ანუ 259 სული ქართველი მაჰმადიანია. შემდეგ იწყება სოფელი ქვედა ალაბალა. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია, რომლის მხოლოდ კედლების ნაწილი – და დარჩენილა. სოფელში 16 კომლი, ანუ 116 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.

აქედან სოფელ ქონდრაულში გადმოველი. აქაც 12 კომლი, ანუ 95 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. შემდეგ სოფელ ლორში გადმოვედი. როგორც ქონდრაული, აგრეთვე ლორიც, ქართული სახელებია. ლორშიაც 23 კომლი, ანუ 299 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქედან სოფელ დეგერმანი – ქეიში გადმოვედი; „დეგერმანქეი“ თათრული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „წისქვილისსოფელს“; მართლაც, აქ წისქვილები დგას. აქაც 49 კომლი, ანუ 595 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის.

დეგერმანქეიდან სოფელ კუნძულეთში მოვედი. კუნძულეთი ქართული სიტყვაა, წარმოსდგება სიტყვა კუნძულიდან. მართლაც, ადგილი, სადაც კუნძულეთი გაშენებული, ნამდვილ კუნძულსა ჰგავს. სოფელი კუნძულეთი ბევრი მხრიდანაა ისტორიაში შესანიშნავი, რომელსაც მე გაკვრით შევხები: კურძულეთს, რომელსაც ადგილობრივი ბერების სიტყვით, დიდი როლი უთამაშნია ქართველების ცხოვრებაში; ქართველებს ღვინის მარანი ჰქონიათ, რასაც ამტკიცებს აქ ნახული ქვევრები; აგრეთვე, ყველა მის გარშემო მდებარე ნასოფლარებში, სახელდობრ: მელი – ყურე, კახალა, სალომეთი, კანჭოჭი, საღვინე და სხვა მრავალი, რომელთა სახელები ვერ მოიგონეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა, ბაღი ყოფილა გაშენებული. დღესაც შეხვდებით აქა – იქვამლისა, ტყემლისა და მრავალ სხვა ხილეულობათა ჩირგვებს.

აქვე მიწები კვალებათაა დაყოფილი, რომელსაც დღესაც ეტყობა. რომლის ამაღლებული ზედაპირი, არ ვიცი ქვებისა თუ ხელოვნურად მისი მოწყობისა, გამაგრებულია. კვალიც ისეა დაყოფილი, რომ ვაზის ადგილს გვიჩვენებს. ალბათ, აქვენახის ბაღი ყოფილა; უამისოდ აქ ქვევრებირისი მაქნისი იქნებოდა? აქვე, მაღლობზე, ვეებერთელა ქვებისაგან, რომელთა თითოეულად სიმძიმე არა ნაკლები 3000 ფუთისა იქნება, აყვანილია უკიროთ პატარა ციხე – დარბაზის მსგავსად, რომლის კედლები ხელოვნებად დარჩენილა, მხოლოდ ქვის სახურავი ჩამონგრევია და იქვე ციხეში ჰყრია. იქვე ახლოს სასაფლაოა, რომელზედაც ცხენისა და სხვა პირუტყვთა სახის ქვები დარჩენილა, რომელზედაც ქართული წარწერები და ჯვრები ყოფილა, მაგრამ დროთა განმავლობას წაუშლია და მის ადგილს კვალი – და დაუტოვებია. აქ გარშემო ადამიანის ბევრი ძვლებია. სასაფლაოზე და მის ახლო – მახლო სამი ეკლესია ყოფილა, რომლის მხოლოდ კირში შედუღებული ქვებიდაა დარჩენილი.

კ. მარტვილელი

(შემდეგი იქნება)

გაზეთი „საქართველო“, №219, 1917 წელი, ღვინობისთვის 6, პარასკევი.

## „არტაანის მხარეში“

„სოფელ ჭანჭახიდან, რომელიც დიდ სარბევს დაჰყურებს, ძირს ჩამოვედი. – რატომ ჰქვიან ამ სოფელს სარბევე? – დამეკითხება პატივცემული მკითხველი.

– აი, რატომ: ძველად ჩვენი მამა – პაპები, რასაკვირველია, რომელნიც არტაანის მხარეში ცხოვრობდნენ, ძროხებისა და ცხვრების ჯოგს წველიდნენ მალა, სოფელ ჭანჭახის გვერდით,

მისთვის საგანგებოდ მომზადებულ ქვის აუზში, რომლიდანაც რძე მილით ქვეშ სოფელ **სარძევს** აუზში ჩამოდიოდა და ყველსა დაერბოს ამზადებდნენ. ეს აუზები, როგორც მაღლა, აგრეთვე, ძირსაც, დღესაც არის, მხოლოდ ცოტაოდენი შელანძღულია და მიწაში გაყვანილი მიწების ნაშთილა სჩანს.

სოფელ სარძევში დღეს **მაღაკნები** სცხოვრობენ, რომელთაც, უეჭველია, არ მოსწონთ ქართული სახელი – **სარძევე** და ამ სოფლისათვის „**ნიკოლაევკა**“ დაურქმევიათ. ადგილობრივ თათრებს რომ უთხრათ, ნიკოლაევკაში მივდივარო, ვეღარ გაიგებენ და მოგვეკითხებიან: – რუსეთში? – აუცილებლად უნდა უთხრათ, – სარძევში“. თორემ სიტყვა „**ნიკოლაევკას**“ აქაურები ვეღარ შესწევიათ. არც ისე დიდი ხანია, რაც აქ მაღაკნები გადმოსახლდნენ, სულ 17 – 20 წელიწადი იქნება. აი, ამ სოფელ სარძევს შუაგულში თქვენ ნახავთ გვირაბის თავს, რომელსაც დიდი ქვა ადევს. ეს გვირაბი აქედან **ნასოფლარ გვირაბში** გადის, რომელიც მტკვრის პირადა დევს, სოფელ **სარძევედან** ერთი ვერსის მოშორებით, რომელიც ეხლა ჭალაა მაღაკნებისა. 1882 წელს აქ პიატიგორსკის პოლკი იდგა (მაშინ აქ მაღაკნები არ ყოფილან). ჯარისკაცებს **ნასოფლარ გვირაბში** ორმოს თხრა დაუწყიათ, მათთვის აუცილებელი საჭიროებისათვის. როცა ნახევარი საჟენის სიღრმეზე გაუთხრიათ, გვირაბის თავი აღმოჩენილია, სადაც პატარა ოთახი ყოფილა **ეკლესიათ**, ძვირფასი საეკლესიო მორთულობით (ოქროს ჯვარი და ხატები, ბრილიანტის თვლებით მორთული და სხვა მრავალი სამკაული ყოფილა).

შემდეგ მოველი სოფელ **თაბაქეთში**, სადაც 64 კომლი მცხოვრები **მაჰმადიანი ქართველია**. სოფლის ცოტათი მაღლა ერთი **მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი** მოსჩანს. თაბაქეთიდან სოფელ **ზედა წვრელმანში** გადავდი. ესეც ქართული სახელია და აქაც 31 კომლი, ანუ 296 **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. სოფლის ახლოს **ნაეკლესიარი** ადგილია, მისი ნანგრევი სჩანს. იქვე იწყება სოფელი **ქვედა წვრელმანი**, აქაც 20 კომლი, ანუ 279 სული **ქართველი მაჰმადიანებია**. აქედან ცოტათი გაშორებით, კიდევ მაღლობზე, **ნასოფლარი წვრელმანია**. აქ არავინ არ ცხოვრობს, **ნაეკლესიარი** ადგილი აქაც არის.

აქედან სოფელ **ჩადიში** გადავდი. სოფელი ქვეშ ჩასავალშია და ალბათ, ამიტომ უწოდებიათ სახელად **ჩადი**. აქ 9 კომლი, ანუ 89 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქვე, სოფლის ზემოთ, ერთი მოზრდილი **ნაეკლესიარი** ადგილია. აქ ცოტათი დავისვენე და სოფელ **ჩიქორაში** გადავდი. აქაც 12 კომლი, ანუ 360 სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქაც არის **ეკლესიის ნანგრევი**. აქედან სოფელ **დადაგულში** გავქუსლე ცხენით. „**დადაგული**“ ნამდვილი ქართული სახელია. აქაც 26 კომლი ანუ 533სული **ქართველი მაჰმადიანი** ცხოვრობს. აქ ერთი **მოზრდილი ეკლესია** ყოფილა, რომლის კედლების ნაწილი – და დარჩენილა. იქვე სოფელი **დადაგულია**. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 40 კომლი ანუ 599 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. **ეკლესიის ნანგრევი** აქაც არის.

იქვე სოფელი „**მანიოთხია**“. „**მანი ოთხი**“ ანუ „**მანდოთხი**“ ქართული სიტყვაა. ალბათ, იმიტომ დაურქმევიათ ამ სოფლისთვის „**მანდ ოთხი**“, რომ იქვე ახლოს **ოთხი ეკლესიის ნანგრევი**ა. აქაც 8 კომლი ანუ 140 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. მანდოთხიდან სოფელ **რევაზში** გადავდი. აქაც 20 კომლი, ანუ 346 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქ ერთი მოზრდილი, მხოლოდ ნახევრად დანგრეული, **ეკლესია დგას**. აქედან სოფელ **ტებათში** გადმოვდი. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 15 კომლი ანუ 247 სული **ქართველი მაჰმადიანებია**. შემდეგ სოფელ **ხევაში** მოვდი. ეს სოფელი ხევის პირადაა და „**ხევიც**“ მისთვის დაურქმევიათ. აქაც 6 კომლი ანუ 77 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქედან სოფელ **ჩიქილარში** გავქუსლე ცხენით. აქ 10 კომლი, ანუ 185 სული **ქართველი მაჰმადიანებია**. ერთი **ეკლესიის ნანგრევი** აქაც არის, მაგრამ დანგრეულია. სოფელ **არმადახევიც** გავიარე. „**არმადახევი**“, მე მგონი, ქართული

სიტყვა უნდა იყოს. „ხევი“ ვიცით, რასაც ნიშნავს და „არმა“ მეგრული სიტყვაა, რაც ნიშნავს „ყველას“, მაგრამ სიტყვა „და“ რა არის?

**არბადახევიში** 15 კომლი ანუ 271 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაც არის **ეკლესია** და პატარა **ციხის** ნანგრევი. აქედან სოფელ „**გინდაშენში**“ გავქუსლე ცხენით. აქაც 26 კომლი, ანუ 387 სული ქართველი მაჰმადიანებია. **გინდაშენში** ორი ეკლესიის ნანგრევი. აქვე ახლოს **ქვემო გინდაშენია**. აქაც 15 კომლი ანუ 208 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. შემდეგ სოფელ **კალინდარ – დარასში** გადავედი. ეს კი არ ვიცი, რა სიტყვაა. თათრული რომ არ არის, ვიცი. აქაც 3 კომლი, ანუ 37 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფლის გარეთ ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევი. ახლოს სოფელი **ქორფაშენია**, ანუ, მე მგონია, **ქორფაშენი** უნდა იყოს. აქაც 27 კომლი, ანუ 348 სული ქართველი მაჰმადიანია. აქ, არ ვიცი, **ციხის**, თუ ეკლესიის ნანგრევი, ვერ გავარჩიე.

შემდეგ მივედით სოფელ **ფალასში**. აქ 10 კომლი, ანუ 129 სული ქართველი მაჰმადიანებია. აქვე სოფელ **ფაფალოში** გადავედით; აქაც 31 კომლი, ანუ 364 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფელი **ლუმეც** იქვეა. 33 კომლი, ანუ 386 სული ქართველი მაჰმადიანებია. აქ კლდის ქვეშ, ღელესთან, ერთი ეკლესიის ნანგრევი, რომლის მარტო კირში შედუღაბებული ქვებიღა ეყარა. აქედან სოფ. **ფეთობანში** გადავედით. აქაც 40 კომლი, ანუ 486 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იქვე სოფელი **გიორგის უბანია**. აქაც 19 კომლი, ანუ 380 სული ქართველი მაჰმადიანებია. აქედან სოფელ **შულაურში** მოვედით; აქაც 10 კომლი, ანუ 160 სული ქართველი მაჰმადიანებია.

შემდეგ გადავედით სოფელ **ლამიანში**. აქაც 10 კომლი, ანუ 139 სული ქართველი მაჰმადიანებია. ლამიანიდან ახლოს სოფელი **შუაწყალია**; აქაც 40 კომლი, ანუ 589 სული ქართველი მაჰმადიანებია. შემდეგ მოდის სოფელი **ხერთვისი**. იქაც 9 კომლი ანუ 109 სული ქართველი მაჰმადიანებია. შემდეგ გამოჩნდა სოფელი **სათლელი**, აქაც 20 კომლი, ანუ 345 სული ქართველი მაჰმადიანებია. შემდეგ მოდის სოფელი **ერეში**. აქაც 10 კომლი, ანუ 120 სული ქართველი მაჰმადიანებია. სოფელი ერეში ძრიელ მაღლობზე დგას; მხოლოდ ცოტათი მასზე დაბლა, კლდეზე, ერთი **ვეებერთელა ციხე** დგას, რომლის 6 – 7 საყენიანი კედლები ზევიდან ამაყად გადმოჰყურებს ქვეშ მტკვარს. ციხე თითქმის **დაუნგრეველია**, მხოლოდ მასში სახლები აღარაა მთელი. იქვე ახლოს სოფელი **სტეფანწმინდაა**. აქ 22 კომლი, ანუ 208 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. შემდეგ მოდის სოფელი **ზეინდარი**. ეს სოფელი ოდესღაც დიდი და ცნობილი ყოფილა. სოფელში დგას ეკლესია, რომელიც **სრულიად მთელია**, რაღაც განგებით გადარჩენილა. ეკლესიაში **სურათები სჩანს**, მაგრამ სახის გარჩევა ძნელია. შემდეგ, მიწის ნგრევისა გამო, სოფელი იქვე, ნახევარი ვერსით. მოშორებით, გადაუტანიათ.

სოფელი **დიღვირი** თითქმის სწორ ადგილზე დგას მტკვრის პირად. იქვე სოფელთან პატარა **ციხე** დგას, რომლის **კედლები მთელია**; მხოლოდ სახლები, როგორც შიგნით, აგრეთვე, ციხის გარეთაც, დანგრეულია. ციხის პირდაპირ, მტკვარზე, **თამარისეული ხიდი** ყოფილა, რომლის თავები ორივე მხრიდან მთელია, მხოლოდ შუა ადგილი ჩანგრეულია. აქ 60 კომლი, ანუ 606 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფელი **ჯაჯუნი** ტყეში დგას. აქაც ისეთი **ციხეა**, როგორც დიღვირში. ციხეს გვერდზე პატარა ღელე უვლის თავისის მოზრდილის ხეივანით. აქაც 46 კომლი, ანუ 560 სული ქართველი მუსლიმანები ცხოვრობენ.

შემდეგ მოდის სოფელი **ღვინია**. აქ საშუალო ზომის ეკლესია მთელი სდგას. ამბობენ, როცა მიწას ვხნავდით, ჭურები ამოდიოდაო. ეხლაც ბევრია აქ ჭურებიო. იქვე ბევრი ჭურის ნატეხები ჰყრია. ოდესღაც აქბალი იყო ვენახისაო, ამბობენ. იქვე ერთი ვერსის მოშორებით, მხოლოდ

სოფელზე უფრო დაბლა, კლდეზე, საშუალო ზომის ციხე დგას, რომლის მალალი კედლები დღესაც მრთელია. ციხეს ქვეშ, დასავლეთისკენ, პატარა ღელე უვლის თავის ციხაბო კლდით. აღმოსავლეთით კი მტკვარი – თავისი თვალუწვდენელი ხეობით. სოფელი კი ჩრდილოეთის მხრით დასცქერის ციხეს. ციხეს სოფლიდან პატარა ბილიკი აქვს, რომელიც პირდაპირ ციხის კარებს ადგება. ეს ციხე ოდესღაც მაღლობზე მდგარა, მაგრამ 1900 წელს, მიწისძვრის დროს, ჩაქცეულა. აქ 25 კომლი ანუ 340 სული ქართველი მაჰმადიანებია.

შემდეგ მოდის სოფელი **ჭობორია**. აქ ოდესღაც დიდი ღრმა ჭა ყოფილა, მაგრამ მცხოვრებლებთან ამოუვსიათ. აქაც 30 კომლი ანუ 355 სული ქართველი მაჰმადიანებია. შემდეგ მოდის სოფელი **კოდისწყარო**. აქაც 17 კომლი ანუ 145 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იქვე მეორე **კოდისწყარო**, მაგრამ **ნასოფლარია**, არავინ ცხოვრობს. შემდეგ **სოფელისაჯაა**, აქაც 15 კომლი ანუ 122 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ.

შემდეგ მოდის სოფელი **კაპანი**. ესეც ქართული სიტყვაა და ნიშნავს **ქვიან ადგილს**. აქაც 6 კომლი, ანუ 66 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ახლოს არის სოფელი **ჩორჩევანი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 44 კომლი ანუ 156 სული ქართველი მაჰმადიანებია.

შემდეგ მოდის სოფელი **საკაბალო**. ესეც ქართულია. აქაც 9 კომლი, ანუ 136 სული ქართველი მაჰმადიანია. სოფელ **წინსათიბში** კი 12 კომლი ანუ 108 სული ქართველი მაჰმადიანია. ახლოსაა სოფელი **ბანასხევი**, აქაც 28 კომლი ანუ 238 სული ქართველი მაჰმადიანებია. იქვეა სოფელი **ზურგიშენი**. „ზურგი“ მეგრული სიტყვაა, რაც ნიშნავს **საზღვარს, საგორაოს**. აქაც 5 კომლი ანუ 50 სული ქართველი მაჰმადიანებია. სოფელი **ადგას**. ამ სოფელს გარშემო კლდე არტყია დათავად სოფლის ადგილიც ფეხმიუკარებელი თავდაღმართია; სწორედ რომ ნამდვილი სახელი მიუციათ სოფლისათვის. აქაც 9 კომლი ანუ 90 სული ქართველი მაჰმადიანია. შემდეგია სოფელი **ვარძანა**. აქაც 20 კომლი, ანუ 250 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. შემდეგ მოდის სოფელი **მარცვალათი**. აქაც 8 კომლი ანუ 109 სული ქართველი მაჰმადიანია. იქვე, ახლოსაა სოფელი **ზედაწმინდა**, აქაც 15 კომლი, ანუ 170 სული ქართველი მაჰმადიანია.

შემდეგია სოფელი **ვარხანა**. „ვარხანა“ ქართული სიტყვაა. აქ 20 კომლი, ანუ 241 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. შემდეგია სოფელი **ობოლი**. აქაც 10 კომლი, ანუ 180 სული ქართველი მაჰმადიანია. **ცნობილია** სოფელი **ყველი**, აქ 50 კომლი, ანუ 635 სული ქართველი მაჰმადიანია. სოფელია **ალარა**. აქ კლდეზე ერთი დიდი ციხეა აღმართული, რომლის ჯერედ დაუნგრეველი ციხაბო კედლები გადმოჰყურებს ქვეშ სოფელს. აქცხოვრობს 32 კომლი, ანუ 250 სული ქართველი მაჰმადიანი. სოფელია **საიხვე**. აქ 18 კომლი, ანუ 222 სული ქართველი მაჰმადიანია. სოფელია **ვახლა**. ესეც ქართული სიტყვაა. აქაც 40 კომლი, ანუ 459 ქართველი მაჰმადიანია. მომდევნოა სოფელია **ჯუმათელი**, აქაც 31 კომლი, ანუ 291 სული ქართველი მაჰმადიანია. სოფელი **წურწყაბი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ 90 კომლი, ანუ 920 სული ქართველი მაჰმადიანია. სოფელი **ხევათი**. აქ 18 კომლი, ანუ 202 ქართველი მაჰმადიანია. სოფელია **ხუნაგოსი**. ეს სოფელი მაღლობზე დგას. ცოტათი სოფლის დაბლა ერთი პატარა მთელი ციხე დგას. აქაც 28 კომლი, ანუ 263 ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს.

სოფელია **თამარი**. ძველთაგან აბანოები ყოფილა, რომლის კედლები ნახევრადაა სდგას, და თანაც მოწყობილია. აქ ცხოვრობს 6 კომლი, ანუ 69 სული ქართველი მაჰმადიანი. შემდეგი სოფელი **ღერია**. აქ არის 6 კომლი, ანუ 82 სული ქართველი მაჰმადიანი. სოფელია **ოხთელი**. აქ ერთი მთელი პატარა ეკლესია დგას, რომელიც გეგონებათ ამ 50 – 60 წლის წინეთ აუგიათო, რომელშიაც სურათების კვალი სჩანს. აქ 14 კომლი, ანუ 150 სული ქართველი მაჰმადიანია. მომდევნოა სოფელი

**სამხლია.** აქ 25 კომლი, ანუ 279 სული ქართველი მაჰმადიანია. სოფელია მერე. სოფლის ცოტა ქვემოდ, მაღალ სალ კლდეზემდგარი, მთელი ვეებერთელა მაღალკედლებიანი ციხე ქვეშ მტკვარს გადმოჰყურებს. აქ 9 კომლი, ანუ 158 სული ქართველი მაჰმადიანია. ახლოს სოფელი ალია. „ალ“ თათრული სიტყვაა და ნიშნავს „აიღე“. აქ სოფელში შიგნით მთელი გუმბათიანი დიდი ეკლესია დგას. ეკლესიის კედლებზე სურათების კვალი სჩანს. იქვე, ეკლესიის წინ, დიდი ქვა აგდია, რომელიც მოყვანილობით ემზავს მოგაგონებთ; ამბობენ, ქართველები აქ ნათლავდნენ ბავშვებსო. აქ 42 კომლი, ანუ 628 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. მომდევნო სოფელი საკირეა. ამბობენ, აქ ოდესღაც საკირე ყოფილაო. აქვე ერთი პატარა და მთელი ციხე დგას. აქ 45 კომლი, ანუ 473 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. შემდეგია სოფელი ენიქეი. ეს თათრული სიტყვაა, ნიშნავს ახალ სოფელს, აქ 30 კომლი ანუ 387 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ.

სოფელი **ჭანჭახი** ჩავარდნილ ადგილზე დგას, რომლის ორივე მხარეზე ვეებერთელა კლდეებია აღმართული, რომლებზეც ერთმანეთზე პირდაპირ ორი დიდი ციხეები დგანან, რომელთა ქვეშ მდინარე „გიჟა – წყალი“ ჩაუდის. ქვეშ სოფელთან ერთი პატარა ეკლესია დგას, რომლის კედლები – ღაა დარჩენილი. აქ 30 კომლი, ანუ 363 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. სოფელია არალა, ესეც ქართული სიტყვაა; აქ 74 კომლი ანუ 1002 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ.

შემდეგ მოდის სოფელი **ჩილდირეთი**. ეს ჩილდირია, არტაანში შედის. სიტყვა ჩილდირეთი (ჩილდირი) ესეც ქართულია და შეადგენს ერთ – ერთ მეოთხედს მხარეს არტაანისას. აქ ქურთები ცხოვრობენ. სოფელია **დარინ – დარა**. ეს სიტყვა თათრულია და ნიშნავს „ღრმაღელეს“. როგორც გავიგე, ეს სახელი აქ მცხოვრებ ქურთებს გადაუთარგმნიათ ქართულიდან. აქ, მართლაც, სოფელთან ძრიელ ღრმა ღელე მიდის.

სოფელია **სატყებელი**; ესეც ქართული სიტყვაა. ამ სოფელში ქურთები ცხოვრობენ. სოფელია **შავწყალა**. აქ თითქმის არავინ ცხოვრობს, გარდა მოსამსახურე ხალხისა. აქამდის ეს სოფელი „შავწყალად“ იწოდებოდა. მაგრამ ვიღაც ავსულ რუს ნაწილის უფროსს გამოუცვლია სახელი „შავწყალა“ **დამავლიათი**. ყველა ამა ზემოთ აღწერილ სოფლებში, დაწყებული სოფელ ბადელიდან, სოფელ ჩილდირეთამდე, სულ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ყველას თავი ნამდვილ ქართველებად მოაქვს. აქ ბევრს შეხვდებით მიქელაძეებს, ჩხეიძეებს და მრავალ ჩვენ ქართველ თავად-აზნაურთა გვაროსანს.

კ. მარტვილელი

(შემდეგი იქნება).

გაზეთი „საქართველო“, №220, 1917 წელი, ღვინობისთვის 7, შაბათი.

## არტაანის მხარეში

„ნასოფლარი ქოფალი არტაანიდან 17 – 18 ვერსის სიშორეზე ერთი მაღალი კლდის ძირას დევს. სიტყვა „ქოფალი“ დამახინჯებულია; ჩემის ფიქრით, უნდა იყოს „ქობალი“, რადგან „ქოფალი“ არც თათრულია, არც ქართული, არც მეგრული, მხოლოდ „ქობალი“ მეგრულისიტყვაა და ნიშნავს **პურს** ანუ **ხორბალს**. იქვე **ნასოფლარი ყიზილ ქილისაა**. „ქიზილ – ქილისა“ თათრული სიტყვაა და ნიშნავს **ოქროს საყდარს**. ნასოფლარის ზემოდ ერთი **მოზრდილი ეკლესიის** ღამაზი თეთრი ქვისაგან ნაგები კედლები დგანან, დანარჩენი დანგრეულია. იქვე სოფელი **პანკისი**. ეს

სოფელიც მტკვრის პირად, მთის ფერდობზეა გაშენებული. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. იქვე ნასოფლარი **ბებერაქი** არის. ეს ნასოფლარი ადგილიც მტკვრის პირად, მთის ფერდობზეა, რომლის ზემოთ **ვეებერთელა ეკლესიის კედლები – ღაა დარჩენილი**. შემდეგ იწყება **ნასოფლარი თუთიყუში**. ეს ნასოფლარი ადგილი, რაღაც უშნო და უალაგო ადგილას ყოფილა გაშენებული, ალბათ ამისთვის დაურქმევიათ **თუთიყუში**. იქვე აღმართულ კლდეზე საშუალო ზომის **ციხეა** გაშენებული, რომლის ნახევრად დამტვრეული კედლებიღაა დარჩენილი.

შემდეგ იწყება სოფელი **ქორგარი**. ესეც მაღალ მთაზეა გაშენებული და ქვეშ მტკვარი ჩაუდის. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. **ქორგართან** ახლოს, პატარა ხევის პირად, სოფელი **სიხარბეთია**. იქვე, ნახევარი ვერსის მოშორებით, მაღალ კლდეზე **დიდი ციხე** ყოფილა გაშენებული, რომლის ნახევრად დანგრეული კედლები – ღაა. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგ იწყება სოფელი **არდამალი**. აქაც კლდის მაღლობზე პატარა **ლამაზი ციხე** მდგარა, რომლის დანგრეული, მაგრამ ზოგ ადგილას მაღალი კედლები დღესაც დარჩენილა. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგ იწყება სოფელი **ფანიკი**. სოფელი **ფანიკი** მთის ძირადაა გაშენებული და ცხოვრობენ **ქურთები**. იქვე მთის აღმართზე ერთი **დიდი ეკლესია ყოფილა** გაშენებული, მაგრამ ბოროტ ხელს ქვების საჭიროებისა გამო დაუნგრევია, ქვები წაუღია და ნანგრევის კირშედუღებული პატარ – პატარა უვარგისი ქვები იქვე დაუყრიათ.

შემდეგ იწყება **დიდი ყურტოღლი**, რაც ნიშნავს ქართულად **მგლის შვილს**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. **დიდი ყურტოღლის** მაღლობზე საშუალო ზომის **ეკლესია ყოფილა** გაშენებული, მაგრამ, როგორც ფანიკის ციხის ქვები, ესეც დაუტაცნიათ და ამით თავიანთის ქურთებს სახლები აუშენებიათ. იქვეა ახლოს **პატარა ყურტოღლი**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც მაღლობზე ისეთივე **ეკლესია ყოფილა** გაშენებული, როგორც **დიდ ყურტოღლში**, მაგრამ ესეც ისე გაუმარცვიათ, როგორც დიდყურტოღლისა. იქვე **ნასოფლარი შავ** არის.

შემდეგ **ნასოფლარია კბლია**. ესეც დამახინჯებულია, უნდა იყოს, მე მგონის, **კბილი** და არა **კბლი**. ასეთი სიტყვაარც ქართულში და არც თათრულშია. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. იქვე ახლოს სოფელი **ლეემლია**. **ლეემლში** **ქურთები** ცხოვრობენ. **ლეემლის** ცოტათი განშორებით, სოფელი **ბაირამოღლია**. აქაც **მოზრდილი ეკლესია** ყოფილა, მგრამ ადგილობრივ **ქურთებს** დაუნგრევიათ და ქვები თითონ მოუხმარიათ. აქა – იქ მხოლოდ დარჩენიათ პატარა კედლები, რომლიდანაც ქვები ჩამოუღიათ და მარტოკა კირის კედლებიღაა. იქვე სოფელი **ომარაღაა**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგი იწყება სოფელი **ჩალამბაში**. „**ჩალა**“ ქართული სიტყვაა, „**ბაში**“ კი თათრულია, რაც ნიშნავს „**თავს**“; აქაც, მთაზე, **დიდი ეკლესია** მდგარა, მაგრამ დაუნგრევიათ. მის ადგილზე ნანგრევებიღაა დარჩენილა. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

მთის გამოღმა ფერდობზე, ყარსის შარაგზის პირად, სოფელი **ხასქია**. „**ხასქეი**“ თათრული სახელია და ქართულად ნიშნავს **კარგ სოფელს**. აქ ერთი **ეკლესიის ნანგრევია** და ორიც **ციხე**. **ციხე**, რომელიც მთაზეა, **მთელია**, სოფლისა კი დაუნგრევიათ, რომლის ნანგრევები – ღაა დარჩენილი. იქვე, სამი ვერსით მოშორებული, ზედ ხევის ფერდობზე, სოფელი **ხევისკარია** გაშენებული. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ.

შემდეგ, კარგა მოშორებით, **ნასოფლარი** ადგილია **შანუა**. აქ, ნასოფლარის პირას, **საყდარი მდგარა**, რომელიც დაუნგრევიათ. მთისა და ხეების გაღმა, ნასოფლარ **შანუს** მოშორებით, **ჩობანკები** არის. „**ჩობანი**“ თათრული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „**მწყემსს**“, „**კები**“ კი ქართულია. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. ზედ **ჩობანკებს** შესავალთან, პატარა მთის პირს, ცოტათი მოშორებით,

მიწიდან მომდინარე ორ – სამ ადგილას მოზრდილი წყაროა. სწორედ იქ, სადაც **ჩობანკების** წყაროა, **ეკლესია ყოფილა**; მხოლოდ ეკლესიის გვერდით წყაროს აუზია, მაგრამ დღეს ორივე დაუნგრევიან. ერთი ვერსით მოშორებული სოფელ **ჩობანკებიდან**, **ნასოფლარი ორდინაქია**.

**ორდინაქის** მახლობლად წყაროებია. საიდანაც იწყება მტკვრის სათავე. შემდეგ სოფელი **უჩქილისაა**. „**უჩქილისა**“ თათრული სიტყვაა, ნიშნავს **სამ საყდარს**. როცა ამ სოფელში თათრები მოსულან, სოფლის სახელი არ ცოდნიათ, მხოლოთრადგანაც სოფელში **სამი ეკლესია** უნახავთ, იმათაც **უჩქილისა** დაურქმევიათ. დღეს აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. აქ სოფელთან ახლოს **სამი ეკლესიაა**, ერთი დანგრეულია და მის ადგილას, მისივე ქვებით ახალია ბერძნებისაგან აშენებული. მხოლოდ **ორი ეკლესია**, **თითქმის მთელეებია**, მხოლოდ აქა – იქ კედლებიდან ქვები გამოუღიათ ადგილობრივ **ბერძნებს**.

შემდეგ იწყება სოფელი **ვარგენეს**. სიტყვა „**ვარგენ**“ – ეს თუ „**ვარგან** – ეს“ ქართულია. აქაც **სამი ეკლესია** ყოფილა. ერთი, რომელიც სოფელშია, ვარგენესელ ბერძნებს **დაუმტვრევიათ** და მის ადგილას მისივე ქვებით ახალი ეკლესია აუშენებიათ. მეორე, სოფლის შუაა აშენებული, მაგრამ **ესეც დაუნგრევიან**; მხოლოდ ტრაპეზის ქვა და ბალავერი დაუტოვებიათ, რომლებიც დღესაცა დგანან. **მესამე ეკლესია მალა მთაზეა**. ეს კი თითქმის მთელია, რომელსაც **ბერძნები წმინდა ილიას ეკლესიას** ეძახიან, მაგრამ ეს სინამდვილე არ არის. ბერძნები, საზოგადოდ, მთაზე აშენებულ ეკლესიებს წმინდა ილიასას უწოდებენ, რადგანაც მას მთაზე უყვარდა ცხოვრება და მთიდანვე განაგებდა ჰაერს, საიდანაც უგზავნიდა ქვეშ დედამიწას წვიმასაო.

იქვე სამი ვერსის სიშორეზე, ტრიალ მინდორზე, სოფელი **არფაშენია**. სიტყვა „**არფა**“ თათრულია და ნიშნავს „**ქერს**“. მხოლოდ „**შენი**“ კი ქართულია. შეიძლება „არფაშენი“ ქართული იყოს და თანაც **აბაშენი** ანდა **არაშენი**, რადგანაც **ქურთებს** მრავალი ქართული სიტყვები აქვთ დამახინჯებული. იქვე სოფელი **თელაოღლია**. **თელი ოღლი** ქურთის სახელია. შეიძლება ეს ქართული სოფელი, როგორც უპატრონოდ დაგდებული, მიითვისა ვინმე ქურთმა და თავისი სახელი უწოდა.

შემდეგ თელიოღლისა **ხირშზიანია**. ეს სოფელი მთის ფერდობზეა, რომელიც დილიდან საღამომდე პირდაპირ მზეს უყურებს. აქ **სამი ეკლესიის ნანგრევებია**. ორი დანგრეულია, რომელთა მართო პატარ – პატარა კედლების ნაშთი – ღა დარჩენილა. მხოლოდ **ერთი მთელია**. აქაც **ქურთებია**. იქვე ნასოფლარი **არფაერმაზია**, „**არფაერმაზ**“ თათრულია, ქართულად ნიშნავს „**ქერი არ ჭამა**“ – ს. აქაც არის **ერთი ეკლესიის ნანგრევი**. იქვეა ნასოფლარი **სინა – ბეზანი**. ეს არ ვიცი, რა სიტყვას შეადგენს. აქაც ერთი **ეკლესიის ნანგრევი**. შემდეგ იწყება **ნასოფლარი ხარაბახევი**. „**ხარაბა**“ თათრულია, ნიშნავს „**აოხრებულს**“. „**ხევი**“ ხომ ვიცით, რომ ქართულია. აქ **ორი ეკლესია** ყოფილა. პატარა ეკლესია, რომელიც ნასოფლარში მთლად დანგრეულია, მხოლოდ აქა – იქ კირში შედუღებული ქვების ხროვალაა დარჩენილი; მეორე დიდ მაღლობზეა, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. თვით ეს ნასოფლარი ხევშია. იქვე **ნასოფლარი არხიოღლია**, რაც ნიშნავს ქართულად „**გამხდარის შვილს**“.

შემდეგ ერთი დიდი ხევის პირად სოფელი **ხევია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქაც არის ერთი **ეკლესიის ნანგრევი**. შემდეგ იწყება სოფელი **კუნდრუკი**. ეს ქართული სიტყვაა და „**გუნდრუკსა**“ ნიშნავს. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. იქვეა **ნასოფლარი „ქამარბელი“**. აქ **დიდი ეკლესიაა**, მაგრამ დაუნგრევიან. ქამარბელთან ახლოს სოფელი **ფლორმარია**. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგ იწყება ნასოფლარი **ოლჩევანი**. **ოლჩევანის** შემდგომ მთაზეა სოფელი **ხარაბა – ალთუნ – ბულახ**, რაც ნიშნავს **გაოხრებულ ოქროს აუზს**. მართლაც, აქ დღესაც ეტყობა, რომ მშვენიერი აუზი



ყოფილა წყაროზე. აქ სოფლის თავის მაღლა კლდეზე ერთი დიდი ციხე დგას, რომლის კედლები დღესაც მთელია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე სოფელი ზვინია. ზვინი ქართული სახელია. მართლაც, ეს ადგილი იმერულ ჩალის ზვინსა ჰგავს. აქაც ქურთები ცხოვრობენ.

შემდეგ იწყება სოფელი ხომდოლბანდი. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე სამი ვერსის მოშორებით, სოფელი აზურია. აქ 6 კომლი ანუ 58 სული ქართველი მაჰმადიანი არის. შემდეგ ჩრდილოეთით სოფელი დემურყაფია, რაც ქართულად ნიშნავს რკინის კარს. აქ სულ ბერძნები ცხოვრობენ. აქ ერთი ეკლესია ყოფილა, რომლის ნაშთიღაა დარჩენილი. იქვე ერთი ვერსით თათრის დემურყაფია. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე ნასოფლარი ყარა – ყალაა, რაც ნიშნავს ქართულად „შავ – ციხეს“. ყარაყალას გვერდით ვეებერთელა მთაა, და აი, ამ მთაზე ერთი დიდი ციხეა გაშენებული შავი ქვისაგან. იქიდან გადმოსული მოვედი ნასოფლარ ხერთეოზში. აქაც ერთი დიდი ეკლესია მდგარა მთაზე, მაგრამ დღეს მარტო მისი მაღალი კედლებიღაა დარჩენილი. ხერთეოზის შემდეგ ნასოფლარი მაღალჯიხაა. „მაღალჯიხა“ ქართული სიტყვაა, ოღონდ „ჯიხა“ კი მეგრულია, რაც „კოშკს“ ნიშნავს. მართლაც, აქ კლდეზე ეხლაცა დგას კოშკისავით აყვანილი პატარა, მაგრამ მაღალი ციხის კედლები.

კ. მარტვილელი

(შემდეგი იქნება)

გაზეთი „საქართველო“, №221, 1917 წელი ღვინობისთვის 8, კვირა, წელიწადი მესამე.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი

## არტაანის მხარეში

„შემდეგ მივედი სოფელ ტახტიკრანში. ეს თათრული სახელია, ნიშნავს „ფიცრებს ტეხავენ?“ აქ ხუთი ეკლესია ყოფილა; ზოგი სრულიად დანგრეულია, ზოგიც მთელი და ზოგან მარტო კედლის ნაწილები დგას. ადგილობრივი ბერძნები, ერთ მთელ ეკლესიას წმინდა სოფიის ეკლესიას უძახიან. ამ ეკლესიის ყველაფერი მთელია, მხოლოდ კედლებისაგან აქა – იქ ქვები გამოუცლიათ. ამბობენ, ადგილობრივმა ბერძნებმა გამოაცალეს თავიანთი ახალი ეკლესიის ასაშენებლათო. იქვე ნასოფლარი გუმბათია. ეს ნამდვილი ქართული სიტყვაა და თვით ნასოფლარი ადგილი გუმბათსა ჰგავს, ალბათ ამისთვის უწოდებიათ ნასოფლარისათვის ქართველებს სახელად გუმბათი. აქვე ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქვე სოფელი სანამ – ოღლია და ქურთები ცხოვრობენ. აქაც ყოფილა ერთი ეკლესია, მაგრამ მისი მარტოკა კედლის ნაშთიღაა დარჩენილი. იქვე ნასოფლარი „ფალ – ოღლია“. აქაც არის ერთი ეკლესია, რომლის მარტოკა კირში ჩაჭრილი ქვების გროვა – ღაა დარჩენილი.

ერთი ვერსის მოშორებით ნასოფლარი თურქი – ფულია. შემდეგ იწყება სოფელი პირდამალი. ესეც ქართული სახელია. აქაც არის ერთი დანგრეული ეკლესიის ნაშთი. იქვე სოფელი კიალბი – იქალია. ეს სიტყვა დამახინჯებულია, უნდა იყოს „კერპი ქალი“. აქ სამი ეკლესია ყოფილა, რომელთა ზოგის კედლებია დარჩენილი და ზოგისაც მარტო ნანგრევია. აქ ქურთები ცხოვრობენ. შემდეგ იწყება ნასოფლარი კეხი. ეს ადგილი თავისი შეხედულობით მართლა რომ ცხენის კეხსა ჰგავს. იქვე სოფელი თოფდაშია. ეს სიტყვა თათრულია, ნიშნავს ქვათა გროვას. მართლაც, აქ მრავალი ქვებია მიყრილი. ქურთები ცხოვრობენ. სოფლის გარეთ ერთი ეკლესიის ნანგრევია,

რომლის მარტო კირში შედუღებული ქვებილაა დარჩენილი; შემდეგ სოფ. **ლაუსტანია**. აქ 5 კომლი, ანუ 50 სული **ქართველი მაჰმადიანია**. აქაც არის **ერთი ეკლესია**, რომლის მარტოკა დაბალი კედლებია დარჩენილი. იქვე სოფელი **შაქია**, აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. აქ სოფლის გარედ, მაღლა დიდ კლდეზე, **ციხე დგას**, რომლის **კედლები მთელია** და ქვეშ მტკვრის გაღმა სოფელს გადმოჰყურებს. **შაქთან** ახლოს **ნასოფლარი სამი – ყრანია**.

შემდეგ, ცოტა მოშორებით, სოფელი **ჩულია**. „**ჩული**“ სიტყვა თათრებსაც აქვთ და ქართველებსაც. მე მგონია, როგორც არტაანი შუაგული საქართველო, „**ჩული**“ ქართული უნდა იყოს. აქ ოდესღაც **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრებულან, მაგრამ მემრე ოსმალეთში გადასულან და დღეს სოფელში არავინა სცხოვრობს. აქ ერთი **ეკლესიის ნანგრევია**. იქვე, ახლოს, სოფელი **ყარათათხია**. ეს თათრული სიტყვაა, ქართულად ნიშნავს **შავს ქათამს**. აქაც ერთი ეკლესია ყოფილა, მაგრამ დღეს მარტოკა ნანგრევებია. იქვე სოფელი **ლალაფარგანესია**. „**ლალა**“ თათრულია – მოადგილე. „**ვარგან** – ეს“ კი ქართულია. აქ **ერთი ეკლესიაა**, დანგრეული, მარტო ნაშთილა სჩანს. **ქურთები** ცხოვრობენ. იქვე სოფელი **ბუდა – თაფაა**. „**ბუდა**“ ქართული სიტყვაა და „**თაფა**“ კი თათრულია, ნიშნავს „**მთას**“. აქაც **ერთი ეკლესიის ნანგრევია**. **მალაკნები** დასახლებულან და „**ნოვაია ვორონცოვკა**“ დაურქმევიათ. დღესაც ამ სოფელში **მალაკნები** ცხოვრობენ. ამ სოფლიდან ქართველი მუსლიმანები ციმბირში გადაუსახლებიათ.

შემდეგ მოდის სოფელი **ოჩხი**. ეს ქართული სახელია. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგია სოფელი **მერდენეჯი**. ეს თათრული სიტყვა არ არის. აქ ერთი **პატარა ციხეა** და **სამი ეკლესია**. მათგან აქ – იქ კედლები სჩანან. ციხის მარტო ერთი კედელილაა დარჩენილი. აქაც **ბერძნები** ცხოვრობენ. იქვე, ორი ვერსით მოშორებული, **დიდი ციხეა**, სახელად **ქოროლი**, რაც ნიშნავს „**ბრმის შვილს**“. ეს ციხე სიდიდით **მგლის ციხეს არ ჩამოუვარდება**. **ხელოვნება ბვირფასია**, მთელია, **ტყეში დგას**. მთის წვერი მთელი ვერსნახევრამდე ციხის თვალუწვდენელი კედლებითაა შეკავებული. ციხის კედლების შიგნით **მაღალი კოშკებია**, **ესენიც მთელია**; სახლები დანგრეულია. ძრიელ ძნელია მაღლა ციხეში ასვლა. ციხის შიგნიდან სადღაც ტუნელი გადის.

შემდეგ იწყება ბარში სოფელი **მხკერეკი**. აქ ორი **დანგრეული ეკლესიაა**. **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგ მოშორებით სოფელი **სალუთია**. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. სიტყვა „**სალუთი**“ თათრული არ არის. ქართული უნდა იყოს. აქ **ერთი ეკლესიაა**, დანგრეულია; შემდეგ სოფელი **მუზარეთია**. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. **მუზარეთი** ქართული სიტყვაა. ერთი **ეკლესიის ნანგრევი** აქაც არის. შემდეგ მოდის სოფელი **შარაფი**. არც ესაა თათრული სიტყვა, ქართული უნდა იყოს; აქაც **ერთი დანგრეული ეკლესიაა**, რომლის მარტოკა კედლის ნაშთია დარჩენილი. იქვე სოფელი **ქვეშარია**. ესეც ქართული სახელია; მართლაც, ეს სოფელი მთის ძირასაა, მერდენეჯის გზატკეცილის პირად. აქაც **ბერძნები ცხოვრობენ**. აქ **ორი ეკლესიაა**, ორივე დანგრეულია, ნაშთებილაა დარჩენილი. იქვე **ნასოფლარი ისლამ ყალაა**; „**ისლამი**“ ქურთის სახელია, „**ყალა**“ ციხეა.

აქ კლდეზე ერთი **დიდი ციხე დგას**, რომლის **კედლები მთელია**. იქვე ახლოს სოფელი **დედა – შენია**. აქ ერთი ნახევრად **დანგრეული ეკლესიის ნაშთია**. აქ 56 კომლი, ანუ 521 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. შემდეგ სოფელი **ურუთია**. აქ 11 კომლი ანუ 80 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. დანარჩენი ოსმალეთიდან გამოქცეული, ანუ უკეთ ვსთქვათ, **გამოპარული სომხები (კახთაგანები)** ცხოვრობენ. ურუთში **ერთი ეკლესიაა**, რომლის მხოლოდ ნაშთი – ღა დარჩენილა.

იქვე სოფელი **ქონქია**. აქაც ერთი **დანგრეული ეკლესიის ნაშთია** დარჩენილი. აქ **ბერძნები** ცხოვრობენ. იქვე ახლოს სოფელი **დორთქილისაა**. „**დორთქილისა**“ თათრული სიტყვაა, ნიშნავს **ოთხ ეკლესიას**, მართლაც **ოთხი ეკლესიაა** ამ სოფელში. ზოგი სულ დანგრეულია და ზოგიც –

ნახევრად. აქაც ბერძნები ცხოვრობენ. იქვე **ნასოფლარი იორამია**. „იორამი“ თათრული სიტყვაა, ნიშნავს „ბიძის ადგილს“. აქ მაღლობზე პატარა ციხეა, რომლის კედლები ნახევრად მთელია. შემდეგ იწყება სოფელი **სამსალაქ**. ეს ნამდვილი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „სამს – ალაგს“. მართლაც, აქ **სამი ეკლესიის ნანგრევია**. აქაც ბერძნები ცხოვრობენ.

შემდეგ მტკვრის გამოღმა სოფელი **თურქაშენია**. „თურქაშენიც“ ქართული სიტყვაა. აქაც **სამი ეკლესიაა**, სამივე დანგრეულია. აქ მცხოვრებნი ბერძნები არიან. იქვე არის **ნასოფლარი ხევის კარი**. აქაც ერთი **ეკლესიის ნანგრევია**. იქვე სოფელი **ყიზილ – ქილისაა**, რაც ნიშნავს „ოქროს საყდარს“. აქ **ორი ეკლესიაა დანგრეული**. მარტო კედლების ნაწილები – ღა სჩანს. აქაც **ქურთები** ცხოვრობენ. შემდეგ **ნასოფლარი კალანდაა**. ეს ქართული სახელია, აქ ერთი პატარა, ნახევრად **დანგრეული ეკლესია დგას**. აქედან მთის იქით სოფელი **ყორივანია**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. ერთი **ეკლესიის ნანგრევი** აქაც არის.

შემდეგ იწყება **ნასოფლარი თეთრი ქოში**. აქაც ერთი ეკლესიაა, რომლის კედლები – ღა დგას და ისიც ქვებიდან გაცარცული. იქვე **ქურთების სოფელი ჩოლ-ფენიაკია**. შემდეგია სოფელი **სინოდი**; ესეც **ქურთებისაა**. აქ ერთი **ეკლესიაა ქართველებისა**, მხოლოდ დანგრეულია. შემდეგ იწყება **ნასოფლარი შიგა – მელია**. იქვე სოფელი **ორი – ქილისაა**. აქ ბერძნები ცხოვრობენ. „ქილისა“ ეკლესიაა; მართლაც, **ორი ეკლესიის ნანგრევებია** აქ. შემდეგ აქედან გამოდიხარ სოფელ **ფოლადიკში**. აქ **ქურთები** ცხოვრობენ. აქ მაღლობზე **ეკლესიის ნანგრევია**. შემდეგ, **ფოლადიკის** მთის გაღმა, სოფელი **სასადილოა**. აქ **სომხის ფრანგები** ცხოვრობენ. ამ 20 წლის წინეთ გადმოსულები. აქაც ერთი **ეკლესიის ნანგრევია**. იქვე პატარა სოფელი **ჩამურლია**; აქ **მაღაკნები** დასახლდნენ ამ 15 წლის წინეთ და სახელად **მურავიოვკა** უწოდეს. აქვე სოფელი **ჯიჯორია**. აქ 26 კომლი ანუ 315 სული **ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ. აქვე ერთი სრულიად **მთელი ეკლესია დგას ქართული წარწერით**. იქვე **ნასოფლარი ძველი ჯიჯორია**. აქაც **ორი მთელი ეკლესია სდგას ხუცურის წარწერებით**. იქვე **ნასოფლარი ახქილისაა**, რაც ნიშნავს **თეთრ საყდარს**. მართლაც, აქ ერთი **თეთრი ეკლესია დგას**, **სახურავი მთელი აქვს**, მხოლოდ კედლებიდან ვიღაცას ქვები ჩამოუხსნია. შემდეგ **ნასოფლარი პეტრე – პავლეა**. აქაც მთაზე **ერთი ეკლესიაა**, რომლის კედლები – ღა დარჩენილა. იქვე **ნასოფლარი აქამეთია**. ესეც ქართული სახელია. აქ ერთი **დიდი და კარგი ნაგები მთელი ეკლესიაა**, რომელსაც **ქართული წარწერა აქვს**.

შემდეგ იწყება **ნასოფლარი არდანეჯი**. აქაც **ეკლესიის ნანგრევია**, რომლის კედლებიღაა დარჩენილი. **არდანეჯს** მოშორებით **ნასოფლარი ყარა – ჯიხაა**. „ყარა“ თათრული სიტყვაა, ნიშნავს „შავს“. „ჯიხა“ მეგრულია, ნიშნავს „კოშკს“. აქ ერთი **დიდი ციხის გალავანია მაღლობ მთაზე და შიგ მაღალი კოშკი დგას, ესეც მთელია**. ციხის გალავანი კლდედან ქვეშ ეშვება და იქვე, მტკვრის პირას, როგორც **არტაანის ციხე**, უერთდება მეორე გალავანს და ისევე ადის მაღლა. შემდეგ იწყება **ნასოფლარი ზირგაშენი**. ესეც ქართული სიტყვაა. აქ ერთი პატარა ეკლესიის კედლებია დარჩენილი.

შემდეგ მოდის **ნასოფლარი მარიანი**. აქ მაღლობზე **დიდი ეკლესია მდგარა**, რომლის მხოლოდ ვეებერთელა კედლები – ღა დარჩენილა, რომელსაც ქვეშ მტკვარი უვლის. იქვე **ნასოფლარი აბადალია**. აქ მაღლობზე **სამი პატარა ციხეა** და ყველანი ერთმანეთს შეჰყურებენ. **სამივესი კედლები მთელია, ძრიელ ლამაზი ციხეებია**. შემდეგ მოშორებით **ნასოფლარი სამოთხეა**. აქ ერთი **ციხე დგას**, რომლის მარტო კედლები – ღაა დარჩენილი. იქვე **პატარა ეკლესიის ნაშთებიცაა**. ადგილმდებარეობა ძრიელ ლამაზია; იქვე მშვენიერი მწვანე ხავერდით მოზიბინე ტყე უმშვენებს გვერდს. შემდეგ კარგა მოშორებით **ნასოფლარია – აქიფერისა**. აქ ერთი **ეკლესია მთელადა დგას**,

გარედან ქართული წარწერა აქვს. შემდეგ იწყება ნასოფლარი ყარაზახი. აქაც ერთი ეკლესია დგას, რომელსაც ნახევრად მთელი სახურავი აქვს.

და ბოლოს სოფელი ალაგიოზი არის. აქ ყარაფაფახები ცხოვრობენ. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. საზოგადოდ, ქართველი მაჰმადიანები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ჩვენი მამა-პაპათა ნაშთებს; მხოლოდ ქურთები, თურქმანები, სომხები და ბერძნები კი არ იბრალებენ, ანგრევენ და ქვებს კედლებიდან აცლიან.

ამით დავამთავრე ჩემი არტაანში მოგზაურობა. არა მგონია, იმდენი ისტორიული ნაშთები თვით შუაგულ საქართველოში მოიპოვებოდეს, რამდენიც არტაან – ოლთისის ოლქებში; განსაკუთრებით ოლთისის ოლქი, მგონი, რომ გადააჭარბებს არტაანის ოლქის ქართულ სიძველეებს, რისთვისაც მივეჩქარები, რათა შეძლებისდაგვარად ავწერო და მშრალ სახით მაინც გავაცნო ქართველ მკითხველებს.

კ. მარტვილელი  
(დასასრული)

გაზეთი „სამშობლო“, № 222, 1917 წელი, ღვინობისთვის 10, სამშაბათი

## „არტაანიდან თორთუმამდე“

„დიდი ხანია თორთომელი ქართველი მაჰმადიანების ცხოვრების გაცნობა მსურდა, ვერ ვახერხებდი. არტაანის ოლქში, განსაკუთრებით დიდი ზამთარი იცის, რომელიც აპრილის შუა რიცხვებამდე გასტანს ხოლმე (ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ ზამთარს მაისის შუა რიცხვამდე გაეტანოს). მაისის 11 – ს ოლთისის ოლქში მომიხდა წასვლა სამსახურისა გამო. თორთომი ოლთისის ოლქის მოსაზღვრეა და თვით მისი საზღვარი დაბა ოლთისს 7 ვერსით ახლავს. ოლთისისაკენ გზას გავუდექი. არტაანიდან ოლთამდე მშვენიერი გზატკეცილია. ეს ის გზა გახლავთ, მკითხველო, რომელზედაც სულმნათს, ჩვენს სიამაყეს თამარ მეფეს ქართველი ლაშქარი რომ დაჰყავდა ოსმალეთისაკენ საბრძოლველად ბორჯომის ხეობიდან თორთომს და შორეულ ქინჯანს (გავლით).

სოფელ ალუნდირში წინ ათამდე სრულიად შიშველ – ტიტველნი ქალები და ბავშვები გადამედობნენ:

– ეფენდი, სან გურჯი?<sup>1</sup> – შემომეკითხნენ ტიტველ – შიშველნი. – ბაალი<sup>2</sup>, ვუპასუხე მე და გავკვირდი, ნეტავი რად მეკითხებიან – მეთქი ( – განათლებულო, შენ ქართველი ხარ? 2) ბაალი – დიახ).

– იახში<sup>3</sup>, ეფენდი, იახში, – მიპასუხეს ისეთის აღტაცებულის კილოთი, რომ გეგონებოდათ დიდი ხნის დაკარგული ძმა ან ვინმე ახლობელ, ნათესავს შეხვდნო.

– ჩვენ თორთომელი ქართველი მაჰმადიანები ვართ, გაგვეხარდა, რომ გნახეთ ქართველი. ამბობენ ქართველები ძლიერ შველიან ჩვენებს – ქართველ მაჰმადიანებსო. ჩვენ ძალიან გაჭირვებული ვართ, ეფენდი; ამ ომმა დაგვლუპა და ამოგვადლო; ჩვენი ქმრები, მამები, შვილები რუსებმა

<sup>1</sup>ეფენდი (effendi)-ბატონი, განათლებული, საპატიო ადამიანი; san-შენ; gürcü-(გურჯი)-ქართველი.

<sup>2</sup>ბაალი-დიახ (დიალექტ).

<sup>3</sup>იახში-კარგი

**ტყვეთ წაასხეს სადღაც;** დავრჩით მარტო ქალები, ზოგან მოხუცი კაცებიც არიან. თუ რამ პირუტყვი გვებადა, ჯერ **სომხებმა და მერე ჯარმა წაასხეს.** ქონებაც მაგათვე წაგვართვეს და დავრჩით ასე სამოწყალოთ, დავდივართ, და ვმათხოვრობთ.

– ყურსად ფრაფალ<sup>1</sup>, – დუქნიდან გამოსული პატარა გოგოს დანახვისთანავე, რომელსაც ხელში პურის ნატეხი ეკავა და თანაც მადიანად ილუკმებოდა, – შემომჩვილა ერთმა თორთომელმა 6 – 7 წლის პატარა ბიჭმა, რომელსაც ზურგზე ძველი, დაკონკილი – დამონძილი ცარიელი ტომარი ეკიდა და თვალებიდან ნაკადულივით ცრემლები ჩამოჰყარა და პურიან ბავშვებს ხარბათ თვალები გააყოლა. ამ სურათმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია, შევედი დუქანში და სამიოდე გირვანქა პური ვიყიდე და ბალღს გადავეცი.

– ჩოდ სალოლ<sup>2</sup> ეფენდი, – სიხარულის ცრემლმორევით მითხრა ბავშვმა პურის დანახვისთანავე და პურიან ხელზე მაკოცა: ფიცხლავ გამომართვა პური და პირში ხარბად დიდი ლუკმის დება დაიწყო. მას დანარჩენი ბავშვები შემოესივნენ და პურის მოტეხვას ეხვეწებოდნენ, მაგრამ იგი უარს ეუბნებოდა.

– ჰმ! იოხ,<sup>3</sup> – თავის განზე გადაწევით ეუბნებოდა იგი და გულდაწყვეტილი ბავშვები მე შემომეხვივნენ: – ეფენდი, ჩვენც მოგვეცი პური! – ცრემლმორეულითვალეებს პურიან ბავშვებს აყოლებდნენ. მე გულმა ვედარ გამიძლო, შევედი დუქანში და ვთხოვე მედუქნეს: რამდენიც გინდოდეს ფული გამომართვი და ხუთიოდე გირვანქა პური მომიყიდე – მეთქი.

– პური ძალიან ცოტა მაქვს, ბატონო, თორემ უარს არ გეტყოდით, სოფელშიაც არავისა აქვს, რომ ვიყიდო, – თანაგრძნობის კილოთი მითხრა მედუქნემ.

– აბა, რა ვქნა, პურსა მთხოვენ, ცოდონია, მშივრები არიან, – მწარე ამოხვრით ვუთხარი და გადავხედე ბალღებს, რომლებიც პურის შოვნის იმედით თვალეებში ჩამცქეროდნენ.

– თქვენ მაგენზე ნუ სწუხხართ, **ეგენი ძაღლის რჯულისანი არიან, ბალახს ისე სჭამენ, როგორც ღორები; სიმშლით არ მოკვდებიან.** – ირონიული სიცილით მითხრა მედუქნემ და ჩემს წინ მდგომ დამშეულ ბავშვებს ჯოხით შეუტია: – დაიკარგეთ აქედან, თქვე ძაღლის შვილებოო. ისინიც დაფრთხნენ, აქეთ – იქით დაიფანტნენ. ასეთი საქციელი მედუქნისა მე ძლიერ მეწყინა. ამოვიღე სამი მანეთი და ერთ მათგანს, უფროს ქალს, გადავეცი. ის იყო გულნაწყენი ცხენზე უნდა შემეჯდარიყავი, რომ მედუქნემ ერთი მოზრდილი პური გამოიტანა, რომელიც 7 გირვანქა იქნებოდა; ბოდიშის და თანაც ხვეწნის კილოთი გადმომცა. – უკაცრავად, ბატონო, არ მეგონა თუ თქვენ ეგზომ გეწყინებოდათ, თორემ, როგორ ღმერთი გამიწყრებოდა, და გავუჯავრდებოდი. მიირთვით პური და გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი საქციელი.

– გმადლობთ, გმადლობთ, – პურის დანახვისთანავე, სიამოვნებით ვუთხარი მედუქნეს, ვიკარი ხელი ჯიბეში, ამოვიღე საფულედან ერთი მანეთი და გადავეცი. იგი ფულს არ იღებდა, მაგრამ მეც უფულოდ პურის გამორთმევაზე უარს ვიყავი. ჩემთვის ეს 10 მანეთი ღირს, დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ფულს გამომართმევთ, შეიძლება გეცოტავათ, კიდევ მოგართმევთ. – დავსძინე და ჯიბისკენ ხელი წავიღე.

– არა, ბატონო, რასა ბრძანებთ. მე უფულოთ მინდოდა მომერთმევია თქვენთვის, თორემ ამ პურმა მანეთის მეტი რა იცის. ბოდიში! – თანაც დარცხვენის კილოთი მიპასუხა მედუქნემ და გამომართვო ფული.

<sup>1</sup> ყურსად ფრაფალ-სარჩო გამოილია (დიალექტ.).

<sup>2</sup> ჩოდსალოლ-დიდი მადლობა (დიალექტ.).

<sup>3</sup> იოხ-არა! (დიალექტ.).

**კოსორისაკენ** გავსწიე. გზადაგზა აქა – იქ მხვდებოდნენ მაწანწალად გადმოვარდნილი **თორთომელი ქართველი მაჰმადიანები**; ზოგი მათგანი პირდაპირ აჩრდილნი იყვნენ ადამიანისა: ტიტველ – შიშველნი, მშიერ – მწყურვალნი. ყველა ამათ რაღაც არაადამიანური ელფერი ედოთ. მათი დანახვა ადამიანს უფრო შიშსა ჰგვრიდა, ვიდრე – სიბრალულს. ჩემს დანახვაზე ყველა ერთ და იმავეს გაიძახოდა:

– ყურსალ ფრაფალ, ეფენდი, ჩერექ დავაიო, ბენ თორთუმ გურჯი – მუსლიმანიო<sup>1</sup>, – და ჩხირივით გამხმარ ხელებს, რომლის ძვლებს თითოეულად დაითვლიდით, ჩემსკენ იშვერდნენ. მეც ვიწოდი მათის ცოდვით. პურის უქონლობისა გამო და თითო ორ – ორ, სამ – სამ შაურს ვურიგებდი დაჩქარებით და ამნაირად თავიდან ვიშორებდი ომიანობის საცოდავს მსხვერპლთ.

მალე სოფელ **კოსორშიაც** მივედი, აქაც იგივე სურათი დამხვდა! გულმა ვეღარ გამიძლო, სწრაფლ გავშორდი. ექვსი ვერსის გავლის შემდეგ კოსორიდან, ხიდთან წყლის გაღმა, ძველი **თამარისეული გზატკეცილით** გავუდექი სოფელ **ფენიაკისაკენ**. ეს ის ფენიაკია, მკითხველო, რომლის შესახებ მრავალი ქება – დიდება დაუწერიათ ჩვენს ისტორიკოსებს ქართული ისტორიის ფურცლებზე. აქ ოდესღაც ქართველების დიდი ქალაქი ყოფილა, რომლის ნაშთი დღესაც ამაყადა დგას, მაგრამ თვითონ ნაქალაქევი ადგილი – **ფენიაკი** დღეს, ამ ომიანობის შემდეგ, მხოლოდ ერთი პატარა, მაგრამისიც დანგრეულ – გაპარტახებული, ორმოცამდე სახლს ითვლის. აქა – იქ ახლად დაბრუნებული **თათრები** ცხოვრობენ. აქვე, სოფლის თავზე, დგას ერთი უზარმაზარი **ბიზანტიურ ჩუქურთმებიანი ეკლესია**, რომელიც ძველად ქართველთა საპატრიარქო **ეკლესია** ყოფილა. ამ ეკლესიიდანშიგნით გაყვანილია მღვიმე **ოლთისის ციხეში**(ს, ფენიაკიდან ოლთისამდე პირდაპირ აღებული 30 ვერსია), მისი თავი დღესაც აშკარადა სჩანს. ამბობენ 1915 წელსრუსის ჯარისკაცებს მღვიმეში ძალლი ჩაუგდიათ, შემდეგ დაუფრთხიათ და ძალს ოლთისის ციხეში ამოუყვია თავიო.

ეკლესიას შიგნით საიდუმლო სარდაფი ჰქონია, სადაც მთელი პოლკი მოთავსდებოდა; **თვით ეკლესია უმშვენიერესი ხელოვნებაა**, მისი **თალური სახე**, **ვეებერთელა სამ – სამი და ოთხ – ოთხი საყენიანი მარმარილოს სვეტები**, **მარმარილოს ქვაში გამოყვანილი მშვენიერი ფოთლები**, **ყვავილები**, **ყურძნის მტევნები**, **ადამიანები და სხვა მრავალი...ადამიანსა ჰხიბლავს ეკლესიის კედლები**, მისი **სიმშვენიერე**, **მარმარილოს ქვის ვეებერთელა ფიცრები**. მათზე გამოყვანილი **ცოცხალი სურათები ადამიანს თვალწინ უხატავს გარდასული ეპოქის ხელოვნების სიდიადეს**.

აქვეახლო – მახლოს **ოცდახუთი ეკლესიის** ნანგრევია, რაც **ფენიაკის** დიდ ქალაქობას ამოწმებს. ამბობენ: ამ **ფენიაკს** ქართულად სხვა სახელი ჰქვიანო. მაგრამ აქ მცხოვრებლებთაგანმა მისი ძველი სახელი არავინ იცის. **გზაზე ოლთისამდე**, **ქართული ეკლესიებია და ციხეების ნაშთებია მრავლად**. მაგრამ ფენიაკისთანა არტაან – ოლთისის ოლქში არა მოიპოვება რა. ამბობენ, **თორთომისა და ერზინჯანის ოლქებში სამი ეკლესიაა**, რომელიც **ფენიაკის ეკლესიას სიდიდით, სილამაზით და ხუროთმოძღვრული ხელოვნებით გადააჭარბებენო**.

მალე ფენიაკიდან უკან დავბრუნდი, რადგანაც მდინარე, რომელიც **ფენიაკს** გვერდით უვლის, ადიდებული იყო და მასზე გასვლა საშიში იყო. ახალ გზატკეცილით ოლთისისაკენ გავუდექი გზას. გზაზე მრავალი თორთომელი ქალები და ვაჟები დამრწოდნენ, რომელნიც მგზავრთ თავიანთ უმწეო მდგომარეობას შესჩიოდნენ და თვალცრემლიანები შველასა სთხოვდნენ. მარილის მადანთან, ბევრ სხვა თორთომელ ქალებთა შორის, ერთი ღრმად მოხუცებული ქართველი მაჰმადიანი ვნახე. მესიამოვნა, ვიფიქრე, თორთომის შესახებ, ალბათ, რამე ეცოდინება

<sup>1</sup>შიმშილითლონეგამომელია, ბატონო, ნახევარიმომეცი, მეთორთომელიქართველიმაჰმადიანივარო.

და მეტყვის მეთქი.მის წინ ცხენი შევაჩერე, ჩამოვხდი, აღვირი ხელში დავიჭირე და მოხუცს მიახლოვებისთანავე თათრულად მივესალმე.

– ღმერთმა გაგიმარჯოს ,ჩემო ბატონო, – ძველი ქართული დარბაისლური კილოთი მიპასუხა მოხუცმა ქართულად და სწრაფად ფეხზე წამოდგა.ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, მაგრამ როდესაც მოხუცმა თავისი მზისაგან გაშავებული და სრულიად გამვალტყავებული ხელი გამომიწოდა და თანაც მითხრა: – მადლობა ღმერთს, ჩემი ბატონი ბრძანდებოდა. – დავრწმუნდი ქართული სცოდნია – მეთქი და მეც სიხარულით აღფრთოვანებულმა სწრაფლ ხელი გავუწოდე.

– თქვენ ქართული გცოდნიათ? ალბათ აჭარიდან უნდა იყოთ? – შევეკითხე.

– არა, მე თორთომის სოფლიდანა ვარ, ქართველი მაჰმადიანი, **აჭარაში ქალი მყავს გათხოვილი და იქ ვისწავლე ქართული.**

– როგორ? – გავკვირვე მე. თორთომი განა ერთი სოფელი არ არის?

– არა, ჩემო ბატონო, **თორთომი დიდი ქვეყანაა**, 280 სოფლებს შეიცავს. – დაიწყო ქართული სოფლების სახელების ჩამოთვლა: **ორთხა, ხართხა, ხარისი** და სხვა მრავალი.

– **თორთომში მცხოვრები ყველა ქართველი მაჰმადიანია**, თუ აქა – იქ გირევიანთ, როგორც არტან – ოლთისის ოლქებში, ქურთები, თურქმანები და სხვა? – დავეკითხე ცნობისმოყვარეობით მოხუცს.

– არა, **სულ ქართველი მაჰმადიანები ვართ.**

– ყველა თქვენგანმა იცის, რომ ისინი ქართველი მაჰმადიანია?

– როგორ არა, იციან.

– თავიანთი ქართული გვარები ხომ არ ახსოვს ვინმე თქვენგანს?

– გვარი არავის ახსოვს, რადგანაც ჩვენ აქ **თამარის დროიდანა** ვართ დასახლებულნი. **არტანნი, ოლთისი, თორთომი, ადირბეჯანი** და სხვა – სულ საქართველო იყო, ყველგან ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ როცა ოსმალომ წაართო ქართველებს, ყველა აქ მცხოვრებნი გაამაჰმადიანეს; მაგრამ ეგ სულერთია. **ჩვენ რჯულითა ვართ თათრები, თორემ გულით კი ქართველები ვართ. ჩვენ ძრიელ გვიყვარს ქართველები, იგინი კეთილი ადამიანები არიან.** აი, ჩვენი პატარაები და ქალებიც სათხოვნელათ რომ დადიან, ძრიელ უმადლიან ქართველებს. ისე შეეჩვივნენ ქართველთა სახეს, რომ დაინახვენ თუ არა ქართველ ადამიანს, სიხარულით გაიძახიან: – ქართველია, ქართველიაო, – გარბიან მათკენ, რადგანაც იციან, რომ **ქართველი მათ დაუსაჩუქრებლივ არ გაისტუმრებს.**

ბოლოს მოხუცმა ძრიელ ბევრი და ფრიად გულის ამაღლევებელი საყვედურები მითხრა სომხების საქციელზე.

წარმოიდგინეთ, მკითხველნო, ისე გულდაწყვეტილად ამბობდა მოხუცი **სომხების მიერ მხეცურად ჩადენილ ამბებს, რომ თვითონაც სტიროდა და მეც ამატირა.** მე არ მეგონა, თუ ადამიანს, **თუნდაც სრულიად გამხეცებულს, შეეძლო ისეთი საზიზღრობის ჩადენა, რაც მიაშო მოხუცმა.** ვეღარ გავუძეე, მოხუცს ხუთი მანეთიანი ჩავუდევე ხელში და გულდაკოდილი ოლთისისაკენ გზას გავუდექი.

ოლთისში ერთ ჩემ მეგობარ მოხუც პორუჩიკ **დვანაძესთან** ჩამოვხდი, რომელსაც გავუზიარე მოხუცის სიტყვები. თორთომში გამგზავრების ნაცვლად, დილით არტანისაკენ გავუდექი გზას. გზაზე 7 – 8 წლის ბავშვები და ქალები, ნამოწყალებით დატვირთულნი, უკან თორთომისაკენ მიდიოდნენ. ალბათ,ეგენი ისინი არ იყვნენ, რომელნიც მე გზაზე მეყრებოდნენ. მოხუცი, კი მარილის მადნიდან 4 ვერსის მოშორებით, ვნახე მიწაზე დაწოლილი. სახე რაღაც გაწითლებოდა, თვალებიც წინ წამოწეოდნენ, თითქოს გადმოცვივნას ლამობდნენ. მოხუცი ცახცახებდა. გვერდზე

8 წლის ობოლი შვილისშვილი ეჯდა, რომელიც რაღაცას ეტიტინებოდა და თანაც ბაბუისკენ გამოშვებულ ხელში დიკის შავი პურის კანი ეჭირა, ალბათ სთავაზობდა მოხუცს. მისმა დანახვამ გამახსენა მისი სიტყვები, გული ამიტოვდა, თვალეზზე ცრემლი მომადგა, ქურდულადა და დარცხვენით ამოვიწმინდე ცრემლები, მივუახლოვდი მოხუცს, დავუკარი თავი, გამარჯვება ვუთხარი, მაგრამ მან, ნაცვლად სალამისა, თვალეზი ისეთნაირად შემომაჩერა, რომ მაშინ ნამდვილი სიბრაღული და ღრმა ტანჯვა გამოიხატებოდა. მე მაშინვე მივხვდი, რომ მოხუცს რაღაც გაჭირვება დადგომია. ჩამოვხდი ცხენიდან, მივუახლოვდი, შუბლზე ხელი დავადევი. შუბლი ცხელი ჰქონდა. მაჯაც დაჩქარებით უცემდა. მოხუცი ავად გამხდარიყო. მე ცხენი შევთავაზე, – კოსორამდე წამოდი, მე ფეხით წამოვალ, არა მიშავს ახალგაზრდა ვარ მეთქი, – მაგრამ უარი მითხრა.

ამ დროს ვიღაც ცხენოსანმა თათარმა გამოიარა, მისი ნაცნობი გამოდგა, მიესალმნენ ერთმანეთს. მგზავრმა მოხუცი ცხენზე შესვა და გზას გაუდგნენ. მეც მალე კოსორისაკენ გამოვქუსლე ცხენით. მოხუცის სახელი და გვარი ვიცოდი, სოფლის სახელიც მითხრა, ქალაქის ნახევზე დავწერე, მაგრამ, სამწუხაროდ, დაიკარგა. შემდეგ ამისა, მოხუცისა არა ვიცი რა.

თიბათვის 18 – ს გავემგზავრე ოლთისში ხარჯამკრებ ინსპექტორ გეპნერთან ერთად, მაგრამ თორთომელი ბავშვები და ქალები, კაცები ნაკლებად გვხვდებოდნენ. და თუ აქა – იქ შეგვხვდებოდნენ, ისიც ბალით, მსხლით, ჭერამით დატვირთული. ყველა ამას სოფლებში ფქვილში ცვლიდნენ. ვკითხე კიდევაც თორთომელთ: – მიზეზი რა არის, რომ თქვენები სათხოვნელად არ დაიარებიან – მეთქი.

– ეხლა ხილი ბევრია, სიმშილს არა ვგრძნობთ, მთელი თორთომის ოლქი ბაღნარია: ვკრეფთ ხილეულობას, გაგვაქვს სოფლად, ვცვლით ფქვილზე, პურზე, ერბოზე, ყველზე, კვერცხზე, რაც შეგვხვდება, ყველაფერზეო, – მიპასუხეს.

ოლთისში ჩვეულებრივ ჩემ მეგობარ პორუჩიკ დვანაძესთან ჩამოვხდი, გეპნერიც მივიპატიჟე. მეორე დღეს, ვთხოვე გეპნერს თორთომში გადავსულიყავით, მაგრამ არ ისურვა და მარტო მე წასვლა ველარ გავბედე, რადგანაც მითხრეს, თორთომის გზებზე ყაჩაღები დაძრწიანო. მალე თორთომისაკენ გავწევ და ჩემ ნანახ – გაგონილს მკითხველს გაუზიარებ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რუსებს 170 000 – ზე მეტი გადაუსახლებიათ თორთომიდან ქართველი მაჰმადიანები.

გაზეთი „საქართველო“, № 147, მკათათვის 8, 1917 წელი.

## არტაანიდან თორთუმამდე

*(ეს სტატია გახლავთ ვრცელი ვარიანტი გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილისა (№147, 1917 წ.)*

შემდეგ, არტაან – ოლთისის ოლქების დათვალიერებისა და მათი ისტორიულ – გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალების აღწერისა, გავემუშრე თორთომელი ქართველი მაჰმადიანების ცხოვრების გასაცნობათ, მაგრამ ვერ მოვახერხე, ზამთარმა ხელი შემიშალა. არტაანის ოლქში, განსაკუთრებით დიდი ზამთარი იცის, რომელიც აპრილის ბოლო რიცხვებამდე გასტანს ხოლმე (ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ ზამთარს მაისის შუა რიცხვებამდე გაეტანოს). ამიტომ 11 მაისს ოლთისის ოლქში მომიხდა წასვლა სამსახურისა გამო. თორთუმის ოლქის საზღვარი ოლთისს 197



ვერსით ახლავს. არტაანიდან ოლთისამდე მშვენიერი გზატკეცილია. ეს ის გზა გახლავთ, მკითხველო, რომელზედაც სულმნათს, ჩვენს სიამაყეს **თამარ მეფეს**, ქართველი ლაშქარი რომ დაჰყავდა ოსმალეთისაკენ საბრძოლველად **ბორჯომის** ხეობიდან **თორთომს**, **აზრუმს** გავლით **ერზიჯანისაკენ**.

სოფ. **აღუნდირში** (პირველი სოფელია არტაანის საზღვრიდან ოლთისის ოლქის) წინათამდე სრულიად ტიტველ – შიშველნი ქალები და ბავშვები გადამეღობნენ.

– ეფენდი, სან გურჯი?<sup>1</sup> – შემომეკითხნენ ტიტველ – შიშველნი.

– ბაალი,<sup>2</sup> – ვუპასუხე მე და გავეკვირდი, ნეტავი რად მეკითხებიან – მეთქი.

– იახში, ეფენდი, იახში,<sup>3</sup> – მიპასუხეს ისეთი აღტაცების კილოთი, რომ გეგონებოდათ დიდი ხნის დაკარგული ძმა, ან ვინმე ახლობელ ნათესავს შეხვდნენო.

– ჩვენ თორთომელი ქართველი მაჰმადიანები ვართ, გაგვეხარდა, რომ გნახეთ ქართველი. ამბობენ ქართველები ძლიერ შველიან ჩვენებს – ქართველ მაჰმადიანებსო. ჩვენ ძალიან გაჭირვებული ვართ, ეფენდი. ამ ომმა დაგვლუპა და ამოგავადო; ჩვენი ქმრები, მამები, შვილები რუსებმა ტყვეთ წაასხეს სადღაც; დავრჩით მარტო ქალები, ზოგან მოხუცი კაცებიც არიან. თუ რამ პირუტყვი გვებადა, ჯერ სომხებმა და მერე ჯარმა წაასხეს; ქონებაც მაგათვე წაგვართვეს და დავრჩით ასე სამოწყალოთ, დავდივართ და ვმათხოვრობთ.

– ყურსალ ფრაფალ, – იქვე სომხის დუქნიდან გამოსული პატარა გოგოს დანახვისთანავე, რომელსაც ხელში პურის ნატეხი ეკავა და თანაც მადიანად ილუკმებოდა, – შემომჩვილა ერთმა თორთუმელმა 6 – 7 წლის პატარა ბიჭმა, რომელსაც ზურგზე ძველი, დაკონკილი – დაძონძილი ცარიელი ტომარი ეკიდა და თვალებიდან ნაკადულივით ცრემლები ჩამოჰყარა და პურიან ბავშვებს ხარბათ თვალები გააყოლა. ამ სურათმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია, შევედი დუქანში და სამიოდე გირვანქა პური ვიყიდე და ბაღს გადავეცი.

– ჩოხსალოლ ეფენდი<sup>4</sup>, – სიხარულის ცრემლ მორევით მითხრა ბავშვმა პურის დანახვისთანავე და პურიან ხელზე მაკოცა, ფიცხლავ გამომართვა პური და პირში ხარბად დიდი ლუკმის დება დაიწყო. მას დანარჩენი ბავშვები შემოესივნენ და პურის მოტეხვას ეხვეწებოდნენ, მაგრამ იგი უარს ეუბნებოდა.

– ჰმ, იოხ<sup>5</sup>, – თავის განზე გადაწევით ეუბნებოდა იგი და გულდაწყვეტილი ბავშვები მე შემომეხვივნენ.

– ეფენდი, ჩვენც მოგვეცი პური და ცრემლმორეული თვალებს პურიან ბავშვებს აყოლებდნენ. მე გულმა ვეღარ გამიძლო, შევედი დუქანში და ვთხოვე მედუქნეს: – რამდენიც გინდოდეს ფული გამომართვი და ხუთიოდე გირვანქა პური მომყიდე – მეთქი.

– პური! ძალიან ცოტა მაქვს ბატონო, თორემ უარს არ გეტყოდით, სოფელშიაც არავისა აქვს, რომ ვიყიდო, – თანაგრძნობის კილოთი მითხრა მედუქნემ.

– აბა, რა ვქნა, მშივრები არიან, – მწარეს ამოხვრით უთხარი და გადავხედე ბავშვებს, რომლებიც პურის შოვნის იმედით თვალებში ჩამცქეროდნენ.

<sup>1</sup>ეფენდი, სანგურჯი – განათლებულო, თქვენ ქართველი ხართ.

<sup>2</sup>ბაალი – დიახ.

<sup>3</sup>იახში ეფენდი, იახში – კარგი, განათლებულო, კარგი.

<sup>4</sup>ჩოხსალოლ, ეფენდი – დიდად გმადლობთ, განათლებულო.

<sup>5</sup>იოხ-არა!

– თქვენ მაგენზე ნუ სწუხდებით, ბატონო, ეგენი ძაღლის რჯულისანი არიან, ბალახს ისე სჭამენ, როგორც ღორები, სიმშლით არ მოკვდებიან, ისინი. – ირონიული სიცილით მითხრა მედუქნემ და ჩემს წინ მდგომ დამშვეულ ბავშვებს ჯობით შეუტია: – დაიკარგეთ აქედან, თქვე ძაღლის შვილებო: – და ისინიც დაფრთხნენ, აქეთ – იქით დაიფანტნენ. ასეთი საქციელი მედუქნესი მე ძლიერ მეწყინა, ამოვიღე სამი მანეთი და ერთ მათგანს, უფროს ქალს გადავეცი. ის იყო გულნაკლული ცხენზე უნდა შემვჯდარიყავ, რომ მედუქნემ ერთი მოზრდილი პური გამოიტანა, რომელიც 7 გირვანქა იქნებოდა. ბოდიშის და თანაც ხვეწნის კილოთი გადმომცა.

– უკაცრავად ბატონო, არ მეგონა თუ თქვენ ეგზომ გეწყინებოდათ, თორემ როგორ ღმერთი გამიწყრებოდა და გავუჯავრდებოდი. მიირთვით პური და გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი საქციელი.

– გმადლობთ! – პურის დანახვისთანავე, სიამოვნებით ვუთხარი მედუქნეს, ვიკარი ხელი ჯიბეში, ამოვიღე საფულედან ერთი მანეთი და გადავეცი: იგი ფულს არ იღებდა, მაგრამ მეც უფულოდ პურის გამორთმევაზე უარს ვიყავი.

– ჩემთვის ეს 10 მანეთი არაფრად ღირს, დიდი მადლობელი ვიქნები თუ ფულს გამომართმევთ, შეიძლება გეცოტავათ, კიდევ მოგართმევთ! – დავსძინე და ჯიბისკენ ხელი წავიღე.

– არა, ბატონო, რასა ბრძანებთ! მე უფულოთ მინდოდა მომერთმევია თქვენთვის, თორემ ამ პურმა მანეთის მეტი რა იცის... ბოდიში, – და თანაც დარცხვენის კილოთი მიპასუხა მედუქნემ და გამომართვა ფული.

მეც კოსორისაკენ გავსწიე. გზადაგზა აქა – იქ მხვდებოდნენ მაწანწალათ გადმოვარდნილი თორთომელი ქართველი მაჰმადიანები; ზოგი მათგანი პირდაპირ აჩრდილი იყვნენ ადამიანისა, ტიტველ – შიშველნი, მშიერ – მწყურვალნი, ყველა ამათ რაღაც არა ადამიანური ელფერი ედოთ. მათი დანახვა ადამიანს უფრო შიშსა ჰგვრიდა, ვიდრე სიბრალულს. ჩემს დანახვაზე ყველა ერთ და იმავეს გაიძახოდნენ:

– ყურსად ფრაფალ, ეფენდი, ჩურექ დავაი! ბენ თორთუმ გურჯი მუსულმან ვარო<sup>1</sup> და ჩხირივით გამხმარ ხელეებს, რომლის ძვლებს თითოეულად დაითვლიდით, ჩემსკენ აშვერდნენ: მე ვიწოდი მათის ცოდვით პურის უქონლობისა გამო და თითო ორ – ორ შაურს ვურიგებდი საჩუქრად და ამნაირად თავიდან ვიშორებდი ომიანობის საცოდავს მსხვერპლთ.

მალე სოფ. კოსორშიაც მივედი; აქაც იგივე სურათი დამხვდა. გულმა ვეღარ გამიძლო, სწრაფლ გავმორდი. ექვსი ვერსის გავლის შემდეგ კოსორიდან, ხიდთან წყლის გაღმა, ძველი თამარისეული გზატკეცილით გავუდექი ნაქალაქევ ბანასაკენ. ეს ის ბანაა, მკითხველო, რომლის შესახებ მრავალი ქება – დიდება დაუწერიათ ჩვენს ისტორიკოსებს ქართული ისტორიის ფურცლებზე. აქ ოდესღაც ქართველების დიდი ქალაქი ყოფილა, რომლის ნაშთი დღესაც ამაყადა დგას, მაგრამ თვითონ ნაქალაქევი ბანა ომიანობის შემდეგ მხოლოდ ერთი პატარა, დანგრეული აქა – იქ ახლად დაბრუნებული ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სოფელია. აქვე, სოფლის თავზე, დგას ერთი უზარმაზარი ბიზანტიის ტაძრების მსგავსი ქართული ეკლესია, რომელიც ძველად ქართველთა საპატრიარქო ეკლესია ყოფილა. ამ ეკლესიიდან ტრაპეზის ქვეშ გაყვანილია გვირაბი, ოლთისის დიდებულ ციხეში პირდაპირის ხაზით 30 ვერსზე. გვირაბის თავთავის ლამაზი თლილი ქვის კიბის საფეხურების ფიცრები დღემდე მთელია და დაუმტკრეველი. 1915 წლის თებერვალს თათრის ჯარზე გამარჯვებულმა ქართველმა ოფიცრებმა გვირაბში მწყემსის ნაგაზი ჩააგდეს, შემდეგ დააფრთხეს და ოლთისის კომენდანტს ელსმენით აცნობეს გვირაბში

<sup>1</sup>ყურსადფრაფალ! ეფენდი, ჩურექდავაი! ბენ თორთუმ გურჯი მუსლიმანვარ. სარჩო გამოგველია, ბატონო, ნახევარი მომეცი პური მაინც. მე თორთომელი მუსლიმანი ქართველი ვარ.

ნაგაზის ჩაგდება და სთხოვეს ეპასუხნა ელსმენითვე გვირაბიდან თუ ამოვიდოდა ძალი და როდის. ოლთისის კომენდანტმა სამი საათის შემდეგ დაადასტურა ოლთისის ციხის მეხუთე ეზოში ძაღლის ამოსვლა.

ეკლესიას შიგნით საიდუმლო სარდაფი ჰქონია, თავისი გვირაბით, სადაც მთელი პოლკი მოთავსდებოდა. ალბათ იმ მიზნით, რომ მტრის თავზე დაცემის დროს გაპარულიყვნენ და მერე მოულოდნელად მტრებს თავზე დასცემოდნენ. თვით ეკლესია უმშვენიერესი ხელოვნებაა: მისი თაღური სახე, ვეებერთელა სამ-სამი, ოთხ-ოთხი საყენიანი მარმარილოს სვეტები, ფერადი მარმარილოს ქვებისაგან გამოყვანილი ცოცხალი ყვავილები, ვაზის მწვანე და ზოგან ყვითელი ფოთლები; ფოთლები, მწიფე დიდრონი მტევნებით, რომლებიც ფრინველებს მოტყუებით იზიდავენ, ჰკენკავენ და რაი დარწმუნდნენ ქვაა, დარცხვნილები ჟივილ – ხივლით მიფრინავენ უკან. სხვა ძვირფასი ცოცხალი ქანდაკებები ჰზიბლავენ ადამიანს, არ სჯერათ თუ ცოცხალი არსება არ არის და უკვირთ, თუ ვისმა ხელებმა შექმნეს ეს დიდებაო. ეკლესიის კედლები, უძვირფასესი ჩუქურთმები, ლავგარდინები, ეკლესიის ლამაზად თლილი ქვები, მისი სიმშვენიერე, მარმარილოს ქვების დიდრონი ფიცრები, მათზე გამოჭრილი წმინდათა ლამაზი სახეები და სხვა. ეს სიმშვენიერე ადამიანს ხელოვნების უნახავად ხდის და დააფიქრებს: – ნეტავი ვის ხელებმა აღმართეს ეს დიდება, მეფე ხელოვნებისა. ეს ჩუქურთმები სიხარულით მოაგონებენ მნახველებს ჩვენს საამაყო მამა – პაპებს, რომლებმაც თავიანთი ნიჭის წყალობით შექმნეს ეს საოცრება, ქვაში გააცოცხლეს თავიანთი უკვდავი ხელოვნება.

გუმბათიდან ბანას ეკლესია საძირკვლამდე შუაზეა გახეთქილი და ნანგრევები იქვე ყრია, ხოლო ნახევარი ეკლესიისა ხელუხლებელია და მიუხედავად, რომ მაზედ სურათებს მზე დასცქერის, მისი დიდებული მხატვრობისათვის ფერი ვერ შეუცვლია, ასე ჰგონია ამ 10 – 15 წლის წინათ დაუხატავთ. ამ ეკლესიის ახლომხლოს 25 ეკლესიის ნანგრევებია, ხოლო იქით, აღმოსავლეთისაკენ მთის მაღალიგორაა და ზოგან კარკარ კლდეებს მისდევს ზევით ციხის მაღალი კედლებიანი გალავანი, რომელიც ადის მაღლა მწვერვალზე და ორ ვერსიის სიგრძეზე მიმავალი ეშვება ქვეშ კარკარ კედლებით, ჩადის ბარდოს წყაროს პირად და მის გასწვრივ მისდევს 7 ვერსს ნაქალაქევს და იქ, სადაც გვირაბის თავზე ბუდობს საყენზე მეტი სიგრძის გველი, უერთდება ზევით მიმავალ გალავნის კედელს. ქვეშ და ზევით აქა – იქ ციხის გალავანი და კედლები დანგრეულია და მხოლოდ ნანგრევებიღა სჩანან:

**ოლთისის ოლქში მრავალი ციხე, გვირაბები და ეკლესიებია, მაგრამ ბანა და მისი გვირაბის მსგავსი არა არის რა. ადგილობრივმა ქართველ მოხუც მაჰმადიანებმა მითხრეს, რომ ბანას ტაძარი 1877 წლამდე მთელი და დაუზიანებელი იყო, ხოლო 1877 წლის ბრძოლის დროს რუსის მხედრობას თოფხანად გადაუქცევია; გაუგია ეს ოსმალეთის მხედრობას და ყუმბარის დაშენით დაუნგრევია.**

მაგრამ სანამ განვაგრძობდე ჩემი მგზავრობის ამბავს, მკითხველის ყურადღებას მივაქცევ სოფ. აღუნდირიდან სოფ. კოსორამდე გაყვანილ შესანიშნავ შარა – გზასა და სოფ. კალაკოტში ნახულ უძველეს სახარებას.

სოფ. აღუნდირიდან იწყება ისტორიული მთა არსიანი, რომელიც სამი ვერსის სიმაღლიდან თავისი მიუვალ ათას წლოვან ხშირი ნაძვ – ფიჭვნარი ტყით ჩამოდის ქვევით. აქ 25 – 30 საყენის სიფართოვეზე ვაკევედება, მერე, როგორც ერთეული, ქვის კედელი ადის მაღლა ვერს ნახევარზე და იწყება შიშველი თვალუწვდენელი ნაქალაქევი, ბანამდე 36 ვერსზე. შუაში მომწყვდეულია, როგორც გრძელი კიბიური კოლოფი, ჭოროხის გზა და მიდის სოფ. კოსორამდე სწორი ლარივით 30 ვერსზე. გზა და გზა ქვის კედლებზე გამოჭრილია სენაკები, ზევიდან ქვევით, მეექვსე საყენზე

და როგორც მიაჩნება, აქ ბერებს უცხოვრიათ; მაგრამ ეს კი ვერ ვნახე, თუ საიდან შედიოდნენ ამ ნაპრალიდან გამოჭრილ სენაკებში ბერები. სოფ. კოსორის აქეთ, მეოთხე ვერსზე, ზევიდან ქვევით კედლებში გამოჭრილია **საკმაოდ მოზრდილი ლამაზი სენაკი**, რომელშიაც, როგორც მითხრეს ადგილობრივმა ქართველმა მაჰმადიანებმა, **ასვენია წმინდანი. ეს წმინდანი ყოფილა ბანას დიდებული პატრიარქი – კათალიკოსი.**

იგი, რომ გაათავებდა **ბანას** ეკლესიაში ღვთის მომსახურეობას, მიდიოდა იქ, სენაკში და დროს მყუდროდ ღვთის ვედრებაში ატარებდა. როდესაც იგრძნო მან თავისი აღსასრული, ანდერძათ დაუტოვა თავის ბერებს, რომ სენაკში დაეკრძალათ. მე ამან დამაინტერესა და ბანას მოვლით აველი მაღლა მთაზე და როს მივედი, სენაკის თავეზე კლდეში ამოჭრილი საფეხურები ვნახე წყვილად დაახლოვებით ერთი მეოთხედი ადლის კუბიკური ზომის, რომლებიც ჩადიოდნენ სენაკის კარში. ალბად კათალიკოსს ეს კუბიკები უწევდნენ კიბის მაგივრობას. ჩავედი მეც. მაგრამ სენაკში ვეღარ გავბედე ჩასვლა. კარებთან მსხვილი ჯაჭვი იყო ქვევით ჩაკიდებული, ალბად ხელის მოსაკიდებლად. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჯაჭვს რგოლები ხშირად ჰკიდია ფეხის ჩასადებად, მე ვეღარ მოვახერხე ზევით რამეზე მომეკიდა ხელი და ფეხი რგოლებში ჩამეყო. **შიგნით სენაკში კუბო ასვენია, რომელშიაც ჩასვენებულია ხსენებული კათალიკოსი. სახე მიცვალებულის უფრო მძინარე კაცისას მოგაგონებს, ვიდრე მიცვალებულისას.**

**კუბოს გულმკერდის ქვეშ ძვირფასი ოქროს ქსოვილი–საეკლესიო საფარი ახურია, წინ უდგას დიდი, თეთრი მრავალ პატარ – პატარა სანთლებიანი შანდალი, დიდი, ნახევრამდე დამწვარი წმინდა სანთლის კელაპტარით. შანდლის თითზე ჩამოკიდებულია ვერცხლის საცეცხლური, რომელშიაც ამომწვარ ნახშირზე მოსჩანს აქა – იქ დაფერფლილი საკმეველი. შანდალის გვერდით დგას პატარა ვერცხლის სურა და ასეთივე ლიტრა. მიცვალებულს გულზე ადევს სახარება. ორ მცირე მაგიდაზე საეკლესიო ოქროს ქსოვილი საფარია გადაფარებული და ორივეზე დავითნიანი დევს. მაგიდასთან ორი სკამი დგას. აი, მთელი მორთულობა სენაკისა.**

სოფ. კოსორში რომ მივედი, მითხრეს:

– არსიანის მთის მესამე ვერსზე მდებარეობს ერთი პატარა სოფელი, სახელდობრ **კალკოტი**, სადაც **სომხებმა ქართული ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ ნახეს უძველესი ქართული სახარებაო.**

ამით დაინტერესებული მყისვე შევჯექი ცხენზე და გავუდექი ხსენებული სოფელი კალკოტისაკენ. კალკოტში მიმავალი გზა საცალფეხოა და მიდის 12 ვერს დაბურულ ტყეში მალლობზე, სადაც კაცი ერთ სწორ ვაკეს ვერ ნახავს. 4 საათის მგზავრობის შემდეგ საცალფეხო გზამ სოფ. **კალკოტში** მიმიყვანა.

აქ ცოტათი ვაკეა და სუფთათ გათლილი ქვის სახლები დგას, რომლის კედლებზე ხშირად ნახავთ **ხუცურ წარწერებს**, ეტყობა სომხებს ეკლესია დაურღვევიათ და მის ქვებით თავიანთთვის სახლები აუშენებიათ. დანარჩენი სახლები მიწურია, მიწაშივე ჩამარხული. იმ ღამეს სოფელში მომიხდა გაჩერება. მეორე დღე კვირა იყო. ის იყო სომხის მედავითნემ ზარი დარეკა და ხალხმა ეკლესიაში იწყეს დენა. მეც გავემურე ეკლესიისაკენ, მოვისმინე წირვა,

ეკლესია უშნოდ აგებულია, მის კედლებზე მშვენივრად გაშალიშინებული ქვის ფიცრები, ერთი მეორეზე უსწორ – მასწოროთაა ზედ დაწყობილი. გუმბათიც ბრუდეთაა დადგმული. ეტყობა ეკლესიის ქვები ქართულ ეკლესიიდან არის წამოღებული; მათზე **აქა – იქ ქართული ხუცური ასოებია ამოჭრილი.** ერთ ქვაზე **წმინდა გიორგი აწერია.** მალე წირვა გათავდა. ხალხი გამოვიდა ეკლესიიდან. მათ გამოჰყვა ტერტერა და მედავითნე. მე ტერტერას თავი დავუკარი, მივუახლოვდი, შენდობა ვსთხოვე, ტერტერას გაუხარდა, ვემთხვიე ხელზე, სხვებსზრდილობის ნიშნად

თავი დაუკარი. ყველანი ცნობის მოყვარობამ შეიპყრო, დამიწყეს ბაასი, მკითხეს ჩემი ვინაობა; მე ქუთაისელი სომეხ – ფრანგათ გამოვაცხადე თავი. გვართაც ტერტერიანცი დავირქვი; ვიცოდი თუ ასე არ მოვიქცეოდი, სახარებას არ მაჩვენებდნენ. ტერტერამ სადილათ სახლში მიმიწვია, გამაცნო ცოლშვილი, სოფლის შეძლებულებიც გამაცნო, სადილზე საზღვარგარეთელი კონიაკები, ლიკიორები და სხვა ძვირფასი სასმელები მომიტანეს. სადღეგრძელო სომხის ერისა სადღეგრძელოებზე გადადიოდა: **უსურვებდნენ სომხებს საქართველოზე გამარჯვებას, სომხის კათალიკოსის სადღეგრძელოს ფეხზე დამდგარნი „კეცე – კეცე“ ყვირილით სვამდნენ.**

სადილმა სამ საათს გასტანა, ორჯერ ჩემი სადღეგრძელო დალიეს და დამავალეს გადამეცა ქუთათელ სომეხ კათოლიკეებისათვის დაეტოვებიათ კათოლიკობა და სომხის რჯულზე გადმოსულიყვნენ. მეც შევპირდი, სიამოვნებით გადავცემ და პირველი მე გადმოვალ ჩვენს სომხურ სარწმუნოებაზე – მეთქი. ყველამ შემეპო, „კეცე – კეცეს“ ყვირილით ტაში დამიკრეს და მისურვეს სომხის ერის კეთილდღეობისათვის ას წელიწადს ცხოვრება. ბოლოს ტერტერა შემომეკითხა: ქუთაისის ძმები სომხურს ენაზე აწარმოებენ წირვა – ლოცვას თუ რომელზეო? – ქართულზე – მეთქი. ყველას ეწყინა, შუბლი შეიკრეს.

– რატომ, სომხური არ იციან?

– დიახ არ იციან – მეთქი.

– ჰო, ეს ჩვენი ნასწავლი სომხების სისუსტეა, დაამახინჯეს სომხური ენა, ყურადღებას არ აქცევენ ჩვენს გულიდან მოწყვეტილ საყვარელ ძმებს, უკარგავენ დედა – ენას. აფსუს, ძმებო? – ბოლოს ამოიოხრა ტერტერამ.

– დიახ, მართალია – მეთქვი დავერწმუნე მეც. ამ დროს ტერტერა ადგა, გააღო ზანდუკი და **საზღვარგარეთელ ძვირფას აბრეშუმის ბაღდადში შეხვეული ქართული სახარება მომცა.**

– აი, ეს წიგნი, ჩვენ მიერ დანგრეული ქართულ ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ მიწაში ჩამარხული ვნახეთ. ძვირფას სქელ ოქროს ყდაში იყო ჩამჯდარი და ზედ ქრისტე და მოწაფეები ეხატა, მაგრამ ოქროს სიყვარულისათვის რომ არ მოეპარათ, ავაგლიჯეთ, ოქრო გავყიდეთ და წიგნი შევინახეთ, მაგრამ რაღაც მაგარი ქალაქია, არ იხევა. აბა, წაიკითხეთ, თქვენ განათლებული სომეხი ხართ, გაგვაგებინეთ რა წიგნია.

მე რომ გადავხედე, სიხარულმა აღმიტაცა, **უძველესი სახარება, პერგამენტზე დაწერილი, დავით კურაპალატს შეუწირავს ბანას დიდებულ ტაძრისათვის და რომ სომხებს არ შეენიშნათ, ვუპასუხე:**

სახარებაა ლათინურ ენაზე დაწერილი სომეხ – კათოლიკეთათვის და ძალიან კარგს იზავთ, თუ მომცემთ, წაუღებ ჩვენს ძმებს სომეხ – კათოლიკეთ და დიდ მადლობას შემოგიტოვლიან – მეთქვი.

მაგრამ ტერტერამ არ მომცა. ბოლოს ფულიც შევამლოე, ვერც ამან გასჭრა. **სახარება დიდი ფორმატისაა, ლამაზი ხელით ნაწერი, ყველა ახალი თავები წითელი მელნითაა დაწერილი. თვით პერგამენტის ფურცლები, გარდა წინ ათი გვერდისა, სუფთაა, ხოლო წინა 10 გვერდი ხშირად ჭუჭყიანი ხელის კიდებით ტყვიის ფერი ჭუჭყითაა შემურვილი და აქა – იქ წმინდა სანთლის წვეთებია დაღვენთებული.** სახარების ზოგიერთი გვერდის მინდორზე (აბზაცებზე) ქართულ მხედრულის ასოებით წარწერებია, წვრილი, ლამაზი ხელით; ჩემგან უცნობი ქართული ისტორიიდან ამოდებული ღირსშესანიშნავი ცნობები საქართველოს ძველი ცხოვრებიდან.

სომხები ამ სახარებას სასწაულთმოქმედს უწოდებენ. მორწმუნეები ამ სახარების საშუალებით იგებენ თავიანთ მომავალ ბედს, რომლის გასამრჯელოთ ტერტერა ახდევინებს მათ აბრეშუმის თითო ბაღდადს, ან ოთხ აბაზს.

– ამისავე საშუალებით ვიგებთ ჩვენ ომის მოახლოების დროსო. – მითხრა ტერტერამ:

**საჭიროა როგორც „ვეფხისტყაოსანს“ ისე ამ სახარებასაც მიაქციონ ყურადღება ჩვენმა ისტორიკოსებმა და გამოისყიდონ ჩვენი მუზეუმისათვის. კალკოტის სომხები განსაკუთრებით კანდრაბანდით ცხოვრობენ. სოფ. კალკოტის შორი – ახლოს, შუაგულ ტყეში ერთი საშუალო ზომის ეკლესია ყოფილა, რომელიც სომხებს დაუნგრევიათ და ქვები სოფელში გადმოუზიდათ. იქ მეორე ნანგრევიც არის, მაგრამ ვერ გავარკვიე ეკლესიისაა, თუ ციხესი.**

აქედან ბანაში დავბრუნდი, მინდოდა ოლთისისაკენ მოკლე გზით წავსულიყავ, მაგრამ მდინარე ბარდოს წყარო ადიდებულიყო და უკან წამოსული თამარისეული შარა – გზას გავყევი. გზაზე მრავალი თორთომელი ქალები და ბავშვები დაძრწოდნენ და მგზავრებს თავიანთი უმწეო მდგომარეობას შესჩიოდნენ, თვალეზ ცრემლიანები შველასა სთხოვდნენ. მარილის მადანთან ბევრ სხვა თორთომელ ქალებთან შორის ერთი ღრმად მოხუცი ქართველი მაჰმადიანი ვნახე. მესიამოვნა, ვიფიქრე, თორთომის შესახებ, ალბათ, რამე ეცოდინება და მეტყვის – მეთქვი. მის წინ ცხენი შევაჩერე, ჩამოვხდი, აღვირი ხელში დავიჭირე და მოხუცს მიახლოვებისთანავე თათრულად სალამი მივეცი.

– ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, – ძველი ქართული დარბაისლურის კილოთი მიპასუხა მოხუცმა ქართულად და სწრაფ ფეხზე წამოდგა. მე ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, მაგრამ როდესაც მოხუცმა თავისი მზისაგან გაშავებული და სრულიად გამვალტყავებული ხელი გამომიწოდა და თანაც მითხრა: – მადლობა ღმერთს, ჩემო ბატონო! როგორ ბრძანდებითო, – დავრწმუნდი ქართული სცოდნია – მეთქი და მეტი სიხარულით აღფრთოვანებულმა სწრაფლ ხელი გავუწოდე.

– თქვენ ქართული გცოდნიათ. ალბათ აჭარიდან უნდა იყოთ. – შევეკითხე.

– არა, მე თორთომის ოლქის სოფლიდანა ვარ, ქართველი მაჰმადიანი, აჭარაში ქალი მყავს გათხოვილი და იქ ვისწავლე ქართული.

– როგორ?! – გავიკვირვე მე, – თორთომი განა სოფელი არ არის?

– არა, ჩემო ბატონო, თორთომი დიდი ქვეყანაა, 200 სოფელს შეიცავს და დაიწყო ქართული სოფლების სახელების ჩამოთვლა: ხახული, ორთხა, თამარი, რუსთავი, ორ – ჯოხი, ხარ – თხა, ხარისი და სხვა მრავალი.

– თორთუმში მცხოვრები ყველა ქართველი მაჰმადიანებია, თუ, როგორც არტაან – ოლთისისა და სხვა ოლქებში, გირევიათ აქა – იქ: ქურთები, თურქმენები, ყარაფაფახები, ბერძნები და სომხები? – შევეკითხე ისევ ცნობისმოყვარეობით მოხუცს.

– არა, სულ ქართველი მაჰმადიანები ვართ.

– ყველა თქვენგანმა იცის თუ არა, რომ ისინი ქართველი მაჰმადიანებია?

– როგორ არა! იციან.

– თავიანთი ქართული გვარი ახსოვთ თუ არა?!

– გვარიი!.. მოხუცებულებს ახსოვთ, ახალგაზრდობას – არა, ჩვენ აქ თამარ – ყიზილ ფადი-შახის დროიდან ვართ დასახლებულნი: ყარსი, აღზევანი, არტაანი, ოლთისი, კისკისი, ისპირი, თორთომი, ბაიბურთის ოლქები, ერზრუმისა და ტრაპეზუნდის ვილაიეთები (გუბერნია) და იქით შორს, სულ საქართველოა. სულ თამარ – ყიზილ ფადიშაჰის მიწაა, ყველგან ქართველები

ცხოვრობენ; მაგრამ ოსმალს ფადიშაჰმა, რომ წაართვა, ყველა ჩვენ ქართველები გაგვამუსლიმანა; მაგრამ ეს სულ ერთია, ჩვენ რჯულით ვართ მუსულმანები, გულით კი ქართველები, ჩვენ ძლიერ გვიყვარს ქართველი ქრისტიანები, ისინი კეთილი ადამიანებია, აი, ჩვენი პატარები, ქალები სამათხოვროთ რომ დადიან, ძლიერ უმადლიან ქართველებს; ისინი სიხარულით გაიძახიან: – ქართველია, ქართველი და გარბიან მათკენ, რადგანაც იციან, ჩვენი ტომისანი არიან და მათ დაუსაჩუქრებლად არ გაისტუმრებენ.

ბოლოს მოხუცმა ძლიერ ბევრი და მეტად გულის ამაღელვებელი საყვედურები მითხრა სომხების მოხალისეთა მეტად მხეცურ მოქმედებაზე. წარმოიდგინეთ, მკითხველნო, ისე გულდაწყვეტით ამბობდა მოხუცი სომხების მიერ ჩადენილ მხეცობაზე, რომ თვითონაც სტიროდა და მეც ამატირა. მე არ მეგონა, თუ ადამიანს, თუნდაც სრულიად გამხეცებულს, შეეძლო ისეთი საზიზღრობის ჩადენა, რაც მიაშო მოხუცმა. გულმა ვეღარ გაუძლო მოხუცის ნაამბობი სურათის საზიზღრობას და მოხუცს 5 მანეთიანი ჩადუდევი ხელში და გულდაკოდილი ოლთისისაკენ გზას გავუდექი. ოლთისში ჩემ მეგობარ მოხუცს პორუჩიკ დვანაძესთან ჩამოვხდი, გავუხიარე მოხუცის სიტყვები; მან მხოლოდ გაიცინა.

თორთომში შიშინაობისა გამო დიდხანს ვეღარ მოვიცადე. დილით ანტაანისაკენ გამოვქუსლე ცხენი. გზაზე 7 – 8 წლის ბავშვები და ქალები, ნამოწყალებით დატვირთულები, უკან თორთომისაკენ მოდიოდნენ, ალბათ, ისენი იყვნენ, რომლებიც მე გზათ მეყრებოდნენ. მოხუცი კი მარილის მადანთან, 4 ვერსის მოშორებით, ვნახე მიწაზე დაწოლილი. სახე რაღაც გაწითლებოდა, თვალებიც წინ წამოწეოდა, თითქოს გადმოცვივნას ლამობენო. მოხუცი ცახცახებდა, გვერდზე პაწია ობოლი შვილიშვილი უჯდა, რომელიც რაღაცას ეტიტინებოდა და თანაც ბაბუასაკენ გამვერილ ხელში დიკის შავი პურის ნატეხი კანი ეჭირა, ალბად, სთავაზობდა ბაბუას. მე მათმა დანახვამ გამახსენა მოხუცის სიტყვები, გული ამიტოკდა, თვალებზე მომდგარი ცრემლები დარცხვენით და თანაც ქურდულად ამოვიწმინდე, თავი შევიმაგრე, მივუახლოვდი მოხუცს, დავუკარი თავი, გამარჯვება უთხარი, მაგრამ, მან ნაცვლად სალამისა, თვალები ისე შემომაჩერა, რომ მასში ნამდვილი სიბრალული და ღრმა ტანჯვა გამოიხატებოდა; მე მივხვდი, რომ მოხუცს რაღაც გაჭირვება დადგომია, ჩამოვხდი ცხენიდან, მივუახლოვდი, შუბლზე ხელი დავადევი. შუბლი ცხელი ჰქონდა, მაჯაც დაჩქარებით უცემდა. მოხუცი ავად გამხდარიყო. მე ცხენი შევთავაზე: – კოსორამდე წამოდი, მე ფეხით წამოვალ, არა მიშავს ახალგაზრდა ვარ მეთქვი. – მაგრამ უარი მითხრა.

ამ დროს ვიღაც ცხენოსანმა მაჰმადიანმა გამოიარა, მოხუცის ნაცნობი გამოდგა. მიესალმნენ ერთმანეთს. მგზავრმა მოხუცი ცხენზე შესვა და გზას გაუდგნენ. მეც მალე კოსორისაკენ გამოვქუსლე ცხენი.

1916 წ. აგვისტოს მოხუცს თორთომში შევხვდი. იგი სოფელ ხახულის მცხოვრები ალიბეგი ნაკაშიძე აღმოჩნდა. 1916 წელს 18 ივლისს გავემგზავრე ოლთისში ხარჯთამკრებ ინსპექტორ გეპნერთან ერთად, მაგრამ თორთომელი ბავშვები, ქალები და მოხუცი ნაკლებ გვხვდებოდნენ და თუ აქა – იქ შეგხვდებოდნენ, ისინი ბალით, მსხლით, ჭერამით და სხვა ხილებით დატვირთული იყვნენ. ყველა ამას ისინი არტაანის ოლქის სოფლებში ეზიდებოდნენ. ვკითხე კიდევაც თორთომელებს: – მიზეზი რა არის, რომ თქვენები სათოხნელად არ დადიან – მეთქი?

– ეხლა ხილი ბევრია, შიმშილს არა ვგრძნობთ, მთელი თორთომის ოლქი ბაღნარია, ვკრებთ ხილეულობას, გაგვაქვს არტაანის სოფლებში, ვცვლით.

ოლთისში ჩვეულებრივ ჩემ მეგობარ პორუჩიკ დვანაძესთან ჩამოვხტი, გეპნერიც მივიპატიე. მეორე დღეს, ვთხოვე გეპნერს, თორთომში წავსულიყავით, მაგრამ არ ისურვა და მარტო მე წასვლა ველარ გავბედე, რადგან თორთომის გზებზე ქურთი ყაჩაღები დათარეშობდნენ. მალე თორთომისაკენ გავწევ და ჩემ ნანახ – გაგონილს მკითხველ საზოგადოებას გავუზიარებ.

როგორც ქართველ ოფიცრებმა მითხრეს, რუსის მხედრობას შიდა ოსმალეთის საქართველოს ოლქებიდან ასსამოცდაათათასი უდანაშაულო ქართველი მაჰმადიანები გადაუსახლებიათ ციმბირში სამხედრო ტყვეების სახით.

კ. მარტვილელი,

1916 წელი, 20 აგვისტო, ქ. ოლთისი, დაიბეჭდა 1917 წელს გაზეთ საქართველოს“ N 147 – ში“.

## მ ო გ ო ნ ე ბ ა

*(ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის გამო)*

26 თებერვალს 1918 წ. ხელმეორედ არტაანიდან ს. ხახოში (თორთომის ოლქი),\* შიდა ოსმალეთის საქართველოში, ერზრუმის გზატკეცილზე, ბაიბურთის მხრივ, გავემგზავრე ქართული ციხე – ეკლესიებისა და სოფლების დასათვალიერებლად და ისტორიული მასალების ასაწერად. სოფელი ხახო (ხახული) დაბა ოლთისს 99 ვერსით ახლავს, ამ სოფელში საქართველოს მეფე ვახტანგ გორგ – ასლანს ექვსი ეკლესია გაუშენებია, ამათში ერთი, სახელდობრ, „ხახულის ღვთის მშობლისა“ დიდია და შემკულია უძვირფასესი ჩუქურთმული ხელოვნებით. ეკლესიას გარედან კედლებზე აუარებელი ქვის ქანდაკებები აქვს გამოჭრილი წმინდანებისა, ცხოველებისა, ფრინველთა და სხვათა. მისი სიდიდე ჩემ მიერ გაზომილათ აღმოჩნდა: სიგრძე 17 საჟენი და 1 არშინი, განი 11 საჟენი, ორი არშინი და სამი გოჯი და სიმაღლე ჯვარამდე 10 საჟენი და 9 გოჯი. ერთი სიტყვით, ამ ეკლესიის სილამაზე და წმინდა ხელოვნება, შემდეგ უზარმაზარი ოშხის (ომკის) ეკლესიისა (ხახოს 30 ვერსით ახლავს, ლაზისტანის მხრით), ადამიანს ხიბლავს. ამ ეკლესიის დაწვრილებით აღწერას სიდიდისა გამო აქ არ შევუდგები, ვინაიდან უკვე წელიწადნახევარია რომ ვწერ მთელი შიდა ოსმალეთის საქართველოს ისტორიული მასალებს, სოფლებს, მათ სახელებს, ხალხის ზნე – ჩვეულებას და ყოველნაირ მათ მიერ მონათხრობ ზეპირ – გადმოცემებს, რომელთა შორის დიდის შინაარსით ვსწერ ოშხისა და ხახულის ეკლესიებს, როგორც უდიდეს განძებს საქართველოს სიძველისა და კულტურულად აყვავებისა.

სწორედ იმ დროს, როცა შემოვედი სოფელში, ვისაუზმე ჩემს და ბ. ექვთიმე თაყაიშვილის ძველ ნაცნობთ ქართველი მაჰმადიანის სახლში და მივედი ხახოს ეკლესიასთან დასათვალიერებლად, რომ სოფელში შეიქმნა სიხარულის ყიჟინი: – თათრის ჯარი მოდისო. მე შემეშინდა, მაგრამ შიში აბა რას მიშველიდა? ისევ ბედს დავემორჩილე. ჩემი მეგობარი მანუგეშებდა, რომ არას გაგიჭირვებ, არხეინად იყავი, ნუ გეშინიაო.

უკვე მზე მთას ეფარებოდა, რომ, მართლაც, სოფელში შემოვიდა 80 კაცისაგან შემდგარი თათრის ჯარი, იარაღით და მოწყობილობით. ჯარს წინ თათრის პოლკოვნიკი მოუძღოდა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიზიდა, ვინაიდან სახე წმინდა ქართველის ჰქონდა. ის იცინოდა, მხიარული იყო, ალბათ, სოფელში მშვიდობიანი შემოსვლა უხაროდა. მცხოვრებლები პურ – მარილით შეხვდნენ, მეც მათთან ვიყავი. პურ – მარილის მიღების შემდეგ პოლკოვნიკი მე

\*იხილე გაზეთი საქართველო 1917 წლისა №147, ჩემი მგზავრობა არტაანიდან თორთომამდე. ავტორი.



დამაკვირდა, დიდხანს მათვალაობა და ბოლოს რუსულად დამეკითხა: «Вы должно – быть грузинь?». ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ვიფიქრე, რუსული სცოდნია, შეიძლება შემობრალდოს, არ მომკლას – მეთქი, გავიფიქრე გულში. სული ტკბილია; სიცოცხლე მე კი არა, ასი წლის მოხუცსაც სწყურია.

– დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, – აღტაცებით მივუგე და ზრდილობიანად ქუდი მოვუხადე. პოლკოვნიკი მომიახლოვდა.

– მაშ, თქვენ ქართველი ხართ? სასიამოვნოა. – სიცილით და თანაც სიამოვნების გამომეტყველის კილოთი შემომეკითხა ის ქართულად და ხელი ჩამომართო. ჩემი მაშინდელი მდგომარეობა თვით მკითხველმა წარმოიდგინოს. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, სიხარულის ცრემლები თვალებზე ვეღარ შევიმაგრე.

– ბატონო პოლკოვნიკო, ქართული სად გისწავლიათ? – აკანკალებულის ხმით შევეკითხე მას.

– მე აჭარელი ქართველი – მაჰმადიანი ვარ, გვარად ჩხეიძე, ათი წლის ვიყავი, რომ აჭარიდან ჩემმა მამამ ისტამბოლში გადამიყვანა, სწავლა იქ მივიღე.

– კარგია, ბატონო, ქართული არ დაგვიწყებიათ? – შევეკითხე მე.

– სამშობლო ენის დავიწყება, აბა, როგორ შეიძლება?! – ცოტა არ იყოს, წყენის კილოთი მიპასუხა და შემომეკითხა.

– თქვენ რისთვის ჩამოსულხართ აქ?

– ქართული ისტორიის მასალების აღსაწერად. – მოკლედ ვუპასუხე.

– თქვენ მწერალი ხართ?! – შემომეკითხა პოლკოვნიკი და სიამოვნებით სახე გაუბრწყინდა.

– ალბათ, იცნობთ მამედ ბეგ აბაშიძეს? ისიც მწერალია.

– კი ბატონო, როგორ არა, ვიცნობ, დიდი მეგობარია ქართველებისა. ის ჩვენ შეერთების საქმეში დიდ როლს თამაშობს. – ვუპასუხე.

– მართალია! თუ ოდესმე ჩვენ შევერთდით, უეჭველად მისი წყალობით. – დამემოწმა პოლკოვნიკი და საქართველოს საზოგადო ბედ – იღბლის შესახებ ბაასზე გადავედით. ამ საგანზე ბაასმა დიდი ხანი გასტანა, ის დიდად დაინტერესებული იყო საქართველოს ბედიღბალით, ქართველთა ცხოვრებით.

– თუ ქართველები რუსეთს არ ჩამოშორდა, ცხოვრება გაუმწელებათ, ვერ გაიხარებენ, ვინაიდან რუსეთი ბნელი და დათვი ხალხია, რუსის გლეხის ქოხში ძნელად თუ კულტურა შევიდეს. მაგრამ ეხლა ამ რევოლუციამ მთლად მოუღო ბოლო რუსებს, ორასი წლით უკან დასწია, დააქუცმაცა...

უკვე ღამის 10 საათი იყო. იმ ღამეს პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ჩინებული მასპინძლობა გამიწია, დილას მონასტრისაკენ წავედით.

პოლკოვნიკს ძრეელ მოეწონა ხახულის ეკლესია, გაახსენდა თავისი სამშობლო – საქართველო, მამა – პაპა, თვალებზე ცრემლი მოადგა, თავი განზე გადიწია, თითქო შერცხვა, ცრემლი არ შემემჩნესო, თვალები ქურდულად ამოიწმინდა და დაიწყო თავის ადათზე ლოცვა. ის დიდხანს ლოცულობდა, ავედრებდა, ალბათ, ღმერთს საქართველოს.

– ამათი ჩამოშორება ქართველებისაგან, სულ რუსების ბრალია, მაგრამ დიდი დრო არ გაივლის, რომ ესენი ხელახლა შეუერთდნენ თავიანთ ძმებს. – დაასრულა სიტყვა პოლკოვნიკმა. მზე უკვე მაღლა იყო ამოსული, რომ ჩვენ საუზმეს შევექცეოდით. ჩემთვის ცხენი უკვე მზად იყო. პოლკოვნიკს ქალაქი დაეწერა და გადმომცა:

– თუ ვინმე გზაზე შეგხვდეთ, ეს აჩვენეთ და გაგიშვებენო.

მე მაღლობა გადავუხადე, გამოვემშვიდობე ყველა იქ მყოფთ და ცხენი ოლთისისაკენ გამოვქუსლე.

მეორე დღეს, 12 საათზე, ოლთისში ჩამოვედი. აქ ხალხი ყალყზე იდგა. გუშინდელი ოლთისის მბრძანებელი სომხები, დღეს შიშით კრთოდნენ, გასაქცევ გზას ეძებდენ; მაგრამ ადგილობრივი თათრები, რომლებიც ოლთისს გარშემო შემორტყმოდნენ, სომხებს ოლთისიდან გარედ არ უშვებდნენ და თანაც შემთხვევას უცდიდნენ, რომ მთელი სომხობა ერთად ამოეწყვიტათ.

მალე არტაანისაკენ გამოვემგზავრე; გზაზე მარტოკა მივდიოდი. ყველგან სიწყინარე იყო. სოფ. **კოსორს** ბერძნები დაცემოდნენ და საკომენდატო პუნქტი იარაღით ხელში ჩაეგდოთ. ახლო – მახლო სოფლის თათრები ღელავდნენ, ალბათ შეტევას ლამობდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ. სოფელ **მერდენეგშიაც** არეულობა იყო; სომხებს და ბერძნებს ბატონ – პატრონად გამოეცხადებინათ თავი და თათრებს სოფელში ცხოვრების ნებას არ აძლევდნენ. სოფელ **უხუთშიაც** სომხებს ორი თათარი მოეკლათ, დანარჩენებისთვის ქონება წაერთმევიათ და სოფლიდან გაერეკათ. ახლო – მახლო სოფლის თათრებს წარმომადგენლები გამოეგზავნათ, მაგრამ სომხები ახლოსაც არ იკარებდნენ, შეიარაღებულები სოფლის საზღვარზე იდგნენ.

თათრის წარმომადგენლებმა თავიანთი გულის მწუხარება შემომჩვილეს:

– ჩვენ არ გვინდა სისხლი დავღვაროთ, თორემ ამათ ერთ საათში ამოვჟლიტავთო.

ამ დროს თოფი გავარდა, ტყვიამ ყურის ძირს გამიარა, სომხები გვესროდნენ. ჩვენ შეგვეშინდა და ცხენები სწრაფლ სოფ. **ოკამისაკენ** გავქუსლეთ. აქ **ყველანი ქართველი მაჰმადიანები** ცხოვრობენ.

იმ ღამეს ს. **ოკამში** დავრჩი. დილას სამი კაცი გამაყოლეს, რომ სომხებს გზაზე არ მოვეკალი; მაშინ სომხები თათრებსა და ქართველებს აღარ ინდობდნენ. – თქვენ მათ ეხმარებითო, გვეუბნებოდნენ და თუ კი შემთხვევა ხელს შეუწყობდა, სიცოცხლეს დიდი სიამოვნებით მოუსპობდნენ.

უკვე საღამო იყო, რომ ჩავედი არტაანში. დილას ქართველ მაჰმადიანებმა, მე, როგორც ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულს, წარმომადგენლები გამომიგზავნეს, რომ ქართველებს დაეტოვებინათ არტაანი, ვინაიდან ორ – სამ დღეში თათრებს სომხები უნდა ამოეწყვიტათ. მე ეს ამბავი ფიცხლავ ვაცნობე ჩემს მეგობარს **გიორგი სალარიძეს** და სხვებს, მაგრამ არ დამიჯერეს, ტყუილია, თათრებს შეუშინებიახო. სომხებმა, რომ გაიგეს „პროვოკატორი“ მიწოდეს.

მე შემეშინდა, მეორე დღეს, დილით, ადრე მალაკანი მიდიოდა ჯაგლაგით ყარსში. გავურიგდი და ყარსისაკენ გავუდექი გზას. სოფ. **ხევისკარში** და **ხასკეში** თათრებს დაეწყით სომხების ჟლეტა; საზარელი სურათი იყო, ნამდვილი ჯოჯოხეთი. შეიარაღებული თათრები გზაზე რიგრიგით დარაზმული იდგნენ, სომხებს დარაჯობდნენ, სხვა ეროვნებას არას ერჩოდნენ რას.

ყველანი მიცნობდნენ, **ეფენდი კოტეს** მეძახდნენ. საღამოს 10 საათი იყო, რომ **ყარსში** ჩამოვედი; აქაც დიდი შიში და მზადება იყო. თათრებს ქალაქში არ უშვებდნენ, ვინც იყო, იმას იჭერდნენ და ღმერთმა იცის, სად აგზავნიდნენ. მთელი ძალა ყარსისა სომხების ხელში იყო; ხმა დადიოდა:

– თათრები ყარსის ასაღებათ ემზადებიანო; დილით ხმა გავრცელდა, თათრებმა **არტაანში** დაიწყეს სომხების ჟლეტაო. მალე ყარსის ახლო – მახლო სოფლებიდან სომხის ბოლშევიკების უკანასკნელი ეშელონი გამოდიოდა. მეც გამოვეყვი **თბილისში**.

კ. მარტვილელი

გაზეთი „საქართველო“, 5 ენკენისთვე, 1919 წ. N 191

(გაზეთის ეს ნომერი დაცულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებულ ბიბლიოთეკაში, საქართველოში არაა დაცული, რადგან სტატიაში ნახსენებია **მემედ-ბეგ აბაშიძე**, როგორც რეპრესირებული პიროვნება).

## კორესპონდენცია ახალციხიდან

სრული 50 წელიწადია, რაც ახალციხისა და მათ მაზრის ქართველი კათოლიკეები სომხის უსამართლო ზეგავლენის ქვეშ იტანჯებიან. ვინ არ იცის, რომ სომხის სასულიერო მმართველობამ ქართველი კათოლიკეებს მშობლიურ ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა მოუსპო და მათ სომხური შემოუღო. მაგრამ ქართველ კათოლიკეებს არ აკმარებდენ ყველა ამას. მათ შვილებს ისინი სომხურ კათოლიკეთა წესზე ნათლავდენ და ნათლობის ქალაქდშიც სომეხ კათოლიკეებად სწერდენ. მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო და, როგორც იყო, სომეხთა უსამართლო ძალადობასაც ბოლო მოეღო. ამ ათი დღის წინეთ ადგილობრივ მცხოვრებ ქართველ კათოლიკე **იოსებ პავლესძე ბ – ნ მაისურაძის** თაოსნობით შესდგა ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა კრება, რომელსაც დაესწრნენ მთელი მაზრიდან გამოგზავნილი 64 კაცი და თბილისის ქართველ კათოლიკეთა საბჭოს თავმჯდომარე ბ – ნი **პარმახსიზიშვილი** და მდივანი **მიხეილი იოსების ძე ბ – ნი მღებრიშვილი**, რომლებმაც განიხილეს უმწეო მდგომარეობა და სომეხი კათოლიკე ქსენზები და თვით სომეხებისაგან უსამართლო ქცევა მათდამი და დაადგინეს: აირჩიონ 12 კაცისაგან შემდგარი კომისია, სახელდობრ **ზაქარია დიდიმამისშვილი, რაფაელი ბეგისშვილი, ივანე მღებრიშვილი, მიხეილ წალდაძე, იაკობ მესარკიშვილი, ივანე ავალიშვილი, სტეფანე გასპარიშვილი, ლუკა ხუციშვილი** და სხვანი, რომლებსაც დაევალათ წინააღმდეგობა გაუწიონ სომეხებს და დაბეჭდონ ყოველგან როგორც ქ. ახალციხეში, აგრეთვე მის მაზრებშიაც კათოლიკეთა ეკლესიები, ვიდრე: არ მოსპობენ მათ ეკლესიებში სომხურს ენაზე წირვა ლოცვას, არ გამოეყოფიან მათ და მასთან ერთად ყველა იმ ქართველ კათოლიკებს, რომელიც სომხის მღვდლებმა ნათლობის ქალაქდში ნაცვლად ქართველი კათოლიკობისა სომეხ კათოლიკებათ ჩასწერეს და თანაც მათი ქართველი გვარი „ძე“ და „შვილი“ „იანცებით“ გადაიღეს; სანამ ყოველივე ამას არ გადაასწორებენ სინამდვილეზე, მანამ ეკლესია არ გაიღება. ყველა ამ დადგენილებას წინ აღუდგა დეკანოზი **თომა ივითხანიშვილი**, რომელმაც კრებაზე განაცხადა.

– „თანახმა არ ვიქნები ასეთი დადგენილებისა, რადგანაც ეკლესიების დაკეტვით კუჭი მშიერი დამრჩებაო, ჯერ გამიძღეთ კუჭი და შემდეგ მხარს დაგიჭერთო.“ – ასე უთქმია დეკანოზს.

ციხე შიგნიდან გატყდებოდა, ამბობს ქართული ანდაზა. რა გვიშავდა ქართველებს, რომ ასეთი გამყიდველი დეკანოზები არ გვყავდენ, ღირსი შავრაზმელ **დიმიტრი აბაშიძეებისა**, რომელნიც თავილობენ კიდევ ქართველობას. რა კარგი იქნებოდა, რომ ამ კუჭისტ დეკანოზს მიეზამნა ცოტათი მაინც ახალციხესავე მცხოვრებ ქართველ კათოლიკე **ბ.ბ. თისოშვილისა** და **ა. გორგაძესთვის**, რომელთაც თითქმის უკანასკნელი პერანგიც – კი გაიყიდეს, რომ ქართველ რაზმში ჩასაწერად თავიანთი ქართველობა დაემტკიცებინათ და სომხურად ნათლობის ქალაქდში ჩაწერილი „თოსიოიანც“ და „გეორგიანიც“ **თისოშვილად** და **გიორგიძედ** აღედგინათ!

საბედნიეროდ, კუჭისტ დეკანოზს მიმბაძველები ნაკლებად ჰყავს. ფართო მასაში უკვე ღრმად და შეჭრილი ის შეგნება, რომ მიუხედავად რწმენის სხვადასხვაობისა, **კათოლიკე ქართველნი ქართველები არიან და ვერავითარი ტიპიკონის იძულება მათ ვერ შეაცვლევინებს გვარტომობას**, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდესთ. შორს აღარაა ის დრო, რომ ქართველ კათოლიკეთა გადადგმული მტკიცე ნაბიჯი ერთხელ და უკანასკნელად აჰლაგმავენ სომეხ შოვინისტთა მქადაგებლებს, რომელნიც, შურისა და ღვარძლის თესლის დაბნევის გარდა, ძმებსაც გვტაცემდნენ თაღლითობით.

საქართველო, 1917 წ. N 268.

კ. ოდიშარია

## სამაჰმადიანო საქართველო არტაანის ოლქის ქართველობა

(ბ.კ.ო – ს მოხსენებიდან)

(ბ.კ.ო. – ბატონი კონსტანტინე ოდიშარია. შ.ფ.)

ქართულ სამოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილების გამგეობის მონდომებით გამგეობის წევრს ბ.კ.ო. (ბატონ კ. ოდიშარიას) მოუვლია არტაანის და ჩალდირის საპოლიციო ნაწილი. მას მინდობილი ჰქონდა გამორკვევა ზევით დასახელებულ უბნებში მაჰმადიან ქართველების მდგომარეობის. თავის მოხსენებაში აგვიწერს იმ უმწეო მდგომარეობას, რომელშიც ქართველი მაჰმადიანობა ჩაუყენებია ომისაგან გამოწვეულ პირობებს. აუწერელი სიღარიბე, შიმშილ – წყურვილი, დანგრეული სახლები, ჩამტვრეული ბეღელი, უკარო და უფანჯრო შენობები, შიშველ ტიტველნი სცხოვრობენ ქართველები იმ ადგილებში, სადაც რუსის მხედრობას გაუვლია ოსმალეთის ჯარის მოახლოვების დროს, ამის დასამტკიცებელი ფაქტი ბევრი გამოქვეყნდა აჭარლების პროცესის დროს, ჩვენს პრესაში, ბევრი აღნიშნა დეპ. ჩხენკელმა სათათბიროში.

მოხსენება იმით არის კიდევ საინტერესო, რომ მას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი მაჰმადიან ქართველობის დასახასიათებლად. ჩამოთვლილი ჰყავს რამდენიმე ქართველი მაჰმადიანი, რომელსაც გასცნობია თავის მოგზაურობის დროს. იმ პირობებში ბევრია ისეთი, მაჰმადიანი ქართველი, რომელიც გარკვევით გრძნობს და სცნობს თავს ქართველად. აღსანიშნავია, რომ უფრო ხანში შესულთ აქვთ წარმოდგენა ქართველობაზე.

სოფელ გუგუბაში: ა) თეიმურ კადიოლლი წითლანამე 70 წლის. ლაპარაკობს წმინდა ქართულს და ტიპიც ქართულია; ბ) ბინალ ჯოშხუნი კილი; 28 წლისა ქართველობა ნაკლებ ეტყობა. გ) ამფურ ოსმან საფარ – ოლლი 65 წლის მრავალრიცხოვან ოჯახის პატრონია. თავი ქართველად მოაქვთ.

სოფ. ჩაისტურეცკში: ა) ხალილ მემედ – ოლლი კონაევი – 50 წლისა. ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს. ქართული ლაპარაკი არ იცინა. ბ) ჰამიდ იბრაგიმოლლი 39 წლისა; 8) გაჯი ალი ალლას სულეიმან ოლლი 75 წლის; დ) ახმედ თახი ოლლი 17 წლის (ობოლია); ე) რასულ ისკანდერ ოლლი 55 წლისა; ვ) ალა მამად ორუჯ კილი 35 წლისა; ზ) გაჯიასან დადა ოლლი 80 წლისა, ქართულს კარგად ლაპარაკობს და სხვ. სულ ჩამოთვლილია 60 გვარი და როგორც აღვნიშნეთ ხანში შესულთ უფრო შეუნარჩუნებიათ ქართული ელფერი, ვინემ ახალგაზრდათ. მცირეწლოვანნი ახლა უკვე სასწავლებელში შეჰყავთ და ეროვნული შეგნება თანდათანობით იკიდებს ფეხს.

სახალხო ფურცელი, 1916 წ. N 753.

## ბოლშევიკების შიში

ვისაც რუსეთის ბოლშევიკური მოძრაობისათვის თვალ – ყური უდევნებია, ის დარწმუნდება, რომ წინეთ მისი დევიზი მხოლოდ პროლეტარიული მიმართულება იყო. მისთვის ეროვნული სახე არ არსებობდა; ამიტომ ის ანადგურებდა მის არსებობას რუსეთში და მართლაც, ამ ნიადაგზე ლენინის ბოლშევიკებმა, ბევრი უმწეო და უდანაშაულოთა სისხლი დაღვარეს, მიანგრ – მოანგრიეს მთელი რუსეთი, მოსპეს მისი კულტურა, დაიტაცეს სახელმწიფო, თუ კერძო ქონება, გაანადგურეს ფაბრიკა – ქარხნები, გაძარცვეს ხაზინა – ბანკები, დასცეს ვაჭარ – მრეწველობა. და სხ.

ამნაირ სისასტიკით მათ ერთგვარი ძალა მოიხვეჭეს ბნელ ხალხში; ხალხი, მართალია, გაჰყვა მას, მაგრამ გარეგნულად, გულთ კი ეროვნებისა და საკუთრებისაკენ მიილტვოდნენ; ეს **ლენინმა** იცოდა, მაგრამ არ შედრკა; მან ცეცხლით და მახვილით გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, დაახშო ხალხის გრძნობა და ბოლოს კავკასიასაც მოადგა. მოინდომა მისი მოძღვრების განხორციელება, მაგრამ ჩვენი ქვეყანა გადარჩა ბოლშევიკების შეუბრალებელ ცეცხლს, მან **კავკასიაში** ფეხი ვერ მოიდგა, ვინაიდან მენშევიკებიც კი სამშობლოს ხსნას ეროვნულ სახეში ჰხედავდნენ, საზოგადოთ, მათ სწამდათ, რომ სოციალისტური წესწყობილება და მეტად კი ბოლშევიკური, დამღუპველი იყო ქვეყნისა და აი, სწორედ ამ მიზნით **ლენინის** რუსეთი იმ პატარა ნავს დაემსგავსა, რომელიც აღელვებულ ზღვის შუა გულზე დარჩენილა უნიჩობდ. ლენინმა ეს ნათლად დაინახა და რომ რუსეთისათვის დიდი სტიქია აეცდინა, რომელიც მოადგა მას ამ ბოლო ხანებში მას კარზე, თავისი მიმართულება მარჯვნივ მოატრიალა, უფრო ეროვნულ მხარესაკენ გადმოწია, და აი, სწორედ ეს იყო მიზეზი, **დენიკინთან** მისი გამარჯვებისა. ის, შემდეგ ამისა, მოადგა კავკასიას, მაგრამ სწორედ ამ თითქო განგებითო, დაჰკრა ჟამის ზარმა და სამშვიდობო კონფერენციამ გამოაცხადა კავკასიურ ორ ერთა დამოუკიდებლობა, ეს ამბავი რამდენათ ჩვენთვის სასიხარულო იყო, იმდენად სამწუხარო შეიქმნა ლენინის რუსეთისათვის, ვინაიდან იცოდა მან, რომ **უკავკასიოთ, ის დაემსგავსებოდა კბილებ ამოღებულ და კლანჭებ დაჭრილ ლომს**; ამან დიდ საგონებელში ჩააგდო, ის აღივსო შურით კავკასიისადმი და კერძოთ საქართველოსადმი და გზას ეძებს თავისი მიზნის მისაღწევათ, და აი, სწორედ, ამისათვის უარჰყო მან ბოლშევიკური მოძრაობა და თავისი დევიზი სრულ ეროვნულ მიმართულებისაკენ მოატრიალა; ის უკვე მთლიანი რუსეთის აღდგენას ჰფიქრობს. მას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, აუარებელი ჯარი მოუგროვებიათ **როსტოვსა** და სხვა **კავკასიის** საზღვრების ახლო დაბა–ქალაქებში და ცდილობს, ბოლშევიკურ ქურქ მოსხმული, ჩვენს განადგურებას. მას რითაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გადმოლახოს კავკასია, შემოიჭრას **საქართველოში**, დაიპყროს ის, შეიჭრას აქედან **სპარსეთს**, შეუერთდეს იქ ახალგაზრდა **ოსმალთა** ბოლშევიკებს, რომელნიც უკვე დიდი ხანია უცდიდნენ მას ოსმალეთის საზღვრებზე და იქიდან კი ეკვეთოს **არაბ – ინდოეთს**, ჩამოაშოროს ის **ინგლისს** და დასცეს მისი ძლიერება, მოსპოს მისი ბატონობა მცირე აზიაში და შუა ხმელთა ზღვაზე. **ლენინი** ეხლა დაჭრილ ლომივით, არ ერიდება არავითარ საფრთხეს, ის მთელი ძალით მოაწვება კავკასიის საზღვრებს, მას დიდი იმედი აქვს ჩვენი შინაური მტრებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მას და თუ ჩვენ მზად არ დაუხვდით. ჩვენთვის აუცილებელია საფრთხე. ჩვენ როგორც ქართველებმა, აგრეთვე აზერბაიჯანელებმა, მომარაგებით უნდა პირისპირ დაუდგეთ ჩვენ საზღვრებთან მტერს, არ შემოუშვათ ის, მაგრამ, როგორც ზემოდა ვსთქვი, მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ის უკვე აქ, ჩვენში, ჩვენივე ხალხისაგან ნიადაგს იმზადებს. ადგილობრივი რუსები, დიდ დახმარებას უწევენ მას, ისინი მზად არიან, ყოველ ფეხის გადადგმაზე მახე დაგვიდგან, ვერ ინელებენ ჩვენს დამოუკიდებლობას. ჩვენ ეხლავე უნდა თადარიგს შეუდგეთ და თუ მომზადებული დავხვდებით, ლენინის რუსეთი ჩვენთვის საშიში არ იქნება; ის უკვე დაღლილ – დაქანცულია, მას ჩვენთან ბრძოლის ძალა არ შეწევს, ვინაიდან **ინგლისი** თავის ინტერესების დასაცავად მცირე აზიაში ჩვენთან არის, ის ჩვენთან ერთად იბრძოლებს **ლენინის** საწინააღმდეგოთ. კარგად ახსოვს ჩვენი მახვილის ძალა და ეხლა მით მეტი უფრო შედრკება ამის წინაშე.

საქართველო, 1920 წ. N19, 27 იანვარი.

## საქართველოს აღდგომა

ქართველი ერი, რომელიც 117 წელიწადი იტანჯებოდა მონობის ბორკილებში, დღეს აღსდგა; მან შესძლო დამსხვრევა იმ საშინელი მონობის ჯაჭვისა, რომელითაც იყო ის დღემდე შებორკილი. ქართველი ერი დღეიდან იწყებს სრულუფლებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას. რასაკვირველია, როცა **ხალხი რომელიც დამოუკიდებელია და ეკუთვნის საკუთარ თავს, ის ყოველთვის მარჯვეა და ბედნიერი. ის ცხოვრებაში მეტ ენერჯიას გამოიჩენს, ვიდრე ბატონის ქვეშ.** და, აი, საქართველოც ეღირსა ამ ბედნიერებას. ის დღეს სრული ბატონ – პატრონია თავისთავისა. მას საკმარისად ჰყავს სახელმწიფოებრივი საქმეების ისეთი მცოდნე პირები, რომლებსაც შეუძლიანთ მიიყვანონ თავისი საყვარელი სამშობლო თამარის ოქროს ხანამდე, მაგრამ ამისთვის საჭიროა გაერთიანება მათი, დავიწყება ყოველგვარის პირადი ინტერესებისა და პარტიული კინკლაობისა, ვინაიდან სამშობლოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ სულისკვეთებაშია და არა სოციალისტურ მიმართულებაში.

საქართველო დღეს ავადმყოფობიდან განკურნებულ კაცსა ჰგავს. ჯერ ავიყვანოთ ის ეროვნულ მისწრაფების უმაღლეს წერტილამდე, გავამაგროთ ამ სახით ის და შემდეგში თვით ბუნება მოაწყობს მის გზას. ამიტომ დღესვე ჩავდგეთ სრულ ეროვნულ ფარგალში, **მოვაწყოთ სახელმწიფო ჩარხის ტრიალი ეროვნულ მხრისაკენ;** გავსწმინდოთ სახელმწიფოს ყველა დაწესებულებები უცხო ელემენტისაგან, შევქმნათ მრავალი ჯარი, ჯარი ერთგული და თავდადებული სამშობლოსათვის; ავამაღლოთ ვაჭრობა – მრეწველობა, ავამუშაოთ ფაბრიკა – ქარხნები, მივყოთ ნელ – ნელა ხელი ჩვენი სიმდიდრე მადნების ამოღებას და თუ ყველა ამას არ განვახორციელებთ, იმ შემთხვევაში, ვიცოდეთ, რომ არამც თუ თამარის ოქროს ხანას, არსებობასაც ვერ შევსძლებთ.

**ჩვენ უნდა შევერთდეთ, განვიმსჭვალოთ ერთეულ ეროვნულ მსვლელობით და ხელი – ხელში ჩაკიდებულებმა ერთხმად დავსძახოთ:**

**გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ერს!..**

გაზეთი „საქართველო“, იანვრის 17, 1920 წ. № 12.

## ამხ. რედაქტორო!

სიამოვნებით წავიკითხე ა/წ № 53 გზ. „კომუნისტში“ მოთავსებული ამხ. ვ. წულუკიძის „მასალები რუსთაველის ბიოგრაფიისათვის“, რომელიც ეხება შოთა რუსთაველის ცხოვრებას და ვინაობის გამოკვლევას. როგორც ეტყობა ამხ. ნ. ნათენაძე უფრო ახლოს მისულა უკვდავ მგოსანი შოთა რუსთაველის ვინაობის გამოკვლევის საქმესთან, ვინემ სხვები.

და რომ მკვლევართა ყურადღება მივაქციოთ მათი შრომის უფრო მეტ ნაყოფიერებას, ვინემ დღემდე, ნება მომეცით, როგორც შიდა ოსმალიეთის საქართველოს, განსაკუთრებით „არტანის მხარეს. ისტორიულ მასალების ავტორს (იხ. 1917 წ. გაზ. „საქართველო“ – ს № №) ორიოდ სიტყვა ვსთქვა ჩვენი სიამაყე დიდი მგოსანი შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ, რომლის ფაქტები აღმოვაჩინე ხსენებულ ისტორიულ მასალების აღწერის დროს 1914, 15, 16, 17 და 18 წლის 20 მარტამდე, რომლებიც სრულიად დამახინჯებით და მნიშვნელოვანი ადგილების გამოყრით

დაიბეჭდა გაზ. „საქართველოს“ მესვეურების წყალობით, რომლის შესახებ ყოფილი გაზ. „ალიონ“-ს რედაქტორის პავლე საყვარელიძის საშუალებით არტაანიდან წერილობით საყვედური გამოვუცხადე (პასუხი პ. საყვარელიძისა ხელთა მაქვს).

ვინაიდან ჩემი მასალები, როგორც თავისი კილოკავებით, ისე მოცემული ლეგენდების საშუალებით და ჩემ მიერ ნაპოვნი უძველესი – ჩ.უ.ლ.ვ. წელს პერგამენტზე გადმოწერილი „ვეფხის ტყაოსანი“, ციხე ეკლესიების და სხვა მრავალი ფრიად აღსანიშნავი ადგილების აღწერა უტყუარ საბუთებს იძლევა შოთა რუსთაველის მესხობაზე. მაგალითად, ციხე რაბათს (არტაანის ოლქშია//ქართველი მაჰმადიანები მზექალას ციხეს უწოდებენ<sup>1</sup>. მზე – ქალას კი ნესტან – დარეჯანს; ხოლო სოფ. ჭალის მხრიდან ტბა პალაკაციოს (ჩილდირის ნაწილშია) კუნძულიდან 16 ½ ვერსს წყლის ქვეშ მიმავალ გვირაბს, რომელიც ამოდის სოფ. ფიქრაშენის დიდებულ ტაძართან ახლოს, უწოდებენ ქაჯთა სამფლობელოს. ამასთან ერთად, დამახასიათებელია და საინტერესო გამოქვაბულები მალაროსი, რომლის ქვედა დიდი მღვიმე „ვეფხის ტყაოსანშია“ აღწერილი. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ის მღვიმე (გამოქვაბული) გადახვეწილ ტარიელის ყოფილი საცხოვრებელი ბინა იყო, ხოლო ადგილი, წოდებული „მდევეთა საჭურჭლე“ – თ, სადაც ტარიელმა მოჰკლა მდევი და მის სალაროში ნახა აღმასის ხმლები, მუზარადები, აბჯარები და სხვა მრავალი ოქრო და მარგალიტი, მდებარეობს სოფ. სარბევედან ორი ვერსის დაშორებით, მტკვრის პირად. ამასთან, დამახასიათებელია ისიც, რომ ადგილობრივი ღრმად მოხუცი ქართველი მაჰმადიანები ქართულს ბაასში ყოველ სიტყვას „ყე“ – თი აბოლოვებენ, რაც ხშირადაა ნახმარი „ვეფხის ტყაოსანში“ და სხვ.

პატივცემული ავტორი ამბობს: უდაოა, რომ სამშობლო შოთასი უნდა იყოს მესხეთიო, ე.ი. ახალქალაქ – ახალციხის მაზრები და მიუთითებს დიდებულ ზარზმის მონასტერზე; ხოლო მას ავიწყდება, რომ პირველი აკვანი ჩვენი მეცნიერებისა არა ახალციხე – ახალქალაქში, არამედ არტაანში დაირწა. და ისიც მართალია, რომ ზარზმა დიდებული ტაძარია, მაგრამ მასზე უკეთესები შიდა ოსმალეთის საქართველოშია: ბანა, ოშქი, ხახული და ცოტათი ნაკლები ზარზმაზე, წყაროს თავისა, სადაც ითარგმნა პირველი სახარება და მრავალი სხვები; ხოლო ადგილმდებარეობისა და შოთას გმირების სარბიელ ასპარეზის გამომხატველი არტაანის მხარეა, რომლის შესახებ 1935 წლის სექტემბერში, დაკავშირებით მოსკოვში გამართულ მწერალთა თათბირისა პასუხად ისტორიკოსი ამხ.: სვანიძეს წერილისა, ვრცელი წერილი დაწერე, სადაც, როგორც მკვლევარი, მარტივად მიუთითებდი იმ ადგილებზე, სადაც ტარიელს ბრძოლის ველი ჰქონდა გამართული და როს ეს წერილი თქვენმა გაზ. „კომუნისტმა“ არ დაბეჭდა, გადავეცი „ჩვენი ლიტერატურის მემკვიდრეობის ხელმძღვანელს დოც. ასათიანს, რომელიც დამპირდა: „სიამოვნებით მოვათავსებ პირველ რიგშიო“; მაგრამ არ ვიცი ამხ. გოგლა ლეონიძის მეშვეობით, თუ პირადად ამხ. ასათიანის მოსაზრებით, არ დაიბეჭდა.

ბოლოს საკითხი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მგალობლიშვილის ყურამდე მისულა, რის გამო 1935 წლის 14 დეკემბერს მიწვეულ ვიყავი მათს სენაკში, სადაც, ამხ. მგალობლიშვილთან ერთად, შოთა რუსთაველის იუბილეს გამგეობის წევრები და სხვა მაღალ გავლენიანი პირები ბრძანდებოდნენ. წავიკითხე ჩემი ისტორიული მასალების ის ადგილები, რომლებიც ეხებოდნენ შოთა რუსთაველისა და ჩემ მიერ აღმოჩენილ სოფ. ორციხეში ოთარ ბეგ შარვაშიძის სახლში ჩუღვ წელს პერგამენტზე გადმოწერილ „ვეფხის ტყაოსანს“,

<sup>1</sup>მათს ლეგენდაში ნათქვამია, რომ ქაჯებმა მზე-ქალა რაბათის ციხეში შეიყვანესო. ავტორი.

რომელსაც დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ და გადაწყვიტეს შედგენილ ექსპედიციასთან ერთად, მეც გავვეზავნეთ ხსენებულ „ვეფხის ტყაოსნის“ ჩამოსატანად.

დასასრულ, მე როგორც ჩემს წერილში ვამბობდი, საჭიროა „ვეფხის ტყაოსანი“ – სა და თვით **შოთა რუსთაველის** ვინაობის მკვლევარებმა მეტი ყურადღება მიაქციონ **შიდა ოსმალეთის საქართველოს**, ვინემ **ახალციხე – ახალქალაქის მაზრებს**, თუ რომ უნდათ ეს დიადი საქმე ბოლომდე მიიყვანონ და დაავგირგვინონ **ჩვენი დიდი ხნის მისწრაფება**.

ამასთან ერთად, ნუ დაივიწყებენ ხსენებულნი მკვლევარნი, რომ ხელთ იქონიონ ჩემი ისტორიული მასალები, არა გაზეთში დაბეჭდილები, არამედ დედანი, რომელიც მე მგონია, კვალდაკვალ მიიყვანს მათ ჭეშმარიტებასთან.

კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია)

რიყის ქ. № 9.

6/3 – 37 წელი.

ქ. თბილისი.

## ორიოდე სიტყვა „ვეფხის ტყაოსანზე“ და ხალხურ თქმულების მკვლევარებზე

არ შემიძლია დავმალო ის აღტაცება, რომელსაც ვგრძნობ წამოყენებულის საკითხით.

45 წელიწადია ვნატრობდი გადაეთარგმნათ „ვეფხის ტყაოსანი“ უცხო ენაზე, რომ ევროპიელები გასცნობოდნენ ჩვენს მაღალ კულტურას და მოეხსნათ ოდესღაც ჩვენს შარავანდედით მოსილ შუბლიდან ის „უკულტურო აზიატობის“ დამლა, რომელიც მიგვაკერეს ჩვენ. მაგრამ ჩვენმა ინტელიგენციამ „ვეფხის ტყაოსანი“, ვით ძუნწმა ოქრო, ჩაჰკეტა სკივრში და ევროპიელებს თავი დავანებოთ, რუსები, რომლებიც შოთას დროს ნახევრად ველურები ტყეში დამრწოდნენ, თავში გვირტყამდნენ. ჩვენი ინტელიგენცია კი, თითქოს შეეჩვიაო, ხმას აღარ იღებდა. ამით გათამამებულმა პროფესორმა **პატკანიანცმა** დაგვიბრიყვა და *შოთა რუსთაველზე* ახალი არგუმენტი წარმოგვიდგინა: თქვენი შოთა რუსთაველი პლაგიატორია: „ვეფხის ტყაოსანი“ არაბეთში მოიპარა, წავიდე, მოვნახო დედანი და თქვენი „ვეფხის ტყაოსანი“ თავზე გადაგახიოთო, დაგვემუქრა. წავიდა კიდევაც, მაგრამ რას იპოვნინდა, რაც არ იყო; დაბრუნდა ცარიელი და გული იმით იხარა, რომ შოთა რუსთაველი სომხად მონათლა: მართალია, „ვეფხის ტყაოსანი“ ორიგინალი ყოფილა, მაგრამ ვისით ამაყოფო? მე საბუთები ხელთა მაქვს, რომ შოთა რუსთაველი სომეხი ყოფილა – აშოთ რუსტამიანცი და თქვენ ქართულად – შოთა რუსთაველად მოგინათლავთო. ეს ცილისწამება ცოტა არ იყოს მესიამოვნა, ახლა გასცემენ პასუხს და ევროპა გაიგებს, რომ ჩვენ კულტუროსანი ვყოფილვართ – მეთქი. მართალია, პირველს ხანებში ჩვენმა ინტელიგენციამ განგაში ასტეხა, ეს როგორ გაგვიბედა ჩვენო, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. მე დავლონდი, ნეტავი რათ გაჩუმდნენ, რატომ პასუხს არ აძლევენ – მეთქი.

– აკაკი სწერს პასუხს, აკაკიო, – მითხრა **შიო ქუჩიკაშვილმა (მღვიმელმა)**. მე გამიხარდა, აკაკიზე დიდი წარმოდგენა მქონდა. ასე მეგონა, მისი პასუხი მყისვე წამოაჩოქებდა პროფესორ პატკანიანცს ჩვენს წინაშე, რომ ვილაცამ მითხრა: აკაკი პოეტია, მას არ შეუძლია გასცეს პატკანიანცს პასუხი და დასძინა: მასზე პასუხის გაცემა დაკისრებული აქვს **ნიკო ნიკოლაძესო**. ნიკოს მე ვიცნობდი, როგორც რუსეთში გამოჩენილ ჟურნალისტს და გამიხარდა, მაგრამ ნიკოს პასუხი



ადარ იბეჭდებოდა. გამიკვირდა, და რომ გამეგო მიზეზი, გვეშურე ფრეილნის ქუჩისაკენ, ჩვენს საყვარელ სახალხო მსახიობ და დრამატურგ ვალერიან გუნიასთან; მაშინ იგი №11 სახლში ცხოვრობდა.

– ბატონო ვალიკო! პატკანიანცმა გაგვლანძღა, შოთა რუსთაველი გაგვისომხა, პასუხის გაცემა საზოგადოების მიერ ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა დაკისრებული, რატომ ამდენხანს არ ჰბეჭდავს? – შევეკითხე. ვალიკომ გაიღიმა.

– არა, ნიკოს არ შეუძლია გასცეს პასუხი, მისი პასუხის გამცემი ყოველ მხრივ ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი.

– მერე ვინა გვყავს ასეთი?

– ილია! იგი შეუდგა უკვე წერას.

მე გამიკვირდა, ნიკოლაძე მეტი მცოდნე მეგონა ილიაზე და თუ აქამდე მიყვარდა ილია, ახლა ღმერთად გავიხადე და გახარებული წამოვედი.

გავიდა დრო. მეორე გაკვეთილზე ვიყავი, რომ ამხანაგმა მითხრა, ილიას პასუხი გამოსულა: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“-ს სათაურით და ხალხი ისე აქებს, რომ მგონი მალე ცამდე აიყვანოს. და, მართლაც, ილია ისე მოხდენილად ურტყავს თავის ლახტს პატკანიანს და მის მიერ შემოსყიდულ ევროპის და რუსეთის მეცნიერებს, რომ მიწასთან გაასწორაო. მე სიხარულმა ამიტანა, ველარ მოვითმინე, მივმართე მასწავლებელს, ავადავარ მეთქი და სკოლიდან პირდაპირ ქ.შ. წ.კ.გ.ს. წიგნის მაღაზიისაკენ გავეშურე. მაღაზიაში წიგნის მყიდველები მართო ორი კაცი იყო და ისიც დაბალი ხარისხის ჩინოვნიკები. მე ვიყიდე წიგნი, წამოვჯექი იქვე სკამზე და დავიწყე კითხვა. პასუხი, მართალია, უაღრესის ნიჭით იყო დაწერილი, მაგრამ მე ვერ დამაკმაყოფილა. მე მინდოდა ევროპის და მეტად ინგლისის მეცნიერებისათვის ეთქვა:

– ციც! თუ თქვენ ამყოფთ თქვენის შექსპირით, ჩვენ უფრო ღრმა აზროვანი მწერალი გვყავს – შოთა რუსთაველი, რომელიც თავისის ნიჭით ცასა სწვდა და ღმერთს ემუსაიფება და თუ გნებავთ, შევადართო: თქვენი შექსპირის სულმოკლე გმირი სატრფოს დასახსნელად ლაჩრულად თავს იკლავს და ჩვენი შოთას ტარიელი კი გმირია, თავისი სატრფოს დასახსნელად ხოცავს მეფეებს, ებრძვის ლომებს, შედის ჯოჯოხეთში, ანგრევს იქაურობას, ჟლეტს ქაჯთა ჯარს და გამოჰყავს თავისი სატრფო.

მოწყენილი წამოვედი. ჩვენი ინტელიგენცია კი, თუმც ილიას აქებდა, ალაღადებდა და მისი პასუხის მაღალ ღირსებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ იტაცებდა ღვინო, ქალები. ფულს კარტში თუმნობით ხარჯავდა და ექვსი შაური წიგნის შესაძენად ენანებოდა.

სწორედ იმ ხანებში, როდესაც „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ გამოვიდა, რუსი არტისტები ახლად დასრულებულ დღევანდელ ოპერის შენობაში ემზადებოდნენ პირველი წარმოდგენის დაგეგმვისათვის და ქუჩაში გამოსულები ჩვეულებისამებრ ამყოფდნენ თავიანთი ნიჭით: ერთი რაღაც რომანსს მღეროდა და, მეორე უხმოდ ხელებს და ფეხებს შლიდა, თითქოს სცენაზეაო, დანარჩენები იქვე ქართველ ინტელიგენციას ესაყვედურებოდნენ:

– კაცო, რა გაგიხდათ ეგ თქვენი შოთ რუსთაველი, რომ ამდენსა ყვირით, ჩვენი პუშკინი ათ თქვენს შოთასა სჯობს ნიჭით, მაგრამ კი არ ვყვირით, თვითონ მკითხველმა საზოგადოებამ უნდა შეაფასოსო.

– „ჩიტი ბრტყვნად არ ღირდა და დევნა ზედმეტი იყოვო“, ასე ემართებათ ქართველებს. მათ ბუზიდან უნდათ სპილო შექმნანო : – უპასუხა „ტფილისის ლისტოკ“ – ის რედაქტორმა ხაჩატუროვმა.

მე ავენთე, ვიფიქრე შევაგინებ – მეთქი, მაგრამ შემეშინდა მცემენ – მეთქი და მათზე გაჯავრებული მა ქართველებს ზიზღით შევხედე, გავიფიქრე: – ისე კარგი თქვენ დაგემართათ, თქვენ რა კარგი ქართველები ყოფილხართ – მეთქი და მყისვე გამოვბრუნდი. გზადაგზა ნიკო ნიკოლაძეს ვწყევლიდი: – შენ კი მოუკვდი საქართველოს, რა იქნებოდა დაგეწერა პასუხი – მეთქი.

მიუხედავად ილიკოს სიტყვისა, ასე მეგონა, ნიკო უკეთესად დასწერდა პასუხს.

და სწორედ ამ დროს, როდესაც პროფესორ პატკანიანცთან კამათი იყო გაჩაღებული, ჩვენი მწერლები გაზეთის ფურცლებზე აკრიტიკებდნენ, ლანძღავდნენ ერთმანეთს: – არა მე ვარ უფრო ნიჭიერი მწერალი და არა მეო.

ჩვენმა პატივცემულმა **დუტუ მეგრელმა**, მახსოვს ისეთი ლანძღვის წერილი გაუგზავნა **კიტა აბაშიძეს**, ჩემზე წინ **ვაჟა ფშაველა** რატომ დააყენეო და მათზე დაკისრებული საზოგადოების მიერ დავალება – წასულიყვნენ სოფლებში და ჩაეწერათ ხალხში შენახული ლეგენდები, არ შეასრულეს. მახსოვს, **ილია ჭავჭავაძემ** დაავალა ერთს თავის თანამშრომელს (მაინცა და მაინც დიდი არაფერი მწერალი იყო):

– წადი, შეკრიბე, ხალხში გაბნეული თქმულებები შოთაზე, თამარზე, ტარიელზე და სხვა მრავალზე და დავბეჭდოთ, ესენი დიდი განძია ჩვენი ქართული ლიტერატურისათვის და საზოგადოებაც მადლობით მოგიგონებს და ჩვენც ერთს სამად აგინაზღაურებთ ხარჯსო.

მწერალმა ილიას ვეღარ გაუბედა რა, მაგრამ ქუჩაში რომ გამოვიდა, იუკადრისა:

– მე ნიჭიერ მწერალს, როგორ მეკადრება სოფელ – სოფელ სიარული და რაღაც ლეგენდების ჩაწერა. მე ერთს წერილს რომ დავსწერ, ათ ხალხურ თქმულებას აჯობებს. დაიქირაონ ამისთვის ყოფილი ჩინოვნიკები და ჩააწერინონო.

თვითონ კი აღარ წავიდა. აი, ასე აფასებენ ჩვენი მწერლები ხალხში შენახულ საუნჯეს, რომლებიც იმ დროს უხვად შეგროვდებოდა. დღეს კი რა? აქა – იქ თუ ათასში ერთი დარჩა მოხუცებული, დანარჩენები დაიხოცნენ და **ეს საუნჯეც თან ჩაიტანეს სამარეში**, მაგრამ მე მაინც იმედს აღარ ვკარგავდი. თუ ღმერთმა გვიშველა, მოხდა რევოლუცია და საქართველო განთავისუფლდა, მაშინ ჩვენი მწერლები შეესევინა სიხარულით სოფლებს და ამოსწურავენ ამ საუნჯეს და გამდიდრდება ჩვენი ლიტერატურა – მეთქი.

და აჰა, ამასაც მოვესწარი, მაგრამ რა ვნახე? არამც თუ ჩვენს მწერლებს, **მეკუბობსაც კი ხელები სამინისტროსაკენ მიუბრუნდათ და ხალხური თქმულება, შოთას იუბილე, თავისუფლების მოედანზე მისი ძეგლის აღმართვა, რომელიც განზრახული იყო მეფის დროს, ყველამ დაივიწყა და ამით გულმოკლულ საბჭოთა საქართველოს მწერლებზე, რომლებიც სახელგამის წინ ქუჩაში იდგნენ და წინა ღამით დაწერილ ლექსებს ხმა – მაღლა გამვლელ – გამომვლელთა გასაგონად რიხით ერთმანეთს უკითხავდნენ:**

– ჰა, ბიჭო! როგორ მოგწონს? ხომ ფილოსოფიური აზრი ტრიალებს შიგ? **რითმები ჩემი სჯობია თუ შოთასი?**

– არა, ძმაო, ჩემი ლექსი სჯობია შენსასო.

ჯიუტი ინგლისელივით **სხვისი უკეთესი არ მოსწონდათ და თავისი ცუდი კი, უკეთესად მიაჩნდათ.** ბევრი ამხანაგები ამ ნიადაგზე ერთმანეთს გაებუტნენ:

– რატომ არ შეაქე ჩემი ლექსი, რომ დამიბეჭდონ და ჰონორარი ამელოო.

გარეშე ამისა, მათთვის თუნდაც ქვა ქვაზე არ დარჩენილა საქართველოში. ამის მნახველს რის იმედი უნდა მქონოდა და ამოვიოხრე:

– ეხ, ხალხურ ლეგენდას ვინდა სჩივის, ილია დაგვარგეთ და ისევ ევროპასა და რუსეთის თვალეზში უკულტურო აზიატებად დავრჩით – მეთქი, რომ „ზარია ვოსტოკა“-ში მალაქია ტოროშელიძის მოხსენებას შოთა რუსთაველზე თვალი მოვკარი.

წარმოიდგინეთ, ჩემს გაცემას საზღვარიარ ჰქონდა, რადგანაც აქ ამბობდნენ: მოსკოვში, საკავშირო მწერალთა ყრილობაზე ამხ. ტოროშელიძე წაიკითხავს ნინოშვილის, სანდრო ეულის, ზომლეთელის და ორიოდ პოლონურულ მწერლების ბიოგრაფიას და თუ დრო დარჩება, შესაძლებელია შოთაზე სხვათა შორის ერთი – ორი სიტყვა ეთქვას, ხოლო ჭავჭავაძეზე ხმას არ ამოიღებსო. წამოვიძახე ყურმოკრული საუბარი და გულის ფანცქალით განვაგრძე კითხვა. მკითხველო, ჩემი სულისკვეთება რომ გაიმბოთ, გაგიჟებულაო, იტყვიო. ჯერ რომ კითხვის დროს სიხარულის ცრემლით დავასველე გაზეთი და ამით რომ ვერ დავკმაყოფილდი, მალაქიას მაგიერ გაზეთს ვაკოცე. თურმე რა ყოფილა? ვისი იმედი არა გაქვს, შენი მეგობარი იგი ყოფილა და ვისი კი, იგი – არა. გარეშე ტოროშელიძისა, ჩვენმა მწერლებმა პირში ბურთი ჩაიდეს და თავიანთი საკუთარითავეს ქებისა არა სთქვეს რა.

საბჭოთა ხელისუფლებამ არამცთუ გაამართლა დაპირება, ამ შემთხვევაში გადააჭარბა კიდევაც; შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხის ტყაოსანი“ რიხით გააცნო მსოფლიოს მთელი მისი ძლიერებით და მაღალის ღირსებით, და ამით, რუსებს თავი დავანებოთ, ინგლისის მწერლებს პირში ბურთი ჩასჩრა:

– ციც, ამხანაგებო! თუ თქვენ ამაყობთ შექსპირით, შოთა თავისი მძლავრის ნიჭით და მაღალის აზროვნებით მზესა სწვდა ხელებით და ისიც XIII საუკუნეშიო. და ახლა თუ მოგვკვდები, ჯავრი აღარ ჩამყვება სამარეში. მაგრამ არა, არა! ჯერ კიდევ მინდა ვიცოცხლო, რომ დავინახო ჩემის თვალებით შოთას ძეგლი ტფილისში აღმართული – მეთქი და იმედიანად დავუწყე ჟურნალ – გაზეთებს თვალყურის დევნა, მაგრამ რა?

სიხარული ჯავრად შემეცვალა: ყველა ისინი, ვინც შოთაზე წინათ არას ამბობდნენ, მათ ახლა ვაჭრულის თვალსაზრისით კალამი ხელში აუღიათ და ანალიზს უკეთებენ შოთას „ვეფხის ტყაოსანს“. და ერთი სთვლის, აბა შოთამ თავის პოემას რამდენი ასეული რითმები მოანდომაო, მეორე – რამდენი სტრიქონი მოათავსა ერთ გვერდზეო; მესამე, ვინ რამდენჯერ გადაწერაო; მეოთხე, რამდენმა კაცმა წაიკითხაო, დღიდან მისი გამოქვეყნებისაო; მეხუთე, ვინ რა ჩაამატა გადაწერის დროსო; მეექვსე, რა და რა ტაეპები ჩამოვაშორეთ პოემას, რომ რიგიანი დარჩესო; და ჯამი რომ გაუკეთეს, გამოვიდა ნახევარი ფუთი სახვევი ქაღალდი თითო ცალ წიგნზე და სიხარულით დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას – ახლა კი გამოვაჯანსაღეთ „ვეფხის ტყაოსანი“ – ო; და დაწერეს ზედ მუშებისათვის ხელმისაწვდომი ფასი 38 მან., დაახურეს შოთას თავზე შაქრის ქაღალდის ქუდი და უხვად ჩამოაწყეს მაღაზიების თაროებზე.

მაგრამ ეგ ცოტაა; სხვები საქართველოში რომ ვერ დაეტიენ, მყისვე ვენეციაში გაიქცნენ, აგერ, აგერ, ამხანაგებო! შოთას გმირებს არ ჰქონიათ ბრძოლის ასპარეზი გაშლილი და თუ არ გჯერათ, მობრძანდით და ნახეთო.

პატივცემული მკვლევარი რომ წაბრძანებულიყო შიდა ოსმალეთის საქართველოში, არტაანის ოლქში ნახავდა სოფ. წყაროს – თავთან! ახლოს რაბათის ციხეს, თუნდაც სოფ. მერდენეგის თავზე ქოროღლისას – ქაჯეთის ციხედ ნაგულისხმევს და იტყოდა:

– აი, ქაჯეთის ციხე! აქ გაუშლია შოთას გმირებს ქაჯებთან ბრძოლის ველიო.

<sup>1</sup>სოფ. წყაროსთავზე აღმართულია მარტვილის ეკლესია.

მაგრამ ავტორს მეგრელივით მოსვლია: მეგრელო, ყური სად გაქვსო და ა, პატენი, აგერაო და მარჯვენა მკლავი თავზე გადადებულმა მარცხენა ყურზე ხელი მოიკიდა. კარგი იყო, ავტორს, სანამ ვენეციაში წაბრძანდებოდა, წაეკითხა ჩემი ისტორიული მასალები „შიდა ოსმალეთის საქართველო – არტაანის მხარე“ 1917 წ. გაზ. „საქართველო“ №№ 230 – 247 და იმავე გაზეთში 1917 წლის 24, 25, 26, 27 და 28 იანვრის ჩემი მოხსენება არტაანში ქართულ სკოლის გახსნის გამო, საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებაში წარდგენილი 1916 წელს სათაურით: „**არტაანის ქართველი მაჰმადიანები**“, რომლებშიაც მრავლად ნახავდა ისეთ მოხუც ქართველ მაჰმადიანებს, რომლებიც მეტად საინტერესო და მაღალ ღირსების თქმულებებს ეტყოდნენ მას შოთაზე, თამარ მეფეზე, ტარიელზე, მზე – ქალა ნესტან – დარეჯანზე, ავთანდილზე, ფრიდონზე და საერთო ძველს თქმულებებს ჩვენს ისტორიულ გმირებზე, რომლებიც აქ უხვად არის გაფანტული. ეს დიადი საუნჯე რომ არ დაეკარგოს ერს, მშობლებს სავალდებულოდ აქვთ მიღებული, გადასცენ შვილებს.

აგრეთვე, პატივცემული ავტორი ისტორიულ მასალებში ნახავდა სოფ. **მაღაროს**, რომელიც სდევს მტკვრის პირად, **გოხი<sup>1</sup> ვარძიას** მსგავსად, 66 ღვიმეებია იქ გამოჭრილი, რომლის მოზრდილ ქვედა მღვიმეში, **მტკვრიდან** ოდნავ ქვეშ დაშვებით, შედის პირფართე გზა ორ საჟენამდე, მერე ვიწროვდება 5 – 6 საჟენზე და შედის ვიწრო მღვიმეში, რომელსაც მტკვრის გაღმა – გამოღმა არტყია ასწლოვანი ფიჭვნარი. ეს უნდა იყოს ტარიელის და ასმათის საცხოვრებელი ბინა და ავთანდილის საჭრეტ – საფარი. ხოლო სოფ. **ველი**, თავისი შამბნარიან მდებარეობის მიხედვით, უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ნახა სამშობლოდან გამოპარულმა ავთანდილმა გულ – შემოყრილი ტარიელი. რაც შეეხება **ქაჯეთის ციხეს**, შოთას მიერ ნაგულისხმევი, უნდა იყოს ზემოხსენებული **რაბათის ციხე**, რომელიც სდგას კარკარი<sup>2</sup> სალიკლდეზე, რომელსაც მისავალი აქვს მხოლოდ რაბათის საშიშო საცალფეხო გზით და ისიც საიდუმლო კარებით.

ციხეს სამივე მხრიდან უვლის თანასწორის სიდიდის მდინარეები. აქედან, მარცხნივ, **მტკვარი**, მარჯვნივ სოფ. **ფოცხოვიდან** მომდინარე გიჟი წყარო (ისტორიაში შეცდომით მტკვრად არის შეტანილი) და სოფ. ფარ – მხრელიდან „თეთრი წყაროსთან“ შეერთებით უვლის ციხეს აღმოსავლეთით და უერთდება მტკვარს. ციხეს ნახევარ ვერსიდან თავს დაჰყურებს, შაქრის თავის მსგავსად, სამი ვერსის სიმაღლეზე აზიდული სოფ. **ყურბრტყელას „მგლის ციხის“** მთა, რომლის სალი ფერდი სამხრეთით ჩამოდის ქვეშ ორნახევარს ვერსზე და უერთდება რაბათის კარკარის კალთას. ასეთივეა **ქოროლლის ციხე**, ხოლო მას ახლავს ერთი მდინარე – „**ბარდის წყარო**“.

აქვე, შორიახლოს, ნახავთ იმ დევთა მღვიმეს, სადაც შენახული იყო აუარებელი ოქრო – ვერცხლი, თვალ – მარგალიტი და აბჯრები (სამწუხაროდ, სოფლის სახელი არ მახსოვს ისტორიული მასალების ხელთ უქონლობის გამო). გვირაბი, რომელზედაც ამბობს მკვლევარი, უდაოა, რომ უნდა იყოს ქალაქი **ბანა** (ოლთისის ოლქი), სოფ. კისერიდან (**კოსორი**) 6 ვერსით მდებარე ქალაქ **ოლთისის** მიმართულებით, მოზრდილი მდინარის **ბარდის წყაროს** პირად, რომლის შესავალი ჩადის მიწაში დიდებულ ბანას ტაძრის საკურთხეველიდან, ჯვარის ხაზით მიდის 30 ვერსს ოლთისის დიდებული ციხისაკენ და ამოდის ეკლესიის საკურთხეველიდან სამ ადლიანი სიგანის თლილი, თეთრი მარმარილოს მსგავსის კიბე ციხის მეხუთე ეზოში. 1915 წელს გამარჯვებულ თათრებზე რუსის ჯარის შეტევის დროს ქართველმა ოფიცრებმა ჩააგდეს გვირაბში მწყემსის ნაგაზი და კომენდანტს ელსმენით აცნობეს ძაღლის ჩაგდება გვირაბში,

<sup>1</sup>გოხი-ისეთი აღმართული მთაა, რომელზედაც გარეული თხაც ვერადის.

<sup>2</sup>კარკარი-პირდაპირ აღმართული მთა, რომლის ფერდობზე არწივიც კი ვერ ბუდობს.

სთხოვეს ეცნობებინათ ძალი ამოვიდა თუ არა და როდის? პასუხი სამი საათის შემდეგ დადებითი მიიღეს (იხ. ჩემი წერილი არტაანიდან და გაგონილი, გაზ. „საქართველო“ 1917 წ. №147). ასეთივე ციხე – ტაძრებით მდიდარია: ყარსის, ალზევის, ოლთისის, არტაანის, კისკის, ისპირის<sup>1</sup> თორთუმის<sup>2</sup> ოლქები და მთელი ერზრუმის ვილაიეთი, რომლების ისტორიული მასალები (გარდა არტაანის მხარესი და ისიც გაშიშვლებულად) გაზ. „საქართველოს“ მესვეურებმა არ დამიბეჭდეს მენშევიკებთან გამართული ჭიდილის გამო.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანზე“ თქმულებას, განსაკუთრებით კარგად იცის სოფ. ხახოში (ხახულში) მცხოვრებმა 135 წლის მოხუცმა ალაზეგ ციციშვილმა (გადმოსახლებულია სოფ. ფანასკერტიდან (ოლთისის ოლქი), რომელიც მიაშხო ხახოში ჩამოსულს ეკლესიის მეორედ აღსაწერად 1918 წლის თებერვალს; მაგრამ თათრის ჯარის შემოსვლით შეშინებულმა ველარ დავასრულე (იხ. გაზ. „საქართველო“ 1919 წლის. ნომერი აღარ მახსოვს, „მოგონება ქართველ მაჰმადიანთა ყრილობისა გამო, ძღვნად მემედ ბეგ აბაშიძეს“ სათაურით).

საერთოდ, აკვანი ჩვენი მეცნიერებისა – შიდა ოსმალეთის საქართველო – არტაანი იყო. და თუ ჩვენმა ინტელიგენციამ თავიანთის დაუდევრობით დაკარგა ეს დიდებული საუნჯე – თქმულებები, რომლებიც უხვად ინახება აქეთ, მათი ბრალია. და ახლა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური თქმულებების მაძიებელნი თუ იფიქრებენ იქით წაბრძანებას, საჭიროა თან იქონიონ ჩემი ისტორიული მასალები, რომლებიც ნამდვილი უტყუარი გზის მაჩვენებელი იქნება მათი. ეს ისტორიული მასალები და მოხსენებაც შუქურა ვარსკვლავივით გაუნათებს მათ კვლევა – ძიების საქმეს.

კ. მარტვილელი. 15/X – 34 წ., ქ. ტფილისი.

## შუშანა ფუტკარაძე

### კ. ოდიშარიას ცნობები ისტორიული ტაო – კლარჯეთის შესახებ

კონსტანტინე ოდიშარია (კოტე მარტვილელი) ეკუთვნის იმ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს, ვინც თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები უნაგაროდ მოახმარა ძირძველი ქართული მიწის, ისტორიული ტაო-კლარჯეთის შესწავლას; ვინც გულწრფელად გაიზიარა დედასამშობლოს დანატრებული, სამშობლოში ახლად დაბრუნებული მოძმე ქართველების გასაჭირი.

კ. ოდიშარია მარტვილში დაიბადა; მშობლები საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდნენ. ჭაბუკობიდანვე იგი მხურვალე მამულიშვილად ყალიბდებოდა ბათუმში, სადაც XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო ქართული გაზეთების კორესპონდენტად მუშაობა (1,233).

მას ახალგაზრდობიდანვე გული მიუწევდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებისაკენ, ნატრობდა იმ მიწის ხილვას, სწავლობდა მათ შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს. თავისი ნატვრის ასრულება მას შეაძლებინა საქართველოში შექმნილმა „ქართულმა საქველმოქმედო

<sup>1</sup>ისპირის ოლქში, სოფ. ოშქში აღმართულია ქუთაისში ბაგრატიულ ეკლესიის მსგავსი ვეება, მაგრამ ძვირფასი ხუროთმოძღვრებათა ტაძარი ოშქი.

<sup>2</sup>თორთუმის ოლქში, სოფ. ხახოში სდგას ხახულის დიდებული ტაძარი, რომლის ხატი გელათში იყო გადმოსვენებული. ავტორი.

**საზოგადოებამ**“. ეს საზოგადოება დაარსდა 1907 წელს (2,141). მას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე **მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი**. ამ საზოგადოებამ საქმიანობა გააცხოველა 1914 წლიდან, როცა პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლი დატრიალდა **აჭარასა** და ისტორიულ **ტაო – კლარჯეთში**, როცა აქაურ მოსახლეობას დიდი უბედურება დაატყდა თავს საზარელი ომის გამო: გადაიწვა სოფლები, განადგურდა ოჯახები, ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი მეფის რუსეთის რუსმა მოხელეებმა ჯარს გააწყვეტინეს; ნაწილი, მაჰმადიანობის მიზეზით, ოსმალეთში ძალით გაასახლებინეს; ნაწილს კი სახელმწიფო ღალატში ბრალი დასდეს და **ციმბირის** შორეულ მხარეებში გარეკეს; მცირე ნაწილი ციხეებში ჩასვეს...

ახლადდაბრუნებული მხარე შველას ითხოვდა. ამ უსამართლობის წინააღმდეგ პირველმა ხმა აღიმალა აჭარის სახელოვანმა შვილმა **ჰაიდარ აბაშიძემ**. მან გაზეთ „**სამშობლოში**“ დაბეჭდა წერილი – „**კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური**“ (3), რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ პრესაში, გამოაფხიზლა მაშინდელი ქართველობა, ხელისუფლებაც დააფიქრა თავის ნამოქმედარზე..

აჭარისადმი და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებისადმი უანგარო დახმარების საქმე თავს იდო საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ, „**ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ**“. 1914 წლის 21 დეკემბერს ირჩიეს „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ ახალი გამგეობა კვლავ **მიხეილ მაჩაბლის** ხელმძღვანელობით. მთავარ გამგეობასთან შეიქმნა სხვადასხვა სექცია და კომისია – სასკოლო, საექიმო, იურიდიული, სასურსათო და სხვა. სასკოლო სექციას ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე **ლუარსაბ ზოცვაძე**. „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრებს შორის იყვნენ მეტად გავლენიანი და მოწინავე საზოგადო მოღვაწენი, პატრიოტი მეცნიერები – **ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე გომართელი, გიორგი ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, სიმონ ხუნდაძე** და სხვები.

ამ საზოგადოებას თავისი ჟურნალისტური საქმიანობით დაუკავშირდა **კ. ოდიშარია**. იგი აირჩიეს „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ წევრად. ორგანიზაციას საქართველოს თითქმის ყველა რაიონში თავისი განყოფილება ჰქონდა გახსნილი. მაგ. **ბათუმის განყოფილება** გაიხსნა 1915 წლის აპრილში (2,141). ეს განყოფილება იყო ის ცენტრი, საიდანაც ვრცელდებოდა ნივთიერი, საექიმო, საგანმანათლებლო, იურიდიული თუ მორალური დახმარება ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა მიმართ. ამ განყოფილებამ **ლაზეთის** რაიონებში დაარიგა 800 ფუთი სიმინდი, **მურღულის** ხეობაში – 1500 ფუთი... **1915 წელს დიდი სასამართლო პროცესი გაიმართა ბათუმში 49 არტანუჯელის საქმეზე**. მათ მეფის რუსეთის ხელისუფლების მოხელეები ცილს სწამებდნენ სახელმწიფოს ღალატში. არტანუჯელებს 13 ვეკილი იცავდა, რომლებსაც საქველმოქმედო საზოგადოება აფინანსებდა. იურიდიული დახმარების შედეგად 16 ბრალდებული განთავისუფლდა, დანარჩენებს კი სასჯელი შეუმსუბუქდა (4).

ომით დაზარალებული ქართველი რადგან არტაანის მხარეშიც ბევრი იყო, დაარსდა არტაანის სარაიონო განყოფილება, რომლის წევრები იყვნენ: **ტ. კეზელი** (თავმჯდომარე), **გ. სალარიძე, ქ. ხარაიძე, გ. ამილახვარი** და სხვები. **კ. ოდიშარიც** მათთან თანამშრომლობდა. იგი „**ქართული საქველმოქმედო საზოგადოების**“ **რწმუნებული იყო არტაანის მხარეში**.

1914-1920 წლებში პირველი მსოფლიო ომის ქარიშხალი არტაანის მხარეში სამინლად მძვინვარებდა. აქ ერთმანეთს ებრძოდა რუსეთისა და ოსმალეთის სამხედრო შენაერთები. საბრძოლო მოქმედების შედეგად გადაიწვა სოფლები და ქალაქები, მოსახლეობა ლტოლვილად იქცა. ადგილზე დარჩენილები აუტანელ პირობებში ჩავარდნენ. მშვიერტიტვლები და უსახლკარონი შველას ითხოვდნენ. „**ქართული საქველმოქმედო საზოგადოება**“ სწორედ ომით დაზარალებული

მოსახლეობის დასახმარებლად იღვწოდა. მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი **მესხეთ-ჯავახეთშიც, აჭარასა და ტაო-კლარჯეთშიც**. კ. ოდიშარიას, როგორც თვითონ წერს, ასეთი დავალება დაეკისრა: „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილების დავალებით დავიარე **არტაანისა და ჩილდირის** საპოლიციო ნაწილში მდებარე სოფლები და შევკრიფე ცნობები ბრძოლის დროს დაზარალებულ იქ მცხოვრებ ქართველების შესახებ“–ო, წერდა იგი.

სამშობლოს სიყვარულით გულდანთებულმა ნიჭიერმა ჟურნალისტმა, მხარეთმცოდნემ და არტაანის მხარეზე შეყვარებულმა მოგზაურმა ისტორიული მიწაწყლის შემომტკიცებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მან ამ მხარეში მოგზაურობა 1913 წლის მიწურულიდან დაიწყო და 1920 წლამდე ენერგია არ დაუზოგავს სამშობლოს ამ უძველესი მიწის მოსახლეობლად, იქაური ქართველების ცხოვრების პირობების აღსაწერად. მოგზაურობის ჩანაწერების ნაწილებს იგი აქვეყნებდა გაზეთ „**საქართველოს**“ ნომრებში 1917 წლიდან „**კ. მარტვილელის**“ ფსევდონიმით. ამ გაზეთის ზოგიერთი ნომერი, სამწუხაროდ, საქართველოში დაკარგულია. კ. ოდიშარიას საგაზეთო სტატიების ერთი ნაწილი დაცულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკაში შემონახულ გაზეთ „**საქართველოს**“ ნომრებში (5).

ჟურნალი „**თეატრი და ცხოვრება**“ წერილში „ერთგული მოხელე“ ასე აფასებს კ. ოდიშარიას პიროვნებას: „აქციზის მოხელე და მწიგნობარი, თითქმის 18 წელი სააქციო უწყებას ემსახურება და ამავე დროს სამშობლოს მწიგნობრობაში მონაწილეობს. მან დაბეჭდა ბევრი საყურადღებო კორესპონდენცია სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული ნაშთების შესახებ, რაიცა **თვალსაჩინო საისტორიო მასალას წარმოადგენს**. კ. ოდიშარია კიდევ უფრო ცნობილია როგორც **დაუცხრომელი მამულიშვილი** და რესპუბლიკის ერთგული მოხელე, მისი ინტერესების ფხიზელი დარაჯი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება შეხვედრია“ (6,15).

საომარ პირობებში მყოფ ტერიტორიაზე – არტაანის მხარის სოფლებში, – გადაადგილება მაშინ ძალიან საშიში იყო, მაგრამ სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი **კ. ოდიშარია** უკან არ იხევდა. მისი ჩანაწერებიდან ვეცნობით, რომ ბევრჯერ კინაღამ გამხდარა იგი ტყვიის მსხვერპლი, მაგრამ თავისი მოვალეობა ყოველთვის ერთგულად შეუსრულებია, მიშველებია დავრდომილ მოხუცებს, მშვიერ-მწყურვალ თანამომძეებს. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ სამშობლოს ისე ვერ ემსახურებოდა, როგორც საჭირო იყო. იგი წერდა: „აქ ერთი კაცი ვერაფერს გახდებდა. იმ დროს კი, იმპერიალისტური ომის ხანაში, როდესაც **ენვერ-ფაშას** ურდოები და **ნიკოლოზის** ყაზახები ერთმანეთს ეკვეთებოდნენ, ძნელი იყო ერთი კაცისთვის შემოვლა ამ ძვირფასი და ფრიად საინტერესო მხარისა, შესწავლა და ფოტოგრაფირება ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, ზუსტი აღწერა მოსახლეობისა. მაინც მოვახერხე, რომ **რკინის ჯოხი ხელში ამეღო და იმ ორომტრიალში შემომეარა არტაანის ოლქი**, დამეთვალაიერებინა ეს ღირსშესანიშნავი ადგილები (1, 237).

კ. ოდიშარიამ იცოდა, რომ ისტორიული ტაო-კლარჯეთი იყო უძველესი ქართული კულტურის აკვანი; მას აქ ეგულებოდა **უძველესი ქართული ხელნაწერები** და უფალს ევედრებოდა ხშირად, რათა ისინი გადაერჩინა ომის ქარცეცხლისაგან. იგი არტაანის მხარეში მართლაც წააწყდა „**ჩუღვ**“ (1436) წელს პერგამენტზე გადაწერილ, მშვენივრად დასურათებულ „**ვეფხისტყაოსანს**“ **სოფელ ორყიზში ოთარ ბეგ შარვაშიძის ოჯახში**. მაგრამ ძვირფასი რელიქვია თავადმა არ მიჰყიდა მას. ოთარ ბეგი ქართულად წმინდად საუბრობდა თურმე, „ვეფხისტყაოსნის“ კილოზე. მან **პოემა ზეპირად იცოდაო**, წერს კ. ოდიშარია. საინტერესოდ იკითხება ოთარ ბეგისა და კ. ოდიშარიას დიალოგი:

„ – ოთარ ბეგ! ეს საქართველოსთვის დიდი განძია და მოგვყიდეთ მუზეუმისათვის!“ – ოთარ ბეგს ეწყინა, წარბები შეიკრა და მრისხანე თვალები შემომამტერა. მე მივხვდი, რომ ჩემზე იყო გაჯავრებული და ბოდიში მოვიხადე. მან თვალებში თვალები გამიყარა: – „ევენდი, ეს რა მითხარი! თქვენ იცით, რომ ეს პაპისპაპისპაპისაგან მაქვს გადმოცემული როგორც უფროს შვილს და მეც, ფიცის მიხედვით, ჩემს უფროს შვილს უნდა გადავცე, როგორც მამაპაპეული განძი და არამაქვს უფლება, გავყიდო, გავასაჩუქრო ან გავათხოვო. მოპარვით კი არავინ ხელს არ ახლებს, რადგან ყველამ იცის, წყევლა-კრულვითაა ხსენებული, ვინც მას მოპარვის განზრახვით ხელს ახლებს და ერს დაუკარგავს“ (1, 240).

აკადემიკოს **ს.ჯანაშიას** არქივში დაცულ არტანის მხარის აღწერის მასალის შესავალში კ. ოდიშარია მოკრძალებით წერს, რომ მის მიერ ჩატარებული აღწერა არაა „მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფი, ის უფრო დაინტერესებული მოგზაურის შთაბეჭდილებებია, რომელიც შევკრიბე არტანის ყოფილ ოლქში 1913 – 1918 წლებში“ (1, 236).

დიდებული წინაპარი, გულანთებული მამულიშვილი, კ. ოდიშარია ჭეშმარიტად იმსახურებს დღევანდელი ყოველი შეგნებული ქართველისაგან სამადლობელ სიტყვებს, რადგან მის მიერ იმ ომის ქარცეცხლში მოპოვებული მასალები **ერთადერთი ისტორიული წყაროა არტანის მხარის იმდროინდელი ყოფაცხოვრების, ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების შესახებ.**

მისი მოგზაურობის დღიურები გვაცნობენ არტანის მხარის (საკუთრივ არტანის რაიონის, **ჩილდირის, კოლას, ფოცხოვის**) სურათს მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში. აღწერილია ჩვენი წარსულის ჭაღარა ძეგლები – ზოგი რღვეული, ზოგი კი ჯერ კიდევ ამაყად მდგარი, ნაქალაქარები, ხიდები, ციხეები. როგორც ავტორი ამბობს: „ეს ნაშთები ხომ წარსული მატანის ფურცლებია, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ შესწავლას, აღდგენას, მოვლას და პატრონობას. დროთა სვლას გაუნაგდურებია ოდესღაც აყვავებული ეს ქვეყანა... ჩავიწერე იქაური გადმოცემები, ლეგენდები, თითოეული მათგანი წარმტაცი მარგალიტია ჩვენი წარსულის საგანძურიდან, თითოეული ოქროპირი მჭევრმეტყველია ჩვენი რაობისა და ჩვენი კულტურის სიდიადისა“ (1, 236 – 237).

კ. ოდიშარიას მიერ შესრულებული არტანის მხარის აღწერის მასალები მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში მოცემულია ცნობები ამ მხარის არამარტო იმდროინდელი (XX ს. I ნახევრის), არამედ წინარე ეპოქებში მოსახლეობის აქ განსახლება-მიგრაციის შესახებ. სამართლიანად შენიშნავდა პროფესორი **ფრიდონ სიხარულიძე**: „კ. ოდიშარიასეული აღწერა ძვირფასი წყაროა სამხრეთ საქართველოში სწრაფად ცვლადი დემოგრაფიული პროცესების გასარკვევად“ (1, 234). არტანის მხარის აღწერის მასალებში მოცემულია ცნობები, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, მხარის ფლორის, ფაუნის, მდინარეების, მატერიალურ და სულიერ საუნჯეთა შესახებ, რაც მეცნიერულ ღირებულებას ჰმატებს აღნიშნულ მოგზაურული ჟანრის ნაშრომს..

კ. ოდიშარია თავისი ნაშრომის შესავალ ნაწილში გულნატკენი წერს ცენზურის გამო და თან კარგად აცნობიერებს თავისი ამაგის სამომავლო მნიშვნელობას: „რაც ვნახე, რაც მოვისმინე, აღვწერე და კორესპონდენციებად დავბეჭდე გაზეთ „საქართველოში“. მაგრამ, სამწუხაროდ, ცენზურამ კორესპონდენციები შემომოკლა და რიგ შემთხვევებში დამიმახინჯა კიდევ. მაშინ ამ წერილების აზრი ის იყო, რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება **მიმექცია ამ ჩვენგან მოწყვეტილი მომძე მხარისათვის**, იქ არსებულ ძეგლთა შესწავლისათვის. ჩემმა იქ ნანახმა და აღწერილმა შესაძლებელია დახმარება გაუწიოს ჩვენს მკვლევარებს. მაშინ ვიტყვი, რომ ცუდად არ ჩაუვლია ჩემს ამაგსა და შრომას. 10 ივლისი, 1937 წ. ქ. ტფილისი“ (1, 237). მართალია, საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის გამო მაშინ ვერ განხორციელდა კ. ოდიშარიას ნატვრა, მაგ-



რამ ოცდამეერთე საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, ვიმედოვნებთ, ამ გულმხურვალე პატრიოტი წინაპრის სურვილები შესრულდება, მის მიერ ფეხდაფეხ შემოვლილი უძველესი ქართული მიწის – ისტორიული ტაო-კლარჯეთის ულამაზესი მხარის – არტაანის სულიერი და მატერიალური კულტურის დღემდე შემორჩენილი ნაშთები სათანადოდ იქნება შესწავლილი.

კ. ოდიშარიას წერილებში მოცემულია 331 სოფლის აღწერა. მისი მასალების სხვა მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ის რად ღირს, რომ მან ჩვენს ენათმეცნიერებას, ონომასტიკას შემოუნახა ძველი ქართული მიწის გეოგრაფიული სახელები, მიკრო და მაკროტოპონიმის ერთეულები, როგორცაა: ალი, აქამეთი, ადაგული, ახალშენი, ბებერი, ბადელა, ბარნახევი, ბერგი, გიორგისუბანი, გუგუბა, დადაშენი, დუდუნა, ვაშლობი, ვარდბანა, ვარდოსანი, ველი, ზარაბუქი, ზედაწმინდა, ზემოთამარი, ზვინი, ზურზუნა, თეთრიციხე, კარგი, კონქი, კოდასი, კოდისწყარო, კინძოთამარი, კანჭოჭი, კეხი, კართანახევი, კოსორი, კუნძულეთი, ლამიანი, ლორი, მადარო, მინდაშენი, მანიოთხი, მარცვალათი, მაჩუეთი, ობოლი, ორუშეთი, პირდამალი, საღირები, სასადილო, საბადური, სარძევე, საბუღარო, სინდისგორი, სალომეთი, საღვინე, სათლელი, საკაბალო, საიხვე, საკირე, სიხარბეთი, სტეფანწმინდა, ური, ურთა, ურჩი, ტარასისხევი, ტიკანი, ფიჩხისგომი, ფეთობანი, ფიქრობი, ფიქრაშენი, ქვაბისციხე, ქვემოთამარი, ქონდრაული, ღვინია, ღმაღლე, ყანარბილი, ყორივანი, ყველი, შორს, შუაწყალი, შუმლაური, ჩორჩევანი, ჩილური, ჩაბურდა, ჩიქორა, ჩრდილეთი, ჩიხირეთი, წინსათიბი, წურწყაბი, წყაროსთავი, წვრელმანი, ჭოლოთი, ჭალა, ჭანჭახი, ჭობორია, ხანახი, ხევისკარი, ხერთვისი, ხევათი, ხარისი, ხელოვანი, ჯვარისხევი, ჯაჯუნი, ჯინჭრობი... არტაანის ონომასტიკის ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა სამომავლო საქმედ გვესახება.

თურქული სიტყვაპირებით შექმნილი გეოგრაფიული სახელები ძალიან მცირეა. მათ შორის აღსანიშნავია: ბაშქოი, იენიქოი, არფაერმაზი, ჩამურლი, ტაშბაში, დემურკაფი, ყურტოლლი, ყურტყალა, ორყიზი, ჩამლიჩაირი, დეგირმანქოი, გიულაბერთი, ორყიზი, ყიზილქილისა, დორთქილისა, უჩქილისა.

კ. ოდიშარიას მიერ აღწერილ 331 სოფლიდან ერთ ნაწილში 1914-1919 წლებში ჯერ კიდევ ქართულად საუბრობდნენ. მათ შორისაა სოფლები: კონქი, გუგუბა, ოლჩაგი, ზემო და ქვემო ტიკანი, ვარდოსანი, ველი, ფაფალო, ჯაჯუნი, ჯინჭრობი, ჭალა, წყაროსთავი, ვაშლობი... ამ სოფლებში მცხოვრებ ქართველებს მაშინ ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ძველი გვარები. კ. ოდიშარია ასახელებს ამ გვარ-სახელებს: ელიკაძე, წითლანაძე, შარვაშიძე, დადაშვილი, კობტაშვილი, გიკოთი, გიკოლაშვილი, ხარიშარაშვილი, მიქელაძე, ჩხეიძე, ფალავანდიშვილი, საღირიძე, ორბელიანი, ნაკაშიძე, დადვაძე, ქავთარაძე, კონაევი (კონიაშვილი), თულუმბაშვილები (ბეჟანიძეები), დუდუჩაევი...

კ. ოდიშარიას წერილებში ნახსენებ ქართველებს საზოგადოდ, ოსმალური სახელები აქვთ. აქა-იქ ჩანს ქართული საკუთარი სახელებიც. მათ შორის აღსანიშნავია: ქალთა სახელები: ეთერი, გულნარი, გულნაზი, გმინთა, მაზვერა, ნაზი, ნაზერი, სონა, გულთანა, რუსა, თუნთულა. ვაჟთა ქართული სახელები იშვიათია: ზაქო, ზაქარია, ფოლადა, ზაურ, ოთარ, დადა, კამათია...

კ. ოდიშარიას წერილებში დასახელებულ 300-მდე სოფელში 1914-1919 წლებში ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი ქრისტიანობის კვალი, შემორჩენილი იყო ეკლესიათა ნაშთები. ბევრ სოფელში ეკლესია ჯერ კიდევ მთელი, დაურღვეველი იდგა. მათ შორის აღსანიშნავია: თამამის, მაღლისას, წყაროსთავის, ვაშლობის, ჭალის, ფიქრაშენის, საღირების, ორუშეთის, ურის, ურჩის, ორყიზის,

ციზილქილისის, ფეთობანის, ჩილურის, ველის, გუგუბას, ხანახის... ეკლესიები, რომელთა შიგნითა კედლები ჯერ კიდევ ინახავდა წმინდანთა ფრესკებსა და ძველ ქართულ წარწერებს.

დღესდღეობით ცნობილია, რომ მხოლოდ ჭალის ეკლესიაშია შემორჩენილი კედლის მხატვრობა და ხუცური წარწერები. 1998 წლის ნოემბერში ჩვენ, მცირე ჯგუფთან ერთად, მივეყვით კ. ოდიშარიას ნაკვალევს, მაგრამ დროთა ქარტეხილების მიერ ნანგრევებად ქცეული დაგვხვდა ეკლესიათა უმეტესობა. კარგადაა შემონახული მხოლოდ ჭალისა, ველისა და მალისას ეკლესიები; ასევე მხნედ გამოიყურება კირნავის, ველის, შავიციხის, მგლისციხისა და რაბათის ციხეები.

1878 წლიდან დედასამშობლოში დაბრუნებულ არტანელ ქართველებს სწავლა-განათლება სწყუროდათ. კ. ოდიშარიას მასალებიდან ჩანს, რომ ბევრი ოჯახი მზად იყო შვილები ქართულ სკოლაში შეეყვანა. ისინი თხოვნით მიმართავდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას და სხვა სახელისუფლებო უწყებებს ქართული სკოლის გახსნის თაობაზე, მაგრამ პასუხი არსაიდან ჩანდა. შემოერთებიდან მხოლოდ 40 წლის გასვლის შემდეგ, 1917 წლის 16 მკათათვეს, ძლივს მოხერხდა არტანში თავშესაფრისა და სკოლის გახსნა, რასაც გვაუწყებს გაზეთი „საქართველო“ (7). შეძლებული ოჯახების შვილების მცირე ჯგუფი იმ წლებში სწავლას ძლივს ახერხებდა არტანის მხარიდან საკმაოდ შორს მდებარე ადიგენის რაიონის სოფელ უდეს ქართულ სკოლაში.

კ. ოდიშარიას წერილებს რომ ვეცნობით, გაცეხებული ვრჩებით, ახლად შემოერთებული მხარეების მიმართ ქართველ მამულიშვილთა გულცივი დამოკიდებულების გამო. გვახსენდება დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მწარე სიტყვები, ნათქვამი მაშინდელი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების ერთი დიდი ნაკლის შესახებ: „არავინ დამოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში, ნაოხარზე რომ ათასი ჯურის გადამთიელი სახლდებოდა... რომ გეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა (ახლანდელი რუსთაველის გამზირი) და ქუთაისის ბულვარს იქით ფეხს არ გადაადგამდნენ. ხალხს კი მოვლა უნდოდა. ამისთანებში სომხები გვეჯობნიდნენ, პატრიოტიზმი მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ გამოხატული და ბევრ რამესაც მიაღწიეს“ (8, 436).

დიდი ექვთიმეს საყვედური არ ეხებოდა მხოლოდ კ. ოდიშარიას, არტანის მხარეში „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ რწმუნებულს, რომელმაც ფეხით შემოიარა 331 სოფელი და აღწერა ქართველ მაჰმადიანთა დუხჭირი, აუტანელი ცხოვრების სურათები.

კ. ოდიშარიას მდიდარი სულიერი სამყარო კარგად ჩანს დიდი ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ ერთ წერილში (10, 211 – 212): „1937 წ. 4. X. ქ. ტფილისი. ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! დიდი ხანია მსურდა თქვენდამი ჩემი პატივისცემა რითიმე აღმენიშნა, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი. დღეს გადავწყვიტე გიძღვნათ მცირედი რამ, სახელდობრ, ჩემი მოგზაურობის აღწერა 1913-1918 წლებში ჩვენი სამშობლოს გულიდან მოწყვეტილ სამუსლიმანო საქართველოსი.

ბევრი გაჭირვება განვიცადე იმ მოგზაურობის დროს, მაგრამ ჩემი ნატვრა და მისწრაფებანი ნახევრად მაინც მოვიყვანე სისრულეში, თუნდაც იმ მხრივ, რომ გაკვრით მაინც აღვწერე, შიდაოსმალეთის საქართველო, სახელდობრ: ყარსის, აღზევანის, ოლთისის, ისპირის, თორთუმის ოლქები და მთელი ვილაიეთი ერზრუმისა და იქით სოფელ-ქალაქები, ნაქალაქევ-ნასოფლარში ეკლესიები, ციხეები, გვირაბები. განსაკუთრებით აღვწერე: 331 სოფელ-ქალაქი, ნასოფ-

ლარ-ნაქალაქარი, რაც არტაანის ოლქს შემორჩა. აგრეთვე, ვცდილობდი არ გამომჩინოდა ხალხის ზნე-ჩვეულება, თქმულებები და ლეგენდები. საკმაოდ ვჩერდებოდი გეოგრაფიულ ნომენკლატურების ახსნა-განმარტებასა და ქვეყნის ტოპოგრაფიაზე.

თუ თქვენ, ჩვენი წარსულის უდიდეს მკვლევარს და პირუთენელ ისტორიკოსს, რამდენადმე დაგაინტერესებთ და ეს ჩემი შრომა მცირეოდენად მაინც ხელს შეგიწყობთ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში, მანქანაზე გადავამოქმედებ და მოწიწებით დავდებ ჩემს ნაშრომს თქვენს წინაშე, ვინაიდან პროფ. ბატონ ჯანაშიას მიერ უნივერსიტეტის ჟურნალში დაბეჭდილ ჩემს შრომაში, ჩემგან დამოუკიდებელმა ზეზებისა გამო, არ შესულა ის თქმულებები, რომლებშიაც სარწმუნოებაზე და დაშნაკ სომხების მოქმედებაზეა ლაპარაკი. მაპატიეთ, რომ თქვენდამი ჩემი უღრმესი მადლობა მეტი ვერაფრით შევძელი.

– მარად თქვენი და კიდევ თქვენი პატივისმცემელი – კოტე ოდიშარია (კ. მარტვილელი).

არტაანის მხარეში მოგზაურობის დროს კ. ოდიშარია იქაური ქართველებისაგან ხშირად ისმენდა ხოლმე ლეგენდებსა და თქმულებებს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე, რწმუნდებოდა რომ პოემის ავტორისათვის ნაცნობი იყო ქაჯეთის ციხე (დღევანდელი „შეითანყალე!“) სოფელ რაბათთან ახლოს და მდ. მტკვრის ხეობებში მდებარე გამოქვაბულები, მალაროები. ამიტომ პოემის შესახებ არსებული ხალხური თქმულებების მკვლევარებს მოუწოდებდა არტაანის მხარეში სამოგზაუროდ, თანაც დამხმარე წყაროდ აწვდიდა თავის სტატიას: „ორიოდე სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ და ხალხურ თქმულებების მკვლევარებზე“. იგი 1934 წლის 15 ოქტომბერს დაწერილ ამ სტატიაში აღნიშნული მკვლევარების მისამართით წერდა: „ჩემი ისტორიული მასალები იქონიონ, რომლებიც ნამდვილი უტყუარი გზის მაჩვენებელი იქნება მათი. ეს ისტორიული მასალები და ეს მოხსენებაც შუქურა ვარსკვლავით გაუნათებს მათ კვლევა-ძიების საქმეს“ (9, 10).

კ. ოდიშარიას არტაანის მხარის აღწერის მასალები და მისი სტატია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შესახებ იქ არსებულ თქმულებებზე, ძალიან, საინტერესოდ იკითხება და მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ გვესახება. სამომავლოდ ყოველ ღონეს ვიხმართ ამ წყაროების ცალკე წიგნად დაბეჭდვისათვის. იგი გაამდიდრებს ჩვენი ერის ისტორიულ მეხსიერებას და მომავალ მკვლევარებს, როგორც თვითონ წერდა, „შუქურა ვარსკვლავით გაუნათებს“ კვლევა-ძიების გზას ისტორიული საქართველოს ულამაზესი და უძველესი მიწის – არტაანის მხარის ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ენის შესწავლის საქმეში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიხარულიძე ფრ., მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიციების ისტორიისათვის (კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელი) სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები. იხ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, ბათ. 1998;
2. ბაბილოძე გრ., „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ სამეურნეო ეკონომიური საქმიანობა აჭარაში. იხ. კრებული „საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სერია, I, თბ., 1975;
3. აბაშიძე ჰ., „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“, იხ. გაზ. „სამშობლო“, № 31, 1915;
4. გაზეთი „საქართველო“, № 88, 1915;
5. გაზეთი „საქართველო“, № 191, 1919;


6. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, № 18, 1919;
7. გაზეთი „საქართველო“, „წერილი არტაანიდან“ (ჩვენი სიხარული სკოლის გახსნის გამო). იხ. № 175, 1919;
8. **თაყაიშვილი ექვთ.**, ილია ჭავჭავაძე, იხ. ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991; აგრეთვე, **უმიკაშვილი პ.**, გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, იხ. „ივერია“, № 21, 1888;
9. **ოდიშარია კ.**, ორიოდ სიტყვა „ვეფხისტყაოსანზე“ და ხალხურ თქმულებების მკვლევარებზე“, იხ. **ს. ჯანაშიას არქივი**, ფ. № 15, აღწერა I, № 440; 15. X. 1934. **კ. ოდიშარია**;
10. **სიხარულიძე ფრ.**, წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი; იხ. კრებული „მესხეთი“, III, თბ., 1999.
- კ. ოდიშარიას წერილი ივ.ჯავახიშვილისადმი**;
11. **ოდიშარია კ.** „არტაანის მხარეში“, იხ. გაზეთი „საქართველო“, № 18, 19, 21, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 232, 234. 1917წელი;
12. **ოდიშარია კ.** „ქართველი მაჰმადიანები“, იხ. გაზ. „საქართველო“, № 280, 1917 წელი;
13. **ოდიშარია კ.** „არტაანიდან თორთუმამდე“, იხ. გაზეთი „საქართველო“, № 147, 1917 წელი;
14. **ოდიშარია კ.**, „ქართველ მაჰმადიანთა ყრილობის გამო, იხ. გაზეთი „საქართველო“, № 191, 1919 წელი.

## R E S U M E

### **Historical Notes About Tao – klarjeti By K. Odisharia**

K.Odisharia was a Georgian journalist, scientist, traveler, the member of Georgian Charity Organization and the attorney of the mentioned organization in Artaani. As he was one of the most active journalists in that period of Georgia, he had to describe the damaged villages and settlements of Artaani after the World War the first. In order to describe the above mentioned villages clearly, he travelled round Artaani in 1914 – 1919 (called “vilaeti of Karsi” nowadays). He described 331 villages of this site, wrote down some interesting legends, described historical monuments of Artaani. The historical material found by K.Odisharia is the one historical source ever found in Georgian History about this important part called Artaani.

## კარნი მელთხე



**აჭარის, სამაჰმადიანო საქართველოს,  
წარსულის განხილვა სტამბოლის ქართული საზნის საბანძურიდან**

---

**ანდრეი ბელი  
„ამას შენზე ამბობდნენ, მშობლიურ აჭარაზე!“**

„ოთხი ათასი ვერსი გამოვიარეთ, რომ გავმთბარიყავით, ბუნების წიაღში გვეცხოვრა, ჯანზე მოვსულიყავით, უზრუნველად გვებანავა... ციხისძირში, ზაფხულის ორი თვის მანძილზე, წელიწადის ოთხი დრო ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე ენაცვლებოდა ერთმანეთს, თაკარა მზის სიმხურვალის და გამთოშავი ქარის სუსხი ერთმანეთში ირეოდა, ზიხარ ჩრდილში, ფეხებზე აჭარული წინდები გაცვია, სულ მალე კი მზე ისე დააცხუნებს, რომ მელოტ კეფას ჩრდილში მალავ, ჩადიხარ სულ ქვევით და ტროპიკებში ამოყოფ თავს. აქ უკვე ითანგები, სული გეხუთება, ტანზე იხდი...“

გულსატკენია, რომ სამხრეთიდან წამოსული ტყვიისფერი ღრუბელი მთებს შორის იხედება, მაშინ ბუნება თითქოს ძილს ეძლევა. გაცოფებული ზღვა ბორგავს და ღმუის, ისმის სტვენა, ქვითინი, გრიალი. ამ დროს კომპში (ციხისძირის ციხეში) ვიყავი შეხიზნული; აჭარის მთების მცენარეული საფარველი, ზღვის ენით აუწერელი მშვენება, თვალწინ გადამეშალა, საუცხოო სილამაზეა.

აჭარის ლანდშაფტი კეთილშობილია. აქ ყოფნისას მოვიგონეთ პოეტ ფეტის ლექსები, მაგრამ ციხისძირში ფეტი კი არა, პუშკინი უნდა გავიხსენო.

აჭარა ტოლია დელაკრუასი, აქ ხომ ოქროს საწმისი ინახებოდა?  
ციხისძირი. 1927 წლის ივნის – ივლისი<sup>1</sup>.

**წერილი ციმბირიდან  
(დღევანდელმა მსოფლიო ომისაგან აწეწილ-დანეწილმა ცხოვრებამ,  
ბევრ მცხოვრებთ სასჯელი არგუნა)**

დღეს, ციმბირის არემარეში ბევრს ნახავთ გადმოსახლებულთ ქართველ მაჰმადიან აჭარლებს. ორი მათგანი ძმები გუსეინ და ხასან თურმანიძეები (ახმედ ოღლები) ჩემთან არიან 8 თვეა. უმცროსი ძმა 14 წლისაა. მათ რუსული ორი სიტყვაც არ ესმოდათ პირველ მოსვლის დროს. მათ რომ ქართველები დაგვინახეს, ძალიან გაუხარდათ. ერთმა მათგანმა ასე შემომძახა: „ჰეიდა, ყარდაშ“, რადგან ქართველი კაცი დაგინახე ვითომ ჩემ სახლში ვიყოვო.

მათ დიდი სურვილი აქვთ ქართული წერა – კითხვის შესწავლისა. ამიტომაც ვთხოვთ, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას და სხვა დაწესებულებებსაც, თითო ან ორ – ორი ეკუმპლარი გოგებაშვილის „დედა ენა“ და სხვა სახელმძღვანელო წიგნები გამოგვიგზავნონ, რომ მსურველმა გადმოსახლებულმა ქართველებმა შესძლონ ქართული დედა ენის შესწავლა.

ჩვენი მისამართი: სოფ. კაჩუგა, ვერხალენსკის მაზრა, ირკუტსკის გუბერნია. საკანდიტერო მიხეილ ივანესძე ორმოცამე.

გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1916 წ. N 254.

---

<sup>1</sup> მონასტრის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნში ჩარჩენილ რომელიღაც გაზეთის ფურცლიდან.

**გ. ახალციხელი (უცნობი ფსევდონიმი)  
სალამი გამოფხიზლებულ ქართველ მუსულმანებს!**

*„ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრისათვის მახრჩობელია;  
მტრებს ვაი დედა ვაძახოთ  
და ჩვენ ვსთქვათ დელა – დელაო“...*

აკაკი

დიდის ინტერესით ვკითხულობ ხოლმე გაზეთებში ახალციხის მხრიდან მოწოდებულ ამბებს ქართველ მუსულმან და კათოლიკეთა თვითშეგნების მქონეთა ცხოვრებიდან; ამოვიკითხე ეგრედვე გაზ. „სახალხო ფურცლის“ № 39 – ში გადმობეჭდილი, მეტად საგულისხმიერო წერილი მოხუც ქართველ მუსულმან **ხოჯა – ოღლისა** და, გინდა, დამძრახეთ, მაინც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემში, როგორც იმ მხარის შვილში, აღიძრა რაღაც სიამაყე **პროვინციალურ პატრიოტიზმისა**. მე ვფიქრობ, რომ ამ ვიწრო, „დასაძრახის“ გრძნობას ხანდისხან მაინც თავისი გასამართლებელი საბუთი უნდა ჰქონდეს...

დრონი, დროის მეტად გართულებულ ეროვნულ ცხოვრების პირობებში, თვითშეგნებასთან ერთად, რამდენადაც მრავალრიცხოვანია ესა თუ ის ერი, იმდენად მეტ უფლებებს ჰპოვებს თვითარსებობისათვის; იმდენად ვეღარ იმორჩილებს და ვერ ლეკავს სხვა, მათზედ მოსული, დიდრიცხოვანი ერები... ჩვენ რომ მაგ, ხუთიოდე მილიონი სული ვიყვნეთ, ჩვენ ეროვნებას ისე აზუჩად ვეღარ აიგდებდნენ, რასაც დღესა ვხედავთ. დღესდღეობითაც, თუ მხედველობაში მივიღებთ, როგორც კავკასიაში მცხოვრებელ, ეგრედვე, სპარსეთ – ოსმალეთში გაბნეულ – გადასახლებულ, სხვა და სხვა რჯულის ქართველობას, მათი რიცხვი შეიძლება სამ მილიონსაც აღემატებოდეს. მაგრამ, ვინაიდან ბევრს იმათგანს ჯეროვანი საზღვარი ვერ დაუდვიათ რწმენის და ეროვნების შემეცნებას შორის და ეგრედვე, იმიტომ, რომ ჩვენი მრავალრიცხოვანნი მტრები მზაკრულად სცდილობენ ჩვენს დაქსაქსვა – დაყოფას და ჩვენში ეროვნულ გრძნობის აღმოფხვრას. ეხლა ქართველთა რაოდენობა მილიონ ნახევარ სულითდა განისაზღვრება. შენ ქართველი არა ხარ, მუსულმანი ხარო, ვინაიდან მაჰმადიანობას აღიარებო, შენ კათოლიკე ხარო, გრიგორიანი და სხ... კაცი ცოტაოდენი რომ ჩაფიქრდეს, სულ ადვილად დარწმუნდება, რომ რჯული, რწმენა, – ყველა ცალკე პიროვნების სინდისის საქმეა: ვისაც როგორ სურს და ესმის საიქაო ყოფა, ისრე იწამებს. აიღეთ რომელი სახელმწიფოს ეროვნებაც გნებავთ, განა ყველა მათგანი ერთ რჯულს, ერთ რწმენას ადგია? მაგრამ არავინ მათგანი არ გეტყვის, რომ იგი ეროვნებით გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, რუსი და სხ. არ იყოს. ჯერ კერძო ოჯახებშიაც არა იშვიათად ერთი ძმა ერთ რჯულს აღიარებს, მეორე – მეორეს და მესამეს, კიდევ ვის სინდისის მეტი არაფერი სწამს; მაგრამ ეს განა იმათ ხელს უშლის ერთის ოჯახის, ერთის ეროვნების შვილებად დარჩენენ?! ჩვენში კი, იმოდენა გავლენა იქონია სხვის გამათახსირებელმა პოლიტიკამ, რომ ერთი რჯულის თანამემამულეთა შორისაც კი ზოგნი, ჯერ კიდევ, თითქოს რაღაც საზღვრებს უდებენ: ეს ქართველია, ეს იმერელი, მეგრელი, ფშავ – ხევსური და სხ. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა თანამემამულეები, რა რჯულისაც უნდა იყვნენ, შეიგნებენ, რომ ჩვენ ყველა ერთი შტოს, ერთი დიდი ოჯახის შვილნი ვართ; საერთო წარსული გვქონდა და შეერთებული ძალით საერთო მომავალიც უნდა შევქმნათ, თუ არ გვინდა სხვა მძლავრ ერებისაგან მთლად გავისრისოთ და აღვიგავოთ დედამიწის პირისაგან... ამის საიმედო და საგულისხმიერო ნიშნებს უკვე ვხედავთ; გაიხსენეთ თუნდა მასიური პროტესტი ახალციხელ კათოლიკეთაგან სომეხ მღვდელის

აბრამიანცის მიმართ; ან გინდ – ქართველ მუსულმანების მიერ გაზეთებში მოთავსებული წერილები და განსაკუთრებით აზრიანი და დარბაისლური წერილი მოხუც ხოჯა – ოღლისა:

– „ზევრჯელ გაგიგონიათ, – მიმართავს იგი თანამერჯულეთ, – და კიდევ გაგიმეორებთ, რომ ჩვენ ძმები ვართ, რა ვუყოთ, რომ სხვადასხვა რჯულისანი ვართ. მე შემბღლიან ხვალვე ფრანგის რჯული მივიღო, მაგრამ ამიტომ ფრანგი კი არ ვიქნები, არამედ ისევ ქართველად დავრჩები. ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო, ენა და გვარი; შენ შენი რჯული დაიცავი და მე ჩემსას დავიცავ, მაგრამ ვეცადოთ ორივე ძმები ვიყოთ. შენ პირი დასავლეთისაკენ დაიჭირე და ისრე ილოცე, მე აღმოსავლეთისაკენ დავიჭერ და ამ რიგად აღმოსავლეთი და დასავლეთი ჩვენ ორი ძმების, ქართველი მუსულმანის და ქართველი ქრისტიანის, იქმნებაო“...

ახალციხე – ახალქალაქის მაზრებში ჯერ კიდევ მრავალი ქართველი მუსულმანობა მოსახლეობს, რომელთა შორისაც თვით შეგნების სხივმა მათვე აკისრა ხელმძღვანელობითი როლი თვის მრავალრიცხოვან, უცხო მხარეებში გაბნეულ, თანამერჯულეთა. ეს ესრეც უნდა მომხდარიყო: მცხოვრებლები იმ მხარისა, სადაც ჩვენი ეროვნული სიამაყის, დიდებულ შოთას აკვანი პირველად დაირწა, სადაც ერთ დროს კულტურული ცხოვრება სამაგალითოდ ჰყვავოდა; ისინი ერთხელაც არის მხრებს შეიბერტყავენ ბურუსის მოსაშორებლად და სხვათაც თვითშეგნების მისაბამებელ მაგალითს მისცემენ. მიწაში ღრმად ჩავარდნილი თესლი ერთხელაც არის ნიადაგიდან ყლორტებს ამოიყრის. როცა იმ, ეხლა მივიწყებულ მხარეში, განათლების სხივიც უხვად შეაშუქებს, მაშინ კიდევ უფრო სხვა სანუკვარ სურათს ვიხილავთ.

მაშ, ვუსურვოთ გამოფხიზლებულ ჩვენ თანამემამულე ქართველ მუსულმანებს გამარჯვება, მეტი ენერჯია და ნაყოფიერება მათ დიადი მისიისა...

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914 წ., № 44.

ქ. ზალიკაშვილი

## რა დარჩენია ქართველ მაჰმადიანებს მამა – პაპური?

ვინ არ იცის, რომ ქობულეთ-აჭარა შეადგენდა ერთ უდიდეს ტერიტორიას საქართველოს სამეფოსას. ეს კუთხე, როგორც ისტორია და ძველი ნაშთი, ეხლაც აშკარათ ღაღადებს, რომ აქ იყო დრო შემკული ბუნებრივი და ხელოვნური შემოქმედებით, იყო ძვირფასი საუნჯე – სალარო სწავლა-განათლებისა. ამ მხარეში დაბადებულა და აღზრდილა საუკეთესო ქართველი მწიგნობარნი, მქადაგებელნი და მნათენი სწავლა-განათლებისა. ამ ძველი მესხეთის მეოხებით სცნობდნენ საქართველოს, როგორც განათლებულს და ძლიერ სამეფოს, საბერძნეთი, რომაელნი, არაბნი და თვით ეგვიპტეც. ეს კუთხე იყო საქართველოს დიდება და მშვენიება. ყოფილა დრო, როცა ამ კუთხეში მოსულან სწავლა-განათლების მისაღებათ არა მარტო ქართლ-კახეთის მკვიდრნი, არამედ მოისწრაფოდნენ სხვა უცხო ტომის შვილებიც. მაგრამ ეს საუცხოვო კუთხე და ბურჯი საქართველოს დიდებისა, ძარღვი საქართველოს სამეფოსა, მოულოდნელად შესწყდა და თითქმის სული განუტევა. ორასი წლის ბრძოლამ ველურ ხალხთან სულ გაანადგურა ყოველივე დიდება კუთხისა, ედემის მზგავსი საქართველოს ნაჭერი სულ გავერანდა, ტაძრები და სასწავლებლები სულ დაინგრა, ქართულად სწავლა-განათლება ჩაქრა. ასეთმა უბედურმა შემთხვევამ მოსწყვიტა ადგილობრივი მკვიდრნი დედის უბიდგან და განგებამ მათში იღბალი არგუნა სხვა უცხო ტომს, რომლის მიზანი გახლავთ სულ სხვა არაჩვეულებრივი, არასანუგეშო ამ ქვეყნისა.



არა! მეგობრებო, არ იფიქროთ, რომ მათი მამა-პაპები ადვილათ შეურიგდნენ იმ მოვლენას. ისინი, სანამ ძალა და ღონე შესწევდათ, ებრძოდნენ მტრებს და მოკლე ნაბიჯით უტოვებდნენ ბრძოლის ველს. მრთელი კუთხე ქობულეთ-აჭარისა მორწყულია ქართველის სისხლით. მათი მამა-პაპები წვალბულან მტრისაგან; ეს კუთხე და მისი ნაშთნი მოწამე არიან ამისა. ეს ბრძოლა გახლდათ ხანგრძლივი და საგრძნობელი, რის შემდეგაც დაკარგეს საუკეთესო განძი მათი ცხოვრებისა. მაგრამ, განგებას ასე დაუდგენია, რომ ხალხი მაშინ დაკარგავს თვისტომობას, როდესაც კარგავს დედა-ენას, მაგრამ ამათ კი ამ ვაი-ვაგლახში შეინარჩუნეს დედაენა, რის მეოხებითაც ისინი ისევ გურჯებს უწოდებენ თავიანთ თავს და არა ყიზილბაშებს და თურქებს. ბევრი რამ ძველთაძველი უძვირფასესი ნივთნი ამ კუთხის დიდებისა, ძველებმა გაზიდეს ქართლიმერეთში და ბევრიც აქ ჩააბარა დედამიწას და ამნაირათ შენახულა მომავალ თაობისათვის. ჩემის თვალთ მინახავს, რომ გურიაში გაუტანიათ და დვაბზუს ეკლესიაში მოუთავსებიათ ვარჯანაულის წმინდა გიორგის ვერცხლის ხატი ზედ ქართული წარწერით: „ვარჯანაულის წმინდის გიორგი“. აქ ამ ხატის სახელობაზე ვარჯანელი (ვარჯანეთი სოფელია) მკვიდრნი ლოცულობენ და მიაქვთ შესაწირავი. სხვა ხატებიც ბევრია აქედან გადატანილი გურიაში და იმერეთში. ამნაირათ შერჩა ხალხს დედა-ენა, ქართული სიმღერები გურულ კილოზე, ქართული წერა-კითხვა, მიწერ-მოწერა; აგრედვე, შერჩა ნათვლა, ქორწილი და ტირილი გურული ჩვეულებით, ნათლულობა და ერთმანეთში მიმოსვლა, ქართული ზნე-ჩვეულებით. შერჩა გურული ტანისამოსი და ჩაბალახი, ისე რომ გურულს ვერც გაარჩევთ ქობულეთელ-აჭარელისაგან. რადგანაც ამათში ქალის გათხოვება-მოყვანა ძლიერ შემოსაზღვრული იყო, ასე რომ მაგალითი არ ყოფილა ქობულეთ-აჭარას, სხვა ტომის ქალი ცოლათ შეერთო და ამის მეოხებით ხალხიც არ გადაგვარებულა. ქობულეთ-აჭარლები ნამდვილი ტიპია ქართველი ხალხისა. მათ კიდევ შერჩენიათ ძველებური პატივისცემა ტაძრებისა და ხატებისადმი. მაგალითად, სოფელ ხინოში და ქობულეთის ხეობაში გახლავთ ივანე ნათლისმცემლის საყდრის ნანგრევები, სადაც სცხოვრობდა ხინველი ქართველი მიტროპოლიტი. აი, ამ ეკლესიის ნანგრევს ხალხი პატივით ეპყრობა; მიაქვთ შესაწირავად თაფლის სანთელი, ფული, მამალი და იქ ღმერთს ვეგდრებიან; დაბა ქობულეთის მახლობლად არის ნანგრევი დიდებული ოქონის ეკლესიისა, სამებაში სამების ეკლესიის, კვირიკეში წმინდა კვირიკესა. ამ ეკლესიების ნანგრევებსაც ხალხი კრძალვით და პატივით ეპყრობა. მრავალი მაგალითი გახლდათ, რომ ადგილობრივი მღვდელი მიჰყავთ სოფელში ახალდაბადებულ ბავშვებთან და ავადმყოფებთან სალოცავად. როდესაც მღვდელი ულოცავს დანიშნულებისამებრ, ისინი დიდად კმაყოფილი რჩებიან. მე თითონ ვნახე ამ დღეებში ერთი მაჰმადიანი ქართველი აქაურ მღვდელს ეძებდა, ავად მყავს ბავშვი, მღვდელს უნდა მოვანათვლინო და სამშვიდობო ვაწირვინო, რისთვისაც მეც მთხოვა დამესწარიო.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1177.

## გენერალი ფურცელაძე ბათომი

ბათომის ოლქში ქართველი ჯარები იმყოფება შემდეგ რაიონებში: ხულოში, შავშეთში, არდანუქში და ართვინში. ართვინში ქართველი ჯარი 2 მაისს შევიდა. ქართველი მუსლიმანები ჯარს აღტაცებით ხვდებიან. ჯარის მისვლისთანავე ყაჩაღობამ და სხვა ბოროტმოქმედებებმა

შესამჩნევად იკლო. სხვა რაიონების მცხოვრებლებიც ერთხმად მოითხოვენ ქართველი ჯარების შესვლას მათ რაიონებში.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერა უკვე დასრულდა. შედეგი ამ დღეში გამოქვეყნდება.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველოს“ 5 მაისის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი განცხადება:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცხადებულია მოქალაქეთა მობილიზაცია: გაწვეულნი არიან ჯარში ყველა სათადარიგო ჯარისკაცი და მოლაშქრენი დაბადებულნი 1888, 1889, 1891 და 1895 წლ.

1894 და 1895 წლებში დაბადებულნი მოქალაქენი, რომელნიც ამჟამად ბათომში და ბათომის ოლქში იმყოფებიან, მოვალენი არიანი დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსთან. პირველი ორი წლის შესახებ კი იქნება დამატებითი განკარგულება.

სამხედრო ატაშე ბათომში, გენერალი ფურცელაძე.

გაზეთი „ერთობა“, 9 მაისი, 1920 წ. №103.

### თათბირი ქართველ მაჰმადიანების შესახებ

25 ღვინობისთვის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას კრება ჰქონდა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ – ნი აკაკი ჩხენკელი და ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრებამ თათბირი იქონია ქართველ მაჰმადიანთა უმწეო მდგომარეობის შესახებ. დეპუტატმა ჩხენკელმა, რომელმაც ამას წინად შემოიარა არტანისა, ართვინისა და ბათომის ოლქები, ამ კრებას გააცნო იქაურ მაჰმადიან ქართველების მდგომარეობა, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებისა, რომელნიც ოსმალეთის რაზმების შემოსევის დროს იძულებული გახდნენ თავიანთი სახლ – კარი დაეტოვებინათ; განსაკუთრებით აღნიშნულ იქმნა 4 გარემოება:

1) მიუხედავად სრული უდანაშაულობის გამორკვევისა, ქართველ მაჰმადიანებს ისევ აძლევენ სამხედრო პასუხისგებაში; 2) მიმალული ოჯახები უკან რომ ბრუნდებიან, თავიანთ მიწა – წყლის დაბრუნება უძნელდებათ, რადგან ეს მიწა – წყალი სახლკარიანა სხვებს, განსაკუთრებით უცხო ტომის ხალხს დაუჭერიათ; 3) ყველა ქართველი მაჰმადიანი, განსაკუთრებით – კი უკანვე დაბრუნებულნი, უკიდურეს ქონებრივ სიღატაკეს განიცდიან; 4) ბევრს გაქცეულს უკანვე დაბრუნების ეშინია, თუმცა მათ მთავრობა სრულებით არ სდევნის და არც პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, როგორც უდანაშაულო ხალხი.

კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ საგანგებო დეპუტაცია აირჩიოს, რომელიც დიდის მთავრის, მეფის ნაცვლის, წინაშე უნდა წარსდგეს და შემდეგი შუამდგომლობა აღძრას: ა) მიუხედავად იმისა, რომ მეფის ნაცვალმა თავის დროზე ბრძანა, რომ ბათომის ოლქის ქართველი მაჰმადიანები სახელმწიფოს მოღალატეებად არ ჩაითვლებიან და სამხედრო სამართალში აღარ მიეცემათ, ბევრს მათგანს მაინც მოელის სამხედრო სასამართლოს წინაშე პასუხისგება. მეფის ნაცვალმა ახსნას მათი უსაშინელესი ბრალდება სახელმწიფოს ღალატისა და სამხედრო სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობიდან გაანთავისუფლოს; თუ ვისმე მათგანს რაიმე ბრალი ედება, პასუხი აგონ სამოქალაქო სასამართლოს წინაშე. ბ) უკანვე დაბრუნებულებს დაუბრუნდეთ თავიანთი სახლ – კარი და ადგილ – მამული, ხოლო სანამ ისინი

დაბრუნდებოდნენ, მათი ადგილ – მამული მოსავლელად იჯარით გადაეცეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. გ) უკან დაბრუნებულებს მიეცეთ იმდენი დახმარება ფულად თუ საქონლით, რომ თავიანთი დაქვეყნებული ოჯახის აღდგენა შეეძლოთ და დ) იმ გარდახვეწილებს, რომელნიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ბრუნდებიან, ნება მიეცეთ დაუბრუნდნენ თავიანთ სოფელს.

ზემო აღნიშნულ მუხლების შესახებ დეპუტატი **ჩხენკელი ცალკე**, დამოუკიდებლად, აპირებს შუამდგომლობის აღძვრას **მეფის ნაცვლის წინაშე**, როცა მას აუდენციას დაუნიშნავენ.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ., №239.

## აჭარელთა საკითხი

აჭარლებს რომ ვახსენებთ, ხშირათ ბათუმის ოლქის მთელ ქართველ მაჰმადიანობას ვგულისხმობთ. მათი უნუგემო მდგომარეობა სავსებით აღიმართა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წინ. დახმარება იყო საჭირო ორნაირად: ნივთიერად და მორალურად. ეკონომიურად განადგურებასა და აწიოკებასთან ერთად, **ხალხს დამოკლეს მახვილივით დასტრიალებდა თავს „ღალატის“ საშინელება.**

პირველყოვლისა, საზოგადოებას უნდა ეზრუნა აჭარლების ფიზიკური არსებობისთვის. **მთელს აჭარაში შიმშილი მივინვარებდა და ხალხისთვის საკვები უნდა მიგვეწოდებია.** საშვალემა საზოგადოებას არა გააჩნდა – რა. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, შემოწირულების ორგანიზაცია მოეწყო და ხალხმა თვისი წვლილის შემოტანა ნელ – ნელა დაიწყო. ამასთანავე, დაზარალებულთა საქმის გამძღოლის გასაადვილებლად დაარსდა განყოფილება **ქუთაისსა და ბათუმში**. მუშაობა თანდათან გაჩაღდა. აღსანიშნავია, რომ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ იმთავითვე მასიური დახმარების და თვითმოქმედების პრინციპი აღიარა სახელმძღვანელოდ და კერძო ქველმოქმედების წარმოება დაუშვა მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში.

პრესის და საკუთარი კაცების გაგზავნის საშუალებით ნათლად გამოირკვა, რომ აჭარელთა აღარაფერი არ გააჩნდათ. საჭირო იყო საკვების, ტანისამოსის, საქონლის, სათესლის, იარაღების გაგზავნა. სახლ – კარის აღდგენა და სხვ. ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. ამისთვის საზოგადოებას ძალა არ შეწევდა. **აჭარასა და მაჭახელში გაიგზავნა მხოლოდ 11 ვაგონი სიმინდი**, დაახლოვებით 11,000 ფუთი. **ეს წვეთი იყო ხალხის უბედურების ზღვაში.** მაგრამ საზოგადოებას რაც შეეძლო, ის გააკეთა. საყურადღებო ის არის, რომ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების აჭარაში შესვლამ და მოქმედების დაწყებამ ნება – უნებურად გამოიწვია ადგილობრივი მთავრობის წრეების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება ომისაგან დაზარალებულ აჭარლებისადმი. ადმინისტრაციამ დაუწყო დახმარების აღმოჩენა დამშეულებს სიმინდით და ფულის დარიგებით. ბათუმის საოლქო კომიტეტმა, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქ. საქ. საზ. ბათუმის განყოფილების წევრები, გააცხოველა და გააფართოვა თავისი მოქმედება. საერობო კავშირმა უფრო საექიმო დახმარების აღმოჩენას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში სურსათის მიწოდებასაც კისრულობდა. მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამაც აღმოუჩინა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს დახმარება.

შემდეგ მოვიდა ქალაქთა კავშირი. ამნაირათ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უკან გაჰყვა აჭარაში მთელი წყება საზოგადოებრივ ორგანიზაციების, რამაც ერთობ გააფართოვა და

გააღრმავა ცოცხლად გადარჩენილ, ღვთის – ანაბრად მიტოვებულ აჭარლების დახმარების საქმე. თაოსნობა და ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას. სწორედ ასე აფასებდა და აფასებს ამას ქართველი მაჰმადიანობაც. ქართული საქ. საზოგადოება, მიუხედავად საშუალებათა სიმცირისა, მეტს საკვებს შეიტანდა აჭარაში, მაგრამ რკინის გზის მოუწყვრისებლობა და ფორმალურ – ადმინისტრაციული დაბრკოლებანი ერთობ გვიშლიდა ხელს. ბათომში ჩატანილი სიმინდის დარიგება – განაწილებაც ძალიან ძნელდებოდა საალყო წესების წყალობით. აჭარაში სიარულის ნებართვას დიდის დაგვიანებით და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იძლეოდნენ.

აჭარაში ატანილი სიმინდის გასანაწილებლად სოფლებში დაარსდა სასოფლო კომისიები, თვით სოფლებების მიერ არჩეული, ხოლო საუბნო ცენტრებში – ხულოსა და ქედაში შედგა მთავარი საუბნო სასურსათო კომისიები, რომლებიც სურსათის განაწილებას თვალყურს ადევნებდნენ და ხელმძღვანელობდნენ. ხალხი ითხოვდა ყველასათვის მიგვეცა სიმინდი, რადგან ომისაგან ყველა დაზარალებული და გაჭირვებული იყო. ობლებს და უფრო გაჭირვებულებს შედარებით მეტი ეძლეოდათ თანახმად სასოფლო კომისიების ჩვენებისა. საზოგადოდ ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდასიმინდის დარიგება. აჭარლები დიდი სიხარულით ღებულობდნენ სიმინდს, რაც უნდა მცირე ყოფილიყო. სიმინდთან ერთად ისინი თითქოს სხვა უფრო მნიშვნელოვან რამეს ღებულობდნენ. ეს მათ სულიერათ ამხნევებდა და უკეთესის იმედით სჭვალავდა. სიმინდს ხალხი ღებულობდა როგორც საქართველოდან, ქართველი საზოგადოებისაგან გამოგზავნილ საჩუქარს.

აჭარაში, მაჭახელსა და გონიაში საქმელად მჭადს ხმარობენ. ამიტომ იქ სიმინდი უნდა შეტანილიყო. ეგევე არ ითქმის შავშეთ – იმერხევზე, სადაც ხალხი პურით იკვებება. იქ სიმინდის ატანას აზრი არ ჰქონდა. მით უფრო კიდევ, რომ სიმინდის წაღება მეტად ძვირი ჯდება. ბათომიდან შავშეთამდის 1 ფუთი სიმინდის გადაზიდვა 11 მ. 50 კაპ. – 2 მანეთამდის ღირდა. ამიტომ საუმჯობესოთ იქნა აღიარებული შავშეთ-იმერხევში სიმინდის ნაცვლად ფული დაგვერიგებია, რადგან, მიღებული ცნობების თანახმად, იქაურ მცხოვრებლებს საკვები პურის ყიდვა არტანისა და ყარსის რაიონებში ეადვილებოდათ. შავშეთში ფულის დასარიგებლად გაემგზავრნენ ბათომის განყოფილების რწმუნებულნი (ბბ. ს. მდივანი და გ. ანჯაფარიძე), რომლებიც თან წაიღეს 2000 მან. საქველმოქმედო საზოგადოების ფული და ამდენივე საოლქო კომიტეტისა. ხალხი განსაკუთრებული სიხარულით ეგებებოდა ფულის დარიგებას. იგი საშინელი უბედურების შემდეგ პირველად ხედავდა შემწეთ და მათთვის გულშემატკივართ.

საკვებთან ერთად ხალხს აკლდა მარილი, საპონი, ნავთი და სხვა უსაჭიროესი საგნები. საზოგადოებამ ამასაც ყურადღება მიაქცია და იმთავითვე შეძლებისდაგვარათ ხალხს ხსენებული საგნები მიაწოდა. საზოგადოებამ დაარიგა აგრეთვე თბილი ტანისამოსი და საცვლები. ფულადაც ეხმარებოდა უფრო გაღატაკებულ ოჯახებს. მარტო ამ საქმეებით არ ისაზღვრება საზოგადოების მოქმედება საანგარიშო ხნის განმავლობაში.

საზოგადოება თავის ბათომის სარაიონო განყოფილების საშვალეებით აჭარიდან ჩამოსულ მრავალ პირს დიდ დახმარებას უწევდა და უწევს ეხლაც რჩევა – დარიგებით თუ სხვა პრაქტიკული საქმეების მოწყობით. აჭარა – შავშეთ – იმერხევში არ დარჩენილა კაცი, ჩვენი საზოგადოების შეძლებისდაგვარი მოქმედება რომ არ გაეგონოს. ბათომის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა და ქ. ს. საზოგადოებას შორის უკვე გაბმულია ქსელი, რომელიც, იმედია, მომავალში არა თუ დაწყდება, პირიქით, გაიზრდება და გასქელდება. მაგრამ დაზარალებულ მაჰმადიან ქართველობას კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი გასაჭირი და მოთხოვნილება აწვა თავზე. მას აკლდა სამეურნეო იარაღები მიწის დასამუშავებლად, რაც ხალხს მერმისათვისაც სიმშილს უმზადებდა.

ამ გარემოებასაც მიექცა ყურადღება. ხალხს გაეგზავნა თოხები, წალდ – ნაჯახები და სხ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ უსაღსრობის გამო ამ დარგში ფართო დახმარება ვერ მოეწყო და მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდა. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ სამეურნეო დახმარება ფართო მნიშვნელობით ყველაზე ნაკლებად იყო მოწყობილი.

**სიმშლის, სიცივის და სხვა უბედურების გამო გახშირდა ავადმყოფობა. ხალხს საექიმო დახმარება ეჭირვებოდა.** ბ.ს. საზოგადოებასთან დაარსდა საექიმო კომისია, რომელშიაც შევიდნენ ექიმები: **ი. ელიაშვილი** (თავმჯდომარე) **გ. მუხაძე**, **შ. მიქელაძე**, **პ.კაკილაშვილი** და პროვიზორი **ა. ახვლედიანი**. ზაფხულში მოწვეულ იქმნა ფერშალი **გ. კაჭახიძე**. ბინა გაიკეთა **ხულოში** (ზედა აჭარა). ხალხს ექიმობდა უფასოდ. წამლებსაც უფასოდ ამღებდა ავადმყოფებს. 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდის ჩვენს ფერშალს 869 ავადმყოფისათვის აღმოუჩენია დახმარება. როგორც ბათუმის განყოფილების მოხსენება აღნიშნავს, ჩვენ მიერ მოწყობილ საექიმო დახმარებას ხალხი მეტი ნდობით ეპყრობოდა და ეპყრობა. წინააღმდეგ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დამყარებული ჩვეულებისა, მკურნალთან საექიმო დახმარების მისაღებად მისვლას არ ერიდებოდნენ. **სექტემბრიდან ზედა აჭარაში ქალაქთა კავშირმა საავადმყოფო დაარსა და რადგან ჩვენი საფერშლო პუნქტი აუცილებელ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, იგი მოიხსნა.** ხოლო ჩვენი ფერშალი იქვე დარჩა ქალაქთა კავშირის სამსახურში, იმავე მოვალეობის ასასრულებლად.

ნივთიერ დახმარებას აჭარაში დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა მიეცა. **ქართველ მაჰმადიანებმა ქრისტიან ქართველებში დაინახეს თავისი მომმენი და მოჭირნახულენი, უბედურების დროს დამხმარე და მათი ჭირის თანამოზიარენი.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ (და მასთან ერთად ბაქოს ქართველობამ) თავისი რწმუნებულები (**ბბ. ქავთარაძე და პ. საყვარელიძე**) გაგზავნა აჭარაში ნამდვილი მდგომარეობის გამოსაკვლევად. ისინი, ჩვეულებრივი თვითნებობის გადაძვივით, დიდის ვაი – ვაგლახით ახერხებენ აჭარაში ასვლას... მთელი ბათუმის ოლქის ნახვა დამოუკიდებელ მიზნების გამო შეუძლებელი შეიქმნა. რწმუნებულებმა დაათვალიერეს მხოლოდ ნაწილი – სახელდობრ, **გონიის** ერთი კუთხე, **აჭარა** (ქვედა და ზედა) და **მაჭახელა. მათ მეტათ უნუგეშო და შემადრწუნებელი სურათი გადაეშალათ თვალწინ.** ქვეყანა სრულიად აოხრებული და სანახევროდ დაცარიელებული, სახლ-კარი გადამწვარი და ეზო-გარემო გაპარტახებული, დაბეჩავებული ხალხი უარესის მომლოდინე, დამშეული და აცრემლებული. მდგომარეობის შემოკლებული სურათი ბრძებისთვისაც კი ნათელი შეიქმნა, რომ ხალხი სრულიად უდანაშაულოდ აოხრებულა და ღალატის ბრალდებაც საზიზღარი ჭორია ბნელი ძალების მიერ გამოგონილ – შეთითხნილი. ეს არის ქართველი ხალხის მტერთა „ჯოჯოხეთური განზრახვა“.

დაწვას და განადგურებას გადარჩენილია **კინტრიშის ნაწილი – ქობულეთი** და რამოდენიმედი **იმერხევი**, თუმცა აქაც იშვიათია ადამიანი, რომელიც საერთო ომისაგან და კერძოთ, შემოსევისაგან არ იყოს დაზარალებული. **გონია**, ორიოდ სოფლის გარდა, სრულიად დაცარიელებულია. **დღევანდელ გონიის ციხის რაიონში, აჭარის წყლამდი, მთელი და დაუზარალებელი ოჯახი იშვიათი სანახავია.** სამხედრო მოსაზღვრებათა ძალით ხალხი რაიონიდან გაერეკათ. **სახლ – კარი განადგურებულია.** ძალიან ბევრგან ჯამეები დაქცეული და გაუპატიურებულია. შავშეთში გადამწვარია 15 ოჯახი. 600 სულამდე გადაკარგულია სადღაც. **ზედა – აჭარა** საერთოდ გადარჩენილია, მხოლოდ ზოგიერთ ოჯახებიდან არის თითო ოროლა კაცი წასული და ერთი – ორი ოჯახი გადაკარგული. **ქვედა – აჭარის დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით მაჭახელა (ხერთვისის სასოფლო ოლქი) ერთობ გადამწვარი და აოხრებულია.**

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ., №222.

## აჭარელთა საკითხი<sup>1</sup>

აჭარლების, ანუ უკედ ვთქვათ, ბათომის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა უნუგემო მდგომარეობა საშინელის სინამდვილით აღიმართა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე. აოხრებულ და მოღალატის სახელით მონათლულ ხალხისთვის საჭირო იყო ორნაირი დახმარება: **ნივთიერი და მორალური.**

უპირველესად საქველმოქმედო საზოგადოებას უნდა ეზრუნა აჭარლების ფიზიკურ არსებობისთვის. მთელს აჭარაში შიმშილი მძვინვარებდა და ხალხისთვის საზრდო იყო საჭირო. საშუალება საზოგადოებას არ გააჩნდა რა. მრავალი დაბრკოლება მაინც დამლეულ იქმნა და შეწირულების ორგანიზაცია მოეწყო. ამასთანავე, დაზარალებულთა საქმის გაძღოლის გასაადვილებლად დაარსდა განყოფილება **ქუთაისსა და ბათომში.** მუშაობა ნელ – ნელა გაჩაღდა.

პრესისა და საგანგებოდ გაგზავნილ კაცების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ **აჭარელთა აღარა გააჩნდათ რა.** საჭირო იყო გაგზავნა საზრდოსი, ტანისამოსისა, საქონლისა, სათესლისა, სამეურნეო იარაღ – მანქანისა, აღდგენა სახლ – კარისა და სხვა. ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებას ძალა არ შესწევდა. **აჭარასა და მაჭახელში** გაიგზავნა მხოლოდ 11 ვაგონი სიმინდი. საზოგადოების შესვლამ აჭარაში და იქ მოქმედების დაწყებამ გამოიწვია მთავრობის წრეებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება ომისაგან დაზარალებულ აჭარლებისადმი. ადმინისტრაციამ დაუწყო დახმარების აღმოჩენა დამშეულებს სიმინდით და ფულის დარიგებით. ბათომის საოლქო კომიტეტმა, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქ.ს.საზ. ბათომის განყოფილების წევრები, გააცხოველა და გააფართოვა თავისი მოქმედება. საეროთა კავშირმა უფრო საექიმო დახმარების აღმოჩენას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ზოგიერთ ადგილში სურსათის მიწოდებასაც კისრულობდა. მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამაც აღმოუჩინა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს დახმარება. შემდეგ მოვიდა **ქალაქთა კავშირი...** ამნაირად ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უკან გაყვა აჭარაში მთელი წყება საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, რამაც ერთობ გააფართოვა და გააღრმავა ცოცხლად გადარჩენილ, **ღვთის ანაბარად მიტოვებულ აჭარლების დახმარების საქმე.** თაოსნობა და ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელსაც უფრო მეტის საქმის გაკეთება შეეძლო, მაგალითად, შეტანა საზრდოსი აჭარაში, მაგრამ რკინიგზის მოუწყვრეგებლობა და ფორმალური ადმინისტრაციული დაბრკოლებანი ხელს უშლიდა.

აჭარაში მიტანილ სიმინდის გასანაწილებლად სოფლებში დაარსდა სასოფლო კომისიები, თვით სოფლელთა მიერ არჩეული, ხოლო **ხულოსა და ქედაში** შედგენილ იქმნა მთავარი საუბნო სასურსათო კომისიები, რომელნიც სურსათის განაწილებას თვალყურს ადევნებდნენ და ხელმძღვანელობდნენ. სიმინდს ხალხი დიდის სიამოვნებით იღებდა და ამ მოვლენაში ხედავდა სულიერს დაკმაყოფილებასაც.

**შავშეთ – იმერხევი,** სადაც სიმინდს არ ეტანებიან და პურით იკვებებიან, საზოგადოებამ რწმუნებულთა ხელით **ფული დაარიგა,** რადგანაც აქაურ მცხოვრებთ, მიღებულ ცნობების თანახმად, პურის ყიდვა არტაანისა და ყარსის ოლქში ეადვილებოდათ.

ხალხს საზოგადოება, ამას გარდა აწოდებდა, შემღებებისდაგვარად, მარილს, საპონს, ნავთს და სხვა უსაჭიროეს საგნებს. დაურიგა, აგრედვე, თბილი ტანისამოსი და საცვლები. ფულადაც ეხმარებოდა გაჭირვებულ ოჯახებს.

<sup>1</sup> წინა სტატიის მსგავსია. დაბეჭდილია სხვადასხვა გაზეთში.

საზოგადოებამ, აგრედვე, ყურადღება მიაქცია სამეურნეო იარაღების საჭიროებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დარგში თავისი მოქმედება ფართოდ ვერ განავითარა ნივთიერ ხელმოკლეობის გამო. ეს კი მოახერხა, რომ ხალხს დაურიგა თოხები, ნაჯახი, წალღები და სხვა.

საზოგადოებასთან დაარსდა საექიმო კომისიაც შიმშილ – სიცივისა და სხვა უბედურებით გამოწვეულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად. **ხულოში დაარსდა საექიმო პუნქტი** და კიდევ არსებობდა იმ დრომდე, სანამ იქ ქალაქების კავშირმა საავადმყოფო არ გახსნა.

არც იურიდიული დახმარება მოუკლია საზოგადოებას აჭარლებისთვის. მკითხველთა ეხსომებათ **აჭარელთა პროცესები**, რომლის დროსაც აჭარელთა დამცველებად გამოდიოდნენ **ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის ქართველი ვეჟილები**. ზოგს თვითეულ პროცესში თვეობით უხდებოდათ მონაწილეობა. ქართველმა მაჰმადიანებმა აქ უფრო ნათლათ იგრძნეს, თუ როგორის ძმურის და გულწრფელის თანაგრძნობით ეპყრობოდნენ მათ **ქრისტიანი თანამომხმენი**.

აღსანიშნავია, აგრედვე, რომ საანგარიშო (1915 წელს) საზოგადოებამ დაბეჭდა ქართულ – რუსული გაზეთი – აღმანახი „**ძმური სიტყვა**“ და გამოსცა, ა.წულაძის წიგნი „**ძმური სიტყვა ქართველ მუსულმანებს**“, რომლის შემოსავალიც ქართველ მაჰმადიანთა საჭიროებას მოხმარდა.

საანგარიშო წელს საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია, აგრედვე, დამშეულთ, დაზარალებულთ, შემოხიზნულთ და ომიანობისაგან დაზარალებულთ და ბევრს სხვა მხარეს ქართველთა გაჭირვებულ ცხოვრებისას, მაგრამ ამაზე შემდეგ.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 690. გვ. 3.

## ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში

(წლიურ კრებისთვის)

ამ დღეებში გაიმართება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ამ მნიშვნელოვან საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1915 წლის განმავლობაში.

მოგვყავს საგულისხმო ცნობები საზოგადოების მოქმედების წლიური ანგარიშიდან:

საზოგადოების დღევანდელი გამგეობა არჩეულ იქმნა 1914 წლის 21 დეკემბერს.

ეს ის დრო იყო, როდესაც დღევანდელი საერთაშორისო ომის ტალღები საშინელი სიძლიერით მოასკდა ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით უბედურება დაატყდა თავზე საქართველოს განაპირა კუთხეებს, ოსმალეთის საზღვრით. მთელი **სამაჰმადიანო საქართველო** და კერძოდ: **აჭარა, შავშეთ – იმერხევი, კლარჯეთი** (საერთოდ ბათუმის ოლქი) ომის **ასპარეზად გადაიქცა**. ქვეყანა აოხრდა. ხალხის სახლ – კარი სარჩო – საზადებელი, მისი ოფლისღვრით შექმნილი **სიმდიდრე ცეცხლმა შთანთქა**. ომის **გახელებული სტიქიონი ანადგურებდა ყოველივეს**. თავზარდაცემული **ხალხი იქით – აქით იფანტებოდა**. მრავალი **ხალხი იძულებული შეიქმნა გადაკარგულიყო, მშიერ – მწყურვალი და შიშველ – ტიტველი**. მრავალიც დაწყდა. ვინც გადარჩა, სახელდობრ, აჭარასა და შავშეთში, საშინელ გაჭირვებასა და შიშს განიცდიდა. ტყვია – წამლის კვამლი ჯერ კიდევ არ დაფანტულიყო.

ქართველ ხალხს თავი გამოედვა განადგურებულ თანამომხმეთა გადასარჩენად. საჭირო იყო საჩქარო ნივთიერი დახმარება, ვინც დარჩა, იმათ მისაშველებლად. მდგომარეობა თხოულობდა მათთვის დაუყოვნებლივ ხელის გაწოდებას. **საჭირო იყო თბილი გრძნობების ალაპარაკება და ძმური სიტყვის მტკიცედ თქმა ოზლად დარჩენილ აჭარელთა გასამხნეველად და წელში**

გასამართავად. მაგრამ ამას აბრკოლებდა ორნაირი გარემოება: გარეგანი და შინაური. **აჭარლების სასარგებლოდ თავისუფლად ხმის ამოღება ფაქტიურად აკრძალული შეიქნა.** ისინი „მოღალატეობის“ სუდარაში გახვიეს და მით მოინდომეს თანამომძმეებისთვის გზის შეკვრა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარების საქმეში. ამასთან საზოგადოების ზოგიერთ წრეებში ერთგვარი შიში და რყევა ბატონობდა, რაიცა აფერხებდა საზოგადოებრივ გამოსვლას და ორგანიზაციულ შეკავშირებას **ქართველ მაჰმადიანთა დახმარებისათვის.** ეს მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტი იყო, მაგრამ საზოგადოების მოწინავე ელემენტებმა და ქართულმა პრესამ აჭარელთა საკითხისადმი საყოველთაო ყურადღება გამოიწვია და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამოქმედოდ მოითხოვა ხალხის ცოცხალი ძალები. აი, ამ დროს ხვდა წილად ახალ გამგეობას მუშაობის დაწყება. გარდა განადგურებული **აჭარისა,** მეტად შევიწროებული იყო მთელი საქართველო, დამშეული და ომისაგან არაქათ – გამოლული.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. №1 690, გვ. 3.

### **მაჰმადიანთა ცხოვრება**

გასულ 1915 წ. ფრიად საყურადღებო კვალი დასტოვა მაჰმადიანთა ცხოვრებაში. შარშან არაჩვეულებრივად ამოქმედდა თითქმის ყველა მაჰმადიანთა საზოგადოებანი.

მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედება. გასულ წელს ომმა დააზარალა მთელი ყარს – არდაგანის ოლქის მაჰმადიანები. საქველმოქმედო საზოგადოებამ მათ საშველად არაჩვეულებრივი ენერჯია გამოიჩინა. დაზარალებულთ მიაწოდეს, როგორც საკვები, ისე სათბილო ტანსაცმელი. აგრეთვე, ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებამ შარშან უყურადღებოდ არ დასტოვა **აჭარლები.** იქ გაგზავნილმა ექიმმა **სულთანოვმა** თითქმის მთელი აჭარა მოიარა და მცხოვრებთაც შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინა.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ., №2.

### **ოსმალეთში დაპყრობილ მიწების ბედი**

მეფის მოადგილის თანაშემწეს **გენერალ იანუშკევიჩს** შემდეგი ბრძანება გამოუცია:

– „რუსის ჯარისაგან დაპყრობილ ნაწილში ოსმალეთის ქვეშევრდომთაგან ზოგი გაჰყვა უკანდახეულ ოსმალეთის ჯარს, ზოგი შეიხიზნა მიუწვდომელ ხეობებში და ზოგიც რუსეთის საზღვრებში გადმოიხვეწა. კავკასიის ჯარის მთავარსარდალმა გაიგო, რომ უპატრონოდ მიტოვებულ მიწების მისაკუთრებას ცდილობენ როგორც ადგილობრივად დარჩენილი მცხოვრებნი, ისე გადმოხვეწილები, რომელნიც ან ნებადაურთველად ან და ნებართვით გაჩნდნენ დაპყრობილ ადგილებში და იმედიც აქვთ, რომ უპატრონო მიწებს დაჩემებით, ძალით, შეინარჩუნებენ.

მეფის მოადგილემ მიიღო რა მხედველობაში, რომ რუსის მთავრობა საკმაოდ ზრუნავს დაპყრობილ ოსმალეთში დარჩენილ მცხოვრებზე და ყოველწლიურად რამოდენიმე ათეულ მილიონს ჰხარჯავს მათზე, ყოვლად შეუწყნარებლად სცნო უპატრონოდ დატოვებულ მიწების მისაკუთრება და ბრძანა: გამოეცხადოს მცხოვრებთ, რომ უახლოეს მომავალში დაპყრობილ ადგილებში დაინიშნება სამოქალაქო გამგეობა, და მაშინვე ყველას, ვინც უკანონოდ დასახლებულან სხვის მიწებზე, ადგილიდან აჰყრიან; აჰყრიან, აგრეთვე, იმათაც, ვისაც ეს ადგილები შეუძენია ნასყიდობით ან სხვა რაიმე საშუალებით.



უპატრონო მიწები ამიერიდან მიეცემა მხოლოდ მკვიდრ მცხოვრებთ, ისიც მთავრობის ნებართვით და მხოლოდ იჯარით“.

იმედია, გენერალ იანუშევიჩის ბრძანება მაინც ბოლოს მოუღებს იმ უკანონობას, რომელსაც სჩადიან დაპყრობილ ოსმალეთში და კერძოდ, ლაზისტანში დაბრუნებული სომხები: მათ მოინდომეს, მითვისება როგორც უპატრონო მიწებისა და სახლ – კარის. ისე ყოველივე მოძრავ ქონებისა, და იმედიც ჰქონდათ, რომ მითვისებული ისევე შერჩებოდათ, როგორც შერჩათ წარსულ რუს – ოსმალის ომის დროს ყარსის და ბათუმის ოლქებში ნადავლი.

გაზეთი „საქართველო, 1916 წ., №168.

#### **დ. კახელი (დავით ვაჩნაძე) აჭარელთა შაბათი**

შაბათს, 13 ივნისს, ქართული საქველმოქმედო საზოგადოება სახაზინო თეატრში მართავს დიდ საღამოს, რომლის შემოსავალი ჩვენ მოძმე აჭარლებს უნდა მოხმარდეს.

რომელ ქართველს არ ასტკივა გული საქართველოს ამ მშვენიერ კუთხის აოხრების გახსენებაზე, რომელ ქართველს არ მოადგება ცრემლი თვალს ამაყ და კეთილშობილ აჭარლების აწიოების მოგონებაზე!

მაგონდება ერთი სურათი.

კოპწია აჭარლის ფაცხასთან სდგას მაღალი, ღრმად მოხუცებული, ჭადარა აჭარელი.

საუცხოვო, ლამაზ შეხედულობისა. მიჰყუდება თავის სახლის დერეფნის სვეტსა და კითხვით შემოგვეყურებდა:

– ვინა ხართ, რისთვის მოდიხართ? – გვეკითხებოდა მისი თვალები, როდესაც მიუახლოვდით მას.

– გამარჯობა, მოხუცო!

– გაგიმარჯოთ...

– ეს რა სოფელია?

– კ.....ი

– სად არის სოფლის ხალხი?

ეჭვით შემოგვხვდა და მიიხედ – მოიხედა...

– ნუ გეშინიან, შენი ძმები, ქართველები ვართ... განა არა ხედავ?!

– არა, ბატონო... თქვენი არ მეშინიან. ხალხი? სად არის ხალხი... მამაკაცი ბევრი დაიღუპა.

**დედაკაცები და ბაღანები აქეთ – იქით კლდე – ღრეებში მიიმალა. მეც ხუთს ჩემს შვილისშვილს ვპატრონობ. მამა მოუკლეს, დედა ჭკუაზე შესცდა და მოკვდა. დავრჩი მე, მოხუცი, ხუთი ბაღანით.**

– სადა გყვანან?

– აქვე ახლოს არიან.

– არ შეიძლება დაუძახო?

– რატომ, არა! – სთქვა მოხუცმა და ჩქარის ნაბიჯით სახლს მოეფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ თავს წამომადგა ხუთი მშვენიერი ბავშვი – ორი ვაჟი და სამი ქალი. საუცხოვო სილამაზისა, შავთვალეებიანი, ხუჭუჭთმებიანი; ბავშვები ებლაუჭებოდნენ თავის პაპის განიერ ნაოჭებიან შარვალს და შიშით შემოგვეყურებდნენ. ლამაზ სახეებზე ეტყობოდათ ტანჯვა და შიმშილი. ერთმა დაუწყო პაპას ჩოჩხოლი.

– რა გინდა, გოგო? სირცხვილია, გამეცალე! – ეუბნებოდა მოხუცი.

ალი – დედე! (დედე – ბაბუა)

– მშიან, მშიან!.. – ევედრებოდა ბავშვი.

– ჩვენცა გვშინ, ალი – დედე (ბაბუა)! – ერთხმად შესძახეს სხვებმაც.

– საბრალო ალი იდგა გაჩუმებული, გათეთრებული, დატანჯული.

– რა გიყოთ, ბაღანებო! აი, იქნება ჩვენს ქართველ ძმებს ჰქონდეთ პური... ბატონო, ცოტა პური გექნებათ... ბაღანები ერთი კვირაა ასე მშიერნი მყვანან... ვაი, რა დღეში ჩავარდით, რა დღეში!.. – ამბობდა მოხუცი ალი და თან სტიროდა.

ამ სცენის დანახვამ ყველანი აგვადლევა. მაშინვე ყველანი ერთმანეთს ვეცით, იქნება ვისმე თან პური წამოეღო. მაგრამ ნამცეცეც არავის ჰქონდა. მაშინვე ვაფრინეთ კაცი და ნახევარ საათის შემდეგ ორი ვეებერთელა სალდათური პური მოარბენინა. გადავეცი მოხუც აჭარელს.

საბრალო ალიმ დიდის მადლობით და ლოცვით ჩამომართვა, შემოისხა თავის გარშემო ხუთი შვილისშვილი, მოუჭრა თითო ლუკმა და თვალცრემლიანი, სიყვარულით შესცქეროდა ბავშვების სიხარულს.

ასეთ დღეშია დღეს მთელი აჭარა. იგი სავსეა ობოლი ბავშვებით, ავადმყოფ დედაკაცებით, მოხუცებით. ყველანი შიმშილსა და ტანჯვას განიცდიან. საჭიროა შველა და დახმარება. ქართველობა თავის ძველ ძმებისთვის, ვიმედოვნებთ უხვად გამოიღებს თავის წვლილს აჭარელთა სასარგებლოდ... ასეთ განწირვის დღეებში ერთმანეთის მხარის დაჭერას ერთსულოვნობას და ერთობას დიადი მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენი ძალა და მომავლის ხსნა ერთობაშია.

მაშ, მივცეთ ხელი შველისა ჩვენს დარბეულ და მშიერ აჭარას, მივცეთ ნუგეში გამოცოცხლებს! წავიდეთ აჭარელთა საღამოზე და დავიხსნათ სიკვდილისაგან ალიას შვილიშვილები.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ., №17

### **დ. კახელი (დავით ვაჩნაძე) აჭარის კლდეებიდან (ნახული და გაგონილი)**

– ეხლა რაღა უნდა გაიმბოთ? აჭარა აღარ არსებობს... გინდ დაგაჯეროთ, რომ აჭარლები უდანაშაულონი არიან, ამ საბრალოებს მაინც რაღა ეშველებათ! – მწყრალად ვუპასუხე რუს ოფიცერს.

– ან რა უნდა გაიმბოთ?! ნუთუ, თქვენთვის, განათლებულ კაცისათვის, საჭიროა მტკიცება, რომ ასე მდიდრათ და მრავალის საუცხოვო დოვლათით მოწყობილს აჭარელს არ შეეძლო საავანტიურო გზას დასდგომოდა და აოხრება-განადგურებისთვის მიეცა თავისი მრავალწლოვანი ტანჯული ნამუშევარი ამ სალ კლდეთა ქვეყანაში?

– ოსმალთა და აჭარელთა სარწმუნოების ერთობამ აჭარლები გაიტაცაო... – ასე ამბობს ზოგი მტერი აჭარლებისა.

მეოცე საუკუნეში ამის მტკიცება დიდი უჭკუობაა. მაშინ იმის მტკიცებაც შეიძლება, რომ რაკი რუსები და ქართველები ერთმორწმუნე ერნი არიან, უკანასკნელისათვის საკუთარი ინტერესები აღარ არსებობს? ეს დიდი შეცდომაა. დღეს ეროვნულ – ეკონომიური ინტერესები იმ მთავარ ღერძს შეადგენენ, რომლის გარშემო ყველა თანამედროვე ერთა ცხოვრება დასტრიალებს. გერმანია-ოსმალეთის დაქორწინება და რუსეთ-ბულგარეთის გაყრა საუკეთესო მაგალითია ამისა.

აჭარელთა ყოველგვარი ინტერესი გადაბმული იყო საქართველოსთან. ძველ დროიდან იგი ეთნიურად, პოლიტიკურად და ეკონომიურად საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ისტორიის დროთა მსვლელობაში აჭარა პოლიტიკურათ დროებით მოსწყდა საქართველოს და სარწმუნოებაც იცვალა. მაგრამ ამ ორმოცი წლის წინად იგი შეუერთდა მას და მჭიდროდ გადაება საქართველოს. თუმცა ბრძენი პოლიტიკოსები „თათრებად“ ნათლავდნენ იმათ და ჩვენსკენ ზურგი მოაბრუნებინეს ზოგიერთა აჭარელთ, მაგრამ მაინც აჭარა საქართველოსკენ იხედებოდა და უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ეკვროდა თავის სამშობლოს. ამიტომ ოსმალთა პანისლამიზმის ქადაგებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. მათი „ღალატი“ სულ სხვა მხრივ ისახება. რუსები წავიდნენ და უპატრონოთ მიატოვეს აჭარლები. ოსმალები მივიდნენ და ტყვია – ხიმტებით დაეპატრონენ.

ოსმალები წავიდნენ აჭარიდან და ნახევარი აჭარა ძალდატანებით წინ გაირეკეს, მერე რუსები დაბრუნდნენ და უმთავრესი ნაწილი დარჩენილ აჭარლებისა მათვე გადარეკეს.

– რათა, რა მოხდა? ... ვიღაცეებმა სიტყვა გადმოისროლეს: – აჭარლებმა გვიღალატესო!

ეს ის ვიგინდარები იყვენ, ვისაც აჭარის „ღალატი“ ხელს უთბობდა, ვისაც მდიდარ აჭარელთა მამულ – დედულის ოხრად ხელში ჩაგდება უნდოდა. რა თქმა უნდა, მოეწონებოდათ მშვენიერი შავი ზღვის ნაპირები, მაგალითად, გონიის საბოქაულო, აღსავსე ლიმონების, ფორთოხალისა, და ზეთისხილის ბაღებით.

ზოგი შინზრდილი ჩინოსანი პოლიტიკოსი ასე სჯიდა: – სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ ეს ქვეყანა გაგვეთავისუფლებინა საექვო აჭარლებისაგან და ჩრდილოელი კოლონისტები დაგვესახლებინაო.

როგორც ხედავთ, ეს „ღალატი“ ბევრისთვის საჭირო იყო. და აკი შეჰქმნეს კიდეც. ამის შედეგს ხომ თქვენვე ხედავთ. აი, ჭოროხში მოცურავს დოვლათი დანგრეულ – გადამწვარ აჭარისა, რომელზედაც თქვენ მითითებდით. ისტორიას სიმართლე არ დაემალება.

– სად არიან ეხლა აჭარლები? – ვინც მოასწრო და ამ საფქვავ ქვეებს გამოუსხლტა, ბათომ – ქობულეთს შეაფარა თავი, ბევრი აჭარელი თავის საშინელ კლდე – ღრეებში იმალება და შიმშილით კვდება. ზოგი კი ყაჩაღად გავარდა და არემარეში დათარეშობს, ხან ცალ – ცალკე და ხანაც ოსმალებთან ერთად. ამიტომაც გვეკითხებიან ზოგიერთები: – მაშ, რა არის თუ არა ღალატიო?

საბრალონი... მაგრამ ამაზედ, მგონი, თქვენ თვითონ უპასუხებთ ეხლა... ეს, გაჩუმებული პრაპორშჩიკი ყურს მიგდებდა.

– თქვენ მომწონხართ! – უცებ პასუხის მაგიერ შემომძახა მან... გაკვირვებულმა შევხედე. მან განაგრძო:

– მომწონხართ, როგორც ნამდვილი ქართველი, როგორც შვილი ამაყი ქართველისა. თქვენი კეთილშობილი აღზრდა გალაპარკებს ამას; გეცოდება უდანაშაულო აჭარლები; იცი, რომ ეს ე.წ. ბრალდება – „ღალატი“ მოგონილია. ამ ხელისუფლებას ხალხის დასაშინებლად აქვს მოგონილი, რომ აჭარლები აჭარიდან გაიქცნენ და ეს ლამაზი მიწა სხვა ხალხს ჩაუვარდეს ხელში, ქრისტიანები მომრავლდნენ ამ მხარეში. ამჟამად ჩვენ – რუსები უსამართლობას ჩავდივართ, ჩვენ – რუსები უსამართლო ხალხი ვართ, მაგრამ ეს ჩვენი ბუნებრივი თვისება კი არ არის. ეს ჩვენი უცოდინარობით მოგვდის. ამით ბევრ საქმესაც ვიფუჭებთ. ბოდინს ვიხდი, თქვენმა პირვანდელმა სიტყვამ დიდი სურვილი გამიღვიძა აჭარელთა საკითხის დაწვრილებით გაცნობისა. თუ შევხვდით სადმე ერთმანეთს, გამლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მართალს გავიგებ და არც დაგიმალავთ. ეხლა კი ნახვამდის, – სთქვა პრაპორშჩიკმა, მხედრულის სალამით გამომესალმა და აჩქარებული ნაბიჯით თავის სამთო ზარბაზნებით გაეშურა შორით გამოჩენილ ართვინისაკენ.

ორი კვირის შემდეგ, საღამო ჟამს ართვინის ერთი სახლიდან ვიღამაც გადმომძახა. ფანჯარაში ნაცნობი პრაპორშიკი ხელს მიქნევდა და სახლში მპატიჟობდა. ჩამოვედი ცხენიდან, შევედი, მივესალმე. პრაპორშიკმა მაგრად ჩამომართვა ხელი და მითხრა:

– თქვენ მართალი ყოფილხართ. აქ რაღაც დიდი უბედურება ხდება. მე ვნახე დღეს დატყვევებული აჭარლები. **რა მოხდენილი და ლამაზი ხალხია!** ჩავერეი და ლაპარაკი დაუწყე. უნდობლად მიპასუხებდნენ. ერთი ნამეტან წარბშეხრილი და ხნიერი აჭარელი გაბედულათ წინ წამოდგა და რუსულათ მითხრა:

– „თქვენ უდანაშაულო მშრომელ აჭარლებს ყელეები დასჭერით. იქნება ამ სამსახურისთვის?“

– და თან რამდენიმე ჩვენი ჯილდო – მედალი ამოიღო. **მათ შორის ერთი იაპონიის ომისა იყო.**

ძალიან მეწყინა. ეხლა ამ ხალხს **ბათომისაკენ** მიერეკებინ. საჭიროა მათი დახმარება. სამართალში მისცემენ. კაი ვეჭილები უნდა ჰყავდეთ, თორემ დაიღუპებიან. აცნობეთ თქვენებს. საქმეში ყველა პატიოსანი რუსი დაგეხმარებათ. – მეუბნებოდა აჩქარებით პროპორშიკი და თანაც ხელი მაგრად ჩამჭიდა.

– დაგვეხმარება კი? – ეჭვით შევეკითხე კეთილ რუსს.

– უსათუოდ! უსათუოდ! – მეუბნებოდა იგი.

– მაშ, ამას მალე ვნახავთ, და როცა ისევ შევხვდებით, არც მე დაგიმალავთ სიმართლესა, – ვუპასუხე მას და გავემურე პოზიციებისაკენ.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ., №31.

### **ჯავახი (გიორგი მუმლაძე) წერილი ბათომიდან**

ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ, როდესაც რომელიმე მხარეს უბედურება რამ დაატყდება თავს, შეირყევა მისი მყუდროება და კრიტიკულ ხანას განიცდის. დიდი არევ – დარევა ხდება, როდესაც ძალზე დაჭიმულია მცხოვრებთა ნერვები და აღარავის სცალიან ყურადღება მიაპყროს ჩვეულებრივ მოვლენათ. როდესაც თვით ცხოვრების მიმდინარეობა აღარ ეტევა თავის კალაპოტში და ნაპირებიდან გადმოხეთქას ლამობს. სწორედ, ასეთი დროთი სარგებლობენ საზოგადოების ნამირალანი და ზედმეტი ხორცნი, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ხალხს და მთავრობას არ სცალიანთ მათთვის და მღვრიე წყალში თევზს იჭერენ; გამომზეურდებიან ბნელი ძალები და დათარეშობენ ცხოვრების ზედაპირზე, ღრმად დარწმუნებულნი, რომ ვერავინ მიაგნებს მათ კვალს და დაუსჯელნი დარჩებიან.

სწორედ, ასეთ გასაჭირს განიცდის დღეს – დღეობით ჩვენი სამშობლო: საქართველოს ყოველი მხრიდან მოისმის, რომ სიმშობილი – მანამდე ჩვენი ქვეყნისთვის უცხო სტუმარი – ახლა მუდმივ თანამგზავრად გადაგვექცა; დიდია და აუწარელი ხალხის გაჭირვება და ტანჯვა – წამება: **სოფელს ვერ ნახავს ადამიანი, შავი ძაძით არ იყოს მოსილი; ოჯახს ვერ შეხვდებით, რომ ომში მოკლულს ან დაკარგულს არ გლოვობდეს;** დასახიჩრებულთა რიცხვი ხომ აუარებელი დასწოლია ოჯახს ზედმეტ ბარგად.

მიწის ერთი – მესამედი დათესილია, მხოლოდ მუშა არა სჩანს, რომ მთელი წლის თუ არა, 3 – 4 თვის სამყოფი ჭირნახული მაინც გაათავისუფლოს მორეული ბალახისაგან და გამომარგლოს, რომ კარიკარ მათხოვრობა არ დასჭირდეს...

მაგრამ ასეთი უბედურება ბევრი გადუტანია ჩვენ ხალხს და კიდევ გაუმკლავდება; ყველა ეს მოსატანი არ არის იმ სისამაგლესთან, როდესაც ასეთ უნუგემობისა და სასოწარკვეთის ჟამს

აღმოჩნდებიან ისეთი ზნედაცემული და გახრწნილნი, რომელნიც სხვისი ხელით გლეჯენ ნარ – ეკალს, რომელთაც თავიანთი უგვანო მოქმედებით კიდევ დეზორგანიზაცია და არევ – დარევა შეაქვთ ცხოვრებაში, საფუძველს აცლიან მშვიდობიან ცხოვრების მყუდრო ოჯახს და შიშის ზარსა სცემენ საზოგადოებას.

მე მოგახსენებთ ისეთ მოვლენაზე, როგორსაც აპრილის ოც რიცხვებში ჰქონდა ადგილი **ბათომში**: ორი – სამი დღის განმავლობაში ბათომის საზოგადოებაში ყველასგან პატივცემულმა ადამიანმა და სათაყვანებელმა ექიმმა **პლ. გიგინეიშვილმა, დ. კანდელაკმა, ვაჭარმა ნ. საბაევმა** და სხვებმა უსახელო წერილები მიიღეს, რომლებშიც ემოქრებოდნენ: ფული (500 – 600 და მეტი) ამა და ამ ადგილს მოიტანეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილი მოგელითო; ადგილობრივ უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის ინსპექტორს კი ატესტატის სამი ჩამოუწერიელი ფურცელი მოსთხოვეს ხელმოწერილი და სასწავლებლის ბეჭედდასმული.

მდგომარეობიდან განურჩევლად მთელი საზოგადოება აღშფოთებული იყო უტიფართა საზიზღარი საქციელით, მით უმეტეს, რომ ქვემდრომთ მსხვერპლად ამოირჩიეს საზოგადოების რჩეულნი და საპატიო პირნი. ყველა ამან პოლიციის ყურამდეც მიაღწია და მოუთმენლად ელოდნენ შედეგს, მაგრამ მაისის 19 რიცხვამდე ყველაფერი ბურუსით იყო მოცული.

19 მაისს კი დანიშნულ ადგილს მივიდა ფულის წამოსაღებად „თავისუფალი მოლაშქრე“ (вольноопределяющиеся) ვიღაც **ხუნდაძე**, რომელიც იქვე შეიპყრო პოლიციამ და გამოტყდა კიდევ ყველაფერში, რომ წერილები მას დაუგზავნია.

საქმე გამომძიებელს გადაეცა და იმედიც აქვთ, რომ მის ამხანაგებსაც აღმოაჩენენ.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა თვით საზოგადოების ჩარევა ყოველთვის, რომ ხელი შეუწყოს ბოროტგანმზრახველთა აღმოჩენას; ეს კი ხელს შეუწყობს იმ გარემოებას, რომ გაიწმინდება საზოგადოება მავნე ელემენტებისაგან.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ., № 119.

### **კაპიტონ დ. ბაქრაძე ტყვე მაჰმადიანი ქართველის ნაამბობი**

გთხოვთ შემდეგის დაბეჭდვით საშუალება მომცეთ, მოვუწოდო – **ყარაურგანიდან** დაწყებული, **ტფილისამდის** მყოფ სამკურნალო დაწესებულებებში მოსამსახურე ქართველებს, რომ პოზიციებიდან წამოვიდა ეტაპით მაჰმადიანი ქართველი ოსმალეთის ტყვე **ოსმან ჰაჯიშვილი** და მიაქციოთ ყურადღება...

დაჭრილია ბეჭში, კიბკიბის ქვეშ აქვს ტყვია მოხვედრებული და გასულია ბეჭის ფრთაში უკან... არის მაღალი, ნაყვავილები, ქერა თმით და პატარა ულვაშებით. 35 წლის მოხდენილი ვაჟკაცია; შედარებით სხვა ტყვეებთან, უკეთ აცვია; **თვითონ ეძებს ქართველებს**, და ყველას ეხვეწება, ქართველი თუ სადმეა, მომიყვანეთო...

ივლისის 25 – ი რიცხვი იყო. რამოდენიმე ასეული დაჭრილი მოაყარეს ჩვენს მოძრავ ჰოსპიტალს, სანგრებიდან, **მუშთან** შეტაკების დროს. გადასახვევებამბის კარავთან შესახვევ მასალას მივარბენინებდი. უცებ მიწაზე დაყრილ დაჭრილთა შორის ტყვეები შევამჩნიე. შევჩერდი, მინდოდა მათში სახითა და თვალებით **მეცნო ქართველი**. ამ დროს ჰოსპიტლის ზედამხედველმა

ქართულად „გამარჯობა“ დაიძახა. „გაგიმარჯოს“, ვერ მოვასწარი, რომ ერთმა ტყვემ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავი ასწია, წამოვარდა და ზედამხედველთან მიირბინა...

– „შენი ჭირიმე, ეფენდი, ქართველი ბრძანდებით, მომეშველეთ, ხუთი დღეა არ გადაუხვევიათ და მხარი დამიზარალდება, უბრძანეთ, შემიხვიონ დაკოდელი ალაგო“.

ზედამხედველმა ოსმალურად უპასუხა (სომეხია): – „მე ქართული ცოტა ვიცი, იმას მიმართეო“ და მიუთითა ჩემზე. მან პირი მოიბრუნა და დარცხვენით შემომხედა. მეც მივედი, დავამშვიდე და ზომები მივიღე, მალე შეეხვიათ ჭრილობა. ორ – სამ დღეს დარჩა ჰოსპიტალში. გამოსაგზავნი ურმები არ გვყოფნიდა; მერე ხომ ტყვეებს ყველაზე უკანასკნელად მიხედავენ ხოლმე. ამ სამი დღის განმავლობაში შესანიშნავ სულის სიდიადესა და თავმოყვარეობას იჩენდა; ერთიც არ წამოუკვნიდა. ღამე გარედ მიწაზე იწვა და დავეკითხე: – წამოდი ჩემთან, ბინაზე დაგაწვენ, ნებას მომცემენ, მე რაკი ხელს მოვაწერ, რომ შენ არ გაიქცევი – მეთქი...

– არა, შენი ჭირიმე, ეფენდი, აქ თბილა, არა მიშავს გარეთაც; მერე ჩემს მეტი პატრონი არა ჰყავთ ამ საბრალეობს. ნახე შენი ლამაზი თვალით, რამდენი კაცია მთლად დაგლეჯილი. მე რომ შენთან წამოვიდე, იდარდებენ, დაგვტოვაო, და ფინთ სიტყვას იტყვიან. სულ იმა მკითხავენ: – „რუსები მოგვკლავენ? რუსები გვირტყამენ?“ მე კი ვანუგეშებ. აი, ის ჯეელი ყაზილარები რომ კივიან, ტირიან, სულ ბავშვებია, 17 – 18 წლის: ფაშვი და ჯიგარი გაფრეწილი აქვთ. მალე მოკვდნენ სჯობია, წვალობენ, ბრალთა; კიდევ იმას მკითხავენ: – „რუსი არ მოგვკლავს?“ – და გაიცინა მწარედ ოსმანმა...

– სადაური ხარ? – ვკითხე მე.

– სინოპიდან ვარ, ეფენდი.

– ბევრია ქართველი სინოპში, კერასუნდში?

– ბევრია, ბევრი.

– ქართველებს უძახით თქვენს თავს?

– რავა, ეფენდი! აბა, ვის დავუძახებთ თავს?! თურქი გურჯს გვიძახის. ჩვენ კი ქართველი, ლაზი. „გურჯი“ – ასე ჰქვიან ჩვენ ხალხს.

– ქართული ყველამ იციან? – ვკითხე.

– ლაზებმა არა. მისი სხუა ენაა... ჩვენ კი გურჯები სულ, სულ, ჰეივალა ეფენდი: ხანუმმა, ბიჭმა, ბოვშმა, გოგომ, ოსმალური არ იციან. სულ ქართულს და კაი ქართულს იტყვიან... მე კაი ქართული არ ვიცი. სულ ჩხუბში ვარ, ტრიპოლიში, იტალიაში. ბულგარეთში, ურუმში (საბერძნეთი), გალიპოლისში...

– ქართველებს როგორ გეპყრობიან ოსმალეთში?

– კარგად, ეფენდი. ოსმალთა ურიგო კაცი არ არის. ეს არის ბელა, რომა არც ერთ გურჯს ასკერობიდან არ გაუშვებენ, სულ მიჰყავთ ცხენით, ფეხითაც... როცა ჩხუბი არ იყო, 30 თუმნად თავს გამოიყიდდი, ახლა კი მე 80 თუმანიც ვაძლიე, არ გამიშვეს. რაც კარგი ჯარია, სულთანის ჯარია, სულ გურჯი ასკერია...

– წერა – კითხვა იცი?

– თურქული – კი, ეფენდი. რა ამბავია გაზეთებში, შენ ყველაფერი იცი. მე კი ალთმიშ (სამოცი) დღეა, არ ვიცი არაფერი, რა ამბავია ქვეყანაზე. მე 4 წელიწადი მექთებში (სკოლაში) ვიყავი, ვისწავლე, ვიცი კითხვა.

– მამა, დედა ცოცხალი გყავს?

– მამა არა, დედა – კი.

– როდის წასულხართ აჭარიდან?

– დიდი ხანი არ არი, ეფენდი. როცა **ბათომი რუსმა წაართვა ოსმალს**, ექვსი წლის ვადა გვითხრა, წადით თორემ ბილეთს (ქალიაზი) არ მოგცემთო და ჩემი მამა წასულა ოსმალეთში.

– ქართველები ირთავთ ოსმალს ქალებს ცოლად?

– არა, ეფენდი, ხანუმი სულ ქართველი, გურჯია.

– შვილები გყავს?

– კი, სამი. ერთი ბიჭი 15 წლისა არის. მეშინიან არ წაიყვანონ ჩხუბში.

– ძმები?

კი მყავს – დიდები, ერთი **ბათომში** ვაჭრობს, რუსის კაცია. **მთელ ჯარს ბათომში პურს ის მიცემს**. მისი ნახვა მინდა. რა ვქნა, ეფენდი, რომ იმან ჩემი ამბავი გეიგოს, რო ქაღალდი დავწერო, ნებას მომცემენ?

– როგორ მოხვდი ტყვეთ?

– დავიჭერი, ბევრი სისხლი წავიდა, გული დამიღონდა, მერე რუსი მოვიდა თხრილებში და გამოგვრეკა; ყაზახებმა ტანი, ფეხი გაჩხრიკეს, **ორი ალთუნი (ოქროს ლირა) მქონდა, წამართვეს**. მე ბათომში ვიყავი ძმასთან, სამი – ოთხი სიტყვა ვიცი რუსულად. ვუთხარი:

– სალდატ ხაროში ურუს! ია გრუზინ, დენგი ნიატ, ხლებ, ხლები... მაგრამ უკან აღარ დამიბრუნეს ჩემი ალთუნები. როცა ტყვეების დაკითხვა იყო, სალდათმა უთხრა კამანდირს:

– ეს ქართველია, რუსული იცისო... კამანდირი წითელი კაცი იყო რუსივით, ქართული იცოდა. ძალიან მომეფერა. დამკითხა, ყველაფერი ამბავი. მართალი ვუთხარი, რომ ჩვენ **ჩანაქვალედან** წამოგვიყვანეს, სტამბულში მეორედ დაგვაფიცეს ყურანზე, სულთანზე. აქ რამდენი დღე ვართ; ვუთხარი, რამდენი ჯარია. მერე პური მომცა, ფეხთ არ მეცვა და წულა მომცა და აქეთ წამოგვიყვანეს... ქართულად მოლაპარაკე კამანდირმა მითხრა:

– დიდ „ნიკოლას“ სთხოვე **ტფილისში** და ძმასთან გაგიშვებსო, მართალია? – დამკითხა ოსმანი.

– რად არ უთხარი მაშინვე კამანდირს, რომ ოქრო წაგართვეს?

– არა, ეფენდი, არ ღირდა. ის ყაზახია, ეგება შია, უნდა ფული, მერე გზაში დამარტყამს მე: თუ არ შიან, ალალი არ იქნა, ალაჰი არ შეარგებს მაინც.

დავდიოდი, ამბებს ვუყვებოდი. გაზეთებს ვუკითხავდი. თანა მქონდა ბ – ნ **ფირცხალავას წიგნაკი „სამაჰმადიანო საქართველო“**, მივუტანე, ვაჩუქე და ვუთხარი, რომ ამ წიგნაკში თქვენი ამბავი, ისტორია სწერია – მეთქი. მერე, რომ წახვალ აქედან, რუსეთის საზღვარ **სარიყამიშიდან** ბევრს ნახავ ქართველს. სთხოვე, წაგიკითხონ – მეთქი... ძლიერ გაუხარდა: – „ქართველები ეფენდი ხალხია სულ და ჩვენ ძალიან გვიყვარს“ – ო!

ვუსაგზღვრეთა იმას ცოტა ფული (აქვე მაღლობას ვწირავ ბ – ნ **არჩილ დოლიძეს** და **კოლია ხოხიაშვილს**, რომელთაც არ დაიზარეს თავიანთი წვლილი). მიმქონდა რძე, პური, შაქარი და როცა მოვუხშირე: – „ნუ იზამ, შენი ჭირიმე, ნამეტანია, ნუ მარცხვენო“, – ალელვებით მითხრა.

– „რომ ნახო ჩვენი ტანი, ფეხი, ცხენი, იარაღი, **სულ სირმიანი მაუდის ჩაქურა გვაცვია ოსმალში**... ეხ! რა ვაჟიკაცი ვიყავი, ახლა ჭუჭყიანი მათხოვარა ვარო“. – აითქვირა ბავშვივით და პირმობრუნებულმა ცრემლები გადმოღვარა და მეც ამატირა...

აქედან გამოვისტუმრეთ; ყარაურგანში მოუწევია, იქვე ქართველი უნახავს ვიცადა და თავის ამბავი და გულის ნადები შემატყობინა. შეიძლება ვინმე ბათომელი მკითხველი იცნობდეს პურის **იჯარადარ ჰაჯიალიშვილს**. სახელი, თუ არ ვცდები, **უსუფა** ჰქვია და შეიძლება მოიძიოს ძმა, თორემ, მოგეხსენებათ, ტყვე რას მოახერხებს, როგორ მიაწოდებს ხმას?!

გაზეთი, „სახალხოფურცელი“, № 660. 1916 წ.

## დ. კ – ძე (უცნობი ფსევდონიმი) ჯაჭვის ნაწყვეტი

(4 მარტს გამართულ ნადიმის გამო)

4 მარტი ჩვენთვის, ახალგაზრდა ქართველობისთვის ღირსშესანიშნავ დღედ ჩაითვლება, თუ გნებავთ, ისტორიულ დღედ. ამ დღეს საქართველოს ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები – **აჭარლები!** სტუმრობა მათი და ჩვენი დახვედრა, მართლა, იმიტომ კი არ იყო საზეიმო, რომ ჩვენებურად ქართველურად ასე რიგად გავუხსენით უხვი მასპინძლის მგრძნობიერი გული, არამედ იმიტომ, რომ ამ დღეს ერთხელ კიდევ იფეთქა საღმა, მიძინებულმა **ეროვნულმა სულმა** და მიტომაც **გაშლილი სუფრა, იგი ძველებური, ისტორიული წესრიგის კვალობაზე, გარდაიქცა მეჯლისად**, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთსქვათ, ჩვენს სადა ფრიად მარტივ სახის **პარლამენტად**. აი, ამ პარლამენტში ორი ერთმანეთისგან საუკუნოებით დაშორებული ძმა, ერთ **სამშობლო კერის ჯაჭვიდან მოწყვეტილი რგოლები** და სხვა და სხვა აზრით გაქანებულნი აქ შევიყარენით, აქ გადავხვით ძმურად ხელი, აქ შევფიცეთ ერთმანეთს ძმობის განმტკიცება! ორთავე ვმშვენოდით ერთმანეთს, ვმშვენოდით მხურვალე სამადლობელი ცრემლებით, ვმშვენოდით როგორც საამაყო დედ – მამის შვილნი. აი, ამიტომ იყო, რომ **გრძნობათა შადრევანს** თავის თავად მოეხსნა პირი, იფეთქა **ძველებურმა სიძარბაისლემ**, იფეთქა ნიჭმა ენაწყლიანობისამ და ორთავე მხარის მოფიქრებული და დინჯი სიტყვებით აღარ ვიცოდით, ვისთვის მიგვეცა უპირატესობა ისტორიულროლების შეცვლის შემდეგ, უნცროსისთვის, თუ უმფროსი ძმისთვის? **ხოჯა ისკანდერ ცივაძე, რეჯებ – ეფენდი ნიჟარაძე, თემურ – ბეგ ხიმშიაშვილი, მაჰმედ – ბეგ აბაშიძე** ერთ მხრით თუ მეორეთი მოხუცი ჭაბუკი **გ.ნ. ყაზბეგი, ნ.ნიკოლაძე, მიხ. მაჩაბელი, ექ.თაყაიშვილი, გ. გვაზავა, გრ.დიასამიძე, მაჭავარიანი, სპ. კედია**, რა რიგ შვენოდნენ ყველა ერთად, რა **თავმოსაწონი აზრთა გაშლა, გრძნობათა სისათუთე და სიყვარული გაისმოდა** ყველა ამათგან! განა თუ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ამ დროს გულმოკლული იცნო, **ტანჯული სული** გადაეხვია **ობოლს სულსა?**

„უზენაესის განგებით გათიშულნი ძმები კვლავ ერთად შევხვდით. და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს მომავალს ერთობას“, – ბრძნულად, ძველებური მშვენიერ ენით წარმოსთქვა **ხოჯა ისკანდერ – ეფენდი ცივაძემ**: „უზომო სამსახური გაგვიწიეთ თქვენ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ **აჭარა** აღარ არის ძველი დიდების კერა, იგი დროთა უკულმართობის გამო ჩამორჩა, ძველი ლამპარი ჩაჰქრა, წყვილია დემა მოიცვა. გსურთ, რომ დაგიბრუნდეთ, გსურთ, რომ მარტო სიტყვიერ შეერთებად არ გამოვიდეს გასაჭირში შეხვედრილი ძმები? **მაშინ მოგვეცით განათლება და ოცდა ათი წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებით**“, – აი სიტყვები ჭაბუკის ცეცხლით აღფრთოვანებულ **რეჯებ – ეფენდი ნიჟარაძისა**;

„**როდესაც ყვაილი მოსწყდება, მიიკარით იგი გულზე, დაიჭით ხელში, ეალერსეთ, იგი იქნება ის ყვაილი, რაც რომ იყო... მოწყვეტილი ყვაილი გასჭკნება, გაყვითლდება... აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ**“. ასე იტყოდა **ბ – ნი მაჰმედ – ბეგ – აბაშიძე**. არა ნაკლებ საინტერესო სიტყვები წარმოითქვა დანარჩენ ძვირფას სტუმრებიდან. ყველანი მხოლოდ ერთ რამეში ეთანხ-მებოდნენ, ერთს რამეს სჩიოდნენ და ეს ერთი რამე გახლდათ ის, რომ დღევანდელი კრება უქმად, ლიტონ სიტყვების კარებად არ დარჩენილიყო, რომ ნათქვამი ხორცშესხმულ გვეყო.

აღარ შევეხები უფროს ძმათა აღფრთოვანებულ სიტყვებს: **მ.ვ. მაჩაბლის** ხაგასმით ორთავ ძმის ერთი სამშობლოს აღიარებას, არც ბატონ **გვაზავას** პოეტურ სიტყვას, არც **კედიას ჭაბუკურ აღფრთოვანებით მოქარგულ ზესაზღვრულ სიტყვას**, არც **ბ – ნ თაყაიშვილის დარბაისლობით**



გამობრძმედელ სიტყვას, არამედ წელთა გამოცდილებით დაზიდულ ჩვენი ცხოვრების ფხიზელ დარაჯს ნ.ნიკოლაძეს, რომელიც, როგორც ეს მშვენივრად დაახასიათა ბ – ნმა თაყაიშვილმა, პოეტურ გატაცებით მთვარიდან ვარსკვლავებზე კი არ მიმოჰფრინავდა, არამედ რეალ ცხოვრებას პირდაპირ თვალში შესცქეროდა და სასტიკ ანგარიშს უწევდა კიდევ. აი, აკორდი ამ ნადიმისა, სწორედ ამ მოხუცმა ჭაბუკმა შეასრულა. იგი შეეხო დღევანდელ მომენტს, სხარტულად დაახასიათა ომისაგან შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მთელი ევროპის სახელმწიფოებისა და გაგვაფრთხილა: რანაირადაც უნდა დამთავრდეს ომი, ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღეს. მართალია, დღეს რუსეთი ებრძვის ოსმალეთს, მაგრამ ომის შემდეგ მოუხდება მასთან კავშირის დაჭერაო. იგი შორს განსჭვრეტდა, დამსწრენი გამოგვიყვანა ვიწრო ფარგლიდან და აჭარის იქითაც გადაგვახედა – ლაზისტანისკენ! აი, რას უნდა ვეტრფოდეთ, რა უნდა გვექონდეს ამონიშნული, რომ ლაზისტანიც ჩვენი ზრუნვის საგანი შეიქმნეს, ჩვენთან შემოსაერთებლად, ეროვნულ გაძლიერებისა და განმტკიცებისაო...

შეუძლებელია გრძნობათა სრული ფარდის ახდა. ნადიმი ღირსი იყო ეროვნულ გრძნობათა ზეიმისა. დღეს ჩვენი გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლები ისე მოჰგორავენ, ისე ეკინძებიან ერთმანეთთან. ჩვენი მოვალეობაა ამ გახურებულ რგოლთ ახლავე კვერი დაკვრათ, არ გავაციოთ...

საქართველო, 1916 წ. N 52.

## ზ ე ი მ ი

საქართველოს დედა – ქალაქმა თავისი საყვარელი აჭარის შვილები, დიდებული სადღესასწაულო ზეიმით მიიღო. 4 მარტს ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ, ახალ – კლუბის დარბაზში გაუმართა ნადიმი; სადაც დაესწრნენ თვით აჭარლების სრული დეპუტაცია და ქართველი დამსახურებული მოღვაწენი, ყველა მიმართულების პრესის წარმომადგენლნი და რჩეული ქართველი ინტელიგენცია, რიცხვით ორას კაცამდე, ნადიმის თამამად არჩეულ იქმნა ჩვენი ცნობილი მხცოვანი მოღვაწე და თავმჯდომარე წ. კ. გ. საზოგადოებისა გენერალი გ. ყაზბეგი. მის თანაშემწეებად გ. გვაზავა და გ. დიასამიძე.

თამადამ პირველად გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა აჭარელთა დეპუტაციას, როგორც წარმომადგენლებს იმ კუთხისა, რომელიც რამოდენიმე საუკუნით მოგლეჯილი იყო დედის მკერდსა, მაგრამ სულიერად და ხორციელად დღეს ისევ უბრუნდება. თამადის სიტყვას საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება.

სადღეგრძელო წარმოითქვა მეფის ნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და უქვეშევრდომილესი და მადლობის დეპუმა გაეგზავნა იმ ყურადღების გამო, რომელიც აჭარლებზე უავგუსტოსმა მიიღო.

აგრეთვე, მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ მ. ვ. მაჩაბელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მუხთალ ბედის ტრიალმა ჩამოგლიჯა მისი სხეულის განუყოფელი ნაწილები: აჭარა, მესხეთი და შავშეთი, მას შემდეგ განუწყვეტელმა მწარე ბედთან ბრძოლამ საქართველო დაასუსტა და ეხლა როდესაც მას დაკარგული მოძმენი უბრუნდებიან, ჩვენი საქართველო მათგან მოელის ეროვნულ საქმის აყვავებას და გაძლიერებას.

ამის შემდეგ წარმოითქვა მრავალი ფრიად აღტაცებული და საგულისხმო სიტყვები.

თვით აჭარელებმა ქართველურ ნადიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. ყადი ისკანდერ-ბეგ ცივადის ტკბილ ქართულ ენით წარმოთქმულმა სიტყვამ აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა, მან მადლობა უძღვნა ქართველ ერს მთელის აჭარის სახელით და უსურვა ქართველ ერს და ახლად დაბრუნებულ ძმებს საერთო შეთანხმებული მუშაობა ეროვნულ ცხოვრების ასაყვავებლად.

ფრიად შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს რეჯებ – ბეგ ნიჟარამემ, თემურ – ბეგ ხიმშია-შვილმა და სხვებმა.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის წარმომადგენელმა სპ. კედიამ მეტად აღტაცებული და მომხიბლავი სიტყვა წარმოსთქვა. გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა აგრეთვე „საქართველოს“ თანამშრომელმა ნაფ. ვეფ. მაჭავარიანმა და საზოგადოების თხოვნით სანდრო შანშიაშვილმა აჭარლებს ექსპრომტად (უცები) ლექსი უთხრა.

ჩვენმა დამსახურებულმა ისტორიკოსმა და მკვლევარმა ექვთიმე თაყაიშვილმა დინჯი და დარბაისლური სიტყვით აღნიშნა, რომ ქართველებს გვმართებს არა მშვენიერი სიტყვების თქმა, არამედ მოქმედება. მიგვითითა ნ. ნიკოლაძეზე, როგორც ისეთ დიდებულ ქართველზე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არა სიტყვას, არამედ ეროვნულ საქმეს ემსახურება და ქართველ ერის ეკონომიურ კეთილდღეობის განმტკიცებას მთელს თავის ძალას და ღონეს ალევს.

ნიკო ნიკოლაძის ხსენებამ საერთო აღტაცება გამოიწვია, და მთელი საზოგადოება ძახილით ფეხზე წამოდგა. ნ. ნიკოლაძემ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და სთხოვა მის პიროვნებას ნაკლები ყურადღება მიაქციონ და გულისყური მიაპყრან აჭარელ მომმეთ და იმ მეორე ნაწილს საქართველოსას, ლაზისტანს, რომელიც უთუოდ მალე იქნება შემოერთებული.

ამის შემდეგ მრავალი მახვილი და საგულისხმო წარმოითქვა ჩვენს რჩეულ ინტელიგენტთა მიერ. ისმოდა ვაჟა და განუწყვეტლად ხან მუსიკა, ხან სიმღერა.

4 მარტს, აჭარელთა დეპუტაციამ ინახულა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე თავადი მიხ. ვახტანგის ძე მაჩაბელი. აჭარლებმა მადლობა გადაუხადეს. თ – დ. მაჩაბელს იმ გულწრფელმხურვალე და დაუფასებელ დახმარებისთვის, რომელსაც უწევს ქართული საქველ-მოქმედო საზოგადოება გაჭირვებაში მყოფ მომმეთ. თ – დმა მაჩაბელმა მეტად მგრძნობიარე სიტყვით უპასუხა მათ და მეტის მღელვარებისგან ცრემლი მოერია.

საქართველო, 1916 წ. N 52.

## გ. წერეთელი ბათუმის მხარე

*„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,  
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.*

ამას წინად გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, რომ ბათუმის მაზრის მცხოვრებლები, რომელნიც ამ ათის წლის წინად აიყარენ და ოსმალეთში გადასახლდნენ, ისევ ბრუნდებიანო. ყოველი ქართველისათვის ეს ამბავი სასიამოვნოდ უნდა დარჩენილიყო. ეს შემთხვევა გვარის მოულოდნელს შემენას და გაბედნიერებას მოასწავებს. იგი მიემსგავსება კერძო ოჯახის ხელმეორედ გაძლიერებას და აღორძინებას.

წარმოიდგინეთ ოჯახში სამი ძმა კაცი, სამივე კარგი მუშა, მარჯვე და ერთმანეთის ხელის შემწყობი. ერთ დღეს ერთი ამ სამ ძმათაგანი სადღაც გადიკარგა. რა დაემართებოდა ოჯახს?... – დამცირება, ღონის მოკლება, დამაბუნება, სისუსტე და მტრის გასახარებელი საქმე. სწორედ, ამ

გვარი ამბავი მოგვივიდა ქართველებს ამ ათის წლის წინად, როცა აჭარის, ლივანის, მურღულის, ართვინის და ზოგიც ქობულეთის მცხოვრებლები დაიდრენ თავიანთ ყოფა – ცხოვრებითა, აბარგდენ და გაგვექვენ. მერე, სად? ჩვენ ძველ მტრებთან, ჩვენის სარწმუნოების მდევნელებთან. ქართველი თუ ოდესმე იყო სახელოვანი, გულ – ამაყი და მოქადული, უფრო იმითი იყო, რომ იმას თავისებური ქვეყანა ჰქონდა, თავისი ენა, თავისი ქრისტეს სარწმუნოება ჰქონდა; თავისებურადაც იცოდა მტერ – მოყვრის დახვედრა. რაკი ერთი კუთხე საქართველოსი, უდიდესი და ძველ დროში უაღმატებულესიცა, მოგველიჯა წუთი სოფლის სიმუხთლემ, გარეშე მტრის მძლავრობამ და ქრისტეს სარწმუნოებაც დააკარგვინა, მას შემდეგ სულ იმის მწუხარებაში ვიყავით, რომ მტრებმა ძმები მოგვტაცეს და უნდა დაგვებრუნებინა. რადგან ჩვენ თვითონ აღარა შეგვეძლო – რა, დროთა ბრუნვას უნდა გავყოლოდით.

ბოლოს მომწიფთა ჟამი, დადგა დღე ჩვენის მტრის განკითხვაც. მახმადიანობა მოუძღურდა და ხელში იარაღით გამოგვლიჯეთ მტერს დაკარგული ძმები. ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენ გვინდოდა დაკარგული ძმების გადახვევა, მათი გადაკონცნა... მაგრამ დახე სოფლის სიმუხთლეს!... აკი, ძმებმა ვეღარ გვიცნეს! – არა, თქვენ ჩვენი ძმები არა ხართო... თქვენ სხვა, სულ სხვა გამხდარხართ, თქვენ ძველი ქართველური ფერი აღარ გადევთ და ვერც გატყობთ ნათესაობრივ მაჯის ცემასაო. ჩვენც, რა საკვირველია, ეს ამბავი გვეუცხოვა; ვიფიქრეთ, ეს სულ სჯულის გამოცვლის ბრალთა, ალბათ, თითონ ისინი გადარჯულებულან და იმიტომ ვერა გვცნობენო.

– არა, ძიავ, არა! – გვიპასუხა ამ ფიქრზე დაკარგულმა ძმამ. მართალია, ჩვენ სარწმუნოება გამოგვაცლევინეს, მაგრამ არც ისე უგუნურნი ვართ, არ გვესმოდეს, რომ სარწმუნოების გამოცვლა ნათესავურს სისხლს ვერ დაგვიკარგავდაო. ჰხედავთ, ძიავ, დღეს ჩვენი მამა – პაპის ნანგრევი ტაძრების პატივისცემა გვაქვს. მართალია, მახმადიანები ვართ, მაგრამ სალოცავები კიდეც გვწამს, მივდივართ აღდგომას და შობას სხალთას, ზარზმას, ოპიზას, ბერთას, კვირიკეს და მიგვაქვს იქ სანთელი, საკმეველი, წითელი კვერცხები, ვლოცულობთ, როცა ავად გაგვიხდება ვინმე, საწირავები მიგვაქვს იქა და ჩვენ მამა – პაპების ღმერთს ვავედრებთ. არა, ძიავ, ჩვენ გვახსოვს ჩვენი ქართველობა, იქნება ჩვენც თქვენსავით გვიხაროდა ერთმანეთთან დაახლოვება, ერთმანეთთან ისევ შეერთება; მაგრამ დღეს კი ვხედავთ, ძიავ, რომ თუ ჩვენ სარწმუნოება დაკარგეთ, სისხლი, ჩვენი მამა – პაპეულობის სასაფლავო მაინც წმინდად დავიცეთ, იმათი ნაშრომი და ნაკეთები, საცა კი არის, ყოველგან ხელშეუხებლად მაინც გვაქვს. როცა იმათ დიდებულ ტაძრების ნანგრევებში შევდივართ, ქუდს ვიხდით; თქვენ კი, ღმერთო დაგვიფარე! სისხლი გაგფუჭებიანთ, ენა აღა გაქვთ. იქნება გაქვთ, მაგრამ რომ აღარა ხმარობთ!.. და რა დაინახავთ ჩვენ მამა – პაპის დიდებულს ნანგრევებს, თხებივით შევარდებით შინ, არც ქუდს იხდით. საცა რამე ნახატია, აფუჭებთ, ზედ – წარწერილს ქვებს იღებთ და მიგაქვთ; თვითონ ნანგრევს მასალად ხმარობთ და ბათუმში სახლებს აშენებთ.

ეგ სადაური ქართველობაა? ჩვენ ჩვენი ძველებიდან ჩვეულებად გვაქვს დარჩენილი, რომ სტუმარი კრძალვით უნდა იქცეოდეს სხვის ოჯახში, დედაკაცს ერიდებოდეს; თქვენ კი თხებივით ჩვენს ოჯახში შემოგვიინდებით. ჩვენ, ძიავ, გვინდა თქვენი დახვედრა ქართული გულუხვობით, პურ-მარილით, თქვენ კი აქეთ-იქით თვალებს აცეცებთ, ჩვენს ასულებს და დედაკაცებს თვალებს უბრიალებთ, ეარშიყებით, გინდათ ოჯახი გაგვირყვნათ, სახელი წაგვიხდინოთ, ეგ სადაური ძმობა და ნათესაობაა? სადაური ქართული დარბაისლობაა?.. არა, ძიავ, თქვენ ქართველები აღარ ხართ, არც ქართული ნათესაობრივი სისხლი გაქვთ. როგორც გატყობთ, ძიავ, მარტო ქრისტეანის სახელი დაგრჩენიათ და მეტი არაფერი. სხვა სულ გამოგიცვლიათ, გადარჯულებული უფრო

თქვენა ხართ და არა ჩვენიო“... გვეუბნებოდნენ ჩვენი ახალი შეძენილი ძმები. აი, თუ გინდათ, მართალი ეს იყო.

როდესაც ბათუმში შევედით, ყველა იქაური წარჩინებული გვარის კაცები: **სანჯახ – ბეგ აბაშიძე, ნური – ბეგ – შარვაშიძე, თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები, ბეჟანოღლი – ბეჟანიშვილები და ნიჟარაძეები** სიყვარულით მოგვეგებენ, დაგვიახლოვდნენ. ბათუმში ამართეს მართლ – მადიდებლის სამრეკლო, ააგეს ეკლესია, გაისმა ზარის რეკა ქრისტიანების მოსაწოდებლად წირვა – ლოცვისათვის. წარმოიდგინეთ!.. ჩვენს დიდიხნის დაშორებულს ძმებს თითქმის გულმა უფეთქა! **იმათ იგრძნეს რაღაც ქრისტეს სარწმუნოების სითბო და ისურვეს ეკლესიაში შესვლა.**

მართლაც, რამდენიმე ბეგი 1881 წელს, როგორც, მაგალითად, **სანჯად – ბეგ – აბაშიძე და ბეჟან – ოღლი შევიდნენ** წირვაზე, შევიდნენ ეკლესიაში; მაგრამ რა ნახეს, რა გაიგონეს?.. **იმათ ყურს ერთი სიტყვაც არ მოსმენია ქართულად ღვთის დიდება და ლოცვა.**

ისინი გამოვიდნენ ეკლესიიდან შეძრწუნებულნი, გულ – გახეთქილნი და გვითხრეს: „ძიავ, სად არის თქვენი სარწმუნოება, თქვენი წირვა – ლოცვა? რატომ ვერ გავიგონეთ?.. რატომ მოგვატყუეთ, ჩვენ რად გვინდოდა უცხო ენაზედ ქრისტეს დიდება?.. ერთი ფეხამბერი ჩვენცა გვყავს. დიდი მახმადი... ჩვენ გვინდოდა ქართულად გაგვეგონა, ჩვენი პაპა – პაპების და იმისი ჩამომავლობის ლოცვა, თვარა უცხო ენაზედ, კაი არაბულს ენაზედ, ჩვენც კი ვადიდებთ ჩვენს ფეხამბერს. არა, ძიავ, თქვენ რომ აღარ გქონიათ თქვენი მამა – პაპის სარწმუნოება, ჩვენ რეიზა გვიწვევთ, რეიზა გვაცდენთ?..“

ის იყო და ის. ამის მეტად ჩვენს დიდი ხნით დაკარგულს და ახლად ნაპოვნს ძმებს ჩვენთან აღარ გაუვლიათ.

ამას გარდა, საცა კი ჩვენებური კაცი დააყენეს გამგედ და მმართველად, ყველგან თავის დარაჯებს და ყარაულებს უბრძანებდნენ: „დაიჭირეთ, შეჰკარით, ზეკუცია ჩაუყენეთ...“

ამას გარდა, ჩვენი ქართველები არაფერს სამაგლობას არ ერიდებოდნენ: არც უზნეო მოქმედებას, არც უწესოს. ამიტომაც **ბათუმის მხრის მაჰმადიანებმა ჩვენზე გული აიყარეს და გადასწყვიტეს:** აქ დარჩენას, ისევ **ოსმალეთში** სიკვდილი გვირჩევენიაო. ამას დაერთო თვითონ მოღებების ფანატიკური ქადაგება და დაპირება, რომ ფადიშახი იმათთვის მიწა – წყალს ამზადებს **მშვენიერს ორდუს ქვეყანაშიო** და ახალ სახლ – კარის ასაგებად ფულებსაც დაგირიგებთო. – აი, ამ გარემოებამ აბარგა ამდენი ხალხი და გახადა უბედურად. – **ვისი ბრალია?... სულ ჩვენი ქართველების და ჩვენი უხეირობის, ჩვენი სიმუხთლის და ჩვენი ზნე – დაცემულობისა.**

სირცხვილი არ არის, ბათუმის ქალაქში უკანასკნელი ექვსი ათასი სული ქართველია და ერთი ეკლესია არა აქვთ, რომ წირვა – ლოცვა და ღვდელ – მოქმედება ქართულს ენაზედ იყოს. ნუ თუ ამდენ ქართველმართლ – მადიდებელს ერთი ეკლესიის შენახვა არ შეუძლიანთ? რატომ ბათუმში არ უნდა ისმოდეს ძველი ქართული გალობის კილო, რომლითაც ასე განთქმული იყვენ გურულები. **გუგუნავა, გურიელი, თავდგირიძე, თაყაიშვილი, ყველანი ახლა ბათუმის მცხოვრებნი გამხდარან და თავიანთ განთქმული „დვრინი“ და „კრინი“ კი დავიწყებიათ, რომ ამით განაშვენონ ქართული წირვის წესი, მოულობნ გული თავიანთ მეგვარეებსა და მეზობლებს.**

ასის წლის გადაკარგული ძმები ისევ დაგვიბრუნდნენ... ვინ წარმოიდგენს იმ განსაცდელს, რაც ამ უბედურებს უნდა დატყდომოდათ თავზედ უცხო ქვეყნებში ხეტიალითა, რამდენი ავადმყოფობა, შიმშილი – წყურვილი და სიკვდილი უნდა გადახდომოდათ თავზედ? აი, ახლა უნდათ ამათ ხელის შეწყობა. აბა, ვნახოთ, რამდენი გულმოწყალებისა და მფარველობის გამოჩენა შეგვიძლიან, რომ ამ გაჭირვებულს ხალხს ცოტად მაინც დავავიწყოთ უწინდელი გულ – ნაკლულობა, შევითვისოთ, შევიტკბოთ... აი, მაშინ ისინიც აღარ მოგვერიდებიან და სიამოვნებით მოისმენენ ჩვენს

მველებურს ტკბილს ქებათა – ქებას უზენაესისადმი. მხოლოდ ერთად – ერთი საშუალება ქართული ენა იმათი გულისა და სულის მომგებნი. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშ მოციქულებს რაღად ენდომებოდათ სულის – წმიდის მოვლენა სხვა და სხვა ენაზე საღალადებლად? განა ებრაული და ბერძნული ენით ვერ შეიძლებდენ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას?

მე მოგივლენთ – რქვა უფალმა თვისთა მოწაფეთა, სულსა წმიდასა, რომელი გასწავებს სხვა და სხვა ენასა და „წარვიდოდეთ და მოიმოწაფებდეთ ყოველთა წარმართთა და ნათელს სცემდეთ მათ“...

სხვაებრ ღმერთმან დაგვიფაროს ამიერთგან იმისთანა მისიონერებისაგან,, რომელნიც, დიდი ხანი არ არის, რაც ამტკიცებდენ: აჭარა – ლივანაში „პოდვორიები“ გავმართოთო.

ამითი ხალხი ხელმეორედ დაფრთხება და სხვა არაფერი გამოვა.

ქურნალი „კვალი“ 1893 წ. N7. გვ. 10 – 12.

## მეველე<sup>1</sup> (დავით მიქელაძე) ტფილისი, 9 ივნისს

აჭარლების, ჩერქეზებისა და აფხაზების გადასახლების შემდეგ ზღვის პირის ადგილები დარჩა სრულიად უპატრონოდ.

რამდენისამე ათასის წლის განმავლობაში დაუმუშავებელი მიწა – წყალი, საკვირველი მეურნეობა და ოჯახობა, როგორც ჰმოწმობს კარგი და კეთილშობილი მკვლევარი ჩერქეზთა ცხოვრებისა, პოლკოვნიკი პოტტო, გარეულთა ნადირთა ბინად შეიქმნა, ყოველივე გავერანდა და აღიგავა; ნაცვლად სიცოცხლისა და ჩინებულის კულტურისა, ჩერქეზთა სამშობლოს სიბნელე და დუმილი მოეფინა.

მაგრამ გავიდა ხანი და მთავრობამ საჭიროდ დაინახა აქა – იქ შავი ზღვის ნაპირებზედ დაებინავებინა სხვადასხვა ტომის ხალხი. ამ განზრახვით ახალმოშენეთ მრავალი შეღავათი და შემწეობა მიანიჭეს: განათავისუფლეს იგი სახელმწიფო გადასახადისაგან, მიუზომეს დიდძალი ადგილები; მისცეს საშუალება ოჯახის გაწყობისა, პირუტყვის მოშენებისა და სხვა.

მაგრამ ყოველი ესე უქმი შეიქმნა და ასე საიმედოდ დაბინავებულნი ახალ – ახალმოშენენი ნელ – ნელა ან უკან ისევ თავის ქვეყანაში, ან, რომელთაც უფრო დაჟინებული სურვილი გამოიჩინეს დარჩენისა ახალს სამშობლოში, სულ მთლად ამოწყდენ.

უმთავრესი მიზეზი ასეთის მოვლენისა ის იყო, რომ ახალმოშენენი, რომელნიც დაბინავედენ შავი ზღვის ნოტიოქვეყნებში, სრულიად უღონონი იყვნენ, აეტანათ იქაური ჰავა, მტკიცედ მოეკიდათ ფეხი და შეეთვისებინათ ის პირობანი, რომელნიც წილად ხვდათ ამათ წინანდელ ამ ქვეყნის მობინადრე ჩერქეზთაგან.

ამიტომ მთავრობამ ერთს ხანს შესწყვიტა მეცადინეობა შავის ზღვის პირის დასახლებისა. მაგრამ ახლა, როგორც სოხუმიდან გვწერენ, ხელახლავ აღასრულა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ადგილები ისევ რუსებით დაასახლონ. ამ სახით მთავრობას განუზრახავთ, რომ ნოვოროსიის მხარე, რომელიც ეკუთვნის ყუბანის განყოფილებას, შეაერთოს ბათუმისა და სოხუმის მხარეს და საშუალ ადგილად ამა ქვეყნებისა დანიშნოს სოხუმი.

<sup>1</sup>ფსევდონიმი – „მეველე“ არის დავით მიქელაძისა. ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ქალბატონმა ირინა სუპატაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ (იხ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, გვ. 499, თბილისი, 1941.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად საფუძვლიანია ამგვარი ხმა, ვერას ვიტყვით რასმე იმაზედაც, თუ რამდენად სასიკეთო იქნება ასეთი ადმინისტრატიული ცვლილება; მაგრამ რაც შეეხება შავის ზღვის პირის დასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხებით, ამის შესახებ კი უნდა მოვახსენოთ ჩვენს კორესპონდენტს. რომ ეს ამბავი მაინცა და მაინც სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.

არ მიგვაჩნია სარწმუნოდ ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამოცდილებამ დაანახვა მთავრობას სრული შეუძლებლობა ასეთის განზრახვისა: არა ერთი და ათი რუსთაგან დასახლებული სოფელი მოისპო ამ ქვეყანაში რამდენისამე წლის განმავლობაში. მაშ, რომელის გონიერის მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ, რომ ხელახლავ იგივე შეცდომა განიმეოროს და ჩრდილოელი მკვიდრი მოსახლეობა ჩამოჰყაროს ისეთ ადგილებში, რომლის ბუნება აუტანელია ამ ხალხისათვის.

ამას გარდა, მთავრობას თუ საჭიროდ მიაჩნია შავის ზღვის პირი უეჭველად დაასახლოს, რა მიზეზია, რომ ამ ადგილებს არ მიანიჭებენ ისევ საქართველოში მცხოვრებს ხალხს, რომლის ნიჭსა და ერთგულებაზე, რასაკვირველია, მთავრობას ეჭვი არასოდეს არ უნდა ჰქონდეს! ასეთი უმიწაწყლო ხალხი მრავალია იმერეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და რაჭაში, სადაც ფასი ქცევა ადგილისა სამას თუმნამდე ადის.

თუ მთავრობას განზრახვა აქვს, რომ შავი ზღვის პირი დაასახლოს, პირველად უნდა ვიგულისხმოდ, რომ მიწვეული იქნებიან საქართველოს სხვა – და სხვა კუთხის მცხოვრებნი, რომელთათვის არც ბუნება იქნება საშიშარი იმ ქვეყნისა და არც სხვა რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოება.

იგივე პოტტო, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენეთ, ამბობს, რომ უპატრონოდ დარჩენილი აუარებელი ძვირფასი სამხრეთის ხეხილი და ვენახი მოიპოვება დღესაც ჩერქეზეთში, რომელიც მზრუნველ ხალხს მოელისო...

მერე ვის შეუძლია ყოველსავე ამას მოუაროს გაგებულად, თუ არა ისევ ქართველს, რომელსაც იგივე მდგომარეობა აქვს თავის ქვეყანაში?

გარდა ამ თვალსაჩინო უპირატესობისა ქართველის ტომისა სხვა ტომთან შედარებით, კიდევ მრავალი ისეთი გარემოებაა, რომელსაც მთავრობა უთუოდ მიიღებს მხედველობაში, როდესაც ამ საყურადღებო საგნის გადაწყვეტას მოინდომებს.

„ივერია“, 1894, N 120.

### სანგანიძე (სანდრო გძელიშვილი<sup>1</sup>) სამაჰმადიანო საქართველო

... მერვე თვეა, მეგობარო, რაც სამაჰმადიანო საქართველოში ვარ და გატვრენილი ვუგდებ ყურს ტურფა საქართველოს ამ ტურფა კუთხის, დაჩაგრულ კუთხის სულის ფშვინვასა და გულისცემას. ნელია ეს ფშვინვა, ნელი გულის ცემა, ავადმყოფური, დაწყლულებული, მაგრამ უიმედო კი არა. არა, ვრწმუნდები თან და თან, უფრო და უფრო, ყოველ ჟამს, ყოველ წუთს, რომ საბედისწერო, უნუგემო როდი არის ქართველი მაჰმადიანის სულისკვეთება და გულისცემა. და

<sup>1</sup>სანგანიძე-ფსევდონიმი სანდრო გრძელიშვილისა. ამ საკითხზე ცნობა მოგვაწოდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ქალბატონმა ირინა სუპატაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ (იხ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, გვ. 435 სამიბელი, ფსევდონიმები, კრიპტონიმები. თბ., 1941 წელი).

თუ ასე მიდუნებულა, თუ ასე დაუფარავს გული წყლულებს და თავის ფუნქციას იგი ნორმალურად ვეღარ ასრულებს, ამას თავის საპატიო მიზეზი აქვს. ხშირად გითქვამს, მეგობარო, ერის ცხოვრება რომ ასი, ოცი, თუნდ ათი წლით ნორმალურ კალაპოტიდან ამოვარდეს, ესეც თავისებურ, მძიმე დაღს ასვამს მის სულიერ და ფიზიკურ ზრდა – განვითარებასო. და განა უნდა გავიოცოთ ქართველ მაჰმადიანის ბედ – შავი მდგომარეობა, განა უნდა გაგვიკვირდეს მისი გონებრივი ჩამორჩენა, სიბნელე, უკუღმართობა, როცა მთელი საუკუნოები ისტორიის გრდემლზე უღმობელადა სჭედდნენ იმ მარწუხს, ისე რომ მოუჭერია მათთვის, მოუწურავს, გული დაუიარავებია და მაჯისცემა მოუდუნებია?!

შვილს რომ სენი შეეპარება და ღრღნას დაუწყებს, იმ ღრღნის სიმწვავეს უწინ იგრძნობს მშობელი დედა და იგი ზრუნავს სნებიან შვილის გამომრთელებაზე, ამას უკარნახებს მას დედობრივი გრძნობა, გრძნობა, მის უძირო გულის ძირში რომ არის ჩამარხული; გრძნობა, მას რომ აკვნესებს შვილის ტკივილით და აცრემლებს მას ცრემლითა. საქართველო მოვალე იყო, მოვალე თვის სათუთი, დედობრივი გრძნობით, ცრემლიანი თვალი გაეხილა და ეზრუნა, როცა ისტორიის ჩარხი უკულმა შემოტრიალდა და სნება დიდი ეწვია მის პირში შვილს აჭარასა და შავშეთს, ერუშეთსა და ლივანას, ქობულეთსა და ჭანეთს; ეზრუნა მათ განკურნებაზე, ეზრუნა ისინი კვლავ წელში გამართულიყვნენ და დედის, მშობელ დედის ტკბილ ძუძუს დაჰბრუნებოდნენ. მაგრამ ისტორიასვე ჰსურდა, საქართველოს თითქოს დაჰვიწყებოდა დედობრივი მოვალეობა, სნებიანი შვილი გულიდან გადაჰვარდნოდა, თითქოს უდარდელობისგან თვალში ცრემლი ჩაშრობოდა, სევდა, სევდა მწვავე, განაწამებ სახეზე გაჰყინოდა... და სამაჰმადიანო საქართველო, მივიწყებული, თვის ბედზე მიგდებული, ტანჯვასა და წამებაში, უმეცრებასა და სიდუხჭირეში, სივალაღესა და უკუღმართობაში მიათრევდა თვის უმადურ, წყლულიან სიცოცხლეს და თვის მწარე ბედს სისხლითა და საუკუნოების ჩაკლულ გულიდან აღმოხდენილ ოხვრით სწერდა ისტორიის ფურცლებზე... და მწარე ხვედრს, განაწამებ ცხოვრებას ყველასა და ყველაფრისათვის სევდისა და ნაღვლის ბეჭედი დაუსვამს.

სამაჰმადიანო საქართველო, მეგობარო, ლამაზი კუთხეა, „რომლის მშვენებას ვერ ასწერს თვალი“, მისი მშვენებით და სიტურფით მიბნედილ – მილულული, მის გრძნეულებით შებოჭილ – შებორკილი, მის ფიქრთა მღელვარებით თვითონაც ამეტყველებულ და ამუსიკებული; მაგრამ ეს მშვენიერება თითქოს სევდის ქარგაზეა ამოქსოვილი და იქ, სადაც ღვთიური სიმფონია გესმის, კაეშნის ჰანგებიც ეწვეთება გონებას და საყვედურის ისარი ღვთიურ მშვენების ხილვით ათრთოლებულ გულს ნელ-ნელა ესობა.

აბა, ყური დაუგდე ამ ჭოროხს, როგორი მოუსვენრობით და ღრიალით მოექანება და იმ ღრიალში ჩვენდამი რამდენი საყვედური გამოისმის, ათხოვე ყური მაჭახელას, როგორი აღქაფებული მოეშურება, შხუილ – ღრიალით ეჯახება კედლებს და საყვედურის შხეფებს ისვრის აქეთ – იქით, გაჩუმდი და თვალი გადაავლე ყოროლის თავის წყალს, როგორი ხტუნვა – ბორძიკით მოექანება, მოშხუის, კლდეს, ღრეს ეხეთქება, თეთრ ცრემლს ქაფად ახეთქებს გზად ყველაფერს და ქვემოდ მიეშურება, თითქოს შავ ზღვასთან მიჰქონდეს ჩვენზე სამდურავი და საჩივარი...

თვალი გადაავლე „ტირალას მთას“, გოროზი, ამაყი ცად როგორ აზიდულა და მწვანე, მშვენიერი სამოსი ტანთ შემოუბერავს, ზეიმობს მაგრამ სტირის, სტირის თავის შვილთა ბედს და მის სლოკინში ჩვენდამი საყვედურიც ისმის, საყვედური, რომ არ მოვხედეთ ღვიძლ ძმებს მანამდე, ვიდრე ბედმა ფეხი არ დააჭირა, საბოლოოდ არ დაუპირა გასრესა და მათ გულიდან არ აღმოხდა ხმა ჯოჯოხეთური ტანჯვისა და სასოწარკვეთისა.

შეჰხედე იმ ნამწვავს, საყორნიას, ნაციხვარს, შეყვარებულივით როგორ წელში გასწორებულან, ყელი მოუღერებიათ, მოლამაზებულან, მზისკენ იშვერენ ხელებს, მაგრამ მაინც ძირსა რჩებიან, რაღაცა მწვავე აგონდებათ, სახე ელუშებათ და მწარე ფიქრები მძიმე ნისლად ადგებათ თავზე...

ჯადოსანი და მომხიბვლელია ეს ჩანჩქერები, შხუილით რომ გადმოსჩქევენ მაღალ მთებიდან და ქვემოდ, ძირს დიდ კედლებს, ვით მიჯნურს, თეთრი წვიმის საბურველში ჰხვევენ; მომხიბვლელი და ჯადოსანია ეს ლიკლიკა, ენამოტეხილი წყაროები; საამოა ეს ანცი, კოჭლი სიო, ხან რომ მარდად გაუნავარდებს მთას, კორდს, ხეს, ხან კი ჩაიკეცება და მორცხვად თავდახრილ ყვავილებს ქოჩორს გადაუკოცნის;

მადლიანი და უხვია მზე, საერთოდ ბუნება, აჰიმნებული და მოფსალმუნე, მაგრამ ღვთიურ სიმფონიით დამთვრალს მალე გღალატობს ოცნების ნავი და ბოლოს სევდის ქნარი სინამდვილისკენ გთანამგზავრობს... და განა შეიძლება მაშინ გულმა არ დაგიკვნესოს და გვიან, ძლიერ გვიან შეგნებულ მოვალეობის ცრემლი არ ჩამოგიბას მძივად ლოყაზე?

იარა ჩაგუბებულია ამოდენა მხარეში, ვაის და ცრემლის მორვევი... სანუგემოდ ისლა დაგვრჩენია, რომ თუმც გვიან, მაინც მოვიგონოთ მშობელ დედის მოვალეობა და ამ ლამაზ, მაგრამ გაჭირვებასა და უვიცობაში ჩამღრჩვალ მხარეს ხელი გამოვუწოდოთ...

დღეს სამაჰმადიანო საქართველოში იმედის ხმა გაისმის და აქა – იქ აციალდა განათლების ლამპარიც; მაჰმადის სარწმუნოების ქართველი ისე ეჭვის თვალთ როდელა უმზერს თვის თანამომძე ქრისტიან ქართველს; ძველ, მივიწყებულ ჩონგურზე გაწყვეტილი სიმების მაგიერ ახალი იზმის და იქნება წყლულიან გულზე ახალი, სანეტარო, ერთობ – ძმობა – სიყვარულის იმედიანი ჰანგებიც მოვისმინოთ; მაგრამ მაინც დიდი, ძლიერ დიდი ცდა, დრო, ენერჯიაა საჭირო, რომ ის კედელი სრულიად ჩამოინგრეს, ჩვენ შორის რომ წყეულ საუკუნოებს აღუმართავს. ნურავინ მოიტყუებს თავს, რომ ეს დღევანდელი მსოფლიო კატასტროფა იყო მხოლოდ საჭირო, რათა უცნობობის კრეტსაბმელი გახეულიყო და ორ მოძმეს საბოლოოდ ეცნო ერთმანეთი. არა, ისტორიას ნახტომი როდი უყვარს და ის, რაც საუკუნოებით იქმნება და მტკიცდება, თვალის დახამხამებზე როდი იქცევა და ისობა. მართალია, სანუგემოა ამ პატარა ახმედის, ასლანის, რემიზის, მეხპულეს, აიშეს, ასიეს მხიარული კისკისი და ჟრამული ქართული სკოლის გარშემო, მაგრამ დამაფიქრებელია ის გულის ჩათხრობა, ჯერ კიდევ სრული გაურკვევლობის, თითქმის უნდობლობის შიშის იერი, ზოგიერთ მათ მშობელს რომ გადუქროლებს ხოლმე ჟამ და ჟამ სახეზე...

საუკუნოებრივ ტანჯვის გრძნობას სავსებით ჯერ ვერა ჰფხვრის ჩვენი სულ ახლანდელი ძმური და თანაგრძნობი სიტყვა და დახმარების ხელი, მაგრამ მაინც ვიმედიანობ, მეგობარო, რომ გაუგებრობის ბურუსი მალე განიფანტება, შეიგნებენ, რომ მათთან მოვდივართ, როგორც ღვიძლი ძმები, სწავლის, განათლების, შეგნების ლამპარით ხელში; განათლების, გათვითცნობიერების ცეცხლის დასანთებად და არა მათი წმინდა სარწმუნოების ხელშესახებად; სამაჰმადიანო საქართველოს შვილები როცა შეიგნებენ ამას, მხოლოდ მაშინ ჩაიყრება ის მტკიცე სამირკველი, რომელზეც აღიგება, განურჩევლად სარწმუნოებისა, ერთი მთლიანი, მტკიცე საქართველო...

„სახალხო ფურცელი“, 1916 წ. N 707. გვ. 3 – 4.



## დავით კასრაძე აჭარელთ ასამართლებენ

კვლავ გაისმა აჭარელთა შესახებ ხმაურობა, ერთხელ კიდევ საზოგადოებას ემცნო გუგუნი, **საზარელი ბრალდება „სახელმწიფო მოღალატეობისა“**. მართალია, ამ ჟამად საბრალმდებლო სკამზე გამოყვანილია სულ რამდენიმე კაცი, მაგრამ ბრალდება, მათს თავზე მოხვეული უდრის მთელი მხარის ბრალდებას და ვერავითარი ბრალმდებლის თავის მართლება, ვითომც მთელს აჭარასთან საქმე არა აქვს, მარტო აქ წარმოდგენილ პირთ ვასამართლებთო, ვერა ლოლიკა ვერ გაამართლებს: დასჯა წარმოდგენილ პირთა მთელი ამ ქვეყნის გასამართლებაა! ხანგრძლივმა გამოძიებამ კი დიდი ხანია ამ ქვეყნის მართებლობაში დაარწმუნა თვით უსასტიკესი სკეპტიკოსნი. საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ აჭარელნი აქ შუაში არ იყვნენ; მათი გამოსვლა, თუ გნებავთ ერთგვარი „სახელმწიფოებრივი ღალატი“, ფიქტიური გახლდათ, უკიდურეს შემთხვევაში – იძულებითი. ეს, თუ არ დაგიშლიათ, შემთხვევითი ხასიათის „დანაშაულობაა“, განსაკუთრებული ამბავი, რასაც განსაკუთრებული კვლევის მეთოდით უნდა მივუდგეთ და არა **კაბინეტში მოაზრეთა და უჭკვიანეს კაცთა მიერ შედგენილი კოდექსის საშუალებით**.

თუ ამ მხრით შევხედავთ, დავინახავთ, რომ აჭარელთა „სახელმწიფოებრივი ღალატი“ არ ყოფილა ქარიშხალისებურად ამოვარდნილ ინსტიქტის პროტესტი, სურვილი სახელმწიფოდან გაჭრისა მოწინააღმდეგის ბანაკში შესასვლელად, რათა მათთვის ზურგი გაემაგრებინათ. ასეთი მაგალითები, ასეთი აღტკინებული გაჭრა მტრის ბანაკში ამ ომის დროს ჩვენ მრავლად დავინახეთ დასავლეთ ასპარეზზე ელზასელთა შორის, როდესაც გერმანელებს გაურბოდნენ ათასობით შეიარაღებულნი და ავსტრიის საზღვრებზე რუსინთა და გალიციელთა თვით რეგულიარ ჯართა მთელი დივიზიობით გადმოსვლა რუსების მხარეზე.

კერძოდ, აჭარელთა მაგალითი არც ელზასელთა და არც რუსინთა როლს არ მიეგვარება. აქ არ იყო სტიქიური გატაცება ჩაკლულ გრძნობისა, აქ ხმა არ ამოუღია მშობლიურ გრძნობის შებორკილებასა, რომ ოსმალთა მხარეზე გადასულიყო მთელი აჭარა. ჩვენ ვიცით და გამოძიებამაც დაამტკიცა, რომ რუსის მხედრობის გამოსვლისთანავე მთელი ეს მხარე უპატრონოდ დარჩა. შეუიარაღებულნი, იგი მტრის ხელში უბრალო ნივთად გარდაიქცა, რომელსაც მორჩილებით უნდა აესრულებინა ყოველგვარი ბრძანება დროებით გაბატონებულ მბრძანებლისა. ძალა აღმართის მხვნელია, უიარაღო აჭარელი პროტესტს ვერ განუცხადებდა, რომ ამის ძალა არ ჰქონდა.

თუ ასეთ „მოღალატეობასთან“ გვაქვს საქმე, თუ დღეს ასეთ სახის აჭარელებს ასამართლებენ, დაე, მაშინ ხმა აღიმადლოს მართლმსაჯულებამ, ამ განსაკუთრებულ შემთხვევას განსაკუთრებული თვალსაზრისით შეჰხედოს და ტაში დაუკრას მათ, როგორც ტაშს უკრავს „ნოვოე ვრემია“ იმ ელზასელებს, რომელნიც გერმანიის უღელს გაექცნენ, მაგრამ ვიდრე დანიშნულ ადგილს მიაღწევდნენ, მტრის ტყვიით გულ განგმირულნი დაეცნენ ზედ შუა გზაზე.

მაგრამ შესაძლებელია ელზასელ – რუსინების მაგალითი რამდენადმე მიუგვარებელი იყოს აჭარელთა საქციელთან; შესაძლებელია ისიც, ბრალმდებელს სულ სხვა პრეტენზია ახელმძღვანელებდეს. მაგრამ ფაქტი თუნდა ისეთის პირებისა, როგორც დამნაშავეთა შორის გარეული ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე გახლავთ, ვის შესახებაც მთელი წერილი მოვათავსეთ ჩვენ გაზეთის გუშინდელ N – ში, ცხადსა ყოფს თუ რა ვიწრო ტენდენციას უჩენია თავი, თუ რა უმართლო ბრალდებაა წამოყენებული! ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე და გასამართლება, ეს ხომ უცნაურობაა.

ადამიანი, ვინც მთელი თვისი სიცოცხლით, მთელი არსებით, მთელი თვისი ძალ – ღონით სცდილობდა ოსმალთათვის გამოეგლიჯა ქართველი მაჰმადიანობა და რუსეთის სკიპტრის ქვეშ მოეპოვება ბინა, ადამიანი, ვისთანაც ბინას პოულობდნენ ჩვენი ისტორიკოსები, მოგზაურნი,

მისიონერები, სამხედრო პირნი, ასეთი ადამიანი ამ მძიმე ბრალდების ქვეშ ბუნებრივად უნდა იწვევდეს პროტესტს, აღელვებას, და, დიახაც, მის გასამართლებას უთანასწორობდნენ მთელი ბედკრული ქვეყნის გასამართლებას!

ჰუმანური გრძნობა, ადამიანობა და გულდაკოდილ აჭარის ხმა მოითხოვს, ვიკმაროთ მსხვერპლი და უკანასკნელად ჩამოვრეცხოთ ტლანქი ხელით ამ ქვეყანაზე გადასროლილი ბრალდება „სახელმწიფო დალატი“, რაიც ფაქტიურ ლაქად აჩნევია ტანჯულ სახეზე. დაე, გაიმარჯვოს მართლმსაჯულებამ და ნურამც ჰქმნას ღმერთმა, რომ კავკასიაში ახალ მეფის ნაცვლის დანიშვნის დღე ასეთი საზარელ ამბით აღინიშნოს.

საქართველო, 1915 წ. N 122.

## ი. ჯაიანი დაბა და სოფელი

სოფ. ხულა (ზემო აჭარა). თუმცა დამაგვიანდა ამ ამბების მოწერა, მაგრამ მაინც მოგწერთ. წლებანდელმა ზაფხულმა უწვიმოდ ჩაიარა. გვალვისაგან კინალამ მშვირები დავრჩით, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით კიდევ არ ვემდურით ბედსა და იღბალს. თუ შიმშილობა შეგვაწუხებს, სამაგიეროდ იქნება ავაზაკობისაგან მაინც მოვისვენოთ. აქამდე მუდამ ავკაცობა იყო და ახლა – კი, ცოტა არ იყოს, იკლო. ამ ზაფხულს აქ მოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და სასტიკი ბრძანება გასცა, რომ ვინც საეჭვო კაცი იქნება და ვისზედაც კაცის კვლასა და ავკაცობაში ეჭვს მიიტანს ან ადგილობრივი ბოქაულია, ან საზოგადოება, სასტიკად იქნება დასჯილი. დავსჯი არა თუ საეჭვო კაცს, არამედ იმათს სახლი – კაცებსაც ხეირს არ დავაყრი, თუ რომ არ გამოაჩინეს ავაზაკი და ან თუ თითონ არ გამოცხადდა ბათუმში ავი კაციო. ასე ბრძანების გამო ხალხი შეშინდა, შეფიქრიანდა და აგერ მას აქეთ მყუდროება სუფევს, თუმცა ავაზაკობა და კაცის კვლა მაინც არ მოსპობილა სრულიად და ხან აქედამ გესმით უსიამოვნო ამბავი, ხან იქიდან.

აგერ თხუთმეტი დღის განმავლობაში ორი აჭარელი კაცი და ერთიც ეჯემი მოჰკლეს ქვაბლიანის ხეობაში, ახალციხის მაზრაში. ერთი იყო მებაღედ და თურმე საცოდავს რამდენიმე ასი მანათი ჰქონდა ჯიბეში და ამ ფულების გამო მიხტომიან ბაღში და გამოუსალმებიათ ამ დუნიისათვის. მეორეც, იყო ქურთი ხასან. ამ ერთის წლის წინად ეს ქურთი შევიდა ლესნიჩთან აბეჩიკად და ყოველ დღე დადიოდა სახელმწიფო ტყეებში, რომ ხეები არავის მოეჭრა უსასყიდლოდ და ლესნიჩის ნება – დაურთველად; აგერ მეოცე დღეა, რაც ეს კაცი დაკარგულია და თუმცა თავ – გადაგლეჯილები დარბიან ამ საცოდავის ძმები და დაეძებენ, მაგრამ ჯერ – ჯერობით ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი. ვინ იცის, რომელ ტყესა და კლდეში ჰგდია ეს საცოდავი! ამბობენ, რომ ის, უბედურის დღისა, სინდისიანად ასრულებდა თავისს მოვალეობასო. რადგან ამისთანა თავისის საქმის მუყაითი და ბეჯითად ამსრულებელი კაცი იყო, აქაურელებს ხელს არ აძლევდა და ამის გამო მოიშორეს თავიდგან უსიამოვნო სტუმარიო.

მესამეც, ყოფილა ვილაც ეჯემა, რომელიც ყელ – გამოჭრილი იპოვნეს. ეს ეჯემა წინად მუშაობდა ქვედა აჭარაში და ოქრომჭედლობასაც სწევდა. ერთ – ერთმა იმისმა ამხანაგმა მითხრა, რომ ეს კაცი ჩემი ნაცნობი იყო, ქვაბლიანში წავიდა სამუშაოდაო. თუმცა ფულები არა ჰქონდა, მაგრამ ძვირფასს ქვებს – კი ატარებდა თანაო. როგორც აღმასა, აგრეთვე, იაგუნდა და ფირუზა

ექნებოდა ორას – სამას მანათისაო. ეტყობა ამ საცოდავს ამ ძვირფასმა ქვებმა მოუღო ბოლო, რადგან შეამჩნევდა ვინმე და მერე რაღას დაჰზოგავდა ავაზაკი.

აი, ასეთ ყოფაში ვართ აქა. ახალი ამბავი რომ ჰკითხოთ ვინმეს, რა იციო, იმას გეტყვიან, რომ ქვაბლიანში კაცი მოუკლავთო, ქვაბლიანში კაცი გაუცარცვავთო.

აჭარლებს აუსრულდათ ამდენის ხნის გულის წადილი: **ბათუმიდგან ახალციხემდის** ინჟინრებმა დაიწყეს ეტლებით სიარული. დღეს ამ გზებზე მოესმათ აჭარლებს ეტლზე გამომულის ზარების ხმა და ამ ამბავმა ყველა ფეხზე დააყენა; ქალი და კაცი, ვინც – კი ამ გზებზე სახლობენ, სულ იმაზე ლაპარაკობენ; დიდის ამბითა და აღტაცებით შესცქეროდნენ ქალები და ბაღნები ამ უნახავს სანახავს. მართლაც – და სასიხარულო ამბავია, არავინ არ იყო ისეთს სატანჯველს მიცემული უგზოობის გამო, როგორც ეს **ზემო აჭარა**. აქამდის ერთის დღის სავლელი გზა ოთხი – ხუთი დღე უნდა ევლოთ და ერთი – ათად მეტი ხარჯიც უჯდებოდათ. უფრო მომეტეზულს გაჭირვებაში იყვნენ ისინი, ვინც **ბათუმიდგან** ეზიდებოდა ახალციხეში ვაჭრების საქონელს.

მაშინდელი გაჭირვებაც აი, რა იყო: გადმოვიდოდნენ ახალციხის ვაჭრები შვიდ – რვა კაცამდის აჭარაში და აქ დაიჭერდნენ ორმოც – სამოცს ცხენს ტვირთისთვის და წაიყვანდნენ ბათუმში. აჰკიდებდნენ აჭარლების ცხენებს საქონელს, ფუტს ასე აბაზიდგან ექვს შაურამდე. ამ ფასად უნდა აეტანათ ბათუმიდამ **ახალციხეს**. მაგრამ ისიც უნდა იქონიოთ სახეში, რომ ბედი და იღბალი იმისი იმუშავებდა, ვისაც მოჰყვებოდა ცხენი შინა. ვინც მშვიდობითა და ცხენით მობრუნდებოდა შინ, იმას, როგორც თავისი სახლობა, აგრეთვე მეზობლებიც ულოცავდნენ უზიანოდ სახლში მობრუნებას. მაგრამ, საუბედუროდ, ამისთანა იღბლიანიც ძრიელ ნაკლებად გამოერეოდა. ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც ყოფილა, რომ პატრონს ცხენი გზიდგან გადავარდნია კლდეში და იმისა ძვლებიც ვეღარ უპოვნია: ცხენიც დაღუპულა და ტვირთიცა. ამ სახით ეთხოვებოდა აჭარელი თავის ცოლ – შვილის მარჩენალს ცხენს და ცარიელ – ტარიელი უნდა მობრუნებულიყო შინისაკენ. ამისთანა ზარალის გამო ვარდებოდა ვალსა და ვახშში და უნდოდა თუ არ უნდოდა, ქურდობისა და ავ – კაცობისათვის უნდა მიეყო ხელი, რომ როგორმე გამოეკვებნა თავისი ცოლ – შვილი.

ახლა რაკი გზა გაიმართა, სულ სხვა არის. ღმერთმა უშველოთო, ამბობენ ეხლა, – რომ ამისთანა გზა გაგვიკეთეს და გამოგვიხსნეს საცოდავობისაგანო. იმ დროს უფრო ცოტას ვკიდებდით ცხენს ტვირთსა, უფრო ცოტა ქირას ვიღებდით და ხშირად ცხენსაც ზედ ვადებდითო; ახლა ათსა და თორმეტ ფუტს ვკიდებთ, ქირასაც მეტს გვაძლევენ და დღე – ღამე ჩვენთვის გზა გახსნილიაო. ზოგმა დროგებიც იყიდა და ორმოცი – ორმოცდაათი ფუთი ადვილად ჩააქვს აქედგან ბათუმს 82 ვერსის მანძილზედ და ფუთში ორაბაზსა და ათს შაურს იღებენ.

ამას წინად აქ მობრძანდა მოსკოვიდგან თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო და საარხეოლოგო კომისიისა **გრაფის ქვრივი უვაროვისა თავისის შვილებითურთ, დითა და დისწულით და დაიარა მთელი აჭარის ძველი მონასტრები**. უვაროვისამ და იმასთან მყოფმა ავიდნენ ერთს ნასაყდრალზე, რომელიც არის **აგარის საზოგადოებაში** და სახელად უმახიან **საციხურს**; აქ უვაროვისამ მოათხრევინა ის ნასაყდრალი და იპოვა **მარმარილოს ქვაზე რამდენისამე წმინდანის სურათი**. ამას გარდა, კიდევ გამოჩნდა ბევრი რკინები და კლიტეები და ხატის ნატეხებიც. გარდა ამისა, გამოჩნდა შესანიშნავი თლილი ქვები ნახატებით, მაგრამ ამ ქვებს თითოს ხუთის ფუთიდგან ათ – თორმეტ ფუთამდის გამოდიოდა; ასე რომ ასოც ფუთამდის იყო; ყველა ქვები წონით. ყველა ეს ქვები, ხატები და ნაპოვნი ნივთები **ბათუმში** ჩაატარეს.

ივერია, 1888 წ. N 193.

## ისკენდერ ეფენდი ცივაძე წერილი ქობულეთიდან

ამ რამდენიმე დღის წინად ერთ ჩვენ მოძმე ქართველ მაჰმადიანს შემთხვევით მოუხდა **ტფილისში** ყოფნა, რომელმაც ბევრი სასიამოვნო და საგულისხმო ანბავი ჩამოგვიტანა ქალაქიდან იმაზედ, თუ რა შეხედულებების არიან **ქართველი ქრისტიანები** ჩვენ მივიწყებულ **ქობულეთ – აჭარაზე**. ვინ არ იცის, რომ სასურველია შეფერხებული ღვიძლი ძმის მიხედვა და აღდგენა. შეიძლება ჩვენ იმის ღირსნი არც კი ვიყვნეთ, მაგრამ ჯანზე გამაგრებულმა ძმამ იქონიოს უნდა სახეში მიზეზები, რომლების მეოხებით ჩვენ დავრჩით ისეთი მოწყვეტილი დედის უბისაგან და ძმებს გავვეყარენით. მაგრამ **ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი ნუგეში საქართველოს აღორძინება გახლავთ**. ამის მიზეზით, რომელიმე პირს განუზრახავს ქობულეთ – აჭარას ზნეობრივად დაეხმარონ. ასეთი ღვთაებრივი ადამიანები დიდი მადლობის ღირსნი არიან, მაგრამ, რომ პირი წყლით სავსე მაქვს და სანუგეშოს ვერას ვამბობ! აგერ მაგიდაზე მიდევს ორი მოთხოვნილება, რომლის შესრულება სარძიკვლად უნდა ჩაეყაროს **ქართული სკოლის დაარსებას ქობულეთში**. ამნაირმა მოთხოვნილებამ დამაღონა, საგონებელში ჩამაგდო; მე, აქაურ მცხოვრებელმა, კარგად ვიცი ჩემი მეზობლების მისწრაფება და მათი ადათ – ჩვეულება. მკვიდრნი მცხოვრებნი ნუგეშს ხედავენ მარტოთ თოფ – იარაღში, თუმც არიან ისეთებიც, რომლებმაც კარგათ იციან, რომ **სწავლა – განათლება უფრო ბასრი მჭრელია ცხოვრებაში, ვინემ ხმალი, მაგრამ ამისთანები სანთლით მოინახება**.

რადგანაც ასეთ დაბეჩავებულ ხალხს წელზე აწევს სხვა და სხვა ბეგარის გადახდა და სანახევროდ სასწავლებლის შენახვა, რანაირად შეიძლება, იმათ კიდევ დაევალოს შენობის აგება და მოწყობა. ეს რომ ვაკისროთ ესეთ ხალხს, მაშინ ხომ უარზედ გადგებიან და იტყვიან: არ გვინდა თქვენი სკოლაო. გამოურკვეველ მდგომარეობაში ვართ ჩაცვიხულნი და ღმერთმან იცის, მომავალი რას მოგვიტანს.

ამასთანავე, დიდ მადლობას ვუცხადებთ თანაგრძნობისათვის პატივისცემულ პირებს სახელდობრ: **ლ.გ. ბოცვაძეს, სოსიკო მერკვილაძეს**, რომლებმაც გაუზზავნა ქობულეთის უფასო სამკითხველოს მრავალი ძვირფასი ქართული წიგნები და ჩვენი ქართველი მწერლების საუცხოო სურათები.

სამკითხველოს გამგეობის წევრი, ჩურუქსუ – ქობულეთის ხოჯა მუდერისი (კეთილმოწყობის რიგე) – ხაფიზ – ეფენდი ცივაძე.

სახალხო გაზეთი. 1914 წ. N171.

## სამსონ ფირცხალავა სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი

12 აპრილს **რუსეთ – ოსმალეთის** ომი გამოცხადდა. მაშინდელმა „**დროებამ**“ და „**ივერიამ**“, რასაკვირველია, წერილები უძღვნეს ამ ამბავს. „**ივერია**“ სწერდა, ეს ომი სლავიანთა გასანთავისუფლებლად არისო (1877 წ. 14 აპრილი), ხოლო შემდეგ მაინც ცდილობს, უფრო ფართო იდეალი დაინახოს ომში და ასეთი მაღალის სიტყვებით ინუგეშებს თავს: „**დღეს საომრად მოსულს მხედრობას ეს უწერია დროშაზე: „ჩაგრულთა დასახსნელად და მჩაგვრელთა შესაკავებლად ამოიღო ხმალი ხელმწიფე იმპერატორმა**“. ამაზე უმშვენიერესი, ამაზე უპატიოსნესი, ამაზე

უწმინდესი საგანი ბევრჯერ არა ჰქონია ომსა. ადამიანის სულგრძელობას უკეთესი საზრდო აღარ უნდა, ადამიანის თავგამომეტებულს მხნეობას უკეთესი ჯილდო“ (1877 წ. 21 აპრ.).

გაზეთი „**დროება**“ კი უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევს, რომ ჩვენმა ერმა სიფრთხილე, სიდინჯე გამოიჩინოს და არ ჩაიდინოს მოუფიქრებელი საქციელი. იმასვე იმეორებს ხაზგასმით, რაც უკვე სთქვა: „დაუიარაღებულს ხალხს უფლება არა აქვს ხელი გაანძრიოს მტრის წინააღმდეგ. ის რჩება შორიდან ან ახლოდან მაყურებლად მოწინააღმდეგეთ ბრძოლისა და სისხლის ღვრისა. ჩვენი ხალხიც ამ საფუძველზე უნდა დაემორჩილოს. ამის გადაცდენა ხეირს არ დაგვავრის. **ჩვენი სამხედრო მდგომარეობა ამას მოითხოვს, ამას მოითხოვს, აგრედვე, ჩვენი მხრივ კეთილგონიერული პოლიტიკური მოსაზრება.** რასაც გვთხოვენ, ის მივსცეთ; **მომეტებული ერთგულება ხშირად მომეტებულ მტრობაზე უარესია.** წინდაუხედავად წაჩრა იქ, საცა ჩვენ საჭირონი არა ვართ, იქ, საცა არ გვთხოვენ, მოუფიქრებლად თავის ალება და კუდაბზიკური გალაშქრება ამისთანა მძიმე საქმეში, არც ვნებას მოგვიტანს, ხეირს არ დაგვავრის. ერთის სიტყვით, უნდა ვსთქვათ, რაც ვსთქვით წინად: ჩვენი მხნეობით გამოჩენილი თავ. – აზნაურობა და საზოგადოდ ხალხი ახლა მარტო თავის მხნეობით არ გამოიჩენს თავს“ (N 41).

შემდეგ ნომერში გაზეთი არკვევს ომის მიზანს, ამბობს, რომ ომი გაფართოვდება თუ არა, სლავიანებს უთუოდ მოუტანს განთავისუფლებას, და ბოლოს დასძენს: „სხვა რა შედეგები ექნება კიდევ ამ ორთა შუა ბრძოლას, რა სივრცეს მიიღებს, როგორ გაძლიერდება და **თუ ევროპა გაერია, მაშინ რა ბოლო ექნება, ვის თავისუფლებას დაეხმარება, ან ვის დალუპავს, ყველა ამის თქმა ახლა რასაკვირველია ძნელია...**“

**1878 წლის თებერვალში ომი შეწყდა და სან – სტეფანოს** ხელშეკრულებით 19 თებერვალს დროებით ზავი ჩამოვარდა **რუსეთსა და ოსმალეთს შორის**, ომის შედეგი ბევრს არ აკმაყოფილებს, მოელიან, რომ ომი ხელახლა დაიწყება მალე და ეხლა მონაწილეობას მიიღებენ სხვა სახელმწიფონიც, განსაკუთრებით **ინგლისი**.

ინგლისის საზოგადოება მეტად აღშფოთებული იყო რუსის იარაღის გამარჯვებით. გაზეთები შიშობდნენ, ოსმალეთი მარტო ვერ შესძლებს წინააღმდეგობის **გაწევას, რუსები სტამბოლს** მიადგებიან და ინგლისი უთუოდ უნდა ჩაერიოს ომში, რომ შეაჩეროს რუსეთის გაძლიერებაო: ინგლისმა უნდა მიაშველოს ოსმალეთს ჯარი სტამბოლის დასაცავად, გადასხას დესანტი **ბათომსა და სოხუმში** და შეუტოს რუსეთს **ინდოეთის** ჯარით **გერატიდან**. **სან – სტეფანოს** ხელშეკრულება რომ გამოცხადდა, ინგლისის მთავრობა გაცხარებით შეუდგა საომარ მზადებას. გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა ომის გეგმა: ინგლისელები და ოსმალეები არ შეებრძობოდნენ რუსეთს ევროპის ასპარეზზე, თავის ძალით შეესეოდნენ **ამიერკავკასიას** და ამავე დროს ძლიერს დესანტს გადასხამდნენ შავის ზღვით სამხრეთ **რუსეთში**. მაჰმადიანების გულის მოსაგებად **ინგლისმა** მოინდომა სახალიფოს აღდგენა და იმედი ჰქონდა, რომ მთელი სამაჰმადიანო აღსდგებოდა რუსეთის წინააღმდეგ...

ომის შეწყვეტა და **სანსტეფანოს** წინასწარი ზავი არ აკმაყოფილებს ჩვენს გაზეთს „დროებასაც“, რომელიც სწერს: „**კარგ ომს ცუდი მშვიდობიანობა სჯობიანო**, ამბობენ რუსები. მაგრამ ჩვენთვის რომ ეკითხათ, ამ სიტყვას შევაბრუნებდით და ასე ვიტყოდით: ცუდს მშვიდობიანობას კარგი ომი სჯობიან“ (1878 წ. 2 ივლ.).

მაგრამ მშვიდობიანობის სურვილმა გაიმარჯვა, ევროპის სახელმწიფონი მორიგდნენ **ბერლინის** კონგრესზე (1878 წ. 13 ივნისი – 13 ივლისი) და **რუსეთსა და ოსმალეთს** შორისაც სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ევროპა ასცდა მსოფლიოს ომს, რომელსაც დღე – დღეზე მოელოდნენ.

ომის გათავებას მაშინდელმა ქართულმა პრესამ მეტად ცოტა წერილი უძღვნა. „დროების“ 11 აგვისტოს ნომერში შემდეგს ვკითხულობთ მხოლოდ: „გათავდა ომი. ავად თუ კარგად მშვიდობიანობა დამყარდა. ბერლინის კონგრესმა გაარიგა ევროპის დახლართული საქმეები და იმედი მოგვცა მაინც, ომის ნუ გეშინიათ...“ გაზეთის აზრით, ომის დროს ამკარავდება ყოველი ხალხის ღირსება და ნაკლულოვანება, ომმა ბევრი რამ ასწავლა რუსეთს და იგი უეჭველია დაადგება რეფორმების გზას და ახალ წესებს შემოიღებსო...

უფრო დინჯად და ვრცლად შეეხო ომის შედეგებს თვიური ჟურნალი „ივერია“ 1879 წლის პირველი ნომრის მიმოხილვაში, სადაც სხვათა შორის, სწერდა: „ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულებით წვერი შემოერღვა, როგორც პაჭიქს და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდის რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო? – იტყვის მკითხველი. ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერკავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველის მხრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიაც ბერლინის ხელშეკრულობის შემდეგ გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქომამდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქედ აზიაში გამოიწია და რუსეთი და ინგლისი, – ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის, აქ აზიაში დაეჯახებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას; რით გაიხსნება ეს კვანძი, ხმლით გაჰკვეთენ, თუ საცივილიზაციო ღონისძიებითა, ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინაღვე...“

ჩვენ აქ საპოლიტიკო სიგელს არა ვწერთ და ამიტომაც ესე გაკვრით ვლაპარაკობთ ამ საგანზედა და ჩვენს მკითხველს ჩვენს ამონაფიქრებს ვაუწყებთ სმენისა და გაგონებისათვის. ჩვენ აქ გვინდოდა, როგორც ლიტონს მემატთანეს, შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისთვის მხოლოდ, არამედ სხვისთვისაც, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზედ ამ 5 – 6 წელიწადში, მაგრამ ეს მიწის ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა წინად და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა და სხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდევ“.

ამ საზოგადო მოსაზრების შემდეგ ავტორი წერილისა განაგრძობს: „ბერლინის ხელშეკრულებამ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირსახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოიქცევით, ვისთანაც აწ მათი ბედია, ჩვენთან იქნებიან კიდევ სამუდამოდ. წარსულმა ბევრი სისხლი დანსთქა ქართველისა, ბევრმა ჩვენმა აფიცრობამ თვისი ყმაწვილობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი წარიყვანა მეთქი ამ წუთი სოფლიდან თავის ტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილითა და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა. საწყალნო, ეგრე გულგარად თავდადებულნო ყმაწვილ კაცნო, თქვენ, საცა ჭირი იყო, პირველი იყავით ნებით თუ უნებლიედ, და საცა ლხინი იყო, უკანასკნელნი!“

ავტორი თავს იწუგებებს, რომ დაკარგული ძმები მაინც დავიბრუნეთ, რომ „ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა“...

ასე იყო თუ ისე, ომი გათავდა. რუსეთმა შემოიერთა ბათუმისა და ყარსის ოლქები და საქართველოს დაუბრუნდა დიდი წილი მოწყვეტილი შვილებისა. მაშინდელს ქართულ პრესას ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული ის მძიმე მოვალეობა, რომელიც დააწვა ქრისტიანს, განათლებულს ქართველობას გამაჰმადიანებული მოძმეების შემოერთებით. ახლად დაპყრობილ კუთხის მკვიდრნი უცხონი იყვნენ რუსეთისათვის და საჭირო იყო დიდი სიფრთხილე და

კეთილი მოპყრობა მცხოვრებათა ნდობის მოსაპოვებლად. წესიერების და მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად მათ შორის. ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესი დამთავრებული არ იყო, რომ „დროება“ სწერდა 5 ივლისის თარიღით: „მთავრობა უექველია მიიღებს მხედველობაში ამ ახლად შემოერთებულ ხალხის ხასიათს, ჩვეულებას, სარწმუნეობას, და ამისდაგვარად მოექცევა. ამ თავითვე აქ დიდი სიფრთხილე, ერთობწინდახედული, და გამჭრიახობა გვმართებს. საჭიროა ისეთი კაცების დანიშვნა გამგებლად, რომლებიც კარგად უნდა იცნობდნენ ადგილობრივ მდგომარეობას, ხალხს, ზნეს, ენას, ხასიათს, ჩვეულებას...“ ბათუმის მხარე ომისაგან მთლად აოხრებული, აწიოკებული იყო, ხალხში დიდი შიმშილობა და გაჭირვება ჩამოვარდა, და ჩვენი პრესა დაბეჯითებით წინადადებას აძლევს მთავრობას, დაეხმაროს გაჭირვებულთ და თან მოუწოდებს შეგნებულ ქართველ საზოგადოებას, მიეშველოს ძმებს.

მაგრამ ქართული პრესის განსაკუთრებული საზრუნავი ისაა, რომ ქრისტიანი ქართველობა დაუახლოვდეს მაჰმადიან ქართველობას, მივიდეს მასთან ძმურად, მიუტანოს განათლება, დაიჭიროს მტკიცე და მჭიდრო ერთობა. ამისათვის კი პირველი საქმეა ახლად შეძენილ ძმების გაცნობა. ამის გამო ს. მესხი სწერს: „ჩვენ რუსის ქართველები, თითქმის სრულებით არ ვიცნობთ ამ ახლად ჩვენს უბეში დაბრუნებულ მოძმეებს. ვიცით მხოლოდ, რომ ყველა ესენი გამაჰმადიანებულები არიან, რომ მომეტებულს ნაწილს ამათგან ძველი საქართველოს ხასიათი და ჩვეულება ჯერაც არ დავიწყნია, ვიცით, რომ ზოგან იმათ თავიანთი სამშობლო – ქართული ენა ჯერაც არ დაჰკარგვიათ, და სხვა არაფერი“. „ამიტომაც, განაგრძობს „დროების“ პუბლიცისტი: ჩვენი სამღვთო მოვალეობა არის, რომ კარგად გავიცნოთ ეს ახლად შემოერთებული ჩვენი თანამოძმეები და იმათაც გავაცნოთ ჩვენი თავი. უამისოთ ჩვენ შორის ერთობა და ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის შვილობა თავის დღეში არ ჩამოვარდება. როგორი ერთი საქართველოს შვილნი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთისა ვერას გავიცებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება“.

ხოლო როგორ უნდა მოხდეს ეს გაცნობა? ავტორი ასახელებს ამის საშუალებას – ესაა ერთმანეთში მისვლა – მოსვლა, ქართული სკოლების გახსნა, სადაც სწავლება უთუოდ ქართულად უნდა იყოს, და ქართული წიგნების გავრცელება. ამასვე იმეორებს ს. მესხი თავის მეორე წერილში, ხოლო დასძენს: „აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლად შეძენილ ქართველების სარწმუნეობას. სარწმუნეობის განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ერთობას“...

1878 წლის ნოემბერში ქართველი მაჰმადიანების დეპუტაცია ჩამოვიდა ტფილისში – 16 კაცი. ქართველმა საზოგადოებამ სადილი გაუმართა დიმ. ყიფიანის მეთაურობით. სადილს დაესწრნენ გარდა დ. ყიფიანისა, გრ. ორბელიანი, კონს. მამაცაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, დიმ. ფურცელაძე, აკაკი წერეთელი (ილ. ჭავჭავაძე ტფილისში არ იყო), გ. წერეთელი, ს. მესხი, ივ. კერესელიძე, პ. უმიკაშვილი და სხ. სადილზე დიდი სიხარული იყო და ბევრი სიტყვა ითქვა. სხვადა შორის, სადღეგრძელო წარმოსთქვა აკაკიმ, მოიგონა წინაპრების ანდერძი – ენისა და ეროვნების დაცვა – და აღნიშნა, რომ ერთიცა და მეორეც ორივე ძმას დაუცავს... „ახლა ვხედავთ, სთქვა პოეტმა: რომ ჩვენის წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არაოდეს არ ყოფილა მოშლილი! დიად, დღემდი თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას“.

ასე შეეგება მოწინავე ქართველი საზოგადოება 1878-79 წლის ომსა და სამაჰმადიანო საქართველოს ნაწილების შემოერთებას, ასე ჰქონდა შეგნებული თავისი მოვალეობა მოძმეების

**წინაშე.** ვრცლად გაგაცანით ჩვენი მამების აზრები; მათთვის საჭირო არაა განმარტება თავის- თავად მეტყველებენ და ბევრს რასმეს გვეუბნებიან. თითქოს დღეს დაიწერა ის, რაც 37 წლის წინად დაწერილა. თითქოს ჩვენი მამები ჩვენი ენით ლაპარაკობენო.

**ჩვენი ეროვნული განვითარება დაჟინებით, გარდაუვლად მოითხოვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების სრულს კულტურულს – ეროვნულს გაერთიანებას,** და ისე ხმამაღლა მოვუწოდებთ ერთმანეთს ამ მიზნის განსახორციელებლად, როგორც დღეს. ხოლო ვგოდებდით, ვწუწუნებდით, ვლაპარაკობდით და საქმეს კი არ ვაკეთებდით. იყო სიტყვა, საქმე კი არა! იყო ბევრი მომწოდებელი და გამკეთებელი კი თითქმის არავინ და ეხლაც მძიმე მოვალეობის, დიდი ეროვნული მიზნის წინაშე ვდგევართ, როგორც ვიდექით ამ 37 – 38 წლის წინად.

\* \* \*

მაგრამ თვალი გადავავლოთ იმას, თუ როგორ შეხვდა **ბათუმის მხარის მაჰმადიანი ქართველობა** ისეთს დიდს მოვლენას, როგორც იყო ახალ სახელმწიფოში გადმოსვლა. ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოურკვეველია და აქ მოვიყვან მოკლე ცნობას, რომელიც მოთავსებული იყო 1879 წ. „ივერიაში“: ომის გათავების შემდეგ „ბათუმის ოლქის ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ოსმალნი დასუსტებულნი არიან და რუსები ევროპის თანაგრძნობას მოკლებულნი, და რადგან ისინი ერთის ხელიდან მეორესთან უნდა გადასულიყვნენ, მოინდომეს სრული თავისუფლების შოვნა. გაცხარებით შეუდგნენ სამზადისს. ხელად მოაგროვეს ათი ათასი რჩეული ვაჟკაცი, ახალი სისტემის თოფებით შეიარაღებული; ცოლ – შვილი გახიზნეს; **ინგლისის** მთავრობას ადრესი გაუგზავნეს, ვითომდა „შენი ქვეშევრდომობა გვინდა და დაგვეხმარე **ოსმალ – რუსებისაგან** თავი დავიხსნათო“, და დაიწყეს ორი ინგლისის გაზეთის კორესპოდენტებთან მოლაპარაკება, რომლებიც დესპანებად მიიღეს... ინგლისის მთავრობა ჯერხანად ყუჩობდა; კორესპოდენტებმა კი ურჩიეს, რომ რადგან ინგლისის მმართველობა აშკარად ვერ დაეხმარება მათ წადილის ასრულებაში, სჯობს ისევ ევროპის საზოგადოებას მიმართონ ნივთიერ დახმარების თხოვნითო. – ამ დროს ბათუმელი კორესპოდენტი სწერდა გაზ. „ტან“ – ში: „რადგანაც აქაურ ქართველებს **სძულთ რუსები და ეჯავრებათ ოსმალნი**, ვგონებ ევროპა ძალიან კარგად მოიქცევოდა, რომ **ბათუმის ოლქი**დამ, რომელიც როგორც ვიცით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილობის წყალობით, ერგო რუსეთს, **შეადგენდეს დამოუკიდებელს სამთავროს ევროპის მფარველობის ქვეშ** იმ სისხლის ღვრის ასაშორებლად, რომელიც აუცილებლად მოხდება, თუ ეს ოლქი კონგრესის განაჩენს მიანებეს“. **თუმცა ევროპას ეს აზრი მოეწონა, მაგრამ მის ასასრულებლად ხელი არ მიუყვია და საქმე ინგლისის ანაზრად მიაგდო... ინგლისმაც** რაღაც მოსაზრების გამო დახმარებაზე უარიუთხრა ბათუმის ოლქის ქართველებს და ურჩია კონგრესის განაჩენს დამორჩილებოდნენ... ბათუმის ოლქის ქართველებმა რა დაინახეს, რომ მათი სურვილის შესრულება შეუძლებელი იყო, თავი მოიხარეს“...

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრებოდა მაჰმადიანი ქართველების სულიერი განწყობა. ბერლინის კონგრესის გათავების შემდეგ **რუსის მთავრობამ** გამოუცხადა **ბათუმის მხარის მცხოვრებლებს:** ვისაც არა გსურთ აქ დარჩენა და ოსმალეთში გირჩევნიათ გადასახლება, სამი წლის ვადა გეძლევათ: ვინც ამ ხნის განმავლობაში გადასულხართ, გადასულხართ, მერე კი ნება არ გაქვთო. **სამი წლის განმავლობაში მთელი ბათუმის ოლქი დელავდა.** ოსმალეთიდან აგენტები გადმოდიოდნენ და უქადაგებდნენ ხალხს – რუსეთში არ დარჩეთ, რჯულს გამოგიცვლიან, ოსმალეთში გადმოდიოთ, იქ თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრებთო.



ამ ქადაგებას ძლიერ უწყობდა ხელს ოლქის მეტად გაჭირვებული მდგომარეობა. ომის გათავების შემდეგ მთელს მხარეში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, რადგან ხალხი ომში იყო გართული, იარაღი ეჭირა ხელში და ხვნა – თესვისთვის არავის ეცალა. მკვიდრთ გული აუცრუვდათ მამაპაპეულ მიწა – წყალზე და მთელი მესამედი გადასახლდა ოსმალეთში, სადაც ათასგვარ გაჭირვების მეტი არა დახვდა რა, ხოლო ვინც სახლში დარჩა, არც ის იყო დამშვიდებული. **ნამეტურ შეწუხებულნი იყვნენ მცხოვრებლები ახალი მოხელეებისაგან და საქმე იქამდის მივიდა, რომ ხალხი აჯანყდა და მთავრობა იძულებული გახდა ჯარი გაეგზავნა მის დასაწყნარებლად...**

მთავრობამ ბათუმის ოლქს ცალკე სამხედრო გუბერნატორი დაუნიშნა, გაჰყო ნაწილებად და მათთან დაამკვიდრა თავისი მმართველობა.

„სახალხო ფურცელი“. N 424, 1915 წ. გვ. 2 – 3

### სამსონ ფირცხალავა სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი

აღსანიშნავია, რომ რუსის მთავრობამ ბათუმის მხარეშიაც განიმეორა ის შეცდომა, რაც ჩაიდინა ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ქართველ მაჰმადიანების შემოერთების დროს. იმის მაგიერ, რომ დამყარებოდა ქართულ ენას, როგორც საუკეთესო საშუალებას ქართველ მაჰმადიანების გულის მოსაგებად, დასაახლოვებლად, მთავრობამ ქართულს დაუწყო დევნა და თვითონ მკვიდრნი გამოაცხადა ოსმალეობად და თათრებად. ტყვილად სწერდა გონიერი ვეიდენბაუმი: „იქ, სადაც არ ესმით ოსმალური, რასაკვირველია, ხმარებაში იქნება ქართული; მაგრამ იქაც, სადაც ხალხმა ოსმალური იცის, ოფიციალურ ენად უნდა იყვეს, ჩემის აზრით, ქართული. ამ უკანასკნელი ენის დავიწყება მცხოვრებლებმა უმთავრესად იმიტომ დაიწყეს, რომ ოსმალს მთავრობის დროს ყველა მოხელე ოსმალურად ელაპარაკებოდა, ხოლო ქართულს ზიზღით უცქეროდა, როგორც არა მაჰმადიანურ ენას და თვით ქართველის სახელი სამარცხვინო იყო. მაგრამ ეხლა, თუ მთავრობა ხალხს ქართულად გამოელაპარაკება, იგი უნებურად მოიგონებს თავის ძველს ენას და ილაპარაკებს ქართულად. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ენის აღდგენა აღადგენს ხალხში ჯერ მთლად არ გამქრალს გრძნობას ერთობისა საქართველოსთან და ხალხი გადაიხრება საქართველოსკენ ისე, როგორც ეხლა მისწრაფვის ოსმალეთისკენ...

საუბედუროდ, რუსის მოხელეებმა ყურად არ იღეს ასეთი გონიერი პოლიტიკა და თითქოს ოსმალეთიდან გადმოსული ფანატოკოსი აგენტები ყოფილიყვნენ, აგონებდნენ მცხოვრებლებს, თქვენ ოსმალეები ხართ და არა ქართველები, ქართველებთან საერთო არა გაქვთ რა, ქართული დაივიწყეთო. სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნეს, ხალხს სასამართლოსა, ადმინისტრაციულ დაწესებულებაში და სხვაგან ყოველთვის ოსმალურის მცოდნე თარჯიმნებით ელაპარაკებოდნენ, უწყებას და განცხადებას ოსმალურად უგზავნიდნენ. ერთი სიტყვით, ქართული და ქართველობა ისე აიგდეს აბუჩად, როგორც არ ყოფილა ოსმალეთის დროსაც. ამ მდგომარეობას საუცხოვოდ ახასიათებს ერთი მაჰმადიანი ქართველი, რომელმაც შემდეგი უამბო ზ. ჭიჭინაძეს: „ბათუმის სუდში მკითხეს: ვინა ხარო? ვუთხარი: – ქართველი ვარ; ძალა დამატანეს, რომ თათარი ხარო. მე ვუთხარი: ქართველი! იმათ, თათარიო! ბოლოს თარჯიმანი მოიყვანეს და იმანაც მკითხა, მასაც ასევე ვუთხარი; არაო, მანაც მითხრა: – შენ თათარი ხარ და რჯულიც თათრული გაქვსო. მე მანაც ჩემი ვუთხარი: – მე ქართველი ვარ და ქართული ზნე – ჩვეულება მაქვს, ჩემ რჯულთან რა ხელი გაქვთო?!“

ასეთი ბრმა პოლიტიკა დღემდის შეუცვლელია. მოგაგონებთ ერთს მაგალითს: **1903 წ. წერა – კითხვის საზოგადოებამ** ქართული სკოლის გახსნა ითხოვა **ართვინის მაზრაში, ჭინკათხევში**. ამაზე მაზრის უფროსმა მოიწერა: აქაური მკვიდრნი თუმცა ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთ თავს მაჰმადიანებად სთვლიან და წერა – კითხვის სწავლა თუ უნდათ, მხოლოდ ოსმალურისა და რუსულისაო. ამას ამბობდა მაზრის უფროსი, მაშინ როცა თვითონ მცხოვრებლები თხოვნაში დაჟინებით სწერდნენ:

**ჩვენ ქართველები ვართ და ქართული წიგნი გვინდა ვისწავლოთო.**

ამ სამი თვის წინად აჭარაში, სოფ. **ხულოში** მივიდა საგანგებო მინდობილობით გენერალი პ., რომელმაც ხალხს სიტყვით მიმართა რუსულად და მერე ეს სიტყვა თარჯიმანს ქართულ ენაზე კი არ გადაათარგმნინა, იმ ენაზე, რომელიც ხალხის დედა – ენაა და რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს, არამედ მისი სიტყვა **ოსმალურად გადაუთარგმნეს** მცხოვრებლებს.

ასეთი მაგალითი ერთი, ორი და სამი არაა...

იკითხავთ, როგორ მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა, ქართველობის შეგნება, ქართული ეროვნული ელფერი **ძველებური მესხეთის** ან ეხლანდელი **სამაჰმადიანო საქართველოს** საზღვრებში? სად შერჩენია ხალხს ქართული სული და იერი, სად ქართველობა გამქრალა, წაშლილა სამუდამოდ?

ამის შესახებ გასული საუკუნის დასასრულის და ამ მდგომარეს დასაწყისის მოგზაურები და მკვლევარები გადმოგვცემენ შემდეგ ცნობებს. როგორც ვიცით, ნაწილი მესხეთისა ჯერ კიდევ ოსმალეთის ხელშია – ესაა **ლაზისტანის სანჯაყი** (ჭანეთი) და ნაწილი **არზრუმის ვილაიეთისა** (კლარჯეთის და ტაოს სამხრეთ – დასავლეთი მხარე). ჭანები ან ლაზები თავის ლაზურ ენაზე ილაპარაკებენ, რომელიც ცოტათი განსხვავდება მეგრულის კილოსაგან (ლაზი და მეგრელი თითქმის ერთი და იგივე მცნებაა: სვანები მეგრელს **ზანს** ეძახიან და სამეგრელოს **ლაზანს**), ხოლო დღეს მეტად სუსტი ეროვნული შეგნება აქვთ თავის ქართველურ ნათესავობის შესახებ. აკადემიკოსი **ნ. მარი**, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად იყო ოსმალეთის ლაზისტანში, ამბობს: – ლაზისტანის მხოლოდ ორ კაზაში – **ხოფისა** და **ათინისაში** ლაპარაკობენ ეხლა ლაზურადო.

თავის მშობლიურ ენას ლაზები მეტ წილად ზიზღით იხსენიებენ; რცხვენიათ ილაპარაკონ დედაენაზე. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ლაზები ოსმალეთში დამოუკიდებელ ძალას წარმოადგენდნენ, ოსმალელებს მტრობდნენ. ეხლა კი ამის ნასახი – ლა თუ მოიპოვება ზოგს ალბათ, საერთოდ – კი ლაზები გამსჭვალულნი არიან ოსმალურის მამულიშვილობით და მტკიცეთ ერთგულობენ ოსმალეთს. ეროვნული ტრადიციები აღმოფხვრილია; ძველი ნაშთების შესახებ ხალხი ამბობს, რომ ეს მეგრელების აშენებულია, და ჩვენ მხოლოდ სამასი წელიწადია, რაც გავჩნდით ქვეყანაზე. „ლაზები, როგორც ერი, სრულ გადაგვარების გზას ადგიან. – ასეთია დასკვნა მეცნიერის მოგზაურისა.

რაც შეეხება **არზრუმის** ვილაიეთის მკვიდრთ, მათ სრულებით დაივიწყეს ქართული, გადაგვარდნენ და ამათი გადმორჯულება – გადმოქართველება ეხლა ფრიად სამწელო საქმეა. პატივცემული **ყაზბეგი** მოგვითხრობს, რომ ლაზისტანის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე, **ისპირის** ტოტზე **პარხალზე** არის სოფელი (და ერთი უდიდებულესი ქართული მონასტერთაგანი), და ამ სოფელში **1874 წ.** რამდენიმე მეკომური ცხოვრობდა, რომლებიც **ქრისტეანობას აღიარებდნენ**. ალბად დღეს ესეც აღარ არის (**პარხალი** 10 – 12 ვერსითაა დაშორებული რუსეთის საზღვარს).

ეხლა თუ გადმოვალთ რუსეთის მესხეთში, დავინახავთ, რომ თითქმის ამგვარსავე მდგომარეობაშია ქართული ეროვნება და ენა **არტაანის, არდაგანის** და **ოლთისის** ოლქებში. **ალ. ფრონელი** სწერდა **1909 წელს: ფოცხოვისა და ჯაყის წყალის ხეობაში, კოლასა, არტანსა და ერუშეთის** სრულებით აღარ იციან ქართული; დაბა სოფლების სახელები, მთისა და გორაკებისა, ველ –

მინდვრებისა, მდინარეებისა და რუვებისა, ისევე ქართულია, მაგრამ გადარჯულებულს აქაურ ქართველს აღარ ეყურება მათი მნიშვნელობა. სახელწოდება სოფლებისა: **საიხვე, ზეგანი, ნაქალაქევი, ცხრაწყარო, სამღერეთი, წურწყაბი, ალი, ყველი, არსიანი, ჯაყის – წყალი** და სხვანი უცხო და გაუგებარი სიტყვებია აქაური ქართველისათვის. იგი ვერ მიხვდება, რომ ეს შექმნილია ქართველი კაცის გენიოსობით, ჭკუა – გონებით. ბუნდოვნად ახსოვს მარტო, რომ ოდესღაც **იყო ქართველი**, მაგრამ დღეს თავის თავს უწოდებს **თათარს**, იცის თათარული ენა და ქართული და ქართველობა აღარაფრად ეპრიანება“.

იგივე ავტორი, რომელიც კარგა ხანს სცხოვრობდა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, გვეუბნება ახალციხელ მესხების შესახებ: ყველაზე ადრე შეითვისა ოსმალური ენა მაღალმა წოდებამ, ე.ი. თავად – აზნაურობამ, შემდეგ ბევრები რომ დაერქვათ. რაც ხანი გადიოდა, ქართული ენის ცოდნა თანდათან სუსტდებოდა. დღეს თითქმის აღარავინ იცის. თითოთ დაითვლება იმათი სახელი და გვარი, ვინც ამ ხანად ლაპარაკობს სუფთა ქართულს... გლეხობა უფრო მძიმედ ითვისებდა ოსმალურ ენას; დედაკაცობა ხომ, რადგან კერას არ სცილდებოდა და სულ შინ იჯდა, სრულებით არ ეტანებოდა ოსმალურს. დღესაც ბევრია იმისთანა მიყრუებული სოფელი, სადაც თუმცა მაჰმადიანური რჯულია გამეფებული, მაგრამ ოსმალურმა ფეხი ვერ მოიკიდა მკვიდრად **დედაკაცობაში**. საოცარი ამბავია,, მაგრამ შეურყეველი და ჭეშმარიტი ისაა, რომ **ქართული ენა დაიჩაგრა რუსების მისვლის შემდეგ სამცხე – საათაბაგოს**. არის ისეთი სოფლები, სადაც მოხუცებულები კიდევ ლაპარაკობენ **ქართულს**, ხოლო ყმაწვილკაცობა სრულებით აღარ ეტანება ქართულს. მიზეზი ისაა, რომ ქართულმა დაჰკარგა ფასი ხალხის თვალში **რუსების მართვა – გამგეობის დროს, აღარაა ხმარებაში სკოლაში, სასამართლოში, ადმინისტრაციაში**. ამიტომ ქართული ენა აღარავის ეპიტნავება, ვითარცა პატივაცრილი და გამოუსადეგარი.

მესხი მაჰმადიანი სუფთად ლაპარაკობს ქართულად **აწყურისა, იდუმალისა და კლდის სამამასახლისოში**. ნარევ – ნარევად სხვა დანარჩენ სამამასახლისოებშიც მოიპოვება ქართულად მოლაპარაკე სოფელი. მაგრამ საერთოდ რომა ვსთქვათ, თუ დროზე **რიგიანი სკოლა** არ მივაშველეთ სოფლებს, ქართული ენა, ძირიან – ფესვიანად ამოვარდება“.

კიდევ უფრო გადაგვარებულია **ჯავახეთის** მაჰმადიანი ქართველობა, რომელიც ან სრულიად აღარ ლაპარაკობს ქართულად ან თუ ლაპარაკობს, ისე ცუდად, რომ ძლივს მიხვდებით მის ლაპარაკის აზრსა (ალ. ფრ. 167). ქართველი მაჰმადიანი ჯავახეთში ძალიან ცოტადა დარჩა. იქა – აქ შერჩენიათ ქართული გვარები: **ვაჩნაძე, გეგიძე, ფალავანდიშვილი**; გარდა მაჰმადიანი ქართველებისა, რამდენსამე სოფელში ბინადრობენ მართლმადიდებელი ქართველები. **ხიზაბავრასა, ხელგუმოს, ბავრას, კარტიკამს და კურცხის** ცხოვრობენ სომხის ტიბიკონის ქართველი კათოლიკენი.

ახლა თუ გადმოვალთ **ბათუმის მაზრაში**, დავინახავთ, რომ აქ ქართული ენა და ქართული ეროვნული ელფერი უფროა დაცული და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც ზედ ეკვრიან საქრისტიანო საქართველოს. ბათუმის ოლქში უახლობელესი ნაწილი **კინტრიშის ხეობა ან ქობულეთია**. აქ ქართული ენა სუფთადაა დაცული და ოსმალური ოცში ერთმა არ იცის, ქალები კი მარტო **ქართულ ენაზე ლაპარაკობენ**. დაცულია ქართული სიმღერები. არიან ქართული **წერა – კითხვის მცოდნენიც**. ქობულეთში ქართულს ლაპარაკობენ გადმოსახლებული ბერძნები და თურქებიც. ხალხს ქართველობისაკენ აქვს გული, ხოლო საწინააღმდეგო აგიტაციას ეწვევიან ოსმალეთიდან გადმოსული მოლები, რომლებიც დიდს სიმძულვილს უქადაგებენ მკვიდრი ქრისტიანობისას და მაშასადამე, ქართველ ქრისტიანებისაც.

გასული საუკუნის ბოლოს აჭარა მიმოიარა **თ. სახოკიამ**, რომელიც ასე აგვიწერს ქართული ენის მდგომარეობას: „მიუხედავად საშინელის ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელის სიწმინდით დაცულია ქართული ენა **შიდა აჭარაში** და იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს **გურიას**. მაგალითად სოფ. **ჭვანის ქართული განთქმულია** და შიგ მრავალს საუნჯესა ვპოულობთ ჩვენის ძველის ენისას. **ზემო აჭარას** აღმოსავლეთ – სამხრეთ სოფლებში **შავშეთ – იმერხევის** საზღვრებზე კი მეტად დასტყობია ოსმალურის ენის გავლენა. მართალია, ხალხი ოსმალურად არ ლაპარაკობს, მაგრამ ქართული ლაპარაკი მეტად არის აჭრელებული ოსმალურის სიტყვებით. ახალმა მოსულმა კარგად უნდა შეაჩვიოს ყური, რომ აქაურების ნათქვამი გაიგოს, ოსმალური ბევრმა იცის, განსაკუთრებით ხანში შესულებმა. ოჯახში კი ყველა ქართულად ლაპარაკობს. **მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენის ენისა**. რადგან ნაბეჭდი წიგნები აქეთკენ ამ უკანასკნელ ხანამდე არ მოიპოვებოდა, **თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა: აქაურის ბეგების დედებმა, უფრო ხანშესულებმა**. მდაბიოთა შორის ძველებურის წერის მცოდნე იშვიათია დღესაც. წერის დროს, თუ ქალი სწერდა, სიტყვებსაც ქართულს ხმარობდა, რადგან ოსმალური ნაკლებად იცოდა, ხოლო მამაკაცი კი ქართულის ანბანით ოსმალურ სიტყვებს გამოსთქვამდა...

„სახალხო სიტყვიერება, განაგრძობს იგივე ავტორი, სულსა ჰლევს. მთელის ერთის თვის განმავლობაში ორად – ორი ანდაზა გავიგონეთ. ლექსი თუ კიდევ სადმე დარჩენილა, ისიც მეტად დამახინჯებული რამ არის... სახალხო ლექსთან ერთად აქ მისი განუყრელი დაი – სიმღერაც ჰქრება. მთელი თვის მოგზაურობის განმავლობაში განგებ თვალყური გვეჭირა და წამლად ერთი სიმღერა არ გავიგონია... ვეღარც საკრავებს იპოვით აქეთკენ. ერთად ერთი საკრავი – **ჭიმონია** (რაჭულ საზანდრის მზგავსი), მეტად მარტივი და პირველყოფილი მუსიკალური იარაღია, რომლითაც აჭარელი ათასში ერთხელ თავის სევდასა და დარდ – ვარამს გამოსთქვამს ხოლმე. ძველებური ქართულის ნიშანი განსაკუთრებით შენახულია აქაურის სიტყვა – პასუხში. მათი **ზრდილობიანი ლაპარაკი, თავაზიანობა, სურვილი სტუმრისამებისა – უმაღლეს განვითარებამდე მიღწეული**. აქ ადამიანის ყური იშვიათად გაიგონებს **უწმაწურს სიტყვებს**“...

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მაშინდელი ოსმალეთის საქართველო შემოიარა **გ. ყაზბეგმა**, რომელიც ბევრს საინტერესო ცნობას გვაძლევს. მისი აწერილობით იმერხევის (12 სოფელი) და შავშეთს (36 ს.) მკვიდრნი, გარდა მცირე გამოწაკლისისა – 145 სომხის ოჯახისა, სულ ქართველები არიან და **სახლობაში ქართულად უბნობენ**. კერძოდ, **შავშეთში უფრო შელახულია ქართული** და აქ ნაკლებად ლაპარაკობენ ქართულად. რაც უფრო უახლოვდებით **არტანუჯს**, მით უფრო ნაკლებად გესმით ქართული სიტყვა – პასუხი (66 – 67 გვ.) მისივე სიტყვით, **ჭოროხის** ნაპირებზე, **ართვინიდან** დაწყებული ზღვამდე, სულ **წმინდა ქართულს ლაპარაკობენ და მცხოვრებნი მეტად ლამაზნი არიან და მაღალი ნიჭის პატრონნი**. ეს კუთხე **წმინდა ქართველი რასის აკვანი იყო** და მიუხედავად ბედის ტრიალისა დღემდის შერჩენია ძველი ღირსება (92).

ამასვე ამბობს **ზ. ჭიჭინაძე**, რომელიც ორმოცდაათიან წლებში იყო **შავშეთ – იმერხევი**: „ისტორიულ ნაშთებთან ერთად შავშეთში ქართული ენაც მოსპობილა. როგორც გადმოგვცეს აქაურმა მოხუცებულებმა, ქართული ენა 60 წლის განმავლობაში გამქრალა“. **შავშეთის მეზობლად მდებარე იმერხევი კი ქართული დაცულია; აქ მთელი ხალხი ქართულად ლაპარაკობს**, ან როგორც თვითონ ამბობენ „ქართულად იტყვიან“ (284 – 293, „იმერხევი ოსმალური ენა უფრო გზის პირა სოფლებში შესულა და გავრცელებულა, თორემ სადაც მიყრუებული და მიუვალი სოფლებია, იქ ხალხი ქართულად ლაპარაკობს (294)“. **ნ. მარრიც** მოწმობს, რომ შავშეთში გამქრალია ქართული,

ხანძთის, შატბერდის და ოპოზას მიდამოებში ოსმალურად ლაპარაკობენ დღეს. ხოლო იმერხევი შინაური ენა ქართულია, თუმცა შიგ ბევრია ჩარეული ოსმალური სიტყვები(გვ. 32, 176 და).

„სახალხო ფურცელი“ N425 გვ. 2 – 3, 1915 წ.

### სამსონ ფირცხალავა სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი

ასეთია ვითარება ქართული ენისა და ეროვნებისა ძველს მესხეთში ან ეხლანდელს სამაჰმადიანო საქართველოში, როგორც ამას აგვიწერენ გასული საუკუნის დამლევის და მდგომარეს დასაწყისის მოგზაურები და მკვლევარები. ლაზურად უკვე აღარ ლაპარაკობენ მთელი ლაზის-ტანის მკვიდრნი. ქართული მთლად მოსპობილია ოსმალეთის საზღვრების ფარგალში დარჩენილ ადგილებში, მთლად მოსპობილია ან თითქმის მოსპობილია ოსმალეთის მოსაზღვრე ნაწილებში – არტანის (არდაგანის) და ოლთისის მაზრებში და ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრაში), აგრედვე, ახალციხის მაზრის უმეტეს ნაწილში. ზოგან სუსტადაა გავრცელებული, ზოგან გამქრალია ქართული სიტყვა ართვინის მაზრაში, ხოლო წმინდადაა შენახული ბათუმის მაზრაში. ეს ცნობები ნათლად გვიხატავენ იმ საშინელ მდგომარეობას, რომელსაც განიცდის დღეს ქართული ენა სამაჰმადიანო საქართველოში. საყურადღებო ისაა, რომ ესეთი განადგურება ქართული ენისა და ეროვნული შეგნებისა მოხდა უმთავრესად უკანასკნელ 80 – 100 წლის განმავლობაში. ჩვენს თვალწინ მოისპო და ისპობა ქართული ენა საქართველოს საუკეთესო ნაწილში. 37 წელიწადია, რაც შემოგვიერთდა ახალციხე და ჯავახეთი, 37 წელიწადია, რაც ჩვენთან არიან არტანის და ოლთისის მაზრის და ბათუმის ოლქის ქართველები და ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ თითქმის არავითარი საზოგადოებრივი ინიციატივა, არავითარი საზოგადოებრივი მუშაობა არ გამოგვიჩენია მათ დასაახლოვებლად, შესასისხლ – ხორცებლად, ჩვენის ძველის ძმობის და ერთობის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად. ჩვენ არა თუ ვერ ვუპატრონეთ იმას, იმ ეროვნულ საგანძურს, რომელიც თან მოიტანეს დაკარგულმა მოძმეებმა, ვერ შევიჩინეთ, არამედ დაგვარგეთ, ხელიდან გავუშვით ისიც კი, რაც მაშინ გვქონდა. ჩვენ ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ უცვლელად, ხელუხლებლად გადაგვეცა მომავალი თაობისათვის, რაც მივიღეთ; დაგვარგეთ მიღებული, ჩაბარებული და ჩვენს ხელში, ჩვენთან ყოფნის დროს მაჰმადიანი ქართველები კიდევ უფრო დაშორებულნი შეიქმნენ, ვიდრე იყვნენ ჩვენთან მოსვლამდის...

გამოვიჩინეთ უდიდესი უმადურობა და არ მიუძღვენიტ სამაგიერო იმ მესხეთს, რომელსაც დაუფასებელი დვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე, რომელიც თავგანწირულად, გმირულად სდარაჯობდა ჩვენს ქვეყანას, რომლის აღურიცხველი მსხვერპლის, ათას ვაების, წამების და მწარე დღეების მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ მთელი სამშობლო არ წაგვლიჯა მტერმა და გელათის, მცხეთის მიდამოებშიაც არ გაისმის ოსმალური ისე, როგორც ეს არის დადებული ხანძთის, შატბერდის, ოპოზას არე – მარეში. ჩვენ შორიდან ვერ წარმოგვიდგენია ნათლად სიმძიმე იმ ტვირთისა, რომელიც წილად ხვდათ ჩვენს ძმებს – მესხებს; ვერ შეგვიგენია სიმრავლე მათ მიერ გავლილ ტანჯვისა. ვხედავთ მხოლოდ მკვდარს, უსიტყვო ნანგრევებს, მაგრამ კი არა ვგრძნობთ იმ სულიერს და ხორციელს წამებას, რომელიც გამოიარა მესხეთმა, ვიდრე გაანადგურებდნენ მისი სახელოვანი შვილების შემოქმედების ნაშთებს. გვესმის მხოლოდ გადაგვარებული ქართველის ოსმალური ან ოსმალურ – ნარევი ქართული და ოდნავადაც არ ვიზიარებთ კი იმ ათას სასოწარკვეთილებას, უმოწყალო დევნას, უსაზღვრო გამწარებას და გაჩენის დღის წყევლას,

რომელიც განიცადა ხალხმა, ვიდრე დასტოვებდა ევთიმეს, გრიგოლის, გიორგის, შოთას ენას. ჩვენთვის ეს მწარე დღეები მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ფურცლებია ქალაქდზე დაწერილ ისტორიისა და არა ნამდვილი ცხოვრება ჩვენი ღვიძლი ძმებისა, მთელი ჩვენი ერისა, არა ის წარსული, რომელიც განუკვეთელია ჩვენი ეხლანდელ ცხოვრებისაგან, რომელიც ღრმად და ფართოდ არის ჩაქსოვილი მთელი საქართველოს არსებობაში...

ჯერ ვერ გაგვითვალისწინებია, რომ სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი, მისი ერთობის აღდგენა დანარჩენ საქართველოსთან – ეს მთელი საქართველოს ეროვნული საკითხია, რომ ჩვენი ბედი და მომავალი არასოდეს არ იქნება უზრუნველყოფილი, თუ არ მოხდა ეროვნული გაერთიანება სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოსი, თუ ორივე ნაწილი ჩვენი ერისა არ ჩაება საერთო ეროვნულ ცხოვრების ფერხულში და შეერთებულის ძალღონით არ შეებრძოლეს ყოველს მტერს და დაბრკოლებას. ჩვენი აღდგენის მზე მხოლოდ მაშინ ამოვა, როცა ქართველ მაჰმადიანსა და ქართველ ქრისტიანს შორის არავითარი განსხვავება არ იქნება, გარდა სარწმუნეობისა, რომელიც სინდისის საქმეა და ყოველს ქართველს ისე შეუძლია ადიდოს ღმერთი, როგორც საუკეთესოდ მიაჩნია. ჩვენი არსებობა მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე და ბეჯითი როცა ეხლანდელი ძმები მესხები, გამაჰმადიანებული ქართველები ისევე ერთგულნი იქნებიან საქართველოსი, ისევე თავგამოდებით, სულითა და გულით იმუშავებენ ქართველი ერის პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებისათვის, როგორც მათი სახელგანთქმული წინაპრები...

ყველაფერს ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერს ვაკეთებთ და გვინდა ჩვენი უმოქმედობა „ჩვენგან დამოუკიდებელ“ გარეშე მიზეზებს გადავაბრალოთ, ჩვენი უგულობა ხელშემშლელი პირობებისა გავამართლოთ, ჩვენი სიზნანტე და უძლურება სხვას მოვახვიოთ თავზე. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ ქართველობას, როგორც საზოგადოებას, არა გაუკეთებია – რა მაჰმადიან მოძმეებისათვის: არც სკოლები და სამკითხველოები გაგვიხსნია, არც წიგნები მიგვიწოდებია, არც სიტყვიერი პროპაგანდა გაგვიწვია, არც ნუგეში გვიცია, როგორც შეჰფერის გულშემატკივარს ძმას. ისიც კი ვერ შევსძელით, რომ პირადად გვენახა და დაგვეთვალა იერებია სამაჰმადიანო საქართველოს კუთხეები, შეგვესწავლა ისინი; გამოვლაპარაკებოდით იქაურს მკვიდრთ, თავყვანი გვეცა ჩვენი დიდების ნაშთებისათვის...

რა გავაკეთეთ?! ნადიმი გაუმართეთ და სადღეგრძელოები მივუძღვენით ომის გათავების შემდეგ იქაურ დეპუტაციას, სამიოდე ათასი მანეთი შევაგროვეთ რუს – ოსმალოსაგან დაზარალებულ ბათომის ოლქისათვის და ერთი პირველ – დაწყებითი სკოლა გავხსენით ბათომში, სადაც, სამწუხაროდ, ქართველ მაჰმადიანების შვილი ძლიერ ცოტა სწავლობს – ეს არის სულ ის, რაც გააკეთა ჩვენმა საზოგადოებამ მესხეთის ქართველებისათვის. ისევ თუ გაკეთდა რამ, უფრო კერძო პირების მიერ. **გ. ყაზბეგმა**, **დ. ბაქრაძემ**, **ნ. მარმა**, **ე. თაყაიშვილმა** ძვირფასი ცნობები გამოაქვეყნეს მესხეთის ნაშთებისა და ცხოვრების შესახებ. განსვენებულმა **პ. უმიკაშვილმა** იმოგზაურა აჭარა – ქობულეთში და ეცადა იქ ქართული წიგნის გავრცელებას, ამ მხრივ მეტად ძვირფასია **ზ. ჭიჭინაძის მოღვაწეობა**, რომელმაც რამდენჯერმე შემოიარა ბათომის მხარე და მრავალი ქართული წიგნი უფასოდ გაავრცელა ქართველ მაჰმადიანებს შორის, მანვე შეადგინა და დაჰბეჭდა ბევრი წიგნი საქართველოს გამაჰმადიანებულ ადგილების შესახებ. **ზ. ჭიჭინაძემ ბევრი გააკეთა მაჰმადიან და ქრისტიან ძმების დასახლოვებლად** და მის სახელს აქამდის პატივისცემით იხსენიებენ ბათუმის ოლქის მცხოვრებნი. არა ერთმა და ორმა ისწავლა მისი წიგნაკების საშუალებით ქართული წერა – კითხვა. „**ზაქარია ეფენდი კაი კაცია**, იტყვიან ჩვენი მოძმეები: **გურჯული ქითაბები** (წიგნები) დაგვირიგა და ჩვენთან ერთად ჩვენს ჯამეში ლოცულობდაო“...

ოსმალეთმა თითქმის მთელი **მაკედონია** გააოსმალურა. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში ისე გაბედულად და მხნედ მუშაობდნენ აქ **ბერძნები, სერბები** და **ბულგარები**, რომ ისევ გადიბირეს თავისი ძმები და **დაუბრუნეს მშობელს ერს**. გამოიგონია ერთის ბულგარელისაგან: მაკედონიაში რომ შევდიოდით, თოფით მოგვეგებებოდნენ ჩვენი გადაგვარებული ძმები, თანაც ოსმალეთის მთავრობისაგან სიკვდილი გვექონდა გადაწყვეტილი, მაგრამ **დაულაღავის მეცადინეობით, სკოლებით, წიგნებით და სიტყვიერის ქადაგებით, მაინც მიზანს მივახწიეთ და დაკარგული ძმები დავიბრუნეთ**.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენს სამაჰმადიანო საქართველოში ამაზე უარესი იყო საქმის ვითარება. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ჩვენს ძმებთან მისვლა და თუმცა ბევრგან მთლად ან თითქმის გაჰქრა ქართული ენა და წაიშალა ქართული ეროვნული იერი, მაგრამ **არსად არ ჩამქრალა სრულიად ცეცხლი ქართული ეროვნებისა, ყველას ახსოვს, რომ ქართველი იყო, თუ არ არის დღეს; რომ ქრისტიანი ქართველის ძმაა, თუმცა რჯული სხვა აქვს; რომ მასთან იბრძოდა ერთად სამშობლოს კეთილდღეობისათვის**. ასე წარმოიდგინეთ, გადაგვარებულ ლაზებშიც კი არ ჩამკვდარა მთლად ეროვნული სული, ეროვნული თავმოყვარეობა და აკად. **მარი ასეთს ფრიად საგულლისხმიერო შემთხვევას გვიამბობს: როცა ვიცეს, არხავეს და ხოფაში ვუჩვენე ლაზებს როზენის გამოკვლევა ლაზური ენის შესახებ და ოსმალურის ანბანით დაწერილი ლაზური სიტყვები, ჩემმა ნაცნობებმა გამომტაცეს წიგნი და დემონასტრატულად უხმობდნენ გაკვირვებულს ხალხს ქუჩაში და აჩვენებდნენ წიგნს. ზოგიერთმა ლაზმა ისიც მთხოვა, როცა ლაზურ გრამატიკას დახედა რუსულად, გამოგვიგზავნე სტამბოლში და გადავათარგმნინებთ ოსმალური დამწერლობით ლაზურ ენაზედო**.

ბევრჯერ მოუმართავთ ჩვენთვის შეგნებულ, განათლებულ მაჰმადიან ქართველებს გაზეთებში წერილების დაბეჭდვის შესახებ. ითხოვდნენ: **გვიძმეთ და გვეძმეთ; გვასწავლეთ ქართული წიგნი, მოგვეცით საჭირო განათლება, რომ ჩვენც, თქვენთან ერთად ვემსახუროთ სამშობლოსო**. იმის მაგივრად რომ იქით, მათთან, მივსულიყავით, თვითონ მოდიოდნენ აქეთ, ჩვენთან და გვეფიცებოდნენ ერთგულებას – **ღვიძლი ქართული ენა გვაქვს, თუმცა სხვა სარწმუნოება გვაქვსო**. გვევედრებოდნენ მხურვალეთ და ჩვენც გვჯეროდა, გვესმოდა მათი ძახილი; გავიფიქრებდით და ვიტყოდით, რომ, მართლაც ჩვენი ძმები არიან, უნდა მივეშველნეთ ძმებს და დავეხმაროთ ომის შედეგად დამშეულებს; ჩვენი სწავლა – განათლება, კულტურა უნდა გავაცნოთ მათ. თუმცა ამას ვიტყოდით, ვიფიქრებდით, მაგრამ ნათქვამ – ნაფიქრი მალე გვავიწყდებოდა; საქმით კი არაფერს ვაკეთებდით. **ჩვენი მაჰმადიანი ძმები სადღაც ჩვენი ხსოვნის კუნჭულში იყვნენ მიჩქმალულნი, ვითა აჩრდილნი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ემხილებინათ ჩვენი მიჩლუნგებული სინდისი; კვლავ გადაეშალათ ჩვენს წინ მივიწყებული მოვალეობა, შეუწყნარებელი დანაშაული**.

ასეთი იყო ჩვენი ორგულობა, ჩვენი სიბეჩავე. მაგრამ რაც არ უნდა მწარე იყოს ჩვენი დღე, არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას, არ შეგვიძლია წარვიხოცოთ რწმენა იმის, რომ ბოლოს და ბოლოს გალხვება ყინული, რომელიც ჩვენს გულს გადაკვრია, გაიფანტება ბნელი, რომელიც ჩვენს გონებას ჰბურავს, დაიმსხვრევა ბორკილი, რომელიც არის დასაბამი ჩვენის უმოქმედობისა. ჩვენ სულს მაინც ცისარტყელასავით ანუგეშებს იმის იმედი, რომ თუ მოწამლულია ზედაპირი ჩვენის გრძნობისა, ერის სიღრმეში დაცულია დიდი შემოქმედებითი ძალა, რომელიც ამოხეთქავს, წაჰლეკავს შერყენილს და წაბილწულს გრძნობა – ფიქრს; და განახორციელებს საქართველოს ორის ნაწილის გაერთიანებას, რომელსაც დიდი ხანია ოცნებობს ქართველი ხალხის გული, რომელსაც ეტრფის ქართველი ხალხის სული. ეს ის ზემოქმედებითი ძალაა, რომელმაც ცოცხალი გამოიყვანა ჩვენი ერი ათასი ცეცხლისა და წარღვნისაგან, რომელმაც არა ერთხელ დაუბრუნა ბედნიერება

აოხრებულს და აწიოკებულს სამშობლოს. ეს ეროვნული შემოქმედებითი ძალა თითქოს ფრთაშესხმულ გენიად მოგვევლინა და ახალი სისხლი ამოძრავა ჩვენს მოდუნებულ სხეულში შარშან, როცა ბათუმის ოლქის აოხრების ამბავი გულის სიღრმემდის ჩაგვწვდა, როცა ჩვენი გაუბედურებული ძმების უმწიობამ დაგვწვა და აგვატირა, როცა ჩვენს წინ გადაიშალა სახე გადაბუფულ სახლებისა, გატიტვლებულ ბავშვებისა, თოვლიან მთებში გახიზნულ ძალებისა. ვეზიარეთ ძმების, ტანჯვას, მათთან ერთად ვიგრძენით მთელი ჩვენის ქვეყნის ბედშავობა, ობლობა და უპატრონობა, და ვსთქვით: აწ ნულარ იქნები ასე!

დეე, ნულარ იქნება! და ნურასოდეს წაიშლება ჩვენის გულის ფიცრიდან ის ვედრება, რომლითაც მიმართა 8 თებერვალს დიდებული აკაკის კუბოს, მიმართა აკანკალებულის ხმით და ცრემლებით ქობულეთელმა მოხუცმა, მაჰმადიანმა ქართველმა გულო აღა კაიკაციშვილმა: „გევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგენიონ ჩვენი ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებიდან, რომელშიაც ნამეტურ ეხლა ვიმყოფებით!“.

გვახსოვდეს მტკიცედ ეს და აეკვრას ენა ჩვენი სასას, თუ დავივიწყოთ. დეე, ამიერიდან გამოვიჩინოთ სიფხიზლე ეროვნულ საქმეებში და მხნედ, გულმაგრად გავკაფოთ გზა უკეთესი მერმისისაკენ, ნულარ ვიქნებით გულუბრყვილონი, ნუ დავენდობით გარემუს ნურც ვისმე, ნურც რასმე; დავემყარნეთ მხოლოდ საკუთარს ძალღონეს, საკუთარს შეგნებას და მოქმედებას.

ყოველ ერს თავისი მიზანი და მისწრაფება აქვს, რომელსაც ახორციელებს საკუთარის საშუალებით, საკუთარის ნიჭითა და შემოქმედებით. ვაი იმ ერს, რომელიც სხვის მიზანს ემსახურება, სხვისი იარაღი გამხდარა. ვინც თავის გაბედნიერებას სხვისგან გამოელის – იგი არარაა და მკვდარი როგორც საკუთარი არსებობისათვის, ისე მთელი კაცობრიობისთვის. ყოველმა ერმა თვით უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი, თვით უნდა დაწნას თავისი გვირგვინი თავის გულის წვეთებით, თავის ნერვების გამონაწურით, თავის ძვლების ტვინით. ისტორია ოდნავად არ არის რაღაც ფატალისტური პროცესი, სადაც ყველაფერი თავისთავად კეთდება და აუცილებლად უკეთესობისაკენ მიდის... წარსულის დაბრუნებისთვის, ეს ხომ შეუძლებელიცაა, მაგრამ წარსულში იყო ბევრი რამ ჭეშმარიტად ბრწყინვალე და სასიქადულო; იქ ჰყვავის ძლიერი სული, მაღალი ნიჭი, მდიდარი შემოქმედება; ჩვენს წინაპრებს თამამად შეუძლიათ საპატიო ადგილი დაიკავონ კაცობრიობის ისტორიაში. ეს ჩვენი სიამაყეა. მაგრამ ჩვენი წარსული სასაფლაოზე აგებული ძეგლი კი არ უნდა იყოს ჩვენთვის, რომლის იქით სიკვდილია...

არა! წარსული ჩვენი ის კანდელი უნდა იყოს, რომელიც გზას გვინათებს მშვენიერ მომავლისაკენ, მოგვიწოდებს მხნე მოქმედებისათვის, ყოველმხრივ მდიდარ სიცოცხლისათვის, სადაც წინაპართა სასახელო – ნაანდერძვეს შევუერთებთ, რასაც თვით შევიძინთ დღევანდელ საკაცობრიო კულტურისაგან!... ეს ძველი სულიერი სიძლიერე და შემოქმედება უნდა გამოვიჩინოთ სამაჰმადიანო საქართველოს ბედის გადასაწყვეტად: საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველო უნდა შეიქნეს ერთ საქართველოდ სულით, გულით, კულტურით, ეროვნულის შეგნებით (მომდევნო წერილი ქალაქის სიძველის გამო აღარ იკითხება)....

... სამაჰმადიანო საქართველოს მოგონებაზე არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ გამაჰმადიანებული საინგილო, რომელიც მდებარეობს ჩვენი ქვეყნის მეორე მხარეს, ეხლანდელ ზაქათლის ოლქში. საინგილო მოსწყდა დანარჩენ საქართველოს შაჰ – აბასის დროიდან (მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულსა და მეჩვიდმეტეს დასაწყისი), რომელმაც აიკლო და ააფორიაქა მთელი



კახეთი და მასთან საინგილო; მრავალი ქართველი გადაასახლა სპარსეთში და მათ ალაგას ბევრგან თათრები ჩაასახლა. საინგილოს მოაწვევენ ლეკები, მათისა და თათრების გავლენით თანდათან გავრცელდა მაჰმადიანობა ინგილოთა შორის. დღეს „ქრისტიანობა დარჩა მხოლოდ კაკს, ყორაღანს, ალიბეგლას, ქოთუქლოს, მემბაზს და თითო – ოროლა ზოგიერთ სხვა სოფლებშიც. მაჰმადიანად დარჩენილები თითქმის უარყოფენ თავიანთ ქართველობას, ირთავენ თათრის და ლეკის ქალებს, რომ რა არის, ენაც მალე დაივიწყონ“ – ო წერდა თავის ნაშრომში ინგილო მკვლევარი **მიხეილ ჯანაშვილი**.

ინგილოთა რიცხვი, ხეირიანი სტატისტიკური ცნობების უქონლობისა გამო, კარგად გამოკვლეული არაა. ზაქათალის მაზრაში 1886 წ. იყო სულ 74,449 მცხოვრები, აქედან ლეკი 40,225, თათარი 21, – 90, ქართველი 12, 430, სომეხი 521, რუსი 167. ხოლო 1897 წლის აღწერილობით ზაქათალის მაზრაში თავის დედა ენად **ქართული** გამოაცხადა 12,394 სულმა. ბ.მ. **ჯანაშვილი** საინგილოს ოც სოფელში მაჰმადიან ინგილოს ანგარიშობს 18 ათასამდე და ქრისტიანს 3,000 – მდე.

სამწუხაროდ, ქართული ეროვნება მეტად უნუგემო მდგომარეობაშია ამ ჟამად **საინგილოში**. ბ. **ედილი**, რომელიც დაახლოვებით იცნობს ინგილოთა ყოფა – ვითარებას, სწერს: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საინგილო საქართველოსკენ გაიცქირებოდა და თავის თავს ქართველად სთვლიდა, „ეხლა კი საშინელი სურათი გადაგეშლება თვალწინ, გულსაკლავი, გულის ამღვრევი. მრავალი სოფელია, რომელნიც ძვლით ხორცამდის გამუსლიმანდნენ კი არა მარტო, არამედ გათათრდნენ და ეს გათათრება საშინელს მოლიპულს გზაზე მიექანება, ისეთს მოლიპულს გზაზედ, რომ ჩქარა, ჩქარა უნდა ვუშველოთ“!

სახალხო ფურცელი, N 426, 1915 წ. გვ. 2 – 3.

## **სამსონ ფირცხალავა** **მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ სპარსეთში**

ჩემს წინა წერილში შევეხე საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებს, მოკლედ მოვიგონე მათი წარსული და აწმყო – ბედი; მაგრამ მაჰმადის რჯულის ქართველები საქართველოს გარედაც სცხოვრობენ, ყველანი სამშობლოდან არიან გარდახვეწილნი ნებით და უნებურად სხვა და სხვა დროს და მათი მდგომარეობა უფრო სატირალი დაუნუგემოა, ვიდრე საქართველოში მყოფ მაჰმადიან ქართველებისა, რომელთაც ასე თუ ისე მაინც მიწვდებათ **მომშვების იმედიანი სიტყვა**. სამშობლოს მოწყვეტილ ქართველთა რიცხვი არც ისე მცირეა, რომ მათი ცხოვრება, ეროვნული შეგნება არ იყოს ჩვენთვის ყურადსაღები და დამაფიქრებელი.

მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ სცხოვრობენ შორეულ **სპარსეთში** და **შავისა და მარმარილოს ზღვების პირად ოსმალეთში...**

სპარსეთის ქართველების ბედმა დიდად დააინტერესა ჩვენი საზოგადოება ამ რამდენისამე წლის წინად. ბევრს კიდევ ალბად ცხოვლად ახსოვს **ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ – რეზა ხუციშვილი**, რომლებიც სპარსეთის პროვინციიდან, **ფერეიდანიდან** ჩამოვიდნენ **1907 წელს**. ბევრს ექნება გულში ჩაბეჭდილი მათი ჭკვიანური მომხიბლავი სახე, ნამეტურ ონიკაშვილისა, **მათი ტკბილი საუბარი, მათი გონივრული თვალების გამომეტყველება**, მათი საოცარი ცნობის მოყვარეობა. ყველა ხედავდა, როგორ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ახლად ნაპოვნ სამშობლოს ცხოვრებას, როგორის ბავშურის აღფრთოვანებით ისმენდნენ ყველაფერს, რაც შეეხებოდა ჩვენს წინანდელსა და ეხლანდელს მდგომარეობას. თვითონაც დიდის ხალისით

გვიამბობდნენ ფერეიდანელ ქართველების ყოველ მხრივ ტანჯულს ცხოვრებას, მათ მწარე და ცრემლიანს თავგადასავალს და არა ერთს და ორს უტირია **ონიკაშვილის** და **ხუციშვილის** მოთხრობილ გულსაწვავ ამბების გაგონების დროს.

ყალამ – ჰუსეინმა და ყოლამ – რეზამ ისწავლეს ქართული წერა – კითხვა, თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს და ყველგან მათი ერთადერთი სურვილი ის იყო, რომ აქაურ ქართველობას როგორმე მუდმივი კავშირი ჰქონოდა სპარსეთის ქართველებთან, რომ იქ **ფერეიდანში ქართული სკოლა** გახსნილიყო და იქიდან ჩამოეყვანათ რამდენიმე ყმაწვილი აქ საქართველოში აღსაზრდელად და მოსამზადებლად... რამდენიმე თვის უკან ისევ გაბრუნდნენ სპარსეთში და თან წაიღეს ქართული წიგნები და სასწავლო ნივთები. **ყ.რ. ხუციშვილი**, სამწუხაროდ, **თეირანში** გარდაიცვალა გულის ავადმყოფობისაგან. ხოლო ერთი **ყ.პ. ონიკაშვილი** ჩავიდა **ფერეიდანში** და იქ საკუთარის მეცადინეობით დაასწავლა ქართული წერა – კითხვა რამდენსამე მეზობელს. ამათ შემდეგ ჩამოვიდნენ **ნისრულა ხატიაშვილი**, მისი მამა და ბიძა **მაცაშვილი**. ამათაც მალე ისწავლეს წერა – კითხვა და რომ გაბრუნდნენ, თან წაიღეს მრავალი „დედა – ენა“ და სხვა წიგნი. განზრახული იყო, რომ მათ გაჰყოლოდა აქედან მასწავლებელი და დაუყოვნებლივ **გახსნილიყო ფერეიდანში ქართული სკოლა**. მაგრამ გამოწყობილი საქმე ჩაიშალა.

**ონიკაშვილი დიდხანს ელოდა აქედან კაცის ჩასვლას და სკოლის გამართვას და რაკი ვერაფერს ეღიროს, მეორედ ჩამოვიდა**. ხოლო მეორედ ჩამოსულს გატაცებულს მამულიშვილს, **ციხეში უკრეს თავი**, სადაც შვიდს თვეს დაჰყო და მერე **სამუდამოდ გამეფებულ იქნა სამშობლოდან**. სპარსეთში კიდევ უარესი ბედი ეწვია და უდროოდ დაიღუპა ეს ძვირფასი ადამიანი... დაიღუპა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი აქაური ნაცნობები და მეგობრები არ დაივიწყებენ იმ საქმეს, რომლისთვისაც ისე მხურვალედ უცემდა გული განსვენებულს, და დღევანდელი ქარიშხლის გავლის შემდეგ აუცილებლად გამართავენ ფერეიდანში ქართულს სკოლას...

ჩვენმა საზოგადოებამ სპარსეთის ქართველობას პირველად მიაქცია ყურადღება გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა ფერეიდანიდან ჩამოვიდა **ათამა ონიკაშვილი**. ამის მეოხებით გამოქვეყნდა ცნობები იქაური ქართველების შესახებ გაზეთ „დროებაში“. ხოლო დაწვრილებით აწერა სპარსეთის ქართველების მდგომარეობა **ლადო აღნიაშვილმა 1896 წელს**, რომელიც პირადად გაემგზავრა **ფერეიდანში** და საკუთარის თვალითა და ყურით შეისწავლა იქაურობა. იგი ასე აგვიწერს ფერეიდანის ქართველებს: ფერეიდანის მდებარეობს სპარსეთის სამხრეთ – აღმოსავლეთ ნაწილში. გაყოფილია ოთხ ნაპიად (საბოქაულოდ), ერთს ნაპიას ეწოდება **გურჯი (ქართველების) ნაპია**. აქ დღეს სულ 26 სოფელია და მათში თოთხმეტი დასახლებულია მარტო ქართველებით. აი, ამ ქართულ სოფლების სახელები: **შანათი, თოლერი, ბოინი, ტაშკესანა, აფუსი, ახჩა, შაიურდი, ჯალჯალი, სიაბაქი, ჩულრუთი, ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, თესური და ნინო – წმინდა**. საერთო რიცხვი ქართველებისაი აქ **2460 კომლია ან 12 – 15 ათასი სული**.

ყველა ამ სოფელში ერთნაირად ვერ არის დაცული ქართული ენა, ასე მაგალითად, **ახჩასა და აფუსში** უხეიროდ ლაპარაკობენ ქართულს და ნახევარმა აღარც იცის თითქმის. **შანათში** სპარსული ენაა, ქვემო მარტყოფში – სპარსული და ლურული, შაიურდში – თათრული და **დეესურსა და ნინო წმინდაში – ქართული**. დანარჩენ სოფლებში კარგა იციან დედა ენა და ზოგიერთში ხომ ჩინებულად ლაპარაკობენ. ზოგი სოფელი მოზრდილია და ძალიან ლამაზი სანახავი. სცხოვრობენ საერთოდ მეტად ღარიბად. ხალხი მისდევს იმას, რასაც ჩვენი სოფლის გლეხობა: ხვნასა, ბაღების შენებას, საქონლის მოვლას. ხელობა და ვაჭრობა ისე იშვიათია აქაც, როგორც კახეთში, საიდანაც გადმოსახლებულნი არიან აქაური ქართველები **შაჰ – აბაზის** მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში. აქვთ ვენახები, ხოლო ღვინოს არ აყენებენ და ყურძნად სჭამენ.

ხალხს ტიპი და იერი ქართველისა საკმაოდ აქვს შერჩენილი. **ბევრი ისეთი წმინდა ქართული სახის პატრონია**, რომ გასაშტერებელია. ჩვეულება ქართული ცოტადა შერჩენიათ. სახლებს აშენებენ ისე, როგორც ქართლში იციან; ხშირად შეგვხვდებით ძველებური ჩვენი დარბაზები რამდენიმე სვეტით. აქვთ, აგრეთვე, ქართული ურემი. წინად ფერეიდნელი ქართველები თავის ქალებს სხვა ტომის ხალხს არ აძლევდნენ და არც თვითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვა ქალები. დღეს, სამწუხაროდ, ამას მხოლოდ ზოგიერთი სოფელი მისდევს, დანარჩენებს დაურღვევიათ ეს ჩვეულება და ესაა უმთავრესი მიზეზი ენის გარყვნისა და დავიწყებისა იქა – აქ.

სპარსეთში გვარებს არ ხმარობენ, ქართველებს კი წმინდად შეუნახავთ თავისი ძველი გვარები: **აღიაშვილი, ბასილაშვილი, ვარდიაშვილი, სამადაშვილი, ფოცხვერაშვილი, დარისპანაშვილი, ხუციშვილი, ონიკაშვილი, შოშიაშვილი, მამუკაშვილი, მარტიაშვილი** და სხვ. გვარებს ამბობენ, როგორც ჩვენმა გლეხებმა იციან ქართლ – კახეთში – ხოდარამ ხან ონიკანთ, ასადულა ქურდაანთ, მაჰმუდ სულიკანთ სხ. სჯული ყველას მაჰმადისა აქვთ, სხვები არიან და დიდს სიმტკიცეს იჩენენ სარწმუნოებრივს, სპარსელებსაც კი გადააჭარბებენ ხოლმე ფანატიკოსობით. ჰყავთ თავისი მოლები და ახუნდები, რომლებიც სულითა და გულით ქართველები არიან და ძალიან კარგად ლაპარაკობენ ქართულად.

განსვენებული **ლ. აღნიაშვილის** სიტყვით, „**სამი რამ ახასიათებს სპარსეთის ქართველებს**, და ეს ცხადად ამტკიცებს, რომ მათში ქართველური სული ჯერ მთლად არ გამქრალა და მიუხედავად ათასი უბედურებისა და განსაცდელისა სამასი წლის განმავლობაში მთლად არ დაუკარგავთ ეროვნული სახე. პირველია ქართული ენა, რომელსაც ჩინებულად ლაპარაკობენ, ნამეტურ რამდენიმე სოფელში; ამ ენის დამახასიათებელია, რომ ბევრი ძველებური სიტყვა და ფორმა შეუნახავს. მეორე თვისება ფერეიდნელ ქართველებისა ისაა, რომ ყველა მათგანი დიდი და პატარა, ქალი და კაცი აღიარებს თავს წმინდა ქართველად; ვერავინ ვერ გაბედავს მათ სხვაფრივ მოხსენებას, თუ არა გურჯად. მას ესმის, რომ გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავიც მოსწონს, ამაყობს კიდევ. მესამე – ზნე და ხასიათი: კეთილი და სათნოიანი, სტუმართ მოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, ლმოზიერი და პირში მთქმელი. „გასაკვირველია, რომ ამ სპარსეთის ქვეყანაში, სადაც ამოდენა ჭირი და მწუხარება გამოუვლიათ, სადაც უძლურნი და უღონონი ესე უპატრონოდ ღვთის ანაბარობაზე იყვნენ მიტოვებულნი ამ სამასი წლის განმავლობაში, მათ სპარსული ფლიდობა და პირფერობა არ შეუთვისებიათ აქ, სადაც ეს საზიზღარი თვისებანი ესე გადამდებ სენსავით არის მოდებული, როგორც სპარსთა, აგრეთვე, სხვა ერთა შორის, აქ ქართველი იგივე გულახდილია, პირში მთქმელი და გულუბრყვილო. ის არ ადგას აქ გამორჩომის გზას და ისრეთივე უანგაროა, როგორც მისი მომძე გლეხი მის ძველ სამშობლოში, მის საქართველოში მცხოვრები“.

სწორედ გასაოცარია ის ეროვნული სიმტკიცე, რომელიც გამოიჩინა ერთ მუჰა ქართველობამ შორეულ სპარსეთში, სადაც მტრის მეტი გარშემო არავინ ჰყავდა. აუწერელია ის ჯოჯოხეთური ცეცხლი და წამება, რომელიც შეხვდა სპარსეთის ქართველობას. მაგრამ ვერავითარმა ტანჯვამ ვერ გასტეხა წელში და წმინდად მოიტანა ჩვენამდის თავისი ეროვნული სახე. სპარსელი ქართველები, სწერს ბ. აღნიაშვილი: აღიჭურვენ სამასი წლის მოთმინებითა და უყვედრულად იტანდნენ ყოველსავე ჭირსა და სიბოროტეს, დაბრიყვებას და თავგასულობას მოძალადეთგან, რომ ეგების როდისმე კვლავ ეღირსოთ საყვარელი სამშობლოს მშობლიურ საშველად გაწვდილი ხელი და მომძეთა ტკბილი აღერსიანი სიტყვა. ამისათვის, როდესაც მე იქ მიველ და მნახეს, საზღვარი არა ჰქონდა იმათ სიამოვნებას. დაფეთდნენ მეტის სიხარულით. მთელი იმ სოფლის კაცი და ქალი ზედ მეხვეოდა, ყველას უნდოდა დავენახე და გავესინჯე, ყველას უნდოდა, გაეგო ჩემი ხმა, ჩემი

ლაპარაკი; ყველას უნდოდა, დაეთვალიერებინა ჩემი ხელის აღება, ფეხის გადადგმა, პირის გაღება; ყველას უნდოდა, დამლაპარაკებოდა, ეკითხნა რამე. დღესაც ყურებში მიბჟუის იმათი კითხვები: იქაც მოდის ტყემალი? რა გვქვიან შენ სახელი? გაქვთ იქაც ჩვენისთანა წყლები? რა სახელები ჰქვიან თქვენს ქალებს? მოგყავთ კაკალი? იციან იქაც ვენახები? ცივა იქ თუ ცხელა? გვარებიცა გაქვთ თუ არა? ჰხმარობთ თუ არა ურმებს? იქაც იცის თოვლი თუ არა? **ამღევთ ქალებს რუსსა და სომხებს.** და სხვა... ერთის სიტყვით, იმათ ყოველისფერი ეინტერესებოდათ, ყველაფრის გაგება უნდოდათ უმოწყალოდ წართმეული სამშობლოს შესახებ.

ასე შეუნახავთ შორს **ფერეიდანში გარდახვეწილს ქართველებს სიყვარული მამულისა და ერისა!** ასე **დანატრებულნი არიან ჩვენთან დაახლოვებას და მშობის აღდგენას.** ჩვენ კი აქაურებს აღარც კი გვაგონდებიან ისინი, რომელთა განაწამებმა სიცოცხლემ გვიხსნა უარესის ბედისაგან!... სწორედ, ქვა უნდა ედვას ადამიანს გულის ალაგას, რომ დამშვიდებით მოისმინოს ფარეიდანის ქართველების ამბავი და **მკვდარი უნდა იყოს ერი, რომელიც არ მიეშველება ასეთს განსაცდელში მყოფ შვილებს,** არ მიეშველება მათ უკიდურეს გასაჭირში! და რომ გასაჭირი უკიდურესია, ეს ნათელი უნდა იყოს ჩვენთვის: მართალია, დღეს კიდევ უჭირთ, აკლიათ ბევრი რამ ჩვენს შორეულს მოძმეებს, მაგრამ მათი რიცხვი ნელ – ნელა კლებულობს, ნელ – ნელა ითესლება მათ შორის სხვა ტომი და თუ დროზე არ მივაწოდეთ დახმარება, საეჭვო არის მათი გადარჩენა: ყველაფრის ამტანი და გამძლე დედამიწაზე არა არის რა!...

„სახალხო ფურცელი, 1915 წ. N 432.

### **სამსონ ფირცხალავა მაჰმადიანი ქართველები საქართველოს გარედ ოსმალეთში**

აქ მოგახსენებთ არა იმ მაჰმადიან ქართველების შესახებ, რომლებიც თუმცა ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრებში სცხოვრობენ, მაგრამ მაინც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან (**ჭანეთი, ბაიბურდი, ისპირი, ტაო**). ოსმალეთის მიწა – წყალზე ბრუსიდან (ბურსიდან) დაწყებული ტრაპიზონამდე, მარმარილოსა და შავი ზღვების ნაპირებზე გაფანტულია **ორასი ათასზე მეტი ქართველი** (გურჯი და ჭანი); ყველანი საქართველოდან არიან გადასახლებულნი, **ბათუმის** ოლქიდან, უმთავრესად 1877 – 78 წლ. ომის შემდეგ.

სამწუხაროდ, ამ ქართველების შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება, **არც რიცხვი ვიცით დანამდვილებით, არც მათი ყოფა – ცხოვრება შეუსწავლია ვისმე.** ჩვენს გვერდში მცხოვრებ მოძმეების ამბავი არ ვიცით ხეირიანად და უცხო მხარეს გარდახვეწილებისას აბა როგორ გავიგებდით! კანტიკუნტად მოგვეპოვება თითოროლა ცნობა. 1909 წელს ბ. უსახლკაროს (მ.წ.)<sup>1</sup> სტამბოლზე რომ გაველო, ადგილობრივ მცოდნე ქართველების შემწეობით გამოეკვლია დაახლოვებით რიცხვი ჩვენი გადაკარგული ძმებისა. მისის გამოანგარიშებით: **ტრაპიზონის** ვილაიეთში, გარდა ლაზისა, კიდევ გურჯია 84.500, **კერასუნდასა** და ახლობელ სოფლებში 10 ათასი ქართველია, **ორდუში** – 25 ათ., **ფატსაში** – 30 ათ., ჩარშამბაში – 500, **უნიეში** – 2 ათ., **ბაფრაში** – 3 ათ., **სამსონში** – 7

<sup>1</sup> უსახლკარო (მ.წ.) – მიხეილ წერეთელი.

ათ., ნიკსარში – 7 ათ., კასტამუნის ვილაიეთში – 85 ათ., სინოპში – 10 ათ., ისმითის სანჯაყში (მარ-  
მალილოს ზღვასთან) სტამბ. ვილაიეთში – 25 ათ., და ბრუსაში – 50 ათასი. სულ ლაზებიანთ მათი  
რიცხვი იქნება 249 ათასი.

პატივცემულ მაჰმედ აბაშიძეს პირადად მოუვლია ზოგიერთი ზემოდ დასახელებული  
ადგილი და მისის გადმოცემით, **ორდუსა, ფატსასა და უნიეს** რაიონებში 100 – 150 ათასამდე  
ქართველი იქნება. ყველანი ერთად ჯგუფ – ჯგუფად ცხოვრობენ, მათ შორის ოსმალო ცოტაა  
ჩასახლებული, ქართულად ლაპარაკობენ, მისდევენ უმეტესად სოფლის მეურნეობას. გამოე-  
რევიან ვაჭრებიც, ხოლო **ბრუსაში** და მახლობელ სოფლებში ქართველები (გურჯები) გაფან-  
ტულნი არიან ოსმალოებში. ყველანი ესენი თითქმის **ქობულეთიდან** არიან გადასახლებულნი და  
ბევრს ნათესაობა ჰყავს დატოვებულიო...

დაწვრილებით აგვიწერს **ისმითის** სანჯაყის ქართველობის მდგომარეობას **დ. ჩიქოვანი**,  
რომელმაც მიმოიარა იქაურობა ამ სამი წლის წინად. იგი ამბობს, ბათუმის ოლქიდან რომ მაჰმა-  
დიანი ქართველობა აიყარა და ოსმალებით გადასახლდა, იქ მათ **სახაზინო მიწები მისცეს**, განსა-  
კუთრებით **მცირე აზიის** დასავლეთ ნაწილში, როგორც, მაგალითად, **ისმითის** სანჯაყში (სტამბო-  
ლის ვილ.) და **ბრუსის** ვილაიეთში. ქართველები არიან სხვაგანაც, ხოლო აღნიშნულ ადგილებში  
უფრო თვალსაჩინოა მათი რიცხვიო.

**ბ. ჩიქოვანი** ასე აგვიწერს თავის მოგზაურობას **ისმითის** რაიონში: „დავათვალიერეთ დაბა  
**საბანჯა** და მის გარშემო მრავალი სოფელი. სოფლებს მდებარეობა აქვთ ვაკე-ფერდობზე, ლამაზი  
შესახედია და მოგაგონებთ იმერეთის სოფლებს, განიერის გზით და დიდის, ერთმანეთზე  
დამორებულის ეზოებით. სუფთა და რიგიანი სახლები უმეტესად აგურისაა და დახურულია  
კრამიტით. ხშირია ორ სართულიანი სახლები. საბანჯა სავაჭრო ადგილია, იქნება 100 წვრილი ვა-  
ჭარი, სულ ქართველობა, ქართული ყველამ იცის...

„ისმითში იქნება 25 ათასი მცხოვრები; ქართველები ბლომად არიან, მაგრამ სომხები და  
ბერძნები დიდად სჭარბობენ. აქედან გავემგზავრეთ ზღვაზე და რასაკვირველია, გემზე ქართუ-  
ლად ვლაპარაკობდით. თურმე სავსე იყო ქართველებით. მოხუცებულებიც იყვნენდა მათ უფრო  
ეტყობოდათ ქართული კილო. იქვე ქალთა განყოფილებაა. ყურს უგდებდნენ ჩვენს ლაპარაკს და  
ეტყობოდათ გაოცება და სიამოვნება... ორი საათის მგზავრობის შემდეგ გავედით გაღმა **კიზიკ-  
ლიში**, იქიდგან ფეხით სოფ. **თათარ – ქეიში** და კიდევ ორი საათის სიარულის შემდეგ ჩავედით ს.  
**ბორჩხაში** (ჰამიდიე). ბორჩხა უმთავრესი სოფელია ამ მიდამოში და ირგვლივ მრავალი სოფელი  
აკრავს, არის 130 კომლი, სულ ქართველობა,, დავიარეთ მახლობელი სოფლები. მათი სახელები  
მეტ წილად თათრულია, თუმცა მცხოვრებლები სულ ქართველებია. ვიკითხეთ მიზეზი და  
ავგისხსენს: ჩვენი დაბინავებისას აქ თურქებიც მოსახლეობდნენ, მაგრამ ჩვენის მხნეობით და  
მათის სიზარმაცით ყველას მამული ჩვენ დაგვრჩა და ისინი იძულებული გახდნენ, სხვაგან  
გადასახლებულიყვნენო... ისმითის სანჯაყში სოფლების მხოლოდ სამ ჯგუფში ვიყავით – **საბან-  
ჯის, ბორჩხის** და **ბადაბაისაში**: პირველს ახლავს 22, მეორეს 20 და მესამეს 12 სოფელი. მთელს  
იზმითის სანჯაყში უმეტესად არა თურქები მოსახლეობენ: **ქართველები (გურჯები) და ჭანები,  
ჩერქეზები, აფხაზები, ალბანელები** და სხვ.“

ავტორის ანგარიშით, ისმითის 34 სოფელში გურჯი და ჭანი ცხოვრობს 2524 კომლი ან 10.192  
სული. ოჯახში ყველა მხოლოდ ქართულად ან ჭანურად ლაპარაკობს, რადგან ქალებმა თითქმის  
არ იციან თურქული. იშვიათია მრავალცოლიანობა. გვარები ქართული შერჩენიათ – **ქერაბაძე,  
მინაძე, მისლაძე, დარაბაიძე, ნავინაძე** და სხ., „ნივთიერი მდგომარეობა გვარიანი აქვთ, რაიც

ყოველ მხრივ ეტყობათ. მოჰყავთ ბევრი თუთუნი, პური და მისდევენ მეაბრეშუმეობასაც. ხეხილის გაშენებას ეს რამდენიმე წელიწადია შესდგომიან, მაგრამ გასაყიდი ჯერ არ არის. ჭამა – სმა იმერული აქვთ – მჭადი და მსგავსი შეჭამანდები; ღვინოზედაც არ არიან მწყრაღად, თუმცა „ყურანი“ უკრძალავს. მეზობლობენ ხშირად **აფხაზები** და **ჩერქეზები** და ერთმანეთთან უფრო დაახლოვებული განწყობილება აქვთ, როგორც ერთის ქვეყნიდან, კავკასიიდან გადმოსახლებულთ...

„როგორც მოგახსენებთ, აქ ქართველობა საქმიანობას მისდევს და შეძლებულადაც არის. მეურნეობის გარდა ვაჭრობასაც ეწევიან, განსაკუთრებით ჭანები. დიდის სიამოვნებით აგვიწერენ თავიანთ მხნეობას, პირდაპირობას, ვაჟკაცობას და შრომის მოყვარეობას. დღევანდელი ქონება შეძენილი აქვთ სულ 20 – 30 წლის განმავლობაში. საქართველოდან რომ ჩამოსულან, მათთვის მიუციათ მიწა და ექვსი წლით გაუთავისუფლებიათ ყოველგვარი გადასახადებისაგან. დღეს გადასახადებსაც ისტუმრებენ და კარგადაც ცხოვრობენ. სოფლებში უმეტეს წილად გურჯებთან ლაზებიც ცხოვრობენ, რომელთაც ქართულიც უსწავლიათ...“

ასეთია ის მცირეოდენი ცნობა, რომელიც მოგვეპოვება შორს ოსმალეთში გადასახლებულ და სამშობლოს მოწყვეტილ მაჰმადიან ქართველების ვითარების შესახებ. ოსმალების საბინადროზე სხვა და სხვა ალაგას ორასი ათასი თუ მეტი ქართველი ცხოვრობს. მათ ჯერჯერობით ქართული ენა და ეროვნული ელფერი შერჩენილი აქვთ და როგორც სჩანს დიდს უნარს იჩენენ ცხოვრების ბრძოლაში და სჯობნიან კიდევ ადგილობრივ მკვიდრთ – თავის მეურნეობით, ოჯახობით, გამრჯელობით და მოქმედებით, **თავის თავს ქართველებად აღიარებენ და არ ითქვიფებიან უცხო ელემენტებში.**

ასეა დღეს. მაგრამ ასე იქნება ხვალ? შესძლებს ეს გადახვეწილი მაჰმადიანი ქართველობა დიდხანს შეინარჩუნოს თავისი ეროვნული სახე, განსაკუთრებით როცა იგი სრულიად მოკლებულია ქართულს წერა – კითხვას, ქართულ წიგნს, სკოლას, დაშორებულია ქართული კულტურის წყაროს, არავითარი მისვლა – მოსვლა და სულიერი დამოკიდებულება არა აქვს თავის სამშობლოსთან? ძალიან საეჭვოა, რომ გადაურჩეს გადაგვარებას და სრულს ეროვნულ მოსპობას.

ოსმალეთის ტალღამ ერთიან შთანთქა 1828 – 30 წლებში **ახალციხის** და **ახალქალაქის** მაზრებიდან გადასახლებული მაჰმადიანი ქართველები. გაჰქრა და წაიშალა მათი გვარი და **ნატამალი** და აღარსადაა სახსენებელი, აღარც ის ვიცით, სად იყვნენ და სად დაიმარხნენ. ასეთივე ბედი ეწვევა უეჭველია **ბათუმის** ოლქიდან გახიზნულ ქართველობასაც, თუ დროზე მაშველი არავინ გამოუჩნდა, მცირეოდენი დახმარება მაინც არ აღმოუჩინა, **არ გაამხნევა, არ მიაწოდა სულიერი, ეროვნული საზრდო...**

\* \* \*

ეხლანდელი მსოფლიო ომი ყველაფერს ამსხვრევს და ყველაფრის ახლად აშენებას ლამობს. შეიძლება მისი იმედი და მოლოდინი გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ყოველს ექვს... რომ ჩვენი ქვეყანა შემდეგ არ იქნება ის, რაც იყო ომის დაწყებამდის. ის ურიცხვი მსხვერპლი, რომელიც შეიწირა და კიდევ უნდა შეიწიროს დღევანდელმა ომმა, ის ენერგია და ძალა, რომელიც იხარჯება ომისთვის, ის სულიერი ამოდრავება, რომელსაც განიცდიან დღეს არა მხოლოდ ბრძოლის ველზე მყოფნი, არამედ ყველანი – ეს ღრმად დააჩნდება ჩვენს ურთიერთობას, აზრსა და ფიქრს, გრძობას, მსოფლმხედველობას. ჩვენ წინ უდიდესი ტრაგედიაა კაცობრიობისა და ამ ტრაგედიის გარეშე მაყურებელნი კი არა ვართ, ყველანი აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ და მისი გათავების შემდეგ სხვა გულით და შეხედულობით დავუბრუნდებით ჩვეულებრივ სინამდვილეს...

კერძოდ, საქართველო და ქართველობაც ამ საყოველთაო ცვლილებას დაემორჩილება. ძლიერ დაშორებულნიც რომ ვიყოთ ომს, მაშინაც ვერ ავცდებოდით მის დიადს შედეგებს. მით უფრო ვერ ავცდებით დღეს, როცა მისი გუგუნის ზარბაზნების გრიალი ასე ახლოა. პოლიტიკური, ეკონომიური, ნაციონალური ძალების განაწილება თავის რკალში მოგვიმწყვდევს. მაგრამ ეს ჩვენი მომავალი, იმედი მარტო გარეშე ძალების დაკავშირებასა და დაპირისპირებაზე არ იქნება დამოკიდებული. ჩვენი და მისი არ უნდა განისაზღვროს იმით, რომ ვისიმე „ლუკმა“ ვიქნებით, თუ იარაღი; ჩვენ წინ უნდა... ბედს, შევუთანხმოთ სხვის ინტერესს ჩვენი ინტერესი, „ძლიერ გამარჯვებულთა მისწრაფებას, მიდრეკილებას ჩვენი ბედიც ავაგოროთ ჩვენი სუსტი, პატარა ხმაც მივემატოთ სხვათა ხმას და ნუ იქნება ჩვენი მომავალი ჩვენთვის ნაძალადევი, თავს მოხვეული. დეე, სამერმისოდ მაინც იყოს ჩვენის ნებისყოფით გარკვეული და ცხადის სურვილით წარმოშობილი...

წინ გახედვა ძალიან ძნელია, წინასწარ გაჭვრეტილი სამგებოა, სხვა და სხვანაირია გზა ჩვენის აღორძინების, აღდგენის, მაგრამ როგორი კონცეფციაც უნდა წარმოგვიდგეს წინ, ყოველ მიდრეკილებასაც უნდა დაუჭიროთ მხარი, არასოდეს, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მწარე ბედი ჩვენი მაჰმადიანი ძმებისა, არ დავივიწყოთ ჩვენი და მათი ერთობის ინტერესები.

**სამაჰმადიანოს საქართველოს მხარე მთელი საქართველოს მესამედზე დიდია!..** თანამედროვე ომმა მთელი სიდიადით წამოაყენა სიმწვავე ეროვნული ჩაგვრისა და ჩვენ დღეს უფრო, ვიდრე როდისმე, უნდა შევიგნოთ საჭიროება მაჰმადიან ქართველების ეროვნული განათლებისა და მათი და ქრისტიან ქართველობის სრული შეერთებისა... რაც ახლა არ გაკეთდება, შეიძლება არ გაკეთდეს არასოდეს. ჩვენ დღევანდელ ეროვნულ პოლიტიკას აუცილებლად უნდა აშუქებდეს მაჰმადიან მოძმეთა საკითხის გადაწყვეტა, უამისოდ გზა ჩვენი იქნება ნაკლები და ვერ მიგვიყვანს მის ნავთსადგურში. რასაკვირველია, ჩვენს პოლიტიკურს მიმართულებას და მოღვაწეობას მარტო ეს ინტერესი უწინამძღვრებს. მაგრამ ამ ინტერესის გარეშედაც შეუძლებელია გადაწყდეს ეროვნული პოლიტიკა!...

„სახალხო ფურცელი“, N 437, 1915 წ.

## **სიტყვა (სამსონ ფირცხალავა) დ დ ი უ რ ი მაჰმადიან ქართველების აღორძინება**

გაზეთში ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარმა გამგებამ და ქუთაისის განყოფილებამ გადასწყვიტეს ორი ქართული სკოლის გახსნა მაჰმადიან ქართველებისათვის – **ქობულეთსა და აჭარაში**. ეს დიდად სასიხარულო ამბავია და საჭიროა პატივცემული საზოგადოება მხნედ შეუდგეს თავის გადაწყვეტილების შესრულებას. ეს დიდი საქმეა. მაჰმადიან ქართველთა აღორძინება, გამოფხიზლება და საერო ცხოვრებაში ჩაბმა დიდი ეროვნული საკითხია, რომლის სასწრაფო გადაჭრას მონდომებული უნდა იყოს ყოველი შეგნებული ქართველი.

სასურველია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს მთელი ქართველობის ყურადღება მივაქციოთ, ეს უნდა გავხადოთ ნამდვილ სახალხო საქმედ, ამის აზრი უნდა მოეფინოს ფართო წრეებს და საქართველოს ყოველი კუთხიდან უნდა გამოეხმაურონ ამას. ჩვენი ერის თითქმის ერთი

ნახევარი იღვიძებს, უბრუნდება დაკარგულს სამშობლოს, უერთდება დავიწყებულს ეროვნებას, მოდის საყვარელ დედასთან და სწყურიან მასთან ერთად ჩაებას უღელში საერო ცხოვრების წინ წასაწევად, მშობელი ქვეყნის დასაცავად, დაცემული ვინაობის აღსადგენად.

ყოველი კუთხის მაჰმადიანი ქართველობა, ყოველი წრის და წოდების წევრი, ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი ერთხმად გაიძახის: – ჩვენ თქვენი ღვიძლი ძმები ვართ, მამულის შვილები, რომელნიც დროებით ვიყავით მოწყვეტილნი დედის ძუძუს, რომლებიც ძალით მოგვაშორეს სამშობლოს კერას, მაგრამ სულით და გულით თქვენთან ვიყავით, ნაზი გრძნობა და ფიქრის ენა მხოლოდ ქართული იყო, ეხლა გვინდა, რომ ჩვენი და თქვენი ცხოვრება ერთი იყოს განწირული მამულის კეთილდღეობისა და აღდგენისთვის; გვინდა, რომ ჩვენს შორის იყოს სრული ერთობა, მოისპოს წინანდელი დაშორება, უცხოობა, გაფუჭოდით ერთმანეთს ძმური ხელი და ვიყვნეთ ჩვენ თქვენთვის, თქვენ – ჩვენთვის და ყველანი კი მამულისა და ერისათვის!

ასე გვეუბნებიან მაჰმადიანი ძმები, გვეუბნებიან სიყვარულით, ნდობით, გულგაშლილად. გვესმის მათგან სიტყვა, რომელსაც ვერ ვბედავდით გარკვევით ქრისტიანი ქართველები. ხმამაღლა ამბობენ ჩვენი მაჰმადიანი ძმები: „სარწმუნოება ჩვენი სხვადასხვაა, მაგრამ ერთია ჩვენი ეროვნება, ერთნი ვართ ჩვენ სისხლით და ხორციით, ერთია ჩვენი ენა, ისტორია. გვესმოდა ხალხის სიტყვები: – მე ოსმალ ვარ, მე არაბი, მე ქურთი, მე ჩერქეზი, მე ალბანელი და სხვა. ქართველები – გურჯებიც დიდ საგონებელში ჩავარდით და მწარედ ვკითხეთ ჩვენს თავს: – ჩვენ ვინ – ლა ვართ? ვიკითხეთ და გამოვერკვეით ძალაუნებურად. მოვიგონეთ ჩვენი სამშობლო, ენა, წარსული, დანარჩენი ქართველობა, და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენც ჩვენს ერს დავუბრუნდეთ, ჩვენს საქართველოს მივეკედლოთ, შევუერთდეთ და ქრისტიან ძმებთან ერთად, შევუდგეთ უკეთესი მომავლის მოპოვებას და დამკვიდრებას“...

დიდი სიმართლეა გამოთქმული სტამბოლელ მაჰმადიან ქართველის სიტყვებში. იგი გვიჩვენებს იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს აუცილებლივ ჩვენი ერის აღდგენის ყოველი მოტრფიალე. მაჰმადიანი ქართველების ხმა ძლიერი ხმაა, მათი ხმით ღაღადებს მთელი ერის უდიდესი საჭიროება და უნდა მივსდიოთ ამ ხმას და ყველამ, ყოველმა მხარემ, მამულის ყოველმა შეგნებულმა წევრმა უნდა გამოიღოს თავისი წვლილი, რათა მივაწოდოთ მაჰმადიან ძმებს ქართული სკოლა, წიგნი, განათლება, მომზადებული მასწავლებლები...

ეს დიდი საერო საქმეა!

გაზეთი „სახალხოგაზეთი“, 1914 წ., №1167.

### **აპ. ნულაძე წერილი აჭარიდან (მაჭახლის ხეობა)**

10 მარტს დილის 9 საათზე ბათუმიდან გავედით. ჩვენი გეგმა ასეთი იყო: მივსულიყავით ეტლით აჭარის წყალზე, იქიდან ფეხით შევეყოლოდით მაჭახლის ხეობას, ავსულიყავით სოფ. ჩხუკუნეთში (აჭარის წყლიდან 18 – 20 ვერსი იქნება), იქ გაგვეხსნა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლა, მერმედ დავბრუნებულიყავით ხულოს. დიდი ხნის სურვილის შესრულება მიხაროდა, მაგრამ თან ტანში ჟრუანტელი მივლიდა, მიმძიმდა დანგრეულ – გადაბუგული კოხტა სოფლების ნახვა.



მივდივართ **კახეზის** მინდორზე, რომელსაც დღესაც ატყვია ზარბაზნების ნადგამი. **კაპან-დიბის** დუქნები დანგრეულია, ვაჭრობა აღარ არის. ეტყობა, მრუდე ხელს თითო ფიცრობით გამოუძვრია შენობისათვის და წაბლის ფიცრები შეშათ უხმარია. იგივე სურათია სოფ. **ერგეს**. მივედით **აჭარის წყალზე**. **აჭარის წყალი** ბათუმლებისათვის იგივე იყო, რაც თბილისისათვის **საბურთალოს „თეთრი დუქანი“**, ან ორთაჭალა და ქუთათურთათვის **ჭომა** და **წერეთლის დუქანი**. ბათომიდან 16 ვერსით არის დაშორებული, **აქ ჩაერთვის აჭარის ანკარა წყალი გიჟსა და მღვრიე ჭოროხს**. აქ საკუთარი ეტლით მისვლა ღირდა 2 მან. ომნიბუსში კი ერთი ადგილი 40 – 50 კაპ. აქ იყო 30 – მდე სავაჭრო დუქანი. კვირაობით, მეტადრე ზაფხულში, ბათუმიდან აქ დიდძალი ხალხი ამოდიოდა და რესტორან – სასტუმრო „**ბორჯომის**“ ბაღში ერთობოდა, აჭარის წყლის კალმახსა და წვერას შეექცეოდა. **აქვე იყო ორ კომპლექტიანი სკოლა და აგრონომიული პუნქტი**. აქვე აჭარის წყალზე მშვენიერი რკინის ხიდი.

აქ საეტლო გზა იყოფოდა ორად; ერთი მიდის **ართვინ – არდაგანისაკენ**, მეორე კი **ქედა – ხულო ახალციხისაკენ**. ამის მიზეზით აქ ეტლთა განუწყვეტელი მიმოსვლა სწარმოებდა. ამას აცხოველებდა სხვათა შორის **ძანსულისა** (მურღულის) და **კვარცხანის** სპილენძის მადნების წარმოება. ერთი სიტყვით სიცოცხლე სდუღდა... პირველი სახლი **აჭარის წყალზე**, რომ შემოხვალ, ეკუთვნის (უფრო ეკუთვნოდა) **ხუსეინ ალა გორგოშაძეს**, იმ უბედურ წელს (1914) მის ზიარად მისი კოხტა სახლის ზემო სართულში **აბრეშუმის ჭია** მყავდა. დღეს ეზო პარტახად არის, სახლის თავზე დროშა ფრიალებს. იქ აჭარის კამენდანტი დგას. მის მეზობლად სახლები ეკუთვნოდა **ქოროღ-ლებს** (იგივე **ლორთქიფანიძე**); ორს იმათგანში აგრონომიული დახმარების სადგური იყო. აქ გვქონდა მშვენიერი ბოსტანი და ევროპული საფუტკრე, აქვე ვცხოვრობდით ჩვენც. აქვე მესამე სახლოში ცხოვრობდა **აქაური ალა მოლა ხასანი**, დიდი ოჯახისა და შეძლების პატრონი. მას ჰყავდა კალმით ნახატი რძალი და გასათხოვარი ასული. რძალი ჩაქვიდან იყო გამოთხოვილი, ასულიც აქაურ სკოლაში იყო ნამყოფი. ორივე თამამი ქალი იყო და თუ თავისიანებს არ ხედავდნენ ღიმილით, უპირ რიდით სალამს გვაძლევდნენ, ჩვენის წიგნებით და ქართული გაზეთებით სარგებლობდნენ. **ერთის სახსოვარი ოქროს მკედით ნაქარგი ცხვირსახოცი ახლაც მაქვს**. ჩემის რჩევით და ხელმძღვანელობით ამათ სამი მისხალი აბრეშუმის ჭია გამოკვებეს... დღეს სად არიან? რა იქნა ეს დოვლათით სავსე ოჯახი? არავინ იცის, თუ რა მოუვიდათ. **იქნებ ნამუს აყრილნი ტყეში ჩაკლეს კიდეც**. შენთვის, მკითხველო, იქნებ არაფერია, რადგან არ გინახავს **მოლა – ხასანის ოჯახი და ამ ოჯახის წევრები**, მაგრამ ჩემთვის საშინელებაა მათი მოგონება. ცრემლი მერევს... აგერ სკოლა, საცა 50 ქალ – ვაჟი სწავლობდა. პატრები დაუწვავთ, ბალი გამოუჩეხიათ, სკოლაში – კი ჯარი დაუბინავებიათ. ასევე გადაჩეხილი და განადგურებულია სასტუმრო „**ბორჯომი**“-ს **დიდი ბაღი**. შევდივართ „**ბორჯომის**“ სასტუმროში, იქ საცა ამ დროს დასაჯდომ მაგიდას ვერ იშოვნო-დი; დღეს ცარიელია. ყველაზე მეტათ გიკვირს, რომ რესტორანში გასაყიდა ძეხვი და ღორის ხორცი. წინად, როცა აქ მუსლიმანები იყვნენ, რესტორანის პატრონი მათაც ერიდებოდა და ჯიბესაც, დღეს – კი ვიღას მოერიდოს. მცხოვრებლები აღარ არიან.

ამ სოფელს აკრავს **კიბე** და **კაპანისთავი**. ამ ორ სოფლის მცხოვრებთაგან დახიზნული გადარჩენილა 10 – 15 ოჯახი (ზოგ ამათგანს ოჯახის წევრი აკლია); დანარჩენი – კი, ვინც უფრო ყოჩალი და სადგამური იყო, ზოგი წაუყვანიათ ოსმალებს ტყვეთ, ზოგი – კი „შემთხვევის“ მსხვერპლი გამხდარა. ყველას დასაკლისი სამწუხაროა, მაგრამ მე ყველაზე მეტად მალონებს, რომ ვერ ვხედავ ორ მძას – **ყედემ ალა და თემელ ეფენდი ზაქარაძეს**. ყედემ – ალა აქაური თავი კაცი იყო, ქართველების დიდი მოყვარული, შეგნებული; ყველას ეჩიჩინებოდა შვილები სკოლაში აღზარდეთ, ქართველები ხართ და ქართველებს დაუახლოვდითო. მისი წყალობით დაარსდა აქ

სკოლა და ის იყო ამ სკოლის მფარველი. ორ ვაჟს ბათომის სამოქალაქო სკოლაში ზრდიდა, დიდათ სწყინდა, რომ სკოლაში ქართველ მუსლიმანებს მოსთხოვეს ქუდის მოხდა და „ფესუკის“ ნაცვლად „შაჰკის“ დახურვა. – „აგი, მია, კი არაფერია, მარა აგი ბეჩები (აჭარლებზე იტყოდა) გვაქრისტიანებენო, იფიქრებენ და სწავლას დაეთხოვიან“. – იტყოდა ხოლმე.

ყედე მ – აღას მეოხებით სკოლის მთავრობამ თავისი სავალალო დადგენილება (ქუდების შესახებ) გააუქმა. საბრალო მხნე მოხუცმა უკანასკნელ გამოთხოვების დროს მითხრა, მე თოფით უნდა დავიცვა ჩვენი ქვეყანა. მომხდურებს თავისთვის არ მოუვლიათ და ჩვენ როგორ მოგვივლის. **ჩვენი ბედნიერება ქართველების ბედნიერებასთან მწამს მარტო.** როგორც გადმომცეს, ის ტყვეთ წაუყვანიათ და რომ ჯარში ნაცნობი არ გამოსჩენოდა, დახრჩობასაც უპირებდნენო. მისი უმცროსი ძმა **თემელ ეფენდი**, ყოფილი მოლა იყო, სკოლაში რჯულს ასწავლიდა. ისიც შეგნებული და ჭკვიანი კაცი იყო, იწერდა ბაქოს თათრულ გაზეთს და ქართულ გაზეთ – წიგნების მკითხველსაც სიამოვნებით უსმენდა; რა კი ვაჟი არ ჰყავდა, მოხუცების ჟამს, პირველი ცოლის თანხმობით, მეორე ცოლი შეირთო, მიეცა ვაჟი **ალი**. საბრალო მემკვიდრეს თავს დასტრიალებდა, დედასთანაც არ ტოვებდა და მუდამ თან ატარებდა 3 – 4 წლის ბიჭუნას. როგორც გადმომცეს, თემელ ეფენდი გულის გახეთქისაგან მომკვდარა **ხიზნობაში**.

მართალია, მთავრობას ნება დაურთავს **კიშისა** და **კაპნის თავის** გადარჩენილ მცხოვრებთათვის, რომ დაბრუნდით და თქვენ – თქვენ სახლში იცხოვრეთო, მაგრამ ამ სოფლების მცხოვრებლებმ, სწორედ, იმ დღეს (როდესაც მე აჭარის წყალზე ვიყავი) სთხოვეს ოლქის უფროსს, კომისია დაგვინიშნე და ჩვენი ოჯახის ზარალი შეავსებინეო.

ამ ორ სოფელში ოსმალოს ჩეტნიკები არ შემოსულან, მაგრამ ნადგამობა და ნარგავი მაინც განადგურებულია. აქვე გადმომცეს ფრიად სამწუხარო ამბავი: სიხარბე და ამხანაგობა იქამდე მისულა, რომ გადარჩენილები ერთი-მეორეს თავ-პირს ამტვრევენ და ყველას ჰსურს თურმე, პარტახ სახლკარს და მამულს თვით დაეპატრონოს. ის ჩემი „ხისიმი“ იყო, ის ჩემი „ეგანი“<sup>1</sup> და მათი ნაოხარი მე მეკუთვნისო. ამ ნიადაგზე თურმე წალდით (თოფები ჩამორთმეული აქვთ) იწევინ ერთი მეორეზე. როგორც გადმოგვცეს, **სოფ. კირნათში** ერთი კაცი კიდევ მოუკლავთ. ამ სოფელში დარჩენილა თურმე **ორად – ორი მოსახლე**, ერთს კაინობა გაუწევია, მთლად მოუნდომებია მთელი სოფლის პატრონობა, მოუსყიდვია მკვლელი და მოუკლავს ყოვლად პატიოსანი კაცი. თუ ეს მართალია, ფრიად სამწუხაროა.

საქართველო, 1916 წ. N 69.

## ა. ნულაძე აჭარიდან

ღამე **ხიჭაურში** გავათიეთ და **ემინ – აღა ზოიძის** ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით დავსტკბით. მეორე დღის ათ საათზე უკვე **ხულოში** ვართ. **ხულო მთელი აჭარის თვალაია**, ამავე დროს ფეოდალური ნაშთისა და კულტურის ცენტრიც არის. ახალი და ძველი აქ ერთი მეორეს მაგრათ ეხეთქა და მათ შორის სამკვდრო – სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ახალ დროს ხულის მიდამოს მცხოვრებნიც **ალმაცერად** შეხვდნენ. ხსნას ისევ ბეგებსა და აღიებში ხედავდნენ და სხვებს უნდობლობას უცხადებდნენ, მაგრამ თავიანთ შეცდომას ადრე მიხვდნენ და ახლა გამოსწორებას ცდილობენ – მით უკეთესი!

<sup>1</sup> „ხისიმი“ ნათესავი, „ეგანი“ – მმისწული, ბიძაშვილი, განაყოფი.

ხულოში არსებობს მთავრობის **ორკლასიანი სკოლა**, საქველმოქმედო საზოგადოების სახე-ლოსნო (სადურგლო – საზეინკლო), საფუტკრე, საერობო აგრონომიული პუნქტი, ფოსტა, ტელეფონი, უბნის კომისარი და სხვა. სააგარაკო ადგილს სტუმრებსაც მოუყრია თავი და ყოველივე ამის მეოხებით აქაურობას ევროპის სუნი სდის. ადგილობრივ აგრონომ თ.დ. **ნაკაშიძესთან** გავიცანი ახალგაზრდა აგრონომი ბ. **თოფურიძე** და მეყველეობა-მერძეობის ინსტრუქტორი ქალი ქ-ნი **დგებუაძის** ასული. სამივე მეურნე ემზადებოდნენ **ყალნის მთებში** წასასვლელად, რათა იქ მომთაბარე აჭარლებისათვის ეჩვენებინათ ევროპულ წესზე კარაქისა და ყველის გაკეთება. ბათომის ოლქის საერობო უფროსი აგრონომი გახლავთ გ.ს. **გამხარაშვილი**, გვართ ქართველი, ყოფილი გუბერნატორის **რომანენკოს** მარჯვენა ხელი.

ჩემს თანამგზავრს, დღეს სამხედრო სამსახურში მყოფს და წინად მასწავლებელს ბ. **ბრ. მეგრელიძეს** მინდობილი ჰქონდა არჩევნების მოხდენა და სასოფლო და საუბნო კომიტეტების შედგენა (ხელახლად). ის ეახლა ადგილობრივ **კომისარ – ბეგს**, მაგრამ მან და მისმა აღიებმა საქმე არ მოაგვარებინეს. აქაური გავლენიანი ბეგებ – აღიები ცდილობენ ფუხარებში გავლენა არ დაკარგონ და ყველგან თავისიანები წამოაუსკუპონ. კომისარი – ბეგი მოწერილობებს სოფლად თათრულ ენაზე დაწერილს აგზავნის და მწერალსაც თათარს ეძებს. მისი მეოხებით აქ დარჩენილა ჯარში გასაწვევი დარაჯთა ურიადნიკი **ბესარიონი**, რომელსაც ხალხი ძლიერ ესაყვედურება. **ზემოაჭარლები** კი ორად არიან გაყოფილი: ბეგებ – აღიებისა და ფუხარების პარტიებად. ჯერ პირველის ბატონობაა, მაგრამ როდემდის! ბეგებ – აღიებს ყველაფერი ახალი ხალხის გაქრისტიანება ჰგონიათ და უვიცებსაც („ქორებს“ – ბრმებს) ამით აშინებენ, მათი მრწამსია ხალხი ქრისტიანებს გადაჰკიდონ. ამ ნიადაგზე ორი პროვოკაციაც კი მოაწყვეს, მაგრამ დამარცხდნენ...

მასწავლებელი ქალი (ადგილობრივი მღვდლის მეუღლე) ქ. მაგ. **დოლიძისა**, ბ. ბარ. **მეგრელიძე** და მე გავემგზავრეთ სოფ. **რიყეთში**, **შერიფ – ალა ხოზრევანიძისას**. „საქართველოს“ მკითხველებს შეიძლება ახსოვდეთ, რომ ქ.მ. დოლიძისამ წასულ წელს **რიყეთელ-დანისპარაულელ** ხანუმებს დაჰპირდა, წიგნსა და ჭრა – კერვას გასწავლითო. მან ამის შესახებ მოწოდებაც კი გამოუშვა, მაგრამ გარდა ორი აფიცრისა, ერთი თელაველი მანდილოსნისა და ჩოხატაურის წერა – კით. გამ. საზ. განყოფილებისა, არავინ არაფერი არ მიაწოდა. მე და მეგრელიძეს გვინდოდა გვენახა ჩვენი საერთო მეგობრის ჭაბუკი, **ალალის საფლავზე** ცრემლი დაგვეყარა და საბრალო მშობლებისათვის ნუგეში გვეცა. ამას გარდა, მინდოდა საფუტკრე სამთაბარო ადგილებს გაეცნობოდი. მწარე იყო ჩვენთვის შერიფ ალასს მისვლა... მოგვეგება ალალის საცოდავი **დედა ფემბეი ხანუმი** და პირ – ახდილი ტირილით **გაგვიძღვა ალალის სასაფლაოზე**.

**ს. დანისპარაული** რიყეთზე ახლოს არის, მშვენიერი სოფელია, სააგარაკო. მთის ფერდობები ყვავილებით არის მოქარგული. საზოგადოთ, აჭარაში მვირფასი ოდებია, მაგრამ ყველა უფანჯრო, ამ სოფელში კი **ალი – აღის ფაქსაძეს მშვენიერი ევროპული ფანჯრებიანი ოდა უდგას**, ყველა ოდას ქვედა სართულში აჭარელს გომურ – ბოსელი აქვს და ეს ზემოთ ჰაერს წამლავს.

**დანისპარაული აჭარის კარია**, ამის შემდეგ ახალციხის გადასავალი იწყება და ომის მიერ დანისპარაულს, როგორც ბრძოლის ველს, დიდი გასაჭირი დაადგა.

ქ – ნმა მარომ ინახულა ხანუმები, უნდოდა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ იმათ სთხოვეს, ახლა ჭალებში ვართ, თივას ვინახავთ და ერთი კვირა გვადროვეთო. ჩვენც გამოვეთხოვეთ უხემ მასპინძელს და მეორე დღეს დავემშვიტით **ხულოსაკენ**. გზა-გზა სათიბებში გვხვდებოდა მომუშავე დაკაპიწებული ქალები. „არ მენახა, გამიკვირდა მუშაობა დიაცისა“ მოგაგონებდა დ. **გურამიშვილის** ლექსი, მაგრამ მე გურულად დავსძენ: ღმერთო ჩვენშიაც მაღირსე დიაცების მუშაობა და

მათი საქმიანობა – რა პარტიისაც იყავი, რაკი ჭამა გინდა, არც მუშაობა – გარჯილობა გემრახვის. თანასწორუფლებიანობა, დალოცვილებო, შრომაშიაც მოითხოვეო.

**ხულოში** ფრიად სასიამოვნო და **საისტორიო ამბავი** გველოდა – 22 მკათათვეს (შაბათ დღეს) უნდა გამართულიყო **აჭარაში პირველი წარმოდგენა**. სკოლები მოიხსნა თუ არა, გურია – **ფოთში** მოსწავლე აჭარელი ყმაწვილები მათმა ჭირისუფალმა მარომ აჭარაში თვით წაიყვანა და მშობლებს ჩააბარა. მკვირცხლმა ყმაწვილებმა თავი გზაშივე ისახელეს – **ქედაში** კრებას მიესალმენ და გრძნობიერი მოკლე სიტყვები წარმოსთქვეს. – გაუმარჯოს აჭარლებს, გაუმარჯოს თავისუფალ სწავლას, გაუმარჯოს ჩვენ აღმზრდელ ქართველ ქრისტიანებსო! ასე დააბოლავეს პატარა ორატორებმა, **აჭარის პირველმა მერცხლებმა**. წარმოდგენის გამართვის სურვილიც ამ ყმაწვილებმა გამოსთქვეს. მათი მომზადებაც ქ – ნმა მარომ და მისმა სტუმარმა დებმა და ძმებმა ითავეს. სცენა მოაწყვეს სასოფლო სამმართველოს დარბაზში. წარმოდგენა უფასოდ უნდა გამართულიყო, მაგრამ ფასიანი თვით აჭარლებმა მოითხოვეს. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და მეტს დარბაზიც ვერ დაიტევდა, წარმოდგენის დაწყებას გულის ფანცქალით ველოდით. აჭარაში თვით აჭარელი ყმაწვილების მიერ **პირველი წარმოდგენა**, ხუმრობა ხომ არ იყო. რას იტყვიან ფანატიკი აჭარლები, მოიწონებენ, თუ საუკუნოდ დაგმობენ.

**9 საათზე ფარდა აიხადა**. სცენა კოხტად არის ყვავილებითა და მწვანით მოკაზმული. თამაშობენ კოპალის საბავშვო პიესას „აკაკის საფლავზე“, ანგელოზად ფრთა შესხმული **ბეჟან ბოლქვაზია**; მას თავი თამამად, მაგრამ ამავე დროს ღირსეულად უჭერია. ბრმა ქალის როლს მღვდლის პატარა ქალი ასრულებს, მისი ძმა **რიზა – ალი ხოზრევანიძეა**, – **მაშიკო**, დაიკო, – ნაზად გაისმის. სიხარულის ცრემლი გვერევა. ეს ხომ თავდება ბრწყინვალე მომავლის.

პირველი წარმოდგენა უნაკლულოდ ჩაატარეს. მეორეთ წარმოადგინეს „**ორი მშვიერი**“. ორ მშვიერს თამაშობდენ აჭარლებივე – **რიზა ხოზრევანიძე** და **მარჯან ბოლქვაძე**, მიკიტანს კი მღვდლის პატარა ვაჟი **სტასია**. სასაცილო იყო სამივე, მათი ხელოვნური უღვაშებით და ღიპით (მიკიტანი). ხალხი სიცილით იხოცება. მესამე განყოფილებაში წაიკითხეს ლექსები, დინჯად, შეგნებით, ქართულად და რუსულად.

ბოლოს დასდგეს ცოცხალი სურათი: ერთი მხრით, ქრისტიანი ქართველები სდგას, მეორე – მხრით – მუსლიმანები. **მუსლიმანი ყმაწვილი** სალამს (ლექსად) აძლევს **ქართველ ქრისტიანებს**. სიხარულის ცრემლი გვერევა, გული გვიყურდება. **გვწამს რომ ძველი ძველს გაყვა და ახალს ახალგაზრდობა ღირსეულად გაუძღვება – ჩვენს ერთობას აწი ვერავითარი ძალა ვერ დათრგუნავს**.

წარმოდგენა გათავდა აპოთეოზით „**ქართველი დედა**“ და სიმღერებით; ფრიად ნასიამოვნები ხალხი ღამის 12 საათზე კაშკაშა მთვარიან ღამეში შინ მიდის. გაისმის აჭარის კორტოხზე რევოლუციონური სიმღერები, მღერიან აჭარლებიც. წარმოდგენას მხოლოდ **ერთადერთი ბეგი** დაესწრო და მეთაურებს მადლობა უთხრა. მეორე დღეს იგივე წარმოდგენა უნდა გამართულიყო მხოლოდ ქალებისათვის, მაგრამ მე ვერ დავესწრებოდი, და არც დრო მქონდა. კვირა დილით აჭარა დავტოვე, მაგრამ გული იქ დამრჩა.

საქართველო, 1917, N 174.

## აპოლონ ნულაძე აჭარის გასაჭირი

ომიანობისაგან მიყენებულ ზარალის მიხედვით, ამ კუთხის სოფლები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

1) პირველ ჯგუფში მოჰყვება სოფლები, რომლებმაც ომიანობის ქარცეცხლი განიცადეს, და რომელთა მკვიდრნიც აპყარეს და სხვა სოფლებში გადაასახლეს. ასეთი სოფლები გახლავთ: **აგარა, საღორეთი, მახუნწეთი – ულია მახუნწეთი – სუპლა** (24 კომლი), **ზუნდაგა** (51 კომლი), **დოლოღანი** (41 კომლი), **ჭინჭაძე** (31 კომლი), **ბზუბზუ** (81 კომლი) და **ლოლაძე – შოთიძე** (29 კომლი).

2) სოფლები, რომლებიც თავისი კერიდან არ აუყრიათ, მაგრამ ამ სოფლებში ყოფილა ჯარი და სოფელს ომიანობის სუსხი უწვნივია, საქონლის დაკარგვით, საოჯახო ავეჯ – მოწყობილებისა და სამეურნეო იარაღების დაკარგვით და სხვა. ასეთი სოფლები გახლავთ: **მერესი, ვაიო, დანდალო, ქვაშთა, ალიკ – ოლი, გულები, ცხემლა, ზენდიდი, რუსოფელი, ქორომხეთი, ორთა – ხობა, ბენცმანი, აკუწა, ზამზიარი – შაკომური, ორცხვა, კოკა – ოლი (ხერხე).**

3) სოფლები რომელთაც ომიანობის ქარცეცხლი პირდაპირ არ განუცდიათ. ამათ ეკუთვნით **ცხომერისა და ქედის** სასოფლო საზოგადოებათა ყველა დანარჩენი სოფლები: **დანდალო** (132 კომლი), **ქოგოთური** (39 კომლი), **ცხომორისი** (59 კომლი), **გეგელიძე** (37 კომლი) და სხვა. სოფელი ქედაც ნაკლებ დაზარალდა. ეს უკანასკნელი სოფლები კომლელულად არ გამოგვიკვლევიან. პირველი ორი ჯგუფი სოფლებისა – კი კომლელულად არის გამოკვლეული და შესაფერ უწყებაშია აღნუსხული, სადაც დაწვრილებით არისაწერილი ყოველი კომლი, ოჯახის შემადგენლობა და ყოველი მხარე ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად.

ამ ნუსხიდან სჩანს, ყველა სოფლებში, ყველა სახლები თანაბრად არ დაზარალებულა. ზოგს დაეღუპა არა მარტო სახლის ავლა – დიდება და საქონელი, არამედ თვითონ სახლიც, ზოგს – კი დაეღუპა სამეურნეო იარაღები, ლოგინი, ხოლო მესამეთ, ამას გარდა, დაეღუპათ წლის სარჩო და სხვა.

სოფლები დაზარალებულა იმის და მიხედვით, თუ საით გაუვლია „ჩეტნიკების“ რაზმებს თუ ჯარის ნაწილს.

პირველი წყების სოფლები მეტად მძიმე გასაჭირში იყვნენ, მით უმეტეს რომ ზოგი ორი სამი თვით მოჰგლიჯეს საკუთარ კერას. მეორე ჯგუფის სოფლებსაც დიდი სიმწარე ჰხვდათ, განსაკუთრებით იმათ, ვისაც სახლ – კარი თავზე ჩამოენგრა ან გადაეწვა. ამისათვის დახმარების რაოდენობის გადაწყვეტის დროს ყოველივე მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული. ამის აწონდაწონვაში შესაძლებელი იყო პირადის მოსაზრებით შეცდომაში შევსულიყავ, ამისათვის დახმარების მიცემის დროს, ვისაც სახლკარი გადაეზუგათ ჯერ სულზე სამ – სამ მანათს ვურიგებდი, ხოლო სახლ გადარჩენილებს კი სულზე მანათნახევარს, მაგრამ ამ წესით ვერ გავაწვდინე ფული და ყველას დავურიგე სულზე მანათნახევარი.

ასე განაწილებული ფულიც აღარ მეყო და ბოლოს მოსულნი დაუკმაყოფილებლნი დარჩნენ. იმათი სია. ვისაც დახმარება არ მიუღია, ცალკეა აღნუსხული.

27 ღვინობისთვის მეორედ გავემგზავრე **ხერთვისის** სასოფლო საზოგადოებაში დახმარების დასარიგებლად და დანარჩენ ადგილების საჭიროებათა გამოსაკვლევად. ამ გზობით გამოკვლეულ სოფლების საჭიროებანი აღნუსხულია მესამე სიაში.

ჩემის პირადი შთაბეჭდილებით, ყველაზე მეტად ომიანობისაგან დაზარალებულა: სოფ. **სკურდიდი, ცხემლანა, ჩალახმელა, მაკლაკონი, ქვედა ხერთვისი, ქედ – ქედი, აჭარის – აღმართი**

და ჩანივრი, აგრედვე სოფ. კიბეც, საიდგანაც მოსახლეობა გადასახლებული იყო. ამ სოფლის მცხოვრებნი და მაჭახელისპირის ერთი კომლი ომარ-ალა ზაქარაძე ხარკოვის გუბერნიაში იყვნენ გადასახლებულნი და უკანვე დააბრუნეს. მათ დაჰკარგეს მთელი ავლა – დიდება, საცხოვრებელი ბინები, საქონელი, ლოგინი, ოჯახის ყოველი მოწყობილობა, და სხვ. ამისათვის მათვის საჭიროა ყოველმხრივი დახმარება: საკვები, ამ წლის ახალ მოსავლამდე, სახლკარის აღდგენა, (მანამდე კი თავშესაფარის შოვნა), მეურნეობის აღდგენა, სამუშაო და საწველი საქონელი, ლოგინი, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხ.

ასეთივე დახმარება ესაჭიროებათ იმ სხვა და სხვა სოფლის მეკომურთ, რომელთა სახლები და თუ სხვა სამეურნეო შენობებიც გადაბუგულია.

მეორე ჯგუფის დაზარალებულ სოფლებად უნდა ჩაითვალოს ის სოფლები, რომლებიც 2 – 3 თვით მოსწყვიტეს თავის კარ – მიდამოს, თუმცა მათი სახლკარი გადაბუგვას გადაურჩა, მაგრამ ოჯახი დაუნიავდათ, ყოველისფრიდან ცარიელზე დარჩნენ; სახლის მოწყობილება დასტაცეს, საქონელი გარეკეს, წლის სარჩო გამოაცალეს და სხვა. ასეთს სოფლებს ეკუთვნის: აგარა, საღორეთი, მახუნწეთი – ულია, მახუნწეთი – სუფლა, წუნდაგა, დოლოლიანი, ჭინკიძე, ბზუბზო და დოლოძე – შოთიძე.

მესამე ჯგუფს ეკუთვნის ის სოფლები, რომლებმაც მეტ – ნაკლებად დაჰკარგეს ოჯახის მოწყობილობა, საქონელი, ჭირნახული თუ სხვა.

დანარჩენი სოფლები ჩემდამი რწმუნებული კუთხისა ჯერ კომლეურად არ გამომიკვლევია, რადგანაც ომიანობის ქარცეცხლი არ განუცდიათ.

საქართველო, 1916 წ. N10 .

### **აპოლონ ნულაძე წერილი აჭარიდან (მთავრობის სკოლები აჭარაში)**

ბზობის წინა დღეს, ლაზარობას, სააღდგომო არდადეგების გამო აჭარის მთავრობის სკოლის მასწავლებლებმა თავი მოიყარეს ხულოში. საზოგადოთ მთელი აჭარა ინტელიგენტისათვის ყრუ ადგილია, კვირაში მხოლოდ ორჯერ შეიძლება გაზეთის მიღება და ისიც საფოსტო სადგურებში (აჭარის წყალი, ქედა, ხულო). სასოფლო სკოლის მასწავლებლების უმეტესობა კი სადგურებს დამორებულია 20 – 30 – 40 ვერსით, მომწყვდეულნი არიან მიუვალ ყრუ სოფლებში და ამის გამო რამოდენიმე თვის განმავლობაში მონატრებულნი არიან ინტელიგენტის ნახვას, მასთან საუბარს. გაზეთი თუ რომელიმეს აქვს გამოწერილი (და იგიც ერთი) დებულობენ იასაულის საშუალებით კვირაში ერთხელ და იშვიათად ორჯერ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიამოვნებას იგრძნობენ ეს სოფლის ჩუმი მოღვაწენი, როცა მუშაობიდან დაქანცულები კვლავ იხილავენ ქვეყანას, იმოვნინან მოსაუბრეს და ლაპარაკ – მასლაათით გულს მოიოხებენ.

ზემოთ აღნიშნულ დღეს ხულოში ჩამოვიდა ზემო აჭარის სკოლის ოთხი ახალგაზრდა მასწავლებელი. ხულოში არის საფოსტო განყოფილება, ორკლასიანი სკოლა (სამი მასწავლებლით), საექიმო პუნქტი (ექიმი, ფერმლები, ბებია ქალი), ოლქის უფროსი, მღვდელი, აგრონომი, საქველმოქმედო საზოგადოების მეფუტკრე და ოსტატი. ამ რიგად ხულო აჭარის პარიზია, ახალგაზრდა მასწავლებელი, სტუმრები, თითქმის ტყვეობიდან მხოლოდ განთავისუფლებული არიანო, მოვლისთანავე აწყლოპინდნენ, მხიარულებას მიეცნენ, სავსე მთვარით გადაკაშკაშებულ ხულოს

**კეკლუც გორაკზე გაისმა სტუმარ – მასპინძელთა შეერთებული სიმღერა.** როცა მათთან სიმღერა – გართობით გული ვიჯერე, მერე სათითაოდ გამოვკითხე მათი სკოლის ამბავი და რადგან ეს არ მიმაჩნია ჩვენი მკითხველისათვის ზედმეტ ამბავად, ამიტომ ვისწრაფვი გაცნობით; ომამდე აჭარაში იყო **სულ 7 სკოლა**. ამათში ხულოს ერთი სკოლა ყველაზე უწინ არის დაარსებული (ამ 14 წლის წინად), დანარჩენი კი იყო ქვემო აჭარაში. სახელდობრ: აჭარის წყალზედ, **ხერთვისის, მარადიდის, მურღულის, მახუნცეთის, ქედის და მერისის**.

ომისა და სოფლების განადგურების გამო დღეს აღარ არის: **აჭარისწყლის, მარადიდის და მურღულის** სკოლები, მაგრამ ამ საშინელმა ომმა აჭარლებზედ დიდი გავლენა იქონია. აჭარლები მიხვდნენ, რომ უსწავლელად დარჩენა არ შეიძლება; შეიგნეს, რომ მათთვის აუცილებელია ქართული წერა – კითხვის შესწავლა და ქართველებთან დაახლოება. ამ მდგომარეობა – შეგნებით აჭარაში მარჯვეთ ისარგებლა ხულოს სკოლის მაშინდელმა მასწავლებელმა, ბავშვების დიდათ მოყვარულმა ბატონმა **მელიქიშვილმა**, რომელმაც ზემო აჭარლებს გაახსენებინა წასული წლიდან სკოლები შემდეგ სოფლებში: **თხილვანაში, ოლადაურში, ფაჩხაში, დიოკნისში, ადაძეებში და ჭვანაში**.

სკოლებს მთავრობა ინახავს თავის ხარჯით; ასე წარმოიდგინეთ შეშასა და ნავთსაც მთავრობა ყიდულობს. სოფელი მხოლოდ ვალდებულია, სანამ მთავრობა სკოლის შესაფერ საკუთარ შენობას ააგებდეს, დაუთმოს სკოლას ბინა და მისცენ სასკოლოდ საკმაო მიწა.

წინად, ამ ომამდე, აჭარაში მხოლოდ აჭარის წყლის სკოლაში **ასწავლიდნენ ქართულს** სავალდებულოდ, დანარჩენ სკოლებში აკრძალული ხილი იყო და თუ ზოგიერთი მასწავლებელი მაინც ასწავლიდა, **ასწავლიდა ფარულად** და ეს მათ გმირობას მიეწერება. ახლად გახსნილ სკოლებში (უმეტესობა გახსნილია წასული წლის გიორგობისთვიდან) მთავრობას არც უბრძანებია და არც დაუშლია ქართულის სწავლება. ასე წარმოიდგინეთ, მასწავლებლებს სკოლისათვის შეუძენიათ **გოგებაშვილის „დედა – ენა“** და ეგ მომხდარა მთავრობის ხარჯით და ინსპექტორის ნებართვით. ახლად გახსნილ სკოლებშიაც მასწავლებლები, გარდა ერთი **დიოკნისის სკოლისა**, ყველგან ქართველებია და მამასადაძე, ყველგან ქართულს ასწავლიან, **გოგებაშვილის მეთოდით**.

**დიოკნისის სკოლაში** მასწავლებლად არის **სპარსელი ბ. ვეჯილოვი** და მისი მეუღლე ტომით რუსი; არც ერთმა ქართული არ იცის, მისმა მოწაფეებმაც მხოლოდ ქართული იციან; აქაურმა მოწაფეებმა არც თათრული და არც რუსული ენა არ იციან და თუ რა ნაყოფის მოტანა შეეძლებათ ასეთ მასწავლებლებს, ადვილი წარმოსადგენია; მაგრამ იქ, სადაც პროტექციონიზმია გამეფებული, ყველაფერი შეიძლება. ამ ცოლ – ქმარსაც ძლიერი მფარველები ყავთ თურმე (ქმარს მფარველობს, როგორც მონათლულს („ქირვა“) ბ. ინსპექტორი, ცოლს კი ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი **პუტულოვი** და ესენიც აქ დროებით 30 – 40 მოწაფეს „ასწავლიან“.

### **თხილვანის სკოლა**

**თხილვანა ხულოდან 43** ვერსზეა, **ყარსის** ოლქის საზღვარზე, აღმოსავლეთით აკრავს **ფოცხოვი**. აქ ქართული ენა ნაკლებ იციან. სკოლა მეოთხე თვეა არსებობს. სკოლაში სწავლობს 25 მოწაფე ვაჟი (ქალი არც ერთი). მასწავლებელი არის **თ. დოლიძე**; რჯულის მასწავლებელმა ხოჯამ ქართული არ იცის. დოლიძე მუყაითი მასწავლებელია. ის წინადაც მსახურობდა აჭარაში (აჭარის წყალზე). ნასადილევს ასწავლის დიდრონებს. ჰყავს 10 მოწაფე, რომელთა შორის ცოლიანებიც ურევია, უკვე კითხულობენ გაზეთს, მაგრამ მასწავლებელი ღებულობს მხოლოდ გაზეთ **„აზრს“** და ისიც ერთ ნომერს, რომელიც მსურველთ არ ჰყოფნით. სოფელი საშვალო შეძლებისაა. სულ 70

კომლია. მასწავლებლის სიტყვით, თხილვანას ახლოს, 4 ვესზე არის სოფელი **ხიხამირი** (ციხე „ხიხამირის“ ძირი). იქაურ ხოჯას ჰყოლია 45 მოწაფე და დიდი კაი საქმე იქნება, თუ იქ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება დააარსებდეს სკოლას. იქაურ ხოჯას ქართული სკოლანია და კიდევ მოწადინებულია, იქ გაიხსნას ქართული სკოლა.

### **ოლადაურის სკოლა**

**სოფ. ოლადაური** სხალთის ხეობაშია, ხულოდან 20 ვერსზე, სკოლა დაარსებულია ქრისტე-შობისთვიდან. სწავლობს 20 ვაჟი. მასწავლებლად არის ახალგაზრდა **ილ. ნაცვალაძე**, რომელიც დიდრონებსაც ასწავლის. მასწავლებლის სიტყვით, პატარა აჭარლებს სწავლა დიდათ უნდათ, მაგრამ მშობლებს სკოლაში არ შეჰავთ, ოჯახურ საქმეს არ აცდნენ. სჯულის მასწავლებლად არის მთელ აჭარაში კარგად ცნობილი ხოჯა **ნური ეფენდი ბერიძე**, რომელიც სკოლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს, სკოლაში მისი ვაჟიც სწავლობს და გადაწყვეტილი აქვს შვილს სწავლა გიმნაზიაში გააგრძელებინოს. ნური ეფენდი ყველას ეჩიჩინება, შვილები სკოლაში აღზარდეთ და ქართველებთან დაახლოვება ეცადეთო.

### **ფაჩხის სკოლა**

**ს. ფაჩხაც** სხალთის ხეობაშია, ხულოდან 16 ვერსზე. სკოლა არსებობს გიორგობისთვიდან. მასწავლებელი მარ. **ბიბინიეშვილი** ახლად განწესებულია, ჰყავს 20 მოსწავლე ვაჟი. დიდრონებს წერა – კითხვა ასწავლა 4 – 5 კაცს.

### **ადაძეს სკოლა**

**ს. ადაძე ღორჯომის** ხეობაშია, ხულოდან 16 – 17 ვერსზე. საზოგადოთ მთელი ღორჯომის ხეობა მდიდარია; აქაურები მიდიან სამუშაოთ **მევირალის** მთაში. მდინარე **მევირალი მტკვარს** ერთვის ახალციხეში; მევირალით მტკვარში ჩააქვთ ტივის ხეები. ამ ხეობაში ითვლება 17 სოფელი: **ადაძე, ტუნაძე, მახალაშვილი, წინწკალაშვილი, გიორგაძე, ლაბერიძე, მინდაძე, ხაზროვანიძე, დავლაძე, ბუღლაური, აგარა, საციხური, ირემაძე და ვანაძე.**

ყველა ამ სოფლებში ითვლება 500 კომლამდი.

სკოლა დროებით მოთავსებულია **ღორჯომის** შესანიშნავ და იშვიათ ჯამეს „**მედრესეში**“. მასწავლებლად აქ არის ახალგაზრდა მხნე მასწავლებელი ბ.ი. **ურუშაძე**. სწავლა დაუწყია 22 გიორგობისთვიდან, პირველად ჰყოლია 60 მოწაფე. დღეს ჰყავს მხოლოდ 34 ვაჟი – 7 – 14 წლისა. აქ იცის დიდი თოვლი და ზამთარში უგზობობის გამო მიუტოვებით სკოლა. ზოგიც ახლა, მინდვრის მუშაობის დაწყების გამო, დასთხოვია. **მოწაფეთა ნიჭით მასწავლებელი დიდი კმაყოფილია** (საზოგადოთ ყველა მასწავლებელი ამ აზრის არის აჭარელი ყმაწვილების შესახებ). მასწავლებელს მთელი ხეობის დიდი ნდობა და სურვილი აქვს დამსახურებული. მისგან წერა – კითხვა უსწავლია 20 დიდს, მათ შორის ერთ ხოჯას. განაჩენის ძალით სოფელმა უნდა ააგოს სკოლის შენობა და ბინაც უნდა დაუთმოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის უარს ამბობენ ზოგიერთი შეძლებული ადიები, მაგრამ იმედია ღორჯომლები თავს არ შეირცხვენენ და მათ დიდებულ ჯამეს რომ შეშვენდება, სკოლის შენობასაც ისეთს კარგს ააგებენ. აქ ხე-ტყე აუარებელია და ეგ მათთვის არაფერი გასაჭირია.

დაგვრჩა ახალ სკოლებში **ჭვანის სკოლის** ამბავი. ამ სკოლის მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ მასწავლებლად არის გორის საოსტატო სემინარიელი **სვანი ლიპარტიანი**, რომელიც, იმედია, თავის მოწოდებას გაამართლებს.



## ხულოს სკოლა

როგორც წინადა აღვნიშნე, ხულოს სკოლა აქაური სკოლების მამათმთავარია. პირველი მასწავლებელი აქ იყო ბ. ალ. მგელაძე (ბათომის ქართული სკოლის მასწავლებელი), რომელიც აქაურებს ახლაც ტკბილად ახსოვთ; რამოდენიმე მისი ნამოწაფარი ახლა ქართულ გაზეთებსა და წიგნებს კითხულობს. ქართულ ენას მაშინ ბ – ნი მგელაძე „კონტრაბანდათ“ ასწავლიდა და ამისათვის კიდევ დაისაჯა. ამჟამად ეს სკოლა ნორმალურ სკოლად ითვლება. სკოლაში სწავლობს 61 მორწაფე (მათში 7 ქალი); მასწავლებლები არიან: ლ. კვიციანიძე, ქ. ლ. ან. გელაზაროვი და ერთი რუსი – კოუხოვი. წელს მეორე კლასს ასრულებს სამი ახალგაზრდა, რომლებიც რუსულს თავისუფლად ლაპარაკობენ, მაგრამ ქართულს კი „დედაენას“ ჩათვლით კითხულობენ, მაგრამ ეს ახლანდელი მასწავლებლების ბრალი არ არის<sup>1</sup>.

საქართველო, 1916 წ. N 89.

## აპ. ნულაძე წერილი აჭარიდან

(სასიხარულო ამბავი და ჩვენი დაუდევრობა)

„ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში დარბილდების“ – ო – ამბობს დავით გურამიშვილი. „წნელი მანამ უნდა მოიგრიხოს, სანამ პატარა“ – ო, ამბობს ხალხური სიბრძნე.

მასწავლებელთა სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ აქაურ (აჭარაში მყოფ) მასწავლებელთა დიდი უმეტესობა მეცადინია, თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ზოგი არ კმაყოფილდება, რომ მარტო მოზარდებს ასწავლოს მხოლოდ სკოლაში, არამედ ასწავლიან მოზრდილებსაც. ღორჯომის ხეობაში, სოფელ ადაძეში წასული წლის დეკემბრიდან გაიხსნა სამინისტრო სკოლა. მასწავლებლად არის ბ. ირაკლი ურუშაძე. ჩვენ შემთხვევა გვექონდა გვენახა მისი სკოლა და დავმტკბარიყავით მისი ნაშრომის შედეგით. მის ბერულ პატარა სენაკში მაგიდაზე გადაფურცლეთ რვეული, რომელიც აღმოჩნდა მასწავლებლის დღიური. დღიურში ირაკლის ჩაუწერია: აჭარა, ვინც იმუშავებს, მისთვის კარგი ქვეყანაა, ვისაც შრომა ეზარება და ხალხს გაურბის, მისთვის – ჯოჯოხეთია“. რაც დაუწერია ამ პატარა კაცს, ის კიდევ შეუსრულებია დაახლოებით ხალხს, უმუშავია ხალხში და ჯოჯოხეთური მოსაწყენი უდაბური ადგილი „კარგ ქვეყანად“ ეჩვენება, მოწყენას არ გრძნობს, წარმოიდგინეთ: არც საახალწლოთ და არც სააღდგომოთ შინ არ წასულა, ხალხში დარჩენა და მუშაობა ამჯობინა.

ამ მცირე ხნის განმავლობაში ირაკლის 19 მოზრდილისათვის შეუსწავლებია ქართული წერა – კითხვა. აი, მათი სახელი და გვარი: დაუდ ეფენდი ვაშაყმაძე (ხოჯა), მეველუდ ირემაძე, ხასან ტუნაძე (სკოლის მსახური), მუხამედ სირაძე, ისმაილ სირაძე, იუნუს ტუნაძე, ალი შერიძე; ბეშქეთი ნაკაიძე, მურად ირემაძე, ფაიყ ირემაძე, მუხამედ გიორგაძე, მურთაზ ბალუნდარაძე, იუსუფ ანთაძე, რამიზ ირემაძე, იზეთ ირემაძე, შაისმალილ ბალუნდარაძე და მუხამედ დავლაძე. ზოგიერთი მათგანი მე თვით ვნახე; ქართველ „ეფენდათ“<sup>1</sup> მიცნეს და გაზეთი მთხოვეს; მივაწოდე, თავისუფლად წაიკითხეს. მასწავლებელმაც და მისმა წვერიანმა მოწაფეებმაც შემომჩვილეს, რომ წასაკითხი არაფერი აქვთ. „დედა ენის“ პირველი ნაწილი გაუთავებიათ; მერე კი ამ 20 მკითხველს

<sup>1</sup>ქვემო აჭარაში ბ-ნ ლევარსი მენაბდის წყალობით ახლად გაიხსნა სკოლა სოფ. ზუნდაგას, მასწავლებელი ქართველია.

აპ. წ.

მოსდით მხოლოდ გაზეთი „აზრი“. მასწავლებლის თხოვნა უყურადღებოთ დაუტოვებიათ და არავის (გარდა „აზრისა“ და ახლა „საქართველოც“ ეგზავნებათ) არაფერი მიუწოდებია.

ამაზე უკეთეს რაღას იქმს სამინისტრო სკოლის მასწავლებელი და ნუთუ ჩვენ ვალდებული არ ვართ, წიგნები მივაწოდოთ, ოღონდაც! რაკი ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და აჭარლებს სწავლის შეძენისა და ჩვენთან დაახლოვების სურვილი აღედრათ, უნდა ვეცადოთ, სურვილები არ ჩაიფერფლოს, არამედ უფრო გაძლიერდეს. ამას კი ხელს შეუწყობს წიგნების მიწოდება.

ფრიად სასურველი იქნება, ამ 20 მკითხველისათვის ღორჯომის ჯამესთან (სკოლაც იქვეა), გაიხსნას **სამკითხველო**. ნუ თუ გაგვიჭირდება, წანაკითხი წიგნები და ჟურნალ – გაზეთები მივაწოდოთ. არ არის ძნელი და ნურც დააყოვნებთ. გამოგზავნა შეიძლება მისამართზე: „**ბათუმი – ხულო ადამის სკოლას**“.

საქართველო, 1916 წ. N 105.

### **აპ. ნულაძე** **აჭარაში მოგზაურთა საყურადღებოდ**

ქ – ნი **სოფიო (სონა) ეპიტაშვილი ქუთაისიდან** ორ ჩემს მეგობარს წერილებით აძლევს სხვა და სხვა კითხვებს, რომლებიც შეეხებიან აჭარაში მოგზაურობას (ექსკურსიას). ორივე წერილი ერთი და იგივე შინაარსის არის, ორივე ჩემს ხელთ არის და რადგან ეს კითხვა იქნებ სხვებსაც გამოადგეს, ამიტომ გადავწყვიტე ქ – ნ ს. ეპიტაშვილს გაზეთით გავცე პასუხი. მე აქ არ შევეხები **ჭანეთ – ლაზისტან – შავშეთ – იმერხევს**, არამედ შევეხები **ჭოროხის, მაჭახლის და აჭარის წყლის ორ ხეობას; ჭოროხსა და აჭარის წყალს** მისდევს საეტლო გზატკეცილი. ორივე ხეობის გზა იწყება **ბათუმიდან**. კერძო ომნიბუსები (დილიჟანსი), ლინეიკები და ეტლი გადის ყოველ დილით 7 – 8 საათზე **ართვინის** მოედნიდან (**პეტროგრადის ქუჩა**, ელექტრონის სადგურის პირდაპირ). საფოსტო ეტლის („რესორიანი პერეკლადნოი“) გამოწერა შეიძლება მხოლოდ აჭარის ხეობისაკენ. არც კერძო ეტლი და არც საფოსტო, შედარებით რომ ვთქვათ, ძვირფასი არ არის, მაგალითად, **ბათომიდან ქედამდი** (38 ვერსია) ერთი ადგილი ომნიბუსში ღირს 1 მან. 50 კაპ., ეტლში 2 მან., საფოსტო ეტლით კი ორი ადგილი (ორი ცხენი) 4 მან. 3 კ., კერძო (საკუთრათ დაქირავებული) ეტლი კი ძლიერ ძვირად ღირს. ქედამდი 4 კაცს 20 მან. მაინც გამოართმევენ.

ბათომიდან მეთექვსმეტე ვერსზე, სახელდობრ, **აჭარის წყალზე** (სადგური და პატარა დაბაა) საეტლო გზა ორათ იყოფა: ერთი მისდევს **ჭოროხს** და მიდის **ართვინ – არდაღანისაკენ**, მეორე კი აყვება **აჭარის წყალს** (მდინარეს), ავა **ქედაში, ხიჭაურში, ხულოში** და გადავა **ახალციხეში**. ბათომიდან ხულომდე არის 82 ვერსი, ართვინამდე კი 92.

ამ ორი საბოლოო სადგურამდე მიმსვლელს აჭარა (გარდა მაჭახლის ხეობისა) საყველპუროდ დათვალიერებული ექნება (ცხადია გზის პირიდან). ექსკურსანტებს ვურჩევ აჭარის წყალმდე ავიდნენ ეტლით, მერმე კი შეეყვნენ ფეხით ართვინის გზატკეცილს. ომის საშინელების შედეგს ყველაზე მეტად ნახავს ჭოროხისა და მაჭახლის ხეობაში. აჭარის წყლიდან მე – 9 – ე ვერსზე არის (უფრო იყო) მშვენიერი სოფელი **მარადიდი** (მარან – დიდი), მე – 27 კი დაბა **ბორჩხა**. ბორჩხიდან შეიძლება ასვლა **მურღულის** ხეობაში, **ძანსულის** სპილენძის მადარო – ქარხანაში (ბორჩხიდან მგონი 18 ვერსიის მეტი არ უნდა იყოს) საეტლო გზა ძანსულშიაც მიდის (ჭოროხზე ბორჩხით გადაიან). მურღულიდან ოსმალეთის საზღვარი ახლოს არის. **ართვინში** წამსვლელი უმთავრეს გზატკეცილს შეყვება, გაივლის **ქათიბ – ხანს** და ავა ქ. **ართვინში**.

მოისობას (აქეთობისას) მოგზაურს შეუძლია შეეყვას მაჭახლის პირს (აჭარის წყლიდან მე-4-ე ვერსზეა ართვინის გზით) და მოიაროს მთელი ეს მშვენიერება და მომხიბლავი ხეობა. გზატკეცილიდან მდინარის გაღმა – გამოღმა სოფლები 16 ვერსის მანძილზე სულ გადაბუგულია. პირველი სოფელი, რომელიც სასწაულებრივ გადაურჩენია „კამანდირ“ – **ბ – ნ მაგალობლიშვილს, არის ჩხუტუნეთი**. ამ სოფელში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების **სკოლაა და კარის კაცობას**, გარდა მასწავლებლისა, სიამოვნებით იკისრებს **მამასახლისი კახიძე, მწერალი მახარაძე** და ადგილობრივი მცხოვრები **მემლუდ ალა მალაყმაძე**.

ამ ხეობაში არის საცხენოსნო გზა. ჩხუტუნეთიდან გირჩევთ ინახულოთ ისტორიული სოფელი **ხერთვისი** და თუ კი არ დაიზარებთ, ცოტა ზევით **ეფრატი** და **აკრია**. ესენი ორივე მთის სოფლებია და ძლიერ მშვენიერიც. უკან დაბრუნებული ისევ ხერთვის დიდ ჯამესთან უნდა მოვიდეს, აქედან კი ფეხით, გინდ ცხენით, შეიძლება გადალახო მთა და 5 – 6 საათის სიარულის შემდეგ გადახვიდე **ქედაში**; ან დაბრუნდე ისევ უკან, ჩახვიდე აჭარის წყალზე, გამოიწერო ეტლი და მითი **აბრძანდე ქედაში** (აჭარის წყლიდან 22 ვერსი). გზაზე ნახავ სოფ. **მახუნცეთს**; საცა **სამინისტრო სკოლაა**, ცხოვრობს სტუმართმოყვარე **ოსმან ბეგი თავდგირიძე**; აქვეა ყურადღების ღირსი **თამარის ხიდი** (კამარა შეკრული) და ჩანჩქერი; **ქვედა ქედა აჭარის ცენტრია**, აქ არის დაბა, ორკლასიანი სკოლა, დიდი ჯამე, იქვე სცხოვრობს ქვედა აჭარის ნაწილის უფროსი; არის ორი (ქედისა და ცხმორისის) სოფლის სამმართველო. აქ გზის ჩვენება და სტუმრის მიღება შეუძლია **მამასახლისის ბეგი ბეჟანიძეს, შუქრი ეფენდი ჩიკვაიძეს**, ადგილობრივ **ხოჯა ეფენდის... ბ.ბ. მწერლებს – ლევარსი და სოლომონ მენაზდეს, ფერშალს ბ – ნ ამბ. გამყრელიძეს** და სხვა.

ქედიდან მეექვსე ვერსზე, ჩრდილოეთით, სოფ. **აგარაში** არის ქარ. საქ. საზ. **სკოლა**. ეს სოფელიც ღირსია დათვალიერებისა. ამ სოფელშია სტუმართ დიდი მოყვარული **ალი – ოსმან ალა დევაძე**. აგარიდან შეიძლება ასვლა **ბეთლემის** ტყეში, რომელსაც დიდათ აქებენ. მაგრამ მე, სამწუხაროთ, ჯერ არ მინახავს. ქედიდან კარგია სოფ. **მერისში** ასვლა და იქიდან ისევ ქედაში დაბრუნება; მერისი კარგი და მოზრდილი სოფელია და სამინისტრო სკოლაც აქვს.

ქედიდან სად. **ხიჭაურამდი** (ქედიდან 20 ვერსი) ღირსშესანიშნავი იმდენად არაფერია. **ხიჭაურში** კი არის კარგა დიდი ძველი ციხე (ნანგრევი), აქვე, **გორაზე დააღრჩვეს ორი კაცი – მამასახლისი თავდგირიძე და ერთიც სხვა – „ღალატისათვის**. ამ სადგურს ძლიერ ახლოს აკრავს დიდი სოფელი **ჭვანა**, საცა მთავრობის სკოლაც არის. ჭვანიდან შეიძლება გადაიარო მთა და 6 – 8 საათის სიარულის შემდეგ გადახვიდე „**საგურიელოში**“, სახელდობრ, **გომის აგარაკ ნაფოცხვარა** – ში, იქიდან კი გურიაში სოფ. **შემოქმედში** ჩახვიდე.

ხიჭაურიდან ხულომდე 23 ვერსია. გზაზე შეგხვდება კიდევ ორი შესანიშნავი ხეობა: **შვახევი** და **სხალთა**. ამათში ეს უკანასკნელი, **სხალთა**, მეტადრე ღირსია ყურადღებისა **ეკლესიის ძველი ნანგრევით** და სხვ. გზატკეცილიდან სხალთა 8 – 10 ვერსზე იქნება. სხალთიდან კარგი იქნება **ტბეთის** ნახვაც. **ხულო** ზედა აჭარისათვის იგივეა, რაც **ქედა** ქვედა აჭარისათვის.

**ხულოდან**, ჩემი რჩევა არის, მოგზაურმა გზატკეცილი გაიაროს 4 ვერსტი, შემდეგ პირი იბრუნოს ჩრდილოეთისაკენ, გაიაროს მშვენიერი დიდი სოფელი **დიდ აჭარა**, მერე სოფელი **ირემაძე** და ავიდეს სოფელ **ღორჯომში**. ღორჯომში დიდებული ჯამეა და შესანიშნავი სოფელიც არის. აქ სტუმარს მიიღებს ყოფილი მამასახლისი **იუსუფ – ალა – სირაძე** ცნობილი ალი – ალას ვაჟი, ძმებით; **ხასან – ალა ირემაძე** და სხვები. ღორჯომში მთავრობის სკოლაც არის. ღორჯომიდან აგარაკ **ბახმარომდე** საცხენოსნო მშვენიერი გზაა და ქვეითი მოგზაური სულ რაღაც 6 – 8 საათში **ბახმაროში** ჩავა. ბახმაროდან კი **გურიაში** (ქ. **ოზურგეთში**). **ზედა აჭარაში** მოგზაურს თავის

ყურადღებას არ მოაკლებს დიდ აჭარის ახალი მამასახლისი **ბ. იუნუს** – ალა ბოლქვაძე, ყოჩაღი და გამოცდილი ახალგაზრდა, ჩვენი (ქართველების) მეგობარი.

ბინის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ **აჭარლები სტუმრის მიღება – პატივისცემაში ქებული არიან.**

მთელი სოფელი სტუმრებს დაინაწილებს და შეძლებისა დაგვარად პატივს სცემენ. სანოვაგე სოფლად იშოვება: ყველი, კვერცხი, კარაქი (იალი), მჭადი და ცივი წყარო. ოჯახში არას გადაახდევიან და წასაღებათ მოგყიდიათ.

თუ რა დაუჯდება თითო კაცს მოგზაურობა, ამაზე პასუხის მოცემა ძნელია, მაგრამ მე, ვფიქრობ, გარდა რკინის გზისა, სამი თუმანი საკმარისი იქნება. საჭიროა თან იქონიოთ: წულები, საცვლები, უთო, ლილა და საპონი. უკანასკნელ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ქალების მოგზაურობა სახიფათო არ არის, მაგრამ ძნელი კი იქნება. წიგნები თუ რამ გაქვთ დასარიგებელი, სჯობს მასწავლებლებს გადასცეთ და მით პასუხისგება და ეჭვი თავიდან აიცილოთ.

**აჭარაში შევსლის ნებართვას ბათუმს მერეთ აღარ ითხოვენ, მაგრამ რაკი ექსკურსია იქნება, ნებართვა აუცილებლად უნდა გამოითხოვოთ,**

ბათუმში მოსვლამდე, კარგს ინებებთ, დაათვალიეროთ **ქობულეთში** (რადგანაც 4 – 6 ვერსია) სოფ. **ხუცუბნის** ქართ. საქ. საზ. სკოლა და თვით ბათუმში **ყოროლის თავის სკოლა (ორთა ბათუმში).**

P.S. კარგი იქნება ბავშვებისათვის თან იქონიოთ ტკბილეულობა. კარგი იქნება კიდევ, ექსკურსიის მონაწილეს თუ ეცოდინება ჩონგური, გითარა. მანდალინა და ზედ დამღერებ – დალიღინება და დასაკრავსაც თან ატარებთ. მოგზაურობის დაწყება ახლაც შეიძლება. საცა ფეხით ივლით, ბარგისათვის ცხენს იქირავებთ.

საქართველო, 1916 წ. N 109.

## შავშეთ – იმერხევის, ართვინის, ლაზისტანის წარსულის სურათები სტამბოლის ქართული საზნის არქივიდან

### კოკი აბაშიძე მწარე შთაბეჭდილებანი აჭარა, შავშეთი და ლაზისტანი

ათი თვე შესრულდა, მოწმე ვარ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო კუთხის აწიოკებისა. ათი თვე შევყურებ გადამწვარ, გადაბუგულ, მიწასთან გასწორებულ აჭარლების სოფლებს, – ვისმენ შავშეთლების მოთქმა – ჩივილს, – დავსცქერი მიტოვებულ კარ – მიდამოს ლაზებისას.

საშინელია მათი დღევანდელი მდგომარეობა თავისი საზარელი სინამდვილით, – წარმოუდგენელია მათი ბედი თავისი შეუბრალებელი, უღმობელი სიმტკიცით... ამ ათი თვის განმავლობაში იმდენი ტანჯვა და მწუხარება გამოსცადა ამ ხალხმა, რომ შეუძლებელია მისი სიტყვით გადმოცემა, კალმით აწერა. ყველა უბედურებასთან ერთად, მთელი აჭარა მოლაღატედ გამოაცხადეს. რასაკვირველია, ეს ფრიად საგრძნობელი ბრალდება, უსაშინლესი ცილისწამება აუტანელ პირობებში ჩააყენებდა ხალხს, მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო საგრძნობელი, მეტად ტრადიკულია იმ ერის მდგომარეობა, რომლის უდიდესი ნაწილი ამას ვერ გრძნობს და უმცირესი კი, უმეტეს შემთხვევაში, მთლად უარპყოფს თავის ქართველობას. არაერთხელ და ორჯელ მიბაასნია ქვემო და ზემო აჭარის მაჰმადიან ქართველთან, არაერთხელ და ორჯელ გამიზიარებია მათთვის ჩემი აზრი ამ ათი თვის განმავლობაში და, საუბედუროდ ჩემდა, უმეტეს შემთხვევაში, ერთი და იგივე პასუხი მიმიღია: – „თურმე ჩვენი წინაპრები ქართველები ყოფილან, ჩვენ კი ეხლა ოსმალები ვართო“. ასეთს პასუხს თქვენ ხშირად მოისმენთ ქართველ მაჰმადიანისაგან, რომელიც სცხოვრობს ართვინის ოლქში, არდანუჯის მხარეში და, უეჭველად, ლაზისტანში, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ოსმალეთის იმპერიის ერთს ნაწილს შეადგენს.

ადვილი შესაძლებელია, თანამედროვე აჭარელს არც მოეთხოვება, რომ იგი განსხვავებას ამჩნევდეს ერის წარმოშობასა და სარწმუნოების გავრცელებას შორის; შესაძლებელია ისტორიის არმცოდნე აჭარელის გონება ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარწმუნოებასა და ერის წარმოშობას შორის არის დიდი განსხვავება, – მაგრამ სად ვიყავით ჩვენ?

– რატომ არ ვასწავლეთ მათ საქართველოს ისტორია?, რატომ არ ჩავუნერგეთ გულში სიყვარული სამშობლოსი, რატომ არ შევიტანეთ მათ შორის სწავლა – განათლება?

– ხომ გინახავთ სახლი უპატრონოდ დატოვებული, სადაც კერა გაცივებულია, სიცოცხლის მაჯისცემას ველარა გრძნობთ, სიჩუმე და რაღაც გამოურკვეველი საიდუმლო სევდა სუფევს გარშემო; სევდა ბევრჯერ უფრო საგრძნობელი, ვიდრე თვით ადამიანის ტანჯვა. ჰო, და თუ გინახავთ, სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას ახდენს ეხლა – მიტოვებული კარ – მიდამო ქართველ მაჰმადიანებისა.

შემთხვევა მქონდა, როგორც საერობო კავშირის წარმომადგენელს, ქონებრივი დახმარება აღმომეჩინა, როგორც აჭარლებისა და შავშეთლებისათვის, ისე ლაზებისათვისაც. ლაზისტანი, როგორც მოგეხსენებათ, ერთი საუკეთესო, ულამაზესი და უმდიდრესი კუთხეა ისტორიული საქართველოსი. თავისი მომხიბლავი, წარმტაცი ბუნებით ადამიანს აოცებს, ჰხიბლავს.

აქ ბუნება ნაზია: დაბალი მთები, დაბურული ტყით, გადასცქერის დედამიწაზე ულამაზეს ზღვას. მზე უხვად აფენს თვის სხივებს გარშემო არე – მარეს, ფორთოხლისა და ლიმონის ხეებს. **ნამდვილი სამოთხეა, ზღაპრული ქვეყანაა** ეს მცირე ნაწილი ლაზისტანისა. აქაური მთვარიანი ღამეები ხომ მთლად გასაოცარია, სიზმრად ნახულ სურათს მოგვაგონებენ.

**მაკრიალი, ლიმონი, ხოფა – ბურჯი, ხოფა – შაი, ორთა – ხოფა, ხოფა, ქისი, პირონიდი და არხავე** – ეს ზღვის ნაპირა სოფლები და ქალაქებია. **არდალა, ზურპიჯი, ზალუნა** და სხვა პაწია სოფლები, დაშორებულია ზღვას 5 – 12 ვერსის მანძილით.

ზღვის ნაპირა სოფლებში და ქალაქებში დღეს ერთი მცხოვრები არ მოიპოვება. მხოლოდ მოხუცებულნი, ბავშვები და ქალებია დარჩენილი და ისიც უღარიბესი ნაწილი აქაურ მკვიდრთა.

მცხოვრებთა შორის, როგორც გადმომცეს, უმეტეს ნაწილს შეადგენენ ლაზები, შემდეგ ოსმალები, სომხები მაჰმადის რჯულისა, ბერძნები და სხვა.

საშინელ სურათს წარმოადგენს მათი დღევანდელი ყოფა – ცხოვრება: სხედან გამოყრუებულ, დედა – მიწის ზურგიდან მოწყვეტილ სოფლებში სამი – ოთხი ათასი კაცი – მშიერ – მწყურვალი, ღვთის ანაზრად დატოვებულნი. მათი ოჯახის სიმდიდრეს შეადგენს ერთი ან ორი გამვალტყავებული თხა, რომელნიც შერჩენიათ ამ უბედურებს და იკვებებიან მათი რძით. ომის გამო მიწები დაუშუშავებელია და მოსავალი არაფრისა არ არის, გარდა ხილისა, რომელიც უხვად მოიძებნება გარშემო სოფლებში.

ფორთოხალი, ლიმონი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ლედვი, ზღმარტლი, კომში, წაბლი, თხილი, კაკალი, ბროწეული, ყურძენი აუარებელია. ეს ქვეყანა, რომ ხილის ბუდე არ ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია, დარჩენილი ხალხი დღეს შიმშილით ამომწყდარიყო. მხოლოდ ამ ბოლო დროს აღმოუჩინა დახმარება საერობო კავშირმა და დაურიგა ხალხს ორი ათასი ფუთი სიმინდი, ათასი ფუთი ლობიო, ათასი ფუთი გამხმარი პური, ასი ფუთი მარილი და ასი ფუთი ნავთი. რასაკვირველია, ეს მცირე დახმარება არაფერს არ შეადგენს, მაგრამ ერთ თვეს მაინც უზრუნველ ჰყოფს მშიერ ხალხს. ეხლა მათი მდგომარეობა, შედარებით, გამოკეთდა, რადგან ამუშავებენ და დღეში 1 მან., 20 კ. აძლევენ.

ვერ წარმოიდგენთ, რა პატივისცემით მეპყრობოდნენ ზოგიერთი ლაზები, უმეტეს შემთხვევაში, მოხუცნი, როდესაც გაიგეს, რომ მე **ქართველი ვარ**, საერობო კავშირის წარმომადგენელი და მათ მდგომარეობის გამოსარკვევად ჩამოსული. ერთი ლაზი არ შემხვედრია ისეთი, რომელიც **ლაზურად არ ლაპარაკობდეს**, ძალიან **ხშირად ქართულადაც**, მაშინ, როდესაც **ზურპიჯელი** მაჰმადიანი სომხები სრულებით არ ლაპარაკობენ დედა ენაზე – **სომხურად**.

ერთი მოხუცებული, 75 წლის ლაზი, სახელად **ალი** გავიცანი. საწყალი იმდენად დაბერებულია, რომ ძლივს – და დადის. მიუხედავად ფიზიკური დამაბუნებისა, მახსოვრობა შერჩენია. თითქმის ერთი თვე ვხვდებოდით ერთმანეთს და სწორედ გამაკვირვა მისმა ფხიზელმა ჭკუამ, მოსაზრებულმა ბაასმა და მოსწრებულმა სიტყვა – პასუხმა. **ალი** ახალგაზრდობას მეთევზე ყოფილა და ძალიან კარგი მეთევზეც. კარგი შემოსავალი ჰქონდა და შემლებულად სცხოვრობდა. მას ბევრი რამ კარგი და ავი ახსოვს თავის ცხოვრებიდან, ბევრი რამ უნახავს: ბათომში და ქობულეთში ბევრჯელ ყოფილა და ქართველებსაც კარგად იცნობს. ქართულის ლაპარაკი, თუმცა უჭირს, მაგრამ ლაზურად კარგად ლაპარაკობს.

ხშირად ავიწყდებოდა ხოლმე, რომ მე ლაზური ცუდად ვიცოდი და დამიწყებდა ლაზურად ლაპარაკს, მაგრამ შემდეგ უცხად გადავიდოდა ქართულზე. ბევრი საგულისხმო, ბევრი სევდის მომგვრელი სიტყვები უთქვამს ჩემთვის ალის, მაგრამ ერთი მისი სიტყვა, რომელიც გულიდან ამონახეთქი იყო, უსათუოდ გულწრფელი, არასოდეს არ დამავიწყდება.

არ ვიცი, რას მივაწერო მისი სიტყვები: ჩვეულებრივ მის ჭკვიანურ სიტყვას, მოსაზრებულ ბაასს, თუ ეს სიტყვა შედეგი იყო საერთოდ ჩვენი ერთი თვის სჯაა – ბაასისა.

– „დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი უბედური, წყალ – წალბეული, საცოდავი ხალხი, როგორც ქართველებია“ – ო, – ამოიხვნეშა და გულდაწყვეტით მითხრა.

რასაკვირველია, ეს სიტყვები გულში მომხვდა და გამოვეხმაურე:

– რატომ, ალი?

– „ეს რომ სხვას ეთქვა, – მიპასუხა მან, – არ გამიკვირდებოდა, მაგრამ შენ, რომ მელაპარაკები გასაკვირალიც არის და სამწუხაროც. შენ თვითონ არ მითხარი, რომ ოდესღაც დიდებული საქართველო, დღეს დაქუცმაცებულიაო. რა უნდა იყოს იმაზე უფრო საშინელი და საზარელი, როდესაც ერთი ტომის ხალხი ორ სხვა და სხვა სახელმწიფოს საზღვრებში არის მოქცეული, – ერთი ბუდიდან ამოფრენილი ჩიტები სხვა და სხვა ღმერთს ემსახურებიან, თითქმის არაფერი საერთო არა აქვთ – რა, მათი გზა არასოდეს ერთმანეთს არ ხვდება. დღეს ჩვენ შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე საერთო რამ. მაგრამ ყველაზე უფრო საშინელება ის არის, რომ ჩემი შვილი და შვილიშვილი დღეს შენს წინააღმდეგ იბრძვისო“...

ალიმ გაათავა სიტყვა, მოიკიდა ზურგზე თავისი გოდორი, რომელიც ჩვენ გავუვსეთ პურით და ბრინჯით, შაქრითა და მარილით და გაუდგა თავის გზას. მის შემდეგ მე ალი აღარ მინახავს, იქნებ ვერც კი შევხვდეთ ერთმანეთს და ეს ძალზე მალონებს: ასე მგონია, ძმას მომამშორეს, ნათესავსაო.

ალიმ ბევრი სხვა საგულისხმო და უფრო სასიამოვნო ამბავიც მიაშრო. სასიამოვნო და საგულისხმოა, როდესაც იგებ შემდეგ სასიხარულო მოვლენას: **მთელ ლაზისტანში ლაზები დღესაც ლაზურად უფრო კარგად ლაპარაკობენ, ვიდრე ოსმალურად. უმეტესი ნაწილი ლაზი ქალებისა ხომ მხოლოდ ლაზურად ლაპარაკობს.** ამგვარია ჯერ – ჯერობით მათი ენა, მაგრამ, ვინ იცის, დროთა ვითარება და ჟამთა სვლა ამ ერის დამახასიათებელ თვისებასაც მოჰკლავს მათში.

**გარეგნული შეხედულება ლაზისა მოგაგონებთ იმერელს: მაღალი, ტანადი, ლამაზი, მარდი; უმეტესს შემთხვევაში შავგრემანი და შავ – თვალ – წარბა.** შემთხვევა მქონდა ლაზი ქალებიც მენახა, რომელნიც თვითონ მოსულიყვნენ სანოვაგის დარიგების დროს. როგორც ამიხსენეს, მათს ოჯახში მამაკაცი აღარ დარჩენილა. ზოგი ოსმალეთში გახიზნულა, ბევრი კიდეც ომს უმსხვერპლია.

მიუხედავად იმ აუწერელ გაჭირვებისა, რაც თავს გადახდია უპატრონოდ მიტოვებულ ლაზ ქალებს, ისინი მაინც გვარიანად გამოიყურებიან. როგორც მოგეხსენებათ, ლაზი ქალები პირს იფარებენ, ასე რომ გარდა მიხვრა – მოხვრისა მათ ტანთსაცმელიდან ვერაფერს მათთვის დამახასიათებელს ვერ მოჰკრავთ თვალს. უმეტეს შემთხვევაში **ლაზი – ქალები სხვა ტანისანი არიან, მშვენიერი ტანადი. მიხვრა – მოხვრა მათი ნაზია; ყოველი ფეხის ნაბიჯი – ლამაზი და სიცოცხლით სავსე. ტანზე, თუმცა ღარიბად აცვიათ, ბევჯერ დაფლეთილი შალისაგან მოკონკილი, მაგრამ კოხტათა და მოხდენილად. ძალიან უყვართ წითელი, ლურჯი და მოყვითალო ფერი.** მიუხედავად იმისა, რომ მათ ოჯახში მამაკაცი არ არის და ისინი ღვთის ანაზარად არიან დატოვებული, **სულით მაინც არ ეცემიან**, თავის თხას უვლიან, ხილს ჰკრეფენ, ახმობენ და ზამთრისათვის იმზადებენ. დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ სანოვაგის დარიგების დროს, როგორც ალიმ, ისე ბევრმა სხვა მოხუცმა ლაზმა, მთხოვეს, უპატრონოდ დატოვებულ ქალებისათვის მეტი სანოვაგე მიმეცა.

გუშინ მდიდარნი, კოშკში და მშვენიერ სახლებში მცხოვრებნი, თითქმის კმაყოფილნი თვისი ცხოვრებით, – დღეს საწყლად გამოიყურებიან. ეჭვით უცქერენ ყოველ ახალ პირს, რომელიც კი მათი სოფლის ახლო გაივლის.

ყველაზე უფრო დაშორებული, მოწყვეტილი თავის კერას, თავის სამშობლო მხარეს, თითქმის გადაგვარებული, „გაოსმალეული“, თუ შეიძლება ასე ითქვას, არდანუჯის ოლქში, შავშეთში მცხოვრები – ქართველი მაჰმადიანები – შავშელები არიან. მათ თითქმის დავიწყებული აქვთ დედენა – ქართული. ხუთი – ექვსი ათასი კაცი სრულებით მოწყვეტილია თავის სამშობლო – კერას: მათ მოქმედებაში, მათ ლაპარაკში ქართველური თითქმის აღარა დარჩენილა რა. მხოლოდ გარეგნული შეხედულება ცხადად გვიმტკიცებთ მათ ქართველობას. არდანუჯის აქეთ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები, ეგრედწოდებული იმერხეველები, ამ მხრივ უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი არა თუ ლაპარაკობენ ქართულს, პირიქით – მათ უმთავრეს ენას მხოლოდ ქართული შეადგენს. რასაკვირველია, სწორედ, ლაზები და მათი სამშობლო, რომელიც მოქცეულია ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში, ინარჩუნებენ თავისი ეროვნების დამახასიათებელ თვისებებს: ზნე – ჩვეულებასა და სხ., შავშელები და შავშეთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრით უფრო კარგს მდგომარეობაში იმყოფებიან, მთლად მოწყვეტილად გრძნობენ თავის თავს. იქნებ მიზეზი ამგვარ არანორმალურ, არაჩვეულებრივ მოვლენისა იმაში მდგომარეობს, რომ ლაზები რიცხვით უფრო მეტი არიან, ვიდრე შავშელები?

იქნებ მიზეზი მათი გადაგვარებისა, მათი ოჯახური ცხოვრების გამოცვლაში გამოიხატება. შავშელები, როგორც ლაზები, ცოლად ოსმალელ ქალს ირთავენ უმეტეს შემთხვევაში და უცხო ქალი, როგორც მოგეხსენებათ, დიდ დაღს ამჩნევს, საზოგადოდ, ოჯახურს ცხოვრებას, – ბევრჯერ სულმთლად გარდაქმნის ხოლმე ოჯახს. ამ შემთხვევაში ოსმალთ ქალები უფრო საშიში არიან, რადგან მათ უფრო მეტი გავლენა აქვთ ოჯახზე, შვილებზე და გარშემო პირებზე, ვიდრე სხვა ერის ქალს. როგორც მოგეხსენებათ, ოსმალელი ქალი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა; იგი თითქმის მთელი დღე ოჯახიდან არ გამოდის, თავის ეზოს არ სცილდება, როდესაც მამაკაცი მთელი დღე გარედ არის. ასეა თუ ისე, ეს სინამდვილე თვალწინ გვიდგას.

ადამიანის გონება, ფანტაზია ვერ წარმოიდგენს ისეთ ბუნების სილამაზეს და სიმდიდრეს, როგორსაც შავშეთი წარმოადგენს. აუარებელი სიმდიდრეა დაფანტული გარშემო, სიმდიდრე, რომელნიც დაუმუშავებელი რჩება, განზე დარჩენილი. ომმა ხომ მთლად მოსპო და შეაჩერა სიცოცხლე. ის ცოტა რამ სიმდიდრე, ჭირნახული, რომელიც ასაზრდოებდა შავშელს, ბედმა დღეს სხვას ჩაუგდო ხელში. აქაც, როგორც ლაზისტანში, ომის გამო, ყანები დაუმუშავებელია და მოსავალიც არაფრის არის, გარდა ხილისა. ამ რამდენიმე თვის წინად, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ და საეროზო კავშირმა შავშელებს ერთდროული დახმარება აღმოუჩინეს: სიმინდი, ლობიო, მარილი და ნავთი დაურიგეს ხალხს. საეროზო კავშირმა, გარდა ამისა, გამხმარი პური და თბილი ტანთსაცმელი მიაწოდა ნახევრად ტიტველ ხალხს. ამ ბოლო ხანს მათი მდგომარეობა გაუმჯობესდა: ამუშავებენ და დღეში 1 მან. და 20 კ. აძლევენ, რაც ამსუბუქებს მათ გაჭირვებულ ცხოვრებას.

ჩვენი მოვალეობაა, არა მარტო ქონებრივი დახმარების აღმოჩენა, რომელსაც გვარიანად ასრულებს ეხლახან შობილი ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, არამედ ამ ხალხის ზნეობრივი, მორალური სიძლიერის განმტკიცებაც.

ჩვენს ერთადერთ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ ხალხის სულიერი ცხოვრების აღდგენა, მათ შორის ქართულ კულტურის, სწავლა – განათლების გავრცელება.

თუ ამას კარგად შევიგნებთ და გავითვალისწინებთ, თუ ვიგრძნობთ მთელ საშინელებას ჩვენი უნიადაგო ცხოვრებისას, მაშინ, ადვილი შესაძლებელია, ჩვენი უბედობა ბედნიერებად იქცეს, ჩვენი ტანჯვა – სიამოვნებად, ოხვრა – ტირილი – სიხარულად.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 415.



## კოკი აბაშიძე მწარე შთაბეჭდილებანი

II

### აჭარა, შავშეთი და ლაზისტანი

ვინც ცოტად თუ ბევრად თვალყურს ადევნებს სამაჰმადიანო საქართველოს დღევანდელ საქმეთა მიმდინარეობას და წარმოდგენილი აქვს მათი, როგორც ეკონომიური, ნივთიერი მდგომარეობა, ისე სულიერი განცდა – განწყობილება, ვისაც აინტერესებდა ქართველ მაჰმადიანებისა და ქართველ მართლმადიდებელთა ურთიერთშორის დამოკიდებულება, უსათუოდ გაიგონებდა ზოგიერთ მაჰმადიან ქართველისაგან, რომ „ქართველებს მათი დამეგობრება, მათთან ძმური, ნათესავური კავშირის განმტკიცება და გაძლიერება კი არა ჰსურთ, არამედ უნდათ მათი გაქრისტიანება“.

მეც მომისმენია ამგვარი სიტყვები სხვადასხვა წოდებისა და წრის აჭარელისაგან...

ასეთია ერთი მწარე სინამდვილეთაგანი **მაჰმადიან ქართველთა და ქრისტიან ქართველთა დამოკიდებულებისა**. სინამდვილე, რომელიც ყოველ ქართველს ააღელვებს, ისარივით მოხვდება გულში, მაგრამ, ამასთანავე, ეს აღელვება ისევე სწრაფად გაჰქრება მის გულში, ისე დაწყნარდება მისი ერთი წუთით დაკოდილი გული, როგორც წუთიერი იყო მისი მღელვარება.

სანუგემოა მაინც, რომ მთელ აჭარას რაღაც აკავშირებს საქართველოსთან; მაგრამ ვაი ჩვენ, რომ ერთი საუკეთესო ნაწილი ჩვენის მამულისა მოწყვეტილია თავის სამშობლოს კერას, გადაგვარებულია და ნახევრად გაოსმალებული.

ქვემო და ზემო აჭარა თანდათან ჰგრძნობს თავის ქართველობას, ადვილი შესაძლებელია ინტენსიურმა მუშაობამ და დახმარებამ გამოაფხიზლოს მიძინებული გრძნობა აჭარლებისა და ისინიც დაუბრუნდნენ თავის დაკარგულ სამშობლოს; მაგრამ რა ეშველება **შავშეთსა და ლაზისტანს**, იმ შავშეთს, სადაც უმეტესი ნაწილი ხალხისა მთლად გადაგვარებულია? რა ზომებს უნდა მიჰმართო, როდესაც ხალხი ქართულად, დედაენაზე აღარ აზროვნებს, აღარ ლაპარაკობს, როდესაც საერთო წარსული ჩვენი მამულისა მივიწყებულია, გული გაცივებული. **იმერხევი და იმერხეველები**, რომელნიც დამორებულნი არიან შავშეთს რაღაც 40 – 60 ვერსის მანძილით, სულ სხვასა გრძნობენ, სხვასა ჰფიქრობენ: მათი ენა, როგორც პირველ წერილში ვსწერდი, ქართულია, ზნე – ჩვეულება ქართველური. ერთი სიტყვით, დამახასიათებელი თვისება შავშელისა იგივეა, როგორც გურულ გლეხისა, მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ გურული უფრო განვითარებული, უფრო მომზადებული და შეგნებულია.

მართალია, ყველა **იმერხეველი** არ ეძახის თავისთავს ქართველს. ხშირად „თათარი“ ვარო, იტყვის, მაგრამ ეს მოვლენა წარმავალია, რადგან ყოველი მახინჯი აზრი და შეხედულება, ძალდატანებითი ზრახვა, ამორალური ლტოლვა – უსაფუძვლოა და უნიადაგო.

დარწმუნებული ვარ, რომ **აჭარა** და **იმერხევი** ჩვენია. ჩვენთვის დაკარგული არ არიან.

არ არიან, რადგანაც ჩვენს შორის ბევრი რამ არის საერთო, ბევრი რამ გვაერთიანებს, გვაკავშირებს: ჩამომავლობა, ენა, ზნე – ჩვეულება, ხასიათი და მრავალი სხვა ერის დამახასიათებელი თვისება. ჩამომავლობისა და ენის შესახებ აღარ გავაგრძელებ სიტყვას, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ **აჭარა ერთი საუკეთესო მხარეა საქართველოსი და აჭარლები კი მკვიდრნი შვილნი ქართველი ერისა**.

აქ მხოლოდ ქართველ მაჰმადიანის ზნე – ჩვეულებისა და ხასიათის შესახებ მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

გადაგვარების გზაზე დამდგარი ადამიანი იმგვარ ხასიათსა და ზნე – ჩვეულებას ითვისებს, რომელ ერის გავლენის ქვეშ იმყოფება; ჰკარგავს თვის ენას, ზნე – ჩვეულებას, ხასიათს, სარწმუნოებას, თვის სახეს და ეზიარება ახალ კულტურას, სწევეტს წარსულთან ყოველს კავშირს, ნათესავობას.

მაგრამ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს დღეს **სამაჰმადიანო საქართველო?**

– სრულებითაც არა.

მართალია, იქაური მცხოვრებნი მაჰმადის რჯულისანი არიან, გამაჰმადიანებულნი, მაგრამ სარწმუნოება ხომ არ ამტკიცებს მათ გაოსმალეობას?

სარწმუნოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის დახასიათებისათვის.

განსაკუთრებით როცა ერს არა აქვს საკუთარი მიწა – წყალი, ტერიტორია, მოკლებულია სულიერ სიმტკიცესა, ისტორიულს ტრადიციებს; წარსული მივიწყებული აქვს; მისთვის დიდი რამ არის სარწმუნოება, მით უმეტეს, თუ ეს სარწმუნოება მას ასხვავებს სხვა ერისაგან.

ებრაელები სხვა ერისაგან უფრო სარწმუნოებით განირჩევიან: **ებრაელი, როდესაც ჰკარგავს თავის სარწმუნოებას, მასთანვე კარგავს თვის ნაციონალურ სახესაც.**

მახსოვს ცრემლებით წარმოთქმული სიტყვები ებრაელ პროფესორის ჟიტლოვსკისა: „**შურით ვუყურებ იმ ადამიანს, ვისაც პაწია ნაგლეჯი მიწისა მაინც გააჩნია, რომელსაც თავის სამშობლოს უწოდებსო**“.

არა ნაკლებ როლს თამაშობს სარწმუნოება სომხის ერის არსებობაშიც, თუმცა დიდი ნაწილი სომხებისა გაფანტულია სხვა ქვეყნებში, მაგრამ მათ მაინც აქვთ განსაკუთრებული ტერიტორია, რომელსაც თავის **სამშობლოს** უწოდებენ. სარწმუნოებას აქვს მნიშვნელობა იმ ერისთვის, რომელიც მოკლებულია სხვა უფრო მტკიცე თვისებასა და ეროვნულ სიმდიდრეს.

**ქართველ მაჰმადიანებს, როგორც ღვიძლ შვილთ საქართველოსა, აქვთ სრულიად გამორკვეული ტერიტორია, ენა, ისტორიული განცდანი, წარსული, რომელიც აკავშირებს მათ ჩვენთან, ისე, როგორც არსებობს კავშირი ქართლ – კახეთისა და გურია – სამეგრელოსი და ეს კავშირი კიდევ უფრო მტკიცე და ნათელი ხდება ჩვენთვის, როდესაც ჩავუკვირდებით ჩვენი ძმების ზნე – ჩვეულებას, რომელიც ძლიერ განსხვავდება ოსმალთა ზნე – ჩვეულებისაგან.**

მაგალითად, ოსმალელს რჯული ნებას აძლევს რამდენიმე ცოლი შეირთოს. ოსმალთა შორის მრავალ – ცოლიანობაა დამკვიდრებული.

აჭარაში და იმერხევში კი ეს წესი თითქმის უარყოფილია. იშვიათად ხდება, რომ ვინმემ დაარღვიოს **საზოგადო ქართველური ჩვეულება** და შეირთოს რამდენიმე ცოლი; უმეტესი ნაწილი როგორც შეძლებული კლასი, მით უმეტეს ღარიბი ხალხი ყოველთვის მტკიცედ იცავს **„ერთცოლობის“ ინსტიტუტს.**

აჭარლები შედარებით შეძლებულნი არიან და ქონებრივი მდგომარეობა ხელს არ შეუშლიდა მათ. ხოლო ხასიათი, ჩვეულება და ზნე წინ ელობება. სწორედ აქ მხილდება ხალხური თქმულება: **ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.** ამ შემთხვევაშიც **აჭარლები დარჩნენ ქართველებად** და რამდენიმე ცოლის შერთვა ოჯახის შეურაცხყოფად მიაჩნიათ.

ასე თუ ისე, ეს ფრიად სასიხარულო ჩვეულება გვიმტკიცებს სხვათა შორის მათ ძლიერ სიყვარულს და პატივისცემას ცოლისა და ოჯახისადმი, და ეს კი დიდი პლიუსია.

ვიმეორებ, რომ **აჭარა და იმერხევი**, თუმცა ჯერ – ჯერობითკიდევ ვერ გრძნობენ თავის თავს ნამდვილ ქართველებად, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დღევანდელი მათი უვიცობა ცოდნად იქცევა, შეუგნებლობა – შეგნებად და ჩამორჩენა კი წინსვლად.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., №475.

## ზაქარია ჭიჭინაძე მონერული ამბავი

შავშეთი. 17 აგვისტო.

შავშეთი სძევს ართვინის ოლქში, იგი შეადგენს ერთს უჩასტკას და მართავს უჩასტკის უფროსი. შავშეთის ნაწილსვე შეადგენს იმერხევის ხეობა. სულ ორივე მხარე რვა სამამასახლისოა. შავშეთს აღმოსავლით უძევს ჩვენს ისტორიაში ცნობილი არსიანის მთები, დასავლით – კარჩხალის მთა, სამხრეთით – ტაოს კარი (ტაოსკარი) და ჩრდილოეთით – აჭარა. მთელს შავშეთსა და იმერხევიში ასამდის პატარა და დიდი სოფელი იქნება. კომლთა რიცხვი 2000 – ზემეტია და 20,000 სულამდე.

მას შემდეგ 260 წელიწადია გასული, რაც დასავლეთი საქართველოს ნაწილი და მასთან შავშეთიც ოსმალებმა დაიპყრეს. დაპყრობის შემდეგ ქართველებს გამუსლიმანება დაუწყეს და ყველაზე მალე შავშელები გაამუსლიმანეს. ადრე გამუსლიმანების მეოხებით შავშელები ოსმალების სრულს მონებათ გახდნენ და უკანასკნელ ისე წავიდა მათი საქმე, რომ შავშელებმა თავიანთი დედაენაც დაკარგეს. დღეს შავშეთში ქართული ენა აღარ არსებობს; სამ სოფლის ხალხს შერჩენია მხოლოდ ქართული ენა, სახელდობრ: ახალდაბელებს, გარყილუფს და ჯვარებს; შავშეთის ახლო მდებარე იმერხევიში კი მთლად ქართულათ ლაპარაკობენ.

შავშეთი სავსეა ძველის ნაშთებით, სოფელს ციხისძირს დღევანდლამდე მშვენივრათ სდგას ტბეთის ტაძარი, რომელიც დიდის დიდებით გადმოყურებს ამ შავის სამგლოვიარე არშიით მოსილს შავშეთს. ტბეთის აშენების ხანა მეცხრე საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, აშოტ ბაგრატიონი კუხისაგან. ტბეთის ტაძარს გარდა, არდანუჯის და შავშეთის შუა, თუხარისის ციხის ახლოს, სძევს დიდი მონასტრის ნაშთი ნათლის მცემლისა, ოპიზათ წოდებული. ამათ გარდა, სხვა ნაშთებიც ბევრია აქა – იქ დარჩენილი.

მთელი შავშეთი სულ ნაძვის ხის ტყით არის სავსე და ყოველთვის შავის ფერითაც არის შემოსილი, მიტომ დარქმევია მას შავშეთი ანუ შავი. აქა – იქ ხეობებში ხშირათ ნახავთ ტბას. ტბეთის ეკკლესიას ამისგან მოუგია სახელათ ტბეთი. ნაძვს გარდა, სხვა ხეებიც მრავალია, მაგალითებრ: კატარი, ფიჭვი, ცაცხვი და სხვანი. ხილის ხეებიც ბევრია; ფუტკრის მოშენებასაც უხვად მისდევენ; ფუტკრის სკებს ტყეებში ხეებზე ინახავენ.

აქ ისეთი ბალი იცის, რომ მას არსად რა შეედრება. მეტად სხვილი მრცვალი, მასთანვე ტკბილი. აქ ამის ბადაგს ადუღებენ და ზამთრისთვის ინახავენ; ჟოლის ძმარსაც აკეთებენ. ძმარი მე ვნახე და მისმა მჟავე გემომ გამაკვირვა. აქეთ ჟოლო აგვისტოში შემოდის. შავშელნი სხვა ხილისაგანაც აკეთებენ ტკბილ რასმეებს; ხილის გახმობაც კარგათ იციან.

ხილეულობის გარდა, შავშეთში ბევრ ნაირი ტყისა და ველის ბალახების მოვლაც სცოდნიათ, რომელთაგან ზოგს სჭამენ და ზოგს – არა. მაგალითებრ: დანდური იცის აქეთ, მხალი კარგი: სატაცური, ჭინჭარი, ბალბა, სვინტრი და კოპრჩხილა. აქეთ ველისა და მთის ყვავილებთა რიცხვიც ბევრნაირია და აქ ბევრი უცხო ყვავილი, ბალახი და ხეებიც აღმოჩნდება.

შავშეთს ახლო ქალაქებათ უძევს: არდანუჯი, ართვინი, არდაგანი (არტაანი) და ყარსი. არდაგანამდის შავშეთიდან ერთი დღის სავალია და ყარსამდის ორი დღის. აქაური და იმერხეველი გლეხები ზაფხულობით ხილს ხსენებულს ქალაქებში მიეზიდებიან და ასაღებენ. ხშირათ აქაც მოდიან ვაჭრები და ყიდულობენ.

შავშელნი საქონლის შენახვასაც კარგათ მისდევენ. ამათ საბალახო ადგილებიც მრავალი აქეთ; არსიანის მთების საბალახოები ამათ უკავიათ, კარჩხალის მთების სამოვრებზედაც დადიან

და არდაგანისკენაც მთლათ მოფენილნი არიან. ესენი ინახვენ ძროხებს, კამეჩს, ცხვარს, თხას, ცხენს, ჯორს და იმერხეველნი – ვირებს.

ურმები მარტო შავშეთში მუშაობს. ამათში კარგათ აკეთებენ ნალებს, მაწონს, ერბოს და ყველს ჩვეულებრივ. საქონელი დაბალი ტანის იცის, მაგრამ ერთობ წყნარი ხასიათის, რძე მეტათ ნაღებანი. აქეთ თაფლიც მეტათ ტკბილია, რადგანაც კარჩხალისა და არსიანის მთების ყვავილებით იკვებება ფუტკრები.

შავშეთის ხალხი მეტათ მხნე და მუშა ხალხია, იგინი აჭარლებით თოფისა დ დამბაჩის ხმარების მიმყოლნი არ არიან.

შავშელები მთელი დღე მუშაობას უნდებიან. ამათ ყაჩაღობის და თოფ – დამბაჩის ხმარების დრო არა აქვსთ; ესენი სთესენ სიმინდს, პურს, ღომს, ქერს და ყოველს. მთაში და ბარში არხები გაჰყავთ, ნამეტურ იმერხევეში. კაცი გაჰკვირდება არხებისაგან, ისეთ კლდეებზეა გაყვანილი.

**შავშელნი ზნე – ხასიათით და მიხვრა – მოხვრით უფრო ქართლის და მესხეთის ხალხს ჰგავს.** სოფლებში სახლები ერთმანეთთან ახლოსაა, მასთან კალო მესხურ–ქართლურათ; სახლები ორ სართულიანები, ძირს ბოსლები აქვთ გაკეთებული და ზედა სართული სადგომ ბინათ.

საბძლის კეთებაც კარგათ იციან, დიდრონი საბძლები და მასთან მთელ – მთელის ნაძვის ხეებისაგან აკეთებენ. **ამათებური საბძლები ჩვენებური გლეხების საცხოვრებელ სახლებს სჯობია.**

ესენი არც ისე ფანატიკობენ, როგორც ქობულელნი, აჭარელნი და ლივანა – მაკრიალელნი. ესენი მუდამ დღე არც კი ლოცულობენ ისე, როგორც სხვა თათრები.

**ამათ ლოცვები მარტოთ პარასკევ დღეს იციან.** ამას არსად მალავენ: – ჩვენ მუდამ დღე ლოცვებისთვის არ გვცალიანო, – ამბობენ შავშელნი.

ამათ სიტყვა „ქართველიც“ არც ისე ეჯავრებათ, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანებს. ესენი ამბობენ, რომ ჩვენ ქართველები ვართო (გურჯები). ამათ არა ფანატიკობას ისიც ამტკიცებს, რომ შავშეთში ბევრს ალაგას შემხვთა ძველი ეკლესიები და აჭარაში კი ბევრგან ვერ ჰპოვებთ.

**შავშეთში სოფლებს თავიანთი ძველი ქართული სახელები შერჩენიათ, ისევე მთებს, ხეობებს და ძველს ნაშთებს.** ქართულის არა მცოდნე მაჰმადიან ქართველებში ბევრს ახსოვს თავიანთი ძველი გვარები, მაგალითებრ: გორლაძე, საღირაძე, ლეონის ძე, ლომიძე, ლომსაძე, თოფრას ძე და სხვანი.

არსიანის მთა. 17 აგვისტოს.

ქურნალი „მეურნე“, 1895 წ. № 19. გვ. 6 – 7.

**ზ. ქ.**

**(ზაქარია ქიქინაძე)**

**ქართული ენის დაკარგვა შავშეთში**

ნახევარ შავშეთში სრულიად დაიკარგა ქართული ენა. გიორგი მთაწმინდელის ქართველნი დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ. ქართული ენა აქ ძირიან – ფესვიანად ამოვარდა 1850 წლებში.

შავშეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ კუთხეებიდან ტბეთამდე და ართვინამდე, მთელს ამოდენა სივრცზე, ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა მოსპობილია. ქართულ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ ტბეთის აქეთ, ჩრდილოეთ – იმერხევეში და ართვინს იქით, ლივანას.

როგორც შავშეთში ამოვარდა ქართული ენა, ისევე ამოვარდება იმერხევის ქართველ მაჰმადიანთა შორის, თუ ამ საქმეს რამე წამალი არ დაედო; იმერხევის სოფლებში ვიყავ, ვნახე იქაურობა. იგი მივარდნილი კლდე – ტყიანი, ქვანარი ხეობაა. იმერხევი არის შემდეგი სოფლები: ხობლევი, აგარა, შოლტის ხევი, წყალსიმერი, წეთილეთი, დიობანი, ივეთი, აგარა, სურვანი, უბე, ზიოსი, ხეწვრილი, დაბა, ბელტიეთი, ზაქიეთი, ბაზგიერეთი, ლეონიძე, ჩიხორი, ციხის თავი, უსტამისი, გრილ – აგარა, პხიკიური, ლივანის ძირი, ჩაქველთა, სარსანა, გორგოტიხანა, ოქროს წყალი, ახალდაბა, გარყილოფი, ჯვარები, მანატბა, წეფთის ძირი, და დევა – გელა. სულ 32 სოფელი.

შავშეთის ქართველ მაჰმადიანთ მიაზებს, რომ შავშეთში ქართველებს ქართული ენა 1850 წლებში დაავიწყდათო. იმერხევიც ასევე მოხდება და 30 წლის განმავლობაში აქაც დაჰკარგავენ დღემდე შენახულ ენას. ჯერ ახლა, ქართულ ენაში მრავლად შეპარულა ოსმალური სიტყვები. უფროსებიც ყმაწვილებს უფრო ხშირად ოსმალურად ელაპარაკებიან, რომ ქართული მალე დაივიწყონ. არსიანის მთაზე მწყემსებს შორის ვნახე იმერხეველი მწყემსები და მათ ქართული ლაპარაკი გაუძნელდათ.

ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული ენა ყველგან მკვიდრად არის დაცული. ართვინის ოლქში კი დაცულია ჩვენი ენა მურღულის ხეობაში, ნაწილს ლივანას და კლარჯეთის შეყოლებას. მაგრამ მოსპობილია მთელს შავშეთსა და არდანუჩში. იმერხევი ამ კუთხეზეა მიკრული და ამიტომ აქ ქართულ ენას დიდი შიში მოეღოს. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს...

დიდი საქმეა ეს ართვინის ოლქის ქართველ მაჰმადიანთათვის. ჩვენც დიდი ყურადღება გვმართებს. სამწუხაროდ, იქ არსად ერთი სკოლაც არ არსებობს. არც მოლებს და ხოჯებსა აქვთ სკოლები. კითხვა სულ არავინ იცის; იმერხეველნი მაჭახლელებით ტყისა და კლდის ხალხად ითვლებიან.

ვწერთ ამას წერა – კითხვის საზოგადოების და სხვათა საყურადღებოდ.  
გაზეთი „დროება“, 1909 წ., № 246.

## აქტომი (ივ. ბუაჩიძე) შავშეთ – იმერხევი

**შავშეთ – იმერხევი** ამ ომიანობამ მეტად დააზარალა. ამ მხარეში საყოფი საკვები არასოდეს არ მოდიოდა, რადგანაც მდებარეობა და ჰავა ხვნა – თესვას ხელს არ უწყობს. აქაური ხალხი უფრო საქონლის მოვლა – მოშენებას ეტანება, ჰყიდის და ანალები ფულით ყიდულობს პურსა და სიმინდს. აქ საურმე გზებიც არ არის და ყოველივე საქონელი გადააქვთ და გადმოაქვთ ცხენებით და მარხილებით, და ზოგიერთ შემთხვევაში სათრიელითაც.

როდესაც ართვინის მხარეს შემოესია „ჩეტნიკები“ და რედიფები, შავშეთ – იმერხევი გადაიქცა იმათ სათარეშო ადგილად. უგზო – უკვლობის გამო, არც „ჩეტნიკებს“ და არც რედიფებს, გარდა თოფების და პატრონებისა, ოსმალეთიდან არაფერი მოუტანიათ და არც მოსდიოდათ. იკვებებოდნენ ადგილობრივი სასმელ-საჭმელით და თანაც აგროვებდნენ და გზავნიდნენ ართვინში და მის არე – მარეში მდგომ ჯარებისთვის.

შავშეთ – იმერხევი უფრო დიდხანს დარჩნენ „ჩეტნიკები“. აქ შესაჭმელი თუ კი რამ მოიძებნებოდა, აღარაფერი გაუშვიათ, რაც საქონელი იყო თითქმის დაჰკლეს და შეჭამეს და დანარჩენი ართვინის ჯარის საკვებად გაგზავნეს.

რაკი აქ, მხოლოდ საცხენოსნო გზებია, ამიტომ თითო – ოროლი ცხენი ყველას ჰყავდა, მაგრამ დღეს მთელს მხარეში ერთი აღარ მოიძებნება. ამ გარემოებამ მხარე ნამეტან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო, რადგანაც თავად არაფერი ჰქონდა ხალხს და რაც გააჩნდა, ისიც შემოსეულმა ჯარმა შეუჭამა.

შავშეთ – იმერხევის მკვიდრთა უმწეო მდგომარეობას მიაქციეს სათანადო ყურადღება და იმ ფულიდან, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ გადასდო ომიანობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, შავშეთ – იმერხეველებსაც დაურიგეს. ფულის დამრიგებელ კომისიაში იყვნენ: 1) ბათუმის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ბ. **ლაჩინოვი**, 2) მეფის მოადგილის კანცელარიიდან პოდპოლკოვნიკი თავადი **წულუკიძე**, 3) ართვინის მაზრის უფროსი ბ. **ზოსიმოვიჩი**, და 4) ბაქოელ მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი, ექიმი **ხოსროვ – ფაშა – ბეგი სულთანოვი** და თარჯიმნად ახლდათ **სერვეთ – ეფენდი ხალვაში**.

შავშეთ – იმერხევეში ამოვიდა კომისია ორ დეკემბერს და გაათავა ფულის დარიგება თოთხმეტს. ორმოცამდე მეტ სოფელს დაახლოვებით დაურიგდა 82,000 მანეთი.

როდესაც ფულის დარიგება გაათავა კომისიამ, ხალხმა მადლობა გადაუხადა და მისი თხოვნით, **ჰაჯი – შაქირ – ეფენდი ჩხეიძემ** სიტყვა უფხრა კომისიას ოსმალურად, რომელიც **სერვეთ – ეფენდი ხალვაშის** თარგმანით აქვე მომყავს ქართულად: „ბატონო კომისიის წევრებო! 1915 წლის დეკემბრის თვე დაუვიწყრად აღიბეჭდა შავშეთ – იმერხეველ **მუსულმან ხალხის ხსოვნაში. ჩვენ, შავშეთ – იმერხეველები, ერთგულნი, მტკიცედ მეფისა და მამულისა**, სახლებში დამალულნი შიშველ – ტიტველ – შშიერნი, დღიდან – დღეზე მოველოდით სასჯელს იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინა ზოგიერთმა ჩვენმა თანამორწმუნემ, მაგრამ ნაცვლად სასჯელისა, უეცრად თქვენ მოევლინეთ ჩვენს მხარეს და ცდილობთ ჩვენი კეთილ – დღეობისათვის. მთავრობის მიერ აღმოჩენილმა და თქვენ მონაწიდეებმა შემწეობამ მოგვისწრო სწორედ წუთზე, რომლის შემწეობითაც აგვცდა ის საშიშროება, რომელსაც ეწოდება **სიმშლით სიკვდილი** და რომელიც ჩვენს კარზედ ულმობელად იყო მომდგარი. ამის ამორება ჩვენ გვახარებს, მაგრამ უფრო გვიხარია ის, რომ **შეთხზული „აზრი“ ჩვენს შესახებ ვითომდა ლალატისა უკვე გაიფანტა...**

მეორე დღეს, კომისია **არდანუჯში** წავიდა. სოფელ **სათლელის** ჯამესთან, კომისიას დახვდნენ თავმოყრილი: სოფლის მამასახლისები, ნაცვლები, სოფლის რწმუნებულები, ხოჯები და მოწინავე პირები, რომლებმაც მართვეს სამგზავრო პურ – მარილი და განმეორებით მადლობა გადაუხადეს და სთხოვეს კომისიას, რომ შემდეგშიაც არ დაივიწყონ აქაურები.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 466.

**შავშეთში ნამყოფი ქართველი  
(უცნობი ფსევდონიმი)  
წერილი სათლელიდან  
(შავშეთი)**

აგერ ოთხი თვე იქნება, შავშეთში რომ ბინა დაიდვა **ქუთაისის** რაზმის ცხენოსანთა ასეულმა. მათი აქ ყოფნა ერთგვარი ნუგეშია ჩვენი ძმები **ქართველი მაჰმადიანებისთვის**. საერთოდ გულისყურით და შეგნებულად ეპყრობიან მათ ასეულის ქართველი ოფიცრები და შეგნებული რაზმელები. შავშეთ – იმერხევეში ჩამოდიან, აგრეთვე, საგანგებოდ გამოგზავნილი ქართველები და ფულით თუ სურსათით შველიან დარბეულ მოძმეებს. ყველა ეს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას

ახდენს ქართველ მაჰმადიანებზე და განამტკიცებს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებ შორის საერთო ქართველური გრძნობის ერთობას. როდესაც ასეთ კეთილ საქმეს საძირკველი ესკვნება და ასწლობით დაშორებული ორი ღვიძლი ნაწილი ერთი მშობლიური მთელისა ერთმანეთს უახლოვდება და ერთი მეორეს ეხორცება. მეტად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ შეუგნებელი ქართველის მოქმედება, რომელსაც შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ამ ახალ დაწყებულ საქმეს. საჭიროა ყოველი ცუდი ნაბიჯი და საქციელი, ვინც გინდ იყოს იგი, გამომწეურდეს, რომ დასაძრახი საქვეყნოდ დაიდრახოს და მავნებელი საქციელი დაიტუქსოს და გადავარდეს.

საქმე აი, რაა. ჯარის სამოქმედო რაიონებში შარა – გზების შესაკეთებლად თუ ახლების გასაყვანად სოფლებს ერეკებიან. არც თუ ბევრს ანგარიშს უწევენ ამ შემთხვევაში სოფლების ნება – სურვილს. სამუშაოდ გაყვანილებს მცირე ხელფასსაც აძლევენ. მიღებულ ბრძანების თანახმად, ქართველ ცხენოსანთა ასეულის უფროსმა გაგზავნა ექვსი რაზმელი „ურიადნიკ“ **გაბრიელიანცის** მეთაურობით სოფლებში, რომ თითო სოფლიდან რვა – რვა კაცი სამუშაოდ გაეყვანათ. რაზმელების ამ პატარა გუნდს ხსენებული გაბრიელიანცის მეთაურობით, სჩანს, საქმისთვის სხვაფრივ შეუხედნია და მრავალ უბედურება თავდატეხილ ხალხზე ხელის მოთბობა მოუსურვებია. მარტო ერთი სოფლიდან სამოცამდე კაცი წაასხეს და გზა და გზა ვაჭრობა გამართეს. ზოგს ხუთი მანეთი დააძერეს, ზოგსაც – ათი. ვისაც ფული აღმოაჩნდა, ყველამ თავი გაინთავისუფლა და შინ წავიდა; დანარჩენს, ვისაც სახსარი არ ებადა, ამათაც იფიქრეს, ალბათ, სამუშაოდ გასვლა სავალდებულო არ ყოფილაო, რაკი სასყიდელის გამომღებთ შინ ისტუმრებნო. ამ გუნდის მოქმედებაში აშკარა ხრიკი და ანგარება დაინახეს და მიტომაც დანარჩენებიც ღამე თავთავიანთი ოჯახისკენ გაუდგენ. როდესაც ხალხი შემოეცალათ, რაზმელებმა გასწიეს საბოქაულოში და იქ მოახსენეს, ხალხი არ დაგვმორჩილდა და გზიდან გაგვექცაო. ბოქაული საქმის გამოსაძიებლად გაეშურა.

ცხენოსანთა ასეულის უფროსმა მას თან გამოაყოლა შეგნებული რაზმელები. ბოქაული რაზმელებითურთ სოფელში იმ დროს ჩავიდა, როდესაც ხალხი ჯამეში იყო თავმოყრილი. ბოქაულიც ჯამეს მიადგა. როცა შეიტყვეს, თუ რაში იყო საქმე, ხალხიდან გამოვიდა ორი მოწინავე კაცი და ყველაფერი დაწვრილებით მოახსენეს ბ – ნ ბოქაულს. შესჩივლეს ბოქაულს ასეთი უკანონო მოპყრობა **გაბრიელიანცის** მეთაურობით. გამოსარკვევად ასეულის ოფიცრებმა თავი მოუყარეს სოფლებს, მათ გაამწვრივეს ასეული და უთხრეს: სოფლებს ხელი დაედოთ იმ პირებზე, ვინც მათ ფული დასტყუა. სოფლებმა ყველა გამოიცნეს და ხელი დაადეს შემდეგ რაზმელებს: ბესურა ად – იას, ბოკ – ავ – იანს და ა. კორ – იას. ამათ ჯიბეში აღმოაჩნდათ სამას მანეთამდე, რომელიც სოფლებს დაუბრუნეს. როგორც გამოირკვა, გაცილებით მეტი ფული ჰქონიათ ამოღებული; სჩანს დანარჩენის გადაძალვა მოუსწრიათ.

ამ სამმა კაცმა ჩირქი მოსცხო მთელ ასეულს, რომლის ფრიად რიგიანი და **შეგნებული საქციელი ქართველ მაჰმადიანების გულს მალამოდ ეცხებოდა. გზააზნეული და მახინჯი პირები, სამწუხაროდ, ყოველ კრებულში მოიპოვება**, რადგან მგონია, ორი – სამი კაცის საქციელით შეიძლება ჩირქი მრავალ ას კაცს მოეცხოს და საერთო საქმეც დაბრკოლდეს, ამიტომ საჭიროა ფრთხილად ყოფნა და გამორკვევა, თუ ვინ რა ზნისაა, რომ თვალყური ადევნონ ამ მხრივ სახიფათო პირებს და თავის დროზედ გააქრონ მათი მავნე საქციელი. ვისურვოთ, რომ ასეთი შემთხვევა პირველი და უკანასკნელი ყოფილიყოს.

მანქანაზე ნაბედი ტექსტი დაცულია სავანის არქივში.

**ლევანი**  
**(უცნობი ფსევდონიმი)**  
**შ ა ვ შ ე თ შ ი**  
**(მგზავრის შთაბეჭდილებანი)**

ოქტომბრის ბოლო რიცხვებია... ღამის გათევა სოფელ მერისში მომიხდა, რომელიც შავშეთის ქედის ძირას, დასავლეთით მდებარეობს. მომცეს ცალკე სასტუმრო ოთახი, „ყუნახს“ ეტყვიან. როგორც შავშეთიდან მომავალი, ისე შავშეთში მიმავალი, ღამეს ამ სოფელში ითევს, ვინაიდან აქედან იწყება მთა, რომლის გადავლას ერთ დღეზე მეტი უნდება მგზავრი. ასე რომ გამვლელ – გამომვლელი ხშირია და თუ „ყუნახი“ არა აქვთ და სტუმარი ვერ მიიღეს, დიდ სირცხვილად მიაჩნიათ.

სახლის პატრონი ახალგაზრდა მაჰმადიანი ქართველი ნაღვლიანად მიაშობს, თუ რა უბედურება დაატყდათ თავს ჯერ ჩეთნიქის და მერე რუსის მხედრობის მოსვლისას. ამბობს:– „ისეთ დროს ღმერთმა ნუ შეგვასწროსო“; ერთადერთ ჩვენ მარჩენალ პირუტყვს, გამოგვყვანინებდნენ ჩეთნიქები და იქვე ჩვენს თვალწინ დაჰკლავდნენ. უარის თქმა არ შეიძლებოდა; საქონლის საფასურის აღებაზე ოცნებაც ზედმეტი იყო. როგორც იქნა, თავი დავახწიეთ მათ და ეხლა რუსის რაზმი მოვიდა; იქვე მთაზე დაბანაკდა. ვაიზე უი დაგვემართა. გადმოცემა იმ გაჭირვების, რაც გამოვიარეთ აღარ შემიძლია.

რაზმის უფროსს ბძანება გაეცა:

– საცა სინათლეს დავინახავთ ღამით, იმ ადგილს თოფს დაუშენთო.

ამ გაფრთხილებას ხალხის ყურამდე არ მიეღწია. ერთ სახლიდან საჭიროებისთვის გარედ გამოსულან. იგრიალა თოფმა და რამოდენიმე პირი იმსხვერპლა.

... ვახშამიც მოგვიტანეს. მასპინძელი და ერთი სტუმარიც რომ ჰყავდა, იქვე ფეხმოკეცით მოუსხდნენ გობს და ერთ თასიდან შეექცეოდნენ. ვიფიქრე, უთუოდ სხვა ჭურჭელი არა აქვთ, რომ ერთი თასიდან სჭამენტყო. წყალი მომიხდა, თავიანთი ჭიქიდან მომწოდეს. გამიკვირდა... ვსცხოვრობდი სპარსელ მაჰმადიანთა შორის, კარგად ვიცოდი მათი ჩვეულება, არავითარ შემთხვევაში წყალს არ მოგცემდნენ არა თუ თავის ჭიქიდან, არამედ შენი ჭურჭელი რომ მიგეტანა მაინც...

ნავახშმევს დავწეეთ. მეუბნებიან: – „დილას ადრიანად უნდა შევუდექეთ გზას, თორემ მთას ვერ გადავალთ“. მართლაც, საათის სამი იყო, როცა ზეზე წამოვდექი. საბრალო დიასახლისი ჩვენზე ადრე დიდი ხნით ფეხზე ყოფილა, რათა დროზე ცხენისთვის საკვები მიეცა და თავისი მეუღლისა და სტუმრისთვის თბილი სადილი (საუზმეს სადილს ეტყვიან) მოემზადებინა. ოთხის ნახევარზე გზას შეუდექით.

თითქოს ბუნებაც გვწყალობს. ბადრი მთვარე თავის შუქს უხვად ჰფენს არემარეს. ცა ვასკვლავებით არის მოჭედილი, არსად ღრუბლის ნასახი არ სჩანს. სოფელს ჯერ კიდევ სძინავს. სამარისებურ სიწყნარეს მდინარე მერისის შხუილი არღვევს. ეს მთის ნაკადი ხანდისხან მთვარის სინათლეზე გამოჩნდება და ათასფრად ბრჭვიალებს, მერმე იქვე ხევში იმალება. ცივა... ძალზე ცუდი გზა არის; ცხენს უჭირს, ხშირად მიხდება ჩამოსვლა და ფეხით სიარული; ჩემი თანამგზავრნი მანუგეშებენ, საცაა დიდ გზაზე გავალთო. დიდის ტანჯვა – წვალეების შემდეგ ამ სანატრელ გზასაც ვეღირსეთ. ზაფხულზე შეუკეთებიათ. ორი ცხენი ერთად ვერ მიდის; ერთი მეორეს მივსდევთ, მთვარეც დაგვეკარგა; ამოეფარა მაღალ მთას. გზა ხევის პირად მიდის, რომლის უფსკრული ბნელით არის მოცული. შიგ ჩახედვა რაღაც შიშს ჰგვრის. ვეკვრით მთას



გვერდით, რომ ხევში არ გადავიჩხოთ. სიჩუმეა. შორიდან ისმის მამლის ყვილი. ფიქრებმა წამიღეს. გონებაში მიტრიალებს მოგონებანი.

არის ტკბილი წარსულის მოგონებები. მაგონდება უფროსის სიტყვები: „შავშეთში წასვლას მე არ გირჩევ, იქ წამსვლელი კაცი ვერ უპოვიათ და თქვენ მიდიხართ? სხვა რომ არ იყოს რა, სიმშლით მოკვდებით. **შავშეთი უდაბნო არისო**“. არა, უკეთესი წარმოდგენის იყო შავშეთზე ერთი ქართველი მოხელე, რომელსაც ერთი წელი იქ გაუტარებია. „კინაღამ გადვირიეო“, – მეუბნებოდა. მაგრამ საქმის სიყვარული, თუ ჩემი ჯიუტობა ნებას არ მაძლევს, არჩეულ გზას ავუხვიო და სხვა გზით ვიარო... მივდივარ...

მეხატება მომავალი... ვინ იცის, რა თვალთ შეხედავს ქართველ ხალხის კეთილს სურვილს **მომე შავშელი, რომელიც რამდენიმე საუკუნე მოგლუჯილი იყო თავის დედას, საქართველოს**. ვინ იცის, რამდენიმე საუკუნის ოსმალეთის გავლენამ რა დადი დასდო საქართველოს საუკეთესო ნაწილს, სადაც **განათლების ლამპარი სხივს უხვად აფრქვევდა ყველა ქართველთათვის**.

მომესმა **აჭარელის სიმღერა**; გურულ კილოზე გასმახოდა.

– „ასეთ სიმღერას შავშეთში ვეღარ გაიგონებთ. იქ თუ ვინმე იმღერებს, ისეც ეჯიბურათო“ (**სპარსულად**), – მეუბნებოდნენ ზოგიერთები... გათენებისას მივახწიეთ ერთ რუს, ნაპირები გაყინული იყო. ჩემი თანამგზავრნი იქვე ფეხს იხდიან, უნდა განიბანონ, სალოცავად ემზადებიან.

... შევუდექით უკვე მთას. მისი კალთები **წყავის** ტყით არის შემოსილი, მუდამ ამწვანებული. ჯერ კიდევ ნაყოფი ასხია, რომელიც საყვარელ საჭმელს შეადგენს დათვისათვის. მცენარე მიწაზე არის გაკრული, მაღლა ვეღარ ასულა. დიდი თოვლი არ აძლევს საშუალებას სწორად გაიზარდოს. უკან დარჩა ეს ნაწილი მთისა. გვხვდება ტყე წიფლის, წაბლის და თელასი. აგერ, უზარმაზარ წიფლის ხეზე, ვხედავ რამოდენიმე სკას; იქვე, ხის ძირას, რამდენიმე ხის ყუთი გდია. მეუბნებიან, რომ ჩეთნიკის ხელი აქაც მისწვდა: საბრალო ფუტკარიც არ დაუნდვია ამ ნახევრად ველურ ხალხს. სულ გაუნადგურებიათ. არც ერთი სკა – ფუტკარი აღარ მოიძებნება ეხლა ამდენ ტყეში მაშინ, როცა წინად ათასობით იყო თურმე სკა – ფუტკარი. – თაფლს ვყიდდით და გაჭირვებულ ცხოვრების უღელს ვიმსუბუქებდითო. – მითხრეს **მერისლებმა**.

გავიარეთ კარგა მანძილი და ჩემი თანამგზავრი მიჩვენებს იმ ადგილს, საცა მას რამოდენიმე ათეული სკა – ფუტკარი ჰყოლია; ეხლა მის ნაცვლად ხედავს ხევში გადაყრილ ხის ყუთებს. გადახედა შიგ და თან ამოიოხრა. ბევრი რამეს მთქმელი იყო ამ დროს მისი მოცრემლილი თვალები. ჩემს ყურადღებას იპყრობს იქვე გზის პირას უზარმაზარი ხე, ირგვლივ შემოჩებილი. მიხსნიან, რომ ამ საშუალებით ჩვენ გვსურს ამ ადგილის „გატიალება“, ე.ი. ტყის მოსპობაო. ხშირი ტყე ხელს უშლის ბალახის ზრდას, რაც მცხოვრებთ ძლიერ ესაჭიროებათ. იმას კი არავინ ჰფიქრობს, რომ ტყის მოსპობის შემდეგ, წვიმის წყალი ადრე თუ გვიან მიწას წაიღებს და ბალახიც თავისთავად მოისპობა. ყოველ ფეხის გადადგმაზე ვამჩნევ ვეებერთელა ხეს წაქცეულს, რომლის შემა წლის განმავლობაში ეყოფოდა ერთ ოჯახს; აქ კი უსარგებლოდ ლპება, რომ მერმე მიწად ქცეული წყალმა ხევში ჩაიტანოს და მის მაგივრად ტიტველა ხრიოკი დარჩეს. გული გიკვდება, როცა ასე შეუბრალებლად ტყის განადგურებას ხედავ.

რამდენად მაღლა ვიწევით, იმდენად ხშირია ნაძვისა და ფიჭვის ტყე, ერთი მეორეში არეული. – „ნაძვის ხიდან ყავარს ვხდით და ფიჭვი კი არაფრად იხმარებაო“, – მეუბნებიან მხლებლები.

მივახწიეთ სამოვარ ადგილებს, „**ეილებს**“ ეტყვიან. აქ, ამ ადგილას, აქვთ გაშენებული პატარა სახლები, რომელსაც „**ყიშლა**“ ქვიან. – „ამ ადგილას მაისში ვამოვებთ საქონელს, სანამ **კორდაზე** (ასე უწოდებენ მთას, რომელიც შავშეთს აჭარიდან ჰყოფს) ცივა, მერე კი, ივნისში და ივლისში თვით კორდას წვერზე ავდივართო“. – აქაური ცხოვრება გამაცნეს.

ცოტა დავისვენეთ; მზე საკმაოდ ჰყენს თავის მაცოცხლებელ სხივებს; გაგვითბა გაცივებული კუნთები და ისევ გზას შევუდექით. შუაღამისას, როგორც იქნა, ავედით **კორდას** წვერზე. საუცხოვო გადასახედავია. სამხრეთ – დასავლეთით სჩანს თეთრად შემოსილი **კარჩხალის ქედი**. ჩრდილოეთ – აღმოსავლეთით მოსჩანს ახალციხის ტიტველა მთები, რომლის წვერები ჩონჩხს წარმოადგენენ. დასავლეთით სჩანს თითქმის ნახევარი **აჭარა...** შორს მიწაზე ნისლი ეკვრის, რაც გვიშლის ზღვის დანახვას. აქ უკვე ვეღარ ვხედავ იმ მდიდარ ბუნებას, რომლითაც შემკობილია მთის ფერდობი. მიწის პირად გაკრული, ათას გვარად დაგრეხილი წიფლის ბუჩქები მოწამეა იმ საშინელი გრიგალის, რომელიც აქა ჰქრის ხშირად და რომლის სუსხსაც ვერ უძლებს ვერავითარი სულიერი. ვაი, იმ მგზავრს, რომელსაც ეს ბუნების საშინელება მოუსწრებს. რამდენიმე წუთში გამოასალმებს წუთისოფელს და იქვე ხევში გადაჩხვს. ეს სამსალა იცის ხოლმე ზამთრობით, განსაკუთრებით იანვარში, რომელსაც აქ „**ზემერს**“ ეძახიან. ამ დროს იშვიათად მგზავრობს ამ გზით ვინმე.

საათის 12 – ზე დავტოვებთ მთა და თავქვე დავეშვით. აქედან უკვე **შავშეთი** იწყება, თუმცა მიწები ჯერ კიდევ **მერისლებს** ეკუთვნის. მხლებელმა მითხრა: – „შავშელებმა ერთი ვაჟი მოგვიკლეს და რომ სამაგიერო არ გადაგვხადნა, ეს მიწები მოგვცესო“. რამდენიმე ათასი ქვევა იქნება; საძოვარი ადგილებია და თან ტყე. აქ შავშეთის ქედს პარალელურად მისდევს ისეთივე მაღალი მთა. შუაზე **მდინარე იმერხევი** ჩამორბის, რომელიც იქვე **კორდადან** გამოდის. გზა მდ. იმერხევის ნაპირზე მიდის. ამ მდინარის მარცხნივ და მარჯვნივ მთის კალთები დაფენილია უდაბური, ჯერ კიდევ ხელეხლუბელი ტყით. გზა ტყეში მიდის. მზის სხივი აქა – იქ თუ ჩამოატანს. **თვალუწვდენელი ნაძვი და ფიჭვი ერთი მეორეს ჩაჰკონებია; სიმაღლეში ერთი მეორეს დასჯიბრებია; სურთ რამენაირად მზის სხივები ერთმა მეორეს მოსტაცოს; თვალს ვერ ვაშორებ ამ ბუნების სიმშვენიერეს... კვარის ხის საამური სუნის დის.**

ვიარეთ სამი საათი და ბოლო აღარ უჩანდა. მერმე კი აქა-იქ შეხვდები დაკოდილ ხეებს. ზოგი ხისთვის გული ამოუჭრიათ. მხლებელი მეუბნება: – ვსინჯავთ ყავრათ თუ ივარგებსო. აგერ ხე წაუქცევიათ კიდევ, არ მოსწონებიათ და დაუტოვებიათ. მეორე და მეათე ადგილას ყავრად მხოლოდ ხის ნაწილი გაუხდიათ. დანარჩენი კი ისე გდია.

...ტყე თხელდება; სჩანს სოფელს ვუახლოვდებით. მზე ქედს მოეფარა; ძალზე ცივა.

მიჩვენებენ ხიდს: – ეს **თამარ მეფის** გაკეთებულიაო. „იმ დროის ნაკეთები ხიდის დანგრევა არ შეიძლება, თუ ძალით არ დაანგრია **კაცმაო. თამარ მეფე** უბრძანებდა **ქვას: – მიაღუდდი ერთი მეორესო და ქვაც მიაღუდებოდაო**“. როგორც ჩვენ, ისე ესენიც **თამარ მეფეს წმინდად სთვლიან**. მხოლოდ ჩემს მხლებლებს აღარ სცოდნოდათ, რომ **თამარი იყო დედოფალი**.

მივალწიეთ სოფელ **ივეთში**. დამე იქ უნდა გაგვეთია. სოფელი ორმოცი კომლისაგან შესდგება. სახლები უგეგმოთ არის აშენებული, ერთი – მეორეზე მიდგმული. ეზოები არა აქვთ. სახლების შუა მარხილის გასავლელი არის დატოვებული. საშინელი ცუდი სუნი სდის; საქონლის ნაგავი იქვე სახლის გვერდით უყრიათ. ჰაერს სწამლავს. შევედით ოთახში. ფანჯრის მაგივრობას ასრულებს სარკმელი, რამდენიმე გოჯი სიგრძე – სიგანით. აქაურებმა მითხრეს: – ფანჯრები რომ გავუკეთოთ, მინებს, ან როგორც ისინი იტყვიან „ჯამებს“, ბავშვები დაგვიმტვრევენო“. მოგვიტანეს ვახშამი. გობს ფეხმოკეცილი უნდა მიუჯდე. ვერ ვახერხებ... ჩამოვჯექი „სექვაზე“ (ასე ეტყვიან ლოგინს). „**სექვა**“ ასრულებს იმერული ტახტის, ანუ კრაოტის მაგივრობას. სიმაღლე ამ სექვისა ოთხ გოჯს არ აღემატება.

ვახშმად ვზივართ ათი კაცი. ყველანი ერთი თასიდან ვსჭამთ. ყველას თავისი კოვზი აქვს, მაგრამ ვინაიდან ათი კოვზი ერთს თასში ერთბაშად აღარ ეტევა, ამიტომ ერთ – მეორეს ვუცდით.

შევნიშნე, რომ სპარსელი მაჰმადიანი ქრისტიანთან ერთ ჯამიდან არ შესჭამს – თქო. მიპასუხა: „თქვენ კი არა, ჩვენ თათრებიც ძლიერ ვპულვართ იმ ყიზილბაშებსო“ (სპარსელებს). დიად, მკითხველო! „თათრებიც“ – ო, გვეუბნებიან აქაურები. ეტყობათ, წარმოდგენა არა აქვთ იმისი, რომ ისინი ქართველებია, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობს.

დიდი, დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ მათ, აქაურ მუსლიმან ქართველებს, მათი ვინაობა შევაგნებინოთ...

...დილაზე გზა უნდა განვაგრძოთ. ფული მინდა მივსცე მასპინძელს. ჩემი მხლებელი აჭარელი მეუბნება, რომ ფულს არ აიღებენ და წყენით კი ძალიან ეწყინებათო. ერთი ჩემი მხლებელთაგანი აჭარელი თავისი ცხენით უკან ბრუნდება. მე იძულებული ვხდები, ფეხით წავიდე; სოფელში ცხენი ვიშოვეთ. ეს გაეგო „მუხტარს“ და მითხრა:

– „თქვენ რომ აქედან ფეხით წახვიდეთ, ჩვენი სოფლის შეურაცხყოფა იქნება. „ქართველ კნიაზების“ ამაგს ჩვენ ვერასდროს ვერ გადვიხდით. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ვინ იცის ეხლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდითო“.

დაუძახა იქვე ორ ახალგაზდას და ჩემი ბარგი მოჰკიდა. ძალიან უარზე ვიდექ, მაგრამ მუხტარმა თავისი არ დაიშალა, მე ცხენზე შემსვა, ბარგი კი გაგზავნა, თან დამაბარა: – სოფელ იფხრეულამდე ჩაიტანეთ, იქ მუხტარი სხვა მუშას იპოვის და გაგზავნისო.

როცა ჩემი მგზავრობის მიზეზი გაიგეს, ძალიან გაუხარდათ. ბედად გზაზე მარხილი ვიპოვეთ; ბარგი დავუდეთ და გაუვდექით გზას. გზა იფხრეულზე მიდის. ჩვენი მიახლოებისას მსხალი და ვაშლი გამოგვიტანეს. ყველას უნდა რითიმე გასიამოვნოს. ვუახლოვდებით სოფელ წყლისმიერს (იგულისხმება „წყალსიმერი“), სადაც დროებით უნდა დავისვენო და მეც აქ დროებით წერტილს ვსვამ.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“. 1917 წ., № 780.

## შავშეთი

ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ. არტანიდან არტანუჯისაკენ გადასავალ იალალუზ ჩანის უღელტეხილიდან ამაყათ, სიხარულით გამთბარი ვულოცავ სამშობლო მხარე შავშეთის შემოერთებას. 5 მარტი ისტორიული დღეა საქართველოს მატთანში. ამ დღეს შავშეთში გამართულმა მიტინგმა ერთხმად გადასწყვიტა, ამიერიდან შეუერთდეს დედა სამშობლოს და იცნას მისი მთავრობა. აქაურები ჩვენებს დიდის აღფრთოვანებით ხვდებიან. სოფლებში ყველგან ჩვენი ეროვნული დროშები ფრიალებენ.

უფროსი ლეიტენანტი მაისურაძე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 57, 1920 წ.

ილ. თეზბიტელი

(ილია ფერაძე)

ქართველ მაჰმადიანთა კაცთმოყვარეობა

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ 1915 წლ. მე – 113 № – ში ვკითხულობთ შემდეგს ფრიად საყურადღებო წერილს ქართველ მაჰმადიანების კაცთმოყვარეობის შესახებ: „როდესაც წარსულ წლის გიორგობისთვეში ოსმალთა ჯარი შეიჭრა შავშეთსა და იმერხევში, მაშინ ადგილობრივი

მაჰმადიანები, მხოლოდ ოსმალთა ჩამომავლობისა, შეუერთდნენ ამ ჯარს. იმერხევის თვრამეტი სოფლის ქართველ მაჰმადიანებმა არა თუ არ შემოუშვეს ოსმალნი თავის სოფლებში, არამედ თვის მფარველობის ქვეშ მიიღეს იმერხევი ქრისტიანობის ერთადერთი ბუდე, სომეხთა სოფელი ფციყური (ფხიკიური) ...

მიუხედავად ოსმალთა და ნემეცთა მეცადინეობისა, იმერხევის ქართველი მაჰმადიანები დარჩენ რუსეთის და მეზობელი სომეხების ერთგულნი. ამ მეზობელ სომეხთა დასაფარავად იმერხეველებმა შეადგინეს შეიარაღებული რაზმები და იცავდნენ მათ მცარცველთა თავდასხმისაგან. რამდენჯერმე იარაღით ხელში წინაღუდგნენ იმერხევის ქართველები ოსმალთა რაზმების შემოსევას. ერთხელ ოსმალთა რაზმებმა გამოუგზავნეს საკუთარი მოციქული იმერხეველებს და თხოვდნენ, მიეცათ ნება ფციყურის სომეხების გაძარცვისა, მაგრამ იმერხეველთა მოხუცებულებმა უპასუხეს:

– „მხოლოდ ჩვენს და ჩვენ ცოლშვილთა ლეშებზე შეგიძლიათ შეხვიდეთო ფციყურში“.

ამნაირად ოთხი თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოელოდათ სიკვდილი და აოხრება, იმერხევის ქართველები იცავდნენ ფციყურს, სანამ რუსის ჯარი იმერხევი შემოვიდოდა“ ...

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში“ ამ წერილის დამწერია ვილაც ატრპეტი, ჩვენი ფიქრით სომეხი, რომელიც სამართლიანად დასძენს ამასთანავე, რომ „შავშეთი ალაოხრეს ოსმალებმა, – ხოლო ფციყური ქართველ მაჰმადიანების მოუსყიდველობის და რაინდობის მეოხებით გადარჩა ოსმალთა ძალმომრეობას“ ...

კარგი და პატიოსანი! ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით და ვართ იმაში, რომ ქართველი მაჰმადიანები ბუნებით და ისტორიული აღზრდის მეოხებით რაინდები არიან და კაცთმოყვარეობით ეპყრობიან ქრისტიან მეზობლებს, რის ცხადმყოფელი მაგალითი ზემოთ მოყვანილია... მაგრამ საკითხავია, ექცვიან თუ არა მათ – მუსლიმან ქართველებს – ასეთივე კაცთმოყვარეობით მეზობელი ქრისტიანების ზოგიერთნი წარმომადგენელნი?!

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სავანის არქივში.

ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“. 1915 წ. №28.

**კ.ე.**  
**(უცნობი ფსევდონიმი)**  
**იმერხეველის ჩივილი**  
**„რად ღირს ეხლა ჩემი სიცოცხლე!..**  
**ღმერთს სიკვდილს ვსთხოვ, მაგრამ არ ვკვდები“...**

სტიროდა საწყალი ხეფი!.. კბილებს ადგამდა ენას და ბაგეთ... მაგრამ სისხლი, ნაკბენ ბაგეთაგან გადმონადენი, ვერ დაჰფარავდა ნაღველს თვალებში და ჩუმ მესაიდუმლეს მისი გულისა – ცრემლებს...

სტიროდა... ჩვენ კი სულგანაბულნი ვუსმენდით... ყელში მობჯენილ ცრემლებს ვყლაპავდით და ტანჯვით ვფიქრობდით: რისთვის?.. რისთვის?..

ხეფის დღეს ერთი მიზანი აქვს. ეს არის მისი ღმერთი და ჰსურს უკანასკნელი ძალღონე მას შეალიოს. მას ჰსურს სიმართლის გამოამკარავებით გაანთავისუფლოს განსაცდელისაგან ძმანეჯითი და დასაჯოს მათი ოჯახის დამრბევლები, მათი ადამიანური ღირსების შემლანძღველნი, რძალ – ცოლთა ნამუსის ამხდელნი და მამის მკვლელები მ – ცი და ოჰანესა ნერსესიანი.

ხევი არ დაერიდა შერცხვენას, ფეხით გამოეწვო ასობით ვერსი და აი... აბა, შეხედეთ, როგორ თრთის ლამაზი, მოსული ვაჟკაცის ტანი!.. ის ხომ თავის გულს გვიშლის და გვიამბობს ყველაფერს, რასაც სხვა დროს თავისთავსაც აღარ გაუმეორებდა. – ... დიახ, შევინახეთ, ბატონო, იგი. გვეცოდებოდა, მოჰკლავდნენ მას ჩეტნიკები. მას უწინაც ჩვენ ვარჩენდით. ის ჩვენი მთხოვარა იყო და ეხლაც შეგვეცოდა გლახა **ოჰანეზა**. ჩვენს სოფელშივე დაბინავდა მოკლულ ახმედოლის სახლში; ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, გადაგვერჩინა იმერხეველი სომხები და ჩეტნიკებს არ დავანებეთ სოფელ **ფხიკიურას**(30 კომლი სომეხი ცხოვრობს) აოხრება. ჩეტნიკებმა შეისმინეს ჩვენი ხვეწნა და არავის ხელი არ ახლეს... ჩვენ იარაღითაც მზად ვიყავით დაგვეცვა ისინი!...

გავიდა დრო და ღვთით, რუსებმა გარეკეს ჩეტნიკები. ჩვენც გვიხაროდა... მამა ჩემი, ჩემო ბატონო, შეძლებული კაცი იყო. **ისმაილ ეფენდი ხანჯალადქს** იმერხევი კარგად იცნობდა. **სოფ. უბეში** სამსართულიანი სახლი გვედგა და **სოფ. სურევანში** და ყიშლაშიც კარგი სახლები გვქონდა. ჩვენი ოჯახი 18 კაცისაგან შესდგებოდა: მამა **ისმაილეფენდი** 60 წლისა, დედა ჰევა – 50 წლისა, უფროსი ძმა **მალიქი**, **ნეჯითი** და მე. ნეჯითის ცოლი **ნაფიე** და ჩემი პირველი ცოლი **ჰევა სურევანში** სცხოვრობდნენ. ბიძა **მუსა**, ბიცოლა **სურული** და ჩემი მეორე ცოლი **ჰეფიზე** – **სოფ. უბეში**. ჩვენთანვე ცხოვრობდა **სოფ. სურევანში** ერთი კუტი ნათესავი ქალი. დანარჩენები პატარა ბავშვები იყვნენ.

ჩემი ძმა ნეჯითი ჩაფარი იყო. როცა ჩეტნიკები მოახლოვდნენ, მან ოლქის უფროსი **არტანს** გააცილა და თითონ ქალების წასაყვანად მობრუნდა, მაგრამ ვერ მოასწრო – მოვიდნენ ჩეტნიკები.

ჩეტნიკების მოსვლამდე სურევანში მოიჭრა **ოჰანესა ნერსესიანი** და **სოფ. ფხიკიურას** რამდენიმე სომეხი. შეევედრნენ ჩემ ძმას ნეჯითს: – გვიშველე რამე და აოხრება – გაჟლეტას გადაგვარჩინო...

ნეჯითი შეჰპირდა და დანაპირიც პირნათლად შეასრულა...

ჩეტნიკების წასვლის შემდგომ, ერთი რაზმი რუსის ჯარისა დაბანაკდა **არტანუჯში**, მეორე – **კი მერისში** (ქვედა – აჭარაშია).

**ამ რაზმების მოსვლის შემდგომ ოჰანესა წელში გასწორდა**. გუშინდელმა გლახამ დღეს პატრონობა აღგვითქვა: რადგანაც თქვენ სომხები გადაგვარჩინეთ სიკვდილისაგან, მეც სამაგიეროს გადაგიხდითო. წავიდა არტანუჯში, რაზმის უფროსი ნახა და მისი წერილებით **მერისში** გაემგზავრა. მართლაც, მისმა შუამდგომლობამ გასჭრა და რამდენიმე ხნით **იმერხევს** უბედურება ასცდა.

გავიდა მცირედი ხანი. ჩვენ კეთილდღეობას ოჰანესას ვუმადლოდით... მაგრამ არ მოისურვა ალაჰმა ჩვენი ბედნიერება!..

სოფელ **გოგადიებში** მოვიდა...მ – ცი. ოჰანესამ გაიგო თუ არა, მაშინვე მისკენ გაემშურა და **სურევანში** ჩამოიყვანა.

ამ დღიდან დაიწყო ჩვენი უბედურება. ამას აქეთ ჩვენი სიცოცხლე სიკვდილი არის.

ოჰანესამ **მ – ცი** ჩვენს სახლში მოიყვანა. გავუმასპინძლდით რითაც შეგვეძლო. ფეხქვეშ ფიანდაზად ვეგებოდით და იმერხეველ, სტუმართმოყვარე **ისმაილ ეფენდი ხანჯალადის** სახელი არ შევარცხვინეთ.

უცნაური ამბავი დატრიალდა მეორე დღეს სოფელში: 5 საუკეთესო ოჯახის შვილი, რომელთაც ოჰანესა სხვადასხვა მიზეზების გამო არ სწყალობდა, **მ – ცმა** დაატუსაღა და ჩეტნიკების მიერ დატოვებული თოფები მოსთხოვა. მათ კი თოფები არასოდეს არ ჰქონიათ და აბა, როგორ უნდა მიეცათ? ბევრი იფიცეს საწყლებმა, მაგრამ **მ – ცმა** არ დაუჯერა და გასისხლიანებულეები, დაოსებულნი, კონდახების ცემით წინ გაიგდო. მე და ნეჯეთიც თან წაგვიყვანა. დაქანცულმა და

აღღებულმა უბიდან ცხვირსახოცი ამოვიღე და ოფლი მოვიწმინდე. საუბედუროდ, ცხვირ-სახოცის ამოღების დროს საათის ძეწკვი გამოჩნდა და სანამ რასმეს მოვიფიქრებდი, ჩემი ოქროს საათი, მამისაგან სახსოვრად მოცემული... ჯიბიდან ამომაცალა. მე აღშფოთებით შევყვირე, მაგრამ პირზე ხელი დამაფარა და კონდახი ფერდში ჩამარტყა. სუნთქვა ძლივს მოვიბრუნე და მიმავალს მუდარით თვალები გავადევნე. მ – ცმა გამიღიმა და ალერსით მითხრა:

– საათისა ნუ გეშინიან, ხეფი, შენ, სახლში წადი და საათს ნეჯითი მოგიტანს.

მივხვდი, რაც სწადდა, მაგრამ რას ვიქმდი? ალაჰს მადლობა შევსწირე, რომ ცოცხალი გადავრჩი და სახლისაკენ გავეშურე.

ნეჯითი და დანარჩენები **დიობანში** მიიყვანეს და საპყრობილეში ჩაჰყარეს. ნეჯითი მათში ყველაზე გაგებული იყო. სთხოვეს ერთს: – მოელაპარაკე **მ – ს**, უთხარი თან ფული სულ 16 მ. გვაქვს – თქვა, აიღოს და გაგვათავისუფლოსო. **მ – ცმა** 16 მანეთი აიღო, მაგრამ ტუსალების გაშვებაზე კი უარი უთხრა. ორი დღის შემდგომ ნეჯათი დაიბარა და უთხრა:

– შენ თავისუფალი ხარ, წადი, მაგრამ გახსოვდეს, თუ ორ – სამ დღეში ასი მანეთი არ მოგიტანია, დაუნდობელი ვიქნები. შენ მე არ მიცნობ... მაშ, არ მოსტყუვდე და ტყვილა უბრალოდ არ მალოდინო.

– შევცდი, ბატონო, გაგვიწყრა ღმერთი! შესცდა უბედური მამა ჩვენი!... არ გაიმეტა ათი თუმანი, თქვა: – თუ დამნაშავე ხარ, წადი, ციხეში ჩაჯექი, თუ არა და ფული ვის ან რად უნდა მივცეთო. მოხუცს ყველაფერი საკუთარის შრომით ჰქონდა მოპოებული და ფულს ეგრე ადვილად არ გაიმეტებდა. – შევცდით, ბატონო და... დაიძალა ნეჯითი, აღარ დაბრუნდა!...

– ოჰანესას კარგი ცხოვრება შეუყვარდა. მთელი ხეობის ბატონი შეიქმნა. **სურეგანს** ხომ, როგორც თავის კერძო საკუთრებას, ისე უყურებდა. ყოველ დღე ვინმეზე ექვს მიიტანდა და გაჩხრეკდა. მისი მარჯვენა ხელი **მეველად ახმედ ოღლი და ოსმან ყარა ახმედ ოღლი** მას არ ჩამოუვარდებოდნენ. წასვლის მეორე დღეს 3 ოჯახი გაჩხრიკეს და ფული გამოართვეს: ერთს – 8 თუმანი, მეორეს – 10 თუმანი და მესამეს – 12 თუმანი.

ჩვენთანაც მოვიდა ოჰანესა და მამაჩემს ასი მანეთი სთხოვა: – **მ – ცს** თქვენ მაგივრად მე მივეცი, შენს ასაკლებად მოდიოდა, დაგიხსენი და ჩემი ფული მივეციო, – იცრუა ოჰანესამ.

გაჯიუტდა მოხუცი, კარგად იცოდა **ნერსესიანის** შემლევა და გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ის ფულს ვერავის მისცემდა. ამასთანავე, თავს უზრუნველად გრძნობდა, რადგანაც დანაშაული არასფერში მიუძღოდა და უსამართლობას კი არ მოელოდა...

– ეს მოხდა, ბატონო 1915 წელს, მარტში. ორი თვე **მ – ცის** არასფერი ისმოდა. ცხოვრება ნელ – ნელა კალაპოტში ჩადგა. ჩვენც დროს ტყვილა უბრალოდ არ ვკარგავდით და მუშაობაში და ვაჭრობაში ვატარებდით. სავსე ოჯახი გვახარებდა და საფრთხეს არსაიდგან არ მოველოდით.

დადგა ივნისი. ერთ დღეს ნეჯითი მარილის საყიდლად **ციხისძირს** გაემგზავრა. მე მოჯამაგირეების დასაჭერად **ჯვარებში** წაველი. მამაჩემი ისმაილ ეფენდი **უბეში** იყო. სახლში **ნაფიე, ჰევა** დარჩნენ. კუტი ქალი შინ დასტოვეს და თითონ სამუშაოდ ყანაში წავიდნენ. მშვენიერი დღე იყო, ბუნება ხარობდა.

მთელი სოფელი დაცარიელებულიყო: ყველა სამუშაოზე წასულიყო. უცებ სოფელთან გაჩნდა დარაჯებით **მ – ცი**. პირდაპირ ჩვენს სახლს მიადგა. კარები შელეწეს, გაღება არც კი უცდიათ, დაუწყეს ყველაფერს მტვრევა...

შემინებული კუტისაგან გაიგეს, ვინ სად იყო წასული.

ცუდ გუნებაზე იყვნენ იმ დღეს ჰევა და ნაფიე. თითქოს გრძნობდნენ მომავალ უბედურებას. აკი იმიტომაც შემოგვეხვეწნენ მე და ნეჯითს, ორივენი ნუ მიდიხართ, მარტო ნუ დაგვტოვებთო. არ დავუჯერეთ უბედურებმა.

შუა დღე გადახრილი იყო, როცა მუშაობაში გართულთ მათ რაღაც ხმაურობა შემოესმათ. მოიხედეს და საჩქაროდ პირზე ჩადრები ჩამოიფარეს. **მ – ცის...** „ძაღლები“ იყვნენ. ქალებმა ერთმანეთს მიაშურეს, თითქოს ერთმანეთში ეძებდნენ შველას.

უშვერის ლანძღვით მათ ხელი წაავლეს.

– ჩვენი ქალები მშიშრებია, ჩემო ბატონო, ისინი მამაკაცს ვერაფერს ვერ შებედავენ, მაგრამ თუ ვინმემ შარიათის დარღვევა მოინდომა და მათ ნამუსს შეეხო, ისინიც თამამდებიან. იუკადრისა ნაფიემ... ხელის მოკიდება, უკან გადახტა და თოხი ასწია.

– გამიშვი, არ მომეკარო, რა გინდა ჩემგან! – ყვიროდა ცახცახით საბრალო ქალი.

– პირში კონდახი ჩაჰკრეს. თოხი დაუვარდა და სისხლთან ერთად 3 კბილი გადმოაფურთხა...

– ეჰ, რაღა ბევრი გავაგრძელო... ორივე შინ მოიყვანეს და ოთახში შეათრიეს. იქ – **მ – ცი** დახვდათ.

– აბა, სადა გაქვთ ფულები, მოიტათ ეხლავე!

შემინებული ქალები პასუხს ვერ ახერხებდნენ, ბოლოს ჰევამ გაბედა:

– სადღა გვაქვს ფული, რაც გვქონდა, სახლში იყო. თქვენ ყველაფერი გაგიჩხრეკიათ; რაც რამედ ღირდა, წაგიღიათ, რაც არა, დაგიმტვრევიათ.

– ნუ ხუმრობ! დაიღრიალა **მ – ცმა:** – ფული მეთქი, თორემ ეხლა თვითონ გაგიჩხრეკავ!

ამ სიტყვებით ჰევას ხელი მოჰკიდა.

– მოიცა, დამაცა, შე უნამუსოვ, აჰა, წაიღე, ოღონ ნუ შემეხები. ნუ შემლანძღავ შენი ხელებით. – მწარე ვედრებით შეეხვეწა ჰევა. გულის პირიდან ფული ამოიღო და გადაუგდო. **მ – ცი** დაიხარა, ფული აიღო, დასთვალა. სიამოვნებით გაიღიმა და გარედ გავიდა. ნაფიე და ჰევა ერთ ოთახში შეაგდეს. მეორე ოთახში ბავშვები იყვნენ. მათში ჩემი **ძუძუთა ბავშვიც** ერია. მას დიდი ხანია არაფერი ეჭამა და ტირილი დაიწყო. დედის გულიმოგესხენებათ... ჰევას საკუთარი თავი დაავიწყდა. შეევედრა დარაჯს და ბავშვი მოუყვანეს. ტირილით ჩაიკრა დედამ გულში და თავდავიწყებით ეალერსებოდა.

– მოიყვა ბავში! – გაისმა დარაჯის უკმეხი ხმა. კიდევ ჩაიკრა ჰევამ გულში ბავშვი, თითქოს ის იყო მისი ერთადერთი ხსნა და ნუგეში. ბავშვი თითქოს მიუხვდა დედას და ატირდა.

– გაუშვი, ქალო! ნუ სტირი, შენ ამაღამ ჩვენი ბატონი კარგად გაგართობს. – უთხრა დარაჯმა და ბავშვი წაჰგლიჯა.

მკვდარივით ეგდო ჰევა. ყრუდ და უნუგეშოდ სტიროდა კბილჩანგრეული ნაფიე. მერმე ტირილიც მიწყნარდა. ცრემლები ორივეს დიდიხანია გაუშრა და გაქვავებულებივით მისჩერებოდნენ ერთ წერტილს. დრო და ადგილი მათ აღარ გაეგებოდათ,

შელამდა. **მ – ნცს** მთქნარება დააწყებინა.

– ჰმ, გასართობი მაინც იყოს რამე, ჩაილაპარაკა და **ნერსესიანს** გადახედა.

– განა ქალები ცუდი გასართობია, ბატონო? – შეეკითხა უკანასკნელი.

– ქალები? მაშ შენ ამბობ, რომ ჰევა და ნაფიე ლამაზებია?

– მზეთუნახავებია, ბატონო, მზეთუნახავები! თქვენ იქ მიბრძანდით, თავი გაირთეთ, მე – კი აქ ყველაფერს გავჩხრეკ.

– ძალიან კარგი!..

შუალამე მოახლოებულია, ეზოში მხოლოდ ორი დარაჯია, დანარჩენთ სძინავთ. მიყუჩებულია სოფელიც. არსად ფაჩი – ფუჩი არ ისმის. ძაღლებიც არ ჰყეფენ. მხოლოდ აქა – იქ გაისმის მათი ყმული და ისევ ყველაფერი მიყუჩდება. ლობეს იქედან აჩრდილივით მოსჩანან ნაცვალი და ორიოდე გულშემატკივარი. ღამის ჩუმში სიბნელე სავსებით ჰფარავს მათ ოხვრას და ხელების მტვრევას.

ჰევას და ნაფიეს არაფერი ესმით. იმავე ადგილას დგანან და გაშტერებით შეჰყურებენ ერთ ადგილს. არც კი გაუგიათ, როგორ გაიღო კარი და შემოვიდა. მათ არ ესმით რას ეუბნება უნამუსო ღიმილით.

– გრცხვენთან განა თითონ აიხადოთ ჩადრი? ძალიან კარგი, ჩემო, ლამაზებო, მე თითონ ჩამოგხდით. აბა, ერთი დამენახეთ, როგორები ხართ?

მხოლოდ ეხლა გამოირკვა ჰევა და გულშემზარავი კვილით ჩადრი პირზე მიიკრა. მას ბანი მისცა ნაფიემ...

ლობესთან აჩრდილები შეწუხებულად შეიძრნენ. დარაჯებმა ეზოში სიამოვნებით ერთმანეთს გადახედეს და ჩაიცინეს.

– ნუ, ჰკვივი, ჩემო ლამაზო, ტყვილა, აბა, რას ურჩობ! – ეუბნებოდა ჰევას მამიკონიანი და ჩადრს ნელ – ნელა პირიდან აცლიდა.

ჰევა ხელთაგან გაუსხლტა და ფანჯრისაკენ გაექანა.

– ჰევას დაეწია, ხელში აიყვანა და ტახტისკენ წაიღო. ჰევა გაშმაგებით იბრძოდა, მაგრამ რას გააწყობდა სუსტი ქალი...

აი, ის ლოგინზე წამოაქციეს... (ხეფი ატირდა. ე.ი. ამბის მთხრობელი. შ.გ.).

მაპატიეთ, ჩემო ბატონო... თავი შეგაწყინეთ... ჩემი უბედურება არავისთვის არ უნდა მეთქვა, მაგრამ... ეჰ, სულერთია, ეხლა მეც მკვდარი ვარ და ჩემი ოჯახიც!..

...ლოგინზე წამოაქცია... ხე... ხელები უკან გადაუწია და ჩა – ა – ადრი... აჰხადა. ჰევა სწვდა ხელზე და მაგრა უკბინა.

– ააჰ! დაიკვნესა მ – ცმა. მუცელზე მუხლით დააწვა, ხელი გულისპირში ჩაავლო და პერანგი შემოახია. მერე ძუძუებში ხელი ჩაავლო და მაგრად მოუჭირა. ქალი ტკივილისაგან აირია და მხოლოდ კვილსლა ახერხებდა. ამით ისარგებლა მ – მა, დანარჩენი სამოსიც შემოაგლიჯა. მის ბაგეებს დაეწაფა და ლოშნა დაუწყო... ერთხელ კიდევ შეებრძოლა ჩემი უბედური საწყალი ჰევა გაშმაგებულ მხეცს და...

...მერე ჯერი ნაფიეზეც მიდგა. მ – ი გულმოჯერებული იყო, მაგრამ საბრალო ქალს მაინც ახადა ნამუსი.

– მე ნეჯითს დავპირდი, რომ არ დავინდობდი...

– ეხლა მე აგხდი ნამუსს, მერმე კი მიგცემ. – ამბობდა ის მხეცი მ – ი... მაგრამ გულწასულ ნაფიეს არაფერი არ ესმოდა.

დილით მ – ი გარედ გამოვიდა და ქალების ტანჯვას დროებით ბოლო მოეღო.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სავანის არქივში.

**კ.ე.**  
**(უცნობი ფსევდონიმი)**  
**იმერხველის ჩივილი**  
**(დასასრული)**

მთელმა სოფელმა გაიგო ჩვენი უბედურება. სწრაფად მოედო ეს ამბავი მთელ მიდამოს. გათენებისას ყველაფერი ისმაილ ეფენდისაც უთხრეს, უბედურების ამბავი. მოხუცი ჯერ სულელის გამომეტყველებით ერთ ალაგას იჯდა, მერე გიჟივით თვალები აემღვრა და სიტყვის უთქმელად, სანამ ვინმე რასმეს მოიფიქრებდა, ის უკვე სურევანისკენ მირბოდა... დილის 5 საათზე ის სახლში



მოვიდა. კართან სოფლის მუხთარიც (ნაცვალი) **მემედ – ალი ბეგიშვილი** დახვდა. ისმაილ ეფენდი ეზოში გააჩერეს, მიხვდა მოხუცი, რომ ვერაფერს გააწყობდა; ფულის და ოქროს საათის გადარჩენა მოინდომა. ფული კი ველარ მოასწრო და საათი ნაცვალს გადაუგდო. მოახსენეს **მ – ცს**:

– ისმაილ ეფენდიმ თავისი საათი ნაცვალს გადაუგდო.

**მ – ცმა** დაიბარა ნაცვალი და რიხიანად მიაძახა: – ეხლავე მიეცი საათი პატრონს, როგორ ჰბედავ სხვისი საკუთარების დაჩემებასაო. საათი ისმაილს დაუბრუნეს და ისმაილისაგან კი **მ – ცის**<sup>1</sup> ჯიბეში გადავიდა ფულთან ერთად.

ისმაილ ეფენდი დაატუსაღეს.

ნერსესიანმა ბრძანებით შეაგროვა და შეჰკრა ყველაფერი, რაც უფრო ძვირფასი იყო და ტუსაღებს აჰკიდა. ისმაილი და ნაფიე თანგაიდევნეს და **დიობინისკენ** წავიდნენ.

შეუძლებელი იყო ადამიანს დამშვიდებულად ეყურებინა საბრალო ქალისათვის. ნაფიე ერთ ღამეს სავესებით შეიცვალა: მუდამ მხიარული, კეკლუცი და ცქრიალა ქალი, ბაგეთაგან მოელვარე საუცხოვო კბილებით, დღეს საშინელ სურათს წარმოადგენდა. ჩაცვივნილი თვალები, დანაოჭებული სახე, მოხრილი ტანი და უმწეო შეხედულება ჰქონდა. ერთ ღამეში თეთრიც კი გამორეოდა თმაში. საწყალი ძლივს მიდიოდა ბარბაცით. დიდხანს ეხმარებოდა მას მოხუცი ისმაილი, მაგრამ მალე თითონაც ღონე გამოელა. სოფ. **წყალსიმერში** ქალი დაეცა. **მ – მა** მხლებლებს გადახედა. ნერსესიანს და ყარა ახმედ – ოღლის დაუძახა და უთხრა:

– წაიყვანეთ ნაფიე, თქვენთვის მიჩუქნია!..

საბრალო ქალს ძალა არ ჰქონდა, წინააღმდეგობა გაეწია. გულგრილად უსმენდა ამ სიტყვებს, თითქოს მას სრულიად არ შეეხებოდა, მერე უცებ გადიხარხარა და ცეკვა დაიწყო, საწყალი ნაფიე გაგიჟდა...

ოჰანესამ ნაფიე **სურევანში** ჩამოიყვანა და ნაფიეს მამას წინადადება მისცა: – ფული მომეცი და შენს ქალს გავანთავისუფლებო.

– ჩვენში, ჩემო ბატონო, ჩვეულებად არა გვაქვს, მამამ მისცეს ფული, თუ ის გათხოვილ ქალს სჭირდება. ნაფიეს მამამაც უთხრა ოჰანესას:

– ნაფიეს ქმარი ჰყავს და ფულიც მას მოსთხოვეო.

ხუთი დღის შემდგომ ოჰანესამ ნაფიე სოფელ **ფხიკიურაში** თავის საკუთარ სახლში წაიყვანა. ნეჯითსაც სთხოვა ფული, მაგრამ ჩემმა ძმამ უთხრა: – მე ნამუსახდილი და გიჟი ცოლი აღარ მინდაო.

ოცი დღე ჰყავდა ფხიკიურაში ოჰანესას ნაფიე და მერმე გულშეჯერებულმა გაუშვა.

მაგრამ, ბატონო, ჩვენს ამბავს ცოტათი გავუსწართ. **წყალსიმერიდან მ – ცმა** ისმაილ ეფენდი **დიობანში** მიიყვანა და დაამწყვდია, თითონ – კი ყიშლაში წავიდა. ყიშლაში (საზაფხულო სადგომია) ამ დროს ისმაილ ეფენდის ცოლი და დედაჩემი **ჰევა** იყო. **მ – ცი** სახლში შევიდა და საბრალო ქალს ლანძღვა დაუწყო. მოხუცს ყველაფერი უკვე გაგებული ჰქონდა, გულმა ველარ მოუთმინა და უთხრა:

– აქაც მოხველი?! ნუ თუ ვერ გამეხი იქ ქვემოდ, ჩემი ქმრისა და შვილების უბედურებით? ნუ თუ არ გეყო მათი წამება!? – **მ – ცმა** ქალს ხელი ჰკრა და გარედ გააგდო, აქ მას... მისცვივდნენ, მიწაზე წამოაქციეს და 50 კონდახებით ცემა დაუწყეს. **მ – ცი** კი იდგა კარებში, ცქერით სტკბებოდა და აქეზებდა.

<sup>1</sup> მ-ცი – მამიკონიანცია, რუსი ჯარის ერთი ნაწილის უფროსი.

– ყიშლალიდან **მ – ცი** დიდი ნადავლით დაბრუნდა. ყიშლაში დაგროვებული იყო საზამთროდ და გასასყიდად ყველი, ერბო, კარაქი, კარგი შალი და სხვ.

ოჰანესა არ იყო კმაყოფილი. მას ვერ მოეწონებოდა, რომ ნეჯითმა ფული არ მისცა. არ სცხრებოდა. **მ – ცს** სამჯერ გაუგზავნა წერილი. ერთი წერილი **მეველად ახმედ ოღლის** წაეღო. მეორე წერილი წაუღო **ისააკ წყალსიმერელმა**. წყალსიმერელი **მ – ცმა** დაატუსადა. როგორც მერმე გავიგეთ, თურმე ნაფიეს გამოსარჩლებოდა. ამიტომ გაბრაზებულმა **მ – ცმა** საპყრობილეში ჩააგდო. რადგანაც ორ წერილს სასურველი შედეგი არ მოჰყვა, **ნერსესიანმა** კიდევ აახლა ერთი წერილი თავისი მარჯვენა ხელის **ოსმან ყარა ახმედოვის ხელით**. რა იყო ამ წერილში მე არ ვიცი, ჩემო ბატონო, მაგრამ იმავე დღეს **ნერსესიანმა** გააფრთხილა სამი **სურევანელი** მცხოვრები – **ემინ ყარალიძე, ეზინ სუსანიძე** და **ეიუბ ქინქლაძე**:

– თქვენი ქალები და გოგოები სადმე გაგზავნეთ, თორემ დღეს **მ – ცი** გამოივლის, **უბეში** მიდის **ისმაილ ეფენდის სახლის დასაწვავად** და შეიძლება დაბრუნებისას რამე გაწყენინოთო.

ოჰენასას კარგად ჰქონდა ყველაფერი გათვალისწინებული. მართლაც, იმავე საღამოს ჩამოვიდა ჩვენი უბნის სახლს მიადგა. დაბლა სართულში სცხოვრობდა ჩემი უფროსი ძმა **მალიქი**, შუა სართულში – ბიძაჩემი **მუსა ცოლთან სურულათი** და მესამეში ჩემი მეორე ცოლი **ჰეფიზე**, ერთი წლის ბავშვით. აქ არაფერს არ მოელოდნენ და ყველანი დასაძინებლად ემზადებოდნენ. **მ – ცმა** სახლს ალყა შემოარტყა და ბრძანება გასცა, ხალხი გარეთ გამოყარეთო. მხლებლები მაშინვე სახლში შეცვივდნენ და ძვირფასი ნივთების ძარცვა დაიწყეს. ხალხს კონდახებით გარეთ აგდებდნენ. ბიცოლა ჩემმა **სურულმა** უთხრა **მ – ცს**:

– სახლს რომ სწვავთ, რას ერჩით? სახლი არც **ისმაილ ეფენდისაა** არც **მუსასია**. იგი ჩემი და ამ ბაღნებისა არის. თუ მუსა დამნაშავეა, წაიყვანე და რაც გინდა, ის უქენით, თუ არა და ნუ გვიღუპავოჯახს, ნუ გვტოვებ უთავშესაფაროდ.

როცა თხოვნა – ვედრებამ არ გასჭრა, სურულმა მოინდომა ნივთები მაინც გამოეტანა სახლიდან, მაგრამ **მ – ცმა** ესეც აუკრძალა და, მისი ბრძანებით, სურულას სკივრი თვალწინ დაუხურეს და კონდახებით ლაზათიანად სცემეს. სურული ორსულად იყო. ორი დღის შემდგომ მუცელი გაუფუჭდა და 25 დღეში სულიც განუტევა. ბოდვის დროს **მ – ცის** მათრახი და სიცილი ელანდებოდა.

როცა ყველანი გარედ გამოყარეს, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ამ დროს გამოირკვა, რომ აკვანში მწოლარე ჩემი ბაღანა მესამე სართულში დარჩენილიყო. ჰეფიზე ბავშვის გამოსაყვანად სახლისკენ გაექანა, მაგრამ ამ დროს ზემოდან გადმოსძახეს: – ბავშვი მოგვყავსო. მართლაც, გამოჩნდა ვიღაცა აკვანით ხელში. **მ – ცს** გადმოხედა. იმან რაღაც ანიშნა. მაშინ ... აკვანი მაღლა ასწია და დაუძახა ჰეფიზეს: – აჰა, შენი ბავშვი! დაიჭირეო! და მესამე სართულიდან ძირს გადმოაგდო. აკვანი ქვებზე დაეცა და დაიმსხვრა, მართალია, აკვანმა ბავშვი ცოტათი იპატივა, მაგრამ თავი გაუტყდა და რამდენიმე დღეში ჩემმა პაწაწა უმანკო ბიჭუნამ სული დალია...

– უკაცრავად, ჩემო ბატონო, თავი შეგაწყინეთ ჩემი ამბავით, მაგრამ, აბა, რა ვქნა, მე უბედურმა! ჩემი სიცოცხლე წარსულშია და ტანჯვის გაცხოველება სიცოცხლეს მაგონებს. მხოლოდ მწუხარება დროსლა ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და ღმერთს თავს ვავედრებ, თან წამიყვანოს... **უბეში** დამწვარ სახლში 25 ცოცხალი თხაც მოჰყვა. არ დაგვანებეს მათი გამოყვანა. დეე, დაიწვას, რა უშავსო..

სახლის დასაწველად **მ – მა** შემდეგი საბაბი იშოვა: როცა **უბეში** მოვიდა, **ჰეფიზეს** დაუწყო ლანძღვა და ცემა. მერმე ჰეფიზეს წიხლი ჰკრა, რევოლვერი ამოიღო და გაისროლა. როდესაც... მოცვივდნენ, განაცხადა: – მე ეს სახლიდან მესროლეს და სახლი დაწვითო. ასე დაანგრია, ჩემო

ბატონო, **ნერსესიანის** ჩაგონებით, **მ – მა** ჩვენი მეორე სახლი. წუთისოფელს გამოასალმა ჩვენი ბიჭუნია და ორსული ბიცოლა. საწყალ ბიძაჩემს ცემა არ აკმარეს, დაატუსაღეს და თან წაიყვანეს. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდგომ 12 თუმნით ნაცემ – ნატყეპი, დატანჯული და ცოლის მდგომარეობით შეწუხებული ბიძაჩემი **მუსა** განთავისუფლებას ეღირსა – და და სახლში დაბრუნდა. დიდხან არც ის ყოფილა კარგად და ავადმყოფი დღესაც ლოგინში წევს. **მ – ცმა** უბეში **მალიქი** დაატუსაღა და **სურენჯანში** ჩამოიყვანა.

ჩვენი უბედურება ყველას სალაპარაკოდ გახდა... ყველას ვებრალეობდით და ჩვენ წუხილს იზიარებდნენ.

**სურენჯანში** ჩამოსულთ ჩვენ მტერთაც მოინდომეს, აქაც დაეწვათ ჩვენი სახლი. ვეღარ მოუთმინა გულმა აქაურ ნაცვალს, მივიდა **მ – ცთან** და უთხრა:

– ნუ იქმთ, ბატონო, ამ საქმეს, ნუ დასწვავთ სახლს. სახლი ისმაილისი და ნეჯეთისა არ არის, ის **ხეფის** ცოლის – **ჰევასია**. ჰევას მამამ დაუტოვა თავის შვილს და რად გინდათ, ეს უკანასკნელი ნუგეში წაართვათო.

ნაცვალმა იმოქმედა თუ იმან, რომ სახლი მისგან ნამუსახდილ ქალს ეკუთვნოდა, **მ – ცმა** სურენჯანის სახლი აღარ დასწვა და გზას გაუდგა. **მალიქი** თან წაიყვანა.

ბევრი ხვეწნის შემდგომ **მ – ცი** დასთანხმდა მალიქის გაშვებას, თუ უკანასკნელი 130 მანეთს მოუტანდა. გაშვებისას მან გააფრთხილა **მალიქი**, თუ შენი სიტყვა არ აგისრულებია, შენს ჯავრს ქალებზე ამოვიყრიო.

შენ გინდა გაიგო, ჩემო ბატონო, რად ემუქრებოდა **მამიკონიანცი** მალიქს, რომ მთელ ჯავრს ქალებზე ამოვიყრიო და არა მამაზე ან ძმაზეო? **იმიტომ რომ ჩვენ ქალის შეურაცყოფა უდიდეს სასჯელად მიგვაჩნია. მისი ნამუსის ახდა ჩვენი სიკვდილია...**

ისმაილ ეფენდისაც დაჰპირდა განთავისუფლებას, თუ 7 ათას მანეთს მისცემდა. მოხუცმა აუხსნა, რომ ამდენი ფულის შოვნა წინადაც გაუჭირდებოდა და ეხლა კი, როცა თვით ყველაფერი დაუწვეს და გაუნადგურეს, ამოდენა ფულს ვერსად იშოვნიდა. დიდი ვაჭრობის შემდეგ შვიდას მანეთზე შეთანხმდნენ და **სურენჯანისაკენ** გამოემართნენ. მალიქს ფული ვეღარ ეშოვნა და დაიძალა. ისმაილმაც ვერ იშოვნა შვიდასი მანეთი. წინად ყველა სიხარულით მისცემდა ფულს შემღებულ ისმაილ ეფენდის, მაგრამ ეხლა სხვებიც ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ. ყველას წაართვეს ფული **ოჰანესამ** და **მ – ცმა**. ეხლა ბევრი ვერ ბედავს თქვას და ჯერ გაჩუმებული არიან, მაგრამ მოვა დრო და მათი ნამოქმედარი გამომჟღავნდება და ყველას ააშფოთებს...

რადგანაც ისმაილ ეფენდიმ ფული ვერ იშოვა და მალიქი კი დაიძალა, **მ – ცმა** ჩემი მეორე ცოლი **ჰეფიზე** თან წაიყვანა და ისმაილ ეფენდისთან ერთად **დიობანში** მივიდა. აქ მათ ტუსაღები – **მაჰმედ გოგელიძე**, ისაკ **წყალსიმერელი** და **რიზმან ბაირახტარიძე**. ისინი მივიდნენ სოფელ **ივეთში** და აქადენ **აჭარაში** უნდა გადასულიყვნენ. აქ დაეწიენ **მ – ცს წყალსიმერის** და **იფხრეულის** ნაცვლები და სთხოვეს: – თავს ნუ მოგვჭრი და **ჰეფიზეს** აჭარაში ნუ წაიყვანო. ბევრი თხოვნა – მუდარის შემდეგ **ჰეფიზე** დაატოვებინეს. დანარჩენები კი გზას გაუდგნენ და **კორდაზე** ავიდნენ. როდესაც **საღორიას** მიუახლოვდნენ, **მ – ცმა** რაღაც საუბარი გამართა მხლებლებთან. უკანასკნელები არ სთანხმდებოდნენ. **მ – ცი** – **მამიკონიანცი** ცხარობდა და ილანძვებოდა. ბოლოს დაიყოლია, ერთხელ კიდევ გაუმეორა თავისი ბრძანება და წინ წავიდა. ამის შემდგომ **მამაჩემი** და **რიზმან ბაირახტარიძე**... წინ გაიგდეს და წავიდნენ. ისაკ **წყალსიმერელი** და **მაჰმედ გოგელიძე** ადგილზე შეაჩერეს. როცა **საღორიის სადარაჯოს** მიუახლოვდნენ, ისმაილ ეფენდის მცველმა სროლა დაიწყო. სროლის დროს ქუდი დაუვარდა. მისი ბრძანებით ქუდი ისმაილ ეფენდიმ აიღო და მიაწოდა. მცველმა კონდახი დაარტყა, წიხლის კვრით წინ გაიგდო, თოფი დაუმჩონა და

ესროლა. ისმაილ ეფენდი წაიქცა... ცახცახით შეჰყურებდა ამას შეშინებული რიზმანი. უცებ თავში საშინელმა აზრმა გაუელვა და სწრაფად უკან მობრუნდა. მისკენ მოშვერილი თოფი მოტრიალებისას ცოტა შეტოკდა მცველის ხელში და ტყვიამ თავზე გადაუარა. რიზმანმა აღარ დაუცადა მეორე სროლას, მიწაზე დაეცა და ხრამში გადასრიალდა. აქ შერჩენილ ნამქერში შეძვრა და სამი დღე და ღამე იქ დაჰყო. შემდგომ ამისა ოლქის უფროსთან მივიდა და უკანასკნელმა მშვიდობით სახლში გამოისტუმრა.

სწორედ დროზე მოგვისწრო რიზმანმა.

ოჰანესა არ სცხრებოდა და ისმაილ ეფენდის (ის თურმე უკვე მკვდარი იყო) გასათავისუფლებლად 300 მანეთს ითხოვდა. ბოლოს დასთანხმდა, 100 მანეთში საკერავი მაშინა წაეღო იმ პირობით, რომ ისმაილ ეფენდის დაბრუნების შემდგომ 200 მანეთიც მიგვეცა. მე დავსთანხმდი, მაშინა მივეცი და დღესაც მას უდგას სახლში.

გავიდა კიდევ ცოტა დრო. მოვიდა ოლქის უფროსი და ჩვენც ცოტათი ამოვისუნთქეთ. ოჰანესა და ოსმანყარა ახმედ ოღლი დაატუსაღეს.

გავიდა კიდევ ორი თვე და ჩემი საწყალი ძმა ნეჯეთიც დაატუსაღეს. ამბობენ, მას ლალატი ბრალდებაო და ამ მოკლე ხანში გაასამართლებენო. საცოდავ დედაჩემს ამან სულ მოუღო ბოლო, ტირილისაგან საწყალი დაბრმავდა, დასწეულდა და ლოგინად ჩავარდა.

ასე გაგვერან – გატივალდა ჩვენი ოჯახი. დაიქცა სავსე ჯამი და გავუბედურდით 18 კაცი!...

დაამთავრა თავისი მწარე ამბავი ხეფიმ. ერთი მწარედ ამოიხრა და ბოდში მოიხადა: ...უკაცრავად, ბატონო, თავი შეგაწყინეთ, მაგრამ რა ვქნა მე უბედურმა, გონება აღარ მიჭრის და ჩემ საწყალ ძმას კი შველა უნდა...

რა გვეთქვა, რით გვენუგეშებია საბრალო ხეფი?..

შენიშვნა: იმერხეველი ქართველები ხშირად სტუმრობდნენ სტამბოლის ქართული სავანის – ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტრის – სასტუმროს. ეს გულსაკლავი ტექსტი მღვდელ შალვა ვარდიძეს საბეჭდ მანქანაზე აუწყვია. გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დაბეჭდილთან (გაზეთთან ერთად) შენახული ვნახეთ მის საცხოვრებელ ოთახში – კელიაში. შეიძლება ავტორი შალვა ვარდიძეა და იმერხეველი ხეფი იყო მისი სტუმარი და მანვე მოუთხრო ეს გულსაკლავი ამბავი მღვდელ შალვა ვარდიძეს, რომელმაც დააბეჭდვინა აღნიშნულ გაზეთს.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 550. გვ.3.

**მხედარი**  
**(კოტე ტყავაძე)**  
**ჩვენები ომში**  
**ქ. ართვინის აღება**

ცხენების ჭიხვინი, რაზმელების ჟივილ – ხივილი, ფაცა – ფუცით იარაღის შესხმა, უფროსების ბრძანებით ყვირილი, ისმის ქართველ რაზმელების ბანაკში. რაზმი ემზადება საბრძოლველად. ღამით მიიღო ბრძანება ქ. ართვინისაკენ გამგზავრებისა და მისი აღებისა.

ცხენოსანთა ასეული კიდევ შეჯდა ცხენებზე და ნელ – ნელა დაიდრა ვიწრო გზატკეცილით. ორი ფეხოსანთა ასეულიც აჩქარებულ ნაბიჯით გამოედევნა თან.

ზედ მიჰყვნენ საველე ზარბაზნები, ტყვიის მტყორცნელები და სხვადასხვა ფეხოსანთა რეგულარული ჯარები. ს. ს – ნ ფეხოსანთა ჯარებმა ქართველ ასეულებით გზატკეცილს მარცხნივ

აუხვიეს. თანაც ზარბაზნები აიტანეს; ქართველ ცხენოსანთა რაზმი კი გზატკეცილს დაადგა. შტაბის ბრძანების თანახმად, ქართველ ცხენოსნებს დაევალოთ გზატკეცილით იერიშის მიტანა და ამით ჭოროხის მარჯვენა მხარეს ჩასაფრებულ მტრის სროლა გამოეწვია, რათა ზარბაზნებს მისცემოდათ საშუალება ოსმალთა პოზიციების აღმოჩენისა მიზანში ამოსაღებად.

ოსმალებს თან ახლდა ორი ზარბაზანი, მაგრამ მიჩუმებული იყვნენ და არ სურდათ უდროოთ თავის სიმაგრეთა აღმოჩენა.

ქართველებმა მაშინ ხერხი იხმარეს. როგორც კი ცხენოსნები დაუპირისპირდნენ მტრის პოზიციებს, გზატკეცილზედ ჯგუფებათ დაიყვნენ და ერთმანეთს ჩქარი ნაბიჯით მიჰყვნენ.

ოსმალებმა ეს პროცესი არტილერიის მოძრაობას მიაშზგავსეს და აბა, როგორ შეიკავებდნენ თავს ამ სახარბიელო მიზნისათვის!

დაუშინეს ზარბაზნები.

არტილერიასაც ეს უნდოდა. ოსმალები ზარბაზნების ბოლმა გამოამჟღავნა და დაუწყეს უდმრთო სროლა. მაგრამ ოსმალები მედგრად იბრძოდნენ. გზატკეცილის თეთრი ხაზი, რომელზედაც მშვიდად და დინჯად მიდიოდნენ ქართველი ცხენოსნები, ოსმალებმა თავის მხრივ მიზანში ამოიღეს და შეუბრალებლად აყრიდნენ ტყვია – ყუმბარას. ცხენოსნების მდგომარეობა გამწვავდა. ორი კაცი კიდეც დაიჭრა. მათში დაიჭრა თუმი და ხრამში გადავარდა. მაგრამ ამან არ შეაყენა ქართველობა. მაშინვე ცხენებიდან ჩამოხტნენ და მიეფარნენ კლდეს და გადასწყვიტეს თითო – თითოდ ცხენის ჭენებით წინ გასხლტომა.

შეჯდა ერთი ყოჩალი ცხენოსანი. გააჭენა ცხენი; ოსმალებმა დაუშინეს თოფი. მაგრამ ამაოდ, გაუსხლტდა!

მას მოჰყვა მეორე, მესამე...

აგერ, ვაჟკაცი მ.ე – ი შეახტა ცხენს და გაქანებულ იერიშით გავარდა წინ. მტერმა ზარბაზანი დაუშინა. **ერთმა ყუმბარამ მამაც მხედარს ზედ თავზედ გადაუარა და კლდეს მიასკდა. ყუმბარის ჰაერმა ქუდი მოსტაცა ცხენოსანს. გადმოხტა ცხენიდან, დაიხურა ქუდი, კვლავ შეახტა ცხენს და გაჰქრა, ვით ქარი გაკვირვებულ მტრის თვალწინ.** ამ რიგად მთელი ცხენოსანთა ასეული გაუსხლტდა ოსმალებს და შეუჩერებლივ გასწია ქ. **ართვინისაკენ.** ამავე დროს ზარბაზნებმა და ფეხოსანთა რაზმებმა საშინელი სროლა აუტეხეს მტერსა და აიძულეს იგი, დიდ მანძილზე დაეხია. ეს იყო დასაწყისი ოსმალების დაწვევისა, და როდესაც ჭოროხის მარჯვენა მხრიდანაც ოსმალების მარცხენა წვერზედაც ჩვენები გამოჩნდნენ, აჩქარებით ქედის იქით დაიწიეს და ართვინისაკენ გზა გახსნეს.

ქართველი ცხენოსნები ართვინს მიუახლოვდნენ კიდეც. მალე მათ მარდი მოსიარულე ფეხოსანი ქართველი ასეულებიც დაეწივნენ. შორიდან გამოჩნდა ართვინის აფეთქებულ რკინის ხიდის დაობლებული შავი სვეტები. რკინის ჩონჩხი სვეტებსვე შორის ჩავარდნილა და ზედ წყალზედ ტივტივებდა. სვეტებს რამდენიმე ადგილას დაუჭერია ხიდი და არ უშვებდა. **ხიდის გაღმა მოჩანდნენ ართვინელები, გამოსულნი ძველ ბატონის დასახვედრად.** რაზმები ხიდთან შეჯგუფდნენ. მდინარე ჭოროხი ბრაზიანად მიაქანებდა თავის აფორიაქებულ ტალღებს და ჩავარდნილ რკინის ხიდის ჩონჩხზედ ღრიალ – გრიალით გადადიოდა. ამ „ხიდზედ“ გადამსვლელი არვინ მოჩანდა...

ამ დროს გაისმა ხმა:

– გაუშვით წინ ყოჩალი ქართველები... ესენი გადავლენ.

პლასტუნებმა გზა მისცეს. ათი მზვერავი ქართველი რაზმელი მიადგა აფეთქებულ ხიდის უფსკრულს.

შეჰყვირეს იქ შეჯგუფებულ ართვინელებს და რამდენიმე ფიცარი ხიდის ჩონჩხზედ გადა-  
მოაგდებინეს. „ხიდი“ მზად იყო.

**პირველი ჩახტა რაზმელი კახიანი.**

ხელების ქანაობით და კალიასებურ ხტომით მიახტა მეორე სვეტს და მაღლიდან ართვი-  
ნელების მიერ ჩამოშვერილ თოკზედ კატასავით აძვრა. კახიანს მიჰყვა გულადი **სეფრაშვილი**.  
გადახტ – გადმოხტა და აცოცდა... **თვალის დახამამებაზედ ათი ქართველი რაზმელი მეორე  
ნაპირას გადასკუპდნენ.**

მათი მძიმე ჩრდილოელი ამხანაგები გაკვირვებით თავებს იქნევდნენ და ამბობდნენ: – **ეს რა  
ხალხიაო!**

როგორც კი გადავიდნენ იქითა ნაპირას, ქართველებს დაუხვდა ართვინის სომხობა. ტერ-  
ტერები ჯვრით, დელეგატები – პურ – მარილით... და მრავალი ხალხი. დაუწყეს ხვევნა, კოცნა..

ტერტერამ სამადლობელო სიტყვით მიმართა.

ოხუნჯმა კახიანმა უპასუხა:

– ჩაიწერეთ და არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ თავისუფლება მოგიტანეთო.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წელი, №31.

**მუსტაფა ჩიმურ – ოლლი,  
მუხამედ – ალა ქერქაძე  
არტაან – ართვინი**

არტაან – შავშეთ – ართვინში მოგზაურობიდან დაბრუნდა დამფ. კრების წევრი **განჯაფარიძე**,  
რომელმაც საქარ. დეპ. სააგ. თანამშრომელთან საუბრის დროს ოლქში არსებულ განწყობილების  
შესახებ შემდეგი განაცხადა: არტაანის ოლქში, პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცეა. მთავრობის  
წარმომადგენლებს და ჯარს მცხოვრებლები ნდობით უყურებენ. მცხოვრებლები შარშანდელ  
მოუსავლობის გამო სურსათის ნაკლებობას გრძნობენ. მთავრობა მცხოვრებლებს დახმარებას  
უწყევს და თავის დროზე გააგზავნა იქ სათესი ხორბალი და სურსათი. მაგრამ დახმარება უნდა  
იქნეს გაძლიერებული. იმ მცხოვრებთა მდგომარეობა, რომლებიც ჩვენი გავლენის სფეროს გარეშე  
იმყოფებიან, გაცილებით უარესია, რაც ნათელი ხდება სხვადასხვა დელეგატების განცხადე-  
ბიდან, რომლებიც **გვთხოვენ არტაანის დანარჩენ ნაწილის შემოერთებასაც. ასეთივე კარგი  
მდგომარეობა არის შავშეთში.**

მიუხედავად საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ მუშაობისა, მცხოვრებ-  
ლები არ წამოეგენ პროვოკაციის ანკესზე და **ჩვენ ჯარებს აღფრთოვანებით შეხვდნენ.** ჩვენი ჯარები  
ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ილაშქრებენ ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც **შავშეთის  
და ზემო აჭარას** ეცემიან. ამჟამად, ადგილობრივ მცხოვრებლებთან სრული შეთანხმებით,  
შავშეთში სდგება ადმინისტრაცია და აგრედვე, იღებენ ზომებს ავანტიურისტულ გამოსვლების  
წინააღმდეგ. თვით ართვინში ჩემი იქ ყოფნის დროს, ინგლისის ნაწილები იდგა, მაგრამ ისინი  
როგორც წავიდნენ, **მცხოვრებლებმა ჩვენ ჯარებს მიმართეს თხოვნით ქალაქში შესულიყვენ.**

ართვინის ოლქში წელს მოსალოდნელია კარგი მოსავალი. სასურსათო მდგომარეობა იქ  
გაცილებით უკეთესია, ვიდრე არტაანში. ჩვენი ჯარების სულიერი განწყობილება საუცხოვოა.  
**ჯარები აკვირვებს ადამიანს თავისი შეგნებითა და დისციპლინით.** ისინი არ გრძნობენ ნაკლებობას

სურსათში. უნდა აღინიშნოს პოლ. ვაჩნაძის მოქმედება, რომელმაც შესძლო ასეთი ძალების შექმნა ამ რაიონში.

\* \* \*

ართვინიდან მთავრობის თავმჯდომარემ და დეპუტატმა ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა მიიღეს: „ართვინის ნაწილის 28 სოფლის მცხოვრებლების მიერ არჩეული წარმომადგენლები შეხვდნენ თქვენს წარმომადგენელს, დამფუძნებელი კრების წევრს, გიზო ანჯაფარიძეს, რომელიც 12 ივლისს ჩამოვიდა ართვინში. მცხოვრებლები ულოცავენ დედა – საქართველოს იმ დიდებულ ამბავს, როგორც არის ბათომისა და მისი ოლქის საქართველოსთან შეერთების ფაქტი. მცხოვრებნი დიდათ მადლობელნი, გახარებული არიან იმით, რომ ოლქში წარმომადგენლათ დანიშნულია ისე პოპულარული და პატივცემული მთელ სამუსლიმანო საქართველოში პიროვნება, როგორც გიზო ანჯაფარიძეა. მცხოვრებნი იმედოვნებენ, რომ საქართველოს მთავრობა არ მოაშორებს ქართველ მუსლიმანებს ასე საყვარელ დამცველს, როგორც იყო გ. ანჯაფარიძე რამდენიმე წლის განმავლობაში მშრომელი ხალხისათვის, რომელმაც რამდენი ტანჯვა – წვალება გადაიტანა და ბოლოს ეს ხალხით შესდგა ჭეშმარიტების ნათელ გზაზე.

**მუსტაფა ჩიმურ – ოფლი, მუხამედ ალა ქერქაძე.**

### **ბათომის ოლქში (საქ. დეპ. სააგენტო)**

აგვისტოს 21. (საკ. კორ.) საგანგებო კომისარმა ჩხიკვიშვილმა მოიარა ართვინის ოლქი, ოლქის მდგომარეობის გასაცნობად. საგანგებო კომისარს თან ახლდა დამფუძნებელი კრების წევრი ანჯაფარიძე. ჩხიკვიშვილი შედიოდა სოფლებში და ეცნობოდა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებას. ბორჩხაში მცხოვრებლებმა სთხოვეს მას ბორჩხის რაიონის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა. ართვინის მცხოვრებლები საგანგებო კომისარს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. ქალაქი საგანგებოდ განათებული იყო და შემკული მწვანეულობით და ეროვნული დროშებით. აქ კომისარი ინახულა ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებმა.

ინახულეს, აგრედვე, სომხებმაც, რომლებიც ესაუბრნენ კომისარს თავის საჭიროებათა შესახებ. აგვისტოს 16 ჩხიკვიშვილმა ინახულა ართვინში დაბანაკებული ჯარი. ჯარმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა. მცხოვრებლების წარმომადგენლებმა განაცხადეს: ჩვენ ადგილობრივ ჯარს ვუცხადებთ მადლობას მცხოვრებლებისადმი მათი ჰუმანიურ დამოკიდებულების გამო. შემდეგ ჩხიკვიშვილი გაეცნო სასკოლო საქმეს და მცხოვრებთა წარმომადგენელთ დაუსახელა ადგილები ახალ სკოლების გასაშენებლად. სხვათა შორის კომისარმა ინახულა სომხების ეკლესია და მაჰმადიანთა მეჩეთი. შენიშნა, რომ მეჩეთი შეკეთებას საჭიროებდა. იმავე დღეს გასცა ბრძანება ოლქის ინჟინრის მიმართ, რომ იგი მეჩეთის შეკეთებას შესდგომოდა.

ართვინში მოგზაურობამ დაარწმუნა საგანგებო კომისარი იმაში, რომ ოლქში მტკიცე მდგომარეობაა. მოსავალი ვერ არის დამაკმაყოფილებელი და ამიტომ მცხოვრებლებისათვის დახმარება იქნება საჭირო. ჩხიკვიშვილი დაპირდა მცხოვრებთ, რომ ამ მხრივ იგი სათანადო ზომებს მიიღებს და აგრეთვე, ოლქში საექიმო – სასანიტრო საქმეს მოაწყობს.

ართვინში ყოფნის დროს ჩხიკვიშვილი ინახულეს მურღულისა და არდანუქის რაიონის წარმომადგენლებმა. ბასიდან გამოირკვა, რომ ხალხი ღებულობს ზომებს ბოროტი აგიტაციის

წინააღმდეგ, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავეთ აპატიმრებენ. **ჩხიკვიშვილმა სომეხთა ობლების სახლს** მისცა ერთდროული დახმარების სახით 50,000 მანეთი.

ართვინის ოლქიდან დაბრუნდა კომისია მიწათმოქმედების წარმომადგენლის **რცხილაძის** მეთაურობით, რომელმაც ჩაიბარა ართვინის ზეთის ხილისა და სხვა ხეხილის სანერგე. იღებენ სათანადო ზომებს სანერგის მოსაწესრიგებლათ. კომისია ტყისა და გადასახადების საკითხსაც გაეცნო.

ართვინიდან ბათომს მოვიდა ოლქში ტელეფონების ქსელის გაყვანის მუშაობის ხელმძღვანელი **სურგულაძე**. ტელეფონები გაუყვანიათ **ახალციხე – არდაგანის** მრავალ ადგილას. მალე ნორმალური სატელეგრაფო დამოკიდებულება იქნება ამ ადგილებში. გაყვანილი ტელეფონის ხაზის სიგრძე 7000 ვერსტს უდრის.

გაზეთი „სახალხო საქმე“ №909, 1920 წ.

### **საწყალი მუშა (პ. ლორია) პროვინცია**

**ართვინი.** ეს მხარე დღეს საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის.

მდებარეობა და ბუნება მას საუკეთესო აქვს: ბაღები, დაბალი ტყეები და წყაროები მის სიმდიდრეს წარმოადგენს. ადამიანი სიხარულს იგრძნობს, როცა ის შეუდგება დაკეცილ გზებს.

შიგნით ქალაქში ძლიერ ვიწრო ქუჩებია, გარდა ერთი ქუჩისა. მას სწორე ქუჩა არ აქვს. სახლები კარგია; აქ ვერ ნახავთ მიწურ სახლებს. ბევრი სახლი უპატრონოდ არის მიტოვებული. კარებს, ფანჯრებს, მინებს ქურდები იპარავენ. მე მგონია, ეხლა ეს აღარ მოხდება და ჩვენი ადმინისტრაციის მიერ დაცული იქნება უპატრონო სახლები და მამულები. ჩვენი ადმინისტრაცია აქ მხოლოდ ეხლა იქმნება და ამისთვის საჭიროა, ისეთი სამირკველის ჩაყრა, რომელიც შეეფერება დემოკრატიულ სახელმწიფოს. საჭიროა აგრეთვე, კულტურული მუშაობის გაჩაღება, რომელიც ხელს შეუწყობს მცხოვრებთა განვითარებას და გაფანტავს პროვოკაციის მიერ შექმნილ ატმოსფეროს. აგრეთვე, საჭიროა სასწავლებლების საქმეების მოწყობა, რათა სექტემბრიდან მოწაფეებს შეეძლოს სწავლის გაგრძელება. როგორც სჩანს, **ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობა ძლიერ დაინტერესებულია სწავლით.**

საჭიროა მთავრობამ მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ქალაქ **ართვინს**, რომ ის **საქართველოს ძველ ისტორიულ ართვინად იქცეს.**

გაზეთი „ერთობა“, 26 აგვისტო, 1920 წ., № 193.

### **მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი ართვინის რაიონის მცხოვრებთა ვექილებისაგან**

1) ართვინის უბნის მცხოვრებლები ამ უკანასკნელ ხანებში მეტად სამწუხარო და უნუგემო მდგომარეობაში იმყოფებიან. ართვინის მცხოვრებნი შეიარაღებულ ბანდებისა და ყაჩაღებისაგან მუქარას განიცდიან. ართვინისა და მის ახლო მიდამოებში ანარქიულ მოძრაობასთან ერთად ბოლშევიკურ მოძრაობასაც აძლიერებენ, სურთ ხალხი წესიერსა და მშვიდობიან ცხოვრებას ჩამოაცილონ და ხალხში არევ – დარევა და უკმაყოფილება გააძლიერონ, რასაც არანორმალური



მდგომარეობის უფრო გამწვავება მოყვება. მშვიდობიანი ცხოვრების საჭირო პირობებს მოკლებული ხალხი ეკონომიკურადაც მეტად ცუდ მდგომარეობაშია სანოვაციის ნაკლებობისა და მისი წარმოდგენილი სიძვირის გამო: ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. ჩვენ, ართვინის მცხოვრებთა წარმომადგენლები, ზემოაღნიშნულ მდგომარეობათა გამო საბოლოოთ, დავრწმუნდით, რომ დავვიანება, საჭირო ზომების მიუღებლობა, მცხოვრებლებს კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანს.

2) ართვინის უბნის მცხოვრებნი მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცილებლათ საქართველოს რესპუბლიკისაგან საჩქარო დახმარებას და მფარველობას მოვითხოვთ.

3) ბათუმის ოლქი ართვინის მხარის ასეთ საშიშ, არაბუნებრივ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლათ, ვსთხოვთ საქართველოს მთავრობას, შემოიყვანოს თავისი ჯარები ჩვენში.

4) უკიდურეს გაჭირვებაში მყოფნი, ვსთხოვთ საქართველოს მთავრობას ასეთი ზომის მიღებით განამტკიცოს ჩვენში წესიერება და ბათუმის ოლქის ავტონომიურად გაერთიანება საქართველოსთან დროულად სისრულეში მოიყვანოს. ხელს აწერენ ართვინის მცხოვრებთა ვეჟილები.

ამასთანავე:

1) ბორჩხის რაიონი და მთელი ბათუმის ოლქი, რომელსაც, როგორც შიგნით, ისე გარედან ათასნაირი მტრები ემუქრებიან, ვთხოვთ საქართველოს მთავრობას იხსნას ასეთი მდგომარეობისაგან და მიიღოს ზომები ჩვენში წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენად.

2) ჩვენი ხალხი, რომელსაც დღეს ემუქრებიან ჩეთნიკები, ყაჩაღები და ბოლშევიკურ-დენიკინური ანარქია, ასეთ პირობებისაგან თავის დასახსნელად საქართველოს მთავრობას ვთხოვთ, საჩქაროთ შემოიყვანოს ჩვენში მისი ჯარები და ამით მცხოვრებთა ფიზიკური არსებობა და უფლებები დალუპვისაგან იხსნას.

3) ვთხოვთ იმავე მთავრობას, რათა ჩვენი ოლქი, როგორც განუყოფელი და განუყრელი ნაწილი დედა სამშობლო საქართველოსი, ავტონომიურად გააერთიანოს საქართველოსთან.

მურღულის რაიონის მცხოვრებთა წარმომადგენლებისაგან:

ამა წლის 16 თებერვალს 25 შეიარაღებული ლაზი ჩეტნიკები თავს დაესხნენ მურღულის რაიონის სოფ. ბაგების მცხოვრებლებს, ალყა შემოარტყეს მეველად ადას სახლს, გაიტაცეს მისი ქალიშვილი და გაიქცნენ. გაიგეს რა მცხოვრებლებმა ეს ამბავი, დაედევნენ ყაჩაღებს და გაუმართეს სროლა, რომლის დროსაც მოკლულ იქნა ზემოაღნიშნული ყაჩაღების მეთაური ფაზლი ოღლი ქიზარი. ამ დღეს, დილის 4 საათზე, ს. ბაშქოიშში გაიგეს რა თავისი მეთაურის სიკვდილი, გატაცებული ქალიშვილი მხეცურად მოჰკლეს, რის შემდეგაც პოდოჯურ – ვიწეს მიმართულებით გაიქცნენ. ეს საზიზღარი და აღმაშფოთებელი ამბავი აქ მიტომ აღვნიშნეთ, რათა გადმოგვეცა საქართველოს მთავრობისათვის ჩვენი რაიონის და ახლო მიდამოების მდგომარეობა, რომელ რაიონშიც დასახელებული მოვლენების მსგავსი ხშირად ხდებოდა და ახლაც ხდება, სამწუხაროთ, ჩვენში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის მეოხებით ადამიანის სინდის – პატიოსნება და მისი უფლებები ფეხქვეშ ითელება.

ზემოაღნიშნულ მდგომარეობის გამო, ჩვენ, მურღულის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენლები შევიკრიბებით და ერთხმად დავადგინეთ:

1) მურღულში და საერთოთ, ჭოროხის ხეობაში, საჭიროა დაწესდეს შეურყეველი და წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

2) მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებლებმა უკვე შეადგინეს თავისი რაზმი წესიერების აღსადგენად, ისინი მაინც საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მეტად ძნელია იმ ანარქიასთან ბრძოლა, რამაც ჩვენში იჩინა თავი და რაც თანდათან ძლიერდება.

3) ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, წესიერების აღსადგენათ, მცხოვრებთა მშვიდობიანობის დასაცავათ, შემოიყვანოს ჩვენში თავის ჯარები.

4) ვთხოვთ, აგრეთვე, იმავე მთავრობას, მიიღოს საჭირო ზომები **ბათუმის ოლქის, საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის, ავტონატურათ დედა სამშობლო საქართველოსთან გასაერთიანებლათ.** ხელს აწერენ წარმომადგენელნი სამუსლიმანო საქართველოდან.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. ტექსტს ბოლოში აქვს მინაწერი: გაეგზავნოს გაზეთ „ერთობას“.

### საქართველო ბრძოლის ველებზე

საქართველოს ჯარი ორ ფრონტზე აქტიურ სამხედრო მოქმედებას აწარმოებს და ორივე მიმართულებით მას უბრუნებს დედასაქართველოს.

გენერალ კვინიტაძის სარდლობით იჭერს საქართველოს სამხრეთის ნაწილს, რომელიც დიდი ხანია დედასამშობლოს იყო მოწყვეტილი და ჯერ ოსმალთა და მერე რუსთა ბატონობით იყო გადაგვარებული. გენერალ კვინიტაძის რაზმი უკვე შევიდა ჩვენს სანატრელს **არტაანში** და კვალდაკვალ მისდევს **ოლთისისა და ყარსის** მიმართულებით გაქცეულ მტერს. **რამდენი საუკუნეა არტაანის მხარეს არ უნახავს საქართველოს ლაშქარი, რამდენი საუკუნეა იქ არ აფრიალებულა საქართველოს დროშა და ღერბი.** რაც დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ იშვიათ ქართველთა გულის ნატვრას შეადგენდა, დღეს იგი საქართველოს საზღვრებში შემოიყვანა საქართველოს გამარჯვებულმა მხედრობამ, აიღო და დაისაკუთრა. სამხრეთის სამი კარიდან, არტაანი საქართველოს სიმტკიცის ერთ კარს წარმოადგენდა და ამიტომაც საქართველოს ყველა გამოჩენილ სარდალთა და დიდ მეფეთა მუდმივ საზრუნავად იყო გადაქცეული მისი დაცვა – გამაგრება და მისი დაბრუნება, თუ რომ იგი შემთხვევით ხელში მტერს ჩაუვარდებოდა.

**ჩვენ აღტაცებით ვულოცავთ საქართველოს ჯარს და მის სარდალს გენერალ კვინიტაძეს არტაანში ბრწყინვალე შესვლას.**

სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მხედრობა ამ მხარეში შეურყევლის სიმტკიცით დაისადგურებს და აუჩქარებელის, მაგრამ დარწმუნებულის მკლავით გაშლის თავის ოპერაციას მტრის შესამუსრად და საქართველოს იმ ძვირფასი მიწა – წყლის დასაუფლებლად, **სადაც გაიშალა და გაიფურჩქნა ქართველი ერის ძველი კულტურა და ლაღი სული.**

სამარადისო ეროვნულ საქმეთა განაღდება – მიღწევაში, ჩვენს შეიარაღებულ ძალას თან გაჰყვება ყველა შინ დარჩენილების ერთგულება და დაუზოგველათ შეეწირება მათი ქონება და სიცოცხლე!

სამხრეთის ფრონტის ამ სასიხარულო ცნობებს, ჩრდილოეთის ფრონტის გამარჯვების ცნობები ავსებს და ადიდებს ჩვენი ჯარის მეორე ნაწილი, რომელსაც გენერალი **ი. გედევანიშვილი** და **გ. ჯუღელი** მეთაურობს. ქართული ჯარი მოხალისეთა რაზმს ეკვეთა, დაამარცხა პირველ შეხლაში და წინ გაიგდო. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ჩვენი ჯარი მდინარე **მზიმთას** მისდგომია, აქაც ისე, როგორც სამხრეთშიც, ჩვენს ჯარს წინ უძღვის თავისუფლების შეგნების

ძალა და სამართლიანობის იდეა. ორთავე მიმართულებით, ქართველი ჯარი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას იბრუნებს და საქართველოს ჭიშკრებს ამაგრებს; არც სამხრეთით და არც ჩრდილოეთით ჯერ მიღწეული არ არის ის მიჯნა, სადაც უნდა ჩვენი ჯარი შესდგეს და გამაგრდეს. ამ მიზნის მისაღწევად, ქართველმა საზოგადოებამ და მთელმა ერმა საჭირო ხარკი უნდა გაიღოს. **ერში უნდა გაიდვიდოს იმ ადფრთოვანებამ და ენტუზიაზმა, რომელიც არ შედრკება არავითარი მსხვერპლის წინ.**

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ **დამოუკიდებელმა საქართველომ** დღემდე მხოლოდ იმდენად გასძლო და იმდენად იცოცხლა, რამდენადაც მისი მდგომარეობა ამბოხებულ ბრბოებს და მტრის შემოსეულ ჯარებს იგერიებდა და ამარცხებდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა შემდეგშიაც სავსებით დამოუკიდებელია და მიგვანიშნებს ჩვენი სამხედრო ძალის სიკარგესა და სიმტკიცეზედ. ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე საქართველოს ირგვლივ ცხოვრება კალაპოტში ჩადგებოდეს და მშვიდობიან ცხოვრებას მიეცემოდეს. მანამდე საჭიროა მაქსიმალური სამხედრო ძლიერების ყოლა.

ჩვენში ბევრი თქმულა ცარიელი სიტყვები საერთაშორისო სოლიდარობასა და ყველა დემოკრატიათა ერთობაზე, ბევრი ტრაბახობდა ამ სიტყვებით, მაგრამ ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ ამ სიტყვებისამარა ერთ წუთსაც ვერ გასძლებდა ჩვენი დამოუკიდებელი საქართველო. სიტყვებით შექმნილი და დაცული ქვეყანა არსად ნახულა და ვერც ჩვენი განახლებული საქართველო გასძლებდა განყენებულ ლოზუნგების ძალით. სამხედრო ძალამ შეგვინახა დამოუკიდებელი საქართველო და სამხედრო ძალა შეგვინახავს მას შემდეგშიც.

მივსცეთ ყველაფერი ჯარს და შევქმნათ ძლიერი მხედრობა და დამოუკიდებელი საქართველოც იარსებებს.

ტექსტი, მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

გაზეთი „საქართველო“, № 87, 1919 წ.

**ემილ ეფენდი**  
(ერმილე ნაკაშიძე)  
**ქალაქი ტრაპიზონი**  
(წერილი ოსმალეთიდან)

ერთ კვირაზე მეტია, რაც **ტრაპიზონში** ვარ. შემთხვევა მქონდა აქ დარჩენისა და ნება – უნებურად გავიცანი ეს ქალაქი, რამდენადაც შესაძლებელია ეს ერთი კვირის განმავლობაში.

ქალაქი ტრაპიზონი ერთი უდიდესი ქალაქია ამ კუთხეში. ქალაქი გაშენებულია შავი ზღვის პირად. ბათუმიდან ტრაპიზონამდე რვა საათის სასიარულოა ხომალდით. ხომალდები პირდაპირ ქალაქის კიდეს ვერ ადგებიან და ამიტომ მიმოსვლა ქალაქიდან ხომალდამდე ნავებითა და ფელუკებით არის. ქალაქი ზღვიდან მეტად მშვენიერი სანახავია. იგი გაშენებულია ფერდობზე, რომელიც **ზღვიდან ამფითეატრით** არის შეფენილი. ზევიდან ქალაქს თოვლიანი მთები დაჰყურებენ.

ერთის სიტყვით, გარედან **სამოთხეს წააგავს ქალაქი**, შიგნით კი, ახლოს რომ ჰნახავ, ნამდვილი აზიური ქალაქია, ვიწრო და მიხვეულ – მოხვეული ქუჩებით, ოღრო – ჩოღროებით, უსუფთაო და ტალახიანი. სულ ორი თუ სამი ქუჩა იქნება, რომელიც წააგავს ჩვენებურ ქუჩებს, სადაც შესაძლოა ეტლით გავლა და ცხენების აქცევა. მიდიხარ ქუჩაში ორ მაღალ კედელს შუა. სახლებს

ვერ ჰხედავ, ხოლო ალაცაფის კარები რკინის კლიტეებით გვიჩვენებს, რომ იქ აქაური მოქალაქენი სცხოვრობენ. ბაზარი მეტად ვიწრო და შექუჩებულია. ხელოსნები თავიანთ სახელოსნო მოწყობილობით და ვაჭრები არეულნი არიან ერთმანეთში. ფეიქარს საფეიქრო ისე ვიწრო და დაბალი აქვს, რომ შიგ მარტო დამჯდარი იმართება. სახარაზოში ორი ხარაზი დამჯდარი ძლივს ეტევა. ამათ ზემოდ კიბით ასულა კიდევ ორი და იქ გაუწყვია თავისი მუშაობა.

ქალაქის ძველი ქვითკირის გალავანი, უზარმაზარი ხიდები ქალაქის ღელეებსა და ხრამებზე, ციხეები და ეკლესიების სიმრავლე ნათლად მოწმობენ, რომ ეს ქალაქი ბერძნების ხელში, სანამ ოსმალთა დაიჭერდა, დიდის ცივილიზაციის მქონე ყოფილა. **ექვსი საუკეთესო ეკლესია, ორი იმათში ჯვარის სახის არქიტექტურისა და გუმბათიანი, ოსმალთებს მეჩეთად გადაუკეთებიათ** (საკურთხევლისკენ კარები გამოუჭრიათ და გვერდზე მინარეთი მიუშენებიათ).

ტრაპიზონში სამოცი ათასი მცხოვრები იქნება. ამათში ბერძენია თორმეტი ათასი, სომეხი – ხუთი, დანარჩენი კი ოსმალთები არიან. მთელი ვაჭრობა და ალებ – მიცემობა უმთავრესად ბერძნებისა, სომეხებისა და უცხოელების ხელშია. არიან სპარსელი ვაჭრებიც. ოსმალთები, როგორც საზოგადოდ ყველგან ოსმალეთში, მოხელენი არიან, უმეტესობა კი უბრალო მუშა ხალხს წარმოადგენს. უცხოელებს აქვთ სავაჭრო და სანაოსნო კანტორები. ეს მხარე მათ თავიანთ საწველ ფურად გაუხდიათ და ეტყობათ, თავს ძლიერ კარგადა ჰგრძნობენ.

**სწავლა – განათლების საქმე აქ სხვებზე კარგად ბერძნებს მოუწყვიათ. ამათ ტრაპიზონში აქვთ გაჟთა გიმნაზია.** ახლო მომავალში ქალების გიმნაზიასაც ხსნიან. პროგიმნაზიული კლასები ცალკეა და შესდგება 7 კლასისაგან (ანუ განყოფილებისაგან), გიმნაზიური 5 კლასსიდან. გიმნაზიას საკომერციო განყოფილებაცა აქვს, სადაც, სხვათა შორის, **რუსულ ენასაც** ასწავლიან. თათრულ ენას წინადაც ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ კონსტიტუციის შემოღების შემდეგ უფრო გულმოდგინეთ ეკიდებიან. მიუწვევიათ მეორე მასწავლებელი, ოსმალთელი. სწავლა – განათლების საქმეს განაგებს სამზრუნველო, შემდგარი 12 ამორჩეულ წევრისაგან, მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით. გიმნაზიას აქვს საკუთარი მშენიერი შენობა, გიმნაზიისა და, საზოგადოდ, სკოლების სახსარს შეადგენს კერძო შემოწირულება, ეკლესიების შემოსავალი და სწავლის ფული (გიმნაზიაში წელიწადში 30 მანეთია გადასახადი).

ამნაირი სკოლები სომხებსაცა აქვთ. ოსმალთებს მარტო ერთი საშუალო სასწავლებელი აქვთ, სამხედრო ტიპისა.

აქ გავიცანი მაჰმადიანი ქართველი **ახმედ – ეფენდი ჭიჭინაძე**, რომელიც ოც წელიწადზე მეტია, რაც **გადმოსახლებულა ბათომიდან** იგი და მისი ძმა მუჰამედი. როგორც ამან მიაჩნო, ტრაპიზონში, შიგ ქალაქში, ქართველი მაჰმადიანი ცოტა ყოფილა, 15 ოჯახამდე თუ იქნება; ტრაპიზონის ვილაეტში კი ბევრია, ასე **40 ათას კომლამდე** (მაშასადამე ორასი ათასს სულამდე). ძალიან გაუხარდა ახმედ – ეფენდის ქართველი კაცის ნახვა. დამელაპარაკა თუ არა, **ქართული წიგნები მომთხოვა.** მეც მივაწოდე, რაც კი მქონდა, ათიოდე „დედა – ენა“ და „დროების“ ყველა ის ნომერი, სადაც **უსახლკაროს წერილებია** მოთავსებული **ქართველ მაჰმადიანებზე** (კარგი იყო „ყურანი“ და სახალხო წიგნაკები მქონოდა. კარგს იზამს, წერა – კითხვის საზოგადოება, თუ აქაურ მაჰმადიან ქართველებს ხანდახან მიაწოდებს საჭირო წიგნებს\*).

---

\*როცა აქეთ მოვემგზავრებოდი, ვთხოვე წერა-კითხვის საზოგადოების მდივანს წიგნები გამოეტანებინა. – თხოვნა შემოიტანე და გამგეობას გადავცემ განსახილველად, – მითხრა. „მე დრო არა მქონდა, დამეცადა თხოვნის განხილვამდე.“

– „ამ წიგნებს დაურიგებ ჩემ მეზობელ გურჯებს, – სთქვა ახმედ – ეფენდიმ. – ძალიან გვინდა, რო არ დავივიწყოთ ჩვენი დედა – ენა, მაგრამ რაფერ: ჩვენ ვერ ვახერხებთ და თქვენ არ გვეხმარებითო“, – მისაყვედურა ახმედ – ეფენდიმ.

მართლაც, სასაყვედურონი ვართ. ლაზებს გარდა, როგორც ამბობენ, ოსმალეთში გამაჰმადიანებული ქართველი მესამედი მილიონი იქნება. აბა, ჩვენ ადგილზე რომელი ერი დაჰკარგავს ამდენ მოძმეს და არ უპატრონებს! სკოლებს თუ ვერ გაუხსნი (ამას დიდი ხარჯი დასჭირდება). ეს მაინც ექნათ, რომ რამდენიმე აქაური ახალგაზრდა მაჰმადიანი ქართველი აღვზარდოთ ევროპულ სწავლა – განათლებით, სტიპენდიების საშუალებით, რომ შემდეგ ესენი დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას. ამათ ჩვენზე, ქრისტიანებზე, მეტი გავლენაც ექნებათ და უფრო მეტსაც გააკეთებენ. მერწმუნეთ, როცა ოსმალეთის მაჰმადიანი ქართველობა შეგნებული და წელგამაგრებული იქნება სწავლა – განათლებით, ჩვენთვისაც დიდად გამოსადეგნი იქნებიან. ევროპაც უფრო გავიცნობს და არ ვიქნებით ისე მივიწყებულნი და აბუჩად აგდებულნი, როგორც ეხლა ვართ, შიგნით და გარეთ.

მაჰმადიანი ქართველობა აქეთ გადმოსახლებულა კაი ძალი, ბათომის ალების შემდეგ, ქობულეთიდან და აჭარიდან. მას შემდეგ თითო ოროლა დღესაც სახლდება თურმე. მაგალითად, მარშან გადმოსახლებულა აქ ცოლშვილით აბაშიძე და ორი ძმა ბეჟანიძე.

ისტორიიდან ვიცოდით, რომ ტრაპიზონში მარხია ჩვენი, იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე. ამისათვის ბევრი ძებნა არ დამჭირდა: ეს ადგილი იცის ყველა მაჰმადიანმა ქართველმაც და ბერძენმაც, დიდიდან პატარამდე; იკითხავ თუ არა, მაშინვე მოგცემენ: „ო, ბაზილევს სოლომონ“ (მეფე სოლომონიო). ეს ადგილი და მისი ისტორია კარგად იცის, აგრეთვე, ყველა მაჰმადიანმა ქართველმა. საფლავი არის წმ. გრიგოლის სამიტროპოლიტო ეკლესიის გალავანში (დღეს ეს ეკლესია აქ პირველია), სამხრეთის მხარეს, გამოჩენილ ადგილზე. ეკვტერი მოყვანილია გუმბათით, რომელსაც ზევით პატარა თალი აქვს; თაღზე რკინის ჯვარია. გუმბათის თაღს იჭერს ოთხი სვეტი. საფლავზე მარმარილოს ფიქალი ქვაა. გუმბათის ცა ფერადად არის მოხატული, როგორც ძველ ეკლესიებშია მიღებული, ანგელოზებით, ჯვრებით და სხვადასხვა ფიგურებით. აქვე, ცაზე, დასავლეთის მხარეზე, ხატია თულიანი გვირგვინი და ქვეშ ბაგრატიონების საგვარეულო ღერბია (კვართი უფლისა, დავითის ხმალი, ქნარი, ბურღული და სხვა) და ბერძნულად აწერია: „წმინდა აჩდილს აქა მდებარე სოლომონ ქვემო ივერიის მეფის“. საფლავის მარმარილოს ქვაზე ხუცურად აწერია: „აქ განისვენებს იმერთა მეფე სოლომონ“. გარედ, ძეგლზე, ჩრდილოეთის მხარეზე, ბერძნულად აწერია: „ძეგლი, სადაც დამარხულია კეთილ მორწმუნე და ქრისტეს მოყვარე სოლომონ მეფე ქვემო ივერიისა 1815 წელს თებერვლის 6“. აქვეა ხუცური წარწერა: „მოიხსენეთ, ძმანო, საფლავსა ამას შინა მდებარე სრულიად იმერეთის მეფე სოლომონ“. კიდევ არის წარწერა გარეთ ძეგლზე, აღმოსავლეთის კედრით, მხედრულად: „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და შვენიერება და მდებარე ვარ შიშველ დაგდებული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისცა ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობასა. ფებერვლის ზქ' ვს' ქ' ეს აქეთ ჩყიე“ (1815).

მე ვფიქრობ, თავის სამშობლოში არ იქნებოდა ასე კარგა დაცული და შენახული ეს საფლავი, როგორც აქ არის. დიდ პატივშია თურმე, როგორც დამარწმუნეს და კიდევაც ეტყობა, ყოველ საუფლო დღესასწაულზე სანთელს უნთებენ. გალავანში მეტი არავინ მარხია.

აქაურ ცხოვრებაზე, რა მოგახსენოთ. ჯერჯერობით არაფერი ვიცი. გარეგნობით – კი საშინელი სიმშვიდეა. არც კაცის – კვლა. არც ცარცვა – გლეჯა. ბანკებს და ხაზინას არავითარი მცველი არა ჰყავს.

თავისუფლება დიდია. სკოლებში, მაგალითად, რაც გინდა, ის ასწავლე. **დამშეული არავინ არის.**

მოგზაურობა აქეთ ძალიან ადვილია. ოსმალური თუ იცი, ხომ კარგი, თუ არა და ფრანგულითაც იოლას წახვალ.

გაზეთი „დროება“, 1909 წ., №27.

### **გ. ბარელი (უცნობი ფსევდონიმი) ტრაპიზონი და მისი მიდამოები პირველი შთაბეჭდილებანი**

მოუთმენლად ველოდით ტრაპიზონთან მიახლოვებას და ბოლოს მივედით კიდეც. პატარა გემს ნაფოტივით ათამაშებდა აბობოქრებული ზღვა. გემის ბაქანთან ვხედავდით, როგორ ეხეთქებოდა ხოლმე მთასავით აგორებული ტალღა ნაპირს და როგორ ბრუნდებოდა უკან აქაფებული.

მთაზე ტერასებად გაბნეული ტრაპიზონი, რომელიც შორიდან ეხლაც კი ამწვანებულ ხეებშია ჩამალული, მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. გაცქერით ქალაქს და ველით მიახლოვებას, მაგრამ იმედი გვიცრუვდება. დღევა ისეთი დიდია, რომ ვერც ერთი ნავი ვერა ბედავს ზღვაში გადმოსვლას. კაპიტანი ცოტა ხანს ებრძვის გააფთრებულ სტიქიონს. ტრიალებს ზღვაში და ბოლოს იმ დასკვნას ადგება, რომ ტრაპიზონში გადასვლა ვერ მოხერხდება. მივდივართ **პლატანაში**, რომელიც ტრაპიზონიდან 12 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

**პლატანა**, ტრაპიზონთან შედარებით, პატარა ქალაქია, მაგრამ უფრო ლამაზი და უფრო ამწვანებული. ისიც ტერასით არის აშენებული მთაზე. პლატანას ნაპირებთან ზღვა გაცილებით უფრო წყნარი და მშვიდი აღმოჩნდა, ასე რომ გადასვლა მოვახერხეთ.

– სად წავიდეთ? – აი, პირველი კითხვა, რომელიც ყველას დაებადა. მოვძებნეთ „საკვები პუნქტი“ ქალაქების კავშირისა და გავემართეთ იქითკენ. „პუნქტში“ მასპინძლობა გაგვიწია ქალმა – ზედამხედველმა. დაგვალევიან ჩაი, გაგვიმასპინძლდა ვახშმით და მოგვცა ოთახი, სადაც მშვენივრად შეიძლებოდა მოსვენება მოგზაურობის შემდეგ.

გადავდგით თუ არა ფეხი, **ახლად დაპყრობილი ადგილების ნაპირზე**, მაშინვე ვიგრძენით, რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაწესებულებებს ბრძოლის ასპრეზზე. ამასა ჰგრძნობენ არა მარტო გამვლელ – გამოვლენი, არამედ სამხედრო პირნიც, რომელთაც უკვე არაერთხელ განუცხადებიათ: – ვერ წარმოგვიდგენია როგორი უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია ჩვენი „ზურგისა“, საზოგადოებრივი ორგანიზაციები რომ არ მუშაობდნენო.

**პლატანიდან** მეორე დღეს **ტრაპიზონში** მივედით; წვიმა იყო და ამიტომ ქუჩები მთლად ატალახებული იყო. პირველის შეხედვით ტრაპიზონი ძალიან ჭუჭყიანი ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ, თუ დააკვირდებით, უსათუოდ დარწმუნდებით, რომ ყოველთვის ასე არ უნდა ყოფილიყო. ტრაპიზონში ყოველ სახლში **არის წყალსადენი და კანალიზაცია**. ეს კი პირველი პირობაა სისუფთავის დასაცავად. მიუხედავად ამისა, მაინც ქალაქში ჯერ კიდევ ბევრი ჭუჭყია. ჩემის აზრით, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ქალაქში ეხლა გაცილებით მეტი ხალხია, ვიდრე ქალაქს შეუძლიან დაიტოს. მიუხედავად ამისა, ზომეზობა მიღებული ქალაქის გასასუფთავებლად და ისიც თანდათან სანიტარულ სახეს იღებს.

გარეგნულად **ქალაქს უკვე სავსებით რუსული სახე მიუღია**. ქუჩები რუსულად არის **გადანათლული**; მაღაზიები, რომელთა რიცხვიც დღითი – დღე იზრდება, რუსული წარწერებით არის.

ერთის სიტყვით, ქალაქს გარეგნულად სავსებით რუსული ხასიათი აქვს. რაიცა შეეხება მცხოვრებლებს, უმრავლესობას ბერძნები და თურქები შეადგენენ. შეძლებული ნაწილი თურქებისა, რა თქმა უნდა, ოსმალეთის ჯართან ერთად წასულა. ღარიბი ნაწილი კი დარჩენილა. ქალაქების კავშირის ფურნესთან ყოველ დღე შეჰხვდებით ამ ღარიბ ბერძნებსა და თურქებს, რომლებსაც გამომცხვარ პურს ურიგებენ.

**ქართველები აქ ცოტანი ყოფილან წინად.** ახლა კი მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. მოდიან როგორც მუშები, ისე კომერსანტები და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავენი. მუშებს ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ ცხოვრება. არავითარი განსაკუთრებული ზედამხედველობისა და მფარველობის ქვეშ არ არიან. სწორედ ამიტომაც დაიბადა აზრი **ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ფილიარული განყოფილების დაარსებისა.** როდესაც გამოირკვევა, როგორ შეხედავენ ამ საკითხს ადგილობრივი სამხედრო წრეები, სათანადო შუამდგომლობა აღიძრება. მაგრამ, ამასთანავე ერთად, არ შეგვიძლიან არ დავუმატოთ, რომ ტრაპიზონში მხოლოდ მოსული ქართველები არიან. **მაჩვენეს მხოლოდ ერთი ლაზი, რომელიც კარგად ლაპარაკობს ქართულად** და ჩვენი ქვეყნის ავ – კარგიც ეინტერესებაო.

**ლაზისტანი კი ნამდვილად რიზემდის მიდის.** ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება თავის განყოფილებას რიზეში გახსნის და მოქმედებასაც იმდენად გააცხოველებს, რომ ცოტაოდნად მაინც შეიტანოს **ქართული შეგნება.** უნდა აქვე დავუმატოთ, რომ ტრაპიზონში მუშაობენ ბერძნული და სომხური კომიტეტები, რომელნიც საკმაოდ დიდს სამსახურს უწევენ ბერძნებსა და სომხებს. რატომ არ შეიძლება ასეთივე **კომიტეტი დაარსდეს ქართველებისათვის რიზეში?** მხოლოდ ამ საკითხს ხერხიანად უნდა მოვლა. ლაზისტანში ქართული შეგნების გასავრცელებლად, ჩემის აზრით, ისეთი ელემენტი უნდა გამოიგზავნოს, რომელსაც ადვილად შეუძლიან დაიმსახუროს მათი ნდობა. ჩვენი საკუთარი წრიდან გამოსული ელემენტი ამისთვის ვერ გამოდგება.

ჯერჯერობით წერილს ამით ვათავებ. დავუმატებ მხოლოდ, რომ **ადგილობრივ რუსულ გაზეთში** სრულიად მოულოდნელად და თითქოს უმიზეზოდაც უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა წერილი, სადაც ის **აზრი არის გატარებული, რომ ქართველებს არასოდეს არაფერი საერთო არაჰქონათ ტრაპიზონთანაო.** ვინ იცის, იქნება ეს წერილი იმითაც არის გამოწვეული, რომ ტრაპიზონი თანდათან მეტსა და მეტს ქართველს იზიდავს? ნაადრევი შიშია, მაგრამ დამახასიათებელი.

ქართული გაზეთებიდან მოდის „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“ და „თანამედროვე აზრი“.

ტრაპიზონი. 31 დეკემბერი.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. № 783.

### **„ბ.ვ.“**

#### **ჭოროხის იქით მდებარე რაიონი და ტრაპიზონის ვილაეტი**

ჩვენი ტერიტორია შავი ზღვის კიდეზე პირდაპირ მოსაზღვრეა **ტრაპიზონის** ვილაეტისა; იქვე, **ბათუმის** გვერდით. ზღვას მდინარე **ჭოროხი** ერთვის, რომელიც ჩვენ საზღვრებში შემოდის არზრუმის ვილაიეტიდან მოსაზღვრე სოფელ **ორჯიხისთან.** პატარა მანძილი ჭოროხსა და ჩვენს საზღვარს შორის იწოდება ჭოროხს იქით მდებარე მხარედ და ამ რაიონში უკვე მოხდა რამდენიმე შეტაკება ოსმალეთთან.

ჭოროხს იქით მდებარე მხარე წარმოადგენს საუკეთესო და ულამაზეს კუთხეს მთელ კავკასიისას. აქ მდებარეობს უზარმაზარი მთაგრეხილები მრავალრიცხოვან მწვერვალებით. აქ მუდამ თოვლია, ქვემოთ კი მუდამ მწვანე გაზაფხული. პატარა ნაჭერი მიწისა კი შავი **ზღვის ნაპირას, სიგრძით დაახლოებით 25 ვერსი, იმდენად საუცხოვოა, რომ შავი ზღვის კიდის მარგალიტად ჩაითვლება;** აქ ყველაზე უკეთესად ხარობს ფორთოხლისა და ლიმონის ხეები რომელნიც ყოველი ადგილობრივი მცხოვრების ეზოს ამშვენებს. ასეთივე ხასიათის ადგილები მდებარეობს ჩვენი საზღვრების იქეთაც.

იქვე, ჩვენი მოდარაჯე პუნქტის იქეთ, სოფელ და პატარა მდინარე **ლიმონთან**, იწყება ტრაპიზონის ვილაიეტი. იგი შეფარდებით ვიწრო ნაჭრადაა გაგრძელებული ზღვის პირას; მცირე აზიის დანარჩენ ტერიტორიიდან გამოყოფილია **პონტოს მთებით**.

უმთავრეს ნაწარმოებად, ხორბლისა და ბრინჯის გარდა, არის ფორთოხალი, ლიმონი, თხილი, ვაშლი და სხვა ხილეულობა, რომელიც განსაკუთრებით მრავლადაა მოშენებული **სამსუნის** სანჯაკში. აქ სთესენ სახელგანთქმულ ოსმალურ თამბაქოს ორ ჯიშს: **სამსუნისას და ტრაპიზონისას**, რომელიც შეაქვთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ყველა ნაწილებში. აქვე მოიპოვება აუარებელი ხე – ტყე, ვერცხლი, ტყავეულობა, ნახირი, რომელსაც ასე ათასობით ერეკებიან **სტამბოლისაკენ**. მთელი ნაპირები ვილაიეტისა და შემდეგ კი კიდე **იჯენბურუნის** კონცხამდე სამსუნს იქეთ დაცული ჩრდილო – აღმოსავლეთის ქარებისაგან კავკასიონის ქედით, და აქ ჰავა უფრო თბილია, ვიდრე დასავლეთის კიდე მცირე აზიის სანაპიროებისა.

სანაპიროს ხაზი ბევრგან დაკლავნილია და ამიტომ ბევრგან ვხვდებით ყურეებსა და ნავთსაყუდლებს, როგორც მცირეს, ისე დიდებსაც; უკანასკნელთაგან ყურეებია, **რიზესთან**, ტრაპიზონთან, ტრიპოლისთან, ორდუსთან... აგრეთვე კონცხები: **ვონა, ესპირა, სურმენი, კერსუნდა, ფაცა, უნია, სამსუნი, ადოჩანა**. ამ კონცხისთანა სანაპიროებზე ყურეები და ნავთსაყუდელები, აგრეთვე, ბევრია კიდევ სხვა ადგილებშიაც. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი კიდისაკენაა. მოჰყუნულია სანაპიროებისაკენ და აქ მდებარეობს ბევრი პატარა და დიდი სოფელი, აგრეთვე, ნავთსადგურებიანი ქალაქებიც.

ადმინისტრაციული მხრით ტრაპიზონის ვილაიეტი გაყოფილია შემდეგ სანჯაკებად: **ლაზისტანისა, გუმუშხანე და სამსუნისა**. მიუხედავად სივიწროვისა, სამსუნი ყველაზე უფრო უკედაა დასახლებული. აქ ითვლება მილიონზე მეტი მცხოვრები. მცხოვრებლებს შეადგენენ მართლმადიდებელი ბერძნები 193,000 – მდე, სომხები – 40,000, მაჰმადიანები – 80,000 – მდე, მეტი. ტომობრივის მხრით მაჰმადიანები ერთფეროვან მასას არ წარმოადგენენ, პირიქით, შეიცავენ ბევრს და სხვადასხვა ტომს. უპირველეს ყოვლისა, მაჰმადიანებია ლაზისტანის მცხოვრებნი – **ლაზები, ქართველ-მეგრელების მონათესავე ტომი**; მათი რიცხვია დაახლოებით 160,000. შემდეგ მთელ ვილაიეტში, სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი **ჩარჩამბაში**, სცხოვრობენ **ჩერქეზები** – 65,000 სულზე მეტი, შემდეგ არიან: სომხები – მაჰმადიანები, ეგრედწოდებული **ხემშილები**, რომელნიც უმთავრესად გუმუშხანეს სანჯაკში სცხოვრობენ; შემდეგ მოჰყვება გაოსმალელები ბერძნები და სხვა **ქართველი ტომები**. ცალკე სცხოვრობენ ეგრედ წოდებულნი **კრომლისები**, ქსენოფონტის დროინდელი გაოსმალელები ბერძნების შთამომავლები და სხვა. ბერძნები და სომხები უმეტეს ნაწილად სცხოვრობენ ქალაქებში და სანაპიროებში, მაჰმადიანები კი მიწის მეურნეობას მისდევენ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ ვილაიეტის მთის მადნეულობა. ტრაპიზონის სანჯაკში, მაგალითად, **21 მადაროა ვერცხლისა და ტყვიის, 34 სპილენძისა, 2 შავი ქვისა, 10 რკინისა და 2 ქვანახშირისა. გუმუშხანეში არის 37 მადარო ვერცხლისა, ტყვიისა და სპილენძისა**. სამსუნის



სანჯაკში ერთი მალარო ვერცხლისა, ტყვიის და შავი ქვისა. ლაზისტანის სანჯაკი ძალიან მდიდარი სპილენძის მადნეულობაა, რუსეთის საზღვრის მახლობლად. საოცარია სწორედ, რომ ჩვენს მრეწველებს დღევანდლამდე ყურადღება არ მიუქცევიათ ამ მეზობელ ვილაეტისათვის, რომელიც ასე მდიდარია ვერცხლისა და სპილენძის მადნეულობით. ზღვის პირის მოსახლეობა საუცხოვო ნავოსნები და მეზადურები არიან. ესენი, აგრედვე, ჩინებული ხელოსნები არიან გემების აშენებაში და თავისი ფელუკებით ავსებენ კავკასიის სანაპიროებს. იმათ თითქმის მთლად განდევნეს რუსი მენავეები და მეზადურები. უმთავრესი ნავთსადგური არის **ტრაპიზონი** და **სამსუნი**, რომელთაც თითქმის თანაბარს მნიშვნელობას აძლევენ. მერე უნდა ჩაითვალოს **რიზე**, **ტრიპოლი**, **კერასუნდი**, **ორდუ** და **უნია**.

ამგვარად, მჭიდროდ დასახლებულს, შედარებით პატარა ტრაპიზონის ვილაიეტს, მცირე აზიის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს – **ძველისძველი საქრისტიანო ქვეყანაა**. რაც იგი ოსმალეებს ჩაუვარდათ ხელში, მოსპეს ყოველივე ძველი და ახალიც ბევრი არაფერი შეუტანიათ. რიგიან მართვა – გამგეობის დროს, ქრისტიან ხალხის ხელში, ეს მდიდარი კუთხე გადიქცევა მეტისმეტად ნაყოფიერ და ცოცხალ ნაწილად შავი ზღვის ოლქში.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914 წ., № 144.

### **ნესტორ მიქელაიშვილი წერილი ტრაპიზონიდან**

25 აპრილს წმ. გრიგოლის ტაძარში ქართველობამ გადაიხადა პანაშვიდი სრულიად იმერეთის **მეფე სოლომონის** სულის მოსახსენებლად და გადავიღეთ სურათი განსვენებულ მეფის ძეგლთან. როგორც ყველას მოეხსენება მეფე სოლომონ განისვენებს ტრაპიზონში. მეფის ძეგლს შემდეგი წარწერა აქვს ქართულად:

**„განმეძარცვა მე პირველი ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და გდებული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი, მე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაცა ვთხოვ ყოველთა მიერ შენდობასა ფებერვლის ზ. ეკს. ქეს. აქთ. ჩ. ყ. ი. ე (1815).**

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. № 66.

### **ივ. ესიკაიშვილი პროვინციის ცხოვრება**

ქ. ტრაპიზონი. 27 ნოემბერს ქ. ტრაპიზონში, ბერძენთა მიტროპოლიტის საკათედრო ტაძარში, სადაც სოლომონ მეფის სასაფლაოა, რამოდენიმე პირთა ინიციატივით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქართულ ენაზე, ქართველი მწერლის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო. წირვა შეასრულა მღვდელმა ბერძენმა მე – 393 სამხედრო გოსპიტალისა, იოანნე დამიანის ძე დამიანოვმა. იგალობა ამ დღისათვის საგანგებოდ შემდგარმა ქართულმა ხორომ, სტ. **ლავრენტი მამინაიშვილის** ლოტბარობით. გალობამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართველი საზოგადოება ბლომათ დაესწრო. სიტყვა არაფერი თქმულა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. აქვე მოგროვდა ფული საეკლესიო ხარჯების გასასწორებლად, რომლიდანაც ხარჯებს გადარჩა 15 მანეთი. გამოითქვა აზრი დარჩენილი ფულის რომელიმე კულტურულ

მიზნისთვის გადაცემისათვის და რადგან დამსწრეთ თანხა ეცოტავათ, ხელათ აღმოჩნდა მსურველები, რომლებმაც დაუმატეს 216 მანეთამდე და გადასწყვიტეს ეს ფული გადასცენ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1916, № 273.

**იაძე**  
(უცნობი ფსევდონიმი)  
**ბათომიდან ტრაპიზონამდე**  
(დასასრული)

ოფა უფრო საბაზრო სოფელს ანუ უკეთ ვსთქვავთ, ბაზარს წარმოადგენს, ვიდრე ქალაქს. ზღვის ნაპირას გაშენებულია ორ ქუჩაზე დუქნები, ჯამე და სასტუმროები. ოფას ნავთსადგური სრულიად არ აქვს. ზღვა აქ ყოველთვის ღელავს და მოსვლა შეიძლება მხოლოდ მშვიდობიან დღეს. თუ, მიუხედავად ამისა, ქალაქს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს აიხსნება იმით, რომ აქედან სწარმოებს ვაჭრობა და ყველაფრის გზავნა – მიღება მდინარე სუოკალას მჭიდროდ დასახლებულ ხეობაში. ამავე ხეობით მიდის გზა ბაიბურთისაკენ.

სუოკალას ხეობა სწორედ საუცხოვოა თავისი სილამაზით და მოსავლიანობით. სამწუხაროდ, იქ საცა უნდა ხარობდეს საუკეთესო ხეხილი და ყურძენი, დღეს მხოლოდ სიმინდს სთესავენ და მხოლოდ თხილი მოჰყავთ. ხარები აქ არ მოიპოვება. ცხენები მხოლოდ მდიდრებს ჰყავთ და მიწას თავისებური ორთითით ბარავენ. მუშაობენ ქალები. კაცები კი მათ მწყეცვენ, არავინ აწყენისოსო. ასე იყო წინად, ასეა დღესაც.

მდინარე სუოკალაზე ჩემი ყურადღება მიიპყრო რომაულმა დულაბის ხიდებმა. ამ ხიდებს აქ ქართულ ხიდებს უძახის მოსახლეობა და ამავე სახელს უწოდებს ამ რიგის ხიდებს ყველა ტრაპიზონამდე.

ჩემ შევითხვავა ერთმა თურქმა ამიხსნა: აქ წინად ქართველების ჯარს გამოუვლია, იმით გაუკეთებიათ და აქამდის დარჩენილაო. ასეთი ხიდები, რასაკვირველია, ცოტა და უფრო ხშირად თურქები აკეთებენ მეტად თავისებურ კრამიტით დახურულ ხის ხიდებს.

ქალაქი ოფა ბრძოლით არის დაჭერილი და ბევრი სახლი ზარბაზნითაა დანგრეული. დუქნები და სახლები სულ დაცარიელებული და დამტვრეულია.

მცხოვრებლებს რაც მოუსწრიათ, მთებში, იაილებში წაუღიათ.

ოფიდან სურმენემდე, ესე იგი, კარადერეს ხეობამდე, ჯარი ბრძოლით მიდიოდა და ნაპირებზე მდებარე სოფლები სულ დაცლილია მცხოვრებელთაგან. აქედან სურმენემდე სულ 3 სოფელი და ერთი ქალაქია. მივდივარ ცხენით.

სოფლები სარღონი, ივიანი და მადნა აკვირებს ადამიანს ფორთოხლების საუცხოვო ბაღებით და ხომალდებით. ნაპირებზე წამდაუწემ ხვდება ადამიანი ან ფელიუკას ან დიდ ხომალდს ნაპირზე ამოთრეულს და ჯაჭვებით მიბმულს. ზოგი სულ ახალია, ზოგი შენდება, ზოგი კარგია, მაგრამ ყუმბარას გვერდი გამოუნგრევია. ზოგი სიძველისაგან იშლება. ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, სიმრავლე მიტოვებული ბაღებისა. ცხადად ეტყობა, რომ მცხოვრებლები ნაოსნობითა და თევზაობით ირჩენენ თავს. სახნავ – სათესი ადგილი ცოტაა. სახლში დარჩენილი ქალები გვიმტკიცებენ, რომ ზღვის ღორის ზიპი ქონი მათ მრავლად ჰქონიათ.

აქ უკვე არავინ ამბობს, ლაზი ვარო, მაგრამ ლაზური მახსოვსო.

ოფიდან 15 ვერსზე გაშენებულია ქალაქი **ხუმურგანი**. ქალაქის ერთი ნაწილი ყუმბარებისაგან დანგრეულ – გადამწვარია. მცხოვრებლები სრულიად არ არიან. ყველა კარი და დუქანი ღიაა.

აქ ერთადერთი გზა ზღვის ნაპირია. მცხოვრებლები, სჩანს, ნავითა და ფელუკებით მგზავრობდნენ. გავიარეთ პაწაწა სოფელი, მდინარე **კარა – დერეს** ჭაობები და შევედით დაბა **სურმენში**.

დაბა სურმენე ნავთსადგურია **მდინარე კარა – დერეს** ხეობისა, გაშენებულია მხოლოდ ბაზარი, სახლები მეტად ცოტაა.

ზაფხულობით სრულიად ცარიელდება. აქ იყო უსასტიკესი ბრძოლა, რომელმაც გადაწყვიტა ტრაპიზონის ბედი.

საუცხოვოა აქაური დიდი ჯამე, რამდენიმე ალაგას ყუმბარით გახვრეტილი.

სურმენედან 1<sup>1/2</sup> ვერსზე მდებარეობს სოფელი – კურორტი **არაკლი**. აქ ყოფილა სასამართლო, ბანკი და სხვა დაწესებულებანი. მდებარეობა საუცხოვოა, ჰავა მშვენიერი და ბუნებაც საუკეთესო.

როგორც ამიხსნეს, სიტყვა **სურმენე** ნიშნავს დიდებულებას. ეს სახელი საერთოა მთელი ყურესთვის სოფელ **სარღონიდან არაკლიმდე**. ეს სახელი უწოდეს იმიტომ, რომ ქალაქ **ხამურგინთან** ცხოვრობდა ერთ – ერთი ფადიშაჰთაგანიო. ის აქ მადნეულ წყალს სვამდაო. ქალაქ ხამურგინთან, მართლაც, არის მადნეული წყარო, რომელსაც დიდი გასავალი აქვს მთელ ოსმალეთში.

კერძოდ კი სახელს **სურმენს** უწოდებენ **არაკლი ბაზარს – ყარადერეს** საზღვართან შესართავ დაბლობში მდებარე ბაზარს ჯამეთი. უწოდებენ იმიტომ, რომ ჯამე აშენებულია ფადიშაჰის მიერ თავის სახელით.

**სურმენეს მიდამოები და კარა – დერეს ხეობა განთქმულია თხილის სიმრავლით**. მთის კალთები ერთობად თხილით არის დაფარული და მოსავალიც კარგი სცოდნია. აქაურ საწყობებში საინდენდანტო უწყებამ რამდენიმე ათასი ფუთი თხილი იპოვა. რამდენიმე წაიღო მიმავალმა ჯარმა. ხომ ძნელი დასათვალია, და მაინც კიდევ ბევრი აქვს მცხოვრებლებს. წელსაც თხილის მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ მომკრეფი კი აღარავინ არის, გარდა ბერძნებისა, რომლებიც დატოვებულ ადგილებს დაეპატრონენ.

საერთოდ აღსანიშნავია **ბერძნების უგვანო საქციელი**. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთაგან დიდი უპირატესობა ქონდათ მინიჭებული და შედარებით კარგ განწყობილებაში იყვნენ მათთან, ყველაფერი დაივიწყეს და როგორც კი წავიდა ჯარი, ოსმალთა **დატოვებულ და დაუტოვებელ ავლადიდებას შეესივნ და დაიტაცეს**. **ტრაპიზონში კი სანამ რუსის ჯარი შევიდოდა, ოსმალების ჟლეტაც დაიწყესო**. ყოველი სახლი და დუქანი ბერძნებმა დაისაკუთრეს, და ადამიანზე ეხლა ტრაპიზონი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ოსმალების აქ არა ყოფილა – რაო.

ტრაპიზონში მისვლისას ადამიანის ყურადღებას იზიდავს, უპირველეს ყოვლისა, **ფრიალო კლდის შუაზე მიწებებული სომხების თეთრი მონასტერი**, და შუა ქალაქში დიდრონი კვიპაროსები.

საერთოდ კი უნდა აღვნიშნო, რომ თვით ქალაქი არც ისე ლამაზია, როგორც აქებენ და წამეკითხა. **რიზე, მაგალითად, თავისი მდებარეობით ბევრად უფრო ლამაზია**.

მისვლისთანავე გავემართე მეფე **სოლომონის საფლავის სანახავად**.

საფლავზე გუმბათის ქვეშ ბავშვები კენჭაობდნენ. გუმბათი ოდესღაც მოხატული და წარწერებით დაფარული ყოფილა. **დღეს წარწერებიც და მოხატულობაც სანახევროდ ჩამოცვივნილა**.

უნებლიედ გავჩერდი და წარწერებს დავაკვირდი.

**„განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემული საფლავსა ამასა შინა ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონ, ძე არჩილისა, სრულიად**

იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისცა ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობას. თებერვლის ს, ჩყიე (1815).

გამახსენდა დაჭრილი ჯარისკაცები ლაზარეთებში, საცა არვინ იყო, მათთვის წაეკითხა სახლიდან მოსული ან დაეწერა სახლში გასაგზავნი ქართული წერილი. იქ კი, შორს, სწუხდნენ სიმშობლით შეწუხებულნი მათი ოჯახნი. გამახსენდა აოხრებული აჭარა და ერთობ დამშეული სამშობლო, გამახსენდა ჩვენი აწმყო და წარსული. უკანასკნელი ლამაზი და თამამი შებრძოლება ღონიერ არწივთან მარდი, პატარა მამაცი შევარდნისა. ძლეული იქმნა სამშობლო, თავისუფლების მოყვარული სოლომონ და გაიქცა...

სადღაც შორს, სამშობლოს დაშორებული, ის მისი საფლავი, გვაგონებს: „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი შევნიერება და შიშველ და კლებულ მდებარე ვარ საფლავსა ამასა შინა“...

ჩვენც, ჩვენც ხომ „განგვეძარცვა პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება!“ აქ, ცივ ლოდთან მთელის ჩემის არსებით ვიგრძენი, რომ შიშველ და კლებული ვართ ჩვენ დღეს ამ ქვეყნად...

ბავშვები გაკვირვებით შეჰყურებდნენ ჩემს ცრემლებს. გაკვირვებითვე მიცქერდა ბერძენი ბერი.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 605.

**ჩილდირის, არბანუჯის, ფოცხოვის, აზრუმის მისადგომების  
ქრონიკები სტამბოლის ქართული საჰანის  
ა რ ე ი ვ ი დ ა ნ**

---

**ოტია ათაბაგი  
ჩ ა ლ დ ი რ ი (ჩილდირი. შ.ფ.)  
თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით**

ჩალდირი შეადგენს ჯავახეთის ნაწილს. სამხედრო მთავრობისაგან მე ვიყავი დანიშნული ჩალდირში, დროებით „სამხედრო უფროსათ“, სახელდობრ სოფ. **ზურზუნაში**, სადაც უნდა გამე-ტარებია ჩვეულებრივი ცივი დიდი ზამთარი. ჩემი დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთიდან მომავალი „ნოვობრანცები“ (ახლათ გამოყვანილი ჯარისკაცი) მიმელო და მეორე დღესვე დიდი სიფრთხილით უნდა გამესტუმრებია **არდაგანში**. სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ხუთმა გუნდმა ჩამოიარა და ამის გამო უსაქმურობამ ძრიელ შემაწუხა. მისვლისთანავე მე და ჩემი მხლებელნი დავბინავდით სატუსალო კაზარმაში, სადაც ერთ ოთახში ჯარისკაცებთან გავატარე რამდენიმე დღე.

ცოტახანს შემდეგ ადგილობრივმა განყოფილების უფროსმა **პონაქიძინმა** მიმიწვია თავის ბინაში, სადაც დავრჩი წამოსვლამდე. აქ ხშირათ მაგონდება ხოლმე ძველებური ანდაზა, რომელიც ითქმის ჯავახეთზე: „**მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იყო მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა**“. სწორეთ, რომ ბზესავებრ უხვათ გვექონდა ხოლმე **შენიერი ჩალდირის ტბის კალმახი**, რადგანაც ზემოხსენებული ტბა ახლოს არის ზურზუნადან. არა მაკლდა რა, მაგრამ მოწყენილი მაინც ვიყავი, რადგანაც ვისმე რომ დავლაპარაკებოდი და ხმა გამეცა, იმასთანა არავინ იყო. კიდევ ჩემი ბედი, რომ როცა მივდიოდი ჩილდირში ქუთაისიდან, თან წავიღე ორი ქართული წიგნი: „**ქართლის ცხოვრება**“, და „**გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი**“ **ბატონიშვილი ვახუშტისა**; ეს წიგნები მართობდენ მე აქ. ჩალდირში ბევრია იმისთანა შესანიშნავი ადგილები, რომელნიც მოხსენებულია ზემო დასახელებულ წიგნებში. ამ გარემოებამ დამაყენა იმ აზრზე, რომ მენახა და ამეწერა ის ძველი საქართველოს ძლიერების ნაშთნი, რომლებიც ყურადღების ღირსია.

ჩალდირში **ორმოცდაორი** სოფელია და თითქმის ყველას ქართული **სახელები ჰქვია**. მაგალ., **წყაროსთავი, ურთა** (ორითა), **საბადური, ჭალა** და სხ. აგრეთვე, ადგილებს, მთებსა და მდინარეებს ჰქვია ქართული სახელები. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია **ჩალდირის – ტბა** (პალაკაციო). ამ ტბას ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს თავის გეოგრაფიაში **კოლის – ტბას**, და აი, ამ ტბაზე მოგიყვებით ამბებს, რაც აქ გამიგონია და ან მინახავს. ჩალდირის ტბის გარშემო სივრცე იქნება 70 ვერსზე მეტი, ძრიელ ღრმაა; იმისი წყალი ისეთი სუფთაა, რომ კიდევაც სვამენ ხოლმე. შიგ არის მრავალგვარი თევზი: **კალმახი, კობრი** და სხვ. ამ ტბას გარშემო არტყია მთები: ადმოსავლეთით – **აღაბაბის**, სამხრეთით **კოლისა**, დასავლეთით და ჩრდილოეთით თვით ჩალდირის მთები. ტბის მახლობლათ არის რამდენიმე სოფელი, სახელდობრ: **ურთა, მერედისი, ჭალა, აღჯა – ყალა, ფურუთი და ზურზუნა**, სადაც უბნის სასამართლოა. ეს სოფელი იმყოფება 6 ვერსის მანძილზე ტბიდან. აი, სწორეთ ამ სოფლიდან წავედი ჩალდირის სანახავათ დეკემბრის დამდეგს **1891 წ.**

მივედი ს. ჭალას, სადაც ღამე გავათიე და მეორე დღეს წავედი ალჯა – ყალას, რომელიც იმყოფება შვიდ ვერსზე ჭალიდან.

ახლანდელი ალჯა – ყალა შეადგენს ნახევარ კუნძულს, რომელზედაც ძველებური ქვითკირის შენობების ნანგრევებია, ე.ი. ეკლესია, კოშკები და სხ. ზოგიერთი შენობა ისეა, რომ კაცი იტყვის, სწორეთ წყლიდან არის ამოშენებულიო; ზოგი კი ისე ჩანგრეულია წყალში, რომ ძალა – უნებურათ უნდა დაიჯერო ის ზღაპრული გადმოცემა, რომელსაც ამბობენ ამ ტბაზე აქაურები. ამ კუნძულზე არის რამდენიმე ორმო, სადაც კაცი ვერ ჩავა, რადგანაც უცნაური სუნი დგას. როდესაც ჩალდირი აღელდება, წყალი ისე მიატყდება ალჯა – ყალის ნახევარკუნძულს, რომ ნახევარი კუნძულის უღელი სრულიათ ივსება წყლით. ასე, რომ ალჯა – ყალა, ტბის ღელვის დროს კუნძულათ კეთდება. ბევრი ვემიე წარწერები ხსენებულ ნანგრევებზე, მაგრამ ვერ ვნახე. იქაურობა მაშინ თოვლით იყო დაფარული. დათვალიერების შემდეგ დავბრუნდი ზურზუნას. მე მსურდა, ვინმე იმისთანა მენახა, ვისაც ტბაში ჩანგრეული შენობების ამბავი ცოდნოდა.

ამისათვის გავემგზავრე სოფ. რაბათში, რომელიც რამდენსამე ვერსზეა ზურზუნიდან. როცა ამ სოფელში შევედით, გამოცქრიალდენ ბავშვები, თამამათ გარს შემოგვერტყენ და დაიწყეს თათრულ ენაზე ტიტინი. კაცის თვალი ვერას ნახავდა მათზე უკეთესს; ყმაწვილები ერთი მეორეს ჯობდა, ლოყები ბროწეულივით წითლები ჰქონდათ, შავი თვალ – წარბი, შვენიერი შეწყობილი სახე და მასთან ტანადობა მათი სწორეთ გააკვირვებდა კაცს. ჩალდირში უმეტესათ თარაქამები არიან, თუმცა ახოვანნი, მაგრამ სახით კი უმსგავსნი და ამიტომაც გამაკვირა რაბათის ბავშვების სიშვენიერემ, რის მიზეზსაც შემდეგ გაგაგებინებთ. ყმაწვილების ყურებას რომ მოვრჩით, მახდი – ჩაფარი (ასე ერქვა ჩემ მხლებელს) გამიძღვა წინ და მიმიყვანა თავის ნათესავთან; მისვლისათანავე სახლის პატრონმა შეგვიყვანა ბნელ, მაგრამ ძრიელ თბილ გომურში, ჩექმები დაგვხადა და ყავა საჩქაროთ მოგვართვა; სანამ ყავას შევექცეოდით, სადილიც მოემზადებიათ. მასპინძელი დიდი თხოვნით მოვისვი გვერდით. საჭმელი ყველაფერი ერთათ მოგვითანეს: ყველი, მაწონი, ყაურმა, ერბო – კვერცხი, ფლავი და შარბათიც მოაყოლეს. შემდეგ წავედით იმ კაცთან, ვინც ნანგრევების ამბავი იცოდა.

იმის სახლს შევატყე, რომ იქ უნდა მდგარიყო მდიდარი კაცი; წინ მომეგება ერთი დარბაისელი მოხუცი, რომელმაც ჯერ სალამი მომცა ქართულ ენაზე და მერე მომკიდა ხელი მარცხენა მკლავში და შემიყვანა სრულიათ ბნელ სახლში, გამატარა რამდენიმე ბნელი ოთახები და ბოლოს შემიყვანა ნათელ მისაღებ – ოთახში, რომელსაც ეძახიან აქაურნი „საყონალოს“ ე.ი. სასტუმროს. სანამ მივიხედ – მოვიხედავდი, მეცენ ბიჭები ფეხებში და ჩექმები გამაძვრეს; ამის შემდეგ წინდების ამარა შევდექი მოფენილ ხალებზე. შევედი თუ არა, წინ მომეგება ძრიელ მაღალი, თეთრწვერა, ღრმა მოხუცებული ბერი – კაცი, რომელიც დარბაისლურათ მომესალმა ნამდვილი ქართული ენით და მითხრა:

– „მშვიდობა თქვენი აქ მოზრძანებაო“.

ასე რომ გავოცდი. მე როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩალდირში ქართულ ენას გავიგონებდი. მივედი მოხუცთან, ხელი ჩამოვართვი; მან მიმიყვანა გაჩაღებულ ბუხართან და რბილ ბალიშზე დამსვა. შემდეგ დაიძახა ქართულათ:

– აბა, ბიჭებო! ბატონ – სტუმარს ყავა და სადილი მოართვით.

მაგრამ როდესაც გაიგო, რომ იქვე მეზობლათ ვისადილე, ძრიელ ეწყინა და მახდის სამდურავი უთხრა:

– ჩვენ სოფელში კაცი მოვიდეს და ჩემს ოჯახში პური არ ჭამოს? ეს არ შეიძლება.

როგორც ტახტები, ისე იატაკი მოფენილი იყო ძვირფასი ხალებით, ქერებითა და ფარდაგებით. გარშემო ეწყო ჯეჯიმის დორები და მუთაქები, კედლებზე ეკიდა: თოფები, დამბაჩები, ხმლები, ხანჯლები და ერთი გარეული თხის ტყავი; ლოცვის დროს მაჰმადიანები ამ ტყავზე შედგებიან ხოლმე და ისე ლოცულობენ: ამას ნამაზლიქს ეძახიან. ბუხრის თავზე რამდენიმე სიტყვა იყო წარწერილი ყურანიდან. ბუხრის გვერდზე თახჩებში ჩაის იარაღი იყო, აგრეთვე, ყავადანიც იდგა. მოხუცებულმა გაათავა თუ არა თვისი ბრძანება, მაშინვე მომიბრუნდა ისევ და დამიწყო მუსაიფი. ჯერ გამომკითხა ჩემი ვინაობა, ან საიდან ვარ, ან რისთვის მოვსულვარ მათ ქვეყანაში, და როდესაც პასუხი მიიღო, მაშინ კი მოჰყვა თავის ამბავს:

– „ჩვენ ძველათვე ქართველები გახლავართ, ჩემ ძველს სისხლი მართებია გორში და ამის გამო მიუტოვებია თავისი სამშობლო და გადასახლებულა ჯავახეთის ახალქალაქში, რომლის ერთ უბანში, სახელდობ, რაბათში დაბინავებულა. რადგანაც თათრობამ მამაჩემს ძალა დაატანა, ამისათვის იძულებული იყო მაჰმადიანობა მიეღო და კიდევაც გათათრდა ახალქალაქში. გვარი კი შეგვრჩა მხოლოდ ქართული და სახელები ყველას თათრული გვაქვს. ჩვენი გვარი ხახალაშვილი გახლავს, და ჩემი სახელი კი დადა არის. ჩემს გარდა, მამაჩემს დარჩენ შვილები: სულია, ემინა და ისკანდერა. მამაჩვენს კი ხალილა დაარქვეს, როდესაც გაათათრეს.

რუსები რომ მოვიდნენ 1807 – ში ახალქალაქის ასაღებათ, მე მაშინ კარგა მოზდილი ბიჭი ვიყავი, ასე რომ რაბათის თავდადმართში, იქ სადაც ძველი ქართველების სასაფლაოა, ორ მტერს ქვით გაუუტეხე თავი. მტრები მაშინ ძლიერ დავამარცხეთ, ასე რომ კარგა ხანს ახსოვდათ ეს დამარცხება და კიდევაც ცდილობდნენ სამაგიერო გადაეხადათ. 1810 წ. ასტეხეს რუსებმა ბრძოლა, მაგრამ ბევრი მაინც ვერა გაიტანეს – რა.

ოსმალეთმა ამაყოფა დაიწყო და ეგონა მუდამ უძლეველი დარჩებოდა, მაგრამ ეს აზრი შეეცვალათ თათრებს, როდესაც 1828 – ში პასკევიჩმა დაამარცხა ჩვენი ჯარები. მე მაშინ მოღერებული ვაჟკაცი გახლდი და თუ ვინმე იყო ბრძოლაში მხნე მეომარი, მეც მათში პირველი ადგილი მეჭირა. როდესაც გათავდა ომი, პასკევიჩმა შეგვაგროვა მთელი ჯავახეთის მკვიდრნი და დიდ ტრიალ მინდორზე გაგვიყვანა. შემდეგ ერთ მხარეს ე.ი. მარჯვნივ დააყენა რუსების მღვდლები ხატებით და დიდკაცობა ბაიარალებით, მარცხენა მხარეს დააყენა მოლები, თათრის დიდკაცობა და ბაიარალები. მერე გაბრძანდა შუაზე და წარმოთქვა ხმამაღლა: – ჯავახელებო! ვისაც გასურთ აქ დარჩენა, გადით მარჯვნივ და ვისაც გასურთ სათათრეში წასვლა, გადით მარცხნივ.

– ყველას გვინდოდა იქვე დავრჩენილიყავით; მაგრამ მოლებმა ტირილი შექმნეს, როდესაც შეგვატყვეს, დარჩენა რომ გვინდოდა. გადავხედეთ თუ არა მოტირალ მოლებს, შეგვრცხვა მათი და ამის გამო უმრავლესობა თათრობა გადვიდა მოლებისკენ. რამდენიმე ნაწილი დარჩა იქვე, მაგრამ პასკევიჩმა შემდეგში აზრუმის სომხები დაასია კალიასავით და თათრობა ძლიერ შევიწროვდა. ასე რომ, წუხდნენ კიდევ იქ დარჩენას. რომ ეს არ ექმნა პასკევიჩს, სრულიათ ჩვენ გულში არ გვექონდა სამშობლოს დატოვება. მას თურმე სხვა განზრახვა ჰქონდა გულში: ჩვენი წასვლა და ჩვენ ნაცვლათ სომხების ჩამოსახლება აზრუმიდან.

– ჩვენ ხახალაშვილები, რადგანაც დაჯილდოებული ვიყავით ოსმალებისაგან, აღარ დავრჩით იქ და გადმოვესახლეთ აი, ამ სოფელში, რომელსაც დავარქვით ჩვენი რაბათის სახელი. ვინცაა აქ, ყველა ხახალაშვილები ვართ. ძველი კაცები ვინცა ვართ, ყველამ ვიცით ქართული ენა და ახალგაზდობა კი ვაჭრობაში სწავლულობენ ქართულს.

ასე დაასრულა დადამ ეს ამბავი და მართლაც, კაცი რომ დაუკვირდეს ხახალაშვილებს, არავითარი ცვლილება არ არის მათსა და ქართველებს შორის; მხოლოდ ესენი უფრო ახოვანი არიან ქართველებზე და უფრო მშრომელნიც. მეურნეობა და საქონლის მოშენება არის მათი

უმთავრესი ხელობა. მათი ქალები, სიმშვენიერეს გარდა, ჩინებული ხელსაქმის მცოდნენი არიან. ქსოვენ: ხალიჩებს, ფარდაგებს, მაფრაშებს, ბალიშის პირებს, ხურჯინებს, შალებს და ქეჩებსაც თელენ. ერთი სიტყვით, ჩალდირში რაბათის ქალიც და კაციც მოსაწონი არიან.

ჩვენი ვინაობის გაცნობის შემდეგ დადას ვთხოვე, რომ ჩალდირის ტბის ამბავი ეამბნო.

– თუ გნებავთ რომ ეს ამბავი გაიგოთ, აბა, ყური დამიგდეთ, – თქვა დადამ, დაისვა წვერზე ხელი და მოყვა ქართულათ.

ჟურნალი „კვალი“, № 29, 1896 წელი.

### **ოტია ათაბაგი ჩალდირი თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით (შემდეგი)**

მეხუთე თუ მეექვსე საუკუნეში იქ, სადაც დღემდე იმყოფება ჩალდირის ტბა და **ალჯაყალის** ნახევარკუნძული, იყო გაშლილი დიდი ჭალა, რომელზედაც გაშენებული იყო შვენიერი ქალაქი; ამ უკანასკნელს უნდა რქმეოდეს **ჭალა – დიდი** და ცვლილების გამო **ჩალდირი** დაერქო. ეს ქალაქი იმით იყო შესანიშნავი, რომ აქ იმყოფებოდნენ საუკეთესო ხელოსნები, რომლებიც ყველგან ავრცელებდნენ თავის ხელობას. როგორც ამ ქალაქის, ისე მთელი კუთხის ბატონი ყოფილა ერთი ვინმე ქართველი თავადი, რომელსაც დიდი გავლენა და სახელი ჰქონია უცხო ქვეყნებში ჭკუითა და ვაჟკაცობით.

იმ დროს ეს თავადი ემორჩილებოდა ქალაქ **ანის მეფეს**, რომელიც იყო მაშინ კერპთთაყვანისმცემელი და დიდათ მოჰქონდა თავი. **ჭალა – დიდი**ში თუმცა მდინარე არ ყოფილა, მაგრამ მის ნაცვლათ ყოფილა ერთი დიდი უზარმაზარი აუზი, რომელშიც ჰქონდათ თავი მოყრილი მრავალ წყაროებს. ამ დიდს აუზს ჰქონდა გაკეთებული ჭახრაკით ღარი და როცა წყალი დაჭირდებოდათ, მაშინ ღარის ჭახრაკს მოუშვებდნენ და წყალი გადმოდიოდა რამდენიც სურდათ. ამ ქალაქის თავადს ჰყავდა ორი ქალ – ვაჟი, რომლებსაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. როდესაც ვაჟი მოიზარდა, მამამ უთხრა თავის შვილს:

– „წადი, შვილო! სოფელი გონიერია, გაიცანი ქვეყნები, შენი თავიც გააცნე, ან იშოვე რამე და ან დაჰკარგე.

გამოაწყო შვილი დიდებულათ, აახლა რამდენიმე ასი კაცი თვისი სურსათით და გაისტუმრა სახელის მოსახვეჭათ. ორი წელიწადი გაატარა ყმაწვილმა გარეთ და სულ გამარჯვების ამბები ესმოდათ მშობლებს. ამის გამო ყმაწვილის მოყვარული და ხშირად გადიოდა დიდ აუზთან, თან ბანაობდა ხოლმე და თან **ძმის გამარჯვებაზე ლექსებს თხზავდა** (ეს ლექსები დღესაც ახსოვთ ჩალდირში). ერთხელ, როცა თავადის ქალი იყო წასული საბანაოთ და სიმღერით იყო გართული, უეცრათ მოიჭრენ მოახლე ქალები და მოახსენეს ძმის მობრძანება.

სიხარულით აღტაცებულმა დამ ჩაიცვა საჩქაროთ და ჭახრაკის დაკეტვა კი დაავიწყდა. დიდი ხნის მოგროვილმა წყალმა ერთბაშად იგრიალა და უეცრათ დაჰფარა იქაურობა.. თუმცა გონს რომ მოვიდა თავადის ქალი, კაცები გაგზავნეს, მაგრამ რას უშველიდნენ, წყალი თან და თან მატულობდა. ასე რომ ძლივს თავი გადაირჩინეს დახჩობიდან. ამ გვარათ, ამისთანა დიდებული ქალაქი თავისი მომეტებული მცხოვრებლებით იქცა ტბათ; ამ ქალაქის ნაწილია დღევანდელი **ალჭა – ყალა**, სადაც ზემო ხსენებული ნანგრევებია.



თავადმა ძლივს გაასწრო თავის ცოლ – შვილით დახჩობას და დაესახლა იქ, სადაც არის დიდი უძველესი ციხე „ქაჯთა ციხე“ ანუ თათრულათ „შაითან – ყალა“, რომელიც თქვენ დღესვე ნახეთ და კიდევაც დაწვრილებით გაიმბობთ იმის ამბავს თავიდანბოლომდე. ძველი კაცები იტყოდნენ ხოლმე: როდესაც ტბას გაყინავდა, ყინულის ქვეშ შენობები ჩანდნენ და მათ შორის ერთი უდიდესი იყო, რომელსაც თავზე მჭვინავი რამ ჰქონდაო; მათ ეგონათ, რომ ეს ეკლესია იყო ჯვრით. მეთევზეები დღესაც პოულობენ ხოლმე წყალში ოჯახის ავეჯეულობას.

## II

გაიარა ერთმა საუკუნემ მას შემდეგ, რაც ჩალდირი დაილუპა წყალში და ამის გამო ქაჯთა – ციხეს დასახლებულმა თავადის მოდგმამ უარჰყო ანის მეფის მორჩილება და ბეგარის მიცემა. თავადის ამნაირმა ქცევამ გააჯავრა ანის მეფე, შთამომავლობით სპარსი, რომელმაც გამოგზავნა თავისი სარდალი დიდძალი ჯარით; ეს ჯარი შემოერთა ზემოხსენებულ ციხეს. მხნე ქართველები ისე გაუმაგრდნენ მტრებს, რომ შახთან – შახი (სპარსეთის სარდლის სახელია) ძლიერ დაღონდა და არ იცოდა რა ექნა. დიდ ხანს ცდილობდნენ ციხის აღებას, მაგრამ ვერა მოახერხეს – რა. ძველათვე ნათქვამია: „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, სწორეთ ასე მოუვიდათ ქართველებს.

როდესაც შახთან – შახი ცხენზე მჯდომარე ათვალიერებდა ხოლმე თავის ჯარებს, რაღაც ეშმაკათ, მას თვალი მოჰკრა ქართველთა თავადის ცოლმა და ძრიელ მოეწონა თურმე. დაიკრა ქალმა გულზე ხელი და თქვა:

– „ღმერთმა ნუ ქნას, თუ შახთან – შახი ჩემი ქმარი არ გამხდარიყოსო“. მერე შეუდგა შეჩვენებული ქალი ქმრისა და სამშობლოს ღალატს. ეშმაკისაგან დაძლეულმა ქალმა მიწერა შახთან – შახს, რომ შენმა სიშვენიერემ ყოველივე დამავიწყა და თუ ცოლად შემირთავ, ჩემ ქმარს მოაკვლევინებ, მაშინ იცოდე ციხეს აგაღებინებო.

შახთან – შახს, რასაკვირველია, გაეხარდა ამ წერილის მიღება და თანხმობის პასუხი შეუთვალა. ქალმაც აცნობა ყოველივე საიდუმლო. ერთი დღე, ქართველებს უეცრათ დაესხნენ მტრები, დილა იყო და დარაჯებმა ვერც კი გაიგეს მტრის შემოპარვა; ქართველები სულ ერთიანად შემუსრეს. ამ დროს წყეული დედაკაცი ხელეგამილილი მიეგება შახთან – შახს და უპირებდა გარდახვევას და ტრფილს, მაგრამ შახთან – შახმა იმისთანა მრისხანე სახით შეხედა მოღალატეს, რომ ქალმა მაშინვე იგრძნო სწორეთ, მოვტყუვდიო და გული წაუვიდა. შახთან – შახის ბრძანებით ქალი მოაბრუნეს და შემდეგ შახმა გამოუცხადა:

– როგორც შენ უღალატე შენ პირველ ქმარს, ისე მეც მიღალატებო.

უბრძანა მხლებლებს, რომ ცხენის კუდზე თმით გამოეზათ და ისე გადაეგდოთ კლდეზე. ბრძანება მყისვე აღასრულეს და შეჩვენებული დედაკაცი სააქაოთაც წაწყდა და საიქიოთაც. ამგვარი დასჯა ძრიელ მოეწონათ, როგორც ქართველებს, ისე სპარსელებსაც. შახთან – შახმა დაიმორჩილა ციხის ბატონი, დაადო ხარჯი და გამარჯვებული დაბრუნდა შინ. მას შემდეგ ამ ციხეს ეძახიან კიდევ შახთან – შახ – ყალას.

ეს ამბავი რომ გაათავა დადამ, მადლობა შევწირე. მერე მითხრა:

– ახლა წაბრძანდით, ციხე დაათვალიერეთ და შემდეგ კიდევ ჩემთან მობრძანდითო. მე მახლდა ჩაფარი და ადრინდელი მასპინძელი ქიამალა; გავუდექით გზას.

გავიარეთ ერთი ვერსი თუ არა, გამოჩნდა ქართლის უძველესი ციხე. მაგრამ ვინ მოთვლის იმ დიდებას, რა დიდებითაც არის შემკული ეს ციხე. ორ დიდ მთას შუა, სადაც გაჰყვება ჭკათ – ხევი (ჭერათხევი), არის მოვაკებული, მაღალი მთა – გორა, რომელიც პატარა ულლით დაკავშირებულია მარცხენა დიდ მთასთან. ამ ვაკეს სიგრძე ექნება 400 არშინი და სიგანე კი 146. ამ მოვაკებულ

გორას გარშემო არტყია ძრიელ ღრმა (200 საჟენამდე მიახწევს), ღარდო (оґрыбъ) და სამკუთხივ უვლის შავი წყალი. აი, ამ მიუდგომელ ადგილზე დგას საშინელი – მაღალი, ქაჯთა – ციხე, რომელსაც, სამწუხაროთ, არა აქვს ადგილი არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც ბატონიშვილი ვახუშტის „გეოგრაფიულ აღწერაში“.

გავიარეთ კიდევ ნახევარი ვერსი და მივადექით იმ ვიწრო უღელს, რომლიდანაც შეიძლება შემვრეს კაცი ციხის კარებში. რადგანაც შესავალი გაფუჭებულია, ამიტომ შესვლა ცოტა არ იყოს გამიჭირდა, მაგრამ ჩემი მხლებლები ისე თამამათ დარბოდენ საშიშარ ადგილებზე, როგორც ჯიხვები. შევედი და დაწვრილებით დავუწყე თვალიერება. შეხვალთ თუ არა, მარცხნივ დაინახავთ ძრიელ – მაღალ ექვს კუთხიან კოშკს, რომელსაც კუთხით გარს ავლია დაბალი ქვიტკირის გალავანი; როგორც კოშკს, ისე გალავანს, აქვს დატანებული სანიშნებელი (амраруры), მაგრამ ეს სანიშნებელნი შემდეგში უნდა იყვენ გაკეთებული და არა აშენების დროს. ძველათ შვილდ – ისრებისათვისაც ატანდენ სანიშნებელს, მაგრამ იგი სხვანაირათ იყო მოწყობილი.

ჩრდილოეთით დანგრეული შენობებია. ციხის კარების თავზეც კოშკია, კარების მარჯვნივ არის დიდი ქვითკირის ორმო. გაივლი ცოტას და კიდევ ნანგრევები შეგხვდება. გაივლი კიდევ რამდენიმეს და მიადგები **შვენიერ ეკლესიას**, რომელიც თლილი ქვითაა აშენებული; მაგრამ **თალი აღარ აქვს**. ამ საყდართან **ვნახე ერთ ქვაზე ხუცური ასოები**, თუმცა დადამ მითხრა, რომ იქ ბევრი წარწერებიაო, მაგრამ მეტს მე ვერ მივაგენი, რადგანაც ყოველივე თოვლით იყო დაფარული.

საყდარს იქით არის დიდი უზარმაზარი **ჭა**, რომელშიაც დღეს წყალი აღარ არის. მარცხენა მხარეს კიდევ დანგრეული შენობებია. გარშემო იმისთანა საშიში გადასახედია, რომ კაცი ახლოს ვერ მივა ნაპირზე, რადგანაც თვალს წაართმევს.

**ჭიათ – ხევი** სავსეა მაღაროებით მტკვრის შეერთებამდე, რომელიც აქედან ექვს ვერსზეა. როცა გული მოვიჯერე დათვალიერებით, მახდი – ჩაფარს ვთხოვე, რომ ხელათ სამხარი ეჭმია. ჩვენ გულდასმით შევექეცით **სამხარს**. ღვინოს ჩემი მხლებლები ჩემზე კარგათ მიირთმევდენ და მოლებს აგინებდენ, რომ ღვინის სმას გვიშლიანო. სამხარს შემდეგ დავბრუნდით დადასთან, რომელმაც დაგვახვედრა **ჩაი** – და **ცხელ – ცხელი ქაღები**. მოხუცმა გამომკითხა ჩემი აზრი შესახებ ციხისა და მითხრა: – ზაფხულში ბევრათ უკეთესი სანახავიაო. გარდა ამისა დამისახელა რამდენიმე ციხე და ეკლესია, სახელდობრ: **მგელ – ციხე (ყურთ ყალა)**, მისვე მახლობლათ, **ბორძაი – შარის ციხე (ყალა – ბაღჩაის)**, **წყაროსთავის ეკლესია**, **ურთის ეკლესია**, **ჩაისის ეკლესია** და სხვ.

ამ დროს საღამომაც მოაწია და მეც ჩემ ბინაზე გასამგზავრებლათ მოვემზადე. მოხუცი ბევრი მეხვეწა, დარჩიო, მაგრამ მე არ შემეძლო; სამაგიეროთ, მთხოვა ამ ცოტა ხანში ჩემ შვილიშვილს ვათხოვებო და ქორწილში დაგვესწარიო; აგრეთვე, ჩემი შვილიშვილის ნათლობაც იქნებო და მაშინაც მობძანდითო. რამდენსამე ხანს შემდეგ, მართლაც, დავესწარი ამ ქორწილს, მერე ნათლობაშიც ვიყავი და დიდათ ვისიამოვნეთ; მოლხენა და თამაში ნამდვილი ქართული ცოდნით, მაგრამ უღვინოთ ყოველსავე ამას ის შნო და ლაზათი არ ჰქონდა, რასაც ვხედავთ საზოგადოთ ქართულ ლხინის დროს.

ჟურნალი „კვალი“, №31, 1896 წ.

### III

დეკემბრის 23 გადავწყვიტეთ წასვლა **წყაროსთავში**. წყაროს თავი ზურზუნას გადმოღმა არის და იქამდის უკანასკნელიდან 25 – 28 ვერსი იქნება, ამიტომაც მე დავიქირავე ფოსტის მარხილი და გავუდექი **ზიარეთის** აღმართს; გავიარეთ თუ არა **ზიარეთი**, თავდაღმართში დაეშვენ ცხენები ისე, რომ მეეტლემ ცხენებს თავი ძლივს შეუკავა; მე ამ თავდაღმართში ქვეითი სიარული ვარჩიე,

სანამ სადგურ კისრისს მივახწევდით. ამ სადგურს არტყია სოფელი, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია. აქ არის ერთი დიდი ტბა, რომელიც რუქებში ხოზაპანის ტბათაა ცნობილი; ზოგიერთნი კი კარწახის ტბას ეძახიან, რადგანაც სოფელი კარწახი მახლობლათ არის. რამდენადაც შემკულია ჩაღდირის ტბა, იმდენათ მოკლებულია ხოზაპინი ყოველსავე სიკეთეს. წყალი მლაშეა და სრულებით თევზი არ არის შიგ. აქა – იქ მოჩანან პატარ – პატარა კუნძულები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ხოზაპინი ძლიერ ღრმა არ უნდა იყოს. ეს ტბა სწორეთ გამოუდგარია.

აქ დამხვდა მახდი ჩაფარი ორი ცხენით და აქედან ერთათ უნდა წავსულიყავით წყაროსთავში. გავუდექით თუ არა გზას, მახდი ჩაფარმა მითხრა, რომ აქედან ორი ვერსის მანძილზე ჩემი სახლიაო და მიყავით იმისთანა მოწყალება, რომ ჩემსას მობრძანდით, ჩვენ სოფელში ეკლესიაც არისო. უარი ვედარ ვუთხარი და გავწიეთ სოფ. ჩაისში. მისვლისათანავე დავათვალიერე ეკლესია, რომელიც ძლიერ ძველია; შესავალ კარებში, მარცხნივ, ხუცური წარწერებია, მაგრამ სიტყვები ვერ ამოვიკითხე, სიძველის გამო. შევედი შიგ, თუ არა, მივიხედ – მოვიხედე და სამხრეთისკენ შევამჩნიე, რომ ეკლესია გადუკეთებით მეჩეთათ. იმ ადგილას, სადაც ტრაპეზი ყოფილა, თივას ინახავენ. მხატვრობა სრულიათ არ ეტყობა, რადგანაც ძალათ წაუშლიათ. ამ სოფლის მახლობლათ მტკვარი ჩადის ღრმა ხევში.

მტკვარს გაღმა ტყით შემოსილი ჩოჩოს მთაა, რომლის ძირში სამკურნალო წყალია. დავათვალიერე თუ არა საყდრის არემარე, მახდომ წამიყვანა თავის სახლში. შევედი თუ არა ეზოში, იმისი უფროსი ძმა მომეგება და სალამს შემდეგ შემიყვანა სახლში. ჩემი დაჯდომა და ყავის მოტანა ერთი იყო, რომელსაც მოჰყვა ჩინებული სადილი. სადილი რომ გავათავეთ, მახდომ აიღო ერთი მონარჩენი ქათმის ბარკალი, გაახვია ლავაშში და ჩადვა თავის ყაბალახში. რას ნიშნავდა ეს მოქმედება, ვერ გავიგე, რადგანაც არ მიკითხავს არავისთვის. მერე მთხოვა, თუ შეიძლება, შენი აქ მობრძანება დაწერე, აი, ამ ბუხრის თავზედაო. მე ჯერ არ მინდოდა დავთანხმებოდი, მაგრამ არასფრით არ მომეშვა; მეც ავიღე და დაწერე ჩემი სახელი და გვარი კედელზე. გამოვუცხადე მასპინძლებს მადლობა და გავემართეთ პირდაპირ წყაროსთავს. გავიარეთ რამდენიმე თოვლით მოფენილი პატარ – პატარა მთები და როდესაც მივუახლოვდით სოფელს, გამოჩნდა დიდი უზარმაზარი გუმბათიანი საყდარი, რომელიც ნაშენია ფერად – ფერადი გაწმენდილი ქვებით და დგას ვაკე ადგილზე. გარშემო კი სოფელია შემორტყმული.

მივედით თუ არა სოფელში, მახდომ მიმიყვანა ერთ მოსახლესთან და მითხრა: – ჩვენი ბინა აქ იქნებაო. სახლიდან გამოვიდენ რამდენიმე კაცები, რომლებმაც სტაცეს ხელი აღვირს, უზანგი დაწიეს და მით მითომც შემიმსუბუქეს გადმოხტომა ცხენიდან, რაც იმათში, როგორც ქართველებში, პატივისცემათ მიაჩნიათ. შემდეგ ოჯახის უფროსი, ნამამასახლისარი ასად – ალა, დინჯათ მოვიდა ჩემთან, სალამი მომცა, მომკიდა ხელი მკლავში და გამატარა ბნელ ოთახებში. ბოლოს, როგორც იყო, შევედით ნათელ მისაღებ ოთახში, რომლის მორთულობა არ იყო დასაწუნი. ჩვეულებრივ სწრაფათ ბიჭებმა წალები გამხადეს. ასად – ალა ბედნიერათ თვლიდა თავის თავს, რომ სტუმრები ეწვია. ასად – ალას და იმის ძმებს ეტყობა, რომ იმათ სახელოვანი წინაპრები უნდა ყოლოდათ, რაც მართლაც, ასე გამოდგა. როცა გავაცანი თავი, მაშინ ასად – ალამ თქვა, რომ იმის პაპის – პაპა ახალციხელი დიდებული გვარის კაცი იყოვო. თითოეულ მათგანს დიდკაცობა ეტყობა მიხრა – მოხრაში. მიკვირს, რომ ას – სამოცმა წელმა არ დაავიწყათ ქართული დარბაისლობა; მაგრამ ნათქვამია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, – სწორეთ ამ ოჯახზე ითქმის ეს ანდაზა.

ამ ტკბილ მუსაიფში რომ ვიყავით, მახდი – ჩაფარს მოაგონდა თავისი ყაბალახი, საიდანაც ამოიღო ლავაშში გახვეული ქათმის ბარკალი, რომელიც წინ დაუგდო უზდელათ მასპინძელს და უთხრა ჩემზე:

– კნიაზმა ბარაქა მოგიტანაო“ (ვერაფრით ვერ მოვაშლევინე კნიაზის დამახეხება). ამ უცნაურმა მახდის მოქმედებამ ისე გამაცეცხლა, რომ მზათ ვიყავი მახდი – ჩაფარს ვპგერებოდი და ჩემ-ბურათ შემეხურებია, მაგრამ რას ვიზამდი უცხო ადგილას. რუსულათ ვუსაყვედურე მახდის, რათ შემარცხვინე – მეთქი. იმან მიპასუხა, რომ ეს აქაური ადათიაო (ჩვეულება). მერე მე ვუთხარი:

– „თუ ადათი იყო, გეთქვა ჩემთვის და ხეირიან რასმე მოვუტანდი – მეთქი. – არაო, მიპასუხა, უთუოთ სუფრის **მონარჩენი უნდა იყოსო**. ტყუილს ამბობდა თუ მართალს, ვინ ჰყავდა გამსწორებელი. მასპინძელმა კი მადლობა შემოგვწირა დოვლათის შემოტანისათვის.

ჩვენ წავედით ეკლესიის დასათვალიერებლათ. ასად – ალა გაგვიძღვა წინ. **ეს ეკლესია სიგრძით 47 არშინი და სიგანით 22 არშ., სიმადლით გელათზე ბევრათ მაღალი უნდა იყოს. გარშემო კედლებზე მრავალი ხუცური წარწერებია და ალაგ – ალაგ კი მხედრული წარწერებიცაა. რა დროს ეკუთვნიან ეს წარწერები, მე ამის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვი, რადგანაც ვერ გავარჩიე. ყოველ შემთხვევაში, ის კი ცხადია, რომ ამ ეკლესიის აშენების დროს არც ერთი ამ წარწერათაგანი არ იქნებოდა, რადგანაც ეს დიდებული წყაროსთავის ეკლესია აუშენებია, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრებიდან“ და ბატონიშვილ ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერიდან, ვახტანგ – გორგასლანის შვილს მირდატს, მე – 5 საუკუნეში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიულ აღწერაში ამბობს, რომ წყაროსთავის ეკლესია კოლის ტბის ნაპირზე არისო, მაგრამ ეს შეცდომაა. წყაროსთავის მახლობლათ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხოზაპინის ტბაა. წარწერებს გარდა, ეკლესია შემკულია გარედან გამოქანდაკებული მხატვრობით. აღმოსავლეთიდან რომ შეხედავთ ეკლესიას, დაინახავთ ღვთის – მშობლის ხატს, რომელსაც ხელში მაცხოვარი უკავია. ჯვარი აღარ აქვს.**

შევედი თუ არა შიგნით, ცრემლები მომადგა თვალებზე: ეს ოდესმე დიდებული ეკლესია დღეს გაოხრებულია; მხატვრობა მთლათ ჩამოუყრიათ, თლილი ქვის იატაკი ერთიანათ აუყრიათ და წაუღიათ; ნათხარ ადგილებზე ეტყობა, რომ ძვლებიც არ დაუტოვებიათ იმ პირების, რომელნიც ეკლესიაში ყოფილან დასაფლავებულნი. ამ ეკლესიასთან სხვა შენობებიც უნდა ყოფილიყვნენ და აგრეთვე, ციხე. ამავე სოფელში მოიპოვება სხვა ძველი ეკლესიებიც.

ვნახე, აგრეთვე, ის წყაროც, რომლის სახელიც ჰქვია თვით სოფელს. **ეს წყარო** პატარა ხევშია და გვარიანათ მოზრდილია, ასე, რომ მთელ სოფელს ყოფნის. აი, ამ წყაროს თავზეა გაშენებული დასახელებული სოფელი და ეკლესია. დათვალიერებას შემდეგ გავსწიე ასად აღასას, სადაც მთელი სოფლის ხალხს თავი მოეყარა. ოთახში შესვლისთანავე ყველანი ფეხზე წამოდგენ და სალამი მომცეს. მე დავეკითხე იქ მყოფთ, თუ ვინმემ იცოდა ადგილობრივი ეკლესიის ამბავი. არავინ არაფერი არ იცოდა, მხოლოთ ერთმა მოხუცებულმა თქვა, რომ ეს ეკლესია 1500 წლის იქნებაო; გურჯი ხელმწიფის შვილის აშენებულია, და არაბებმა დააქციეს მე – 7 თუ მე – 8 საუკუნეშიო. აქ ბევრი ბერები იყვნენ, მაგრამ არაბებმა ამოწყვიტეს და დანარჩენი ხალხი კი გაიქც – გამოიქცაო.

ამ მუსაიფში მოგვიტანეს ყავა. ყავას შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი კორძაი – შახის ციხეზე. მე – 7 თუ მე – 8 საუკუნეში ამ ციხის ბატონი ყოფილა ერთი ძლიერი ქართველი თავადიშვილი, სახელდობრ კორძა, რომელიც სპარსეთის შახს თურმე არ ემორჩილებოდა და ამიტომ ხალხში დავარდა ხმა, რომ „კორძაიამ შახს შახობა წართვაო“. ვინ იყო ეს კორძაი – შახი, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს (შეიძლება ახლანდელი კორძაიების ძველიც იყო, თუმცა კორძაიები ამბობენ თავის გადმოსახლებას აფხაზეთიდან).

ადგილობრივი გადმოცემა გვეუბნება: მაჰმადის რჯულის, სეიდ – ბადალ – გიოზი არაბეთიდან შემოესია საქართველოს და ეს მხარე ძლიერ გააოხრა და კორძი – შახიც ღალატით მოკლა. ქრისტიანობა სრულიად მოსპო, ვინც არ მიიღო მაჰმადიანობა, ზოგი დახოცა და ზოგნი შიდა

ქართლში გადაესახლენ. ასე რომ მაჰმადიანობა დაამყარა აქ და ისე წავიდა. შემდეგ ქართველებს კიდევ წაურთმევიათ ეს ადგილები, მაგრამ ბოლოს მაინც თურქებს დარჩათ. ამის გამო ქრისტიანობამ აქ ფეხი ვერ მოიკიდა. ასე დაამთავრა **კორძი – შახის ციხის** ამბავი იმ მოხუცმა, რომელმაც მიამბო წყაროსთავის ამბავი. გათავდა ამბავი თუ არა, ხალხმა თავი დამიკრა და წავიდა.

მასპინძლებს გარდა, ჩემთან დარჩა კიდევ ორიოდ ალა, ჩემი პატივისცემისთვის დაპატიჟებულნი. დავსხედით ვახშმათ; მასპინძლობა ჩინებული გაგვიწია, მაგრამ, არც ერთი ძმა არ დასვა ჩვენთან, თუმცა ბევრი ვეხვეწეთ. მეორე დღეს დილით მოგვიყვანეს მასპინძლის ცხენები და **ასად – აღის წინამძღოლობით წავედით კორძი შახის ციხის** დასათვალიერებლათ. გზაში ასად – აღის ცხენოსნობამ გამაკვირვა; იმისთანა კლდიან ადგილზე გადააგდებდა ხოლმე თავის ცხენს, რომ ვიტყოდი, აი, სწორეთ დაიმტვრა მეთქი, მაგრამ გაუნძრევლათ იჯდა ცხენზე. ცხენოსნობა ცხენზედაც არის დამოკიდებული. როგორც ჯიხვი, ისე დახტოდა ასად – აღის ცხენი. ჩვენ გავედით მტკვარზე და შევედით დიდ ბაღში, რომლის თავშიაც დგას მაღალ კლდეზე **კორძი – შახის ციხე ანუ ყალა – ბაღჩასი**. ე.ი. ბაღის ციხე.

ქურნალი „კვალი“, №32, 1896 წელი

### **ოტია ათაბაგი ჩალღირი თავისი შესანიშნავი შენობებით და ტბებით (დასასრული)**

**კორძი – შახის** ციხე დგას მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ძლიერ მაღალ კლდეზე; მტკვრის გაღმა – გამოღმა ამართულია პიტალო კლდეები, რომლებსაც კაცი თვალს ვერ უწვდენს. გაღმა კლდეში შენახულა **27 მაღარო**, რომლებშიაც ქორის მეტი ვერა მიწვდება – რა; ეტყობა ქვითკირით არის ნაშენები მაღაროების შესავალი. ერთ მაღაროდან, რომელიც სხვაზე უფრო მაღლა არის, იმდენი წყალი გამოჩუხჩუხებს, რომ ხუთ თვალ წისქვილს ეყოფა. ასად – აღამ მითხრა, რომ ეს წყალი **ხოზაპინის** ტბიდან მომდინარეობსო და როდესაც ამ მაღაროებში ხალხი იმალებოდა, ამ წყალს ხმარობდნენ; სიმლაშე დაკარგული აქვსო. ეტყობა, რომ გაღმა კლდეზე ძლიერ ბევრი მაღაროები ყოფილა. გამოღმა კლდეზე კი არა ჩანს, მხოლოდ ციხიდან აღმოსავლეთისაკენ მოჩანს ერთი პატარა **ეკლესია**, რომელიც მე ვერ გავშინჯე, რადგანაც იქ ჩასვლა საძნელო იყო. თვით ციხე, როგორც ვთქვი, **აშენებულია მიუდგომელ კლდეზე და სამი მხრით უფლის მტკვარი**. ამას გარდა გარშემო არტყია ქვითკირის გალავანი; შუაგულ ადგილზე, მაღლობზე, დგას **ორი კოშკი**; ერთი მათგანი უფრო მაღალია; კოშკების მარჯვნივ **პატარა ეკლესიაა, რომელშიაც წმიდანების ნახატები დღემდის შენახულან ხუცური წარწერებით**. ამ ჟამათ ეს ეკლესია ბაღის პატრონს, **ახმედ – აღა სანამ – ოღლის, თავლათ გადაუკეთებია**; ამის შესახებ მე განვუცხადე ასად – აღას, რომ თუ ამას შემდეგ სუფთათ არ შეინახავთ ეკლესიას, გუბერნატორს ვაცნობებ – მეთქი.

წყალზე ჩასასვლელი კიბე ისეა გაკეთებული, რომ უკეთესი არ შეიძლება. საკვირველია, რომ რაც უნდა დიდი თოვლი იყოს გარშემო, ამ ციხესთან დიდხანს ვერ გაძლებს, ჩქარა დნება. ასად – აღამ მითხრა, რომ შარშან ამ ციხეში **ყარსის გუბერნატორმა მთელი ღამე გაატარაო**.

მინდოდა გამეშინჯა, აგრეთვე, **მგელ – ციხე**, მაგრამ რადგანაც ცუდი გზა იყო, ვეღარ წავედი. დავბრუნდით ისევ წყაროსთავში ასად – აღასას, და აქიდან **ზურზუნაში**. ორ კვირეს შემდეგ მე და

ერთი ჩაფარი წავედით ერთი ეკლესიის დასათვალიერებლათ, რომელიც მეჩეთათ გადაუკეთებიათ. ეს ეკლესია და წყაროსთავის ეკლესია ერთ დროს არიან აშენებულიო, ასე ამბობენ აქ. თუმცა ჯვრები განგებ დაუმტვრევიათ, მაგრამ ალაგ – ალაგ კიდევ ბევრგან დარჩენილა იმათი ნასახი. **ეკლესიის გუმბათი დამყარებულია რვა მაღალ ქვითკირის ბოძებზე.** შენობის გეგმა იმნაირივეა, როგორც წყაროსთავის ეკლესიისა.

– ამ ეკლესიაში **ათაბაგობის დროს წირვა – ლოცვა ქართულ ენაზე იყო**, – ასე ამბობდა ქართულათ ერთი იქ **მყოფი ბერი კაცი.** ეს სოფელი „ქართლის ცხოვრებაშიაც“ არის მოხსენებული. მარტო ვერა გავიგე – რა, ვერც ამ სოფლის და ვერც მისი ეკლესიის შესახებ.

19 – ს იანვარს **1892 წ.** ადგილობრივი მაზრის უფროსი და მე წავედით სოფ. **მერედისში, ამიდ – ალა სანამ – ოღლისთან,** რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ამ **ამიდ – აღის** სახლი ძლიერ მდიდრულათ არის მოწყობილი. მისვლისთანავე რამდენსამე წამს შემდეგ, მოლამ, რომელიც მეყავეთ ჰყოლიათ, მოგვართვა შვენიერი ყავა. სახლში შესვლის დროს კარის საძირკველზე მე შევნიშნე ერთი წარწერა; ეს წარწერა ხუცურათ ნიშნავს: „**აღვაშენე ეკლესია**“. შემდეგ გამოვკითხე მასპინძელს, თუ საიდან ჰქონდა მას ეს **ქვა მოტანილი.** ამაზე მან მიპასუხა: „ამ ჩვენ **მერედისში იყო შვენიერი ქართული ეკლესია, რომელიც დააქცია ახლა რომ ზურზუნაში დადა – ბეგი ორბელიანი** არის იმის მამამ, **ნაიმ – ბეგმა;** ქვები ზოგი იმან წაიღო შენობისათვის და ზოგიც ჩვენ მოვიხმარეთ. აი, ეს ქვა სწორეთ იქიდან მაქვს მოტანილიო“. **დადა – ბეგი ამ ჟამათ ერთათერთი ბეგია მთელ ჩალდირში;** ამის წინაპარი გვარათ **ორბელიანი** ყოფილა. ოსმალეთს ჩამოურთმევია მისთვის მამული და პენსია დაუნიშნავს. დღესაც **რუსეთიდან ეძლევა ამ ბეგს პენსია.** მინდოდა გამეგო რამე ბეგისაგან, მაგრამ იმისთანა ყრუ ვინმეა, რომ მისგან კაცი ვერას გაიგებს; ის ყველას ძლიერ ეზიზღება. ამისი მამა **ნაიმ – ბეგი** კი გავლენიანი კაცი ყოფილა. მე მასპინძელს პატარა საყვედურიც განვუცხადე იმის შესახებ, რომ **ყალა – ზაღჩასის ეკლესია** თავლათ გადუქცევია. ამაზე ბოდიში მოითხოვა და შემპირდა გავასუფთავებინებო.

ამ დროს გაშალეს სუფრა; ყველა საჭმელი იმნაირათ იყო **შეზავებული, რომ მარტო სუნი გააძღებდა კაცს;** სასმელათ მოგვიტანეს ჩინებული **შარბათი.** ასე, რომ ამ სუფრაზე მჯდომ კაცს ღვინო აღარ ესაჭიროებოდა. სადილს მოაყოლეს ჩაი. ჩაის დროს მაზრის უფროსმა ჩამოაგდო ლაპარაკი რუსეთის მაშინდელ შიმშილობაზე, და შემწეობა ითხოვა. მასპინძელმა მაშინვე უბრძანა თავის ძმას, შემოეტანა ბოლჩა, რომელშიაც სულ ასიგნაციები იყო ჩაწყობილი დასტა – დასტათ. ამოიღო ბოლჩიდან სამი წითელი ქალაღი ე.ი. სამი თუმანი და მიართვა უფროსს. ჩამოვარდა ლაპარაკი სიმდიდრეზე და აღმოჩნდა, რომ მთელ იმ მხარეში **ამიდ – ალაზე** შეძლებული აღარავინ ყოფილა. სიმდიდრესთან, არც ოჯახის სიმრავლე აკლია. ასე, რომ 70 კაცზე მეტია ამ ოჯახში ქალი და კაცი; ყველა ესენი ემორჩილებიან **ამიდ – აღას,** როგორც ოჯახის უფროსს.

ამნაირ მოგზაურობაში გავატარეთ ითქმის სამი თვე **ჩალდირში.** საზოგადოთ, აქაურ ციხეებზე უნდა შევნიშნოთ, რომ, სწორეთ, კარგათ ცოდნიათ ციხეების აშენება; რაც შეეხება ჩალდირის ტბას, მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს ის ტბა უნდა იყოს, რომლის ნაპირზე ცხოვრობდენ ქართველთა ტომი და **ხელობით ნაქებნი ტიბარენნი.** ამას გარდა, ჩალდირში ბევრნაირი არაკებია დარჩენილი, მაგრამ ყველას ვინ მოუყრის თავს. ჩალდირში ყოფნის დროს **არდაგანიც** მოვიარე ორჯელ, მაგრამ იქაურს ამბავს შემდეგ ავწერ.

**შენიშვნა:** ოტია ათაბაგი, ძველი მესხი – **ჯაყელი,** მეგობრობდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტრის დამაარსებელთა მამა პეტრე ხარისჭირაშვილთან და ხშირად სტუმრობდა მას სტამბოლის სავანეში. რადგან პეტრეს ძალიან უყვარდა ძველი მესხეთის მხარეები, ამიტომაც მიმოიარა მისმა თანამოაზრე **ოტია ათაბაგმა** ძველი მესხეთის მხარე – ჩილდირი

და შექმნა ისტორიული წყარო ჩილდირზე, რომელიც ამ მხარეზე ერთადერთი წყაროა. ტექსტი დაცულია სავანის არქივში, ჟურნალი კი სავანის ბიბლიოთეკაში.

ჟურნალი „კვალი“ 1896 წ. №33

### ჩალდირის ამბების გამო

სომეხ – მუსულმანთა ურთიერთობა ამიერკავკასიაში უფრო და უფრო თავზარდამცემი ხდება და უფრო და უფრო დიდს ხიფათს უმზადებს მთელს ამიერკავკასიას იმ შეთანხმების აზრით, რომელიც ადერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოხდა წარსულ წლის 23 ნოემბერს; თითქოს ყველა საკითხები ამ ორ რესპუბლიკას შორის მხოლოდ ერთმანეთთან მოლაპარაკების გზით ან არბიტრაჟის საშუალებით უნდა წყდებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პირობა ქალაქებში რჩება. საქმით კი სომხეთსა და მუსულმანთა მიერ ერთმანეთის ჟღერას იქნება არც ერთხელ ჰქონდეს იმისთანა გამწვავებული ხასიათი და არ ყოფილიყოს ისე შემადრწუნებელი, როგორც ხდება უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში. 23 ნოემბრის შეთანხმების პირველ დღიდანვე ადერბაიჯანი და სომხეთი განუწყვეტლივ უგზავნიან ერთმანეთს ნოტებს. ადერბაიჯანი პროტესტს უცხადებს სომხეთის მთავრობას იმ „ორგანიზაციულ ჟღერას“ გამო, როგორც ნოტებშია ნათქვამი. **სომხეთის მთავრობა აწარმოებს ბრძოლას ყარსის ოლქის მუსულმან მცხოვრებთა წინააღმდეგ;** თავის მხრივ, სომხეთის მთავრობა პროტესტს უცხადებს ადერბაიჯანს იმ უბედურების გამო, რომელიც თავს ატყდება ყარაბახის სომხობას ადერბაიჯანის ჯარების მხრით. ერთი მთავრობაცა და მეორეც თავიანთ საპასუხო ნოტებში ცდილობენ თავი იმართლონ და საქმის მდგომარეობა ისე დახატონ, რომ ორივე მხარე მართალი გამოჩნდეს.

იმ ამბების გამო, რომელიც ბოლოს ჩვენი რესპუბლიკის მოსაზღვრე ჩილდირის რაიონიდან მოდიოდა, შეკითხვა იყო შემოტანილი ადერბაიჯანის პარლამენტში. შეკითხვის ავტორები დამტკიცებულ ფაქტით სთვლიან, რომ „სომხეთის მთავრობა აწარმოებს მუსულმან მცხოვრებთა ჟღერას“.

„მუსავატის“ წარმომადგენელს ეჭვი არა აქვს, რომ „სომხეთის მთავრობამ ჩააყენა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე ყარსის ოლქის მუსულმანები. თვით მთავრობის თავმჯდომარე უსუ – ბეკოვიც აღიარებს, რომ სომხეთის მთავრობა აწარმოებს სისტემატიურ ჟღერას თავის საუკუნეობრივ მეზობლების – მუსლიმანებისას“. ამკარად და გულახდილად უნდა ითქვას ის, რაც სათქმელია და რის არ თქმამაც შეიძლება უფრო მეტი ზიანი მიაყენოს მთელი ამიერკავკასიის საქმეებს: ის ფაქტი, რომელიც გამოქვეყნებულია ადერბაიჯანის პარლამენტში შეკითხვის ავტორების მიერ, მთავრობის თავმჯდომარის მიერ, მეტადრე ოფიციალური დოკუმენტები სომხეთის ჯარის უფროსებისა, აგრეთვე, ის ცნობები, რომლებიც მოსდის ჩვენი რესპუბლიკის მთავრობასაც, ყველა ეს შეთანხმებულად დადასტოვებს, რომ ყარსის ოლქში მართლაც იმისთანა ამბებს აქვს ადგილი, რაც სრულიად დაუშვებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში. აქ უბრალო „ამბოხების“ და „უწყესობის“ დამშვიდებლასთან კი არა გვაქვს საქმე, აქ ფართო სამხედრო მოქმედებაა მოწყობილი, სამხედრო ხელობის ყველა წესების მიხედვით სომხეთის ჯარის გენერალ ოვსეპანის და მაზმანოვის მეთაურობით მრავალი მუსულმანთა სოფელი აღუგვიათ პირისაგან ქვეყნისა არტილერიის საშუალებით. „ქარიშხალური ცეცხლის“ ხმარება მუსულმანებით (მაჰმადიანი ქართველებით) დასახლებულ სოფელთა წინააღმდეგ ხშირი ამბავია ჩილდირის რაიონში.

ასეთი ზომები სომხეთის ჯარის უფროსებისა კიდევ უფრო დაუშვებელი გახდება, თუ ერთ გარემოებას არ მივაქცევთ ყურადღებას: ყველაფრიდან სჩანს, რომ ის „ამბოხება“ და „უწყობა“, რომელსაც ისინი „აქრობენ“ ჩილდირის რაიონში, ყარსის ოლქის მცხოვრებ მუსულმანთა მხრით უბრალო გაუგებრობით და ინფორმაციის უქონლობით არის გამოწვეული. **ყარსის ოლქის მუსულმანებმა, მაგალითად, ჯერ არ იციან, ვისი ქვეშევრდომები არიან და რომელ სახელმწიფოს საზღვრებში შედიან ისინი.** გენერალ ოვსეპიანის ულტიმატუმზე მიწერილ პასუხში **ზარუმატის** ნაწილის მუსულმანები ამბობენ: „დიდ სახელმწიფოთა მიერ ცნობა სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩვენ პირველად თქვენი ბრძანებიდან შევიტყვეთ და სხვა არაფერი არ ვიცით ამის შესახებ“. ამისთანა მდგომარეობაში, როდესაც მცხოვრებთ არცკი იციან, კანონიერია თუ არა, ის მოთხოვნები, რომელსაც მათ უყენებენ სომხეთის ჯარის უფროსები, ჯერ ფართო ინფორმაციის საშუალებით იყო საჭირო მოქმედება და არა სამხედრო ზომებით.

**ჩილდირის რაიონის ამბები პირდაპირ ეხება ჩვენს რესპუბლიკას. ამ რაიონის მცხოვრებთა დიდი რიცხვი ამჟამად გამორბის ჩვენი რესპუბლიკისაკენ და მის საზღვრებში ცდილობს გადარჩენას.** ჩვენ მთავრობას მოსდის მრავალი დეპეშა, რომლებშიაც ჩილდირის მცხოვრებნი ემუდარებიან მას, დაგვიფარეთ სომხეთის ჯარებისაგან და სიკვდილს გადაგვარჩინეთო. ის უბედურება, რაც ჩილდირის მცხოვრებთ ატყდებათ თავს, არ შეიძლება არ აღელვებდეს ჩილდირის მოსაზღვრე საქართველოს მუსულმანებსაც და არ შეიძლება არ შეჰქონდეს მათ ცხოვრებაში დიდი არეგ – დარევა.

როგორც ის საშიშროება, რომელსაც უმზადებს ჩილდირის ამბები მთელს ამიერკავკასიას, ისე, კერძოთ, ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობიანობა უნდა გვიკარნახებდეს, რომ **სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ამ რაიონის მუსულმან მცხოვრებლების უბედურებას** და ზომები მივიღოთ ამ კუთხის საქმეების მოსაგვარებლად.

**შენიშვნა:** სტამბოლის ქართული სავანე არ იყო მხოლოდ სასულიერო დაწესებულება. კერძოდ, იგი ათეული წლების მანძილზე იყო **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი საზღვარგარეთ.** ამიტომ იგი გულისხმიერად ეხმაურებოდა ყოველთვის საქართველოსკენ მომართული საფრთხის გამოჩენას. **ეს უავტორო სტატია** შეიძლება აქ მოღვაწე რომელიმე სასულიერო პირს ეკუთვნის. ამიტომაცაა შენახული სავანის არქივსა და ბიბლიოთეკაში.

გაზეთი „ერთობა“, №59, 1920 წ.

### **მემედ-ბეგ აბაშიძე რაშია ხსნა?**

ჩილდირის რაიონის მცხოვრები მუსულმანი – ქართველები სომხეთის ჯარების შიშის გამო, ადგილიდან აყრილან და საქართველოს საზღვრებში შემოხიზნულან. ზოგიერთი სოფლები, რომლებიც ოსმალეთის საზღვრებთან უფრო ახლო მდებარეობენ, ოსმალეთში გადასახლებულან; მეორეს მხრით, **შემახის, ნუხის და ადერბაიჯანის** სხვა რაიონებში მობინადრე სომხებიც გამოქცვიან დარბევას და გადასახლებულან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში. ჯერჯერობით მნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენათ შეიცვალა ამ ორი წლის განმავლობაში **ამიერკავკასიის ეთნოგრაფიული ქარტა.** ეს მით უფრო მნელია, რომ „ერთი დიდი გადასახლების“ პერიოდი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. იგი ნელდება, როდესაც სომხეთსა და ადერბაიჯანს შორის ცოტაოდ-



ნათ მაინც მყარდება მშვიდობიანობა, და ძლიერ ზომებს ღებულობს, როგორც კი ამ ორ მეზობელ ერსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა მწვავედება.

ეს „ერთი დიდი გადასახლება“ იმით არის მომაკვდინებელი და გამანადგურებელი, იმით არის ყოველ საშინელების წყარო, რომ იგი ხდება სრულიად უსისტემოდ, ძალდატანების, ხოცვა – ჟლეტის, დარბევის ფორმით. **ხალხი გამორბის მხოლოდ ცხოველურ შიშის გავლენით, გამორბის საითაც მოხვდება, საითაც კი შეუძლიან გამოქცევა, გამორბის მხოლოდ ერთის მიზნით, – რომ თავისი თავი და თავის ცოლშვილი გადაარჩინოს სიკვდილს. ამ უთავბოლო ლტოლვაში იღუპება აუარებელი სიცოცხლე, ნადგურდება აუარებელი ქონება, საუკუნეობით ნაშენები სახლ – კარი და დაგროვილი ავლადიდება.**

ეს გადასახლება ისე სტიქიონურია და ისე გარდუვალია, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია, თუნდაც ორივე მოჩუბარი სახელმწიფო შერიგდეს, თუნდაც მათ გულწრფელად მოინდომონ კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოგდება, უსისტემო გადასახლების პროცესი მაინც ვერ შეჩერდება დიდი ხნის განმავლობაში.

ამ გარემოებას უნდა პირდაპირ შევხედოთ თვალეში და მას უნდა ანგარიში გავუწიოთ, როდესაც მუსულმანთა და სომეხთა ურთიერთობის მოგვარებას ჩავუფიქრდებით. **რეალურ სინამდვილესთან შეგუებული პოლიტიკა იშვიათად კისრულობს სტიქიონის წინააღმდეგ სიარულს.** იგი საზოგადოთ სტიქიურ პროცესთან ათანხმებს თავის მოქმედებას. მრავალ წლების განმავლობაში ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ **შეუძლებელია სომეხთა და მუსულმანთა ურთიერთობის მოგვარება იმ ადგილებში, სადაც მათი მოსახლეობა ერთმანეთშია არეული.** როდესაც ორი ძმა ერთს სახლში ერთად ვერ თავსდებიან, ერთადერთი საშუალებაა მათი გაყრა. როდესაც ორი ერთად მცხოვრები ერთ ერთმანეთს ვერ ურიგდება და როდესაც მათი ურთიერთობა ხოცვა-ჟლეტის და დარბევის სახეს ღებულობს, ყველა ამ უბედურების მოსასპობად საუკეთესო საშუალებაა **ამ ორი ერის ერთმანეთთან მოშორება, მათი ტერიტორიული გამიჯვნა.** ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ **ორგანიზებულად მოწყობილ გადასახლების გზით.**

დღეს ეს გადასახლება, სულ ერთია, ხდება, მხოლოდ მას თან სდევს სოფლების აოხრება, სახლების დანგრევა, ქონების განადგურება, აუარებელი მსხვერპლი. გადასახლებას რომ მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი, ორივე მხარის შეთანხმების ნიადაგზე, ყველა ეს უბედურება თავიდან იქნება აცილებული; ეს მოხერხდება რაც შეიძლება ნაკლების ადამიანურის მსხვერპლით, რაც შეიძლება ნაკლებ ქონების განადგურებით: აზერბეიჯანის საზღვრებში მცხოვრებ სომხების სოფლებში გადასახლებულ იქნებიან სომხეთში მცხოვრები მუსულმანები და ამ მუსულმანების სოფლებში აზერბეიჯანიდან ქრისტიანი სომხები გადასახლდებიან. ამას უნდა მიეცეს ქონების (სახლ – კარი, მიწა – ადგილები, ბაღები) გაცვლა-გამოცვლის ხასიათი. მოძრავი ქონება – საქონელი, სახლის მოწყობილობა და სხვა ორივე სახელმწიფოს შეერთებული ზომებით უნდა გადაზიდულ იქნეს ადგილიდან ადგილზე.

**ორივე ერი გაწამებულია, მოქანცულია ერთმანეთის ჟლეტით და სწყურიან მშვიდობიანი ცხოვრება.** ამიერკავკასიის სახელმწიფოების ატმოსფერო მოშხამულია მის მცხოვრებთა ამ სტიქიური გადასვლა – გადმოსვლით. ხალხის ინტერესები, ჩვენი რესპუბლიკების სარგებლობა, – ყველა ეს ერთხმად გვიკარნახებს, რომ უნდა გამოვწახოთ რაიმე ძლიერი საშუალება, რომ ერთ-ბაშად ბოლო მოეღოს ჩვენი უბედურების მთავარ წყაროს. **საუკეთესო საშუალებათ მიგვაჩნია მოჩუბარ ერების მშვიდობიანი გაყრა.**

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის სავანის არქივში. სტატია უავტოროდ დაბეჭდილია გაზეთში – „ერთობა“ (იხ. N82, 1920 წელი).

**ბ.ე.რ – შვილი**  
**(უცნობი ფსევდონიმი)**  
**კორესპონდენციები**

**არტანუჯი** (ართვინის ოლქი). ამ დაბაში მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს შეადგენს **სომხები** და გარემო სოფლებში კი **გამაჰმადიანებული ქართველები**. აქ მოყავთ პური, სიმინდი და აგრეთვე თუთუნიც, რომელიც გვარიანათ მოდის, მაგრამ თუთუნის მოყვანის გაფართოებაზე არ ფიქრობენ, თუმცა მიწის ნაყოფიერება მას ხელს უწყობს. მიწა აქ ძალიან ნაყოფიერია და მოსავალიც შესაფერათ კარგი იცის; შეხვდებით, აგრეთვე, ბაღებსაც, რომლებსაც თუმცა მოვლა სულ არ აქვს, მაგრამ მაინც თავის სიმშვენიერით და ნაყოფიერებით გაკვირვებაში მოყავს ყველა. აქედან გააქვთ სხვადასხვა ხილი ართვინსა და სხვა ქალაქებში. მათ უმთავრეს სარჩოს შეადგენს საქონლის ყოლა. რადგანაც არტანუჯის ახლო – მახლო მთებში იალაღები კარგი არის, ამიტომ საქონლის საძოვებლათ აქ მოდიან კიდევ ქურთები, რომლებიც მთელ ზამთარს შავი ზღვის ახლო მხარეში ატარებენ და დადგება თუ არა აპრილი, თავისი საქონლებით მთებისაკენ გაემშურებიან. ყოველწლივით აქ იკრიბებიან საქონლის საძოვებლათ მწყემსები. რადგანაც აპრილში მთებში კიდევ თოვლი სძევს და სიცივეა, ამიტომ ბევრი მათგანი ავად ხდება სიცივისაგან; აგრეთვე საქონლებსაც ხშირად ჭირი უჩნდება და მუსრს ავლებს.

**არტანუჯი**, როგორც **ართვინი**, გაჭირვებულია უგზოობით. ერთი გზა, რომელიც **ბათუმიდან** გამოდის, გაივლის ართვინსა, არტანუჯსა და **არდაგანმდის** მიდის; შვიდი წელიწადი იქნება, რაც ამ გზის კეთება დაუწყიათ, მაგრამ ჯერ არაფერი გაკეთებულა. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ გზის უფროსი უფრო შეიწუხებდეს თავს და დროზე აღირსებდეს მცხოვრებლებს გზას. ამასთან უნდა ვთქვათ, რომ ბ – ნი გზის უფროსი ჯერ ერთი, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ასარგებლებს გზის მუშაობით და მეორეც, რომლებსაც ამუშავებს, თავის დროზე არ აძლევს ნამუშევარის ქირას და ამით საქმეს აგრძელებს და ამიტომაც მათ შორის უკმაყოფილება არის ჩამოვარდნილი.

წელს, ერთი მოგზაურობის დროს, მას დახვდენ შეიარაღებულნი რამოდენიმე კაცი, რომლებსაც მისი მოკვლის განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ თვითონ როგორღაც გადაარჩა, ცხენი კი მოუკლეს. როგორც მცხოვრებლების სიტყვიდან სჩანს, ისინი გადავარდნილი ავაზაკები არ ყოფილან, არამედ ადგილობრივი მცხოვრებნი. რათ შვება ეგრე ბ-ნი გზის უფროსი, როდესაც მას შეუძლია ყველა მადლიერიც ჰყავდეს და გზაც მალე გააკეთოს? მაგრამ ღმერთმა უწყის, რას ფიქრობს.

თუ უგზოობა ხელს უშლის მისვლა – მოსვლაში, რასაკვირველია, **გაუნათლებლობა უფრო ხელს უშლის წინსვლას და სწორ გზაზე სიარულს**. მთელ არტანუჯის ნაწილში, გარდა არტანუჯისა, **არ მოიპოვება სასწავლებელი**; არტანუჯში კი თუმცა არსებობს, მაგრამ მაჰმადიანნი არ სარგებლობენ. ისინი ცოდვილს უმახიან მათ, ვინც ამ სკოლაში სწავლობს. რასაკვირველია, ბიბლიოთეკაზე და ან წიგნთსაცავ სამკითხველოზე, ვინ რას იტყვის.

არტანუჯში არის ძველი შესანიშნავი ნანგრევები; სამხრეთით არტანუჯს უძევს ერთი ოთხკუთხი გორა, რომელსაც ყოველ მხრიდან მიუვალი კლდეები აქვს. და აი, ამ გორაზე არის ნანგრევი ძველი უზარმაზარის ციხისა, რომელსაც ჯერ კიდევ შეურჩენია თავისი შიგნით მოწყობილება. მაგ., აქ ნახავთ ძველ ქვევრებს, თონეებს, პურის საცხობებს და ჭურჭლებს, რასაც კი აქამდე შეეძლო მოღწევა. ამ ციხეშივე არის ეკლესიის ძველი ნანგრევიც.

არტანუჯის ნაწილში ს. **იენირაბათში**, არტანუჯიდან თხუთმეტ ვერსზე, არის ერთი ძველი ეკლესია, რომელშიაც ახლა სომხები სწირავენ. ეკლესია თლილი ქვითაა ნაშენი. შიგ თუმცა

ღარიბი მოწყობილობა არის, მაგრამ მაინც გააკვირვებს მნახველს მისი ძველი მხატვრობა, რომელიც ჯერ კიდევ დაცულია.

შენიშვნა: სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში დაცულია ჟურნალი „კვალი“, 1903 წ. №24, სადაც დაბეჭდილია მოცემული სტატია. სტატიის ავტორი ანონიმურია; სავარაუდოა, რომ იგი, როგორც პოლიტიკურად რეპრესირებული, არალეგალურად ცხოვრობდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, რომლის არქივში მან ამიტომაც დატოვა ამ სტატიის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი ანონიმურად.

## **ს. ბავრელი** **(სოლომონ ასლანიშვილი)** **რაბათის ეკკლესია**

ერთს ღრმა ხეობაში, **დაბა არდანუჯის ახლო**, ართვინის მაზრაში, ძვეს პატარა ღარიბი სოფელი **რაბათი**. ამ სოფლის შვეიცარიის ჰანგზე აშენებული სახლები გარშემორტყმული არიან ერთს ძველი ეკლესიის ნაშთს, რომელის სურათი, ფოტოგრაფით გადაღებული, დღევანდელი „ჯვარი ვაზის“ ამ ნომერში არის მოთავსებული. ნაშთი საკმაოდ კარგათ არის შენახული ადგილობრივი მცხოვრებლების წყალობით, რომელნიც ყოფილან ოთხასი წლის წინათ გადმოსახლებული **ანის** ქალაქიდან და უნახიათ ეს ეკლესია თავის ახალს დროს დიდებულ მდგომარეობაში; მაგრამ დროს თავისი მოუტანია და ახლა იმ მშვენიერი შენობის მაგივრად, ვხედავთ ნახევარ ჩაქცეულს ნაშთს, ისე დაძველებულს, რომ მასში შესვლა საშიშოთ ხდება. როგორც მკვიდრი მცხოვრები ამბობენ, იმათ მამა – პაპას უნახავათ ეს ეკლესია ხელუხლებელი ახალი. ერთ მათგანს მოხუცს კიდევ ახსოვს, **ერთხელ თათრები როგორ დაეცნენ ამ სოფელს და ერთმა ავაზაკთაგანმა ესროლა თოფი და გადმოაგდებინა გუმბათიდან ვერცხლის ჯვარი**. ამ ორმოცი, ორმოცდაათის წლის წინათ ამ ეკლესიასთან უპოვიათ მიწაში ორი ზარი, ერთი მათგანი ყოფილა გატეხილი და მეორე მთელი, რომელიც გაუგზავნიათ **ეზრუმის** კარიმირ – ვანქში და ახლაც იქ არისო.

ეკლესიის კარების ერთ ზღუდეზე ყოფილა **ქართული ხუცურათ ზედ ნაწერი**, მაგრამ რადგან ქვა რბილი ყოფილა, დროს წაუხოცნია იგი და ახლაც ეტყობა ქართული სიტყვები ხუცურ ასოებით: „**ესე ეკკლესია**“.

ეკლესიასთან გდია ერთი დიდი ქვის ჯვარი, რომელს სიმაღლე აქვს ცხრა მტკაველი, სიგანე – ექვსი; მაღლა ჯვარის შუბლზე შენახულია ზედ წარწერა: **ჩ.მ.**, მარჯვენა მკლავზე – ზ მარცხენა მკლავზე – **ნ**, შუა გულზე რაღაც ასახია, მაგრამ წაშლილია და ვერ გაირჩევა, თუ რა არის გამოსახული<sup>1</sup>.

სოფელი რაბათის დაარსებაზე მცხოვრებლებმა შემდეგი ლეგენდა მიაძმეს ზეპირ გადმოცემული:

ის არე – მარე, სადაც ეს ეკლესია დგას, დაბურული ტყით ყოფილა მოსილი. **ანი** ქალაქის დაქვევის შემდეგ, იქიდან წამოსულან ოთხი ძმა და მიმავალეზულან ამ ხეობაში ბილიკით უგზო – უკლოთ. მათ შეუნიშნავთ რაღაც ბრჭყინვაჲ საგანი და იმ საგნისაკენ გზა მიუქცევინან. რომ ახლო მისულან, მაშინ დაუნახავთ მშვენიერი ახლადახალი ეკლესია და ზედ გუმბათზე ვერცხლის დიდი ჯვარი, რომელიც გამხდარა ამ ეკკლესიის პოვნის მიზეზი.

<sup>1</sup>ზუდრის 1000-ს, უუდრის 400-ს, მუდრის 40-ს, ნუდრის 50-ს (შ.ფ.).

ამ ეკლესიის გადათვალერების დროს ტყიდან გამოვარდნილა ერთი დათვი, მიჰვარდნია იმათ უმცროს ძმას და დაუფრეწია.

მეორე ძმები, თავის ძმის სახსოვრად და იმ ეკლესიის პატივსაცემათ, აქ დასახლებულან. აუშენებიათ ქოხები, გადმოსახლებულან თავიანთ ცოლშვილით და გაუშენებიათ ეს სოფელი, რომელიც ჯერ პატარა ყოფილა და შემდეგ გადიდ – გამდიდრებულა.

თათრების დროს თურმე ბევრჯერ ყოფილი მცხოვრებლები აკლებული და გაქურდული და ბევრიც შევიწროება ჰქონდათ, მაგრამ, მაინც, **მხნეთ დაუცვამთ თავიანთი ენა, სარწმუნოება და ხალხოსნობა ხელუხლებლათ.**

ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, №16, 1906 წ.

**შენიშვნა:** სტატიის მანქანაზე ნაბედი ტექსტი და აღნიშნული ჟურნალის ნომერი სავანის ბიბლიოთეკაში სახსოვრად დაუტოვებია სტამბოლში სტუმრად მყოფ სოლომონ ასლანიკაშვილს.

**ვ.ს – შვილი  
(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)  
ბრძოლის ველიდან  
კორესპონდენტი**

ძნელი ასაწერია ის საერთო სურათი ბრძოლის ველისა და მეზობლის ცხოვრებისა. დღემდის ჩემთვის დაუჯერებელი იყო, რომ იმ ნაზს, ფაქიზსა და გულჩვილ არსებას, როგორც არის ადამიანი, შესძლებოდა გადატანა იმ ტანჯვა – ვაებისა, რომელიც დღეს წილად ხვდა მას... ჩემს მხედველობას არ ვუჯერებდი, როდესაც პირველად ვნახე ბრძოლის ველი და მოწმე გავხდი ადამიანის ნამოქმედარისა...

პირველადვე თვალწინ გეშლებათ ბუნებით მდიდარი კუთხე, თვალგაუწვდენელი მინდორ – ველი, მთა – გორაკიანი ადგილები, დაბურული, აყრილი ტყე... ყველა ეს ხიბლავს ადამიანის გულს. მაგრამ როცა ჩაუკვირდებით ყველა ამას, სულ სხვა სურათი გეშლებათ... ადვილად შეგიძლიანთ შეამჩნიოთ, რომ ყველა ეს ადგილები, რაღაც არა ჩვეულებრივად გამოიყურებიან და თითქოს ზიზღით შესცქერიან ადამიანში გაღვიძებულ მხეცს... ამ მშვენიერ მიდამოებში თქვენ ამჩნევთ ათასგვარ საომარ მომზადებას, უსულო რკინის მანქანებს, რომელთაც გაუშვერიათ ტუჩები მტრის ბანაკისკენ და მოუთმენლად ელიან ადამიანის ბრძანებას, რომ შთანთქან ასობით და ათასობით ადამიანი... მეორე მხრივ, ასევე იყურება ჩვენი მოპირდაპირე და ორთავენი ფხიზლად სდარაჯობენ ერთმანეთს, რათა ძმათა სისხლი დაუნდობლივ დაღვარონ. სამოქმედო ასპარეზზედ, ყოველ ფეხის გადადგმაზედ თქვენ შეხვდებით ადამიანთა გვამებს. ზოგს მათგანს ადამიანის სახეც – კი აღარ უჩანს, ზოგი უფეხო და უხელოა... იქვე მახლობლად მუშა ჯარისკაცი სიცილ – ხარხარით, თითქოს თვითონაც მათთვის მომაკვდავნი არ იყვნენ, სთხრიან გრძელ და ღრმა სასაფლაოებს, სადაც კისკისით სთვლიან და ალაგებენ მოკლულებს. აი, ერთი საფლავის წარწერა: „ძმური სასაფლაო, აქ მარხიან ოსმალეთის დახოცილი ჯარისკაცები, რიცხვით 7774 კაცი“.

– ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთია ბრძოლის ველი და ადამიანი გულქვა უნდა იყოს, რომ ცრემლები არ მოუვიდეს ამის ნახვაზე...

აგერ ვილაც, ეტყობა მოხევეა, ვაჟკაცურად გამოიყურება დაჭრილი და თან ხშირად დედას ახსენებს. აგერ მეორეც, ცალი ფეხი სრულად აღარ აქვს, სამშობლოს ეთხოვება... აგერ ოსმალთ,

რომელსაც თუმცა აწუხებს ჭრილობა, მაგრამ ვერ გაუბედნია ხმის ამოღება. ეს ქარავანი დაჭრილებისა მიდის, მას მოსდევს მეორე და მესამე. მთელი დღე მხოლოდ ტანჯვის მნახველი, ნერვებმოშლილი ბრუნდები და... თანდათან შენც ეჩვევი ყველაფერს.

### ოსმალო ოფიცრები

დილის ცხრა საათი იყო, რომ ორი ოსმალს ოფიცერი მოგვიყვანეს; ერთი – ერთი მათგანი კაპიტანი იყო, მეორე – პორუჩიკი; ორთავეს სახეზედ მწარე ნაღველი ემჩნეოდა; არავის ხმას არ სცემდნენ, მხოლოდ დროგამოშვებით თუ ზიზლით გადახედავდნენ ხოლმე ყველას, ვინც ირგვლივ ეხვივნენ. **მათ ფრანგული და ოსმალურის მეტი სხვა ენა არ იცოდნენ.** მე ოსმალური ვიცი. მივუახლოვდი და დილა მშვიდობისა ვუსურვე, თან ხელი გავუწოდე ჩამოსართმევად. პირველად, ცოტა არ იყოს, აღმაცერად გადმოშედეხს, მაგრამ როცა გაიგონეს, რომ მათივე ენაზე ველაპარაკობდი, ცოტა არ იყოს სიამოვნება იგრძნეს და მოკრძალებით გამომიწოდეს ხელი.

– თქვენ ვინა ბრძანდებით, – შემეკითხა კაპიტანი.

– მე, აქ ვმსახურობ... № – თ,

– არა, მაგას არ გეკითხებით; რომელ სჯულს ემსახურებით?

– მართლმადიდებელი, ქართველი გახლავართ.

– სად ისწავლეთ ჩვენებური ლაპარაკი?

– შემთხვევა მქონდა მემსახურა თქვენს საზღვარზედ.

– ძალიან მოხარული ვართ, რომ შეგვიძლიან ვისთანმე ლაპარაკი. და თუმცა სხვა საგანზედ უნდოდა ბაასის გაბმა, მაგრამ რადგანაც ჩემთვის სასურველი იყო, გამეგო ომის ამბავი, ამიტომ სიტყვა გავაწყვეტინე და შევეკითხე:

– როგორ ჰგრძნობთ თავს ჩვენში?

– ძალიან კარგად, ჩვენ არ დავიჯერებდით, რომ ასე მოგვეპყრობოდნენ, თუმცა როგორც თქვენ სწერთ ჩვენს სიმხეცეზედ, თქვენზედაც ჩვენში ეგრე სწერენ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ თქვენს ტყვეებს ჩვენში ძალიან კარგად უვლიან.

– ეხლა როგორი სულიერი განწყობილებაა თქვენს ჯარში? მგონი დიდ გაჭირვებაში უნდა იყოთ.

– დანამდვილებით ვერ გეტყვით. არ ვიცი ამ წუთში რა ხდება იქ, რადგან ყოველ დღე ცვლილება ხდება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ რამდენიც დღე გადის, ჩვენს ჯარში იმდენი სულიერი აღფრთოვანება მატულობს, რადგან ეს ომი სამკვდრო – სასიცოცხლოა ოსმალთათვის.

– რა მიზეზია, რომ სულ მარცხდებით? მგონი იარაღი გაკლიათ, ან მგონი ძალიან უძლურნი ხართ ომისთვის და, დამეთანხმეთ, რუსეთთან ბრძოლა შეცდომით მოგივიდათ...

ამ სიტყვების შემდეგ კაპიტანი ცოტა არ იყოს გაჩუმდა და საშინელი მღელვარება დაეტყო, თან სუნთქვას უმატა... ბოლოს, როგორც იყო, სული მოიბრუნა და გაბედულად მითხრა:

– თქვენ არ გეგონოთ, რომ მე ტყვე ვარ და რამე მეკრძალებოდეს; რადგან ეგ საკითხი აღმართ, გეტყვით: – თქვენ, ბატონო, რაღაც არაჩვეულებრივი ხალხი ხართ, თქვენ გგონიათ, რომ თქვენს იქით ადამიანები აღარ ცხოვრობენ... ჩვენ – ოსმალნი არც ისე ვართ ჩამორჩენილნი, როგორც წარმოგიდგინათ; მე ამას თავის საქებურად კი არ ვამბობ, არამედ მინდა სიმართლე აღვნიშნო.

– სარიყამიშთან დამარცხების მიზეზი იყო ჟინიანობა ერთი ჩვენი სარდლისა, რომელმაც არ მოუცადა განკარგულებას... მაგრამ ის გაკვეთილი იყო და დღეის იქით სრული უფლება მიეცა სხვას, უფრო გამოცდილს და ფრთხილს. სწერთ, ათი – ათასობით დავხოცეთო. ასე რომ იყოს, ეხლა არც ერთი ჯარისკაცი აღარ გვეყოლებოდა... სარიყამიშთანაც, სადაც დავსტოვეთ 13,000 კაცი,

მეათედიც არ მომკვდარა ტყვიით. დიდი ნაწილი იმსხვერპლა სიცივემ და შიმშილმა; ამის მიზეზიც იყო ჩვენი მთავარსარდლის აჩქარება.

– როდისთვის აპირობთ ომის გათავებას?

– ომს გავათავებთ მაშინ, როცა ჩვენ მიზანს მივაღწევთ. ამაში სრულიად დარწმუნებულნი ვართ...

– ეგ ოცნება და ფანტაზიის ნაყოფია თქვენი.

– ეგ არ ვიცი, მომავალი გვაჩვენებს.

– ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდგომში თქვენი მოკავშირენი თქვენვე დაგსჯიან...

– მაგაზედ ეჭვიც კი არ გაგვიტარებია გულში...

– ეს ყველა კარგი, კაპიტანო, მაგრამ რა დაგიშავებს თქვენებურმა სომხებმა, რომელთაც ასე სასტიკათ სჯით...

– თქვენ, ბატონო, ისეთ საკითხს შეეხეთ, რომ... ჩემთვის არ არის სასიამოვნო, მაგრამ რაკი მკითხეთ, მოკლედ გეტყვით. როგორც თქვენ დიდ რუსეთში, აგრეთვე, ჩვენშიც არიან „ხულიგნები“, რომელნიც არღვევენ მყუდრო ცხოვრებას... ამაში მთავრობას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. მაგრამ თვით სომხის ხალხზედ ორიოდე სიტყვას გეტყვით:

– თუ სომხების დარბევა ხდება ოსმალეთში, ეს მათივე ბრალია, ვინაიდან ბევრ ღონეს ხმარობენ, რომ უკანასკნელი სისხლი ამოსწოვონ ჩვენ გადატაკებულ გლეხობას. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო და თვით ჩვენი ხალხი ფანატისკოსები არიან და მასთან მაჰმადიანები, ამიტომ სხვა ერს ჩვენს თავზედ ვერ გავაბატონებთ... თქვენ მხოლოდ მარტო სომხებზედ გაჰკვივით, ხოცავთ და არბევთ. რატომ იმას არა სწერთ, რომ ისინი ჩვენს გლეხობას არბევენ. მაგრამ სად არის სამართალი!...

– ჩვენშიც ცხოვრობენ სომხები, მაგრამ ისინი გაბატონებას არავიზე ცდილობენ...

აქ სხვებმა შემოშალეს ხელი. მოვიდნენ, უნდა ჩაეწერნათ, ტყვეები და ჯარისკაცები შემოიყვანეს საყარაულოდ, რის გამო ლაპარაკი შევწყვიტეთ და ერთმანეთს გამოვესალმეთ.

### ოსმალეთის ასკერი. ქართველი მაჰმადიანები

სალამო ჟამი იყო, როდესაც ჩემთან ერთი ქართველი ბიჭი მოვიდა და მითხრა:

– „აქ, ბატონო, ქართველი – თათრები (ქართველი მუსლიმანები) არიან და ლაპარაკი სურთ“.

მე მაშინვე გავემურე იქითკენ, სადაც ისინი მუშაობდნენ, ვკითხე მათ უფროსს, ნება მოეცა ლაპარაკისა. დასტური დამცა.

მისვლისთანავე ის ორი ქართველი მუსლიმანი გამოვიხმე, ქართულად გავეხმაურე და ხელი ჩამოვართვი. მათ განიზრახეს ხელზედ კოცნა, მაგრამ დროზე გამოვტაცე ხელი. ერთი მათგანი, რომელიც გვარად დადიანი იყო, მეტად ლამაზი და მოხდენილი ყმაწვილი კაცი იყო; მისი დიდრონი, გიშრის ფერი თვალები, ცოცხლად დანავარდობდნენ თავის ბუდეებში, მეორე კი უფრო მომცრო ტანისა იყო, გვარად ხუცაძე.

– ქართველები ხართ, ბიჭებო?

– დიახ, შენი ჭირიმე, ქართველი – ოსმალები...

– მერე განა კიდევ ლაპარაკობენ თქვენში ქართულს?

– რასა ბრძანებთ, განა ენის დაკარგვა შეიძლება! პატარაობიდანვე პირველად ქართულს ვსწავლობთ. თუმცა ოსმალებად ვითვლებით, ჩვენს ქალს თავის დღეში ოსმალელ თათარს არ მივცემთ...

– მერე საომრად რომ დარაზიმულხართ, ხომ თქვენი ყოფილი სამშობლო კუთხე უნდა გაანადგუროთ?!

– ეხ, ჩემო ბატონო, რომ გვკითხამდეს ვინმე, პირს მოვიბრუნებთ და მზად ვართ, ჩვენი საქართველო დავიცვათ, მაგრამ... – ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ ექვის შეტანა არ შეიძლებოდა.

– არ გინდა ნახო საქართველო?

– ოღონდ კი მაჩვენონ საქართველო და თუნდაც იმავე დღეს მომკლან. აი, ბატონო, სწორედ იმიტომ გვინდოდა თქვენი ნახვა. იქნება გვიშუამდგომლოთ რამე, იქით გაგვგზავნონ და არას ვინაღვლით, თუ ათჯერ ამაზე მეტი გვამუშავებს.

– არაფერი გაგიგიათ აჭარის შესახებ?

– როგორ არა, ბატონო, ერთმა ქართველმა მღვდელმა გვიამბო. ძალიან გვიხარის რომ ქართველები გვეხმარებიან, ჩვენ ბრველი მტერი გვყავს ბატონო, ბრველი; იქაც, – ოსმალეთში; აქაც – ქართველებს... რა საკადრისია ფარული ღალატი! თუ რამე სწადიან ჩვენ კაცს, არც პირში დაგერიდება. მაღლა ალლაჰი ხედავს სიმართლეს და ჩვენ ქართველებს არ დააჩაგვრინებს არავის. აი, აქა, ბატონო, ეს ორი კაცი – მუსლიმანი ქართველები ისე ვძულვართ, რომ ლამის არის შეგვჭამონ. აქაც ღალატია და მაზეზღობა, თორემ ღმერთმა იცის, არას ვაფუჭებთ, სხვაზედ მეტსაც ვაკეთებთ... სხვა ტყვეებიც არიან. აი, მაგალითად, ოსმალეთის ჯარის სომეხთა ასკერები, მაგრამ იმათ სულ სხვანაირად ექცევიან... მაინც გულს არ ვიტყბთ, ასე შენისთანა ხალხს რომ ვხედავთ ხოლმე.

მე აღვუთქვი თხოვნა უფროსთან, რათა ჯარისკაცებისთვის ებრძანა თანაბრივი მოპყრობა ყველა ტყვესთან. შემდეგ გამოვეთხოვე და დავშორდი.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. № 47.

**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(გაგრძელება)**  
**სოფ. დეგირმანქოი.**

თავის საქებურად არ მინდა ვთქვა, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს. მინახავს უმოწყალოდ ამოწყვეტილი, სათათრეთის მთლად გაღატაკებული, დაავადებული, მშიერი, ღატაკი სოფლები, მაგრამ ჩემს თვალებს ჯერ არ უნახავს ტანჯვა – ვაება, სიღარიბე, განადგურება, როგორც არის დღეს ომის გამოისობით არტანის მიდამოში მყოფი ოსმალ – თათრების ე.ი. ქართველი მაჰმადიანების სოფლები. ძნელია კალმით აღწერა ყველა იმ უბედურებისა, რომელიც დღეს გამეფებულია ამ სოფლებში. სხვას ნურაფერს ვიტყვით: ადამიანი რომ შიშშილით კვდებოდეს, ერთ ნაჭერ პურს ვერ იშოვნის. ერთადერთ სოფელ დეგირ – მანქოიში სამი ძროხა ვნახეთ, რომელიც ეკუთვნის აქ დაარსებულ ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების ქსენონს (საავადმყოფოს შ.ფ.). ვერ წარმომიდგენია, რითი იკვებებიან აქაური მცხოვრებნი. ვნახე აქ ყველაზედ შეძლებული მოლა, რომელიც წყალში არეულ ფქვილს, ისიც უმარილოდ, ცეცხლზედ ახმობდა. ამ ფქვილსაც რის ვაი – ვაგლახით თითო ჯამობით შოულობენ ჯერ – კიდევ აუოხრებელ სოფლებში.

**დიდია ტანჯვა დღეს მაჰმადიანებისა,** საერთოდ და უმეტესად იმ სოფლებისა, რომლებიც დროებით ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა. პირველ მიახლოებაზედ თქვენ ვერ იცნობთ, რომ სოფელში შედიხართ. **დანგრეულია, დამწვარია სახლები მტრისა და ჩვენი ზარბაზნებისაგან,** როცა ოსმალთ ერეკებოდნენ. ზოგს ბანი ჩანგრევია, ზოგს კედლები შენგრევია. აი, ამ ფარღალა ქოხებში ცხოვრობენ დღეს თათრები (**მაჰმადიანი ქართველები**). ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ნახევარ თვის შემდეგ სიცივე 38<sup>o</sup> – 40<sup>o</sup> ადის. შეშის ნასახი ხომ არ მოიპოვება. ამასთან გავრცელებულია ტიფი, ტრახომა, ხუნაგი და სხვა. ათასგვარი ავადმყოფობანი. ერთი სიტყვით, ადამიანი ან გულქვა უნდა იყოს, ან ნერვები რკინისა უნდა ჰქონდეს, რომ ამ შემზარავ სურათს გულცივად უყუროს. ასე გასინჯეთ, იმდენად დაცემულია სულიერად აქაური ხალხი, რომ მომავალ ზამთრის საზრდოზე აღარა ზრუნავს. ანკი ვინ იზრუნოს, **როდესაც სამი წილი მამაკაცებისა, რომელნიც უფრო ახალგაზრდები ყოფილან, ციხეში სხედან ვითომდა ღალატისთვის.**

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყველას – არა მაჰმადიანს შეუძლია შევიდეს რომელ სოფელშიაც სურს, მათრახით ტყავი გააძროს მაჰმადიან მცხოვრებთ და მისი ხმის გამცემი არავინ არის... აი, რამდენად აბუჩად აგდებულნი არიან დღეს თათრები (**მაჰმადიანი ქართველები**) იქ, სადაც ომს დაახლოვებულნი არიან. ერთი სიტყვით, **ჯოჯოხეთზე უარესი მდგომარეობა აქეთ გამეფებული.**

როდესაც რუსებმა ოსმალები განდევნეს არტანის საზღვრებიდან, მაშინ პროვოკაციამ იჩინა თავი.

მთავრობასთან აბუჩაბდენ მთელ ოსმალების – მაჰმადიანი ქართველების სოფლებს, ვითომ მათ რაიმე კავშირი ჰქონოდათ ოსმალებთან. ამიტომ მთავრობაც ატყვევებდა ყველას, ვისზედაც მიუთითებდნენ. ერთ სოფელში მივიდა (სახელი დამავიწყდა) ერთი და უთხრა: – დღეს აქ გუბერნატორი უნდა გეწვიოთო. ოსმალებმაც (მაჰმადიანმა ქართველებმა) ერთ მოლას სახლში მოიყარეს თავი, მოემზადნენ პურ – მარილით დასახვედრად. ყველანი პატივისცემი მოხუცი ხალხი იყო, მაგრამ იგივე დამსმენი მივიდა და მთავრობას გამოუცხადა:

– ამა და ამ სოფელში, მოლას სახლში, შეკრებილები არიან თათრები, ოსმალეთის სარდალს ელიანო.

მთავრობამ უკითხავად გაგზავნა კაზაკები, რომელნიც შეცვივდნენ და გამოუძიებლად ყველანი ამოხოცეს. აი, ასეთ გმირულ საქმეებს ეწევიან.

თათრების საქველმოქმედო ბაქოს საზოგადოება ასეთი სოფლების მდგომარეობის შესასწავლად დიდი ენერგიით მუშაობდა და თითქმის დაასრულა თავისი გამოძიება. ჰყავთ თავიანთი ვეჟილები, ექიმები, ფერშლები; გახსნეს თათრების (ქართველი მაჰმადიანების) სოფლებში მასაზრდოებელი პუნქტები, ქსენონები; ურიგებენ ხალხს პურს, შაქარს, ჩაის, ტანისამოსს და ყიდულობენ მათთვის საქონელს. ერთი სიტყვით, თათრობამ (მუსლიმანქართველობამ) ეხლა ცოტა ამოისუნთქა თავისუფლად. როგორც გავიგეთ ეხლა ეს კომისია იკვლევს დარბეულთა მდგომარეობას და აპირებს აჭარისკენ წასვლას, რათა იქაც გამოიკვლიოს აჭარელთა დღევანდელი მდგომარეობა და მათი დარბევის ნამდვილი მიზეზები. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამაც უნდა გააძლიეროს თავისი საქმიანობა.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №87.



**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**  
**(გაგრძელება)**

**არტაანი.** სადგურ ბელიუბეტსკიდან მიმავალი გზა არტაანისკენ ძალიან საძნელოა და ამასთან აღმართია, საკმარისია ცოტათი წამონამოს, რომ გზა გაუვლელი შეიქმნას. ამიტომ საძნელო მმართველობა ეხლა მშვენიერ გზატკეცილს აკეთებს. როდესაც მიუახლოვდებით არტაანს, ერთი სამიოდე ვერსი თავქვეა. შესვლისთანავე ამ დაბაში თქვენ სრულიად სხვა სურათი გადაგეშლებათ. მაშინათვე იგრძნობთ, რომ აქ რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალებულა. მთელი არტაანის მიდამო ათასგვარი სიმაგრეებით არის გარემოცული. ამას გარდა, ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე თქვენ დაინახავთ დამწვარ – დანგრეულ სახლებს. როგორც სჩანს, აქ მშვიდობიანობის დროს დიდი ვაჭრობა ყოფილა. არტაანს გარშემო ბევრი სოფლები ახვევია. უმეტესად ოსმალ – თათრებისა (ანუ მაჰმადიანი ქართველებისა) და ბერძნებისა. არის რამდენიმე სოფელი მალაკნებისა. ყველა ვაჭრები აქ, რა თქმა უნდა, სომხებია. დღეს ყველაფერი მოსპობილია, თუმცა ბევრსა სურს განაგრძოს ვაჭრობა, მარა კვლავ შიშს განიცდიან. თუ გაუბედნია ვისმეს და გაუხსნია სავაჭრო, ისიც მამასისხლად ჰყიდის ყოლისფერს, პური მესამე ხარისხისა 8 კაპეიკად იყიდება.

ასეთია დღეს მდგომარეობა არტაანში.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №90.

**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**  
**(დასასრული)**

ოსმალეთის (მაჰმადიანი ქართველების) გლეხოზა სრულიად არა ჰგავს ჩვენს გლეხოზას თავისი – ყოფა ცხოვრებით. თუმცა ისინიც მისდევენ მესაქონლეობას, ხვნა – თესვას და სხვა; მაგრამ რამდენადაც ჩვენი გლეხი ცოტად თუ ბევრად კულტურულად ვითარდება, იმდენად ოსმალეთის გლეხი ქვეითდება. ეს იმით აიხსნება, რომ მათ სოფლებში ვერ იპოვით ვერც სკოლას, ვერც რაიმე კულტურულ – დაწესებულებას, რომ მათზედ რაიმე გავლენა იქონიოს. ამის გარდა, ოსმალელი გლეხი საშინელი ზარმაცია და მთელი დღე ცუდად ატარებს. უმეტესი მუშაობა ქალისაგან წარმოსდგება; ხასიათით ოსმალელი გლეხი ძალიან მშვიდია, იგი ყოველთვის სცდი-ლობს ტკბილად მოგექცეს იმ დრომდის, ვიდრე თაღლითობას და ორპირობას შეგატყობს; თუ ეს ნახა და ორპირობას შეგატყობს, მაშინ აგიძულებს და აღარ დაგერიდება, გავნოს... ჩვენი გლეხი კი ამ შემთხვევაში დაბდურია, რადგან თავის სარფისთვის ნათლიად გამხდარ რომელიმე ვაჭარს, თუმცა ნათლად ჰხედავს, რომ ტყავს აძრობს, მაგრამ მაინც „მირონის“ ხათრით ვერას ეუბნება. ოსმალელი – გლეხი: საკმარისია ვინმე კაკარდიანის დანახვა, რომ მთელი სოფლის ქალი და კაცი დაიმალოს. მე წინა წერილში მოხსენებული მქონდა, რომ სამხედრო მთავრობა გზატკეცილს აკეთებს. ამ გზაზედ, რა თქმა უნდა, არიან „პოდრაჩიკები“. აი, ესენი ამუშავებენ სომხებს, რუსებს,

რომელთაც 2 მან. 50 კაპ. ეძლევათ დღეში. ხოლო ამავე დროს ამუშავებენ აქ ოსმალებს და ქურთებს, რომელთაც ეძლევათ 60 – 70 კაპ., და თან გვერდზე სტრაჟნიკი უდგიათ.

ამას სჩადიან „პოდრაჩიკები“. მთავრობას კი აჩვენებენ, ვითომ ამათაც 2 მან. 50 კაპ. ეძლევათ. ასე ჰყვლეფდნენ ოსმალებს (მაჰმადიან ქართველებს), ვიდრე გაიგებდნენ; მაგრამ დღეს სურათი შეიცვალა ათასგვარ მიზეზების გამო, რომელსაც ამ მოკლე ხანში გავაცნობ მკითხველს.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №94.

**ვ. ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**  
**წერილი მეექვსე**

დავალებული მქონდა შემომეველო არტაანის, ყაგიზმანის, ოლთის, გელსკის (კოლას), ჩალდირის და სარიყამიშის რაიონები, რათა გავცნობოდი თათართა გლეხების (მუსლიმანი ქართველების) მდგომარეობას. ამასთანავე, უნდა გამომეკვლია, თუ რა სოფელში რა ავადმყოფობა მძვინვარებდა, რომ საჭიროების მიხედვით დამენიშნა საექიმო ქსენონების გახსნა. დილის შვიდი საათი იყო, საშინლად ციოდა, მთელი მიდამო რთვილით იყო დაფენილი. მე და ჩემი თანმხლებელი არ დავერიდეთ სიცივეს, თუმცა საზაფხულოდ ვიყავით გამოწყობილნი და გავემგზავრეთ პირველად გოლისკის რაიონში (კოლას მხარეში).

**სადგური ხასკოი.** თუმცა ხასკოიდან მიმავალი გზა იმ რაიონისკენ არის, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ მოკლედ მოგვეჭრა, ამიტომ შევუდექით მთას. თითქმის ნახევარი მთა ფეხით გადავიარეთ. შემდეგ ასე 5 ვერსამდე სულ თავქვე მოგვიხდა სიარული. გათავდა თუ არა ეს თავქვე, თვალწინ გადაგვეშალა თვალგაუწვდენელი დაცემული მინდორი, სადაც გაფანტულია პატარა სოფლები ოსმალო – ქართველებისა და ბერძნებისა.

**სოფ. არპაშენი.** პირველად ჩვენ მიველით სოფელ **მირაშენში**, სადაც ცხოვრობენ ოსმალო მისირები (ეგვიპტელები). ისინი საშინლად დაშინებულნი არიან. უცხოს დანახვაზე მიფრთხიან. ჩემს მისვლაზე ფერი ეცვალათ, ერთი იმიტომ, რომ რუსის სახისა ვარ და მეორე, ჩემი თანამხლებელი თოფიანი იყო. როდესაც ავუხსენით მიზანი ჩემი მისვლისა, მაშინ მოიბრუნეს გული. მათმა მუხტარმა (ნაცვალა) მიჰმართა იქ მყოფთ: „ილან დიმაზგურჯიდიუ“ – **ტყუილს არ იტყვის, ქართველიაო**; და მაშინ დამრთეს ნება ავადმყოფის ნახვისა. აღმოჩნდა, რომ თითქმის ნახევარი სოფელი სახადით ყოფილა ავად. ეს სოფელი ერთადერთი სოფელია ცოტა რიგიანი, თორემ სხვები სიღარიბეში დაფავენ სულს. ამ სოფელს გარს ახვევია სოფ. **მურყანი, ბაირამოღლი, ნემესი, კაპახ** და სხ. აქვე არი სოფლები ბერძნებისა, **პროლმორი** და სხ., მაგრამ ბერძნების და თათართა სოფლებს შორის დიდი განსხვავებაა: პირველნი, ნოყიერი ცხოვრებით კმაყოფილნი, მხოლოდ ოსმალონი (მუსლიმანი ქართველები) ნიადაგის სიმწირით მსხვერპლი გამხდარან გაჭირვებისა და ათას გვარი უბედურების.

**სოფ. ოკამი.** ეს სოფელი გელსკის რაიონის (**ისტორიული კოლას**) ადმინისტრაციული ცენტრია, სადაც ცხოვრობს ბოქაული, არის ექიმი, ფერშალი და აგრედვე, შკოლა, რომელიც დღეს დაკეტილია.

**სოფ. მერდენეკი.** ეს სოფელი ბერძნებისაა და როგორც სჩანს, ომიანობამდის მდიდარი ხალხი ყოფილა. დღეს ეს სოფელი ომის ასპარეზად ითვლება. მთელი დღე მოძრაობაა ჯარისკაცებისა.

აქვე მოწყობილია საეროზო კავშირის, ქალაქების და სამხედრო საავადმყოფოების დაწესებულებანი.

აქ უცნობ კაცისთვის ძალიან ძნელია დასაძინებლად ადგილი იშოვნოს, რადგან თვითოეულ ოჯახშიც კი ხუთი და ექვსი ჯარისკაცია ჩაყენებული. საჭმელზედ ხომ ლაპარაკიც არა ღირს, რადგან მისი შოვნა შეუძლებელია და თუ იშოვე, ღმერთმა შეგინახოთ, მისი ჭამის შემდეგ თუ რა დაგემართებათ. პირველ ღამეს როგორც იყო, ერთი ფარღალა „იურტაში“ გავათენე, ხოლო მეორე ღამეს აღარ დავერიდე და ხოლერიანთა ნაწოლ კრაოტში გამოვაცხე ძილი.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №108.

**ვ. ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**  
**წერილი მეშვიდე**

იმისთანა აღვირახსნილობა, რომელიც ხდება აქეთ სომხების მიერ ყოვლად აუტანელი და დასაგმობია.. არ ვიცი, ღმერთმანი, ნუთუ რუსეთის მხედრობის ავანგარდნი სომხები არიან, რომ ასეთ სითამამეს იჩენენ?! იმ დღიდან, რა დღესაც ჩვენმა მხედრობამ გაიმარჯვა, მტერი უკუაგდო და აზრუმც ხელთ იგდო, სომეხთა გამოისობით აღარ აქვთ მოსვენება ადგილობრივ მკვიდრ მაჰმადიანთა მცხოვრებთ... ველარ ძალუმთ ან გაიარონ სამაზრო ქალაქში, ან იყიდონ რაიმე თავიანთ მოწონებით... ყველაფერი ძალმომრეობით ხდება... იმ დროსაც კი მთავრობა, რომელიმე მაჰმადიანს იბარებს რაიმე საქმისთვის, ეს უკანასკნელი ცდილობს, რომ სხვა გზიდგან შემოუაროს ქალაქს, ვინაიდან ეშინიათ აღვირახსნილი სომხებისა... გამვლელ მაჰმადიანთ სცემენ უდანაშაულოთ მათრახით, დაგრებილი თოკით, ჯოხით და სხვა. და თან სჯულსა და ენას აგინებენ: – „აი, თქვე ძაღლის რჯულისანო, ხომ ხედავთ რა ვქენით ჩვენაო, ახლა გვაცალეთ და სულ ერთიანად ამოგწყვიტავთო... საბრალო მაჰმადიანები. ეს ცხვარივით ხალხი, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვით მათ, სომხების წინაშე და არც ომისა იციან რა, ითმენენ ყოველივე უბედურებას და იკლავენ გულში „რჯულის“ გინებიდგან გამოწვეულ ბოღმას..., და არც არავინა ჰყავთ ქომაგი. ადმინისტრაციის პატარა მოხელენიც ამითვე მტრებისაგან შესდგებიან და ამიტომ საშუალება არა აქვთ ამ დაბეჩავებულ ხალხს, მიმართოს ჩივილით უფროს ადმინისტრაციას, ვინაიდან მისვლისთანავე ეს პატარა მოხელენი კარებშივე იგებენ მათი მისვლის მიზეზს და კინწისკვრით ისტუმრებენ.

ერთი სიტყვით რამდენიც დღე გადის, იმდენი აუტანელი ხდება მაჰმადიანთა ცხოვრება სომეხთა გამოისობით... თუმცა დროებით ოსმალებიც იყვნენ რუსეთის ტერიტორიაზედ, მაგრამ რუსეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანებს სომხებისათვის არაფერი დაუშავებია. პირიქით, რამდენიმე ვაჭარი სომეხი ვიცი, რომ მაჰმადიანმა თავიანთ სახლებში შეიფარეს... სამადლობლად კი მათ ათასგვარი ცილი დასწამეს საბრალო მაჰმადიანთ და ბევრს ამოაყოფინეს ციხეში და სახრჩობელაზედ თავი...

თვით იმ სახლის პატრონი, რომელშიდაც ახლა ეს წერილი იწერება, ერთი საყვარელთაგანი ბეგი იყო მთელს მაზრაში, რომელიც უხვად სცემდა მოწყალებას განურჩევლად ეროვნებისა... და ასე გაშინჯეთ, ისე უყვარდათ იგი ყველას, რომ როცა გაივლიდა ხოლმე, ბავშვები რუსებისა, მალაკნებისა თუ სხვა, გარს ერტყმოდნენ და უალერსებდნენ... დიდები კი დიდის პატივისცემით

ეპყრობოდნენ მას გულკეთილობისთვის... მაგრამ აღარც ეს დაინდეს და გააძევეს იმავე სომხებმა... რა დანაშაული აქვთ აქაურ მაჰმადიანებს, ან საერთო ოსმალების ქვეშევრდომებთან...?! **ოსმალებში რომ სომხებს არბევდნენ, ამათი რა გადასახადია?...**

კვირა დღე იყო, ჩემ ოთახში ვიყავი წამოწოლილი და დასუსტებული ავადმყოფობით, უცებ გაიღო კარები და შემოვიდა ერთი ღრმად მოხუცი მაჰმადიანი.

– ეფენდი, მომმართა ტირილით, მიშველე ჩქარა და თან თვალებზე მიმიტითა, რომელიც ძალზე გასიებოდა.

– რა დაგემართა, მოხუციო? – შევეკითხე.

– ეფენდი ქ. ა – ში ვიყავი **ერთმა სომეხმა დამიჭირა და მითხრა, შეშა უნდა მიზიდოვო და თან რჯული შემაგინა**, – მე უარი ვუთხარი, არ შემიძლია, მოხუცი ვარ მეთქი. ამის გამო **მომდგა და დაგრებილი თოკითა მცემა**. თან მიძახდა: – **ეხლა – კი ჩვენ ხელში ხართ, სულ ამოგულიტავთო**. ნეტაი ადამიანი მაინც ყოფილიყო. შევევედრე: – **რას შვრები, ღმერთი მოიგონე – მეთქი**.

– **სადა გაქვს შენ ღმერთი, რჯულმაღლოვო და უფრო ძალიან დამარტყა...**

რომ მოგესმინათ მისი საუბარი და მისი უმანკო ცრემლები გენახათ... მაშინ დარწმუნდებით მის სიმართლეში და სულიერ ტანჯვაში... ასეთია **დღევანდელ ოსმალთა (მუსლიმან ქართველთა) ცხოვრება...**

იმედია ამ გარემოებას, ვისაგანაც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევს ე.ი. **აუკრძალავს ქრისტიან სომხებს შარა – გზაზედ თარეშობას, უდანაშაულო დაბეჩავებულ ხალხზედ ძალადობას**.

**შენიშვნა:** ვასილ სულხანიშვილი ხშირად სტუმრობდა ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის მონასტერს, რომლის სასულიერო პირები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ მუსლიმან ქართველებს. მათი ყოველდღიური ქადაგება მიმართული იყო მხოლოდ იმ მიზნით, რომ **მუსლიმან ქართველებში გაძლიერებულიყო ეროვნული თვითშეგნება**, რომ მათ შეენარჩუნებინათ **ქართული სისხლი, ქართული ენა, ქართული ადათ – წესები**. მათმა ღვაწლმა კეთილი შედეგი დაგვიტოვა. **ვასილ სულხანიშვილმა** თავისი ჩანაწერები და გაზეთ „საქართველოს“ ნომრები რომლებშიც დაიბეჭდა მისი ჩანაწერები, საჩუქრად უძღვნა სავანის ბიბლიოთეკასა და არქივს. **ვ. სულხანიშვილი პროფესიით იყო ექიმი**.

**ვ. ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(საკუთარი კორექსიონდენტისაგან)**  
**ქურთების სოფელში**

სამხრობა მოტანებული იყო. ბუნება თაღლითობდა: ხან მოიღრუბლებოდა ცა, ხან ისევ მზე ამოჰყოფდა ხოლმე თავს. მე და ჩემი თანაშემწე ცხენებს ვერეკებოდით, გვეშინოდა, წვიმას არ მოესწრო! ამასაც ვერ ავცდით. აქაურ მიწას ისეთი თვისება აქვს, რომ საკმარისია წამოჟინჟლოს, რომ გზა გაუვალი შეიქმნას; ამის მიზეზით ცხენებს სიარული საშინლად გაუჭირდათ და ჩვენ კი წვიმა გვასველებდა; როგორც იყო, მიუახლოვდით ერთ სოფელს, რომელსაც სოფლებისა არა ეტყობარა, ვინაიდან არც ერთი შენობა არ მოსჩანს, ყველა სახლი მიწაშია გათხრილი. უცოდინარი მგზავრი, იმით თუ მიხვდება აქ ხალხი სცხოვრობსო, რომ სოფელში შესვლისთანავე ოციოდე ძალდი დაუწყებს ღრენას.

სოფლის განაპირად შევამჩნიეთ ერთი სასახლე, რომელსაც მუახლოვდით; ეს იყო სოფლის სამმართველო. მისვლისთანავე რამდენიმე ქურთი გამოგვეგება. ცხენები ჩამოგვართვეს და შეგვიპატიჟეს კანცელარიაში. არ გასულა დიდი ხანი, რომ კანცელარიაში ჩვენს სანახავად იწყეს მოსვლა სოფლის მცხოვრებლებმა. ჩემი თანაშემწე თათარია, მეც ვიცი ოსმალური და ერთად ბაასი გავაბით. რამდენიმე წუთის შემდეგ კანცელარიაში შემოვიდა ერთი, მეტად ლამაზი სახის, სუფთად ჩაცმული მოხუცი, რომელიც ამაყურად გამოიყურებოდა. მის დანახვაზედ ყველა ფეხზე წამოიჭრა; მოხუცი მოგვიახლოვდა და სალამი მოგვცა. ჯერ, ვიდრე გაიგებდნენ ჩვენ ვინაობას, ცოტა არ იყოს შიშით შემოგვეყურებდნენ, მაგრამ ამ მოხუცმა თავის შეკითხვით ყველასათვის აშკარა ჰყო ჩვენი ვინაობა.

– თქვენი ამხანაგი რა რჯულისაა? – ჩუმაღ შეეკითხა მოხუცი ჩემს ამხანაგს.

– ქართველია.

– **ქართველი? კეთილი, ჩვენი ძმა ყოფილა.**

როდესაც გაიგეს, რომ მე ვიკვლევდი დაზარალებულ მაჰმადიანთა სოფლების მდგომარეობას და ავადმყოფობას, ყველას სიხარული აღებეჭდა სახეზედ და ერთბაშად მოწონებით და კმაყოფილი შემოგვძახეს და ხელის ჩამოსართმევით წამოვიდნენ.

– საფა გელდი, საფა! (კეთილი იყოს თქვენი მოსვლა). – მოგვესალმნენ გულიანდ. ამის შემდეგ ამ მოხუცმა გვთხოვა, იმასთან წავსულიყავით; ჩვენ ყაბულს გავხდით, მოხუცი აღმოჩნდა **ადგილობრივი მილიონერი ქურთი ისუფ – ალა.**

### სტუმრად მიწის ქვეშ მცხოვრებ მეფესთან

როდესაც გზაში მივდიოდით, ვფიქრობდი, ეხლა კი სასახლეში შევალ – მეთქი. მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამ მილიონერმა მიგვიყვანა ერთ სარდაფთან, რომელსაც მოჰყვა მეორე, მესამე. ჩვენ მხოლოდ მეოთხეში შევედით. წარმოგვიდგა მშვენიერი დიდი დარბაზი, **ჩუქურთმებით მორთული**, სიგრძეზედ მარჯვნივ და მარცხნივ ჩავლებული ტახტით. კუთხეში დგას ერთი მაგიდა, რომელზედაც ექვსი ჩალის სკამი აწყვეს ერთმანეთზედ, რომელიც დანიშნულია მისულ სტუმრებისათვის. იქვე ტახტზედ მოკეცილი იჯდა მეორე ძმა, რომელიც ყალიონს სწევდა. შესვლისთანავე, სალამი მივეცით, სალამზედ მოწიწებით სალამით გვიპასუხა. უნდა აღვნიშნოთ ერთი მათი ჩვეულება: ვიდრე არ გაიგებენ, თუ რისთვისა ხარ მათ სოფელში მისული, მანამ არ გისურვებენ კეთილ მისვლას; ასე სჯიან, იქნებ სამტროდ არის მოსულიო. როცა გაიგებენ, რომ კეთილ საქმისთვის ხარ მისული, **გულსა და სულს გადაგიშლიან.**

მამაკაცების ოთახში ქალი ფეხს ვერ შესდგამს. მოსამსახურეებისთვის ცალკე ოთახია მიჩნეული, ცალკე სადგომებია საქონლისათვის და სხვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი მისვლისა, მაგიდა დაგვიდგეს წინ. მასპინძლები წამოდგნენ, ავიდნენ მაღლობზედ, რომელიც სპეციალად გაკეთებულია ოთახში ფეხებისა და ხელების დასაბანად; მერე გაიშალეს პატარა ხალიჩები და დაიწყეს ნამაზი (ლოცვა) მათი წესით, **როგორც სუნიტებმა, დღეში ხუთჯერ უნდა ილოცონ**, რასაც მტკიცედ ასრულებენ. ამის შემდეგ მოიტანეს ვახშამი, სამი ვერცხლის მათარათი მაწონი, ფლავი და ყველი. რადგანაც ვიცოდი, რომ გაუნათლებელი მაჰმადიანები ქრისტიანისგან ხელნახლებს არა სჭამენ, ხელი არაფერს ვახლე.

– რატომ არ მიირთმევთ? – შემეკითხა მასპინძელი.

– აკი წესად არ გაქვთ ქრისტიანთან ერთად ჭამა მეთქი, ვუპასუხე.

– თქვენ სხვა ხართ, მიირთვით!

ყველაფერი უხვად იყო მორთმეული, მაგრამ საჭმელი არ იყო სუფთა ნახელავი. სამი დღე დავრჩით სტუმრად ამ მიწის ქვეშ მყოფ მეფესთან. ძალიან მიწოდდა მათი ქალების ოთახის მოწყობილობის ნახვა, მაგრამ ვერ ველირსე.

**პურ – მარილი.** თუმცა საქართველო განთქმულია თავის პურ – მარილობით, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ისეთი პურ – მარილიანი ხალხი, როგორც ოსმალნი და ქურთნი არიან, სტუმრის მეტისმეტი მოყვარულნი, სხვაგან არსად მეგულება. ისინი მზად არიან ზედ გადაგეგონ, ოღონდ კი გასიამოვნონ. თუ მათ სოფელში მოგიღამდა, გინდა უცხო მგზავრი იყო, არაფრის გზით აღარ გაგიშვებენ, იმ ღამეს გაგატარებინებენ; გაუჩინელს გააჩინენ, პურს გაჭმევენ, მეორე დღეს გაგისტუმრებენ. ზემოდ დამავიწყდა მეთქვა, ამ მდიდრებს კარებთან რამდენიმე მოსამსახურე უყენიათ, რომელნიც პურის ჭამის დროს დაჯდებიან, ისე კი სულ ფეხზე დგანან და გლიან აღას ბრძანებას, რომ მსწრაფლ შეასრულონ.

### **ბერძნები და მაჰმადიანები (მაჰმადიანი ქართველები)**

სომხობას, რომ თავი დავანებოთ, ბერძენთა და მაჰმადიანთა შორის ერთმანეთში დიდი შუღლი სუფევს; ომის დაწყებამდის თითქოს არ მოსჩანდა, მაგრამ ომის დაწყებიდან ფარულმა მტრობამ თავი მყისვე იჩინა; ბერძნებმა ოსმალთა დარბევის დროს მდგომარეობით ისარგებლეს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი ვნება მიეყენებინათ მათთვის. **ჯაშუშობდნენ, სოფლებში შეუვარდებოდნენ და გაჰქონდათ სხვა და სხვა საგანძური.** ერთ ოსმალთა (მაჰმადიან ქართველთა) სოფელში 128 კომლიდან სულ 9 მოხუცი – და გადარჩენილა. ამ სოფელში წინასწარ გაუთარეშნიათ ბერძნებს, არ დაუნდვიათ ქალი და ბავშვი. ამისთანა სისამაგლებს ბევრს ჰქონდა ადგილი, რის გამო ურთიერთობა ერთობ გამწვავებულია. რამდენადაც ვეცნობი, თანდათან ვრწმუნდები, რომ ისინი (აქაური ბერძნები) საშინელი გულდრძო ხალხია; პირად „მეს“ ვიწრო სარგებლობის იქით აღარას ხედავენ. ამასთან ამყნი, გულზვიადნი და უპურ – მარილონი. ამიტომაც გულკეთილი ოსმალნი (მაჰმადიანი ქართველები) მათ ვერ ერიგდებიან.

### **მილიონერი ტაგიევი და ოსმალ სოფლები**

თითქმის ნახევარი წელია, რაც ყარსის ოლქის დარბეულ მაჰმადიანთა სოფლებში მუშაობს **ბაქოს თათართა საქველმოქმედო საზოგადოება**, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევს მათ. ეს მე თავის დროზე აღნიშნული მქონდა გაზ. „საქართველოს“ ფურცელზედ. მაგრამ ოსმალთა სოფლებში **ტაგიევის** სახელი უფრო გავარდნილია და ყველა მის სახელზედ ლოცულობს. მაგალითად, როცა მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი შედის სოფელში და ეუბნება:

– ბენ მუსულმან ჯამაათი ხეირიასი ადამიმ! (ე.ი. მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების კაცი ვარო), მცხოვრებთ ეს არ ესმით და მაშინვე მიამახებენ: – ბილირუხ, ტალიოვ ადამასინ (ვიცით ტაღიევის კაცი ხარო). რამდენიც უნდა უჩიჩინონ, ისინი თავისას გაიძახიან. მაგრამ ბატ. **ტაგიევი**, როგორც გადმომცეს, ნამდვილად ნაკლებად მზრუნველობს დარბეულ მაჰმადიანებისთვის (მუსლიმანი ქართველებისთვის).

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №119.

**ვ. ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**

მისალმება. როდესაც შედიხართ რომელიმე ოსმალს ან ქურთის სახლში, ყველანი მოკვიცილები სხედან. შესვლისას მისული სტუმარი ეტყვის:

– სალამ ალეიქუმ! (მშვიდობა აქაურობას)!

– ალეიქუმ სალამ (აგრეთვე შენ)! შემდეგ, როცა სტუმარიც დაჯდება, ყველას ცალ – ცალკე მიუბრუნდება, ხელს ჯერ გულზე დაიდებს, მერე პირზე და თავზე, უკრავს ყველას თავს. ეს ნიშნავს – **გულით, სულით, და აზროვნებით გისურვებ კეთილსო.** ამაზედ მასპინძელი უპასუხებენ იმავენაირად და თან დაატანენ: – „საფა გელდი“ – (კეთილი იყოს შენი მოსვლა). ამის შემდეგ, **თუ პატივსაცემი სტუმარია, მაშინვე პატარა ფინჯნით ყავას მიაართმევენ და შემდეგ დაიწყობა ჩაის სმა და საჭმელიც თან მოჰყვება.** აქ თუთუნის თხოვნა არ იციან, დაუკითხავად ვისაც უნდა, აიღებს თამბაქოს ქისას, გაიკეთებს პაპიროს, ახლა სხვას გადასცემს და ასე. მთელი დღე ჩაის სმაში და თუთუნის წევაში ატარებენ..

**ნამაზი (ლოცვა).** რაც უნდა დიდი საქმე ჰქონდეს ოსმალელს, ქურთს, ნამაზის დროს იმ საქმეს თავს დაანებებს და „**ნამაზს**“ **უსათუოდ შეასრულებს.** სტუმრებიც ასევე იქცევიან და ერთსა და იმავე დროს ათი – თხუთმეტი კაცი ლოცულობს. სხვები ამ დროს ლაპარაკობენ და თუთუნს ეწევიან და მლოცველთ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. – ის თავის წესს ასრულებსო, – იტყვიან ხოლმე.

სამღვთო – სამღვთოს ოსმალთა შორის სამნაირი დანიშნულება აქვს. **პირველია ეს: „ყურბან ბაირამობას“** როდესაც ღმერთს უკლავენ ცხვარს, იმის მოსაგონებლად, რომ **აბრაამს** უნდოდა თავისი შვილი **ისაკი** ღმერთის დავალებით მსხვერპლად შეეწირა. მეორე: ეს საერთო ოჯახის სამღვთოა, როგორც ჩვენში „კურატის სამღვთო“, – „კურატის შეყენება“. აქეთ მხოლოდ ერბოში გამომცხვარი პური იციან. მესამე – ეს ღარიბებისათვის დასარიგებლად.

**ფითრა, ან ორუჯი (მარხვა).** მარხვა აქ იწყობა რამაზანის თვეში; ჩვენებურად ვერ გამოვიკვლიე, რა თვეა, რადგან ყველა წელში ამათ მარხვის დაწყება ათი დღით წინ აქვთ და გრძელდება 30 დღე. ყველა მუსულმანი მოვალეა ეს მარხვა შეინახოს. მარხვა გამოიხატება იმაში, რომ არ ეწევიან თუთუნს და არც დილიდან საღამომდის სჭამენ რამეს. როდესაც ეს მარხვა თავდება, ყველა შეძლებული ოჯახი მოვალეა გადიხადოს „**ფითრა**“, რადგან რჯულის წესით ის 30 დღის შენახული მარხვა და ლოცვა ჩერდება ცისა და დედამიწის შუა და ღმერთი არ მიიღებს, ვიდრე სანამ „**ფითრა**“ არ იქნება გადახდილი. ეს კი გამოიხატება შემდეგში: მარხვის გათავებისას, ოჯახში გინდაც ასი სტუმარი იყოს და თავიანთებთან ერთად აკვნის ბავშვიდგან დაწყობილი მოვალეა, სახლის პატრონმა თვითო მის სახლში მყოფ და სტუმრისაც გადიხადოს ღარიბების სასარგებლოდ **7 გირვანქა ხორბალი ან მისი ღირებული ფასი.** ასე რომ იმ დღეს მის სახლში 100 სული რომ იყოს, 700 გირვანქა ხორბალი უნდა გაიღოს, აი ამას ჰქვია „**ფითრა**“, რის შემდეგ ლოცვა მიღებული იქნება ღმერთისგან.

**უფროსის პატივისცემა.** ოჯახი აქ უუფროსოთ არ არის. თუ მოხუცი არავინა ჰყავთ სახლში, მაშინ ვინც წლოვანობით დიდია, იმას უფროსად აყენებენ და ეს განაგებს ოჯახს. მისი **სიტყვა ყველასთვის კანონია.** მაგალითად, ყველანი სხედან და ამ დროს თუ უფროსი წამოდგა, მაშინ ყველანი წამოდგებიან; როცა დაბრუნდება, ვიდრე არ დაჯდება, ყველანი ფეხზე დგანან. მხოლოდ მის დაჯდომასთან, ისინიც ჯდებიან. ასევე ექცევიან **პატივსაცემ სტუმარს.**

**ძმათ გაფიცვა.** წელიწადში ერთი დღე აქვთ. თუ ვისმეს სურს ძმათ გაფიცვა, შეუძლიან ქალს – კაცთან, ქალს – ქალთან, კაცს – კაცთან. შეიკრიბებიან და ხელი ხელს მისცემენ, მოლა რამდენიმე სიტყვას წაუკითხავს ყურანიდან, რასაც იმეორებენ გაფიცულნიც. გათავებისას სამუდამოდ ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები ხდებიან. ეს ხშირად მათ შორის ხდება, ვისაც ერთმანეთში სისხლი აქვთ ასაღები.

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №140.

**ვ. ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

იშვიათი გულის პატრონი უნდა იყოს ადამიანი, რომ გულგრილად უყუროს იმ ტანჯვა ვაებას, ცრემლებს, რომელსაც დღეს ნახავთ ოსმალთა (იგულისხმება იმ მხარის მუსლიმანი ქართველი მოსახლეობა) შორის. შიმშილი, სიტუტვლე, ათასგვარი გადამდები სენი და სხვა. ახლა ამას დაუმატოთ ბაში – ბუზუყების მოქმედება და დარწმუნდებით, რა ჯოჯოხეთია დღეს გამეფებული ოსმალ გლეხთა შორის.

მაგრამ რაც მოხდა, მისი დაბრუნება აღარ შეიძლება. დღეს მდგომარეობამ ფერი იცვალა და მთავრობა, თუ საქველმოქმედო საზოგადოებანი, ცოტ – ცოტა დახმარებას უჩენენ და მუსლიმან ქართველობას ისევ თავიანთ კერაზედ აბრუნებენ. მაგრამ ახლა გამოჩნდნენ სხვაგვარი მოღვაწენი, რომელნიც, ტანჯვით ნაშოვნ, საქველმოქმედოთ მიგდებულ ერთ ჩანახს პურს ხელიდგან აცლიან. აგერ ხუთი თვეა აქეთ ოსმალთა სოფლებში დავიარები, ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამ გავიგონე, ბევრი გულსაკლავი სურათი გადამეშალა თვალწინ, მაგრამ ის სურათი, რომელიც მინდა აგიწეროთ, მეტად ამაღელვებელი იყო, და არ ძალმიძს საზოგადოებას არ ვამცნო. დღეს ოსმალთ გლეხები მშვიდობიანად იწყობენ ცხოვრებას, თუმცა არას დროს არ დაურღვევიათ მყუდრო ცხოვრება, დამნაშავე სულ იყო და მათ მოხვდათ... მაგრამ დღეს აღარ ასვენებენ მათ. ამ რამდენიმე ხნის წინეთ ექვსი კაცი მოვიდა სოფლებიდან ამორჩეული ჩემთან და ასე მომმართა ოსმალურად, აქ ქართულად ავხსნი:

– ეფენდუმ, – ხელებს დაგიკოცნით, თავს შემოგვევლებით, გვიშველეთ, შენ დიდი კაცი ხარ. (sic)... გვიშუამდგომლეთ, ნუ გვტანჯავენ, ან ერთბაშად დაგვხოცონ, ან დაგვანებონ თავი (და აქ ერთ მოხუცს ცრემლები წამოსცვივდა). როდესაც შევეკითხე, თუ რა მიზეზია, მათი ასეთი წყრომისა, მითხრეს:

– რა ვიცით, ბატონო, ექვსნი არიან, ერთს სამხედრო ტანისამოსი აცვია, ხუთიც კაზაკურად გამოწყობილი უიარაღოთ, მხოლოდ ჯიბეში რევოლვერები აქვთ, ღამეობით მოდიან სოფელში და ამბობენ, ჩვენ მთავრობის ხალხი ვართო. ამბავი მოგვივიდა, რომ თქვენ ოსმალთ (ე.ი. ოსმალეთის მთავრობას) ფულით ეხმარებით და ჯარიმა დაგადეს 40 თუმანი. თუ არ გადიხდით, მთელ სოფელს ავაოხრებთო. „ყვავს რა აქვს, ყორანს რა მისცეს“? რა გვაქვს, რომ ოსმალთ დავეხმაროთ; ან რა საქმე გვაქვს იმათთან, ან ეს ჯარიმა საიდან გადავიხადოთო. **გვთხოვენ ქალებს** და რადგან თავს დავიხოცამთ, და ჩვენი ხელით ქალს არავის მიცემთ, **რჯულიც არ გვამლევს ნებას და არც თავმოყვარეობა და სინდისი**, ამისთვის გვცემენ და გვარბევენ. მოიღეთ მოწყალება, დაგვეხმარეთ.



აქვე მინდა აღვნიშნო, დაუჯერებელი ხასიათი ოსმალ – გლეხისა, მაგრამ რა გასამტყუნარია, ნათქვამია „დამხრჩვალ ხავს ეჭიდებოდაო“, – რამდენიც გინდა არწმუნოთ, რომ პირადათ მე მათთან არავითარი ბრძოლა არ შემიძლიან და არც რამე გავლენა მექნება, მაინც ეჭვით გიყურებენ და თითქმის ქრთამის მოცემას გიპირებენ. რა თქმა უნდა, როგორც ჩვეულნი არიან. რისთვისაც პირველ ხანებში ხშირად ლანძღვით ვუმასპინძლდებოდი.

ეს გლეხები გავისტუმრე მიწერილობით, სადაც ჯერ არს და მე გადავწყვიტე გამეგო, ამ ახალ „მოღვაწეთა“ პიროვნებანი. გავიგე კიდეც. ესენი სრულიად კერძო პირები არიან, აქაური მხრისა. მათ დასაჭერად მთავრობამ უკვე მკაცრი ზომები მიიღო.

აი, კიდეც მაგალითი, თუმცა ამ სამი – ოთხი თვის წინედ მოხდა სოფ. ა – ში, და საზოგადოებრივ ინტერესს, არ არის მოკლებული: სამი სომეხი, ერთი მათგანი „პოდატნოი ინსპექტორის“ ტანისამოსში და ორიც ჩაფრისა, მივიდა ქვემო ნათქვამ სოფლის ერთ მდიდარ აღლართან ღამით და განუცხადა:

– „თქვენ გავიგე ფული გაქვთ სახლში და მასთან ყალბი, აი, ქალღი მთავრობისა (ნაგლეჯი ქალღი აჩვენა. რადგან მათ კითხვა არ იციან), უნდა გადავათვალიერო, თუ ყალბია მართლა, დავბეჭდამ და ხაზინაში წარვადგენ, იქიდან კი ნამდვილი სალი ფული მოგივათო; ამათაც დაუჯერეს და ბატონმა „პოდატნოი ინსპექტორმა“ 16000 მან. „ყალბი ქალღის ფული“ დაბეჭდა... მაგრამ მართველობამ იგინი გაბოჭა, ფული პატრონს დაუბრუნა და ისინი „ვირის აბანოში“ გაგზავნა... ამისთანა მოქმედებანი ბევრია.

სოფ. ჩ – ს. მუხტარი (ნაცვალი) მოვიდა ჩემთან და მითხრა:

– ერთი დიდი კაცი მოვიდა ჩემთან, სახელად **ოჰანეზა**, და მთხოვა, **ქალი მეშოვნა**. რადგან უარი ვუთხარი, რომ ჩემ თანამდებობას ეგ სისამაგლე არ ეკუთვნის მეთქი, მცემა, და როცა მოხუცი მამა, 90 წლისა მომეშველა, იმასაც სცემა... სოფ. დ – იში, შეველი, ცხენზე ვიჯექი და ვესაუბრებოდი გლეხებს, ისინი ცრემლებით მიაშობდნენ თავიანთ გაჭირვებას. ჩემმა გულმა, ველარ შესძლო და სლოკინს მოვყე და რომ დამეფარა, ხელი გავუშვირე ერთ მოხუცს გამოსამშვიდობებლად, რომელმაც ორთავე ხელები მაგრა დამიჭირა და ისე სწრაფად მაკოცა, ხელზედ, რომ ვერ მოვასწარი გამოტაცება. აქ ველარ მოვითმინე და ცრემლის გუბე მოსკდა ჩემს თვალებს და სწრაფლ გავეშურე თან გზაში, ხმამაღლივ ვყვიროდი: **უსამართლოა ცხოვრება! მუხანათია!...** ნუთუ იმ დროს, როდესაც ათასგვარ გარყვნილებაში იხარჯება ათასები, ეს პატივცემული მოხუცი, **ამაყი მაჰმადის რჯულისა**, ისე უნდა დამცირდეს, რომ ხელებზედ ჰკოცნიდეს თავის მგზავს ადამიანს?...

**ობ, ღმერთო... ნეტა ვიცოდე, როდის შეუშრობ ცრემლს ამ ტანჯულ – ხალხს...რა ვქნა, მკითხველო, მხატვარი არა ვარ, თორემ დაგიხატავდით ყველა იმ სურათს, რაც დღეს აქეთ ხდება... ნახავდით და დარწმუნებული ვარ, არც ერთი თქვენთაგანი უცრემლოდ არ გადარჩებოდა... შედიხართ ქოხში, გიჩვენებენ ავადმყოფს, ახალგაზრდა ქალი, ან კაცი სიცოცხლით სავსე წევს სარეცელში... დიახ, სარეცელში... ქვეშ ხმელი ჭილობის ნაგლეჯი უშლია, ზემოთაც ასევე ხურამს, სიტიტვლით კანი უჩანს, ნებას არ გაძლევს გადახადო გასაშინჯათ... აქეთ მისი მშობლები ცრემლებს აფრქვევენ. გაჩვენეს ავადმყოფი და არ იფიქროთ, რომ მოგმართონ წამლისთვის, რომ ჩქარა გაასაღონ ავადმყოფი და არც არაფერი სწამთ წამლისა, რადგან მშიერ კუჭზე „საექიმო სამზარეულოში გაკეთებული წამალი არას არგებთ“, ისინი მაშინათვე შემოგბლავლებენ: – **პური, პური, ბატონო, ოთხი დღეა არც ჩვენ და არც ავადმყოფს არა გვიჭამია – რაო.****

ყველა ეს უბედურება საკმარისი არ გახდა „კაციჭამია მოღვაწეებისათვის“ და ახლა ოსმალ – გლეხთა შორის შემდეგ თავზარდამცემ ხმებს ავრცელებენ: **შემოდგომაზედ ყველა ოსმალები**

(მაჰმადიანი ქართველები) უნდა აჰყარონო, რადგან გაუგიათ, ოსმალს მთავრობასთან ჯაშუშობენო და ციმბირში უნდა გადაასახლონო. ეს ამბავი სწრაფლ მოედო მთელ სოფლებს და სატირლად ეხლა ეს გაუხდიათ. ამის გამო მოდიან ყოველ დღეობით რამდენიმე კაცი და მეკითხებიან:

– ეფენდი, ნუ დაგვიმალავთ, გვითხარით, მართლა გვასახლებენ შემოდგომაზედ?

ყოველ ღონეს ვხმარობ, დავუმტკიცო, რომ ყველა ეს მოჭორებულია, რომ მათი მტრები ავრცელებენ ყველა ამას და თუმცა სწამთ ჩემი სიტყვა, მაგრამ მაინც ეჭვის თვალთ მიყურებენ. საჭიროა შესაფერისი განკარგულება გამოიცეს ოფიციალად, ვისგანაც ჯერ – არს...

**შენიშვნა:** „სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტერს ბევრი სტუმარი ჰყავს საქართველოდან? ვთხოვ, სავანის მღვდელმთავრებს, ჩემი ნაწერები, გაზეთში დაბეჭდილები და მანქანაზე ნაბეჭდი აჩვენეთ, წააკითხეთ მათ. იქნება ვინმე დიდ კაცმა გულთან მიიტანოს მუსლიმან ქართველთა გაჭირვება ყარსისა, ეზრუმისა, არტაან – ჩილდირის სოფლებისა და მიხედოს ხალხსა.

**ილოცეთ, მამანო, ამ ხალხის გადასარჩენად!**

**ვასილ სულხანიშვილი, 1915 წელი,**

**სტამბოლი, ფერიქოი.**

გაზეთი „საქართველო“, 1915 წ. №167.

**ვ.ს – შვილი**

**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**

**მგზავრის შთაბეჭდილებანი**

**ნერილი მე – 5 – ე**

**სათბილობლების დარიგება სათათრეთის სოფლებში**

**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

მაჰმადიანთა სოფლების გაჭირვებაზედ და სიტუაციაზედ არა ერთხელ მიამბნია, მკითხველო. ამ წერილით მინდა მოკლედ გაგაცნოთ, თუ რა პირობებში დარიგდა თბილელი ტანსაცმელი, რომელიც გამოგზავნილი იყო ქალაქების კავშირის მიერ და ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ. გაიგეს თუ არა მცხოვრებლებმა, რომ მათთვის დასარიგებლად თბილელი ტანსაცმელი მოსულაო, 22 იანვარს, დილიდანვე, დაიწყეს მოსვლა მცხოვრებთ სხვა და სხვა სოფლებიდან. ამ სუსხიან და ცივ ზამთარში 20 – 30 ვერსიდან მოდიოდნენ ბავშვები, ქალები, კაცები; ბევრი სრულიად ფეხშიშვლები და ტიტვლები იყვნენ, უმეტესად კი ბავშვები, რომელთაც მოუყარეს თავი სოფ. **გლებიში**, მაჰმადიანთა საზოგადოების საეპიდემიო პუნქტის ეზოში. საშინელი სანახავი იყო ეს ბრბო ნახევრად ტიტვლებისა. მოისმოდა გულშემზარავი ტირილი სიცივისგან შეწუხებული ბავშვებისა, ქალებიც მოსთქვამდნენ ხმამაღლივ თავიანთ გაჭირვებას, ზოგი ფეხქვეშ გვიცვივოდნენ და ქვითინით გვევედრებოდნენ.

– ეფენდი, არ გამომწიროთ, ბავშვები სიტუაციით მეხოცებიან...

**ძნელი იყო, ამ ტრადიკული სურათის უცრემლოდ ყურება.**

ჩვენ ვჩქარობდით დარიგებას ტანსაცმლისას,... მაგრამ გაჭირვებული იმდენი აღმოჩნდა, რომ მეოთხედსაც არ ეყო.

და აი, გისმა გულის საკვეთი გოდება, რომელიც ქვასაც კი ააქვითინებდა.

– **გაშტერებული ვუყურებდი და თან ვწყევლიდი ადამიანის უთანასწორობას**, რომ უკანიდგან მომესმა, საშინელი ქვითინი... სწრაფლ მოვიხედე და შემდეგი სურათი გადამეშალა თვალწინ...

სრულიად მოხუცი და მასთან ტიტველი, რომელსაც გარს ეხვივნენ ბავშვები, ისინიც ტიტველნი, ტიროდა და ბავშვებიც ბანს აძლევდნენ... დავწვდი და მოხუცი წამოვაყენე...

– ეფენდი, ეფენდი, – მომმართა მოხუცმა გოდებით, და ისეთნაირად შემომხედა, რომ ჩემმა თვალებმა ვეღარ შეიკავა ცრემლი.

– შვილი ციხეში მომიკლეს, ეს ობლები მე დამიტოვა შესანახად, მითხარი, შემიძლიან თუ არა? – დამეხმარე... და თან საშინელი ქვითინი მორთო და სიტყვა პირში გაუწყდა.

ასეთი მაგალითები ბევრია აქეთ... თუმცა ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს ყოველ მხრივ უდანაშაულოდ დასჯილს მოძმეთ... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ზღვაში ერთ წვეთს... ფართო საზოგადოება მუსულმანთა არ ეხმარება საქველმოქმედო საზოგადოებას, თორემ უკეთესად მოეწყობოდა დახმარება. და ამიტომაც აქვე მინდა გავახსენო მაჰმადიან ფართო საზოგადოებას, ნეტარხსენებულ ძვირფას ილიას სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმათ მიგაჩნდეს,

ეგ ვერაფერი სიყვარულია.

საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,

ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. № 29

### ვ. ს – შვილი (ვასილ ალექსანდრეს ძე სულხანიშვილი) მაჰმადიანთა საქმე

როგორც მოხსენებული მქონდა „საქართველოს“ ფურცლებზე, არტანუში 27 თებერვალს დაიწყო საქმის გარჩევა იმ ოსმალ ქურთებისა, რომელნიც სისხლის სამართალში (108 მუხ., ძალით) იყვნენ მიცემულნი, „სახელმწიფო ღალატისთვის“, აბრალდნენ: ვითომც როდესაც ოსმალთა ჯარი რუსეთის საზღვრებში შემოიჭრა, ამათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. საქმეს არჩევდა თურქესტანის მეორე კორპუსის პოლკის გენერალი ბატონი მანსვეტაშვილი, იცავდნენ ბრალდებულთ ვეჟილები – ბატონები მესხიშვილი, გედევანიშვილი და ტატიშვილი. ბრალდებულთა პირველი ჯგუფი შესდგებოდა 21 კაცისაგან, მეორე ჯგუფი 16 კაცისაგან, მესამე ჯგუფი 98 კაცისაგან. ამ გარჩევაში, ზემო აღნიშნულ ვეჟილების გარდა, იყვნენ კიდევ ბატონები ქარცივაძე და კაჩუხოვი. მეოთხე ჯგუფი შესდგებოდა 13 კაცისაგან. სულ ბრალდებულნი იყვნენ 148 კაცი. აქედან გაამართლეს და ციხიდან გაანთავისუფლეს 121. დასაჯეს 26. ერთს მათგანს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, რომელსაც ქალების გაუპატიურება ბრალდებოდა; 9 კაცს მიუსაჯეს 20 წლის კატორღა, 7 კი ათი წლისა. დანარჩენებს – ოთხ – ოთხი წლის კატორღა.

სომხები ბრალმდებელ მოწმეებად თითქმის ხომ უმრავლესობა იყვნენ: ხოდჯაინც, აზნაურიანც, მელკონიანც და სხვანი. აგრეთვე, გამოირკვა, რომ თავდაპირველი გამოძიების გმირი ყოფილა ბატონი აზნაურიანცი, რომელიც სიტყვიერი თარჯიმანი იყო ჟანდარმთა გამომძიებელისა, რომელიც ეხლა მიცემულია სამართალში ათასგვარი ბოროტების ჩადენისთვის და ქრთამებისთვის; იგი თურმე თავის სურვილისამებრ აწერინებდა ჟანდარმთა გამომძიებელს, რადგან იმან ენა არ იცოდა; როგორც გამოირკვა, თურმე მუქარით ალაპარაკებდა მაჰმადიან მოწმეს ამა თუ იმ პირზედ. ეს თარჯიმანი ის პიროვნება გახლავთ, რომელიც ქრთამისთვის მთავრობამ სამართალში მისცა.

მაჰმადიანთა(იგულისხმება ქართველი მუსლიმანები) საქმე კეთილად დატრიალდა და ოფიციალურად დამტკიცდა მათი უდანაშაულობა „სახელმწიფო ლალატში“. თუ ვინმე დაისაჯა, ეს მათი ბრალია, რადგან „ფანატიზმით“ გაჟღერთილებმა ღმერთს მიანდვეს თავიანთი თავი და მოწმები თავის მხრით ვერ იყოლიეს, რომ მათი უდანაშაულობა დაემტკიცებინათ.

აქვე მინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვა მაჰმადიანთა წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თაობაზე. აქ რამდენიმე თვეა მას აქეთ, რაც ხმა გავრცელდა, რომ შკოლასა ხსნიანო. ამ ხმას დიდი აღფრთოვანებით მიეგება აქაური გლეხობა და მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ იმედი უცრუვდებათ და ისე დღე არ გავა, რომ რამდენიმე ოსმალო არ მოვიდეს ჩემთან სხვადასხვა სოფლებიდან და არა მთხოვოს შუამდგომლობა შკოლის გასახსნელად მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე.

ხალხი სინათლეს ითხოვს, მიხვდა იგი, რომ უსწავლელობა დღეს აღარას არგებს. ითხოვენ, მაგრამ ვინ არის, რომ მათში შეიტანოს სინათლის ლამპარი?

სად არის მაჰმადიანთა განმანათლებელი საზოგადოება? სად არის მაჰმადიან ქალთა საზოგადოება? რატომ ხმას არ იღებენ, როცა მათი დაბეჩავებული მოძმენი სინათლეს თხოულობენ? გაზეთი „საქართველო“, 1916 წ., №75.

**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**ოსმალეთის დაპყრობილ ადგილებში**  
**(გაკვრით)**  
**(საკუთარ კორესპონდენტისაგან)**

მეტად ცუდ ამინდებში მოგვიხდა მოგზაურობა მე და ჩემს თანამგზავრს. დილის 9 საათი იქნებოდა, როდესაც ცხენებით გავემგზავრეთ ოლთიდან ოსმალეთის ყოფილ მიწა წყალში. სულ რამდენიმე ვერსი არ გვქონდა გავლილი, რომ ცამ შუბლი შეიკრა, შავი კუპრივით ღრუბლებმა დაიწყეს შეჯგუფება, თითქოს ქვეყანას დიდ საშინელ რამეს უპირებენო... დაიწყო საშინელი ელვა და ქუხილი, რასაც მოჰყვა კოკისპირული წვიმა... არსად შესაფარი ვერ ვნახეთ, ახლომახლო სოფელი არსად იყო. ცხენებსაც საშინლად უჭირდათ სიარული. გზა მოუწესრიგებელია, ნიადაგიც თიხნარია და პატარა წვიმის დროსაც გაუვლელი ხდება. ძალაუნებურად ნელა მიგვყავდა ცხენები, თან საშინელი შხაპუნა წვიმა გვასხამდა. კარგა მანძილის იქით აღმართს შევუდექით, სადაც ეხლა გზა არის გაკეთებული, რომელსაც ეძახიან „ლესკისპერევალს“. დიდი წვალეების შემდეგ მივაღწიეთ ზემო ლესკას, სადაც წითელი ჯვრის პუნქტია. ეს სოფელი ბუნებით არც ისე მდიდარია, მაგრამ ძალიან გაშლილი ადგილია. მცხოვრებ ოსმალებს აქ მიწურ გომურებში უცხოვრიათ. ეხლა კი აქ აღარავინ არის...

მეორე დღეს გავემგზავრეთ. და აი, აქ გადამეშალა თვალწინ მშვენიერი სოფლები ტურტუმ – კალე (თორთომის ციხე), საღირი და სხვ. მეტი ნაწილი სოფლებისა ძალიან ღარიბია ბუნებით... მშვენიერი სანახავია ტურტუმ – კალე, რომელსაც შუაში ჩამოურბის მდინარე ტურტუმ – ჩაი (თორთომისწყალი). მთელი სოფელი მოქცეულია ხილის ბაღებში. მომაგონდა ჩემი ტურფა სამშობლო, მომაგონდა ჩემი საქართველო და კურცხალი მომადგა თვალებზე: ჩემი სამშობლოც ხომ ამ გასაჭირში იყო ძველად, როცა ძალმომრეობა ამორებდა თავიანთ კერას ქართველთ. ძალაუნებურად სიბრალულმა მოიცვა ჩემი გული.

თვალწინ საშინელი სურათი იშლება: ქალს და კაცს იშვიათად თუ შეხვდებით; აქა – იქ სხედან პატარა გოგო – ბიჭები ოსმალებისა (მაჰმადიანი ქართველებისა). დაინახავენ თუ არა მიმავალს, წამოცვივდებიან, ჩესტს გაუკეთებენ და მუდარით მიმართავენ: – „შაქარ ვერ“, – „ხელებ ვერ“, „ფულ ვერ“. უნდა ჩაგახედათ მათს თვალებში, და დარწმუნდებით, **თუ ბავშვის უმანკო თვალები რა გაჭივრებას გამოსთქვამს, რამდენი სევდა და ვარამი ტრიალებს მათს გულში.**

საერთოდ აქეთ ოსმალები (მაჰმადიანიქართველები) ძალიან დიდ გაჭივრებას განიცდიან, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობენ, **ასკერებს სრულიად გაუნადგურებიათ თავიანთი ხალხისავე ქონება...** მოხუცები თუ ბავშვები დაიარებიან ყოველ დღე და ლუკმა პურს თხოულობენ... რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა, გამომეკითხა მათი გაჭივრება. მაგრამ ეხლა არც დრო მაქვს და არც სურვილი ყველა იმის თქმისა, რაც მითხრეს. მხოლოდ გული არ მითმენს ერთი გარემოება მაინც არ აღვნიშნო. სოფ. **ხახულს**, ჩემთან მოვიდა ერთი მოხუცი მოლა და შემეკითხა:

– **ბატონო, განა ნება არა მაქვს მეჩეთში ვილოცო?**

– „ვინ გიშლის ლოცვას. ჩვენც ვლოცულობთ და რუსები ძალიან მორწმუნე ხალხია და არავის უშლის, ადიდოს ღმერთი“.

მოლა ერთ ხანს გაჩუმდა და რამდენჯერმე დაღვრემით შემომხედა. მის თვალებშიც ამოვიკითხე უნდობლობა ჩემდამი და შევფიცე:

– **ვფიცავ რჯულს, ენას, რომ არავინ დაგიშლის ღმერთის დიდებას.**

– გმადლობთ, გმადლობთ, ეფენდი, მრწამს და ვხედავ, რომ ჩვენ თქვენში უფრო უკეთესად ვიცხოვრებთ... როცა ჩვენი ადგილი რუსის ჯარმა დაიჭირა, უთქვამთ: – **ნუ ილოცებთო.** მხოლოდ სხვა ტომის კაცი მოვიდა და გვითხრა: – **ნება არა გაქვთ ლოცვისაო, ეს იმ დროს, როცა შუა ლოცვაში ვიყავით, თორემო ჩამოგახრჩობთო. აგერ სამი თვეა აღარ გვილოცნია.**

– ეგ არაფერი, თუ კიდევ მაგისთანა მოვიდეს ვინმე და დაგიშალოს, მოდი და მთავრობასთან იჩივლე, აქ, კომანდირთან და ის მოგცემს სამართალს.

**საბრალო მოლა, ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ შეიძლება ასე ტკბილად რუსეთის ქვეშევრდომი ესაუბრებოდეს. ვერ მიმხვდარიყო, რომ ჩვენ გმირ მხედრობას მშვიდობიან მცხოვრებთან კეთილი განწყობილების მეტი არა აქვს რა, რომ იგი ებრძვის მხოლოდ ოსმალებისა ჯარს. მოლამ ხელი გამომიწოდა, მეც მივუწოდე. ის იყო ხელზე დააპირა კოცნა, რომ მოვასწარი გამოტაცვა.**

მოლამ თვალები ზეცას მიაპყრო, გულიდან ამოიკვნესა და ოსმალურად ხმა მალა დაიძახა: „ინშალაჰ! – ლაი – ლა, ჰე ინალაჰ!“ (არაა ღმერთი, ერთი ღმერთის მეტი) და გაუდგა გზას.

დაპყრობილ ადგილებში დარჩენილ ოსმალებს (მაჰმადიან ქართველებს) თუ ეხლავე დახმარება არ აღმოეჩინათ, ზამთარში სიმშვილისაგან გადამდები სენი მოელით. **ეს დახმარება კი უნდა იკისროს ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ.** არაერთხელ მიმითითებია მაჰმადიანთა ინტელიგენციისათვის ჯერ კიდევ არტაანში, რომ საჭიროა ენერგიული მუშაობა, მაგრამ ჯერ არაფერი სჩანს. თითქმის ერთი წელიწადია, **ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება ეხმარება ყარსის ოლქში მცხოვრებ მაჰმადიანთ, რამაც დიდი სარგებლობა მოუტანა; მაგრამ დროა, ახლად დაპყრობილ ადგილებსაც მიაქციონ ყურადღება.**

არ შემიძლიან არ აღვნიშნო ჩვენი ჯარის გულკეთილობა, რომელიც თავის ხვედრ ლუკმას უზიარებს უმწეოთ დარჩენილ ოსმალთა (მუსლიმან ქართველებს) და დიდ სიბრაალულს იჩენს. ასე გასინჯეთ ტანსაცმელსაც კი არ იშურებს ჯარისკაცი ამ დაბეჩავებულ ხალხისთვის. აგრეთვე, გულკეთილად ეპყრობიან განურჩევლად ეროვნებისა (ცოტას გარდა) აფიცრობაც...

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. № 119.

**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**ოსმალეთის საზღვარზე**  
**(საკუთარი კორესპონდენტისაგან)**  
**საუბარი ოსმალთა ოფიცერთან**

სალამო ჟამი იყო, როცა გვითხრეს რომ ტყვე ოსმალთა ოფიცრები და ასკერები მოჰყავთო. ჩვენც გავეშურეთ იქით. მოიყვანეს რამდენიმე ასკერი და ორი აფიცერი. პირველ შეხედვაზედ შეატყობდით, რომ ინტელიგენტი და ფაქიზი ადამიანები იყვნენ. დინჯი ლაპარაკი, ყოველ კითხვაზე დაფიქრებული და მოკლე პასუხი, სახის სიმშვიდე. ამასთან თამამი და მოურიდებელი ლაპარაკი. ვიდრე უფროსები გამოჰკითხავდნენ, ხმამოუღებლივ ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი. მალე ჩემი ჯერიც მოვიდა, მიუახლოვდი და ოსმალურად გამარჯვება ვუსურვე და როგორც წესია მათში მისალმებისა, ისრე მივესალმე. ამ სცენამ ისინი სრულიად გააკვირვა და ერთხანობას გააკვირვებული შემომყურებდნენ.

– რათ გაგიკვირდათ ჩემი ასეთი მისალმება? – შევეკითხე სიცილით...

– როგორ არ გაგიკვირდეს, ჩვენ ვიცით, რომ აქ ზოგი ლაპარაკობს რუსთაგანი ოსმალურს, მარა ამახინჯებს და არც იციან ჩვენი მისალმება; თქვენ სად გისწავლიათ ენა, ან ვინა ხართ?

– მე, ბატონო, თვითონ ქართველი ვარ, ვმსახურობდი ოსმალთა შორის და შევისწავლე.

– კეთილი, კეთილი, მითხრეს და თან ერთმანეთს რაღაც ანიშნეს თვალებით და გაიღიმეს...

– ხომ არ დამცინით? – შევეკითხე ხუმრობით?

– არა, ბატონო, აი, ეს, მიმითითა მეორე აფიცრზედ, **ლაზია, მაგრამ ქართული არ იცის. თვალთ მანიშნა, არ მეთქვა თქვენთვის, რადგან სცხვენთან.**

– რისა?!

– **ქართული რომ დაივიწყა...**

– თქვენ ნუთუ მართლა სწუხართ, რომ ქართული დაივიწყეთ? – მივუბრუნდი მეორეს.

– დიახ, ბატონო, ვწუხვარ, რადგან ჩვენთვის ძვირფასია ენა, ქართული. მე კარგად ვადევნებდი თვალყურს პარიზში რომ ვცხოვრობდი, თუ ჩემი მოძმე ქართველები როგორ იცავდნენ ენას. და ახლა ტყვეთ ჩემ ყოფილ სამშობლოში მივდივარ და ჩემი ენა არ ვიცი...

... და ერთხანს ღრმა ფიქრებმა გამიტაცეს...

– თქვენ ძალიან უსამართლოთ ექცევით ჩვენ ტყვეებს. ნუთუ ადამიანური გული ადარა გაქვთ. ომია მართალია, მაგრამ, როცა ან ტყვედ ჩაგივარდებათ, ან დაჭრილი, თურმე ჰხოცავთ. ეს კარგი არ არის.

ამ სიტყვებმა საშინელი მღელვარება გამოიწვია მათში და თვალში ცრემლი მოადგათ.

– ეჰ, არ გავიმართლებთ თავს, ან რა საჭიროა, ვინც რა უნდა თქვას; ღმერთმა მოჰკითხოს, ვინც უფრო მხეცურად ექცევა ან ტყვეებს, ან დაჭრილებს.

– ბოდიშს ვიხდი, თქვენი წყენინება სრულიად არ მსურს, და არც იმას ვცდილობ, რომ დაქცინოთ ან რაიმე უსიამოვნობა მოგაყენოთ... ჩემთვის ძალიან ძვირფასია, ზოგი რამ გავიგონო თქვენგან, როგორც გაზეთის თანამშრომელმა, რომ ვამცნო საზოგადოებას...

– თქვენ ჩემმა კითხვამ აგაღელვათ, შეგატყვეთ და ღმერთზედ მიანდეთ მსაჯულობა... მაგრამ გავიწყდებათ, რომ მთელი სომხეთი ამოხოცეთ, განა რა დანაშაული მიუძღოდათ!

– მაკვირვებს, ღმერთმანი, თქვენი საუბარი, აი, თვით რუსები გვეომებთან, უფრო სომხების გამო იღვრება სისხლი და ჰკითხეთ ამ მეზობლთ, სომხებისათვის რომელიც იარაღი გამხდარან „ბრძანებისა“, რა თვალთ უყურებენ სომხებს... მათ ისეთი თვისება აქვთ, რომ ყველას მოისყიდონ

და თავიანთ თავზედ ალაპარაკებენ... ვფიცავ დიდ ალახს, და დამერწმუნეთ ტყუილი არ გითხრათ; ეხლა ხომ რუსეთი მათთვის იბრძვის, ისევ ისინი ღალატობენ; ჩვენი ჯაშუშები სულ სომხები არიან; ჯერ გაიქცვიან რუსებთან და რა თქმა უნდა, სიამოვნებით იღებენ მათ; მერე ისევე ჩვენთან გადმოდის და ყველაფერს გვატყობინებენ... ჩვენ დიდ პატივს ვცემთ რუსის სალდათს, რადგან, რაც უნდა წამება მიაყენო, არას გეტყვიან... სომხები კი გვძულს ორპირობისათვის და ამიტომაც არ ვინდობთ...

– ვეჭვობ, რომ გამოქცეული სომხები კვლავ თქვენ დაგიბრუნდეთ...

– ენდეთ ჩემს პატიოსანს სიტყვას და ენას... აი, ბატონო, ჩვენ მზათა ვართ მთელი სომხები ფეშქაშათ მივართვით რუსეთს, ოღონდ მოგვაშორონ, წაიყვანონ ჩვენგან და ვნახამთ ათი – ოცი წლის შემდეგ, რუსეთმა ისეთი დღე დააყენოს მათ, როგორც ჩვენ და მაშინ ჩვენ შორიდან სეირს დავუწყებთ ყურებას.

**ომი და სომხები.** არ გეგონოთ, რომ აქ ნათქვამი ამბავი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყოს ან რაიმე ეროვნული შუღლი მალაპარაკებდეს. მოგიტხოვრებ ნამდვილ ამბავს, რომელსაც ჩემი თვალთ ვხედავ და თვალყურს ვადევნებ... სომხებს, რომ ჰკითხოთ, მთელი ომის ავანგარდნი ისინი არიან, მაგრამ დამერწმუნეთ, დღევანდელ ომში მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. უმეტესი ნაწილი სომხობისა პოზიციებზედ საქონლის გადმოტანას აწარმოებენ. ხშირად შევხვდებით, რომ ორმოც – სამოცი, კაცი საომრად გამზადებულნი, სულ სომხები უკან ბრუნდებიან და როცა ვკითხვამთ ან ქალაქს ვნახამთ მათსას, ასეა აღნიშნული: „უვარგისობის გამო ომისთვის ვგზავნი უკან, გთხოვთ ამათ მაგიერ სხვები გამოგზავნოთ და სხვა“ არ შეიძლება, თუ რომელიმე პოლკი მიდის პოზიციებზედ, უკან არ ჩამორჩენენ სომხები, რომელნიც აზრუმის მხრიდან ბაიბურთის მხარეს მოხვდებიან, ან იქიდან იქ, ვითომ ეძებენ პოლკს... ხშირად ასეთი დიაგნოზი აუწერიათ დაჭრილთ: „დაჭრილია ომის გარეშე“ ან „Искусство ожогъ“ ან «Симулиантъ» და სხვა. არ ვიტყვი, რომ ამისთანები რუსები ან ქართველებიც არ იყვნენ, მაგრამ ძალიან იშვიათი შემთხვევაა. მაგრამ შეეკითხეთ რომელიმე სამხედრო პირს და ის გეტყვით დანამდვილებით. რაც შეეხება ომის გათავებას და სროლის ჩაჩუმების შემდეგ, იგინი გმირები ხდებიან და რაც საუკეთესო რამეა ყიდულობენ თავიანთ გულუბრყვილო ამხანაგებისგან მუქთად, ზოგსაც თვითონ შოულობენ და ამ რიგად გაჩაღებულ ვაჭრობას ეწევიან.

ყველა კერძო მოვაჭრეც პოზიციებზედ სომხები არიან, რომელთაც სალდათები „წურბლებს“ უწოდებენ და მართლაც წურბელასავით სწოვენ სისხლს ყველას. აქვე მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ხელის უბრალო საპონი 80 კ., გირვანქა ჰალვა უბრალო 70 კაპ. ფოსტის ქალაქი 3 კაპ.; კონვერტი 3 კაპ.; გირვანქა უბრალო კამფეტი 2 მ. 40 კ., სანთელი ერთი 1 მ. 20 კ. და სხვა. აი ასე აცლიან ჯარისკაცთ უკანასკნელ კაპიკს.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. №139.

**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**ოსმალეთის მინა-წყალი**  
**(საკუთარი კორესპონ.)**

I

რუსის ჯარმა დასძლია სიძნელე და ქალაქი **ბაიბურთი** აიღო. უყურებ იმ თვალ აუწვდენელ მთებს, რომლებზედაც გამაგრებულნი იყვნენ ოსმალნი და გიკვირს: რა სულიერმა ადამიანმა შესძლო ამ მთებზედ შესვლა და იქიდან ოსმალების განდევნა?

გასაკვირველია, აგრეთვე, ის, რომ ოსმალნი ისე სწრაფათ იხევდნენ, რომ დღეში 45 – 50 ვერს გადიოდნენ... რა არის ამის მიზეზი, ან რას ფიქრობენ შემდეგისთვის ოსმალნი, ეს არ ვიცი. ჩვენ მესამე დღეს, როგორც ზემოთაცა ვთქვი, მიველით ახლად დაპყრობილ ქალაქში, რომელიც ჯერ ისევ ცეცხლის ალში იყო გახვეული. მთელი შუაგული ქალაქისა, სადაც სავაჭრო სახლები ყოფილა, აგრეთვე, სახელმწიფო დაწესებულებანი, საშუალო სამხედრო სასწავლებელი, იარაღის საწყობები – ყველა ამისთვის ოსმალოს დახვეის დროს ცეცხლი წაეკიდებინათ და ნაცარ – ტუტად ექცივნათ. როგორც, ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, აქ დიდი სავაჭროები ყოფილა. და აგრეთვე, აქაური გლეხობა მიჰყვება თურმე ხვნა – თესვას და მსხვილ საქონლის მოშენებას. ყოველწლივ, მითხრა ერთმა მოხუცმა ოსმალმა, რომელიც აქ ძლიერ მდიდრულად ყოფილა, **ბაიბურთიდან** დიდძალი პური გადიოდა, რომელიც უდრიდა რამდენიმე მილიონს. აგრეთვე, როგორც სავაჭრო, ბაიბურთი შუაგულია. **ტრაპიზუნდიდან** მიმავალი **ერზერუმში** და **ერზერუმიდან** მიმავალი ტრაპიზუნში ამ ქალაქს ვერ ასცდებოდა. თვით ქალაქი **ბაიბურთი** ერთი შეხედვით მოგაგონებთ ძველ **ყარსს**. აქვე არის რამდენიმე მეჩეთი და აგრეთვე ერთი სომხის საყდარი. მცხოვრები ბაიბურთში თითქმის 30,000 ყოფილა, მათ შორის 3,000 სომეხი და 300 ბერძენი.

II

აქვე არ შემიძლია მოკლედ არ შევეხო აქაურ სომხებს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ადამიანმა არ იგრძნოს ის ტანჯვა და ვაება, რომელიც განუცდიათ სომხებს. დიდია მათი ტანჯვა, მაგრამ **დანაშაული მიუძღვის არა ოსმალ გლეხებს (მუსლიმან ქართველებს), ან დარბეულ სომხებს, არამედ სულ სხვაგან მარხია მიზეზი.**

მეორე დღეს, როცა **ბაიბურთში** ჩაველი, გადავწყვიტე მენახა დარჩენილი მცხოვრები. ერთ ძველ მეჩეთთან რამდენიმე მოხუც ოსმალოს (მუსლიმან ქართველს) მოეყარა თავი და რაღაცაზედ საუბრობდნენ. მე მივუახლოვდი და ოსმალურად მივესალმე, რაზედაც მადლობა გადამიხადეს. ერთხანს გაჩუმებული ვიდექი და როგორ დამეწყო ლაპარაკი, ან რაზედ, ვერ მომეხერხებინა. ამ დროს ერთი მათგანი წამოდგა, შევიდა იქვე გვერდზე სახლში, სკამი გამოიტანა და მითხრა:

– დაბრძანდით! – მე დიდხანს აღარ დავაცალე და მაშინვე ჩამოვჯექი; მერე ისევ ის შევიდა სახლში და ერთი ჭიქა ღო გამომიტანა. მე კარგად ვიცი მათი სტუმართ – მოყვარეობა, მაგრამ ეს ჭიქა კი იყო საშუალება ჩემი გამოცდისა, თუ რამდენად ვაფასებ მათ. ზოგიერთნი მათ ხელნახლებს არც კი სჭამენ. მე ჩამოვართვი ჭიქა და მალე გამოვცალე ღო, თან დიდი მადლობა გადავუხადე. ამ სურათმა მათ სახეზედ დიდი შთაბეჭდილება იქონია და მათი სახის გამომეტყველებამ დამანახვა, რომ ძალიან ესიამოვნათ.

– არ შეიძლება მეჩეთი დავათვალიერო? – მივმართე მათ.



– რატომ, არა, ინებეთ, თქვენი ნება არ არის? – ეს სიტყვები ისეთნაირად იყო ნათქვამი, რომ მაგრძნობინეს, ახლა ძალა თქვენს ხელშიაო... და გულმა ძგერა დამიწყო და თავში შემდეგმა აზრმა გამიბრინა: „ნუ თუ ვერ გრძნობენ, რომ მათი სიწმინდის შელახვას არ ვფიქრობთ?“

– არა, ბატონებო, თუ თქვენი ნებაც იქნება და ჩემი შიგ შესვლა თქვენ არ გეწყინებათ, ან თუ კანონი ნებას გაძლევთ, რომ **ქრისტიანი შევიდეს (კანონი მაჰმადიანთ ამას არ უშლის, მაგრამ მათ ნდობის მოსაპოვებლად ვიხმარე ეს სიტყვები)**. ასეთმა ჩემმა სიტყვებმა გასჭრეს და გამიღეს კარები მეჩეთისა. მეც მოწიწებით, როგორც წმინდა ალაგში, ყველაფერი დაწვრილებით დავათვალიერე, კედლებზე წარწერები ავახსნევიანი და ისევ გამოველით გარედ.

– ერთი ეს მითხარით, თქვენი ჭირიმი, – შევეკითხე მათ გამოსვლისას, – სად არიან ადგილობრივი სომხები?

– თქვენ სომეხი ხართ? – შემეკითხნენ

– არა, ბატონო, ქართველი გახლავართ, ან განა იმიტომ ხომ არ გკითხავთ, რომ რაიმე ვნება მოგაყენოთ, მე ძალიან მინდა გავიგო სომეხთა ბედ – იღბალი, რათა დავრწმუნდე სიმართლეში. ბევრი რამ უთქვამთ თქვენზე, სწერენ სხვადასხვანაირად და მინდა სიმართლის გაგება. გთხოვთ სიმართლე მითხრათ, მართლა ხდებოდა მათი დარბევა?

ერთმა იქ მყოფთაგანმა ოსმალთა – მოხუცმა, რომელიც უფროსი მოლა გამოდგა, ერთი საშინლად ამოიოხრა და მომმართა:

– რა ფასი აქვს ჩვენს ლაპარაკს, რამდენიც გინდა ვთქვათ, **ჩვენი მართალი ტყუილად მიაჩნიათ**. მე, ამ მოხუცს, რომელმაც აგერ 80 წელი გავატარე ღმერთის ლოცვაში, ჯერ ტყუილი არ მითქვამს. აგრე შენსაებ, ერთმა მკითხა და როცა სიმართლე ვუთხარი, წვერებში წამავლო ხელი, დამაჭანჭყარა და მითხრა: – „აი, შე ცბიერო, შენაო“.

მე სინანული გამოვთქვი, ვანუგეშე და ვთხოვე, ჩემთვისაც ეამბნა – რაზედაც დიდი ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. №179.

**ვ.ს – შვილი**  
**(სულხანიშვილი ვასილ ალექსანდრეს ძე)**  
**მგზავრის შენიშვნები**  
**ოსმალეთის მინა – ნყალზე**  
**(საკუთარი კორესპონ.)**  
**(დასასრული)**

– ომის დაწყებამდის, – მითხრა მოხუცმა, – ჩვენ და სომხებს ძალიან კარგი განწყობილება და მეზობლობა გვქონდა, ერთმანეთში აღებ – მიცემობა, ფულის სესხება, მეგობრული ქცევა და სხვ. იგინი ისე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, რომ ვაჭრობა თითქმის მეტი წილი ხელთ იგდეს. დამოკიდებულება განუწყვეტელი იყო. სარწმუნოებაში თავისუფლება ჰქონდათ და აგერ დასამტკიცებელი საბუთი, – და თან ხელი სომხის საყდრისაკენ გამიშვირა. მოგვდიოდა ხოლმე ამბავი, ჩვენს ხალხსა და სომხებს შორის საქმე გამწვავებულიაო, მაგრამ არა გვჯეროდა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის ჩვენც მოგვევლინენ მტრები; ესენი იყვნენ „**დამნაკვანები**“ სომხებისა, რომელთაც დაიწყეს ქადაგება ოსმალეთის ხალხის წინააღმდეგ და უბედური სომხის ხალხიც აჰყვა მათ ფეხის ხმას. განა შეიძლება თვით ღმერთისაგან დაყენებული სულთანის

**წინააღმდეგ ლაპარაკი?** (ეს საშინელი სასოებით იყო ნათქვამი). რა თქმა უნდა, ძალიან გვწყინდა სომხებისგან, რომ ამას სჩადიოდნენ და ხშირად ვეუბნებოდით:

– „სულთანი ერთია, როგორც ღმერთი და ნუ აჯავრებთო“, – მაგრამ ბოლო დროს აშკარად დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ გალაშქრება. ამის მიზეზი ის დაშნაკვაცანები იყვნენ, რომელთაც გაყიდეს თავიანთი ხალხი და გააუბედურეს! **დიდია ტანჯვა სომხების, მაგრამ მათი ბრალია. აბა, თქვენ მითხარით, სტუმარმა, რომ მასპინძლის სახლიდან გაგდება მოინდომოს, რას მოიწონებს მასპინძელი?** თუმცა ყველა ეს ჩვენ თვალწინ ხდებოდა, მაინც ერთმანეთში განწყობილება არ გაწყვეტილა და კვლავინდებურად კარგი მეზობლები ვიყავით, რადგან გვწამდა, რომ ვერას გახდებოდნენ ჩვენს წინაშე, რადგან ღმერთი გვფარავს.

თანდათან ხშირდებოდნენ ჩვენსკენ დაშნაკვაცანები და ამ დროს გაისმა, რომ გერმანეთმა რუსეთს ომი დაუწყო, გერმანეთმა ოსმალეთიც ჩაითრიაო. **დაიწყო გაქცევა სომხებისა რუსეთში. სადაც ჯართან ერთად ჩვენს წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა; ამან გამოიწვია სომხების დარბევა.** მთავრობის განკარგულებით დაუკეტეს საყდარი, დაუწყეს უდიერობა, მაგრამ ჩვენ, მცხოვრებნი, მაინც კეთილ განწყობილებაში ვიყავით და თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ რომელიმე სომეხს, თუ ვისმესთვის აქ ხელი გვიხლია.

შარშან ერთ დღეს მოვიდნენ აქ ასკერები უფროსებით, შეაგროვეს სომხობა და ჩაყარეს ციხეში, მერე ერთ დღეს გამოიყვანეს ყველა და გაატარეს ქუჩაში და, როგორც ამბობენ, გადასახლეს საცადა; ზოგი კი ამბობს, არ დაგიმაღავ, დახოცესო. ჩვენი თვალით არაფერი გვინახავს. ზოგი ჩუმად ბრუნდებოდა. მას შემდეგ ვხედავდით და ვაფარებდით ჯარის უფროსების თვალს და გზის ფულსაც კი ვაძლევდით. თურმე ესენიც რუსეთისაკენ მიემშურებოდნენ.

სწორე გითხრათ, მკითხველო, ამ კითხვამ ჩამაფიქრა და დიდხანს ველარა ვუპასუხე – რა და ბოლოს, რომ ვერა მოვახერხე – რა, მივმართე:

– რა დანაშაული მიუძღვოდათ ქალებს ან ბავშვებს?

– აქ მაგისტანა არ მომხდარა – რა და სხვაგან თუ მოხდა, არ ვიცი! მხოლოდ ესეც ვიცი, რომ საცა სომხების ძალა მეტი იყო, არც ჩვენებს ინდობდნენ. მხოლოდ მეტი წილი, გარწმუნებ, რომ ცოცხლები არიან ეხლაც და მხოლოდ ძალიან გაზვიადებულია, ვითომ ყელს სჭრიდნენ. ჩვენ ღმერთი გვწამს და არც მხეცები ვართ. **ეს ღმერთმა მოჰკითხოს იმას, ვინც ჩვენ და სომხებს შორის შური და უსიამოვნება ჩამოაგდო.** ვფიცავ ღმერთს, რომ ვინც ამის მიზეზია, ღმერთი არ აპატიებს და სამაგიეროს მოსთხოვს. რაზედ აქცევენ ამოტენა სისხლს!

ამის შემდეგ გამოვემშვიდობე მათ და გავუდექი გზას, რათა მენახა რომელიმე სომეხი, რომელსაც რუსული ეცოდინებოდა, თუმცა მეც ვლაპარაკობ სომხურად, რადგან მინდოდა დაწვრილებით გამეგო. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, რუსულის კარგა მცოდნე ვერავინ ვნახე და იძულებული შევიქნენ, თარჯიმანი წამეყვანა, რათა, რასაც მე თვითონ ვერ გავიგებდი, იმას გადაეთარგმნა... ვნახეთ ერთი მოხუცი სომეხი, მივესალმე და დავუწყე ლაპარაკი.

– ბევრი დარჩით აქ სომხობა?

– არა, ბატონო, ვიქნებით ასამდე.

– რა იქნენ დანარჩენები?

– ღმერთმა უწყის, აქედან გარეკეს და არ ვიცი, ცოცხალნი არიან, თუ მკვდარნი, ზოგი რას იძახის, ზოგი რას!

– როგორ ცხოვრობდით ომამდის თქვენ და ოსმალონი?

– ძალიან კარგად. **ერთმანეთში კეთილი განწყობილების მეტი არა გვქონდა – რა.**

– ვინ არის მიზეზი თქვენი უბედურებისა?

– ეჭვ, ღმერთმა რომ არ იცის მათი თვალი; ჯეილოზამ, რომელიც მოუსვენრად იყო, და „დაშნაკცაკანებმა“ დაგვმართეს ეს საქმე. ჩვენები, რომ რუსეთში არ გაქცეულიყვნენ, ეხლა ჩვენ ყველანი კარგად ვიქნებოდით. თვითონ თავი გაარიდეს აქაურობას და ცოლ-შვილი უპატრონოდ დასტოვეს. ეჭვ, დიდი, დიდი უბედურება გამოიარეს სომხებმა, დაიქსაქსა ოჯახები, დედამ არ იცის, შვილი სად არის, ძმამ – და, შვილმა – მამა. ამის დამნაშავენი კი ყველა ისინი არიან... ოსმალები საშინელი ხეპრე ხალხია, თუმცა ღვთის წინაშე მშვიდობიან მცხოვრებთ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ „ასკერებმა“ დიდი წამება მიაყენეს სომხებს. **მადლობა ღმერთს, ეხლა რუსეთი შემოვიდა, იქნებ გვეშველოს რამე**, მაგრამ ხალხი კი აღარ დარჩა და... ისინი რომ ყოფილიყვნენ, დავიდარაბა არ აეტეხათ, რუსეთი მაინც შემოვიდოდა და ჩვენს ბედს ძალიან აღარ დაჰყვედა. ღმერთმა მოჰკითხოს სომხის ხალხის დამღუპველს!

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. №180.

### ჯარისკაცი ი. მიქაძე მაჰმადიანთა ანიოკება სოფ. ბეგრიკალში

მაისის 22-ს სოფელ ბეგრიკალში – ოსმალებით გვესტუმრა სომეხ მსროლელთა კავკასიის მეხუთე რაზმი. მან საზიზღარი საქმე ჩაიდინა. აქაური ქურთები და ოსმალოს თათრები (მუსლიმანი ქართველები) მხეცურად დახოცა. ვერ წარმომიდგენია, თუ ეს საზიზღარი მოქმედება შესაძლებელი იყოს მეოცე საუკუნეში, თუ მას ჩაიდენს მგძნობიერი და განვითარებული ადამიანი, გარდა მხეცისა. უდანაშაულო ხალხს მუსრი გაავლეს. ქალები და ბავშვები დახოცეს. დედას გამოსტაცეს ხელიდგან ხუთმეტი დღის დაბადებული ბავშვი, ხიშტის წვერზე წამოაცვეს და ისე აწამეს. აი, ასე გახდა მსხვერპლი ას ოცდაათი ადამიანი. ამათში მამაკაცთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო. ბ – ნი პოლკოვნიკი ფირუმოვი შორიდგან დასდევდა ამ საზიზღარ მოქმედებას და თან მისი მსახურნი ოფიცრები მხეცურად რაინდობდენ უპატრონოდ დარჩენილ დედაკაცებზე და ბავშვებზე. მხეცმა ოფიცრებმა პოგონები დაიგლიჯეს და ისე რევოლვერებით მუსრს ავლებლენ ბალღებს და აი, ასეთ საზიზღარ მოქმედების დროს მე ჩემი აზრი ვსთქვი:

– ამხანაგებო, უდანაშაულო ბავშვებს და დედაკაცებს რისთვის ხოცავთ, რა დანაშაული მიუძღვის უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს – მეთქი. იმათ კი მრისხანებით შემომიყვირეს:

– შენ ძველი მთავრობის მომხრე ხარ და თათრების დამცველი. ხომ არ გინდა, შენც მათთან გაგასწოროთ და დღესაც მათი მუქარა მესმის. ამ დროს ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი ამხანაგები – სალდათები და მათ რიცხვში აქაური გარნიზონის სალდათების დეპუტატებიც და მასთან ბეგრიკალის კომენდანტიც. ამ საზიზღარ მოქმედების დროს დამსწრენი ოცი თუ ოცდახუთი კაცი ვიქნებოდით. რასაკვირველია, ყველა ჩემი მომხრე იყო, მაგრამ შიშისაგან კრინტიც ვერავინ დასძრა, რადგანაც მცირე იყო ჩვენი რიცხვი.

ამნაირად გაილაშქრეს უპატრონოდ დარჩენილ დედაკაცებზე და ბავშვებზე. იმ საღამოსვე ბ – ნმა პოლკოვნიკმა ფირუმოვმა აქტი წარმოგვიდგინა, ვითომც იმ დროს იქმნენ დახოცილი მცხოვრებნი, როდესაც მათ სროლა აუტეხეს რაზმს, მაგრამ სოფელში მათი მოწინააღმდეგე არავინ იყო.

ასეთი აქტისთვის ჩვენ უნდა ხელი მოგვეწერა, ამით ბ – ნი ფირუმოვი უნდა გამოსულიყო მართალი. ბ. ფირუმოვის ასეთმა ხერხმა ვერ გასჭრა და დარჩა მისი აქტი ხელმოუწერელი სალდათებისა და კომენდანტისაგანაც. როდესაც ეს უბედურება მოხდა, რამოდენიმე დაჭრილ ბავშვის

და დედაკაცის მოვლა და წამლობა იკისრა ქალბატონმა რებუტოვსკაიამ. ქ.ბ. რებუტოვსკაია აქაურ საავადმყოფოს გამგეა და მასთან უბრალო მოსამსახურე სანიტარიც. იშვიათად შეხვედებით ასეთ მშრომელ ადამიანს. დღე და ღამე მოსვენება არა აქვს. მუდამ შაბათს ღამის 12 საათიდან დილის ხუთ საათამდე ავადმყოფებისთვის ადუღებს ჩაის, რადგანაც მას სანიტარები არ ჰყავს ათი კაცის მეტი მთელს საავადმყოფოში. ყოველ მესამე ღამეს მორიგეობა მოუხდება ხოლმე. მადლობის ნაცვლად. მხეცებმა ისიც კინაღამ წუთისოფელს გამოასალმეს.

– როგორ გაბედე და დაჭრილ მაჰმადიანებს პატრონობა გაუწიეო. იმ წამსვე მიუცვივდენ საავადმყოფოში, გამოსტაცეს ის დაჭრილი ადამიანები და წაიყვანეს. სიკვდილითაც კი დაემუქრენ. მეორე დღეს კი თხოვნა დაუწყეს უსირცხვილოდ, კიდეც არის დარჩენილი ბავშვები და დედაკაცებიო, გთხოვთ თქვენ თავზე მიიღოთ მათი პატრონობაო. მაგრამ ქ.ბ. რებუტოვსკაიამ უარი უთხრა. – ნუთუ არ გრცხვენიათ, ეხლა თხოვნით მოდიხართო.

ამ ამბის შესახებ დარბეულებმა ამიერკავკასიის კომიტეტს წერილები გაუგზავნეს. ამ წერილების პირი რომანოვსკის, ოსმალეთის დაპყრობილი ადგილების გენერალ – გუბერნატორსაც გაეგზავნა.

გაზეთი „საქართველო“, 1917 წ. № 132.

**გ. ახალციხელი**  
**(გიორგი სალარიძე)**  
**წერილი არტაანიდან**  
**ჩვენი დღესასწაული: თავშესაფარის და სკოლის გახსნა**

დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ, როგორც იყო ველირსეთ არტაანში თავშესაფარს და სკოლას, დაარსებულს აქაურ ოლქის ქართველებისათვის, განურჩევლად სარწმუნოებისა.

არტაანის (ყოფილ სამცხე – საათაბაგოს ნაწილის) ოლქში, არამც თუ ერთი, ხუთი და მეტი სკოლაც იქნებოდა საჭირო ნორმალურ პირობებში: დაბეჯითებით რომ გამოჰკითხოთ, დიდი უმრავლესობა ამ ოლქში მოსახლეობისა გამაჰმადიანებული ქართველობაა, როგორც ძველადვე დარჩენილი მკვიდრნი, აგრეთვე, გადმოსახლებულნი გურია – აჭარიდან, ახალციხე – ახალქალაქის მაზრებიდან და სხვა, მაგრამ, სამწუხაროთ, უმრავლესობას, ჟამთა სრბოლაში დავიწყებია დედაენა. დიახ, სამოქმედოთ ფართო ასპარეზია სხვაგვარ მოვალეობით არ დატვირთულთათვის და პირობები კი მეტად ძნელია ორიოდ, ჯეროვან სახსარს მოკლებულ ადამიანთათვის...

აქაურ საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას მრავალი ხელის შემშლელი პირობა დახვდა თავის მიერ ნაკისრ მოვალეობის შესრულების დროს: ინტელიგენტურ მუშა – ძალების სიმცირე, საჭირო მასალის და მუშა ხელის მეტისმეტი სიმცირე და ხშირად უმუშევრობაც. ადგილობრივ ზოგიერთ მცხოვრებთა არა საკადრისი საქციელი, რომ „ქართველები გაქრისტიანებას გვიპირებენო“, – ყოველივე ეს მეტად აბრკოლებდა გულწრფელ წადილს აქაურ განყოფილებისას, რომლის ერთადერთი მიზანი იყო და არის: ძმური დახმარება გაუწიოს და მცირე რამ ნათელი შეიტანოს თანამოძმეთა გამოუვალ წყვედიადით მოცულ ყოფაში, რომელწყვედიადსაც, შეცვლილ რჯულის ფანატიზმთან ერთად, მთლად სულიან – ხორციელად შეუბოჭავს ეს საბრალონი...

ასე თუ ისე, როგორც იყო, მკათათვის 16 ველირსეთ თავშესაფარისა და სკოლის გახსნას, რაიც მოხდა დიდის ზეიმით.

აქაურ განყოფილებას დიდი ხნით ძებნა დასჭირდა, ჯერ შესაფერ შენობის გამოსაძებნათ და შემდეგ დაქირავებულ, აოხრებულ შენობის შეკეთებას.

ბინა შესდგება, სამხარეულო – საკუჭნაოს გარდა, ექვსი ოთახისაგან: ორი დანიშნულია თავ-შესაფრის გამგისათვის, ორი თავშესაფარ – საწოლ ოთახებად და ორიც სკოლისათვის. სკოლა მოწყობილია საჭირო პარტებით, მერხებით, დაფებით და სხვ. თავშესაფარისთვის მოწყობილია ტახტები ორმოცი შეგირდისათვის, ლოგინ – საბნებით, ბალიშებით და თეთრეულობით. ორმოცივე შეგირდისათვის დამზადებულია ტანსაცმელი და ზოგი რამ საჭირო სურსათისა. ბინის ფართო ეზოში მოწყობილია საგიმნასტიკო სავარჯიშო – სათამაშოები.

ყოველივე ამის მოწყობაზე განყოფილებას უკვე დახარჯული აქვს ხუთას თუმნამდე, აქედან ოთხას თუმნამდე მიღებული აქვს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისაგან და დანარჩენი გაღებულია განყოფილების სახსრიდან.

გახსნის დღეს, 16 მკათათვეს, ეს შენობა ეზოთითურთ საამურად იყო მოწყობილი; ხელოვნურად ჩარიგებულ ნაძვის ხეებით, მწვანე ხვეულებით და წითელი დროშებით. ეზოს შესავალ ალაყაფში, მწვანე ხეებზე გადაბმულ ტილოზე იყო წარწერა: „**სალამი სტუმრებს**“. სკოლის შესავალ კარებში კი მოთავსებული იყო, ქნარით და ყვავილებით მორთული, ჩვენებურივე უბადლო მგოსნის **შოთას დიდი სურათი**, რომლის ზემოთაც ფრიალებდა დიდი დროშა, ზედ ოთხ ენაზე (ქართულად, თათრულად, სომხურად და რუსულად) წარწერით: „**ძმური ნუგეში**“. დღესასწაულის მოწყობაში დიდი დახმარება გაგვიწიეს, სხვათაშორის, ადგილობრივ გარნიზონის ქართველმა ჯარისკაცებმა, რომელნიც (ოციოდე კაცი) დიდის მოწადინეობით და ხალისით მუშაობდნენ მთელი დღის განმავლობაში.

თავშესაფარ – სკოლის მოქალაქობრიულ გახსნაზე დაპატიჟებული იყო და დაესწრა ადგილობრივ ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები, დროებით აქ მყოფნი **მეცხვარე თუშები** და ეგრეთვე, ოლქიდან მოსულნი. ეზოში, დროგამოშვებით, საზანდარი უკრავდა. ნაშუადღევს პირველ საათზე, განყ. გამგეობის თავმჯდომარემ – **სალარიძემ** მიმართა მრავლად თავშეყრილ საზოგადოებას შემდეგი მოკლე სიტყვით:

– „ძვირფასო სტუმრებო! ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივით და ხარჯით დღეს იხსნება თავშესაფარი და პირველ სექტემბრიდან, **მოქმედებას დაიწყებს, ეგრეთვე, პირველდაწყებითი სკოლა ლტოლვილთა და ომისაგან დაზარალებულ ქართველთა შვილთათვის, სარწმუნოების განურჩევლად**. ადგილობრივ, მეტად მცირერიცხოვან ქართულ კოლონიას კარგათ გათვალისწინებული ჰქონდა და აქვს დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნაკისრ წმინდა საქმისა, მაგრამ მას ყოველთვის ამხნევებდა და მომავალშიდაც დაიმედებულია ადგილობრივ ეროვნებათა შეგნებულ ნაწილის მეგობრულ – კეთილგანწყობილობით.

ჩვენ მტკიცედა გვწამს, რომ მხოლოდ სოლიდარობის ნიადაგზედ, როცა გულწრფელად განიზიარებენ ჭირსა და ლხინს საუკუნეობით ერთად მოსახლე მეზობელი ერები, წარმოიშვება ხელსაყრელი პირობები ყველასათვის სასარგებლო შემოქმედებით მუშაობისთვის. ამ საქმის ხელმძღვანელნი პირობას სდებენ, რომ **ნორჩ არსებათ შთაუწერგვენ და განუვითარებენ ჰუმანურ გრძნობათ და ძალღონეს**. არ დაიშურებენ მათში შეიტანონ შეგნება, რომ აღიზარდნენ შეგნებულნი, ღირსეულნი მოქალაქენი, ამოდენი მსხვერპლით მოპოებულ თავისუფლებისა. გიძღვნიით რა, ადგილობრივ განყოფილების გამგებლის სახელით, უმდაბლესს მადლობას, რომ პატივი გვეცით თქვენის დასწრებით, ნებასა გთხოვთ გვეგულეობოდეთ მეგობრებად ამ ნორჩ საქველმოქმედო – განმანათლებელ დაწესებულებისა“.

შემდეგ სიტყვით მიმართა თავშესაფრის სკოლის ზედამხედველად მოწვეულმა მასწავლებელმა ა. მეფარიძემ, რომელმაც დამსწრეთ მდაბიო ენით განუმარტა არსებულ მომენტიტით გამოწვეული მიზანი დაწესებულებისა, სურვილი ნაკისრ მოვალეობისადმი სამსახურისა და საჭიროება ამ კულტურულ დაწესებულების გარშემო შეკავშირებისა, – ერთობისა.

ახალ დაწესებულებას მისალმების სიტყვებით მიმართეს **სომხების, მუსულმანი ქართველების, რუსების და ბერძნების წარმომადგენლებმა.**

სტუმრები მიწვეულ იქმნენ სკოლის ბინაში საუზმეზე, რამაც მეტად მხიარულად ჩაიარა. ითქვა მრავალი სათანაგრძნობო სიტყვა და ამასთანავე, დამსწრეთ მოისურვეს თავისი წვლილი გაეღოთ ახალ დაწესებულების საღსარის გასაძლიერებლად. იქვე შეკრიბეს 1,100 მანეთამდე, ბევრმა კიდევ ყოველთვიური დახმარება (150 მანეთამდე) აღგვითქვა.

ნასიამოვნები და მადლიერი სტუმრები საღამოს ექვს საათზე დაიშალნენ.

დაწვრილებით ცნობებს, როგორც თავშესაფარ – სკოლისას, ეგრეთვე, საზოგადოთ, აქაურ საყურადღებო ამბებისა, შემდეგში მოგაწოდებთ.

გაზეთი „საქართველო“, №175, 1917 წელი.

### **სანყალი მუშა (პარმენ ლორია) არტაანი**

ერთი თვეა, რაც არტაანში და მის რაიონებში ჩვენი ჯარის ნაწილები შევიდა. ჯარის რამოდენიმე ნაწილი არის, აგრეთვე, არტანუჯსა და მის რაიონებში.

აღსანიშნავია ის, თუ როგორი სიამოვნებით ეგებებიან აქაური მცხოვრებლები ჩვენს ჯარს: ყველგან აღფრთოვანებული და დიდად იმედებით აღვსილნი გვეგებებიან, ყველა მოელის დემოკრატიულ რესპუბლიკის მფარველობას, ყველას სურს მის დროშის ქვეშ დადგომა. ყველას გული ჩვენკენ აქვს და დიდი სიმპატიით გვიცქერაინ.

ჩვენს ჯარს თავი ჩვეულებრივად დინჯათ უჭირავს.

ადგილობრივი მცხოვრებნი ეკონომიურად, პოლიტიკურად და სხვა მხრივ ძლიერ ჩამორჩენილნი არიან.

ჩვენს შემოსვლამდე ნიკოლოზის ფული ორ წილად და ხან მეტად ფასობდა, ჩვენი შემოსვლის შემდეგ ამ ფულის ფასი ისე დაეცა, რომ თუ კარგი, ახალი არ არის, არც ხუთ მანეთად გადის თუმანი.

საქართველოს სასარგებლოდ ყველა, დიდი და პატარა, ლაპარაკობს და მოქმედებს.

ძლიერ საჭიროებას წარმოადგენს მცხოვრებთათვის ტანსაცმელ – ფეხსაცმელი.

განათლების მხრითაც ძლიერ ჩამორჩენილნი არიან. ბევრს სოფლებში არც კი იციან, თუ რამ შექმნა ასეთი მომენტი. არც ერთხელ არ უთქვამთ მათთვის, რა მოხდა რუსეთში სამი წლის წინათ. ზოგიერთ ალაგას ყველა ამბების ახსნის შემდეგ, დიდი სიხარული გამოთქვებს. ყველას მოსწონს ჩვენი, როგორც მთავრობის, შემადგენლობა,

სურსათის მხრივ მაინცა და მაინც ისეთი კრიზისი არ არის ჩვენში, როგორც ზოგიერთ ალაგას. სასამართლოები და სხვა დაწესებულებები ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე ასული. ფოსტაც დღემდე არ იყო, მაგრამ დღეს უკვე არის შეერთებული ტელეგრაფით ახალციხესთან

არტაანი. მალე მოეწყო მოძრავი ფოსტაც, რის საშუალებითაც შეიძლება გაზეთების და სხვადასხვა ცნობების მიღება ამ მხარეში.

საჭიროა მოწოდებულ იქნას ის ნივთები, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქაურ მცხოვრებთათვის. საჭიროა, აგრეთვე, გაიგზავნონ მცოდნე პირები. ყოველ სოფელში უნდა მოეწყოს კრებები, ლექციები, და თან, მოწესრიგდეს სასამართლო და სხვა დაწესებულებები.

გაზეთი „ერთობა“, 1920, №79, 31 მარტი

**საწყალი მუშა**  
**(პარმენ ლორია)**  
**არტაანი**

**პირველ მაისს არტაანში** დიდებულათ შეხვდნენ. ხალხი დილიდანვე ქუჩებში გამოვიდა, დღეც საუცხოვო იყო. დღის 1 საათზე გამოვიდნენ ადგილობრივი **მუსულმანი ქართველები ზურნით**. იყო მორთული აქლემი, რომელსაც მიყვებოდა ხუთი კაცი, ერთი თათრულათ ჩაცმული ქალი. მის გარშემო მრავალი ხალხი მოგროვდა; გაიმართა ცეკვა – თამაში. გაივსო ბანები **მუსულმანი ქართველების ქალებით**, რომლებიც იქიდან დასცქეროდნენ ამ სანახაობას. გამოვიდნენ ჯარისკაცები მუსიკით და ამან უფრო მისცა სიმშვენიერე დღესასწაულს, არტაანის სამხრეთ ნაწილიდან გამოვიდა ერთი გუნდი **სომხების ჯარისა**, რომელსაც ჩვენი ჯარი მუსიკით შეხვდა. ბოლოს მათთან ერთად შემოუარეს მთელ ქალაქს.

დღის ორ საათზე ხალხი მოგროვდა ერთ არჩეულ ალაგას, სადაც წარმოთქმული იყო სიტყვები და ბოლოს გაიმართა წარმოდგენა. მიტინგს შესაფერი სიტყვებით შეხვდა ამხ. **მაისურადე**, რომელმაც აღნიშნა დღის მნიშვნელობა. შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

პირველად ლექსი წაიკითხა პირველ მაისზე **პ. ლორიამ**. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წაიკითხეს ლექსები და სახუმარო სცენები, შესრულებულ იქნა ქართული სიმღერები. იმღერეს, აგრეთვე მუსულმანებმაც. ზეიმი დაიშალა საღამოს 7 საათზე. სომხის ჯარისკაცები ჩვენებმა მუსიკით გააცილეს საზღვარზე.

გაზეთი „ერთობა“, 1920, №105

**საწყალი მუშა**  
**(პარმენ ლორია)**  
**26 მაისობა პროვინციაში**

**არტაანი**. 26 მაისისთვის ერთი კვირით ადრე შეუდგნენ მზადებას. ბუნებამაც ხელი შეუწყო ამ დღესასწაულს. სწორედ წინა დღით დადგა კარგი ამინდი (რაც აქ იშვიათად არის).

გათენდა 26 მაისი, გადმოხედა **არტაანს** და გადმოსძახა: „**გაიხარებით, თქვენაც ქართველ ხალხთან ერთადო**“. ხალხი საზეიმოდ გამოვიდა. ქალაქში დილიდანვე უკრავდა სამხედრო მუსიკა. დღის 12 საათზე გაიმართა ჯარების ალღუმი, რომელიც მიიღო მე – 12 ათასეულის უფროსმა. უკანასკნელმა შესაფერად დაასურათა დღის მნიშვნელობა. მისი სიტყვები დაფარულ იქნა „ვაშას“ ძახილით. შემდეგ სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იქმნა წარმოდგენები. ქართულ და რუსულ ენებზე დადგმულ იქნა პირველად დრამა ორ მოქმედებად: „**ისევ ძმებთან**“, **პარმენ ლორიასი**; მეორედ სცენა – „**ნამუსიანი ხალხი**“ **იმედაშვილისა**; რუსულ ენაზე „**მედვედ**“ **ჩეხოვისა**. ბოლოს იმღერეს და წაიკითხეს სხვადასხვა ლექსები.

აქაური მუსულმანებიც დიდათ დაინტერესდნენ დღესასწაულით. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ კულტურულ მუშაობის საჭიროებისათვის არც ერთი სასიკეთო შენობა არ მოიპოვება. წარმოდგენებიც დანგრეულ შენობაში იმართება, რომელიც ეხლახან მოაწყო ადგილობრივმა თვითმართველობამ.

ეს მორე დღესასწაულია, რომელიც ასე დიდებულად იდღესასწაულეს არტაანის მცხოვრებლებმა.

გაზეთი „ერთობა“, 1920, №128

### **მ.ე. კარაკოზოვი „არტაანის არე-მარეში“**

ამ სათაურით ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული მ.ე. კარაკოზოვის მიერ „იენი – იყბალში“ მოთავსებულ წერილს სავსებით ვბეჭდავთ:

„ყველას მოეხსენებათ, რომ ყარსისა და არტაანის მაზრებში აკლებულ და აწიოკებულ მაჰმადიანების რაოდენობა წინად გამოქვეყნებულ ცნობებზე გაცილებით მეტია. დღეს ომის მიზეზებით აუცილებელ საჭირო საგნებზე ფასებიც თანდათან იზრდება. დიდის თოვლისა გამოგზებიც შეკრულია და თითქმის საერთო მიმოსვლაც შეწყვეტილია. ასე, რომ ამ უბედურთა უმწეო მდგომარეობა დღითი – დღე რთულდება და მწვავედება, რასაც დიდს საგონებელში შეჰყავს ყოველი კეთილსინდისიერი ადამიანი. ყოველ შემთხვევაში ამ ხალხის მდგომარეობა რომ დაწვრილებით აღწეროთ, ნათლად წარმოდგენილი იქმნება, თურა უბედურება სწვევია ამ ბედისაგან განწირულ ხალხს. მაგრამ საამისოდ არც დრო, არც გარემოება და არც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ხელს არ გვიწყობს. მაინც,, რამდენადაც შესაძლებელია, ვეცდები, ჩემს მიერ ნანახი გულშემზარავი სურათების ნაწილი გაგუზიარო მკითხველს.

როგორც მოგეხსენებათ, არტაანის მაზრის ბერძნებისა და სომხების მოსაზღვრე ქართველი მაჰმადიანების სოფლები სულერთიანად მიწასთან გასწორებულია. სახლებში, რაც გამოსადეგარი ნივთები ჰქონიათ, ყველა დაუტაციათ და დანარჩენები კი დაუწვავთ.

მრავალ ისეთს სოფლებში მოგვიხდა გავლა, სადაც თითქოს არასოდეს ცხოვრება არ ყოფილა; სიცოცხლის ნიშანწყალი და კვალიც აღარა სჩანს, ისრე არის განადგურებული.

ამ ახლო ხანში მეფის მოადგილის განკარგულებით ამ ბედკრულ ხალხის მდგომარეობის გამოსარკვევად კომისია გაიგზავნა. როდესაც კომისია საქმის გამოძიებას შეუდგა და ხალხს შეეკითხა: – თქვენ ვინ დაგაყენათ ასეთი დღეო? ყველამ ერთხმად უპასუხეს: – ჩვენმა მეზობლებმაო.

სოფელ – სოფელ დავდიოდით და ამ ბედ – შავ ხალხს ტანისამოსებს, ფეხილს, ბრინჯს, შაქარსა და ჩაის ვუნაწილებდით. მთელი ამ დროის განმავლობაში ტანთსაცმელის გახდა და საწოლში მოსვენება არ მღირსებია. ან კი სად არის ქვეშაგები, საბანი, რომელ სახლში! ქვეშაგებიცა და საბანიც ჩემი ქურქი და ნაბადი იყო და საჭმელი კი ნარევი ქერის პური, ისიც მწარე! რადგან სხვა არაფერი მოიპოვება და თუნდაც იშოვნებოდეს, ვის მოაგონდება ასეთ საშინელ სანახაობაში... ერთ დროს აქაც ადამიანები ცხოვრობდნენ, სოფელი ჰყვავოდა.

რომელ სოფელშიაც შედიხარ, ყოველგან ოხვრა, გოდება, ნალველი, ვაება, სისხლის ცრემლები! რომელ ბავშვსაც შეეკითხები: – ვისი შვილი ხარ, მამა გყავსო? გულმოკლული ამოიოხრებს; – მამაჩემი მოჰკლეს. რომელ დედაკაცსაც შეეკითხები: – შენ რამდენი შვილი გყავსო? ერთს ღრმად ამოიოხრებს და მოგიგებს: – დამიხოცესო.



რომელ მხარესაც გადაჰხედავ, ყველგან საზარლობა, დარდი, უბედურება, ვაი – ვაგლახი თვალწინ გადაგეშლება; **ფეხშიშვლები, ტიტვლები თავშესაფარისაკენ მოეშურებიან**; ზოგი ოცი ვერსის მანძილიდან, ზოგი უფრო შორის გზიდან მოდიან აქ. თავის დღეში არ დამავიწყდება შემდეგი სურათი: სოფლის ნაპირას მივდიოდით. ერთი ბერძნის დუქნის წინ ორი მაჰმადიანი ბავშვი უიმედოდ გაჩერებულიყო. დაგვიწყეს ცქერა. ჩვენ მაშინვე მივმართეთ:

– აქ რამ გაგაჩერათ, რაც გინდათ, გვითხარით და გიყიდით.

ისინი ისევე გაოცებული გვიცქეროდნენ. შემდეგ სათნოების დამ უთხრა: – იქნება ვაშლი გინდათ, გიყიდოთ? ამაზე ერთიძლიერ ამოიოხრეს და გვიპასუხეს:

– ჩვენ ვაშლი რად გვინდა, გვშიან, პური გვიყიდეთო.

– რაღა გული მოგვითმენდა, ჩვენც ავიღეთ, ცხენებს უკან შემოვისხით ბავშვები და პირდაპირ თავშესაფარისაკენ გავსწიეთ.

ამ კუთხის მცხოვრებლების ერთი ნაწილი თურმე, ვითომდა თურქებს წინამორბედობა გაუწიესო, დაუბეზლებიათ და ციხეში დაუმწყვდევიან. ზოგისთვის ასეთი ბრალდება წაუყენებიათ: თურქებს შეერთებიხართ, **სამშობლოს დალატი ჩაგიდენიათო**. ასეთები **სამხედრო ტყვეების სახელით რუსეთის შიდა გუბერნიებში გაუგზავნიათ**; მესამე ნაწილი კი მოტყუებით **დამ – დამობით გაუყვანიათ სახლებიდან, მთავრობა გიბარებთო, და წუთისოფლისათვის გამოუსალმებიათ**. ეხლა ყველა ეს უკვე ირკვევა. მეფის ნაცვლის მიერ გამოგზავნილი კამისია, ამ ძალმომრეობის, ცარცვა – გლეჯის, და მკვლელობათა გამოძიებაშია. შემოხსენებულ ოლქის ყოველ კუთხეში ამბობენ: – ჩვენი ასეთს უბედურებაში ჩამგდები ხშირად კაზაკურ ტანისამოსში გამოწყობილი პირები იყვნენ, და ეხლა როგორც ირკვევა კაზაკები არ ყოფილანოდა ეხლა კი ეს უბედურები დღე და დამ დიდი მთავრისა და მისი ოჯახობის დღეგრძელობას ღმერთს ევედრებიან, რადგან მისი იმპერატორობით უდიდებულესობა, რაც კი კავკასიაში მეფის ნაცვლად დაინიშნა და ჩამორბმანდა, იმ დღიდანვე აქეთ მხარეს ხალხის აკლებასა და ცარცვა – გლეჯას ბოლო მოეღო, და ავაზაკებიც წელში გატყდნენ. ამ საქმეების გამო ორასამდე კაცი **სამხედრო სამართალშია მიცემული**, რომლებსაც, დღეს თუ ხვალ **სიკვდილით დასჯა** მოელოთ. და ვინც დამნაშავე არ არის, იმედია, ამ დღეებში განთავისუფლდებიან მიტომ, რომ ყველაფერი უკვე აშკარავდება.

ეხლაც ცოტა რამ ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ მინდა მოგახსენოთ: **ყარსისა და არტაანის** მაზრებში დღემდე დაარსებული არის სამი საავადმყოფო და სამიც უფასო სასადილო. ამათგან ერთი სასადილო არის დაარსებული **ყარსში** და მის გამგეთ არის საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ბ – ნი ალი ხანი **კანთემიროვი**; მეორე **სარიყამიშია** და განაგებს ისმაილ – ბეგ **ნეზერ – ალიევი**; მესამე არტაანის მაზრაში **ხანახის** უბანშია და განაგებს **სელაჰ – ბეგი სულთანოვი**.

საავადმყოფოები არის დაარსებული არტაანის მაზრაში **დეგერმენ ქენდის** უბანში ოცდაათი საწოლით. ამ საავადმყოფოში 25 ავადმყოფი უკვე განიკურნა უსასყიდლოდ. მას განაგებს ფერშალი **ათაშვილი**, სათნოების დათ არის **ზურაშვილი** და მომვლელად – სამი კაცი.

მეორე საავადმყოფო არის დაარსებული არტაანის მაზრის **არფაშენის** უბანში 22 საწოლით. მის გამგეთ არის ფერშალი **სკორონკო**, სათნოების დათ **ცერცვაძე** და სათნოების ძმად **იბრაიმ – ჯემზაროვი** და ავადმყოფების მომვლელად – სამი კაცი.

მესამე საავადმყოფო არის არტაანის მაზრის **ხან – ლუის** უბანში 15 საწოლით, სადაც დღეს იკურნება ათი სნეული. მის გამგედ არის ფერშალი **ბონოვიჩი**, სათნოების დათ **ანნა** და ძმად **ნერიმან ალი – ასქერ – ზადე** და ავადმყოფების მომვლელად, სამი მამაკაცი.

რაც შეეხება საქველმოქმედო საზოგადოების სხვა რწმუნებულთა მოღვაწეობას: დღეს ჯერ – ჯერობით მუსიკე ილიასოფმა შურაგოლისა და აკბა – ბაის მიდამოებში შეხიზნულ პირებს 7 ათასი მანეთი დაურიგა. და ასლან – უროჯოვმა კი ზაროშათში შეხიზნულებს – 5 ათასი მანეთი. ყარსის მხარეს გაგზავნილმა რწმუნებულმა ყაპრიმანმა ბაკეროვმა ომისაგან დაზარალებულთ დაურიგა 3 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებას გარდაუწყვეტია, არტაანის მაზრაში კვლავ დაარსოს ერთი საავადმყოფო და დიღვირის უბანში ერთი უფასო სასადილო. ერთი სასადილოც უნდა დაარსდეს ოლთისის მაზრაში გორშქენის უბანში და ერთი საავადმყოფოც იმავე მაზრის ზეჟამის უბანში. მიზნადა აქვთგახსნან საქველმოქმედო საზოგადოების ერთი საავადმყოფო და ერთი სასადილო ჩილდირის მაზრაში.

არტაანში ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული მ.ე. კარაკოზოვი.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. № 13.

### ვ. კოპტონაშვილი მგზავრის დღიურიდან (ქართველი მგზავრი არდაჰანის „სანჯახში“)

16 – ს ამა ივნისს მე და ორი სხვა თანამგზავრი სოფ. კოთელიიდან (ახალქ. მაზ.) გავემგზავრეთ არდაჰანის ოლქისკენ, სახელდობრ, ჩილდირის მხრისკენ. სოფ. კოთელიიდან დილით გასულბმა, სამი საათის განმავლობაში მივაღწიეთ ქ. ახალქალაქს. ახალქალაქამდის გზა მიემართებოდა პირდაპირ სამხრეთისაკენ. დღე იდგა მზიანი და მწვანედ შემოსილ ვაკე – მინდვრებს საამურად ბიბინი გაჰქონდათ. სწორედ შუადღე იყო, რომ ქ. ახალქალაქიდან გავედით. აქედან გზამ დაუხვია სამხრეთ – დასავლეთისაკენ. ეს გზა დაბა არდაჰანისკენ მიდიოდა. რადგან გზა ახალად კეთდება და ჯერ დაუსრულებელია, ჩვენც დავადექით ისევ ძველ გზას, მიმდინარეს იმავე ახალ გზის გვერდით. თუმცა არდაჰანის ახალი გზა ჯერ კიდევ დაუსრულებელია ახალქალაქიდან დაწყებული, მაგრამ ფოსტა – კი დადის და გზაზედ საფოსტო სადგურებიც უკვე გამართულია. ახალქალაქიდან სოფ. სულდამდის (ახალქ. მაზრაშია) 16 ვერსია; აქ სცხოვრობენ სომხები, აზრუმიდან გადმოსახლებულები, და აქვე გამართულია საფოსტო სადგური „სულდა“. ქ. ახალქალაქის და ს. სულდას შუა მდებარეობს ერთი საკმაოდ დიდი სომხების სოფელი ვაჩიანი, სადაც გამართულია სადირექციო ერთკლასიანი სასწავლებელი. ამ სოფელში გავლის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია სოფელს წინ მდებარე ვეებერთელა ჭაობიან – ჭილიან ტბამ.

ეს ტბა, ე.ი. ჭაობი, იმით – კი არ არის ყურადღების ღირსი, რომ ან ძალიან დიდი იყოს, ან სუფთა წყალი იდგეს შიგ და ან სათივედ გამოსადეგი იყოს შიგ მდგომი შაპრი თივა, არამედ იმითია საყურადღებო, რომ იგი ცუდს საჰიგიენო ვითარებაში აგდებს ამ სოფლის მცხოვრებლებს. ყველასაგან ცნობილია, რომ ამ ჭაობის წყალობით ს. ვაჩიანში ვრცელდება ხოლმე ათასგვარი სნეულება და ხოლერობის დროს ხომ საკმაო ხალხი იმსხვერპლა. ამ ტბის უსარგებლობისა და დაშრობის შესახებ, ვგონებ, კიდევ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ ყოველივე ლაპარაკი დღემდე განუხორციელებელი დარჩენილა, რადგანს. ვაჩიანი ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ თუ არა ამ ტბის წყალი, სხვა წყლები საქონლის სასმელად სრულიად მოუხერხებელია. ამ სოფლის მცხოვრებლების ჯანმრთელობის დაცვისათვის, მხოლოდ ის დარჩენილა, რომ ხალხი მოშორდეს ამ საზიზღარს ტბა – ჭაობს, რომელშიაც ათასნაირი ჭია – ჭუა ჰბუდობს თვალსაჩინოდ და თვალუჩინარი მიკროსკოპიული ბაქტერიები ხომ აუარებელი იქნება...

ქალაქ ახალქალაქიდან სოფ. **ვაჩიანამდე** მშვენიერი ვაკეობაა, რომელიც მთლად დაფარულია სახნავ – სათესის მიწებით; ვაჩიანიდან სოფ. **სულდამდის** – კი გზა მიდის გორიან და ქვა – ღორიან ადგილებზე. სოფ. სულდამში რომ მივედით, შუადღიდან სამი საათი იყო გადასული. ამ სოფლიდან გავემართეთ ცოტა აღმართის გზით სოფელ **კარწახისკენ** (ახალქ. მაზრაშივეა). აღმართი რომ ავიარეთ, გზიდან მარჯვნივ, ვაკე ადგილას ვნახეთ ერთი ვერანა სოფელი, ნანგრევის ეკლესიით. ეკლესია თლილის წითელის ქვით ყოფილა ნაშენი, მაგრამ ჟამთა ვითარებისაგან, აოხრებულა, დანგრეულ – განადგურებულა და ღირსშესანიშნავი არაფერი არ შერჩენია. აქედან ს. **კარწახამდის** გზა თავ – თავქვე მიიკლავება. ს. კარწახში ნაშუადღევის 6<sup>1/2</sup> ს. იყო, რომ მივედით. **კარწახი** მეტად დიდი სოფელია და აზრუმიდგანვე გადმოსახლებული სომხები სცხოვრობენ; მათ სოფლის მისავალშივე გამართული აქვთ რიგიანად მოწყობილი **ერთ – კლასიანი სარედაქციო სასწავლებელი**. სოფელში ცხრა – ათიოდე საწვრილმანოს და ფარჩეულობის დუქანია. ამჟამად ამ სოფელში შენდება ვეებერთელა ქვითკირის საყდარი, ნაცვლად ძველის უვარგისისა. როგორც სულდისა, ისე კარწახისა და სხვა სოფლების მიწები, როგორც გვიამბეს, ეკუთვნის **ეჩმიაძინის ეკლესიებს და ამ მიწებიდან და მთებიდან შემოსულის ფულით ინახება სომხების სკოლები და სხვა...**

სოფ. კარწახიდან **არდაჰანის** გზას ავუქციეთ და გავემგზავრეთ პირდაპირ სამხრეთისაკენ, სხვა გზით. ნახევარი საათი ვაკეთ ვიარეთ და შემდეგ შევუდექით მშვენიერ ამწვანებულს მთას. ეს მთა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაგრძელებულია და სახელად ეწოდება „**გვეგ – ტალი**“ (ლურჯი მთა). ეს მთა საკმაოდ მაღალია, ქვა – ღორღს და კლდეებს ამ მთაზედ კაცი ვერა ნახავს, მთლად შემოსილია საძოვრის და სათიბის ბალახით. ამავე მთის ქედიდან, სამხრეთისკენ **არდაჰანის** ოლქია. ვიდრე ამ მთის აქეთა მხარეს, ე.ი. **ახალქალაქის** მაზრის კუთვნილს ავივლიდით, გზა მთის გვარობაზედ მიდიოდა ცალ ბილიკად. ამ ბილიკიდან, დასავლეთის მხარეს, ვაკე მინდორზედ დავინახეთ ვეებერთელა „**ხოზაპინის**“ ტბა, რომელსაც ირგვლივ, გარშემო ექნება თითქმის 15 – 18 ვერსტის მანძილი. ტბა ყვითელის ფერისაა და სასმელად გამოუსადეგარი. შიგ თოთხმეტი კუნძულია. „**ხოზაპანი**“ აოხრებულის სოფლის სახელია, რომელიც ყოფილა ამ ტბის ნაპირას, აღმოსავლეთის მხარეს. ამ ტბასაც აქედან მიუღია ეს სახელი. ეს ვერანა ხოზაპანიც თავისის სახნავ – სათიბ – საძოვარი ადგილებით ეკუთვნის ზემოხსენებულ **ეჩმიაძინის ეკლესიებს**, რომლების გამგებლებს იჯარით გაცემული აქვთ დღეს საძოვრად და სათიბად ახალქალაქის მაზრის, სოფ. **დიღჯვის** მცხოვრებლებზედ.

სწორედ საღამოს 8 საათი იყო, რომ ავედით „**გვეგ – ტალის**“ ქედზედ, სწორედ იმ ადგილას, სადაც 1877 – 1878 წლებამდის ოსმალეთის სახელმწიფოს მიჯნა ყოფილა და ეხლა – კი არდაჰანის ოლქის („სანჯახის“) მიჯნაა, ე.ი. ახალქალაქის მაზრა ამ მიჯნაზედ თავდება. ცოტა რომ გადავემართეთ „**გვეგ – ტალს**“ და გადავხედეთ ჩილდირის მთა – ველებს, ჩვენი თვალი მიიპყრო უზარმაზარმა **მტრედისფერ ტბამ**. **ჩილდირის ტბა**, თუმცა ჯერ კიდევ 10 – 15 ვერსის მანძილზედ იყო ჩვენგან, მაგრამ მაინც მეტად დიდის სივრცისა გვეჩვენა. ჩილდირის მხარე, რომელიც ეკუთვნის **ზურზუმის** ნაწილს, მდებარეობს მთიან ადგილებში. **ჩილდირი** განიყოფება ორ ნაწილად – **პირაქეთად** და **პირიქითად**. ე.ი. ტბასა და პირაქეთა ჩილდირს შუა მდებარე მთის ჩრდილოეთის მხრივ ადგილებს ეძახიან **წინა ჩილდირის** („ირალქი ჩილდირ“) მხარეს, ხოლო მთის იქითა ადგილებს, სამხრეთის მხრივ, ტბის გარშემო ეწოდება **უკანა ჩილდირი**.

საღამოს ცხრა საათი იყო, რომ პირაქეთა ჩილდირის პირველ სოფელში – **ჩანდურაში** ჩავედით. ჩანდურა მდებარეობს „**გვეგ – ტალის**“ პირიქეთა ძირში და წინ – კი გადაჭიმული აქვს ფარ-

თო ვაკე, სათიბი ჭალები და სახნავი მიწები. ს. ჩანდურაში, როგორც ყველა ჩილდირის სოფლებში, სცხოვრობენ თარაქამა თათრები, ოდესმე გადმოსახლებულები **ყაზახ – ბორჩალოს** მაზრებიდან.

ჩანდურაში ერთი თარაქამის კარებზედ მივედით და ცხენ – და – ცხენ დავდექით, გვინდოდა დამე დგომის ნება გვეთხოვნა სახლის პატრონისათვის; მაგრამ იმდენად სტუმართმოყვარენი ყოფილან **თარაქამები**, რომ კარში გამოსულმა მასპინძელმა, არც კი დაგვაცალა, გვეთხოვნა დამე დგომის ნება, თავდაბლა „თამანა“ მოგვცა და გვთხოვა ცხენებიდან ჩამოხდომა. გულახდილმა მასპინძელმა (საზაფხულო სახლში), რომელიც მთლად დაფენილი იყო გრძელ – გრძელის ნაბად – ქეჩით და თარაქამულის ხალიჩა – ფარდავით. ეს საფენები დაგებული იყო მიწის იატაკზედ, მხოლოდ ქვეშ თივა ეგოთ. ვახშამზედ, რომელიც ჩვენ გვქონდა თან წაღებული, მასპინძელმა თავის მხრივ დაგვიმატა თავიანთებული „საჯის“ ლავაში („საჯს“ დებენ ცეცხლზედ და ზედ ლავაშს აცხობენ); მოგვართვეს დოსა და კორკოტისაგან გაკეთებული შეჭამანდი, ერბოსაგან და კვერცხისაგან – პურის ხარშო. ლავაში მთლად ქერის ჯინჯილა იყო. ჩემს კითხვაზედ: – „ქერის პურს რადა სჭამთ“ – მეთქი, მასპინძელმა მიაჩნო, რომ: – „მომეტებულად ქერს ვსთესავთ, პურის თესვას ისე რიგად არ მივდევეთ; პურს თუმცა ვთესავთ, მაგრამ მაინც ისე რიგად, ხალისიანათ არა; ჩვენი ხელობა უფრო საქონლის მოშენებაა; მთები და საძოვარი ადგილები ბევრი გვაქვს, საქონელს ბევრს ვყიდით და ფულით ქერს ვყიდულობთ. ქერის პური თარაქამისათვის ერბოიან საჭმელში პირველია:

– უწინ, ვიდრე ამ მხარეს რუსი აიღებდა, ხშირად ვთარეშობდით სოფლებზედ, ვიტაცებდით იქიდან საქონელს და ამითი ძალიან კარგად ვცხოვრობდით; თუმცა ეხლა ქურდობას ვეღარ ვბედავთ, მაგრამ მაინც საქონლის მოშენებით საკმაო საზრდოს ვშოულობთო“.

მეორე დღით, 17 ივნისს, ჩვენ კვლავ გავუდექით გზას. ერთის ვერსტის გავლის შემდეგ შევედით სოფ. პატარა **ჯანბაზში** (დიდი ჯანბაზი ამ სოფელს ზემოთ, აღმოსავლეთის მხრივ მდებარეობს). ეს ორივე ჯანბაზები იმითი არიან შესანიშნავი, რომ აქ განთქმულს ყაჩაღებს **ქორ – ისმაილას, სამადა ტაშდამურაშვილს, მანსირას და მეჰრალის** თავიანთი ბრბო ყაჩაღებით ამ სოფლებში ჰქონდათ ხოლმე ბინადრობა იმ დრომდე, ვიდრე რუსი დაიპყრობდა ამ მხარეს. ეს რაინდები ხშირად გადმოდოდნენ ხოლმე უწინ **ახალქალაქის** მაზრაში და მუსრს ავლებდნენ და აწიოკებდნენ მცხოვრებლებს. ამასთანავე, რადგანაც **ქორ – ისმაილი** გადამტერებული იყო მაშინ **ყაზახ – ბორჩალოს** თათრებზედ, იგი თავისი ყაჩაღებით გადაითრეშებდა ხოლმე იქით, ბორჩალოს მაზრისკენ, იტაცებდა დიდძალ საქონელს და ცხენის ჯოგებს და მიერეკებოდა **ჩილდირისკენ** და **ყარს – არდაჰანის** პროვინციებისკენ. ქორ – ისმაილას ყაჩაღობის ამბავი ყველას თავზარსა სცემდა მაშინ.

**ბორჩალოს** თათრები რომ შეაწუხა და შეაწუხა ქორ – ისმაილამ, ხალხისგან საჩივარი ასტყდა; სჩიოდნენ ბორჩალოელი თათრები, რომ ქორ – ისმაილა ახალქალაქის მაზრაში იმალებოდა. ამის გამო, როგორც გავიგე, მაშინ, **1875** წელში, გაგზავნილი იყო ახალქალაქიდან პოლიციის მოხელე ა. **ბერიძე** ახალქალაქის მაზრის იმ სოფლებში, რომლებიც მდებარეობენ ჩილდირის მხარეს, რომ დაეზვერნა და შეეტყო, რომ მართლა ქორ – ისმაილა ახალქალაქის მაზრაში იმყოფება თუ არა. მაზრის სამმართველოს მოხელემ **ალექსი ბერიძემ** რომ შეიტყო, ახალქალაქის მაზრაში ქორ – ისმაილა არსად ბინადრობდა, რათა მთავრობა დაერწმუნებინა, რომ იგი რუსეთის სამფლობელოში – კი არა, არამედ ოსმალს მიწაში – **ჩილდირში** სცხოვრობს, როგორც გულადმა და

\*ა. ბერიძე შემდეგ ბოქაულად იყო კარგა ხანს მთიულეთში და ბოლოს ბორჩალოს.

გამოცდილმა პოლიციელმა, თან წაიყვანა ერთი ჩაფარი და ისე, კერძოთ, როგორც სტუმარი, ეწვია სოფელ **პატარა ჯანბაზში ქორ – ისმაილას**. ქორ – ისმაილამ **ბერიძე** მიიღო გულკეთილად, სტუმარ – მოყვარეობით და იმ ღამეს რიგიანი მასპინძლობაც გაუწია პურ – ღვინოთი (ღვინო – არაყს ქორ – ისმაილა კარგად ეტანებოდაო). მეორე დღეს ა. ბერიძეს ქორ – ისმაილამ სიტყვიერი პირობა მისცა, რომ **ჯავახეთს** აღარ გადმოითარებოდა. დაბრუნდა უკანვე ბერიძე და შეატყობინა მაზრის უფროსს, რომ ახალქალაქის მაზრაში ქორ – ისმაილა არსად არ იმყოფება, არამედ იგი ბინადრობს სოფ. **ჯანბაზში** თავისის აუარებელის ყაჩაღებით; დასასაბუთებლად ამისა, უამბო ყველას, როგორ ესტუმრა იგი ქორ – ისმაილას, როგორ მიიღო მან ის, როგორი ძალ – ღონით იყო აღჭურვილი და რა პირობა დაუდო.

პირაქეთა ჩილდირში შემდეგი სოფლებია: **ჩანდურა, ორი ჯანბაზლი, ყარა – ყარა, ცხვარა, ქოლასი, ბაშქევი, კოდამურა, ძინძალი, ფურუდი, ზურზუნა, ყორაველი** და სხვ. პირიქითაში: **ურთა, მერედისი, ფიქრაშენი, გარაშენი, ყამარვან, რაფათი, ალჯაყალა, ჭალა, ყიზილ – ვერანა, კაგაჩი, ირიშლი, ტაშ – ბაში, ტაშ – ქვეფრი, ტაშქევი** და სხ. – სიტყვა „ჩილდირი“ წარმოსდგება ჩრდილისაგან.

ს. **ჩანდურიდგან** დილით წასულები შუადღისას სოფ. **ალჯაყალაში** მოვედით. ეს სოფელი მდებარეობს ჩილდირის ტბის პირას. ამ სოფლის პირდაპირ შესდევს ნახევარკუნძული ტბაში. ნახევარკუნძული საკმაოდ დიდია, შიგ არის გავერანებული სოფელი ორის ნანგრევის საყდრით. საყდრების ერთ – ერთი უფრო რიგიანად და კარგად შენახულა. როგორც ამბობენ, ამ ადგილას ქალაქი ყოფილა. ქვებზედ ზედ – წარწერა არსად არა სჩანს.

სოფ. **ალჯა – ყალიდგან**, ორი ვერსის მანძილზედ, სამხრეთის მხარეს, ტბისვე ნაპირას მდებარეობს სოფ. **ჭალა**. ამ სოფლის შუაგულში აღშენებულია მშვენიერი ძველი საყდარი შავის თლილის ქვით. სიგრძე ექნება 12 – 15 ადლი და სიგანე 7 – 8. შიგნიდგან და გარედგან თალი გადაყვანილი აქვს თლილისავე შავის ქვებით. გარედგან და შიგნიდგან გამოქანდაკებული აქვს კედლები ტაძრის მსგავსად. თალი ზემოდგან, სიძველისა გამო, აქა – იქ გამსკდარა და ჩამონგრეულა. ფანჯრები რვა აქვს: ერთი აღმოსავლეთიდგან, ერთი დასავლეთიდგან, სამი ჩრდილოეთიდგან და სამი სამხრეთიდგან. ფანჯრების გარეთა პირს ჩარჩოების მაგივრობას უწევს ჩუქურთმით შემოხარატებული მშვენივრად გამოქანდაკებული ქვები. ეკლესიის კედლებზედ წარწერა არსად არა სჩანს, მაგრამ კედლებს, როგორც შიგნიდგან, ისრე გარედგან, ბევრი დიდრონი ნათალი ქვა აკლია. შეიძლებაწარწერა სადმე ჰქონდა, მაგრამ, რადგან ქვა ბევრი აკლია, როგორც ეტყობა, დაკარგულა.

ს. ჭალის თარაქამებს თავიანთი სალოცავი – მეჩეთი ზედ ამ ტაძრისთვის მიუდგამთ და მეჩეთი რომ პატარა აღმოჩენილა, საყდრის სამხრეთის კედელში კარი ამოულიათ და შეუერთებიათ მეჩეთისათვის; ასე რომ როდესაც მლოცავი **თათრები მეჩეთში არ ეტევიან, საყდარში სდგანან და ისე ლოცულობენ**. ტაძრის ყოველივე მოყვანილობა, ნაშენობა, სივრცე და სხვა გვიმტკიცებს, რომ ეს **საკრებულო ტაძარი ყოფილა და ერთ დროს ქართველთ სიცოცხლეს გაჩაღებით უდუღნია ამ სოფელში**, მაგრამ დროთა ბრუნვას ყოველივე აღმოუგვია, აუოხრებია და ნაცარ – მტვრად უქცევია.. თვით ამ სოფლის სახელი „**ჭალა**“ უხადად გვიმტკიცებს აქ ქართველის ერის ცხოვრებას...

ყველა სოფელი ჩილდირში ქართულ სახელწოდებით ყოფილა, მაგრამ, რადგან დიდხანს ეს ადგილები თათრის ხელში იყო და თათრებით დასახლებული, ზოგიერთი სოფლის სახელი თათრულად გადაუთარგმნიათ და დღემდე თათრული სახელი შერჩენია, როგორც მაგალითად: ქართველები ვემახით ჩილდირის სოფ. „**წითელი – ვერანა**“, თათრებს გადაუთარგმნიათ და უმა-

ხიან: „ყიზილ – ვერანა“; ქართველები ვეძახით: „სოფ. თეთრა – ციხე“, თათრები ეძახიან ამ სოფელს, „ად – ყალა“. ამ სოფელში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნახევარ კუნძულზედ ჩილდირის ტბისა არის აოხრებული სოფელი (თუ ქალაქი) ორის ნანგრევის საყდრით. შეიძლება ციხეც ჰქონიყოს, მაგრამ დღეს იგი არა სჩანს. როგორც ამბობენ, ჩილდირის ტბაში ისეთი ადგილებია, რომ შიგ ციხე – საყდარი ბევრია, მაგრამ წყალი აქვს ზემოდგან დაფარულიო).

17 – სვე ივნისს, ნაშუადღევს ორ საათზედ, სოფ. ჭალიდგან წამოსულეები მოვედით სოფ. „ტაშ – ბაშში“ (ქვისთავში) ოთხ საათზედ. ამ სოფელშიაც თარაქამები სცხოვრობენ. ეს სოფელი ტბაზედ რამდენისამე საყენით დაშორებულია. ჩილდირის ტბას ამ სოფელქვეშ ფეხი აქვს, ე.ი. ტბიდგან გადადის მოზრდილი მდინარე და მიდის ყარსის მხარეს, სამხრეთისკენ. სადაც ტბიდგან წყალი მდინარედ გამოდის, სწორედ იმ ადგილას, რომელზედაც ყარსისკენ გზა მიდის, გაკეთებულია ძველის – ძვლიდგანვე ქვის ხიდი. ამ ხიდს თათრები აწერენ ოსმალს, ე.ი. ამბობენ, რომ ოსმალს მთავრობას გაუკეთებიაო, მაგრამ სრული სიცრუე უნდა იყოს. ეს ხიდი უნდა ეკუთვნოდეს სწორედ იმ დროს, როდესაც ამ მხარეს უცხოვრიათ ქართველებს; ეს უფრო მტკიცდება იმ გარემოებიდგან, რომ ყოველივე ეკკლესიების კედლის ქვები და ქვები ამ ხიდისა ერთი და იმავე ქარხნისა უნდა იყოს და სიძველისა გამო ერთსა და იმავე დროს უნდა ეკუთვნოდენ. ეკკლესიებს და ამ ხიდს ზოგიეთნი აწერენ თამარის მეფობის დროს.

ჩილდირის ტბა დიდია; თითქმის ყველა პირიქითა ჩილდირის სოფლები ამ ტბის გარშემო მდებარეობს. ტბა ისე დიდია, რომ ზაფხულის დღეში ცხენიანი კაცი ძლივს შემოუვლის გარშემო. ტბის გარშემოს ზოგან მთა – გორა მოსდევს, ზოგან – ვაკე ჭალები, ზოგან ჭილნარი – ჭაობიანი ადგილები და ზოგან ქვიშიანი ნიადაგი. თევზაობა ამ ტბაში ეხლა გახშირებულია. ტბა სახელმწიფოა გარეშემო მდებარე მთებით, ჭალებით, სოფლებით და ამათის სახნავ – სათესის მიწებით. ტბა იჯარითაღებული აქვს გუმბრელ სომხებს წელიწადში 500 მანეთად. ამ მოიჯარადრეებს გამართული აქვთ ორი დიდი ნავი, ორი დიდი მოსაშვები ბადე, დაქირავებული ჰყავთ ათი – თორმეტი ბიჭი, რომლებიც ნავს ამუშავებენ ყოველ დღე და დიდძალ თევზეულობას იჭერენ. ამ ტბაში მოიპოვება თევზები: გოჭა, კალმახი, შავი – თევზი (ხრამული) და სხ. ტბაში ერთადერთი პაწია კუნძულია, რომელზედაც, როგორც გვიამბეს, ნასახლარ – კარევი და ნასაყდრალი ყოფილა. ტბის გარეშემო, როგორც ჩვენის თვალითაც ვნახეთ, ბევრი აოხრებული სოფელი და ნასაყდრალ – ნაკოშკარია...

გაზეთი „ივერია“, № 155, 1894 წ.

შენიშვნა: ვ. კოპტონაშვილი ხშირი სტუმარი იყო სტამბოლის ქართული სავანისა. ამიტომაც მისი სტატიის ტექსტიცა და გაზეთ „ივერიის“ ნომერიც იქვეა დაცული.

## იოლა (უცნობი ფსევდონიმი) არტაანი

ისტორიული საბუთები და თვით გადმოცემა ადგილობრივ ხალხისა ნათლად მოწმობს, რომ არამც თუ არტაანი, მთელი ყარსის ოლქი, უძველეს დროიდან, საქართველოს ნაწილები ყოფილა. ლეონტი მროველი (ცხოვრება მეფეთა) ასე განსაზღვრავს: „ფარავნიდან ვიდრე თავამდე მტკვრისა არს ჯავახეთი და კოლა-არტაანიო. ჯავახეთის სამხრეთით არს ქვეყანა არტაანისა „არტაჰანისა“. მდებარეობა არტაანს, როგორც დღეს, მტკვრის ორთავე ნაპირას ჰქონია. „მტკვარზე იდო თვით ქალაქი არტაჰანი, ქალაქი არტაანისა. სულა არტაანი კოლას საზღვრამდინო“ (ლ.მრ.) მტკვარს

სათავე კოლაში ჰქონდა, სადაც დღეს პატარა სამლოცველოც არის აშენებული **თამარ მეფის სახელობაზე**. **„გურგენ კუროპალატი** წამოვიდა ტაო – კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრებათ არტაანსაო და მიიღო საჩუქრად არტაანიო“.

ვახუშტის სიტყვით არტაანს საზღვრავდა: აღმოსავლეთით **მთა არტაანისი** და **ფოსის** შორისა, სამხრეთით **არტაანის** და **კოლას** შორისი, დასავლით **არსიანი** ან **ქვაყრილად** წოდებული და ჩრდილოეთით **ერუშეთის** მთა – მცირე (გგ'რფა 223 გ.). არტაანის ძველიდანვე ორ ნაწილად, აქეთ და იქით ქალაქად გაყოფაზედ ლეონტი მროველი სწერს: „ნაქალაქევისა, რომელსა ერქუა **ქაჯთა ქალაქი**, შეეგება **ფარნავაზ მეფეო**“. ეს **ნაქალაქევი** ჩრდილოეთ არტაანის ნაწილშია ქალაქ არტაანზედ 25 ვერსით მოშორებული და საკმაოდ შეძლებულ სოფელსაც წარმოადგენს.

**არტაანი** რუსთა მფლობელობის ხანაში, 1877 წლიდან, დაბად ქცეულა და ცოტად თუ ბევრად მალე ევროპიული სახეც მიუღია. მრავალი სახელმწიფო, კერძო შენობები ყოფილა გაშენებული. ომიანობით, საუბედუროდ, ქალაქი მრავალგზით აოხრებულა, მაგრამ თვით **ისტორიულ ბერძენთა მრისხანე ბასილ კეისარსაც** არ დაუწვავს და წაუბილწავს არტაანი, **1021 წელს** ისე, როგორც ადგილობრივ **თათართა და სომეხთა ჟლეტას ბოლო** მოუღია... თითქმის ყველა შენობები მიწასთან არის გასწორებული, პატრონები, სომეხები და ბერძნები, საზარელ ხოცვა – ჟლეტის დროს უმეტესად მსხვერპლად შესწირვიან ანდა გაქცეულნი აღარ ეძიებენ დაუბრუნდნენ დანგრეულ კერას აღსადგენად. შეუბრალებელ **ქურთ აბდულას** მესვეურობით ყელგამოჭრილ ქმრების დამნაზავ ცოლებს **ბავშვებიანად მტკვარში თავი დაუხრჩვიათ**.

მრავალ დროების მოწამე **მტკვარი** აქ კი მეტად დინჯი, მოწყენილია, მიმდინარეობას ვერც კი შეიტყობ, თითქოს საკმაო მსხვერპლის ჩანაყლაპის მონელება უძნელდებოდეს. **მტკვარს** ჩრდილოეთიდან ამაყად გადმოსცქერის ციხის ნანგრევი, საუცხოვო გალავნით, რომელსაც კუთხეებში ძველი ქართული წარწერა კიდევ შერჩენია. ბერძნებმა მიაშბეს:

– „ათი წლის წინად აქ ერთი თათარი ბოსელს აკეთებდა; მიწის თხრის დროს, **ქვეშ პატარა ეკლესია ნახა ჯვრებით და მეექვსე საუკუნის ქართული წარწერებით; ეკლესიაში იყო მოწყობილობა, ნაწვავი წიგნები და გამოხატულება სამებისა, რომელიც მაშინდელმა ოლქის უფროსმა ჩაიბარა და შემდეგ მისი ასავალ – დასავალი აღარ გაგვიგიაო**“.

ციხის გალავნის ახლოს, თანამემამულეთაგან ახლად ამართულია, **ციმბირელ ყაზახებთან 1914 წელს, არტაანში**, შეტაკების დროს დაღუპულ ოსმალთა ძეგლი.

მდ. მტკვარია საზღვარი ჩრდილოეთ და სამხრეთ არტაანის ოლქისა. სამხრეთ ნაწილს სომხები განაგებენ, ხოლო ჩრდილოეთი – ხალხის ნება – სურვილით ჩვენს წესიერ მართვა – გამგეობაშია. სამხრეთში არევ – დარევა ძლიერდება; თათრებს (მუსულმან ქართველებს) არა სწამთ სომხეთის მმართველობა და თავიანთვის არჩევენ საქმეებს; ამიტომაცაა ტალახი **აგვიშვრეს კარებზედ; მოდიან ხალხისაგან არჩეული წარჩინებული პირები და გვთხოვენ:**

„რას შვრებით, მოიღეთ სიკეთე, შეგვიერთეთ დროზედ მთელი ყარსის ოლქიო“.

ნათქვამია: „თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკი ვერას დაგაკლებსო“. ადგილობრივ მუსულმანთა ჩვენდამი დიდი სიმპატიური განწყობილებით აიხსნება, რომ ჩვენი გმირული ჯარი, მიუხედავად ზოგიერთთა შუამდგომლობისა, მიგვეტოვებინა არტაანი, მეათე თვეა მედგრად სდგას სამხრეთ არტაანის ნანგრევებზედ, რომელიც გურულ კლიმანჭულით სულთათანას უმღერის თავის დახოცილ წინაპარ გმირთა საფლავებს და „დიდების ჰიმნი“ ნელ – ნელა, სიამტკბილობით, აცილებს, უჯარო, აქ სრულიად უნიადაგო, გენერალ მმართველებს სამხრეთისკენ.

გაზეთი „სახალხო საქმე“, წ., № 703, 1919 წელი.

შენიშვნა: მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიც და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივსა და ბიბლიოთეკაში.

## არტაანის ბედი

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, სომხის ჯარმა ქ. არტაანი დაიჭირა და მთელ ოლქში სომხეთის მთავრობამ თავისი ადმინისტრაცია მოაწყო.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენმა მთავრობამ თავისი ჯარი ამ რაიონიდან გამოიწვია და ამ რიგად ეს ძირეული საქართველოს პროვინცია, რომელიც ცოტა ხანის წინად ქართველი მეომრების სისხლით იქნა მორწყული, თავის ჰინტერლანდს მოწყდა და იქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანობა ისევ ბედის ანაზარად დარჩა მიტოვებული.

ეს მოულოდნელი ცნობა უსათუოდ გააცემდა და თავზარს დასცემდა საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ერთგულ მოქალაქეს.

იკითხავთ: – რა მოხდა ისეთი, რომ ჩვენი მთავრობის ბრძანებით, ეს პროვინცია ჩვენმა ჯარმა უომრად დასტოვა. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ მყოფი ცნობები ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ იძლევა. მთავრობაც საზოგადოების ნერვიულ მდგომარეობას უთუოდ ანგარიშს არ უწევს და მომხდარ ამბებზე საჭირო განმარტებას არ იძლევა.

ამ სამიოდე თვის წინად ეს პროვინცია კიდევ არ იყო ჩვენს ხელში. იქ ოსმალეთის ემისრებმა და სომხის აგენტებმა ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ სამოქმედო ბაზა გაიჩინეს. ჩვენთვის მაშინაც აშკარა იყო ეს, მაგრამ ხმალი მათ წინააღმდეგ არ აგვიღია, რადგან ვფიქრობდით, რომ მოკავშირეთა სარდლობა, რომელიც აქ მოვიდა მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცავად, მიიღებდა ზომებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფარულ და აშკარა მტრების პროვოკაციისთვის ბოლო დაედვა.

სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა. მტერმა გადმოლახა ახალციხის საზღვრები და ჩვენს მშვიდობიანობას ემუქრებოდა.

მეტი ცდა აღარ შეგვეძლო და ჩვენმა ჯარმა იმავე მოკავშირეთა სარდლობასთან შეთანხმებით, ხმლის ძალით გასწმინდა ეს ადგილები უპასუხისმგებლო ბანდებისაგან და მშვიდობიანობას და წესიერებას დარაჯად ჩაუდგა ფოცხოვისა და არტაანის მხარეში.

**დღეს კი იდუმალი მოვლენის ძალით ეს ადგილები ჩვენგნით ბედის ანაზარად დატოვებულია.**

რა თქმა უნდა, რა გარემოებაც არ უნდა უძლოდეს წინ ამ მოვლენას, ჩვენ დაჯერებული ვართ, რომ სომხებისაგან არტაანის ოლქის დაჭერას დროებითი ხასიათი ექნება, ვინაიდან ქართველი ერი ვერ მოითმენს მისი კულტურის აკვანის ხანგრძლივად სხვის ხელში დარჩენას. ჩვენ დროებითაც შეუწყნარებლად მიგვაჩნია ბატონობდეს ამ ადგილებში ისეთი ძალა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი ვერ შეურიგდება მათ შორის არსებულ ანტაგონიზმის გამო.

არტაანი, არდანუჯი და ართვინი ის ძაფია, რომელიც აერთებს სამუსლიმანო საქართველოს ქალაქ ბათუმთან და ყოვლად შეუძლებელია, რომელიმე ამ პუნქტზე, თუ გინდ დროებით, დამკვიდრდეს ძალა, რომელიც გულით, თავის არსებით, მიმართულია სამაჰმადიანოს საქართველოს განთავისუფლებისა და აღორძინების წინააღმდეგ.

თუ თავის დროზე ჩვენს მოძმეს სათანადო მფარველობა ვერ გავუწიეთ და მათი მიწა – წყალი ჩვენი სახელმწიფოებრივი საზღვრით ვერ შემოვხაზეთ, ამაში ბრალი უმთავრესად ჩვენი ერის მესვეურთ უძევთ, ჩვენს მთავრობას.

წარსულში იყო ისეთი პირობები, როდესაც ამ საკითხს სრულებით დროულად და უმტკივნეულოდ ჩვენდა სასარგებლოდ გადავჭრიდით, მაგრამ ჩვენი მთავრობა ყველასთან „კეთილ მეზობლობის“ პრინციპზე იდგა და თავილობდა ეროვნული სხეულის შემოკრებას, დღეს ყველა



ვხედავთ, რომ ჩვენმა „მეზობელმა“ უდიერ სითამამით თავზე ფეხი დაგვადგა და ლამის არის „ნათხოვარი კანაფი“ ყელზემოგვიჭიროს.

ვამბობთ: **არტანის** საკითხი არ არის მისაფუჭეჩებელი და მეორე ხარისხის საკითხი და მოვითხოვთ მთავრობისაგან სრულ განმარტებას მომხდარ ამბებზე.

ამასთანავე, სამაჰმადიანო საქართველო ეროვნული შეგნებით უნდა შეხვდეს მომხდარ მოვლენას და თავისი სამართლიანი ინტერესების ერთგულ დამცველად უნდა დადგეს.

ტექსტი დაცულია სავანის არქივში. მისი ავტორი, როგორც ჩანს, **შალვა ვარდიძეა**, სავანის ერთ – ერთი მღვდელმთავარი.

გაზეთი „საქართველო“, თბათვის 6. №115, 1919 წ.

### **არტანის ლიკვიდაციისათვის**

**ახალციხის** მხარეში არ გვასვენებენ. ათიოდე დღის სიწყნარის შემდეგ **ფოცხოვის** რაიონიდან აპრილის ოთხს კვლავ შემოგვიტყეს და დაიჭირეს ახალციხის მაზრის რამოდენიმე სოფელი. ჩვენი ჯარი იძულებული იყო სამხედრო მოქმედება გაეშალა. აპრილის ექვსს მოწინააღმდეგეს მიაწვა, დაატოვებინა რამოდენიმე სოფელი და 60 კაცი დაუტყვევა, აპრილის შვიდს სოფელ **ენიკევის** რაიონში მტერს სამი ზარბაზანი წაართვა, ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. ასეთია მოკლე რელაცია ახალციხის რაზმის უფროსის, **გენერალ კვინიტაძისა**.

ამგვარად, ახალციხის ფრონტი გაცხოველდა. გაზაფხულზე თარეში გაადვილდა და არტანის მხარიდან მუდმივი თავდასხმა მოგველის. საქართველოს მთავრობა იძულებულია ახალციხის მაზრაში თავმოყრილი ჯარი იყოლიოს, რომ საპასუხო სამხედრო მოქმედება არ დაუგვიანდეს. ასეთ პირობებში ინიციატივა ყოველთვის არტანის ასკერებსა და მოთარეშე ბანდებს რჩება. საქართველომ კი თავმოყრილი ჯარი გამუდმებით საომარ მდგომარეობაში უნდა იყოლიოს და პასიურ თავდაცვისა და მოგერიების გზაზე იდგეს. ასეთი გარემოება, ჯერ ერთი, აუარებელ ხარჯებს მოითხოვს და მეორე, ძალზედ გვიმცირებს სხვა ფრონტებზე თავისუფლად მოსახმარ ჯარის კონტიგენტს.

საერთოდ კი, მეტად შეუფერებელ ატმოსფეროსა ჰქმნის სახელმწიფოს ცხოვრებისათვის.

ქართველი საზოგადოების პსიხოლოგიური ნერვიულობა და სულიერი მღელვარება ამ საგანზედ მით უფრო ბუნებრივია, რომ საქართველოს დღემდე ხელფეხი შეკრული აქვს, რომ არტანის მოთარეშე და მოუსვენარი ბანდები ერთხელ და სამუდამოდ ალაგმოს. **სამისო ფიზიკური ძალა შეგვწევს. საჭიროა მხოლოდ ჩვენს ჯარს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცეს**, რომ არტანში წესიერება დამყარდეს და მთელს სამხრეთ – დასავლეთ მხარეში ანარქია და შეიარაღებული თავდასხმა აღიკვეთოს. ეს კი დღემდე შეუძლებელი გამხდარა. სანამ ასე გაგრძელდება, სამხრეთიდან საქართველოს მოსვენება არ მიეცემა და ყოველი ჩვენი საერთაშორისო გართულება ყოველთვის დიდის ოსტატობით იქნება გამოყენებული „სამხრეთ – დასავლეთის ახალი სახელმწიფოს მიერ“.

ასეთი ნორმალური ვითარება შედეგია იმ გარემოების, რომ არტანი ფაქტიურად თავის პოლიტიკას თვით აწარმოებს, ხოლო იურიდიულად იგი **ინგლისის გავლენის ზონაშია მოქცეული**. ფაქტიური როლი და იურიდიული უფლებრივობა და პასუხისმგებლობა აქ დაშორებულია ერთმანეთზე.

ახალციხეში დამარცხებულ „არტაანის ჯარს“ თვით არტაანის ოლქში ვერ შევზდევთ, რადგან ამითვე ინგლისის უფლებრივ გავლენის ზონას შევცებოდით და ეს კი უსიამოვნებას გამოიწვევდა.

ასეთ პირობებში „არტაანის მთავრობას“ ყოველთვის შეეძლება ახალ – ახალი ბანდები შეადგინოს და საქართველოზე განუწყვეტლივი თავდასხმა აწარმოოს.

ამკარაა, საჭიროა ფიქრი იმაზე, თუ რა გზით შეიძლება „არტაანის ჯარის“ თარემის და ავანტიურის ლიკვიდაცია. ან ინგლისის სარდლობამ საკუთარის ძალით არტაანის ოლქში წესიერება უნდა დაამკვიდროს და შეუძლებელი გაჰხადოს „არტაანის ჯარის“ მობილიზაცია, ანდა საქართველოს ჯარს უნდა მიეცეს ამის უფლება.

მოკლეთ, ინგლისმა არტაანში თავის დროებით უფლებრივ ბატონობას, ფაქტიური ბატონობა უნდა შეუკავშიროს, ან ჩვენ დაგვაყენოს პირისპირ „არტაანის ჯართან და მთავრობასთან“.

დღეს არსებული ვითარების გაგრძელება შეუწყნარებელია, თუ არ გვსურს მუდმივი ანარქია და სისხლის ღვრა.

ტექსტის ავტორი, ცხადია, რომელიმე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც სტუმრად იმყოფება სავანეში და სწორ დასკვნებს აკეთებს. ხელნაწერი, მანქანაზე ნაბეჭდი და გაზეთის ნომერიც დაცულია სავანის არქივსა და ბიბლიოთეკაში.

გაზეთი „ახალი საქართველო“, 1919 წ., №79. გვ. 1. 10 აპრილი

**ობოლი მგზავრი**  
**(ხარიტონ ვარდოშვილი)**  
**მესხეთ – ჯავახეთში მგზავრის დღიურიდან**  
**2 ივლისი**

ლამაზი მთავრებილები ძველი მესხეთისა, და თოვლით მოსილი მთის კორტოხები არტაან – ფოცხოვისა, მიმზიდველი ხეობები ჯავახეთისა ნისლით დაბურულიყო და მგზავრის წინაშე აღარ იშლებოდა ის მშვენიერი სანახაობანი, როგორც ეს მზიან და მოწმენდილ დღეებს სჩვევიათ.

ვისაც წინეთ უმოგზავრია ამ მხარეში, ის ახლა დიდ განსხვავებას ხედავს და ჩვენ ვგრძნობდით იმ განცდილ დღეების დაუნდობელ სიმუხთლეს, რომელიც ცხოვრების დროთა ბრუნვამ თავს დაატება ისტორიულათ წამებულ კუთხეს.

ერთი და იგივე ჩივილი, ერთი და იგივე კვნესა – მუდარა გვესმოდა და გვესმის განწირულთა მხარეში.

გუშინ, გუშინწინ ბევრი რამ ვნახეთ, მოვისმინეთ, გავიგონეთ. ხან დაღონებას ეძლევი, ხან ცრემლები გეწვევა, ხან იმედიანობის სხივებიც გადმოგვხედავს.

ძნელია განწირულთა მხარეში ნახულის გადაცემა სხვებისათვის. მგზავრის სულიერი ტანჯვა, სულიერი დასჯა.

შუადღე იყო, როცა ჩვენთან ცხრა მაჰმადიანი შემოვიდა. ამათში ორი ახალგაზრდა იყო. სამი, ასე 65 – 75 წლის მოხუცი, დანარჩენნი საშუალო წლოვანების, ჭაღარანი. მათ სახეებზე ღიმილი არ ჰქრთოდა. დაღონებულნი იყვნენ და ყველას ეტყობოდა ცხოვრებისადმი უკმაყოფილება.

ისინი ჩვეულებრივი სიდინჯით მოგვესალმენ.

– სადაური ხართ თქვენ? – შევეკითხეთ.

– ჩილდარის საზოგადოებისა, – გვიპასუხა მოხუცმა მაჰმადიანმა.

- ახალციხის მაზრიდან?
- არა, არტაანის ოლქიდან, ზურზუნას „უჩასტიკიდან“.
- რა გვარი ბრძანდებით?
- ამიდ ფ – ოლლი, – მოგვცა ყველაზე უხნესმა პასუხი.

სულ ყველამ თავიანთი სახელი და გვარი სთქვეს და თან პირადობის დოკუმენტები გვიჩვენეს.

- რისთვის მოხველით, რა გაწუხებთ? – შევეკითხეთ.

მათ მოსვლის მიზეზი დაგვისახელეს. ჩვენ ზომების მიღება აღვუთქვით.

- რა ამბავია თქვენს სოფლებში? – დავუწყე ცოტა ხნის შემდეგ გამოკითხვა.

– სოფლებში ეხლა სიწყნარეა, მშვიდობიანობაა, – მიპასუხა მოხუცმა, და განაგრძო, – სოფლებში სიწყნარეა, მაგრამ სოფლებს გარეთ კი გასვლა შეუძლებელია, არტაანის ტყეებში, ხანახში, ურში, ტიკანში ყაჩაღები ჯგუფ – ჯგუფათ იმყოფებიან, თუ ვინმეს გაუცდა ფეხი, გაძარცვავენ და მოჰკლავენ. მგზავრობა მთებში და ტყეებში შეუძლებელია.

- ადმინისტრაცია, მცველები არა გყავთ?

- ადმინისტრაცია არ ყოფილა, არც ეხლა არის. მცველები და პატრონი არავინაა.

- არდაგანის მთავრობა ყურადღებას არ გაქცევთ?

– **არდაგანის მთავრობა** ჩვენ არ ვიცით. არდაგანს მოვშორდით. პურს და სურსათს მოითხოვენ იქიდან.

- როგორ მოშორდით არდაგანის მთავრობას?

- იქ აღარაფერი საქმე არა გვაქვს, ჩვენი მთავრობა აღარ არის.

- როგორ, არდაგანში მთავრობა აღარ არის?

– არის, მაგრამ **სომხების მთავრობაა**. ჩვენ რა საქმე გვაქვს მათთან? – არაფერი! ჩვენს ხალხს არ უნდა ასეთი მთავრობა და არც ცნობენ მას. ერთხანს ვიცდით და მერე ჰალახის საქმეა.

- კარგი, მარა რა ამბებია ეხლა არდაგანში?

- ხმები მოდის, ცუდი ამბებიაო.

- თქვენ არ დადიხართ არტაანში?

– ჩვენ კი არა, არც ერთ სოფლებიდან აღარ დადიან. ხალხმა შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი არდაგანთან მას შემდეგ, რაც იქ სომხების მთავრობა შემოიღეს.

- რა არის მიზეზი?

– მიზეზი ისაა, რომ ჩვენს ხალხს არ უნდა **სომხეთის მთავრობა**. ჩვენი ხალხი ამას ვერ შეურიგდება და კიდევ მოშორდა არტაანს. ჩვენს ქვეყანაში სხვების ჩამოსვლა ჩვენი ზნე – ჩვეულების შელახვაა და კიდევ ისეთი ხალხის გაბატონება, რომელიც **ყოველ დროს მტერი იყო ჩვენი**.

- სოფლებში დადიან ეხლა მოქადაგეები?

- აღარავინ დადის. ჩვენი ხალხი – კი ნაკლებ აქცევს ყურადღებას ყოველგვარ მოქადაგეს.

ჩვენ, ბატონო, არც **ახალციხის** თავდასხმაში მიგვიღია მონაწილეობა, არც წინეთ **არდაგანის** აჯანყებაში.

- ეხლა რას ფიქრობს ხალხი?

- ხალხი დაღონებულია. **ოსმალეთის მთავრობამ, როცა აქ იყო, რუსის მთავრობაზე უარესი**

**დღე დააყენა**. ამ ბოლო დროს სულ აირია საქმე, აღარც მთავრობა გვყავს და აღარც გამკითხავი. მოსავალიც ნაკლები არის. გასულ წელს ოსმალებმა წაიღეს, თუ რაც გვებადა და დღეს სომხები აპირებენ წართმევას. **ჩვენ ახლა ვეძებთ სამართლიანობას და გვინდა გავიგოთ, სად ვიშოვნით მას.**

- თქვენი ხალხი რას ფიქრობს **საქართველოზე**?

– ჩვენს ხალხში დიდი მითქმა – მოთქმაა და წუხილი, რომ საქართველო დაგვშორდა. ყველა იმას ამბობს, რომ ფუხარა (ღარიბი) ხალხის დამცველი მთავრობა ჰყავს საქართველოს, საქართველოს ხალხი კარგ პირობებშია და ჩვენ დაგვაღალეს ჩვენი წყურვილი გადავცეთ ყველას, თუ კი გვიშველიან. ჩვენთვის ორ ხალხს გარდა მიუღებელია...

ისინი ჩაფიქრდნენ.

– თქვენებური ბეგები რას ჩადიან? – ცოტა ხნის შემდეგ შევეკითხეთ.

– ხშირათ შემოდისდნენ, გვავიწროვებდნენ, ცხენებს იტაცებდნენ. ამ ბოლო დროს კი იკლო მათმა მოქმედებამ.

– არტაანში არ წახვალთ?

– აღარა, – თითქმის ყველამ ასეთი სიტყვა წარმოსთქვა. ჩვენ მოწყენილი შემოგვხედეს და მათმა სიტყვებმა ჩვენც გაგვაჩერა.

ეს მდუმარება იყო, რაღაცა გამოურკვეველი, სულიერი განცდის წუთები.

სადამოს უფრო მოეწყინა. ნელი ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა. ცივი ნიავი ჰქროდა და ჩვენ კი ადიგენისაკენ მივდიოდით.

გაზეთი „ერთობა“, 1919 წ. № 150.

**ობოლი მგზავრი  
(ხარითონ ვარდოშვილი)  
მესხეთ – ჯავახეთში მგზავრის დღიურიდან  
4 აგვისტო**

დილით მდ. მტკვრის ხეობებით ჯავახეთის შუა გულისაკენ გავწიეთ. ჩვენს ყურადღებას იქცევდა გზაში ტიტველი მთები, პიტალო კლდეები, სახლისოდენა ნატეხი ქვები და აქა – იქ გაბნეული ღარიბული სოფლები მესხეთ – ჯავახეთისა.

დღე მოწმენდილი იყო, ბუნება მშვიდად გამოიყურებოდა. ჩვენს წინაშე იშლებოდა მესხეთ – ჯავახეთის მშვენიერი მხარე და ხშირად პოეტური გატაცებაც გვატყვევებდა. მშვენიერი მხარე მდიდარი თვისი უხვი სანახაობით, ადამიანის ყურადღების გამტაცებელი, თუმცა მაინც დაფიქრებას, მწუხარებას იწვევდა ჩვენში, რადგანაც ომისაგან განადგურებული, პარტახათ ქცეული სოფლები, სისხლით მორწყული მინდორ – ველები და შიმშილ – ტანჯვისაგან დაქანცული, დაღონებული ხალხი მგზავრს უსპობდა ბუნების თავაზიანობით დატკობის საშუალებას. მნახველს მწვავე ფიქრების მორევში ხვევდა... იქ, სადაც ბუნების უზენაესობას თავისი ნაზი ფრთა გაუშლია, იქ, სადაც ამ ქვეყნიური სილამაზე ბუნების შემოქმედებისა უსაზღვროთ გადაშლილა, იქ ყველაფერი მოწამლულა. იქ, ხანგრძლივ საუკუნოების განმავლობაში ხალხი წამებულა, იქ ყველაფერი ხალხისათვის ჯოჯოხეთად გადაქცეულა...

ჩვენ გავიარეთ 30 ვერსი, გავშორდით სოფ. რუსთავს, იდუმალას ასპინძისას და პატარა მდინარის პირათ დავისვენეთ.

იქ რამდენიმე სოფლელი მგზავრები იყვნენ. მგზავრებში მოხუცი და ახალგაზრდა დედაკაცებიც ერივნენ. მათ ტანთ ძველი ძონძები ეცვათ, და სახეზე მწუხარება ეტყობოდათ.

– საით მიდიხართ, მეგობრებო? – შევეკითხა ერთი ჩვენი თანამგზავრი.

– არ ვიცით... – მისცა პასუხად ერთმა ჭალარამ.

– როგორ არ იცით?

- მივდივართ და არ ვიცით, ძმაო, საით, ისე კი იქით, სადაც თავს შევაფარებთ.
- როგორ თუ თავს შევაფარებთ? განა თქვენ ლტოლვილები ხართ?
- არა, ლტოლვილები არ ვართ, მაგრამ აღარც სოფლებში დარჩენა შეიძლება.
- სადაურები ხართ?
- ჯავახელები.
- რისთვის არ შეიძლება დარჩენა სოფლებში?

- სოფლებში გაჭირვებაა. ხალხი სიმშლით იხოცება. არავითარი სახსარი აღარ გვაქვს. მოტანილი სიმინდი რაღაც გირვანქობით შეგვხვდა. ახალი მოსავალი სრულიათ წახდა და რაღაც დაგვრჩენოდა, გარდა წასვლისა და მივდივართ საქართველოში, შეიძლება თავი შევაფაროთ სადმე, სამუშაო ვიშოვოთ.

- ეს საერთო მოვლენაა თქვენში, თუ ზოგიერთი სოფლების ხვედრია?

- თითქმის საერთო მოვლენაა. გასულ წელს ჩვენი ხალხი ტყვეობაში იყო. ბევრნი გაიხვეწნენ ტყეებში და მთებში, სადაც უპატრონოთ იხოცებოდნენ. აქ ვინც დარჩა, ნახევარი არ გადარჩენილა. ეს აუარებელი მინდორ – ველები დაუმუშავებელი დარჩა, ან კი ვინ დასთესდა!.. ხალხი აღარ იყო. **ცოცხალი თითქმის ნახევარი არ გადარჩენილა. თუ ვინმეს რამე ებადა, წართვეს; ბევრი დაარბიეს და გადასწვეს.** ვინც დარჩა, იმათი სიცოცხლე რაღაც სიცოცხლეა, ბალახებს გლეჯენ, ხარშავენ და მით იკვებებიან... სოფლებში საშინელი სენია მოდებული, იხოცებიან, ექიმი, ან წამალი არ არის. ქართველებზე მეტ გასაჭირში სომხის ხალხია... სოფლებში ბავშვები შიმშილის გამო ყველგან სტირიან...

მათ ბევრი სამწუხრო მოგვითხრეს. მათი გულამოსკვნილი წუხილი აშკარათ ადასტურებდა ხალხის გაჭირვებას, უბედურებას.

მამაკაცებს შერცხვათ, მაგრამ ქალებმა ტირილით მოგვმართეს და ფული გვთხოვეს.

ჩვენ დაფიქრებული შევუდექით მოგზაურობას... ვხედავთ გაჭირვებულ ხალხს და გამოსავალი კი არ არის. გვინდა დავსძლიოთ მწვავე სურათებს, მაგრამ ის ისე ძლიერია თავის სინამდვილით, რომ ჩვენს ყოველგვარ გატაცებას ბოლოს უღებს.

ჩვენ დავუახლოვდით **ხერთვისის** ხეობას. ხერთვისი ისტორიული ადგილია. მესხეთ – ჯავახეთის ძველი თავშესაფარია, სტრატეგიული ციხესიმაგრეა, ახალციხე – ახალქალაქ – არტაანის **გასაღები მეთვალყურეა** თავის მდებარეობით; ბუნებრივი მორთულობით ნამდვილი სადარაჯო მხარე, საომარი კუთხეა. რამდენჯერაც უნდა ნახო ხერთვისი, მისი ნახვით ვერ გაძლები, მისი მზერით ვერ დასტკებები.

ხერთვისის მშვენიერი ხეობის აღწერა მწერალის და მხატვარის საქმეა. როდესაც მგზავრი უახლოვდება ხეობას, წინ იშლება ხეობების თავყრილობა, ხერთვისი კი ხეობების შუა გულია. ერთი ხეობა მიდის ჯავახეთისაკენ, რომელსაც მისდევს ჯავახეთის მდინარე, მეორე – **არტაანისაკენ** მდინარე **მტკვარით**; მესამე – **მესხეთისაკენ**. ხეობებს მისდევს მაღალი მთები. მხოლოდ შიგ **ხერთვისში**, ხეობების შესაყართან, აშენებულია მეთორმეტე საუკუნის დროინდელი დიდი და ისტორიული ციხე – სიმაგრე, რომელიც საუცხოვო ადგილას არის; თავისებური სილამაზე აქვს გვირაბებს, რომლებიც მიდიან მდინარეებში და სოფლებში.

მდინარის ნაპირათ, ხეობების კალთებზე და ციხის ირგვლივ გაშენებულია სოფლები, სადაც **ქართველი მუსლიმანები** ცხოვრობენ. სოფლები ევროპულ ბალებს მოგაგონებს. ყველა ეზოები ხეხილებით არის გაშენებული. იშვიათათ შეხვდები მესხეთ – ჯავახეთში ასეთ გაშენებულს და ლამაზს სოფლებს. ირგვლივ ტიტველი, მდუმარებით მოცული ჩაფიქრებული ქედებია; ორივე მხრიდან ხეობებით **მოცქრიალე მდინარე**, შუაზე ისტორიული ამბების მოწამე ძველი ციხე და

ძირს სოფლები ხეხილებით და ლამაზი ბუჩქებით მოქარგულა. ასეთი არის ხერთვისის ხეობა, რომლის ნახვა წარსულსაც მოგაგონებს, სადაც ქართველ მხედრებს სისხლი დაუღვრიათ, სადაც ათასობით ქართველები, ოსმალოები და რუსები სიცოცხლეს გამოსთხოვებიან ძველათ. ახლო წარსულიც დაგაფიქრებს, რადგან ამ ხეობაში ეს ორი წელია უმანკო სისხლი იღვრება და ვინ იცის, რამდენი თანამედროვე მებრძოლი აქ დაღუპულა...

ხერთვისში ცოტა ხანი დავრჩით. ხერთვისელებმა გვიამბეს მათი ავ – კარგი მოკლეთ და აღნიშნეს ზოგიერთი ის უწესობანი, რომლებსაც ადგილი აქვს ადმინისტრაციაში, მოსაზღვრე სადარაჯოებში.

ხერთვისიდან ახალქალაქისაკენ გავსწიეთ. საღამო მოახლოვდა და მთის ცივმა ნიავმა შემოჰკრა. დაბინდებისას ახალქალაქზე 13 ვერსის მოშორებით ჩვენ მდინარიდან ყვირილი შემოგვესმა:

– ოქნირ!... ოქნეცე!... აზატეცე! – ჩვენ მდინარისაკენ სასწრაფოთ მივიხედეთ და მდინარის პირათ ასე 11 წლის ახალგაზრდა ქალი ტანზე შემოფლეთილი ჰკიოდა და ხელებით გვევედრებოდა.

– ოქნეცე!... აზატეცე!...

ჩვენმა თანამგზავრმა ამხ. სომეხმა გაიგო მისი მუდარა. მდინარე ადიდებული იყო. შუა მდინარეში დიდ ქვის ნატეხზე ხელებჩაჭედილი 8 წლის ტიტველი ბავშვი მოსჩანდა. იგი საჩქაროთ გამოვიყვანეთ. ორივენი ყვიროდენ, კანკალებდენ, სტიროდენ...

მათის გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ ისინი ლტოლვილთა ობლები ყოფილან. გაუგზავნიათ ახალციხეში, ობოლთა თავშესაფარში, გაუგზავნიათ, მაგრამ (უპატრონონი ოთხნი ყოფილან) მდინარეში გასვლისას ორი წაუღია მდინარეს, ორი კი გადარჩა. დამღრჩვალი ბავშვები ერთხანს ვეძებეთ, მაგრამ ამაოთ. მდინარე აზვირთებული და მღვრივე იყო და ვინ იცის, საით გაიტაცა.

ისინი ჩვენ წავიყვანეთ.

დაღამდა. სანახევროთ ღრუბლებისაგან გასუდრულმა მთვარემ ჯავახეთის მოწყენილ მთებს გამოხედა.

ჩვენ მიუვახლოვდით ახალქალაქს. წინ გადაიშალა ნანგრევებათ ქცეული, გადამწვარი ქალაქი, ოდესღაც მიმზიდველი, სიცოცხლით სავსე და დღეს გულსაკლავათ გაპარტახებული.

ღამე ცივი იყო. გავერანებულ მიდამოს თავს თოვლისაგან აჭრელებული აბულის მთა დასცქეროდა...

გაზეთი „ერთობა“, 1919, № 203.

**ობოლი მგზავრი  
(ხარითონ ვარდოშვილი)  
მესხეთ – ჯავახეთში მგზავრის დღიურიდან  
5 აგვისტო**

- როგორ ცხოვრობთ ჯავახეთში? – შევეკითხეთ ერთ სოფელს სომეხს.
- ცუდათ, ბატონო. – გვიპასუხა და მომიხრო შიმშილ – გაჭირვების ამბავი.
- დახმარებას არაფერს გიწვევენ?
- არაფერს. წინეთ მოიტანეს თეთრი პურის ფქვილი, მაგრამ თითოს ორი გირვანქა შეგვხვდა, აბა, ეს რას გვიზამდა. ისე კი, დიდი ხანია გვპირდებიან და არაფერი ეშველა.
- როგორ? ვინ გპირდებოდათ?

– ყველნი. **ერევნიდანაც** დადიოდენ. **ინგლისელები**, ხან **ამერიკელები** და ხალხი ლოდინში დაილუპა და არსით არაფერი სჩანს.

– სიმინდი არ მიგილიათ?

– ამ ბოლო დროს მოაქვთ **ბორჯომიდან**, მაგრამ ამოდენა ხალხს რას უშველის...

– რას ფიქრობთ ეხლა?

– რაღას უნდა ვფიქრობდე. **ჩვენ ყველამ მოგვატყუა. ყველამ გასაჭირში ჩაგვაგდო.** ამბობდენ, აი, **ფრანგები** გიშველებენ, აი, **ინგლისელები**, აი, **ამერიკელებიო**, მაგრამ ამ ცდაში **სული ამოგვხდა** და ეხლაც ყოველივე იმედი გაგვიცრუვდა. ხალხს ყვერაფრის ნდობა დაეკარგა და უიმედობით არის შეპყრობილი. იმდენი ტანჯვა გამოვიარეთ, **ცეცხლში ჩაგვაგდეს ჩვენმა მეთაურებმა და ეხლა უპატრონოთ ვიმყოფებით.**

– ვინ, რომელმა მეთაურებმა?

– ჩვენმა, ბატონო, სომხის ხალხის მეთაურებმა.

– ეხლა რას შვრებინ?

– ამდენ ხანს წყნარათ იყვენ და ეხლა ალაპარაკდენ.

– არ ვიცი, რაშია საქმე. რა მოგველის.

– კი, სიცოცხლე მოგვბეზრდა.

– ეხლა რისთვის ალაპარაკდენ?

– რაღაც არჩევნები იწყება და ამბობენ, არჩევნები არ გვინდაო. ზოგი კი ისევ იმასვე იძახის, არჩევნები იქნება და ჩვენ მოგვეცით ხმაო.

– თქვენ რას ფიქრობთ.

– ბევრჯელ გვქონდა არჩევნები და რა გამოვიდა მისგან. ჩვენ პატრონი გვინდა. ეხლა, მომვლელი, დამხმარე...

– რომელი ნომერია თქვენი მეთაურების?

– რა მოგახსენო. წინეთ სულ მეოთხე ნომერს მიგვაცემიეს ხმა. ყველაფერს გვპირდებოდენ, მაგრამ დანგრევის მეტი არაფერი არ მიგვიღია. ყველანი ჩვენ გადაგვეკიდა და მტრების მეტი აღარავინ გვყავს. ეხლა რაღა გვენდომება.

– მაშ, არც ერთი ნომერი აღარ გინდათ?

– ხალხში ნამეტარი არეულობაა. ნომრების ხმასაც ვერ გაიგონებდით, მაგრამ ეს ხანია გამოჩნდენ მოქადაგენი და გვიხარიან.

– რომელი მოქადაგენი.

– პირველი ნომრის.

– მეოთხე ნომრის არა?

– მეოთხე ნომრის აქვე არიან.

– ვინ?

– ტერტერები.

– მათ გავლენა აქვთ?

– ზოგან ისევე. ზოგან სრულიათ დაჰკარგეს ნდობა. ზოგიერთი სოფლელები გაიძახიან, – ღმერთი რომ მოგვევლინოს, აწ მეოთხე ნომერი აღარ გვინდაო.

– საერთოდ რას ფიქრობს ხალხი დღეის მდგომარეობაზე, საზოგადო ამებზე?

– რა უნდა ვიფიქროთ. ან რა ვიცით. წლები ისე გაივლის, რომ ახალი არაფერი ისმის. ისე კი, **დამონებულია ხალხი და თავის გადარჩენაზე ფიქრობს.**

– ეხლა ხომ არ გაწუხებენ?

– როგორც წინეთ, ისე არა, მაგრამ უწყესობას ბოლო მაინც არ მოელო. ზოგიერთი მოხელეები ვერ იქცევიან კარგათ, მაგრამ წინანდელზე ეხლა უკეთესია ცხოვრება, უფრო წესრიგია, მხოლოდ სიმშვილი ძალიან გვაწუხებს.

– რომელი მოხელე, ან როგორ იქცევიან?

– ზოგიერთ ცუდ მოვლენას აქვს ადგილი, ბატონო. მაგ., მთებში მეჯოგეები ჩვენ გვავეწრო-ვებენ, გვეუბნებიან საქართველოდან უნდა გაგდევნოთო. ჩვენ რა დავაშავეთ?

ვინც მეთაურებია, ხან აქეთ მორბიან და ხან ვინ იცის, სად. ხშირად სიკვდილით გვემუქრებიან. **ჩვენ აქ დავიზადეთ, აქ აღვიზარდეთ და აქ არის ჩვენი სამშობლო. ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ საქართველოში. საქართველომ უნდა შეგვიფაროს.**

გაზეთი „ერთობა“, №204, 1919 წელი.

### **მემედ-ბეგ აბაშიძე შური იძიეს**

გული დაგწყვიტა ყველას ჩვენი დიდი მამულიშვილის, ქართველი ერის დიდი მეთაურის ბ – ნ ნოე ჟორდანიას 12 წლის უმანკო შვილის წუთისოფლიდან გამოსალმებამ. მეტადრე ისინი, ვისაც ბედმა გვარგუნა ასეთი უბედურება, ვისაც გვიცდია, თუ რა არის დაკარგვა შვილისა, ვულკანის კოცონის სისასტიკეს ვგრძნობდით და ვიწოდით. მაგრამ **სამშობლოსა და ერის საკითხი**, რომელიც ჩვენს წინაშე არის დასმული, იძულებულს გვხდოდა მიგვემართა დადაგულ ნოესათვის:

– „ქართველი ერის მოძღვარო! გაუმკლავდი ამ აუნაზღაურებელ უბედურებას, მოიკრიბე ძალღონე, შემოინახე თავი და შეიბრალე ქართველი ერი, განსაკუთრებით **სამუსლიმანო საქართველო**, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო მოწყვეტილი იყო თავის დედა საქართველოს და რომლის ისტორია აღსავსეა მრავლის უბედურობით და უკუღმართობით. მიაქციე შენი მშობლიური მხნე ყურადღება მათ, რომელთაც მხოლოდ **ახლა იგრძნეს თავისი ვინაობა და რომლებიც თვალცრემლიანი შემოგცქერიან და შენგან მოელიან ისტორიულ ძმობის აღდგენას**“.

აი, ამ დროს, როცა გულდათუთქულნი ვგლოვობდით ბ – ნ ნოეს ვაჟს, სწორედ ასეთ სულიერ განცდა – განწყობილებაში მყოფს მატყობინებენ ჩემი მეგობრები: – „სოფელ **დიგურში** მოჰკლეს შენი სიძე და მისი ერთადერთი ვაჟიშვილი საქართველოს მტრებმა, და მით მოსპეს **საქართველოს ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის ოჯახი**, სისხლის ცრემლებით გელოდება შენი უბედური დაიო და სხ.“

თავზარი დამცა ამ უბედურებამაც, დამიწყლულა დალაზხვრული გული, გონება და დამიკარგა ისედაც უიმედოს ნუგეში.

შავ ფიქრებით გატაცებული დავადექ გზას. გავცილდი ბორჯომის ხეობას და ნელ – ნელა ვუახლოვდებოდი იმ სოფლებს, რომლებსაც ბედმა არგუნა გაქცეულიყვენ ბრძოლის ველიდან. **ოჰს თავისი სისასტიკე ამ სოფლებშიაც გამოეჩინა და თავისი უღმობელი დაღი დაესვა. რა საზარელი რამ არის ომი!... ომი... დიახ, ომი. ის ვერ ახერხებს გაარჩიოს ომის ოპერაციის დროს, ვინ არის მოხუცი, ვინ ქალია, ვინ ბავშვი, ვინ მართალია და ვინ მტყუანი**, რადგან მთელი მისი ყურადღება არის მიპყრობილი მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგისაკენ. ორცეცხლს შუა მომწყვდეულ ხალხზე ის ვერ ზრუნავს და ამრიგად, უდანაშაულო ხალხი საზარელი ომის



მსხვერპლათ ხდება, **ნადგურდება საუკუნოების განმავლობაში შექმნილი დოვლათი, შექმნილი კულტურა.**

ომის მიერ მოყენებულ ამ საზარელ სურათებსაც გავცილდი. ავტომობილმა ჩაგვიყვანა ახალციხეში. ჩამოვხტი ქართველ მუსლიმანთა დივიზიის ბინაზე, სადაც დამხვდა ერთი მეგობარი, რომელმაც გადმომცა: – ეს არის ეხლა სოფლიდან ჩამოვიდა შენი დაი და აქ თავის ქმრის მამობილ **მამუჭ – ალა მოსესოვის** სახლში დაბინავდა, ამელამვე აპირებს თფილისში წასვლასო. მაშინვე გავეშურე მოსესოვის სახლისაკენ, სადაც უნდა მენახა ჩემი უბედური დაი. მივედი ბინაზე, ვაცნობე ჩემი ვინაობა და შევედი სახლში. ცხარე ცრემლებით გადამეხვია ჩემი დამწვარ – დადაგული დაი და მწარე ქვითინით შემომჩვილა:

– მიშველე ძმაო, მომიკლეს ერთადერთი ვაჟი და ჩემი მეუღლე, ამომგლიჯეს გული და მომისპეს ოჯახი. **ესენი შეიქმნენ საქართველოს მსხვერპლათ, ვინაიდან პირველი იყო შენი დისწული და მეორე კი შენი დის ქმარიო და სხ.**

ამ სიტყვებმა სასოწარკვეთილებას მიმცა, მარა მალე გონს მოვედი და მივუგე:

– დამშვიდდი, ჩემო საყვარელო დაო, დიდ არს ღმერთი, იქონიე მოთმინება, ორი ქალიშვილი კიდევ გყავს და შეგიძლია შეიმცირო მათი ცქერით შენი ტანჯვა და ვაება; შენ უნდა გრძნობდე, ჩემო დაო, რომ ის ადამიანი, რომელსაც ჰყავდა მხოლოდ ერთადერთი შვილი და უღმობელმა სიკვდილმა გამოგლიჯა ხელიდან, რანაირ ცეცხლის ალში არის ჩავარდნილი. თუ რომ ის **ჭადარა ნოე** ითმენს თავის სიცოცხლის და ცხოვრების ხორციელ ნაყოფის დაკარგვას, შენ კი ახალგაზრდამ და კვლავ ორი ქალიშვილის პატრონმა უნდა იქონიო მოთმინება – მეთქი.

ამ ჩემს სიტყვებზე ერთი ამოიოხრა და თქვა:

– ღმერთმა მოთმინება მისცეს ბ – ნ ნოეს, რომელსაც გამოეცალა ხელიდან საყვარელი შვილიო. და თან დასძინა:

– „ძმაო, სად მე და სად ბ – ნ ნოე ჟორდანია, ის არის მოძღვარი მთელი ქართველი ერის, ის არის ძლიერი, **როგორც შემოქმედება თვით ერისა;** ის მხნე არის, მეცნიერი, შეურყეველი და შეუდრეკელი. მართალია, მას მოეგლიჯა ღვიძლი შვილი სხეულიდან, მაგრამ რაკი **ყოველი ქართველი მას თავის სულიერ შვილებათ მიაჩნია,** მით შეემცირება ტანჯვა – ნაღველი. მაგრამ ჩემთვის, როგორც ქართველი ერის ერთ სუსტ წევრისათვის, ჩემი მოქმედებაც, ჩემი ოცნებაც, ჩემი იმედი და ნუგეში იყო მხოლოდ უმწეო ჩემი პაწია, ჩემი შვილიო და კვლავ მოჰყვა ქვითინს.

ამას დაემატა მოსესოვის მთელი ოჯახის ოხვრა და კვნესა... როგორც იქნა დავამშვიდე ყველანი. განვიძრახე, მენახა მთავარსარდალი გენერალი **კვინიტაძე.** მითხრეს, **მეფისაშვილის** სახლში არის მთავარი შტაბი და თვითონ სარდალიც იქ ცხოვრობსო. ავდექით ჩემი დის ერთად და ვინახულეთ გენერალი და შტაბის უფროსი პოლკოვნიკი **გედევანიშვილი,** რომლებიც დიდი თანაგრძნობით შეგვხვდნენ. მცირე საუბრის შემდეგ, გენერალის განკარგულებით, მოგვცეს სამხედრო ცხენები და ცხენოსნები სოფ. **დიგურში** ჩვენს წასაყვანათ. გამოვემშვიდობეთ და მეორე დღეს გავუდექით გზას.

იგივე სურათები წარმოგვიდგა დიგურამდე თვალწინ, რაც იყო **ახალციხემდე.** მივალწიეთ სახლამდე, ჩამოვხტით ცხენებიდან და შევედით გავერანებულ სახლში. ამავე საღამოსვე ვინახულე **გენერალი თავაძე.** ძლიერ წუხდა და ამბობდა: – ერთი დღით ადრე რომ შემოვსულიყავით, ეს უბედურება არ დატრიალდებოდაო.

რაკი ექვსი საათის სასიარულო ცხენებით გავიარეთ, დაღლილი ვიყავით და გამოვემშვიდობეთ გენერალს. იმ ღამეს დაწვევით გულდამწვრები. მეორე დილას განვიზრახე მენახა წამებულთა საფლავები. გავედი სახლიდან და ასე 50 ნაბიჯის მანძილზე, მეჩეთის გვერდით,

წარმომიდგა თვალწინ პატარა სასაფლაო, მივუახლოვდი და დავინახე ერთი ახალი სამარე, სადაც მამა და შვილი ერთად დაემარხათ. კვლავ ნაღველმა წამილო, მაგრამ იქ მყოფ მცხოვრებლებთან ერთერთის ხმამ მომაკრებინა ძალღონე. ამ ერთ მცხოვრებთანაა შემდეგი სიტყვებით მომმართა:

– აქ, აი, სწორედ ამ ერთ საფლავში, დამარხულ მამას და შვილს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, სიცოცხლეში ვერ სცილდებოდნენ ერთმანეთს და სიკვდილის შემდეგაც არ დავაშორეთ, ორივენი ერთ საფლავში დავმარხეთო. თქვა და ამოიხრა მოხუცმა. შევეკითხე მას: – იქნებ ინებებთ მიაშობთ, თუ როგორ მოხდა მკვლელობა მეთქი. შემომხედა, გადმოღვარა ცრემლები და დაიწყო:

– „სროლა ატყდა. გავარდა ორი ზარბაზანი. ამ დროს, როგორც კი დაინახა ქართველთა ჯარი აჯანყებულთა მეთაურმა **მუსაკიევმა**, განიზრახა გაპარვა, მარა ხალხმა არ გაუშვა და დააპატიმრა. იმის გასანთავისუფლებლათ მოვიდენ რამდენიმე პირნი, მაგალითად: **ყარსის** მთავრობის „**შურის**“ თავმჯდომარე **იბრაიმ – ბეგი**, **ისა – ბეგი** ოსმალს ჯარის პოლკოვნიკი, **აბდულ – ლუტიფ – ბეგი**, ოსმალს ჯარის კაპიტანი **შევექეთ ბეგი**, ოსმალს ჯარის როტმისტრი **ხურშუტ – ბეგი**, რამდენიმე ჩაუში და სხვები. თხოვეს ხალხს მუსაკიევის განთავისუფლება, მაგრამ ხალხმა მუსაკიევი არ გაანთავისუფლა. ამაზედ ძლიერ გაბრაზდნ და წავიდნ. როცა **ახსალ მუსაკიევი** დარწმუნდა, რომ მას ხალხი არ გაანთავისუფლებდა და საქართველოს მთავრობას გადასცემდა, დააპირა გაქცევა, მაგრამ ხალხის მიერ იქნა მოკლული. ეს შეიტყვეს იმ პირებმა, რომლებიც ერთი საათის წინეთ ხალხს მუსაკიევის განთავისუფლებას თხოვდნ. მათ შეეგროვებინათ ჯარი და ღამით ისა – ბეგის მეთაურობით წრე შემოავლეს სახლს, გამოიყვანეს მამა და შვილი, წაიყვანეს სოფელ **ჯაჯუნში** და იქ მოჰკლეს, აწამეს, დაასახიჩრეს. მიცვალებულები აქ მოვასვენეთ და ორივენი ერთად ამ საფლავს მივაბარეთ. მოგვიკლეს ურჯულოებმა ჩვენი მამა, დაგვტოვეს ობლათ... სასჯელი ბოროტ მოქმედებს“.

სად არის საქართველოს მთავრობა, რომ საქართველოს გადასცენ მკვლელებიო, – ისმოდა გარშემო ხალხის ხმა.

გულდაწყვეტილი მოვშორდით **სამშობლოსთვის წამებულთა საფლავს**. ღმერთმა დაუმკვიდროსთ სასუფეველი და მისცეთ მათ ჯენნეთი – სამოთხე.

გაზეთი „**სამუსლიმანო საქართველო**“, N88, 1919 წელი, პარასკევი, 9 მაისი.

**შენიშვნა:** გაზეთის ეს ნომერი საქართველოში არაა შენახული. დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში.

## ფოცხოველების დეპეშა

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა **ფოცხოვიდან** შემდეგი დეპეშა მიიღო: **ფოცხოვის** რაიონის ყველა სოფლების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც შედგა სოფელ **დიღურში** (დაესწრო 305 წარმომადგენელი), მხურვალე სალამს უძღვნის **საქართველოს დამფუძნებელ კრებას** და სთხოვს: **საქართველომ მიიღოს ისინი თავის მფარველობის ქვეშ**, რათა ჩვენც მოგვეცეს საშუალება რევოლუციის მონაპოვარ თავისუფლებით სარგებლობისა.

გაზეთი „**სამუსლიმანო საქართველო**“, № 86, 1919 წელი, ბათუმი.

## აზრუმის გარშემო

აზრუმი პირველად 1829 წელს აიღეს რუსებმა უბრძოლველად. მაშინ **პასკევიჩის** ჯარმა დაიჭირა აზრუმი და **ადრიანოპოლში** დადებულ ზავის ხელშეკრულებამდე რუსების ხელში იყო. მაშინ კი ისევ ოსმალებს დაუბრუნეს.

1877 წ. ომიანობისას, **მუხთარ – ფაშის** დამარცხების შემდეგ **ალაჯინის** მთებში, აზრუმი საფრთხეში ჩავარდა. გენერალი **გეიმანი** ცხენოსანი ჯარით დაედევნა ოსმალებს, აიღო **სოდან-ლულის** უღელტეხილი. **აზრუმი** შიშის ზარმა მოიცვა. მაგრამ გენერალმა გეიმანმა მცირე ჯარით ვერ გაჰბედა აზრუმზე გალაშქრება, ამ ხანად აზრუმი გადაარჩა.

აზრუმი მრავალრიცხოვანი ქალაქია, 80 ათასი მცხოვრებით. უმეტესობა მუსლიმანობაა, 20 ათასი სომეხი და მცირეოდენი ბერძენი.

აზრუმში ბინადრობს სომეხ – გრიგორიანთა მთავარ – ეპისკოპოსი, მართლმადიდებელთა ეპისკოპოსი და სომეხ – კათოლიკეთა ეპისკოპოსი.

აზრუმს სააღმშენებლომნიშვნელობაც აქვს, რადგანაც **თავრიზისა** და **ტრაპიზონის** გზაზე მდებარეობს. მისი ყოველწლიური აღებ – მიცემობა რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს უდრის.

აზრუმი არის დედაბუდე აზრუმის ვილაიეთისა. ეს ქალაქი **ოსმალეთის ხელში 1552 წლიდან არის.**

აზრუმი უკანასკნელ წლებში გერმანელ ინჟინრების ხელმძღვანელობით გაამაგრეს. ეს სიმაგრე მიუდგომელად ითვლებოდა, განსაკუთრებით **სომხეთის** მხრიდან. ამ მხარის სიმაგრეებში დაგროვილი იყო დიდძალი სურსათი, საომარი მასალა, ტანისამოსი, რომელიც უნდა ეგზავნათ ხოლმე **თბილისისა** და **სპარსეთის** გზით **ავღანისტანსა** და **ინდოეთში** გასაგზავნ ჯარისთვის.

პირველიმსოფლიოომისდროს, როდესაც ოსმალების ჯარი რუსის ჯარმა დაამარცხა და აზრუმისაკენ დაახევინა, **სტამბოლიდან** თვითონ **გოლც ფაშა** გამოემურა მასშველი ჯარით, მაგრამ ვედარ მოუსწრო და რუსის ჯარმა აიღო აზრუმი.

აზრუმის დამხობა გავლენას იქონიებს **მესოპოტამიისა** და შავი ზღვის მიდამოებში ბრძოლის მსვლელობაზედაც. ოსმალები ეხლა, **ტრაპიზონისაკენ** თუ დაიხევენ.

ასეთი სიმაგრის აღება დიდს გამარჯვებად ჩაეთვლება როგორც უავგუსტოეს მთავარ – სარდალს, ისე მთელს რუსეთს.

გაზეთი „საქართველო“, 1916 წ. № 31.

## ალექსანდრე გორგაძე წერილი აზრუმიდან

მშვენიერი სანახავია ეხლა **აზრუმი**. შესტყობია რუსის შესვლა. კოხტა და კოპწია ქუჩები გაუყვანიათ და დროგამოშვებით კარგ ამინდებში კიდევაც რწყავენ. ქალაქი თანდათან აზიურ სახესა ჰკარგავს. ქუჩებში გაყვანილი არხები ნაგავსა სწმენდს და დიდად ასუფთავებს ქალაქს.

გახიზნული მცხოვრებნი ისევ ბრუნდებიან და ძველებურ შრომასა ჰკიდებენ ხელს. მატარებლის უნახავი ქალაქი ამასაც მოესწრო, რომ **რკინის გზის ლიანდაგი** გაყვანილ იქმნა **სარიყამიშიდან აზრუმამდე**. სადგური რკინის გზისა ქალაქ გარედ აზრუმის ჭიმკართან შენდება. ერთი სიტყვით, ქალაქს დიდი სიცოცხლე დასტყობია და ახალ აზრუმს მოგაგონებთ. შუაგულ

ქალაქში, დიდი მთავრის ქუჩის გვერდით, მშვენიერი ბაღი გაუკეთებიათ, სხვადასხვა ხეებით მორთული. ყოველ საღამოობით ამ ბაღში მუსიკა უკრავს. ბევრს შეხვდებით მოსეირნეთ, როგორც სამხედრო პირთ, ისე მოქალაქეთაც.

ხანდისხან წარმოდგენებსაც კი დგამენ.

მახლობელ სოფლებიდან ბლომად შემოდის სხვადასხვა სანოვაგე, განსაკუთრებით კი მწვანილეულობა. თვით ქალაქში კი ვაჭრობა გაჩაღებულია. ეხლა ბევრს შეხვდებით სხვადასხვა სავაჭროებს, ამ ხუთი თვის განმავლობაში გახსნილებს. **ვაჭრობა – მრეწველობა ხელთ უგდიათ სომხებს** და თუ ვინმე სხვამ სავაჭრო გააღო, შურის თვალთ უყურებენ. აქ რამოდენიმე სავაჭროები **ქართველებსაც** ჰქონდათ. ამის ნება კორპუსის უფროსს დაურთავს. ისინიც თავისუფლად ვაჭრობდნენ, მაგრამ ეს შემურდათ მეზობელ სომხებს, დაბეზღება დაუწყეს და რამოდენიმე ქართველი კიდევაც აიძულეს ვაჭრობისათვის თავი დაენებებინათ.

არაერთხელ შემოუჩვილიათ თავისი უმწეო მდგომარეობა აქაურს ქართველ მოვაჭრეებს, სომხების ოინების შესახებ. ერთ მშვენიერ ქუჩაზე დიდ სახლში სავაჭრო ჰქონდა გაღებული **დავითაიას**. შემურებია ერთ სომეხს და იმდენი მოუხერხებია ქრთამით, რომ დავითაია აქედან აუბარგავს და ამ სახლში თვითონ მოკალათებულა.

ქალაქში ბევრს შეხვდებით გაზეთების დამტარებლებს. ჰყიდიან **სომხურ და რუსულ გაზეთებს**, ხოლო **ვერც ერთს ქართულ გაზეთს ვერ იშოვიოთ**. სასურველია, ქართული პრესა თავისს აგენტებს გაიჩენდეს და ქართულ გაზეთებს მიაწვდიდეს აქ ბლომად მოსულ ქართველობას.

გაზეთი, „საქართველო“, 1916 წ. № 255.

### **ალექსანდრე ვ. გორგაძე წერილი აზრუმიდან**

რაც რუსის ჯარი შევიდა ამ ქალაქში, მას დღითი დღე სიცოცხლე ეტყობა და ვაჭრობა – მრეწველობაც თანდათან მატულობს. აქ მრავალი ქართველი მოვაჭრე ჩამოსულა და სავაჭროები გაუღიათ, მაგრამ როგორც წინად ვწერდი, დიდი დაბრკოლება აქვთ მეზობელ სომხის ვაჭრებისაგან, რომელნიც შურის თვალთ უყურებენ. დღეს აზრუმი ბლომად შეხვდებით ქართველს, როგორც მოვაჭრეს, ისე მუშას და ჯარისკაცს; მათ შორის არავითარი კავშირი არ არის. ქალაქში ვერც ერთ ქართულ გაზეთს ვერ ნახავთ, რომ კაცმა თავისი მშობლიური მხარის ამბავი გაიგოს. ქუჩაში ბევრია გაზეთების დამტარებელი რუსის ბავშვი, რომლებიც ბლომად ასაღებენ რუსულ გაზეთებს და **ქართულ გაზეთებს კი წამლადაც ვერ შეხვდებით**. განა აქაურ ქართველ ვაჭრებს არ შეეძლოთ ეს ფრიად სიმპატიური საქმე რამენაირად მოეგვარებინათ? განა არ შეუძლია რომელიმე ქართველ მოვაჭრეს ქართული გაზეთი გამოიწეროს და მიაწოდოს აქაურ ქართველობას? და ეს ხომ დიდი სიკეთე იქნება და სასურველი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში! ერთ სომეხს აქ გაუღია კიოსკი და რუსულ – სომხური გაზეთები აქვს და ჩემს შეკითხვაზე: – ქართული გაზეთები გაქვს თუ არა – მეთქი, მიპასუხა: – „რა საჭიროა ქართული გაზეთები, როცა სომხურ – რუსული გაზეთები ბლომად მაქვსო“. იმედია რომ აქაური ქართველი მოვაჭრენი ამ საქმეს ახლა მაინც მოაგვარებენ, გამოიწერენ ქართულ ჟურნალ – გაზეთებს და ხელმისაწვდომ ფასებში მიაწოდებენ საზოგადოებას.

როგორც წინა წერილში ვწერდი, აქ **რამდენიმე ქართველი მაჰმადიანის ოჯახია, რომელნიც მოყვარულნი არიან ქართული ენისა და მწერლობისა**, თუმცა მათ ქართული მწერლობის არაფერი

არ იციან, ხოლო დიდი სურვილი კი აქვთ შეისწავლონ. ამისთვის საჭიროა ქრისტიანმა თანამომბეებმა მათ დახმარება გაუწიონ. კარგი იქნება დაარსდეს აქ „ქართველთა კავშირი“, რომლის წევრებად უნდა ითვლებოდეს ყველა ქართველი, მუშა თუ ვაჭარი, მიუხედავად სარწმუნოებისა, წოდებისა და მიმართულებისა. წევრებმა უნდა ამოირჩიონ გამგეობა, რომლის მიზანი იქნება იმუშაოს აქაურ ქართველობის სასარგებლოდ, გაუწიოს მეთაურობა აქაურ ქართველობას ყოველ საქმეში და ამით შეებრძოლოს სხვადასხვა დაბრკოლებებს.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., №767.

### **ალექსანდრე ვ. გორგაძე** **მოგონება ჩემი დღიურიდან არზრუმის ალების დროს**

სამხედრო სასწავლებელში კურსის დამთავრების შემდეგ გამამწესეს ოფიციალურად ქ. ალექსანდროპოლში მე № ბათალიონში, საიდანაც მესამე დღეს ჩამაბარეს პოზიციაზე წამსვლელი როტა და გამაგზავნეს არზრუმის მიმართულებით. მივიღე თუ არა დანიშნულება, ჩემი როტით ჩავსხედით მატარებელში და სარიყამიშისაკენ გავემგზავრეთ. ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ მივედით სარიყამიშში. ღამე ეტაფის კომენდანტთან გავათიეთ და მეორე დღეს გზას გავუდექით პოზიციისაკენ. წასვლა ფეხით შეგვხვდა. უნდა მივსულიყავით. კეპრიკის. ეს სოფელი მაშინ ახალი ალებული იყო ჩვენი ჯარის მიერ. იგი სარიყამიშზე არის დაშორებული 90 ვერსით. ჩვენ ამ სოფელში უნდა გამოვცხადებულიყავით № ბრიგადის უმფროს გენერალთან, რომელიც მერე, რასაკვირველია, რომელიმე პოზიციაზე მყოფ პოლკში გაგვგზავნიდა. ეს სწორედ ასედაც მოხდა. სამი დღის მოგზაურობის შემდეგ მივედით დანიშნულ სოფელში, გამოვცხადე გენერალს და ბრძანება მივიღე, ეხლავე მოწინავე პოზიციაზე წავსულიყავ ჩემი როტით № პოლკის შესავსებად. გზის მაჩვენებლად მოგვცა ყაზახი და არზრუმის ფორტებისაკენ გაგვგზავნა.

გზაზე ბევრს ვხვდებოდი დაჭრილებს; ეტყობოდა წინა დღეებში დიდი შეტაკება ყოფილიყო ფორტებთან. ისმოდა ზუზუნი ზარბაზნების, რომელიც განუწყვეტლივ ჰქუხდნენ. თუმცა არ ვიცოდი, თუ სად მივდიოდი; მაგრამ ხალისით წინ მიუძღოდი ჩემ როტას. ჯარისკაცნიც მუსაიფით და ხალისით მოდიოდნენ. გზაზე ბევრ დახოცილ ოსმალო ჯარისკაცს შევხვდით, რომელიც აუარებელი ეყარა შარაგზაზე; ამ გზაზე დიდი ხელჩართული ჩხუბი უნდა ყოფილიყო. მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ჩვენი პოლკი იდგა. გამოვცხადე პოლკის უფროსს; მივიღე მისგან დანიშნულება ტყვიისმფრქვეველთა კამანდაში. ჩემი როტის ჯარისკაცები სხვადასხვა როტებში დაგზავნეს. მოვნახე ჩემი კამანდა, რომელიც თავის ტყვიისმფრქვეველით ხრილებში იმყოფებოდა ფორტების წინ. ეს თანამდებობა დიდი მოვალეობა იყო. გულმოდგინედ და მხნედ საქმეს შევუდექი. გავიცანი ჩემი ჯარისკაცები და ამხანაგი ოფიცრები ჩემი კამანდისა და სწორედ, ამ დღესვე 28 იანვარს 1916 წელს მოვიდა კორპუსის უფროსის ბრძანება: – ღამით არზრუმის ფორტები აიღეთ.

ჩვენმა პოლკმაც მზადება იწყო; ტყვიისმფრქვეველთა რაზმი დავანაწილეთ ბათალიონებად და ღამის 8 საათზე უნდა იერიშზე გადავსულიყავით. არ დაგვჭირდა დიდი ხნის ლოდინი და დანიშნულ დროზე ფრთხილად და მალულად მტრის სიმაგრეებისაკენ გავემურეთ. დიდი ყინვა იყო, ხოლო ღამე მთვარიანი და ნათელი. ჩვენ ფეხაკრეფილი ფარულად მტერს ვეპარებოდით ისე, როგორც მონადირე მხეცსა. სიწყნარე დიდი იყო და ხანდისხან მხოლოდ ჩექმის ხმაურობა – და არღვევდა სიჩუმეს.

უცხად დაირღვა სიჩუმე და მიუახლოვდით, თუ არა მტერს, ალაგ – ალაგ თოფის სროლა მოისმა, ცოტე კიდეც და გახშირდა, მას მოჰყვა ზარბაზნების ზუზუნის და შრაპნელის შრიალი. ჩემი გული არ კრთებოდა და მხნედ ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ღამე ჩემთვის პირველი იყო და ომში გამოცდილებას მხოლოდ ეხლა ვღებულობდი. მეც ავამუშავე ჩემი ტიტინა ტყვიის-მფრქვეველი და წინ მივიწევდით. გარშემო ისმოდა ოხვრა დაჭრილებისა, რომელიც გულშემ-ზარავ სურათს წარმოადგენდა. ჩვენმა ჯარისკაცებმა დასძახეს „ურა!“ და მტერს ხელჩართულ ბრძოლაში ეკვეთნენ. მტერი თხრილებიდან ამოყარეს და უკან დაახევინეს, მაგრამ მალე მათ მაშველი ჯარი მოუვიდა და იმ ღამეს ისევე ძველ პოზიციებისაკენ დავიხიეთ. 29 იანვარს ჩვენმა ჯარმა მოსვენებას მისცა თავი, მაგრამ ეხლა მტერი ვითომც სამაგიეროს გვიხდისო, მთელ დღეს არ გვასვენებდა და შრაპნელით გვიმასპინძლებოდა, თუმცა ზარალს ბევრს არ გვამღევდა. მაგონდებოდა ამ დღეს წინა ღამე, რომელიც ჩემთვის პირველი ნაბიჯი იყო ჩხუბისა და ღმერთს მაღლობას ვწირავდი, რომ უვნებლად გადამარჩინა.

ჩვენი არტილერია მთელი დღე უშენდა მტრის სიმაგრეებს და მიწასთან ასწორებდა და ეს დიდ სიხარულს იწვევდა. ხოლო 30 იანვარს, 1 და ორ თებერვალს კი სრული სიწყნარე ჩამოვარდა. მებრძოლ მხარეთა შორის, ვითომც ომი სრულებით გათავდაო, ხანდახან მზვერავთა თარეში არღვევდა ხოლმე სიწყნარეს. დადგა 3 თებერვალი და სამი დღის სიწყნარეც შეიცვალა. ყველამ კარგად იცის, თუ როგორი მომთმენია და მხნე რუსის ჯარისკაცი. იგი ყოველივე გაჭირვებას მედგრად და მამაცად იტანს. ჯარის ნატვრა იყო, რომ **აზრუმი** აეღოთ და ალების შემდეგ ცოტა მაინც დაესვენებიათ.

მივიღე ბრძანება, რომ აზრუმის სიმაგრეები აგველო. ხოლო იერიშზე გადასვლა დანიშნული იყო დღის 11 საათზე. ჩვენც მოვემზადეთ და დანიშნულ დროისთვის მტრის სიმაგრეებისაკენ გავსწიეთ. ვინაიდან დღე იყო, მტერმა შეგვამჩნია და ჯოჯოხეთური ცეცხლი დაგვავარა, მაგრამ ჩვენი ჯარი წინიწევდა და არავის შეეძლო მისი გაჩერება. ჩვენმა არტილერიამ მტვრად აქცია მტრის სიმაგრეები და ამით გზა გაუხსნა ქვეითა ჯარს. პირველი ხაზის სიმაგრეები ხელთ იგდო. მტერმა ვეღარ გაუძლო ჩვენი ჯარის იერიშს და უთავბოლოდ უკან იწყო დახევა. ამ დროს მას ეკვეთა კავალერია და უკან დახეულ მტრის ჯარს დაუწყო ხორცვა – ჟლეტა. შეშინებული მტერი უკან იხევდა და სტოვებდა დაჭრილებს, თოფებსა და ზარბაზნებს და სიჩქარით უწესრიგოდ უკან გარბოდა.

ამ დღეს საბოლოოდ ყველა ფორტი ჩვენ ხელში გადმოვიდა და ეხლა თვით ქალაქისაკენ გავეშურეთ. სადამო ხანზე კართან ბლომად მოეყარა თავი ქვეითა ჯარს და აგრეთვე არტილერიას და თანდათან ქალაქში შედიოდა. ეხლა ქალაქი ჩვენია და ყველას ღიმილი და სიხარული ეტყობოდა. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ეღირსა ჩვენს ჯარს ამ ოსმალეთის პირველ – ხარისხოვან ციხეში შესვლა.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., №776.

### **ალ. გორგაძე** **ჩემი შთაბეჭდილებანი ოსმალეთის ფრონტზე**

თითქმის ეს წელიწადნახევარია, რაც ამ ასპარეზზე ვიმყოფები და ამ ხნის განმავლობაში ბევრს ჩემთვის უცხოს გავეცანი და შევისწავლე კარგად აქაური ცხოვრება. მთელი ჩემი ყოფნა ამ ფრონტზე მხოლოდ **აზრუმის** მიმართულებით განისაზღვრება და მინდა მოკლედ მკითხველებს

გავაცნო ზოგიერთი ღირსშესანიშნავი დაბა – სოფლები, რომლებიც ნამდვილად ღირსია ყურადღებისა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით და ისტორიული წარსულით. როდესაც ჩვენი ძველი საზღვრიდან მიემგზავრებით **აზრუმისაკენ, სოფელ კეპრიკეის** მახლობლად, მდინარე **არაქსზე** არის მშვენიერი უზარმაზარი **ქვის ხიდი**, რომლიც, აქაურთა თქმით, არის აგებული **ალექსანდრე მაკედონელის** დროსო. ხიდი იმდენად უზარმაზარია, რომ მასზე თავისუფლად შეუძლიან გვერდიგვერდ რამდენიმე ფურგუნს გავლა. ამ ხიდის მახლობლად, როგორც წინად ვწერდი, ს. **კეპრიკეია** და რადგან ეს სოფელი პატარაა და ნახევრად დანგრეული, ამაზე ლაპარაკიც არა ღირს.

აქედან თვრამეტ ვერსზე მდებარეობს პატარა ქალაქი **ჰასანკალა** (ძველი **ბაიბურთი**). აქ არის უძველესი ციხე. ქალაქი მაინცა და მაინც არ არის ღირსშესანიშნავი, ვინაიდან პატარაა და აზიურ სტილზე აგებული. მაგრამ, სამაგიეროდ, აქ არის მშვენიერი **მინერალური წყლები, რომლის მსგავსს ევროპაშიაც ვერსად შეხვდებით**. თუმცა ეხლა აქ არის ძველი ოსმალური აბანო, მაგრამ სრულებით ვერ შეეფერება ამ ფრიად ძვირფას წყლებს. როგორც ოსმალებმა გადმომცეს, ზაფხულობით აქ მრავალნი მოდიოდნენ ომამდე თურმე და დიდად კმაყოფილნი შემოდგომაზე უკან ბრუნდებოდნენ.

რუსის ჯარის შესვლის შემდეგ ქალაქი სულ გამოცვლილა, ქუჩები სუფთად და კოპწიად არის მორთული. იქვე, ქალაქის გარედ, მშვენიერი რკინისგზის სადგურია აგებული და ამშვენებს ამ პატარა ქალაქს. **ჰასანკალიდან აზრუმისკენ გზის პირად მრავალი პატარა სოფელია დანგრეული. აზრუმი 35 ვერსზეა დაცილებული ჰასანკალას.**

**აზრუმი ტიპიური აზიური ქალაქია.** ქალაქს გარედ მრავალი **სასაფლაოა**. ჩემს შეკითხვაზე ერთმა მოხუცმა ოსმალომ მომიგო: – „აქ 1912 და 13 წლებში დიდი ხოლერიანობა იყო, რომელმაც მუსრი გაავლო მცხოვრებთო“.

დღეს ამ ქალაქსაც სიმშვენიერე ეტყობა, ქუჩები სუფთად არის, სავაჭრო მრავალია. აქ არის ძველი ბერძნული ეკლესია, რომელშიაც დღეს წირვა – ლოცვა სლავიანურად სწარმოებს და როგორც ეტყობა, აქაური ბერძნები ამის უკმაყოფილონი არიან. მატარებელი აზრუმში შედის და ამიტომ აშენებენ მშვენიერ ქვის სადგურს **ტრაპეზუნთის კართან**. ქალაქში ბევრს შეხვდებით გამოქცეულ სომეხს, რომელნიც უსახსრობისა გამო მათხოვრობენ. სიძვირე ქალაქში უმაღლეს წერტილამდე არის ასული, რომელიც გაჭირვებაში აგდებს ისედაც საწყალ ხალხს. მუშა ხალხი აქ ბლომად არის, განსაკუთრებით კი **ქართველობა...**

**ერთ დროს ჩვენი პოლკი იდგა აზრუმის ახლოს მდებარე სოფელ ტამბურაში.** ეს სოფელი მდებარეობს აზრუმიდან 20 ვერსის მანძილზე. სოფელი **დიდია და მდიდარი**. მცხოვრებთა რიცხვი 200 კომლამდეა, მაგრამ საუბედუროდ, ძლიერ გაუნათლებელი. სოფელში წერა – კითხვის მცოდნე მხოლოდ ერთია და ამიტომ ოსმალონი მას „**ევენდის**“ უწოდებენ. მიწა მშვენიერია, მაგრამ, რადგან დამუშავება არ იციან, სარჩო ძლივს მოჰყავთ. საქონელი ბლომად ჰყავთ და ეს შეადგენს მათ უდიდეს სიმდიდრეს. აქ არ არსებობს სკოლა. მუხტარს რომ ვკითხე: – „სკოლა გქონდათ თუ არა ომამდე მეთქი“, გაუკვირდა ეს შეკითხვა და სიცილით მომიგო: – „რა საჭირო იყოვო“. ხალხი სრულ სიბნელეშია და რა კარგი იქნებოდა, რომ **ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას** აქ გაეხსნა **თურქული სკოლები** და არა აჭარაში, სადაც ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ და მათთვის ქართული სკოლებია საჭირო.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., №777.

შენიშვნა: ამ გაზეთს მიმაგრებული აქვს **თამარ მეფის ორდენით მკერდდამშვენებული მღვდელის შალვა ვარდიძის მიერ დაწერილი პატარა ბარათი**. იგი ავტორს – ალ. გორგაძეს მიმართავს კითხვით: რატომ არ მუშაობდა ამ მხარეში ქართული საქველმოქმედო საზოგადოება,

რატომ არ ზრუნავდა ქართული სკოლების გახსნისათვის ამ ძველ ქართულ მიწაზე; ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას რატომ უნდა ეზრუნა ამ მხარეებში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაში განათლების შეტანისათვის? შ. ვარდიძე, სტამბოლის ქართული სავანე, 1917 წელი.

### ალექსანდრე ვ. გორგაძე ჩემი მოგონება პოზიციის ცხოვრებიდან

კარგა ხნის დასვენების შემდეგ, ჩვენმა პოლკმა მიიღო ბრძანება მოწინავე პოზიციისაკენ წასულიყო. პოზიციაზე წასვლამდე ვიდექით თითქმის სამი თვე სოფელ **ტამბურაში**. ამ სოფლის შესახებ წინად ვწერდი. სამი თვის განმავლობაში თავს ისე ვგრძნობდი ამ სოფელში, როგორც ჩემ სამშობლო სოფელში. ამ სოფელმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მე ჩემს სიცოცხლეში არ შემიძლიან დავივიწყო. სოფლის გვერდით ჩამოდის პატარა მდინარე, რომელიც სულ სავსეა კალმახით. მეც დილაობით ადრე ვდგებოდი ხოლმე, წავიყვანდი თან ჩემ მოსამსახურე ჯარისკაცს, რომელიც ქართველია და მასთან ერთად მთელი დღე ვთევზაობდით. ასე რომ ჩვენ, პოლკის აფიცრობას, კალმახი და გარეული ნადირის ხორცი ნიადაგ ჰქონდა. მალეყველაფერი შეიცვალა; უფროსისაგან ბრძანება მივიღეთ, მოწინავე პოზიციისაკენ წავსულიყავი. ეს იყო შუა თიბათვეს წასულ წელში. ბრძანების მიღებისთანავე ჩვენი პოლკი აიშალა და ორი საათის შემდეგ გზას გაუდგა დანიშნულ ადგილისაკენ. მშვენიერი შესახედავი იყო პოლკი იმ დროს, როდესაც მიემგზავრებოდა. წინ ჯარისკაცნი როტებად და უკან მისდევდა მთელი ოჯახობა პოლკისა: სამხარეულო, ურმები და მთელი ჯოგი. ეს უკანასკნელი კაცს ოჯახურ ცხოვრებას მოაგონებდა.

მთელი დღის მოგზაურობის შემდეგ მიველით სოფელ **ჩადში**. ეს სოფელი **არზრუმზე 60** ვერსზეა მოცილებული. ღამე აქგავათიეთ და მეორე დღეს ისევ გზას გავუდექით. მოგზაურობის დროს მაგონდებოდა სოფელი **ტამბურა** და იქაური ჩემი დროს ტარება, მაგრამ იმ იმედით, რომ მტერს საბოლოოდ დავამარცხებდით და ისევე **ტამბურაში** და სხვა სოფელში მოვიდოდით დასასვენებლად. გული მაინც არ კრთებოდა და ხალისით გზას განვაგრძობდით. გზაზე ხშირად მოგვესმოდა მუსაიფი თანამემამულეთა, ვინაიდან ჩვენ პოლკში ქართველი ჯარისკაცი ბლომად არის. ისინიც ხალისობდნენ და „**მრავალუამიერის**“ სიმღერით გზას განაგრძობდნენ. სრულებით არ იფიქრებდით, რომ მათ აშინებდა პოზიცია, ან შეუბრალებელი მტერი. თუ პოლკი გზაზე დაისვენებდა, ვითომც მათ დაღლილობა არ ეტყობათო, ცეკვას დაიწყებდნენ და ამ რიგად შეუმჩნევლად მივალწიეთ პოზიციის პირველ ხაზს.

უმფროსმა გვიბრძანა, ჩუმად შევსულიყავით იმ სოფელში, სადაც მთელი რაზმის უფროსი სცხოვრობდა. საღამოს 8 საათზე მიველით დანიშნულ სოფელში, რომელიც ძველი ბერძნების სოფელია, მაგრამ მაშინ იგი მხოლოდ ნანგრევებსღა წარმოადგენდა და ჩვენ იქვე, სოფლის გარედ, დავბანაკდით, ვივახშმეთ და თავი მოსვენებას მივეცით, ვინაიდან სამი დღის მოგზაურობამ ძლიერ დაგვღალა. ამ სოფლიდან მტრის პოზიციამდე მხოლოდ სამი ვერსი იყო და თითქოს მტერმა შეამჩნია ჩვენი მოსვლაო, მთელი ღამე სოფელს შრატხელით უმასპინძლდებოდა, მაგრამ ჩვენ ღვთის მაღლით ვერაფერს გვაკლებდა.

ხშირად გაიგონებდით ჯარისკაცთა ლაპარაკს ერთმანეთ შორის: – „შეურცხვა სვინდისი მაგას, მოსვენება გვაცალოს და ხვალ ჩვენც სამაგიეროს გადავუხდითო“. დილის ოთხ საათზე



მივიღეთ ბრძანება, რომ იერიში დაგვეწყო. მოვემზადეთ და გავსწიეთ მტრის თხრილებისაკენ. ოდნავ იწყო რიჟრაჟი და მიუახლოვდით მტრის სიმაგრეებს. მხოლოდ რამოდენიმე ნაბიჯი და დაგვრჩა, მაგრამ მტერი პასუხს არ იძლეოდა. ეტყობოდა, უნდოდა მივეტყუებინათ ჩვეულებისამებრ და მერე დაეშინა ჩვენთვის. არ დაგვჭირდა დიდიხნის მოლოდინი და თხრილებიდან სათითაოდ თავის ამოყოფა იწყო მტერმა და **ჯოჯობეთური ცეცხლი დაგვაყარა**. ჩვენი ჯარი არ შეუშინდა და ხელჩართულ ჩხუბზე გადავიდა. **ოსმალებს, საზოგადოდ, ხელჩართულ ჩხუბის ძლიერ ეშინიათ** და ამიტომ მიატოვეს თავიანთი სიმაგრეები და უთავბოლოდ უკან დაიწყეს დახევა. დახეულ მტრის ჯარს ჩვენმა არტილერიამ მუსრი გაავლო და დაუწყო ჟლეტა. ჩვენ კი ახალ აღებულ სიმაგრეებში გავჩერდით, რადგან ნაბრძანები გვქონდა, წინ არ წავსულიყავით.

მტერმა დაიხია უკან და მაღალ მთებში გამაგრდა. ეს მთები ჩვენ პოზიციებს არწივივით დაჩერებოდნენ თავზე და ამიტომ მტერს ყოველივე ჩვენი მოქმედება შეეძლო ადვილად დაენახა. რამოდენიმე დღის შემდეგ, თიბათვის ბოლო რიცხვებში, წარსულ წელს ხელმეორედ მოვიდა ბრძანება კორპუსის უმფროსისაგან, რომ მთელ ფრონტზე მყოფი ჩვენი ჯარი იერიშზე უნდა გადასულიყო. 27 ივნისს 1916 წელს, ღამის 8 საათზე, მოვაგროვეთ როტები, ავუხსენით ჩვენი იერიშის მიზანი და რა საქმეც გვქონდა უმფროსისაგან მოცემული და ნახევარ საათის შემდეგ მტრის მიუვალ მთებისკენ გავემშურეთ.

ღამე უმთვარო იყო, საშინლად ბნელოდა. ამიტომ გზა სრულებით არ მოსჩანდა. ჩვენ კი ნაბრძანები გვქონდა, ღამის თერთმეტ საათზე მტრის სიმაგრეები ხელთ გვეგდო და საყოველთაო იერიშზე გადავსულიყავით.

წინ მზვერავები გავაგზავნეთ და ჩვენ კი უკან ფეხდაკრეფით მტრის თხრილებისაკენ მივემშურებოდით. ჩემ როტას ნაბრძანები ჰქონდა, სხვათა შორის, აელო ერთი წინ მდებარე უზარმაზარი მთა.

თანდათანვუახლოვდებოდითას, თუმცა წინსვლა ძლიერ უხერხული გამოდგა, რადგან უმთვარო ღამე იყო. ამას არ ვუშინდებოდით და წინ მივიწევდით. ღამის 12 საათზე მტერს ვეწვიეთ.

ავედით თუ არა მთის მწვერვალზე, სადაც მთელი ბათალიონი იდგა მტრისა, მტრის ჯარისკაცი მარტო არაბები გამოდგნენ, ეტყობოდათ არაბების ცალკე შემდგარი ბატალიონი უნდა ყოფილიყო და მათ თავგანწირვით დაგვიწყეს სროლა. ჩვენც, რასაკვირველია, ვუპასუხებდით და თანდათან თხრილებისაკენ მივისწრაფოდით. აი, ეხლა შეიქმნა დრო განსაცდელისა: ან **გამარჯვება და ან სიკვდილი!** ჩვენი ერთი როტა ეკვეთა მტრის მთელ ბათალიონს. მტერი შედარებით მეტი გამოდგა, მაგრამ ჩვენი მხნე ჯარისკაცი მტერს არ შეუშინდნენ და გადაწყვიტეს, ან გაიმარჯვნონ და ან ამოწყდნენ. არც ნაკლები გულადი გამოჩნდა მტერი, მასაც გადაწყვეტილი აქვს ბრძოლა გამარჯვებისათვის.

საქმე ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა. **საშინელ სურათს წარმოადგენდა კბილებდაღრეჭილი შავი არაბები**, რომელიც გულმოდგინედ ომობდნენ. მათი შავი სახე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. არაბებმა დასძახეს „აღლაჰ!“ ხიშტები დააგეს თოფებზე და ჩვენსკენ გამოსწიეს. ეკვეთნენ ჩვენი მეომრები და მტერი დიდ განსაცდელში ჩააგდეს. მალე ჩვენთან ორი ჩვენი დამხმარე ზვოდი მოვიდა რეზერვიდან მოსაშველებლად და მტერი საგრძნობლად დავამარცხეთ. მტერმა მრავალი დაჭრილი და დახოცილი დასტოვა და უთავბოლოდ უკან დაიწყო სვლა.

ჩვენ ამ მთაზე არ გავჩერებულვართ და დახეულ მტერს მივსდევდით. მივსდევდით კვალდაკვალ და რამოდენიმე ვერსზე უკან დავახევივინეთ... მტერი საბოლოოდ ეხლა დამარცხდა და ჩვენი ჯარი ისევ ისვენებს. ჯარისკაცთა სიხარულს საზღვარი არა აქვს, ვინაიდან მტერი დაამარცხა და დღეს იგი თავის ოფლით ანაღებ მტრის სოფელშია დაბანაკებული. თუმცა **ტამბურას**

მოვცილდით, მაგრამ ნაკლებ დროს არც აქ ვატარებთ. აქაც არის მდინარე და ეხლაც ვთევზაობ და ვხალისობ. თუ ქართული გაზეთი დროზე მოვიდა, მაშინ ვითომც საკუთარს სოფელში ვიყო.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., №781.

### **ალ. გორგაძე წერილი აზრუმიდან**

აქ დღეს მრავალი ქრისტიანი ქართველები. არის, აგრეთვე, რამდენიმე ოჯახი ქართველი მაჰმადიანებისაც. მრავალ ქართველს შეხვდებით, როგორც მოვაჭრეს, აგრეთვე მუშას და ჯარისკაცს. დღემდე მათ შორის არავითარი კავშირი არ იყო, ხოლო ეხლა კი წინსვლის გზას დაადგნენ და აქაურმა ქართველობამ მოიწადინა **ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების დაარსება**, რომლის მიზანი იქნება გაავრცელოს წერა – კითხვა აქ მცხოვრებ მაჰმადიანთა შორის და ხელი შეუწყოს აქ მოსულ ქართველების საკულტურო განვითარებას. აი, ამ მიზნით გამსჭვალულმა ქართველებმა მოიყარეს თავი 31 იანვარს და ერთხმად გადასწყვიტეს დაარსონ **ქ. აზრუმი ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება**. კრება გახსნა ექიმმა **სიმონ ჩიქოვანმა** და შემდეგ არჩეულ იქნა განყოფილების გამგეობა. თავმჯდომარედ არჩეულია ექ. **სიმონ ჩიქოვანი**, ხოლო გამგეობის წევრებად: **ლევან ჟღენტი**, **ვ. ძალაგანია**, **გ. ჭიჭიშვილი**, **თავ. ვ. ნიჭარაძე** და **გ. ბაზაძე**. კრებამ შეადგინა ოქმი და გაუგზავნა უმთავრეს გამგეობას, ხოლო ნებართვის მიღებისთანავე შეუდგება მუშაობას.

დიდის ხალისით ეწერებიან ქართველები და ფულსაც არ იზოგავენ ამ კეთილი საქმისათვის. სხვათა შორის **წევრებად ჩაეწერნენ აქაური ქართველი მაჰმადიანებიც**. ქართველ მოსამსახურეთაგან ბევრნი ერთდროულ დახმარებასაც ჰპირდებიან განყოფილებას. კრებამ სურვილი გამოსთქვა, ნებართვის მიღებისთანავე გახსნას აქ სამკითხველო ქართულ ჟურნალ – გაზეთებით და მოაწყოს აგრეთვე ჟურნალ – გაზეთების კოსკი.

რა კარგი იქნებოდა, სხვა კუთხეებიც, სადაც **ქართველები სცხოვრობენ, ამ მაგალითს მიბაძვდნენ და დაიარსებდნენ ამ სიმპატიურ დაწესებულებას!**

ჩვენი გამგეობა უცდის ნებართვას და რა კარგი იქნება, რომ უმთავრესი გამგეობა დროზე მოაწვდიდეს სათანადო ნებართვას და აგრეთვე, სხვა საჭირო დოკუმენტებს. ვუსურვებ მას დაარსების შემდეგ დღეგრძელობას და ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც **ხელს შეუწყობს აქაურ ქართველობის კულტურულად დაწინაურებას**. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ კეთილი საქმის მოგვარებისათვის **ბ. სიმონ ჩიქოვანი** და **ბ. ძალაგანია**, რომელთა მეოხებით დაარსდა აქ **ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება**.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ., №796.

### **ალ. გორგაძე წერილი სარიყამიშიდან**

ამ ომის ქარცეცხლმა ბევრი ქართველობა მოაშორა თავის სამშობლო კერას და გადმოხვეწა როგორც აქ, ისე მახლობელ ადგილებში. აქ დღეს ბევრს შეხვდებით ქართველობას, როგორც

მოვაჭრეს, ისე მოსამსახურეთ და მუშებს. ამას ზედ დაერთო კიდევ აქ მყოფი ქართველი მაჰმადიანები, რომელთა რიცხვი თუმცა ბევრი არ არის. დღემდე აქაურ ქართველებთან შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა. მხოლოდ დიდხინის უსაქმობის შემდეგ კვლავ გამოფხიზლდნენ და გადასწყვიტეს წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების დაარსება სარიყამიში, რომლის მიზანიც იქნება გაავრცელოს წერა – კითხვა და აგრეთვე, ჟურნალ – გაზეთები მიაწოდოს იმ მუშათ, რომლებიც როგორც აქ, ისე აზრუმის გზაზე, ბლომად მუშაობენ. ამ მიზნით გამსჭვალულმა აქაურმა ქართველმა რკინის გზის მოსამსახურებმა და მუშებმა, აგრეთვე, ვაჭრებმა მოიყარეს თავი 26 იანვარს 1917 წ. და ერთხმად დაადგინეს, დაარსონ სოფ. სარიყამიში (ყარსის ოლქია) განყოფილება. სხვათა შორის მეც შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი კრებას.

კრება გაიხსნა ბ. იაკინთე კონსტანტინეს ძე წერეთლის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 35 კაცი. სხვათა შორის კრებას მე გავაცანი განყოფილების ინსტრუქცია, რომელიც წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან მქონდა გატანებული. განყოფილების ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ, კრებამ დაადგინა შემდეგი: დაარსდეს დღეიდან სარიყამიში განყოფილება წ.კ.გ. საზოგადოებისა, რომლის მიზანი იქნება: 1) მოწყობა სარიყამიში ქართულ საღამოებისა, წარმოდგენებისა და სხვა, 2) გაავრცელოს წერა – კითხვა და მიაწოდოს ქართული ჟურნალ – გაზეთები აქ მომუშავე ქართველობას; 3) გახსნას, სადაც შესაძლებელი იქნება, სამკითხველოები და მოაწყოს მოძრავი სამკითხველო იმ მუშათათვის, რომლებიც აზრუმის გზაზე მუშაობენ და სხვა. 4) მოაწყოს საკვირაო სკოლა სარიყამიში; 5) გაუწიოს ნივთიერი დახმარება აქ მომუშავე ქართველობას.

ამ დღესვე ამოირჩიეს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ ბ. იაკინთე წერეთელი, ხოლო წევრებად ბ. ჟვანია და ჩხეიძე. დაიწერა ოქმი და გაეგზავნა უმთავრეს გამგეობას დასამტკიცებლად. წევრთა რიცხვი თანდათან მატულობს და დიდი აღტაცებით მიეგება აქაური ქართველობა ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულების დაარსებას.

სურვილი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთმა წევრთაგანმა სურვილი გამოსთქვა, ერთდროულად რამდენიმე თუმანი შესწიროს განყოფილებას. კარგი იქნება, უმთავრესი გამგეობა დროზე მოაწვდიდეს ნებართვას და აგრეთვე, საჭირო დოკუმენტებს და ამით შეძლებას მისცემდეს, რომ განყოფილებამ დროზე დაიწყოს მუშაობა.

ვუსურვებ განყოფილებას ნაყოფიერ მუშაობას.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. №796.

**ექიმი ივ. თ – ძე**  
**(უცნობი ფსევდონიმი)**  
**ვარლამ გელოვანის ხსოვნას**  
**(სამხედრო ექიმის დღიურიდან)**

ცივმა სამარემ კიდევ მიიბარა ერთი ჩვენი უკეთესი მამულიშვილი. წარსულ კვირას, 1 მარტს, ლეჩხუმის მაზრაში სოფელ სპათაგორას დაკრძალეს ვარლამ ლევანის ძე გელოვანი. აქ მის ძვირფასს ნეშტს სამუდამოთ გამოეთხოვეს. დააფასეს მისი მოღვაწეობა სახელმწიფო სათათბიროში, როგორც ქართველ ერის იდეალთა წარმომადგენელისა. მხურვალე გულით გამოეთხოვეს მისი მეგობრები, ნათესავები და თანამოაზრენი.

გაზეთებმა საკმაოდ დაახასიათეს განსვენებულის პიროვნება, მისი მოღვაწეობა სახელმწიფო სათათბიროში, როგორც ქართველ ერის იდეალთა წარმომადგენლის; ყველამ აღნიშნა, რომ სათათბიროში ვარლამის მუშაობა იყო თვალსაჩინო და ნაყოფიერი. მოკლედ შეეხნენ, აგრეთვე, პირად მისს და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ სასანიტარო რაზმის მოღვაწეობას მოწინავე პოზიციებზე. რომ უფრო ცხადვყოთ და გავაშუქოთ ამ ასპარეზზე ვარლამის მოქმედობა, **საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს განვუზიარო ზოგიერთი მაგალითები ბრძოლის ველზე მისი თავგანწირული მუშაობისა.** ეს ჩემი ზნეობრივი მოვალეობაცაა, ვინაიდან თითქმის ერთი თვის განმავლობაში სამსახურის გამო მჭიდრო კავშირი მქონდა ვარლამთან და მის რაზმთან.

თამამად შემძლიან ვსთქვა, რომ განსვენებული სამაგალითო მუშაკი და ხელმძღვანელი იყო თავისი რაზმისა. ის არ ჰგავდა ზოგიერთ მეთაურს, რომელნიც თავიანთ ხელქვეით – თანამემწეთ მარტო „პრიკაზებს“ სწერენ და მით კმაყოფილდებიან. ვარლამი თვითონ მუშაობდა მთელი თავისი არსებით, ყოველივე საქმეს სიყვარულით ეკიდებოდა და ამასვე მოითხოვდა თავის თანამშრომელთაგან. ყოველ შეგნებულ ქართველს პირნათლად შეუძლიან იამაყოს ვარლამის შრომის უნარით, მხნეობით და უზომო კაცთმოყვარეობით; ის ყოველ წამს მზად იყო თავისი ძალღონე ბრძოლის ველზე დაჭრილ და დაავადებულ ჯარისკაცთა სანუგეშოდ და მოსაოხებლად შეეწირა. აი, რა ჩამიწერია ჩემს დღიურში 15 დეკემბრის თარიღით...

„ჩვენი ჯარი სოფელ **დემურკაპშია** დაბანაკებული, ირგვლივ მიდამო ნისლით დაფარულია, ყინვა 35<sup>0</sup> – 40<sup>0</sup> ადის. ყველა მოსალოდნელ ბრძოლისათვის ვემზადებოდით. საღამოს ვარლამის ტელეფონოგრამი მივიღე: „მე ჩემი სანიტარული რაზმით სოფ. **როდიონოვკაში** ვარ, იქონიე სახეში და თუ ბრძოლა ასტყდეს, მამცნე. მაშინვე მოგემვლელებიო“. ფორმალისტი ვინმე რომ ყოფილიყო ვარლამის ალაგას, თავის გასამართლებლად გვეტყოდა: – ვერ მოგემვლე, ჩემთვის არავის არ შეუტყობინებიაო. ვარლამი თვითონ ისწრაფვის ბრძოლის ველისკენ, მას კარგად აქვს გათვალისწინებული თავის წმინდა მოვალეობა; მას სირცხვილად მიაჩნია ბრძოლის გარეშე ყოფნა; მას სინდისი ნებას არაძლევს, მარტო მაყურებლის როლში დარჩეს. იგი ეძიებდა შრომას, სამსახურს მოძმეთა მოსაოხად“.

16 დეკემბერს დილაადრიანათ ოსმალს ჯარმა მედგარი იერიში მოიტანა სოფ. **მერდენეკში** მდგარ ერთ – ერთი ჩვენი პოლკის წინააღმდეგ. ეს გარემოება იმავე წამს ტელეფონით ვარლამს ვაცნობე და **დემურკაპში** მოსვლა ვსთხოვე მისი რაზმითვე, მე კი თვითონ **მერდენეკში** გავემურე ბრძოლის ველისკენ, რომ პოლკის ექიმებისთვის დახმარება და ხელმძღვანელობა გამეწია დაჭრილთა მოვლაში და გადმოტანაში. სასტიკმა ბრძოლამ საღამომდის გასტანა, ოსმალს დამარცხდა და უკან დაიხია. ბრძოლის ველზე 1000 – მდე მკვდარი მიატოვეს. ამ ბრძოლაში ჩვენ 300 კაცამდე დაგვიჭრეს, მათ შორის  $\frac{2}{3}$  ქართველი იყო. ყველა დაჭრილს ჭრილობა შევუხვიეთ და სოფელ **დემურკაპში** გავისტუმრეთ. ღამის პირველ საათზე მე და ლენერალი გ. დემურკაპში მოვედით, მივიკითხ – მოვიკითხეთ ჩვენი დაჭრილები; ჩვენ გაკვირვებას და სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ ვარლამი თავისი რაზმით დემურკაპში მალე ამოსულიყო, მოეწყოთ თბილი ბინა და საწოლი დაჭრილთათვის, ყველას თბილი საჭმლით და ჩაით გამასპინძლებოდნენ, ბევრისთვის სისხლში გასვრილი საცვალი გამოეცვალათ ან, ვისთვისაც საჭირო იყო, ჭრილობა ხელმეორედ შეეხვიათ და უმეტესი მათგანი საბარგო ავტომობილით **ყარსის** გოსპიტალში გაეგზავნათ.

20 დეკემბერს ყარსიდან **სარიყამიშისკენ** გავემგზავრეთ. ვარლამიც თავისი რაზმით უკან დაგვედევნა. 21 და 22 დეკემბერს სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა გვქონდა სოფელ **დივიკთან** (სარაყამიშის მახლობლად), რომელიც ოსმალოებს ძლიერ გაემარებინათ. დიდი თოვლი იყო,

თითქმის 1 ნახ. ალაბი და მასთან საშინელი ყინვა და ქარბუქი. 21 – ს დილით ომის დაწყებამდის ვარლამი სოფელ ლან – ოღლში მივიდა. აქ ჩვენი მოწინავე შესახვევი პუნქტი იყო მოთავსებული. ვარლამი შემეკითხა, სად უფრო სასარგებლო იქნება მისი რაზმის მოთავსება; ვამჯობინეთ ერთი ნაწილი მისი რაზმისა სოფელ ახალსელიმში დაგვეტოვებინა, ხოლო მეორე ბრძოლის ველის მახლობლად სოფელ „ბელიუკ – ბაკში“ გადმოგვეტანა. 22 – ს დღისით დივოკი ავიღეთ. ორი დღის ბრძოლაში დიდი ზარალი არ მოგვსლია, დაჭრილები შედარებით ცოტა გვყავდა, მაგრამ ვინც დაიჭრა, ყველას მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა; მძიმედ დაიჭრა ყველასაგან მოყვარული და მამაცი პოლკოვნიკი თ – დი ბ – ძე, რომელიც ერთი კვირის შემდეგ ყარსის გოსპიტალში გარდაიცვალა. დაჭრილებზე მეტი ავადმყოფი აღმოჩნდნენ გაციებით; არც გასაკვირი იყო, რადგანაც თითქმის ორი დღე გულამდის თოვლში იყვნენ და ომობდნენ. ყველა ამათ მოვლაში ვარლამის რაზმმა დიდი დახმარება აღმოგვიჩინა;

ყველამ ვიცით, რომ დაჭრილი მეომრისათვის, გარდა სპეციალური დახმარებისა, საჭიროა მოსვენება, თბილი ჩაი, საჭმელი და ალერსი. ყველას ამას ჯარისკაცნი სავსებით ნახულობდნენ-ვარლამის რაზმში. 22 – ს საღამოს სოფელ „ბელიუკ – ბაკში“ მივედით ღამის გასათევად. ვარლამი აქ დაგვიხდა. ის იყო ახალი სელიმიდან ამოსულიყო; გზაზე დიდი თოვლისა და უგზოობის გამო ავტომობილი გაჭვუჭებოდა, რამდენიმე ვერსი ფეხით გამოევლო. ერთად შევიმუშავეთ მომავალი ჩვენი მოქმედების გეგმა. ის ისევ ახალ – სელიმში გაბრუნდა.

მე განსვენებას შევუდექი. ათი საათია. დამძინებია, ვიღაც მალვიძებს და თავს წამჩურჩულებს: – ერთ სახლში ოსმალთ სამი მძიმედ დაჭრილი ოფიცერი დაუტოვებიათ და რით და რანაირად გავაგზავნოთ ყარსში. ვინახულეთ დაჭრილები. სამივე მძიმედ იყო დაჭრილი, ერთი კოჭის სახსარში, მეორეს ბარძაყის ძვალი ჰქონდა მოტეხილი, მესამესთვის ტყვიას მკერდში გაევლო. სახვევი გამოვუცვალეთ, რაც შეიძლებოდა ნუგეში ვეცით. წამოსვლისას ერთმა მათგანმა (არტილერიისტმა) მითხრა:

– „ქართველ თავადს ჩვენ მაგიერ უგულითადესი მოკითხვა გადაეცით, მისი განკარგულებით ყოველ დღე ჭრილობას გვიხვევენ და სადილსაც გვაჭმევენო, დიდი ხანია თბილი საჭმელი არ გვიჭამიაო, დიდად გმადლობთ ასეთი გულკეთილობისა და კაცთმოყვარეობისათვისაო“.

24 დეკემბერს... სოფელ ვერიშანში ვართ. განუწყვეტლივ ჰქრის და თოვს. სადილად ვსხდებით; ერთიც ვნახოთ, ვარლამი და მისი ამხანაგი კერენსკი მოვიდნენ ცხენებით. ძალიან გვესიამოვნა. კერენსკის თბილი ტანისამოსი და სადღესასწაულო საჩუქარი ჩამოეტანა მებრძოლ ჯარისკაცთათვის. ღენერალმა გ. ბ – ნ კერენსკის თავის ხელქვეით ჯარისკაცთა სახელით მადლობა მოახსენა, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს – საჩუქრისათვის და თან დასძინა, რომ გელოვანის ხელმძღვანელობით სათათბიროს რაზმი დიდს სამსახურს უწევს ჩემს დივიზიასო, ყველა წევრი რაზმისა სულით და გულით და მხნედ მუშაობსო, ამას მე ოფიციალურად მოვახსენებ სადაც ჯერ – არისო.

25 დეკემბერს... უკუქცეულ ოსმალს ჯარს დავედევნეთ; გადავლახეთ ძლიერ მაღალი უგზოუკვალო გზები. წინ ცხენოსნები გავუშვით გზის გასატეხად. დიდის ვაი – ვაგლახით გადავიტანეთ ზარბაზნები, საბარგო ურმების გატანა და გავლა ძნელი იყო და სახიფათო, ამიტომ ვერიშანში დავტოვეთ. არ მეგონა, თუ ვარლამი შეეცდებოდა ასეთ მადლობ თოვლიან და ყინულით მოლიპულ გზით ჩვენსკენ წამოსვლას.

26 დეკემბერს სოფელ კარ – კილისაში მოველით. ეს საკმაოდ დიდი სოფელია, 200 – 300 კომლი იქნება. მაღალ ფრიალო მთებზეა გაშენებული, სახლები ქვისაა ფანჯრებით. შორიდგან

რომდავინახეთ, გვესიამოვნა; ხეირიან თავის შესაფარს ვიშოვნით – მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი; თითქმის ყველა სახლი და მათი კარმიდამო ოსმალთ მკვდრებით ავსებული დაგვიხდა. ძლივს ერთი ოთახი ვნახეთ; ჯარისკაცნი თავლაში შეიხიზნენ. მკვდრების დათვალიერებამ დამარწმუნა, რომ ისინი რაღაც გადამდები სენის მსხვერპლნი იყვნენ. ჩვენ ჯარისკაცთ სასტიკად აუკრძალეთ სახლებში შესვლა.

27 – ს მაღალი მთა „ტანდერლიუ“ ბრძოლით ავიღეთ, ხოლო 28 – ში სოფელ ბარდუსთან ოსმალთ დამარცხდა; ხელთ ვიგდეთ ორი ზარბაზანი და 300 ტყვე. იმავე დღეს ღამით თვით სოფელი ბარდუსი დავიჭირეთ; 92 – ე ოსმალთ პოლკი ტყვედ დაგვინებდა, 11 ოფიცერი და ორი ექიმი. 27 – ს როცა ტანდერლიუს მთის ძირში ვიბრძოდით, საგანგებო ფოსტამ, სხვათაშორის, ამბავი მოგვითხრო, რომ ვარლამის რაზმი სოფელ შემრთუკშია (კარ – კილისიდან 14 ვერსზე, ვერიშანიდან 22). დაჭრილები სარიყამისში უნდა გაგვეგზავნა, მაგრამ როცა ჯარისკაცებმა გაიგეს, ჩემრიუკში ვარლამის რაზმი მოსულაო, შემეხვეწნენ, იქ გაგვაგზავნეთო; მეც უარი ვერ ვუთხარი, მეტადრე რომ კირ – კილისიდან ჩემრიუკამდე გზა შედარებით კარგი იყო. ბარდუსში დანამდვილებით გავიგეთ, რომ ვარლამი ჩემრიუკშია თავის რაზმით, ხოლო ნაწილი რაზმისა ვერიშანში დაუტოვებია.

აქ სანიტარული რაზმის დატოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რომლის გათვალისწინება ვარლამის გამჭირახ გონებას არ გამოჰპარვია; ვერიშანი ისეთ ალაგას არის, სანამდის კიდე შეიძლება სურსათით დატვირთული ურმების მისვლა – მოსვლა, შემდეგ კი სურსათს პოზიციებზე საპალნით ეზიდებოდნენ. ამიტომ ამ სოფელში ბევრი ჯარისკაცი იყრიდა თავს, კარგადმყოფი, დაჭრილი და ავადმყოფნიც. 30 დეკემბერს კიდე მტერს დავედევნეთ; ხოლო 1 იანვარს საღამოს ჩვენი დივიზიის შტაბი ისევ ბარდუსში დაბრუნდა; ჩვენ ძველ ბინაზე წერილები და ამანათები დაგვიხდა. ერთი წერილი და ამანათი ვარლამისგან იყო, გვილოცავდა ახალ წელს, გვიგზავნიდა საახალწლო მოსაკითხსაც.

3 იანვარს დილით სამსახურის გამო ყარსში წამოვედი. ვამჯობინე, ჩემრიუკ – ვერიშანის გზით მემგზავრა. გზაში ბარდუსის მახლობლად ვარლამი შემხვდა, ბარდუსში მიდიოდა. მივესალმეთ ერთმანეთს. მითხრა, მიინდა ჩემი რაზმით ბარდუსში გადმოვიდეო, რომ ბრძოლის ველთან უფრო ახლო ვიყო; მეც ვურჩიე, რადგანაც ბარდუსში უფრო უკეთესად მოეწყობოდა მისი რაზმი და შესაფერ ბინასაც იშოვნიდა. ჩემრიუკი ნამეტნავი აოხრებული იყო, ხეირიანი სახლი არ მოიპოვებოდა; ბევრი ოსმალთ დაეწვათ და გაენადგურებინათ. ცნობა გვაქვს – მეთქი, ვეუბნებოდით ვარლამს, რომ ჩვენი დივიზია მალე ყარსში უნდა დაბრუნდეს დასასვენებლად და შენც წამოჰყევ მეთქი.

– თუ ამ მხარეზე ომი შესწყდება, რიღას მაქნისი ვიქნები, რასაკვირველია, დავბრუნდები და შემდგომ ოლთისაკენ წავალთ. ვფიქრობ, რომ ოსმალთ აქედან კიდევე შემოგვესევასო, – სთქვა ვარლამმა. მე ავუწერე მას კირ – კილისში ნახული საზარელი სურათი.

– შენ დივიზიაში ხომარ არის სახადიო, – მკითხა ვარლამმა.

– ჯერ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, მაგრამ უეჭველად ეს სენი თავს იჩენს – მეთქი და ამ მხრივ ყველას სიფთხილე გვმართებს – მეთქი.

– ბედს ვერ წაუხვალაო, – მითხრა და გამომეთხოვა.

აქ უნდა შევნიშნო, რომ ბარდუსის ალების შემდგომ, ჩვენი ჯარი ოსმალთს უკან გამოუდგა და უკვე მათ ტერიტორიაზე იბრძოდნენ. ყველა სამხედრო საავადმყოფო დაწესებულებანიც მათ თან გაჰყვა, მხოლოდ ერთიღა, ვარლამის რაზმის საავადმყოფო, დარჩა ჩემრიუკში, სადაც მახლობელ პოზიციებიდან იგზავნებოდნენ ავადმყოფნი და დაჭრილნი ჩვენიც და სხვისიც (მტრის), ტყვედ

ჩავარდნილი. აშკარაა, თუ კი ოსმალოს ჯარში მძვინვარებდა სახადი და ეს დღეს ყოველ ეჭვს გარეშეა, ვარლამ გელოვანის რაზმის სავადმყოფო მას ვერ ასცდებოდა. მეტადრე, რომ ბინა – სამყოფის ვიწრობის გამო რაზმის მსახურნი თავის ოთახში იწვენდნენ ავადმყოფებს. აი, ასეთ პირობებში მუშაობდა ვარლამი თავისი რაზმით; მხნედ ეწეოდა თავის რაზმით, თავის მეუღლეთაც კი კაცთმოყვარეობის მძიმე უღელს.

იმავე დღეს საღამოს **ვერიშანში** მოვედი. მთელი დღის მგზავრობამ, უგზოობამ, ყინვა – სიცივემ ძლიერ დამქანცა. ვერიშანში, როგორც წინეთ ვსთქვი, ვარლამის რაზმის განყოფილება იყო, რომელშიაც მუშაობდა ვარლამის მეუღლე **ნინო გიორგის ასული**. ძალიან მინდოდა მისი ნახვა. მივედი მათ ბინაზე. კნინა გარეთ დამხვდა, უბრალო ქურქში გახვეული, მარცხენა მკლავზე წითელი ჯვარი ჰქონდა, საპალნით სურსათსა და სხვა რამეებს აგზავნიდა სოფელ **ჩემრიუკში**. მისალმების შემდეგ ვარლამის კარგად ყოფნის ამბავი გადავეცი. დავათვალიერე მთელი შენობა. ცოტა ვიწროობა იყო; ოთახები მთლად სავსე იყო სურსათიანი ყუთებით, ტანსაცმლით და სხვა საჭირო ნივთებით; ორ დიდ ოთახში ავადმყოფთათვის ლოგინი იყო მოწყობილი. შიგ რომ შევედი, მოწყალეების და ავადმყოფს ფეხს უხვევდა, მუხლის სახსარი ჰქონდა დაშავებული. მოწყალეების და ეჭვში იყო, ბარძაყის ძვლის ბოლო არ იყოს გატეხილი, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა, თუმცა სახსარი კი ძლიერ გასიებოდა. სხვა დაჭრილი და ავადმყოფნიც ვნახე; ყველა თავს კარგად გრძნობდა და ძალიან კმაყოფილი იყო როგორც მოვლით, ისე საჭმელ – სასმელით. სჩანდა, რომ ყველა წვერი რაზმისა სინდისიერად და ღირსეულად ასრულებდა ნაკისრს მძიმე მოვალეობას. იანვრის ბოლო რიცხვებში **გუმბრში** თავ. **გენო ქობულაშვილი** შემხვდა (ისიც ვარლამის რაზმში მუშაობდა). გადმომცა, ვარლამი კარგად არის, ეხლა ყველანი ჩემრიუკში არიანო და მალე **ოლთისისაკენ** ვეპირებითო. იმედი მქონდა, რომ ვარლამს კიდევ ვნახავდი, კიდევ ერთად ვიმუშავებდით.

მაგრამ იმედი გამიცრუვდა... აღარ დასცალდა, ბედმა უმუხთლა ძვირფასს კუჭიკოს. საშინელმა სენმა უცებ შესწყვიტა მისი კეთილშობილი გულის ცემა, იმ გულისა, რომელიც გამსჭვალული იყო უზომო სიყვარულით, გმირული კაცთ – მოყვარეობით აღსავსე.

ძვირფასო მეგობარო ვარლამ, ნება მიბოძე იმ მრავალ ჯარისკაცთა სახელით, რომელთაც შენ ბრძოლის ველზე მწუხარების ოფლი მოჰხოცე, შშიერი იყო, – აჭამე, სწყუროდა – ასვი, შიშველი იყო – ჩააცვი, სციოდა და გაათბე; მინდა სამარეში მაინც ჩამოგძახო უღრმესი მადლობა. შენი სახელი ამათ მადლიერ გულში მარად წაუშლელი დარჩება. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, მოძმეთათვის თავდადებულო!

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 233.

### **ოლთისის მცხოვრებთა გასამართლება (საკ. კორესპონდენტისაგან)**

ამა წლის 27 ნოემბერს **ოლთისში** თურქესტანის საკორპუსო სასამართლოში გენერალ – მაიორის პ.ი. მანსვეტოვის თავმჯდომარეობით დაიწყო საქმე **ოლთისის ოლქის მაჰმადიან მცხოვრებლებისა: ჰუსეინ შაბან – ოღლისა, აკიფ – ახმედ ოღლისა, მმათა იზეტ – ბეი, მამუდ – ბეი ოღლი და სხვა, სულ 20 კაცისა**, რომელნიც სამართალში არიან მოცემულნი. მათ ბრალდებათ, რომ 1914 წლის დეკემბერს, როდესაც ოსმალეთის ჯარმა ოლთისი დაიჭირა და მერდენეგისკენ და ბარდუსისკენ წავიდა, ბრალდებულნი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ქვეშევრდომნი იყვნენ, მტრის მხარეს

გადავიდნენ,მათ რაზმებში ჩაეწერნენ, არსებითი დახმარება აღმოუჩინეს მტერს გზის ჩვენებით, სურსათ – სანოვავის გამოძებნითა და ხელში ჩაგდებათ. ბევრმა მათგანმა მტრისაგან მიიღო იარაღი და წინააღმდეგობა გაუწია რუსის ჯარს, ე.ი. ჩაიდინეს ბოროტ – მოქმედება, რომელიც აღნიშნულია 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების 108 მუხლში.

გამოწვეულია 98 მოწმე. ბრალდებულთ ბრალსა სდებს სამხედრო ბრალმდებელი პოლკოვნიკი ა.ი. **ტარაპევი**, იცავენ ნაფიცი ვექილის თანამემწენი **ი.ა. ტატიშვილი**, **ი.ლ. ჩერქეზიშვილი** და **პრაპორშჩიკი მ.ი.სავილოვი**.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915 წ.,№446, გვ. 3.

### **ვანო გამებარდაშვილი ქართველი ჯარისკაცის წერილი**

ჩვენი სათადარიგო დრუჟინა დაარსეს 1916 წელს. ამ წლის დამდეგს ჩვენმა კომანდირმა ბრძანება მიიღო, რომ ჩვენ უნდა წავსულიყავით ოსმალეთის ასპარეზისკენ, **ჰასანყალის** მახლობლად გზების საკეთებლად. მესამე როტა მოგვამზადეს თებერვლის ცხრამდის და 14 თებერვალს, საღამოს 10 საათზე წავედით ტფილისის სადგურზე. იქ ბაქანზედ დაგვაცენეს, და თითო ნახევარ ასეულს შეგხვდა ორ – ორი ვაგონი, ავედით და მოვთავსდით თითო ვაგონში ოცდა ხუთი ჯარისკაცი. როტის კამანდირმა გაგვაფრთხილა, ვაგონის კარები დახურული გქონდეთო. დილის 2 საათზე ნავთლუღის სადგურზე ვიყავით. აქედან დილის 10 საათზე გავემგზავრეთ **ყარსის** რკინის გზით.

დაიძრა ჩვენი საჯარო მატარებელი, მიდის, მაგრამ მძიმედ! გავიარეთ რამდენიმე სადგური და შევნიშნე რკინის გზის მარცხენა მხარეს თლილი შავი ქვით ნაგები შენობები. გარეშე პირები იდგნენ მახლობლად. იმათ ამიხსნეს, სპილენძის მადანის ქარხნებიაო. იქ მრავალი მუშა მუშაობს. მატარებელი მალე დაიძრა და აღარ დამაცალა გამოკითხვა. გზაში როტის კამანდირმა ჯამაგირები დაგვირიგა. ჩავედით **ალექსანდროპოლში**. სადგურებს ვუკვირდები: ყველგან ადუღებული წყალია მომზადებული ჩაისათვის, და ჯარისკაცი მიდის და მოაქვს ნადუღი წყალი და ჩაის იკეთებს. **ალექსანდროპოლის** სადგურზე დიდხანს გაჩერდა მატარებელი. მარცხენა მხარეს მრავალი ახალი შენობა არის აშენებული თლილი შავი ქვით. მინდოდა გულით მეკითხნა ვისთვისმე, მაგრამ არავინ შემხვდა. შეხედულებით ეტყობა, რომ სამხედრო საავადმყოფოდ არის მოწყობილი. ჯერ კი არა მოქმედობს.

მარცხნით ერევნის რკინის გზა მიდის. დაიძრა ჩვენი მატარებელი ყარსის გზით. თებერვლის თოთხმეტი არის, ცივა და თოვს. რამდენიც ყარსისაკენ მიდის მატარებელი, იმდენი სიცივე მატულობს, მატარებელი ზევით – ზევით მიდის.დაღამდა და მივახწიეთ **ყარსში**, გაჩერდა მატარებელი. მინდოდა ქალაქი გადამეთვალაიერებინა, მაგრამ დაღამდა და დროც არ იყო. ქუჩებზე ომხივარი იდგა სიცივისაგან. ცოტა რამ მქონდა სასყიდელი, ვიყიდე და დაიძრა კიდევ ჩვენი მატარებელი. დილის სამი საათი იქნებოდა, რომ **სარიყამიში** ჩავედით. გათენებამდის ვაგონებში გვეძინა; მერე რკინის – გზის მოსამსახურემ ჩამოიარა, გვითხრა, ვაგონები დაგვიცალეთო.

ძლიერ ცივოდა, დაგვეზარა ვაგონიდან გამოსვლა, მაგრამ რას ვიზამდით. მოვიკიდეთ ჩვენი ბარგი და გადმოვედით ბაქანზე. შევხედე სარიყამიშის მოწყობილობას. ცივი მთების შუაში არის გაშენებული; ვიგრძენი სუსხიანი სიცივე. იქნებოდა ოცდაექვსი გრადუსი. **ულვაშებზე ჩამოვიკიდა ორთქლისაგან ნაკეთები ყინულები, წვერებზედაც გარშემო ყინული მქონდა, ფეხები სიცივისაგან**



**დამიბუჟდა.** სხეულში მთლად დამიარა სიცივემ. მთელი ნახევარი დღე სადგურის მახლობლად გავატარეთ; მერე როტის კამანდირმა იშოვნა ერთი ცარიელი კაზარმა და მოგვათავსა იქ. ერთი დღე და ღამე ასე გატავარეთ. შემდეგ გვიბრძანეს:

– აიკიდეთ თქვენი ბარგი და ახლა კი ფეხით უნდა გაუდგეთ გზასაო.

მოვიკიდეთ ჩვენი ბარგი და გავუდექით გზას. ეს გზა გახლავთ **ყარაურგანის** ახლად ნაკეთები გზატკეცილი. მივდივართ გაყინულსა და თოვლიან გზაზე. ვისადილეთ **კალაგირში**, სადაც სარიყამიშიდან გადადის უღელტეხილის გზა. მთები სარიყამიშიდან პირველ დღეს ოცდათვრამეტი ვერსი გავიარეთ და მივედით **ყარაურგანში**, სადაც საღამომ გვისწრო.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წელი, №556.

**სანგანიძე**  
**(გრძელიშვილი ალექსანდრე (სანდრო)**  
**როგორ შევხვდით აღდგომას სამაჰმადიანო საქართველოში**  
**(მეგობრის წერილიდან)**

II

... ალბათ გეინტერესება, მეგობარო, **სამაჰმადიანო საქართველოში** როგორ შევეგებეთ ორი ქრისტიანი ქალი ქრისტეს აღდგომას. ჯერ უნდა მოგილოცო შენც ეს დღესასწაული, მაგრამ... – აღსდგა კი ქრისტე? – გეკითხები. არ იფიქრო, რომ სამაჰმადიანო საქართველოში რწმენა შემერყა და იმიტომ გეკითხები. არა! პირიქით, მტკიცე მორწმუნეთა შორის ცხოვრებამ მეც განმიმტკიცა ჩემი რწმენა. ერთი, პატარაობისას მახსოვს, რომ ასე აღტაცებით ვხვდებოდი ამ დღესასწაულს და მეორე – ეხლა. შენ არ იცი, როგორი განსაკუთრებული აღფრთოვანებით ვეგებებოდით მე და ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ქალი. **მთელ სოფელში ორად ორი ადამიანისთვის აღდგომა თენდებოდა და დიდი უქმე...**

დიდი სურვილი გვქონდა სააღდგომო წირვა მოგვესმინა. ჩვენს ახლოს არის პატარა სოფელი, სადაც ბერძნები მოსახლეობენ. იქ 15 კომლი ბერძენია და წარმოიდგინე, მეგობარო, **ეკლესიაც აუშენებიათ თავიანთთვის და სკოლაც (არა გვგვანებთან ქართველებს!)**... აი, შევღებეთ კვერცხები, დავამზადეთ ყველაფერი სახვალიოდ. მეზობლები ცნობისმოყვარეობით გვადევნებენ თვალყურს და ყველაფრის მნიშვნელობასა გვეკითხებიან. უხარიათ, რომ ჩვენ დღესასწაულს ისე ვხვდებით, როგორც ეს საყოველთაოდ არის მიღებული. ის რომ გაიგეს, რომ ეკლესიაში უნდა წავიდეთ, უფრო მეტად აღფრთოვანდნენ. ალბათ, იფიქრეს:

– **სწავლას, განათლებას არ გაუგიაურებია ესენი; არ გაურწმუნოებიაო.** ჩვენ კი გვერიდებოდა, ვაი, თუ ჩვენი საქციელით მოძმეთა შორის სხვა გრძნობა უნდა გამოგვეწვია...

მე და ჩემი მეგობარი ვეწვიეთ № – ს მასწავლებელს. ცოლშვილიანად ისიც უნდა წამოსულიყო... ჩაიზე გავედით... დრო გასულიყო...

უცებ მოგვესმა ეკლესიის ზარის ხმა. შევკრთი... მოულოდნელი იყო, მეორეც ესა **სამაჰმადიანო კუთხეში, რომ ეკლესიის ზარის ხმა გესმის, რაღაც სულ სხვა გრძნობას განიცდი.**

– არ გაგონდება „ღალატი“? ზარს რომ ჩამოჰკრავენ!.. შევყვირეთ ერთმანეთს მე და ჩემმა მეგობარმა. რაღაცა იღუმალი იყო იმ ხმაში ჩამარხული... შევემზადეთ უმაღ და გამოვედით სახლიდან. ჩვენ ვიყავით წყალ გამოღმა, ეკლესია კი წყალ გაღმა იყო, მაღლობზე. ხიდი გვაქვს გასავლელი და ისიც როგორი ხიდი? იმ სიბნელეში იგი ჩვენთვის ბეწვის ხიდი იყო სწორედ და

არ ვიცი, როგორ გადავიდოდით, რომ ბერძნებიარ შეგხვედროდნენ გზაში სანათურითა. როგორც იყო გავედით გრძელ, ვიწრო ხიდზე... ერთმა რუსის დედაკაცმა იოხუნჯა – ну, слава Богу, перешли Чертовъ мостъ!“ – ო...

შევუდექით ვიწრო ბილიკს, ქოქინით ავედით მაღლა, სულ მაღლა... იქ იყო ეკლესია. ხალხი ჯერ არ იყო მოსული... ეკლესია, როგორც გწერდი, პატარაა, მაგრამ ლამაზი, მშვენიერი ეზო და გარშემო გრძელი მესრები. დავეშვით სკამზე. საუცხოო სანახაობაა. **ცა მოკრიალებულია და ხომლად ჩამოკიდებული ციმციმა ვარსკვლავები იღუმალეებით უშვრებიან ერთმანეთს თვალსა...**

**სიოსაც ჩაუკვცია მუხლი, მოუსვენია და დუმილი გამეფებულა ირგვლივ.** მხოლოდ ზარის რეკა არღვევს სიჩუმეს და მდინარის დაუდგრომელი შხუილი... ნელ – ნელა გამოჩნდება აქეთ – იქიდან ჩირაღდნები. ეს მლოცველნი ეშვებიან დაბლა... აგერ ქვევიდანაც შემოუდგნენ აღმართს ნელ – ნელა. სინათლე ხან გამოჩნდება ხეებში, ხან მიიმალეობა... და თვალწინ გიდგება ის ხანა, როცა ქრისტიანობასა სდეენიდნენ და მორწმუნენი მალულად იკრიბებოდნენ კატაკომბებში...

ვერ აგიწერ, რა საიდუმლოებით იყო ყველაფერი ეს მოცული... ვიჯექ გაქვავებული... **ხან სიამე შემომკოცნიდა, ხან სევდა შემისვამდა თავის შავ ფრთებზე, მაღლა – მაღლა მიტაცებდა და ნაღვლიანი ვუყურებდი მშობელ ქვეყანას სისხლით, ცრემლით, ურვით განზანილს...** გვეინტერესებოდა რომელ ენაზე იქნებოდა წირვა. გავიგეთ – ბერძნულზეო; რუსი ნატრობდა – რუსულადა ყოფილიყო, ჩვენ კი გვინდოდა, „ქრისტე აღსდგა“ მაინც ქართულად მოგვესმინა. ქართულადაც დავაპირეთ გალობა... რუსებმა ბურტყუნი დაიწყეს – «каждый хочет по своему» – ო. გვიან გაგიგიათ მეთქი, ვფიქრობდი გულში...

შევედით ეკლესიაში. ჩემს დიად განცდას ფრთები შეეკვცია. **ბერძნულმა წირვამ ჩემს გულსა და სულს ვერაფერი უთხრა.** ვიდექი და მლოცველთა სახეზე მაინც მსურდა ამომეკითხა ის, რასაც განვიცდიდი მე, რომ მხდომოდა წილად ბედნიერება და ქართულად მომესმინა აღდგომის წირვა... მაგრამ მათი სახეც უტყვი გამოდგა ჩემთვის. ერთი, სიტყვით უცხო ენაზე მოსმენილი წირვა მდულარესაებრ გადაესხა იმ აღფრთოვანებას, ეკლესიაში შესვლამდე რომ განვიცდიდი...

გაათკვეცებულად ვიგრძენ, რა ყოფილა სამშობლო ენა... მსწრაფლ წარმომიდგა თვალწინ იმ ერის მდგომარეობა, რომლის ენა შეზღუდულია და გარემოებათა წყალობით, სასას მიკრული. ისევე გარედ ყოფნა ვამჯობინე. მთვარემ არ მოინდომა ჩემი მარტოობა და ხელად ამოცურდა მაღალი მთის თხემიდან... შურით შევცქეროდი მე ღამის გუშავს, რომ ის ერთდროულად ესწრებოდა იქაც, სადაც „ქრისტე აღსდგას“ ჩემს მშობლიურ ენაზე ჰღაღადებდნენ...

ბევრმა ფიქრმა გაირბინა ჩემს გონებაში. ყველას ვერ გადმოგცემ... ამას კი გეტყვი, რომ შესავალი მეტად აღმაფრთოვანებელი იყო, შინაარსმა არამც თუ გააცხოველა ეს აღფრთოვანება, პირიქით, ერთგვარი უკმაყოფილებაც დამძიმდა, დასკვნა შემდეგი იყო:

**უდიდესი რელიგია ყოფილა დედის ძუძუსთან შეთვისებული ენა... უკანასკნელის დახმარებით შეიძლება ყოველნაირ რწმენის განმტკიცება თურმე... და უფრო მწვავედ ვიგრძენ, როგორ არს ჯვარცმულ ჩემი რელიგია – ჩემი ენა... სევდიანად მიმოვავლებდი თვალს არე – მარეს... სიოს თითქოს ფეხი აედგა ნაზად, ფრთხილად მიკოცნიდა გახურებულ შუბლს, მთვარის ყვითელ სხივთა ზღვაში ბანაობდა ყველაფერი,, ყვავილთ სუნნელება ცად აღეკმევოდა და ბერძნულ „ხრისტოს ანესტი!“ – ს სიო სივრცეს უზიარებდა...**

---

\*ჩემი მეგობარი ყოფილი დასელია. ერთ დროს იმ ისლამზეც ეწერა მსხვილი ასოებით: „სადაც მე ლუკმას შევჭამ, ჩემი სამშობლოც არის, რა ენაზეც გავაგონებ ჩემს აზრს სხვას და სხვისას მოვისმენ, ის არის ჩემი სამშობლო ენა“-ო.

„ქრისტე აღსდგა!...“ მომესმა ქართულად მეგობრის ნელი ხმა; გულის სიმებზე სიხარულით და თან ნაღველით შეიწვრიალა ამ ორმა სიტყვამ... თვალს ცრემლი მომერია და გულმა სევდიანი ამოიძახა: ქრისტე აღსდგა, მაგრამ როდის აღსდგება ჩემი ქვეყანა?!...

და მეც გეკითხები, მეგობარო, როდის, როდის აღსდგება სამშობლო ჩვენი?!..“

გაზეთი „სახალხოფურცელი“, 1916 წელი, №556.

**შენიშვნა:** ეს სტატია, მანქანაზე ნაბეჭდი, არქივში შენახული იყო საქართველოს რუკაში გახვეული, წარწერით: „ღმერთმა გიკურთხოს, ავტორო, შენი ლამაზი ქართული“ – 1917 წელი, 18 ივლისი, შალვა ვარდიძე.

### **დათიკო ნიკოლოზის ძე დოღობერიძე ნერილი სოფელ იჯლისიდან (ქალაქ აზრუმის რაიონი)**

სოფელი **იჯლისი**, რომელიც მდებარეობს ქალაქ აზრუმიდან დასავლეთის მხრივ, ამჟამად სავსებით დაპყრობილი აქვს რუსის ჯარს.

ეს სოფელი, როგორც საზოგადოდ ოსმალეთის სხვა ახლო – მახლო მდებარე სოფლები, მდიდარია საქონლით და ხორბლით. აგრეთვე ბუნებრივი ცივი და ცხელი წყლებით.

სოფელს შუაგულში მოწყობილი აქვთ მშვენიერი აბანოები, რიცხვით სამი. პირველი დიდია როგორც სიგანით, აგრეთვე სიმაღლითაც; მეორე მისი უმცროსია. მხოლოდ წყალი 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> არშინზე არის მიწიდან ამოწეული. მესამე კი პატარა არის. როგორც აქაც მცხოვრებლები ამბობენ, ეს აბანო მარტო ქალებისათვის და ბავშვებისათვის ყოფილა წინად. დღესდღეობით ძლიერ სარგებლობას აძლევს მხოლოდ მებრძოლ რუსის ჯარს. დღითიდღე, რამოდენიმე ათასი კაცი ასწრებს სავსებით ჭუჭყისაგან გაწმენდას. აბანოს ახლავს გვერდით საგანგებოდ გაკეთებული მილები, ნახვრეტები, საიდანაც თანდათან გადადის ჭუჭყიანი წყალი. მისი დაშორებით, თითქოს ნახევარ ვერსზე აშენებული არის უსუფთაობის მოსასპობად და გასაწმენდად წყლის აუზები. ამის თავზე კი მრავალი ჯარისკაცი ირეცხავს თავის დაწვირიანებულ საცვლებს თუ სხვას.

სოფლის გარშემო კი მოჩხრიალებს მთიდან ჩამოვარდნილი ცივი წყლისაგან შეგროვილი მდინარე, რომელიც სავსე არის **სხვადასხვა ჯურის თევზით**. სჩანს ოსმალოებს არა ყვარებიანთ მისი ნადირობა და სარგებლობა, რის გამოც ჩვენი ჯარი ფუთობით იჭერენ ყოველ დილა – საღამოობით. სოფლის შემოსავალში და დასასრულს, აშენებულია ლამაზი სოფლური – ოდის მსგავსი წისქვილები, სადაც ამჟამად იფქვება ადგილობრივ მოყვანილი ხორბალი. მშრომელი ხალხია, ემჩნევთ **ოსმალო მცხოვრებლებს**; მხოლოდიგიც სჩანს, რომ საბრალეობი დაბეჩავე-ბულნი არიან უსწავლელობით და უტეხნიკობით. **არ მოიძებნება ისეთი გლეხი, რომ საქონელი ასი სული არ ჰყავდეს; ხარი, კამეჩი, ცხვარი, თხა, ძროხა, ცხენი, ვირი და სხვა.** ამიტომაც ძლიერ მამდარი არიან რძით, მაწონით, ყველით და ერბოთითაც. ეშოვებათ კვერცხიც ბლომად, მაგრამ ამ ომიანობის დროს დიდი ფასი დასდებია. რძის და მაწონის ფასი კი მცირეა, რადგანაც ბევრი იშოვება. მაგალითად, ჯარისკაცის პატარა ქვავს, რომელშიაც ათი ჭიქა თამამად ჩადის, იშოვით 30 – 35 კაპეკად დღეს, წინად – 10 – 15 კაპ.; მაწონი თითქმის ისევე ფასობს. სოფელში გზა გაყვანილია **აშკალასაკენ** და **მამახათუნისაკენ**, სადაც ახლა ბრძოლაა. მოგზაურები სოფელში შეისვენებენ ხოლმე. მრავალი ჩამოდის ქალაქ არზრუმიდანაც, ქალები, ექიმები და ტრანსპორტში მოსამსახურეები. სულ არზრუმიდან პირდაპირი გზა არის და 16 – 17 ვერსი იქნება.

სოფელში აშენებული არის ბერძენთა ეკლესია და მის გარშემო შემოშენებული არის მაჰმადიანები. ეკლესიაც ძველებური წესით არის მოწყობილი. ეკლესიას არც ჩვენებური გუმბათი აქვს. იგი ოთხკუთხია და შუა ალაგზე აღმართულია მართლმადიდებლობის ნიშნად მოგრძო ჯვარი ფოლადისა. ხსენებულ ეკლესიაში, რაც ეს სოფელი რუსის ჯარს უკავია ხელში, ყოველ უქმი დღე, დილა – საღამოს წირვა – ლოცვა, რუსულ და ბერძნულ ენაზეა.

გამვლელი თუ მოგზაური პირველ შეხედვით ვერავითარ კარგ შთაბეჭდილებას ვერ გამოიტანს, მხოლოდ როცა თანდათან დააკვირდები და შიგ დაათვალიერებ, დარწმუნდები, რომ აქაც ხალხი მკაცრი დესპოტიური მართველობის ქვეშ ყოფილა. მაგალითად, ასეთ მდიდარ სოფლებში, ვერსად ნახავთ სკოლას. შენობები აშენებული არის მეტ ნაწილად სალოცავად და საცხოვრებლად; არსად არ არის რაიმე საზოგადო, თუ სულიერ მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი დაწესებულება, სამკითხველო, თეატრი, სკოლა. ამისთანა თითქმის არც ქ. არზრუმშია რამე.

ამ სოფლებში დღეს მოწყობილია უფასო საჩაიე და სასადილო დაჭრილი ჯარისკაცებისათვის და საექიმო დახმარება წითელი ჯვრის და ქალაქების კავშირის სახელზე.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., №589.

### ქართველები ჯარში

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქართველ ჯარისკაცების სახელით დათიკო ნიკოლოზის ძე ლოლობერიძეს, რომელიც დღესდღეობით ძვირფასი ამხანაგი შეიქმნა ჩვენთვის, როგორც ჩვენ პოლკში, აგრედვე, სხვა ნაწილში მყოფ ქართველებისათვისაც. ვუსურვებთ ყველა აქ მყოფი ქართველები მას დღეგრძელობას და ვუცხადებთ ჩვენ გულითად მადლობას.

ქართველ ჯარისკაცთა მონდობილობით პორტ. შენგელია, ვ. ისაკაძე, ივ. ჭანკვეტაძე, გ. ნიკოლეიშვილი რ. სირბილაძე, გ. გაბადაძე და სხვ.

ჩვენი ადრესი: Кавк. Д. арм. 15 Бакинск. полкъ. რ. სირბილაძე.

\*\*\*

ბ – ნო რედაქტორო! ჩემი ძმა ლავრენტი ალექსისძე ლოლაძე მსახურობდა კავკასიის ქართველთა მსროლელთა პოლკში 3 როტაში 2 ზვოდში. ხუთი თვეა არა ვიცით, მკვდარია თუ ცოცხალია; ვთხოვთ ყველას, თუ რა იცის, შეგვატყობინოს თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით.

ქ. ტფილისი, ანტონოვის ქუჩა, სახლი № 37, ოლა მირზოევისა.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, № 589, 1916 წელი.

### იაძე (რუხაძე ილია) დახმარება ქართველ მაჰმადიანებს (ვუძღვნი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას)

ოსმალოს ჩეტნიკების დახვეის შემდეგ, როდესაც რუსის ჯარმა უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი აჭარაში, ნელ – ნელა იწყეს დაბრუნება გახიზნულმა ქართველმა მაჰმადიანებმა. სწორედ ამავე დროს ამოძრავდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და საქმიანობას შეუდგა. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ამ დახმარებამ დაზარალებულნი ფეხზე დააყენაო.

ყველაზე მეტად გახიზნულ – გაქცეულები უბრუნდებოდნენ გაოხრებულ კერას თებერვალ – მარტში. ბრძოლის პირი უკვე შორს იყო წაწეული და ხალხს დარბევა აოხრების შიში უკვე აღარ ჰქონდა. სამაჰმადიანო საქართველოში გამართულ საავადმყოფო – საკვებ პუნქტებს მრავლად ეტანებოდა ხალხი. სამწუხაროდ, ისინი ამ დროს ეკუთვნოდნენ ან „წითელ ჯვარს“ ან **ერობათა კავშირს** და ან **სამხედრო უწყებას**. ყველა ეს ორგანიზაცია ემსახურება სამხედრო უწყებისა და მხედრობის ინტერესებს და ცხადია, ადგილობრივ მცხოვრებთათვის ვერ მოიცლიდნენ. თუ რომელიმე საკვები პუნქტი მათ სანოვანს მიაწოდებდა, ანგარიშში უნდა გაეტარებინა, როგორც გამოკვება მხედრებისა. დამწეულ გამოქცეულთა გაჭირვება კი საშინელი იყო და ძალაუნებურად იპყრობდა ყურადღებას. ზოგიერთი ხელმძღვანელი ყურადღებას აქცევდა მათ, პირადი გულკეთილობით, ზოგნი – კი იმ საშიშროების გამო, რომელიც მხედრობასაც მოელოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივრულ გამოქცეულებში რომელიმე სენი გამძვინვარდებოდა.

მიაქცია ყურადღება გამოქცეულთა მდგომარეობას, აგრეთვე, ერობათა კავშირის **მელოს** (სოფელიმელო, ისტორიულ **ტაოშია**) წარმომადგენელმა ფ. **უშაკოვმა** და ექიმმა ქალმა **ტრენსკინამ**. კარგა ხნის განმავლობაში ისინი საკუთარი პასუხისმგებლობით ურიგებდნენ გამოქცეულთ პურს, მაგრამ მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა და 9 მარტს ბათუმის რწმუნებულმა მიიღო შემდეგი დეპეშა: გაქცეული ოსმალონი (უნდა ვიგულისხმოთ ქართველი მაჰმადიანები), რომლებიც მელოთი ბრუნდებიან, აუტანელ პირობებში იმყოფებიან. ჭუჭყიანები, მშიერ – მწყურვალნი და ჩაუცმელნი სხვადასხვა გვარი ეპიდემიის ბუდედ გადაიქცევიან. საჭიროა ჩქარი და საკმარისი დახმარება, როგორც კვებით ისე ექიმობით. ხელს აწერდა ექიმი ქალი **ტრესკინა**. იმავე დღეს **მელოს** საკვები პუნქტის გამგის დეპეშა იუწყებოდა: გუმინ მოვიდა ჯგუფი ახალი გაქცეულებისა. მშიერები არიან, მდგომარეობა კრიტიკულია. საჭიროა ჩქარი დახმარება, საკვები პუნქტი ყველას ვერ გამოკვებავს“.

მდგომარეობა ყოველდღე რთულდებოდა და უარესდებოდა. მელოს წარმომადგენლებიც გონებას ჰკარგავდნენ, უფროდაუფრო სასოწარკვეთილებას გამოჰხატავდნენ. „მელოში დაბრუნებული მშიერი ბებრები, ბავშვები და ქალები პურს თხოულობენ. „ვაკმაყოფილებთ შეძლებისდაგვარად“ – იტყობინებოდნენ მელოდან.

მათი სიტყვით, მოდის 500 სულისაგან შემდგარი ჯგუფი, ყველა თითქმის შიშველი. 11 მარტს მელოს საკვებ პუნქტს უკვე პური შემოაკლდა. გამოქცეულები უიმედოდ გარს შემოხვეოდნენ ამ პუნქტს და უნუგემოდ შეჰყურებდნენ სიმშვილისა და ტირილისაგან დასუსტებულ ბავშვებს.

**მელოდან** გვატყობინებდნენ: „300 გამოქცეული საკვებ პუნქტს არ შორდება. სიმშვილით შეწყუბულნი, საჭმელს თხოულობენ. მოსალოდნელია კიდევ დიდი ჯგუფების მოსვლა, **პური** და **სუხარი** გამოიღია“.

ასეთივე უნუგემო წერილები და დეპეშები მოდიოდა **ართვინიდან**, საიდანაც ტრანსპორტის უფროსი ატყობინებდა გამგეობას, რომ ხალხი სიმშვილისაგან ავადდება და კვდებაო.

30 მარტს **უშაკოვის** დეპეშა ამბობდა: „სანამ ვალდებული ორგანიზაციები მოაწყობდნენ გამოქცეულთა გამოკვებას მელოში, ერთობათა კავშირი იძულებულია მიაწოდოს მათ საჭმელ – სასმელი. ყოველ დღე ეძლევა დახმარება 390 ქალს და ბავშვს (მამაკაცებს საჭმელი არ ეძლეოდა). ვურიგებთ გრეჩნევიას კრუპას, პურს და ლობიოს“.

ამავე დღეს გამგეობამ მიიღო მისგანვე ვრცელი მოხსენება, რომლის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა გამოქცეულთა გამოკვების საქმეს: „**საკვები პუნქტი 11 მარტიდან**, ვკითხულობთ: **ემსახურება მხოლოდ გამოქცეულებს, რადგანაც მხედრები აღარ არიან**. ხვალ 29/II – ს პური გამოგველევა...“

თითო კაცს ვაძლევთ 1<sup>1/2</sup> გირვანქა პურს დღეში. 27 და 28 მარტს პურს ვურიგებდი პირადად მე უზარმაზარ ჯგუფ დამწეულებისას, რომელიც მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისაგან შედგებოდა. შესაცოდებელი და სამწუხარო სურათია. ორასორმოცდაათი ბავშვი აგზნებული თვალებით მორჩილად სდგანან გრძელი რიგით და მოუთმენლად მოელიან, როდის ეღირსებათ ნაჭერი პურის მიღება. უმეტესობა მელოს მკვიდრია, მაგრამ მოდის მრავალი გამვლელიც. განკარგულება მივეცი 29 – ს მისცეს თითოს <sup>3</sup>/<sub>4</sub> გირ. წითელი ლობიო და თითო გირვანქა პური...

გამოქცეულთათვის საჭიროა არა საკვები პუნქტის მუშაობა, არამედ, ჩქარი სასურსათო დახმარება, ომისაგან დაზარალებულთა დამხმარე საოლქო კომიტეტისა ან ქალაქთა კავშირისა, რომელნიც იმდენ მზრუნველობას უჩენს სომეხ გამოქცეულებს... თუ არა ჩვენი საკვები პუნქტი, არ ვიცი რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ განაწამები ბავშვები. ეხლა მცირეოდენი ნუგეში მაინც არის, როცა ხედავ როგორ ჩქარა, ბავშურად ივიწყებენ მწუხარებას და მხიარული სახეებითა და ხარბი მომლოდინე თვალებით ტრიალებენ პუნქტის მახლობლად, როგორც კი მოახლოვდება კერძის დარიგების დრო. სანამ თანდებული ორგანიზაცია მოჰკიდებდეს ხელს მათ დახმარებას, ერთობათა კავშირი, რომელიც პირველი შეხვდა მათ გაჭირებას მზა – მზარეული ორგანიზაციით, ვერ ეტყვის მათ უარს და საკვები პუნქტი ვალდებულია ყოველ დღე მიაწოდოს საჭმელი“...

„სამწუხაროდ, ერობათა კავშირის დაწესებულებამ მელოში და ართვინში ჯარის წინ წაწევით, ტრაპიზონის ალების შემდგომ, თავისი მნიშვნელობა დაკარგა და დაწესებულებანი 7 აპრილს დაიხურა. 7 აპრილს უკანასკნელად დაურიგა კავშირმა პური გამოქცეულებს, მისცა წინადადება ქალაქთა კავშირს, მათი ალაგი დაეჭირა და ადგილიდან აიბარგა. 11 მარტიდან 7 აპრილამდე ერობათა კავშირის საკვები პუნქტები ეხმარებოდა შემდეგი სოფლების მცხოვრებთ: მელო, ცოვარი, ჩილჩიმი, ხუმხალა, ბინათი, ნუსუნჯური, ბელაძარი, ნიგზოვანი – 1404. შედგენილია 30 აპრილს“.

რეგისტრაცია ამ დროს მხოლოდ დაწყებული იყო. ამ ნაწილში ირიცხებოდა 80 სოფელი. ეს 8 სოფელი უფრო ახლო მდებარეობს მელოსთან და გზების მიმართულებით უკავშირდებიან მას.

მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი მელოს არ შორდებოდნენ, რადგანაც გაოხრებულ სოფლებში სიმშლით სიკვდილი მოელოდათ. 11 მარტიდან 7 აპრილამდე საკვებმა პუნქტმა მიაწოდა დახმარება 13875 სულს.

ურიგებდნენ უმეტეს შემთხვევაში პურს, „გრეჩევაია ქაშას“ და ლობიოს.

როგორც ცხრილიდან დავინახავთ, დახმარება არ თუ არ უნდა შეწყვეტილიყო, უფრო უნდა გაძლიერებულიყო, მაგრამ ზემო მოყვანილი მიზეზებით მოისპო. ამავე ხანებში ე.ი. თებერვალის მიწურულში, ერობათა კავშირის დაწესებულებანი ნელ – ნელა იწევდნენ წინ ზღვის ნაპირით. განვლეს მთელი ლაზისტანი და მარტის 18 რიცხვში ჩავიდნენ რიზეში. მოწინავე ლაზარეთის უფროსი ექიმი იყო კ.კ., როგორც ყოველი გენერალი, არის ადამიანი „მარჯვენა“ რწმენისა და ბედის გერებს – „ვიდაც“ ქართველებს, ლაზებს და სხვა სიმყრალეს („პროჩაია სვოლოჩს“) უყურებს, როგორც მტერს, რომელიც რაც უფრო გაწყდება, მით უკეთესია.

... მიდიოდა ის თავის ლაზარეთით და აოხრებული სახლ – ჯამეების ხილვით სიამოვნებას გრძნობდა. ხშირად მის თვალ – წინ თითქოს უსამართლობაც ხდებოდა, მაგრამ უსამართლობას ჩადიოდნენ მოსამართლენი ე.ი. მხედრები, ე.ი. ლაზები და სხვა გასაწყვეტი ელემენტი. წარჩინებულნი პირები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი მოსაზრებით, უსამართლობაც სამართლიანი და სასარგებლო იყო. ამიტომაც მოხდა, რომ უფროს პირებთან მომხდარმა ინციდენტმა, როგორც ხუმრობამ ჩაიარა.

ერთხელ ერთ – ერთ ჩვენს ე.ი. რუსულ საქველმოქმედო ორგანიზაციას ხორცი დასჭირდა. მგზავრობის დროს, დაღამებისას, გაჩერდნენ ერთის „თურქის“ – ლაზის სახლში. სოფლის სახელი

ადარ მახსოვს. ლაზს ძროხებიცა და ცხვრებიც ჰყავდა. მართალია, სულ ხუთი სული, მაგრამ მაინც ხორცი იყო. რადგანაც დაწესებულება საზოგადოებრივ ორგანიზაციას ეკუთვნოდა, პირდაპირ არ წაართვეს: – სთხოვეს 2 მანეთად მოგვეყიდეო. პატრონი უარზე იდგა. შეამლიეს ოთხი მანეთი... არ დასთანხმდა. მაშინ სამართლიანობამ გადააწყვეტინა ორგანიზაციის წარმომადგენელს გაიძვერა „თურქისაგან“ ძროხა უფასოდ წამოეყვანათ. ლაზმა მადლობა გამოუცხადა, რომ ძროხის მაგიერ სიცოცხლე არ წაართვეს და მხოლოდ ძროხა წაიყვანეს.

აი, ასეთი ხელმძღვანელები მიდიოდნენ უმეტეს შემთხვევაში ყოველი ორგანიზაციის სათავეში მხედრობის უკან.

მართალია, ბევრად უკეთესი იყო ბატონი ვ., მაგრამ **თურქ – ლაზებს ისიც გასაწყვეტ და მავნებელ ცხოველებად სთვლიდა** და ადამიანის გული კაჟი არ არის. იმ მხეცსაც კი შეიცოდებს ხოლმე ხანდახან. გასაკვირი არ არის, რომ ლაზების აუტანელმა მდგომარეობამ ბ.კ. შეაძრწუნა და შეაწუხა.

მართალია, ეს უცებ არ მომხდარა, მაგრამ მაინც მოხდა.

უმეტესობა სოფლელებისა სახლში იჯდა. უმცროსობა ტყე – მთებში გახიზნულიყო. ვაჟკაცობა ფადიშაჰის რაზმებში იყო. მოსულმა მხედრობამ ყველაფერი აიკლო და ააოხრა. რა არის ხეები, ისიც კი დაჩხეს და გააფუჭეს. სახლის თავებზე ჩარდახებზე და საკუჭნაობებში შენახული თხილი დაიტაცეს, ფორთოხალი უმი რომ მოსწყინდათ, შეწვა დაუწყეს, იქნებ უფრო გემრიელიაო. ოჯახში კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა მოშიებულ მხედრების მოსვლა და ქალები შორს გარბოდნენ, რადგანაც მოსულნი საჭმელს არ კმაყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ ჩადრს – ქვეშ ქალების სახე ენახათ...

ადარ დარჩა მცხოვრებლებს სასმელ – საჭმელი. დაიმშა მხარე, გაუპატიურდა ქალები. ატირდა მხარე...

ხალხმა იმედი დაჰკარგა... არსაით იყო იმედი და სასოწარკვეთილნი, თავმოყვარეობა – პატივახდილნი, ისინი ან უნუგემოდ გაბრუებულნი მოელოდნენ მომავალს ან არა და, ჯამეში პირქვე ეგდნენ.

ასეთი მდგომარეობა იყო რომ ბ.კ. სწერდა დეკემბით ორგანიზაციას: „მდგომარეობა აუტანელია. ხალხი სიმშობისაგან იხოცება. ეპიდემია ვრცელდება. დამშეული ბავშვები სიბინძურეს სჭამენ. საჭიროა ჩქარი და კორდინალური დახმარება“. **არხავედან, პირონითიდან და ვიწედან** ის დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა: „გთხოვთ სუხარი და ლობიო გამოგზავნოთ გამოქცეულთა დასაკმაყოფილებლად, მდგომარეობა აუტანელი და სამძიმოა“.

ხალხს აკლდა მარილიც.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №665, 1916 წ.

**კარი მესხეთე**  
**სტამბოლის ქართული საჰანის**  
**ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი**





**დავით ჩიქოვანი**  
**სტამბოლის ქართველთა ცხოვრებიდან**  
**(საკუთარ კორესპოდენტისაგან)**

როცა სტამბოლის ქართველ საზოგადოებაზე ვიწყებთ ლაპარაკს, უპირველეს ყოვლისა, მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, თუ რა ჯურის საზოგადოებაა ეს ქართველობა? რაა მისი დამახასიათებელი თვისებანი? რა იდეით სულდგმულობს და სხვა.

უნდა მოგახსენოთ, რომ შეკავშირებული საზოგადოება მთელ აქაურ საზოგადოებისა არ არსებობს. რიცხვი მრავალია, მაგრამ შეერთებულნი არ არიან; არის შეკავშირებული საზოგადოებაც, მაგრამ მცირე რიცხოვანი და იმასაც ასე თუ ისე შემთხვევითი ხასიათი აქვს.

რაც შეეხება ქართველთა რაოდენობას, გადაჭრით ვერას ვიტყვით, ვინაიდან ამისი სტატისტიკა არ არსებობს; ხოლო ჩვენი დაკვირვება – გამოკითხვით – ქართველობა სტამბოლში იქნება 7,000 – 10, 000 – მდე. ამათში ქრისტიანები მეტად მცირე რიცხვია, ასე რომ – სულ შესდგება დედათა მონასტრისაგან (**16 მონაზონია**), ძმათა მონასტრიდან (**18 სული**), ათიოდე ახლად გადმოსულ ახალგაზრდისაგან, თხუთმეტიოდე ცოლშვილიანისაგან, რომელთა უმეტესობაც უცხო ერის ქართველები ჰყავთ ცოლად. ესენი, რასაკვირველია, ვერ არიან ორგანიულად შეკავშირებულნი ქართველ საზოგადოებასთან. აქ თუ არსებობს საზოგადოება მხოლოდ მონასტრის გარშემო. **მონასტრია ბუდე ყოველი საზოგადოებრიობისა ქართველთა შორის**. ამიტომ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ გარემოებამ მათ არგუნა დიდი როლი: **შეერთება ქრისტიან და მაჰმადიან ქართველობისა!** აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ ქართველობა უეჭველად იწევს გაერთიანებისაკენ და თუ მონასტრებიც ისარგებლებენ და ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ, უეჭველად დიდ ნაყოფს მოიმკიან. განსაკუთრებით ძმათა მონასტერს შეუძლიან დიდი სარგებლობის მოტანა, რადგან ამისთვის აუცილებელი პირობანი – განათლება და ნივთიერი მდგომარეობა ხელს უწყობენ. რამდენადაც **ძმათა მონასტერი** ღონიერია ნივთიერად, იმდენად **დათა მონასტერი სუსტია**. პირველთა აქვს **2 სკოლა**: პატარა ქართული სემინარია და უცხოთა ფრანგული სასწავლებელი. დებს აქვს ორი ქალთა – ფრანგული სასწავლებელი – ერთი **სტამბოლში**, მეორე – **დარდანელთან**, მონასტრები სამისიონეროა და, რასაკვირველია, რომის პროპაგანდა მფარველობს, დღევანდლამდე მათი მოღვაწეობა იყო თითქმის მხოლოდ სარწმუნოებრივ ფარგალში, ერისთვის მათ განსაკუთრებითი არა შეუმატნიათ რა, რაც აიხსნება მრავალის მიზეზით. ერთი უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი უეჭველად იყო წარსულ წეს – წყობილების დუხჭირობა. **ძველ ოსმალეთში** მათ არ შეეძლოთ ფართოდ მოქმედება, ხოლო **განახლებულ ოსმალეთში** კი მრავალი ხელშემწყობი პირობებია. დღეს თავისუფლად შეიძლება ყოველივეს გაკეთება, დღეს ქართველობას არ ჰზღუდავს სარწმუნოებრივი ფანატიზმი ისე, როგორც ძველად იყო და ამიტომაც სანატრელია აქ საქმის გამკეთებელი და გულშემატკივარი!

გარემოებამ ასეთი დიდი როლი არგუნა **ჩვენს მონასტრებს** და ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ ყოფა – ცხოვრებას; ცუდში – ვამხილოთ, კარგი – მოუწონოთ; საცა დახმარებაა საჭირო, დავეხმაროთ და საქმეშიც წავახალისოთ. ძმათა მონასტერი ამ ხანად რაღაცგამოურკვეველ მდგომარეობაშია. ახლანდელ თაობას მონასტრისას ჰსურს გააფართოვოს სამოღვაწეო ასპარეზი; არ კმაყოფილდება მარტო საეკლესიო საქმიანობით და ჰსურს მხურვალე მონაწილეობის მიღება ფართო ეროვნულ საქმეებშიც. ახლანდელმა თაობამ დაუწუნა ძველებს მოქმედების გეგმა და ამიტომაც აღარა ჰსურს ძველი თაობის ხელმძღვანელობით მოქმედება. ძველი გადააყენა, მაგრამ ჯერ არც ახალი ჰყავს. მოკლე ხანებში გამოირკვევა, თუ რა

გზას დაადგება მონასტერი – ივლის ძველ დახავსებულ გზით, თუ ახალგაზრდათა მხნეობით და ხელმძღვანელობით დაადგება საღ ეროვნულ საქმიანობას. მალე ახალი უფროსიც ეყოლება და მაშინ კიდევ შევეხებით მათ შეძლება – მოვალეობას.

ახლა **დათა მონასტერზე** მსურს მივაქციო მკითხველის ყურადღება.

მსგავსად ძმათა მონასტრისა, დებსაც სურთ სამოქმედო ასპარეზის გაფართოვება, მათაც ჰსურთ საკუთარი წვლილის შეტანა საერო სალაროში, მით უმეტეს, რომ მშვენიერი შედეგი მოეღოს. ქართველი დები **რიცხვით 16, არიან მეტნაწილად უმაღლეს სასულიერო განათლებით**. მათი მოღვაწეობა გამოიხატება ბავშვების აღზრდაში. მათ, როგორც მოგახსენეთ, აქვთ ორი ფრანგული სკოლა – პანსიონი, სადაც იზრდებიან უცხო ერის შვილნი. რადგანაც ქართველთა რიცხვი აქ ცოტაა და თვითონაც ვერ დასტოვებენ იქაურობას, ამიტომ ჰსურთ, საქართველოდან ჩამოიყვანონ ღარიბთა შვილები და აქ აღზარდონ საკუთარ სკოლა – პანსიონში. ჰსურთ **ქართულ – ფრანგული განათლება მისცენ ჩვენს ქალებს** და ამ რიგად უქმად არ ჩაატარონ თვისი არსებობა მშობელ ერისთვის. დღეს მათ არა აქვთ **საკმაო ბინა**, სადაც უნდა იცხოვრონ ჩვენმა ქალებმა და ამიტომაც მიუმართავთ დახმარებისთვის ჩვენ ქველმოქმედ ძმ. **ზუბალაშვილებს**.

მეტად დიდმნიშვნელოვანია ჩვენ მონასტერ – სკოლათა როლი აქაურ ქართველთა ცხოვრებაში და ამის თვალსაზრისითაც უნდა დავაფასოთ მათი არსებობა.

უნდა სიხარულით ვაუწყო ჩვენს საზოგადოებას, რომ აქაური ქართველობაც იღვიძებს, ჰსურს თვითგამორკვევა და ორგანიზაციის შექმნა. რაც თავისუფლება დამყარდა ოსმალეთში, მრავალი ერი გამოირკვა, დაიარსა სხვადასხვა კულტურული დაწესებულებანი და ქვეყანას ამცნო თვის არსებობა. გამონაკლისს ქართველობა შეადგენს, რომელთაც თუმცა ენა და სახე შეურჩენიათ, მაგრამ სარწმუნოებისა და ძველ წესწყობილების გავლენით ისე შედუღებიან ოსმალთ, რომ დღევანდლამდინაც ვერ გამორკვეულან.

დღეს დაწყებულია დიდი საქმე და თუ რაიმე გარეგანმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა – იმედია მოწესრიგებულ საზოგადოებას შეჰქმნიან.

აგერ ორი თვეა დაიწყო კრებები და კომისიების მუშაობა. ჰსურთ დაარსონ კულტურული საზოგადოება ამ სახელით: „**ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება**“. ამის თაობაზე მრავალი კრებები იყო მოწვეული, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა წოდების ქართველები: მოხელენი, ვაჭრები, მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებელნი, მხედრები (ოფიცრები), ფაშები (გენერლები) და სხვა. უკანასკნელ კრებას დაესწრო **120 მაჰმადიანი**; წესდება უკვე შემუშავებულია და მალე დამფუძნებელი კრებაც იქნება მოწვეული. სტამბოლის გარედაც გაიგეს და მრავლიდან მოუვიდათ მოლოცვა და სურვილი წევრობისა. იმედია, ეს ფრიად სიმპატიური და განმანათლებელი საზოგადოება – გაანათებს ჩვენს დაბნელებულ ეროვნულ შეგნება – განვითარებას და კარგ მომავლისაკენ მიგვითითებს! ვუსურვოთ აქაურ ქართველთ მეტი მხნეობა და საქმის სიყვარული მშობელი ერის საკეთილდღეოდ!

შენიშვნა: **დავით ჩიქოვანი** თვეობით ცხოვრობდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, კარგად იცნობდა მონასტრის ცხოვრებას. ბევრი პუბლიცისტური წერილი აქვდა დაწერილი, ამიტომაც ზოგიერთი დღემდეა შემონახული.

სახ. გაზეთი 1912 წ. N 603.

## **დავით ჩიქოვანი** **ქართველ კათოლიკეთა მონასტერი**

აგერ ერთი წელიწადია, რაც აწეწილია მონასტრის საქმეები! ერთი წელიწადია, რაც ახალ წინამძღოლის რჩევა – ძიებაში არიან და როგორც იქნა ეღირსენ! ეს ცვლილება მეტად საყურადღებო და სასიამოვნო მოვლენაა და ამიტომ სიამოვნებით ვაუწყებთ ჩვენს საზოგადოებას.

მოგეხსენებათ, ზემოხსენებულ მონასტერს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საქმიანობისათვის **სტამბოლში** და საზოგადოდ ოსმალეთში, დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ ვინ და რა რწმენა – იდეის ადამიანი იქნება მონასტრის სათავეში.

მართალია, წინამძღოლს დამოუკიდებლად ყველაფრის გაკეთება არ შეუძლია, მართალია, რომ ისიც განსაზღვრულია, მაგრამ პირადადაც ბევრი უფლებები აქვს და ამიტომ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიან. ამასთან უნდა დაუმატოთ, რომ თვით ის მმართველი წრე, რომელზედაც არის დამოკიდებული წინამძღოლი, ლიბერალურია და ეროვნების დამცველი; წრის უმეტესობა, რომელმაც ამოირჩია ახალი უფროსი – ახალგაზრდობაა და როგორც წინადაც აღმიწინავს, შესწევს საკმაო ძალა ეროვნულ და საეკლესიო საქმიანობათათვის!

აქ მრავალი საქმეა გასაკეთებელი და გამკეთებელი კი ცოტა და მონასტრის მოწინავე წრე, რომელიც სიტყვით მაინც მოტრფიალე იყო ეროვნებისა, დღეს, როცა მმართველობა ხელთ იგდო, ფრთხილად უნდა იყოს და არ უნდა დაივიწყოს მისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე.

ახლა ჰმართებს გონების გამჭრიახობა და ხასიათის სიმტკიცე, რათა არ ჩაიხრჩვენ იმ წუმპეში, რომელიც დააყენა ძველმა თაობამ!

ახალი წინამძღოლი პატრი **პიო ბალიძე** არის ახალგაზრდა, ქართველ – ფრანგულად განათლებული და **სამშობლოს გულწრფელი გულშემატკივარი**.

აქ არ შეუდგებით ხოტბა – შექებას, მხოლოდ ვიტყვი, რომ მაზე უკეთესს მონასტერს ვერ იშოვნინდა და ამიტომაც მოწინავე საზოგადოებაში დიდი სიხარული გამოიწვია, როცა გავიგეთ მისი დამტკიცება რომის პაპის მიერ. დამტკიცებულია 6 წლის ვადით და ყველა იმ უფლება – ღირსებებით, რომლითაც აღჭურვილი იყო თვით დამწყობი დიდად პატივცემული და შორსმჭვრეტელი აბბატი **პეტრე ხარისჭირაშვილი**.

ვუსურვებთ მამა პიო ბალიძეს დღეგრძელობა და კეთილმოღვაწეობა, რათა დაემსახურებინოს ღირსეული სახელი გულშემატკივარ ქართველსა, წინააღმდეგად ზოგიერთ წინამორბედ წინამძღოლებისა, რომელთა სახელის ხსენებას და დახასიათებას აქ არ ვკითხულობთ! იმედია ჩვენი ცხოვრების მემკვიდრეანი კარგად დააფასებენ მათ ბრწყინვალე მოღვაწეობას და შესაფერის ეპიტეტითაც შეამკობენ მათ სახელს.

„სახალხო გაზეთი“, 1912 წ. N66.

## **დ. ნინოშვილი** **დავით ჩიქოვანი** **წერილი სტამბოლიდან**

ოსმალეთის ქართველთა შესახებ ბევრი დაწერილა, მაგრამ ის იოტის ოდნავადაც ვერ არკვევს აქაურ ვითარებას. ბევრი ძალიან ბევრი დაკვირვება, დრო და წერაა საჭირო, რომ საქართველომ საკმაოდ გაიცნოს **მაჰმადიანი ქართველობა**.

ჩვენისთანა პატარა ერისთვის, ოსმალეთის ქართველთა რიცხვი დიდად საგრძნობელია, მაგრამ ეროვნულის მხრით შეგნებული ელემენტი კი ძალიან ცოტაა. ის მოიძებნება ამ მოკლე ხანში გადმოსულთა შორის.

სანამ ოსმალეთს ყოფილი ხონთქარი **აბდულ – ჰამიდი** განაგებდა, სანამ მაჰმადიანებს სარწმუნოებრივი ფანატიზმი ნებას არ აძლევდა სხვა სარწმუნოების ხალხს დაახლოვებოდა, მანამდე ჩვენ, ქრისტიანი ქართველები, სათოფეზედაც ვერ მივეკარებოდით.

დღეს კი სულ სხვაა! კარი ღიაა, არავინ გვიშლის, სარწმუნოების განურჩევლად, როცა კი ცხოვრება ნებას გვაძლევს, ძმურად, თუმცა ნაკლების ეროვნულის შეგნებით, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მეტის გრძნობით, ვიდრე თვით საქართველოში, ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს. ერთმანეთში დავდივართ და ვუზიარებთ ჩვენს გულის ტკივილს სამშობლო ქვეყნის ჭირ – ვარამის გამო. ყოველივე კარჩაკეტილობა აბდულ – ჰამიდთან ერთად დაიმარხა და, იმედია, აღარ აღსდგება! ამის შემდეგ უმთავრესად ჩვენზე დამოკიდებული მაჰმადიან ქართველების გამობრუნება, თუმცა ახლანდელი აქაური მთავრობაც თავზე ხელს არ გადაგვისვამს, მაგრამ წარსულთან შედარებით მაინც შესაძლებელია მუშაობა.

როგორც მოგეხსენებათ, მაჰმადიან ქართველობას წარმოადგენენ: **ლაზები** (ჭანები) და **აჭარლები** (გურულები), რომელთა შორის აუცილებლად უნდა შევიტანოთ ეროვნული შეგნება. მოღვაწეობა **აჭარლებიდან უნდა იქნას დაწყებული**, რადგან ამ უკანასკნელთ უფრო ახსოვთ და უკეთესადაც ესმით თავისი ჩამომავლობა და ამასთან **ენაც წმინდა ქართული აქვთ**. განსაკუთრებით ამ უკანასკნელთა წრიდან არიან გამოჩენილი პირები, როგორც, მაგალ. **მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე, სენატორი, გენერალურ შტაბის უფროსი, მრავალნი მხედარნი, ხოჯები (სასულიერო წოდების კაცნი), დეპუტატები** და სხვა. ნამდვილ ოსმალთა შორის ქართველები ირჩევიან და წინ თუ არა ჩამორჩენილნი მაინც არ არიან, როგორც სახელმწიფო მოღვაწენი. მაგრამ სავალალოდ, როგორც ეროვნული მუშაკნი, ჯერ – ჯერობით მაინც უსარგებლონი არიან. სარწმუნოების და აღზრდა – განათლების წყალობით ჩვენები ოსმალელებად ითვლებიან. აქ ყველა ეროვნება ცნობილია როგორც პიროვნება (გარდა ქართველებისა, სამწუხაროდ) და **საპარლამენტო მოქმედებაში ანგარიშს უწევენ თვითეულ ერის წარმომადგენლებს**. ჩვენი ეროვნების შესახებ საკითხიც კი არ არსებობს ოსმალეთის მთავრობისათვის, თუმცა თვით მთავრობაში ჩვენები საკმაოდ არიან.

საშუალო წრის ქართველ მაჰმადიანებზე ასევე არ ითქმის და სწორედ ამ წრესთან უნდა ვიქონიოთ საქმე! ეს უკანასკნელნი დიდის აღტაცებით და იმედით შეჰყურებენ **ქრისტიან ქართველებს** და მისგან მოელიან ხსნას. „ქრისტიანები – ამბობენ ისინი – განათლებულები ხართ, განათლების საქმეში გავვიძეხით წინ და ჩვენც მზად ვართო!“ – „ჩვენ ერთის სისხლის და ხორცის ხალხი ვართ და მხოლოდ სარწმუნოებას დავუშორებივართო!“

ამგვარს ბევრს რასმე გვეუბნებიან და ჩვენ საშუალება არა გვაქვს პასუხი გავცეთ, ნათლად წარმოვუდგინოთ მათი მდგომარეობა; ამისთვის დიდი შრომაა საჭირო, **ქართულ კულტურას დიდის ავტორიტეტით შეჰყურებენ** და ეს უფრო მოგვიწყობს ხელს ადვილად საქმის მოწყობაში.

საქმის მდგომარეობა ასეთია, მაგრამ საკითხი ის არის, თუ ვინ, როგორ და რა საშუალებით უნდა დაიწყოს ეს მძიმე **საეროვნო საქმე?** ამ საქმეში უმთავრესად სტამბოლის ქართველობამ უნდა გამოიჩინოს ფხა, მაგრამ საუბედუროდ მათი რიცხვი მეტად მცირეა. აქაურ ქართველ საზოგადოებას შეადგენს: რამდენიმე კათოლიკე წვრილი ვაჭარი, რამდენიმე სამსახურის კაცი და განსაკუთრებით **ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მღვდლები, რომელთაც მიუძღვის ღვაწლი** – ესენი ახლა უფრო მეტს შეიძლებენ, რადგანაც ამ მოკლე ხანში შეემატა ახალი ძალები.

უნდა დავუმატო, რომ ახალგაზრდა თაობა მონასტრისა გატაცებულია საღის ეროვნულის სიყვარულით და შეგნებით და არაფერს არ დაზოგავს, თუ რამე შესძლო ერის საკეთილდღეოდ. მათ აქვთ სურვილი, ცოდნა, ენერგია, მაგრამ ეს საკმაო მაინც არ არის ამისთანა დიდი საქმისათვის.

ჩვენც ახლავე უნდა შევუდგეთ თადარიგს აქაურ ქართველობის გამოსაბრუნებლად. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს **ოსმალეთის ქართველობას და ვინ იცის – იქნებ ბევრი ძვირფასი რამ აღმოჩნდეს** ერთ დროს ჩვენთვის დაკარგულ ქვეყანაში?! უკვე 3 წელიწადია, რაც ცხოვრებამ ახალი საკითხი წამოუყენა ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ ჯერჯერობით ბურუსით არის მოცული საზოგადოების პასუხი! როგორ და რა საშუალებით შეიძლება ოსმალეთის ქართველობის მობრუნება და ეროვნულ ფერხულში ჩაბმა. აი, საკითხი, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ქართულმა პრესამ!

თემი, 1912 წ. N53.

### † პატრი ათანასე ნასყიდაშვილი

**ადრიანოპოლში** გარდაიცვალა ქართველი კათოლიკე პატრი ათანასე ნასყიდაშვილი, რომელიც იქ კარგა ხანს მსახურობდა ბოლგარულ კათოლიკეთა ეპისკოპოსის თანაშემწედ და სახალხო სკოლების უფროსად. ამასთანავე იგი იყო იქაურსავე გიმნაზიაში **მატემატიკის მასწავლებლად**.

ათანასე ნასყიდაშვილმა სწავლა მიიღო **კონსტანტინეპოლს, აბატის პეტრე ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით, მერე მონტობანს და რომსაც სწავლობდა**. საქართველოში მოსვლის ნება არა ჰქონდა, ნასყიდაშვილმა მშვენივრად იცოდა სხვა – და – სხვა ენები და მეტად განვითარებული კაცი იყო. შესწავლილი ჰქონდა ქართული მწიგნობრობაც და თვალყურს ადევნებდა ქართულ ჟურნალ – გაზეთობას, საქართველოდამ იზარებდა თითქმის ყველა ქართულ წიგნებს. ოსმალურიდან სთარგმნა პიესა „**გაზი ოსმან ფაშა**“.

ათანასე ნასყიდაშვილს დიდი კავშირი ჰქონდა კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სტამბასა და ეკლესიასთან, ასევე ჰზედამხედველობდა იქ ქართულ წიგნების ბეჭდვას. მონთობანის ქართველ სტამბის საქმეებშიც იღებდა მონაწილეობას. სტამბოლს ხანდისხან აბატის პეტრე ხარისჭირაშვილის თანამდებობასაც ასრულებდა. იყო დიდად მოყვარე საქართველოსა და ქართული ენისა.

„სახალხო გაზეთი“, 1910 წ. N 81. გვ. 3.

### ს. ბავრელი (სოლომონ ასლანიკაშვილი) პატრ მულაშვილის მკვლელობა

ოქტომბრის 28 – ს სოფელ **სკრაში** თავის სახლში მხეცურად მოჰკლეს პატრი **დომინიკე მულაშვილი – პაწაძე**, რომელიც ცოტად თუ ბევრად ცნობილი იყო ქართველ საზოგადოებაში. იგი ერთხანს ბეჭდავდა სასულიერო ჟურნალს „**ჯვარი ვაზისა**“ თავის რედაქტორობით, რომელშიც მომეტებულად საქართველოს ცნობებს ათავსებდა და მისი ნაშთების შესახებ, ვიდრე სასულიერო საგნებისა, მაგრამ ნივთიერ ხელმოკლეობის გამო ამ ჟურნალის გამოცემა მალე მოისპო.

მამა დომინიკე დიდ ხანს იყო ვიკარნათ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში, მაგრამ რამდენიმე სამღვდელთა (სომეხ – კათოლიკების) ინტრიგების გამო, დომინიკე ეპისკოპოსის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს და უმრევლოდ დარჩა.

ამ დღეებში, როგორც ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, ის ყოფილა ამორჩეული სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის უფროსად, მაგრამ ბოროტმა ხელმა არ დააცალა, გამოასალმა ამ სოფელს ამ ამბის მოსვლამდე.

მრევლი არა ჰყავდა მამა დომინიკეს, მაგრამ ის გულ – ხელ დაკრეფილი არ იჯდა.

მოღვაწე და მოსაქმე ადამიანი მუდამ მონახავს კეთილ საქმეს საზოგადო ასპარეზზე.

როგორც ცოცხალი და შრომის მოყვარე ადამიანი, თავის ძალ – ღონეს არა ზოგავდა თავის მეზობელ – სოფლების საკეთილდღეოდ. იმან გადმოასახლა გორის მაზრაში **ხიზაზავრიდან** ორმოც კომლამდე და ზოგიც კახეთში და მამობრივ ზრუნვას არ აკლებდა. კიდევ ბევრი კეთილი საქმის გაკეთება ჰსურდა, მაგრამ არ დააცალეს.

როგორც მოგვითხრეს, ეს უბედური ამბავი ასე მომხდარა: მამა დომინიკე თავის ოთახში ჩაის სვამდა, უეცრად შევარდნილა მასთან ორი ოსი. დომინიკეს ჰგონებია, სტუმრები არიანო.

– მობრძანდითო, – უთხოვნია მათთვის და მიუპატიჟნია: ჩაი მიირთვითო.

– ჩვენ ჩაი არ გვინდა, – დაიძახეს ავაზაკებმა მრისხანეთ, – ფულები გვინდაო, ჩქარა მოგვეცი!

დომინიკეს, რაც ჰქონია, მიუცია, მაგრამ ავაზაკები არ დაკმაყოფილდნენ, ამოულიათ ხანჯალი და თავში ჩაუკრავთ. მაშინ საბრალო შეჰხვეწნია, ოღონდ ნუ მომკლავთ და ყველა თქვენს სურვილს ავასრულებო. სხვაგან ჰქონია კიდევ ერთი თუმანი, ისიც მიუცია, მაგრამ იმითაც არ დაკმაყოფილებულან. ერთს იმათგანს მაუზერი თვალში დაუხლია. ტყვია მეორე მხარეს გავარდნილა.

მემრე იქ მყოფთათვის უბრძანებიათ, ხმა არ ამოიღონ, სანამ სულ სოფელს არ მოვშორდებითო. ისინი წასულან, როგორც ამბობენ, იმ ორს ბევრი სხვა ამხანაგებიც ჰყოლია.

სახალხო გაზეთი N442, 1911 წ.

## **ს. ბავრელი** **სტამბოლის ქართველ – კათოლიკეთა მონასტრის** **წინამძღვრის არჩევა**

სტამბოლიდან მივიღეთ ნამდვილი ცნობა, რომ იქაურ ქართველ – კათოლიკების მონასტრის უფროსად აურჩევიათ ახალგაზრდა მღვდელი **პატრი პიო ბალიძე**.

მამა ბალიძე არის ჩვენი ქვეყნის შვილი, ჯერ ახალგაზრდა 30 წლისა. სწავლა – განათლება აქვს მიღებული **სტამბოლში**. ქართულის მცოდნეა და საფუძვლიანად იცის ფრანგული. **მამა პიო სოფელ ხიზაზავრის** მცხოვრებთაგანია.

როგორც ვიცით, სტამბოლის ქართველ – კათოლიკეთა მონასტრის შინაური საქმეები ამ ჟამად მეტად არეულ – დარეულია უხეირო მმართველობის წყალობით, მამა ბალიძეს მომავალში დიდი შრომა დასჭირდება ამ მონასტრის საქმეების რიგზე მოყვანისათვის. იმედია, არ დაზოგავს თავის ღონეს მონასტრის კეთილდღეობისათვის და მით გაამართლებს თავის ამომრჩევლების იმედს.

მთელი ქართველ – კათოლიკე ერის ნატვრა და სურვილი შემდეგია:

1) დაუბრუნოს მონასტერს თავისი დაკარგული მამულები, 2) დაუბრუნოს ის მრევლი, რომელიც მონასტრის ახლო – მახლო იმყოფებიან და ადრე მონასტერს ებარა. 3) დაიბრუნოს უსკუდარის დაკარგული მონასტერი და ეკლესია, როგორც მამა პეტრე ხარისჭიროვის ნაანდერძევი; 4) ქართველებს თავიანთი სამრევლო ეკლესია გაახსნევენოს, 5) მონასტერს ნებართვა აუღოს, რომ, როგორც პატრი ბენედიკტეს გამგეობის წინად იყო, შემოიღოს ქართულ ენაზე ლოცვა – გალობა, თუ შესაძლებელია ქართული წირვაც; 6) ბეჯითად ყურადღება მიაქციოს ქართულ ფრანგულ სკოლას ისე, რომ აღარავინ შეეხოს მას. 7) შემოიღოს ქართულ ენაზე სწავლის წარმოება მონასტერში; და 8) მონასტრის სარდაფებიდან გამოატანინოს სტამბის მანქანა – იარაღები; ამოაცალოს ჟანგი და მისცეს მათ თავის დანიშნულება, რომ მონასტერს ჰქონდეს საშუალება სასარგებლო წიგნების გამოცემისა.

ერთი სიტყვით, ფრიად სასურველია, რომ მონასტერი დაადგეს იმ კვალზე, როგორც იყო ერთ ბედნიერ დროს ღირსეული მამა პეტრე ხარისჭიროვის დროს.

სახალხო გაზეთი, N 547, 1912 წ.

**ს. ბავრელი (სოლომონ ასლანიკაშვილი)**  
**სტამბოლის ქართველობა**  
**ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა**  
**უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონენო...**

მაშინ, როდესაც სომხებმა თავიანთ სამღვდელოების მეცადინეობით კათოლიკობის დროშის ქვეშ მთელი დასავლეთის და მესხეთ – ჯავახეთის ქართველი ერი, ლათინის მოძღვრებისაგან გამოხსნილი თათრობისაგან, გაკათოლიკებულნი – გაასომხეს და თითქმის ქართველობაზე ხელიც ააღებინეს, სწორედ იმ დროს გამოჩნდა ერთად ერთი განათლებული ადამიანი, რომელმაც იკისრა ამ მავნე დამღუპველ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა და, თავის სამშობლოზე გულშემატკივარმა, დაიწყო თავის ძალ – ღონით მუშაობა და შეურყეველის ისტორიულის საბუთებით დამტკიცება, რომ ეს სომხებისაგან გატაცებული ხალხი გვარ – ტომობით ქართველნი არიან და ქართველ კათოლიკეთ იწოდებოდნენ.

ბრძოლა იმ დროის ფანატიკოს სომხების წინააღმდეგ, თქმა არ უნდა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ეს განათლებული და მეცნიერი ადამიანი პეტრე ხარისჭირაშვილი იყო, მეტად განვითარებული კაცი, მცოდნე ევროპულ ენების და საქართველოს ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე.

პეტრე ჯერ სამღვდელო პირი იყო, რომის უმაღლეს სასწავლებელში სწავლა – განათლება დამთავრებული. როგორც უბრალო მღვდელი, კაი ხანს დაჰყო ვენეციის სომეხ კათოლიკების მხითარისტების მონასტერში.

მამა პეტრე იქვე მთელს ევროპასა და პაპის ტახტის წინაშე ამტკიცებდა ქართველ კათოლიკების არსებობას დასავლეთ საქართველოში, მესხეთ – ჯავახეთში და ქართლ – იმერეთში.

იმავე აზრის განსახორციელებლად და საქართველოს იმ ნაწილში სწავლა – განათლების შემოსატანად დააარსა შესანიშნავი მონასტერი ოსმალეთის სატახტო ქალაქ – სტამბოლში.

აქედან დაიწყო ქადაგება ამ ერში, აღვიძებდა მათში გვარტომობის თვითმეგნებას, აცნობებდა მათ წარსულს, თუ ვინ ყოფილან მათი წინაპარნი? ამ მიზნით იმ მონასტერთან, რომელიც იწოდებოდა ქართველ კათოლიკეთა მონასტრად, გახსნა სკოლა, ააგო ეკლესია, დააარსა ქართული

სტამბა, რომლისთვის ზოგიერთი იარაღები და ასოები ვენეციიდან გადმოიტანა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული სასულიერო და სამეცნიერო წიგნები საქართველოში შემოსატანად.

მამა პეტრე მდიდარი არ იყო, ღარიბი იყო და ღარიბათვე მოკვდა. მაგრამ დაულალავი შრომით, საოცარის ენერჯითა და სამშობლოს სიყვარულით აღჭურვილმა – მხნედ მოახერხა ამისთანა ახალი და ძნელი საქმე. დიდი პატივი და სახელი შეიძინა ამ მონასტერმა საქართველოსხალხისა, პაპისა და ოსმალის მთავრობის წინაშე.

ამ ქართველ – კათოლიკეთა მონასტრიდან გამოდიოდნენ მშვენივრად დამზადებული პატიოსანი მოძღვრები, განვითარებულნი როგორც სასულიერო მეცნიერებაში, ისე საკუთრივ ექიმობაში, რადგან ესენი უნდა ყოფილიყვნენ უსწავლელ ხალხის მოძღვრებად. იქიდან გამოვიდნენ მრავალი განვითარებული მოძღვრები, იმათ შორის პატრი **ალფონსი ხითარაშვილი** და ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი **მიხეილ თამარაშვილი**.

**იმის ტაძრიდან ისმოდა ქართული გალობა და წირვა – ლოცვა ქართულს ენაზე.**

ეს სიმპატიური სავანე მეტად ჰყვავდა 70 – 80 წლებში. აი, რასა სწერს ერთი ფრანგული გაზეთი „ინდეპანდან“ ბელგიაში 1876 წ. 19 მარტს. 1876 წ. წმინდა იოსების დღესასწაულის დღეს დიდძალი ხალხი დაესწრო **სტამბოლში** ქართველ კათოლიკების ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვას. სხვათა შორის იყვნენ სამი პრიმასი (მღვდელი) ქართველ კათოლიკებისა და მისიონერი **კრასერი**, არქიეპისკოპოსი **დეკლოსერი**, ვიკარი **ტერტი** და სხვანი. წირვის დროს გალობდნენ ქართულად. ქართული გალობა მოსასმენად საამო ყოფილა“ და სხვა.

ახლა რას ვხედავთ?

ეს ერთხელ აყვავებული მონასტერი, როგორც გვაუწყებს „უნადვლელი“ „სახალხო გაზეთის“ N364 ის ფურცლებიდან, უნუგეშო ყოფაშია და სრულებით დამხობისკენ მიისწრაფება. უვარგისი თუ უნადვლო უფროსის ბ. **ვარდაძის**, იგივე **ჩილინგაროვის** წყალობით, ძირიანად ინგრევა. უცხო თემის ეპისკოპოსის **სარდის** განკარგულებით, მამულებს ართმევენ. სკოლებსა ჰხურავენ და ქართულ მშობლიურ ენაზე წირვა – ლოცვას სპობენ. სტამბის იარაღები უხმარებლობის გამო ჟანგდება – ოხრდება. მამა ვარდიძე კი მარტო იმასა ზრუნავს, რომ ერთს ოთახში შეიკრიბნენ ბერ – მონაზონნი და ერთი „გემრიელი ჟამნი თქვან სულის საცხონებლად“. აი, რაზე ფიქრობს მამა ვარდიძე იმ დროს, როდესაც სამშობლო თხოულობს დახმარებას, ნატრობს მხნე მამულიშვილებს!

განა მამა პეტრეს ანდერძი ეს იყო? განა მამა პეტრეს მიზანი ეგ იყო?

ნუ თუ მამა ვარდიძემ ისე მალე დაივიწყა მამა პეტრეს ანდერძი, რომელმაც სიკვდილის დროს დაიბარა თავისი მოწაფე – მოძღვრები და საგულისხმო რამ უანდერძა. თუ მამა ჩილინგაროვს დავიწყებია, არ ახსოვს, მე მოვაგონებ თუ ინებებს მას: „**საქართველოს სიყვარული, ქართული ენისა და წიგნობრიობის პატრონობა. ერთმანეთის სიყვარულის მეოხებით ქართველ კათოლიკების გვარტომობა – მფარველობა და პატრონობა, რომ მათ ტომობას, გვარს და ენას გზაში რაიმე ხიფათი არ მოევლინოს და მათ არ დაუწყონ გადაგვარება**“ და სხვა. ამასთან ერთი გარემოებაც უნდა მოვიგონოთ, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი **ხარისჭიროვისაგან** იყო დაფუძნებული **ძმობის იდეაზე**. ვინც შემოდიოდა იმ მონასტერში, იმას ქვეყნიერობიდან ხელი უნდა აეღო; რასაც ცხოვრებაში შეიძენდა, მხოლოდ თავის მარტივ ცხოვრებისათვის უნდა დაეტოვებინა ცოტა რამ. დანარჩენი კი ძმობისა იყო და მონასტრისათვის უნდა დაეთმო.

ბევრმა მამებმა შეასრულეს ეს ნაანდერძევი? მე მგონია, არავინ; ეს მამები, მონასტრის ხარჯით გამოზრდილნი, გამოდიოდნენ ცხოვრებაში, ნებივრობას ეძლეოდნენ. მონასტერიც დავიწყებული ჰქონდათ და ძმობაც. ახლაც არიან ზოგიერთი იმისთანა მამები, რომლებიც თავიანთ შენაძენ ოქროებზე სხედან და ჟამნს კითხულობენ.



მამა პეტრემ თავის შესანიშნავი შრომით არაფრისაგან შეჰქმნა დიადი საქმე, და მზა საქმე თქვენ, მემკვიდრეებს, დაგიტევათ, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ ამ დიდებული საქმის დამზობა გინდათ.

იქნება მამა ჩილინგაროვისლოდიკას საფუძვლად ის მოსაზრება ჰქონდა, რომ ბერ – მონაზონი, მხოლოდ ბერობას უნდა ასრულებდეს, ქვეყნიური დაუტევოს და მარტო სული აცხოვროს.

უწინ, როგორც ვიცით, სკოლა – უნივერსიტეტები არ არსებობდა, როგორც ახლაა. **ერთერთი სწავლა – განათლების წყარო მონასტერში იყო.** ჩვენი წინაპარნი მაღალ წოდების და მეფის წულები მონასტრებში იზრდებოდნენ. განა ჩვენი დიდებული პოეტი შოთა რუსთაველი ტბეთის მონასტერში არ გამოიზარდა? არა, მამანო, თქვენი გემრიელი ჟამნის თქმა ჩვენ ვერ დაგვიხსნის ახლა. ჩვენ ვართ მეოცე საუკუნეში, ახლა სხვანაირად, სხვანაირად უნდა ვფიქრობდეთ, სხვანაირად უნდა ვმეცადინეობდეთ, ახლა სხვა ქარი ჰქრის, სხვა წისქვილი ტრიალებს...

ეს ზემოხსენებული სტამბოლის მონასტერი დაარსებულია საკუთრივ ქართველ კათოლიკთათვის, იმათ შვილთა განათლებისათვის, ჩვენი ხალხის წინ – წარმატების მიზნით. ამისათვის სრული უფლება გვაქვს ბევრი მოვითხოვოთ იმ მამებისაგან, რომელთაც ხელთა აქვთ ამ მონასტრისა და მისი სასწავლებლების საქმე და ბედ – იღბალი. მეტადრე მამა ჩილინგაროვისაგან, რომელიც დღეს სათავეში უდგას იმ მონასტრის საქმეს:

თუ მას არ შეუძლიან განაგოს საქმე, როგორც ამ მონასტრის კეთილდღეობა მოითხოვს, უკეთიზავს, ეს მძიმე უღელი სხვას მიანდოს უფრო განვითარებულს და ღონიერს, რომელსაც შეუძლიან საქმის გაძღოლა, რომ ბოლო არ მოედოს ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს. **ხმა ერისა – ხმა ღვთისა.** მამა ვარდიძე ვალდებულია თავის სინდისისა და ერის წინაშე, ისმინოს ეს მოთხოვნა ხალხისა და იმედია, მამა ვარდიძე მოისმენს კიდევაც მთელი ერის ხმას და ჯეროვნად ყურად იღებს. თუ არა და ეს ღაღადი მივა უმაღლეს სასულიერო მსაჯულამდე და მაშინ უფრო იმედია ეს ხმა არ დარჩება ღაღადებათ უდაბნოსა შინა.

„სახალხო გაზეთი“, 1911 წ. N 425, გვ. 3.

## **წერილები გაზეთ „დროების“ რედაქტორთან!**

ნება მოგვეცით თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა განვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც ყურად იღეს ჩვენი თხოვნა და ჩვენის ბიბლიოთეკისთვის შემოგვწირეს წიგნები.

შესაწირავი მივიღეთ:

1. გაბრიელ ეპისკოპოსისაგან მისი ქადაგების ორი ტომი;
2. კონსტანტინეპოლის ქართველთა კათოლიკეთ მონაზონთაგან 7 წიგნი;
3. დ. ყიფიანისაგან მისგანვე გამოცემული ქართული გრამატიკა;
4. რაფიელ ერისთავისაგან მისი სამეცნიერო ლექსიკონი;
5. ანდრია ღულაძისაგან გ. წერეთლის „ლომკაცი“.

ამ პატივცემულ პირთ და აგრეთვე, „დროების“, „ივერიის“, „ნობათის“ და „მწყემსის“ რედაქციებს გულითადს მადლობას ვუძღვნით ჩვენდამი მათი ყურადღებისათვის.

იმედს არ ვკარგავთ, რომ სხვა გამომცემლებიც არ დაგვივიწყებენ და გამოგვიგზავნიან ამ ადრესით:

Paris, rue Flatters, 10, A. M. Georges Wesirichvili

**პარიჟელი ქართველი მოსწავლეები; 1885 წ.**

**პარისი.**

ეს პატარა წერილი ინახება სტამბოლის ქართული საგანის არქივში. იქვეა გაზეთი „დროება“, სადაცაა დაბეჭდილი ეს წერილი (იხ. „დროება“, N119, 1885 წელი).

### **ქართული სამკითხველო სტამბოლში**

როგორც მკითხველებმა იციან, სტამბოლში კარგა ძალი ქართველობა სცხოვრებს. იქაურ ქართველობას გადაუწყვეტია, მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობაზე დაარსოს საჯარო ბიბლიოთეკა – სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებელი სთხოვენ წერა – კითხვის საზოგადოებას, გაუგზავნოს ბიბლიოთეკა – სამკითხველოსათვის წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ – გაზეთები. კარგი იქნება ყველა ჩვენი ქართულ გამოცემა თითო ცალს დაუთმობდეს **სტამბოლის ბიბლიოთეკას**.

„დროება“, 1909 წ. N21.

### **ვინმე მესხის (ივ. გვარამაძის) წერილი**

პატივცემულო რედაქტორო, გთხოვთ უმორჩილესად, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში – „ცნობის ფურცელში“ ჩემს ორიოდ მოხსენებას.

ადრე ჩვენს ქართველ კათოლიკე მამებს არა მარტო ქ. კონსტანტინეპოლში შეეძლოთ ქართულის წიგნების ბეჭდვა, არამედ საფრანგეთშიაც, ქ. მონთობანს, სადაც საკუთარი სახლი და ბაღიც ჰქონდათ. რესპუბლიკის განკარგულებით დღემდის დაშორებულ იყვნენ ჩვენი მამანი და დღეს კი დიდის მოწყალებით მიუღიათ ისევ მონთობანში მამა ანდრია წინამძღვარი სამის მოწაფე დიაკვნებითა, რომელნიც მიუღია ადგილობრივ ეპისკოპოსს სემინარიაში მაღალ სწავლათა და ღვთის – მეტყველების სასწავლებლად.

ჩემს ახალს მღვდელობაში პარიზის აკადემიის ლექსიკონი, საფრანგეთში გამოცემული სომხურს და თათრულსენაზედ, ვთარგმნე ფრანგულიდამ ქართულად და გარდავეც დასაბეჭდად განსვენებულს მამა პეტრე ხარისჭირაშვილს, რომელიც შეიცავდა 1200 გვერდზეც მეტსა. მან ვერ შეიძლო დაბეჭდვა სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელიც აღარ იყო ხმარებული აკადემიისაგან: ზედ რუსულიც დავუმატე და იქნა სამი ენის ლექსიკონად. ვსთხოვე პირისპირ ჩემს პარიზში ყოფნისას გარეშე მინისტრს, დაებეჭდათ სახელმწიფო წარსაგებითა ის ლექსიკონი და დამპირდა მის დაბეჭდვასა, „განხილვის შემდგომ რომ აღმოჩნდება სასარგებლო“.

იგივე მამა ანდრია აფუძნებს მონთობანში საწიგნეს ევროპიულს და ყოველს ენებზედ დაბეჭდილსა, რაც დაწერილა კავკასიაზე და უფრო ქართველ მესხებზედა ძველთაგანვე. ამისთვის სთხოვს უმორჩილესად „წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და კერძო პატივცემულ გამომცემელთა ბ – ნ ზ. ჭიჭინაძეს, ბ – ნ ი. როსტომაშვილს და სხვათა, ნუ დაუზოგვენ თავიანთ გამოცემას თითო – ოროლა ბროშურათა.

ადრესი: Franse. Prace Andre Simonaty. Superieur du Scholastical RUE DE l'elagite. Barn et.Garanuc, Montauban.

ასრევე მწერს მამა **ალექსანდრე კონსტანტინეპოლიდგან**, რომელსაც აქვს ვრცელი სასწავლებელი იქვე **იენიშაპრის უბანში**: „ვასწავლი სხვათა მოწაფეთა შორის მაჰმადიანთაცა, რომელნიც ქართულ წიგნებისათვის ყელს იჭრიან; არ მჯერდებიან, რაც მომეძევა; ახალ – ახალ გამოცემულ ნაირ – ნაირ გონების გასახსნელს წიგნებს მთხოვენ და მე ვინ მომცაო?... დიდ მოწყალებას მოიღებენ პატივცემულნი რედაქციები და წიგნების გამომცემელნი, რომ თავიანთს წვლილს მომაწოდებდნენო! არა მარტო მოწაფენი ეტრფიან ქართულს წერა – კითხვის რიგიან შესწავლას, ისევე ჰასაკ მიწევნილნი, მოსხეპილნი ვაჟკაცნიცა დიდ სახელად სთვლიან ქართულის შესწავლასაო!

მით უმეტეს, აღსანიშნავია, რომ ყოველი ძველ – ახალი გამოცემანი, გაზეთები იყოს თუ ჟურნალნი, ლექსები რიგიან დაწერილნი და რომანები, მეტად გამოსადეგი იქმნება მათთვის.

ფრანგებისთანა დიდად კაცთ – მოყვარე ტომი არა მარტო თანაგვგრძნობს ჩვენ პირად ყოველ კეთილ საქმეში, არამედ კიდევ საქმიანთაც საჭირო შემწეობას გვაძლევს და რა დიდი რამ იქმნება რომ **ჩვენს გაბნეულ ტომს აჭარლებს, მესხებს და მისთანებს შევეწივნეთ და დავიკავშიროთ ღვიძლ – ძმებად პირვანდელსავით!**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“, N 87, 1897 წელი, გვ. 3.

#### დ. კოჟორიძე

### პ.ი. ხარისჭარაშვილი (1814 – 1890)

პეტრე ივანეს ძე ხარისჭარაშვილი<sup>1</sup> (ეს გვარი ადრე **სიმონიშვილებად** იწოდებოდა) დაიბადა 1814 წ. ახალქალაქის რაიონის სოფელ **ბარალეთში**. სწავლობდა **ახალციხის** კერძო სამრევლო სკოლაში, შემდეგ **ალექსანდროპოლის** (ლენინაკანი) სასულიერო სემინარიაში და ბოლოს რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში. 1848 წ. ეკურთხა მღვდლად. მუშაობდა: ახალციხეში, **ვალეში**, **ხიზაბავრაში** და **ქუთაისში**, 1856 წლიდან სიკვდილამდე კი **კონსტანტინოპოლში**. იქ დაარსა: 1859წ. ქართველ კათოლიკეთა წმ. იოსების სახელობის მონასტერი (იქვეა დასაფლავებული), მის გვერდით სტამბა 1870 – იან წლებში და ქართული სასულიერო სასწავლებელი (გაიხსნა 1875 წ.) ჯერ ვაჟების, შემდეგ კი ქალებისათვისაც. სწავლობდა პირველად 60 – მდე, 1880 – იან წლებში კი 160 – მდე ყმაწვილი. ასწავლიდნენ: საქართველოს ისტორიას, ქართულ, ლათინურ, ფრანგულ ენებს და სხვა საგნებს. მისივე ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ქართული მონასტერი და სტამბა დაარსდა ქ. **ვენეციაში** (იტალია) და ქ. **მონთობანში** (საფრანგეთი). შემოდებული იქნა ქართულენოვანი ტიპიკონი (წირვა – ლოცვა). ამ მიზანსვე ემსახურებოდა „ქართველთა ძმობა“ (კონგრეგაცია), რომელიც ეროვნულ საქმიანობას ეწეოდა და **მუსლიმან ქართველებშიც ნაციონალურ – საქმიანობას აღვივებდა**. კონსტანტინოპოლის ამ ქართველ სავანეს, რომელშიც, სკოლისა და სტამბის გარდა, იყო მდიდარი ბიბლიოთეკა და მუზეუმი (1889 – 92 წწ.) განაგებდა პ. **ხარისჭარაშვილი**. შემდეგ მას ხელმძღვანელობდნენ **სტენფანე გიორგაძე** (1892 – 1898), **ალფონს ხითარიშვილი** (1898 – 1905) და სხვები<sup>2</sup>.

<sup>1</sup>იხ. ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფ. ტ 105; ხ. **ჭიჭინაძე**, აბატი პეტრე ხარისჭარაშვილი, ტფ. 1895 წ.: **ი. მაისურაძე**, პ. ხარისჭარაშვილი, წიგნში „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრ. III, 1968, გვ. 35-37.

<sup>2</sup>**ი. ტაბაღუა**, ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX ს. II ნახ.-ში, „მაცნე“, (ენისა და ლიტერატურის სერია), 1978, N1 1, გვ. 161.

**პ. ხარისჭარაშვილმა** დასავლეთ ევროპაში მოძიებულ ქართულ ხელნაწერზე აგებული წიგნი – „ისტორია გინა მოთხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახლის აღთქმასა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნთა საბეჭდავსა შინა წმინდა მონასტრისასა“ დაბეჭდა 1858 წ. მომდევნო წელს შეძლო კიდევ ორი წიგნის გამოცემა. მისი აქტიური მონაწილეობითა და რჩევით სამცხის მოღვაწეები: **ივანე გვარამაძე, ანდრია წინამძღვარიშვილი, ივანე მამულაშვილი, სტეფანე გიორგაძე...** ლათინური, ფრანგული, ბერძნული და სომხური ენებიდან თარგმნიდნენ წიგნებსა და ადგენდნენ ქართული სკოლების სახელმძღვანელოებს, რომლებსაც იგი თავის სტამბებში ბეჭდავდა. მის გამომცემლობაში დაისტამბა: წინამძღვარი ზეცისა (კონსტ. 1876 წ.), მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის, მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენის შემსწავლელთათვის, სიბრძნე კაცობრივი, მოკლე რიტორიკა გინა მჭერმეტყველება სასარგებლო ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა (მონთობანი 1877 წ.), ბრძენი კაცი (კონსტ. 1878 წ.), მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება და მოკლე მსოფლიო ისტორია (კონსტ. 1880 წ.), მოკლე გეოგრაფია სასოფლო სკოლებისათვის, მოკლე ფრანგულ – ქართული გრამატიკა (კონსტ. 1881 წ.). ეს წიგნი, რომლებიც ძირითადად ქართველ კათოლიკეთა მრევლში ვრცელდებოდა, გაუმართავი ქართული ენით იყო დასტამბული. ამ ნაკლს თვით გამომცემელნიც ამჩნევდნენ და დაუფარავად აღნიშნავდნენ. მაგალითად, პ. ხარისჭარაშვილი ახალციხეში ივ. გვარამაძეს წერდა, რომ დახმარება გაგვიწიეთ ფრანგულიდან და ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნების ენობრივად გამართვა – გასწორებაში<sup>1</sup>.

პ. ხარისჭარაშვილმა, როგორც უაღრესად განათლებულმა პირმა, კარგად იცოდა: **იტალიური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, ლათინური, სომხური, თურქული ენები.** ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ამბობენ იტალიურს და ფრანგულს ენებზე პ. ხარისჭარაშვილი ისე ქადაგებდა როგორც თავის სამშობლო ქართულ ენაზე“ – ო<sup>2</sup>. მისივე მოწმობით, იყო „სუფთა განდეგილი ბერი, შესანიშნავი თვალტანადი. მისი სახის ხილვა ნათელს გვრიდა კაცსა,... ასეთი მშვენიერი მოძღვარი მთელ რუსეთში არსად იყო“<sup>3</sup>. მას კარგად ესმოდა სკოლების უდიდესი საგანმანათლებლო მნიშვნელობა და მათ დაარსებას მოითხოვდა. იგი იმასაც ხედავდა, რომ სოფლის ღარიბი მოსახლეობა თავისი ხარჯებით აშენებდა სკოლებს, ქირობდა მასწავლებლებს, მაგრამ სახელმძღვანელო წიგნებისა და მცოდნე ადამიანების გარეშე მიზანს ვერ აღწევდა.

პ. ხარისჭარაშვილი მუდმივად ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების, კათოლიკე და მუსლიმანი ქართველების წარმოშობა – გვარტომობის შესახებ ქადაგებდა. აგრეთვე, ნაციონალისტ მხითარისტების წინააღმდეგ, ქართველი კათოლიკების ქართული წარმომავლობის შესახებ ატეხილ დავაშიც მონაწილეობდა. ჩიოდა, რომ „ამდენი ქართველი მაჰმადიანობა უპატრონოთ არის დაშთენილი“ – ო<sup>4</sup>. მას ისტორიკოს დ. ბაქრაძისათვის მოხუცებულობაში უთქვამს – „მივდივარ და საფლავში თან მიმყვება ქართველი მაჰმადიანების დარდი“<sup>5</sup>. პ. ხარისჭარაშვილი იბრძოდა ქართველი თავადაზნაურობის მახინჯი სენის – ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგაც და მის კატეგორიულად აკრძალვას მოითხოვდა. მას **კონსტანტინოპოლში ბევრი ქართველი ტყვე – ვაჟი გამოუსყიდია.** ამ დაუღალავმა, შრომისმოყვარე და პატიოსანმა მამულიშვილმა, რომელიც ყოველთვის ღარიბთა მოამაგე, მოსარჩლე და დამრიგებელი იყო „კაცურის ღირსებით განვლო

<sup>1</sup>ახალც. მუზეუმის ფ. N 2203-2204.

<sup>2</sup>ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

<sup>3</sup>იქვე, გვ. 40-41.

<sup>4</sup>ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

<sup>5</sup>„კომუნისტური აღზრდისათვის“, 1959, N11, გვ. 83.

თავის ქართველური ცხოვრება, ... ქართველებს **დაუმტკიცა ქართველობის უზომო სიყვარული და პატივისცემა**<sup>1</sup>. მას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სამშობლოში დაბრუნება და მშობლიურ მიწაში განსვენება მოუწოდებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

იხ. კრებული: **„დ. კოჭორიძე, განათლება და კულტურა სამცხე – ჯავახეთში“**, თბილისი, 1986 წელი, გვ. 167 – 169.

**შენიშვნა:** ეს კრებული შენახულია სტამბოლის სავანის ბიბლიოთეკაში.

პ. ხარისჭირაშვილზე სტატია ცალკეა ამობეჭდილი, დაცულია არქივში. უცნობია ეს კრებული ვინ ჩაიტანა 1986 წელს სტამბოლის სავანის ბიბლიოთეკაში.

## **სახალხო განათლების გამოჩენილი მოღვაწე დ. ნაცვალაძე ბათუმის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელი**

სამხრეთ საქართველოს, რომლის ისტორიულ წარსულს ბევრი წერილი და ნაშრომი მიემდგვნა. ქვეყნისათვის მოუცია არა ერთი თავდადებული მამულიშვილი. მათ შორის **პეტრე ხარისჭირაშვილს, ივანე გვარამაძეს და იაკობ საბაშვილს** (ბაროზი) შესამჩნევი ადგილი უჭირავთ.

ხსენებული მოღვაწენი ჩუმად, უპრეტენზიოდ იღვწოდნენ თავიანთი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. აქ შეეცხრებოდნენ ერთ მათგანზე.

წარმოშობით მესხი, სარწმუნოებით კათოლიკე, პეტრე **ხარისჭირაშვილი** დაიბადა 1795 წელს ახალციხეში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ახალციხის სამრევლო სკოლაში, საიდანაც შემდეგ გადაიყვანეს **ალექსანდროპოლის** კათოლიკეთა სასულიერო სემინარიაში, სადაც იგი აღმოსავლური ენების გარდა სწავლობდა ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულსა და იტალიურს.

მშობლიური ქართული ენა, რომელსაც სემინარიაში არ ასწავლიდნენ, პ. ხარისჭირაშვილმა თავი ოჯახში შეისწავლა. ამის შემდეგ მის ნიჭსა და უნარს არაფერი უშლიდა ხელს საფუძვლიანად დაუფლებოდა თავისი ქვეყნის ისტორიასა და ლიტერატურას. პ. ხარისჭირაშვილი კარგად გაეცნო თურქებისაგან დაპყრობილ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ადგილებს, ციხე – კოშკებს. გაჩანაგებულ კულტურის კერებს და ღრმად ჩაიჭედა გულში მამულის სიყვარული.

თურქი დამპყრობლები ველურად ექცეოდნენ ქართველებს: ანგრევდნენ ისტორიულ ძეგლებს, სკოლებს, უკრძალავდნენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს და ძალით ამაჰმადიანებდნენ. ართვინის მხარეში ერთ დღეს თავისი სარწმუნოების შენარჩუნებისათვის ათას სამასი კაცი გაწყდა. ქართველთა ბედკრულ მდგომარეობაზე წერდნენ ევროპის ქვეყნების გაზეთები. ამ დროს საქართველოს ეკლესიებში გაჩნდნენ რომის კათოლიკეთა მოძღვარნი, რომელთაც მოხერხებულად გამოიყენეს სამხრეთ საქართველოს მძიმე მდგომარეობა და დაპყრობილ ქართველებს კათოლიკობის მიღებისაკენ მოუწოდეს. მშობლიური ენის დაკარგვის შიშის გამო ქართველობის ნაწილმა კათოლიკური სარწმუნოების მიღება არჩია, რის შემდეგ **არტანუჯში, ოლთისსა და ართვინში** ორი ათასამდე კომლმა კათოლიკობა მიიღო. ეს ის პერიოდი იყო, როცა **მეფე ერეკლემ** რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების ტრაქტატი გააფორმა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით სამხრეთ საქართველოს გამოხსნაზე ოცნებობდა. ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკით განაწყენებულმა თურქებმა მთელი იერიში დაპყრობილ ქართველებზე გადაიტანეს და ათასობით ქართველი გაჟლიტეს.

<sup>1</sup>ფ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

ასეთ დროს დაიწყო მოღვაწეობა პ. ხარისჭირაშვილმა სამხრეთ საქართველოში. იგი მთელი ენერჯით იბრძოდა ქართველებში მიყუჩებული ეროვნული შეგნების გაღვივებისათვის. „ქართველს შერჩეს თავის სამშობლო ენა, შერჩეს მას ძველი დაბრძნილი ენა, რომელ ენაზე ლაპარაკი მაცხოვრის მოციქულებმაც იცოდნენ“, – ამბობდა პ. ხარისჭირაშვილი.

ალექსანდროპოლის სასულიერო სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ პ. ხარისჭირაშვილი შევიდა რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში. რომში იგი კარგად დაეუფლა ფრანგულ, ლათინურ, იტალიურ და გერმანულ ენებს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პ. ხარისჭირაშვილი გადავიდა **ვენეციაში**, სადაც მოინდომა ქართული სტამბის დაარსება, რომელსაც იგი ცოტა მოგვიანებით ახერხებს. ამ პერიოდში გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს ისტორიას, იტალიაში ლექციებს კითხულობდა საქართველოს შესახებ და დღედაღამ ზრუნავდა ოსმალეთში მყოფ ქართველთა ბედზე. **ვენეციიდან** პ. ხარისჭირაშვილი კვლავ **რომს** დაბრუნდა და ქართველი ერის შესახებ ვრცელი მოხსენებებით გამოვიდა. პ. ხარისჭირაშვილის მეშვეობით იმდროინდელმა იტალიელმა მოღვაწეებმა საქართველოს შესახებ ბევრი წერილი დაბეჭდეს იტალიის, გერმანიისა და საფრანგეთის გაზეთებში.

თვით პ. ხარისჭირაშვილი თავის წერილებში ევროპის ხალხების ყურადღებას მიაპყრობდა თურქი დამპყრობლების ხელში მოქცეული ქართველების უმწიფო მდგომარეობაზე და დახმარებისაკენ მოუწოდებდა. თავისი განსწავლულობით და პატრიოტული თავდადებით პ. ხარისჭირაშვილი დიდ ზეგავლენას ახდენდა რომის მაღალი წრის წარმომადგენლებზე. მას ნება მისცეს **იტალიაში დაეარსებინა პირველი ქართული მონასტერი სახელწოდებით „ივერიის ღვთისმშობელი, უმანკო შთასახარებისა“**, რომელთანაც მან **გახსნა ქართული სტამბა**, შემოიკრიბა მოწინავე ქართველები და ხელი მიჰყო ქართული წიგნების ბეჭდვას.

1820 წელს პ. ხარისჭირაშვილი თავის მშობლიურ **ახალციხეს** დაუბრუნდა. იგი მოღვაწეობდა სოფ. **ხიზაბავრასა** და **ვალეში**. ამ სოფლებში იგი იყო გლეხების მფარველი და ქომაგი, მან იქ გახსნა დაწყებითი სკოლები და ქართულ წერა – კითხვას ასწავლიდა გლეხის შვილებს.

ახალციხეში პ. ხარისჭირაშვილმა **ივანე მამულიშვილთან** ერთად დაიწყო წიგნების თარგმნა ქართულ ენაზე, მაგრამ ადგილობრივი სასულიერო პირების ინტრიგათა წყობით იძულებული გახდა **კონსტანტინეპოლში** გადასახლებულიყო და იქიდან ებრძოლნა ქართველთა ინტერესებისათვის. **კონსტანტინეპოლში** მან შემოიკრიბა ქართველები, ქალაქის განაპირა ადგილას შეიძინა საკმარისი ადგილი, დააფუძნა ქართული „**მშობა**“ და **ააშენა ეკლესია**.

პ. ხარისჭირაშვილის მიზანი იყო გაეხსნა ქართული სკოლა და სტამბა, რომლებსაც სამშობლოს მოწყვეტილი ქართველებისათვის უნდა შეესრულებინათ უდიდესი კულტურული როლი. **1865 წელს** მან კიდევ მიიღო კონსტანტინეპოლში ქართული სკოლის გახსნის ნება და ქალაქის ქართველობას აუწყა გახსნა ქართული სკოლისა, რომელშიც პირველად სწავლობდა 60 ყმაწვილი, მათ შორის **საქართველოდან გატაცებული და გაყიდული 30 ბავშვი**. 1871 წელს გაზეთი „ინდეპენდან ბელგიე“ წერდა: „...ამ შესანიშნავ მონასტერთან გამართულია ორი სკოლა: ერთი – სავაჟო და მეორესაქალებო. რომლებშიც მოსწავლეებს ქართულად ასწავლიან ყველა საგნებს. ეს სკოლა ამ თხუთმეტი წლის წინათ არის დაფუძნებული. ამჟამად ამ სკოლაში სწავლობს 160 ყმაწვილი, თითქმის ყველანი ქართველები არიან. მიზანი მშობისა არის ნაციონალური გრძნობების გავრცელება ოსმალეთის გამაჰმადიანებულ ქართველებში“ (ზაქ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, გვ. 55 – 58).

პ. ხარისჭირაშვილმა სკოლასთან გახსნა ქართული სტამბა, ჩამოასხმევინა ახალი ქართული შრიფტი და 1870 წლიდან დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა ხსენებულ სტამბაში დაიბეჭდა: „ყვავილის კონა ყრმათა“, „მოკლე რიტორიკა“, „მოკლე ფილოსოფია“, „მოკლე ქართული ღრამატიკა“, „ისტორია ზოგადი“, ფრანგული ენის სახელმძღვანელო“ და ბევრი სხვა. **ხსენებული წიგნების უმეტესობა პ. ხარისჭირაშვილის მიერ იყო შედგენილი.**

პ. ხარისჭირაშვილი ოსმალეთში ერთგულ ქომაგად ედგა ქართველ ტყვეებს, რომლებსაც ქართველი მებატონეები ყიდდნენ თურქ ვაჭრებზე. ბევრი ქართველი ქალ – ვაჟი გამოუსყიდია თავისი ფულით პ. ხარისჭირაშვილს. მათი ნაწილი მან სამშობლოში დააბრუნა.

1860 წელს პ. ხარისჭირაშვილმა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს დასაბეჭდად გამოუგზავნა ვრცელი, მამხილებელი შინაარსის წერილი, რომელშიც იგი ქართველ თავადაზნაურობას ბრალს სდებდა ქართველი ერის ღალატში. წერილში იგი ყველაზე უფრო დაუნდობლად ილაშქრებდა გურიის თავადაზნაურების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ყმებს ოსმალეთში ყიდდნენ. ი. კერესელიძეს პ. ხარისჭირაშვილის წერილის დაბეჭდვა ვერ გაუბედნია იმ მიზეზით, რომ „მთელი თავადაზნაურობა ამიჯანყდებაო“.

1878 წელს, რუსეთ – თურქეთის ომის დაწყების შემდეგ, ხარისჭირაშვილმა მოინდომა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ თურქეთის მთავრობამ ნება არ დართო.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პ. ხარისჭირაშვილი კონსტანტინეპოლში ინახულა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. სახელოვანი ქართველის დანახვაზე ღრმა მოხუცს პ. ხარისჭირაშვილს ცრემლი მოერია, დიმიტრის მოეხვია და შემდეგი სიტყვები უთქვამს: „ვუმადლე ღმერთს, რომ ამიხილა თვალები... მამცნო ჩემი სამშობლო ენა, მწიგნობრობა, მიმახვედრა მის ისტორიას და დღევანდელ მდგომარეობას... მივდივარ საფლავში და თან მიმყვება ქართველი მაჰმადიანების დარდი“.

პ. ხარისჭირაშვილი გარდაიცვალა 1890 წელს. მისი გარდაცვალება ქართველმა საზოგადოებამ მწუხარებით აღნიშნა, რადგან პ. ხარისჭირაშვილი, სრულიად სამართლიანად, უანგარო მამულიშვილად მიაჩნდათ.

დაბეჭდილია ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“, ტ. 10, 1959 წელი.

**შენიშვნა:** ეს სტატია ამობეჭდილია ცალკე აღნიშნული ჟურნალიდან და შენახულია სავანის არქივში. უცნობია, ვინ ჩაიტანა ეს ჟურნალი მაშინ სავანეში.

## **ა. მანველიშვილი ქართველ-კათოლიკეთა საკითხი<sup>1</sup> ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისით**

### **თავი პირველი ქართველ-კათოლიკობის ისტორიული მიმოხილვა**

**მიხ. თამარაშვილი** თავის დიდ ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს უხვ და მდიდარ დოკუმენტებს არა მარტო აღმრულის, არამედ სხვა მრავალ საკითხების შესახებ, კათოლიკობის ისტორიას საქართველოში იწყებს მე – 13 ს. ითაგან, რათგან ფიქრობს, რომ საქართველოს ეკლესია რომის ეკლესიისაგან ბერძნებთან ერთად (ე.ი. 1054 წ.) არ განცალკევებულა. ამის იურიდიული

<sup>1</sup>ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდება ავტორის აღნიშნული სათაურით დაწერილი თხზულების ზოგიერთი თავები.

აქტი არც ერთ დროისთვის არ მოგვეპოვება, ხოლო პრაქტიკულად სწორედ შემდეგ უნდა მომხდარიყო და ეს უნდა მომხდარიყო უთუოდ მე – 13 ს – მდე, რათგან ამ დროს **რუსუდან მეფის** და პაპის მიწერ – მოწერა ამას გულისხმობსო.

წინამდებარე თხზულების მიზანს არ შეადგენს მეცნიერული შესწავლა ქართველ – კათოლიკეთა გენეზისის, არც რომისა და საქართველოს ეკლესიათა განცალკევების იურიდიული თუ ფაქტიური აქტების. ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ რეალური ფაქტების აღნუსხვით და იქითგან მიღებული დასკვნებით ვიხელმძღვანელებთ ჩვენი ერის ცხოვრებაში არსებულ ამ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენის ეროვნულ – ისტორიული თვალსაზრისით შეფასების დროს.

კათოლიკეთა ისტორიის მკვლევარნი საქართველოში, ფიქრობენ, რომ კათოლიკობა საქართველოს ძველი დროთგანავე შერჩა, რომ შემდეგ საუკუნეებში და დღესაც არსებული კათოლიკობა არ არის შედეგი მხოლოდ უამრავ მისიონერთა მოღვაწეობის, რომ თითქოს მისიონერთა საქართველოში პირველად მოსვლამდეც უნდა ყოფილიყო ნაშთი კათოლიკობისა.

დღეს ჩვენთვის არც ამ საკითხის შესწავლაა საინტერესო<sup>1</sup>. ის კი ცხადია, რომ 1233 წლითგან მოყოლებული მე – 19 – ე საუკუნის მეორე ნახევრამდე რომის მისიონერები ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე საქართველოს.

ამ დროითგან იწყება კათოლიკური მოძრაობა საქართველოში და კათოლიკურ მოღვაწეობას არსად არ გამოუღია ისეთი დიდი კულტურული და ზნეობრივი ნაყოფი, როგორც მოხდა საქართველოში. კათოლიკურ ეკლესიას და კათოლიკეთა მისიონერებს არსად არ დაუმსახურებიათ იმდენი სიყვარული და პატივისცემა, როგორც საქართველოში და არც ერთ არა კათოლიკე ერს არ ჰქონია იმდენი პატივისცემა და მეგობრობა რომის ეკლესიასთან, როგორც საქართველოს, მის მეფე – მთავრებს და მთელ ერს.

ამის მიზეზი, როგორც ქვემოთ თავ – თავის ალაგას გამოირკვევა, ორია: ერთი მდგომარეობა თვით **ქართველთა რასის რაინდულ კაცთ – მოყვარე ბუნებაში**, რომელსაც უდაოდ ისიც ხელს უწყობდა, რომ ქართველთა ეკლესიას და რომს აროდეს ჰქონიათ ისეთი შეხლა – შემოხლა, როგორც ეს ბერძენთა ეკლესიას მოუხდა და, ცხადია, ის ბრმა ზიზღი და მტრული განწყობილება, რომელიც ყოველთვის თან სდევს **სარწმუნოებრივი განხეთქილების ორ მოპირდაპირე ბანაკს**, ქართველ ერში სხვა ეკლესიისადმი არ ყოფილა.

მეორე უფრო ძლიერი ფაქტორი, ჩვენის აზრით, როგორც, აგრეთვე, ქვემოთ დავრწმუნდებით, არის **წმიდა პოლიტიკური**, ხოლო ნაკლებ **კულტურული**.

საქართველო, რომელიც ყოველთვის მომწყვდეული იყო ორდიდ მსოფლიოს შესაკრებელ პუნქტში, თვითგან, ხშირად მიმართავდა გაორების გზას.

დასავლეთით ქრისტიანული სამყარო, ხოლო აღმოსავლეთით ისლამის რეზიდენცია. აი ორი სულიერ – ზნეობრივი სათავე, რომელიც ფლობს საშუალო საუკუნეების კაცობრიობას. **არაბეთის, სპარსეთის და ოსმალეთის დაპყრობითი პოლიტიკა ასაზრდოებს ისლამის სულის შეხლას ქრისტიანიზმის მორალთან.**

საუკუნენი, რომელთა ბრძოლების დროშები სამშობლოსა და რელიგიის იდეალით ფრიალებენ, დიდი გავლენის ქვეშ არიან სარწმუნოებისა.

იმ დროინდელ ბრძოლების ხასიათისთვის გადამწყვეტს თუ არა, საგრძნობ ფაქტორს წარმოადგენდა **სარწმუნოება**. ჯვაროსანთა პირველნი ლაშქრობანი ქრისტიანული სიმბოლიკით იშლებოდნენ.

---

<sup>1</sup>თუმცა ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ეს ფრიად საინტერესო საკითხია და შესწავლის ღირსი.



და პატარა ქრისტიანული საქართველო ამ ორი დიდი ქვეყნის ფიზიკური და ზნეობრივი ტალღების შეხლის დროს, ვით ნაფოტი, ხან ერთ მხარეს ეხლებოდა ხან მეორეს.

ძლიერი აღმოსავლეთის შიშით საქართველოს საშველად ხელი მუდამ დასავლეთისკენ ქონდა გაშვერილი. ხოლო, რა იმედი გაუქრებოდა, კვლავ ლოიალობის გზას დაადგებოდა ხოლმე. იწყებოდა ზეინკლობა და ქრისტეს ტირილი; და სდუმდა ერი, სანამ ახალი ტალღა კვლავ არ ეხეთქებოდა. ამიტომ გასაოცარი როდია, რომ ამ ლოიალობის დროსაც, თუმცა ეს მას ძალიან ხელს უშლიდა, მაგრამ მაინც დასავლეთთან კარგი ურთიერთობა მისთვის კიდევ ერთგვარი ნუგეში იყო. ამ ურთიერთობის შუამავლობა, სწორედ, მთელი საუკუნეების გასწვრივ რომის მისიონერებმა შეასრულეს. ამიტომ ვიმეორებთ, გასაკვირი არ არის, რომ ქართველნი მართმადიდებელნი მეფენი, მთავრები, მხედრები და ხშირად ერის კაცნიც ერთსა და იმავე დროს იღებდნენ ისლამს, უერთდებოდნენ მაჰმადიანობას, მაგრამ ნამდვილად ისევ ქრისტიანები რჩებოდნენ, ხოლო ამავე დროს იღებდნენ კათოლიკობას ჩუმად და მათ დიდ დახმარებასაც უწევდნენ, განსაკუთრებით მე-16-18-ე საუკუნეთათვის ეს დამახასიათებელია. ხოლო ერთგულება და პატივისცემა რომის ეკლესიისადმი, ზოგიერთ გამონაკლისებს გარდა, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა, მიუხედავად იმისა, ეკლესიის შეერთების მომხრე იყო თუარა.

რუსუდანის მეფობაშივე (თუ მართლა ამ დროს ეკლესია ახლად იყო გაყრილი) დაბადებულა აზრი რომის ეკლესიასთან შეერთების. ეს ჯერ გამოიხატა ცნობით, რომელიც გულისხმობდა მათ შორის დიდ მეგობრობას. ამაზე 12 მაისს 1224 წ. პაპი ონორიო მე – 3 – ე სწერს რუსუდანს: „უფლისამებრ დიდად განვიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტიანთა... და სხვ.

როგორც ირკვევა, ეს საკითხი ისე მომწიფებულა, რომ შემდეგ ქართველებს რომთან შეერთებაზეც მიუწერიათ. ამის შესახებ დაცულია 18 იანვრის 1240 წ. პაპის გრიგოლ მე – 9 – ის პასუხი რუსუდანისადმი, სადაც სწერს: „... ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თხოულობთ ჩვენთან შეერთებას, ამაზედ დიდად ვაქებ თქვენს დიდებულებას, უკეთუ აქამდე თქვენი ცხოვრების სისრულეს რამ აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულყოფს და მასთანავე აგვირგვინებდა ჩვენს სიხარულსაც, რომლის მიზეზიც თქვენ ხართ“<sup>1</sup>. შემდეგ ამ წერილში გადაშლილია ერთი დედა ეკლესიის თეორია და ამასთანავე პაპი აცნობებს, რომ ის აგზავნის რვა მისიონერს და სთხოვს მეფეს მათ მფარველობას.

მაშასადამე ამ დროითგან იწყება მისიონერების ფაქტიური მოღვაწეობა საქართველოში<sup>2</sup>.

იმ დროის ყველაზედ უძველესი ეკლესია დაცულია ახალციხეში, რომელიც მ. ბროსეტის სიტყვით უნდა ეკუთვნოდეს 1298 წ.<sup>3</sup>

ეს პირველი მისიონერები, პაპი გრიგოლ მე-10-ე რომ სწერს რუსუდანს, იყვნენ წესით დომინიკიანები. ეს მისიონერები მოვიდნენ საქართველოში და რუსუდანმა ისინი დიდის პატივით მიიღო, აღმოუჩინა მორალური თუ ნივთიერი დახმარება და მისცა საშუალება მოღვაწეობისა.

მისიონერები იწყებენ მოღვაწეობას წმიდაკულტურული გზით, სწვრთნიან ხალხს სულიერად, ექიმობენ და სხვ. და იჩენენ ნელ – ნელა მრავალ თანამოაზრეებს. ამ დროითგანვე ძალიან

<sup>1</sup> იხ. მ. თამარაშვილის – ტექსტები გვ. 580.

<sup>2</sup> იმავე გრიგოლ პაპის წერილითგან სჩანს, რომ საქართველოში მისიონერები ადრეც ყოფილან, სახელდობრ, 1233 წელს და განსვენებული მ. მიხ. თამარაშვილი გაკვირვებულია, რა უნდოდათ ამ დროს აქ მისიონერებს, თუ ეკლესია გაყრილი არ იყო! და ფიქრობს, რომ შეიძლება ისინი კავკასიის სხვა ხალხებში საქადაგებლად იყვნენ მოსულნიო.

<sup>3</sup> იხ. მ. ბროსეტის „ქართლ. ცხოვრება“, ნაწ. 1, გვ. 182.

ბევრი ქართველი უახლოვდება კათოლიკობას და უერთდება კიდევ. ეს ადვილად ხდებოდა, რათგან ამას არავითარი დაბრკოლება არ ეღობებოდა წინ. საეკლესიო და საღვთის – მსახურო წესები არაფერ ახალს და უცნაურს არ შეიცავდენ და, მეორე მხრით, ერი თავის მოქმედებაში თავისუფალი იყო. პარალელურად კათოლიკობასთან ხშირად იბადებოდა და მწიფდებოდა რომთან შეერთების საკითხი და არა მარტო მეფე მთავართა შორის, არამედ სასულიერო წრეებშიაც. იმავე მე – 13 – ე მეორე ნახევარშიაც ეს საკითხი იქამდე პოპულარული ხდება, რომ ამის შესახებ რომის პაპსა და თვით ქართველთა კათალიკოსს შორისაც ხშირი მიწერ მოწერა სწარმოებს. მაგალითად 7 ივლისს 1298 წელს პაპი ნიკოლოზ მე-4-ე წერს საქართველოს კათალიკოსს წერილს ეკლესიის შემოერთების შესახებ და თან ავედრებს ახლად გამოგზავნილ მისიონერების შველა – დახმარებას. ამ წერილის თითო პირს უგზავნის, აგრეთვე, საქართველოს ყველა მთავარ – ეპისკოპოსი, ეპისკოპოსთ და არქიმანდრიტებს.

ის, რომ მართლმადიდებელთა შორის კათოლიკობის გასავრცელებლად გამოგზავნილ მისიონერებისთვის დახმარებას პაპი იმავე მართლმადიდებელთა კათალიკოსს სთხოვს, მაჩვენებელია, მართლაც, მათი გულწრფელი კეთილგანწყობილებისა.

ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება საქართველოში წვრილ-წვრილი კათოლიკური სამრევლოები, რომელთაც მწყემსავენ რომის კათოლიკე პატრები, ხოლო შემდეგ ჩნდება ადგილობრივი სამღვდელთა, – ზოგნი გაკათოლიკებულნი და ზოგიც მღვდლად აღზრდილნი. არა მარტო ადგილობრივი საჭიროებისათვის, – საქართველოს კათოლიკეთა შორის ამ დროითგანვე ჩნდებიან ისეთი თავდადებული პირები, რომლებიც სხვა რომაელ მისიონერებთან ერთად შორეულ აღმოსავლეთშიც მოგზაურობენ სარწმუნოების გასავრცელებლად. 1321 წელს 13 აპრილს ინდოეთში აწამეს ოთხი კათოლიკე მისიონერი და მათ შორის ერთი იყო ქართველი ძმა დიმიტრი ტვილელი.

სჩანს მე – 14 – ე საუკუნეშიც ქართველი მეფეები ხელს უწყობდენ მისიონერებს მოქმედებაში, და ეკლესიის შეერთების საკითხიც ისევ სცოცხლობს. 15 ოქტომბერს 1324 წ. პაპი იოანე მე – 22 – ე სწერს გიორგი ბრწყინვალეს და მის თავადებს ეკლესიის შეერთებაზედ. გიორგის საპასუხო წერილი დაკარგულია და არ ვიცით, რას სწერდა, ხოლო ის კი ვიცით, რომ გიორგი ბრწყინვალეც დიდად ხელს უწყობდა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას, და ამ დროსთვის კათოლიკობის გავრცელება საქართველოში უკვე საგრძნობ საქმედ იქცა ვატიკანისათვის; და პაპისა და პროპაგანდის წინაშე ისმება საკითხი საქართველოში კათოლიკეთათვის საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შესახებ. როგორც წყაროებითგან ირკვევა, ეს მოთხოვნილება გამოწვეული ყოფილა საქართველოში კათოლიკეების გამრავლებით, რომელიც მოითხოვდა სათანადო მოვლას.

პაპის იოვანე მე – 22 – ის სპეციალური დეკრეტით 9 აგვისტოს 1328 წ. ქალაქ სმირნის საეპისკოპოსო კათედრა იხურება და მისივე ბრძანებით ტვილისში არსდება საეპისკოპოსო ეკლესია, მუდამ არსებობის უფლებით<sup>1</sup>. 1328 წ. 6 თებერვლის დეკრეტში პაპი სწერს: „... ამიტომ შემდგომ დიდი აწონდაწონისა და ჩვენ ძმებთან ერთად გულმოდგინე მოლაპარაკებისა, აგრეთვე, მათი რჩევითა და ჩვენის მოციქულებრივის სრული უფლებით, იმავე სამეფოში მყოფს განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერს ქალაქს ტვილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად, ღვთის საქებ – სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასაძლიერებლად, მცხოვრებთა, აწმყო და მომავლის ბედნიერებისათვის და სხვ. ეგრეთვე, გვნებავს, რომ მომავალშიაც ყოველთვის ეწოდებოდეს ესევე სახელი: ტვილისის საეპისკოპოსო ქალაქი...“ და სხვ.

<sup>1</sup>ერთი წერილიც გიორგი ბრწყინვალისთვის გაუგზავნია პაპს, მაგრამ პასუხი გიორგისა არ არის დაცული და არ ვიცით, პირობა როგორ შეუსრულა.

ამ ბრძანების შემდეგ ტფილისში ეს ეკლესია კიდევ დაუარსებიათ და პირველ ეპისკოპოსად დაუნიშნავსთ **იოვანე ფლორენციელი**.

ამ დანიშვნის შემდეგ **რომის პაპი** ვრცელი წერილით უგზავნის დირექტივებს ეპისკოპოსს და ასევე სპეციალური ეპისტოლეთი მიმართავს ქართველ კათოლიკე სამღვდელოებას და მრევლს<sup>1</sup>. ამ დროს სამღვდელოება უკვე ადგილობრივი ქართველებისაგან შესდგება და საინტერესოა კითხვაზედ პასუხი, თუ რატომ თვით ქართველ მღვდელთაგანი ვინმე არ დაუნიშნავსთ ეპისკოპოსად, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

**იოვანე ფლორენციელი** საქართველოში ეპისკოპოსად დარჩა 18 წელს. მის გარდაცვალების შემდეგ 1849 წ. **პაპის კლიმენტი მეექვსის** მიერ ახალ ეპისკოპოსად დანიშნულ იქმნა **ბერთრანდო კოლეტი**.

სპარსეთში ლათინების მიერ 1818 წლითგან დაარსებული იყო რამდენიმე საეპისკოპოსო და საქართველოში ახალი ეპისკოპოსის დანიშვნის შემდეგ ტფილისის საეპისკოპოსოც ერთ – ერთ მათგანს, სახელდობრ, **სულთასიეს** საეპისკოპოსოს დაუმორჩილეს.

1356 წ. მესამე ეპისკოპოსად **პაპი ინოკენტი მე-4** – ე ნიშნავს დომინიკიანს **ბერთრამოს**.

1391 წ. მისი გარდაცვალების გამო პაპი **პონიფაცი მე-9-ე** ნიშნავს დომინიკიანელ **ლეონარდო ვილაკოელს**.

ამის შემდეგ კაი ხანს აღარ ვიცით, რა მდგომარეობაში იყო საეპისკოპოსო, რათგან ამის შესახებ ცნობები არ დარჩენილა, ხოლო მე-5-ე ეპისკოპოსად 1424-1425 წლებში მოხსენებულია **იოანე ეპისკოპოსი**, ადრე კი იოანესა და ლეონარდოს შორის იყო თუ არა ვინმე ეპისკოპოსი, არ ვიცით.

მეექვსე ეპისკოპოსი ინიშნება **პაპი მარტინე მე-4** – ის მიერ 1425 წელს.

1425 წლითგან 1494 წლამდე, 68 წლის განმავლობაში, არ ვიცით, რა მდგომარეობა იყო, მაგრამ საგულისხმოა, რომ იქნებოდენ უთუოდ ეპისკოპოსები, რათგან ამ დროს ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები არ სჩანან. ერთ ეპისკოპოსად დასახელებულია ვინმე იოანე, და მერე ამ რიგის მიხედვით 1493 წელს მერვე ეპისკოპოსად პაპის **ალექსანდრე მე-6** – ის მიერ ინიშნება **ალბერტო ენჯელი**<sup>2</sup>.

<sup>1</sup>პაპების ისტორიაში ეს ის ბურუსიანი ხანაა, როდესაც ერთის მაგიერ ორი და სამი პაპი ჩნდებოდა ერთსა და იმავე დროს. სწორედ 1356 წელს ეს ეპისკოპოსი ემხრობოდა **ურბან მეექვსეს**, ხოლო მეორე პაპად წოდებული **კლემენტი მე-7-ე**, რომელიც ძლიერი იყო საკმაოდ, საქართველოში სხვა ეპისკოპოსს ნიშნავს **ჰენრიკო** რაცის (თავის მომხრეს). მერე კი, რის შესახებაც არავითარი ცნობები არ გვაქვს, ეპისკოპოსად ისევ ბერთრანდო რჩება, სიკვდილამდე, ე.ი. 1391 წლამდე.

<sup>2</sup>1425-1493 წ. პერიოდი საქართველოსა და რომის ურთიერთობის მეტად კარგად არის დახასიათებული. ამ დროის ურთიერთობის შესახებ ნათელ სურათს გვიძლის **პაპი პიო მე-11-ის** წერილი **ლიუდოვიკე კოლონიელისადმი** (1458 წ. 4 ოქტ.). იგი სწერს, რომ აღმოსავლეთში მრავალი მეფე მთავრები და სარწმუნოების წარმომადგენელნიც სცნობენ რომის ეკლესიის უზენაეს უფლებას და ბევრნიც დიდი პატივისცემით ეპყრობიან მასო. მათ შორის ასახელებს: **სამცხის ათაბაგს, ქართლის მეფეს, სამეგრელოს მთავარს, ტრაპიზონის იმპერატორს** და მთელ ქართველობას.

ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის ეპისკოპოსზედ ვატიკანის საბუთები არას ამბობენ, შეუძლებელია ეს პერიოდი უეპისკოპოსოდ ყოფილიყო და მართლაც, რასაც პაპის არქივით ვერ ვიგებთ, ამ ნაკლს ავსებს ზოგიერთი ძველი მწერლების ცნობები. ამ ცნობების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ოთხი ეპისკოპოსი ყოფილა: 1. 1450 წ. **პაპი ნიკოლოზ მე-5-ის** მიერ აღნიშნული **ალექსანდრე დომინიკიანი**. 2. 1462 წ. **პაპის პიო მე-2-ის** მიერ დანიშნული **ენრიკო**. 3. ვინაითგან უკანასკნელი იმავე წელს გარდაიცვალა, პაპი ნიშნავს **ენრიკო ფრანსიჩიანს** და 4. 1470-1471 წწ. **პაპს პავლე მე-2-ეს** დაუნიშნავს **ივანე იმაქი** აგვისტიანების წესისა (1493 წლამდე).

1493 წლის შემდეგ აღარ ვიცით, რა ბედი ეწია ქართველ – კათოლიკეთა საეპისკოპოსოს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ **რომთან** დაახლოების საკითხი უფრო ცხოველდება. ამას ამ დროს ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ აღმოსავლეთში იზრდებოდა **ოსმალეთის იმპერია**, რომელიც შიშის ზარს სცემდა არა მარტო აღმოსავლეთის ქრისტიან ერებსა, არამედ მისი დასავლეთსაც ეშინოდა. კონსტანტინეპოლის დაპყრობა დასავლეთისთვის იყო პირველი ძლიერი სანგრის მოშლა და სწორედ ამან გამოიწვია პაპის მოწოდება ახალი ჯვაროსნობის მოწყობის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, ვინაიდან ეს საშიშროება ქართველებისთვის უფრო ძლიერი იყო, ამიტომ ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა იგრძნეს ამ ბედნიერი შემთხვევის ღირებულება. მაშინადაც მიივიწყეს გაჩაღებული ძმთა შორის ბრძოლა, დადვეს ხელშეკრულება და სპარსეთის მფლობელ **უზუნ ჰასანთან, სომხეთის მთავართან და ტრაპიზონის იმპერატორთან** ერთად შეადგინეს კოალიცია და დიდის სიხარულით და სათანადო მომარაგებით მიემხრენ პაპის წინადადებას.

ცხადია, ამ უდიდეს პოლიტიკურ მოვლენას მათ შორის სარწმუნოებრივ ურთიერთობაზეც თავისი დალი უნდა დაესვა. შემდეგ, მიუხედავად ამ დიდი პოლიტიკური გეგმის ჩაშლისა, ქართველები **რომთან** მაინც კარგ ურთიერთობაში იყვნენ. კათოლიკობა საქართველოში მაინც ვრცელდებოდა და საქართველოში უკვე ფრიად მოწინავე პირები და თვით მეფეებიც ხშირად იღებდნენ კათოლიკობას.

პაპი ერთ მოწოდებაში **კონსტანტინე მეფესაც** კათოლიკად იხსენიებს. შეიძლება ეს სავსებით სწორი არ იყოს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მეფე კონსტანტინე რომთან და კათოლიკობასთან ფრიად დაახლოებული ყოფილა.

ამავე დროითგან იწყება თურქების მიერ საქართველოს ზოგიერთი პროვინციების დარბევა.

1520 წ. და 1566 წლებში ჯერ **სულთან სულიმანმა** და შემდეგ სპარსმა **შაჰ თამაზმა** სრულიად მოაოხრეს **სამცხე – საათაბაგო** და სარწმუნოების აღმოფხვრასაც შეეცადნენ. ამ დროს ერთად ერთი წრე, რომელსაც შეეძლო სარწმუნოება დაეცვა, **იყო კათოლიკობა**, რომელიც ამ კუთხეში საგრძნობ ძალას წარმოადგენდა. ამის შესახებ ცნობებს უხვად გვაწვდის მოგზაური **მინადო** ხოლო მათ ეკლესიებსაც ბოლო მოელო **მუსტაფა ფაშის** შემოსევით. ეს მუსტაფა ფაშა გახლდათ სამცხე – საათაბაგოს მთავრის ქვრივის **დედის – იმედის** შვილი **მანუჩარი**, რომელმაც მიიღო მაჰმადიანობა, მოჰკლა ძმა ალექსანდრე, რომელიც ამ დროს მთავრად იყო. თვითონ გახდა ახალციხის ფაშად და ხელი შეუწყო თურქთა ბატონობას. ამგვარად, დედის მიერ აგებულ ეკლესიებს შვილი ანგრევდა<sup>1</sup>. ამ მანუჩარზედ მოგზაური მინადოც აი, რას ამბობს: „წინდაცვეთილ იქმნა მანუჩარ და ეწოდა სახელად **მუსტაფა**, მიიღო ტიტული ფაშისა და იქმნა გამგე **ალთუნყალისა**<sup>2</sup> და იმ ყველა ადგილებისა, რომლებიც ეკუთვნოდნენ მის დედასა და ძმასა“. ხოლო ბელგიელი მოგზაური **როტიმ** ამ მდგომარეობას ასე აგვიწერს: „როგორც სპარსელები, ისე ოსმალები ხშირ – ხშირად ესეოდენ საქართველოს ჩვენ დრომდე, აოხრებდნენ ქვეყანასა და ხოცავდნენ ხალხს. ბევრჯერ და დიდი ხნობით დასტოვეს ეს ერი უნუგემოდ, ხოლო იმ რიცხვმა კათოლიკეთა, რომელიც

---

ერთი ცნობა ამ პერიოდის ეპისკოპოსების შესახებ **ყვარყვარეს** წერილშიც არის დაცული. 1450 წ. როცა **რომში** მივიდნენ **გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის** ელჩები (ამაზედ შემდეგ) უთხოვნიათ, საქართველოს კათოლიკებისთვის პატრიარქად **ლიუდოვიკე** დაეწესებინთ, რაც პაპმა სიამოვნებით აუსრულა.

<sup>1</sup>**სამცხეში**, ს. **ვალეში** დღესაც არის დაცული ერთი უძველესი ეკლესია (დაახლოებით მე-8 ს.), რომელიც მე-16-ე საუკუნეში განახლებულია **დედის იმედის** მიერ. ამას გვიჩვენებს სამხრეთის ერთი სვეტის თავის ვრცელი წარწერა.

<sup>2</sup>**ალთუნ-ყალა** ნიშნავს ოქროს ციხეს. ამ მშენებელი ციხის ნაშთი დღესაც დაცულია და იმყოფება სამცხის ჩრდილ-დასავლეთ ნაწილში აბასთუმანის დასავლეთით.

ლათინის ეკლესიის მორწმუნე დარჩა, სარწმუნოებაში შეურყევლად გასძლო თავიანთისავე ერის კაცთა (მოწინავე პირთა) მიერ წვრთნის და დარიგების მეოხებით.

აქეთგან სჩანს, რომ გარდა ლათინის ტიპიკონის ქართველ – კათოლიკეთა, როგორც მართლმადიდებელი, ისე ქართული ტიპიკონის კათოლიკენი ერთად ილუპებოდენ ხოლმე ხშირად.

ამგვარად, მაჰმადიანობაში ვარდებოდენ არა მარტო მართლმადიდებელი ქართველობა, არამედ ქართული წესის კათოლიკებით ან სხვა შემთხვევაში სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით იღებდენ სომხურ ტიპიკონს (და ნელ – ნელა სომხდებოდენ), **რათგან თათრები სომხებს არ სდევნიდნენ**, ამ საკითხზედ ცალკე ვისაუბრებთ.

ასეთი ბედია ეწია ამ პროვინციაში ქართველ მართლმადიდებლობასთან ერთად კათოლიკობასაც.

ამ დროითგან იზრდება გავლენა სპარსელებისა და ოსმალებისა საქართველოზედ. ამ შემთხვევით სარგებლობენ სომხებიც, რომელნიც მათგან ნაკლებ ჩაგვრას განიცდიდენ, და ყველა ერთად სდევნიან და **ავიწროებენ ქართველ ერს სულიერად თუ ფიზიკურად**. იმ დროინდელ წყაროებში აუარებელი ცნობებია დაცული იმის შესახებ, თუ როგორ სდევნიდენ კათოლიკურ სარწმუნოებას საქართველოში აქ მყოფი სომხები. მაგრამ სანამ ამ დევნას შევეხებოდეთ, ჯერ მოკლედ უნდა აღვწეროთ ის დიდი მოძრაობა კათოლიკებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-17-ე საუკუნეში.

მე – 17 – ე საუკუნის პირველ ნახევარში **მეფე თეიმურაზი** სწერს წერილს პაპს და აგზავნის ელჩს ქართველს, **ნიკიფორე ერბახად (ჩოლოყაშვილი)** წოდებულს, რომელიც შემდეგ **რომში 1629 წელს აარსებს პირველ ქართულ სტამბას და ბეჭდავს იტალიურ – ქართულ ლექსიკონს**.

ამ დროს აწამეს სპარსეთში **ქეთევან დედოფალი**. მისი ნაშთი ინახებოდა მისიონერებთან და მერე **პატრი ამბროზიოს** თაოსნობით იქმნა გადმოსვენებული საქართველოში. მეფე თეიმურაზი მგლოვიარედ და ამასთანავე დიდის სიხარულით შეხვდება ამ პატრს და გორში აჩუქა მას ადგილები. პატრი ამბროზიო აგზავნის ინდოეთს **პატრი პეტრეს**, ჩამოიტანს იქითგან ფულს და ააგებს გორში დიდებულ ტაძარს. ამ დროისთგან იწყება ქართლში მისიონერთა მოღვაწეობის ბრწყინვალე ხანა. ამ პატრების მეოხებით **თეიმურაზი** ძალიან უახლოვდება რომს, – იქამდე, რომ პაპიც დაჟინებით სთხოვდა თეიმურაზს, რათა მთელი ერი შეერთებინა რომისათვის. მაგრამ თეიმურაზი ამის პირობას ვერ აძლევდა, პირადად კი უნდოდა კათოლიკობის მიღება. პირობა ვერ შეასრულა იმიტომ, რომ ამ დროს საქართველოში დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძნებსაც და თეიმურაზს (I) ისედაც ძირ გაუმაგრებელი ტახტის დაკარგვის ეშინოდა. ეშინოდა, ბერძნებმა ეს სადემოკოგიო მასალად არ გამოიყენონ ჩემი მოწინააღმდეგე თავადების წინაშეო. იმიტომ **მან ჩუმად მიიღო კათოლიკობა**. ხოლო მთელ ერს ვედარ მიაღებინა. თავადებისგან ასეთი უბედურება მას **სიმონის** გამეფებით კიდევ შეემთხვა. ხოლო **როსტომ ხანის** შემოსევის შემდეგ გაიქცა იმერეთს.

მანამდე კი კათოლიკობას გორში ძალიან დიდი მზრუნველობა გაუწია. ამ დროსაც, როგორც ადრე, ქართველ – კათოლიკეთა შორისაც კიდევ ჩნდებოდენ დიდი სარწმუნოებრივი და საზოგადო მოღვაწე პირები. ამ დროს ეკუთვნის ცნობა ერთი შესანიშნავი ქართველის შესახებ. როცა გორითგან პატრი პეტრე ინდოეთს წავიდა, მას გაყვა ერთი ახალგაზრდა ქართველი კათოლიკე, ბერად აღკვეცილი. ის იწყებს იქ მოღვაწეობას, ის იქამდე მიმზიდველი და მომხიბვლელი პიროვნება იყო, რომ მას ყველა იცნობდა და უდიდესი პატივიც ქონდა დამსახურებული. ის მალე მოკვდა და ვატიკანი წყაროების ცნობით ინდოეთში მყოფ სხვა და სხვა ორდენის მისიონერთა შორის დავა გამართულა, **ანდრიას ნემტი არა ჩვენს ეკლესიაში უნდა დავმარხოთ და არა ჩვენშიო**.

დავა სრულიად სერიოზული ყოფილა, – ჩხუბიც კი მოუხდენიათ ბერებს ამ ქართველის გულსთვის. და აი ასეთი თავისუფლება კათოლიკებს, თეიმურაზის გაქცევის შემდეგ, გორში აღეკვეცათ.

აღმოსავლეთ საქართველოთგან ამ ხანებში მოქმედების ცენტრი მისიონერებს გადააქვს დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს მთავრებმა პატრების მოღვაწეობა გაიცნეს აღმოსავლეთ საქართველოში და თავისთანაც მიიწვიეს იგინი.

ამის საბაზი შეიქმნა შემდეგი შემთხვევა:

**როსტომ ხანმა** შეირთო **დადიანის** და, და როცა სამეგრელოთგან მოსული მოციქულები გაეცვინენ **გორში** პატრების მოღვაწეობას, სთხოვეს მათ, **სამეგრელოსაც** სწვეოდენ, სადაც პირდებოდენ დიდ ჯილდოს და ყოველგვარ დახმარებას.

პატრებს ამგვარი გულწრფელი მიპატიჟება ფრიად გაუხარდათ და მალე ეწვიენ **სამეგრელოს**.

სამეგრელოში, რასაკვირველია, ისინი პატივით მიიღეს და მთავრებმა დახმარებაც აღმოუჩინეს. ამ პატრების მიწერილი წერილები სავსეა უამრავი მაგალითებით. სამეგრელოს მთავრების გულუხვობისა და სტუმართ – მოყვარეობისა.

ამავე დროს მოხდა პატრების შესვლა **გურიაშიც**. იმავე **როსტომ – ხანის** ქორწილში, მეგრელებთან ერთად, გურულებიც იყვნენ, პატრებს ისინიც გაეცვინენ და მეგრელების მიზამვით მათაც მიმართეს თხოვნით, გურიასაც სტუმრებოდენ.

ამგვარად, გურია – სამეგრელოშიც დაიწყო პატრების მსოღვაწეობა. ქვემოდ მოკლედ აღვწერთ მათ კულტურულ მოღვაწეობას, და რაც შეეხება სარწმუნოებრივ დარგს, მათი მუშაობა აქაც არ დარჩენილა უნაყოფოდ და დიდძალ ხალხისთვის მიუღებინებიათ კათოლიკობა; მათ უერთებოდენ თურმე ხშირად მთელი სამრევლოები მღვდლებით და ეპისკოპოსებით. **პატრებმა** **ერში კულტურულ – ზნეობრივი მოღვაწეობით უდიდესი პატივისცემა დაიმსახურეს**. და ეს პატივისცემა ისე დიდი იყო, რომ გურია – სამეგრელოს მთავრები ლხინში და ჭირში გვერდში პატრებს მოისვამდენ და ხშირად ისინი მრჩეველებადაც ჰყავდათ.

როცა **გურიაში** მივიდნენ პატრები, აქაც მთავარს, გურიელს, **თეიმურაზის** მსგავსად, აღსარება და გაკათოლიკება მოუთხოვია. ხოლო ერში ამას ნიადაგი ჰქონია და კათოლიკური მოძრაობა იქ წინადაც ყოფილა; ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ პატრებს გურიაში მისვლის დროს **ადგილობრივი ქართველი კათოლიკე ეპისკოპოსიც დახვედრია**. ეს იყო **ეპისკოპოსი მაკარიოზი**, რომელიც მთავრის მიერ დიდად პატივცემული იყო და მოქმედებაში ყოველნაირი თავისუფლებითაც სარგებლობდა და როდესაც იქ პატრები მივიდნენ, მთავარმა დიდი ჯილდოთი ისინი აღნიშნულ ეპისკოპოსს ჩააბარა. ხოლო ეს უკანასკნელი მათ აუგებს ეკლესიას, თვით ესწრება მათ წირვებს და სათანადო დახმარებასაც უწევს.

ამ დროს გურია – სამეგრელოში მისიონერთა მოღვაწეობას უფრო იმანაც შეუწყო ხელი, რომ აღმოსავლეთ საქართველოთგან ისინი ნელ – ნელა მთლად განდევნილ იქმნენ, თუმცა მართალია, ეს ისე უხეშად არ მომხდარა, მაგრამ მოღვაწეობის ნიადაგი მთლიანათ გამოეცალათ. **როსტომ ხანი** მათ გასაქანს არ აძლევდა და ბოლოს კანონიც კი გამოსცა, რომლის მიხედვით ქართველს თუ სომეხს, გარდა მაჰმადიანობის, სხვა არც ერთი სარწმუნოების მიღების უფლება არ ჰქონდა.

პატრების მოღვაწეობის ეს პერიოდი გურია – სამეგრელოში მეტად საინტერესო და მომხიბლავია, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მათი მდგომარეობის შესუსტების გამო, როგორც სჩანს, თვით ქართველ კათოლიკეთა სამღვდლოების იერარქიის საკითხიც საფრთხეში ჩავარდნილა. ქართველ – კათოლიკეთა საეპისკოპოსოსაც, რომელიც ორი – სამი საუკუნის განმავლობაში

არსებობდა, მე – 16 – ე საუკუნეში ბოლო მოეღო. ამდროინდელწყაროებში უკვე აღარაფერი ცნობება შენახული, ხოლო 1633 წლის ბრძანებით ქართველი კათოლიკობა დაუქვემდებარეს **ისპანში** მყოფ ლათინთა ეპისკოპოსს.

აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკური მოძრაობის მინელეზა დროებითი აღმოჩნდა და **გიორგი (11) მეფის დროს კვლავ იღვიძებს**. გიორგი მეფე თვით იღებს კათოლიკობას და მისიონერთა მოღვაწეობასაც დიდად ხელს უწყობს. გიორგის მეფობაში ბევრი უბედური შემთხვევა შეხვედრია, მაგრამ მას კათოლიკური სარწმუნოებისთვის ბოლომდე, თვით **სპარსეთის** შაჰის კარზედ კი არ უღალატნია. ასევე მოიქცა **ბარძიმ ერისთავი**, რომელიც იყო გიორგი მეფის მარჯვენა ხელი. ცხადია, ამგვარი პირების გაკათოლიკება ბევრ შვებას და დახმარებას მისცემდა მისიონერებს.

მალე გიორგი დამარცხდა ბარძიმის მიერ. ის მას მერე აღარ ურიგდება და სამუდამოდ სცილდება სამშობლოს მიწა – წყალს. გიორგი შაჰის კარზეა; ის ინიშნება **ყანდაარის** მმართველად. და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შაჰის ერთგულ სამსახურთან ერთად არ ივიწყებს თავის ქართველურ „მე“ – ს, მის სარწმუნოებას, და მრავალ საგმირო საქმეთა შემდეგ იღუპება იმავე ყანდაარში. ერთი იმდროინდელი პოლონელი მისიონერი შემდეგს მოგვითხრობს: „გიორგი ბოლომდე ქრისტიანედ დარჩა და კათოლიკედ მიიცვალა; როგორც მოგვითხრობენ, როდესაც მოჰკლეს მას **გულზედ უპოვეს ჯვარი, ერთი ოქროს ჯვარიც თავის ჯარის დროშის ბურთში ჩაეტანებინა**. ყველამ ვიცით, რომ წინადავე ის სრულად შეერთებული იყო კათოლიკე ეკლესიასთან. **ომის და სიკვდილის წინა დღით წმ.ზიარებაც მიიღო**. რათგან მკურნალობის მიზეზით ომში თან წაიყვანა ორი პატრი კაფუცინი, **პატრი რეფინალდო და ამბროჯიო მილანელი**, რომელიც ჩემი დიდი ნაცნობი და მეგობარიაო“ – ო<sup>1</sup>.; როგორც ჩანს, გიორგისა და ბარძიმ ერისთავის შემდეგაც არ შეწყვეტილა ეს ტენდენცია და გაკათოლიკების შესახებ შემდეგაც სწარმოებდა მიწერ – მოწერასაქართველოსა და რომის შორის. მაგალითად, **გიორგი მეფის ძმის ლევანის შვილებს დომენტი კათოლიკოსს და ხოსრო მირზასაც მიუწერიათ წერილები პაპთან ეკლესიის შეერთების შესახებ**.

**ხოსრო მირზა** იყო მსაჯულად შაჰის კარზედ და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. როგორც 1708 წ. პაპისადმი მისიონერთა მინაწერწერილებითგან სჩანს. ხოსროს პირველად მაჰმადიანობა მიუღია და ქართველ ცოლს გარდა სხვა ცოლებიც შეურთავს. ხოლო შემდეგ სპარსეთში პატრების საშუალებით კვლავ ქრისტიანობას უბრუნდება (ოღონდ საიდუმლოდ, რადგან აშკარად, როგორც შაჰის მოხელეს, არ შეეძლო), აღიარებს კათოლიკობას და პაპს შენდობის წერილსაც სწერს. და ერთხელ პაპს პაემანსაც უნიშნავს, თუ მოვახერხე, თვით მსურს თქვენი ნახვაო. კვლავ გაქრისტიანებამ ხოსროზედ დიდი გავლენა იქონია და მასში ძირეული სულიერი გარდატეხაც მოახდინა. ის თავის მრავალ ცოლთაგან ირთავს მხოლოდ ერთს, სხვებს ანთავისუფლებს და უბრუნდება ქრისტიანულ წესს ცხოვრებისა. და ასე ისიც ბოლომდე რჩება ქრისტიანედ<sup>2</sup>.

ხოსრო ძალიან მორწმუნე კაცი ყოფილა. იმდროინდელ **საფრანგეთის კონსულის ისპანითგან პარიზში** გაგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „**ხოსრო** კათოლიკური სარწმუნოების სიყვარულით იქამდე აღტაცებული იყო, რომ, მაშინაც კი, როდესაც **ყანდაარს** გარშემო ჯარი ერტყა, თავის კარავში წირვას ასრულებინებდა, ამიტომ განგებ თანაჲ ჰყავდა სამი ფრანგის მონაზონიო“.

<sup>1</sup>ამის შესახებ იხ. ლენერალ **ლეო კერესელიძის** მეტად მშვენიერი წერილები, რომელიც დაბეჭდილია გაზ. „თეთრი გიორგის“ ნომ. 39 და სხვ.

<sup>2</sup>მისი ცხოვრება ვრცლად იხ. ლენ. **ლ. კერესელიძის** აღნიშნულ წერილებში.

სხვა ცნობების მიხედვით, მას თან ახლდა ერთი **პატრი ბასილი** და ეს იქამდე ერთგული იყო მისი, რომ როდესაც **1711 წ. ხოსრო მოჰკლეს ავღანელებმა**, მიუხედავად იმისა, რომ ამ პატრს შეეძლო თავისთვის ეშველა, – ამაზე ხოსროც ემუდარებოდა, – **მან ერთგულობისათვის თავი შესწირა ხოსროს და ვერაგმა ავღანელებმა ისიც ზედ დააკლეს მას.**

ასე დამთავრდა ამ გაკათოლიკებულ მეფე – მთავართა ცხოვრება.

გაზეთი „**თეთრი გიორგი**“, 1932 წ. N 50 – 51, პარიზი.

### **შ.ბ. (შაქრო ბაქრაძე) ძველი და ახალი ცნობა სტამბოლის ქართველ მამათა მონასტერზე**

„თემის“ 106 ნუმერში საყურადღებო წერილი იყო მოთავსებული შ. ნინოობაზე სტამბოლში.

რამდენადაც ვიცით, იქ ყოველ წლივ დიდის დიდებით იხდიან ქართველთა გამანათლებლის დღეობას, მაგრამ წრევანდელისთანა დიდებული ჯერ არ ყოფილა.

ამ დღესასწაულების სულის ჩამდგმელი იქაური ქართველ კათოლიკეთა მონასტერია; მგონი ბევრმა მკითხველმა დიდი რამ არ იცოდეს ამ საინტერესო დაწესებულებაზე.

მონასტრის საფუძველი ჩაყარა ღარიბმა ახალციხელმა ღვდელმა მ. **პეტრე ხარისჭირაშვილმა**; როგორც სხვა ახალციხელი მოძღვრები, ესეც სომხურ წესზე იყო ნაკურთხი. ამიტომ **სტამბოლში** ჩასვლისას, სულ პირველათ სომეხთა კათოლიკე პატრიარქს ჰსუნს მიმართა და განუზიარა თავისი განზრახვა ქართველთა სავანის დამყარებაზე. პატრიარქმა ყოველი ღონე იხმარა, რათა ამ აზრზე ხელი აეღებინებია, წარმატებასაც დაპირდა... მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ ცნობდა ქართველ კლდეს, – მტკიცე ხასიათის პეტრეს. მ. ხარისჭირაშვილმა შეატყო, რა „ზნე“ სული ამოძრავებდა პატრიარქს და ერთ დღეს იმის წინ მოიხადა სომხის ღვდლის სამოსელი, ე.ი. ქუდი შავი მანდილით და დაუტოვა: შენთან საერთო აღარაფერი მაქვსო. ამას შემდგომ მიმართა ლათინების არქიეპისკოპოს **ბრუნონს** და ამ ჯერობათ ნამდვილათ მზრუნველ მამას შეხვდა. ამის მფარველობის ქვეშ დაარსდა **ქართველ ბერმონაზონთა უმანკო ჩასახების ლავრა 1861 წელს.**

განათლებულმა მ. პეტრემ თავის მონასტერს ქვაკუთხედით დაუტოვა **ქართული ტიბიკონი**. იმან კარგათ იცოდა ქართული ტიბიკონის მექონე ველელ კათოლიკეთა წამებული ცხოვრება და გადაწყვეტილი ქონდა წამალი დაედო. მისის მეცადინეობით, პაპმა მალე შეიწყნარა ქართული ტიბიკონი და ასე გაშინჯეთ განცელკევებითი პრივილეგიებიც უბოძა ქართველთა სავანეს, როგორც მაგალითად ლათინის ღვდელს შეეძლოს ჟამ – კანონი ქართულათ აღასრულოს.

განსვენებული დიდ იმედებს ამყარებდა ქართულ ტიბიკონზე; რომში დარწმუნებით სწერდა, რომ ათიოდე წელიწადში **ამ ტიბიკონის შემწეობით მთელ ქართველ მაჰმადიანებს გავაქრისტიანებო**. მართლაც, გეგმა დიდებული იყო, მაგრამ მალე ეს მხარე **რუსეთმა** შემოიერთა და აბატი პეტრეს პლანებსაც მნიშვნელობა გამოეცალა.

მაინც სიკვდილამდე დარაჯათ უდგა საგვარო ტიბიკონს; საუბედუროთ, 1881 წლიდან მძიმე ავით გახტა და ფაკტიურათ საქმის მართველობა უნიჭოებს ჩაუვარდათ ხელში. კაცს გული აღედრება, ნახავს რა, რომ სიკვდილამდის ქართული ტიბიკონი ამოძრავებდა ამ პატიოსან პირს. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ქართველი მამების არქივებისთვის თვალი გადაგვევლო და რას შევხვდით?

– იმ ავთიმყოფობის წინათ, რომელმაც სრულიად მმართველობიდან ხელი ააღებია, ეს დიდებული გვამი, **რომის** ტახტს ემუდარებოდა, რათა **სტამბოლის** ქართველებისთვის თავიანთი



ტიბიკონის ეპისკოპოზი დაენიშნა; ამ თანამდებობის ღირსათ მიაჩნდათ გონება გამჭრიახი **იოსებ მამუკანთი**. აბატი **ხარისჭირაშვილის** სიტყვას დიდი გავლენა ქონდა ყველგან და ავთომყოფობას რომ ხელი არ შეეშალა, უეჭველათ ქართველებსაც თავიანთი **საეკლესიო იერარქია, აკადემია და სხვა მრავალი ეროვნული დაწესებულება ექნებოდათ**.

ყველა ამებს დიდი შედეგები მოჰყვებოდა, აბატი პეტრეს უცბათ დასწავლეს ყველაფერი რომ არ შეეფერხებია, ის ათიოდე წელიწადი ავადმყოფობდა, გარდაიცვალა 1890 წ. და მონასტერმაც დაიწყო უკან დახევა, დაიხურა სტამბა, დაიშალა სასწავლებელი, შეჩერდა დიდებული ეკლესიის შენობის საქმე.

ამას შემდგომ სამმა უფროსმა ხელთ იგდო მმართველობის საქმე, მაგრამ ვერაფერი უშველეს, ზოგმა, პირიქით საქმე გააფუჭა. საზოგადოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უფროსებს არ ქონდათ დამწყობის სული, სახელდობრ, ჯეროვანათ არ უყვარდათ ქართ. ტიბიკონი. იმათ დროს არც ერთი ღვდელი არ კურთხეულა საგვარო ტიბიკონზე; იმათვე დროს შესწყვიტეს ჟამკანონის ქართულათ გადახდა.

მაგრამ დადგა დრო განახლებისა გასულ წელს. აქობამდი დანაღვლებით დაჰყურებდენ დაქსაქსულ საქმეებს, მ. **ალფონსო ხითარიშვილის** მხურვალე სიტყვებით გამოწრთვნილი ახალგაზრდები, ახლა უკვე იმდენი ძალა ჰქონდათ, რომ შეეძლოთ საქმის პატრონობა, და აკი კიდეც მართველობას მედგრათ მოკიდეს ხელი. ყველას სწამდა მათი წრფელობა და მ. ხარისჭირაშვილის ანდერძის მიმდევრობის უნარს გამოიჩინდენ მმართველობაში. სულ რამდენიმე თვეა, რაც უფროსობა დაიწყო აბატმა **პიო ბალიძემ** და მონასტერს დიდი წარმატება დაეტყო, როგორც მატერიალურათ, აგრეთვე გონებრივათ. სემინარია (სასულიერო სასწავლებელი) გააფართოვა და სულ ეროვნული ელფერი მისცა ქართული კოსტუმის შემოღებით. ქართველი ყმაწვილების თეთრს ნაზად – ქუდს განცვიფრებაში მოჰყავს იქაური მცხოვრებნი, მეტადრე ევროპელები; ყველას მათი სურათის გადაღება უნდა.

ამას გარდა, გადაწყვეტილია – მთელი სწავლის კურსი ქართულათ მოეწიოს; ამაში ჩვენმა ქართველმა მეცნიერებმა ხელი უნდა გაგვიმართონ საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემით.

სხვადასხვა დროები და წვრილწვრილი ხატები დაუკეთებიათ, როგორც წ. ნინოსი; აგრეთვე, სხვა ქართველ წმინდანებისა, რა საკვირველია, აქაც ჩვენი სწავლულები დახმარებას აღმოუჩენენ; აი, მაგ. ამ სტრიქონების დამწერს მიმართეს **ფერიქოველმა** მამებმა, რათა ნიმუშები გაეგზავნა ქართული სამოსებისა, ქართ. საგვარო დროშისა, რათა გამოეკვლიათ ფერადები სამოსებისა საბინინის სურათებში და სხვ.

ეს საკითხები ძალიან საინტერესოა და ურიგო არ იქნება ჩვენი დღიურების ფურცლებზე დაიწყოთ მათი გამოკვლევა. ეს ცნობანი კიდევე შეიძლება პირდაპირ აბოს პიო ბალიძეს გაეგზავნოს ფერიქოვში (მისამართი: Constantinople, Peres Georgiens).

ანუ ამ სტრიქონების დამწერს: (“მერეთის“ რედაქ. შ.ბ.) დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში სტამბაც გაიხსნება **სტამბოლში**. „ნინოსის თვის მოსაწვევი ბარათები ლავრის საკუთარ სტამბაში დაუბეჭდიათ. ამ ჟამათ, ღირსი წინამძღვარი ცთილობს იქაური წიგნსაცავები კარგ ნიადაგზე დააყენოს. სტამბოლის ქართველებს ორი სამკითხველო მოეპოვებათ ა) „აკაკის“ ვლ. **წერეთლის** თაოსნობით დაარსებული და ბ) „წ. ნინოსი“. ეს უკანასკნელი იქაურ სასწავლებელს ეკუთვნის, სულ ნორჩი დაწესებულებაა და სამშობლოს მცხოვრებთაგან მოელის დახმარებას; სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოლოდინმა ამათ არ ჩაიარა. ბიბლიოთეკას გამოუწერეს:

ნიკო ფალაშაშვილმა – „ნაკადული“ ელენე ქაჩუხუაშვილმა – „ჯეჯილი“, ნიკო ბეთანიშვილმა – „კლდე“. ამას გარდა, ხელნაწერების საცავიც არის მოწყობილი მონასტერში, სადაც უკვე მოთავსებულია საკმაო რიცხვი წიგნებისა.

წლიდან წელზე ამ დაწესებულებათა მოქმედების ანგარიშს ფართო საზოგადოებას აცოდინებენ დღიურების საშუალებით.

უეჭველათ, ქართველ საზოგადოებას სასიხარულოთ დაურჩება სტამბოლის ქართველთა წარმატება და თავის დროზე დახმარებასაც აღმოუჩენს.

ვუსურვებთ პ. დ. აბატს პიო ბალიძეს ბოლომდე გამოეჩინოს ის ენერჯია და საქმისადმი თავგანწირულება, რომელიც აგრე უხვათ დაგვანახა ამ რამდენიმე თვის განმავლობაში.;

(შენიშვნა: გაზეთს აქვს ასეთი მინაწერი: „პეტრეს ზეცამაც აშკარად მოწყალების თვალთ გადამოხედა: 80 – იან წლებში თავისი სავანის ღვთის მშობელმან, ლურდად წოდებულმა დიდი სასწაულები მოახდინა, ისე რომ ლეონ XIII – ის ყურადღებაც მიიპყრო. ამან მკურნალების კომისია დაანიშნინა, რათა მეცნიერულად გამოევიწყებინათ ფერიქოში მოხდენილი სასწაულები. ფრანგულ ენაზე პარიზში დაიბეჭდა სამას გვერდიანი წიგნი ფერიქოს სასწაულებზე. სავანეში მომდინარე წყლით ავადმყოფები იკურნებოდნენ).

„იმერეთი“, 1913 წ. N28. გვ. 3 – 4.

### **სტამბოლის ქართული სავანის არქივში, ცალკე საქალაქურად, მოთავსებულია მოკლე ცნობები, ინფორმაციები. მათ შორისაა შემდეგი:**

#### **საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული სტამბოლში**

16 მაისი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე. სტამბოლის ქართველობამ დიდი ზეიმით აღნიშნა. გამოგზავნილი მოლოცვით სტამბოლის ქართველობა სალამს უძღვნის სამშობლოს კეთილდღეობას და თავისუფლებას.

ერთობა, 23 ივლისი, 1919 წ. N162.

#### **წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში**

წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს ფერიქოში ლურდის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნა პარაკლისი. პარაკლისზე დაესწრნენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში ბ – ნი რცხილაძე და საქართველოს კონსული გოგოლიშვილი.

(მოკავშირეთა მისიების ცნობა).

„საქართველო“, 24 იანვარი, 1920 წ. N 17.

#### **სტამბოლში**

#### **საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის დღესასწაული (საქართვე. დეპ. სააგ.)**

სტამბოლი, მაისის 27: (დაგვიანებითაა მიღებული) მაისის 26, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, აქაურმა ქართველობამ „უმანკო ჩასახების“ სავანეს ძმობის მეთაურობით, ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. ახალშენი

მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას და მზადაა თავი გასწიროს ამ დამოუკიდებლობის მტკიცედ დაცვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა. 1919 წ. N161. გვ. 1.

### უკანასკნელი ცნობები

(საქ. დეპ. სააგ.)

#### საქართ. დამოუკიდებლობის დღესასწაული სტამბოლში

სტამბოლი. (დაგვიანებითაა მიღებული) მაისის 26 – ს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, აქაურმა ქართველობამ, „უმანკო ჩასახვის“ სავანის ძმობის მეთაურობით ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. ახალშენი მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას და მზადაა მტკიცედ დაიცვას.

სახ. საქმე, 582, 1919 წ.

#### „წერილი სტამბოლიდან“

10 ოქტომბერს, ახალი წელთაღრიცხვით, კონსტ. ქართველ კათოლიკე ბერებმა გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებული ყ.პ. დ. მამა პეტრე ხარისჭირაშვილის სულის მოსახსენებლად. ამ დრომდის ეს დიდებული პირი, დამაარსები ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა სტამბოლში, დავიწყებული იყო.

ახალგაზრდა თაობა დღეს მეორედ ხდილობს ამ პანაშვიდს.

10 ოქტომბერს ნამდვილი დღესასწაული იყო **სტამბოლის პატარა საქართველოში**. ადგილობრივმა ქართველობამ თავი მოიყარა კათოლიკეთა ეკლესიაში, რომელიც ჩინებულად იყო მოვლილ – მოკაზმული. წმ. **ნინოს ხატი** დასვენებული იყო დიდ ტრაპეზე, სურნელოვანი ყვავილებით შემკული, ეკლესია კი გარშემო მორთული იყო წარწერებით, დროშებით და ტილოებით. ტრაპეზის ახლოს, ხალხი ხედავდა წმ. ნინოს დროშას და საქ – ოს ღერბის დროშას.

მწირველი იყო ქართველ კათოლიკე ბერთა საყოველთაო წინამძღვარი მ. **პიო ბალიძე**, გალობდნენ აქაური კათოლიკეთა მონასტრის ახალ – მორჩილნი, რომელთა ტკბილი და ნაზი ხმა სიამოვნებით ავსებდა გულს. წირვის შემდეგ დამსწრე ქართველობა ბერებმა მიიწვიეს.

მამა პიო ბალიძემ სიტყვა წარმოთქვა, რომელმაც დამსწრენი აღაფრთოვანა. მან ქება – დიდებით მოიხსენია განსვენებული მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელმაც ქართულ კათოლიკობას შესწირა თავი, მან თავისი გამჭრიახობით ქართველი კათოლიკობა სამუდამოდ დაიხსნა გადაგვარებისაგან, სძლია ყოველ დაბრკოლებას და **ააშენა სტამბოლის ქართულ კათოლიკეთა მონასტერი**.

მამა პიომ დაწვრილებით აღნუსხა განსვენებულია უანგარო მოღვაწის პ. ხარისჭირაშვილის ღვაწლი და საყვედურებით მოიხსენია ის პირნი, რომელნიც ქართული ტიპიკონის განდევნას ცდილობდნენ ქართველთა მონასტრიდან.

დამსწრე.

„სახალხო გაზეთი“, N1034, 1913 წ. გვ. 4.

## ქართული მნიგნობრობა უცხოეთში

ამას წინათ იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რომ **სტამბოლში** იბეჭდება ქართული წიგნები, იყო მოყვანილი სიაც ამ წიგნებისა.

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ სტამბოლიდან ყველა იქ დაბეჭდილი წიგნები და ამასთანავე წერილი, რომლიდანაც ვტყობულობთ, რომ არათუ მარტო სტამბოლში ყოფილა ქართული სტამბა და იბეჭდება წიგნები, არამედ **საფრანგეთშიაც**, ქალაქს **მონტობნში**. ჩვენგან მიღებულს წიგნებში ურევია ერთი, რომელიც ამ უკანასკნელს ქალაქში არის დაბეჭდილი.

გამომცემელნი გვთხოვენ დავბეჭდოთ „დრობაში“ სია ამ წიგნებისა და ამასთანავე „სიტყვა წამკითხველისადმი“. ვასრულებთ თხოვნას და დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ სიას; შემდეგში დავბეჭდავთ „სიტყვას“ და მერე ჩვენც გამოვთქვამთ ჩვენს აზრს საზოგადოთ ამ გამოცემების შესახებ.

აი ეს სია:

ქართული წიგნები, რომელნიც ისყიდებიან ფრანციაში ქალაქს **მონთობანს** მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო შთასახებისათა და ესრეთვე **კონსტანტინეპოლს** ჩინილი ხანში ჰოქოციანის მაღაზიაში, ნუმერო 5, და კალათას სელბოს ხანში მხითარისტების წიგნის მაღაზიაში, ნუმერო 4.

ფასი.

ა. წინამძღვარი ზეცისა გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი თავადის შვილი მღვდელი ალექსანდრე ჰოენლოესაგან..... 40 კაპ.

ბ. გზა ცხოვრებისა გინა განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებლად და ერის კაცთათვის საკითხავ წიგნად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად, შედგენილი ნეტარელისა ალფონსო ლიგორისაგან.

გ. სიბრძნე კაცებრივი, რომელიც ასწავლის კაცს ჭკუვის რიგიან ხმარებასა, სრულს კაცს გახდის და მისწევს სიმდიდრესა. შემკობილი ცხოველი მაგალითებითა და სახელოვანი პირების და ბრძენიფილოსოფოზებისსიტყვებითა. .... 70.

დ. ბრძენი კაცი, გინა რომელიმე ძველი ფილოსოფოზის მიერ მოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა. ....60.

ე. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო შკოლების ყრმათათვის, ახლად შედგენილი.....30.

ე. ხელად სახმარი მოკლე რეტორიკა გინა მჭერმეტყველება ყმაწვილ კაცთათვის.....40

ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, რომელი შეიცავს ფსიხოლოგიას, ლოდიკას, ზნეობას და საღმრთო მართლ – მსაჯულებას ყმაწვილთ კაცთათვის. ....40.

პიზიკებრივი, მოქალაქებრივი დაისტორიებრივი მოკლე გეოგრაფია სასოფლო შკოლებისათვის. 35

თ. მოკლე მსოფლიო, გინა საყოვლიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა. რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა და შემთხვევათა მოხდენილთა კაცობრიობასა შინა,დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე,განყოფილი ექვს ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცვამს თავისში საღმრთო ისტორიასა ძველისა და ახლის აღთქმისასა. მეორე ნაწილი შეიცვამს ისტორიასა ძველთა ნათესავთა, ვითამცეგვიპტელთა, ასურთა, მიდთა, სპარსთა, ბერძენთა და მაკედონელთა. მესამე ნაწილი შეიცვამს ისტორიასა, ქარტაგინელთა, რომაელთა და ქართველთა, მეოთხე ნაწილი შეიცავს ქრონიკებრივსა ისტორიასა საშუალო საუკუნისასა, მეხუთე ნაწილი შეიცვამს ახალს ისტორიასა საზოგადოდ. ხოლო მეექვსე ნაწილი შეიცავს ისტორიასა მეროპიის ნათესავთა

თვითოეულად, ვითამც ისტორიასა რუსეთისასა, ფრანგის ტანისა, ანგლიისას, ისპანიისას, პორტუგალიისას, დანიისას, შვეიცისას, ზოლანდიისას, გერმანიისას, შვეიცარიისას, იტალიისას, და სხვაც. სასოფლო შკოლების ყრმათათვის. .... 60.

ი. გვირგვინი წამებულთა, წმიდა ესტატი, გინა ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდისა ესტატესი; პოეზია ჩზ. მუხლი (შაირი)... 50.

ია. ყვაილებს კონა ყრმათა, გინა რჩეული ლექსები, განყოფილი ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცავს თავისში ღვთის მსახურებრივს სასულიერო ლექსებსა, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნიურს ლექსებსა.40.

ამათ გარდა, ისყიდებიან ზემოხსენებულს ადგილებში შემდეგი წიგნებიცა, რომელნიც დაიბეჭდნენ საქართველოს, რომისა და სომხის კათოლიკეთათვის.

ა. თან სატარებელი ლოცვის წიგნი, რომელი იპყრობს თვის შორის საყოველღვივო სხვადასხვა მშვენიერ ლოცვებს.....60

ბ. წალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცვას თავისში მრავალგვარ სხვადასხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა..... 25

გ. საქრისტიანო მოძღვრება, გინა კათეხიზი.....25

დ. პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანით წვრილ ყრმათათვის.

ესკონტი ასში ათი არის; მხოლოდ იმ პირისათვის, ვინც ზემოდ ხსენებული სხვადასხვა ნაირი წიგნისაგან არჩევით იყიდის ასს კოპიოსა, და ანუ მაინც ერთი რომელიმე მათგანისაგან ოც – დაათს ანუ ნამეტანს კოპიოს ერთიანად.

ამ ზემოხსენებული წიგნების გამოწერა შეიძლება მიწერით და წარგზავნით საყიდელი წიგნების ფასისაგამსყიდველთადმი წიგნთა ამათ ანუ **მონთობანში** და ანუ **სტამბოლში** შემდეგი ადრესებითა, მაგალითად:

„უფალსრუბენ – ადა ჰოქოციანს გამსყიდველს ქართული წიგნებისას. კოსტანდინე – პოლს, ჩინილი ხანში. მაღაზია ნუმერო 5.

„უფალს **ალექსანდრე სტეფანთანს**, გამსყიდველს ქართული წიგნებისას, მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო ჩასახებისათა, ქალაქს **მონთობანს (FRANGE)Montauban, Rue du Gimetiere catholique, Tarn – et Garonne.**

დროება. 1879 წ. N 137.

### **ქართული მნიგნობრობა უცხოეთში (გაგრძელება)**

#### **სიტყვა წამკითხველისადმი.**

#### **სასოფლო შკოლებისათვის სახელმძღვანელო ქართული წიგნების გამოცემასა ზედა**

დიდი ხნის აქეთ მწუხარე გულით ვხედავდით, რომ არ იპოებოდნენ ქართულს ენაზედ დასტუმბულნი სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები, და ამითი ყოვლითურთ მოკლებული იყო სწავლის საშუალობისაგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, იგი რომელმანც ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იცის.

ეს წიგნების უქონველობა უმფრო შესამჩნევი და გულ – დასაწველი იყო, მიხედვით საქართველოს სასოფლო შკოლების მდგომარეობისა, ამიტომ რომ სოფლის გლახაკი საზოგადოება, თუმცააკლებდა თავის ოჯახობას და აძლევდა ფულს შკოლების აშენებისა და მასწავლებლების

ჯამაგირის მიცემისათვის, რათა განდებოდა სწავლის კარი თავის შვილებსა და უწინდელივით არღარ აღზრდილიყვნენ ბოვშები ყოვლითურთ უსწავლელად და უმეცრად, მაგრამ შკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნები კი არსად არ იყვნენ, რომლებითაც შესძლებოდათ მასწავლებელთა გაკვეთილის მიღება ყრმათათვის და ყრმათაცა სწავლა რამისა. აღაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენათაც გინდა მეცნიერნი მასწავლებლნი, აღავსე სკოლები ბოვშებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან, თუ რომ არ ექმნებიან თანვე დასტამბული წიგნებიც და, რომლებზედაც შეიძლებოდაც გაკვეთილის მიღება და სწავლება ყრმათავე.

ამ წიგნების ნაკლულევეანებისაგან იბადებოდნენ ეს შემაწუხებელნი, მოხდენილობანიცა, რომ არა თუ სასოფლო სკოლების საქმე წინ ვერ მიდიოდა კარგად, არამედ ვითარცა ხანდისხან ეწერა „სასოფლო გაზეთში“, ზოგი მათგანი, ბოლოს გაუქმებული კიდევაც დაიკეტებოდა ხოლმე, ამიტომ რომ სოფლის სკოლებში მოსწავლე ყმაწვილებმა ქართული ენის მეტი სხვა ენა რომ არ იციან, და ქართულ ენაზედაც სკოლისათვის საჭირო და სახელმძღვანელო წიგნები რომ არ იპოებიან, უამისოდ ვერც მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს რაიმე ყრმათა და ვერცაღა იმათ შეუძლიანთ ისწავლონ რამე. სასოფლო შკოლებისამ შესაბრალის მდგომარეობას აცხადებდა კვალად ის სტატიაცა, რომელიც დიდი ხანია არ არის ეწერა „დროება“ გაზეთში, რომლითაც სამართლიანად სწუხდა ერთი შკოლის მასწავლებელი და ამბობდა, რომ: ერთი „ბუნების კარი“ იყო, ისიც ეგება ხუთჯერ ნავახელმეორებინე ყმაწვილებსა, ამის გარდა, სხვა სახელმძღვანელო წიგნი რომ არ არის ქართულებ, ამას იქით რაღაზე უნდა ვაკითხო ყმაწვილებსაო? ამასთანავე, არცაღა ჩამდა სიდგანმე ერთი საფუძვლიანი და სანუგეშო ნიშანი, რომლისაგან იმედი ყოფილ იყო, რომ საქართველოს საზოგადოებას მოეშველოებოდნენ დროით ეს გამოსადეგი წიგნები და მით წამალი დაედებოდა მის ამფერს დიდს საჭიროებას. ამ ზემოდ თქმულს უიმედობასაც აცხადებს ავტორი „ბუნების კარისა“ წინასიტყვაობაში, სადაც ამბობს: „ბევრს ყმაწვილ – კაცს სურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვადასხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიპოებს? იმას ხელიდგან კალამს აგდებინებს სამუდამოდ“.

აი, ამფერნი სამწუხარო გარემოებანი იყვნენ, რომელთაც აღგვძრეს ჩვენ, რათა მოყვასის სიყვარულის თანამდებობის შესასრულებლად, რაოდენიც შეგვეძლო გვეშრომა გულმოდგინებით ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. ამ მძიმე და ძნელი საქმის თავზედ აღებაზედ შეგვაგულიანა ჩვენ იმანაც, რომ ამ ნაირი მოყვისის სიყვარულის საქმის აღსრულება ჩვენი სამონაზონო საზოგადოების წესდებულებისაც თანახმა იყო, რადგან სხვა არაფრისთვის არის შედგენილი ეს ჩვენი მონასტრებრივი ერთობა, (Gongregation), თუ არ მხოლოდ ამ ორი რამისათვის: ა. რათა ქვეყნიური გართხმულობისაგან მოცილებით და მონაზონებრივს მყუდრო მდგომარეობაში ყოფნით, შევიძლოთ უმფრო კეთილად მსახურება ღვთისა საცხოვნებლად სულისა ჩვენისა და **მეორედ**, რათა დიდებისათვის ღვთისა, რაც შეგვიძლია ვიშრომით სასიკეთოდ მოყვასისა, მაგალითად: რათა ქართული ენის მოუბართ რომის კათოლიკეთ და სომხის კათოლიკეთ საეკლესიო გინა საბაროხო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით, ვასწავლოთ კათოლიკე ყრმათა კითხვა, წერა, კათეხიზი, არითმეტიკა და სხვა ამ ნაირი სასწავლო რამეები; და უფროსი ერთი ვასწავლოთ მათ **ღვთის შიში** და **ერთგულობა ხელმწიფისა**, ჩახვდენით მათი, თუ ვითარ დიდი ვალია კაცისათვის სამსახური ღვთისა და ერთგული ქვეშევრდომობა ხელმწიფისა, ვითარცა ჩვენს დასტამბულს წიგნებშიაც ბევრს ადგილს გვილაპარაკნია ამათზედ. ესრეთვე, რათა სხვა საჭირო სულიერი შემწეობანი მივცეთ ხოლმე კათოლიკე ერსა შევლით მათი სულებისა. ეს არის მხოლოდ მიზანი ჩვენი მონასტრებრივი და მონაზონებრივი სულიერი ძმობისა და წესდებულობისა. ამისთვის ვიკისრეთ

ყოველი სიძნელე, რათა დათარგმნილ იყვნენ სხვადასხვა ენებისაგან ქართულს ენასა ზედა და გამოცემულ იყვნენ მაინც რამდენიმე საჭირო და გამოსადეგი წიგნები, ზემორედ თქმული აღსასრულისა და დანიშნულობისათვის. ღმერთმანცა თავისი გამოუთქმელი მოწყალებით წარგვიმართა საქმე ესე, და დაისტამბნენ ქართულ ენაზედ თერთმეტ ნაირი შემდეგი წიგნები:

ა. წინამძღვარი ზეცისა, ბ. გზა ცხოვრებისა, გ. სიბრძნე კაცებრივი, დ. ბრძენი კაცი, ე. ქართული გრამატიკა, ვ. მოკლე რეტორიკა გინა მჭევრმეტყველობა, ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, ც. გეოგრაფია, თ. მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა, ი. გვირგვინი მოწამეთა წმიდა ესტატე (პოეზია ათას შვიდი მუხლი), ია. ყვავილების კონა ყრმათა შინა ლექსები.

ამათ გარდა, დაიბეჭდა საქართველოს ოთხი წიგნი, ბ. წალკოტი ლოცვათა, გ. პატარა საქრისტიანო მოძღვრება, დ. მოზდილი საქრისტიანო მოძღვრება გინა კათეხიზი.

დროება. N139.

### ქართული მწიგნობრობა უცხოეთში (გაგრძელება)

ყმაწვილის პირველი საიმედო სკოლა, თუ ზნეობის კერძოდ და თუ სწავლის კერძოდ, თავისივე დედამამის სახლის და იმისი პირველნი მასწავლებელნიც თავისივე მშობელნი არიან; რადგან რასაც რომ პატარობისას მაგალითს ნახამს იგი და რასაც ისწავლის იმათგან, სიკვდილამდისინ გაჰყვებიან მას.

ამის გამო, რაოდენათაც ფრიად დიდი ვალი აქვსთ მშობლებს თავიანთი შვილების კეთილად აღზრდისათვის, ეგოდენათაც ესაჭიროებისთ იმათ მრავალნი საშუალობანი, რათა მათ მიერ, თავიანთი სურვილის დაგვარ, კეთილად აღზარდონ შვილები, და ამასთანავე, მოამზადონ იგინი შემდგომში ადვილად და კარგად წინ წარსვლისათვის სწავლაში.

რათა, რომ მოგვეცა მშობლებისათვის ესე ვითარი საშუალობანი, დავსტამბეთ ზემოდ ხსენებული წიგნები ამ აზრით, რათა ამ წიგნების კითხვით და სწავლით გონიერ მშობლებს ერთის მხრით, თვითან გონება გაუნათლდესთ და გაუმდიდრდესთ ცოდნითა, და მეორე მხრივ ამავე წიგნებით ან თვითან და ანუ მასწავლებლის საშუალითა ასწავლონ თავიანთ შვილებს, კითხვა წერის შემდგომ, მაინც „ქართული გრამატიკა, მოკლე გეოგრაფია, და სხვაც ამისთანა საგნები.

ამით ყმაწვილს თავის დედა ენაზედ, რომელიც საკმაოდ ესმის, გონება სულ მალე გაეხსნება, და ის ადვილად მიხვდება და ხალისით შეისწავლის სამეცნიერო დასაწყისებსა, რომლით არა მარტო სწავლა თითქმის ნახევრად მიღებული ექმნება მას, არამედ დედამამის სახლში ამფერად მომზადებული ყმაწვილი ოდეს გარდავა რუსულს კლასში, გინა გიმნაზიაში, რადგან თავისი დედა ენის გრამატიკის, გეოგრაფიის, მოკლე საყოვლიერო ისტორიის, და ცოტაც სხვა სამეცნიერო პრინციპების ცოდნა ექმნება, რუსულს გრამატიკას და სხვა მეცნიერების საგნებს სრულ ადვილად და ცოტა ხანში წმინდათ შეისწავლის იგი.

ამ ჩვენს აზრს ამტკიცებს „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ავტორის ნათქვამი სიტყვებიცა, სადაც ჰსწერს:

„თუ ყმაწვილს გონება თავის დედა ენაზედ გახსნილი არ აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტად ბევრს ეწვალება, დროსაც ბევრს დაჰკარგავს და გვარიანათაც ვერ შეისწავლის... ბავშს თუ თავისი ენის კანონების ცოდნა არ აქვს, უცხო ენის გრამატიკა უაზრო საგნათ ეჩვენება, და რავდენსამე წელიწადს ეწვალება, მანამ მიხვდებოდეს, თუ რა მეცნიერებაა გრამატიკა... სულ რომ ცოტა ვსთქვათ, სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამატიკას ის ყმაწვილი, რომელმანც ქართული

**გრამატიკა იცის**, მანამ ისა, რომელმაც არ იცის... თვალყური მგდებელ მასწავლებლებს შეუნიშნავთ, რომ ყმაწვილები, რომლებიც კონიერ მშობლებს შინ კარგა მოუმზადებიათ ქართულს ენაში, რუსულ ენას და საზოგადო საგნებს ადვილად სწავლობდნენ და უკეთეს მოწაფებათ ითვლებიანო“.

ხოლო აქ საჭიროა გავახსენოთ ეს ფრიად საჭირო რამეც იმ გონიერ და კეთილ მშობლებს, რომელნიც დიდის სურვილით ნატრობენ მეცნიერებით გაბედნიერებას თავიანთი შვილებისასა, რომ **ყოველი სწავლისა და სიბრძნის დასაწყისი ღვთის შიშია**, ვითარცა ამბობს სული წმიდა ღმერთი იგავთა საკითხეში: „**დასაბამი სიბრძნისა, შიში უფლისა;**“ **თუ სწავლას ღვთის შიში არ ჰმართავს, ის მეცნიერება, უთუოდ მავნებელი გახდება; ამიტომ რომ სწავლა ემსგავსება მახვილსა, და რაც მახვილისთვის ჭკუა არის, ის მეცნიერებისათვის ღვთის შიშია;** თუ მახვილმა გონიერი ჭკვიანი და კეთილ ვისმეს ხელში გაიარა, უეჭველად გამოიყენებს მას კეთილზე ჭკუით დასაცველად და სასარგებლოდ თავისი თავისა და სხვებისაცა, ხოლო თუ მახვილი ერთი უგუნური, სულელი ანუ მთვრალი კაცის ხელში ჩავარდა, ის კი, რადგან ჭკუა ზედ არა აქვს, არ მოიხმარებს მას, თუ არ სავნოდ თავისი თავისა და სხვებისაცა.

ამავე ნაირად, **როგორც ჭკვიანი ხმაღს, ისე ღვთის მოშიში მეცნიერებას იხმარებს მუდამ სიმართლით, და გამოიყენებს კეთილი და სასარგებლო აღსასრულისთვის**, რომელსაც აგონებს მას თვით იგივე შიში ღვთისა, ე.ი. ღვთის საშინელი და უცვალებელი სიმართლე, რომელიც მიაგებს ყოველს ვისმეს კეთილისათვის კეთილსა, და ბოროტისა და ავობისათვის პატივსა და რისხვასა. ამისწინააღმდეგად, ის მეცნიერების განათლებული პირი, რომელსაც ღვთის შიში არა აქვს, უამისოდ იმ თავის ცოდნას სხვა არაფერზედ არ მოიხმარამს თუ არ უსამართლობაზედ, რათა სხვებს მახე მიუდგას, რაც შეუძლია ზიანი მისცეს, და სხვასაც. ამასთან თვით თავის თავსაცა ავი – ზნეობით ყოვლითურთ გააუბედურებს იგი.

საუბედუროდ, ამ საუკუნეში იშვიათი არ არიან ამისთანა სწავლის ბოროტზე მოხმარების სამწუხარო მაგალითგანი და შემთხვევანი, ვითარცა ვხედავთ ზოგიერთს ნასწავლს პირებში, რომელთაც რადგან პატარობათგანვე არა ჰქონიათ შეთვისებული ღვთის შიში და კეთილი ცხოვრების სატკბოები, შემდგომ როდესაც სწავლა შეუძენიათ მათ, უამისოთ შექმნილან იგინი არა მხოლოდ სატანჯველნი და მწუხარებანი თავიანთი მშობლებისა, არამედ მანენებელნი თავიანთი თავისა და საზოგადოებისაცა. ამისთვის ფრიად საჭიროა, რომ მშობელთა სწავლასთან ერთად გონებაში დაუნერგონ თავიანთ შვილებს თანა ღვთის შიში, ეგრეთ, რომ ის ყმარწვილობისგანვე მიმხვდარი იყოს ამას, თუ რაოდნად ფრიად ბოროტია ცოდვა, და რაოდნად მავნებელი, მოსაძულელებელი, კაცის გამაუბედურებელი და **სამუდამოდ სულით თუ ხორციით დამღუპავია ავი ზნე და ბოროტი სიცოცხლე.**

და, ამის წინააღმდეგად, თუ რაოდნად სასარგებლო, და კაცის გამაბედნიერებელია კეთილი სიცოცხლე, კეთილი ზნეობა, სათნობა და ღვაწლი, რომელიც მისწევს კაცს ჭეშმარიტს ბედნიერებასა და ყოველ ნაირს სიკეთესა სულიერად თუ ხორციელად.

რათა მშობელთა თავიანთი შვილები ამ ბოლო ბედნიერებას მისწიონ, და თავიანთი ნატვრის დაგვარ კეთილი და ღვთის მოშიში შვილები გამოუვიდესთ, უნდა რომ ამ აღსასრულისათვის საჭირო საშვალეზაც მოჰსძებნონ და იხმარონ ხოლმე. ამ საჭირო საშუალის და ამ აღსასრულის უებარ წამალსაც იპოვნიან ისინი იმ ზემორედ ნათქვამ ჩვენს დასტამბულს წიგნებში, რომელნიც არიან: ა. წინამძღვარი ზეცისა. ბ. გზა ცხოვრებისა. ხოლო კეთილი ზნეობისა და სიბრძნის სწავლისათვის არიან საჭირონი ეს ორნი წიგნნი, ვითამც: **სიბრძნე კაცობრივი და ბრძენი კაცი.** ამისთვის, როგორც მშობელთა, ეგრეთვე, სკოლების იმ კეთილთ ზედამხედველთა და მასწავლებელთა,



რომელნიც ცდილობენ, რათა გახდნენ მეორედ აღმომშობელნი ყრმათა გაწურთვნიტ და აღმო-  
შორებით მათი სწავლაში და კეთილზნეობაში, დღეში საკმაო დროება უნდა გადადებული  
ჰქონდესთ ამ საჭირო საქმისათვის, უნდა შემოჰკრიბონ ყმაწვილები ან იმათვე წააკითხონ და ანუ  
თვითონ წაიკითხონ ამ წიგნებისაგან და იმ წაკითხულის განმარტება ყმაწვილებს დაჰკითხონ და  
თუ კარგათ ვერ გაუგონიათ, თვითან აუხსნან მათ იგინი, აი ამ საშუალებით დანერგებენ მათ  
გონებაში ღვთის შიშსა, ჭეშმარიტი სიბრძნის გზა – კვალსა, და კეთილი ზნეობის კანონებსა.  
ყმაწვილობიდანვე ესრედ აღზრდილი ყმაწვილი, უეჭველია იქნება ბოლოს ერთი თითით საჩვე-  
ნებელი პატიოსანი პირი, მადიდებელი ღვთისა, ერთგული ხელმწიფისა, მასიამოვნებელი დედ –  
მამისა, სიქადული თავის ოჯახობისა, გამაჰპატიოსნებელი თავისი ნათესავეებისა და მრთელი  
საზოგადოებისაც ფრიად სასარგებლო ნასხამი.

დროება. 1879. N141.

### **ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდამ (1629 წლიდგან)**

#### **კრემენჩუგის სტამბა**

1) გრამატიკა მხედრულ ხუცური ასოებით, შედგენილი გაიოზ ნაცვლიშვილის მიერ და  
დაბეჭდილი კრემენჩუგს 1897 წ.

2) ქართული ანბანი და ლოცვები, იქვე მისგანვე დაბეჭდილი.

#### **პარიზში**

1) ლექსიკონი და გრამატიკა ქართული ენისა, კლაპროტისა და დაიბეჭდა პარიზში 1827 წ.

2) ისტორიული ქრონიკა, ბროსესაგან ლიტოგრაფიით დაბეჭდილი პარიზში 1832 წ.

3) ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე, ლიტოგრაფიით ბროსეს გამოცემა 1834 წ.

**პარიზში.**

#### **ვენეციის სტამბა**

ვენეციას ლაზარუს მონასტრის ზღუდეთა შორის დაარსებულ იქმნა ქართული სტამბა, სადაც  
აღბეჭდეს შემდეგი წიგნები:

1) დაბადება, ძველის და ახალი აღთქმისა, სომხური ენიდან ნათ. მ. მამულაშვილის მიერ,  
დაბეჭდილი ვენეტიკს 1853 წ.

2) წმიდათა ცხოვრება, თარგმანი იმავე მოძღვრისაგან და დაბეჭდილი 1858 წ. ვენეტიკს.

3) ეზოპის იგავნი, თარგ. ბერძნულიდან და დაბ. 1859 წ. ვენეტიკს.

#### **სტამბოლის სტამბა**

1) ლიგუორის ქადაგებანი, თარ. სტამბოლი 1878 წ. გამოცემა აბატის ხარისჭირაშვილისა.

2) ბრძენი კაცი, ანუ რომელიმე ძველი ფილოსოფიის მიერ სწავლანი, სტამბოლი 1878 წ. გამ.

**აბატი ხარისჭირაშვილისა.**

3) მოკლე ფილოსოფია, თარგ. პატრი იოსებ წალდაძისა, სტამბოლი 1880 წ. გამოცემა  
ხარისჭირაშვილისა.

4) ესტატეს ცხოვრება ლექსათ, სტამბოლი 1877 წ.

5) მცირე ლოცვანი კათოლიკეთათვის, სტამბოლი 1874 წ.

6) გზა ცხოვრებისა, თარგმანი, სტამბოლი 1876 წ.

7) მოკლე რეტორიკა, თარგმანი, სტამბოლი 1879 წ.

- 8) საზოგადო ისტორია, თარგმანი, სტამბოლი 1881 წ.
- 9) პატარა საქრისტიანო მოძღვრება, სტამბ. 1876 წ.
- 10) მოკლე ფრანგული გრამატიკა, სტამბ. 1881 წ.

#### **მონთობონის სტამბა**

- 1) სიბრძნე კაცობრივი, რაც კაცს ჭკუას ასწავლის, **მონთობანი** 1877 წ.
- 2) პატარა ლოცვის წიგნი ანბანით, **მონთობანი** 1878 წ.
- 3) წმინდა წინოს სურათი.
- 4) მოკლე საზოგადო გეოგრაფია, მონთობანი 1878 წ.
- 5) გაზეთ „მშაკის“ მზათ პასუხი **ვინმე მესხისა**, 1881 წ. მონთობანი.
- 6) ქართული გრამატიკა, მონთობანი 1877 წ.
- 7) მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკულის და ლოდიკურის ანალიზებით, მონთობანი 1877 წ.

**ტრიესტი** (ავსტრია).

ტრიესტში დაიბეჭდა ქართული წერის დედანი 1841 წელს.

ცნობის ფურცელი, 781, 1899 წ.

#### **მემედ აბაშიძე (მეგობარი)**

გავლილ წლის ივნისის თვეში, დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ **ვინმე მესხის** წერილი ცნობილ **ბ. ბენედიქტე ჩილინგაროვზე** (იგივე **ვარდიძე**, ყოფილი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარი).

არ იქმნა, ერთხელ და სამუდამოდ სიჩუმეს ვერ მივაბარეთ ამ უბედური პიროვნების ხსოვნა. ნუ თუ, ისედაც ტანჯული ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით ქართველი კათოლიკობა, საკმაოდ ჭირ – ვარამს არ განიცდის, რომ ამ უბედურმა პიროვნებამ ასე ხშირად ალაგვაშფოთოს თავისი გადაგვარებული ყოფა-ცხოვრებით?!

ზემოხსენებულ წერილში სწერდა ბ.. მესხი, რომ ბენედიქტე ჩილინგაროვს სტამბოლში არსებულ ერთად – ერთი საგვარო მონასტრის საქმეების ამრევ – დამრევს, ქართულ ტიპიკონის და ქართველების მტერს, აზრად აქვს გამოემგზავროს საქართველოსკენ. ამ დროს ამ ამბავმა სასიამოვნოდ გამოაფხიზლა ქართველი კათოლიკენი და შესაფერი ზომები მიაღებინა. სტამბოლის მონასტერიც ეცადა, რომ ბენედიქტე ჩილინგაროვს ვერ განეხორციელებინა თავისი აზრები. დღეს იუწყებიან სტამბოლიდან, რომ ბენედიქტე ჩილინგაროვს სისრულეში მოუყვანია თავისი განსზრახვა და მიემგზავრება საქართველოსკენ. ბნელი ძალების დახმარებით იგი გაურბის სასამართლოს, რომელიც ახლოვდება მისთვის. ამ ბოლო ხანებში, გამოძიების შემდეგ, პასუხისგებაშია რომის სასულიერო მთავრობის წინაშე. რასაკვირველია, ეს გარემოება, არ იქნებოდა სასიამოვნოდ სტამბოლის ლათინურ წესის ეპისკოპოს მ. **ვინკენტო სარდისთვის**, რომელსაც სანახევროდ აქვს მონაწილეობა ბენედიქტე ჩილინგაროვან ერთად სტამბოლის მონასტრის საქმეების აწეწ – დაწეწვაში, რომ ბენედიქტე ჩილინგაროვს განეგრძო სტამბოლში ცხოვრება, სადაც ორივენი შერცხვენილნი გამოვიდოდნენ ქვეყნის წინაშე. ამისათვის თავისი პასუხისმგებლობით ისტუმრებს მას საქართველოსკენ. მაგრამ იმედია, სიმართლე სამუდამოდ არ გაიქვლება და თავისას გაიტანს.

ექვსი წლის განუსაზღვრელ დესპოტიურ საქმეების მართვით ისე გზაკვალი დაებნა ბენედიქტე ჩილინგაროვს, რომ თვითონვე სწერს ერთს წერილში:

საქმეები ძალიან აირ – დაირია, შორს წაველი; საქმეების გამოკეთება აღარ შეიძლება, გვიანდა არისო. ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ! – ეს აღსარება ბენედიქტე ჩილინგაროვისა კარგია და თან გვაგონებს **მართენ ლუტერს**, მაგრამ პრაქტიკულად სრულიად უმნიშვნელოა, რადგან რაც დააკლო ქართველ – კათოლიკობას, განსაკუთრებით სტამბოლის მონასტერს, თავისი მტარვალური ბატონობის დროს, იგი შეუმსო თავისი გლისპი უმორჩილობით და ფარისევული ქვეშდრომობით. ბენედიქტეტ ჩილინგაროვი მოდის საქართველოში.

იმედია, ქართული კათოლიკობა ჩვეულებრივს სიფხიზლეს გამოიჩენს. ქების ღირსნი არიან ქუთაისელები, რომ შეგნებულად მოიქცნენ და მიჰმართეს მათ ყოვლად უსამღვდელოესობას **ტირასპოლის** ლათინურ წესის მ. ეპისკოპოსს, მისი იქ ყოფნის დროს, შარშან მათში. მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ტირასპოლის მ. ეპისკოპოსი **კესლერი** მაშინ შეჰპირდა ქუთაისელებს, ბენედიქტე ჩილინგაროვს საქართველოში ადგილს არ მივცემო.

როგორც ხმა დადის, ჩილინგაროვი ქუთაისში ვებს ველარ შედგამს, მხოლოდ იმედი აქვს ან **ტფილისში** ან **გორში** ფეხი მოიკიდოს. ვაფრთხილებთ ტფილისელებსა და გორელებს. ქუთაისელების მაგალითი თვალწინ უდევსთ. დროა შესაფერისი ზომები მიიღონ, თორემ შემდეგში გვიან – ღა იქნება.

იმედი გვაქვს, მათი ყოვლად უსამღვდელოესობა, ტირასპოლის მ. ეპისკოპოსი **კესლერი** არ გასტეხავს თავის სიტყვას, არ მისცემს ჩილინგაროვს ადგილს საქართველოში და ამით არ მოშლის სიმშვიდეს საქართველოს სამწყოსში. ისედაც ეყოფა ის მძიმე უღელი, რომელიც აწევს მას, განსაკუთრებით **სამცხე – საათაბაგოში** ზოგიერთ სამცხე – ტერტერების და რამდენიმე გადაგვარებულ ქართველის წყალობით.

სახ. გაზეთი, 1914 წ. N1117.

**შენიშვნა:** მემედ აბაშიძის ეს სტატია 1914 წლის შემდეგ იბეჭდება პირველად.

### **გერასიმე ნადარეიშვილი წერილი სტამბოლიდან**

**ტრაპიზონიდან** მეორე ნავთსადგურს „**ორდუდს**“ (ქართ. მეგ.) მივედით. **ორდუდი** პატარა ქალაქია მთის ფერდობზე შეფენილი. ამ ქალაქში დიდძალი ქართველი მაჰმადიანები გადმოსახლებულან რუს – ოსმალთა ომის დროს. შევიარეთ **სამსონის** და **სინოპის**, ნავთ – სადგურები და მივედით **სტამბოლს**. **გალათიდან**, **პერამდე** ავედი ფუნქულიარით, და ტრამვაით გავემართე ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის საავადმყოფო გავიარე და ქალაქზე მოშორებულ, **ქართველ კათოლიკეთა მონასტერში** მივედი. დიდის სიყვარულით მიმიღეს, გამიმასპინძლდნენ. აქ სკოლაც და ქართული მხედრული სტამბაც არის მოწყობილი. ბეჭდავენ სასულიერო შინაარსის და სამეცნიერო ხასიათის ქართულ წიგნებს. აქაურ მღვდლებს დიდი ენერგია გამოუჩენიათ და ხალხის სიყვარული დაუმსახურებიათ, ამ მოკლე ხანში. მონასტერი დიდი ხანი არაა, რაც არსებობს. სტამბოლის რომელ კუთხეშიც გინდათ იკითხოთ გურჯის (ქართველის) მონასტერი, ყველანი მიგასწავლიან. მრავალს მლოცავს იზიდავს ეს მონასტერი. **აქ ყველა ლოცულობს განურჩევლად ეროვნებისა.**

დავათვალაიერე აია სოფიოს ტაძარი დიდებული ტაძარია. იმპერატორ იუსტინიანის მიერ აგებული, მართლმადიდებელთა სავანე, დღეს მაჰმადიანთა მეჩეთია, ქვემო სართულში თათრები ლოცულობდნენ და არ შეგვიშვეს, მეორე სართულში კი სასყიდლით შევედით; რამდენიმე ათასს კაცს დაიტევს, გუმბათის შეხედვა მოგაგონებს ცის კამარას, ექვს ფრთიანი ქერუვიმის ფრთები მოსჩანს, სახე კი წაშლილებია. მაღლა ტაძრის ცაზე საკურთხეველის კამარაზე დახატულია **ღვთის მშობლის დიდი ხატი**. ხატი ფერადი კენჭებით არის დახატული. ფერადი საღებავებით შეუღესიათ, ალბათ უნდოდათ წაეშალათ. ერთის შეხედვით, ვერც კი შენიშნავთ. მეორე სართულს გარშემო აქვს თლილი მარმარილოს მოაჯირი და რაზედაც მრავალი ჯვარია გამოყვანილი და ზოგი ისევ არის დარჩენილი, კამარა მეორე სართულისა ზოგან მოზაიკით მოკენჭილია სხვა და სხვა მხატვრობას წარმოადგენს.

აქედან რკინის გზით დასავლეთისაკენ გავემგზავრე. ქალაქის გარეთ არის ერთი მონასტერი, მის ახლო წყარო ჩამოდის; ყველაფრით შემკული ადგილია. სამკუთხივ ქვითკირის შენობა არტყია, ეს არის **ჩვენი რომანი**. წმიდა ილარიონი კახელის ულუმბოს მთიდგან თესალონიკეში გარდასვლის შემდეგ, მოგვითხრობს ამ წმინდანის ცხოვრების ამწერელი მისი თანამედროვე ბერძენთ ფილოსოფოსი **ბასილი**, სამნი ქართველნი ილარიონის მოწაფენი დარჩენილან ულუმბოს მთაში; იმპერატორ **ბასილი მაკედონს** გაუგია მათი სათნო ცხოვრება და დაუბარებია **კონსტანტინეპოლს**, დიდის დიდებით მიუღია და იმ სამ მოხუცთათვის კერძო ეკლესია და მონასტერი აუშენებია **რომანად** წოდებული, და თავისი შვილები **ლეონი** და **ალექსანდრე** მიუბარებია მათვის, ქართული წიგნი და ენა შეასწავლეთო. შემდეგ ულუმბოსა ქალაქ **ვისალონიკეს** ეცხოვრა **მამა ილარიონი**. აქ თვით თესალოიკის მთავარს აუშენებია ილარიონისთვის მონასტერი,+

რის შემდეგაც მალე გარდაცვლილა ილარიონი.

**ბასილ იმპერატორს** მოუწერია თესილონიკელთათვის: „ბრძანებს მეფობა ჩვენი თესალონიკელთა მიმართ, რათა სწრაფითა დიდითა და დიდებითა სამეფოთა წარმოგზავნეთ ნაწილნი წმიდისა ილარიონ ქართველისა, თვინიერ ყოვლისა მიზეზისა და წინააღმდეგობისა, და ცოცხლებით იყავით“ (ავტორის სტილი დაცულია სრულად).

სახალხო გაზეთი, N 54, 1910 წ.

## **ს. ბავრელი** **(სოლომონ ასლანიკაშვილი)** **მღვდ. მიხეილ თამარაშვილი** **(ბიოგრაფიული ცნობანი)**

ქართველმა საზოგადოებამ დიდი საუნჯე დაჰკარგა. შეუბრალებელმა სიკვდილმა წაგვართვა გამოჩენილი ისტორიკოსი მღვდელი მიხეილ (არა მიქაელი) თამარაშვილი!

შესანიშნავი და წასაბამია ამ ღირსეულ ადამიანის ცხოვრება. მღვდელი მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1861 წელს ქალაქ **ახალციხეში**. მამა მისი – პეტრე და დედა გაიანე ხელმოკლე ოჯახის პატრონნი იყვნენ. პეტრე მერუმზე იყო. ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალი.

სიღარიბის გამო შვილების განათლებაზე ვერ ზრუნავდა და ცდილობდა, შვილებისთვის ხელობა ესწავლებინა. შუათანა შვილმა მიხეილმაც, ახალციხის ერთკლასიან საეკლესიო სასწავლებელში ქართული წერა – კითხვა ისწავლა. შემდეგ, ხარაზს მიაბარეს. მაშინ ძლივს – ძლივობით

სწერდა ქართულად და საეკლესიო ლოცვები ჰქონდა გაზეპირებული. სკოლამ ამის მეტი ვერა შესძინა რა.

1874 წელს მიხეილ თამარაშვილი, გარემოების გამო იძულებული იყო ქუთაისში გადასახლებულიყო თავის უფროს ძმას – სოლომონთან, რომელსაც იქ ბაყლის დუქანი ჰქონდა; ახალგაზრდა მიხეილ თამარაშვილი ძმის დუქანში იჯდა, წულებსა კერავდა; იგი მშვიდი, წყნარი ხასიათისა იყო და ცუდ ამხანაგებს არ ასდევდა. მუდამ ფიქრებში წასული, მოცლის დროს, სასულიერო წიგნებით ირთობდა თავს; ბეჯითად კითხულობდა პერგამენტზე დაბეჭდილს ხუცურ დაბადებას.

სწავლის სურვილი მაინც დღე – ღამ მოსვენებას არ აძლევდა და 17 წლის ახალგაზრდამ ისურვა სასულიერო წოდებაში შესვლა. ამ მიზნით თამარაშვილი 1878 წელსა სტამბოლს წავიდა თავის ძმების ხარჯით და შევიდა მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მონასტერში; მღვდლად იქ იკურთხა. სტამბოლში ქართველ კათოლიკების მონასტერში კარგა ხანი დაჰყო; რადგან მაღალი ნიჭი და დიდი შრომის უნარი გამოიჩინა. ის სწავლის გასაგრძელებლად რომში გაგზავნეს, სადაც ლათინური, ფრანგული და იტალიური ენები საფუძვლიანად შეისწავლა. თუ არ ვცდებით, რომში წმ. იუსპერ საქრისტიანო სასწავლებლის გამგედ იყო.

შორს გარდახვეწილმა მამა მიხეილ თამარაშვილმა არ დაივიწყა თავისი საყვარელი სამშობლო: თავისი სწავლა განათლება იმის სამსახურს მოახმარა. არ ზოგავდა თავის ძალ – ღონეს, დღე ღამ შრომობდა სხვა და სხვა წიგნსაცავებში, სადაც დავიწყებას იყო მიცემული მრავალი მდიდარი, მასალები ჩვენს სამშობლოს შესახებ. საქვეყნოდ გამოაშკარა და გვაცნობა ჩვენი ქვეყნის წარსულის დიდება.

იმისი ნაშრომია: 1. კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის მე – XIX საუკუნოში 2, პასუხად სომეხ – მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას;

3. საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდე, ფრანგული ენით, რომელიც ჩვენს ქვეყანას ევროპიელებს აცნობოს. ამის გარდა, სხვა და სხვა გაზეთ – ჟურნალებში თანამშრომლობდა.

როგორც შესანიშნავი იყო მისი ცხოვრება, ისე გმირული და ტრადიკული იყო მისი სიკვდილი.

განსვენებულის სულის მოსახსენებლად 21 – ს სექტემბერს წირვა და პანაშვიდი იყო ქართველ კათოლიკების ეკლესიაში. – დაესწრნენ მრავალი წარჩინებული ქართველები და ჟურნალ – გაზეთების წარმომადგენელი. წირვის შემდეგ მიუსამძიმრეს სამღვდელობას და მცირე ბაასის შემდეგ თავად – აზნაურობის წინამძღოლის თანდასწრებით განიზრახეს მამა თამარაშვილის ნემტის გადმოტანა ტფილისში; ამ საქმისთვის შედგა რამდენიმე პირისაგან კომისია, რომელმაც უნდა აღსრულებაში მოიყვანოს ეს სასიამოვნო წადილი.

სახ. გაზეთი, 1911 წ. N 409.

**ვლ. ჯ. ნერეთელი**  
**სტამბოლის**  
**ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ამბავი**

1908 წელს მე, ამ ამბის დამწერი, გახლდათ **სტამბოლში**, სადაც გავიგეთ, რომ საქართველო იხთიდა თავისი საყვარელი მგოსნის, **აკაკი წერეთლის** იუბილეს, მაშინ ჩვენც, იქაურმა ქართველებმა, გადავიხადეთ იქ იუბილე და დიდებული პოეტის სახელით დავაარსეთ, ბიბლიოთეკა – სამკითხველო და დამხმარებელი კასა.

იქ მყოფი ყველა ქართველების სურვილი იყო, ეს ბიბლიოთეკა მოთავსებულიყო ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ერთ – ერთ ოთახში, რადგან მრავალი სადგომი აქვს მონასტერს, და კარგადგილზედაც არის სტამბოლში, აგრეთვე, თვითონ მონასტერს აქვს სხვადასხვა დროს შეძენილი ქართულ – ხუცური ნაბეჭდი, ძველი და ახალი, ურიცხვი წიგნი, მაგრამ მოთავსებულია უპატივცემულოთ აშენებულ, ერთ – ერთ მივარდნილ ბნელ საწყობში. ჩვენ ამ წიგნების კარგათ შეკონვა, და ბიბლიოთეკაში დაწყობა გვინდოდა, მაგრამ მონასტრის უფროსმა, ბატონმა **ბენედიკტე ვარდიძემ** ნება არ მოგვცა, და ესეც გვითხრა: ჩემს არყოფნაში რომ არ მოგეწყობათ აქ ბიბლიოთეკის გახსნა, ამის ნებასაც არ მოგცემდითო;მართლაც, როცა ჩვენ, ქართველები ვიკრიბებოდით ხოლმე ხსენებულ მონასტერში ამ საქმის მოსაწყობათ, იმ ხანებში მონასტრის უფროსი **ბ.ბ. ვარდიძე** საფრანგეთში მოგზაურობდა, და მის საქმეს მართავდა დიდათ პატივცემული **მ. სტეფანე გიორგაძე**, რომელიც სულით და გულით თანაგვიგრძნობდა, და მასთან სამშობლოს მოსიყვარულე, დაულალავი მუშაკნი **მამა მერაბი**, **ბ. ი. დ. სიდავა**, აწ უკვე განსვენებული **მ. ანდრია** და სხვა ბევრი ქართველი, დაჩქარებით მუშაობდენ ამ ბიბლიოთეკის დაარსებისათვის; ახლა მივხვდი, რომ თუ **ბ. ბენედიკტეს** მოესწრო, შეიძლება ეს საქმე კიდევაც ჩაეშალა, თუმცა სტამბოლიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ ჩანს, მაინც მიძინებულისა ჩვენგან დაარსებული დამხმარებელი კასა და სხვ; თუმცა მისი ფესვიანათ ამოგდება შეუძლებელია, რადგან მას იქ გულშემატკივარი დარაჯები ყავს და მთელ სიცოცხლეს ვერავინ მოუსპობს მას: სტამბოლში ყოფნის დროს იქაურმა ქართველებმა მაჩვენეს შუაგულ ქალაქში ერთი ძველი უზარმაზარი შენობა, რომელსაც რვაასი კვადრატული საყენი ალაგი უკავია, ამ შენობის სახელია, „**ვეზირ – ხანი**“; ეს შენობა ბენედიკტეს მონასტრის უფროსობის მიღებამდე, ქართველების მონასტრის სარგებლობასა და უფლებებში ყოფილა.

დღეს კი სხვა ტომის ხალხის ხელში გადასულა ეს სახლი, რომელიც რამდენიმე ათას ლირათ ღირს; მე დარწმუნებული ვარ, რომ **ბ. მონასტრის** უფროსს იმ საქმისთვის ჯეროვანი ყურადღებარომ მიექცია და საჭირო პირები დაეხმარებია, ეს სიმდიდრე ქართველ მონასტერს არ დაეკარგებოდა...

–

ამ წლის ივლისის 29 – ის რიცხვის „სახალხო გაზეთში“ – N 364, ამოვიკითხე ხსენებული მონასტრის უმფროსის **ი. ბენედიკტე ვარდიძის** სამწუხარო მოქმედება, რომელზედაც სტამბოლელთა კორესპონდენტი „**უნაღვლეელი**“ სწერს, რომ ფრანგების ეფისკოპოსს **სარდს** ხსენებული მონასტრისათვის ჩამოურთმევია. მრევლი, ზედ – მიწერილი ეკლესიები, შკოლები სადაც ქართულ – ფრანგულათ სწავლა წარმოებდა, შემოსავლიანი სახლები და ადგილი; აუკრძალავს ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა; შეუგონებიათ იქაური ქართველობისათვის, რომვთქვათ ყველა ზევით ჩამოთვლილი გაცარცვა ვითომ ქართველებისავე სურვილით ყოფილიყოს, თუმცა აქ თავი უსახელებიათ ორ ქართველს – **იაკობ და სიმონ ფილიპოვს**, რომლებსაც უარი უყვიათ მათ ამნაირათ შეგონებაზე, და სიმართლე უთქვამთ გამომძიების დროს, და თავის დედაენაზე წირვა –

ლოცვა მოუსურვებიათ. მაგრამ ეფისკოპოზი სარდის განზრახვას მაინც თავისი გაუტანია: როგორც ხსენებული კორესპონდენტი „უნადვლელი“ სწერს, ყველა ეს მოქმედება მონასტრის უფროსის მ.ბ. ვარდიძის ხელმძღვანელობით და მოქმედებით მომხდარა. ეს დიდათ სამწუხაროა ყველა ქართველებისათვის; ვინც დაუკვირდება, ადვილათ მიხვდება, რომ ყველა ქართველისათვის ეს მძიმე დასაკლისია: „უნადვლელი“ ვერ სწერს სრულიად მიზეზს, თუ რატო სურს მ. ბ. ვარდიძეს იქ ქართულ ენაზე წირვა – ლოცვის მოსპობა და სხვა. ამის მიზეზათ ასახელებს, ვითომ, ბატონი უფროსი, ვარდიძე კიარა, ჩილინგაროვიო, ე. ი. სომხის გვარიო, მაგრამ მე კიდევ ვერ მიმხვდარვარ, თუნდა სომხის გვარი ქონდეს, თუნდა პირდაპირ სომეხიც იყოს, მერე რაო, ვითომ რას შეიძენს იქ, ამ ძვირფასი საუნჯის ქართველებისათვის წართმევით და ფრანგების მიკუთვნებით? სასურველია, ვინც ამ გამოცანას მიხვდება, გაზეთის საშვალეებითვე ახსნიდეს; იგივე კორესპონდენტი სწერს: ფრანგების ეფისკოპოზის ასეთი უსამართლო მოქმედება და ქართველების ამითი შეურაცხყოფა თვით ფრანგებმა ვეღარ მოითმინესო, და მთელი ერთი კვირე ფრანგულ გაზეთებში ამაზე ლაპარაკობდენ, ეფისკოპოზ სარდის მოქმედებას კიცხავდენ და ქართველებს გვესარჩლებოდენო; ამ მიზეზის გამო, ეფისკოპოსი სარდი პაპმა რომს დაიბარა და შეიძლება აღარც კი მობრუნდესო.

ნუთუ ქართველებისათვის ასეთ ძვირფას და დიად საქმეს ახლაც არ უნდა მიაქციოს ყურადღება ჩვენმა შეგნებულმა და განათლებულმა საზოგადოებამ? რაღა დროს დუმილია, ბატონებო, ნუ თუ ჩვენი მოვალეობა არ არის, რომ, მადლობა ვუძღვნათ იმ ფრანგულ გაზეთებს, რომლებიც ჩვენ მოძმეებს ასე უანგაროთ იცავენ და თავის სასულიერო მთავრობას ჩვენი დაჩაგვრისათვის პასუხს სთხოვენ. ნუთუ ჩვენ არ უნდა ვუსაყვედუროთ მაინც იმ ჩვენი მონასტრის წევრებს, რომლებიც ხელს უწყობენ სტამბოლში ჩვენი სახელის აღმოფხვრას? დროა ყველას შესაფერისი პასუხი გავსცეთ, – მტერს მტრულათ და მოყვარეს მოყვრულათ.

კოლხიდა, 1911 წ. N 156.

### **ივ. ქიზიყელი (უცნობი ფსევდონიმი) ქართული სტამბის დაარსება**

**მაინცელი** მოქალაქის, **იოჰანე გუტენბერგის** მიერ გამოგონილი სტამბის ამბავი მთელ ქვეყნიერებას მოეფინა. წიგნების ბეჭდვით ყველა გაცემული დარჩა. ასეთ შესანიშნავ მოვლენას დიდი ყურადღება მიაქცია სხვა და სხვა სახელმწიფომ და ბევრს ადგილას დაარსეს სტამბა. ამ შესანიშნავმა ამბავმა საქართველომდეც მოაღწია და არა ნაკლები აღტაცება გამოიწვია ქართველებშიაც, რადგან ერთხელა და სამუდამოდ ბოლო უნდა მოღებოდა წერიტი საშუალებით წიგნების გავრცელებას. ქართველებს სტამბის გახსნის ნატვრა დიდი დაებადათ, მაგრამ ზოგიერთი გარემოება ხელს უშლიდათ. როდესაც ეს დიდებული საქმე ევროპაში ფეხს იკიდებდა, მაშინ საქართველოს შავ – ბნელი დღეები ადგა. სწორედ, იმ დროს იწყეს გარეშე მტრებმა შემოსევა და საქართველოში ნავარდობა. საუბედუროდ, შინაც იჩინა თავი ამბოხებამ.

თუმცა ასეთი დიდი მიზეზები ეღობებოდა წინ საქართველოს, მაგრამ ქართველი ერი მაინც სხვებს არ ჩამორჩა სტამბის დაარსებაში, რომ ითქვას, მაინცა და მაინც დიდი მანძილი არ არის გავლილი სხვებისა და ქართველების დაარსებულ სტამბის შუა. **გუტენბერგმა ევროპაში 1450 წ.**

გახსნა პირველი სტამბა, სომხებმა ვენეციაში 1557 წ., რუსებმა კიდეც მოსკოვში 1563წ.), ხოლო პირველი ქართული სტამბა ქართველმა პატრებმა რომში 1625 წელს გახსნეს.

როგორც სჩანს, ქართველებს შორის სტამბის საჭიროება მე – XVII საუკუნის დამდეგსვე გამოთქმული. ეს განზრახვა ქართველ პატრებს საქართველოში უცნობებიან და ამით ყველა ნა-სიამოვნები დარჩენილა. რომის პატრებს მიწერ – მოწერაც კი გაუმართავთ პაპთან: სთხოვდნენ, რომში ქართული სტამბის დაარსებასა და წიგნების ბეჭდვის ნებართვას.

მარჯვე მრჩეველთა წყალობით, რომის უმაღლესი სამღვდელოება ადვილად დაიყოლიეს ქართული სტამბის გახსნაზე და მცირე ხნის შემდეგ კიდეც გადაწყდა ქართული სტამბის დაარ-სება. ამისთვის ყველა ხარჯი იკისრა პაპის გამგეობამ. ამ საქმეს ხელს უწყობდნენ პატრი **მაროსი მაჯიო, სტეფანე პაულინი და ნიკიფორე ირბახი.**

1625 წ. გამოცხადდა, რომ „სარწმუნოების გამავრცელებელი ძმობის“ თაოსნობის და პაპის მფარველობით, **რომში** ქართულ სტამბას აარსებენო. ამაზე ზემოხსენებული პატრები გაიწვიეს რომში და მათ მიანდეს სტამბის მოწყობა და აგრეთვე ზედამხედველობა. ამავე წელს სტამბა უკვე ამუშავდა და პირველად ქართული „ლოცვანი“ დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკეთათვის სახ-მარებლად. ამ ხნიდან 1800 წლამდე რომში ქართული წიგნები შეუწყვეტილ იბეჭდებოდა.

1629 წ. რომის სტამბაში დაიბეჭდა **პაულინის „ქართულ – იტალიური ლექსიკონი“ ნიკიფორე ირბახის** დახმარებით შედგენილი. ამას მოჰყვა **მაჯიოს** მიერ დაწერილი ქართული გრამატიკა ორჯელ გამოცემული 1643 და 1670 წ.წ. 1733 წ. **პატრმა ტულუკაანთ დავითამ** გამოსცა „დოქტრინა ქრისტიანა“ (საქრისტიანო მოძღვრება), ესეც ქართველ კათოლიკეთათვის სახმარებლად. 1793 წ. ეს წიგნი ხელმეორედ იქმნა გამოცემული და 1800 წ. მესამეჯერ.

ზოგიერთი ცნობებით, ვითომც პირველი ქართული სტამბა საქართველოში 1709 წ. გახსნი-ლიყოს, ნამდვილი არ არის. საქმეს თუ სისწორით შევხედავთ, პირველი ქართული სტამბა 1625 წ. რომში გაიხსნა, როდესაც პაპი **ურბანუს მე – VII** საქართველოს მფარველი შეიქმნა, როცა საქარ-თველოში კათოლიკე მქადაგებლები გამოგზავნა. მამასადამე, აქედანვე უნდა იწყებოდეს პირველი ქართული სტამბის არსებობაც.

რომში ქართული სტამბის გახსნა და წიგნების ბეჭდვის ამბავი მალე საქართველოშიც შეიტყ-ვეს. ქართველებს ჯერ დაბეჭდილი წიგნები თვალთ არ დაენახათ, ხოლო გაგონილი კი ჰქონდათ და ესეც გმართლდა. პატრებმა დაბეჭდილი წიგნები საქართველოში შემოიტანეს და ყველა კუთ-ხეში მოჰვინეს. ვინც კი ნახა, ყველა გაოცებული იყო. აქედან აშკარადა სჩანს, რომ ამ მნიშვნე-ლოვან საქმის წინამორბედად კათოლიკე პატრები უნდა ჩაითვალოს.

რომის პატრების ასეთმა უანგარო მოქმედებამ ქართველი სამღვდელოებაც გაამხნევა. მე – XVII საუკუნის დამლევეს **ვლახიაში** მოღვაწეობდა ქართველი მღვდელ – მთავარი **ანთამოზ ივერიელი**, რომელიც 1705 წ. დაინიშნა რიმინსკის არქიელად და 1709 წ. **ვლახეთის** ეპისკოპოსად. ამ ქართველმა ეპისკოპოსმა საფუძვლიანად იცოდა რუმანიული, ბერძნული, სლავური, თურქუ-ლი და არაბული ენები. მან სტამბა გახსნა **რიმინსკში**, შემდეგ **ტარგოვნევი** და **სვეგავოში**. აგრედ-ვე, ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვასაც. მას დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში ქართული სტამბის დაარსებისა, ამისთვის საქართველოში მიწერ – მოწერა გაუმართავს, რომ **ტვილისში** ქართული სტამბა დავაარსოთო. ამაზე თანხმობა გამოუცხა-დებიათ ქართველ მოწინავე პირებს და უცნობიათ: დიდად სასიამოვნო იქნება, თუ კი ამას

---

\*პირველი წიგნი რუსულ ენაზე 1563 წ. 19 აპრილს, იოანე მე-IV მეფობის დროს დაიბეჭდა, 1702 წ. 16 დეკემ-ბერს პირველი გაზეთი გამოიცა, ხოლო 1865 წლიდან რუსეთში შემოღებული იქმნა ბეჭდვითი სიტყვისათ-ვის საცენზურო კომიტეტი.



მოვახერხებთო. ამ სურვილის მეთაურად, უმთავრესად ვახტანგ მეფესა სთვლიან; თუმცა ზოგიერთი წყაროებიდანა სჩანს, რომ ზემოხსენებულ ეპისკოპოსსა და ვახტანგ მეფეზე ბევრად ადრე, სტამბის გახსნის თაობაზე, მიწერ – მოწერა არჩილ მეფესაცა ჰქონია, რომელიც კარგა ხანსა სცხოვრობდა მოსკოვში. მაგრამ ამას ხელი შეუშალა ზოგიერთმა გარემოებამ, რომ სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვანი, მას საქმეები ბევრნაირად აეწეწა. არჩილ მეფის განზრახვა ვახტანგ მეფემ დაავგირგვინა.

ბევრი მიწერ – მოწერის შემდეგ, ზემოხსენებულ ეპისკოპოსს ვლახიაში ჩამოუსხმევინებია ქართული ასოების ნიმუშები და საქართველოში გამოუგზავნია. ასოები ქართველებს ძალიან მოსწონებიათ და ეპისკოპოზისთვის თანხმობის წერილი მიუწერიათ. აგრეთვე, დაავალეს მხურვალე შრომა მიეღო და ყველა სასტამბო იარაღი და მცოდნე ოსტატები გამოეგზავნა საქართველოში. ეპისკოპოზსაც სასიამოვნოდ დარჩენია ასეთი პასუხი და იმათი დავალება შეასრულა. შეიძინა სასტამბო ყველა იარაღი, ჩამოასხმევინა ქართული ასოები, იშოვნა ოსტატები და გამოეგზავნა საქართველოში. ოსტატებს შორის ერთი მბეჭდავი ყოფილა და სამიც ასოთამწყობი.

პირველი წიგნი, რომელიც ტფილისის სტამბაში 1709 წ. დაიბეჭდა, იყო „სახარება“. პირველად „დაბადება“ გამოიცა 1743 წ. და ეწოდება ბაქარის დაბადება. ქართული „ფსალმუნი“ პირველად დაიბეჭდა მოსკოვს 1705 წ. არჩილ მეფის მოღვაწეობით.

1709 – 1713 წ.წ. დაიბეჭდა შემდეგი სასულიერო წიგნები: „კონდაკი“, „ზატიკი“, „ჟამნი“, „მცირე ლოცვანი“, „ტიბიკონი“, „კურთხევანი“, „პარაკლიტონი“, „სადღესასწაულო“, „მარხვანი“ და მრავალი წვრილი წიგნი. ზოგი მხედრულის ასოებითა ყოფილა დაბეჭდილი და ზოგიც ხუცურით. ზოგიერთ გამოცემას კანზე საქართველოს სამეფოს ღერბი აზის, ზოგზე კიდევ დახატულია მეფე ლეონ ირანთა მსაჯული, მამა ვახტანგ მეფისა.

ტფილისის სტამბა მოაწყო ვლახელმა მიხეილმა – მიხეილ სტეფანეშვილმა. ზედამხედველად წიგნების ბეჭდვისა იყო ნიკოლოზ ორბელიანი. ამათ დროს, გარდა საეკლესიო წიგნებისა, დაიბეჭდა 1712 წ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ვლახიიდან საქართველოში მოსული მესტამბე მიხეილი უნგრელი იყო. ამ მესტამბეს და მის ამხანაგებს ქართველებისათვის შეუსწავლებიათ ქართული ასოების ხაზვა, ყალიბების კეთება, ასოების ჩამოსხმა, აწყობა, ბეჭდვა, წამლების გამზადება და სხვა. აგრედვე, ზედმიწევნით იცოდნენ ორი ფერის წამლით წიგნების ბეჭდვა.

რადგანაც ისეთი დიდი ღვაწლი დასდო მიხეილმა, როგორც არის სტამბის ოსტატობა და ბევრს ქართველსაც შეასწავლა ხელობა, ამისათვის მისი ასეთი უანგარო შრომა ქართველ მეფეებმა დიდად დააფასეს. 1710 წ. მიხეილი ვახტანგ მეფემ აზნაური შვილის ხარისხით დააჯილდოვა. ამის შემდეგ იგი თავის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა და საქართველოში გარდაიცვალა. მიხეილმა სტამბის ხელობაში გაწრთვნა რომანოზ რაზმაძე, მღ. დავით ჩუბინიძე, მღ. კუყერაშვილი, გიორგი პაიჭაძე და რომანოზ ზუბაშვილი.

რადგან 1713 წ. ვახტანგ მეფე სპარსეთს წაიყვანეს, ამიტომ ახლად დაწყებული სტამბის საქმე ძალიან შეფერხდა. ამის შემდეგ ამ სტამბაში ძალიან იშვიათად იბეჭდებოდა წიგნები და ისიც სასულიერო შინაარსისა. 1717 წ. დაიბეჭდა „ჟამნი“ და 1720 წ. „კურთხევა ეკლესიისა და ოდიკისა“. ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1722 წ. გამოიცა „კოსმოგრაფია“, სპარსულიდან თვით ვახტანგისავე ნათარგმნი. აგრედვე შეადგინა „სჯულ – კანონი“ და „დასტურლამა“.

1723 წ. ოსმალებმა ტფილისიაიკლეს. რომ მთლად არ გაენადგურებინათ, ქართველებმა სტამბის იარაღი მიწაში ჩაფლეს. დროებით მოიშალა სტამბა. ტახტზე თეიმურაზ მე – II, ერეკლეს მამა ავიდა. ხოლო ვახტანგ მე – VI მთელი ოჯახობითა და დიდის ამალით გადასახლდა რუსეთში.

თეიმურაზის მეფობაში ისევ მოსძებნეს სტამბის იარაღი და ხელახლად გამართეს. განახლებული სტამბის ოსტატებადა და გამგედ ისევ ძველები იქმნენ დანიშნული, რომელნიც ვახტანგ მეფის დროს იყვნენ. ამ დროს კიდევ სხვა ბევრმა მოისურვა სტამბაში შესვლა და ხელობის შესწავლა. მეფე თეიმურაზისავე ბრძანებით განახლდა სასულიერო წიგნების ბეჭდვა.

თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი **ერეკლე** გამეფდა. ამის მეფობის დროსაც კარგად მიდიოდა სტამბის საქმე. მაშინაც იწყეს საეკლესიო წიგნების ბეჭდვა. ვახტანგ მეფის დროინდელი სტამბის ხელოსნები გარდაიცვალნენ და მათი ადგილი სულ ახლად ნასწავლებმა დაიჭირეს. სტამბის უმფროს ზედამხედველად დაინიშნა მღვდელი **დავით კეჟერაშვილი**. იმ დროს სტამბა **მეტეხის** ეკლესიის გალავანში იყო მოთავსებული, სადაც ამ ჟამად საპატიმროა.

სტამბისა და წიგნების ბეჭდვის საქმე ისე სწრაფად მიდიოდა, რომ 1707 წ. წიგნების გამოცემისათვის ცენზურაც კი დაინიშნა. **პირველი ქართული ცენზური იყო სასულიერო პირი. 1712 წ. ვახტანგ მეფეს აეკრძალა „ვეფხის – ტყაოსნის“ ხალხში გავრცელება**, რადგან მისის აზრით, ხალხში გარყვნილებას შეიტანდა ასეთი შინაარსის წიგნი. ამაზე **ვახტანგ მეფე** იძულებული იყო **„ვეფხის ტყაოსნის“ ახსნა დაეწერა და ზოგი აზრები რუსთაველისა შეემსუბუქებინა**.

სამწუხაროდ, კიდევ გადაეღობა წინ დამაბრკოლებელი მიზეზი. 1795 წელს **ტფილისს** შემოესია **ალა – მაჰმად – ხანი**. შეშინებულებმა სტამბის იარაღი, რაც მოასწრეს **გონაკებისაკენ** გადაიტანეს და რაც ვერა, **ავლაბარში**, მიწაში ჩაფლეს შესანახად. მტრის მოგერიების შემდეგ, **ერეკლე მეფისავე** ბრძანეთ, **დავით კეჟერაშვილმა** ხელახლა თავი მოუყარა სასტამბო იარაღს და ისევ ძველებურად გააჩაღა მუშაობა. 1796 წ. ამ სტამბაში გამოიცა რამდენიმე სასულიერო შინაარსის წიგნი.

1798 წ. გარდაიცვალა **მეფე ერეკლე** და ტახტზე ავიდა **გიორგი მე – XII**. სტამბა ისევ მეფის მფარველობის ქვეშ დარჩა და ისევ დ. კეჟერაშვილს მიენდო ზედამხედველობა. გიორგის მეფობაშიაც გამოიცა რამდენიმე წიგნი. დაიბეჭდა აგრედვე, სამეფო სახლის დავთრები და საჭირო განცხადებები.

როგორცა სჩანს, წიგნები ყოველთვის სამეფო სახლის საფასით უბეჭდავთ. 1793 წ. მღ. **ქრისტეფორე კეჟერაშვილსაც** თავისის ხარჯით რამდენიმე წიგნი დაუბეჭდავს. აგრედვე, 1799 წ. დაუწყიათ ბეჭდვა **დავით ბატონიშვილის** მიერ შედგენილი „**ნარკვევისა**“. 1798 წ. ამ სტამბაში დაბეჭდილა **გაზეთის მაგვარი ფურცლები**, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ლექსად მეფე **ერეკლეს გლოვა და გიორგის ქება**. ამას გარდა სხვა ცნობებიც ყოფილა შიგ.

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ საქართველო რუსეთის სამეფოს შეუერთდა და სტამბის საქმეც ცუდად წავიდა. მისი ყურისმგდებელი აღარავინ იყო. ყველა თავიანთ კერძო საქმეების ფიქრში იყვნენ გართული. თუმცა კათოლიკოსმა **ანტონ მე – II – მ** იკისრა სტამბის მფარველობა, მაგრამ ესეც დროებით იყო. ამ ხანებში სტამბაში აღარაფერი არ დაბეჭდილა.

1804 წ. სტამბის იარაღი და ყოველივე მოწყობილება რუსების მიერ დანიშნულ მთავარმართებელს გარდაეცა. მთავარმართებელმა სტამბას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია: სტამბის გასაფართოვებლად რუსეთიდან გამოიწერა ზოგიერთა საჭირო იარაღი, ქალაღი, რუსული ასოები და 1805 წლიდან კვლავ მოქმედება დაიწყო სტამბამ. შემდეგ ამ სტამბაში ქართული წიგნი ბევრი აღარაფერი დაბეჭდილა; იბეჭდებოდა მხოლოდ პატარ – პატარა ქართული ლოცვისა და ანბანის წიგნები, რუსეთის მთავრობის განკარგულებანი, საქართველოს მთავარმართებლის ბრძანებანი, განცხადებანი და სხვ. ყველა ესენი მხოლოდ ქართულს ენაზე იბეჭდებოდა.

---

\*აქ და ზემოთ ნახსენები (**დავითი** და **ქრისტეფორე**) კეჟერაშვილები, როგორცა ჩანს, მამა შვილი უნდა ყოფილიყვნენ.

1810 წ. ამ სტამბაში გამოიცა „ქართული გრამატიკა“. 1811 წ. დაიბეჭდა არქიეპისკოპოსის ვარლამის მიერ შედგენილი საქართველოს საეკლესიო მამულების აღწერა, რომელიც წარდგენილი იქმნა საქართველოს მთავარმართებელთან, ამ უკანასკნელმა კიდევ ეს აღწერა რუსეთის უმაღლეს მთავრობას გაუგზავნა.

ამ აღწერაში მოხსენებულია იმ დროინდელი საქართველოს ეკლესიებისა და მონასტრების რიცხვი და მათი მამულების შემოსავალ – გასავლის რაოდენობა, თან დართული აქვს რჩევაც, რომ, თუ რუსეთის მთავრობა საჭიროდ დაინახავს რაიმე ცვლილებას, სულ ადვილად შესაძლებელია კათალიკოსობა გაუქმდეს და მის მაგიერად დაწესდეს ექსარხოსობაო. ამ ეპისკოპოსის რჩევითა და წინადადებით, მართლაც მოხდა ცვლილება. 1811 წ. საქართველოში პირველ ექსარხოსად სინოდის მიერ თითონვე იქმნა დანიშნული, ხოლო ანტონ კათოლიკოსი კი გადაიყვანეს რუსეთში და იქ 1827 წ. გარდაიცვალა.

მთავარმართებლის სტამბაში მხედრულის ასოებით დაიბეჭდა „სახარება“. მცირე ხანში სტამბა უფრო გააფართოვეს. შეიძინეს ახალი ასოები და 1817 წ. დაიბეჭდა ქართული გაზეთი.

სახალხო გაზეთი, 1913 წ. N 941. გვ. 2 – 3.

### ქართული სტამბის დაარსება დასასრული\*

ვახტანგ მეფის შვილები რომ რუსეთში სცხოვრობდნენ, მაინც საქართველოზე ჰქონდათ ფიქრი. **ბაქარმა და ვახუშტიმ** განიზრახეს იქ ქართული სტამბის დაარსება. ამათ მოსკოვს გაიწვიეს იოსებ სამეხელი და სინოდის ნებართვით შეუდგნენ ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვას, რისთვისაც გააკეთებინეს ქართული ასოების ყალიბი, ჩამოასხმევიანეს ასოების ყალიბები, ჩამოასხმევიანეს ქართული ასოები და 1734 წ. მოსკოვის ახლოს, სოფ. ვსესვიატკოვში გახსნეს ქართული სტამბა. სტამბის ზედამხედველად დანიშნეს იოსებ სამეხელი, რომელიც სინოდმა გადაიყვანა მოსკოვის მონასტრის წინამძღვრად. მცირე დროის განმავლობაში რამდენიმე წიგნიც დაიბეჭდა.

იოსებ სამეხელი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსის დროის მოღვაწეთა რიცხვს. იგი იყო ქობულა-შვილი გვარად და სამეხის მონასტრის სოფ. ხაშში არქიეპისკოპოსად. მე – XVII საუკუნის დასასრულს იოსებს ამწესებენ შიომღვიმის ილუმენად. 1705 წ. პატრიარქმა დომენტიმ აკურთხა ეპისკოპოსად და 1709 წ. იგი დაინიშნა სამეხელად, ესე იგი მიიღო სამეხის ეპარქია. 1723 წ. სამეხის ეპარქია აიკლეს ლეკებმა და იოსები გადაყვანილ იქმნა წილკნის კათედრაზე; როდესაც ვახტანგ მეექვსე გადასახლდა მოსკოვს, მას თან დაედევნა იოსებ სამეხელიც და გაემგზავრა რუსეთს ფულების მოსაკრებლად დარღვეული ტამრების სასარგებლოდ. დარიალის ხეობაში სამეხელი ლეკებმა გამარცხეს და ტყვედ წაიყვანეს. ჯვარის ციხის კომენდანტს ბრძანება მისცა რუსის მთავრობამ, რათა სამეხელი ტყვეობიდან დაეხსნათ. მართლაც, 1732 წ. სამეხელი უკვე მოსკოვშია და დაენიშნა 500 მან. ჯამაგირი. იმპერატრიცა ანა იოანოვნამ სამეხელს უბოძა ნოვეგოროდის

\*იხ. „საგ. გაზ“. N 941.

\*\*ბროსეს სიტყვით: ვახტანგ მეექვსისა ბაქარი კანონიერი შვილი ყოფილა, ხოლო ვახუშტი უკანონო. ვახუშტი მეცნიერების კვლევა-ძიებას მისდევდა. თურმე, აგრეთვე, 15-16 წლისას ჰქონია ხშირი მისვლა-მოსვლა რომის პატრებთან, რომელნიც მაშინ თავისუფლად სცხოვრობდნენ ტფილისში. ვახუშტის ფრანგობა შეაწამეს და ამის გამო მამამ აუკრძალა ყოველივე კავშირი უცხო ქვეყნებთან (იხ. „ვახუშტი საქართველოს ისტორია“, წინასიტყვაობა მეორე, გვ. X).

არქივისკოპოზის, **თეოფანე პროკოპოვიჩის**, მოადგილეობა. ნოვგოროდში **სამებელი** შეუდგა ქართული სტამბის მოწყობას და 1739 წ. უკვე დაბეჭდა „ზადიკი“ **ქრისტეფორეურამიშვილის** და რამდენიმე სხვა პირთა დახმარებით. ამავე სტამბაში დაიბეჭდა: „ჟამნი“, „მარხვანი“, „პარაკლი-ტონი“ და „სახარება“<sup>\*</sup>.

ოსებსამებელმა ბოლოს საქმე ისე წაიყვანა, რომ ბაქარის მიერ დაარსებული სტამბაც თავისას შეუერთა და ამ შეერთებულ – გაფართოებულ სტამბაში იწყეს ხუცურისა და მხედრულის ასობით წიგნების ბეჭდვა. მაშინ სტამბის ზედამხედველებად დანიშნეს ბერ – მონაზონი **ქრისტეფორე გურამიშვილი** და **მღვდელი ფილიპე**.

რუსეთში დაბეჭდილი წიგნები სწრაფად იგზავნებოდა საქართველოში და ავრცელებდნენ. ოსებ სამებელი თავის სტამბის გადმოტანას საქართველოში აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა და 1750 წ. **ასტრახანში** გარდაიცვალა. ყოველივე მისი განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ამავე წელს გარდაიცვალა **ბატონიშვილი ბაქარ**, დასაფლავდა **დონსკის** მონასტერში.

ოსებ სამებელის სიკვდილის შემდეგ რუსეთში შესწყდა ქართული წიგნების ბეჭდვა. 1757 წ. რუსეთში გადაიყვანეს საქართველოს კათალიკოსი **ანტონი I**, რომელიც დანიშნეს ვლადიმერის ეპისკოსად<sup>\*\*</sup>. იმან იმდენად იმეცადინა, რომ ოსებ სამებელის სტამბა **ვლადიმერს** გადაიტანა და იქ დაიწყო წიგნების ბეჭდვა. დაიბეჭდა **სტეფანე იავროსკის „კლდე სარწმუნოებისა“**, თარგმანი **ვახუშტისა**, „**ქართულ – რუსულ – ლათინურ – ბერძნული ანბანი**“ და სხვა წიგნები. 1764 წ. **ანტონ კათალიკოსის** საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს სტამბა დაიხურა. 1772 წ. გარდაიცვალა ბატონი ვახუშტი და დაკრძალეს დონსკის მონასტერში.

1761 წ. მეორე სტამბა გახსნა მიტროპოლიტმა **ათანასე ამილახვარმა**. ამ სტამბაში კორექტორად იყო **მელქისედექ კავკასიძე**. ეს ათანასე 1759 წ. **მეფე ერეკლემ** რუსეთში ელჩად გაგზავნა, რომელიც რუსეთიდან აღარ დაბრუნებულა და მიიღო იქაური ქვეშევრდომობა; მან თავის სტამბაში გამოსცა შემდეგი წიგნები: „**სამოციქულო**“, „**დავითიანი**“, „**ლოცვანი**“, „**ჟამნი**“, „**დაუჯდომელი**“, „**პარაკლისი**“ და **ანბანის წიგნები**. აგრედვე, დაიბეჭდა რამდენიმე საერო ლექსები დაიამბიკოები **ბაქარ ბატონიშვილისა**. ათანასე გარდაიცვალა 1774 წ. დაკრძალეს **დონსკის მონასტერში**. შემდეგაც კარგა ხანს არსებობდა იქ სტამბა და იბეჭდებოდა წვრილმანი წიგნები, მხოლოდ სასულიერო შინაარსისა. ბოლოს სასტამბო ყველა იარაღი უწმინდესის სინოდის საკუთრებად გადაიქცა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა ტფილისიდან **მოსკოვში** გადაიტანეს, რომელთა ბეჭდვაც გაგრძელდა 1860 წლამდე.

**ეკატერინე მეორის** დროს **პეტერბურგში** სცხოვრობდა ქართველი ეპისკოპოსი **გრიგოლ ხარჭაშენელი**. 1768 წ. ამანაც გახსნა ქართული სტამბა და დაბეჭდა **ქართული სახარება**. ამ ეპისკოპოსს სხვაც მრავალი წიგნი ჰქონია დაწყებული, მაგრამ დამთავრება ვეღარ შესძლებია. შემდეგ ეს სტამბა მიითვისა საქართველოში პირველ ექსარხოსადნამყოფმა **არქიეპისკოპოსმა ვარლამმა**. სტამბა უფრო განაახლა და გააფართოვა. ამ სტამბაში დაიბეჭდა „**თვენი**“, „**სახარების ახსნა**“ და სხ. წიგნები. 1815 წ. დაიბეჭდა ლექსად „**წამება ქეთევან დედოფლისა**“, დაწერილი **დიმიტრი ბაგრატიონისა**.

<sup>\*</sup>იხ. **ალ. ხახანაშვილის** „ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1904 წ. გამოცემული, გვ. 590-591.

<sup>\*\*</sup>**ანტონ კათალიკოსმა** შეადგინა და გადმოიღო უცხო ენებიდან შემდეგი წიგნები: „**მზა-მეტყველება**“, „**ქართული ისტორია**“, „**ფილოსოფია**“, „**ფიზიკა**“, „**ქართული გრამატიკა**“, „**წყობილსიტყვაობა**“, „**კატეხიზმო**“, „**ღვთის-მეტყველება**“ და სხვ.

ამ სტამბის გახსნით პეტერბურგში ეყრება საფუძველი ქართული სტამბის არსებობას, რომელსაც სამეცნიერო აკადემიის სტამბა ეწოდება. აქ აკადემიკოსმა მარი ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა გამოსცეს „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია, „ქართულ – რუსულ – ფრანგული ლექსიკონი“, „ქრისტომატია“, „საპასექო ცხრილი“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე – სიცრუე“, „ქართული გრამატიკა“, „ჩონგური“ ლექსების კრებული ლორთქიფანიძისა, „კაცია – ადამიანი“ ილია ჭავჭავაძისა და სხ. წიგნები.

პეტერბურგის სტამბის ასოთ – ამწყობად ყოფილა ვინმე ტაბიძე. ეს კარგად მოსწრებია თურმე რუსეთში მყოფ ბატონიშვილებს. იმ დროს პეტერბურგსა და მოსკოვში რაც კი ხუცურისა და მხედრულის ასოებით დაბეჭდილი წიგნებია, ყველა ზემოხსენებული ასოთ – ამწყობის ნამუშევარია.

მე – XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში თელავის სემინარიის რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი გადავიდა რუსეთში, კრემენჩუგს, იქ ერთ სტამბაში შეიძინა ქართული ასოები და 1793 წ. გამოსცა „ქართული გრამატიკა“, 1798 წ. „საცისკრო ლოცვანი“, „მცნება ვასილის ბერძენთა მეფისა“ და სხვ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაიოზ ნაცვლიშვილი მოზდოკისა და ყიზლარის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. ამას მოზდოკშიაც გაუხსნია სტამბა და რამდენიმე წიგნი დაუბეჭდავს.

1709 წ. ტფილისში გახსნილი სტამბა და წიგნების ბეჭდვა ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ საქართველოს. დაბეჭდილი წიგნების რიცხვი უცბად ვრცელდებოდა. რაც კი ტფილისში 1709 – 1713 წ.წ. წიგნები გამოიცა, მარტო დასავლეთ საქართველოს არა ჰყოფნოდა. ამიტომაც ხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე წიგნი რამდენჯერმე იბეჭდებოდა. ქართული სტამბის დაარსების სურვილი იმერეთსაც აღეძრა და ამისათვის ტფილისში შესაფერი მიწერ – მოწერაც გამართეს. ტფილისში სტამბის ხელმძღვანელებსა სთხოვდნენ სტამბის მოწყობაში დახმარებას. როგორც იქნა, საქმეც მოაგვარეს: სტამბის საბეჭდი დაზგა რუსეთიდან გამოიწერეს, ხოლო ხუცური და მხედრული ასოები კი ტფილისში ჩამოასხმევინეს.

1785 წ. ქუთაისში უკვე პირველმა ქართულმა სტამბამ დაიწყო მუშაობა. სტამბის მოწყობის ხელმძღვანელობა ტფილისიდან მისულმა რომანოზ ზუბაშვილმა იკისრა, რომელიც მიხელ ვლახელთან შეისწავლა. ეს ასოთ – ამწყობიც იყო და მბეჭდავიც. სტამბის მოწყობის საქმეში, აგრეთვე, დიდ დახმარებას უწევდა გენათის არხიმანდრიტი ზაქარია, რომელიც ზუბაშვილის მარჯვენა ხელი ყოფილა. ამ არქიმანდრიტს უსწორებია დასაბეჭდათ გამზადებული დედნები და კორექტორადაც თითონ ყოფილა.

1787 წ. ქუთაისში უკვე გამოიცა პირველი ქართული წიგნი. პირველს შემდეგ სხვა წიგნებიც მიჰყვა. ყველა გამოცემის კანზე დაბეჭდილია მოხსენება იმერეთის მეფისა და კათალიკოსისა ისე, როგორც ეს ტფილისის სტამბაში იყო შემოღებული ვახტანგ მეფის დროს.

იმერეთში სტამბის გახსნისა და წიგნების ბეჭდვის ამბავი ჩქარა სამეგრელომ, გურიათ, სვანეთმა და სხვა ასეთ დაშორებულმა კუთხეებმა შეიტყო. სტამბის გახსნის სურვილი მათაც დიდი დაებადათ, მაგრამ მე – XIX საუკუნის დასაწყისს თან მოჰყვა შინაური და გარეული ცვლილებანი და ამის მიზეზით მათი სურვილი განუხორციელებელი დარჩა.

რადგან იმერეთში სტამბის არსებობა და წიგნების ბეჭდვა დიდ ხარჯსა და მუშაობას თხოულობდა, ამიტომ სტამბის მფარველობა იკისრა მეფე სოლომონმა. სტამბის ზედამხედველად და გამგეთაც თავის სახლთ – უხუცესი ზურაბ წერეთელი დანიშნა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთში შავი ჭირი გაჩნდა, ამიტომ სტამბა გადაიტანეს ჯერ საჩხერეს და შემდეგ წესს (რაჭაში), რისთვისაც ქუთაისში დაწყებული სოფრონ ეპისკოპოსის „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა 1811 წ. სოფ. წესში

დაუმთავრებია **ზურაბ წერეთელს**. იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს სტამბა მაინც არ გაუქმებულ; **ზურაბ წერეთელს** საჩხერეში, თავის მამულში გადაუტანია და იქ უბეჭდავს წიგნები. 1817წ. საჩხერეში გამოუციათ „სახარება“. ეს სტამბა 1820 წ. დაიხურა.

1829 წ. ტფილისში ქართული სტამბა გახსნა **სოლომონ დოდაშვილმა ივ. ხელაშვილის** საფასით, რომელმაც ზედ 5000 მანეთზე მეტი დახარჯა. უნდა აღინიშნოს, რომ დამაარსებელთ დიდი სამზადისი ჰქონდათ. აქ უნდა დაებეჭდათ ყველა სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც კი იხმარებოდა ახლად გახსნილ **სემინარიაში** და იმ დროს **კეთილმოხილთა სასწავლებელში**. პირველად ამ სტამბაში გამოიცა ქართული გაზეთი **„ტფილისის უწყება“** დათვიური ჟურნალი. 1832 წ. ეს სტამბა სრულიად დაიხურა და მისი გამგე – პატრონი სამუდამოდ გადაასახლეს რუსეთში, რომელიც ვეღარ დაბრუნდა საქართველოში\*.

1825 წ. **ტფილისში** სტამბა გახსნა აშარხანელმა სომეხმა **არზანოვმა**. ამ სტამბაში ქართული ასოებიც იყო. აქ **პლატონ იოსელიანმა** დაბეჭდა **შავთელისა და ჩახრუხადის** პოემები. საქართველოში **პირველი სომხური წიგნი ამ სტამბაში 1833 წ. დაიბეჭდა. მანამდე კი სომხური წიგნი თვალით არავის უნახავს.** აგრეთვე, დაიბეჭდა სომხური ლოცვანი და სახელმძღვანელო წიგნები. ამ სტამბამაც მცირე ხანს იარსება და დაიხურა.

სომხური სტამბის ასე ჩქარა დახურვა არ ესიამოვნა სომხის სასულიერო წოდებას და ისე მოახერხა, რომ 1827 წ. სომეხთა **ნერსესიანის სემინარისტან** გახსნეს სტამბა. აქ **კათოლიკოსის ნერსესის** ლოცვები ქართულის ასოებით დაიბეჭდა, ხოლო სიტყვები სომხური იყო. ამით ის უნდოდათ, რომ საქართველოს სომეხებისათვის გაეადვილებინათ სომხური ენის სწავლება. ამით, მართლაც, ისარგებლეს და **საქართველოს სომხებში აღადგინეს სომხური ენა.** ამის შემდეგ ამ სტამბაში ქართული წიგნი აღარაფერი დაბეჭდილა. სტამბის პატრონებმა დიდი ყურადღება მხოლოდ სომხური წიგნების ბეჭდვას მიაქციეს. შემდეგში ეს სტამბაც დაიხურა.

1850 წ. საქართველოს მთავარმართებლის **ვორონცოვის** დროს ქართველებში სრვილი აღიმრა ქართულ ენაზე დროგამომშვებითი გამოცემის შესახებ. ვორონცოვმაც ამას შესაფერი ყურადღება მიაქცია და ნება დართო თვიური ჟურნალის **„ცისკრის“** გამოცემისა. ამ ჟურნალისათვის საკუთარი სტამბაც შეიძინეს. ზოგიერთი სტამბისთვის საჭირო იარაღი თვით **მთავარმართებელმა აჩუქა თავის სტამბიდან.** 1851 წ. **გიორგი ერისთავის** რედაქტორობით კიდევ გამოვიდა ჟურნალი **„ცისკარი“.** ამ ჟურნალმა ორ წელიწადს ვერც კი იარსება და 1854 წლიდან დაიხურა, ხოლო 1855 წლიდან სტამბაც დაიხურა.

1856 წ. ეს სტამბა შეისყიდა **ივ. კერესელიძემ** და განაახლა ჟურნალი **„ცისკარი“** – ის გამოცემა. რადგან კერესელიძეს სტამბაში ფული სრულიად არა ჰქონდა გადახდილი და ვერც დროზე გადაიხადა, გიორგი ერისთავმა სტამბა აუწერა და დაუბეჭდა. „ცისკრის“ გამოცემა ისევ შეწყდა. კერესელიძემ, როგორც იყო, ფული იშოვა და გადაუხადა ვალი ერისთავს. სტამბა ხელახლად ამუშავდა. როგორც სჩანს, ეს სტამბა **ივ. კერესელიძის** ხელში კარგა ხანსა ყოფილა. ხოლო 1873 წ. მიუყიდნია **ექვთიმე ხელაძისათვის.**

ქართული სტამბა საქართველოს გარედ, უცხო ქვეყნებშიაცყო საჭირო. ამას ყურადღება მიაქცია **პეტრე ხარისჭირაშვილმა** და 1850 წ. **ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში,** სადაც სომეხ – კათოლიკეთა მხიტარისტების სტამბაა, ჩამოსახმევინა ასოები და შეუდგა ქართული წიგნების ბეჭდვას. 1870 წ. **პეტრე ხარისჭირაშვილმა** ეს ასოები **კონსტანტინეპოლს** გადაიტანა, მოათავსა თავის აშენებულს მონასტრის მახლობელს სახლში. ამავე პირის მეოხებით ქართული სტამბა

\*ი. ზ. **ჭიჭინაძის** მიერ გამოცემული „ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა“.

მონთობანშიაც გაიხსნა, სადაც ქართველ კათოლიკე ბერების დახმარებით რამდენიმე წიგნი გამოიცა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ქართულის ასოებით დაბეჭდილი წიგნები გამოიცა, აგრეთვე, ლეიპციგს, ვენას, ვენეტიკას და პარიზში.

1832 წ. პარიზში აკადემიკოსმა მარი ბროსემ ქართულ – ფრანგულის ასოებით ლიტოგრაფიაში დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი, რომელსაც ჩვენში „პარიზის ქრონიკას“ უწოდებენ. 1845 წ. ტრეისტში ლიტოგრაფიაშივე დაიბეჭდა ქართული წერის დედანი, რომელიც შეადგინა ტარასი არქიმენდრიტმა.

უკანასკნელ ხანამდე კიდევ მრავალი ახალი სტამბა გაიხსნა საქართველოში, მაგრამ მათ იმდენად ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ, რომ მკითხველისათვის საყურადღებო იყო.

სახ. გაზეთი N942. 1913 წ. გვ. 2 – 3.

### **ვლადიმერ ჯ. ნერეთელი წერილი რედ. მიმართ**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ეს სურათი, სტამბოლელი მღვდლის მამა ანდრია წინამძღვრისშვილისა, რომელიც გარდაიცვალა ამა 1911 – ის წლის 17 თებერვალს ქ. სტამბოლში.

ნიშნად მისი კაცთმოყვარეობისა და საზოგადო შრომის პატივისაცემად, მიიღეთჩემგან ერთი წლის თქვენი „სახალხო გაზეთის“ ნომრების ფული 12 მან. და უგზავნეთ სტამბოლში მისი თანამშრომლობით, პოეტი აკაკი წერეთლის სახელობაზე დაარსებულ ბიბლიოთეკას. ამასთანავე, თქვენი გაზეთის საშუალებით ვსთხოვთ პატივცემულ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოებას, სახსოვრად მამა ანდრიას ქველმოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობისა კეთილ ინებოს და მამა ანდრიას სურათიდაჰკიდოს ხსენებულ ბიბლიოთეკაში ზედ წარწერით: „უკვდავი არის შენი სახელი, მამაო ანდრია“.

„სახალხო გაზეთი“, N 256, 1911 წელი.

### **ვლადიმერ ჯ. ნერეთელი ანდრია წინამძღვრისშვილი (ნეკროლოგის მაგიერ)**

„სახალხო გაზეთი“ – ს N 256 – ში წავიკითხე ნეკროლოგი მამა ანდრია წინამძღვრისშვილის, რომელიცგარდაცვლილა წარსულ თვის თებერვლის 17 ს. ქ. სტამბოლში. მინდა ორიოდ სიტყვით გავაცნო პატივცემულ ქართველ საზოგადოებას მისი მოძმის, ცამეტი წლის ძუძუ მოწყვეტილის შვილის, მამა ანდრიას, ვინაობა.

მამა ანდრია იყო კეთილი გულის, გამბედავი, მხიარული და ცოცხალი კაცი; სტამბოლისა და საფრანგეთის საზოგადოება მას კარგად იცნობდა. წერა – კითხვა და ლაპარაკი იცოდა ექვს ენაზე. სტამბოლში რომ მივედი, მაშინვე მამა ანდრია გავიცანი, რომელიც ყოველივე თავის ღონისძიებით მპატრონობდა, როგორც უცხო კაცსა და მისი სამშობლოს შვილს; უყვარდა, როდესაც ხშირად დავდიოდი იმასთან; მაშინ ბევრს ვმუსაიფობდით ხოლმე ჩვენი ქვეყნის ჭირვარამზე.

უცვლელად ჰქონდა შენახული თავის სამშობლო ენა, წერა – კითხვა და გამოთქმა; რამდენჯერაც უნდა მივსულიყავი, მამა ანდრიას უსაქმოდ ვერა ნახავდი, იყო ყოველთვის წიგნებში

გართული, უეჭველად ან სწერდა, ან კითხულობდა, ან **ხატავდა**. მამა ანდრია უხვად ეხმარებოდა სამშობლოდან გარდახვეწილ, ბედისაგან დაჩაგრულთ, – ზოგს სიტყვით, ზოგს პურ – მარილით, ზოგს ფულით. მარად მზად იყო წარბეჭეულად გაჭირვებულთა დახმარებაში; და აი, ამიტომაც მივაშურებდით ხოლმე საჭიროების დროს ჩვენს ანდრიას. ისიც, როგორც კეთილი მამა, ჩვეულებრივ მიგვიღებდა და გვისრულებდა ყოველ ჩვენს თხოვნას.

1908 წელში, როდესაც მთელმა საქართველომ და სხვა ქვეყნებმაც იუბილური გარდაიხადეს ჩვენი უკვდავი პოეტის **აკაკი წერეთლისა**, სტამბოლის ქართველებმაც ხმა მივეცით ჩვენს სამშობლოს და დავაარსეთ დიდებულ პოეტის სახელობაზე **ქართული ბიბლიოთეკა**. ამ დროს დიდ შრომასა და დახმარებას იღებდა თავის თავზე განსვენებული მამა ანდრია. სურდა, რომ საქართველოს ისტორია, ძველი და ახალი, ყველა საქართველოს გამოჩენილ მწერლებთან ნაშრომი და მათი სურათები, გვექონოდა ბიბლიოთეკაში.

და აი, კიდევ მოხერხდა ეს; დღეს სტამბოლში ქართული ბიბლიოთეკა არსებობს და იარსებებს შემდეგშიაც, თუ, რასაკვირველია, მამა ანდრიასთანა უანგარო მოღვაწეები არ დაგველევა.

ამავე დროს გვექონდა დაარსებული **გაჭირვებულთა დამხმარებელი კასა**, თვითეულს წევრს წლიური გარდასახადი შეგვექონდა ორ – ორი მეჯიდი (ე.ი. 3 მ. 28 კ.). კასის შესახებ ახლა აღარაფერი ცნობა არა მაქვს, რადგანაც სტამბოლში აღარ ვცხოვრობ.

როცა სტამბოლიდან წამოვედი სამშობლოში, ბიბლიოთეკა და კასა მამა ანდრიას ჩავაბარეთ; მართვა – გამგეობა ყოველივესი, ბ.ი.დ. **სიდავას**. სასურველია, სტამბოლის პატივცემული ქართველობა გვაცნობებდეს, თუ რა მდგომარეობაში დარჩა და არის იქაური საქმეები მამა ანდრიას გარდაცვალების შემდეგ.

საუკუნოდ იყოს ხსენებაშენი, საქართველოს ღირსეულო შვილო!..

სახალხო გაზეთი, 1911 წ. N268. გვ. 3.

## **ფარსმან (უცნობი ფსევდონიმი) ნეკროლოგი**

### **† მამა ანდრია წინამძღვრიშვილი**

სტამბოლელ ქართველსაზოგადოებას ერთი მეტად სასარგებლო წევრი და კეთილისმყოფელი ადამიანი დააკლდა: 17 თებერვალს გარდაიცვალა ყველასაგან პატივცემული ქართველი კათოლიკე მღვდელი, ანდრია წინამძღვრიშვილი. თუ რამ თქმულა და გაკეთებულა ჩვენთვის აქ ამ ხანებში, განსვენებული ამაში დიდი მონატრე და მონაწილე ყოფილა. სამშობლოს ვერ იცნობდა, მაგრამ მისით სულდგმულობდა და მასთან იყო დაკავშირებული მთელის არსებით, დრო და სიშორე უფრო უცხოველებდა მისდამისიყვარულს და ნატრობდა: **ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ საქართველო არ ვნახავო**.

განსვენებული ახალციხეში დაბადებულა; დედმამას ცამეტი წლისა მოუყვანია აქ და თავის მოწაფედ მიუღია ცნობილ აზნაპ **პეტრე ხარისჭირაშვილს** – ქართველ კათოლიკეთა მონასტრის დამაარსებელს სტამბოლში. სწავლა დაუმთავრებია **საფრანგეთში**. ის მძიმე შრომა და გარჯა, რომელიცა სჭირია ყოველ ახლად დაწყებულ საქმეს, თავის მოძღვართან პატრი ანდრიამაც იტვირთა. ოთხმოციან წლებში აზნაპ პეტრე ხარისჭირაშვილის აღზრდილნი რომ შესდგომიან სასარგებლო წიგნების ბეჭდვას ქართველ კათოლიკეებში გასავრცელებლად, მამა ანდრიაც ახალ-



გაზრდა ღონით ამოსდგომია გვერდში და რამდენიმე სახელმძღვანელო თავის ხელით დაუწერია და დაუბეჭდია. მისი მეცადინეობით შექმნილი ძვირფასი ქართული სტამბა დღეს მონასტერში ინახება. იმავე ხანებში, პაპის ნებართვით, სტამბოლში დაუარსებიათ ქართული კათოლიკური ეკლესია და **ანდრია წინამძღვრიშვილს** თავის სურვილით ქართულ წესზე მიუღია **კათოლიკე მღვდელობა**. ბევრგან ჰბარებია საზოგადო საქმეები და სადაც ყოფილა, ყველგან სიყვარული და თვისი კეთილი ხსოვნა დაუტოვებია. მისი გულის სიკეთე და დაფარული ცრემლი უწყია, აგრეთვე, ამ სტრიქონების დამწერმა და იმ პირთ, რომელთაც სამშობლოს გარეთ ყოფნა არგუნა დროებამ და რაიმე ბედით მას შეჰხვედრიან. ამ ბოლო ჟამს იგი იყო სკოლის უფროსად და მონასტრის მდივნად. ძველი საქმეები და მთელი მიწერ – მოწერ, რაც კი ჰქონიათ ერთმანეთში ან გარეშეებთან, დაარსებიდან მონასტრისა დღემდე, მის ხელში იყო და ყველა ქაღალდებს ცალკე დავთარში სწერდა, რომ არა დაკარგულიყო რა; ამ გვარად შვიდი დიდი დავთარი შესდგა და ეს დამთავრებული ძვირფასი განძი დაუტოვა მომავალს. მასვე **დარჩა თავისი შედგენილი ფრანგულ – ქართული ლექსიკონი ორ დიდ წიგნად**. ბევრს ნატრობდა მის გასწორება – დაბეჭდვას, მაგრამ აქამდე შემთხვევა და საშუალება არ მიეცა და შემდეგ რასაც იმედოვნებდა, სიკვდილმა არ დააცალა.

ეს პატიოსანი და მშრომელი ადამიანი, ჯერ ისევ არც ეგრე ხნიერი, 53 წლისა, ბევრისაგან გულწრფელად დატირებული, 19 თებერვალს მივაბარეთ მიწას ქართველებმა. ამ დღეს დუქნები დაკეტეს და კუბო გვირგვინით შეამკეს ქართულის წარწერით: „**სამშობლოს ერთგულ შვილს ძვირფას მამა ანდრეას**“. დიდძალ ხალხის გარდა, დაესწრნენ საფრანგეთის ელჩისა და კონსულის წარმომადგენელნი.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, დაუზარელო მუშაკო!

სახალხო გაზეთი. N256. 1911 წ. გვ. 2.

## **ფარსმანი სტამბოლის ქართველობა**

ახალი წელიწადი ძველი სტილით და წმინდა **ნინობა** ახალი სტილით ერთად იდღესასწაულა სტამბოლელმა ქართველობამ, <sup>1/14</sup> იანვარს ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც წირვა – ლოცვა მუდამ ლათინურად სრულდება, ამ დღეს ქართულად სწირეს. მწირველი იყო ქართულ წესზე ნაკურთხი კათოლიკე მღვდელი **მამა ანდრია წინამძღვრიშვილი**. იგალობა **კონსტანტინე საფაროვის** ლოტბარობითხორომ, ახლად შემდგარმა რომიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებისა და აქ მოსწავლე ქართველ შეგირდებისაგან. ტრაპეზის თავს იყო აღმართული წი. **ნინოს დიდი ხატი** მათგანვე ყვავილებით მორთულიხედაწერით: „წმინდაო ნინა, ივერიის მოციქულო, ევედრე ჩვენთვის“. შევნიერმა გალობამ, ოთხ ხმაზე შეწყობილმა, და წირვამ ცრემლით ატირა ხალხი, მოკლებული ამგვარ ნუგეშს შინ და გარეთ. მართლა და ბევრი სიტკბო – სიმწარის ფიქრები მოადგებოდა ადამიანს, როცა ჟამთა სიგძეში რაღაც მანქანებით პირშეკრულნი და სამშობლოში თავიანთ გვარტომობაზე არ ცნობილნი ქართველნი კათოლიკენი **მშობლიურ ენაზე წარმართავდნენ წმ. ნინოს სავედრებლად** და მერე ყველანი ერთმანეთს უზიარებდნენ ამის მიერ გულის მოლხინებისა. ნამდვილი დღესასწაული იყო. გარეშენი ჰკვირობდნენ ქართულ წირვის შევნიერებას. წესი არაფრით არ არი შეცვლილი, იგივეა, რაც ქართულ **მართლმადიდებელ ეკლესიაში**, ჩართულიამხოლოდ მოკლე მოხსენება პაპისა.

წირვაზე იქადაგა ახალგაზრდა მღვდელმა მამა პიომ, ერთმა იმ რვათაგანმა, რომელნიც გაუწრთვნია მამულის სიყვარულში პატრი **ალფონსს**, **ძველად საყვარელიძეს** და შემდეგ **ხითაროვად** გადარქმეულს.

ამონაკითხმა დიდი შთაბეჭდილება იქონია. ამნაირ საბუთის შემდეგ არამც თუ ყველა ჩვენ ქართველთაგანმა, არამედ თვით გარეშებმაც უნდა **დაიდუმონ** პირი და აღარა თქვან, რომ ქართველი კათოლიკობა არ არსებულა და რიგი მისი ცნობილი არ არი რომისაგან. ან კი როგორ შეიძლება ამის თქმა, ვინაიდგან დღევანდელი პოლიტიკა **რომის პაპისა** აშკარა და ცხადი ეს არის, რომ **აღმოსავლეთის ქრისტიანებს, მასთან შეერთებულებს, ხელუხლებლად უტოვებს თავიანთ გვაროვნულ ტიპიკონს, ესე იგი – ენასა და წესს ეკლესიაში**, და პირიქით გალათინება მათი, ესე იგი, ამ წესის მოშლა ვისგანმე არი გამოცხადებულცი შეჩვენების ქვეშ. ამნაირად არსებობს **ბერძნის კათოლიკობა, არაბ – კათოლიკობა, რუს – კათოლიკობა**, – დაარსდა ახლად რომში, და ეგრეთვე **სომეხ – კათოლიკობა**, რომელშიაც ჩაეწერნენ ჩვენი ძმები და სომხური ტიპიკონი მიაჩრეს ხელში. მაშასადამე თუ კი მოიპოვება სამი კაცი (რაგინდ ცოტანი იყვნენ), კათოლიკე, თავის თავისა ქართველად ამღიარებელი, მათ როგორ მოუშლიან თავიანთ გვაროვნულ წესს? და აკი დაუარსებიათ კიდეც მამა პეტრეს დროს **ქართველთ საგვარეულო მრევლი სტამბოლში**. მაგრამ საქმე რომისაგან ქართველ – კათოლიკობის ცნობაში თუ არცნობაში არ არის, არამედ თავის აზრის გატანაში, და ამიტომ საქმის ჩასაშლელად მამა **ბენედიქტემ** მთხოვნელთ სხვა სიძნელენი აუჩინა.

წირვა დარჩა, მაგრამ წირვის ნანუგეშევი დარჩა, მაგრამ წირვის შემდეგ კი ერთმა გარემოებამ მეტად დაამწუხრა და დღესასწაულს ფერი დაუკარგა. რადგან ამ ამბავს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ გადმომაქვს გაზეთის ფურცლებზე.

აქაურ ქართველ საზოგადოებას არა აქვს ჯერ ისეთი ბინა, რომ საბჭობლად იქ იკრიბებოდნენ და ამიტომ, როცა შემთხვევა ეძლეოდათ, სარგებლობდნენ მონასტრის თავისუფალ დარბაზით. ამ დღესაც იქ შეიკრიბა, რომ მოესმინა წლიური ანგარიში და სათქმელი თქმულიყო. მაგრამ მონასტრის უფროსმა **მამა ბენედიქტემ** ლაპარაკი დაუშალა იმ მოსაზრებით, რომ მარტო წევრები უნდა შეყრილიყავით და აქ კი პატარებიც არიანო. საზოგადოების თავმჯდომარემ **ბ. სიდავამ** მიუგო, რომ ვინც სტამბოლში ქართველია, ყველა საზოგადოების წევრია და მაშასადამე დასწრებაც შეუძლიან და არც ყოველთვის შეგვიძლიან შეკრება, რადგან ერთხელ უკვე დაგვითხოვეთო. ამნაირ მოკიდებით შარშანაც ჩაგვეშალა მშვენიერი დაწყებულება, – ყოველთვიური კრება, რომელზედაც ჯერ პატრი სტეფანეს ქადაგებას ისმენდნენ ერთად **ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები** და მერე იმართებოდა საქმის ბჭობა. მაგრამ კარის გაღება, თუ არ გაღება მასპინძლის ნებაა და არც ამაზეა ახლა ლაპარაკი.

ახალწელიწად – ნინოობა მამა ბენედიქტემ იქ შეკრებილთ იმით მიულოცა, რომ ეპისკოპოსმა მათი თხოვნა არ შეიწყნარა და ნურც ელიან შეწყნარებას. აი ეს იყო, რომ ხალხი დაამწუხრა; საქმე ამნაირია:

გავლილ წელს აქაურმა კათოლიკე ეპისკოპოსმა დაშალა 1882 წლიდან **ლეონ XIII პაპის** ნებართვით სტამბოლში არსებული ქართულ წესის საერო ეკლესია და მრევლი, ვინ რა უბანში სცხოვრობს, იქაურ ლათინთა წესის ეკლესიებს მიაწერა. ქართველებმა ეს გადაწყვეტილება სრულიად იუარეს და წარსულ ენკენისთვეში თხოვნა შეიტანეს ეპისკოპოსთან, რომ ჩვენ აღმოსავლეთ – ქართული ტიპიკონის წესის – კათოლიკენი ვართ, სხვა ტიპიკონი არ გვინდა და ისევ ჩვენი აღვადგინოთო. უნდა შევნიშნოთ, რომ პაპისაგან აკრძალული ყოფილა გალათინება იმ კათოლიკებისა, რომელნიც აღმოსავლეთ ტიპიკონზე დგანან, ესე იგი, საგვარო ეკლესიურ წესს

მისდევდნენ. ამიტომ ქართველთა სამართლიანი თხოვნა სულ ადვილად უნდა შესრულებულიყო, მით უმეტეს, რომ სამრევლო ეკლესიაც აქვს თავიანთი, დედა – მონასტერზე დამოკიდებული, რომელშიც წირვა – ლოცვაც ყოფილა, მოუნათლიათ კიდეც და ჯვარიც დაუწერიათ ქართულ წესზე. მაგრამ აქამდე არავითარი პასუხი არ იყო. ამ დღეს კი იმ ხალხს, რომელმაც თხოვნაზე საკუთარი ხელი მოაწერა, მონასტრის უფროსმა პატრი ბენედიქტემ გამოუცხადა: ეპისკოპოსმა თავის კაცი ჩამოატარა, საქმე სუსტად ჩათვალა და უარი თქვაო. ამნაირ ახსნით და განმარტებით საზოგადოება გაშტერებული დარჩა. ყველაზე მეტად ის დაუმძიმდათ, რომ თვით მამა ბენედიქტე აღმოჩნდა მიძღვნილი და მომხრე უარის თქმისა.

დამღონებელი საცქერავი იყო, როცა ყველა იმას ამბობდა, რომ ჩვენ ჩვენს ენაზე გვინდა წირვა – ლოცვაო და პატრი ბენედიქტე კი იმედს უწელებდა, – ქართული ტიპიკონი პაპისაგან ცნობილი არ არისო. სწორედ ისე, როგორც ჩვენი მოავენი ნატრობენ და სწერენ. თანაც დაქადებით იმეორებდნენ, რომ ამის დამამტკიცებელი ბრძანება პაპისა ხელთა მაქვსო. მაგრამ რომ მართალი არავის ჰგონებოდა ბრალდება ქართულ ტიპიკონისა, მისმა თანამსახურებმა იქვე გაუბათილეს საბუთი, რადგან მართლა ყოფილა ოდესმე რაღაც უცნობი დოკუმენტი, მაგრამ მას შემდეგ კიდეც უკუერთხებით ქართველი მღვდლები, ხოლო ახალგაზრდა ხელქვეითებმა გადაუშალეს თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ და წაკითხულ იქმნა შემდეგი ადგილი, გვერდი 487:

„რადგან მღვდელს პავლე შაჰყულიანს არ აუსრულებია რომიდან მოსული მოწერილობა, რომ ორი ყმაწვილი ქართველი ტომისა გაეგზავნა რომში აღსაზრდელად, პროპაგანდის ხარჯით, რათა შემდეგში ამათ მოუარონ ახალციხის ქართველ – კათოლიკებს, პროპაგანდა ხელმეორედ სწერს:

„ახალციხის პროვიქარს, ბატონ პავლე შაჰყულიანს, 6 აგვისტოს, 1803“.

„თუმცა ამბობთ, რომ საჭირო აღარ არის ქართველი მღვდლები ბერძნის ტიპიკონისა, აღარც ახალციხეში და აღარც ველში, სადაც ის ცოტა დარჩენილი ქართველი კათოლიკეები შეეჩვივნენ (სომხურ წირვასო), გარნა წმინდა კრებას ეგ (რასაც პირველად სწერდნენ) დიდად სასარგებლოდ მიაჩნია. შესახებ ველისა უფრო შესაფერისი იქნება იქ მყოფ ქართველ კათოლიკებს, რაგინდ ცოტანი იყვნენ, ჰყავდეთ მღვდელი, რომელმა საიდუმლოები და საეკლესიო წესები შეუსრულოს მათ თავიანთ საკუთარ ტიპიკონისამებრ... თუმცა საჭიროებამ იძულებულ – ჰყო მიემართათ სომხურ ტიპიკონის მღვდლებისათვის... რადგან სხვა გზა არა ჰქონიათ“, და სხვა ბოლომდე.

რა არის აქ მისი შორეული მიზანი, არ ვიცი, მაგრამ რა საბუთი აქვს განსამართლებლად თავის მოქმედებისა, ეს კი თითონვე სათემოდ აღიარა: „ეპისკოპოსს აგრე უნდა: მიბძანა და ავასრულე; ჩვენ გვარის წარმატებაზედ კი არ უნდა ვზრუნავდეთ, არამედ სულის ცხონებაზე; **საქართველო რომ აშენდეს და მე კი ჩემი დაუმორჩილებლობით სული წავიწყმიდო, რა სარგებლობა მექნებაო**“. წინაშე იმ საზოგადოებისა, რომელმა ის იყო ინუგეშა თავისი ობოლი გული ქართულ წირვა – გალობის გაგონებით და იმ ახალგაზრდებთან, რომელთაც თავიანთ სიკვდილს – სიცოცხლეს სამშობლოსთვის უნდათ, ამ სიტყვებმა უდაბნოში გაიარეს და ერთი გულიც არ გაჰყოლია მათ. ალბად, მამა ბენედიქტე თითონვე მიხვდა თავის ამნაირ განმარტოვებას, რომ იმ დღიდან მონასტრის ახალგაზრდობას ჟამნობის კითხვა მონასტერში ქართულად დააწყობინა. მართლა და უმოძრაო მორალის ქადაგებას, რომელი უჩვენოთაც უხვი წყალობით შემოაქვთ ჩვენში, რომ უკეთესად დავიძინოთ, ათასჯერ ემჯობინებოდა ახსნა და ჩაეგონებინა იქ შეკრებილ ხალხისთვის, თუ რისთვის მოვიდა დამაარსებელი მონასტრისა – მამა პეტრე ხარისჭირაშვილი კონსტანტინეპოლში და აქედან ცრემლით ავედრებდა რომის პაპს ქართველ კათოლიკებსა?

თხოვნის მიმცემნი უკმაყოფილონი დაიშალნენ, რა გზას დაადგებიან, ჯერ არ ვიცი.

სტამბოლის ქართველ საზოგადოების მოღვაწეობა თან და თან ფეხს იმაგრებს და წინ მიდის. აქ არსებულ დამხმარე კასას წარსულ საანგარიშო წელს შემოსავალი 696 პიასტრი ჰქონდა, გასავალი 792 პიასტრი. ზედმეტი ხარჯი წავიდა სამშობლოდან მიღებულ წიგნების დახსნა გამოტანაზე და ხელმოკლე გაჭირვებულ პირთა შემწეობაზე.

იმავე წელს მოგვივიდა ქართველ საზოგადოებაში შეგროვილი წიგნების ერთი ყუთი: დედა ენები, ქართული სახელმძღვანელოები ზოგი, ჯეჯილ – ნაკადულები, მოამბე – კრებული და სხვა საკითხავი წიგნები და წიგნაკები, რომელთა შემომწირველთ და გამომგზავნთ დიდ მადლობას ვუძღვით.

**დედა – ენები რიგდება აქაურ მუსულმან ქართველებში**, მათის თხოვნისამებრ, და აგრედვე, კათოლიკე ბავშვებში; ორგანვე ნელ – ნელა ეჩვევიან კითხვას. მაჰმადიან ქართველებს ეს აბრკოლებს, რომ ჩვენგან შორს და გაფანტულად ცხოვრობენ და უსახსრობით ვერც ბინა გაგვიჩენია. **ჯეჯილ – ნაკადულები**, სახელმძღვანელოები და სხვა საბავშვო წიგნები გარდაეცა მონასტრის შკოლის საბავშვო ბიბლიოთეკის შესადგენად, ხოლო დანარჩენი წიგნები მოხმარებულ იქნება საჭიროებისა და დანიშნულებისამებრ. შკოლაში ამ ჟამად ათი ქართველი ბავშვი სწავლობს მონასტრის ხარჯზე. გაისს კიდევ მოემატება. მათი (ესენი სულ რვა კაცია) აღმზადე – მასწავლებელნი დღეიდან არიან სწავლიდან მონასტერში დაბრუნებულნი ახალგაზრდები, თავიანთ მხრივ სამშობლოს მოყვარეობაში გაწრთენილი **პატრი ალფონს ხითაროვისაგან** (ძველად საყვარელიძე), აწ გარდაცვალებულისა. ამათ განზრახვა აქვთ მთელი სწავლა ქართულად დაადგინონ, როცა საამისოდ მოეწყობიან, მანამდე, კი, აი, საცდელი პროგრამა ქართული ენისა და მის გარემომოსა, 4 წლად გარიგებული, შედგენილი **შალვა ვარდიძისაგან**. სია 4 წლის განმავლობაში ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლისათვის. ქართველ ყმაწვილს სწავლა შეიძლება მიეცეს შემდეგ რიგზე:

თუ სწავლა ფრანგულ ენაზეა, მაშინ ქართულისთვის კმარა, რომ პირველ წელს კარგად ისწავლონ:

ა) დედა – ენა (წიგ. 1) ბ) წერა: გ) კიხთვა: მასწავლებელი მოაწყობს – საჭიროების დაგვარ. დ) ზეპირი: (რავდენიც შეიძლება ბევრი – პატრიოტული, ხალხური).

განყოფილება მეორე  
წელიწადი პირველი  
სემესტრი პირველი.

ა) დედა – ენა: (წიგნი 2. გვ. 3 – 110. გამოც. 1907). ბ) გრამატიკა (დაწყებითი): გ) კითხვა: (კუწულა...) ზეპირი:

სემესტრი მეორე:

ა) დედა – ენა: (წიგნი 2. გვ.110 – ბოლომდინ... ბ) გრამატ. გ) ზეპირი: დ) კითხვა: (კუნწულა კონა).

სემესტრი მესამე

ა) გრამატიკა: ბ) ბუნების – კარი: (ნაწ. I (ზეპირი და კითხვა: (კონა.. კაცია ადამიანი... და სხვა).

წელიწადი მეორე

სემესტრი პირველი

ა) გრამატიკა: (ჯანაშვილი, ნაწ. 1) – ხუცური. ბ) ბუნების – კარი: (ნაწ. II) ზეპირი: გ) ისტორია (ქვარიანისა).

სემესტრი მეორე.

ა) გრამატიკა: (ჯანაშვილი, ნაწ. 2) ბ) გეოგრაფია: გ) ისტორია: (ქვარიანისა...) ზეპირი: (ილია).

სემესტრი მესამე.

ა) სიტყვიერების თეორია: (კირონისა და ყიფშიძისა). ბ) გრამატიკა: გ) ქარ. ხელოვნების ისტორია: დ) ზეპირი: (აკაკი).

წელიწადი მესამე

სემესტრი პირველი.

ა) სიტყვიერების ისტორია – (კ. ხახანაშვილისა. ნაწ. 2) ბ) საქ. ისტორია ) ბაქრაძისა... ჯანაშვილისა) გ. გრამატიკა დ) ზეპირი წარმოთქმა: (ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, ნიკ. ბარათაშვილი).

სემესტრი მეორე.

ა) სიტყვიერების ისტორია: (ა. ხახანაშვილისა ნაწ. 2) ბ) საქ. ისტორია (ბაქრაძისა და ჯანაშვილისა) გ) ზეპირი: (ვაჟა – ფშაველა).

სემესტრი მესამე

ა) სიტყვიერების ისტორია: (ა. ხახანაშვილისა ნაწ. I. ბ) ისტორია: (დასასრული). გ) ზეპირი: ზეპირი: (დავით გურამიშვილი. – არჩილი. – თბილელი).

წელიწადი მეოთხე

სემესტრი პირველი.

ა) სიტყვიერების ისტორია; (ა. ხახანაშვილისა ნაწ. 1.) ბ) საეკლესიო ისტორია: (ჯავახიშვილისა და თამარატისა). გ) ზეპირი: (შავთელი – ჩახრუხამე. – ვეფხის – ტყაოსანი).

სემესტრი მეორე.

ა) სიტყვიერების ისტორია; (ა. ხახანაშვილისა ნაწ. 1 – 2). ბ) საეკლესიო ისტორია: (ჯავახიშვილისა და თამარატისა. გ) ზეპირი: ვეფხის ტყაოსანი).

სემესტრი მესამე.

ა) პალეოგრაფია: ბ) ვეფხის – ტყაოსანი: გ) ქილილა და მანა:

თეზა (თემა)

ა) საქართველოს ისტორიის რომელიმე ნაწილი. ბ) საქ. ეკლესიის ისტორია. გ) ქართველთა დასაწყისი: (ქვეყანა, გვარი, ენა), დ) კრიტიკული მიმოხილვა ე) განქიქება რომელიმე ავტორისა.

გარდა ამისა, პირველ მომზადებისათვის დანიშნულია ცალკე ერთი წელიწადი, რომელიც უკვე გავლილი აქვთ და ეხლა პირველსა და მეორე კურსს გადიან ამ პროგრამით. მაგრამ რადგან სახელმძღვანელოები ყველა არა აქვთ, ამიტომ იძულებულნი არიან ცნობები ზეპირად აძლიონ. დამავალეს და, რადგან დიდი მისწრაფება აქვთ ეს პროგრამა და მეტიც განახორციელონ, მეცა ვთხოვ ამ ნაწილში აღნიშნულ ავტორებს, ანუ ვისმე კეთილ – მსურველთ, შემოსწირონ სახელმძღვანელოები, გზის ფულის აქ გადახდით, ათ – ათი ცალი, შემდეგის საგნებისა:

**გრამატიკა, 2. ისტორია საქართველოსი, 3. გეოგრაფია სამშობლოსი, 4. სიტყვიერების თეორია.**

1. ხოლო მონასტრისთვის გამოიგზავნოს, ვისგანაც შეიძლება, ფასით, რომელიც აქ იქნება გადახდილი, შემდეგი წიგნები:

1. ტიპიკონის წიგნი ქართული.

2. ახლად გამოსული წირვის საგალობელი ოთხ ხმოვანი ფალიაშვილისა და აგრეთვე, სხვა ავტორებისა ამავე ხმოვანი, თუ იპოება გასასყიდად, წირვისა და ცისკარისა, თითო ცალი.

3. აკაკის საიუბილეო კრებული ორი ცალი.

ამასთანავე, მონასტრის ძმთაგანი **მამა ანდრია წინამძღვრიშვილი** მავალეებს, გამოვაცხადო საყურადღებოდ წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, რომ მას **შედგენილი აქვს ლექსიკონი ფრანგულ – ქართული ორ დიდ წიგნად**, და თუ ინებებს საზოგადოება გამოცემას, აცნობოს, რა პირობით მიიღებს მის ნაშრომს დასაბეჭდათ.

ადრესი წიგნების გამოსაგზავნი და ყოველნაირ მისამართი: კონსტანტინეპოლი პერა, პაპას – ქებრუ, ქართველი მამების შკოლა. მამა ანდრიას.

სახალხო გაზეთი, 1911 წ. N 232, გვ. 2 – 3.

### **უავტორო წერილი სტამბოლელი ქართველები**

როგორც ვიცით, სტამბოლელმა ქართველებმა წიგნთ – საცავი დაარსეს. სამკითხველოს წიგნებს გარდა, მისდის ყველა ქართული ჟურნალ – გაზეთი. სტამბოლელი ქართველობა აქამდე უქმე – დღეებში სავაჭრო დაწესებულებებს არა ჰკეტავდა თურმე. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, მოულაპარაკნიათ და დაუდგენიათ, უქმე დღეებში სავაჭრო სახლები დაჰკეტონ და თავისუფალი დრო გონიერ გასართობებს და **სამკითხველოში მეცადინეობას მოანდომონ**. ვინც არ შეასრულებს ამას, სამკითხველოს სასარგებლოდ 5 ლირას გადაიხდის. სტამბოლელ ქართველთ განუზრახავთ, აგრეთვე, **ქართული კლუბის დაარსება**, რომ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათვე გადაუწყვეტიათ **სავაჭრო სახლის** გაღება. ხელის მოწერა გაუმართავთ და **სავაჭრო სახლის და დამხმარებელ კასის** გასამართავად შეუკრებიან 8500 მანეთამდე. ამ ერთი თვის წინად სტამბოლელ ქართველთ სდომებიათ აკაკის საიუბილეო **დღესასწაულის გამართვა, მაგრამ კონტრ – რევოლუციონურ მოძრაობისა გამო დღესასწაული სხვა დროსათვის გადაუდვიათ**.

დროება, 1909 წ. N 99.

### **ზაქარია ქიქინაძე ქართველ – კათოლიკეთა წარმომადგენელი მთარგმნელ – მოღვაწე მოძღვარი ივანე მამულაშვილი**

1830 წლებში ქართველ კათოლიკეთა შორის ცხადად გამოიკვია ის ჭეშმარიტებით სავსე დედა – აზრი, რომ იმათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა ქართულს ენაზედ დაბეჭდილ ლოცვანის ანუ სჯულის სხვა რამ სახმარი წიგნები. დაბეჭდილი წიგნები იმ დრომდისაც ჰქონდათ, მაგრამ ის წიგნები **რომში** იყო დასტამბული XVII და XVIII საუკუნეებში, საქართველოში – კი, ქართველ კათოლიკეთათვის არაფერი დაბეჭდილა. **ტფილისში** ქართველ კათოლიკეთა ლოცვანი პირველად 1829 წ. დაიბეჭდა **ს. დოდაშვილის** სტამბაში, სადაც მაშინ იმ დროის ქართული ჟურნალ – გაზეთებიც იბეჭდებოდნენ.

მას შემდეგ სამოცის წლის განმავლობაში მხოლოდ ხუთჯერ იქმნა ლოცვის წიგნები ადბეჭდილი, ერთი 1864 წ. ქ. ტფილისს, ვინმე **მაისურაძესაგან** და 1873 წ. პატივემულმა პატრმა **ალფონს სითარაშვილმა** ლათინურიდგან ნათარგმნი „**ვნების კვირა**“ დასტამბა. 1830 წლის შემდეგიდგან მრავალ კათოლიკეთა მოძღვართ აღიარეს, რომ იმათთვის საჭირო იყო **მრევლთან ქართულს ენაზედ საუბარი, ქართულის წიგნების ხმარება**, ასეთ მოძღვართა რიცხვს უმეტეს ნაწილად ქართველის გვარისანი ეკუთვნოდნენ და ისეთნიცერივნენ, რომელნიც ქართველნი იყვნენ გვარ –

ტომობით, მაგრამ სომხობდნენ. სომხის ტიბიკონზედ იდგნენ და ხალხსაც სომხურის ენით უქადაგებდნენ; ასმენდნენ, რომ თქვენი ენა სომხური ენა არისო. კათოლიკეთა გასომხებისა ამათ დიდი წვლილი ჰქონდათ,, მაგრამ ამ წადილს ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ზოგიერთნი ქართველის გვარის კათოლიკეთა მოძღვარნი.

1840 წლებში სომეხ – კათოლიკეთა ტიბიკონზედ მდგარ მღვდლებმა დაჰკმეს საქვეყნოდ ეკლესიებში ის კათოლიკეები, რომელნიც თავიანთ თავს ქართველად სცნობდნენ. ასეთ წყევლა – კრულვის დიდი მორიდება ჰქონდათ ქართველ გვარის კათოლიკებს, ამათ ემინოდათ ღვთისა და სარწმუნოებისა, სარწმუნოების შიშით თავიანთ თავს სომეხ – კათოლიკედ აღიარებდნენ, სომხის შთამომავლად.

ასეთ დროის ქართველ კათოლიკეთა წინაშე იყვნენ ისეთნი მოძღვარნი და მხნე კაცნი, რომელნიც კათოლიკეთაგან ქართულის ენის და მწიგნობრიობის შესწავლის საქმეს მფარველობდნენ. ამათს მოქმედებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მათში გამართული იყო ცხარე ბაასი და კამათი. **ერთნი სრულიად უარჰყოფდნენ ქართველ კათოლიკეების გვაროვნებას, ქართველობას,** მეორენი ამბობდნენ, რომ იქნება, მართლა, ჩვენ სომხის გვარის კათოლიკენი ვართ, ჩვენი ენაც სომხური ენა იყოს, მაგრამ რადგანაც დღეს ჩვენი მრევლი თავისს დედა – ენად ქართულს ჰხმარობს, ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ეს ენაც შევასწავლოთ ხალხს, ამ ენაზედაც ვბეჭდოთ წიგნები, რომ მისის მეოხებით მრევლმა უფრო კარგად შეიგნოს თავის მოვალეობა, თავისი სარწმუნოებაო.

ასეთმა ბრძნულმა ქადაგებამ გაიტაცა მრავალი საპატოიო მოძღვარი ქართველ – კათოლიკენი, და სწორედ ამანვე გაამხნევა და აშრომა მოძღვარი **ივანე მამულაშვილი**, რომელმაც კალამი აიღო ხელში, დააწყო ქართველთა გვარისა და ენის სასარგებლოდ შრომა, სხვადასხვა ენიდგან ქართულს ენაზედ სთარგმნა მრავალი წიგნი, რომელთაგანიც ზოგი დასტამბულ იქმნა ევროპაში.

მოძღვარი ივანე მამულაშვილი შთამომავლობით ქართველია, სამცხელი, მესხი. მთლად მამულაშვილები, სადაც კი სცხოვრობენ, ყველანი ქართველ ტომს ეკუთვნიან. წინად ესენი **ერუშეთისკენ (არდაგანის ოლქი)** სცხოვრობდნენ, ქართველთა გათათრების დროს ერუშეთიდან **ჯავახეთში** გადასახლდნენ, მერე ჯავახეთის კირთების დროს **გურიაში** გადასახლდნენ, **იმერეთსა და ქართლში**. გურიაში მთელი სოფელი სცხოვრობს ამ გვარისა, ქართლში სახლობენ: სოფ. **მეტეხსა, ბიწმენდსა და მცხეთაშიაც** არიან.

ჟამთა ვითარების მეოხებით ამ გვარის წევრთაგანნი ზოგნი გრიგორიანობას დაკავშირებიან, ზოგნი კათოლიკობას, დაუკარგავთ თავიანთი გვარ – ტომობა, გადასხვაფერებულან და დღეს იგინი **მამულოვებად** იწოდებიან. ამას აღუდგა წინ მხნე მოძღვარი მამულაშვილი და მან ხმამაღლა დაიწყო ქადაგება. პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ ქართველის გვარის კათოლიკენი ვართ და არა სომხისაო, თვით გრიგორიანთ სარწმუნოების მამულოვებიც გვარ – ტომობით ქართველობას ეკუთვნიანო.

თითონ მოძღვარი მამულაშვილი სომხურს ტიბიკონზედ იდგა და იგი სომხის გვარის ტერ – ოჰანეზ მამულოვად ირიცხებოდა, მაგრამ იგი ქართველობას მაინც არ ივიწყებდა და მრევლში ყოველთვის ქართულად ჰქადაგებდა. თავისს დროის კვალად შესაფერისი სწავლა ჰქონდა მიღებული. ყოფილიყო **კონსტანტინეპოლის** და **ვენეციის** მხითარისტების „მძობის“ სასწავლებელში, იცოდა სხვადასხვა ენა და ამასთან საქართველოს ისტორიასა და ქართულს ძველს მწერლობასაც კარგად იცნობდა.

**კონსტანტინეპოლსა და ვენეციაში** სწავლის შემდეგ იგი მოძღვართ იქმნა კურთხეული და **საქართველოში** გამომწესებული. კარგა ხანს მღვდელიობდა. ხალხის თვალში იმისს პატივისცემას

ის უფრო აორკეცებდა, რომ იგი იყო ქართველი მოძღვარი, ქართულს ენაზედ მქადაგებელი, ამასთან ქართველი მწიგნობარი, მწერალი, რომელიც თავის გვარის სასარგებლოდ დაუცხრომლად შრომობდა და ჰმოდვანოვობდა. 1870 წლებში თითქმის ამან ჩაჰყარა ქართველ კათოლიკეთა შორის ქართულს ენაზედ წიგნების თარგმნისა და ბეჭდვის საძირკველი.

მაშინ ვენეციისა, ვენისა და კონსტანტინეპოლის სომეხ – კათოლიკეთა შორის დიდად განთქმული იყო მხითარისტების **ინჯიჯიანის** და **ზურაბიანის** ნაწერები, თუმცა ინჯიჯიანი ძველისძველი მწერალი იყო, მაგრამ იმის და ზურაბიანის ნაწერები მრავლად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ხალხში. ამ საუკუნის დამდეგს **ინჯიჯიანმა** დასწერა სომხურს ენაზედ „**ახალი სომხეთი**“, **ზურაბიანმა**ც სხვადასხვა ისტორიული წერილები. **მხითარისტების სწავლულთა კონგრეგაციამ აღადგინა ახალი სომხეთი**. ამათ ისტორიულის ნაწერებიდგან დიდათ ისარგებლა **სენ – მარტენმა**, მან ბევრი მასალა შეჰკრიბა თავისის ნაწერებისთვის. ამათს ცნობებს სენ – მარტენი დიდად აფასებდა.

ამ დროს სენ – მარტენმა ურჩია აკადემიკოსს **ბროსეს**, რომ კარგი იქმნება სომხურის ენიდგან ქართულს ენაზედ ინჯიჯიანისა და ზურაბიანის წიგნები ითარგმნოს და დაიბეჭდოსო. სენ – მარტენის რჩევით, **მარტი ბროსემ** მხითარისტებს სთხოვა, რომ იქმნება თქვენის ძმობის რომელსამე წევრთაგანმა ქართული ენა იცოდეს, კარგი იქმნება, რომ მან **ინჯიჯიანისა** და **ზურაბიანის** ნაწერები ქართულად სთარგმნოს და დაჰბეჭდოსო. აკადემიკოსის თხოვნა ვენეციის მხითარისტების ჟურნალშიაც დაიბეჭდა და მასთან **პარიჟის** „აზიურს ჟურნალშიაც“. ამ დროსვე გამოცხადდა, რომ ამ ნაწერებს დიდი ხანია ქართულს ენაზედ სთარგმნის ქართულის ენის მცოდნე და ქართულის გვაროვნობის წარმომადგენელთა, მოძღვარი **ივანე მამულაშვილი**.

ივანე მამულაშვილი ადრევე შესდგომოდა ამ მწერალთა ნაწერების თარგმნას და ზოგიერთი თხულები 1851 წლამდე უკვე დაემთავრებინა. ამ დროს მამულაშვილი ახალციხისკენ ყოფილა მღვდლად. **პეტრე ხარისჭირაშვილს** მასთან მეტად დაახლოვებული კავშირი ჰქონია. ამათ დროსვე სცხოვრობდნენ ქართველ – კათოლიკეთა მოძღვარნი: ანტონ **ხუციანცი (ხუციშვილი)**, ხიზაბავრელი, მღ. **ანტონ თუმანოვი, ოცხელი**, მღ. სტეფანე **იესაშვილი** (დღეს იეზოვი) და მღ. სტეფანე **ნავროზაშვილი**. ესენი ყოფილან **პავლე შეჰყულიანცის (ჯინაშვილის)** მოწაფენი. **პ. შაჰყულიანმა** სწავლა რომში 1895 წ. დაამთავრა.

პ. ხარისჭირაშვილმა კარგად იცოდა ივანე მამულაშვილის შრომის ამბავი და როცა იგი საქართველოდგან ევროპაში გადასახლდა სამუდამოდ, მაშინ ივ. მამულაშვილის ზოგი ნაწერები თან წაიღო და ვენეციის მხითარისტების სტამბაში, ამ საუკუნეში, პირველად მოძღვრის **ივანე მამულაშვილის** ნაწერები დაიბეჭდა. ეს ნაწერები, როგორც სწერს ქართველ – კათოლიკეთა პატივცემული მოძღვარი **ივანე გვარამაძე**, დაბეჭდილა **პ. ხარისჭირაშვილის** რედაქტორობით და თვით იმისავე საფასით. აი ზოგი წიგნებიც:

1. „ისტორია, გინა მოთხრობა ძველისა და ახლისა აღთქმისა“, ქმნილი სომეხი მხითარისტის იონე არქიმანდრიტის **ზურაბიანის** მიერ, თარგმნილი, სომხურის ენიდგან და დაბეჭდილი 1858 წ. **ვენეტიკს**, წმიდა ლაზარეს მონასტრის წიგნთ – საცავში. წიგნის კაბადონთა რიცხვი 875 შეიცავს, წიგნის წინასიტყვაობაში ერთ ალაგს ნათქვამია: „თუმცა დიდათ ძნელი იყო ესე ჩვენთვის, რამეთუ არა გვყავდა ჩვენ ამა საქმისათვის ვინმე შემწე და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართულის ენის მცოდნე, გარნა რაი ვხედავდით ვითარმედ ამა ოქროსა საუკუნესა შინა თითქმის ყოველთა ნათესავთ ენათა ზედ დაიბეჭდებინ ფერად – ფერადნი სამეცნიერო და სიბრძნის წიგნნი, ამის გამო ფრიად სასარგებლოთ ვრაცხეთ, ქართულს ენაზედ წიგნების დაბეჭდვა; აწ სასოებით ვითარმედ წრფელ აზროვანს კეთილს მსურველს და გულს მოდგინეს მოღვაწეობისა



ამას ჩვენსა, კეთილად მიიღებს საქართველო, თვისთა ჩვეულებით კეთილშობილებრივი გულ-კეთილობითა, რომლით უქმად არა გაატარებს შრომასაც ამისა ჩვენს, რომელნი რადგან ვართ მარად მსურველნი და მეძიებელნი ბედნიერებისანი, ხილვით, რომელ შრომითა ამითა სარგებლობს საქართველო; დიდათ განცხრომათა ყოფათ არს იგი ჩვენთვის“.

2. „წმინდანების ცხოვრება ქმნილი სომხურს ენაზეარქიმენდრიტის **ლუკა ინჯიჯიანის** მიერ; თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა, **ვენეტიკს**, 1859 წ. წმ. ლაზარეს მონასტრის სტამბაში“. ვრცელი წიგნია. ამასვე უთარგმნიაიგავნი ეზეპისი და დაუბეჭდიათ **ვენეტიკს** ორ ტომად 1859 წ. ყველა ეს წიგნები დაბეჭდილია სუფთად, თავის დროის კვალად ძალიან ლამაზადაც კი, **მხოლოდ ენა არ უვარგათ მცირედ და ამას არც თვით მთარგმნელი ჰმაღავს, წინასიტყვაობაში ბოდიშს იხდის.**

მოძღვარს ივანე მამულაშვილს სხვა ნაწერებიც ბევრი ჰქონია, მაგრამ დაბეჭდვა არა ჰქონია. უმეტესი ნაწილი ამ ნაწერებისა აქა – იქ გაბნეულა: **ვენეციასა, კონსტანტინეპოლსა და ახალციხეს**. თვით ივ. მამულაშვილი გარდაცვლილა 1884 წ. საკმარისად მოხუცი. განსვენებული ყოფილა პატოსანი მფარველი ქართულის ენისა და ქართველ – კათოლიკეთა ჭემმარიტი წარმომადგენელი.

„ივერია“ ,233. 1898 წ. გვ. 3 – 4.

### **პ. შიო ბათმანიშვილი დია წერილი**

**ბ – ნ მ. ჯანაშვილის** მიმართ. სხვა და სხვა ევროპიელ მეცნიერთ მოგვთხოვეს, თუ ქართულ წყაროებში რამე მოიპოვება **ეფესელ – შვიდ ყრმებზე** და მთავარ **მოწამე გიორგიზე**. უმდაბლესად გთხოვთ რამდენიმე წერილი უძღვნათ ამ საკითხს ერთ რომელიმე ქართულს გამოცემაში. რაც შეეხება წ. გიორგის, ჩვენ ხელთა გქონდა **ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“** და იმით ვისარგებლეთ. ამის გარდა, თუ იმისთანა საბუთი გეგულებათ, რომელსაც გარდაწყვეტილი ძალა ჰქონდეს, შესახებ წ. **ანდრიას მოსვლას ჩვენს ქვეყანაში**, გთხოვთ განგვიმარტოთ, წყაროების ჩვენებით. უკანასკნელი თხოვნა. დიდი ხანია თქვენ განზრახული გქონდათ ქართულ პალეოგრაფიის გამოცემა; არ ვიცით, რათ დაგვიანდა ამ ფრიად სასარგებლო წიგნის დაბეჭდვა; იმედია, მალე ვედირსებით მის გამოქვეყნებას.

თქვენი პატივცემული

ა. შიო ბათმანიშვილი.

### **მიხა კ – ლია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ**

ჩვენ სრულიად შემთხვევით ჩავვივარდა ხელში გაზეთი „თემის“ N24, ვამბობთ, სრულიად შემთხვევით იმიტომ, რომ ჩარხის უკულმა ტრიალმა ისეთ დუხჭირ პირობებში ჩავვაგდო, რომ გაზეთი ჩვენთვის აკრძალული ხილია. გაზეთის ნაფლეტმა და ისიც ქართულისამ მეტის მეტათ გვასიამოვნა, მაგრამ წაკითხულმა კი უზომოთ აგვაღელვა. ამით სახეში გვაქვს „თემის“ N24 – ში მოთავსებული წერილი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა და მისი წინამძღვრის

სომეხი **ბენედიკტე ჩილინგარიანის** შესახებ. ამ მონასტერსა და ჩილინგარიანზე „სახალხო გაზეთსა“ და „კოლხიდაში“ თავის დროზე წერილებიც ყოფილა, მაგრამ სამწუხაროთ, მათი წაკითხვა ჩვენ ხელთ არ იყო. „თემი“ გვაუწყებს, რომ სტამბოლში ქართველ კათოლიკებსმდიდარი და მშვენიერი მონასტერი ქონიათ; მონასტერთან საუცხოოთო წიგნთსაცავი, ქართული სტამბა და მშვენიერათ მოწყობილი ქალ – ვაჟთა შკოლა ყოფილა, სადაც სწავლა ქართულსა და ფრანგულ ენაზე სწარმოებს თურმე. ამ მონასტრიდან ბევრი ცნობილი ქართველი მოღვაწე გამოსულა. დღეს რაღაც ოინებით ამ მონასტრის წინამძღვრობა ვიდაც ბნელ პირს, სომეხ **ბენედიკტე ჩილინგარიანს, ვარდიმეთ წოდებულს**, ჩაუგდია ხელში და მისი მეცადინეობა – შთაგონებით ადგილობრივი კათოლიკეთა **ეპისკოპოზ სარდის** უკვე აუკრძალავს მონასტერში ქართული წირვა – ლოცვა, ჩამოურთმევია მონასტრისთვის ზედმიწერილი ეკლესიები, მდიდარი სახლები და ადგილები. აგრეთვე, მოუწოდებია დაეხურა მონასტერთან არსებული ქართულ – ფრანგული სასწავლებელი. ადგილობრივი ქართველებისა და ფრანგული გაზეთების პროტესტისთვის ყურადღება მიუქცევია რომის პაპს და ეპისკოპოზი სარდი **რომს** დაუბარებია. ჯერ არ ვიცით, საქმე რით გათავდა. ჩვენ კი ვუერთებთ რა სტამბოლელ ქართველ კათოლიკეთა პროტესტს – ჩვენ მეტათ აღშფოთების ხმას, ჩილინგარიანის უგვანო და საზიზღარი მოქმედების შესახებ. ვფიქრობთ, რომ ჩვენი საღვდელეობა, ჩვენი შკოლების წარმომადგენლნი, ერთი სიტყვით, ყველა ჩვენი საზოგადო კულტურულ დაწესებულებანი და აგრეთვე, საზღვარგარეთ მყოფი ინტელიგენტი ქართველობა, ხმას აღიმალლებენ, პრესისა და სხვა საშვალეებით **ჩილინგარიანის** მოქმედებას სასტიკათ გაკიცხვენ, ზიზღს გამოუცხადებენ და, ამრიგათ, ქართველი ერის ხმას სტამბოლელი ქართველების ხმას შეუერთებენ და ენერგიულათ მოითხოვენ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრიდან ჩილინგარიანის სრულიად განდევნას.

საჭიროა, ჩვენი აღშფოთება – პროტესტი **პარიზისა** და **რომის** ერთ – ერთ გავლენიან – გავრცელებულ გაზეთში დაიბეჭდოს. რა უნდა, რა ზნეობრივი უფლებით თარეშობს ბ – ნი ჩილინგარიანი ქართველების მონასტერში? საკვირველია, ღმერთმანი, „ჩილინგარიანების“ ავან – ჩავანი: კისერზე გვაჯდებიან შინ, არ გვასვენებენ გარეთ. როდის, როდის დაგვანებებენ თავს? მაგრამ ღვთის წინაშე, მართალი რომ ითქვას, ახია ყოლიფერი ჩვენ თავს. ჩვენ უენერგიო, დაუდევარი, წინდაუხედავი ვართ, ადვილათ ვაჯაბნებივით თავს სხვებსა. თავის დროზე გასაცთელის კვალს ანგარიშს არ ვუწევთ და როცა ალი მოგვედება, საქმე ხელიდან წასულია, ყვირილსა და ტირილს ავსტებთ. გავიხსენოთ თუნდა ჩვენი მონასტერ – ეკლესიების ბედ – იღბალი, მათი გაცარცვა – გაყვლეფის ისტორია და ჩვენი მიუტევებელი გუდგრილობა და ამავე დროს სომხების ენერგიული ბრძოლა წართმეული ეკლესია-მონასტრების დაბრუნებისათვის და ამ ბრძოლის შედეგი. ჩვენ კი იმდენათ დაბეჩავებული ვართ, რომ ჩვენ მაგიერ სხვები იღებენ ხმას და ჩვენ მოსარჩლეთ, ნამდვილ აპეკუნებათ გამოდიან. ამის შესახებ იმავე „თემში“ N24 მშვენიერი წერილია მოთავსებული, რომლის წაკითხვა ბევრს რასმე დამაფიქრებელს იწვევს მკითხველისაგან. დროა, საღათას ძილს თავი დავაღწიოთ! დროა, ჩვენ ჭირ – ვარამზე საკუთარი ჭკუა-გონებით თვითონ ვილაპარაკოთ და არ ვაფიქრებიოთ ჩვენ მტერსა და მოყვარეს, ქართველები ჯერ მოუმწიფარი, სააპეკუნო ბაღლები არიანო.

კოლხიდა. 1911 წ. N177.

**ჯავახიძე  
(უცნობი ფსევდონიმი)  
სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის  
წინამძღვრის ამორჩევა**

სტამბოლიდან მიღებულ ნამდვილ ცნობებიდან გავიგეთ, რომ იქაურ ქართველ – კათოლიკეთა მონასტრის უფროსის ამორჩევა მოხდარა.

ყოფილ უფროსის, მამა ვარდიძე – ჩილინგაროვის მაგივრად, ამორჩეული ყოფილა ხმის უმრავლესობით ჩვენში კარგად ცნობილი მამა პატრი – დომინიკე მულაშვილი პაწაძე, რომელიც, საუბედუროდ, ამ ამბის მიღებამდე მოკლულ იქმნა ავაზაკების მიერ სოფელ სკრაში.

მაშასადამე, უფროსის არჩევნები უნდა მოხდეს ხელ – მეორედ. ამ მონასტრის ბედ – ილბალი ჩვენთვის იმდენად ძვირფასი და საინტერესოა, რომ არ შეგვიძლია ხმა არ ამოვიღოთ და ჩვენი რჩევა არ შევუთვალოთ პატივცემულ ამომრჩევლებს. დარწმუნებულნი იყვენ ისინი, რომ ჩვენი რჩევა და სურვილი წრფელი და მონასტრის მომავლისათვის საკეთილდღეოდ არის მიმართული.

ჩვენ ჩვენის მხრივ შეგვიძლია თამამად ვურჩიოთ უფროსად მამა პატრი მერაბი, როგორც ამ შემთხვევაში სასარგებლო კაცი.

პატრი მერაბი ჯერ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე კაცია; სწავლა – განათლება აქვს მიღებული საზღვარ – გარედ და ეხლა სტამბოლის ფრანგების და ქართველების სკოლის დირექტორობის თანამდებობას ასრულებს.

მამა მერაბის ამორჩევა ჩვენთვის იმიტომ უფრო იქნება სასიამოვნო, რომ, როგორც ამ ბოლო ხანს გამოაშკარავდა, მონასტერი უნუგემო მდგომარეობაში იმყოფება. ეხლა საჭიროა ენერგიული კაცი, რომელსაც აუცილებლად შეეძლება მონასტერი დააყენოს სასურველ ნიადაგზე.

სახალხო გაზეთი, 1911 წ. N 446.

**გ. ახალციხელი  
სამაგალითო მამულიშვილის ხსოვნა  
(ქართულ კათოლიკეთა მოძღვარი მამა ივანე გვარამაძე – ვინმე მესხი)  
1831 – 1912 წ.  
ნეკროლოგი**

გუშინ ახალციხიდან მოსულმა და „სახალხო გაზეთში“ მოთავსებულმა დეპეშამსამგლოვიარო ამბავი მოგვითხრო: იქ გარდაიცვალა ლიტერატურაში და განსაკუთრებით ცხოვრებაში კარგად ცნობილი სამაგალითო მოძღვარი და მამულიშვილი მამა ივანე გვარამაძე. კათოლიკეთა განსვენებული მოძღვარი – ივანე თითით საჩვენებელი მაგალითი იყო იმისი, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს ნამდვილი დანიშნულება ქრისტეს უკვდავ მცნებათა მქადაგებლისა, დაკავშირებული ნამდვილსავე ადამიანობის დამამულიშვილობის შეგნებასთან. ვისაც კი გადუკითხავს მ. ივანეს მრავალგვარი, სათნო გრძნობით გამთბარი და მამულიშვილურ გულწრფელ სიყვარულით გამსჭვალული ნაწერები და განსაკუთრებით ვინც რომ ცოტათი ახლოს დაჰკვირვებია იმის უზადო, ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობა – საქმიანობას, იმ დიდ როლს, რომელსაც ის, ვით პირველი პიონერი, თამაშობდა სამცხე – საათაბაგოს მცხოვრებთა და კრებად ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში, არ შეუძლიათ მოწიწებით თავი არ მოიხაროს ამ უმწიკვლო მოძღვარ – ადამიანის ხსოვნის წინაშე.

დიახ, მ. ივანე მესხი პირველ პიონერად უნდა ჩაითვალოს, როგორც საზოგადოდ, აგრედვე, განსაკუთრებით ახალციხის მაზრის ქართველ კათოლიკეთა შორის ეროვნულ იდეის ჯეროვნად გაცხოველებაში. საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, უტყუარის საბუთებით აღჭურვილი, ის ცოცხალი სიტყვა – ქადაგებით, თუ მწერლობითმედგრად და თავგამოდებით იცავდა ერთხელვე გარკვეულ ეროვნულ იდეას. თვით განსვენებულნი ცნობილი: ისტორიკოსი პატრი თამარაშვილი, დომინიკე და სხ. – მ. ივანეს მოძღვრების ნიჭიერ მიმდევრებად უნდა ჩაითვალოს.

**ჯერ კიდევ ჩვენ დროშიც ბევრი ერთმანეთში რევეს, ან თუ ვერ არკვევს ეროვნულ და სარწმუნოებრივ ცნებებს და ადვილი წარმოსადგენია რამოდენი შრომა – ენერგიის დახარჯვა დასჭირდებოდა ამ ნამდვილ მოძღვარს, 40 – 50 წლის წინედ, რომ თავისი თანამორწმუნენი მიეყვანა იმ თვით შეგნებამდის, რასაც დღეს ჩვენა ვხედავთ თუნდა ახალციხის მაზრის ქართველ კათოლიკეთა შორის. უწინ ქართველ კათოლიკესთვის რომ გეკითხათ ვინაობა გვარტომობით, თითქმის ვერავის ათქმევინებდით, რომ ის ქართველი იყო, არამედ „მე ფრანგი, კათოლიკე ვარო“.** მ. ივანე სულ იმას უთქვეფავდა გონებაში თავის თანამომძმეთ, რომ ჩვენ მხოლოდ სარწმუნოებით ვართ კათოლიკები, გვარტომობით კი ქართველებიო; ჩვენი სამშობლო ქვეყანა საქართველოა, ჩვენი დედა – ენა – ქართულია, როგორც მაშინ ბევრს ეგონა, – სომხებთან, მეზობლურ განწყობილების გარდა, არავითარი კავშირი არა გვაქვს, არავითარი ნათესაობა, ამიტომეყველა კათოლიკე მოვალეა შეიტყოს და შეისწავლოს თავისი მამა – პაპათა ვინაობა, სამშობლო ქვეყანა, მისი ისტორია, მწიგნობრობა და სხ. სომეხ კათოლიკეთ იმიტომ ვიწოდებით, რომ იმით კათოლიკეთა ტიბიკონზე ვდგევართო“... სწორედ, ესრეთ ქადაგების ნაყოფია, თუ, ჩვენ დროში, უკვე ქართულ – კათოლიკეთა უმრავლესობა გამსჭვალულია ნამდვილ მამულიშვილურის გრძნობით.

ივანეს დაუცხრომელს დარდს და გოდებას ის შეადგენდა, რომ მესხეთში და ჯავახეთში რამენაირად აღედგინა უწინდებურად ქართული ენა, რაიც ჟამთა ვითარების გამო დაქვეითებულიყო და თანდათან მივიწყებას ეძლეოდა. ამ უბედურების ასაცდენ საშუალებად მ. ივანე სთვლიდა გავრცელებას წერა – კითხვისა, განათლებისა; ქართულ წიგნების მოფენას, ცოცხალი სიტყვით ქადაგებას, – რასაც ის თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, პრაქტიკულად ახორციელებდა. თავის მოღვაწეობის დროს მ. ივანემ დიდი პირადი ტანჯვა – წვალეზა და უსიამოვნება განიცადა, სხვათა შორის, სომეხ კათოლიკე სამღვდელოებისაგანაც, რომელნიც მასში დიდ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ და იმდენად ველარ ახერხებდნენ ქართველ კათოლიკეთა თავისკენ გადაბირებას. მართლის მოყვარეს, გულწრფელს, კამათში პირდაპირს და ულმობელს, თავის ჭეშმარიტ რწმენის დასაცველად არაერთხელ უხდებოდა სასტიკი პოლემიკა უწინდელ სომხურ გაზეთებთანაც: „მელუჰაიოსტანთან“, „მშაკთან“, „არგონავტთან“, მხიტარისტებთან და სხვ., მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგენი არა იშვიათად მ. ივანეს მოღვაწეობას სხვა სახელით აგონებდნენ ხოლმე მთავრობასაც.

მ. ივანე გვარამაძე დაიბადა ქ. ახალციხეში 15 ოქტომბერს 1831 წ. მას პატარაობიდანვე ეტყობოდა შესამჩნევი ნიჭი და ცნობის მოყვარეობა და ამიტომაც, თუმცა ქონებრივად ხელ-მოკლე იყო, არ დაკმაყოფილდა იმ მცირედი ცოდნით რაიც მიიღო ადგილობრივ ახალციხის სასწავლებელში და მოახერხა გამგზავრებულიყო სტამბოლში. იქ სწავლა – მეცადინეობასთან ერთად, დაიწყო ჩხრეკა – ძიება ისტორიულ საბუთებისა; ზედმიწევნით შეისწავლა, უცხო ენებთან ერთად – სომხურიც; დააკვირდა ბევრ დაბეჩავებულ ერთა ყოფა – მდგომარეობას, იქვე გაუცხოველდა

\*ზოგიერთ ცნობებით ჩვენ ვისარგებლეთ ბ. ზ. ჭიჭინაძის-მიერ შედგენილ და გამოცემულ 1904 წელში მ. ივ. გვარამაძის ბიოგრაფიით.

**სამშობლო მხარის სიყვარული** და გადასწყვიტა მის კეთილდღეობისათვის შეეწირა თვისი ძალ – ღონე. თავის მიზნის მისახწევად მან აირჩია მღვდლად კურთხეულიყო.

მ. ივანე პირველად მსახურობდა და მოღვაწეობდა სამცხე – საათაბაგოს მივარდნილ სოფლებში (**ხიზაბავრას, ივლიტას** და სხვ.); თვით მეტად სადა და შევიწროებულ ცხოვრებას ეწეოდა და მთელი თვისი გონებრივ ქონებრივ, სახსართ ახმარებდა თვისი სამწყსოს გაადამიანებას; ამიტომაც, სადაც კი იმას მოხდომია მოღვაწეობა, ყველგან დღესაც მადლობით იხსენიებენ მოძღვარ ივანეს სახელს. 1884 წლიდან მ. ივანე გადასახლდა **ქ. ახალციხეს**, სადაც უფრო მეტი ნაყოფიერება დაეტყო იმის საქმის უნარს; მგონი არ იყო არც ერთი ეროვნულ – საზოგადოებრივი საქმე, დაღბინება, თუ დაავადება, რომ მამა ივანეს, სამღვდლო კათედრიდგან მაინც, ხმა არ ამოელო და თავისებურად არ განემარტა, რაიც ღრმად აღიბეჭდებოდა მსმენელთა გონებაში.

მ. ივანეს ბევრი ნაწერები (უფრო ისტორიულ ხასიათისა) გაფანტულია მრავალ ჩვენ პერიოდულ გამოცემებში. გაზ. „დროებაში“, „ცისკარში“, „ივერიაში“, „კვალში“, „მწყემსში“ და სხვ. როგორც ვსთქვით, მ. ივანემ ზედმიწევნით იცოდა ჩვენი ისტორიული წარსული, რომლის კვლევა – ძიებაში იყო ერთთავად. ამისთვისვე შეკრებილი ჰქონდა აუარებელი მასალა, ძველი ნაწერი წიგნები, ქართული ფულები, სხვადასხვა ნივთები, ადამიანის სხეულის გამოქვაბული ნაწილები და სხ. იგი ამ მიზნისთვის თითქმის ყოველ ზაფხულობით მოგზაურობდა მთელ ახალციხის მაზრაში, ათვალთვრებდა ტაძრებს და საზოგადოდ, ისტორიულ ნაშთებს და აქუჩებდა საჭირო მასალას. იმან დაგვიტოვა მრავალი საყურადღებო თხზულებანი: „**მოკლე ქართლის ცხოვრება**“, „**ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად**“, გამოცემული **პარიზის** აკადემიისაგან; „**სახელმძღვანელო სამესხეთოს ერთა**“; „**რეტორიკა**“, „**არქეოლოგიური მოგზაურობა**“; „**ისტორიული წერილები**“; „**სიბრძნე კაცობრივი**“, **თარგ. სომხ. და გამოც. სტამბოლში**; „**საზოგადო გეოგრაფია**“, **გამოც. იქვე**; „**მეურნეობა ძველ საქართველოში**“; „**მშაკის**“ და **სომეხთა მზა პასუხი**“; „**სხვადასხვა ისტორიული წერილები**“ – მესხეთ – ჯავახეთის შესახებ, „**წმინდა ნინო**“ და მის დროს ღირსშესანიშნავი ცნობანი და მრავალი სხვა ნაწერები. ვინმე მესხისგანვე შეკრებელია და დაწერილი ქართულ ლექსიკონისთვის 13 ათასი ისეთი ქართული სიტყვა, რასაც ვერ ნახავთ საბა ორბელიანის და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. არა მცირედი ამაგი მიუძღვის სახალხო სიტყვიერების მწერლობის შექმნაშიაც. თვის მოგზაურობის დროს, მან შეკრიბა მრავალი ძველი თქმულებანი, ზღაპრები, შაირები, ლეგენდები და სხვ.

ამ ბოლო წლებში კი, ავადმყოფობის გამო, საშუალებას მოკლებული იყო განეგრძო თვისი მადლიანი საქმე.

მოკლედ რომა ვსთქვათ, ესრეთი იყო ეს ჩუმი, თანამემამულეთათვის თავგამოდებული და მეტად ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე. საუკუნოდ დარჩება ხსენება სახელისა ამ სამაგალითო მოძღვრისა და ნამდვილ მამულიშვილისა.

სახ. გაზეთი, 1912 წ. N 609.

### **ვ. ჯ. წერეთელი კიდევ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის შესახებ**

ამ რამდენიმე დღის წინათ „სახალხო გაზეთში“ წავიკითხე, რომ ხსენებული მონასტრის ერთი პატივცემული მცოდნე პირი ურჩევს, – სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის უფროსათ აირჩიონ იმავე მონასტერში მყოფი დიდათ პატივცემული ცნობილი **მამა მერაბი**.

სრულიად ვეთანხმებით პატივცემულ ავტორის აზრს, რომ ბევრის მხრით უპირატესობა ეკუთვნის მამა მერაბს – რადგან იგი აღჭურვილია – ენერგიით, სწავლა – განათლებით, შესაფერი- სი მხნეობით, მოსიყვარულეა თავის სამშობლოსი ერის და დამხმარე ყველა გაჭირვებულ მოძმისა.

ამას ასე გულახთილათ მისთვის ვადიარებ სახალხოთ, რომ ყოველივე ჩემის თვალთ მინახავს, რაც სტამბოლში ორწელიწადნახევარს ვსცხოვრობდი.

იმას არ ვამბობ, რომ სტამბოლის მონასტერში სხვა ღირსი და დიდათ პატივცემული პირი არ მოიპოვებოდეს. მაგალითად, მამა **სტეფანე გიორგაძე** ყოვლად პატიოსანი და კეთილი პირი ბძანდება, მაგრამ ამას და იმის რამდენსამე პატივცემულ ძმებს ხელს უშლის უპირატესათ ხნოვანება, დასვენების საჭიროება. არიან ახალგაზდანი, რომს სწავლადამთავრებულნი, ამათ ჯერ გამოცთილება და სიდინჯე აკლიათ. ასე რომ უპირატესობა მონასტრის უფროსობისა მამა მერაბს ეკუთვნის, თუ კი სამართლიანობა ქვეყანაზე კიდევ სუფევს.

ჩემი ღრმა რწმენაა, რომ: მ. მერაბი შეინახავს ქართველების ძვირფას საზოგადო ტაძარს, რომელიც იქნება ყველა **გაჭირვებულთა და ტვირთმძიმეთა თავშესაფერი**, თანახმათ მაცხოვრის სიტყვისა და მონასტრის დამფუძნებელის, ყოვლად ღირსისა და პატიოსნის მამა **ხარისჭირაშვილის** ანდერძისა, მონასტრის სიმდიდრე იქნება უნაკლულოთ დაცული; ვერავინ რამეს წააგლეჯს მონასტერს და ვერავინ დაჩაგრავს იქ მყოფ ქართველებს; **ბევრ რამეში დიდათ დაეხმარება ათონის მონასტერში მყოფ მოძმე ქართველ ბერებს, რომელნიც უსამართლოთ და სასტიკათაც იტანჯებიან იქ მყოფი სხვა ერის ბერებისაგან. ეს ათონში შევიწროებული ბერები ხსნისა და შველისათვის ხშირათ მოდიან სტამბოლს საშველათ, და სამართლის საძიებლად.**

ყველა ამ მოსაზრებით სიხარულით მივეგებები იმ დღეს, როცა მამა მერაბი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის უფროსი და გამგე გახდება.

კოლხიდა, 1911 წ. N 193, გვ. 3.

**შენიშვნა:** ვლადიმერ წერეთლის სტატიის ხელნაწერი ტექსტი გაზეთთან ერთად ინახებოდა მონასტრის ერთ – ერთ სასტუმრო ოთახში, როგორც ჩანს, იგი ამ ოთახში ცხოვრობდა.

## **ზ. ქიქინაძე**

### **ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პატრი იოსებ წალდაძოვი (წალდაძე)**

სახელოვანს ქართველკათოლიკეთ აბატს **პეტრე ხარისჭირაშვილს** ბევრი პატივისმცემელი ჰყავდა. პატივს სცემდნენ მას თვით ისეთნი ქართველნიც კი, რომელთაც ქართველობა სძულდათ, ზოგნი – კი დიდადაც ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ აბატი ყოველთვის მტკიცე ბურჯად იდგა თავის მიერ არჩეულს გზაზედ, იგი გულს არ იტეხდა და დიდის ჭეშმარიტებით ჰქადაგებდა ქარ- თველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ.

მიზეზი აბატის განსაცვიფრებლის სიმტკიცისა, მხნეობისა და იმ საოცარის გვართ მოყვარეო- ბისა, რომელსაც იგი იჩენდა, ასე რომ მან ქართული სტამბებიც – კი დაარსა: **მონთობანს (საფ- რანგეთშია), ვენეციასა და კონსტანტინეპოლს;** მიზეზი ის იყო, რომ იმას გარს ეხვივნენ ქარ- თველთა საუკეთესო მამულიშვილნი, ამხნეებდნენ და მხარს უჭერდნენ.

ერთი ასეთი მხნე მამულიშვილი იყო **იოსებ წალდაძოვი, იგივე წალდაძე.** ქართველ კათო- ლიკეთა შორის ძველადვე შემოიღეს გვარების გადაკეთება: **ძეს ანუ შვილს ოვად** სცვლიდნენ,

მაგალითებ, წალდამოვი, გმელოვი, იერიქოვი, მეთაფოვი, ასლანოვი, როჩტევანოვი, კაუჭოვი და ათასი ამგვარი, რომელთა გვარის დაბოლოება ძველად **ძე** ან **შვილი** იყო.

იოსებ წალდაძე ქართველთა ძველს გვარეულობას ეკუთვნის. იგი იყო **იმერი**. პირველ დაწყებითი სწავლა ოჯახში შეიძინა და გაემგზავრა ევროპაში, მცირე ხანს დაჰყო **კონსტანტინეპოლს** პეტრე ხარისჭირაშვილის სკოლაში, შემდეგ გაემგზავრა **პარიზში** და იქ ერთს გიმნაზიაში დაამთავრა სწავლა. აქ სწავლას მან მოანდომა 8 წელიწადი.

კლასიკურის გიმნაზიის სწავლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ერთს უმაღლესს სასულიერო სასწავლებელში, აქ დაჰყო ექვს წელს. ამ ხნის განმავლობაში შეისწავლა ყველა იმ დროის საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო საგნები. აქ შეიყვარა ფილოსოფია, საღმრთო ზნეობრივი სწავლა, შეისწავლა ევროპის სწავლულთ და მეცნიერთა ნაწერები და ნამეტნავ **ოგუსტ კონტის** მოძღვრება.

უმაღლესის სწავლის დამთავრების შემდეგ იგი ბერად შედგა და დროებით **საფრანგეთში** დასახლდა, **მონთობანს**, პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებულს მონასტერში, სადაც **ქართული სტამბაც** არსებობდა და ქართველ გვარის კათოლიკის ბერებმა ქართულის წიგნების ბეჭდვაც იწყეს. ახალგაზრდა ბერი აქ იმიტომ დასახლდა დროებით, რომ მაშინ ზოგიერთნი ჰნატრობდნენ, კარგი იქნება **მონთობანსა და კონსტანტინეპოლში, ვენის და ვენეციის** მხითარისტების წესდებისავით, **ქართველთა „კონგრენაცია“** დავაარსოთო.

ბერი **იოსებ წალდაძე** მონთობანში დარჩა რამდენსამე ხანს; მალე დაბრუნდა საქართველოში და მღვდელ – მოქმედებას ასრულებდა **ქუთაისში**. ქუთაისში დაჰყო სამ წელს და მეოთხე წელიწადს ახალგაზრდა მხნე ბერი, სულ 27 წლისა, უეცრად გარდაიცვალა 1883 წელს ქ. ქუთაისს, მისი სიკვდილი ყველამ მწარედ იგლოვა. მშობლებმა ძეგლით შეამკეს მისი საფლავი, ძეგლს შემდეგი წარწერა ამშვენებს: „აქ არს მდებარე იოსებ წალდამოვი, – ივერიელი, ახლად ნაკურთხი მღვდელი (მონაზონი) უმანკო ჩასახების ქალწული მარიამის კრებისა, რომელიც იყო მაგალითი სათნოებათა, მშრომელთა აღვსილთა ცრემლითა აღუდგეს შვილსა უსაყვარლესსა“.

ბერმა იოსებ წალდამოვი იცოდა ენები: **ქართული, ფრანგული, ლათინური, იტალიური, რუსული, ბერძნული და მცირედ ოსმალურიც**. ზედ მიწევნით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ისტორია და ქართულის მწიგნობრობის ისტორია. მეტად უყვარდა საქართველო, ქართული ენა, მწიგნობრობა და ისტორია. დიდად შესტკიოდა გული ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის გამო, სწუხდა, რომ გვარეულობას ავიწყებინებნო..

ცოდნის გარდა, იგი მეტათ კარგი მჭერმეტყველი და მქადაგებელი იყო თურმე. ქადაგება უცხო ენებზედ ისე ემარჯვებოდა, როგორც თავისს სამშობლო ენაზე, სცოდნია სტამბის მუშაობა, ამოწყობა, ბეჭდვა და მასთან ლიტოგრაფიაც დაუარსებია **მონთობანში**. პირველად ამ ლიტოგრაფიაში დაუბეჭდია **ქართულის გალობის ნოტები**, ნოტებს გარდა, აქ საქართველოს სხვადასხვა სურათები უბეჭდია, აგრეთვე, **ფერადის წამლებით სურათები უხატავს**.

მონთობანში ყოფნის დროს, ფრანგულის ენიდგან ქართულ ენაზე უთარგმნია „**ფილოსოფია**“, რომელიც 1878 წ. მონთობანის ქართულს სტამბაში დაბეჭდეს. უთარგმნია, აგრეთვე, „**შემოკლებული რეტორიკა**“, რომელიც იმავე მონთობანის სტამბაში დაბეჭდეს 1877 წ. ამ წიგნებს გარდა, მას სხვა ნათარგმნებიც ჰქონია. ამა სოფლიდგან იმისმა უდროო განშორებამ ბევრს ქართველს დაუმწუხრა გული, ბევრს მოჰგვარა თვაღზედ ცრემლი. იგი იყო პედაგოგი თავისის მრევლისა, მკურნალი, მქადაგებელი და ერთგული და თავდადებული მოძხრე და მფარველი უძღურთა, დაჩაგრულთა.

ქადაგების დროს იგი ხშირად შეეხებოდა ხოლმე საქართველოსა და ქართველობას; ნამეტ-  
ნავად ქართველთ კათოლიკობის მდგომარეობას. დიდი მეგობრობა ჰქონდა ქართველთა კა-  
თოლიკეთა მოძღვრებთან.

„ივერია“, 221, 1898 წ. გვ. 3 – 4.

### უნაღვლელი (უცნობი ფსევდონიმი) წერილი სტამბოლიდან

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გავაც-  
ნო საქართველოს ერს ჩვენი, სტამბოლში მცხოვრებ ქართველების და აქაური ქართველ კათოლი-  
კეთა მონასტრის ბერების მდგომარეობა.

ერთი კვირაა, რაც აქაური ფრანგული გაზეთები ჩვენს პატარა ქართულ ახალშენზე სწერენ.  
რასაც ჩვენ ვერ გავბედავდით, ფრანგებმა სთქვეს და გაჰკიცხეს აქაური ლათინის ეპისკოპოსი  
სარდი.

– „საწყალ ქართველებს თავიანთი საერო ეკლესია დაუკეტაო, – ამბობს სხვათა შორის გაზე-  
თი „LA TÜRK“ – ი, ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა მოუსპო და ყოველივე ერი თავის უბნის  
ეკლესიას მიათვისაო“. მათი თხოვნაა 1910 წ. იმისა, რომ დაებრუნებინა სარდი – ეპისკოპოსს  
თავისი მრევლი ქართველ კათოლიკებისათვის. უყურადღებოდ დასტოვა და პასუხიც არ  
აკადრაო. უარესიც ჰქმნა: რომში გაგზავნილი მოსწავლენი, რომლებიც ქართულს წესით უნდა  
კურთხებულყვნენ, მისის მბძანებით უკან დააბრუნეს, ძალით ლათინის წესით აკურთხეს.  
მაგრამ მათში ამ მიზეზის გამო ზოგმა სრულიად უარი განაცხადა მღვდლობისა.

იმ მონასტერში, რომელიც დაფუძნულია მღვდ. მამა **პეტრე ხარისქაროვისაგან** და რომელშიაც  
თანახმად ანდერძისა, **წირვა – ლოცვა ქართულ – ბერძნულ ენაზე** უნდა წარმოებულყო, ქართულ  
ენაზე წიარვა – ლოცვა სარდიმ სრულიად მოსპო. ესეც არ იკმარა ეპისკოპოსმა სარდიმ;  
**უსკუდარში, ბოსფორის ნაპირას**, მამა პეტრესაგანვე აშენებული მონასტერი და ეკლესია, და  
შემოსავლიანი სახლებიც ჩამოაცალა და იტალიელ მღვდლებს ჩააბარა, რის გამოც **ქართველმა  
ბერებმა დაჰკარგეს ბოსფორის დაყოლებით ხუთი სოფლის მრევლი**. ეს დიდი უსამართლობაა.  
ჩვენ შევწირეთ ქართველებს და თუ მათ არ უნდათ, ჩვენ დაგვრჩება ადგილიც, სახლ – კარიცაო.  
ამას ვისიც ჯერ არს, ყურადღება უნდა მიაქციონ და ეს უძრავი მამული ქართველებსავე დაუბრუ-  
ნონო.

ორმოცი წელიწადია, რაც მამა **პეტრე ხარისქაროვმა** შიგ შუა ქალაქში დაარსა კიდეც მონასტე-  
რი და სკოლა; ეპისკოპოსს ნდომებია ამ სკოლის დაკეტვაც, სადაც სწავლა ფრანგულ – ქართულად  
სწარმოებს. საფრანგეთის საელჩო, რომლის მფარველობის ქვეშაც იმყოფება ეს სკოლა და **1895 წ.  
300 ოქროც მისცა გასაკეთებლად**, საჭიროდ სცნობს კიდეც შემწეობა აღმოუჩინოს; ჩვენ, ფრანგთა  
ახალშენი, მზადა ვართ, რომ სათემო ხელმოწერა გავმართოთ და ეს მონასტერი და სკოლა  
შევაკეთოთ და სხვ.“

ამგვარად, მთელი კვირა, გაზეთები სულ ქართველებზე ლაპარაკობდნენ, საიმედოდ იმასაც  
ამბობენ, ვითომ საფრანგეთის ელჩს, რომელიც ოსმალეთის მთავრობის წინაშე პაპის ოფიცია-  
ლური წარმომადგენელია და ოსმალეთში მყოფი ყველა კათოლიკების მფარველი, **რომის** სასუ-  
ლიერო მთავრობასთან ეჩივლოს ამ ეპისკოპოსის მოქმედებაზე. ის კი მართალია, რომ **სარდი**



**რომში** დაიბარეს პასუხის საგებლად და შესაძლებელია არც კი დააბრუნონ, თუ დაბრუნდება – ხაზაკის ასაკრებადაო, – ამბობენ.

ასეთის თანაგრძნობით ლაპარაკობენ ჩვენზე აქაური გაზეთები.

საყურადღებოა ვიცოდეთ, ნუ თუ მარტო ეპისკოპოსი სარდია ამ უსამართლობის ჩამდენი და მას არა ჰყავს ვინმე ჩვენგანი ხელის მომართავი და წამქეზებელი? განა შესაძლებელია, რომ უცხო გვარის ეპისკოპოსი, რომელიც ორი წელიწადია რაც აქ არის, ისე უსამართლოდ სდევნიდეს ქართველ ბერებს, რომელთაც არა დაუშვებიათ რა და თავიანთ ჩრდილისაც კი ეშინიათ? ან რას ისარგებლებს იგი – სულიერი მამა ამისთანა უსამართლობის ჩადენით?

ამ კითხვის პასუხის გაცემა შეუძლებელი თუ არა, ძნელი მაინცაა.

მაშ სარდის უსათუოდ თანამგრძნობი, ანუ წინამძღვარიც უნდა ჰყავდეს ჩვენშივე; „ციხე შიგნიდან გატყდება“, ნათქვამია, მოღალატე და მამულის გამცემი ჩვენივეა უეჭველად და ის პირი ღირსია ზიზღით მოხსენებისა...

აბა, კარგად დაგვიქრდეთ, განა ამას უცხო ბერ – მონაზონი იზამდა? არა, რადგან ჩვენის და-ღუპვით, რას ირგებდა?!

უცხო ერის კაცი? არა. დღეს ჩვენი ჭირ – ვარამის გამომჟღავნებელი, როგორც ჰხედავთ, ისინი არიან.

ქართველმა გვიღალატა? არა, რადგან ქვემოთ დავინახავთ, არა თუ თხოვნას ყველამ ხელი მოაწერა, სამშობლო ენაზე ნებართვა მიეცათ წირვა ლოცვისა? რომელსაც სარდიმ ყურადღება მიაქცია. ერთხელ სულ ყოველნი, მამაკაცი – დედაცავე, ბავშვებიც კი მივეჭერთ მონასტერს თხოვნით, რომ ჩვენთვის ეპატრონათ, მთელი ორი საათი ვღალატობდით: ქართული, ქართულად გვინდა ჩვენ წირვა – ლოცვაო? არაა ეს ფიქრადაც არ არის გასატარებელი!

მაშ, თვით ბერებში მოვძებნოთ ეს **იუდა**?

აი, აქ გავჩერდეთ და კარგად გამოვიძიოთ.

როდესაც ბ. სარდი ასეთ უსამართლობას სჩადიოდა, ჩვენს საყდრებსა ჰკეტდა, ქართულ ენაზე წირვა – ლოცვას გვიკრძალავდა, სკოლებს ჰკეტავდა და მონასტერს გვინადგურებდა, ჩვენი ბერების უფროსი სად იყო? ეპისკოპოსს პროტესტი გამოუცხადა თუ არა?...

ამისთანა რამ არსად არაფერი გვსმენია, თუ შეიტანა პროტესტი და ეპისკოპოსმა ყურადღება არ მიაქცია, მაშინ თანამდებობიდან გადადგომის ქალაქი მისცა თუ არა ბატონმა მონასტრის უფროსმა ვარდიძემ? სამსახურს თავი დაანება? საქართველოს საზოგადოებას, მასთან ახალციხის ერს აცნობა ამ ჩვენს საბრალო მონასტრისათვის მოყენებული შეურაცხყოფა?

ჩვენი მონატრის უფროსმა ბატონმა პატრი **ბენედიკტე ჩილინგაროვმა**, რომელიც ირქმევს **ვარდიძეს** (საიდგან ვარდიძე, არ ვიცით?! მისი ნამდვილი გვარი **ჩილინგაროვია**. „მრავალ არიან სასწაულნი შენნი უფალო“. სჯობდა ეკალი დარქმეოდა, ნაყოფი ვარდისა ჰქონოდა!) უმთავრეს სასულიეროსთან ე.ი. პაპთან შეჭჩივლა ეპისკოპოსს სარდზე, რომელსაც აღმოსავლეთის კათოლიკების გალათინებისათვის 1894 წელს, **ლეონ პაპის** გამოცემული ინკვილიკით შეჩვენებული იყო და ძრიელ ადვილად მამა ბენედიკტეს შეეძლო გაეხსენებინა ესა პაპისათვის და არ დამორჩილებულიყო.

თუ მიწერ – მოწერით ვერას გახდა, თვით ჩავიდა რომში სარდისაგან ამდენი უსამართლობის ჩადენის პასუხის მოსათხოვნელად? თუ ამითაც ვერა გახდა, მიჰმართა საქართველოს ერს და საზოგადოებას, შეჭჩივლა და ითხოვა პატრონობა? არა!

თუ ამ ყველაფერში **არა, არა**, მაშინ გავჩერდეთ, ვსთქვათ: **აგერ მტერი, აჰა გამცემი!!!**

აი, უმთავრესად ეს მიზეზებია, რომ ქართული სამრევლო ეკლესია მოგვისპეს, ბევრ ჩვენგანს ეკლესიის პირი აღარ უნახავს. მგონია, ეს ცოდვა მოეკითხება მას, ვინც არის ამისი პირდაპირი მიზეზი...

ახლა მოგახსენებთ ერთს სიმართლეს და გარემოებას, რომელიც დაგისურათებთ მამა ვარდიძეს. ჩვენ, აქაურმა ქართველ კათოლიკეთ ხალხმა, შევიტანეთ თხოვნა საეპისკოპოსოში, რომ ჩვენთვის სამშობლო ენაზე წირვა – ლოცვა და მონასტერ – ეკლესიების უფლებები აღედგინათ. **ბ. ეპისკოპოსმა სარდიმ** ჩვენი თხოვნა გადასცა **პატრი ბენედიკტე ვარდიძეს**, ვითომ გამოსაძიებლად მიანდო. ამ უკანასკნელმა უწინარეს გამოძიებისა, დაიბარა ერთ მრევლში თავისი ერთგული კაცი, თავისი მოაზრე ბერი, რომელმაც თავი შეაბრალა ქართველებს, რომ ამ თხოვნით ეპისკოპოსი უფრო განრისხდება და დაარწმუნა, თუ არ ვინანეთ, ფერიქიოს ღვთისმშობლის მთავარ ეკლესია – მონასტერსაც დაგვიკეტავენო.

ამ მუქარამ თავისი გავლენა იქონია და ბევრმა უარი სთქვა თავის ხელ მოწერილზე, მხოლოდ მათში ზოგიერთმა **იაკობ და სიმონ ფილოშვილებმა** თავისი გაიტანეს და აღიარეს თავისი აზრი... „თუ ჩვენ სამშობლო წირვა – ლოცვის აღდგენით **სტამბოლში** ჩვენი მონასტერი დაიკეტება, უმჯობესია ის დაილუპოს და **სამშობლო ენამ და წირვა – ლოცვამ იცოცხლოსო**“.

რასაკვირველია, ეს ყოველიფერი ბენედიკტისაგან ეპისკოპოსს მოხსენდა და პასუხი ჩვენს თხოვნისა შეჩერდა. მაშინ მოხდა კრება ქართველ ვეპილ აზნაურ **საბრობეგი შამბაშიძის** კანტორაში. აქ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ **დიდად უნდა დაუმაღლოთ ქართველ მაჰმადანებს და მართალმადიდებელ ქართველებს**, რომელთაც მართლა გამოგვაფხიზლეს. ეს კრება მოხდა შარშან ნინოების დღეს (ჩვენებურ ახალ წელს დღეს). **ბ. უფროსმა ბევრი გვარიგა**, მაგრამ მაინც ბოლოს იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო. ამ უღირსმა უფროსმა ორი საათის განმავლობაში დაგვალა თავის წინააღმდეგის ლაპარაკით; წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა ქართულ ენაზე წირვა – ლოცვის აღდგენის თაობაზე: „ქართული წირვა ლოცვა ჩვენთვისა და კათოლიკე ეკლესიისათვის უცნობიაო“.

მაშინ ახალგაზრდა მღვდლებმა უჩვენეს **თამარაშვილის** ისტორიის ფურცლები, სადაც ცხადად არის დამტკიცებული, რომ 1808 წ. აწ **ჯავახეთში** მცხოვრებელ ველელ ქართველ კათოლიკებს ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა და ქართველი მღვდელი ყოლიათო.

მაშინ ილაჯგაწყვეტილმა მამამ სათემოდ გამოგვიცხადა: „მე მონასტრის ეკლესიას არ გათხოვებთო და არ შემოგიშვებთო; თქვენთვის ახალი ეკლესია აიშენეთო. ამ მონასტერთან არაფერი ურთიერთობა არა გაქეთო“. მონასტერს სათქვენო მღვდელი არა ჰყავსო; ჯერ ეკლესია ააშენეთ, მღვდელს სარჩო გაუჩინეთ და მერე ვიფიქროთ თქვენ ქართულ ენაზე წირვა ლოცვის აღდგენაო. რაც ეპისკოპოსმა დამავალა, მე მას ვერ გადავალო. მე მორჩილება ეპისკოპოსი – უფროსისადმი მაცხოვნებს და არა თქვენი ქართული წირვა – ლოცვის ეკლესიაში აღდგენაო“. რას მარგებს, თუ ქვეყნიერება შევიძინო და სული ჩემი წავიწყმინდო? და სხვა და სხვ. ბოლოს დაბადების სიტყვებით გვიმტკიცებდა, რომ ქართული წირვა – ლოცვა კაცს სულის ცხონებას დაუშლისო.

ამ დროს ერთმა დამსწერეთაგანმა დაიძახა: „მამ, საწყალი მამა პეტრე (ხარისჭერაშვილი) წაწყმედილი უნდა იყოს, რომელმაც **საქართველოს კათოლიკებს სტამბოლში ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა აღუდგინა** და ამ მონასტერში მიცვალებულნი მღვდლები მარხიანო. ვაიმე მიშველეთ, მეც სამშობლო ენის ტიპიკონზე ვარ მონათლული და ამ ენაზე მადიდებელი ღმერთისა, უნდა წავიწყმინდო“.

პატრმა ბენედიკტემ ლაპარაკი ჩაფარცხა: „მამა პეტრე სხვა კაცი იყო, იმის სიტყვას სხვა გავლენა ჰქონდაო **რომში** პაპის წინაშეო და სხვა ამისთანები.

ამით უფრო დაგვიმტკიცა, რომ ამ საგვამო მონასტრისათვის სულიერის თუ ხორციელის ვნების მომტანი თვით მამა ბენედიკტე ყოფილა, და არა ის, რომელზედაც ფრანგული გაზეთები ლაპარაკობენ და პასუხის გებაშიც მისცეს ე. ი. **ეპისკოპოსი სარდი**.

თუ რა მიზეზებისათვის დაუშალა მრევლს თავისი ეკლესია, რად ცდილობდა ქართული სკოლის დაკეტვას, ან **უსკუდარის** მონასტერი და ეკლესია რათ მიატოვეს, ამისა ბერებს ვერას დაეკითხებით.

გულში კი ვიცი, რას ფიქრობენ, პირადად კი იძახიან: ჩვენ მორჩილების ფიცით ვართ შეკრული, უფროსი რასაც გვიბრძანებს, ყველაფერში უნდა დავემორჩილოთ.

მაგრამ ერთხელ ჩამივარდა ხელში ერთი ბერი მორჩილი, მას გამოვკითხე და გულმარტობით მიამბო: მართალია, უფროსი მე არ მეტყვის მიზეზს მონასტრების და ეკლესიის დაკეტვისას, მაგრამ მუდამ გვეუბნება კი, რომ ჩვენ ბერები ვართ, არ შეგვეფერება ერის მოვლა, სახორციელო საქმეებში გარევა და ფრანგულ ენის სწავლაო რა საჭიროაო, სამივე მონასტერი დავკვეთოთ, შევიკრიბოთ ერთად, ერთი მადლიანი ჟამნი ვსთქვათო და ვიცხოვროთ მოსვენებაში, როგორც მეუდაბნოთაო“.

აი, რა მიზეზია, რომ **ბ. პატრი ბენედიკტე** ამისთანა კაი კაცობას სჩადის და მონასტრის საქმეს ღუპავს. ამავე მიზეზით, მონასტრის მშვენიერი ბარმახანა (სტამბა) დაკეტა მამა ბენედიკტემ...

როგორც ხედავთ, ქართველ – კათოლიკეთ **სტამბოლის** მონასტერი არასანატრელ მდგომარეობაშია. ამისათვის აქაური ჩვენი ერის ბერ – მონაზნების, მასთან აქაური ჩვენი თანამგრძნობელი გავლენიანი ვეჟილის, **ქართველ მაჰმადიანი საბრო ბეგი ღამბაშიძის და ირემაძის, რომელიც არის ოსმალეთს საბჭოს წევრი და შეჭრის პროფესორი** – დასკვნა და მოთხოვნილება ეს არის: რადგან **უსკუდარის** მონასტერი და ეკლესია თვით მამა **პეტრე ხარისჭაროვის** დაფუძნებულია და ყოვლად კეთილს შიგ უცხოვრია, უშრომნია ერისათვის და წირვა – ლოცვა უთქვამს, რადგან ქართულ – ფრანგული სკოლა იმავე კეთილ – მოღვაწის აგებულია და 40 წელს უარსნია, რადგან ჩვენი აქაური ქართველ – კათოლიკების თხოვნით თვით განათლებულმა იშუამავლა კარდინალ **ვანუტელთან, რომ ქართველებისათვის აღდგენილ იყო ქართულ ენაზე წირვა – ლოცვა და სამრევლო ეკლესია**, რომელიც აშენდა 1881 წ., სადაც თვითონვე დაინიშნა სამრევლო მღვდლად; რადგან პირველად **ფერი – ქოის** ლავრა აღაშენა, რომ შიგ ლათინის წესის და ბერძნულ – ქართული წესის ქართველი მღვდელ – მონაზონთა რიცხვი თანასწორი უნდა ყოფილიყო და თანასწორად უნდა ეცხოვრათ; რადგან მონასტრის განწყობის წინედ მამა პეტრეს **იერუსალიმში** ქართული წიგნები უბეჭდია და შემდეგაც გახსნა **საფრანგეთში** და თვითვე **სტამბოლშიც** ქართული სტამბა, სადაც გამოსცა მრავალი წიგნები, თვითონ სთხზავდა, თარგმნიდა და ასოთ – ამწყობის თანამდებობასაც ასრულებდა; რადგან ეს ყველა მაღალი თვისებანი მისგან წარმოდინდება მისი ღვთისადმი და მამულისადმი სიყვარულისაგან, მოციქულთა მიბაძვით, რომელთაც მაცხოვარმა დააბარა ღვთიურის სიყვარულით: „მივედით უფროსს, ხოლო ცხოვართა სახლისა ისრაელისა;“ (10 თ. და 6 რიცხვი), რადგან მამა პეტრეს ჰქონდა სული და ლტოვილება მოციქულებრივი და არა მეუდაბნური, თავის სულიერ შვილებსაც, მღვდელ – მონაზონებს უანდერძა, რომ მისს მაგალითს მისდევდნენ და ისინიც მართლა იმის კვალზე დადიოდნენ. იმათ შორისაა კეთილ ხსენებული მაღალსულოვანი **პატრი ალფონს ხითაროვი**, რომესაც ახლაც დიდის პატივისცემით ერი იხსენიებს და მისტირის.

მაგრამ, რადგან ახლანდელი მონასტრის უფროსს **პატრ ბენედიქტე ვარდიძეს** განუზრახავს ამ მონასტრის სახის შეცვლა, როგორც „მართალ მთქმელმა მორჩილმა“ აგვიხსნა და საქმიტაც ისე ჩანს, ვინაიდან მონასტერს ქართული წირვა მოუსპო, ანუ მოასპობინა ეპისკოპოსს სარდის,

ქართველებს ქართული სამრევლო ეკლესია დაუშალა, ანუ დააშლევინა; **უსკუდარში** ეკლესია და მონასტერი წაართვა, ანუ წართმევინა, ფრანგულ – ქართულ სკოლას დაჰხურავს, ანუ დაახურინებს; რადგან აგერ 6 წელიწადია ბ. ბენედიკტეს სტამბის კარიც არ შეუღია, პირიქით, მიცვალებული **პატრი ანდრიას ფრანგულ – ქართული ლექსიკონის მიზეზით ქართველ მღვდელ – მონაზონებს დამასკოს ჰგზავნის უდაბნოში** და მით ხელი შეუშალა მის დაბეჭდას: რადგან პატრი ბენედიკტეს არ გამოჰყოლია მამა პეტრე ხარისჭარაშვილის ღვთის და მამულის სიყვარულით აღზუნებული სული, არამედ აქვს ნამდვილი ასკეტური, მეუდაბნოეური ლტოლვილებანი, ამისათვის მას ღირსად არ ვსთვლით, რომ მოსაყდრედ ირიცხებოდეს. მიხედვით მამულის და ჩვენი განადგურებული მონასტრის სარგებელს, ჩვენ ურჩევთ მამა ბენედიკტეს გადადგეს უფროსობის თანამდებობიდან და ვინმე უფრო ღირსეულ პირს დაუთმოს, რომელსაც შეეძლოს და მიზნად ჰქონდეს მონასტრის უფლების დაცვა და **მშობლიურ ენის პატრონობა, ქართულ ენაზე წირვა – ლოცვის განახლება.**

მამა ბენედიკტემ ამ ჩვენი მოთხოვნის აღსრულებით მაინც დაგვაჯალოს...

და უკეთუ ჩვენმა წერილმა შესაფერისი გავლენა ვერ იქონია, სადაც ჯერ არს, მაშინ ჩვენ ქართველები მზადა ვართ, სხვა ზომებს მივმართოთ და ვაჩვენოთ **ბ. ვარდიძეს** მისი შეცოდებანი, როგორც სამშობლოს წინაშე, ისე აქ გარდახვეწილ ქართველ კათოლიკე ერის წინაშე.

ამასთან, ვიმეორებთ და მოვალედ ვსთვლით ჩვენთვის, მადლობა ვუძღვნათ იმ ფრანგულ გაზეთებს, რომელთაც გამოაქვეყნეს ჩვენი წყლულები, თორემ ჩვენ ვერ გავბედავდით და ეს წყლულები სიკვდილამდე მიგვიყვანდა.

„სახ. გაზეთი“, N 364, 1911 წ.

**ავეტორი 6 – ი**  
**(უცნობი ფსევდონიმი)**  
**კათოლიკე ქართველები კონსტანტინეპოლში**  
**(საკუთარ კორესპონდენტისაგან)**

ზამთრის ნისლიანი დღეა. ვზივარ კონსტანტინეპოლის ერთ ბინძურ ქუჩაზე. ერთ ბინძურ სახლის პატარა ოთახში და სევდით შეპყრობილი სივრცეს მივშტერებივარ. ქარი, თითქო გაბრაზებული დაუპატიჟებელ სტუმრის წვევაზეო, ზუილით ეცემა ჩემს ფანჯარას და შიგ თვალებში მაყრის წვრილ წვიმის ნაშხეფებს. ყიათი დარი თითქო განგებ ცდილობს სევდა გამოიოკეცოს და უიმედობით შეიპყროს ჩემი გული. სწორედ, ამ დროს მომდის პატარა ბარათი ქართულად დაბეჭდილი: „უფროსი წინამძღვარი უმანკო ჩასახების კათოლიკე ქართველთა ძმობისა, გილოცავთ ახალ წელიწადს და გთხოვთ დაესწროთ 14 იანვარს (ახალი სტილით), დილის ათ საათზე ქართულ გალობით წირვას, ამ წელსაც მინიჭებულს წმიდა მამა პიო მეათესაგან“.

უნდა გამოგიტყდეთ, მაინც და მაინც დიდი ღვთის – მმოსავი და მლოცველი არა ვარ. მაგრამ სიხარულით ველოდი მეორე დღეს და კიდევ დანიშნულ დროს კათოლიკე ქართველთა ეკლესიაში ვიყავი. იქ უკვე თავმოყრილიყო კონსტანტინეპოლის კათოლიკე ქართველთა პატარა საზოგადოება. თუმცა ნებართვა ქართულად წირვისა მხოლოდ წინა დღით მოსულიყო, თუმცა ქართველები სტამბოლში ძალიან გაფანტული არიან, ავი დარიცაა, მაინც საეკლესიო დარბაზი ქართველებით სავსეა. დიდი თუ პატარა სიხარულით მიეგება ძმობის მოწოდებას და წელიწადში ერთხელ მაინც თავი მოიყარა საგვარეულო სამლოცველოში ქართულად წირვის მოსასმენად.

წირვის წესი იგივე ორტოდოქსალურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რუსის სინოდის მაგიერ პაპი მოიხსენიეს. გალობს ძმობის სკოლის ქართველ მოწაფეთა გუნდი. **სამწუხაროდ, გალობა ვერ გაკმაყოფილებთ. ალაგ – ალაგ ქართულ გალობის მაგიერ გესმით ბერძნული ერთხმოვანი ბაიათი.**

ქართულ კულტურისათვის ასე მოსიყვარულე, გულით მოსამსახურე ძმობას არ ეპატიება გულგრილობა ქართულ გალობისადმი. ბევრი მამაგებელი, მტერი და ორგული ჰყავს ქართულ კულტურას თვით ქართველებშივე, მაგრამ რაც უნდა დაცემული იყოს ქართველი, რამდენადაც ბინძური გულით უცქეროდეს ის მშობლიურ კულტურას, მაინც ისიც ვერ შესძლებს უარჰყოს, რომ **ქართველთა როგორც საეკლესიო, ისე საერო მუსიკა მეტად მდიდარია.** ქართველის კულტურული შემოქმედება, საზოგადოდ, პოეზიაში შეურყევლად დამკვიდრებული უნდა ვცნოთ. მაგრამ **ფუჭია სიმდიდრე, თუ მას პატრონი არ ეყოლება.** იმედია, ეს მოვლენა აღარ გამეორდება.

წირვის შემდეგ მთელი საზოგადოება ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სურათებით მორთულ დარბაზში შეიკრიბა. გაიმართა მილოცვა, გესმით ჩინებული ქართული, ძმური საუბარი, ერთმანეთის მოკითხვა. მაინც ჩემი ბედი ასეთია, სადაც უნდა წავიდე, უსათუოდ ქართველ საზოგადოებაში მოვხდები. თუმცა ათასჯერ თქმულა, მაგრამ ვიდრე ბოროტება არ მოსპობილა, მეც განვიმეორებ: **რამდენად ტფილისს შორდები, იმდენად ქართველობა დაუცემელი და შეურყეველია. მაინც ამ ჩვენ დედა – ქალაქში მეტად გამრავლდნენ ქუჩის დიპლომატები, მამულ – დედული გაფლანგეს, ხელცალიერი დარჩნენ, ეხლა მეტი რაღა გზა აქვთ, ქართველ ერის წარმომადგენლად უნდა დასახონ თავისი თავი. და განა კარგს რამეს უნდა მოველოდეთ ამ გზა – კვალ აბნეულ ხალხისაგან? მხოლოდ დროა, ჩივილს თავი დავანებოთ, ცოცხით შევიაარადეთ.**

ორმოციოდე წლის წინად კათოლიკე – ქართველთა რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელი, სამშობლოში შევიწროებულ – შეწუხებულნი, უცხოეთს გადაიხვეწნენ, რათა აქ მაინც გაეჩაღებინათ კულტურული მუშაობა და აქედან შებრძოლებოდნენ სამშობლოში გამეფებულ ბოროტებას. პირველად მათ ვხედავთ საფრანგეთის ქალაქ **მონთობანში**, აქ დაბეჭდილი ქართული წიგნები დღესაც შეგხვდებათ. აქედან ეს მოღვაწენი გადმოვიდნენ **კონსტანტინეპოლში**, დაარსეს ძმობა, შეჰქმნეს მონასტერი და სამშობილოს დაახლოვებულნი უფრო მხნედ შეუდგნენ მუშაობას. სამწუხაროდ, ამ დიდ ადამიანებს არ აღმოუჩნდნენ შესაფერისი მემკვიდრენი.

**ქართულ საქმეში ერთი ამშენებელი რომაა, სამი უსათუოდ დამრღვევი, დამქცეველი.** აქაც ისე იყო. მშვენიერი სტამბა უპატრონოდ დარჩა, სამწერლო მოღვაწეობა და წიგნების ბეჭდვა შესწყდა. ქართული წირვა – ლოცვა მოსპეს, დაგმობილ იქმნა პირველ მოღვაწეთა მუშაობა ქართულ ტიპიკონის აღდგენისათვის. რამდენიმე ბერმა წახალისიანებულმა თუ მოსყიდულმა ქართველთა მტრების მიერ გააფთრებული ბრძოლაც დაიწყო ქართულ ტიპიკონის წინააღმდეგ. ძმობა ორად გაიყო. საერთო სისუსტემ დროებითი გამარჯვება ქართველობის ორგულთ არგუნა. ესენიც შეუდგნენ იმის მოსპობას, რაც წინედ გაეკეთებიათ.

საუკეთესო საშუალება ამ შემთხვევაში იყო მრევლის და ეკლესიის გათიშვა. **ეკლესია შენობა ხომ არ არაა, ესაა მორწმუნეთა საზოგადოება.** თუ ძმობას მრევლს ჩამოაშორებ, უნებლიედ მის ზნეობრივ გავლენასაც დაამცირებ. და აი, სწორედ ძმობისავე რამდენიმე წევრის უკუღმართი მოქმედების წყალობით ქართველი მრევლი მოიშალა. ქართველები დაფანტეს და სხვა და სხვა კათოლიკურ ეკლესიებს მიაწერეს, რომელთა რიცხვი **კონსტანტინეპოლში** მრავალია. ამნაირად კათოლიკე ქართველს მოესპო საშუალება ბავშვი ქართული წესით მოენათლა, გარდაცვალებული დაესაფლავებია და სხვა. მაგრამ დამარცხდნენ ბოროტი მოღვაწენი. გამომზეურდა თუ არა მათი ბნელი მოქმედება, მყისვე მიიმალნენ და ეხლა ჩუმად წყვდიადში, სამწუხაროდ, მაინც განაგრძობ-

ბენ თავიანთ მავნე მუშაობას. დღეს ძმობის სათავეში დგას რამდენიმე პირი, რომელთა უწმინდესი მისწრაფებაა განაგრძონ ძმობის დამაარსებლის მოღვაწეობა და შეასრულონ ის, რაც მათ ვერ შესძლეს.

კონსტანტინეპოლში ქართველობა მეტად ბევრია. აქ ღარიბიცაა და მდიდარიც. ბევრი ჩინებული ქართველიცაა? თუ შეგროვდა, უთუოდ დაგპატიჟებს და უხვად გიმასპინძლებს. **პოეტურად აჭიკჭიკდება სამშობლოს სიყვარულისთვის. განსაკუთრებით, როცა ღვინით სასმელ ჭიქას აიღებს**, მაგრამ ვერც ერთ ოჯახში მე ჯერ ქართულ მწიგნობრობის ნიშანი ვერ ვნახე. ისევ თუ გინდა ქართული წიგნი წაიკითხო, ქართული გაზეთი იპოვო, ქართველობის ცოტაოდენი ამბავი გაიგო, მაინც ცოტა, ძმობას უნდა მიმართო. მარტო პატარა სკოლაცაა. თხუთმეტი ქართველი ბავშვი სწავლობს და სკოლა ისეთივე „ქართულია“, როგორც სხვა მზგავსი ქართული სკოლები. სწავლა ფრანგულ ენაზე სწარმოებს, მხოლოდ ქართულს ასწავლიან როგორც საგანს. სკოლის ხელმძღვანელნი მოწადინებულნი არიან სულ ქართულ ანეზე აწარმოონ სწავლა, და თუ ეს თავის წადილი ვერ განუხორციელებიათ, მიზეზად სახელმძღვანელოების უქონლობას ასახელებენ. მართლა, ჩვენდა სამარცხვინოდ, საკმაო სახელმძღვანელოები არ მოგვეპოვება. ეხლა თვითონვე ცდილობენ ეს ნაკლი შეავსონ და საკუთარ სტამბაში დაბეჭდონ მეცნიერების ყოველი დარგიდან შესაფერი სახელმძღვანელოები. იმედია, ყოველი ქართველი, რომელსაც შეუძლია ამ დარგში სამშობლოს ემსახუროს, შემთხვევით ისარგებლებს და თავის ნაშრომს მიაწვდის ძმობას დასაბეჭდად.

თუ კათოლიკე ქართველთა სიხარულს ქართულად წირვის შესრულებისათვის მეც ვიზიარებდი, უნდა გამოგიტყდეთ, სევდა ჩემში გაცილებით მეტი იყო. **ნუ თუ იმ ერს, რომელსაც თვრამეტი საუკუნეა რაც ქრისტიანობა მიუღია, დღეს სამშობლო ენაზე წირვა – ლოცვა უნდა ენატრებოდეს? განა ამაზე უფრო მეტი დაგლახება კიდევ შეიძლება?** საერთო დაცემის ხანაში სარწმუნოებაც კი ჩვენ წინააღმდეგ წავიდა. არც ორტოდოქსობამ, არც კათოლიკობამ არ შეგვიბრალა. მესმის კიდევ, როცა წუთიერი სარგებლობით, დიდებით, თუ სხვა გზით მოსყიდვით მიზიდული სუსტი არსება თავის გვარს, ეროვნებას ღალატობს. **მაგრამ ვერ გამიგია, რით მიიზიდეს სომხებმა კათოლიკე ქართველები, პოლიტიკურის სიმღერით?** მართალია, დღეს სომხები უფრო მოხერხებული პოლიტიკოსები არიან, ვიდრე ჩვენ, მაგრამ მაინც და მაინც დიდი სანუგეშო მდგომარეობაში არც ისინი არიან. **კულტურით? ქართველი ერი მათ არც კულტურით ჩამორჩება. მოსყიდვით?** შეიძლება ერთი – ორი, ათი კაცი მოისყიდოთ, მაგრამ ხალხის მოსყიდვა არც ისე ადვილია.

მაშ, მიზეზი თავით ქართველობაში უნდა ვეძიოთ. ვეძიოთ იმ სულიერ – დაცემაში, როცა ადამიანთა საზოგადოება დაკარგავს ერთობის მცნებას, იქცევა ბრმადა, რომელსაც ყოველი ამგლელ-ჩამომგლელი ადვილად ეპატრონება. ჩვენც ეს უბედურება გვეწვია და დროზე ვერ შევნიშნეთ. ეხლა მაინც წამოვდგეთ, წელში გავიმართოთ, დროებითი შეცდომა გავასწოროთ. თუ კათოლიკე ქართველობას დღეს ქართული წირვა – ლოცვა არ აქვს, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველთა ბრალია. თვით კათოლიკე ქართველობაში დღესაც არის საგრძნობელი ნაწილი, რომელიც შეუგნებლობით სამშობლო ენაზე წირვა – ლოცვის შემოღებას ერიდება. ეს დიდი უბედურება არა მარტო კათოლიკე ქართველობისთვის, არამედ მთელი ერისთვის უნდა მოისპოს! მთელი ქართველი ერისთვის შემარცხვენილი პროცესი ქართველთა გასომხებისა. და ყოველ უწინარეს თვით კათოლიკე ქართველობამ უნდა ითაოს.

ქართულ ტიბიკონის აღდგენის საქმეში კონსტანტინეპოლის მცირედი ძმობა ვერაფერს გახდება, თუ ხალხი მას მხარს არ დაუჭერს. დღეს ჩვენ ეროვნულ შემოქმედების ყოველ დარგში

კათოლიკე ქართველთაც საპატიო ადგილი უჭირავთ. მე ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ მათ, მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, შეაგნებონ შეუგნებელთ, შეებრძოლონ ორგულთ, შეადგინონ ერთი კომიტეტი და შესაფერისი ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ საქმეს, **რის ღირსეულად დაგვირგვინება დიდი სამსახური იქნება მთელი ქართველი ერის წინაშე.**

ხოლო კონსტანტინეპოლის კათოლიკე ქართველთა მძობას ვუსურვებ წარჩინებულ წინაპართა საქმე მხნეობით და გულმოდგინებით განეგრძოთ და თავისი მცირედი წვლილი შეიტანონ საერთო ეროვნულ კულტურაში.

სახ. გაზეთი, 1914 წ. N 1094.

### **მესხი კ. გვარამაძე ქართველი კათოლიკენი (წერილი სამეცხეთოდან)**

ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ქართველმა კათოლიკეებმა ნამესტნიკს ქალაქი მიართვეს და სთხოვეს, სომხის ტიბიკონიდან ლათინურ ტიბიკონზე გადასვლის ნება მიეცა; თხოვნაში დაწვრილებით იყო აღნუსხული ისტორიულად, რომ ისინი ქართველის გვარს ეკუთვნიან და საჭიროებენ დედა – ენაზე ლოცვა – ვედრებასა, რომლის ნებას სომხის სასულიერო მმართველობა არ აძლევდა, რადგანაც სომხებად ნათლავდნენ და არა ქართველებად.

ნამესტნიკმა ისტორიულ საბუთებზე დამყარებული თხოვნა შეიწყნარა და ლათინურ ტიბიკონზე გადასვლის ნება დართო. შემდეგ საქმე მიდგა რომის პაპაზე, როგორც კათოლიკეთა ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლობაზე.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომის პაპსაც შეუწყნარებია თხოვნა, ნამდვილად გადასწყვეტს ამ მოკლე ხანში, რომ ყველა კათოლიკე ქართველმა მიიღოს ლათინის ტიბიკონი, რასაც უეჭველია სიამოვნებით მიეგებებიან კათოლიკე ქართველები.

ორიოდე სიტყვით გავაცნობთ გაზეთის მკითხველთ იმ ისტორიას, თუ როგორ და როდის ჩავარდნილან კათოლიკე ქართველები სომხის სასულიერო პირთა კლანჭებში და რა შავი დღეები გამოუვლიათ მათგან. ისტორიით ვიცით, რომ ძველად, როდესაც მესხეთი ოსმალეთის ბრძანებლობის ქვეშ იმყოფებოდა ძალმომრეობით, ცეცხლითა და მახვილით ამაჰმადიანებდა ქართველებსა, როგორც გაამაჰმადიანა აჭარა, ლივანა, შავშეთის და ახალციხე – ჯავახეთის ქართველები. ქართველებ შორის იყვნენ კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნიც, რომელნიც სავაჭროდ მოსულ კათოლიკე სომხებთან ერთად, განურჩევლად ერთმეორისა, ეკლესიებში ლოცულობდნენ, მხოლოდ თავთავიანთ ენებზე.

იმ დროს ოსმალები სომხებს წყალობის თვალთ უმზერდნენ და ხმას არა სცემდნენ. რომ კათოლიკე ქართველებს სარწმუნოება არ დაეკარგათ, დროებით შეუერთდნენ ერთმორწმუნე სომხებს და დედა – ენის ნაცვლად გაუგონარ ენაზე დაიწყეს სომხებთან ერთად, სომხურსავე ტიბიკონზე ლოცვა – ვედრება. თითქმის საუკუნოები გადის ასე, რომ კათოლიკე ქართველები სომხის ტიბიკონზე იმყოფებიან. ამ 40 წლის წინედ კათ. **ქართველებმა მოისურვეს დედა – ენაზე შემოედოთ წირვა – ლოცვა; მაგრამ სომხის სასულიერო მმართველობამ არ მისცა ამის ნება, არამედ სომხებად აღიარა ყველა კათოლიკე ქართველები.** მთავრობასაც ასეთი ცნობები მისცა. მოგეხსენებათ ძველი დროის ამბავიც, ნებასაც არავის აძლევდნენ თავიანთ საჭიროებაზე ხმა ამოედოთ

და ამჯერად ხელ – ფეხ შეკრულნი სომხის სასულიერო წოდების ყურმოჭრილ ყმად დარჩნენ კათოლიკე ქართველები, მაგრამ ბრძოლა მაინც სწარმოებდა. ქართველი კათოლიკეები მაინც თავიანთ ზომებს იღებდნენ და ეკლესიებში დედა – ენაზეც ლოცულობდნენ, მაგრამ საქმე იქამდე გამწვავდა, რომ პოლიციაც კი შეუყენეს ეკლესიებში საზვერავად, რომ დედა – ენაზე არ ელოცნათ. ამის თაობაზე მალე უმაღლესი მანიფესტიც გამოვიდა, რომლის ძალითაც ქართველ კათოლიკებს სამშობლო ენაზე ლოცვა – ვედრება აკრძალათ. მაშინ სკოლებში დაიწყეს დედა – ენაზე ლოცვა–ვედრება. ესეც რომ აუკრძალეს, შემდეგ უცხო ენებზე დაიწყეს ლოცვა და სომხურად მაინც არ ილოცეს, მაგალითად, მღ. ივ. გვარამაძე თათრულ ენაზე ლოცულობდა. ამისთანა შავი დღეები გამოსცადა ტიბიკონის ხელში.

1905 წლის 17 ნოემბრის მანიფესტმა კი ნება მისცა ხმამაღლა მოეთხოვნა კათოლიკე ქართველობასაც თავისუფლება და, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, შარშან ნამესტნიკს მიმართეს თხოვნით და შემდეგ რომის პაპსა, რომლის შედეგიც გახლავთ უკანასკნელი სასიამოვნო ახალი ამბავი, რომ პაპსაც შეუწყნარებია თხოვნა.

„სახალხო გაზეთი“, 1911 წელი, N212.

### **ვლადიმერ ღამბაშიძე † მ. მიხეილ თამარაშვილი**

2 ენკენისთვის იტალიაში ზღვის პირად, საბანაო ადგილს, რომელსაც ეწოდება სანტამარინელა, დამხრჩვალა ჩვენი ცნობილი მოღვაწე მ. მიხეილ თამარაშვილი. რომის გაზეთებში დაწვრილებით აღწერილია ეს ამბავი. მ. თამარაშვილი და ერთი მისი მეგობარი მღვდელი ზღვის პირად ყოფილან. ზღვაში ვიღაც მუშა იხრჩობოდა და შველას ითხოვდა. ჯერ კიდევ მამა მიხეილის მეგობარი შევარდნილა ზღვაში იმ კაცის მისაშველებლად, და მას კი თვითონ მ. მიხეილიც მიჰყოლია დასახსნელად. მენავეებს პირველი მსხვერპლი გადაურჩენიათ. მ. მიხეილი კი მკვდარი გამოუტანიათ, მესამე – უფო – უკვლოდ დაკარგულა...

იტალიის გაზეთი დაწვრილებით აღწერს მის ვინაობას, ღვაწლს და მწუხარებით იხსენიებს დიდ – ბუნებოვან პირს, როგორც „გმირობის მსხვერპლს“.

დაწვრილებით ბიოგრაფიას მ. თამარაშვილისას უთუოდ მერე გამოაცხადებენ მისი დაახლოვებულნი პირნი. ჯერ – ჯერობით კი მოვიხსენიებთ მოკლედ, რომ იგი რომში ცხოვრობდა კარგა ხანია და იქ მუშაობდა.

ქართველი საზოგადოება იცნობს მას მისი თხზულებებით, რომელთაც დიდძალი ისტორიული საბუთები დაედო საფუძვლად. ამ მასალას განსვენებული პოულობდა სხვადასხვა ქვეყნების და მეტადრე იტალიის არქივებში.

1902 წ. გამოიცა 1 – ლი მისი თხზულება: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის მე – 13 საუკუნიდან ვიდრე მე – 20 საუკუნემდე“. 1904 წ. „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარს ყოფენ ქართველ კათოლიკობას“. 1910 წ. გამოსცა ფრანგულს ენაზე ვრცელი შრომა: „ქართული ეკლესია დასაბამიდან ჩვენ დრომდე“.

დაწვრილებით ამ თხზულებების გარჩევა – ეს ცალკე წერილის საგანს წარმოადგენს. ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიებთ, რომ ამ თხზულებაში დიდძალი მასალაა მოქცეული, და ისეთი მასალა, რომელიც დღემდე მივიწყებული იყო და გამოუკვლეველი. ამიტომაც ასეთი შრომა უფრო საგულისხმოა და მნიშვნელოვანი. მ. თამარაშვილის აღმოჩენილი მასალა სხვა მკვლევარსაც შრომას გაუადვილებს.



საქართველოში ყოფნის დროს მ. მიხეილს მრავალი დაბრკოლება შეხვდა სომეხ – კათოლიკეთაგან, რომელნიც უარყოფდნენ ქართველ – კათოლიკობას. იგი მიტომაც წავიდა **რომს**, რომ ისტორიულის, უტყუარის საბუთებით დაემტკიცებია თავისი აზრი და ამნაირად მოეხვეჭა უფლება მათთვის, ვინც მასავით უსამართლო დევნის მსხვერპლი გამხდარიყო. მისმა უხვმა შრომამ, მართლაც, თავისი გაიტანა და, წინად საეჭვოდ დასახული აზრი, საბოლოოდ დაადასტურა. ამნაირად ქართველ კათოლიკეთა ქართველობა უფრო დამტკიცდა და ამ აზრს პაპმაც და მთავრობამაც ანგარიში გაუწია.

მ. მიხეილს სწყუროდა თავის საქართველოში დაბრუნება და იქ მოღვაწეობა, ჯერ კი უნდა დაესრულებია დიდი თხზულება საქართველოს ისტორიის შესახებ, რისთვისაც კიდევ ათვალიერებდა ძველის – ძველ მასალებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მას ვეღარ დასცალდა.

დაასაფლავეს იგი 5 ენკენისთვის **სანტამარინელაში**. ამნაირად შორეულ ზღვის ზვირთებში დაღუპული, შორეულმაცე მიწამ მიიბარა ეს მხნე, სხვისი მოსარჩლეობით გატაცებული მუშაკი. საჭიროა საზოგადოებამ ღირსეული სამაგიერო მიაგოს ასეთ გულმხურვალე მის მსახურს. კარგი იქნება, თუ მისი პატივისცემელნი იკისრებენ მისი ნეშტის გადმოსვენებას და აქ დასაფლავებას. ეს საგულისხმო იქნება აქაურებისთვისაც და უცხოელთათვისაც, რომელთა შორის მრავალი პატივისცემელნი ჰყოლია მას.

არ უნდა მივივიწყოთ და არც უნდა დავსტოვოთ შორს ისეთი ვინმე, ვისი წყალობითაც შორეული უცხოელნი ჩვენს მივიწყებულ საქართველოს ეცნობოდნენ.

## **ს. ქვარიანი** **მ. მიხეილ თამარიშვილის ხსოვნას**

მოაკლდა ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთი საუკეთესო ადამიანი!.. იქ უთხოეთში ჩანთქეს ზღვის ტალღებმა სამშობლოს მოშორებული სახელოვანი ქართველი. სანტა – მარინელაში (იტალიაში) ჩაესვენა სამარეს ჩვენი ძვირფასი თანამემამულე მ. მიხეილ თამარიშვილი... **ის შეიქმნა კაცთმოყვარეობის მსხვერპლი**. აზვირთებულ ზღვაში ირჩობოდა ერთი მუშა, ქართველი მღვდელი გმირულად გადაეშვა მუშის საშველად და შთაინთქა უფსკრულში. საშინელება იყო ჩვენთვის ამ ამბის გაგება. დაიხრჩო სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი. ჩვენს საქართველოს მოაკლდა მხნე და მედგარი მუშაკი, რომლის სამეცნიერო შრომა მიმართული იყო თავის ქვეყნის კეთილდღეობისაკენ და რომელიც მუდამ ჟამს ფიქრობდა თავის სამშობლოზე.

ვიტიროთ საქართველოს ღირსეული შვილი! ვიგლოვოთ ყველამ უდროოდ დაკარგული ჩვენი ძვირფასი მოძმე, გმირობის მსხვერპლი!.. განსვენებული მ. მიხეილი დიდის დიდებით დაასაფლავა **რომის** წმ. იოსების კოლეგიის ძმობამ, რომლისაგან ბევრმა აქ საქართველოში მივიღეთ რომიდან იტალიურ ენაზე მოსაწვევი ბარათი, ფართო შავ – არშია მოვლებული, ნიშნად უღრმესი გლოვისა.

ამ წერილში კოლეგიის ძმობა გამოთქვამს თავის უღრმეს მწუხარებას მ. მიხეილის ტრადიკულად გარდაცვალების შესახებ და უწოდებს მას **გმირობის მსხვერპლს**.

ჩვენ არ ვიცნობდით პირადად ერთმანეთს, მაგრამ ეს არ გვიშლიდა ხელს გვეჩვენებოდა ერთმანეთთან მეგობრული მიწერ – მოწერა. ამ ორი თვის წინად განსვენებული მიხეილი მწერდა გრძნობით სავსე ბარათს. ის მოსთქვამდა თავის ობლობას, თავის სამშობლოს კერასთან დაშორებას.

„22 წელიწადია რაც მოვშორდი ჩემს ძვირფას სამშობლოს, – მწერდა იგი, – მაგრამ ჩემი გული და სული მუდამ დაკავშირებულია მასთან. ჩემი ოცნება, მთელი ჩემი არსება მოისწრაფის მანდ. **მე მწყურია ვიხილო კვლავ ჩემი ამწვანებული სამშობლო, ვიხილო მისი ფირუზი ცა, ვისუნთქო მისი ტკბილი ჰაერი და დავლიო მისი ანკარა წყალი, ჩანჩქერათ გადმოედინილი“.** ამავე ბარათში მოსთქვამდა ჩვენს უმეცრებას და უმოქმედობას.

ვერ აუსრულდა გულის წადილი ჩვენს უბედურ მოძმეს! ვეღარ ეღირსა იგი ცოცხალი თავის სამშობლოს ხილვას... დეე. მშობელმა მიწამ ჩაიკრას გულში თავის ძვირფასი შვილის უსულო გვამი და სამშობლოს ცამ დააპკუროს მას თავის ცრემლები!...

ჩვენს მწირ ცხოვრებაში იშვიათ პიროვნებად უნდა ჩაითვალოს განსვენებული მიხეილი. ღარიბი ოჯახის შვილმა, უბრალო ხარაზმა შექმნა თავისი ბედი და მომავალი, ეს კი მომასწავლებელია მისი დიდი ნიჭის, უდრეკი ენერჯის და შრომის მოყვარეობის, რაც ასე იშვიათია ჩვენში. მან ჯერ სწავლა დაამთავრა **სტამბოლში**, შემდეგ **რომსა** და **საფრანგეთში**. იგი ეკურთხა მღვდლად და ღარიბი ადამიანი შეუდგა გაპნეულ მასალების გროვებას და სამეცნიერო შრომას ისტორიოგრაფიულ სფეროში. სხვა და სხვა მისმა ქართულმა თხოვლებამ დაიმსახურა სამართლიანი ყურადღება. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმოა მისი უმთავრესი ნაშრომი ფრანგულ ენაზე, რომელმაც მიიქცია განათლებული ევროპის ყურადღება. ამ ვებერთელა წიგნში აღნიშნულია მოკლედ საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით კი 700 გვერდზე ვრცლად აღწერილია ქართულ ეკლესიის ისტორია უძველეს დროიდან დღემდე. წიგნში ჩართულია ორი ფერადიანი რუკა და მშვენივრათ აღსრულებული სურათები საქართველოს ეკლესია – მონასტრების და მეფე – მოღვაწეებისა. ამ წიგნის სათაურია: „L’Eglise georgienne des origins jusqu’ á nos jours“ და გამოცემულია 1910 წელს. აი, რას მწერს განსვენებული მიხეილი ამ წიგნის შესახებ 25 იანვარს 1911 წელს:

„ცხადია, უკვე გაცნობილი გექნებათ ჩემი ახალი შრომა ფრანგულად. თავის ქებას დაჩვეული არა ვარ, მოგახსენებ მარტივ ფაქტს: აქეთ ვინც კი მიცნობდა და ვინც კი ნახა ეს ჩემი შრომა, ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ და ბევრისაგანაც მივიღე ქების და მადლობის წერილები. აგრეთვე, ბევრმა ჟურნალ – გაზეთებმა შესანიშნავი სტატიები მიუძღვნეს ამ ჩემს შრომას. დღემდე ოცამდი მაქვს სხვა და სხვა ქალაქების ჟურნალ – გაზეთები შეკრებილი ამ საგანზე. თუმცა კიდევ სხვა ბევრმა გაზეთმა ილაპარაკა, გარნა მე ჯერ არ შემიტყვია ისენი, თუ რომელნი არიან. ხოლო მე აქამდინ არ ვიცი, **თუ როგორ დააფასა ქართველმა საზოგადოებამ ეს ჩემი შრომა, რომელმაც დიდი ხარჯი მამიზეხა.** ეს კი უხადია, დღემდე საქართველოდან ერთი კაპიკიც არ მიმიღია ამ ხარჯისათვის. ფულს რას ვამბობ, თვით ცარიელი წერილიც კი არ მომსვლია... უფრო საკვირველი ეს არის, რომ ქართულ გაზეთებს დღემდე ხმა არ ამოუღიათ ჩემი წიგნის შესახებ. თუმცა მათი ვალი იყო, სხვა გაზეთებზე წინ მათ გამოექვეყნებიათ ესა. ქართველ საზოგადოების ესრეთი განურჩევლობა მეტათ სამწუხაროა. არ ვიცი, ესრეთი შეუსაბამო ფაქტის შემდეგ **კაცს რაღა გული ექნება, რომ კიდევ საქართველოს სასარგებლოდ იმუშაოს“!?!...**

ეს წერილი მშვენივრათ გვამცნევს ჩვენი პრესის და ინტელიგენციის ინდიფერენტისმს, რაც ასე გულს უტეხს წერილის ავტორს.

არ შევუდგები აქ ამ ფრანგული წიგნის გარჩევას, რომელიც უკვე მქონდა აღნიშნული ამა წლის „სახალხო გაზეთის“ N 286\*ში, აქ მინდა აღვნიშნო უცხოეთის მწერალთა ზოგიერთი აზრები ამ შესანიშნავ წიგნის შესახებ. აი რას წერს, მაგ., საფრანგეთის ცნობილი ჟურნალისტი **ჟოზეფ პეტი**: „სახელოვანმა ავტორმა მიხეილ თამარათიმ მოგვიძღვნა თავის შესანიშნავი წიგნი თავის ძვირფას სამშობლოს ეკლესიის შესახებ **ჩვენს ფრანგულ ენაზე საუცხოვო სტილით, სისწორით და**

გემოვნებით დაწერილი... ეს თხზულება შესანიშნავია ძველი დროის საბუთების და მასალების საქართველოს ეკლესიის შესახებ **ბრძნული კრიტიკით და თავის ქვეყნის მტერთა მიმართ წყნარი ტონით, რაც ქების ღირსია. შიგ გამოსჭვივის მხურვალე, მაგრამ შეგნებული პატრიოტიზმი ავტორისა, რომელიც ერთგვარი სისწორით აღნიშნავს თავის ერის როგორც ბრწყინვალე საქმეებს, ისე შეცდომებს და საშუალებებს, რითაც შეემლო მას თავი ეხსნა როგორც ეკლესიის განშორებისაგან, ისე აკლებად აღუპვისაგან... ის ჩვენ გვაცნობს იმ საქართველოს, სადაც იყო წაღებული ფრიად ძვირფასი საეკლესიო განძი, უფლის კვართი და სადაც ქადაგებდა ანდრია პირველ წოდებული. შემდეგ იქ გაავრცელა ქრისტიანობა საკვირველმა ქალწულმა, წმ. ნინომ. აი, ეს ერი ინახავდა ამ ღვთაებრივ სარწმუნოებას გმირული თავგანწირვით, მიუხედავად სპარსთა, არაბთა და თურქთა საშინელი დევნა – წამებისა. ბოლოს ძალაუვნებურად მიეკედლა საბერძნეთის ეკლესიას, ვინაიდან მას ეხვიენ ირგვლივ აურაცხელი მტრები და ამრიგათ, ამორებდენ რომს. ბევრჯერ სცადეს საქართველოს მეფეებმა და კათალიკოსებმა, რომ ისევ შეერთებოდენ რომის ეკლესიას, იღებდენ დიდი პატივისცემით და აღტაცებით რომის მისიონერთ, რომელთაც უგზავნიდა მისიონერთა კოლეგია; პირველად თეათინები, შემდეგ კი კაპუცინები. ესენი ავრცელებდენ საქართველოში კათოლიკეთა სარწმუნოებას 1840 წლამდე. მაგრამ შემდეგ რუსის მთავრობამ, რომელმაც გააბათილა პროტექტორატი და თავის დაპირებანი ქართველი ერის შესახებ, განდევნა საქართველოდან საშინელ ზამთარში ეს კათოლიკე მისიონერები. ამგვარ შევიწროებით სურდა ერთიანად ჩაექრო საქართველოში როგორც კათოლიკეთა სარწმუნოება ისე ეროვნული სული... თამარათის ნაშრომი ფრიად საინტერესოა არა მარტო შინაარსით, არამედ იმ დიდი შთაბეჭდილებით, რასაც იგი ახდენს; აგრეთვე, საუცხოვო სურათებით. სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მკითხველნი, რომელნიც შეიძენენ ამ დიდებულ თხზულებას, მიუძღვნიან მის ავტორს დიდ მადლობას. ისინი გულის ფანქვლით წაიკითხავენ ამ წიგნში საგმირო ისტორიას იმ ერისას, რომელმაც მიუხედავად ხანგრძლივ და საშინელ დევნისა და ტანჯვა – წამებისა, შეინარჩუნა სიმამაცე, სულგრძელობა, სამართლიანობა და უმეტეს შემთხვევაში დარჩა თავის ქრისტიანული ტრადიციების ერთგული“.\***

ნუღარ შევეხებით უცხოეთის სხვა მწერალთ, რომელთა გარჩევა აქ მეტად შორს წაგვიყვანს. რაც ვთქვით, ისიც საკმარისია განსვენებულ მიხეილ თამარათის ნაშრომის დასაფასებლათ.

საშინელებაა ვიფიქროთ, რომ შეწყდა ამ ძვირფასი ქართველის სიცოცხლის ძაფი, რომ ამიერიდან აღარ ძგერს თავის ბედკრულ სამშობლოსათვის მისი მხურვალე გული, რომ გაცივდა ის მაჯა, რომელიც ქმნიდა შესანიშნავ ნაწარმოებს... ამიერიდან აღარ ბგერს მისი მეტყველი ენა. აღარ გვყავს მიხეილ თამარაშვილი!..

განისვენე სამარადისო ძილით, ძვირფასო ქართველო! შენი სახელი უკვდავია შენს ქებულ ნაწერებში! შენი შარავანდედ – მოსილი გმირული სახე მარად იქნება ცოცხალი ქართული ერის გულში... შენ არასდროს არ დაგივიწყებს შენი მრავალტანჯული სამშობლო!..

„თემი“, 1911 წ. N40.

შენიშვნა: სიმონ ქვარიანის ეს შესანიშნავი სამგლოვიარო სტატია, გაზეთთან ერთად, შენახული იყო ერთ – ერთი სასულიერო პირის კელიაში, საწოლში, ბალიშის ქვეშ.

\* Josef Petit: “Etudes“ 5 octobre, 1910, pp. 148-150.

**კარი მეოთხე  
მასალები სტამბოლის ქართული სახანის  
არქივიდან**



## მირვეთ ხანუმ შაშიკოლლის თხოვნა საფრანგეთის ელჩს

მის აღმატებულებას, საფრანგეთის ელჩს, წარმომადგენელს ბრწყინვალე პორტასთან მორის ბომპასს

რუს – ქვეშევრდომის, კეთილშობილ ქართველ ოჯახის ქვრივის მირვეთ ხანუმ შაშიკოლლის თხოვნა

ჩემი უმცროსი ქალიშვილი სურია, 15 წლისა, შვიდი წელიწადი იზრდებოდა სულთნის სახლში და თავის შესაფერი თათრული სწავლა მიიღო. ენებიდამ იცის ქართული, რუსული და თათრული. უკრავს ფორტეპიანოს. მაგრამ ჩემი მისწრაფებაა, თქვენი განათლება მიიღოს და ფრანგულ ყოფაქცევაში გაიწურთვნას; ამის ნივთიერი შეძლება კი არ მაქვს და ამიტომ მოგმართავთ თქვენს აღმატებულებას უმორჩილესი სთხოვნით, რათა ეს წყალობინებოთ და მთავრობის ხარჯზე მიიღოთ ფრანგულ შკოლაში რამოდენიმე წლით ფრანგულ განათლებაში განსასწავლად.

მთხოვნელი:

1909წ. ენკენისთვე 7/20

## მიხეილ თარხნიშვილის თხოვნა

მიღებულია 18.IV

10 აპრილს 1927

ფრიად პატივცემულო მამაო.

ვინაითგან წმიდა და დიდი პასეჟი ჩვენი მოახლოვდა, ორ – სამ დღეში პასკა ჩვენი დაიკვლის და მიწას ჩავსვენება, რათა აღსდგეს მკვდრეთით ჯანღონით სავსე უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ამისთვის შვენის მამაშვილობას, რომ შვილმა მიუძღვნას რამე ძვირფასი მამას და გაახაროს მისი გული. მეც მინდა ასე მოვიქცე, მარა რა მოგართვათ, რაი მოგიძღვნათ? ქართველებმა იციან, „კაი გულითო“. ეს ჩემი საწყალი გულიც ხომ მაგ თქვენი სავანისაა და რა უყო. მაინც რაში გამოგადგებათ ცარიელა გული, ცარიელა სიტყვებით გავსობილი?! რადგან მე არა მაქვს რა; – სტეფანეს, შეიძლება, ბევრი რამ ჰქონდეს გამოსაგზავნი. ამიტომ სხვას მივმართავ და ვთხოვ, რომ აღდგომა დღეს თქვენც აღგადგინოთ და აღგავსოთ ყოველი სიხარულით და ყოველი ნიჭით. ჩვენი იესოც ხომ მაგას მოელის ამ ბედნიერ დღეს: **ითხოვეთ და მოგეცესთო**. დიახ, ჩემ ძვირფას იესოს ვთხოვ, თავისი ტკბილი სიყვარულისათვის, რათა თქვენს გულშიც განაძლიეროს და უფროდაუფრო ააყვავოს მის მიერ გადმოღვრილი სიყვარული, თქვენ ყველას გულსა და სულსა მოხვდეს მისი სხივი და გაახაროს იგი თავისი უკვდავი სიყვარულით.

ვევედრები ჩემ ტკბილ იესოს და მის ქალწულ უმანკო დედას, რათა თვისი განუსაზღვრელი მოწყალებით აღგისრულოთ ყოველი გულის წადილი თქვენ ყველას, უ. პ. **მამა შიოს, მამა ბენედიქტეს, მამა პეტრეს, მამა პიოს, მამა შალვას, მამა კირილეს, მამა გრიგორის, მამა ივანეს, მამა სტანისლას, პავლეს** და სხვა სავანის წევრს და მოყვარეს და კეთილისმყოფელს!

ამას გისურვებთ ყველას აღდგომილი იესოს სიყვარულით, რომელსაც ყოველდღე ვითხოვ თქვენ ყოველთათვის; გილოცავ მის დიდ დღესასწაულს და გთხოვ, რათა ჩვენთვისაც ილოცოთ... **ქრისტე აღსდგა... ქრისტე აღსდგა... ქრისტე აღსდგა...**

თქვენი უმორჩილესი შვილი

მიხეილ თარხნიშვილიმ.უ. ჩ.

## ვახტანგ ბაგრატიონის თხოვნა

5 აპრილი. 1921 წ.

სტამბოლი

დიდად პატივცემულო ბატონო

აკაკი მეფოდისძე (იგულისხმება ცნობილი აკაკი ხომტარია)

ამით მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ დღევანდელ თქვენთან მოლაპარაკების თანახმად, პარიზში ჩასვლისას ჩემს მისამართს დავუტოვებ საქართველოს დელეგაციის მდივანს შ. ასათიანს და თქვენი შეტყობინებისამებრ ჩამოვალ პარიზში. ამასთანავე, გიგზავნით ვალდებულების ქალაქს იმ ორ ათას ფრანკის შესახებ, რომელიც ჯენტლემენტურად გულუხვად დღეს მიბოძეთ, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნი

თქვენი პატივისმცემელი

ვ. ბაგრატიონი.

## მიხა თარხნიშვილის თხოვნა

მიღებ. 17. III

წმიდა გაბრიელის 13. III. 1927.

ყოვლად პატივცემულო მამა უმფროსო,

თქვენ მიერ გამოგზავნილი ღია წერილი გუშინ (12) მივიღე, ძალიან გამეხარდა რომ მშვიდობით გიმგზავრიათ და მშვიდობითვე სავანეში მიბრძანებულხართ. მადლობა ღმერთს, რომ ყველანი ჯანმრთელად და მხიარულად დაგხვდენ. ჯანმრთელობა, როგორც თქვენ თავად ბრძანეთ, საქონელია თუ ღმერთსაც უნდა. ხომ იცით, რომ მე ამ მხრივ ვერა ვღალანებ: წელის ტკივილი ზოგჯერ ისე გამძაფრდება – ხოლმე, რომ აღარც ჯდომა შემიძლია, აღარც დგომა. წოლა კი ჩემი ხელობაა – ზარმაცობის ნიშანი. მეუბნებიან, ქარები და მჭვალეზიანო, ესრედ წოდებული რევმატიზმები? ეს ჩემზე.

სხვაზე რა მოგწეროთ? მართლა, ამ თვის 10 დოქტორ ივანიცკი აქ იყო. ფული მთხოვა; იტალიიდან პასუხი მიიღეთ – მეთქი, ვკითხე. ჯერ ყოყმანი დაიწყო და მერე მითხრა: – მივიღე. ტელეგრამისთვის მჭირია, მერე ვეღარ მოვალ. მეც ავდეგ და მივეცი. საქმე ამაშია. იტალიელებთან მისულა. იმათ უთქვიათ, ტელეგრამას გავგზავნით და რაც დაჯდება, შენ უნდა გადაიხადო. ფულიც ამისთვის მესაჭიროებაო. ფული გადავეცი და ხელმოწერილი „მოწმობა“ ჩამოვართვი, რასაც ამ წერილთან ერთად გიგზავნით.

შ. ინგილომ წიგნებიც მოიტანა და მითხრა: იტალიაში რომ ჩავალ, ადრესს გაცოდინებ და წიგნები ნელ – ნელა ცოტოცობით გამომიგზავნე. შემდეგ გამოგზავნის ხარჯს ვიანგარიშებთ და მთელ ფულს ერთჯერად გამომიგზავნით. მაშ, ჯერ მე წიგნები უნდა გავუგზავნო და მერე ის ფულს გადაიხდის. თქვენ რა აზრისა ხართ, თუ შეიძლება, მაცოდინეთ; როგორც თქვენ ბრძანებთ, ისე მოვიქცევი.

თქვენი ოთახიც დავაცალიერეთ. ხატებიანი კალენდარი ერთმა ძმამ წაიღო. შავი, შევსილი პატარა წიგნაკები (არ ვიცი რა ენაზე იყო დაწერილი) პატრი გაიერმა წაიღო ბიბლიოთეკისთვის. მე თვითონ უთხარი, წაიღე – მეთქი. ამაზე რას ბრძანებთ, შესანახნი ხომ არ იყვნენ? ვასოს კიდობანი კიდევ იმ ოთახშია. არ ვიცი, რა უყო. არ შეიძლება ვასოს ადრესი გამოგზავნოთ – თუ გაქვთ – და კიდობანი თავისი შინაარსით პატრონს გაუგზავნო? ან მანდ გამოგიგზავნი. ტყვილა აქ რათ უნდა ეგდოს უხმარებლად.

რომიდან ჯერ პასუხი არ მომსვლია. არ ვიცი რუდოლფს რა დაემართა. შეიძლება, ისიც ავით არის, ან მოწერის მაგიერ მანდ მოეწერა. იმასაც ერთ ღია წერილს უგზავნი და ვთხოვ, წერილის პასუხი მაცოდინოს. რასაც მომწერს, თქვენ გამოგიგზავნით. ჯერჯერობით კი უნდა მოვითმინო და ველოდე... ველოდე... ველოდე.

დიდის პატივისცემით მომიკითხეთ ყველანი, მამანი, ძმანი, თუმცა ერთი ძმის მეტი არა გყავს, და სხვანი. უფლის მიერ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და ილოცეთ მამაო, ჩვენთვისაც... თქვენი დიდი პატივისცემელი მონა – მორჩილი

ძმა მიხა თარხნიშვილი მ.უ.ჩ.

## გრიგოლ გვაზავას თხოვნა

გენუა, 12 მაისი 1922

ძმაო აკაკი!

საქართველოს საკითხი ამ კონფერენციაში, აქაც ისე კარგად მიდის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. მე მგონი, ჩვენს საკითხს თანდათან ჰმარხავენ ევროპის სახელმწიფოები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენმა დელეგატებმა დიდი მუშაობა გასწიეს, ცდა და მეცადინეობა, რაც კი შეიძლებოდა მათ მდგომარეობაში, ჩვენებს არ დაუკლიათ, მაგრამ, რას იზამ, მდგომარეობა სწორედ ასეთია, რომ მუშაობას დიდი გასაქანი არა აქვს; მაჩაბელი, ვეშაპელი და მე გენუაში ვართ; ჩხენკელი, მდივანი და სხვები სანტა – მარგარიტაში არიან. ყოველ დღე ვიკრიბებით, თვალყურს ვადევნებთ კონფერენციის მუშაობას და საკითხების მიხედვით შეგვაქვს სხვადასხვა თხოვნა თუ განცხადება. იურიდიული ჩამოსხმა ამ განცხადებისა ზ. ავალიშვილის საქმეა. მერე ვიფანტებით სხვადასხვა დაწესებულებებში ან რესტორნებში, სადაც კი შეიძლება საჭირო პირის ნახვა, დიპლომატების თუ ჟურნალისტების და პროპაგანდას ვეწევით. შედეგი? – წაიკითხავდი გაზეთებში, რომ ჩვენი თხოვნა განუხილველი დარჩა, რადგანაც საქართველო აზიაშია და არა ევროპაში!!! ამნაირად ჩვენ კონფერენციის ოქმებშიდაც ვერ მოვხვდებით. ეს იქნება დიდი უბედურება. მაინც იმედი არ უნდა წარვიწყვიტოთ, რადგანაც პოლიტიკა იცვლება ყოველთვის და შეიძლება მოხდეს ისეთი გადაჯგუფება სახელმწიფოებისა, რომ ჩვენც ბედმა გაგვიღიოს.

– გუშინ შემხვდა ქუჩაში ბუღუ მდივანი. მან მთხოვა, გადმოგცე შემდეგი: „მოსკოვში მთხოვეს, მეშოვნა ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლია სპარსეთში, – კონცესიებს მივცემთ და ყველაფერში მხარს დავუჭერთო. მე მომაგონდა აკაკი და გადაეცი ეს ამბავიო, მომწეროს წერილი თბილისში“.

ეხლა შენ იცი, თუ გინდა, მისწერე წერილი თბილისში და გამოარკვეე მდგომარეობა, რაშია საქმე და რას გპირდებიან.

მე ჩემი მხრივ ვუთხარი, – თბილისში ბავშვები დამრჩა – მეთქი და გთხოვ, ბოლშევიკებმა არ შემიჭამონ – მეთქი. ეს ხუმრობით კი არ მითქვამს, ეს ვუთხარი სერიოზულად და თვალცრემლიანად; მე ჩქარა დავშორდი, რადგანაც აქ პოლიცია თვალყურს ადევნებს ყველას, ვინც ბოლშევიკებს ელაპარაკება. გინახავს ამისთანა უბედურება, როგორც არის ჩვენი მდგომარეობა?!

ეხლა ხმა მოიტანეს, რომ კონფერენცია გადაიდებო. მაშ, ჩვენ მალე წავალთ პარიჟში, იქიდან შეგვატყობინებენ, თუ რამე საინტერესო მოხდა. კარგად იყავი და გამარჯვებით.

შენი გვაზავა

**ლ. ჯაფარიძე (საქართველოს დემ. პარ. მთავარი კომიტეტის დავალებით),  
„პროექტი მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა**

(ასლი)

**პოლიტიკურ კომისიის თავმჯდომარეს!**

მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა განიხილა რა პროექტი მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისა.

საერთო მუშაობისათვის საქართველოს განთავისუფლების და დამოუკიდებლობის საქმეში, რომელიც მოწოდებულ და მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ პარიზში, საჭიროთ აღიარა აღნიშნულ პროექტში ზოგიერთი ცვლილებანი და დამატებანი შეეტანა და თავის მხრივ შეიმუშავა პროექტი შეთანხმებისა, რომელსაც ამასთანავე გიდგენთ.

აღნიშნული პროექტი მიღებულია, აგრეთვე, სოც. რევ. პარტიის და „სხივის“ ჯგუფის მიერ.

უმორჩილესად გთხოვთ, ხსენებული პროექტი შეთანხმებისა აცნობოთ კომისიაში მონაწილე პოლიტ. პარტიათა წარმომადგენელთ.

**პროექტი შეთანხმებისა:**

1. საქართველოში არსდება **ეროვნული ცენტრი**, რომელიც მეთაურობს საქართველოს განთავისუფლების საქმეს. ამ მიზნით იგი მუშაობს შინ და გარეთ: **რაზმავს ერს შეიარაღებულ აჯანყებისათვის, უცხოეთში სძებნის პოლიტიკურ სიმპატიებს და რეალურ დახმარებას.**

2. ცენტრიდან არ შეიძლება გარიყულ იქნას არც ერთი ქართული პარტია, რომელიც საქ. დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგას.

ცენტრში პარტიები წარმოდგენილია თანაბრის რაოდენობით. პარტიას შეუძლიან თავისი წარმომადგენელი შესცვალოს, მაგრამ ახალი წარმომადგენელიც შეთანხმების პრინციპს ექვემდებარება.

3. ცენტრი სცნობს წინანდელ მთავრობას ისე, როგორც დღეს არის, ესე იგი, საგარეო მუშაობის ასპარეზზე; დღიდან ცენტრის დაარსებისა, მთავრობა დამოუკიდებელ პოლიტიკას არ აწარმოებს; როგორც მთავრობის მთლიანი სამოქმედო პროგრამა, ისე ყოველი მისი კონკრეტული ნაბიჯი მუშავდება ცენტრში მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. არსებულ ხელისუფლების ლიკვიდაციის შემდეგ, მექანიკურათ გადამდგარათ ჩაითვლება ძველი მთავრობა, ცენტრი იქცევა **დროებით მთავრობათ**; იგი იწვევს **დამფუძნებელ კრებას**, რომელიც მას ნამდვილ მთავრობათ აცხადებს და უხსნის კრედიტებს. ამასთან ერთად, იგი ადასტურებს იმ კანონებს და რეზოლუციებს, რომლებიც წინ და წინ შემუშავებული იქნება ცენტრის მიერ.

5. საპარლამენტო არჩევნები ხდება არა უგვიანეს ოთხი თვისა დღიდან დროებით მთავრობის შექმნისა.

საარჩევნო კომისიები შესდგებიან პარტიათა თანაბარი წარმომადგენლებისაგან.

7. ერობა – ქალაქების სათავეში ინიშნებიან, ახალი დროებითი გამგეობანი კი შეთანხმებით.

8. მთავრობა აღნიშნავს დეკლარაციაში, რომ იგი მართავს დემოკრატიულ საფუძველზე და რომ უარყოფს რეკვიზიციის სისტემას.

სათანადო ორგანოებთან მოლაპარაკებას ამ საკითხის შესახებ მთავარი კომიტეტი ანდობს შემდეგ პირებს: **ნ. ნიკოლაძეს, გრიგოლ ვეშაპელს, გრ. გვაზავას, პ. სურგულაძეს, ლ. ჯაფარიძეს და რ. გაბაშვილს**, რომელთაგან აუცილებლად ოთხმა პირმა უნდა მოაწეროს ხელი შეთანხმების პროექტს.

საქართველოს დემ. პარ. მთავარი კომიტეტის

დავალებით **ლ. ჯაფარიძე**

24 დეკემბერი 1921 წელი.

**სტამბოლი.**



**შეერთებული კრება: სტამბოლში** მყოფი ცეკას წევრებისა, ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენელთა, მთავრობის ადგ. წარმომადგენლისა და პოლიტ. კომ. სოც. დემ. წევრებისა.

დაესწრენ: **ხომერიკი, ვ. ჯუღელი, არსენიძე, ელიავა, გვარჯალაძე, ჭუმბერიძე, ყიფიანი, წულაძე, ჭავჭავანიძე და შარაშიძე.**

განსახილველია: დემოკრატიულ „ნაც. დემ“. პარტიის ცენტრ. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების შესახებ.

**ნ. ხომერიკი:** წარმოდგენილი პროექტის მიღება შეუძლებელია, როგორც პოლიტიკურად, ისე მრავალი პრაქტიკული მოსაზრებით. ყველა პარტიების ერთ დონეზე დაყენება და პარიტეტული პრინციპის მიღება იმ უფლებით, რომელსაც ისინი ანიჭებენ პოლიტ. კომისიას, მიუღებელია. ჯერ ერთ პარტიას, გარდა „ფედერალისტებისა“, საჯაროთ არ გამოუთქვამთ, რომ ისინი არსებულ „საბჭოთა“ წყობილების მტრები არიან. ამიტომ, რომ გარდა ჩვენი პარტიისა არც ერთ პარტიას არ სდევნიან და „სხიველებს“ და შენგელაიას ტიპის ესერებს თავზე ხელს უსვამენ ბოლშევიკები, რადგანაც მათ ჯერჯერობით მხოლოდ ის გააკეთეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან. პრაქტიკულად ხომ შეუძლებელია, რომ პარიტეტულმა ცენტრმა ხელმძღვანელობა გაუწიოს საზღვარ გარეთ მუშაობას და მერე მექანიკურად იქცეს მთავრობათ, დამფუძნებელი კრების იმ სახით მოწვევაც მისი გამასხარება იქნება.

მცირე აზრთა გამოთქმის შემდეგ, ერთხმად აღიარებულ იქმნა მიუღებლობა დემოკ. პარტიის პირობებისა და მიღებულ იქმნა შემდეგი დადგენილება:

განეცხადოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთ, რომ მათ მიერ წამოყენებული პირობები შეთანხმებისა ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან ის სავსებით ეწინააღმდეგება ამას, წინათ საზღვარ გარეთ მიღებულ შეთანხმების პირობებს. მეტის დათმობა, რაც იმ პირობებში იყო, ჩვენთვის შეუძლებელია, როგორც პოლიტიკურათ, ისე მრავალ პრაქტიკული მოსაზრებით. მიეცეს დემოკრ. პარტიის წარმომადგენლებს წინადადება, ერთი თვის განმავლობაში გამოარკვიონ თავიანთი პოზიცია, უნდათ მათ ჩვენთან მუშაობა თუ არა. ეცნობოს ეს დადგენილება **პარიზში** და საქართველოში მომუშავე ამხანაგებს და ეთხოვოს პასუხი, რაც შეიძლება, დაჩქარებით.

თავმჯდომარე:

დედას ხელს აწერს **ნ. ხომერიკი.**

მდივანი: **კ. სულაქველიძე.**

## მიმართვის ბარათები

Association desGeorgiens Catholiques  
en France

ქართველ კათოლიკეთა  
საზოგადოება  
საფრანგეთში

PARIS, le21 ოქტომბერი 1930.

Secrèteriat general:

3, Villa d'Orléans – XIV”

ძმაო პეტრე!

აჰა, ერთი კვირაა, რაც პარიზში ვარ. ლაბირენტია პარიზი და ვიკარგები ქუჩებში. მდგომარეობა აქ უფრო ცუდია, ვიდრე მანდ, მით უმეტეს, რომ ქართველობა, დაქსაქსული და დაყოფილი, სამტროთ არის გადაკიდებული. პარტიული ბრძოლა და ქიშპობა იპყრობს თვითეულ ქართველის შრომას და მეცადინეობას. საერთო არაფერი კეთდება არც მაღალ და არც დაბალ ფენებში. კოლონიის სხდომაზე (კვირას) დავესწარი და იქ ვინახულე გვაზავა. ცხადია მე შენი მდგომარეობა მოკლეთ და რეალურათ უთხარი. პასუხი ასეთი იყო: მეც მივწერეო. აქ არავითარი გამოსავალი არ გვაქვსო და თვითეული არსებობისთვის ვიბრძვითო. აქეთ არაფერია. რეალობიდან ძალზედ დაშორებულნი არიან. ყვირილის და ჩხუბ – კამათის მეტი არაფერია. მინისტრებიც ვნახე ჟორდანიასთან, გარდა რამიშვილისა, რომელიც არ გამოჩნდა. უკვე ჭორების ქსელები გაიბა, თუ ვისთან (რომელ ჯგუფთან) ვარ. ვისთანაც გავივლი, მეორე ეჭვიანობს. თვით მე ჯერეთ უბინაოთ ვარ და უკვე გამიჭირდა. არც კოთოლიკებს ჰქონიათ თანხმობა და რეალური მოქმედება. ვნახო, იქნებ სული ჩაუდგა მაინც ამ ჯგუფს და როცა მოვეწყობი, მაშინ შეუდგები. ცხოვრება ძვირია: ყავა 2 fr. სადილით მინიმუმი 10fr. და აგრეთვე, სავახშმოთ 10 fr. ოთახი უბრალო თვეში 300 fr – ოტელი ღამე 22 fr. ხედავ? თუ აქ არ იმუშავე, ცხოვრება არ შეიძლება. ხალხი ბევრი ვნახე ამ კვირის განმავლობაში, მაგრამ გამარჯობის მეტი არაფერია.

ფეხი არ იცვალთ, ვიდრემდის არ მოვეწყო

და რამე გამოვძებნო. გამარჯობით.

პ. შალვა (იგულისხმება მღვდელი ვარდიძე შალვა).

X X X

24/ – VIII – 20

ქ. ბერლინი

დიდად პატივსაცემო ძვირფასო ბატონო აკაკი,

მაიერ – პალერმა გამომიგზავნა წერილი (ავტომობილების შესახებ) და მთხოვა, თქვენთვის მომეწოდებინა ეს წერილი და რეკომენდაცია. მე მხოლოდ ერთი შემთხვევით გითხრათ, რომ მაიერ – პალერი იშვიათი პატიოსანი პიროვნება არის. რაც შეეხება ავტომობილებს, მე იგინი არ მინახვან და არ ვიცი, რა ღირსებისა არიან.

ჩემის აზრით კი, თუ ოდესმე დაგჭირდებათ სწორე და სვინიდისიანი ცნობების მიღება **გერმანიიდან**, შეგიძლიათ სავსებით ენდოთ **მაიერ – პალერს**.

მერწმუნეთ, ბატონო აკაკი, რომ მე თქვენ დიდს პატივს გცემთ და დიდს მნიშვნელობას ვაძლევ თქვენს მოღვაწეობას საქართველოს საკეთილდღეოდ და მხოლოდ ამიტომ ვბედავ ეს რეკომენდაცია გაუკეთო ბ – ნ **მაიერ – პალერს**.

ჩემი მეუღლე და ბავშვები გიძღვნიან გულითად და პატივისცემით სალამს.

თქვენი სურვილის თანახმად, ვინახულე ქალბატონი **ბრაუნისა (წერეთლის ასული)** და გადავეცი, რომ წასვლის წინ თქვენ ჩახველით მის ოთახში გამოსათხოვებლათ, ხოლო სახლში არ დაგხვდათ. მთხოვა, თუ შემთხვევა მექნებოდა, გადმომეცა მისი გულითადი მადლობა.

გთხოვთ მერწმუნოთ ჩემს თქვენდამი განუსაზღვრელ პატივისცემაში.

თქვენი **გიორგი კერესელიძე**.

g.v. Keresselidze

Haudenbergsh. 15.

Berlin Charlottenburg.

X X X

თბილისის მოქალაქე **აკაკი მეთოდისძე**

ქალაქის თავი **ხომტარიას**

\_\_\_\_\_.  
ნოემბერი. 1919 წ.

N 1235

ვინაიდან ქალაქის საავადმყოფოები საჭიროებენ სხვა – და – სხვა ინსტრუმენტებსა და აპარატებს, რომლებიც ადგილობრივად არ მოიპოვებიან, ქალაქის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, შეიძინოს ხსენებული საგნები თქვენი საშუალებით საზღვარ გარეთ, გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ კეთილი ნებით და თანდართულ სიის თანახმად, შეიძინოთ ინსტრუმენტები და აპარატები ჩვენი ქალაქის თვითმმართველობისათვის, თქვენი ხარჯით, რაიც აგინაზღაურდებათ ჩამოსვლისთანავე.

თბილისის ქალაქის მოურავი / მაგიერ ქალ. გამგ.

**წევრი აკ. პაპავა**

საქმის მწარმოებელი /ხელწერა არ იკითხება/

X X X

**ლიევი**, 4 ოქტომბერი. 1920 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი

სამწუხაროდ, ჩემ წამოსვლის წინ ვერ მომიხერხდა თქვენი ნახვა. ამიტომ მოგმართავთ წერილით და თუ შემეძლება, რამე დახმარება გაგიწიოთ თქვენ საქმეებში, მე ამას დიდი სიამოვნებით და თანახმად თქვენი დავალებისას, შევასრულებ.

მე ვიცნობ აქაურ თუთუნის ქარხნებს და თუ თქვენი თუთუნი ჯერ არ გაყიდულა და თუ თქვენ ფასებს და აგრეთვე, ერთ კილოგრამ თუთუნს ნიმუშად გამომიგზავნით, მე იმწამვე შეუდგები მუშაობას მის გასასყიდათ.

თქვენ ბოლო ხანებში ბრძანდებოდით **გერმანიაში** და ამის მიხედვით მარტო გაგახსენებთ, რომ მე, აგრედვე, შემოდლიან კარგ პირობებში ვიშოვნო **კრუპის** (F. Rrupp) სხვადასხვა მაშინები მეტალის, ტყის საქმის და სხვა შესამუშავებლად. აგრედვე, ყველაზე ეკონომიური **ლოკომობილები** გადამთობობით (перегреватель), რომელიც ნორმალურ მუშაობაში ხარჯავს 4,5 – 5,5 გირვანქა ორთქლს ცხენზე – საათზე (Wolr Magdeburg).

თუ დაგჭირდეთ დახმარება, გთხოვთ ამ მისამართზე შემატყობინოთ.

ბევრს გულითად სალამს გიძღვნით თქვენ და ქალბატონ **მინადორას**

თქვენი პატივისმცემელი

... **მანსვეტაშილი**

X X X

Paris le – 29 მაისს 1922

ძმაო **აკაკი**,

აქ იყო **ჰანიბალი**, მომეჩვენა და გაჰქრა. ალბათ წავიდა. არ ვიცი, რისთვის გამოგზავნე, მაგრამ თუ რაიმე საქმე გაქვს, მე შემატყობინე და ვეცდები აგისრულო ყოველი დავალება.

შენი საქმისთვის **პეჟოსთან** მე ვინახულე **ლიანოზოვი**. მან მითხრა, რომ შენს წინადადებას პეჟო არ ჰღებულობსო. პეჟო ჰკისრულობს ახლავე ასი ათას ფრანკს და მერე დანარჩენის ნაწილობრივ გადახდას.

მაშინ წავედი ადვოკატთან – **კონსონთან** – მან მითხრა, საქმე წარმოებაშია და უნდა მოვითმინოთ. რაც გინდა იყოს, იმის მეტს ხო არ წავაგებთ, რაც რომ გადასახდელათ მიგვაჩნიაო. მეც მგონია, სჯობია საქმემ იწარმოოს.

გარდა ამისა, აკაკი,, გთხოვ შემიტყო და შემატყობინო, გადასცა თუ არა **ა. ჯაყელმა** ჩემს ცოლს ფული, რომელიც მე იმას გავუგზავნე **თბილისში**. მე ეს ამბავი ძალიან მაწუხებს, რადგან არ ვიცი, ფული მოუვიდა **ნინას** თუ არა. გენაცვალე, ჰკითხე **ჯაყელს** და შემატყობინე.

მე **ჯაყელს** ერთი წერილი გავუგზავნე, მაგრამ პასუხი არა მაქვს, ალბათ არ მიუღია. წერილი გავუგზავნე **ბერიძის** კანტორის მისამართით, რადგანაც მისი ადრესი არ ვიცოდი.

დიდი პატივისცემით

შენი **გ. გვაზავა**

X X X

საქართველოს რესპუბლიკის

დიპლომატიური მისია

**კონსტანტინეპოლში**

1920 წლის სექტემბრის 6 – ს

N 1415

მ ო წ მ ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო კონსტანტინეპოლში ამით ამოწმებს, რომ კონსტანტინეპოლში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე **ჩილინგაროვი ალექსანდრე** მიემგზავრება სამშობლოში მშობლების სანახავად. თუ მას უწევს ჯარში სამსახურის ვადა, აუცილებელია მისათვის დროებით კვლავ დაბრუნება **კონსტანტინეპოლში**, რათა აქ გაასწოროს ყოველივე საქმე

ინგლისელების საზოგადოება „შენგერ კომპან“, სადაც მსახურობს ამ ჟამად და საიდანაც დათხოვნილია დროებით დასასვენებლად.

ბ.ა.კონსული ი. გოგოლაძე

მდივანი.....(ხელმოწერილია)

X X X

29/VIII – 1930

ქ. სტამბოლით.

ბ – ნ ურატაძე.

გიძღვნი ქართულ სალამს. სრულიათ დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ სრულათ გახსოვთ ჩვენი სავანე, სადაც სხვებთან ერთათ, თქვენც დაჰყავით რავდენიმე ხანი.

მრავალი თვეა, არ ვიცით რისთვის?, აღარ მოგვდის თქვენი გაზეთები, რომლებიც გამოდის პარიზში და რომლების წყალობით თვალ – ყურს ვადევნებდით ქართველ ლტოლვილთა ცხოვრებას და ოდნავ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასაც. ჩვენი წინამძღვარი შემთხვევით გაეცნო „დამოუკიდებელ საქართველოს N55 ს“. ძალიან გაიკვირვა ამ გაზეთის მიერ დაშვებული წერილი, სადაც ბნ. ინგილო ილაშქრებს ჩვენი სავანის წინააღმდეგ. მთლად სიმართლეს მოკლებული და სრულიათ უტაქტიკო წერილი ვალდებულს გვხდის მოვსთხოვოთ პასუხი ბნ. ინგილოს, თუ კი იგი იმავე გაზეთის N56 – ში არ მოახდენს ჩვენი სახელის რეაბილიტაციას, რაისთვისაც იმედი გვაქვს თქვენი რედაქცია ხელს შეგვიწყობს.

უკვე, ამ თვის 9 თარიღით მიწერილი გვაქვს რომში და თუ ბნ. ინგილო ვერ დაასაბუთებს წამოყენებულ ბრალდებულებებს, მაშინ მიიღებს პასუხს, სადაც ცხადი იქნება ბნ. ინგილოს მთლათ უსაფუძვლო და უდროო ცილისწამება, რომლის ღირსი, გვწამს რომ, არ ვართ. ცხადია, ჩვენს სავანეს არასდროს არაფერი დაუშავებია როგორც თვით ბნ. ინგილოსათვის, ისე მთელ ქართველ მიგრაციისათვის და ქართველი ერისთვის.

გთხოვთ, გვცეთ პატივი ჩვენს სავანესა და გამოგვიგზავნოთ საჩქაროთ ორ – ორი ცალი N 55 – ის. შედგინებით გვიგზავნეთ როგორც „დამოუკიდებლის“, „ბრძოლის ხმის“ ნუმრები ჩვენი ბიბლიოთეკისთვის ამ მისამართით: (მისამართი.....)

წინასწარ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ჩვენი წინამძღვრის და სავანის სახელით გისურვებთ ყოველივე კარგს. თქვენი თანამემამულე ღრმა პატივისცემითპ. შალვა ვარდიძე.

X X X

საქ. რესპუბლიკის ბატონ კონსულს კონსტანტინეპოლში

31 იანვ. 1922.

თხოვნა

... ტიფლისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსის მსმენელი ივლიტა ანტონის ასული ბერძენიშვილი

მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით რათა ..... ჯერ არს, რომ ჩარიცხულ ვიქნა პრაგის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე მსმენელათ.

ქ. სტამბოლში, ქ.კ. მამათა სავანე მოდლინგში მყოფ მოსწავლე  
მარტის 19, 1919 მან წელსა მიხეილ თარხნიშვილს

ჩემო მიხა!

წარსული თებერვლის 1<sup>ს</sup> შენ მიერ მოწერილი კაიხანია მივიღე და მხოლოდ დღეს გაძლევ პასუხს. შენი წერილი თუმცა ვრცელია და სავსე სულიერი აღმაფრენით, – ქართული „ჟამის „ლაღაღებანი“ ღრმათ შეგისწავლია და შეგითვისებია: **ქართველ პატრიარხს, ანტონ II** – ს ფეხ-დაფეხ მიჰყვებოდი პროზა, იამბიკოდ რომ დაგეწერა – , მაგრამ მაინც არ ამბობ მინახვედრს, რაში-დაც სიმართლე გაქვს და დადებითათ ვერ აბათილებ, რაც შენ არ შეგეხება – იმას, რაც გამოსჭვიოდა ჩემს ნაუბარში. სრულიად დარწმუნებული ვიყავი და ვარ, ჩვენი ტურფა ქვეყნის სიბნელე – წყვილია რომ **შენ ანთებულ სანთლათ მიევილინი**, ჩვენს ეროვნულ განწამებას, რომ მალამათ დაედები, ტანჯვის თუ სიხარულის ჩონგურის სიმებს, რომ მისთვის ააჟღერებ და დასძახებ გოდება – გოდებითა ანუ ქება – დიდებითა განელებას! ეს თუ ასეა, ჩემო მიხა, მამ სხვას ვამბობდი – „ხმა უდაბნოსა შინა მლაღაღებელი!“ და შენ თუ იგი შეიგნე და **(ამის) თვის** მაგიერ, რომელიც სიცრუის და ყალბის სახელწოდებით მონათლვა ვერ გაჰხედე, ნათლათ უნდა დაგენახა ის სინამდვილე, რომლისთვის ... არ არის საჭირო ოქროპირის მეტყველება, **ავვისტინეს** დიალექტიკა, **თესაულიანის** ენა და არც **რუსთაველის კალამი!** მამ შესჭერი ფრთები შენს ექვნიურ სრბოლას, რათა განსჭვრიტო წრფელი გულის გრძნობით და მჭევრი გონების თვალთ სამწუხარო სიდიადე სინამდვილისა. როცა ჩაიხედავ სინამდვილის უფსკრულში, როცა შეცურდები სინამდვილის ზღვაში, მაშინ **უნდა დამღერო, როგორც ურიები ბაბილონიში**, Super flumina babilonis“... შენი მინაწერი ფიცის გალობა, მაშინ მხოლოდ **მიხვდები, ჩონგური რომ არ უნდა შეიმუსროს, სანთელი – არ უნდა ჩაქრეს**. რისთვის? ამ შეკითხვისათვის, რომელსაც შენც სვამ, შემიძლია საპასუხოთ მრავალი ნიმუშები მოგაგონო ჩვენი ისტორიიდან. მაგრამ ვდუმ კერძო მოვლენების სიმოკლეის გამო, რადგან მაინც მწადია დაგანახო ოდნავ სიმართლე და რათა ბნელით მოცული არ დარჩეს შენს გონებაში ჩემი წარსული და ... საქართველოს ისტორიის უმთავრეს და საზოგადო მოვლენას სულ მოკლეთ დაინახავ, სულ მოკლეთ გეტყვი იმ მანვე მიზეზს, რომელმანც არა ერთხელ დასცა **ქართველი ერი, მისი ძლიერება და კულტურა**. ეს იქნება ასე და რა ჩაგახედავ შიდ, მყის სურათი სრული წარმოგიდგება, სინამდვილე ცხადი და მითვე ჩემი დებულება ცამდის მართალი. სადაც ისტორია გესიამოვნება, ეს ვიცი. მამ დავიწყობ:

ეროვნული ისტორია არის გახელმეორება იმავე ერის პიროვნებათა და სხვა და სხვა საზოგადოების ცხოვრება – მოქმედების, რომელზედაცაა საუბარი, მხოლოდ უფრო ფართე ფარგალში. ამ უტყუარ დებულებასთან ერთათ, საჭიროა მეორეც იცოდე. ეს მეორე არის ის, რომ **ისტორია ამ სახით თუ იმ სახით, და მეტ – ნაკლებათ განმეორდება დრო გამოშვებით**. ამ ორი მცნების მიხედვით, ახალი ისტორია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისა ერთი სამწუხარო ძლიერი მოვლენით არის ხაზგასმული. ქართველთა მესვეურნი უფრო ხშირათ **გამბედავნი და ნიჭიერნი** იყვნენ, მაგრამ რაოდენიმეს გამოკლებით, **ყოველთვის თავმოყვარენი, გულფიცხნი და ბოროტათ ჟინიანი**. ქიშპობა და მტრობა ხშირად ავიწყებდათ მათ საერთო სარგებლობასთან შორს მჭვრეტელობას. როდესაც ურთიერთშორის შეჯახებაში ერთი მოიცილებოდა, ეს იყო უარესი სიბოროტით, მავიწყებელი თავისი ქვეყნის და ერის სარგებლობის, რჯულისა, წესისა, კანონებისა და ზნე – ჩვეულებებისა, ვინ **სპარსეთში**, ვინ **ოსმალეთში**, ვინ სხვა და სხვა... და **გარეშე მტრებთან ამოჰყოფდნენ თავს**. იქ, ერთი მოსაზრებით, ერთი ადვილი ღალატით, რომელს **გარეგნულათ მამულის ერთ-**

გულების და აღდგენის ცდას ემახდნენ, შეჰქმნიდნენ გეგმას სამტროს, რაც შეიძლებოდა სასწრაფოთ, დაეცემოდნენ დატოვილ ქართველ ხალხს.

პირველშივე ხშირათ იძლეოდნენ, მაგრამ ხელახლავ მიუბრუნდებოდნენ უფრო გაბოროტებულნი და დაბრაზებულნი; ჰქმნიდნენ უცხოელთა მლიქვნელური რჩევა – დარიგებით ისეთ წესებს, ისეთ გეგმებს, ხშირათ თვით რწმენას და რელიგიას, რომ სრულიათ წინააღმდეგი და მომასპობი იყო, რაც კი არსებობდა სამშობლო მხარეში და თავიანთი დაბრმავებული პირადობისათვის, თავიანთი ცრუ აზრისათვის, ვითომც ქართველი ერის განახლება – აღდგენა უნდოდათ, ყველა გზა და საშუალება, ყოველივე სიბოროტე, ბოროტათ გამსჭვალული მტერთა რჩევა და ძალები მათთვის ხელსაყრელი იყო და როდესაც საქართველო და ქართველი ერი სიკვდილის კარებამდე იყვნენ მისულნი, ისინი მაინც წარბს არ გაშლიდნენ და გაიძახოდნენ: ჩვენი მოქმედება წესიერია, რადგან ჩვენი ჩანგი სამშობლოსათვის ჟღერს, ჩვენი სანთელი ქართველი ერისათვის ანთიაო!

ვიცით მათ ჩანგზე რომ უცხოელთა: სპარსთა, თურქთა, რუსთა და სხვათა ჰანგები ისმოდა, რომ მათი სანთლის შუქი უცხოელთა ნათლით იყო ანთებული ქართველთა სამტროთ. ეს მათ სირეგვნეს არ ესმოდა... სუსტნი შინ; მოღალატეებს უნდოდათ უცხოთა ძალით მძიმე უღლის დადგმა თავისი ნებისთვის და წადილს გასწევდნენ, როდესაც ათასნაირ სიბოროტით და მანქანებით....., თავიანთი ხელისუფლების გასამტკიცებლათ. უცხოელთა რელიგიას, წესებს და ზნე – ჩვეულებებს, ძალით თუ ნებით, ატარებდნენ, მუდამ იმ ფარისევლურ და უკეთური ძალით, რომ მათ უყვარდათ სამშობლო და ქართველი ერი, რომ ამათი აღდგენა, განახლება და აყვავება იყო მათი მოქმედების საფუძველი!...

აჰა, ჩემო მიხა, ჩვენი ისტორია, სინამდვილე, ის სახე, სადაც უნდა ჩაიხედო, რომ დაინახო. მაგრამ, ხომ იცი, საქართველო და ქართველი ერი დღესაც არ არის მკვდარი, მხოლოდ სძინავს!.. როდესაც მემატთანე ვინმე აღგვიდგება და დასწერს მადლიანი კალმით ისტორიას, როდესაც იგი საქვეყნოთ გამოაცხადებს მთელ სიმართლეს, მაშინ, მხოლოდ მაშინ, ჩვენს ქართულს ისტორიაში, მრავალთა მიეცემა სწორი სვლა და საშვილიშვილოთ მათ დაერქმევათ სახელწოდება: უკეთური ანუ მოღალატე!

ეს ყველა, ვფიქრობ საკმარისია. დრო არის შენი წერილის პოეტურ მხარეს შევეხო. არ ვიცოდი, თუ მაგდენათ გიყვარდა მუზია. შენს დასახულ მიზანს ცხადათ არ ამბობ და მხოლოდ იმ მიზნისათვის სდებ საშინელ ფიცს, რომელიც მოითხოვდა, რომ თვითმიზანი ფიცისა უფრო ხორცშესხმული ყოფილიყო. გახელმეორება ფიცისა ამძიმებს და ასუსტებს. შერეული ძველის და ახალის ენის ოდნავ უკარგავს სინარნარეს. ძალიან წამბამაობაა საღვთო წერილის. მოკლეთ, ეს კმარა, რადგან გათავება აღარ იქნება. წერილი ძალიან გაგრძელდება, რაიც არც შენთვის და არც ჩემთვის ხელსაყრელი არ არის, რადგანაც მე აქ სხვა საქმე მაქვს და შენც მანდ დროს დაჰკარგავ, ვინაიდან გართობილი უნდა იყო სხვა და სხვა მეცნიერულ –პოეტიკურ საკითხებით. მეტი რომ არ გავაგრძელო, გიგზავნი „ჩემს ლოცვას“, რომელიც შენთვისაც სახელი იქნება და შენი მასწავლებლის მოსაგონათ დაამდერე არა მარტო შენს სენაკში, არამედ თვით მაცხოვრის საკურთხეველში. მხოლოდ შენს ჩონგურს სიმები არ გაუწყვიტო, რადგან თუ დაგვცალდა, იქნება სხვა დროსაც სხვა საგალობელი გამოგიგზავნო. –

## „ჩემი ლოცვა“

მშვენიერო, ბედნიერო, მცინარო,  
განდეგილი შენ მოგმართავ, ზენარო!  
სახიერო, თვით ნათელი მოვედი,  
განმანათლე, განმიცხოვლე იმედი.  
დავსთმე შენთვის ქვეყნიერი ცხოვრება,  
გული გიძღვენ, ხოლო შენთვის დაშვრება!..  
მხოლოთ შენს მადლს მიყრდნობილვარ ლტოლვილი,  
მწირს მეც შეყრა, განმახლე ცოდვილი.  
მოიხილე, მიეც ძალი ჩემს ნებას,  
რათა მარად მსახურობდეს შენს მცნებას,  
ცხოვრების გზა გავიკაფო ბედ – შავმან,  
სალმობითა ზვირთნიც განვლოს ჩემ ნავმან.  
შეისმინე ტანჯულ სულის ჩივილი,  
განმასვენე, ამაშორე ტკივილი!

**– საქართველოს გაუთხარეს უფსკრული –  
აღმიდგინე, გამიახლე მამული!**

მისთვის მსხვერპლათ გეწირები ცოცხალი,  
დაუბრუნე მას ცხოვრება ახალი!  
ყვა – ყორნები მასზე თარეშს ჩვეულნი,  
მის ხორცს ჰგლეჯენ, მის სისხლს სვამენ წყეულნი!  
როდემდისინ უნდა მისთვის კვნესოდეს  
და მის ტანჯვის ცეცხლით გული დნებოდეს?!  
განდეგილის შენ ხარ სასო, ზენარო,  
გიძღვნი ცრემლსა საკმეველად, მცინარო!  
შენ მოგმართავ, სახიერო, მოვედი,  
მომეც შვება, **განმიახლე იმედი!**

სტამბოლში. შ.ვ. (შალვა ვარდიძე)

ამ წერილს ვათავებდი და შევიტყვე, რომ თქვენ უკვე დიდი ხანია მორჩილათ აღკვეცილხართ და ამ ჟამათ რეტრეტში ყოფილხართ, წერილს მაინც არ გამოვცვლი და გისურვებ მიზნის განხორციელებას. იმედია, მყუდროებას არ დაგირღვევ და მიიღებ ყოველივეს შენდა საკეთილოდ და გასაწურთვნად შენი...

N13. თქვენი რეიტრეტის გამო, ამ წერილის გამოგზავნა ერთი კვირით გადავტოვე. დღეს 27-ს მარტს გიგზავნი.

(ხელწერა) **შ. ვარდიძე**

## ჰაიდარ ჯაფარიძე

ძვირფასო ანტონ!

ძვირფასო, გისურვებ ცხოვრებაში კარგათ და ჯანმრთელად ყოფნას და გისურვებ ყოველივე იმ მიზნების განხორციელებას, რომელიც თქვენს ფიქრებში გაქვთ ჩასახული.

ბატონო ავთანდილ, მივიღე თქვენი გამოგზავნილი ძვირფასი წერილი. გახსენებისათვის მადლობას მოგახსენებ.



ბატონო ავთანდილ, წერილიდან სჩანს, რომ ბატონი ვასილი ყოველ საქმეს სანტიმით ზომავს. რა თქმა უნდა, ყველა საქმის ადამიანმა ასეთ უნდა მოიქცეს და ბატონი ვასილიც ვალდებულია, ყოველივე საქმე სანტიმეტრით გაზომოს. ასეთ რომ არ მოიქცეს, ჩვენსავით კოტრი იქნება; რა თქმა, უნდა ყველა საქმის კაცი თავის შემოსავალს პირველ პლანში მიიღებს. ამიტომ ვასილიც მართალი არის. რა თქმა უნდა, ვასო შეიძლება ჩემთვის ჩემს საქმეებს ვერ მოახერხებს და საქმე წამიხდებოდ, ვფიქრობ, ამიტომ მართალი არის – ყველა ადამიანი თავისი თავის შემოსავალს სხვისი საქმისთვის არ გასცვლის. ამიტომ ვერავის ვერ გაუმჯავრდებით და ვერც დავემდურებით. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი თავისი საქმის პასუხის მგებელი თვითონ არის, შენ რა შეგიძლიან, უთხრა, ამიტომ აქა არამცთუ ვასილი(ა) დანაშაული, ჩვენი ბედი არის, რაც გვარგუნა ჩვენმა ბედმა, ის უნდა ვწიოთ. ეს არის ჩვენი ბედის წერა. ხომ იცი, „ერთს ბეთს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ. ერთგულათ ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი“. აი, ეს სიტყვა ჩვენთვის არის ნათქვამი. ამიტომ ჩვენ ერთგულათ ვიყოთ, საკმარისია. სხვამ რაც უნდა იგი თქვას, ჩვენი გულები ერთი იყოს, საკმარისია.

ბატონო ავთანდილ, უკაცრავათ თავი გატკინეთ. მხოლოდ რა უყოთ. ჩვენ ვალდებული ვართ ერთმანეთს გული გაუხსნათ. ჩვენ ერთი მეორეს თუ ვერ გავიტანთ, აქ ჩვენც ვერავინ ვერ გაგვიტანს. ამიტომ ვალდებული ვართ ერთმანეთს, ჩვენი ვინაობა ერთმანეთს მივახდინოთ. აი, ამიტომ თქვენს აქ ყოფნის დროს ჩემი მდგომარეობა თქვენ გაგიზიარეთ. რა უყოთ ყველა, ადამიანი თავისი საქმის პასუხის მგებელია. თქვენს ხელში არასფერი რომ არ არის, ეს ქე ვიცი. ამიტომ ნუ შეწუხებთ, ჩვენც მშიერი არ დავრჩებით, გამჩენი მოწყალეა. ვასო არ იქნება, ხასანა – იქნება. რა უყოთ, თავის რჩენისათვის ყოველივე საშვალეა ადამიანმა უნდა მონახოს, ამისათვის ქთხოვთ, თქვენ არ შეწუხებთ. მე სადაც იყოს, თავს დავირჩენ, მხოლოდ თქვენზე ერთი თხოვნა მაქვს, ერთმანეთს ნუ დავივიწყებთ, ყოველთვის წერილი მომწერე, ერთმანეთის მდგომარეობა ვიცოდეთ; ვინ იცის, ადამიანს ცხოვრებაში ადამიანი დაჭირდება. ამიტომ ერთმანეთს ნუ დავკარგავთ, ვიცოდეთ, ვინ სად არის და რა საქმეს შობა. ჩემი თქვენზე თხოვნაც ეს არის. ორი დღის გაცნობით ჩემს გულში ჩასახეთ ნამდვილი ადამიანური შთაბეჭდილებანი და ვფიცავ ღმერთს, რომ თქვენდამი სიყვარული და სინატვრე ჩემს გულში არასოდეს არ წაიშლება.

ბატონო ავთანდილ, თევზის ფასების დაცემა შენზეთ უფრო ჩვენ გვეწყინა. რიზას მივახთინე. იმასაც ძალზეთ ეწყინა, მხოლოდ რა უყოთ. თქვენ კარგათ იყავით. ფულს შაბიმიანი მოიგებს მხოლოდ.

ამისათვის ყოველივე მოვლენას უნდა გაუძლოთ. ჩვენში ასეთი მოვლენები შესაძლებელია. ხომ იცი, უბედურს ქვა აღმართში მოეწევაო, იტყვიან. ჩვენთვის ყოველივე საქმე მოსალოდნელია, ეს იმიტომ, რომ ჩვენი ბედი, თუ ჩვენ არ მოგცილდა, ასეთ მოვლენებს ვერ გადაურჩებით.

ბატონო ავთანდილ, ჩემს მაგიერათ **კონსტანტინეპოლში** მყოფ ყველა ამხანაგებს, ამავე დროს განსაკუთრებით ჩვენი სამშობლოს გადმოხიზნულ ძმებს ჩემსგან სალამი და მოკითხვის მოხსენებას გთხოვთ. სალამი ყველა იმ მოძმეებს, ვინც ჩვენებრივ სამშობლოს სიტრფით უცხოელთა დიქტატურის ქვეშ იმყოფებიან. სალამი და გამარჯვება ყველა იმ პირებს, ვის გულში ჩასახულია მიზანი განთავისუფლებული საქართველოსათვის. გაუმარჯოს ყველა იმ მოძმეს, რომლებსაც აქვთ მიზნათ ჩასახული, თავი შესწირონ იმ მიზანს, რომელი მიზანიც მიისწრაფვის, **ყაზბეგის და იალბუზის მწვერვალებზე ააფრიალონ ის დროშა, რომელი დროშის ქვეშ თავს მოიყრის დამოუკიდებელი ქართველი ეროვნებები**. აი, ასეთი ამხანაგები ვინაც არიან, ყველა მათ თქვენი საშვალე-ბითა და შემამავლებით გულწრფელი და ნამდვილი ქართული სალამისა და **ჩემზე უფროსებს ხელებზე, უმცროსებს თვალებში კოცნას მოვახსენებ**. ამავე დროს, განსაკუთრებით ხელებზე კოცნას და სალამს მოვახსენებ ძვირფას ვასილს. ჩემზე დიდი პატივი აქვს ნაცემი. ამისი დავიწყება

არ შემიძლია. ჩვენ ერთმანეთი ძმასავით გვიყვარს. წერილს არ ვსწერ, გულში არასფერი არ გაუაროს, მან იცის.

სალამი და მოხსენება ძვირფას ნინას. ნინას, იცი, დიდი პატივი აქვს ნაცემი. მან ქალობით მე დიდი დობა მიზამა. მხოლოდ მე გლახა და ბლაცვი ვარ, რომ მისი პატივისცემის სამაგიერო ვერ გადაუხადე, ესეც იმიტომ რომ ერთი მეორეზე დაშორებული ვართ. შეიძლება ჩემი სალამიც არ მიიღოს, მხოლოდ რაუყოთ; თქვენ გადაეცით და მან როგორც უნდა ისე მოიქცეს. ძვირფასო, მეტი რა მოგწერო. **თუთხმეტი წელია ქართული წერილი არ დამიწერია.** ამიტომ შეიძლება ბევრი შეცდომებით თავი გატკინეთ; ამისათვის ცალკე ბოდიშის მოხდით, გისურვებთ ცხოვრებაში კარგათ და ჯანმრთელათ ყოფნას და გისურვებ დიადი მიზნების განხორციელებას, რომელიც თქვენს ადამიანურ გრძნობებში გაქვთ ჩასახული.

იყავით კარგათ. თუ სადმე მრავალჯამიას გასძახებთ, გთხოვთ, მეც მომიხსენიოთ.

მშვიდობით.

გწერთ მონატრე იმ მთებისა, სადაც საუკუნიებით უჩუხჩუხია ადამიანურთა ზნე – ჩვეულობას და დღეს გველებით ავსილ იმ მთებს, რომელს მთებზეც გვეგულვის მამაპაპის კუბოს ფიცარი.

ჰაიდარ ჯაფარიძე

ჯაფარიძე 24/II

ადრესი თქვენთვის მოცემული .....

მეგონა, ამიტომ აქა არ ვწერ. ....

ისეც იმ ადრესზე წერილს .....

გამოაგზავნი.....

### თბილისის სახალხო უნივერსიტეტის პროფესორს ბნ. აკაკი შანიძეს

დიდის სიამოვნებით აღმოვიკითხეთ, რომ გამოგიციათ ქართული გრამატიკა: A. Chanidze, Grammoise Georgiane. I. Morphologie. Tiflis, ckntion de l,Universite, 1930.

პარიზში დაწყებულია ქართული ენის გაკვეთილები.

ქართული გრამატიკა ფრანგული ენით და ქართულ – ფრანგული ლექსიკონი თითქმის მოთავებულია. აქ ბევრი რამ გვაკლია მოღვაწეობისათვის, რათა ქართულ ენას და ლიტერატურას დაეწაფნონ სტუდენტები. ასეთ წმინდა კულტურულ მოღვაწეობისათვის იმედი გვაქვს, დაგვეხმარებით და მოგვაწვდით ზემორეთ ხსენებულ თქვენს გრამატიკას და სხვათა – ქართული ძველი ლიტერატურის გარშემო, განსაკუთრებით პალემსისტების ტექსტებსა და ლექსიკონებს.

გიძღვნიტ წინასწარ უღრმეს მადლობას.

პ. შალვა ვარდიძე

ასევე მივწერე ადრესი.

## შალვა ვარდიძე წმინდა ნინოს გალობა

საღვთოთა ძნობითა ნეტარსა ქალწულსა,  
ღვთის სიტყვის მქადაგსა, ქრისტეს სძალს რჩეულსა,  
ქართველთა მოციქულს, ცად გაბრწყინებულსა  
გაქებთ, შენ ნინა!

აღვსილსა მადლითა, სული წმიდის ქნარსა,  
ქართველთა სულ – მნათსა, ბრწყინვალე ცის კარსა,  
ქრისტესა მცნებათა განსწავლილ მოძღვარსა,  
გაქებთ, შენ ნინა!

ღვთის მსშობლის ხვედრ – ქმნილი როს ერი ქართველი  
ცრუ ღმერთთა მონებდა შემცდარი, სულ – ბნელი,  
სიბნელის მეოტად აღმოჩნდი ნათელი,  
ქალწულო ნინა!

დაიმსხვრენ კერპები... ზე აღდგა ივერი,  
განიბნა ბნელეთი... გაბრწყინდა მთლათ ერი,  
როს სვეტი ცხოველი და ჯვარი ძლიერი  
აღმართე, ნინა!

შეიტკბეს ქართველთა ქრისტეს ტკბილი რჯული:  
„ზეგარდმო მშვიდობა, ძმობა, სიყვარული“;  
ქალწულო ნინა!

დღეს, ჩვენო მფარველო, შენს წინა ვდომილნი  
ცრემლითა გღაღადებთ, გაგვწმინდე ცოდვილნი.  
მო ვაზის ჯვარითა, მტერთაგან დევნილნი  
კვლავ გვიხსენ, ნინა!

შემუსრენ მართლუკუნ, განიბნენ ვით მტვერი  
ბოროტი, მძვინვარე უცხო და ძმა მტერი.  
აწ შენი სამწყემსო, ტყვე – ქმნილი ივერი  
იხსენი, ნინა.

ცეცხლით და მახვილით მოწვენილ ვნებანი,  
უღვთოთა ქადილი, ბოროტი მცნებანი  
წარგვხადენ, ძლიერი, და მოგვეც შევებანი,  
შენ გესავთ, ნინა!

1937 წელს იანვრის 14 – ს.

სტამბოლს.შ.ვ. (შალვა ვარდიძე)

X X X

ფრიად პატივცემულო მამაო

როგორ ბრძანდები? ძალიან ხანში შესული უნდა იყოთ. აღარც მე ვარ ახალგაზრდა. მალე სამოცი წლისა შევიქმნები: „გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეს სიმუხთლე ჟამისაო!“

თქვენ, ალბად, პარიზიდან ცნობები მოგდისთ. ახალი ეკლესია უკურთხებიათ. ჩემთან კავშირის დაჭერისა არა ვიცი რა. მოლოცვის წერილი გაუგზავნე. არც მ. შალვა მწერს. არ ვიცი

რათ. ჩემზე ნაწყენათ უნდა იყოს! რაც არის არის. კაი საქმე იქნება, თუ პარიზს მოხერხდა რაიმე, რაკი მანდ მუშაობა ჯერჯერობით სულ არ შეიძლება. იქ რომ გაჩნდებოდეს რამე ბინა, საიმედო საქმე შესრულდება.

მომილოცავს ქრისტეს აღდგომა თქვენ და მამა პეტრესა და ყველასთვის, ვინც სახლშია.  
თქვენი მიხ. თარხნიშვილი.

X X X

28/VIII 1930 სტამბოლი

ძვირფასო ძმაო ლეო!

მიიღე თუ არა წიგნები? ვიცი საქმეები ბლომათ გექნებათ, მაგრამ ნუ თუ ეგ საკმარისია, რომ ჩვენი უმთავრესი საკითხი ამდენ ხანს ბოლო მოუღებელი დარჩეს! მე გთხოვ, რომ საჭიროა დანარჩენი ხალხი დროით წამოვიდეს. სხვათა შორის, აქ ოთხი თ. გიორგელი<sup>1</sup> ოთხივე გორელები, ოთხი კარგი უდელები (სანდროს გაჰყვებიან) ტარასაშვილი, ჭოლაძე, ჯიშკარიანი, ყაველაშვილი, ჩალიკავა, ივანიძეები, ილია ზედგენიძე და სხვაც. რათ დაივიწყეთ? მანდ მოსულებში (უკვე გაიგებდით) არიან მერყევენი, მაგრამ შეუგნებელნი. მაგათაც სანდრო მიუგზავნე და იმედია ნელ – ნელა შთააგონებს. სწორედ, მაგ დაბრმავებულებს და გადაგვარებულებს ბევრი სიკეთე უყავი. მაგ. ვანო აბულაძეს შეუთვალე ჩემ მაგიერ, რომ უღირსია მაგის საქციელი. სხვათა შორის, მაგან და იორდანემ იცოდნენ, ერთს რომ წამოსვლისას პასპორტი მოჰპარეს. ეს ახალგაზრდა მაინც წამოვიდა და ჰქვია გიორგი აბულაძე. თუ არსად დაიკარგა, უკვე ჩამოვიდოდა მანდ. მიხარია, ჩემო ლეო, რომ სანდრო ჩაწერილა. თ.გ. კარგი ძალაა. გაიგებდი, რომ ინასარიძე წამოვიდა თავისუფალი ვიზით. პავლეს უთხარი. მენშევიკებმა დააჯილდოვეს წამოსვლისას. მოვიდა, დამემშვიდობა და შემირიგდა – და მთხოვა წარსულის დავიწყება. ძმაო ლეო, „ბრძოლის ხმა“ და „დამოუკიდებელი საქართველო“ დიდი ხანია, აღარ მოგვდის. საჭიროა, რომ იგინიც მივიღოთ, რათა საქმის კურსში ვიყოთ. აგრეთვე, ეროვნულ – დემოკრატიების ორგანო. „დამოუკიდ. საქართ.“ ჩვენზე გამოილაშქრა – N 55. თუ მოაწყობ ამ საქმესაც, დაგემადლებით. სანდრომ აღარ მოიწერა. ველი შენს წერილს და სანდროსას. მომიკითხეთ ყველანი და მიხაც.

შენი შალვა (იგულისხმება შალვა ვარდიძე).

29/VIII – 1930

ბ – ნ ურატაძე

გადაწერილია

X X X

30/VIII. 1930 სტამბოლი

ძვირფასო მეგობარო ემილიანე,

თუმცა ნათქვამია: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“, ისაც მართალია: „გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. სასოწარკვეთილებაში მიეცნენ ჩვენი ლტოლვილნი, ვინაიდან ამათი ევაკუაცია სტამბოლიდან დღიდან დღეზე ძნელდება. ბევრი გავაგზავნეთ საფრანგეთში, მაგრამ დღეს რაღაც ბოროტ გარემოების გამო, უფრო და უფრო

<sup>1</sup>იგულისხმება „თეთრი გიორგელი“. ამავე სახელის გაზეთიც გამოდიოდა პარიზში.

შეუძლებელი ხდება. ხალხის აქ გაჩერებაც აღარ შეიძლება მომეტებულად. გთხოვთ, საჩქაროთ გვაცნობოთ, თუ ჩეხოსლოვაკიდან შესძლებთ გაგზავნას საფრანგეთში ლტოლვილებისა, რომლებიც აქედან ვეღარ მიდიან. რიცხვი ბევრი არ იქნება და ნუ შეიშინებთ. აქედან მანდ შემოსვლა შემძლია მოვახერხო: ხოლო მანდ თქვენ მოუწყვეთ ვიზა საფრანგეთში წასვლისა. გითხრათ, რიცხვი სულ მცირედი იქნება და მანდ ამ ჟამად წამოვა ჯერეთ ორი, რომლებიც გეტყვიან მთელ გარემოებას, რომელიც შეიქმნა აქ. იმედი მაქვს, თქვენ ამ სამსახურს არ დაიშურებთ ქართველებისთვის და ასეთი დახმარებით შეამსუბუქებთ ლტოლვილთა შევიწროებას და შეწუხებას. **პრაგაში**, როგორც ვიცი, არის ჩვენი კონსული, რომელსაც მეტი შეეძლება, ცხადია, ვიდრე აქ, რომ არავინ არის პასუხისმგებელი და უფლებიანი პიროვნება, რომელიც სერიოზულად წარუძღვებოდეს ლტოლვილთა საქმეს. დაჟინებით გთხოვთ, ასეთი დახმარება მაინც აღმოგვიჩინოთ და სიჩქარით გვაცოდინოთ რეალური პასუხი, რათა შეუდგეთ ვიზების აღებას.

სალამი **ჭუმბურიძეს** და ყველა ნაცნობებს

შენი თანამებრძოლი

**შალვა ვარდიძე**

## შალვა ვარდიძის შემოქმედებიდან

### ა) ტკბილი და მწარე მოგონება

1896 წ. ზაფხულს, თორმეტ – ნახევარ წლისა ოდეს ვიყავი, უსამართლო და მტარვალ რუსეთის ბატონობას საქართველოზედ თავი დავახწიე, საყვარელ სამშობლოს, მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს დავშორდი და იმ დროიდან ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ლტოლვილი მარად მოვსთქვამდი:

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“

ყოვლიც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ჰსტირსა.

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!“<sup>1</sup>

მხოლოდ ამ ჩვიდმეტი წლის შემდეგ, ესე იგი 1913<sup>2</sup>, ბედმა ოდნავ გამიღიმა და სამი თვის ვადით, ზაფხულში, პირველად ვინახულე საყვარელი და ტურფა სამშობლო, სადაც ყოველგან აღტაცებული ვიყავი დამონებულ ქართველი ერის ეროვნულ ცხოვრების ხილვით და ვიძახდი:

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!“<sup>2</sup>

ახალციხის სამხრეთ – დასავლეთით ოცდახუთი კილომეტრით დაშორებულ მთებში, მთლათ ბაღნაროებით და ჭალა – ველებით შემკულ – მოქარგულებში, რავდენიმე დღე და ღამე დავყავი, რადგან ვგრძნობდი ენით გამოუთქმელ სიამოვნებას. ყოველგან ვხედავდი მოფენილ ურიცხვ ცხოვართა ფარებსა. ოდეს ბრწყინვალე მზე დასასვენებლად სამყაროზედ იხრებოდა და მთვარეს ადგილს უთმობდა, მაშინ ნელ – ნელა ამისი ნაზი სხივებით იმოსებოდნენ მთელი მიდამოები რაღაც გამოუთქმელ საიდუმლოებით!.. სიწყნარე – დუმილში კი აქ – იქ გაისმოდა ხანგრძლივი სასიხარულო, ხან სამწუხარო სიმღერების და საკრავების ბანი: მეცხვარეები თავ – თავის ადგილებზედ მჯდომარენი თავიანთ შემოკრიბული ფარების დასაძინებლად მღეროდნენ და აჟღერებდნენ ნაზად ჭიმუნსა, სალამურსა და ჩონგურსა!

<sup>1</sup>ვეფხისტყაოსანი, მე-IX გამოცემა, თბილისი, 1890 წ. თავი XXVI, გვერდი 244, ტაეპი 940.

<sup>2</sup>იგივე

მკათათვის მეთორმეტე დღის ტკბილად დაბინდებისას სახელგანთქმულ მხედართმთავრის და ბერის, წმინდა **თორნიკე ერისთავის** დღეობის საღამოს, **ზარზმის** სამხრეთით, შორს მაღალ მთებში მყოფ სამ ამხანაგ ჩოხოსან მეცხვარეს მივუახლოვდი და მივესალმე: – „გამარჯობა, ქართველებო! უცხოეთით უცხოელი თქვენთან მოველი. თქვენი სიმღერებით და თქვენი საკრავების სიმთა ჟღერით აღტაცებული, გთხოვთ, მომასმენინოთ თქვენი და ქართულ – ხალხური რომელიმე სიმღერა“.

წუთსავე ჩოხოსანნი ზე – წამოდგნენ და ერთხმად მომამახეს: „გამარჯობა თქვენი იყოს, ბატონო!“ მათ მეთაურმა განაგრძო: – „ვინაიდან უცხოელი აქ მობრძანდით და პატივი გვეცით ქართული მოსალმებით, უღრმეს მადლობას გიძღვნი და გთხოვთ, დაბრძანდეთ ჩვენთან მდელიოზედ. მოულოდნელი სტუმარი დიდად პატივისაცემი ბრძანდებით. მაგრამ აქ, მთაში არ შეგვიძლია, რომ ღირსეულად გაგიმასპინძლდეთ, მით უმეტეს, რომ უკვე ღამეა, ხოლო ქართულათ კი მოგახსენებთ: „ყველი და პური, კაი გული!“ ინებეთ და მიირთვით ჩვენთან ერთად. დღისით ერთ ბატკანს დავკლავდით და ჩვენებურ მწვადსაც იგემებდით. მის მაგივრად აპოხტი და ძეხვი გვაქვს.

როდესაც გუდით კახური ღვინო ყანწებში ზედი – ზედ ჩამოასხეს და ერთმანეთის სადღეგრძელოები შევსვით, ბოლოს მოვახსენე:

– უღრმეს მადლობას გიძღვნი. ჩემთვის საარაკოა თქვენი ქართული გამასპინძლება, რომლის მსგავსი არსად მინახია. თქვენი პური, ჩეჩილი ყველი, ძეხვი და აპოხტი, აგრეთვე, რიგის გარეთად კარგი ღვინო, მირჩვენია მეფეთა სადილსა. გთხოვთ ნება მომცეთ, რომ უკანასკნელი სადღეგრძელო შევსვა და მადლობა გადაგიხადო. აღტაცებულივარ თქვენი ქვეყნის ამწვანებულ მთების, ღელეების, მდინარეების და მინდვრების ხილვითა. ამათ მსგავს სილამაზით მორთულებს სხვაგან ვერსად იხილავთ. უფრო მეტად გაოცებული ვარ თქვენი ერის სილამაზით, ოჯახური და საზოგადოებრიული ყოფა – ცხოვრებით, მისი ზრდილობიანური და მხიარული მიმოხვრით, მისი შეგნებული განვითარებით, სტუმართ მოყვარეობით და მისი ნაზი სიმღერებით და ტკბილი მუზიკით. გისურვებ, რომ თქვენი დიდებული წარსულის ერი მოიპოვებოდეს მალე **თავისუფლებას და თავის რაინდულ ცხოვრებას მსოფლიოს გააცნობდეს**. გაუმარჯოს თქვენ საყვარელ **სამშობლო საქართველოს!** გაუმარჯოს თქვენს **საამაყო ერსა**. შეარცხვინოს ღმერთმა თქვენი ქვეყნის და ერის მტრები!“

ოდეს ყანწები გამოვცალეთ და მდელიოზედ დავამხეთ, ერთ – ხმათ შემოსძახეს **მრავალჟამიერი**. ჩინებული სიმღერა როს დაამთავრეს, მეთაურ მეცხვარემ დიდი მადლობა მითხრა. რადგან კარგი ტრუბადურიც იყო (troubadur), ღმილით შემომხედა და მითხრა:

„უცხოეთით სტუმრად მოსულს  
ჩვენს მოყვარედ რა გიგულებთ,  
გადაგიშლით გულსა და სულს,  
შვებით სურვილს ადგისრულებთ.  
რადგან გიყვართ ჩვენებური  
ჩონგურისა სიმთა ჟღერა,  
ჩვენს ივერში ჩვენ ერისა  
აწ ისმინეთ მოთქმა- მღერა“.

წუთსავე ჩონგური აიღო და მომართა. გასწორდა წელში, საიდუმლო ცქერით გახედა ახლად ამოსულ მოციმციმე მთვარეს და ვარსკვლავებს. დიდის ხელოვნებით გაჰკრა თითები საკრავის სიმებსა და ტკბილი ხმით დასძახა:

„გმირთა გმირი ამირანი  
არის მთელი ქართველთ ერი;  
მას დასჩხავის ყვავ – ყორანი,  
ურიცხვია მისი მტერი.  
მარად იბრძვის, მხედარია,  
ყველგან დააქვს ბასრი ხმალი,  
ქედს არ იხრის, მედგარია,  
გულშიდ უღვივს ზეცის ალი.  
მის მთა – ველებს ამშვენებენ  
ტურფა ქალნი და დედანი;  
მის გზა – სავალს ანათებენ  
ნინო, თამარ, ქეთევანი.  
უკვდავია ამირანი,  
რადგან ეტრფის ქრისტეს ჯვარსა!  
ლხინშიც, ჭირშიც არს სვიანი  
და ბრბო მტრებს სცემს შიშის ზარსა!

## II

ჰე, იესო, ტურფა, ტკბილო,  
სატრფიალოვ თვით მზე – მთვარის,  
ვით სამოთხე ზეცით ქმნილი,  
სამშობლო ხარ ქართველ ერის!  
შენ გარშემო მტერნი ძრწიან  
დამგეშილნი როგორც მგელნი,  
გდალარნებენ და გზომუვიან  
უგულონი და სისხლის მსმელნი.  
მაგრამ შენ შვილთ წყობილ რაზმის  
მტერზედ მედგრად მებრძოლ გმირთაც,  
როს ძახილი მარად ისმის,  
არ ვადუმებთ ჩვენც ჩონგურთაც:  
განგვისვენე შენნი შვილნი,  
მოვალთ, ჩვენო საქართველოვ,  
მტრების სისხლით შეღებილნი.

### **ბ) მამულიშვილო ციციშვილო,**

ამ გზობას რაიმეს გამოგზავნის დასაბეჭდათ აზრი არ მქონდა, რადგან არ ვარ მთლად კარგად. თქვენმა წერილმა გამამხნევა, წამოვდექი და მაგიდაზედ გადაშლილ რვეულში გაკვრით დაწერილი მოკლე თხზულება დამხვდა ამ სათაურით: „სტუმრობა ლიბანის კედრებთან და მათთან საუბარი“. X თქვენი დაკმაყოფილების აზრი აღარ მომშორდა. წუთსავე შეუდექი შესწორებას და გადაწერას I და II – თავების ტაეპებისა, სადაც მოვსთქვამ **ლტოლვილი, აჰა, უკვე სამოცდა ერთი წელიწადია, ჩემს ხეტიალს უცხო ქვეყნებში და ჩემს ვედრებას ღვთისადმი ოდეს ლიბანშიც კედრებისკენ გავემგზავრე.** მე-III-ში მოკლედ აღნუსხულია ჩემი მოსვლა კედრებში და თხოვნა, რათა მაინც მათ სტუმრად მიმიღონ დასასვენებლად. მე-IV-ში კედრების მოთქმა

ფინიკლების ჩამომავალ ლიბანის ერზედა და აგრეთვე, საქართველოს ზოგიერთ წარსულ ამბებზედ, რომელნიც ძველათ სმენოდათ. მე – V – ში მეც მოუთხრობ ქართველი ერის ზოგიერთ ამბებს და აწმყო მდგომარეობას.

მამულიშვილო, თქვენ დარწმუნდებით, რომ არ ვარ პოეტი. ამიტომ ამ ჩემს მოკლე თხზულებაში არ მქონდა აზრი და არც მაქვს სურვილი, რომ ამ ერთი ნაწილის შესწორების და გადაწერის დროს ჩავსდგომოდი ლექსების სინარნარეს. ვარჩიე, რომ ვინარნარო მხოლოდ ქართული გრძნობით და აზროვნებით ქართველთა გასაგონათ და დასაფიქრებლად.

თუ თქვენ კეთილად დაინახავთ და ისურვებთ დაბეჭდვას, რასაც ახლა გიგზავნი და თან საჭიროთ დაინახავთ, რომ უცხოელებმაც გაიცნონ, მაშინ შეგიძლიათ დასთარგმნოთ ფრანგულათ და დაბეჭდოთ ქართულ – ფრანგულათ ან ცალკე ფურცლებზედ, ან თქვენ თვითურ „La Nation Georgiane“ – ში.

გთხოვ, მხოლოდ თქვენ იცოდეთ, ვინ ვარ. ვინაიდან დღეს სუფევს მსოფლიოში მატერიალიზმი და მტარვალობა და არსად ჰგეებს სამართალი, არც ერთა და პიროვნებათა თავისუფლებაა. ამიტომ სიფრთხილე მიკარნახებს, რომ დავრჩე უცნობი. მე ვარ ლტოლვილი ქართველი, ვინმე მესხი ბუზმარეთელი. ბუზმარეთი არის ტყეში ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევი, ახალციხიდან სამხრეთით თუთხმეტი კილომეტრი დაშორებული.

\*

\*\*

I

ვსცადე, ვერ შეველ ჩემს სამშობლოში,  
სად ქართლის ერი დატანჯულია  
და მის მთა – ბარის ირგვლივ სამზღვრებიც  
მტარვალ მტრისაგან ჩაკლიტულია.  
მწირსა სამოთხე სამშობლოდანა  
თვით კი სიცოცხლე აღარ მწადია,  
**როს სხვა ქვეყნები უდაზნოდ მექცნენ  
უკვე სამოცი წელიწადია.**

ყველგან ტანჯული, ზოგან დევნილიც  
ვსხმი და ვლრი მარად ცრემლსა მწარესა,  
**იქ მოგვედო მხოლოდ, სად ქვეყნად მოველ  
და სადაც ვნატრობ ჩემს სამარესა!**  
უპატრონომან რადგან ვერ ვნახე  
ვერსადა ჩემი შემბრალებელი;  
თვით ქრისტეს მცნების მქადაგებლებში  
აქ – იქ დევნილმან ვინმე დამცველი.  
**როგორც ძველად ქართლის მცველ გმირთა  
მხოლოდ ღმერთზედა ჰქონდათ იმედი,**  
რათა ამშორდეს წყეული ბედი!

II

აწ შენ მოგმართავ, კაცთაც გამჩენო,  
მწამს,] რომ მარად ხარ ტანჯულთ შემბრალე,



მთლათ უპატრონოთ ყველგან რჩენილმა  
 თვით კი მდევენელნი ვერსად მოვთვალე!  
 განგებავ, ზენავ, გთხოვთ, შემიბრალე,  
 კრული ბედით ვარ შენს წინ ვრდომილი;  
 მისმინე მწირსა, გმინვით მეც ვკვივი,  
 რასაც მოსთქვამდა ბარათაშვილი:  
 „მირბის, მიმაფრენს უგზო – უკვლოდ ჩემი მერანი,  
 უკან მომჩხავის თვალ – ბედითი შავი ყორანი“.  
 მაინც მწამს, ზენავ, რომ ხარ მარადის  
 ერთა და კაცთაც ბედის განმგები;  
 შორს უცხოეთში მწარეთ მგმინავი,  
 ჩვენს პოეტსავით მეც ნუ მოკვდები!  
 ქართული სიმხნე განმიცხოველე,  
 სიცოცხლ – სიკვდილის ღმერთო, გამჩენო,  
**თუნდაც ვიტანჯო, მაინც მაცოცხლე,**  
**სამშობლო ჩემი ვიდრე მაჩვენო!**  
 მწირი გთხოვთ, ზენავ, იქ მიმიყვანე,  
 სად ქართველთ – ცოცხლებს და მკვდრებს – აქვთ ბინა  
 და სად პირველად ტკბილად მომესმა  
 ჩემი მშობლის ნაზი ნანინა!..  
 ხოლო მანამდის გთხოვ, ვიყო ყველგან  
 შენი მადლითა ქართლის მხედარი,  
 შენი სუფევის, შენი რჯულისა,  
**ქართველ ერისაც მცველი მედგარი.**

## შალვა ვარდიძის წერილი ლეო კერესელიძეს

სტამბოლი, 5/IX 1930

ძმაო ლეო<sup>1</sup>,

მივიღე შენი წერილი, სადაც მთხოვდი ხელ ახლა სიას, ამ ჟამათ მხოლოდ შემდეგ პირების სახელს გიგზავნი, რადგან დანარჩენებს აღარ ვპატრონობ

- 1) მღებრიშვილი იოკიმე 24 წლისა, აფრიასძე ს. უდე
- 2) ჩილაშვილი პავლე 21 – „ – ფრანჩისკესძე ს. უდე
- 3) გიქოშვილი იოსები 23 – „ – პავლესძე ს. უდე
- 4) ცაგარელი მიხეილი 35 – „ – ქუთაისიდან
- 5) ივანიძე იაკობ 22 – „ – ახალციხე. ვანოსძე
- 6) ივანიძე შიო 22 – „ – სიმონისძე ახალციხე
- 7) უხურგუნაშვილი მიტო 28 – „ – გორი. თ.გ.<sup>2</sup>
- 8) ბესტავრაშვილი ალექსანდრე 21 – „ – „ თ.გ.

<sup>1</sup>ლეო. იგულისხმება მუსლიმან ქართველთა ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე. (შ.გ.)

<sup>2</sup> თ.გ. (იგულისხმება) თეთრგვარდიელი.

- 9) ზაზუნაშვილი ვანო 28 – „ – – „ – თ.გ.
- 10) მაისურაძე ალექსანდრე 28 – „ – – „ – თ.გ.
- 11) ჭოლაძე კირილე 24 – „ – „ქუთაისი
- 12) ტარასაშვილი ალექსანდრე 21 – „ – კახეთი
- 13) ჩალივავა ლადო 30 – „ – – სენაკი

დანარჩენები დაფანტულნი არიან. სჯობია რომ სამუშაო აიღო. კონტაქტები ღია იყოს, ხოლო შემოწმებული და აქ ჩავწერ სახელს. ამ ხალხს დროით უშველე. რასაც მწერ, საქმე აქ არ გაკეთდება საკონსულოში, აქ ჩუმი ინტრიგები ნაკლები არ არის. მანდაც ვანო აზულაძეს მოუწერია ცუდი. გლეხებისათვის დრო არ მაქვს. ბ. ინგილოს უნდა გავცე პასუხი იმ საზიზღრობაზე, რომელიც დასწერა. მომიკითხე ყველანი.

შენი შალვა (შალვა ვარდიძე).

X X X

წერილი სტამბოლიდან  
 „ქმნა მართლისა სიმართლისა  
 ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“.

ალექსანდრე დიდის დაბადების დამეს (356 წ.ქ.წ.) უცნობმა ეროსტატემ ეფესის ტაძარი დასწვა იმ მოსაზრებით, რომ მისი სახელი ისტორიაში ჩაწერილიყო. ვინ არ იცის ეროსტატეს სახელი? მართალია, ეროსტატემ სახელი გაითქვა, მაგრამ დღემდის არავის აზრათ არ მოსვლია, რომ ხსენებული ტაძარი დასაძრახი ან დასაწვავი იყო?! ეროსტატები ხომ ყველგან და ყოველთვის არიან, ეჭვი არა გვაქვს!

დამ. საქ.<sup>1</sup> მე – 56 ნუმერში მოთავსებულია „წერილი რედაქციის მიმართ“. ბნ. ინგილო – ივანცი გვიკვირებს: „მე არავის ვებრძვი განუკითხავათ“ – ო. ქართ. მამათა სავანის დანაშაულობა კიდევაც განუკითხია ბნ. ინგილოს და ებრძვის მას. ეს ახალი და მოულოდნელი მოპირდაპირე იმასაც კი დასძენს, რომ სტამბოლი თვალთ არ უნახავს მას, არ იცნობს არც ბერებს, არც მოლოზნებს და არცა ამ ორთავეთა სავანეებს. ეს სხვამ გაიკვირვოს, ჩვენ არ გვიკვირს, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ინგილო თავისი ლაზათიანი წერილების მიხედვით (დამ, საქარ. N55, 56) „წვრილმანობაში“ კი არა მარტო, არამედ მთავარ საკითხშიც უფრო მეტად შემცდარია. მისივე სიტყვა „გაბრიყვებული“ რომ არ ვაკადროთ, ამიტომ მისგანვე მოყვანილი ლათინური ანდაზის პირველი ნაწილი „errare humanum est!“ – ი მეორე ნაწილით “perseverare crutemdiabolicum!“ – ი, რომ დაემთავია, მაშინ სწორეთ დაიხასიათებდა თავსა. ასეთი დაჟინების წინაშე მდგომი ჩვენი სავანის მართველობა, ცხადია, ვერ სცნობს ღირსეულათ და არც ხამს მას, რომ უსარგებლო პოლიტიკაში გაჰყვეს ვინმე ინგილოს, კიდევ რომ მას ეს ერჩივნოს (საპროვოკაციით თუ არაა), რომელსაც როგორც ვხედავთ, სერვანტესის რაინდ – გმირის როლში გამოსვლა დაჟინებით განუზრახია – დინჯ და შორ – მჭვრეტელ რომში მცხოვრებს თავი ისპანიაში თუ არ ჰგონია, დამ. საქარ. ფურცლებზე მაინც ებრძვის aux Xhâteaux en Espagne – ს. აზრათ არც ჩვენ გვაქვს ბევრი დრო დაკვარგოთ და დაუსრულებლად ვეკამათოთ ინგილოს მასზე, რაც მას არ შეეხება და რაც მან არ უწყის. კერძოთ, მინაწერით არ კმაყოფილდება და პასუხს გაზეთით ირჩევს. ამასაც არ მოველოდით. მართლა ახირებულია ჩვენი მდგომარეობა! ინგილო გვაიმულებს გაზეთით გამოსვლას. ეს

<sup>1</sup>დამ. საქ. (იგულისხმება) გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, რომელიც გამოდიოდა პარიზში.

ჩვენ გვძულს, განსაკუთრებით როცა იგი საპოლემიკოთ იქნება. ხოლო ბნ ინგილოს ეს ღია წერილიც პირადათ მიწერილსავით „უშველებლათ“ და „ულაზათოთ“ თუ მოუვიდა, წინ და წინ ვატყობინებ მას, რომ de gustibus et de coloribus non olisputatur ჩემი პასუხისმგებლობით საჯაროთ მხოლოდ იმას ვიტყვი, რის თქმაც შემეძლება, რათა ქართველი საზოგადოება თავის რწმენაში განმტკიცდეს, რომ მამათა სავანის მობინადრენი არა ვართ „უსამართლონი“ არავისადმი, არც თვით ინგილოსადმი, რომლის წერილებზე (დამ. საქარ. N55, 56) შეიძლება შოთას ეთქვა: **„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“**.

ბნ ინგილოს ჩემი წერილიდან მრავალი ციტატები შემცდარათ ამოკვეთილი აქვს, თვით ტექსტის ხაზებს შუაც ზოგიერთი რამ ამოუკითხია; ვინაიდან კერძო წერილი არ ურჩევნია, პრესის საშუალებით გავსცემ იმპულსურ პასუხს.

„მამა წინამძღვარს დაუვალებიათ ბნ შალვა ვარდიძისათვის ჩემი მოკითხვა წერილობითო“ – მსგავსი დავალება არ მქონია და არც მომიწერია. დაუშვათ, რომ მიმეწეროს, მაშინ ბნ ინგილოს თავაზიანათ უნდა მიეღო წინამძღვრის მოკითხვა. ეს საკითხიდან უნდა გაერჩია და სამაგიერო გადაეხადა. მოკითხვის თავზე და ახლა მოქალაქეობას ეწინააღმდეგება. „ავქსონი“ კი დაჟინებით მოითხოვს, რომ „დამ. საქარ – ს“ უახლოეს ნომერში ჩემი თავი **გაბრიყვებულათ** (ხაზგასმული ჩვენია) გამოვაცხადოთ“. მონასტრის დავალებით წერილის დამწერი მე ვარ, ხოლო ტექსტის პასუხისმგებელიც მე ვარ, რადგან იგი „მონასტრის შედგენილი“ არ არის, როგორც იქვე ზემოთ ამბობს ბნ. ინგილო. არც მიმიწერია შემდეგი: „თავი გაბრიყვებულათ“ – ო გამოაცხადე. აი, რა მივწერე: „თქვენი წერილი... ამიტომ **უმორჩილესად** გთხოვთ, იმავე თვიურის უპირველეს ნუმერში გამოსაწეროთ...“ – ინგილომ გამოსწორებას გადრმაგება არჩია...ამას („კალმის აღება“) კერპათ მოითხოვენ. თანაც სასამართლოთი მემუქრებიანო. კალამმა თუ ანგარიში არ უნდა გაუწიოს განსჯასა, სჯობია რომ დაიმსხვრეს იგი! კალმის აღება ამ შემთხვევაში, რაც ჩვენ არ მოგვითხოვია, ბნ. ინგილოს კერპობას ამტკიცებს. ჩვენ სამართლიანად და კატეგორიულათ მოვითხოვთ მისი წერილის მშვიდობიანი გზით და სახის გამოსწორება. რაც შეეხება სასამართლოთი დამუქრებას, თუმცა ეს ნორმალური და ღირსეულია, მაინც არ დავმუქრებივართ, ვინაიდან სასამართლო გლისპთა და უგუნურთა გამოსაწორებლად მიგვაჩნია, ეს საჭირო არ გვგონია ინგილოსათვის, ამიტომ შემდეგ გასაგებ ფრაზას ვსწერდით მას „თქვენ მიერ მოტანილი უსაბუთო და უმიზეზო იერიშის პასუხათ, სხვა დაწესებულება სამოქალაქო სამჯავროთი მოითხოვდა პასუხსა“.

„შალვა ვარდიძე თავის წერილში (მაშ მონასტრის შედგენილი არ ყოფილა). ქარაგმა ჩვენია) ხაზგასმით აღნიშნავს სახელდობრ იმას, რომ მონასტერს ქართველი საქმისა და ხალხისადმი ღვაწლი უდევს“. – მიკვირს, რომ მაინც ამაზე დამეთანხმნა ინგილო! ხოლო, აზრათაც არ მომსვლია ტრაბახი (რაიც ინგილოსთვის დამითმია) მონასტრის ღვაწლზედ ხაზგასმით კი არა, არამედ სრულიათ შემთხვევით და გაკვრით ორიოდ სიტყვა ვსთქვით, რათა ინგილოს ეგრძნო, რომ ასეთ დელიკატურ საკითხის კურსში ჩადგომისათვის, როგორც მისთვის ისე **დამ.საქარ.** რედაქციისათვის წინასწარი შეკითხვა სავალდებულო იყო, რაც შეეხება ნაკლს, – თურმე ბევრი ყოფილა ჩვენში (მხილებისათვის მაღლობას უძღვნით).

ინგილომ უნდა იცოდეს, რომ ბერი სრული კი არ არის, არამედ სისრულისაკენ მიილტვის. ჩვენც ვცდილობთ სისრულისაკენ სრბოლას. მხოლოდ ცოდვანი ჩვენნი ჩამოგვითვალოს, დავვისაბუთოს, თავის ცნობების წყაროც გვიჩვენოს ჩვენმა საკათალიკოზო კანდიდატმა, უნაკლო ინგილომ, რომელს დადებითი მხარე კი არ აინტერესებს, არამედ უარყოფითი, რაც კი წარმოუდგენია თავის მოყვასში თუ თანამემამულეში, რომლის თვალში პატარა ბეწვსაც დვიროთ ხედავს! ცხადია, ინგილო ღრმათ დარწმუნებულია, „გარანტიაც“ აქვს მას, მხოლოდ თავის შეუცდომლობაზე, მამულიშვილობაზე, დიდ და შორსმჭვრეტელ მოღვაწეობაზე და სხვაც... და ამიტომ

ჩვენ აღარაფერი გვეთქმის, კიდევ უნდა გავაუქმოთ ცნობილი ლათინური ანდაზა „medice cur ate ipsum!” ცხადიცაა, რასაკვირველია, რომ **შალვა ვარდიძეს** არ დაურწმუნებია ინგილო ვისმეს შეუცდომლობაზე და არც მიუწერია მას საპროვოკაციო სიტყვები: „მამათა ნაწილში ყოველიფერი თავთავის წესზეა, – უწესობისა და შფოთის ორმო დედათა ნაწილიაო“, რომლის აქსონი თვით ინგილო არის.

„რაში შევმცდარვარ? სად არის ის პროვოკაციის ქსელი, რომელშიაც მე, მონასტრის განმარტების მიხედვით, გავბმულვარ?“ – მონასტრის ინგილოსათვის არ მიუცია განმარტება და არც მისცემს. მე დავალებულმა, მხოლოდ გავაფრთხილე შინაურათ და ახლა კი მოკლეთ მივცემ განმარტებას მთავარ საკითხზე მხოლოდ ამ წერილის ბოლოში. წინასწარ ვკითხავ ბნ ინგილოს, მის მიერ მოყვანილ ცნობებში (ანდერძის ინტერპრეტაციით ქონების მისაკუთრება ბერებისაგან, შემოწორულებათა აქტების ჩვენება, მოლოზნების, როგორც თანასწორ მესაკუთრეების დავა და სხვაც, – რაც მთავარ საკითხს შეადგენს), რაა მართალი და რა ტყვილი? ტყვილს რომ თავი დავანებოთ, მართალი ვისგან გაიგო, – ჩვენ ბერებისგან, თუ მოლოზნებისაგან? არც ბერებისგან და არც პირდაპირ მოლოზნებისაგან არ აქვს ინგილოს ისეთი არეულ – დარეული და ტენდენციური ცნობები დამ. საქარ. მოთავსებული რომ აქვს. თუნდა ტენდენციურიც რომ არ იყოს, ბნ ინგილო ცამდის მართალს რომ ამბობდეს, მაინც ვკითხავთ, ვინ დააყენა იგი მსაჯულათ ორთა სრულიად სხვადასხვა კათოლიკე სასულიერო საზოგადოებათა განსჯად? როდის და რისთვის დავაინტერესდით მას, როდესაც იგი ერისკაცი ისაც, მართლმადიდებელი, სრულიათ უცხო და გაუცნობებია, როგორც კათოლიკე ეკლესიის jus Canonicum – ისე ჩვენთა და მოლოზნანთა წესდებულებების და საქმისა? ვინ არის? რა უფლება აქვს? რამე თუ მოუძღვის, გვითხრას და აუნაზღაურებთ! რაც ხდება დაწესებულებაში ინტიმური ცხოვრების მიხედვით, თუნდაც რომ სწორეთ იცოდეს ინგილომ, განა ამის საქმეა? რატომ თვითონ ინგილო, „რომელიც ქართულს სახელს ატარებს“, საზოგადო ასპარეზზე სანიმუშოთ არ გამოაქვს თავისი ინტიმური ცხოვრების საიდუმლოებანი? რომელი „ურიგო მდგომარეობა გრძელდება ოცდაექვსი წელიწადი (ჩვენი ბრალით) და ერთხელაც არ მოგვისურვებია ამისი მოწესრიგება თვინიერ უცხოთა რევიზიისა?

პრესაში თუ არ ვიყვირეთ ინგილოსავით, განა ეს იმის მომასწავებელია, რომ სასულიერო დაწესებულებებში სავალდებულო ან მიღებული წესებით და გზით არ ვსცადეთ საცადელი და დღესაც არ ვცდილობთ მთელი ჩვენი შესაძლებლობის ენერგიით, რათა მოისპოს პროვოკაციური მითქმა – მოთქმა და ცილისწამება? პროვოკაციური მითქმა – მოთქმის და ცილისწამების პრესაში გამოტანა შეცდომა, არ არის? სხვა რომელ პროვოკაციის ქსელს დაეძებს ბნ. ინგილო? ვარწმუნებთ ინგილოს, რომ ჩვენ დაფარული და საყვირელი არა გვაქვს რა. მას კიდევაც ვაცნობეთ, რომ ვინც გვიცნობს, როგორც ქართველი ისე რომი, ჩვენს უსამართლობას ვერ ხედავს ინგილოსავით, რომელიც არ ყოფილა აქ. არ გვიცნობს და წარამარა გაჰკვივის.

ინგილო თავისუფალი ცალკე პიროვნებაა, აგრეთვე, თავისუფალი და ცალკე სასულიერო ოჯახია როგორც ჩვენი, ისე მოლოზნების დაწესებულება, სადაც ეკლესიის ხელისუფლების გარდა ვერავინ გაერევა, ვერც ჩვენ ერთი მეორის საქმეში კანონიერათ გავერკვეთ თვინიერ ეკლესიის თანხმობისა და ბრძანებისა, ვინაიდან ჩვენი და მოლოზნების სავანეები იურიდიულათ და ფაქტიურათ სრულიათ სხვადასხვა დაწესებულებანი არიან. ინგილოს, კარგ ქართველს, იმდენი მაინც უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ საკითხში მისი ჩარევა დასაშვები იქნებოდა მხოლოდ საიდუმლოთ და რჩევის სახით. ინგილოს გამოსვლის წინეთ საქართველოს ელჩის შეკითხვას პასუხი ვერ მივეცით, რადგან საკითხი მომწიფებული არ არის, ხოლო ინგილო გვაიძულებს თავისი უტაკტიკო ყვირილით, პასუხი გავცეთ.

ინგილოს და მის ნათქვამ „მეთვალყურეს“ თვალთა ხედვა თუ არ აკლიათ, დაინახავდნენ, რომ ცამდის ატყორცნილი ზღუდე კი არ გვაკრავს, არამედ მონასტრის პატარა კარიც კი ღია გვაქვს ყველასათვის. ვინც კი ფარულათ და „ფოფხით“ მოცოცდება ჩვენთან, იგი ღრიანკალია და ღრიანკალს ცბიერების და გესლის მეტი არა აზადია რა! რათ უნდა ინგილოს, რომ არგუმენტი შეუბრუნოთ ქართული ანდაზით: „ჩემი გითხარი და გული მოგიკალიო?“ მართლა, რომ ზოგიერთთა ზღუდენი ცამდის ატყორცნილი არიან და მათზე ფოფხვით აცოცება საჭირო ხდება, რათა მათ ლაბირენტულ ბავლში მათი პოლიტიკური, ეროვნული და რელიგიური მრწამსის და მოღვაწეობის რეალობა გაირკვეს, რომელი რეალობაც, მიხედვით მაინც ჩვენი საკითხისა, მიუღებელია დღეს ჩვენთვის. ბნ ინგილოს უნდა ესმოდეს, რომ მისი და ჩვენი რელიგიური, პოლიტიკური და ეროვნული ფსიხოლოგია და პლათფორმა შეიძლება სხვა და სხვა იყოს. მისი და ჩვენი „შეთოკილი სამშობლოს ხსნისა და წარმატებისათვის“ ბრძოლაც და ბრძოლის მეთოდიც კიდევ შეიძლება, რომ სხვა და სხვა იყოს. სად ბნ. ინგილოს „გულისტკივილი“ გამოწვეული ქართული პატრიოტიზმით და სად მამათა სავანის ცილისწამებით პრესაში გალანძღვა? აი, ჩვენი აზრით სხვათა შორის ერთი საარაკო და სანიმუშო „complexis oppositorum!“ “თქვენ თვითონ მიდასტურებთ ... თქვენ ხომ თვითონ მწერთ... – ბნ. ინგილო, განა შეგვიძლიათ. არ შეაფასოთ თქვენ მიერ საჯაროთ წამოყენებული უსაბუთო ბრალდებულებანი? მთავარ საკითხში ცილს გვწამებთ და წერილმანებში როგორ არ დაიბნევით; ჭორების პარკში რომ გახვეული ხართ? თქვენი პირველი წერილის (N55) წაკითხვის შემდეგ კერძოთ, გაგაფრთხილეთ და შეკითხვების სახით ოდნავ განგიმარტეთ საკითხის რეალობა. უნდა გეგრძნოთ, დაგენახათ და მიმხვდარიყავით, რომ ჩვენი სავანე დამნაშავე არ არის და არც შეგეძლოთ დამნაშავეთ მოგენათლათ იგი.

ქართული საქმის და ქართული სოლიდარობის ანუ თავდაცვის პრინციპით თუ მიუდგებით საკითხსაც, მაშინაც კი შემცდარი ხართ, რადგან ლეგალურათ ჩვენ საცდელი ვსცადეთ და დღესაც ვცდილობთ. რატომ მხოლოთ ჩვენ მოგხვდით „თვალის ისარში?“, რატომ დასწერეთ, რაც არ იცოდით? თქვენ დაწერილს, კერძოთ, პასუხი რომ გავეცით, რათ არ ინდომეთ რეალობის გაგება და პრესის საშუალოებით რომ ხურდავდებით, რა საბუთით დაამტკიცებთ, რომ მე **გამემართლებინოს** თქვენი „მთავარი დებულება“ – ვითომც ანდერძის ინტერპრეტაციით და შემოწირულებათა აქტების მიუხედავათ, მთელი ქონება მივისაკუთრეთ და „ბერების (ჩვენი) უსამართლობის გამო“ მოლოზნებმა ნახევარი მისაღებ ქონებისა არ მიიღეს და ამიტომ მოხდა „კონკურსი“ ამათ სავანეში, სადაც „უცხოელები დაფარფაშებენ?“ შენი ცრუ ინფორმაციის ამ ცნობების გამომჟღავნებას მე ნუ მაბრალით, რადგან შენ სთქვი და მე გამამტყუნე. ისედაც **ქართველ ლტოლვილთა საზოგადოებას** ბევრი ავკარგი და საჭირბოროტო საკითხები აქვს. ჩვენი სამშობლოც წითელი ტირანიით პარტახდება! ვფიქრობ, ამაზე ზრუნვაც გეყოფათ და თქვენი რაღაც ახალი „გულისტკივილის“ მიზეზათ ჩვენ ნუ ჩაგვთვლით და ნურც მოგვიმდურებთ იმ ქართველებს, რომლებიც არ გვიცნობენ! ბნ. ინგილო მათქმევინებს: „უცხოელები დაგვიცინიან... ვისაც ძალუძს ბანკროტათ გვაცხადებენ“. ეს საარაკო ტყუილია და მითქმია, ჩვენთა დამცინავთა და ბანკროტათ გამომცხადებელთა თუ იცნობს ინგილო, რატომ, უწინარეს ყოვლისა, მათ არ შეუბრძოლება ჩვენდა დასაცველად? ჩვენ დღემდის ამისთანები არ გვსმენია და ინგილოს, კარგ ქართველს, თუ სურს დაგვიცინოს და ბანკროტათ გამოგვაცხადოს, თამამთა ვეტყვი, რომ დასაცინი და საბანკროტო თავის მოტანილ უადგილო იერიშში მოსძებნოს!

მხოლოდ ბნ ინგილოს პსიხოლოგიას, ანუ ფანტაზიას შეუძლია წარმოიდგინოს, რომ მონსინიორ მარგოტის უცხო „სუორები“ ჰყავდათ ამაღაში და აქ მოიყვანა. მონსინიორ მარგოტი, ყოვლად ღირსეული და ფრთხილი პიროვნებაა. იგი საქმის კურსშია, კარგათ გვეპყრობა და

ვიცი, რომ ინგილოც იცნობს. პაპის მიერ გამოგზავნილ და ახლათ ჩამოსულ ელჩთან ამ სახით თუ იმ სახით და უმიზეზოთ „შებრძოლება“ პრესაში თვით **ვატიკანთან** ბრძოლა არაა? ვკითხავთ, ინგილოს, ეს რა სასარგებლო მოღვაწეობა და ტაქტიკაა და რათ უნდა დაერქვას მას „complescio oppositorum“ – ი? ინგილოს უკვირს „მონასტერი მიჯავრდება იმისა გამო, რომ რომში **ვცხოვრობ და ვატიკანს კი ვებრძვი**, „არ არის სწორეო!“ ეს მისანმა კი არ გვაცნობა, არამედ თვით ინგილომ. ამის დამტკიცება, თუ დამტკიცებაა საჭირო, ვის რას შეჰმატებს, ან რა საჭიროა, რომ ყოველიფერი ჩვენ ვუთხრათ ინგილოს? ჩვენი (მამების) „სავანითა და **მონსინიორ მარგოტით**“, რომ „არ ამოიწურება პონტიფიკალური სამფლობელო“, ეს ინგილოზე მეტად და კარგად ვიცი, მაგრამ ასეთი უადგილო და მთლად უტაკტიკო წამოსროლა ქართველ ლტოლვილთა დაქსაქსულ წრეებშიც კი მიუღებელია. თუ ჩვენს დიპლომატს და საზოგადო მოღვაწეს, ბნ. ინგილოს შეემლება ხსენებულ კონგრეგაციის სამფლობელოს ამოწურვა, მითვე ჩვენი სავანის და მონსინიორ მარგოტის, – ვატიკანის ახალი წარმომადგენლის გამტყუნება და დამარცხება, ალბათ, ამასაც საგაზეთოდ გახდის და ჩვენც გავიგებთ. მანამდის კი ურჩევთ ინგილოს, ვინაიდან **რომშია**, თავის ინფორმატორებთან ერთად, თავისი წერილები წაიღოს და წარსდგეს **ვატიკანში** და პონტიფიკალურ სამფლობელოში, გაეცნოს საქმის რეალობას, რომის ეკლესიის მსჯავრიც გაიგოს, არა მარტო თავის მოქმედებაზე, არამედ თავის ინფორმატორებისაზედაც“.

დასასრული მივცეთ კამათს ბოლო შეკითხვით – რაც დასჭირდა ინგილოს ეთქვა, ვითომც მე მომეწეროს, რომ „უცხოთა ხელში გადავიდა“ – ომოლოზნების სავანე? ამას ვერ მივწერდი, რადგან ფაქტიურათ მართალი არ არის და დღესაც ეთნოგრაფიულად უცხო არავინ არის მოლოზნებში. მიუხედავად ამისა, როგორც **კათოლიკურ ყველა დაწესებულებებში ყველა ეროვნების პირები შედიან**, რათ არ შეიძლება რომ ჩვენშიც უცხოელები შემოვიდნენ და ჩვენს მიზანს ემსახურონ? რაც არ უნდა იყოს, საკმარისათ გარკვეული სიტყვებით კი ვაგრძნობინეთ მას თავის დროზე, რომ ჩვენდა სამწუხაროთ და ჩვენი ყოველნაირ ცდის წინააღმდეგ, მოლოზნები უცხოთა გავლენის ქვეშ დარჩენ, როგორც თვით ინგილო, ვინცაღა ცრუ „მეთვალყურის“ და ინფორმატორის გავლენის ქვეშ მყოფი, ჩვენი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, მაინც რჩება ცრუ ცნობიერების ქსელში, რაიც იწვევს ჩვენში ღრმა გულის ტკივილსა!

ბოდიშს ვიხდით დამ. საქარ. მკითხველების წინაშე ამ წერილის სივრცის გამო. ეს ნაკლი ვერ ავიცილიეთ. რადგან ბნ ინგილოს ორივე წერილის ანალიზი საჭირო იყო. ცოტა კიდევ მოგვითმინონ და მოისმინონ საკითხის მთავარი დებულების რეალობაც, რომელიც, ვეცდებით, მოკლე იყოს, რათა საპოლემიკო და საორჭოფო არაფერი დარჩეს მათ მსჯელობაში.

ჩვენი სავანის დაფუძნების დოკუმენტალური აღწერა ვრცელი იქნება. ამიტომ საკმარისათ მიგვაჩნია, უმთავრესი რიცხვები მოვიყვანოთ, რათა მკითხველმა მცირეოდენი აზრი იქონიოს.

მამა **პეტრე** (ლუკა **ხარისჭირაშვილი**) დაიბადა ქ. ახალციხეს 20 აპრილს 1818 წელს და ღვდელათ ეკურთხა პეტერბურგში 26 ოქტომბერს 1842 წ. 1857 წ. 30 იანვარს წამოსული **არდაჰან-ბათომის** გზით ერთი მოწაფითურთ (**ალფონს ხითარიშვილი**); სტამბოლში ჩამოვიდა 29 მარტს, მთლათ ღარიბი (900 მარჩილი დარჩენოდა), მაგრამ ნებისყოფით **ძლიერი. სტამბოლიდან პალესტინაში** წავიდა და იქიდან **ვენეციაში**, სადაც დაჰყო 21 თვე, დაბეჭდა ქართული წიგნები და გამობრუნდა ისევ სტამბოლში, სადაც მოვიდა 1859 წლის 7 მაისს.

მამა პეტრეს სამი სხვა მოწაფე მიემატა: **იოსებ მამუკაშვილი**, **ივანე გვარამაძე** (ვინმე მესხი) და **სტეფანე გიორგიძე**. 16 ნოემბერს 1860 წ. რომში თხოვნა მისცა. კარდინალ ბარნაბომ, მაშინ პროპაგანდის უფროსმა, 15 იანვრის 1861 წელს მოსწერა სტამბოლში პაპის დელეგატს, **მონსინიორ ბრუნინის**, რომელმაც იმავე წლის **10 თებერვალს** დეკრეტით მამა პეტრეს საზოგადოებას

იურიდიულ არსებობა მიანიჭა. ამ დროს მამა პეტრეს 300 ფრანკი (150 მ.) ჰქონდა კასაში. **კეთილ – მყოფელი აღმოუჩნდა, რომელმაც 1230 არშინი მიწა შესწირა ახალ საზოგადოებას ბინისა და სამლოცველოს აღსაშენებლათ.** მალე, ბინის გარშემო ფულით შეიძინეს ადგილები სამჯერ კიდევ იმდონი. 4 თიბათვეს **1863 წელს მამა პეტრემ დასწერა პირველი ანდერძი**, სადაც ვკითხულობთ: (ფრანგულიდან სიტყვასიტყვით თარგმანი ჩვენია). **მონასტერი და სამლოცველო** თავიანთი მიწებით, აგრეთვე, შემოსავალი მათი და ყველა ქონილი უძრავ და მოძრავ ქონებით, რომელთა შევიძენ ჩემს ცხოვრებაში და რომლებიც დარჩებიან ჩემი სიკვდილის შემდეგ, მიეკუთვნებიან ყველა ზემოთ ხსენებულ ბერებს, კათოლიკე ქართველებს, მონათა უმანკოთ ჩასახებულისა, **რის შედეგათ არც ჩემთა ნათესავთა, არც ქართველ ერსა, არცა არავის სხვა პიროვნებას არ ექნებათ უფლება დავა გაუწიონ ზემოთ ხსენებულ ბერებს, არც გამოიტაცონ რაიმე მათგან**“. საზოგადოებამ რა დღითი დღე იმატა რიცხვით და ქონებით, მამა პეტრეს დაულალავი ენერგიით, მჭიდრო ცხოვრებით და მისი მოწაფე – მღვდლების დახმარებით, 26 თიბათვეს 1863 წელს გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, რომმა **30 იანვარს (1864 წ.) წერილით, პირველი საფეხურის დამტკიცება მიანიჭა მ. პეტრეს დაწესებულებას.**

მამა პეტრემ მოლოზნების სავანის დაარსებისათვის რამდენიმე ქართ. მანდილოსანს მოუყარა თავი. ძველი მიწერ – მოწერა 1866 წლიდან დაწყებული გვეუბნევა, რომ ამ საქმეს მეტი ცდა დასჭირებია. **1869 – ში მოლოზნების კაი ჯგუფია.** ამისი იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებულ იქნა 9 მკათათვეს **1871 წელს.** საჭიროა, მკითხველს ვაცნობოთ კათოლიკურ *Yus Canonicum* – ის მიხედვით, დედათა სავანეები ეპარხიის უმფროსებზედ არიან დამორჩილებულნი, თუ კი მესამე ხარისხის დამტკიცება არ აქვთ. ეპისკოპოზი პირველ შემთხვევაში მოლოზნებს ზედამხედველათ და მრჩეველათ უჩვენებს იმ სასულიერო პირს, რომელიც მას სურს. ცხადია, და ყველამ იცის, რომ ქართ. კათოლ. **მონაზონთა სავანეც სტამბოლის ეპისკოპოზზეა მიხედვით.** ვინაიდან რომელიმე მონასტრის დამტკიცება ეკლესიის მიერ არ შეიძლება, თუ მას ბინა და მტკიცე საცხოვრებელი არ აქვს; ამიტომ მამა პეტრემ როგორც ბერებისათვის, ისე ცალკე მოლოზნებისათვის იფიქრა. აი, რაც შეეხება **მოლოზნებს, 1871 წელს მოლოზნების ბინა გაზარდა** თავისი ხარჯით იმ მამულზე, რომელიც მამათა ნაწილის ფულით ნაყიდი ჰქონდა. რაც მისცა დამწყობმა მოლოზნებსა, დღესაც უდავოდ უკავიათ მათ, თუმცა ხარკს ყოველთვის ჩვენ ვიხდით. დამწყობმა ესაც არ იკმარა. მოლოზნებს წესდებულებაში დაუწერა და მამათა სავანესაც უბრძანა, რომ **დედათა სავანე ერჩინათ 10 – 15 წელს**, რომელ ვადის შემდეგ მოლოზნებს თავისით უნდა ერჩინათ თავი, მამათა სავანემ იმ თავიდან 15 წელიწადი კი არა, არამედ სხვა 20 და 23 წელიწადი იტვირთეს მოლოზნების კვება და აღზრდა, ვიდრე **1903 – 04 წელს.** ამის გარდა, მოლოზნებს ჰქონდათ თავიანთის აქ და შემდეგ **დარდანელშიც პატარა სასწავლებლის შემოსავალიც.** როცა ბერებმა საზრდოს მიცემა შეუწყვიტეს, მოლოზნებმა აღარ მოინდომეს ჩვენი სავანის წინამძღვრის ხელმძღვანელობა. იმ წლიდან დღემდის შესწყვიტეს კავშირი და იყოლიეს უცხოთა სავანის ზედამხედველი. აქ არაფერია უწესო, ვინაიდან ეპისკოპოზის ნებაყოფლობით მოხდა. ხსენებულ წელში იყო ბრძანება მონსინიორ **ტაჩაისმიერ**, რომ მამათა სავანის წინამძღვარი აღარ უნდა გარეულიყო მოლოზნების ხელმძღვანელობაში. ყველა ეს ეკლესიის ნორმებს და კანონებს არ ეწინააღმდეგება. თუმცა მოლოზნებს შეეძლოთ თავიანთი ნებაყოფლობით ჩვენ სავანესთან კავშირი არ გაეწყვიტათ თავიანთივე საკეთილდღეოდ.

საკითხი ოდნავ ბნელათ დარჩება უცხოთათვის, თუ რომ არ დაუბრუნდით მამა პეტრეს შეხედულობას მონასტრის მამულებზე. მისი ზემოთ მოყვანილი ანდერძის ამონაწერზედ შეიძლება სთქვან, რომ მოლოზნების დაარსებაზე ადრინდელიაო. მამა პეტრე გულუბრყვილო კი

არ იყო, არამედ დიდი შორსმჭვრეტელი. შემდეგში საორჭოფო და სადავო რომ არ ყოფილიყო, სწორედ მაშინ, როდესაც ქართ. კათ. მოლოზნების საზოგადოება ჩამოყალიბებული იყო, მათი საზოგადოება ცალკე დაწესებულებათ აღიარებული და მათი წესდება დამუშავებული, ხელმოერთ დასწერა ახალი ანდერძი 2 ნოემბერს 1869 წელს და 4 დღის შემდეგ შეამოწმებინა პაპის წარმომადგენელს მონსინიორ ანტონი – იოსებს. ამ ანდერძს არ დაამტკიცებდა ეპისკოპოზი, თუ კი წინააღმდეგი იქნებოდა მოლოზნების ინტერესებისა. დამწყობმა მალე დაინახა, რომ მის ანდერძს თუმცა ეკლესიურათ იურიდიული ძალა ჰქონდა, საკმარისი კი არ იყო სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე. ამიტომ 10 აგვისტოს 1870 წელს, 1869 წლის ანდერძი თვითონვე სიტყვა სიტყვით გადასწერა და იმავე დღეს შეამოწმებინა სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში. ეს ორივე ანდერძი შინაარსით სრულათ არ განსხვავდებიან 1863 წლის ანდერძისაგან. აი, აქაც რას ვკითხულობთ იტალიურ ენაზე, რომელსაც მკითხველისათვის სიტყვა სიტყვით ვსთარგმნით: „რადგან, როგორც ზემოთხსენებული მონასტერი, სამლოცველო და სანოვითადო თავიანთი ადგილით (მიწით), ისე კიდევ შეძენილნი შემოსავალნი თუ იგივე კრებულის მიერ, თუ ჩემ მიერ, და ყოველი ჩემი ქონილი მოძრავი და უძრავი, რომელთაც შევიძენ ჩემს სიცოცხლეში, დარჩებიან და ეკუთვნიან ყველა ჩემი სიკვდილის შემდეგ ზემოთ ხსენებულ კათოლიკე ქართველ ბერებს. ამიტომ არც ჩემ ნათესავებს, არც ქართველ ერს, არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექნება უფლება უქმნას დავა ზემოთხსენებულ საკუთრებებზე ხსენებულ ბერებსა, ანუ წარიტაცოს ერთი რომელიმე ნაწილი მათი. ეს არის ჩემი უკანასკნელი და უცვლელი ნება, რომელიც მე გამოვაცხადე აქ და მინდა რომ ყოველი საგანი, როგორც დაწერილია, აქ იქმნას მარად ასრულებული.“

ამის შემდეგ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ანდერძის ინტერპრეტაციით „უსამართლონი“ ვიყოთ! ვერც წარმოგვიდგენია, რომ ვისმეს დავა შეეძლოს. ცხადია, ჭორებს და მითქმა – მოთქმებს ვერ გავყვებით და არც არავის ნებას მივსცემთ, რომ პრესის საშუალებით ქონების უსამართლო მისაკუთრება დაგვწამოს და ქართული საზოგადოება შეაცდინოს და ააღელვოს ჩვენს წინააღმდეგ.

მამულები იმთავითვე კერძო პირებზე იყვნენ დამტკიცებულნი, რადგან ოსმალეთში ვაყუფის კანონის ძალით სხვანაირათ არ შეიძლებოდა. ხოლო კერძო პირები თავიანთი საკონსულოების შემოწმებით აცხადებდნენ, რომ იგინი იყვნენ მხოლოდ სახელის მომცემნი და არც მათი და არც მათი ჩამომავლობისა, არამედ ქართ. კათოლ. ბერების მიერ ფულით ნაყიდი. ყველა ეს აქტი 6 წლის განმავლობაში ჩემს ხელში იყვნენ და დიდი ომის დროს ახალი კანონების მიხედვით თითქმის ყველა მამულები, რომელთაც შემოსავალი დიდი არაფერი აქვთ, უცხო პირებისგან ჩვენს ეკლესიაზე იურიდიული გზით და სასამართლოთითაც, გადმოვადებინე და დავამტკიცებინე. მოლოზნების მამულები და აქტები მათ ხელში იყვნენ და არიან დღესაც. ხოლო ეგრეთ წოდებულნი „შემოწირულობათა“ აქტები, თუ კი არსებობენ, გვითხრან, გვიჩვენონ დალოცვილებმა და მათზე წინ და საჯაროთ ვპირდებით, რომ არ გამოვეპატრონებით და დიდის სიამოვნებით მთლათ დაუთმობთ ქართ. კათოლ. მოლოზნებს თუ არა, მაინც ბნ. ინგილოს, რომელიც იმედია, ჩვენზე უკეთ დაწესებულებას დაარსებს, სადაც არავითარ უსამართლობას ადგილი არ ექნება.

### პ. შალვა ვარდიძე



X X X

13/IX – 1930 წ. M. Ouratatzel!

ქ. სტამბოლი

ბნ. ურატაძე!

უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ ჩემი პასუხი – წერილი სტამბოლიდან – ბნ. ინგილოს ორივე წერილზე, რომლებიც ჩემის გამოანგარიშებით 5 სვეტის იკავებს „**დამ. საქართველოში**“. ჩემი პასუხი ცოტა მეტ ადგილს დაიკავებს, დაახლოებით 6<sup>1/2</sup> სვეტის. სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ვარჩიე ჯერჯერობით ამდენის თქმა. იმედი მაქვს, რომ პოლემიკას ამით ბოლო მოეღება.

ინგილოს გამოსვლამ უკმაყოფილება გამოიწვია აქაურ შეგნებულ ქართველებში. თვით მოლოზნები, რადენადაც ვიცით, უსაზღვროთ უკმაყოფილონი არიან, რადგან მაგ წერილებმა მათ ვნება მოუტანა. განა შესაძლებელია რომ ჩვენ მოლოზნებს თავიანთ კერძოს არ მივცემდით, თუ კი მისაცემი რაიმე იყოს? ამ ჟამით, მოლოზნების საქმის გასასწორებლად, პაპის ელჩის ბრძანებით, ჩვენს სავანეს მინდობილი აქვს (გთხოვთ ეს სრულიათ საიდუმლოთ შეინახოთ) და პრესაში ამ საკითხზედაც საუბარი არ იქნება მიზანშეწონილი.

იმედი მაქვს განახო **პარიჟში**. აგრეთვე მეორე ნაცნობები.

გისურვებ ბედნიერებას – სამშობლოში დაბრუნებას.

შენი თანამემამულე

პ. შალვა ვარდიძე

X X X

პარიზი. ქაქუცას საფლავზე

1930 წელს

**შალვა ვარდიძე**

**ქაქუცას პანაშვიდზე**

გვიანია მოსალმება ჩვენი, **ძვირფასო ქაქუცა**, მით უმეტეს უძლიერესი სიყვარულით არის მომდინარე გულის საკურთხეველით. უფლება აყრილნი, სამშობლოდან გადმოხვეწილნი, მღელვარე გონებით, დამწუხრებული სულით შენი ცივი სამარის წინაროთ მიძინებულო! ზე-ჩაგონებით ლოცვა-გალობით, ქართული ჰანგებით, ქართული ისტორიული ენის აქ შორს ტურფა ივერიიდან. მწუხარებით, მაგრამ ტკბილათ ვიგონებთ ჩვენ ხილულ რიგებიდან განშორებულს. ხოლო საიმქვეყნოდან საამქვეყნო მოსული მისი უკვდავი სული ჩვენთან ახლოს არს, ჩვენ შორის არის და ისმენს ჩვენთა ზღვა გრძნობათა ამოძახილსა. ექვსი თვეა, ღირსეული, რაინდული, ქართული წარმავალი მისი ცხოვრება დაჰქრა. მისმა ძლიერმა ნებისყოფამ, მისმა ქართულმა სულმა ვეღარ შემოინახა მისი დაღლილი გვამის ძვლები. **დადუმდა მწუხარე ჩანგი, დაწყდენ მისი გულის სიმები! დანაკლისი ეროვნული დიდი**. დიდ ხანს შეუვსობელი! ჩვენი ეროვნული ვრცელი ცხოვრების ზვირთებში, მრავალ გზის თქმულა და იქნება კიდევ ითქვას მწუხარე ეროვნული ჰანგი: „**სადაურსა სად წაიყვან, სად აუფხვრი სადით ძირსა!**“ მაგრამ ქართველ ერს ყოველთვის ღრმად სწამდა და იწამებს, რომ მის თავდადებულ შვილთა სახელი, ამათი სული უკვდავია. **ქართველ ერს სამი ათასი წლის და მეტის მანძილზე ამ რწმენით უცხოვრია. უკვდავება! აჰა, ქაქუცას შარავანდედი**. რომლის სახელი, რომლის სული გვესაუბრება, გვამხნევეს ჩვენი დაკნინების, ჩვენი დაქსაქსვის დროს და გვიკარნახებს ჩვენთა სისუსტეთა, ჩვენთა მიწიერთა და პიროვნულთა მიდრეკილებათა უკუ-გდებას, რათა აღტყინებულნი მარადისობის ზე – აზრით და რწმენით,

ქაქუცასავით ვიცხოვროთ ეროვნული ცხოვრებით, ვიმოდვაწოთ მასსავით უკვდავებისთვის. ამ უკვდავების ღრმა რწმენით მრავალთა ქართველთა დალიეს ცხოვრება დედა სამშობლოს გარეთ. მათი ფერფლი, ქაქუცას ეს მტვერი თუ არ აპოხიერებს ივერიის მიწას, ამათი სულივით აცხოველებს საქართველოს სულსა. **სული ქართული, სული უკვდავი, სული ბედნიერი** ღვთიულთა მცნებათა და ეროვნულ მოვალეობათა, არ მომკვდარა, **არ მოკვდება და მიისწრაფვის უკვდავებისაკენ**. აი, აქაც **ქართული სული**, ბედად ქაქუცას სული, ხილულია გონების და რწმენის თვალთ, და ქაქუცა კი არ უნდა ვიგლოვოთ, არამედ ჩვენი ცოცხალი თავი, რადგან ამ რაინდი-სავით ჩვენ ჯერეთ ვერ მოვიხადეთ ჩვენი საღვთო და გარდუვალი ვალი ჩვენი ერის და სამშობლოს წინაშე.

წარმოდგენილი საარქივო მასალა დედნიდან წაიკითხა და რედაქტირება გაუკეთა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა **ნანული ნოღაიდელმა**  
2018წლის 12 დეკემბერი, ბათუმი

### ვანო ბერიძის პოემების ნიმუშები

ეს მაინც ხომ არ შეგენანება,  
რომ სულ გაღმერთო და გულის ძგერა,  
მხოლოდ და მხოლოდ შენზედა მქონდეს, –  
ჩემი სიცოცხლე შენზედ დაღონდეს...  
შენს თვალთა სხივი ვიხმარო სიმათ,  
ავაწყო ჩანგი და როგორც წინად,  
ზედ დავამღერო, რომ სულის ბინად –  
ჰანგთა სამეფო ავიღო წილად!..

– . –

როცა შენი სიყვარულით ჩემს გრძნობებში მე ვიბრძოდი,  
როცა შენი დასანახად საც შენ იყავ, იქ მივრბოდი,  
როცა შენგნივ ანთებული ვით სანთელი მე ვიწვოდი –  
ნუ თუ ჩემი საღიზინოთ მაწამებდი... გამირბოდი,  
რომ დღეს ტრფობას მიდასტურებ, რომ დღეს მოდი,  
რომ დღეს მოდი?!...

ნუთუ იგი არ იცოდი, რომ წამებით ჩავქრებოდი,  
ვით მცენარე დაჩრდილული, უწყლოდ, როგორ  
ჩავხმებოდი?!...

ნუთუ მართლა: – დღეს აქ მოდი, მეუბნები: – „ჩემი დღე ხარ“...

ნუთუ გინდა დამაჯერო – ანგელოზის სიწმინდე ხარ?!...

კმარა... გეყო... გზა მშვიდობის... არ მინდევხარ?!!

არ მინდევხარ?!! ...

**ვან. ბერიძე**

ივნისი, 1917 წ.

\* \* \*

ბედო, ჩემო უკულმართო!..  
რა ვქენ ეგრე მწარე,  
რომ დამიწვი, დამიტანჯე  
ცხოვრების გზა მალე.  
რაც ჩამოველ ამ ქვეყანას  
შენ არ გამახარე –  
წამ და უწუმ, ყოველ საათს  
უკულმა მატარე.  
წინააღმდეგი მე არა ვარ,  
– ფლიდია ეს მხარე,  
წამხდარია, გარყვნილია  
ამის არე – მარე.  
სხვადასხვა გვარ სიწამხდრითა  
ეს მხარეა სავსე  
და ჯამშშიაც არ აკლია  
თუნდ მხეცური სახე.  
რომ გგონიათ, მე არა ვარ  
ეგრე დამნაშავე;  
გადაწყვიტე, რამე ქენი,  
თუ გინდ სულ მაწამე.  
მე კი მირჩევს შემირიგდე –  
რაც მიქენ, მაკმარე;  
დღეის იქით ჭკუით ვივლი –  
მისთვის დრო მახმარე.  
**ვან. ბერიძე**  
**ქ. პეტერბურგი, 1909 წ.**

\* \* \*

პასუხი ტ – ას  
ამბობ: „ჩემთვის სიყვარული  
არ არსებობს, არავისა,  
და სიცოცხლაც სიაზროვნეც –  
განქრენ აწ და მარადისა;  
მე „მე“ არ ვარ, „მე“-სგან განველ,  
გულს მწვავს დრონი წარსულისა,  
მყობადიც და აწმყოც ჩემთვის  
ბილიკია ტანჯულისა...  
მზად ხარ? მომცე მეგობრობა,  
მხოლოდ მთხოვ მის თამასუქსა,  
მაგრამ გული ვისთვის გინდა?..

ვის უნახავ?.. ვისთვის გსურსა?..

**ვან. ბერიძე**

ოქტომბერი, 1918 წ.

**ქ. თბილისი.**

\* \* \*

ახალ წლის დილას

ფიქრები

გხედავთ, გხედავთ, მოგროვილხართ

ქეიბობთ და ღვინოს სვამთ –

ეგრე მღერით: – „დრო ვატაროთ,

რა შეგვრჩება ამ ქვეყნათ“.

გაძლარი ხართ, რაღა გიშავთ, –

ბედნიერთა რიცხვში ხართ;

არ გგონიათ, თუ ამ ქვეყნათ

უბედურნიც ბევრნი ვართ.

ნუ აზროვნებთ, ნუღარ ფიქრობთ –

თქვენს მოძმეებს წინ წასწევთ,

რადგან იდეალათა გაქვთ:

„ვსჭამოთ, ვსვათ და უვუწვეთ“.

თვისთვის ტკბილათ, ჩახოხბილათ

მიირთმევთ მაქ სხვა და სხვას;

ბატონებო, მოიხედეთ,

ყური უგდეთ მშიერთ ხმას!...

**პეტროგრადი , 1910 წ.**

**ვან. ბერიძე**

\* \* \*

მიპასუხე, გენაცვალე

მე სულ არ გეგბრალები...

რომ ვერაფრით ვერ მოვხიბლე

მაგ შავ – შავი თვალები?!..

ნუთუ, მართლა, სამუდამოდ

დამეხურა კარები?...

რა ვიღონო?... ვერ მოვჯადე

შავ ცეცხლ – მფრქვევი თვალები...

ნუთუ ჩვენთვის სიმბოლოა

შავი, მწვავი თვალები, –

რომ შავფერად დავითალხო,

რომ ჩავიცვა შავები?!...

**ვან. ბერიძე**

მარტი. 1919 წ.

\* \* \*

არრად ვიქეც, გავტრიალდი, დავემონე ფიქრთ ღელვასა,  
შენი არსი მომაგონებს მზეს მთვარეს და მეხ – ელვასა:  
ხან მზესავით მირიჟრაჟებ ჩემს ცხოვრების გზა და კვალსა,  
ია – ვარდსა შემიკაზმავ სიცხადის წამს, მომაკვდავსა,  
ხან კი მთვარედ ამოვკვეთავ, როს შევსცურავ ფიქრთა მთასა.  
და ოდნავი იმედებით ხელს ავიღებ გიშრის თასსა,  
ოცნებითვე თასს არშიად შემოვივლებ შენს შავ თმასა, –  
დავლევ მითი შავ არშიან შავი თასით სასმელს შავსა –  
მაგრამ!... ამ დროს გაიეღვებ, დამეცემი მეხად თავსა;  
და დამინგრევ საოცნებოდ აშენებულ შუშაბანდსა.  
ვსტირი ამ დროს ... ვსტირი... ვსტირი... არც მაღირსებ  
საუბარსა.

დათალხული გულით, სულით, ნუგეშსა ვთხოვ მთა თუ ბარსა,  
მაგრამ ვიგრძნობ მარტობას, ველარ ვპოვებ ჩემს საშველსა –  
არად ვაგდებ უშენობით მთა – გორაკს და მინდორ – ველსა.  
ნეტა რაზედ გავჩენილვარ? რად არ მივალ შავს მიწასა!!...  
მინდა გასკდეს დედა მიწა, რომ შთამინთქას შხამი წამსა!!.

**ვან. ბერიძე**

იანვარი, 1919 წ.

\* \* \*

ქართველ ქალწულის გოდება  
იტირე გულო, იტირე სულო,  
იტირეთ დებო, ამხანაგებო,  
იტირე, მთელი დემოკრატიავ,  
ოი, თითებო... ოი თითებო?..

იტირე მზეო, იტირე მთვარევ,  
იტირეთ თქვენაც, გიჟ ვარსკვლავებო,  
იტირე ნეკო და დიდო თითო,  
იტირე, თითო, საჩვენებლო!...  
დავწვით, დავდაგეთ, დავასახიჩრეთ –  
სადილო ზვარაკად განაწამებო,  
სადა ხარ დედა... მიშველე მალე!...  
ოი, თითებო! ... ოი, თითებო!...

**ვან. ბერიძე**

ოქტომბერი, 1918 წ.

\* \* \*

ექსპრონტი  
ხილული მუზა ყმაწვილსა  
ბევრს რამეს ჩაადენინებს:  
დამე ძილსაც კი გაუტეხს,  
და ლექსაც დააწერინებს;

რჩეულთა გუნდს შეუერთებს,  
ფრთებს შესხმულს მაღლა ააფრენს,  
და ეს მგონია მიზეზი,  
ანიკოს ყველა რომ აქებს  
**ვან. ბერიძე**  
ხონი, 1918 წ.

\* \* \*

შენ რა იცი, რა დრო განვლო,  
რაც მე იგი არ მინახავს –  
ვისიც წყრომა, ხან ზღაპრები  
გულს მიამებს, სულს მინახავს.

რა ვერ ვნახე? .. მოკლედ გეტყვი:  
სხვათა საქმეს ვეღარ მოვრჩი, –  
გულმა გული ვეღარ ნახა, –  
ბედნიერთა ჯგუფს ჩამოვრჩი...

და რა უყო ამ ჩემს ფიქრებს,  
და რა უყო ტანჯულს გულსა,  
გულს ცხოვრების გზის ანარეკლს,  
და ეკლებში გადარგულსა? .....

**ვან. ბერიძე.**  
ქ. თბილისი 1918 წ.  
სექტემბრის დამლევი.

\* \* \*

განსხვავება  
... და მეც ტურფამ მითხრა არა,  
სამუდამოდ გამეყარა;  
მაგრამ ამით ძილ – სიზმარი  
უფრო მეტად შემაყვარა.  
ოჰ, სიზმრებო, მოდით ჩქარა...

ცხადი ტურფამ სამუდამოდ  
დამიჭკნო და დამიდარა. –  
სიზმარში კი ია – ვარდათ  
მეველინები ნაზ – ნარნარა.  
ოჰ, სიზმრებო, მოდით ჩქარა...

სიცოცხლისა ჩემი დრონი  
არ გამიყო თანაზარა, –  
ძილ სიზმარი მე მაკუთვნა.  
ცხადი კი სხვას ჩააზარა.  
დღეს, სიზმრებო, მოდით ჩქარა...  
მართალია, დღეს – დღეობით  
მზემ ამოსვლით ვერ მახარა,  
მაგრამ მთვარემ ვარსკვლავთ კრებით  
იმედები დამაყარა – ...  
დღეს, სიზმრებო, მოდით ჩქარა!!...

ჩემი ცხადი – სიზმარია, –  
სიზმარი კი ცხადი – მა რა?...  
მაგრამ მაინც იმედი მაქვს \_  
მზე ამოვა... მთვარე ჩავა...  
დღეს სიზმრებო, მოდით ჩქარა...

დღეს სიზმრებმა გამაცოცხლა,  
დღეს სიზმრები დამატარებს,  
დღეს სიზმრების წიაღში ვარ,  
დღეს სიზმრები მანეტარებს!!!...  
**ვან. ბერიძე**  
თბილისი, 1918 წ.

\* \* \*

წერილი სამარყანდიდან –  
თემერლანის კოშკისაგან  
სალამს გიძღვნის ქართველიო;  
მარჯვნივ გვამკობს მთა – გორაკი,  
მარცხნივ კი მიწდორ – ველიო.  
ეს დრო კარგად გავატარე;  
აწი არა – რას მოველიო.  
**ვან. ბერიძე**  
ივნისი, 1917 წ.

\* \* \*

სულით შენი ვარ და ვიყავ,  
შენ ქვა გული მაჩვენეო...  
მოიხედე ერთხელ მაინც –  
თავი ნუ შესაჩვენეო!!...

**ვან. ბერიძე**

ივლისი, 1917 წ.

\* \* \*

აიდინის საქმე (გზათ პეტროგრაფისაკენ ტაშკენტი)

წერილი **გ. ნიკოლაძეს**

სალამს გიძღვნი **ტაშკენტიდან!** მე მივდივარ **პეტროგრადში**.

იქ საქმე მაქვს, ქარხნის საქმე და მიწვევენ თანაც ჯარში.

მინდა გითხრა ორი სიტყვით, თუ რა ვნახე აიდანში,

რა უქნათ იმ უშნოებს, რას ჩავდიე ასე ღდინში.

მართლაც, ამ ჩემს ცოდვით სავსეთ, მოუნახავთ მადნის ლანდი

და იმ წამსვე აუგიათ ფანტაზიით შუშაბანდი.

უყიდიათ არე – მარე, შვიდ ოთხკუთხა ვერსის დარე.

მთა გორაკი, მინდორ – ველი, მოტვრეცილი როგორც მთვარე.

შუაში კი ჭა უთხრიათ მშვენიერი სურნელეთი

$H_2S^{-\text{ით}}$ ,  $CaS^{-\text{ით}}$ ,  $CaSO_4^{-\text{ით}}$  (აშდვა ესით, კალციესით, კალციეს – იეტი – ეთ)

კარგი არის, ის კი მათ არ ადგება.

თუ კი ვინმე ტანს დაიბანს – რევმატიზმი გაქარწყლდება.

გაუგიათ „კალკარონი“ მალამოა გოგირდისა

და ამისთვის მოუწყვიათ იგი როგორც გოგო მთისა.

შეხვეწიათ: „კალკარონო“ გამოგვიდნე გოგირდიო“,

მაგრამ გიჰსის ზეგავლენით უჭამია მათ ლობიო,

არ სცოდნიათ, ამ გვარ მადანს ისე ამკობს „კალკარონი“,

როგორც რომე მშვენიერსა ხიზილალას მაკარონი.

შემდეგ ორთქლით უფიქრიათ გამოდნობა გოგირდისა,

მაგრამ გლახათ მოუწყვიათ და ბევრ დროსაც ითხოვს ისა.

კამერაც კი უშენიათ, ნდომიათ დესტალაცია

და უხეშად ნაშენებში შემოჭრილა რეაქცია:

შიდ ჰაერი შედიოდა და ერთვოდა გოგირდ – ორთქლსა,

მით იწვოდა და თან ქმნიდა გოგირდიან გაზის ბოლსა.

რა გავეცან ამ საქმეებს, წარუდგინე მოხსენება, –

როგორ უნდა ვიმუშაო დღეს და შემდეგ, მომცეს ნება.

დღეს ვასწორებ, თუ რაც არის აქ მაგათი ნაშენები,

რომ ჯერ ამით გამოვადნო ის, რაცა გვაქვს ხელს მადნები.

ქარხანა კი აქ მოითხოვს თვით მადნისა გამოკვლევას,

თუ რამდენი არის იგი და რამდენ ხანს შესძლებს კვებას.



უგუნურებს უამისოთ დაუწყიათ ქარხნის წყობა;  
და დაუდგამთ ამგვარ საქმით უვიცობის თვისი „რლომბა“.  
ჩვენ კი ეხლა, უპირველეს, გამოკვლევას შევუდექით –  
რამდენია აქ მადანი ეს ქარხნისა დედა ღერძი.  
და გაჩაღდა მუშაობა, შურფებს ურტყამს მიწა – მკვირცხლსა  
და ერთსა და ან ორ თვეში გამოვიკვლევ მადნის რიცხვსა.  
მაგრამ ბედი რომ არა მაქვს, მაგრამ ბედი რომ არ მწყალობს,  
– ამ საქმისა ჩემმა გეგმამ მგონივ მალე იქარწყალოს...  
ფირმა თხოვდა ადგილობრივ კომიტეტის წევრთა  
სხდომას,  
რომ ჯარში არ გავეწვიე როგორც ქარხნის უფროს  
მდგომარს.  
მაგრამ ამა 13 ივნისს დაგვიბრუნეს უკან თხოვნა –  
**ბერიძეა** ვოლნოპიორი და კანონი მის მოთხოვნა;  
ეს კანონი მას მოითხოვს, რომ შებრძანდეს იგი პოლკში  
და თუ შტაბი დათანხმდება, მოგიძღვნიან **კრასნოვოდსკში**.  
„ვიხლავორთეთ“ ბევრი კიდე – ვთქვით ეს ასე არ იქნება –  
ფრონტისათვის ვმუშაობთ და ამისა გვაქვს ჩვენ უფლებაც,  
მაგრამ მაინც გვიპასუხეს: „ეს მას აღარ ეხებაო –  
ის ბრძანდება ვოლნოპიორი და საქმე არ ხერხდებაო.  
თან ურჩიეს ფირმის პატრონს: „გააგზავნეთ **პეტროგრადში**  
იქ მივიდეს პოლკში საქმე, თქვენ კი შედით თხოვნით შტაბში“.  
პეტროგრადი მით სჯობია, რომ იქ მალე ნახავნო  
და თუ საქმე დაგვირგვინდა, დაიბრუნებთ მას მალეო“.  
რალას ვიზამ, – რაც მომელის იმას ხომ ვერ ავცილდები,  
და თუ დიდხანს ჯარში დავრჩი, **ლენინელებს**  
**ავხირდები**.  
მუშებს, ალბათ, ჯამაგირის ესიამათ მომატება  
და მშვიდობას დაუმატეს – „მალე ნახვა გვენატრება“.  
ახალგაზრდა სალდათი ვარ, ახალგაზრდა ინჟინერი,  
ახალგაზრდა თმაქაჩალა, ახალგაზრდა ყველაფერი!...  
მივდივარ და მივდივარ მწარე გრძნობით ანამგერი, –  
მივალ პიტერს, რომ თვით პიტერს დაულაგო ყველაფერი!!..  
**ვან. ბერიძე**  
18 ივნისი, 1917 წ.

## გიორგი კერესელიძის წერილი ბერლინიდან

1916 წელი. ქ. ბერლინი

მვირფასო მეგობრებო, ბოდიშს გიხდით, რომ აქამდის წერილი ვერ მოგწერეთ, მარა ამის მიზეზები ბევრი იყო, ჯერ არც თქვენგან მიგვიღია წერილები, და მეორეც საქმეები აქამდის არც გამოურკვეველი იყვნენ.

როგორც გეცოდინებათ, ჩვენ აქ ქართველ ტყვეებში გავწიეთ პროპაგანდა. 2 ათასამდე ქართველი ტყვე შეაგროვეს ბერლინთან ახლოს ლაგერში, სადაც გარდა ამ ქართველებისა ბევრი რუსის თათარი (ყაზანის და სხვები) იყვნენ. დასაწყისში, აგრეთვე, იყვნენ ფრანგები, ბელგიელები და ცოტა ინგლისელებიც. შიგ ქართულ ლაგერში იყვნენ რუსი ექიმები და აგრეთვე, რუსის ღვდელი. ყველა ამ ელემენტმა (გარდა რუსის თათრებისა, რომელთა შორისაც მუშაობა არის) საშინლად იმუშავეს ჩვენს წინააღმდეგ. განსაკუთრებით რუსის ღვდელმა და ფრანგებმა. დაარწმუნეს ჩვენი ტყვეები, გერმანიას ჯარი აკლია და სურთ ქართველი ტყვეები გაიტყუონ და გერმანიის ფრონტზე გაგზავნონ, ან და სათათრეში დაასახლონ. აგრეთვე, იმოქმედეს მუქარით, რომ მათ ცოლ – შვილს ამოწყვეტენ და სხვა. შიგ ქართველებთა შორისაც იყვნენ ბევრი ისეთი ელემენტი, რომელიც რუსის მომხრე (ნაპოლიციელი, ჯაშუში და სხვა ამისთანა), ამათ შექმნეს ჯგუფი და გაუჩინეს ტერორი დანარჩენ ტყვეებსაც. ხოლო აქ ქართველებმა იბრუნეს პირი და შეუძლებელი გახდა მათში მუშაობა. პირდაპირ ამბობდნენ, ჩვენ არავის არ გვემინიან, დაგვხვრიტონ და მაინც ფეხს არ ვადგამთო. დაიწყეს ჩვენს ჯიბრზე «Божье царя» – სიმღერა და ქება და დიდება რუსის ხელმწიფის და რუსის ხალხისა. თუმც შემდეგ ფრანგებიც, ბელგიელებიც, რუსის ექიმებიც, ღვდელიც და ხულიგანთა მოთავეებიც გადმაიყვანეს, მარა ხომ იცით, თუ ქართველმა ხალხმა ერთხელ პირი შეჰკრა, მისი გამობრუნება შეუძლებელია. მერე დაიწყეს მოლების დაცინვა; პირში ლანძღავდნენ და ერთი სიტყვით ყველანაირი უსაქციელობა. იძულებული გავხდით დროებით უარი გვეთქვა ამ 2000 კაცზე და იგი გადაიყვანეს სხვა, მოშორებულ ლაგერში.

ახლა ჩვენ გვსურს ამოვარჩიოთ გერმანიაში მყოფ ქართველთა ტყვეებს შორის, მიუხედავად მათი წარსულისა, ისეთი ელემენტი, რომელთა შორის უფრო ადვილი იქნება მუშაობა და გადმოვიყვანოთ სპეციალურ ქართულ ლაგერში. მათ შორის ჩვენ ნელ – ნელა, ფრთხილათ შეუდგებით მუშაობას. ვეცდებით, რაც შეიძლება უკეთესად მოვაწყოთ საქმე. შემდეგი საშუალებანი გვსურს მოვიხმაროთ: მოვაწყოთ ქართულის და გერმანული ენების სკოლები (რაზედაც პირველმა კონტინგენტმა უარი განაცხადა, არც სწავლა გვინდა და არც მღერაო), საგალობელი გუნდები, სხვადასხვა თამაშები და სხვა – რაც საშუალებას მოგვცემს, გავიცნოთ ახლო, და მოვიპოვოთ ნდობა. გვსურს, აგრეთვე, გამოვცეთ ბეჭდვითი გაზეთი ქართულ ენაზე, რომელიც პირველ ხანებში იქნება მარტო ინფორმაციული და ლიტერატურული, შემდეგ პირობებათა მიხედვით შეუცვლით ხასიათს ამ გაზეთს. დაახლოებით ასე იყო საქმე ჩვენი მუშაობისა ტყვეებთა შორის და ასე ვაპირებთ ვიმუშაოთ შემდეგ. ეს რაც შეეხება ჯარის კაცთ.

ოფიცრებთა შორისაც კი, აი, როგორი იყო: დავისახეთ მე და მიხამ (ცალ-ცალკე) აქაური ოფიცრების ლაგერება. ვნახეთ 40 – 50 კაცამდე. ნახევარზე მეტი ამათგანი რუსოფილია, ბევრი გარუსებული, ბევრიც რუსის მომხრე პირადი ინტერესებით, ზოგი სიმპატიით, და ზოგიც რწმენით. დანარჩენთა შორის არიან უმეტესი – შედარებით კარგი ქართველები, მაგრამ ეშინიათ რუსეთის, თავისი ცოლ – შვილის ბედ – იღბალის, აქვთ პირადი შიში და სხვა. ზოგნი ლუარსაბ თათქარიძისავით ოცნებობენ, ახ რა კარგი იქნება რომ საქართველო განთავისუფლდესო, მარა თვითონ კი ხელს არ გაანძრევენ. იდეალისტები – გამჭვალულნი სამშობლოს სიყვარულით და მოუმზადებელნი იყვნენ მხოლოდ ეს ხუთი ოფიცერი, რომელიც უკვე ჩვენთან არიან და 4 მათგანი,

მათ შორის 3 უნტერ ოფიცერი, რომლებიც მათ მისდევენ. მეხუთეს კი ჯერ აქ ვტოვებთ, რადგან გვჭირიან ოფიცერთა შორის სამუშაოთ. არიან ისეთი ელემენტებიც, რომელნიც წამოვლენ, თუ ნახეს, რომ საქმეს სერიოზული ხასიათი აქვს და განსაცდელში არ აგდებს ჩვენს ერს. გარდა **გერმანიისა, ავსტრიაშიც** მოიპოვება რამდენიმე ოფიცერი, რომელთა გულიც ჩვენსკენ არის. ასე იყო მუშაობა ტყვეებთა შორის, მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ მარტო ამით არ გაგვისაზღვრავს ჩვენი მუშაობა. რამდენადაც შეიძლებოდა ვეწეოდით პროპაგანდას. გერმანიაში ვაცნობთ ქართულ იდეას და ვაცნობთ გერმანიას ჩვენს ერს, მის წარსულს, მის კულტურას, მის მისწრაფებებს და მის განსაცდელს; ვცდილობდით და ვცდილობთ დავაინტერესოთ უმთავრესად გერმანია და მისი მოკავშირენი ჩვენი საკითხით და, აგრეთვე, დანარჩენი ევროპა, თუ კი ეს შესაძლებელია.

ძნელია ეს მუშაობა, საჭიროა ფული, ხალხი და ჩვენ არც პირველი გვაქვს, არც მეორე. მეტად რე პირველი. ის უსახსრობა გვიბორკავს ხელფებს. არამცთუ სახსარი არ გვაქვს კარგად დავაყენოთ ეს მუშაობა, არამედ სახსარი არ გვაქვს ხეირიანათ ვიცხოვროთ. მიუხედავად ამისა, ჩვენი აქტივი ამ მხრივ არც ისეთი პატარაა, როგორც არი ჩვენი სახსარი. უკვე მოვახერხეთ გამოგვეცა მიხას წიგნი „**საქართველო და საკაცობრიო ომი**“ გერმანულათ, შემდეგ გადითარგმნა იგი და გამოვიდა ფრანგულათ, ახლა გამოვა ინგლისურათ, ისპანურად და შეიძლება იტალიურადაც. სურდათ გამოეცათ რუსულადაც, მარა ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით. ამ წიგნმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათა შორის, პირველი გერმანული გამოცემა (1200 ცალი) ჩვენ ხარჯზე დაიბეჭდა, რასაც სავსებით ხელი შეუწყო გიორგიმ; მეორე გერმანული გამოცემა (10 000 ცალზე მეტი) ფრანგული და სხვა ენებზე მოვახერხეთ ისე, რომ თავის თავზე აიღო აქ ერთმა **გერმანულ-აღმოსავლეთის საზოგადოებამ**. შემდეგ მიხამ წიკითხა მშვენიერი მოხსენება, გიორგის წინასიტყვაობით – გერმანულ საზოგადოებაში და ამან ხომ უფრო მაღლა ასწია ჩვენი საკითხი. ეს მოხსენებაც იბეჭდება.

ვამზადებთ ახალ წიგნს (მიხა სწერს); ერთი სიტყვით, რაც შეიძლება მივაკდებით მუშაობას, მარა ვიმეორებ, უსახსრობა ხელფებს გვიკრავს.

გარდა ყველა ამისა, ვაწყობთ ერთ საზოგადოებას (აქაც გიორგი დიდ აქტივობას იჩენს) გერმანულ – ქართულს, რომელსაც კულტურული ხასიათი ექნება. ამ საზოგადოებაში იქნებიან გერმანიის გამოჩენილნი პირნი. ეს საზოგადოება ეცდება, წიგნების გამოცემის საშუალებით **გააცნოს გერმანიას საქართველო**, მისი კულტურული და ეკონომიკური სიმდიდრე. აქაც უსახსრობა ძალიან გვიშლის, მარა იმედია წევრებს ავართმევთ საჭირო ფულს. შემდეგში იქნება გაყიდულმა წიგნებმა მისცეს საშუალება ამ საზოგადოებას, იარსებოს და გაადიდოს საქმე. უკვე მდივანიც გვყავს მეტის მეტი აქტიური და სიმპატიური პიროვნება. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ამ საზოგადოებაზე.

გარდა ყველა ამისა, ვაწარმოებთ, აგრეთვე, რამდენადაც შეიძლება, ყოველ დღიური გაზეთების საშუალებით ჩვენი თავის გაცნობას, მარა ეს მეტისმეტად ძნელი საქმეა, რადგან საჭიროა ფული, თორემ ისე არავინ არ ბეჭდავს. **ხშირად საშინელი ტყუილები იბეჭდება ჩვენზე, დ პასუხს არც კი იღებენ**. ახლა იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გამოცემული წიგნი შეგვიწყობს ხელს, და რედაქციები ამ წიგნის გაცნობის შემდეგ ჩვენზე ისეთ ობრუდობას აღარ მოათავსებენ.

**გეგოდინებათ სტამბოლში, თათრის მთავრობის დახმარებით შესდგა კავკასიელ ერების წარმომადგენელთა კომისია და ჩამოვიდა ბერლინში**. ამ საქმიდან თითქმის არა გამოვიდა რა, ვინაიდან ძნელი გახდა მათთან მუშაობა. მშვენიერი კაცი, და მართლაც, საქმის მოყვარე არის **ბაქოელი თათარი**, რომელსაც წრფელი გულით სურს ჩვენთან მუშაობა და ინტრიგების ჩამდენი არ არის. ეს კომისია თითქმის დაიშალა. ვმუშაობთ ცალ – ცალკე, თუმც თათართან ადვილია მუშაობა.

იარაღი გამოიგზავნა 23000 თოფი, მარა, საუბედუროდ, ეს თოფები, თუმცა კარგია, მარა თითო ტყვიანი არის. გამოვაცხადეთ პროტესტი, მარა გვითხრეს, ჯერ არ გვაქვს მეტიო, ახლა ვცდილობთ გამოვავაზნოთ ჯერ – ჯერობით 2000 მაინც რუსის თოფი, დაგვპირდნენ. მოდის, აგრეთვე, 20 ტყვიის მტყორცნელი.

ჩვენ ოფიცრებს მოსდევთ ერთი გერმანელი ოფიცერი და ორი უნტერ – ოფიცერი. ჩვენის აზრით, თუ ეს გერმანელი ოფიცერი ჩვენს ჯარში ჩაეწერა, მას უნდა მიემატოს ერთი ჩინი. ესე იგი, მიეცეს ამაღლება შედარებით იმ ჩინთან, რომელიც მას გერმანიის სამსახურში აქვს. ერთი უნტერ – ოფიცერთაგანი ამ ოფიცრის ძმას და სპეციალისტი არის იარაღის კეთებისა.

არც ჩვენ უნტერ – ოფიცრებს და არც გერმანიისებს, ჩვენის ღრმა რწმენით ჯერ – ჯერობით არ უნდა მივცეთ ოფიცრობა. ეს დაარღვევს დისციპლინას.

კომიტეტის აზრიც და ჩემი პირადი რჩევაც, და რწმენაც შემდეგია: კომიტეტმა არც ერთ წუთს არ უნდა დაჰკარგოს თავისი ავტორიტეტი, ჩვენ ოფიცრებში არც ერთს ოფიცერს არ შეუძლია იყვენ წევრი კომიტეტისა და ამაზე შემდეგ, რასაკვირველია, საჭიროა მათთან მეგობრობა, მარა არა გადაჭარბებული (ეს დასცემს ავტორიტეტს); საჭიროა, ახლავე, დასაწყისშივე, წინდახეული, ჭკვიანური, მარა მაგარი დისციპლინა.

ჩვენ ბერლინში და სტამბულში მყოფ კომიტეტის წევრებს რამდენიმე საყვედური გვაქვს თქვენდამი: მანდ თქვენ მიგიღიათ რამდენიმე პრინციპიალური გადაწყვეტილება ჩვენს შეუკითხავად. ჩვენის ღრმა რწმენით, ეს დარღვევა არის კოლექტიური მუშაობის პრინციპისა.

აი, ის პრინციპები, რომელიც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მთელი კომიტეტის სახელმძღვანელოთ, და დაჟინებით გთხოვთ, მოგვწეროთ ამაზე თქვენი აზრი, ან უკეთესი იქნება დეტალურათ შეიმუშაოთ ჩვენი რეგლამენტი და ისე მოგვაწოდოთ; ჩვენ შევიტანთ, თუ საჭიროთ ვნახავთ, ჩვენს შესწორებებს და ასე ამრიგათ გვექნება გამორკვეული კონსტიტუცია.

აი ჩვენი სქემა:

**ქართველ სეპარატისტთა კომიტეტი მუშაობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად:**

ორგანიზაცია: 1) კომიტეტი. კომიტეტს აქვს უფლება კოოპტაციის, მარა მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა კომიტეტის წევრი თანახმაა ამ პირის კოოპტაციისა, სხვანაირ შემთხვევაში ვერცერთი პირი ვერ გახდება კომიტეტის წევრათ.

2. წევრნი დამხმარენი – თანამოაზრენი და მსურველნი, რომელსაც ენდობა ან მთელი კომიტეტი, ან კომიტეტის ნაწილი, ან ერთი წევრი კომიტეტისა.

კომიტეტს აქვს სამი ადგილი: ტრაბიზონი, ბერლინი და სტამბული (თუ კომიტეტი საჭიროთ დაინახავს, შეიძლება მიემატოს ადგილები).

ყველა ამ სამ ნაწილს აქვს უფლება, იმუშაოს ავტონამიურათ, მხოლოდ ისეთ საკითხებში, რომელნიც არ სცვლიან პრინციპიალურად დაწყებულ საქმეს. ყველა საკითხი, რომელსაც პრინციპიალური ხასიათს აქვს და, აგრეთვე, რაიმე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება უნდა, უნდა წყდებოდეს მთელი კომიტეტის წევრების ხმის უმეტესობით.

კომიტეტის წარმომადგენელი მუშაობს განსაზღვრული დირექტივების მიხედვით, რომელთა .....მას ეძლევა ვრცელი ინიციატივის უფლება.

სამივე ნაწილი კომიტეტისა შეძლებისდაგვარათ უგზავნიან ერთი მეორეს ანგარიშს თავის ნამოქმედარისას.

**არმია (ლეგიონები)**

ქართველი ჯარი ექვემდებარება კომიტეტს. კომიტეტის წევრი განაგებს პირდაპირ საქმეს ჯარისას ( დაახლოებით სამხედრო მინისტრის პრინციპზე).

არც ერთ ოფიცერს, გარდა ჯარის გამგისა, არა აქვს უფლება იყვეს წევრი კომიტეტისა.

ჯარს აქვს თავისი შტაბი. ეს შტაბი წარადგენს ოფიცერს ან ჯარისკაცს ან h – ხარისხის დამატებისათვის ან საჩუქრისათვის, კომიტეტი ამტკიცებს ან უარს ამბობს.

ყველა გადაწყვეტილებას, არმიის მოქმედებისას ან მისი ორგანიზაციისას, იღებს შტაბი და ამტკიცებს კომიტეტი.

ჯარის კანონმდებლობის პრინციპებით იღება (როგორც უკვე გადაწყვეტილი იყო) **გერმანიის სამხედრო კანონმდებლობა.**

ჩვენი ღრმა რწმენით, აუცილებლად საჭიროა რაიმე დისციპლინა იყოს კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობისათვის. საჭიროა მთლიანობა და ერთაზროვნება, რამდენადაც შესაძლოა შეთანხმებული მუშაობა. მართალია, მარტო წერითი რეგლამენტი და ამაზე აშენებული დისციპლინა კომიტეტისა საგანგებოთ ვერ შეჰქმნის ყველა ამას; საჭიროა ერთი მეორის გულწრფელი ანგარიშის გაწევა, მარა თვით რაიმე დისციპლინა, დამყარებული წერით რეგლამენტზე აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია.

ახლა, საუბედუროდ, დრო არ გვქონდა დეტალებში შეგვემუშავებინა ჩვენი პროექტი, ამას, შევეცდებით, მალე შევასრულოთ და გამოვიგზავნოთ. თქვენ შეიტანთ თქვენ შესწორებებს და გამოვიგზავნით. ან შეგიძლიათ თქვენც წაიმუშავოთ დეტალებში და ჩვენ გამოვიგზავნოთ; ჩვენ შევიტანთ ჩვენს შესწორებებს და ასე, ამრიგათ, შევთანხმდებით.

ჩვენი ღრმა რწმენით საჭიროა, უკეთესი ორგანიზაცია ჩვენი მუშაობისა, საჭიროა უფრო სერიოზული ხასიათი მიეცეს, და მიხედვით ჩვენი წარსული მუშაობის შეცდომებისა, შესწორდეს ჩვენი მომავალი მუშაობა.

ჩვენს გარშემო იკრიფება ინტრიგები, ჩვენს საქმის ჩაფუშვას ცდილობენ და მას სჭირდება დიდი სიფრთხილე და შინაგანი სიმტკიცე, ერთსულოვნობა, დიდი სერიოზული შესწავლა ყველა ჩვენი ნაბიჯისა.

ჩვენ ავიღეთ ჩვენს თავზე საშინელი საკითხი: ჩვენმა შეცდომებმა შეიძლება საშინელ განსაცდელში ჩააყენოს ჩვენი ერი, რომლის მიხმარებაც ჩვენ გვწადაია, ან კიდევ ჩვენმა შეცდომამ შეიძლება მოგვისპოს მუშაობის საშუალება და თუ ვინიცობაა, დადგა ისეთი მომენტი, როცა ჩვენ შეგვეძლო დახმარება, ჩვენს გამო დაკარგული იქნება.

ჩვენ გვიდგება ახლა უფრო ძნელი ხანა, უფრო პასუხსაგები, ვიდრე აქამდის იყო. ერთი მხრით, ქართველი ერი ძლივს ჩვენს მოხმარებას ელის, მეორე მხრივ, ჩვენში საკითხი საშინლად გამწვავდა. **სომხებს, როგორც ჩანს პრესიდან, პირდაპირ იერიში მოაქვთ ჩვენზე, და სურთ ჩვენი ბრძოლაში გამოწვევა, უეჭველია, რუსი მათკენ იქნება.** მაშ, ჩვენმა შეცდომამ აქაც შეიძლება ძალიან წაახდინოს ჩვენი საქმე, და **სომხებს სასურველი მიზეზი მისცეს თავიანთი წადილის აღსასრულებლად.**

ჩვენი არმიის არსებობა იწყება, ჩვენს მოძრაობას უფრო სერიოზული ხასიათი ეძლევა, და ჩვენს სინდისზე არა მარტო უფრო მძიმე საკითხი დგება, არამედ წყდება ბევრ პიროვნებათა ბედ – იღბალიც.

ჩვენი ღრმა რწმენით, დიდი და დიდი სიფრთხილეა საჭირო, აუჩქარებლივი და დაფიქრებითი მოქმედება. არ გაგვიტაცოს დროებითი გამარჯვების აჩრდილმა, არ ჩავებათ ისეთ საქციელში, რომელიც **მოსპობს ჩვენს ჩაგრულს ერსა.** ჩვენ მოვითხოვთ და მეგობრულათაც გთხოვთ, არაფერი მოქმედება არ დაიწყოთ, სანამ არ ნახავთ, რომ თათრის ჯარს გადაწყვეტილი აქვს სერიოზული ბრძოლა და რომ იგინი საკმარისი ძალებით იწყობენ რუსების წინააღმდეგ გალაშქრებას. ასწონ – დასწონეთ, გამოიანგარიშეთ, არ დაგავიწყდეთ, რომ უბრალო აჩქარებამ შეიძლება მოსპოს ჩვენი ერი.

არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ არ ვართ მეომარი სახელმწიფო, რომლის ჯარსაც მოსპობს გამარჯვებული ჯარი, ხოლო რომლის ერს და მიწაწყალს სიცოცხლეს მოუსპობს და რომელსაც თუმც დამარცხებულს, შეუძლია კიდევ აღსდგეს და ამ დროის განმავლობაში კიდევ გამაგრდეს წელში.

**გახსოვდეთ, რომ ჩვენ არ ვართ აჯანყებული ერი, რომელსაც მთლიანად მოსპობს მტერი,** ისარგებლებს შემთხვევით და სულ გაანადგურებს უშიშრათ, მოსპობს მთელს ერს, როგორც ასეთს და დაისაკუთრებს მიწა – წყალს.

მაშ დაფიქრება, სიმშვიდე, ობიექტური დაფასება მდგომარეობისა არის საჭირო; და მხოლოდ ისე გადაწყვეტაა მოქმედების დაწყებისა. საჭიროა არ ჩავრიოთ რაიმე მოსაზრება, გარდა ჩვენი იდეისა, გარდა ჩვენი ერის ბედ – იღბალისა.

მაშ კიდევ გიმეორებთ: აუცილებლათ უნდა მოუცადოთ თათბირის სერიოზულ და მძლავრ ოფანსივას, თორემ დავმარცხდებით, მოვისპობით მთელი ერი, და გავხდებით რუსის და სომხის წერა.

ეს არის ჩვენი უდიდესი თხოვნა და სურვილი როგორც კომიტეტის ნაწილისა.

ნიკოლოზი ჩასულა **სტამბოლში** და ეწევა საშინელ ინტრიგებს, არამც თუ მარტო კომიტეტის წინააღმდეგ, არამედ ყველა ჭუჭყით და ჭორით პიროვნებების წინააღმდეგაც. მას შეუდგენია, ვითომდა, **ახალი ცენტრალური კომიტეტი ჟენევაში** და მის საშუალებით მოქმედებს. აგრეთვე, შეუდგენია **ახალი კომიტეტი სტამბოლში**, სადაც მელიან ამბაქო, ფალავა და სხვა.

გიორგი ხვალ ან ზეგ მიდის ისევ სტამბოლში და ვნახოთ როგორ იმოქმედობს. საჭიროა ადგილობრივ პირობებსაც გაუწიოს ანგარიში. ჩვენის აზრით, კი საჭიროა (თუ ეს შესაძლებელია) პირდაპირ მის, ნიკოლოზის, წინააღმდეგ მოქმედება და ულტიმატუმის დაყენება, ან ჩვენ ან ეგ, თუ არა და არ გვინდა მუშაობა. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ ვუთხრათ, რომ ჩვენს დაუკითხავათ ვერავისთან ვერ დაიჭერს საქმეს. მარა ვნახოთ კიდევ რა გამოირკვევა **სტამბოლში**.

ასეა აქ დაახლოებით საქმე.

ვეცდებით, რაც შეიძლება ხშირად მოგცეთ ანგარიში ჩვენი მოქმედებისა და ამასვე მოვითხოვთ თქვენგან.

გიმეორებთ კიდევ, რომ ჩვენ ვართ უკმაყოფილო იმისა, რომ თქვენ მიგიღიათ რამდენიმე გადაწყვეტილება ძალიან სერიოზული ხასიათისა ჩვენ შეუკითხავათ და ჩვენ იძულებული ვიყავით პოსტო ფაქტიუმ დავთანხმებოდით. იმედი გვაქვს, ეს აღარ გამეორდება. ჩვენის აზრით, საჭიროა ინიციატივის უფლება ყოველ კომიტეტის განცალკევებულ ჯგუფისა, მარა შეუძლებელია სხვა კომიტეტის წევრების შეუკითხავად დიდმნიშვნელოვანი საკითხების საბოლოო გადაწყვეტა. შეიძლება, თუ ამას მოითხოვს დაბეჯითებით პირობები, მიიღოს კომიტეტის ნაწილმა ესა თუ ის ახალი ხასიათის გადაწყვეტილება, მარა ამ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი და მისი საბოლოო მიღება კი შეიძლება მხოლოდ ყველა კომიტეტის წევრების ხმის უმეტესობით. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება შეთანხმებული და სერიოზული მუშაობა.

როგორც ზევით გწერდით, **სომხის პრესა ძალიან ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ.** მან დაჰკარგა ყოველი მორიდება და სირცხვილი; როგორც სჩანს, სწადია ჩვენთან სერიოზული საბოლოო შეტაკება. იცოდეთ, თუ ჰკვიანურად არ მოვიქცევით, გვაჯობებენ, დაგვამარცხებენ. ძალა ჯერჯერობით მათს ხელშია.

ჩვენი მუშაობა ხალხში არის გადასული. ერთი ჩვენი ოფიცერთაგანი თითქმის პირდაპირ გამოგზავნილი იყო ჩვენთან. მას უმუშავია ჩვენში, იცნობს ყველას და იცის, რა მუშაობა არის. იგი, როცა მოდიოდა გერმანიის საზღვარზე საომრათ, უთქვიათ: **ეცადე ტყვეთ მოხვდეთ, და თუ აგისრულდა წადილი, მონახე ქართველებიო,** პირდაპირ ჩვენთან დაუბერებიათ და იმუშავე

იმათთანო. იგიც მოხვდა ტყვეთ და იმ საათში მოსწერა წერილი შტაბს, რადგან ჩვენი მისამართი არ იცოდა. საუბედუროთ, იგი ჯერ – ჯერობით აუცილებელი საჭიროა აქ დარჩეს, რადგან კარგათ იცნობს ჩვენს ხალხს, უმუშავნია მათში და, აგრეთვე, ბევრი ნაცნობები ჰყავს ქართველ ოფიცერთა შორის. პირველივე შემთხვევაში, იგიც წამოვა და დაიწყება თუ არა სერიოზული საქმე, მეც მანდ ვარ.

საბოლოოდ პირადი ჩემი თხოვნა: რადგან მეც ვიყავი წევრი ჩვენი არმიის, გთხოვთ შტაბსაც გადასცეთ ჩემი თხოვნა და კომიტეტსაც. გთხოვთ, დამამტკიცოთ რაიმე ჩინში, რომ შემემლოს, თუ საჭირო იქნება, ფორმის ჩაცმა. შეიძლება დრო მოვიდეს, როდესაც ხელსაყრელი იქნება ჩვენი საქმისათვის.

ახალი ფერით პარადის ფორმა აქ შევიმუშავეთ და ჩვენმა ოფიცრებმა ჩაიცვეს.

ჩვენ თანახმა ვართ ამ ფორმის, თუ თქვენც ყაბული ხართ, დროებითი მიღებით მიღებული იქნეს ეს ფორმა.

თუ მე მომეცა უფლება ფორმის ტარებისა (რაიცა არ დაარღვევს ზევით მიღებულ პრინციპს, რომ აქტიურ არმიის წევრათ კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყვეს, ვინაიდან მე ჯერ არ ვიღებ პირდაპირ მონაწილეობას არმიის მოქმედებაში), მომწერეთ, **ჩინიც რა მექნება, და ეს ჩინი რამდენ ვარსკვლავს ატარებს.**

რასაკვირველია, დარწმუნებული ხართ, რომ მე ეს არც სათამაშოთ მინდა და არც საკოხტავოთ.

კომიტეტის აზრები დაახლოებით გადმოგვცით.

თქვენი მეგობარი **გიორგი კერესელიძე**

P.S.ლეოს კერძოთ ვწერ წერილს.

P.S.ოტსტავკა არ შემომიტანია ჯერ და მაშ, ოფიცრათ ვირიცხები; მე ჯერ ამ არმიის წევრი არ ვარ და მაშ, შემძლია თამამად კომიტეტის წევრი ვიყვე.

## **რაფიელ ნებიერიძის ბარათი მღვდელ პიო ბალიძეს**

ფრდ. პატივცემულო მამაო პიო

ქებული იეოს იესოს სახელი

ამ ხანებშიდ გამოვიდა **ილია ჭავჭავაძის** თხოვულება და რადგანაც კაი რამე არის, ამისთვისაც გამოვიწერე და აგერ გიგზავნი სახსოვრად. მანდ სასტუმროშიდ ანუ სხვაგან დასტუეთ, მომსვლელები ნახამენ და შეხალისდებიან მაგის წაკითხვაზედ; მაინც ერთი სახსოვარი უნდა გამამეგზავნა, როგორათაც დავპირდი მამა კონსტანტინეს, მაგრამ ამაზედ კარგი ვერაფერი ვერ მოვნახე; მართალია, უფრო უდიდესი სახსოვარი გეკადრებოდათ, მაგრამ ისე ჩათვალეთ, ვითომც თუ ყოფილიყო, მეც მომეწონა და რა ვიცი, თქვენც მოგეწონებათ თუ არა.

ახლა ვილაპარაკოთ სხვა რამიებზედ, მივიღე უკეთუ პატიოსანი წერილი კოპირებითურთ, პასპორტი კარგი უკეთუ თქვენ არ გაგიგზავნიათ, შემატყობინეთ, მე გადავსწერამ და გავაგზავნი.

კარგათ წაიკითხეთ ამ თვის გაზეთები; დიდი ჩხუბია ახლა აბრახუნასა და ჩვენ შორის; ამას მარტო თქვენ გწერთ: მე ნავთს ვასხამ და ამათ სპიჩკას ვაძლევინებ; უცდით, რომ დაიბრახუნოს და პასუხი მოგვცეს; იმ დღეს სომხურ გაზეთ „**ორიზონტშიდ**“ ძალიან გალანძღეს **აბრახუნა**; თითქოს, უკაცრავად, ნიფხვიდამ ხონჯარი გამოუძვრა. ამ ჯერობათ ძალიან აეწეწა საქმე. წარმოიდგინეთ, რომ აქაური **აპრაკუნაც** გადაეკიდა ჯერ **პოლოს თათუნოვს** და ახლა ეს ორნი

ძალზედ ჩამომდგარნი არიან. შემდეგ მიწერ – მოწერისა, აბრახუნა ავალიანებს აპრაკუნასა და **თათუნოვსა**, რათა რომ შერიგდნენ; ჯერეთ კვალად შერიგებულნი არ არიან. წყალი აინღვრა, ახლა უცდით მის დაწმენდასა. არ ვიცი, **ბათუმის გაზეთში** წაიკითხეთ რამე თუ არა; მაშ, აგერ გიგზავნი ამოჭრილსა და თუ არ წაგიკითხიათ, ნახეთ. მაგრამ ძალიან კარგს იზამთ რომ გადათარგმნოთ და დააბეჭდინოთ მანდაურს გაზეთებშიდ, რომ თვით რო მასაც ყურში მოხვდეს, არაფერი არ მიინდა, ერთი დაიბრახუნოსა ამ ჯერობათ გლახათ ჩამოუდევით აბრახუნას; მამამისის ნიფხავშიდ უნდა ჩავაგდოთ, მეტი ჩარა არა გვაქვს. ერთი, რა იქნება, თქვენი საქმის ამბები დაწვრილებით მომწერეთ, თუ რანაირად გარდასწყდა თქვენი საქმეები. ეგ უნიჭო კოლეგები რომ გყავსთ, კარგს იზამთ, ბოჭკაშიდ ჩაყაროთ, მცხარი ძმარი დაასხმევინოთ და აბრახუნას მიართვათ .... უკეთუ ყელშიდ გაეჩაროს, მაშინ აპრაკუნა მას ამოუღებს.

თქვენ მანდ კარგი საშუალება გაქვთ, ასე, რომ აქაური ქართულიდგან რომ გადათარგმნოთ სხვადასხვა ენებზედ გაზეთები, მაშინ, რასაკვირველია, აბრახუნას მახათები გაეყრება და მისი კოლეგებიც მას ვეღარ მიეკარებიან. აჟ, ხომ მოგეხსენება, რანაირათ უნდა მოიქცეს ადამიანი და მანდ სულ სხვა არის. საჩივარი წავიდა გუბერნატორთან აბრახუნაზედ ..... თაობაზედ.

ჯერეთ არავითარი პასუხი არ არის; შემდეგშიდ გაცოდინებ; **ერთობა იქონიეთ თქვენშიდ და მტერი ვერაფერს ვერ დაგაკლებთ.**

დასასრულს, გთხოვთ უმორჩილესად, მომიკითხოთ ძმობრივის სიყვარულითა ყოველანი. დავშდები თქვენს წირვალოცვაშიდ და ვედრებით.

### **პ. რაფიელ ნებიერიძე**

ახალციხე

26 მაისს 1914

## **რაფიელ ნებიერიძის ბარათი მღვდელ პიო ბალიძეს**

ფრიად პატივცემულო მამაო პიო,

ქებული იყოს იესოს სახელი!

მშვიდობით მოველი ჩემს ძველს ბინაზედ, მაგრამ უნდა სიმართლე მოგახსენო, ის ძმობრივი სიყვარული, რომელიც თქვენ მე მაჩვენეთ ჩემს მანდ ყოფნაშიდ და დარჩება ჩემს გულშიდ წარუხოცველად. ამისთვისაც გულითადის მადლობას მოგახსენებ და ვთხოვ ღმერთსა, რათა რომ მოგეხმაროს ყოველა თქვენს საქმეებში და გაგამარჯვებინოს, რომ აღაშენოთ **ზღუდენი იურესალიმისანი** და გამარჯვების დროშამ იფრიალოს თქვენ ქართველ კათოლიკეებზედ.

თქვენი მონდობილი ყმაწვილები ორივენი მშვიდობით მივწიე თავიანთ ბინაებზედ. კარგათ გავამხიარულე. ასე რომ მწუხარება წახოცვილი იყო მათი გულებიდგან, ვიდრე თავიანცა ჩასვლამდე. კვლავ მადლობას გიძღვნი, რომ ხელი გამიმართეთ და მესესხეთ; ათ თუმანსა ყოველი ჩემზედ დახარჯულს საქმეებზედ და რა მიიღებთ, დახიეთ ჩემი მოცემული ბარათი.

ყოველთა თქვენგანით გამოტანილი რაიმეები ჩავაბარე მე ჩემის ხელით თავიანთ პატრონებსა, ღმერთმა ადღეგრძელოს **ნიკო საბაევი**, რომელსაც **თრაპიზონიდან** დეპეშით ვაცნობე ჩემი მოსვლა **ბათუმშიდ** და მან გამომიგზავნა **ლუკა გურგენბეგოვი**, დამოქნაში ჩარულობით არ გავწვალე-ბულვარ, ხუთ მინუტშიდ ყველაფერი მოვრჩით და მშვიდობით და გახარებული **ნიკო საბაევთან** მიველით, რომელმანცა დიდის პატივისცემით მიგვიღო.

აჟ რომ ჩამოველი, დამხვდა სხვადასხვა ამბები, ჯერ აყრამის წყალობითა და **მერაბიშვილისა** ჯერ **სრაფიონისა**. ნუ იტყვით, ქალაქიდან აბრახუნას მოუწერია მღვდლებისათვის, რომ არიან



სამნი მღვდელნი გამოპარულნი **სტამბოლიდამ**, ერთი თქვენ. მეორე პატრი **შალვა** და მესამე **ბერნარდე**; აქაურ უქვინებსაც გადმოუძახიათ ეკლესიებში, რომ ჩვენი უმფროსის ბრძანებითაო ამათ არ უნდა ვაწირინოთო, ამ დროს პოლიციასაც ყურშიდ მოხდება ეს ამბავი და გამოუდგება თქვენს ძებნასა. უკეთუ პ. შალვას არ გამოესწრო, ჩავარდებოდა პროლიციის ხელშიდ. ახლა თქვენ განირჩახეთ ამ სახეების ჩადენილი ამბები. ეს გაიძვერა **მერაბიშვილი** დიდს საქმეებს ჩადის, მაგრამ არც ამას შერჩება და არც ამის უფროსსა; მოვა დრო, დადგება ჟამი, რომ ამა გამოვიდეთ; მხოლოდ ამას ვთხოვ ღმერთსა, რომ დამასწროს მათს თავებზედ ჩაქურის კაკუნსა. სრულობით თვით ჩვენები ხელს უწყობენ, რომ დაგვამხონ ჩვენ ქართველთ კათოლიკენი, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ **ყოველი ადამიანი თავის თავისთავის ცდილობს და არა სხვებისთვის**. ქართველმა რომ ქართველს უღალატოს, იმას უნდა უთხრათ რავა, მაგრამ მღვდელმა რომ მღვდელს უღალატოს, იმას უნდა დავარქვათ **იუდა**.

ასედ არის ჩვენი **განაცრებული მოძმეების** საქმეები. უფრო სჯობია მივმართოთ ღმერთსა, როგორათაც **იუდა მაკაბელი**, აღვმართოთ ჩვენი ფარები და უთხრათ ერთი ერთმანეთსა: განვხეთქოთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩვენგან უღელი მათი. ნუ შევიშინებთ, მამაო, სიმართლისათვის დავღვაროთ სისხლი და **უფალი მართალი მოგვაგებს გვირგვინსა სიხარულისასა და ჩვენ ერს გაუხსნით გზასა სუფევისასა**.

კვლავაც ნება მომეცი, მადლობა მოგახსენო ყოველა თქვენი ტანჯვისათვის და პატივისცემისათვის; ამასთანავე, გიგზავნი თორმეტ ცალს ჩემ მიერ შეთხზულს კატეხიზმიებს და ნუ შემერაცხების, უკეთუ სტამბის მიზეზით შეამჩნევთ რაიმე დანაკლისსა.

დავშთები თქვენს წა. წირველოცვაშიდ

მომხსენებელი

ქ. ახალციხეს პ. რაფიელ ნებიერიძე

28 ოქტომბერს, 1919.

X X X

Батуми 29 დეკემბერი 1913

დიდად პატივცემულო

მამაო პიო

პდ მოგილოცავთ წარსულს დღესასწაულებს და მომავალ ახალ წელიწადს! ღმერთმა მრავალი დაგასწრონ ჯანის სიმრთელით, კარგათ ყოფნით, და მინდა მოგეცეს ძალა, რომ თქვენ მიერ მიღებულ ვალდებულებას მხნეთ გაუძღვეთ. ბოდიშს იმათ ვითხოვ, რომ თქვენ მიერ მოწერილი წერილების პასუხი აქამდინ დავაგვიანე. იმედია, მომიტევებთ და არ დამემდურებით, რადგანაც ძრიენ ბევრი საქმეები მაქვს და თითქმის თავს ვედარ გავსული ვარ და ვედარ მომიცლია. მოხუცებულობაში ვფიქრობდი, ცოტას შევისვენებოქო, მაგრამ რამდენიც დრო მიდის იმდენი მემატება საქმეები, ზოგი ჩემი და ზოგი სხვების და ჯერჯერობით არც მყავს იმისთანა ვინმე, რომ ჩემი მაგიერათ მან შეასრულოს და ვნახოთ მომავალში შეიძლება, იმედი მაქვს და იქნება ღმერთმა ქნას, იმათ შეეჩვიონ და მიიღონ რამდენიმე ნაწილი ჩემი შრომიდან.

თქვენ პირველ წერილში მწერდით, რომ ყუელა წუხს, ამბავს პატრი რაფიელი გიამბობთო და იმდაგვარ თხოვნა გააკეთეთ და გამომიგზავნეთ და რაც შეიძლება დააჩქარეთ გამოგზავნა. პატრი რაფიელი ჩუენთან იყო ერთი დღე და ჩემთვის მონაწერის შესახებ სრულებით არაფერი ულაპა-

რაკნია. მე ვიფიქრე, იქედან მაინც მომწერსთქო და არც იქედან არაფერი მოუწერიათ და მე არ ვიცი, რანაირი თხოვნა უნდა დაწერილიყო; თხოვნა ვის სახელზე უნდა დაწერილიყო ან თხოვნა რაზედ უნდა ყოფილიყო დამყარებული; ანუ ვისგან უნდა ყოფილიყო თხოვნა. მე აქ პატრის ველაპარაკე, აუხსენი ის ყოველი, რაც მე და შენ ვილაპარაკეთ მონასტრის შესახებ და ამან მითხრა, რომ ამისთანა საზოგადო საქმისთვის უფრო სერიოზნათ მოფიქრება და მოლაპარაკება საჭიროა და ისიც თქვა: აქ რომ იყო, რატომ ერთი არ მნახაო. შეიძლება მეც რამე აზრს მივცემდიო; ახლა თქვენ მიწერეთ დაწვრილებით, თუ აქაური საზოგადოებისაგან საჭირო იქნება თხოვნა, ის თხოვნა ვისზეც უნდა იყოს მიმართულიო; რაში გამოიყენება ის თხოვნა ანუ რაზედ უნდა იყოს დამყარებული. მხოლოდ ყოლიფერი საფუძვლიანად უნდა იყოს გამომკვლეული. აქ ვნახავთ, მოვილაპარაკებთ და შეიძლება ქუთაისის და თბილისის ღვდლობას ვნახამ და მოველაპარაკები და თუ შესაძლებელი იქნება და რაიმე სარგებლობას მოიტანს, მაშინ გავაკეთებ თხოვნას და გავაგზავნი.

**თქვენ მიერ გამოტანებული... წიგნები დამოყნამ არ გამოუშვა და ცენზურში გაგზავნეს და როცა მოვა, მივიღებთ.** შესახებ ჩემ ძმისწულზე მივიღე თქვენი წერილი, სადაც იწერებოდით არასასიამოვნო ამბავს იმის სიბრძნეზე. ჩემ ძმას წავუკითხე წერილი და ამან მისწერა პავლეს: – წამოხვალო და მგონი წამოვა. პატივისცემით მოკითხვა ჩემი ოჯახობისაგან.

**მართა თქვენი პატივისცემელი მშობელი**

## **ბარათი მღვდელ პიო ბალიძეს ვინმე (უცნობი) ლევანისაგან**

დიდად პატივცემულო მამაო პიო!

როგორ გიკითხოთ, მამაო? რა ისმის თქვენსკენ, როგორ მიჩანჩალობს თქვენი საქმენი?

ცხადია, რომ გარდა თქვენი კარგა ყოფნისა, მე ყველაზე უფრო მაინტერესებს ქართული კოლეჯის საქმე... იცით, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ამ სასწავლებელს თქვენთვის და ჩვენი ხალხის საქმეში და ამიტომ მეტათ მიმაჩნია ამაზე ლაპარაკი. თუ გაწვდებით და გააკეთებთ საქმეს, თუ გინდ პატარა და არა იდიალური იყოს ეს დასაწყისში, ეს დიდათ წაწევს თქვენს საქმეს წინ და მრავალ საშუალებას გამოაჩენს თქვენთვის და ჩვენი ერისთვის მოსახმარ – გამოსაყენებელს. შეუდექით, მამაო, ამ საქმეს. ფრანგებისაგან გამიგონია: „დიდი საქმე პატარათი იწყებაო“. ესევე ითქმის ამ შემთხვევაშიც. ჩემი დიდი აზრი და სურვილი მოგახსენეთ.

მოგახსენებთ, – პატარა საქმეთ დახურდავდა, სკოლა ვერ მოვაწყვე იმ სახით, როგორც და ვისთვისაც მიწოდდა. ასეთ მაგარი და სქელი გამოდგა **სიბნელის ნისლი**, რომ ჩემს პატარა სინათლის შუქთანა გამომიტყორცნა იქ თავის ცოცხალი სხივი. მაგრამ თავიდანვე დასაწყისი ყოველთვის ბნელი და ასეთია.

მე კმაყოფილი ვარ იმით, რომ ამ პირველმა ცთამ ბევრი სხვა გვარი, აქამდის ჩემთვის უცნობი გზა და საშუალება, გადამიშალა წინ და ეს კარგი გაკვეთილია მომავლისათვის? პრაქტიკული და გამოჩენილი ნაყოფი ჩემი შრომის ასეთია: **წლის განმავლობაში მყავდა სულ 11 მოწაფე. სამი მათგანი ქართველი, ვასწავლიდი ფრანგულს და რუსულს. ქართველები მართო ფრანგულს სწავლობდნენ**, რუსული იციან, ერთი თვე, მეორე – 3 და მესამე ეხლაც სწავლობს. ეს მესამე ფრანგული ენის გარდა გადის: **ისტორიას, მათემატიკას, გეოგრაფიას და ლიტერატურას** (ამ საგნებს ქართულით გავდივართ). მართალი გითხარით, მამაო, მსურველნი ბევრი იყო და არიან ეხლაც, კარებს მიმტვრევდნენ, მაგრამ ასეთები ჩემთვის რა გამოსადეგია: **მე მინდა კაცი აღვზარდო და არა მხეცი გავაძლიერო.**

მაცადინობა კოლეჯში მიჰქრის, მაგრამ ამ მაცადინობას უფრო ფორმალური, ოფიციალური ხასიათი აქვს: – ეს საქმე უსულო და მკვდარი საქმეა. არა, მამაო, ის კი არ იფიქროთ, რომ ვითომდა ამ საქმეში მეც მძინავს, ვითომდა ეს საქმე სამუდამოდ წყალწალღებულა. არა! სრულიათ არა! მე აქ ვაკეთებ და ვაკეთებდი იმას, რასაც გააკეთებდა ერთი საეკლესიო კაცი და მასწავლებელი, მაგრამ ეს საკმარისი არაა, ეს ყველაფერი არ არის: კოლეჯში მოსწავლეების სულისკვეთება და ჩემი ჯერ შორსაა ერთი მეორეზე.

რუსული ენის საქმე დავაყენე მტკიცე და მაგარ საფუძველზე. ბავშვებმა გაიარეს რუსული ლიტერატურა; დავაარსეთ **რუსული სამკითხველო**, სადაც 400 ცალ წიგნზე მეტია, კალკები, ხელთნაწერი ჟურნალი და სხვა ბევრი. წასულ წელს თუ 14 ბავშვი მყავდა, წელს 32 – ია და სხვა ასეთები. აი, ვაპირებ ამ ზაფხულზე მანდ ჩამოსვლას და მაშინ განახვებთ ქალაღებს და მოწმებებს ჩემზე და სხვა და სხვა.

დიდ და უფრო საყურადღებო კითხვებს ნუ მომთხოვთ ამ წერილში, ეს შეუძლებელია. მგონი, ჩამოვალ თქვენსკენ და მაშინ დავიწყოთ სჯა და ბაასი. ჩემი მანდ ჩამოსვლას, მართალი გითხრათ, ერთი ფეხი აკლია. ეს ოთახის, ბინის საკითხია; თუ იქ დავრჩი ამ ზაფხულზე, ოთახი კოლეჯმა უნდა მომცეს უფასოთ და ვერ წამოვალ მაშინ; ეს უპირატესობა მეკარგება და უპირატესობას თავი დაანებეთ – **ჯიბშიც თავგები მიხტება**. უნდა შევეცადო, რომ უფასოდ მომცონ ოთახის უფლება; მაგრამ ფთხილი და ეშმაკი ხალხია და, მგონი, ვერას გავხთე. ასეა თუ ისე, გულით და სულით მინდა ამ ზაფხულის თქვენთან გატარება და ყოველ ღონისძიებას ვიხმარ ამის აღსასრულებელათ. მომიკითხეთ ყველა თქვენი ძმები.

თქვენგან პატივცემული **ლევან**.

(წარმოდგენილი საარქივო მასალა ხელნაწერი დედნიდან წაიკითხა და რედაქტირება გაუკეთა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა **ციალა ნარაკიძემ**).

## **ნიკო ნიკოლაძის წერილი აკაკი ხოშტარიას**

ა) გააგა (ჰოლლანდია) 21 ნოემბერს 1921

სალამოს 9 საათი

**ძვირფასო ბატონო აკაკი!** სამი დღეა, რაც მუსაიფი და დავა მაქვს სამივე ამხანაგებთან ფლესსინგის სახლისა. ჯერ მეტად შორს დაიკავეს საქმე, მაგრამ ნელ – ნელა დაღბენ, რაც მეტად გავაცნე თქვენი საქმე და ქონება, და ბოლოს, ამ საღამოს გამომითქვენ სურვილი თქვენთან პირადათ გაცნობისა და ამხანაგობის შედგენისა. სანამ გაგიცნობდნენ კარგათ – უნდოდათ, რომ თქვენ თვითონ წარმოგედგინათ წერილობითი წინადადება, ეხლა კი თვითონ **ფლესსინგი** გთხოვთ დაუნიშნოთ, თუ როდის მიიღებთ მას **ბერლინში** (სადაც ხშირად დაიარება სხვა თავის საქმეებისათვის) და იმედი აქვს, რომ, თუ ღმერთმა ქნა და ერთმანეთი მოიწონეთ, ორიოდ საათის განმავლობაში შეიმუშავებთ ერთად კომბინაციას, თუ როგორ შეადგინოთ **სინდიკატი** ან **ამხანაგობა**, რის შემდეგაც მაშინვე წარგადგენს ბანკსთან და კრედიტი გაგეხსნებათ. მე ვუთხარი, რომ გჭირიათ ორმოცდაათი, მაგრამ არა ერთბაშათ, არამედ წვრილწვრილად, დაწყებული 10 და 20 – ით. ვადა 18 ან 24 თვე (ესე იგი ვალდებულება თამასუკების ცვლისა). მშვენიერი აზრი დაუუსახე თქვენზე და ვუთხარი, რაკი აპირებთ **სპარსეთში** მუშაობას და კაციც ქე გაგიზავნიათ, გირჩევთ ამ ადამიანს (ესე იგი თქვენ) გაუამხანაგდით, თორემ ორივენი იზარალებთ, მაშინ, როდესაც თქვენი დაამხანაგება ორივეს გასარგებლებთ თქო, და სხვა. იცოდეთ, დაგჭირდებთ

დაწვრილებული ცნობები და დოკუმენტები, უამისოდ არაფერი დაბოლოვდება. თუ მათი დამზადება შეგიძლიათ მანამდე, დაუნიშნეთ, ჩემ შუამავლობით, ნახვა 2,3 ან 4 დეკემბრისათვის **ბერლინში**. დავიბარებ და მოვა თქვენთან. შეიძლება, თუ გნებავთ, უფრო ადრეც ორიოდ დღით (არა მეტით). დოკუმენტები კი ყველა სუფთათ მზათ იქონიეთ. საჭიროთ ვრაცხ, მეც დაგესწოთ შუამავლათ, რომ რამე ხიფათი ან გაუგებრობა არ მოხდეს. ამავე საღამოს **ლონდონს** ვბრუნდები, ჩემი ქალღმერთის დასამზადებლად, იქ მაცნობეთ დეპეშით: 1) ამ წერილის მიღება, 2. რომელ რიცხვისათვის წამოვიყვანო **ფლესსინგი**, და 3. წამოვიდე მეც, თუ მარტო გამოგიგზავნოთ. – **მინადორა ეგნატიევნა** პატივისცემით მომიკითხეთ. ჩემი ადრესი ლონდონს: Regant's Park road, London...

თქვენი მარად მორჩილი ნ. ნიკოლაძე.

X X X

N. Nikoladze

Regants Park road

Regant's Park road

ბ) London, NW22 ნოემბერს, 1921

ძვირფასო ბატონო აკაკი. გუშინ საღამოს **ჰააგიდამ** წერილი გამოგიგზავნეთ. იმედია. მიიღებდით. შიგ გატყობინებთ, რომ **ფლესსინგებმა** ნამდვილად მოინდომეს თქვენთან დაამხანაგება. მალე, თუ მოინდომეთ, მოხდება თქვენი შეთანხმება **ბერლინში**, იმ დღეს, რომელსაც თქვენ დამინიშნავთ. როგორც გუშინ მოგწერეთ, საჭიროა ამისათვის, რომ თქვენ მზათ იქონიოთ ყველა დოკუმენტები: მოწმობები და ცნობები, ისე, რომ საეჭვო და სადავო არა დარჩეს რა. გთხოვთ, მიიღეთ თუ არა ეს წერილი, დეპეშით მაცნობეთ ლონდონს: 1. მიიღეთ თუ არა ჩემი წერილი **ჰააგიდამ**; 2. რომელ რიცხვისთვის თანახმა ხართ მიიღოთ **ბერლინს ფლესსინგი** მოსარიგებლად და 3. მეც წამოვიყვანო მანდ, თუ მარტო გამოგიგზავნოთ? მეტად საჭიროა, ეს დეპეშა რაც შეიძლება მალე (ადრე) მომივიდეს, რადგანაც რამდენიმე დღე იქნება საჭირო წამოსაყვანათ.

თუმც დიდი იმედი მაქვს, რომ საქმე მორიგდება, მაგრამ ვხედავ, რომ ძალიან მძიმე პირობებს დაგადებინებენ, რადგანაც **ფლესსინგმა** დამიმტკიცა, რომ მას გერმანიელი მრეწველები და სოვდაგრები თოთხმეტ პროცენტს ჰპირდებიან ხოლმე. მაგრამ მან მითხრა – „ბ.ხ. – ს (იგულისხმება ბატონი აკაკი ხომტარია) მე პროცენტებს არ დავეხარბები, არც გამოვართმევო. მე მას ბანკებს გავაცნობ და ვასარგებლებ, თუ ჩვენში ისეთი კომბინაციები გაიმართა, რომ ორივე მხარისთვის სასარგებლო იყოსო: მაშინ მისი ხეირი ჩემი მოგება იქნება, და მუქათათ ხელს გავუწყობო. როგორც გუშინ მოგწერეთ, დაუნიშნე 50, მაგრამ გაუადვილე ძლიერ, ცოტ – ცოტას წაიღებს მეთქი. და რამდენს წაიღებს ყველას უზრუნველს ჰყავს თქო. ამეებს ვიმეორებ, მეშინია, იქნება ის წერილი არ მიგეღოსთ, რადგანაც გვიანდა იყო და დაზღვევა არ მოხერხდა, უბრალო ფოსტით გამოვგზავნე. ამას კი დაზღვეულათ გიგზავნით.

ეცადეთ, დეკემბრის პირველს რიცხვებისთვის დაიბაროთ. მეშინია, უჩემოდ რამე არ ჩაიფუშოს, და ამიტომ მირჩევნია მეც მოვიდე.

გუშინ და ორშაფათს დიდი ტელეფონის რაწკუნის იყო **ბრიუსელიდამ ჰააგისკენ** და მიწერ – მოწერა: **კოწია ჯაყელი** ურეკდა **სოლომონ წერეთელს** და **გიორგი ჟურულს**: – საჭირო საქმე მაქვს თქვენთან, მაგრამ ვიზას არ მაძლევენ, მიშოვეთ, უნდა მოვიდე მოგელაპარაკოთო. იმავე საქმისთვის ხომ არ ეპირება, რომლისთვისაც მე ვიყავი?

დანარჩენი – ნახვამდის. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ წერა ძნელია.  
აწი ველი თქვენს დეპეშას.

ქ. **მინადორა** ეგნატიევას უმდაბლეს სალამს და ათასს მოკითხვას მოვახსენებ.  
თქვენი მარად ერთგული ნ. **ნიკოლაძე**.

X X X

Regant's Park road  
Regant's Park

N.I. Koladze

London N.W.30 ნოემბერს 1921.

ძვირფასო ბატონო აკაკი, მთელი კვირა დავკარგე ადრესის შეცდომით: ბ. **ფლესსინგმა** დამარწმუნა, რომ **ბერლინში** არ არსებობს **პალას – ოტელიო**, და ამ მიზეზით დეპეშა და წერილები, როგორც **ჰააგიდამ**, ისე **ლონდონიდან**, გამოგიგზავნეთ 22 და 28 ნოემბერს **ესპლანადის – ოტელის** მისამართზე. დღეს თქვენს კანტორაში მომცეს ამ პალას – ოტელის მისამართი, და ამ გზით გამოგიგზავნეთ ამ შვა – დღეზე დეპეშა. თუ ორი ჩემი წერილი, ერთი უბრალო, **ჰააგიდამ**, და მეორე დაზღვეული – **ლონდონიდან**, არ მოგსვლიათ, გთხოვთ მოაკითხვინოთ **ესპლანადის –** სასტუმროში, ან ამ მისამართის ფოსტაში.

მოკლეთ გავიმეორებ, რაც გაცნობეთ, იმედი მაქვს, მოგარიგებთ **ფლესსინგთან**, მათ ჯერ სიტყვა არ მიუციათ ჩემთვის, არც პირობები წარმოუდგენიათ. მაგრამ ისე სავსებით გავაცანი თქვენი თავი და მდგომარეობა, რომ თანახმანი არიან, მოვიდენ თქვენთან **ბერლინს** და თქვენთან ერთად გამოძებნონ რაიმე კომბინაცია ერთად მუშაობისა, და როცა მორიგდებიან ერთად მუშაობაზე, გვპირდებიან გაგიხსნან კრედიტი 50 – მდე ბანკებში. ისინი ხშირად დაიარებიან **ბერლინს**, და მათთვის სიძნელეს არ შეადგენს იქ თქვენი ნახვა. გთხოვენ დაუნიშნოთ დრო, და მოვლენ. შემატყობინეთ დღე, და მე მოგიყვან მათ. მინდა მეც დავესწრო, მეშინია რამე გაუგებრობა არ მოგიხდესთ და საქმე არ ჩაიფუშოს.

მტერი საკმაო გყოლია, რასაც არ ველოდი. ოღონდ, თუ თანახმა ხართ მოლაპარაკებისა პირადათ, რასაც არაფელი სჯობია. მზათ იქონიეთ ყველა დოკუმენტები და მასალა; საქმე, თუ სუფთად გექნათ, ოცდა – ოთხ საათში გათავდება.

რაკი გავიგე, რომ **ფლესსინგი სპარსეთში** აპირებს საქმეების დაკავებას და იქეთკენ კაციც გაუგზავნია, რაც შემემლო დაუუმტკიცე, რომ მან თქვენთან უნდა დამეგობრდეს და ყველა საქმეები თქვენთან დაიკავოს; ვაჩვენე თქვენი საქმიანობა და ძლიერება, და მოვანდომე თქვენი ამხანაგობა. დანარჩენი, ღვთის მადლით, ადვილად წავა, თუ კი დოკუმენტებმა არ გვიმტყუნა.

გთხოვთ საჩქაროთ. დრო ისეც ბევრი დავკარგე და ცოტა გვრჩება, დეპეშა გამოგიგზავნოთ, როდის მოგიყვანო ეს კაცები? მე მათ თქვენი ადრესი მივეცი, რომელიც თქვენ მითხარით. მაგრამ იმათ მითხრენ, **პალას – ოტელი** ბერლინში არ არისო, ალბათ **ესპლანადის – ოტელში** იდგებაო, და მე ვთხოვე, თუ წავლენ **ბერლინს**, უსათუოდ გინახულონ უჩემოდაც. მე დასწრება იმიტომ კი არ მინდა, რომ არ გენდობით... იმით, ამ მხრით ეჭვი არ მეზადება, – მინდა მხოლოდ საქმე გავაადვილო და ყოველი დაბრკოლება ავაცილო მას. ეხლა თქვენ იცით. ველი თქვენს დეპეშას.

თქვენი მარად ერთგული ნ. **ნიკოლაძე**.

წარმოდგენილი საარქივო მასალა დედნიდან წაიკითხა და რედაქტირება გაუკეთა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა *ელზა ფუტკარაძემ*

### **ლოცვა ყრმა იესოსადმი განსაცდელში მყოფ სოფლისათვის**

ტკბილო იესო, ძველად მივდიოდით შენს წმინდა აკვნის წინაშე.  
მივდიოდით და დუმილით გითხრობდით ჩვენს მწუხარებას.  
დაბალი ხმით მოვსტეჟამდით ჩვენს ლოცვებს, ჩვენს სურვილებს.  
და მათი მოთქმით ბედნიერათ ვგრძნობდით თავსა.

ტკბილო იესოვ! დღეს გამოძახილი ჩვენი გაჭირვებისაა.  
მას აღვაფლენთ სამყაროში, სადაც ბრწყინავს შენი ვარსკლავი,  
რადგან უბედურება, საშინელი უბედურება  
უქადის კაცობრიობას და მთელ მსოფლიოს,  
მათი დანაშაულობით, ვისაც უპყრიათ ჩვენი ბედი.  
რომელთაც არღარა მართავენ, საუბედუროდ,  
შენი სერაფიმთა მოხედე მათ, უფალო, ზემოთგან შენი კარიდან...  
ყველა ამ დიდთა ქვეყნისათა სირეგვნით, ლტოლვილნი:  
შემძლედ ამზადებენ თავიანთ ხელისუფლების სიყვარული.  
.....წინააღმდეგ ფრიად შავ შეთქმულებას.  
ფილოსოფოსნი ყბედობენ სისულეებს და უგუნურებას  
და ამზადებენ ცხოვრებას, როგორც ეშმაკურ უაზრობას.  
მეცნიერნი დაეძებენ, საიდუმლოდ, როგორც სიკვდილით,  
დაანგრიონ უსინდისოდ მთელი ქალაქები  
ვითარცა მოციქულნი ამბობენ, უნდა (არ იკითხება)  
მას ავალებენ .....ბრაზით მეტოლიურათ  
მილიარდები მიქრიან სხვა მილიარდებისკენ.  
არტისტები უარს.....ყველა ამათ ნუთუ არ დაჰკარგეს განგება, უფალი.  
შენიშვნა: (ნაწერი ფერმკრთალია და არ იკითხება კარგად)

### **რითმებისგან კუბო დავსწან**

რითმებისგან კუბო დავსწან,  
კუბო რითმად გამოვსახე;  
და ოცნება უხილავი  
შიგ ჩავმარხე, შიგ ჩავმარხე.  
მკერდში გული აღარა მაქვს  
აღარა მაქვს თვალთა გუგა,  
ცეცხლი ცრემლმა არ მიიღო,

ცეცხლმა ცრემლი გადაბუგა.

აღარ დავსწერ, აღარ არა,  
ან რათ ვწერო მე ლექსები.  
სულ ერთია, ვის სიყვარულს,  
ხომ არასდროს ველირსები.

წუხელიც კი სიზმრად ძილში,  
მან ჩემს ახლოს გაირბინა;  
დანა დამკვრა და მგოსნის სულს  
ცის წიაღში მისცა ბინა.

სიზმარშიდაც არ მასვენებს,  
არ მასვენებს მე უხილავს.  
სიზმარშიდაც დანას მიყრის,  
სიზმარშიდაც სიზმარს მიკლავს.  
ნუ დამმარხავ, გთხოვ სამშობლოს!  
გთხოვ, უსამშობლო, ნუ დამმარხავ;  
რომ სიყვარულსაც მე ქვეყნიურს  
მომაკვდავთა გულში ვმარხავ.  
ზენაარსი წესათა არსს,  
არვინა მრწამს შენს გარეშე;  
შეიწირე გიჟის ლოცვა  
მეც მიმიღე შენს ფრთებ ქვეშე,  
რითმებისგან კუბო დავსწან,  
კუბო რითმად გამოვჩარხე;  
სიცოცხლითვე სული ჩემი  
შიგ ჩავმარხე , შიგ ჩავმარხე

შენიშვნა: უცნობია, ვისი საშუალებით დაიდო ბინა ამ ლექსმა სავანის არქივში, სტუმრად ხომ არ იყო პოეტი იქ?!

## საინფორმაციო მასალები

X X X

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგანთა და განათლების ბატონ მინისტრს  
**ნოე ბესარიონის ძე რამიშვილს**  
კონსტანტინეპოლში არსებულ ქართველ  
ქალთა მონასტრის უმფროსი,  
დათა მინდობილობით, **ელისაბედ**  
**პეტრეს ასული ბეჟანიშვილი**, დროებით (მისამართი)  
აბასთუმანი ვანი, ალიხანოვის ოჯახი

მინდობილობით მონასტრის დათა  
უმფროსი **ელისაბედ ბეჟანიშვილი**

თ ხ ო ვ ნ ა

ჩვენ კონსტანტინეპოლში **პეტრე ხარისჭარაშვილის** მიერ დაარსებულ უმანკო ჩასახების ქალთა მონასტრის რვა კლასიან სასწავლებლის მთელმა წარმომადგენლებმა გადვწყვიტეთ, რომ ჩვენში, ახლო განთავისუფლებულ **ნორჩ სამშობლოში**, გაგვეხსნათ საშუალო სასწავლებლები, რათა შევძლოთ ჩვენს სამშობლოში შემოვიტანოთ ევროპული სწავლა – განათლება.

რის გამოც, უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო მინისტრო, ნება დაგვრთოთ საქართველოს რესპუბლიკაში, სახელდობრ, **ახალციხეში** გავხსნათ ქართულ და ფრანგულ ენაზედ საშუალო და პირველდაწყებითი სასწავლებლები

(ტექსტის ბოლო ნაწილი არ იკითხება).

X X X

ქალბატონ ქართველ კათოლიკეთა დების წინამძღვარს დებიტურთ!

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ხუთი წლის შესრულების აღსანიშნავათ საქართველოს მოქალაქენი მოწვეულნი არიან საქართველოს წარმომადგენლობის ბინაზე /ჯაბის ქუჩა 15 – 48, შაბათს 26 მაისს, დილის სრულს 11 საათზე.

წარმომადგენლობა გთხოვთ მონაწილეობის მიღებას

X X X

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
განათლების მინისტრს კონსტანტინეპოლში არსებულ  
ქართველ ქალთა მონასტრის  
უმფროსი დათა მინდობილობით  
**ელისაბედ პეტრეს ასული ბეჟანიშვილისა.....**

ხარჯთა აღრიცხვა

კონსტანტინეპოლში 1872 წელს პეტრე ხარისჭარაშვილის მიერ დაარსებული უმანკო ჩასახების სკოლის დირექციამ მოგართვით თხოვნა 3 სექტემბერს 1929 წ. **აბასთუმანში** საქართველოს რესპუბლიკაში საშუალო სასწავლებლების ქართულ – ფრანგული ენის სკოლების გახსნის



შესახებ. თანახმათ თქვენი ბრძანებისა, გიგზავნით ხსენებული სასწავლებლისათვის ხარჯთა აღრიცხვას.

საჭირო არის სასწავლებელთათვის:

1/სახლი – 20 ოცოთახითგან შემდგარი, მისი შესაფერი ეზოთი;

/შენიშვნა, სასწავლებელში ევროპულად რეჟიმის დასამყარებლად საჭიროა სახლი და ეზო.

კედლით შემორტყმული იყოს/

– 2/ჯერჯერობით 100 ასი ორ საჯდომიანი მაგიდა;

3/ დაფები 8-რვა

4/ მასწავლებელთათვის კათედრა რვა

5/ სკამები 4 ოთხი დუჟინი

6/რამდონიმე გეოგრაფიული რუქა

7/ ექვსი ოთხ არშინიანი მაგიდა

ჯერჯერობით სასწავლოდ საკმარისია 6 მასწავლებელი და 2 კლასის დამრიგებლით.

ამათში 4 ოთხი მასწავლებელი და 2 ორი კლასის დამრიგებელი იქნებიან მონასტრის მთავარ სასწავლებლიდან მოლოზონი ქალები.

..... 2 ორი ქართული ენის მცოდნე სპეციალისტები, ადგილობრივი მასწავლებელთაგან, აგრეთვე, საჭიროა ერთი კურიერი, ერთი მეეზოვე;

.....საქმის დასაწყებათ მასწავლებლის ჯამაგირებით და სხვადასხვა ხარჯებისათვის მინიმუმი საჭირო არის 500000 ხუთასი ათასი მანეთი (აქ უნდა ჩაემატოს შემდეგი I /შენიშვნა ჩვენი გულითადი სურვილია სასწავლებელი გავხსნათ იმ უბანში, სადაც უმრავლესობა ქართველობაა).

1/ნახალოვკა – 2/დიდუბე 3/კუკია 4/ ვერა.

ვინაიდან ჩვენ ამ თვეში კოსტანტინეპოლში /სტამბოლში/ უნდა დავბრუნდეთ მიზნის განსახორციელებლად, გთხოვთ პასუხს.....საქართველოს რესპუბლიკაში სასწავლებლის გახსნის მუდმივი უფლების ნებართვას, როგორც აუცილებელი, საჭიროა როგორც ადგილობრივ, აგრეთვე, ევროპული წარმომადგენელთა წინაშე.

18 ოქტომბერი, 1920 წ – ს

X X X

ქართველთა მოლოზონთა დათა უმფროსი უძღვნი სწრფელის გულითა პატივცემულს და მოწყალე თავად აზნაურთა კრებასა. მრავალს მოლოცვას ბედნიერ დღეებისთვის. სთხოვს უფალსა მის განძლიერებასა, მასთანვედ, უძღვნი მადლობასა და აცნობებს მიღებას 200 (ორასი) მარკის მანეთის, რომელიც ეღირსა, თქვენ პირველს შემწეობასა, ჩვენს მონასტერში მყოფი სამშობლოს გლახაკი ყმარწვილები. რომლისთვისდა ხელმეორებით გიძღვნი მადლობას მეც და ჩემი მოლოზონები და ვთხოვთ უფალწინამძღვარს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩვენს განუზომელ შრომაზედ ჩვენის სამშობლოს მოღვაწეობაზედ და ვიქნებით მუდამ თქვენი კეთილი კრების სიკეთის დამსწავლენი და მლოცველი.

კოსტანტინეპოლიდგან, იანვრის 12/30 1914 წ.

X X X

დამოუკიდებელი საქართველოს  
ბატონო წარმომადგენლო

თქვენმა მობრძანებამ, სრულიად აგვივსო გული სიხარულითა; გიცქერთ სიამოვნებით როგორც თავგანწირული, სამშობლოს მცველი; ვითარცა გისურვებთ მტრის ძლევასა; აღდგენას ჩვენი ტურფა საქართველოსი; ვთხოვო მოწყალე ღმერთს, გიკურთხოს ღვაწლი და შრომა.

გისწრაფოს დიდება ჩვენი ტანჯული სამშობლოსი.

ვსთხოვთ ეგრეთვე, **წმინდა ნინოსა, ივერიის მოციქულსა**, გაგიმრავლოს და გაგიძლიეროს თქვენი თანაშემწენი, რომ საერთოთ ასახელებდეთ მამულსა. ჩვენ სამშობლოთგან, დიდხანს დაშორებული, მოველოდით ამ ბედნიერ მოვლენას. თქვენი შემწეობით ვზრუნავდეთ უძღურთათვის, რადგან ნათქვამია, **მოყვასთათვის თავდადება, ქრისტე ღმერთის ანდერძია.**

მხევალნი უმანკო ჩასახების  
მონასტრისა  
ქართველ კათოლიკეთა მონასტერი  
სექტემბრის 1, 1918 წელი.

X X X

MISSION DIPLOMATIQUE  
DE LA  
RÉPUBLIQUE Georgienne  
- . -  
Le 30 ივლისის 1920 წლის  
N 1341

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლოთ.

კონსტანტინეპოლიდან საქართველოში მოემგზავრობიან ქართველ კათოლიკეთა დების უმანკო ჩასახების მონასტრის წარმომადგენლები – წინამძღვარი და სამი მონაზონი. საკონსულო თხოვს მთავრობის წარმომადგენლოთ, გაუადვილონ მათ სამშობლოს ტერიტორიაზე მოგზაურობა და საჭიროების დროს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მათ.

კონსული: **ი. გოგელაშვილი**  
მდივანი : ე. დალექი

X X X

პატივცემულს ბატონ **ფილიპე გოგიჩაიშვილს!**  
თქვენო კეთილშობილებავ,

სტამბოლში მყოფ ქართველ კათოლიკე დების .... სახელით გთხოვთ, გაგვიწიოთ სამადლობელი დაეს ჩვენი თხოვნა, რომელიც შეეხება ქართველ კათოლიკეთათვის ფრიად მნიშვნელოვან კითხვას, დანიშნულებისამებრ გარდასცეთ საზოგადო ქველმოქმედ **ზუბალაშვილს** ჩვენი გაჭირვება და უამბოთ ჩვენი უმწეობაში ჩავარდნილი ყოფის შესახებ. ძალიან გთხოვთ, თქვენო კეთილ-

შობილებავ, უამბოთ არ დაგვტოვოთ უყურადღებოდ ამ უცხო ქვეყანას შეხიზნული დედათა მონასტრის წევრები.

პატივისცემით – დათა უმფროსი  
ელისაბედ ბეჟანოვი.

X X X

### ქართველ ლტოლვილის განცდილი

I

უგზოუკვალოთ ამ სიარულში,  
უკვე სამოცი წელიწადია;  
რა ვერ დავბრუნდი ჩემს სამშობლოში,  
მწირს თვით ცხოვრებაც აღარ მწადია.  
ამაოდ დამრჩა კვლევა – ძიება...

თუ სადმე მაინც ქრისტიანობის  
ქვეყნად მოდებულ მქადაგებლებში,  
კიდევ ჰგებდა ზეაზრი ძმობის,  
ხშირად როს დავრჩი უსახლკაროდა.

შიმშილითაცა კაცი ფრიად ტანჯული  
და რა მივმართე მათ, ვინც ძმათ მიჩნდნენ;  
მათშიც არ დამხვდა შემბრალებ გული.  
თუმც სახარება ქრისტეს მოძღვრების  
ფართედ გაშლილი ხელში უპყრიათ.

და ციურ შვებას სხვებს ასწავლიან,  
რისთვის ქვეყნისა ხარბათ სწყენიათ.  
კაცთ – მოყვარებაც რაც არს, იციან,  
მასზედ ყოველგან მჭერმეტყველებენ.

სხვებს მოუთხოვრებენ და უმღერიან,  
თვით კი არა სწამთ, ფარისევლობენ.  
სიღარიბისაც აღთქმის მდებელნი  
მხოლოდ იღვწვიან, რათა გამდიდრდნენ.

ჩემი ეს თქმული არა არს არაკი.  
ვისმეს განსჯელად ჩაფიქრებული;  
გამოცდილებით, რაც კვლავ უნდა ვსთქვა,  
ნურვინ უარყოს გაკვირვებული.

## II

გაჭირვებულმა თუ მათ მიმართე,  
ცივი ღიმილით დაგიხვდებიან.  
და დახმარების თხოვნის სმენითაც  
ფარისევლურად დამწუხრდებიან.

ოდნავ ოხრითაც უარს გეტყვიან:  
– ჩვენი ძვირფასო, არ ვართ მდიდრები.  
არ შეგვიძლია უზრუნველ გულით;  
„შენებრ ბევრია მათხოვარები“.

„როგორც ბევრ სხვასა, ისე შენც გირჩევთ.  
„მიმართე ცნობილ ყოფილ მდიდრებსა“.  
„ მათი და ჩვენი ერთობლიობით,  
საქველმოქმედოდ შემდგარ წრეებსა.

„მხოლოდ კი შენთვის უმჯობესია,  
ნახო ითხოვო რამ სამსახური“;  
რომ იქონიო უმათხოვრადა“  
„საცხოვრებელი ყოველ დღიური“

ასეთ რჩევითაც თუკი მოტყუვდი“  
და თქვი: – ყველგან ვარ შრომის მთხოვნელი  
რადგან ვერ შევძლებ თხოვნით ცხოვრებას,  
ბოლოს გავბედე, აქაც მოველი.  
მაშინ ღიმილით გიპასუხებენ.  
ძალიან კარგი, დღესვე მიგიღებთ;  
„თუ შეგიძლია მასწავლებლობა“  
და ჩვენთან ჩვენებრ კარგად იშრომებთ“.

თუ დაეთანხმე, მალე დარჩები,  
კვლავ უმუშაოთ, ბედის მწყვეტელი“...  
რა მათ ყბედობით ყველგან დაგვხდება,  
გადაღობილი თვით გზაც სავალი.  
ოდნავად ეჭვსა ნუ იქონიებ,  
მალე იქნები გასტუმრებული.  
თუ შეგამჩნიეს, რომ არ ხარ მზად  
მათი მიზნისთვის ალტყინებული.

შენიშვნა: ავტორი არაა მითითებული.

## შალვა ვარდიძის რვეულიდან

სიმაართლე სიცრუედ მიღებული იქნება, მეცნიერი– უმეცრათ და მიტოლოგიური  
მოთხრობები ისტორიულ ფაქტებათ  
სუმერელები

სუმერელებს ჰქონდათ გაშენებული დიდი ქალაქი წოდებული „ურ“, რომლის პატრონი იყო მთვარე მინუს ღმერთი, წოდებული „ნანნარ“; ამ ქალაქში დაბადებულია აბრაამი 2000 წლის წინეთ ქრისტეს წინ, ამიტომ ქართულ ენით ისრაელებს ვეძახით **ურიებს**; აბრაამი და მისი მამა **თარე** ნარმათინი... ურ ქალაქში სუმერელებს გაუშენიათ ამ ღმერთ – **ნანნარისთვის** უზარმაზარი ბინა აგურებისაგან.

მთასა ჰქონია შეხედულება პირამიდისა და შვიდი სართული ქვემოდან. ამ შენებულ მთის სახელი „**ზაგგურატ** – „ი უწოდებიათ.

ისტორიკოსი **ჰეროდოტე** ვრცელ აღწერას იძლევა და დასძენს, რომ თვით სართული იყო ექვსი მეტრის სიმაღლისა, ესე იგი ორმოცი ორი მეტრი სიმაღლისა, ბოლო სართულის ბოლო წვეტი ოქროთი ყოფილა გაშენებული და აქ ვარსკულავთა სამზერი (observatorie) მოთავსებული ყოფილა.

ნანნარ (Nannar) ღმერთის გახდა სუმერელები.

თაყვანს ცემდნენ სხვადასხვა ღმერთებს, რომლებსთვისაც ჰქონდათ გაშენებული ტაძრები.

**დიოდირე** (Diodire)წერს „**სუმერელები** მრავალი წლის განმავლობაში იკვლევდნენ ვარსკვლავებს და ყველა სხვა ხალხებზედ უკეთესად და ზედმიწევნით ცნობდნენ ასტრონომიას. ეგვიპტელები, ბერძნები და რომაელები ამ ასტროლოგიური დარგის სუმერელები მიწათყმად უნდა ვიცნათ.

ევიპტის დიდი პირამიდა გაშენებულია 2789 წლის შემდეგ. მეექვსე დინასტიის მეფისაგან, სახელად წოდებული „კეოპს – ი“ გამეფდა 2789, ხოლო პირამიდა გაშენდა სხვა მეფისაგან, 2500 წელს ქრისტეს წინ, თუმცა პირამიდას ქვია **კეოპს**.

სუმერელების ისტორიზედ და დიდ განათლებაზედ.....სწერს მეცნიერი **სირ ლეინარდი ვულვი** (sir leonard voppay) თავის თხზულებებში(des ezumeriens გამოცემა payot, 1930“). სხვათა შორის, დასძენს სუმერელი მწერალნი იხსენიებენ მეიყებს ან ქალაქებს, რომლებიც წარღვნის წინეთ ყოფილან, რომელიც მომხდარია ატლანტიდაში (Atlantide).ეს წარღვნა ატლანდიდისა არ ვიგულისხმობთ იმ პირველ წარღვნად, თუმცა ზოგიერთი ამბობს რომ იგი იყო .....

წარღვნის ამბავის აღწერა დაწყებული ყოფილა პირველყოფილ ცნობილი დიდი ერებისაგან.

**სუმერელების** შემდეგ **ბაბილონების** ან **ქალდეელების** მიერ. ამის დამტკიცებული საბუთი არის აღმოჩენილი, ისტორია, რომელსაც ქვია **გილგამეშ**, რომელიც არის ძალიან ადრე დაწერილი. სამღვთო წერილზედ.

**ურიების მწერლებმა** ძველთაგან ყველა ცნობები გააცრუეს ერთიან და დიდი ამპარტავნული თავმოყვარეობით მიაკუთვნეს თავიანთ ხალხს, სხვათა შორის, ამბობენ რომ ღვთის ჩაგონებით, მოსემ აღწერა ან სხვამ; მოსემ უსათუოდ ისარგებლა სუმერელების ნაწერებით ანუ **გილგამეშით** მაინც.

სუმერელების გადმოცემით და ნაწერებით დღეს ვიცით, რომ **ნოე** და მისი ცოლ – შვილნი ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში, რომლებსაც უწოდებდნენ „**არალლა**“.

ჯერ გამოსახული არ არის ეს **არალლა**, ქვეყანა; ვფიქრობ, რომ კავკასიის გადაღმა ქვეყანას **არალლას** ეძახდნენ ძველათ. მესხეთში არის სოფელი **არალი**. აგრეთვე, **უდე**, **ვალე** და სხვაც. სახელწოდებანი არიან, რომელნიც ძველისგან ძველნი.

ასეთი ცნობები სუმერებმა კარგად იცოდნენ. ხანა კაცთა და ხალხთ გაველურებისა, მეტ – ნაკლებათ, ორჯერ მოხდა. პირველს მიჰყვა წარღვნა, რომელიც მეტ – ნაკლებად ცნობილია. მეორეთ, ნოეს ჩამომავლობის გაველურება მოხდა და გასტანა 7973 წლიდან დაწყებული და ნელ – ნელა დაიწყეს ველურებიდან თავის დაღწევა კავკასიურ ხალხთა ზოგიერთ კრებამ მე – VI ათასეულ წლებამდე, შეიძლება რომ სუმერელები, რომელნიც იყვნენ კავკასიური იაფეტები ჩავიდნენ (VI ათასწლეულის დასასრულს) სუმერში და შექმნეს დიდი და განათლებული სახელმწიფო.

X X X

### შალვა ვარდიძე

#### სტუმრობა ლიბანის კედრებთან და მათთან საუბარი

I

ვსცადე, ვერ შეველ ჩემს სამშობლოში,  
სად ქართლის ერი დატანჯულია,  
და მის მთა – ბარის ირგვლივ სამზღვარიც  
მტარვალ მტრისაგან ჩაკლიტულია.

მწირსა სამშობლო სამოთხიდანა  
თვით კი სიცოცხლე აღარ მწადია,  
როს სხვა ქვეყნები უდაბნოდ მექცნენ  
უკვე სამოცდაათი წელიწადია.

ყველგან ტანჯული, ზოგან დევნილიც  
ვსრბი და ცხელთა ვღვრი ცრემლსა მწარესა.  
იქ მოვკვდე მხოლოდ, სად ქვეყნად მიველ,  
და სადაც ვნატრობ ჩემს სამარესა!

უპატრონომან, რადგან ვერ ვნახე  
აქა – იქ დევნილმაც ვინმე დამცველი,  
თვით ქრისტეს მცნების მქადაგებლებშიც  
ვერ ვნახე ჩემი შემბრალებელი.

ქართლის მცველთ გმირთ, როგორც ძველადა  
ღმერთზედა ჰქონდათ მხოლოდ იმედი,  
მეც მას ვთხოვ ლოცვით, ურყევი რწმენით  
რათა ამშორდეს წყეული ბედი.  
ვიდრე ამზობდეს.

II

აწ შენ მოგმართავ, კაცთა გამჩენო,  
მრწამს რომ მარად ხარ ტანჯულთ შემბრალე,  
ყველგან რჩენილებს მთლად უპატრონოდ  
თვით კი მდევნელნიც ბევრნი მოვთვალე!

განგებავ ზეცავ, გთხოვ შემიბრალე,  
კრული ბედით ვარ შენს წინ ვრდომილი,  
მწირსა მისმინე, ოდეს მეც ვჩივი,  
რასაც მოსთქვამდა ბარათაშვილი:

„მირბის მიმაფრენს, უგზო – უკვლოდ ჩემი მერანი,  
„უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“.  
რადგან მაინც მრწამს, რომ ხარ მარადის  
ერის და კაცთაც ბედის განმგები.

მწარედ მგმინავი ჩვენს პოეტსავით  
შორს უცხოეთში მეც ნუ მოვკვდები!  
ქართული სიმხნე განმიცხოველე.  
სიცოცხლ – სიკვდილის ღმერთი გამჩენი!

თუნდაც ვიტანჯო, მაინც მაცოცხლე  
სამშობლო ჩემი ვიდრე მაჩვენო!  
იქ დამიღამდეს, იქ გამითენდეს,  
სად ქართველ ცოცხლებს და მკვდრებს აქვთ ბინა,  
სადაც პირველად ტკბილად მომესმა  
ჩემი მშობელის ენის ნანინა!

**შენიშვნა:** ეს ლექსი და „სუმერელები“ (ე.ი. წინა მასალა) არის **შალვა ვარდიძისა**.  
წარმოდგენილი საარქივო მასალა დედნიდან წაიკითხა და რედაქტირება გაუკეთა  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და  
ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსმა მეცნიერმა  
თანამშრომელმა *ნაილე მიქელაძემ*

X X X

ქართული სადამო, მგალობელთა გუნდის წევრები  
მკათათვის 5 – ს,  
1925 წ.

კათოლიკური ეკლესიის ისტორიისათვის

ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მგალობელთა გუნდი შედგებოდა შემდეგი პირებისაგან:

1. ქარსელაძე ისიდორე ლევანის ძე;
2. კიკნაძე მიხეილ ივანეს ძე; I ხმა
3. სიღამონ ერისთავი ნ.;
4. რუხაძე ვლადიმერ; II ხმა
5. ბექიშვილი ფრანჩესკე – ტენორი
6. ჯუღელი ნ;
7. კოპაძე ლევან; ბანი

8. ლომიძე ვიქტორ

და დამკვრელი – (გვარი არ წერია).

გუნდის უფროსი – მღვდელი **პ. ტატალაშვილი**. გუნდს ხშირად აფინანსებდა აკ. ხომტარია.

X X X

REVUE DE KARTHVELOLOGIE “BEDI KARTHLISA”

(POBLIE AVEC LE CONCOURS DU CENTERE NATIONAL DE LA RECHERCHE SCIENTIFIQUE)

8. Rue BERLIOZ – PARIS – XVI<sup>E</sup>

Directeur – Redacteur

K.SALIATEL.: PASsy 75 – 35

Consell Scientifique:

Pr. G.GARITTE

Pr. Fr.GRAFFIN1964 წ. 21 მაისი

Pr. R.LAFON

Pr.D.Dr. J. MOLITOR

R.H. STEVENSON

Pr. Dr.M.TSERETHELI

Pr. Dr. H.VOGT

Administration

Abonnements:

Nino SALIA

8, Rue Berlioz, Paris – 16

Compte 45.410.A,GreditLyonnois

61 tel, Av. De la Gronde – Armee,Paris

პატივცემულო ბატონო პავლე!<sup>1</sup>

თქვენ კეთილშობილურ და დიდათ პატრიოტულ მოქმედებაზე და საქციელზე ბევრი რამ გაგვიგონია. კარგათ ვიცით, თუ როგორ უვლით ქართველ ახალგაზრდობას და თუ როგორ ზრუნავთ, რომ მათში გაამტკიცოთ ის **ნაპერწკალი**, რაც მათ ამოქმედებს და თქვენს გარშემო ატრიალებს.

ვიცით კარგათ, რომ **იწვით ქართველებისათვის** და მით უმეტეს ვერ გაგვიგია თქვენი უყურადღებობა და გულგრილობა ერთად ერთი წმინდა კულტურული ქრისტიანული კრებულის „**ბედი ქართლისა**“ – ს მიმართ.

თქვენ ჭკვიანი და განათლებული პიროვნება ბრძანდებით, მაშასადამე ისიც კარგათ იცით, რომ, იქ სადაც თქვენ ბრძანდებით, **ქართველი ხალხის სისხლი და ოფლი არის ჩაღვრილი**. ისიც მოხსენებული გექნებათ, რომ მაგ ქონების და მონასტრის დღეები კი არა, წუთებიც კი დათვლილია – ასე თუ ისე, ან ერთი უცხო ან მეორე დაეპატრონება. მაშ, ვისთვის და რისთვის თქვენ,

---

<sup>1</sup>იგულისხმება **პავლე ადგულაძე (აკობაშვილი)**, ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის ბოლო მცველი, არასასულიერო პირი. გარდაიცვალა 1982 წელს. დასაფლავებულია კათოლიკეთა სასაფლაოზე **შიშლის** უბანში.



პატრიოტი პიროვნება, ასე ინახავთ ქონებას და არამც თუ ხელგაშლილათ არ ეხმარებით, სულ ყურადღებასაც არ აქცევთ საქართველოს ქრისტიანულ ბრწყინვალე კულტურის გადაშლას მთელ მსოფლიოს წინაშე.

სიმონი<sup>1</sup> ახალგაზრდაა, მაგრამ მასში ძლიერი ქართული სული აღმოჩნდა და კრებულს ეხმარება, რაც დიდათ დაფასებული არის და იქნება. მხოლოდ ყველაფერი ისე გამძვირდა, რომ თუ ახალი დამხმარე წყარო არ გამოვნახეთ, კრებული თავს ვერ გაიტანს. ამ დახმარებას სტამბოლის ქართულ მონასტრიდან, თქვენი კეთილი სურვილით მოველით, რისთვისაც ქართველი ერი მადლობას გეტყვით.

მიიღეთ ჩვენი მოკითხვა.

პატივისცემით ნინო სალია.

X X X

ბატონო პეტრე!

უკაცრავათ რომ ესე მოკლე წერილს გწერთ, რადგანაც შემთხვევა იყო. ესე როგორ ბრძანდებით, მოკითხვა ყველა თქვენს უმფროს ძველებურ, პატრ ბენედიქტეს, პატრ პიოს, ბატონ შალვას, და ერთი ტკბილი ძმა იყო კიდევ, მგონებ სახელი პავლე<sup>2</sup> იყო, ღმერთის შემწევით იყავით ყველა კარგათ

თქვენი კეთილის მსურველი

პავლე ჯავახიშვილი

Paul qavahoff

Georgian

11 – 1 – 39

X X X

**მოკლე ცნობები. სტამბოლში გადახვეწილი გიორგი ყაზბეგის ბიოგრაფიის შესავსებად:**

გაზეთი „სოციალ – ფედერალისტი“, ოთხშაბათი, 20 აპრილი, N 42, გვ.2, 1921 წელი, იუწყება პატარა წერილით „კონსტანტინეპოლი“ – რომ გარდაიცვალა გენერალი გიორგი ყაზბეგი, ყოფილი კომენდანტი ვლადივოსტოკისა, ყოფილი თავმჯდომარე წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

1. სტამბოლის ქართული სავანის არქივის ცნობა:

„სტამბოლის ქართულ სავანეში მოწყობილ საქველმოქმედო დამხმარე საზოგადოების საშუალებით იკვებებოდნენ: ბენია ჩხიკვიშვილი, დამფუძნებელი კრების წევრი; გიორგი ყაზბეგი – 80 წლის, გენერალი, სოფელ ყაზბეგიდან, ქვრივი; მუშაობდა წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ; მისი ოჯახის 5 წევრი, ყველა, აქედან იღებს ყოველდღიურ საკვებსა და დახმარებას.

3. მონასტერთან შექმნილ საქველმოქმედო საზოგადოებას აფინანსებდნენ სტამბოლში მოღვაწე მუსლიმანი ქართველების კეთილშობილი გვარის შვილები – ლორთქიფანიძეები, ხიმშიაშვილები, ერისთავები, აბაშიძეები, თავდგირიძეები, შალიკაშვილები...

<sup>1</sup> სიმონ ზაზაძე. სტამბოლის ქართული სავანის გულითადი ქომაგი და პატრიოტი, ევრაზიაში ცნობილი ბიზნესმენი, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფხიზელი მცველი საქართველოს საზღვრებს გარეთ.

<sup>2</sup> იგუილსხმება პავლე ზაზაძე, ბატონი სიმონის მამა.

მამუდ ფაშა თავდგირიძეს ქაბატაშის უბანში არსებულ ერთ – ერთ საკუთარ სასახლეში მოწყობილი ჰქონდა 1914 – 1919 წლების ომის დროს საქართველოდან ლტოლვილ თანამემამულეთათვის თავშესაფარი. იგი იყო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტერთან შექმნილი საქველმოქმედო, დამხმარე საზოგადოების მთავარი დამფინანსებელი, ამავე საზოგადოებას დიდად ეხმარებოდა, აგრეთვე, აბისინიის სამეფო კარზე მოღვაწე ქართველი ექიმი პეტრე მერაბიშვილი, სტამბოლის ქართული სავანის მოწინავე სასულიერო პირის, მღვდელ იოსებ მერაბიშვილის (იოსებ მერაბის) ძმა. ისინი წარმოშობით იყვნენ ადიგენის რაიონის სოფელ უდედან. პეტრე მერაბიშვილმა პარიზის უნივერსიტეტში მიიღო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. მისი სამეცნიერო ნაშრომები დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში.

X X X

### წერილი სამშობლოდან

საშინელია ეს დროთა სიგრძე,  
ლამის ლოდინი მოკვდეს უშვილოთ,  
სადა ხარ? ჩვენი ტანჯვა თუ იგრძნე,  
უნდა სამშობლოს ჩქარა უშველოთ.

–

ახალი ყლორტი ჰკერავს საკაბეს,  
ძველი სიზმარი ტფილისზე ახდა,  
ბევრი ხნიერი მუხა აკაფეს,  
მაგრამ ადგილი ვერ გაპარტახდა!

–

ძმათა საფლავზე ვიყავ პარასკევს,  
სადაც ისვენებს მოღლილი ჯარი,  
აი, გწერ ძმათა ნალაპარაკევს:  
„დავკეცეთ დროშა, გავტეხეთ ჯვარი!“

–

ბაგრატიონი და ფეიქრები!  
არ მინდა ერი სხვა ერს მოებას,  
დახეულ ქუდათ მოდის ფეიქრები,  
ოცნება საზღვრავს უსაზღვროებას.

–

ძმაო, არ მინდა შენც დამაობლო,  
ჩემი ლექსები სხვის კარზედ ჰქროდეს,  
**თუ პოეზიას არა აქვს სამშობლო,**  
**პოეტს სამშობლო ხომ უნდა ჰქონდეს?**

–

და, დღეს, არ ვიცი თუ რომელ ალაგს  
ამოვა ახლა დილის აისი;  
დღეს გორგასლანის სატახტო ქალაქს  
მხოლოდ სახელი შერჩა თავისი.

–  
ყველა მივიღეთ ძმებათ და დეებათ,  
ვინც გვასახელა საზიზღარ ქცევით...  
ხელზე კორძები დაგვაქვს ბეჭდებათ,  
ამდენ კუბოთა მალა აწევით.

–  
მშვიდობით, და გთხოვ, რომ ჩემი გვამიც,  
თუ დაიცხრილა ქალაქის გარეთ,  
დამწვით, და ფერფლი ჰაერ – ნასვამი,  
პოეტებს თავზე გადააყარეთ.

ლექსის ავტორი უცნობია (სავარაუდოდ,  
ლექსის ავტორი უნდა იყოს შალვა ვარდიძე).

### ელისაბედ ბეჟანიძის ბარათი ზუბალაშვილებს

თქვენო მაღალ კეთილშობილება,

ფრიად პატივცემულნო ძმანო, ბატონო ზუბალი შვილნო...

კონსტანტინეპოლში არსებული ქართველ კათოლიკე ქალთა მონასტერი გახსნილია იმ ერთის განზრახვით, რომ სწავლა და გაგება შეჰქონდეს ქართველი ერის კათოლიკეთა შორის..

ამიტომ შკოლაცა გვაქვს მონასტერთან და შიგ ყველა მასწავლებლად არიან ქართველი დები, აღზრდა – სწავლებაში ფრიად დახელოვნებულნი, მაგრამ მაინც დღემდე ამ დანიშნულებას და ჩვენს მოვალეობას ჩვენის ერის წინაშე გვაროვნად ვერ ვემსახურეთ, რადგან თუმცა შკოლა და გულის მოდგინება გვაქვს, მაგრამ ბავშვების შენახვისა და რჩენის ღონე არა გვქონდა; იძულებულნი ვიყავით ისევ გარეშე მოსიარულე სხვა ტომის შვილები გველო შკოლაში და ასე ნამდვილვე შკოლაც და ჩვენი შრომაც ხმარდებოდა არა თავის დანიშნულებას.

დღეს ჩვენ ქართველ კათოლიკე დებს გვინდა თავი გამოვიდვათ და სრულის იმედით შეგვიძლიან შკოლაში ვიყოლიოთ აღსაზრდელები საქართველოდან და ჩვენის პირადი დღიურის შრომით ყოვეწლივ ვინახოთ ოცი – ოცდახუთი მოსწავლე ქალი; ასე რომ მხოლოდ უსაზღვროდ ჩვენის ხელსაქმით ვაცხოვროთ და სწავლა – განათლება მივცეთ და ისინი ამ გვარად მომზადებულნი უბრუნდებოდნენ **სამშობლოს ერში სამოქმედებლად**. გვაბრკოლებს ამ შემთხვევაში მარტო... ის გარემოება, რომ სივიწროვისა გამო, მონასტერს ბინა არ მოეპოება მათ სადგომათ და ახლა იმდენ ძალა არ მოგვდგავს, რომ ეს ნაკლი ჩვენის პირადი შრომით ავასრულოთ. ამიტომ გავბედეთ და მოგმართეთ, რომ თქვენს კაცთ – მოყვარეობაზე დაიმედებულეებს ხელი აღგვიპყრათ დედა ღვთის სადიდებლად და თქვენდა სადღეგრძელოდ შეგვაძლებინოთ მონასტერში ერთი სახლის აშენება სკოლისათვის და მოსწავლე ქალთათვის შიგ სადგომ – ბინისათვის. თხოვნა გაახელით ფრანგულ ენაზე დაწერილი, რადგან მისი შემოწმება გვეძალა პაპის აქაურ დელეგატ–ეპისკოპოსისაგან, რომ ჩვენ სიტყვა და სათხოვარი ჭეშმარიტი გამოსულიყო.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული დედათა მონასტრის წინამძღვარი მონა ღვთისა – ელისაბედ ბეჟანიძე

1920 წელი, 18 მაისი,

კონსტანტინეპოლი, შიშლი,ფერიქოი.

X X X

### მოლოცვა ქართველს

გაზაფხული დაგვიდგა,  
ტყდება ზამთრის ბორკილი,  
შენ კი, ქართველო გმირო,  
ტყვე ხარ მტრისგან ჩაგრული.

ხარობს დედა ბუნება  
ჰყვავის მინდორი, მთები.  
შენ კი, ქართველო ლალო,  
მკვდრეთით როდის აღსდგები?!

შვების ლხენით სტკბებიან,  
ბაღი, ტყე და ველები,  
შენ, ქართველო მტირალო,  
როს შეგაშრება ცრემლები?!

25 თიბათვე, 1914 წელი

X X X

### იოსებ თათაშვილისა

29 თიბათვეს 1914 წ,

ფრიად პატ. ცემულო მამაო<sup>1</sup>, მოგილოცავ მწრფელი გულითა დღევანდელ, ფრიად სასიხარულო დღე – სასწაულს, რომელსაც ჰგრძნობთ თქვენ დიდის სიხარულით, ეგრეთვე, ჩვენც ვგრძნობთ დღევანდელ დღეს განუსაზღვრელ სიხარულს. გისურვებ მრავალ წელს დაგასწროსთ კეთილად და ბედნიერად.

ოდეს კვდებოდა სამშობლო ჩვენი,  
დიდო მოძღვარო<sup>2</sup>, აღმოჩნდი მხსნელად;  
ოდეს ჰხედავდი საქართველოსა  
ღონე მიხდილსა სხვის კალთის ქვეშა:  
ღმერთი ახსენე, პირჯვარ იწერე  
და ღვთის მშობლით ესე ისურვე:  
„მოდო, მე წავალ ამა ქვეყნიდან  
და შეუდგები ამის აღდგენას;  
შენი სურვილი შრომა, თუ გრძნობა,  
ყველა აღსრულდა ღვთის შეწევნითა.  
ბევრის შრომისა და ღვაწლის შემდეგ  
სტამბოლს ააგე ეს მონასტერი,

<sup>1</sup> იგულისხმება მამა **პიო ბალიძე**, რომელიც 1912-1921 წლებში იყო ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი.

<sup>2</sup> იგულისხმება ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის დამფუძნებელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი.

თუ განწირულმა მამულისათვის  
ღმერთს შეავედრე უკვდავი სული...  
მხოლოდ გავედრებ, მამაო წმინდავ,  
შენს მოწყალებას ნულარ მოგვკალებ;  
შენი მოადგილე და წევრნი მისნი  
წმიდა სამებას თვით შეავედრე;  
რადგან იღვწიან და მოქმედობენ,  
რათა განზრახვა შენი, უკვდავი,  
მათ შეასრულონ შენის შეწევნით.  
ამ სიტყვებითაც მევაბოლოებ...  
დღევანდელ დღეს უმფრო უკვდავო,  
რადგან დღე არის წმიდა პეტრესი,  
მისის შემწებით კვლავ გაგვახარე...  
ოდეს კვდებოდა სამშობლო ჩვენი,  
დიდო მოძღვარო, აღმოჩნდი მსხნელად...

**კარი მუქვსა  
წერილები სხვადასხვა თემაზე**



## მემედ აბაშიძე „კიდევ ეროვნული შეგნების შესახებ“

ეროვნულ შეგნების შესახებ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი ჩვენს გაზეთში და ეს საგანი იმდენად საყურადღებოა განსაკუთრებით ჩვენთვის, მუსლიმან ქართველებისათვის, რომ ზედმეტი არ იქნება კიდევ შევჯერდეთ მასზე.

ის პირები, რომლებმაც თავის მოქმედებით დალუპეს ოსმალეთი, ქადაგებდნენ და ახლაც ქადაგებენ, რომ ეროვნების ეროვნულ შეგნებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ხალხები უნდა დაირაზმონ სარწმუნოების მიხედვით.

ამგვარმა ქადაგებამ ოსმალეთი დალუპვამდე მიიყვანა. „ერთობის და პროგრესის“ პარტიამ იკისრა შეუძლებელი საქმე, მთელი ქვეყნის მუსლიმანობის დაპირისპირება სხვა ხალხებთან და სწორედ, ეს გახდა მიზეზი იმისა, რასაც დღეს ვხედავთ. ოსმალეთი ძლიერიც რომ ყოფილიყო, ის მაშინაც კი ვერ შეძლებდა ამ იდეის ცხოვრებაში გატარებას, ვინაიდან ამით ეროვნულ შეგნებას გზა ეკვეცება, ე.ი. გზა ნამდვილი მთლიანობის განმტკიცებისა.

არაბეთი, ინდოეთი, ალბანეთი სამუსლიმანო ქვეყნებია, მარა მათი ერთ სახელმწიფოში მოქცევა შეუძლებელია, ვინაიდან ეს ეროვნებანი, თუმცა მათ ერთი აქვთ სარწმუნოება, სხვა და სხვა შეგნების, სხვა და სხვა ინტერესების მატარებელნი არიან. ალბანეთს ცალკე სურს არსებობა, არაბეთსაც დამოუკიდებლობა სწყურია, ინდოეთსაც თავისი ინტერესი აქვს და ამიტომაც, რომ ამ ქვეყნებში „ერთობის და პროგრესის“ პარტიის ქადაგებამ ვერ გასჭრა და ეს ქვეყნები ოსმალეთს ვერ შეადულა.

ევროპის ხალხებმა კარგა ხანია, შეიგნეს, რომ სახელმწიფო ძლიერია მაშინ, თუ მისი ეროვნული შეგნება მაღლა დგას, თუ მისი ეროვნული აღებ – მიცემობა განვითარებულია. გერმანია, რომელიც თუმცა დამარცხდა ომში, მარა რომელსაც საკმაო ძლიერი კულტურა აქვს, იმას კი არ დაეძებს, გერმანელი პროტესტანტია თუ კათოლიკე და ამისდაგვარათ კათოლიკე გერმანელს კი არ უპირისპირებს პროტესტანტ გერმანელს, არამედ ყურადღებას აქცევს ეროვნულ შეგნებას, ეროვნულ ძლიერების გამოჭედვას, და მიტომ იყო, რომ გერმანია ლომივით იბრძოდა ურიცხვ მტრების წინააღმდეგ; ინგლისიც, საფრანგეთიც, ამერიკაც და საზოგადოთ, კულტურით ძლიერი ქვეყნები ამ მხარეს აქცევდნენ და აქცევენ ყურადღებას.

და ამიტომაც, რომ ეს ქვეყნები ძლიერი არიან; მიტომაც, რომ მდევის ნაბიჯით მიდიან ისინი წინ განათლება – განვითარების გზაზე.

ამ მაგალითმა აწ მაინც უნდა დაგვაფიქროს. ძველი გზით სიარული დაგვლუპავს. უნდა დავუჯეროთ ისტორიას, უნდა შევიგნოთ და შევისისხლხორცოთ მოწინავე ქვეყნების მაგალითი. უნდა დავადგეთ ჩამორჩენილ ქვეყნების გზას კი არა, არამედ განათლების გზას.

განათლებული, ძლიერი ქვეყნების მაგალითი კი გვეუბნება, რომ თუ გვსურს სიკეთე ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლობისათვის, უნდა დავადგეთ ეროვნულ შეგნების გზას. ის ხალხი, რომელსაც დავიწყებია თავისი ეროვნება, სწორედ იმ უბედურ შვილს ჰგავს, ვისაც დავიწყებია თავისი მშობლები. ასეთ შვილს ხომ ხეირი არასოდეს არ დაეყრება.

**ეროვნული შეგნება ქვაკუთხედია ერის წინსვლისა, მისი გამძლიერებისა.**

ჩვენ ეროვნულ გზას უნდა დავადგეთ, ზურგი უნდა ვაქციოთ მათ, ვინც სხვა გზაზე სიარულს გვირჩევს. ნუ თუ ვერ ვხედავთ, რომ ამ სხვა გზაზე გადატყუებამ გაგვაჩანაგა და უკან დაგვწია.

მაშასადამე, უნდა მოვინახოთ ჩვენი ეროვნული გზა. ვინა ვართ ჩვენ? არაბი არა ვართ, არც ალმანელი ვართ, არც თურქები ვართ; თვით თურქები ჩვენ გურჯებს გვეძახის. ჩვენ მუსლიმანი

**ქართველები** ვართ და **ჩვენი სამშობლო საქართველოა**. ეს მტკიცეთ უნდა შევიგნოთ, ეს ეროვნული შეგნება გონებაში უნდა ჩავბეჭდოთ და ამ შეგნებით გავსწიოთ წინ ჩვენი აწმყოს და მომავლის საბედნიეროთ. ვინც ამის წინააღმდეგს ჩავგვიჩინებს, ის გადაგვარების გზაზე გვაყენებს. ის ჩვენ ხალხს დაღუპვისაკენ ეპატიჟება და ჩვენ არ გვსურს დაღუპვა, ჩვენ გვსურს ვიცოცხლოთ, განვითარდეთ და წინ წავიდეთ და შევძლებთ ამას მხოლოდ მაშინ, თუ უკუ ვაგდებთ ისეთ ვაჟბატონების რჩევას, რომლებსაც ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო.

გზა ეროვნულ შეგნებისა, სიყვარული და დაცვა ჩვენი სამშობლო – საქართველოსი, აი, რა გააძლიერებს ჩვენს სარწმუნოებას და ჩვენს ეროვნებას.

„სამუსლიმანო საქართველო“, 1919 წელი, N 87, 8 მაისი

## **ს. ბავრელი** **(სოლომონ ასლანიშვილი)** **წერილი რედაქციის მიმართ** **ერთი კეთილ საქმის თავგადასავალი**

დიდი ხანია, მაქვს შედგენილი **ქართულ – ოსმალური სახელმძღვანელო ქართველ – მაჰმადიანებში ქართული ენის აღსადგენად**, რომელიც, საუბედუროდ, ბევრგან მათ დავიწყებული აქვთ. ამ წიგნს საკუთრად დანიშნულება აქვს იმ ხალხისათვის, რომელიც სამარცხვინო ისტორიულს გარემოების გამო ჩავარდნენ ოსმალის მტარვალობის ქვეშ და დაჰკარგეს, სარწმუნოების გარდა, სამშობლო ენაც.

ჩემდა საუბედუროდ, ამ წიგნის გამოსაცემად მე შეძლება არა მაქვს, გარდა წრფელი სურვილისა, რა საშუალებითაც იქნება გამოვსცე ჩემი შრომა და მით ერთი კენჭი დავუმატო საზოგადო საქმეს.

ამ მიზნით მივმართე ჩვენს ქართულ საზოგადოებას წერილობით, ვსთხოვე შემწეობა. არვისგან – არაფერი! არ გამიკვირდა: **ჯერ ხალხი „დილის ძილშია“...**

მივმართე პირდაპირ ზოგიერთ მდიდრებს, არც იმათგან გამოვიდა – რა. არ გამიკვირდა, რადგან ეს ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა **ჯერ არ ამალღებულა იმ წერტილამდე, რომ მხურვალე გულით მოეკიდოს საზოგადო საქმეს.**

მივმართე ერთ ძალიან მდიდარს. მიპასუხა: – „მე წიგნების გამოცემისა რა ვიცი, მე, მე“... ესეც არ გამიკვირდა, შემეცოდა საბრალო!..

**მივმართე წერა – კითხვის საზოგადოების ერთ გავლენიან წევრს.** ამან ცოტა იკვნესა და მერე მითხრა: – საუბედუროდ, საზოგადოებას შეძლება არ აქვს. გირჩევთ მიმართოთ იქაურ (ე.ი. ბათუმისა, ახალციხისა და ყარსის) **ბეგებსა** და მდიდრებს; ისინი, იმედია, ხელს შეგიწყობენ ამ სასარგებლო საქმეშიო... ეს კი გამიკვირდა.

ნუთუ ჩვენის საზოგადოების მოწინავე პირნი, როს გაუმასპინძლდნენ **სპარსელ მაჰმადიან ქართველებს გემრიელის სადილითა და მხურვალე სიტყვებით, გულში იმას ჰფიქრობდნენ, რომ თავიანთთავზე სპარსეთის ქართველი შეიხები და ხანები თვითონ იზრუნებენ საქართველოს სიყვარულის გრძნობის გაღვიძებას?!**

მერწმუნეთ, როგორც ოსმალების მოლები და ბეგები, ისე სპარსელებისა, ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ სააქაოს სამ – სამი ცოლები ჰყავთ და საიქიოს – ორმოცი ეყოლებათ. ისინი არაფერზე არ იზრუნებენ... მე მგონია, ნება მქონდა, მეპასუხნა იმ პირისათვის, რომ **ჩვენი დაკარგული მოძ-**



მეები თქვენგან მოელიან ხელის მიწოდებას და არა პირიქით, თქვენ - მათგან. თქვენ უნდა ჩასდგათ ხიდი თქვენ და იმათ შუა და არა პირიქით. ბოლოს, 1909 წელს მაისში მივმართე ქართველ თავად - აზნაურთა საკრებულოს. თხოვნა მქონდა დაწერილი ქართულად.

ერთმა ქართულის მცოდნე ქართველმა ნახა ეს ჩემი თხოვნა და მითხრა: - ამას დეპუტატთა საკრებულოში ვერ წაიკითხავენ, ეს რუსულად უნდა დაიწეროსო. მე კი გულუბრყვილოს მეგონა, თავად - აზნაურთა საკრებულოში, რადგან ეგ ქართული დაწესებულებაა, ქართულ ენას უპირატესობა ექნებოდა. რასაკვირველია, თხოვნა გავასრულე!

სწორედ ერთის წლისა და ექვსის თვის შემდეგ ამ საკრებულოსაგანაც უარი მივიღე.

- რა მიზეზით მითხრეს უარი? - ბატონ მდივანს ვკითხე.

- უარი იმიტომ გითხრეს, რომ ეს საქმე კერძო საქმეა და არა საზოგადო, - მიპასუხა მდივანმა.

ეს უფრო გამიკვირდა. ნუთუ ეს საქმე, - სასარგებლო იმ მრავალრიცხოვან საქართველოს შვილებისთვის, რომლებიც ბედის უკუღმართობისა გამო ჩაცვინულან ოსმალსა და სპარსეთის მტარვალობის ქვეშ, დაუკარგავთ სარწმუნოება, ენა, თითქმის სამშობლოც, - კერძო საქმედ უნდა ითვლებოდეს ქართველ საზოგადოებისაგან? იმ საზოგადოებისაგან, რომლის პირდაპირი მოვალეობაა, მათზე იზრუნოს!

აქ ანგარებასა და რისამე გამორჩენის მიზანს ადგილი არა აქვს. აქ არის წრფელი სურვილი, რომ დაუდოს მცირე მალამო იმ მწარე მდგომარეობას, რომელშიაც ამჟამად იმყოფებიან ასი - ათასობით დაკარგული საქართველოს შვილები.

მე მგონია, ქართველი საზოგადოება ბევრს არ დაჰკარგავდა ამ საჭირო წიგნის გამოცემით, პირიქით, ეს იქნებოდა დარგვა მომზადებულ ნიადაგზე მცირე ნერგისა, რომელიც მომავალში სასურველ ნაყოფს გამოიღებდა.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“, № 159, 1910 წელი, გვ.4.

შენიშვნა: „ამ წიგნს დღენიადაგ მოველოდით,

ველოდებით დღესაც. სამწუხაროდ,

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი,

მშობელი შობილს არას მეტყოდა“ - ილია.

როდემდის უნდა ელოდოს ამ „დედაენას“ მილიონობით მუჰაჯირი ქართველი, ოსმალეთში გაბნეული უპატრონო „ცხოვარივით“.

ველოდოთ, ველოდოთ, მაგრამ როდემდის, როდემდის?! ჩემო საყვარელო სამშობლოც, მოგვეც ამის პასუხი!?

პასუხის მოლოდინში დადლილი, თქვენთვის მუხლჩაუხრელად მლოცველი -

მღვდელი შალვა ვარდიძე.

სტამბოლი, ფერიქოი, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი,

1915 წელი, 15 ივლისი.

---

\*ეს ჩემი თხოვნა გადაეცა ეთნოგრაფიულ საზოგადოებას თავის აზრის გამოსათქმელად. ამ საზოგადოებამ დაუბრუნა საკრებულოს თხოვნა და ფრიად საჭიროდ დაინახა ამ სახელმძღვანელოს გამოცემა.

## მ. შალვა ვარდიძე ხმა ლიბანის კედართა მალნარიდან

ჩრდილო ლიბანის<sup>1</sup> მდუმარე კედართა მალნარში ვარ, რომელსაც მაღალი მთები გარს არტყიან და დასცქერიან დიდი კდემითა და ღრმა დუმილით.

მზე, შორს, უკვე ზღვას ეალერსებოდა და თავის სხივებს უხვად ზედ აფენდა...

სალ კლდეში ღრმად ჩაჭიდულ ვრცელ ფესვებით და ამაყად აღმართულ ათას ხუთას წლიან მოხუც კედარმა, რომლის ერთი დიდი შტო ზედ მადგა, საოცარი ბუტბუტით მამცნო: – ვხედავ, გაინტერესებთ ჩვენი წარსული, მაგრამ უფრო მეტის თქმა შეგვიძლია თქვენ წარსულზე, **დიდებულ ქართველ ერზე.**

– ისტორია ჩვენი ქვეყნისა და მისი მოთხრობა მნელია. ბედი **ლიბანისა** უფრო მეტად სამგლოვიაროა, ვიდრე **ბედი ქართლისა**. ოდნავ ხომ ცნობილია და ჩვენ წინაპართაგან მწარე გოდებითაც ნაამბობია **ფინიკელთა მიმოსვლა** მთელ მსოფლიოზედ, მათი განათლება და ამ განათლების გამოვლენა სხვა ერთა განვითარებაზე, მათი მგზავრობა შავი ზღვის ტალღებზე, ვაჭრობა კოლხიდელებთან... თქვენ, ქართველებმა, მაინც ხომ უწყით ქართველი მოდგმის დიდ ხალხთა: კახთა, მუსხთა (მესხთა), თუბალთა (იბერთა) და სხვათა, ფინიკიელებთან მუდმივი მიმოსვლა, აღებ – მიცემობა და სხვა. სადღა არის ფინიკიელთა ერი და მათი განათლება?! მოისპო, აღიგავა ბარბაროს ერთა მიერ... **თქვენმა ერმა კი, საუკუნეთა სრბოლაში მაინც შეინახა თავისი მეობა, თავისი ენა და კულტურა.**

მოკლედ აღვნიშნავთ და მოგაგონებთ, რაც ჩვენ პირადად გვსმენია და გვინახია თქვენი წინაპრების საამაყო კულტურული ცხოვრების და ქრისტიანული მოღვაწეობის შესახებ მცირე აღმოსავლეთის ქვეყნებში მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე შემუსვრილ იქმნა მუსულმანთა მიერ აქაურ ქვეყნების ქრისტიანულ განათლებასთან ერთად.

ნორჩი ვიყავით, ოდეს წმ. **გიორგი ნაზიანზენმა** და მის მოწაფემ, **ევაგრე ქართველმა** (245 – 399), დიდ მჭევრ – მეთქმა ქრისტიანული მოძღვრებისა, აქეთ გამოიარეს, და წარვიდნენ იერუსალამში, ევაგრე ბერად შედგა, წარვიდა **ეგვიპტის ნიტრი** უდაბნოში. შემდეგ **სილისაში**, სადაც დაარსა მონასტერი, დასწერა მრავალი თხზულებანი: პალადი, რუფენი, წმიდა პროსპერი, გენნადი, თეოფილატი ალექსანდრიის პატრიარხი, წმ. გრიგორი ნაზიანზენ, და გარდაიცვალა მუნვე 399 წ. უფრო მეტად გვახსოვს ქართველი მეფის შვილის **ბაკურის** (379 – 393), **მურვანის**, **პეტრე იბერიელის** ღირსეული მოღვაწეობა, რომელიც ახალგაზრდა გამოიპარა კონსტანტინეპოლის სასახლიდან და აქ გამოვლით **იერუსალიმში** ბარად აღიკვეცა. მას დაუარსებია **ჯვარის მონასტერი** და ერთი სასტუმრო ქართველებისათვის, რადგან მაშინ ბლომად ყოფილან ქართველი მლოცველნი ივერიიდან მოსულნი. 450 წელს ეპისკოპოსად აკურთხეს ქალაქ **მაიუმისა**, **პალესტინაში**, და გარდაიცვალა (488 წ.) სახელ განთქმული მოღვაწე დიდ ქველმოქმედებაში და სიწმინდეში.

უფრო საამაყოა თქვენი ქვეყნისთვის ის, რომ თუთხმეტზედ მეტი მონასტერი იყო **ანტიოქიიდან** მოყოლებული **სინაის** მთამდე და **ეგვიპტემდის**. მეოთხე საუკუნის ნახევრიდან **ევაგრის** და **პეტრე იბერიელის** მსგავსად ურიცხვი ქართველი ბერები ცხოვრობდნენ და კულტურით ბრწყინავდნენ შემდეგ მონასტრებში, რომელთა სახელები გვაგონდება. გარდა **სელის** მონასტრისა ეგვიპტეში, **სინაის** მთიდან **ანტიოქამდე**, დიდ ხანს ყვაოდნენ ქართველ ბერების მოღვაწეობით **ჯვარის**

<sup>1</sup> ჩრდილო ლიბანში გადასახლებაში იმყოფებოდა მღვდელი **შალვა ვარდიძე** 1949 წლიდან, სადაც გარდაიცვალა.

მონასტერი იერუსალიმისა, წმ. მენნასისა, ბეთლემის ქვაბისა, იორდანე მდინარის ნაპირისა სირიაში, წმ. საბასი სინაიაზე, წმ. სამუელისა, წმ. კოსმა და დამიანესი, წმ. ნიკოლასი, ივანე ღვთისმეტყველისა, წმ. ბაზილისა, წმ. იაკობისა, წმ. აბრამისა, კრანისა, ქვაბისა (გამოქვაბულისა), კალიპოსი, ეზრასი, კასტანასი შავ მთაზე და სხვაც, რომლებიც შემუსრეს სელჯუკიდებმა და ოთომან – თურქებმა. კარგად გვახსოვს, ოდეს 550 – 555 წლებში ზოგიერთ ამ მონასტრებიდან შემოიკრიბენ ცამეტოდე წარჩინებულნი ქართველნი მამანი. სხვათა შორის, იესე, აბიბო, მიხეილი, შიო, დავითი, ანტონი, ზენონი, ივანეს წინამძღოლობით შემოიარეს ჩვენი ქვეყანა, გვნახეს და გაემგზავრნენ ივერიაში ქართულ ენაზედ ხელნაწერი სამლოცველო წიგნებით. ამ მამებმა დაარსეს თქვენს სამშობლოში სასახელო მონასტრები. უფრო ნათლად აღბეჭდილი გვაქვს გონებაში, მათ შემდეგ რაც მოგვითხრეს, განსაკუთრებით დიდმა წმ. ილარიონმა (†882), საბას მონასტრის ივანე მინჩმა (866 – 886) და იოვანე ზოზიმმა († 987), თეოფილე ქართველ იერუსალიმელმა, არსენიმ (იყალთოელი) შავი მთისა (1080), ევრემ მცირე (1027 – 1100), კასტანა მონასტრის წინამძღვარმა და განსაკუთრებით წარჩინებულმა გიორგი მთაწმინდელმა (1009 – 1066), რომელმაც კარგა ხანს დაჰყო (1059 – 1065) ქართულ მონასტრებში, ვიდრე თავის სამშობლოს სანახავად წავიდოდა. ამათ და სხვათა ძვირფას თხზულებებს და ბერძნულიდან, ზოგიც არამეულიდან ნათარგმანებს რა ბედი ეწვიათ, არა ვუწყით რა. ხოლო მთელ ახლო აღმოსავლეთში ქართველთა მონასტრების აოხრება და დანგრევა მუსულმანთა მიერ ფრიად მანე და სამწუხარო მოვლენა იყო არა მარტო აქაურ ქრისტიანთათვის და ქართული კულტურისათვის, არამედ მთელი ქრისტიანობისათვისაც.

ასე წაიშალა ქართველ ერის შვილთა დიდებული მოღვაწეობა და თვით მათი სახელიც. აქაურ სხვა და სხვა სახლებში აღარაფერი იციან მათი და მათი სამშობლოსი.

ფრიად სასიამოვნოდ დაგვირჩება, თუ ჩვენი თანამემამულენი მიიღებენ სათანადო ზომებს, რომ მეცნიერებმა და არხეოლოგებმა შემოიარონ ეს ქვეყნები ანტიოქიდან ეგვიპტემდის. მოსძებნონ ყველა თქვენი მონასტრების ნანგრევები და ამასთან ერთად ინახულონ აქაური ქრისტიანების მონასტრები და მათი წიგნთ – საცავების ხელნაწერები. უსათუოდ სადმე ნახავენ ქართული განათლების ნაშთებს. ასეთი მოღვაწეობით, სიტყვით და წერით, გააცნობენ მსოფლიოს ქართველი ერის დიდებულ წარსულს საქართველოში და ახლო აღმოსავლეთში. მითვე ჩაუყრიან საფუძველს საქართველოს დღევანდელ ბედის შეცვლა – განახლებას. დარწმუნებულნი იყავით, რომ მატერიალური გაბატონების ძებნა – დამყარების დღევანდელ ხანაში, სხვა მიზანშეწონილი საშუალება აღარ ჰკიებს, თუ არ, გაცნობის და თანაგრძნობის მოპოვება მთელ მსოფლიოზედ თქვენი დამონავებული ერისათვის, ისე, როგორც სხვა პატარა ქვეყნებისათვის“.

„ბედი ქართლისა“, 1955 წ. N 19, გვ. 20 – 21.

### შალვა ვარდიძე „ჩემი ლოცვა“

თუ გასრულდა ეს ცხოვრება  
შენგან ჩემთვის განლაგებული,  
გთხოვ, არ მოკვდეთ უცხოეთში  
სიყრმით დღემდის დაკარგული.  
კვლავ მაღირსე მწირს სამშობლო  
საყვარელი, მშვენიერი,

მისთვის მინდა ეს ცხოვრება  
იყოს მსხვერპლი ნებიერი.  
მუნ სიკვდილიც მირჩევნია,  
არ ვიქნები განამწარი,  
იქ საფლავიც ტკბილ მექნება,  
ნანას მეტყვის ნაზი ქარი.  
ზაფხულს მდელი რა შემოსავს,  
ზამთარს თოვლიც მთლად სპეტაკი,  
გაზაფხულზედ იით, ვარდით  
არ დავრჩები მე ლატაკი.  
ხშირად მოვლენ მეგვარენი  
ჩემ სამარის შესამკობად;  
სავსე გრძნობით მუხლს მოჰდრეკენ,  
საღვთო ლოცვის საგალობლად.  
ქართულ ხმითა, სამ – ხმა ტკბილად,  
„დიდებასა“ დამმღერებენ  
და ეროვნულ აღდგენასაც  
ჩემ ძვალთ ნეშტთაც ახარებენ.  
იქვე ბულბულთ სევდით მდუმართ  
აღეძრებათ სიხარული,  
ტკბილი სტვენით დღე და ღამე  
აღმოხდებათ სიყვარული.

ვარდიც, იაც ამო სურნელთ  
გარს მოჰფენენ ჩემს სამარეს!...  
იქ სიკვდილი მირჩევნია,  
აქ ცხოვრებას უცხო მხარეს...  
ღმერთო, ზენით გადმომხედე.  
**ნუ გამითხრი აქ სამარეს!**

## **წმიდა ნინოს**

I

ნინო წმიდაო, ამ შენს დღეობას  
გაქებთ, გადიდებთ ივერის ძენი;  
შენი ნაღვაწის საღვთო მოძღვრებას  
მარად იგონებს გონება ჩვენი.  
გიხმობთ ქართველნი, მოგვხედენ ზეცით,  
კვალად მოგვაგე სწავლა დიადი;  
როგორც წარსულში, აწ გაგვიბრწყინე  
გზა ცხოვრებისა, გვიძს რა წყვდიადი.  
ხანი დაგვიდგა შავი და ძნელი...

დავიქსაქსენით, ვართ დავრდომილნი;  
დავკარგეთ ბინა – ჩვენი მამული –  
თავისუფლების დრონიცა ტკბილნი.  
მოსავთა შენთა ტანჯვა – ვაების  
აწ რაკი გესმის ხანგრძლივი ზარი,  
გვექმენ დამცველად, გვაშორე მტერი  
ჩვენი ცრემლ – სისხლით გაუმადლარი.  
ძველებრ კვლავ მოდი ქადაგად ჩვენში,  
გარე – მოცული გაჰფანტე ბნელი;  
დღეს სხვა არმაზის, კერპის ბოროტის,  
შენგნით შემუსვრა არ არის ძნელი.

## II

ნინო წმიდაო, ამ შენს დღეობას,  
შენდა აღვავლენთ ლოცვას ცრემლოვანს;  
იმედი სრული შენზედ დაგვიძის,  
გვრწამს, განგვიახლებ ბნელსა ნათლოვანს.  
მარად რა შენი წმიდა ხსენება  
სევდას გვიფანტავს, გვამლევს სიხარულს;  
აწ დღეს მოსავნი გაქებთ, გადიდებთ,  
მოგიძღვნით ჩვენსა ხოტბას, სიყვარულს.  
ნუ დაგვიშურებ, რასაც გთხოვთ გრძნობით:  
ქართველი ერი აღდგეს, განცხოვლდეს;  
შენი მოძღვრებით და განათლებით  
წარსული დიდი კვლავ განუახლდეს.  
ვიდრე ივერი სოფლად ჰგიებდეს,  
ვიდრე ცოცხლობდეს ერი ქართველი,  
შენი მადლითვე უვიწყარ იყოს  
შენი დიდება, შენი სახელი!  
ნინო წმიდაო, უცხოეთს მყოფნი  
ვიდრე შეგვკრებდე შენს ტამარს შინა,  
მანამდის მწირნი, შენნი მოსავნი  
ცრემლსა დავაფრქვევთ შენს ხატის წინა!

მ.ს. შალვა ვარდიძე

ლიბანის მთა, 14 იანვარი, 1951 წელი.

### **ნერილი პ. ს. შ. ვარდიძისა ვიქტორ ნოზაძეს „თვალთა პატიოსანთა არაბულნი სახელნი“**

... „ამ ჟამად არ შეიძლება მეტად დაგვიანება – ვგონებ გექპარებათ – რაც საჩქაროდ აღმოვიწერე, ფრანგულათვე გიგზავნი. რაც კი საჭიროთ დაინახოთ, გამოიყენეთ, როგორც გსურთ.

ამოკრეფილი სიტყვების ქართულათ დაწერისათვის მამა ა. ჯემელთან ერთად განვიხილე. ლათინური ასოებით დაწერა არაბული სიტყვებისა შეუძლებელია. თვით ქართული ასოები კარგად არ დაიწერება, რადგან არაბულში მარტო ი ხმოვანია და ა. სხვა ხმოვანი ასოები არ აქვთ. ო, ე, უ ასოების მაგივრად ვ – ს ხმარობენ. ვინმემ თუ ენა არ იცის, ვერ წაიკითხავს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო არაბებში იგივე გამოთქმა არ აქვთ: მაგ. ზოგან ამბობენ კოლ, და ზოგან: კულ (სჭამე), როცა სიტყვა ყველგან ერთნაირად იწერება.

Clément – Mullet – ბევრი საყურადღებო ცნობა აქვს ძვირფასი ქვების წარმოშობაზე, თვისებებზე, ფერადებზე და ზოგანაც საკმარისად აღნიშნავს, სად უფრო მეტად მოიპოვებიან. რამდენადაც გავეცანი, ქვების დიდი ნაწილი საქართველოშიც მოიპოვება, თუმცა ძველი და ახალი მწერლები, არაბები, როგორც ევროპელები, არ იხსენიებენ საქართველოს. ფრანგულ – ქართულად გაძლევთ ცნობებს.

თვალთა პატიოსანთა სახელნი:

2. არაბულად: ჯაჰვარ, ჯაჰვარ. 2) სპარსულად: კუარ. საზოგადოდ დიდი თვალი: დურვათ, და პატარა თვალი: ლულუ.

ი. იაკუტ: ქართულად: იაგუნდი (იაკინთი, ვაკინთი). ფრანგულად: hyacinthe, ფერის, სიმაგრის და სხვა თვისების მიხედვით, ამ სიტყვას იაკუთ ოცზედ მეტად სხვა და სხვა ნაირად ხმარობენ. ევროპელებსაც არ აქვთ და ხშირად იაკუთ – ს სხვა და სხვა სახელით იხსენიებენ.

იაკუთ ასმანი = saphir და იაკუთ სარხ rubisბალურ (კიდეგ: ბალაურ, ბალაორ) = spinelle et rubisbalais. იაკუთ ახმარ = rubis rouge ou thelesie იაკუთ ასფარ = rubis jaine, la topaze იაკუთ ქაზრაჰ = rubis bleu, le saphir. იაკუთ ახმად – rubis blanc, le corindon limpide. იაკუთ ახდარ = rubis vert – le saphir vert ou l'émeraude იაკუთ ზაითი – rubis de couleur olive. იაკუთ როჰმანი = rubis d'un rouge pur, le grenadin. იაკუთ ლახმი = Le corindon vermeil იაკუთ ბანაფსაინ = de couleur violette. იაკუთ ჯერნაირი = jaunâtre, le balustrier. იაკუთ ვარდს = blanche de couleur ou rose claire. ბევრი სხვა იაგუნდია კიდეგ.

II. ბალურ (ბალაურ, ბალაორ) = rubis balais, უკვე ზემოდ აღვნიშნეთ, ხოლო ეს rubis balais, ანუ spinelle, ლათინური spinella, მრავალ ნაირია და ამ ქვას სხვა და სხვა სახელიც აქვს; ბალახაშ, ბალახშ, ბაჰჰად, ბანფაშ (სპარსელები ლალ – ს ეძახიან) = Spinelle. ამათი ფერია: მორიელის ფერი, წითელი მეტად მღვრიე; ყვითელი ან მოყვითალო; მწვანე ბარილის: ცეცხლის ფერი, მცირედ მღვივეყვითელი ფერი, რომელი იაგუნდს ანუ კორინდონ ყვითელს წააგავს; ბროწეულის ფერი – ჰქვია ნარი; სპარსულად: ნარ; ნარზედ ნაკლებ წითელს ეძახიან: ნიაზცი. – ეს ქვა მოიპოვება განსაკუთრებით თურქესტანის მთებში, ქალაქთან. ამიტომ იმ ქალაქის სახელიც აქვს. ქალაქს სხვა და სხვა გამოთქმით ეძახიან: ბადახშან, ბალაკშან, ბალახშან, ბალხშან.

III. მრჟან = მარჟან – corail et émeraude.

IV. ჰაყიყ = la cornaline. კიდეგ ძველად ამბობდნენ: ჰაკაიკ. ხუთნაირი ფერის და სიმაგრის მიხედვით: წითელი, წითელი მღვივე, ლურჯი, შავი, თეთრი, ყვითელი – მეტად ძვირფასია.

V. აღმას – არაბულად და სპარსულადაც – diamant. ცნობილია მისი რამოდენიმე გვარი: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, შავი, ვერცხლის ფერი, მოყვითალო ზევისფერისა და სხვა.

VI. ბაღადი – le grenat. სირიული გრენატი არის ლამაზი ფერი იისა, ბოჰემიის – ჰიაცინი = ტისებური წითელი; სეილონისა – ღვინის ფერი. გრენატი ღრმა ყვითელი: აზიაზაშთ; ძალიან წითელი – მაზამბაზ; უბრალო ყვითელი: – სერანდიბი; გრენატი ანუ ბაღადი ამავე ფერისა დასავლეთიდან: – ყარუი.

მარვარიდ – perie. მარგალიტი.

VII. ლაჟუარდ – lazulite, bleu d'azur.cormalibne. Agate.

VIII. ბენეფშ – heacinthe ou diamab=nt jaune მას სთარგმნიან აგრეთვე სახელით: ზირკონ და ჟარგონ. ოღონდ თავისი იის ფერობის გამო, ბენეფშ, ჰიაცინტს უდრის. ბერძნული იაკინთოს= იაგუნდი, რომელიც ერთნაირი იაკუთ არის; თუ იგი ფერით წმიდაა და ღრმა. თუ იგი წითელია, მას მაშინ აღარ ეძახიან ბენეფშ – ს, არამედ:მალზანაზი. ეს ბენეფშ კიდევ ორგვარია: 1) იისფერი მოშავო და 2) ყვითელი მოზნელო; და ზოგნი ეძახიან აზიაზაშთ – საც.

IX. აინე ელ ჰერრ – – reil – de – chat. Une espece de saphir chatoyant opal...

X. ბენზაირი – ძველად ხმარობდნენ ბაღზჰჰირ, ახლა საზოგადოდ კიდევ ამბობენ: ბაზჰჰირჰ. ახლა საზოგადოდ კიდევ ამბობენ: ბაზჰჰირ. არის ორგვარი: 1. მინერალური და ცხოველური; გამჰჰირვალე და ზნელი. მინერალური ბანზაირი მნიშვნელოვანია ყვითელი და მწვანე ფერისა. ჩინური ბაზჰჰირი (ფაზარი) არის ღრმა და წმიდა ფერის ყვითელი. ცხოველურ ბაზჰჰირ სნეულებათა და მორიელის ნაკბენის წინააღმდეგ ხმარობენ.

XI. ფეირუზაჰ – tourguoise. ორი სახისაა: 1. საცვებით გლუვი, ლურჯი ბწყინვალე. 2. ფაჯანაჯი – არის კიდევ ერთნაირი ფირუზი, რომელს სპარსელები უწოდებენ : ბაჯახშანი და ლაჰაიკა.

XII. ზუმეროდ – émeraude. სპარსული ზმრუდ. კიდევ ნიშნავს – corail.

XIII. ლაზაზ – ამ სიტყვის გამოთქმა და დაწერა არც ერთი ენის ასოებით არ შეიძლება. არც კ არის და არცღ. ფრანგულად – onyx და agate. იგი არის ხუთი სახის, იმის მიხედვით, თუ სად პოვულობენ მათ.

XIV. მალნათი – l'aimant.

XV. სონდაბა და სონბაჟ – l'eneri.

XVI. დაჰნაჟ – la malachite

XVII. ლაზაურდ – la lazulite. ლაჟვარდი.

XVIII. საბაჯ – სპარსულად: შაბახ და შავეუახ – jayet ou obsidienne; jais.

XIX. ლალ – (სპარსულიცაა): ribis

XX. ჯამაშთ, ჯამასთ, ჯემეშთ, ჯემესთ – მიაგავს, იაგუნდს = იაკუტს. ფრანგულად – améthyste. ოთხნაირია: 1. ვარდის ფერი, მოლურჯო ძლიერ, ვარდის ფერი ძლიერობს ლურჯზე, ვარდის ფერი და ლურჯი ერთად, ორივე სუსტად.

XXI. მინა – email, perle d'email.

XXII. ზუჟაჟ (ფარაონისა) თარაონის შუშა

XXIII. ხამაჰხან – l'ematite, ხუთ გვარია.

XXIV. იაშმ – jade, ქვა მომწვანო და მოზეთისფერო

XXV. იათფ, იასბ – ებრაული – იაშაფჰ – jaspe. ფერით: თეთრი, ყვითელი, შავი, მწვანე...

XXVI. ბალლაავრ. ბილლაავრ, ბულლაავრ (არაბულად), ბალლაავრ. ბილლაავრ, ბოვლლურ, ბულლურ (სპარსულად) – ქართული: ბროლი.

XXVII. თალყ – le talc et mica.

XXVIII. ზებერჯედ – le beryle; მქრქალი მწვანე – რაჰხანი; მწვანე ძლიერი – სილყი და სწვანე მჭვირვალე საბუნნი.

ამაზედ მეტად შემოკლება ვერ მოვახერხებ. ამასთან ერთად საპირისპირო ქართული სიტყვების ძებნას თავი დავანებე, რადგან საამისოდ ლექსიკონია საჭირო.

**კლემან მქულლეს** წერილის დასასრულს მხოლოდ 11 სიტყვაა. სხვაც ამოვკრიფე. ვგონებ, შესძლებთ დაიკმაყოფილოთ სურვილი.

გისურთებთ თქვენ და ყველა თანამემამულეს ბედნიერებას და შორით ჩვენ ისტორიულ ძახილს მოგაწოდებთ:

**ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!**

**ქართველი ერი არ მოკვდება და აღსდგება!** ამიტომ ყველას გისურვებთ ხანგრძლივ ცხოვრებას, რათა სამშობლოში დაბრუნდეთ.

სალამი ქართული ყველას!

მესხი მწირი

ს. შალვა ვარდიძე

ბეირუთი – ლიბანი, 29 აპრილი, 1954.

შენიშვნა: ხელნაწერი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართული საგანის არქივში; შ. ვარდიძის პირადი არქივი ბეირუთიდან სტამბოლში გადმოიტანა ამ საგანის პატრონმა **სიმონ ზაზაძემ**.

### **მიხეილ თარხნიშვილი ვინ არის მართალი?**

როცა ასი წლის წინათ დიდი ქართველოლოგი **მ. ბროსე** „ქართლის ცხოვრებას“ ფრანგულად აქვეყნებდა, მას იმგვარი შესავალი მისცა (მაშინდელ პირობებში სხვა ფერი არც შეიძლებოდა), რომ მის წაკითხვისას ერთმა გერმანელმა ორიენტალისტმა, ვგონებ **ჰ. გელცერი** იყო, განაცხადა: საქართველოს ისტორიული ძეგლები სანდო ცნობებს იძლევა მხოლოდ მეცხრე საუკუნითგან. რაც მის წინა დროს ეკუთვნის, საეჭვო და ბუნდრვანია. ამიტომ გამოუყენებელიაო. იგივე აზრი გაიმეორა ფრანგმა მეცნიერმა **ცოტენბერგმა** „სიბრძნე ბალავარის“ თაობაზე. ქართველ მწერლობას მეათე საუკუნეში მიეცა დასაბამიო. ეხლა ხანს ცოტენბერგს კვერი დაუკრა გერმანელმა ბიზანტისტმა **ფრანც დუელგერმა**, რომელმაც კატეგორიულად უარჰყო **ექვთიმე მთაწმინდელის** ყოველივე კავშირი **ბალავარის სიბრძნის ბერძნულ თარგმანთან** (ამაზე ვრცლად მომდევნო ნომერში).

ყველა ეს გამოწვეულია, რა თქმა უნდა, ქართული ისტორიული ძეგლების უცოდინარობით და მის შედეგად მათი სრული უგულებელყოფით. ვინ რა უწყის, რომ ერთი ერის ისტორიის უყურადღებოდ მიტოვება, მისი მივიწყება და თითქოს არ არსებულად აღიარება, თავად ამ ერის მივიწყებას და უგულო ყოფას შეეატოლება! თუ გსურთ, აი, აქ მარხია ერთ – ერთი მიზეზი იმ სავალალო მოვლენისა, რაც კარგი ხანია ჩვენი ჩივილის საგნად არის ქცეული: **დიდი ერები არ გვცნობენ, არ გვაფასებენ, ანგარიშს არ გვიწევენო**. მერე ვისი ბრალია? არა უფრო ჩვენი, ვიდრე სხვისი, ოდეს ჩვენ თვითონვე ბანიდან ვაცხადებთ: ჩვენი უძველესი ისტორიული ძეგლები მეათე საუკუნეს არ გადასცილდებიან და მის უადრესი ნამდვილი ისტორიული ნაწარმოები არ გვაბადიაო?

ამის მსმენელი უცხოელი განა სამართლიანად არ გაისაზრებს: ამ ერმა უკვე პირველ საუკუნესვე შედგა ფეხი ქრისტიანულ კულტურაში, მას იმ თავითვე გარს ეხვია მაღალი კულტურის მატარებელი ერები, და ამისდა მიუხედავად, მან თავისი თავი და თავისი წარსული მართლმეტყველებათა შემფასებელი, გამშინჯველი ისტორიული თვალიო!

დიდი ბოლლანდისტის **პავლე პეტერსის** გონებაც უწყვეტლივ ამ საჭირობოროტო საკითხს დასტრიალებდა თავს. მხოლოდ სიკვდილის წინა წამებში მიაგნო მან ქართული კულტურის



ნამდვილ ვითარებას და მთლიანად გადააფასა მანამდე მის ნაწერთა და აზროვნებაში გამტკიცებული რწმენა: **მან ჩვენი მწიგნობრობის სათავე ჩამოაშორა სომხურს**, როგორც ამაზე უძველესი მოვლენა და დაუკავშირა უფრო ადრინდელ განათლებას: **სირიულს. პეტერსის საბოლოო განცდა იყო: ქართველებმა სომხებისაგან კი არა, ასურებისაგან ისწავლეს წერა – კითხვაო, სომხური ანბანის აღმოჩენაზე უფრო ადრე**. პეტერსის აზროვნებაში დიდ შედეგიან მოვლენას ასახავს ეს გარდატეხა, ვინაიდან მისი მზეგრძელების უკანასკნელ წლამდის, ისიც სომხურს ხადოდა ქართული მწიგნობრობის სათავედ და წყაროდ.

ვიმედოვნებთ, რომ **პეტერსის** წონა მაგალითი როგორმე დასძლევს ზოგიერთის გონებით – მძიმობას და მას თვალს აუხელს ქართული კულტურის და ლიტ. ნამდვილ საგანძურზე. ამავე მიზანს ისახავს ქვემოთ წამოყენებული საგანი, რომელიც ეხება ქართული მატრიარქის ცნობებს **ირაკლი იმპერატორის ლაშქრობაზე** აღმოსავლეთში (მეშვიდე საუკუნეში).

**ივ. ჯავახიშვილის** წიგნში „ისტორია ქართველი ერისა“ (ტ. I, თბილისი 1928, გვ. 241 – 248. თავი მე – 39) შემდეგია მოთხრობილი: სპარსეთის შაჰის, **ხოსრო მეორის** ნავარდობას ბიზანტიის ქვეყნებში ბოლო მოუღო **ერეკლე კეისარმა**. მტრის დასამხობად მან გავლო სამეგრელო და გადავიდა ქართლში. მეშველად მოიწვია ხაზართა მეთაური **ხაკანი**, ვისაც „**მოქცევა ქართლისა**“ **ჯიბლუს** უწოდებს. რაკი თბილისი არ დანებდა, იმპერატორმა ქალაქს ალყა შემოარტყა. ამის თაობაზე **ქართლის მოქცევა** გადმოგვცემს:

„მაშინ ჩამოვლო **ჰერაკლე მეფემან** ბერძენთამან და უხმო ციხისთავმან კალაჲ ტფილისადთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით... და მეფემან თქუა... მე მიგაგო მისაგებელი შენი და დაუტევა **ჯიბლუ ერისთავი** ბრძოლად და თვით წარვიდა **ბაბილოვნად** ბრძოლად **ხუასრო მეფისა**. ხოლო ამა **ჯიბლუ** მცირეთა დღეთა შემოდგომად კალაჲ გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა... და მრთელსა ტყავი გაჰხადა და მეფესა უკანა მისწერა **გარდაბანს**“.

სომეხ ისტორიკოსს **მოსე კალანკატუელს** დაწვრილებით აქვს აღწერილი ერეკლეს მოკავშირეს მიერ **თბილისის** აღება. მისი ცნობით, ხაკანი გადმოვიდა 1.000 მხედრით და შვილით შათითურთ 627 წელს. ერეკლე და ხაკანი ორი თვე ეომენ გარშემოდგომილ ქალაქს, მაგრამ ვერ აიღეს. ამიტომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს სპარსეთში გაელაშქრათ და თბილისის დასჯა შემდეგისათვის გადაედოთ. ეს რომ მოქალაქეებმა შეიტყვეს, ორივე მოკავშირეს ლანძღვა – გინება და დაცინვა დაუწყეს. ისინი მუქარით წავიდნენო.

„თბილისზე ჯავრი **ჯიბლუს** შვილმა **შათიმ** ამოიყარა“. ქალაქს კვლავ შემოადგა, აიღო ის ორი თვის ბრძოლის შემდეგ და თბილისელები სულერთიან ამოწყვიტა. იქვე შეიპყრეს ორი მთავარი, ერთი ქართველი და ერთი სპარსი. „ორივე ტყვე კეისარს მიჰგვარეს, რომელმაც ჯერ თვალები დაათხრევინა, ხოლო შემდეგ ჩამოახრჩობინა, ტყავი გაამრობინა, ბალახით გაატენინა და ზღუდის კედელზე ჩამოაკიდებინა“ – ო. „ამგვარად ქართულ და სომხურ ცნობათა უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ **ქ. ტფილისი, „მოქცევა ქართლისა** – თ“ **ჯიბლუმ** აიღო. **მოსე კალანკატუელით** კი მისმა შვილმა, **შათმა**; შემდეგ ქართული წყარო მოგვითხრობს, რომ ტფილისი\* მცირეთა დღეთა შემდგომად“ აიღო. სომხური – კი ამტკიცებს, ტფილისი ორჯელ იყო გარემოცული, ერთჯელ ვერა დააკლეს რა, თუმცა ორ თვეს ებრძოდენ, მეორედაც მხოლოდ ორი თვის მედგარი ბრძოლის შემდგომ ძლივს – ძლივობით აიღესო. ორსავე შემთხვევაში მოსე კალანკატუელის ცნობები უნდა იყოს სწორე“ – ო.

\* P. Peeters, Oruent el Byzance. Le trefonds Orietal de l'hagiographie byzantine, Bruxelles, 1950, p. 198.

\* ტფილისი კი არა კალაჲ!

„რომ ტფილისი პირადად ჯიბლუს აღებული არ უნდა იყოს, ამას ბიზანტიელი ისტორიკოსი **თეოფანეს** სიტყვებიც ადასტურებს, რომელი, რომ ტფილისის მახლობლად მდგომი ჯიბლუ თითონ შინ დაბრუნდა, ხოლო თავისი რჩეული ჯარი შვილითურთ **ჰერაკლე კეისარს** მოკავშირედ დაუტოვა“ – ო.

**ჯერ ერთი:** აქ სრულიად გამოსარიცხია **თეოფანე**, იგი ერთი სიტყვასაც არ ხარჯავს ტფილისის აღებაზე და ამიტომ არც იმას გვატყობინებს, ჯიბლუ შინ როდის დაბრუნდა. თბილისის აღების წინ, თუ მის შემდგომ.

**მეორედ:** თუ ჯიბლუ შინ დაბრუნდა, კეისარი სპარსეთს წავიდა და ქალაქი მარტო შათმა აიღო, მაშინ სულ არ ჩანს, ის ორი დაჭერილი ციხის თავი კეისარს სად მიჰგვარეს, ანდა მათი ტყვეები რომელი ქალაქის ზღუდეზე ჩამოჰკიდეს? ეს ქალაქი არ შეიძლება იყოს **ტფილისი**, რადგან, ამ ჰიპოთეზის თანახმად, იქ აღარც ჯიბლუა და აღარც ერეკლე. აი, სადაა მთელი გაუგებრობა, რომელიც სათავეა ყველა სხვა გაუგებრობისა, ქართველი ისტორიკოსის უგულვებელყოფასთან ერთად. დაგვრჩა ქართულ – სომხური წყაროები. მათ შორის თითქოს ორი დიდი განსხვავება ყოფილა: 1. ტფილისის აღება ჯიბლუს თანდასწრებით (ქართული წყარო) ანუ უძიმოსოთ (სომხური წყარო). 2. ქალაქის დაპყრობა „მცირეთა დღეთა შემდგომად“ ქართული მემკვიდრეების თქმით, გინა – ოთხი თვის ბრძოლის შემდეგ, როგორც გვაჯერებს მოსე სომეხი. 3. ორივე შემთხვევაში სწორე ყოფილა მოსეს ცნობა.

1. **ტფილისის**, უკეთ **კალაქს** აღება ტფილისში რომ ჯიბლუს თანდასწრებით მოხდა, ამას ამტკიცებს არამცთუ ქართული მატთანე, არამედ **მოსე კალანკატუელიც**. ამის საბუთია თითონ მოსეს ისტორია, რომლის ნაწყვეტი ფრანგულად გამოსცა **მ. ბროსემ** კრებულში: *Additions et éclaircissements*. 3. გვ. 490 – 493. იქ ნათქვამია: “როდესაც თბილისელები ხაკანს და კეისარს დასცინოდნენ, მათ **კვახზე მასხრულად ხაკანის სახე გამოხატეს** და თვალ – წარბის მაგიერ ზედ ერთი თითქმის უჩინარი, ბეწვის ოდენა ხაზი გაავლეს“ ე.ი. ბრმად დახატეს და ამას უჩვენებდნენ **ხაზარებს**: აი, თქვენი ჯიბლუო! ხოლო როცა ხაზარებმა ქალაქი შეანგრეს და ორი მთავარი შეიპყრეს, მხარდაკრულნი თავიანთ მონარქს მიჰგვარეს. მან თვალელები დაათხრევინა მის სამაგიეროთ, რომ მათ ჯიბლუ ბრმად გამოხატეს. ამით ცხადდება, რომ ხაზარებმა ციხის – თავები მიჰგვარეს არა **ირაკლი კეისარს**, არამედ იქვე მყოფს მათ მთავარს **ჯიბლუს**, რომელმაც ისინი დასაჯა მისდამი შეურაცხყოფის მიყენებისათვის. ხოლო, რათა არავინ დაეჭვდეს იმაში, რომ თითონ მან, ჯიბლუმ, ხელთ იგდო ტფილისი, მოსე უმატებს ამ ამბის ბოლოს: ხაკანმა „არა მისი წადილი შეისრულა, თავის ქვეყანას მიჰმართა, მაგრამ შვილს **შათის** გულადი ჯარი დაუტოვა“ – ო (გ. 493), აქეთგან გამოდის, რომ ტფილისი დასცა პირადად ვითონ ხაკანმა, რასაკვირველია, მისი ჯარ – სარდლის ხელით.

2. მეორე საკითხის ირგვლივ იგივე ერთაზროვნება და თანხმობა სუფევს. იმის დამატებით, რომ ქართული მატთანე უფრო ზუსტად და ზედმიწევნით გადმოგვცემს ქალაქის გარშემო ატეხილი ომის ჭეშმარიტ მსვლელობას, ვიდრე მოსე სომეხი, რომლის აღწერილობა იმდენად პირწმინდა და ისტორიის შთაბეჭდილებას არ ახდენს, რამდენადაც ისტორიული რომანისას“ ეს – კი მხოლოდ იმ პირობით, რომ ქართველმა მკვლევარმა გამოიყენოს ყველა ქართული ისტორიული ძეგლები და არა მხოლოდ ერთი.

ისტორიულ კვლევისათვის არას გზით და არავითარ პირობებში არ კმარა მარტო ქართლის მოქცევაზე დამყარება. სხვა საბუთების განზე მიტოვებით, **ქართლის მოქცევა არის უაღრესად კომპილატური ხასიათის ნაწარმოები**, ე.ი. გამოკრებილი სხვადასხვა წინამდებარე, მაშასადამე, მასზე უფრო ძველი ისტორიული თხზულებისაგან. გამომკრებელი – კი, ერთობ მთავარი აზრის გადმოცემას ეტანება და სულაც არ დაგვიდევს მთელი ისტორიული მოქმედების პირუკლოდ

გაშლას. ეს თვისება ისე ცხადლივ, ისე თვალსაჩინოდ არსად ემჩნევა ქართლის მოქცევას, როგორც პირდაპირ აქ ერეკლეს ლაშქრობის აღნუსხვისას. იგი ერთბაშად, ყოველივე ლოგიური დაკავშირების და გარდაყვანილების გარეშე. რომ იტყვიან ex abrupt შედის in medias res დვა ერთი რაღაც „მაშინ“ – ის შემწეობით ერეკლეს კალაის წინ აჯადოებს: „მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან. მას აზრადაც არ მოსდის აგვიხსნას, თუ ბერძენთა მეფე იქ რად იყო, სით მოაწია, კალაის რა მიზნით ჩაუარა და ციხისთავმა ის რად შეურაცხყო. რაკი გამომკრებელი ყველაფერს არ გვეუბნება, ამიტომ ჩვენი ვალია მოვიშველიოთ ისეთი ისტორიკოსი, რომელიც იგივე ცნობებს მეტი სისრულით და თან მეტი თანმიმდევრობით გვიზიარებს. ეს ისტორიკოსი გახლავთ მე – 8 – 9 – რე საუკუნის მწერალი ჯუანშერი.

ანა დედოფლისეულის „ქართლის ცხოვრებით“ ჯუანშერი შემდეგს მოგვითხრობს ერეკლე კეისრის ომზე ქართლში: ერეკლე რომ საბერძნეთში გაძლიერდა „მოიყვანა დასავლეთით თურქნი, შეიკრიბნა სპანი ურიცხვნი და წარემართა სპარსეთად მიებად ძელისა ცხოველისა“. ქართლს რომ მივიდა, სტეფანოზ მთავარმა სპარსთა განდგომა არ ინება, „განამაგრნა ციხე – ქალაქნი და დადგა ტფილის“.

მოვიდა ერეკლე მეფე და მოადგა ტფილისს. „ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მხედარი და შემმართვეული. დღეთა ყოველთა გამოვიდეს კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა. მაშინ უკვე მას წყობასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს; და დაიპყრა კეისარმან ტფილისი. ხოლო ციხესა კალასასა დარჩნეს კაცნი და არა მოერთნეს მეფესა. ციხით გამოღმართ ციხისთავმან აგინა მეფესა და რქუა: ვაცის წუერნი გახსენ ვაცბოტისა კისერი გათქს“ – ო (გვ. 145 – 146)... სტეფანოზის სიკვდილის შემდეგ მეფემ ქართლი და თბილისი მისცა ბაკურის ძეს ადარნასეს და „დაუტევა მისთანა ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბლა და უბრძანა ბრძოლა კალისა და თვით წარემართა მეფე. შემდგომად მცირედთა დღეთა წარიღეს კალა და შეიპყრეს ციხისთავი იგი“... და სხვა (გვ. 146).

ქართულსა და სომხურ წყაროთა შორის მრავალ სხვაობას ვნახულობთ: მსხვილსა და წერილს. წვრილმან განსხვავებას აქ იმდენად ხელს არ ჩავჭიდებთ, რაკი არც ივ.ჯავახიშვილი ღებულობს მას სათვალავში; ვიტყვით მხოლოდ, რომ ბერძნულ წყაროებთან დაკავშირებით, ამ მხრითაც ქართულს უფრო მეტი სიმართლე მიუძღვის, ვიდრე სომხურს, რის ცნობით ორი მთავარი გაჰგუდეს ხაზარებმა და არა ერთი, როგორც გვარწმუნებს ქართველი მემატიანე და ციხისთავის ეგზომ უწყალო ტანჯვის სარჩულად ედო არა ხაკანის, არამედ კეისრის გამასხარავება.

დიდ სხვაობათა შორის თვალსაჩინოა შემდეგი: მოსეს მტკიცებით, მოკავშირენი ორ გზის ეომენ ტფილისს და ბრძოლამ ორჯელვე ორ თვეს გასტანა. ეს ორჯერორი მე ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მეჩვენება, მით უფრო, რომ ბიზანტიის ისტორიკოსები ტფილისის დაქცევას ანგარიშსაც არ უწევენ, ალბათ იმიტომ, რომ ეს ბრძოლა, მთელი ლაშქრობის საზომით, რაღაც უმნიშვნელო, ხანმოკლე, მარტო ერთი „ჩავლის“ ეპიზოდს წარმოადგენდა და სხვა არაფერს, რაც უკლებლივ უდგება და ამართლებს ქართველთა გადმოცემას.

მეორე განსხვავება უფრო დიდ – მნიშვნელოვანია და მთელი სამხედრო მოქმედების არამც – თუ გამაშუქებელი, არამედ ამხსნელი და დამაჯერებელიც. მოსე გვარწმუნებს: ოთხი თვის ომი მიმართული იყო თავად ტფილისის ქალაქის წინააღმდეგ და როცა მოკავშირეთ გაიმარჯვეს, სულ რაც ქალაქში მცხოვრები იყო, დაუნდობლად მოსრესო. ქართლის მოქცევის შემწყობი, პირიქით, ტფილისსა და კალას ერთმანეთისაგან არჩევს და აღნუსხავს მარტოდენ კალას აღებას ხაზართა მიერ, ე.ი. ბრძოლის უკანასკნელ ეპიზოდს (კალაით ტფილისისათ)።

\* ქართველმა მკითხველმა კარგად უწყის, რომ კალა ერთ-ერთი გამაგრებული უბანი იყო თბილისისა, სადაც იდგა მეციხოვნე ჯარი“, „კალა“, რისგანაც მოდის „ქალაქი“, არამაულია და აღნიშნავს ციხე-სიმაგრეს.

ამ მხრივ უფრო ნათელია **ჯუანშერი**. იგი ცხადად გვაცნობს: პირველად ბრძოლა სწარმოებდა ტფილისის გარეთ „კართა – ქალაქისათა“ და ოდეს ერთ – ერთ წყობაში მოკავშირეთ ქართველ – სპარსელები დაამარცხეს და ტფილისი მიიტაცეს, ამისდა მიუხედავად „ციხესა კალასასა დარჩნეს კაცნი და არა მოერთნეს მეფესა“. ამის შემდეგ იყო, რომ კეისარმა ციხის დაბრძოლება, რაც ქალაქის დამონების მერმე დიდ სიძნელედ აღარ ითქმოდა, ჯიბლუს მიანდო, ხოლო თვით სპარსეთისაკენ იმხედრა. ციხე – კი მართლა ისე მალე (შემოდგომად მცირედთა დღეთა) შელენეს, რომ ციხის თავის ტყავი კეისარს **გარდაბანს** მისწიეს.

უეჭველია **ჯუანშერი** ბრწყინვალედ იცავს ბრძოლის მთლიანობას და ერთობლიობას. ის კარგად იცნობს ქალაქის ადგილ – მდებარეობას და კალას მნიშვნელობას მეშვიდე საუკუნეში, რაც ისტორიულ სინამდვილეს უეჭველად შეეგუება. ხოლო, რაც შეეხება ბრძოლის ხანგრძლივობას ტფილისის წინ, მოსესთან ერთად **ჯუანშერიც** სრულის დამაჯერებლობით ააშკარავებს, რომ კეისარმა ქალაქის აღებას კარგა ხანი შეაღია, ვინაიდან სტეფანოზ მთავარზე იქვე ნათქვამი: იგი გულადი მხედარი იყო, „დღეთა ყოველთა გამოვიდეს კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა“ – ო. საბოლოოდ მაინც ის ჩამოაგდეს და მოჰკლეს. სტეფანოზის სიკვდილს მოჰყვა ქალაქის დაჭერა და დაზავება, უპატრონოდ დპარჩენილი ქართლისათვის ახალი მთავრის მოძებნა და დადგენა. ყველა ეს – კი, ეჭვი არ უნდა. დიდ დროს, ალბათ, ორ თვეს მაინც მოითხოვდა.

**ჯუანშერი** აღნიშნავს ასევე, თუ სტეფანოზი რა მიზეზით დაემხო ასე უწყალოდ. იგი სწერს: „ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში, არა მსახური ღმერთსა“ (145) „და ესევეითარითა სიკვდილთა წარეგნეს სტეფანოზ და მსახურნი მისნი. ამისთვის უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მადლობითა ღმრთისათა ცხოვნდებოდა: მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა (სპარსთა) მოყურობდა“ (გვ. 146). სჩანს, რენეგატი ყოფილა. ალბად ამიტომ იყო, რომ ერეკლეს მოსვლისას „ამან სტეფანოზ განდგომა არა ინება სპარსთა“ (გვ. 145).

მთელი ნათქვამი რომ **მოგნახჭოთ**. უნდა ვაღიაროთ: **მოსე** და **ჯუანშერი** არსებითად იგივე ცნობებს გვაწვდიან და **ჯუანშერი** უფრო მეტი ადგილობრივი ფერის დაცვით, ვიდრე სომეხი მწერალი: ამაღ სხვისას ნუ ვეძებთ, რაც შინ მოგვენახება!

„ბედი ქართლისა“, 1954 წ.

## **მიქელ თარხნიშვილი** **შენიშვნები ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაზე**

ორი წლის წინ გამოვიდა 523 გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, **კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე**. ძველი ქართული ლიტერატურა (5 – 18 ს.ს.), ტფილისი 1954 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტ. ინსტიტუტი).

ამ ტომის შესავალი და პირველი ნაწილი (გვ. 7 – 193) შედგენილი პროფ. **კ. კეკელიძის** მიერ. მეორე ნაწილი (გვ. 197 – 497) ეკუთვნის პროფ. **ალ. ბარამიძეს**. შესავალს წინ უძღვის განცხადება „რედაქციისაგან“, სადაც ნათქვამია: რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი „ამ წიგნით იწყებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ოთხტომეულის გამოცემასო“. პირველი ტომი შეიცავს მე – 15 – 18 – ე საუკუნეების მწერლობის ისტორიას; დანარჩენ ტომებში უნდა მოთავსდეს: მეორეში მე – 19 – 20 საუკუნისა, მესამეში „საბჭოთა მწერლობისა“, ხოლო მეოთხეში „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“ „დღემდე არ მოგვეპოვება... ქართული ლიტერატურის ისტორიის

მარქსისტულ – ლენინური თვალსაზრისით გაშუქებული სრული სისტემატიური კურსი“ – ო. წიგნიც, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისის ფერებით არის შეზავებული – შეხამებული. **ცხადია, ასეთ თხზულებაში სინამდვილის მარქსისტულ თეორიებთან შეხმატკბილება ბუნებრივი მოვლენა უნდა იყოს და არის კიდევ.** მაგ. პროფ. ა. ბარამიძე პატივისცემით იხსენიებს სასულიერო წრეებიდან გამოსულ მწერლებს; მაგრამ ეს ფაქტი მას ხელს არ უშლის იმავე სამღვდელოების წევრებს „ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა“ (გვ. 441) მიაწეროს.

ვინაითგან **აშოთ კურაპალატს გიორგი მერჩულმა** მეძავი დედაკაცი მოაშორა, სამღვდელოების ასეთ საქციელს ბ. ბარამიძე „საერო ფეოდალთა წრის“ გრძნობის თავისუფლების, „დიადი ცხოვრებისადმი“ მიზიდულობის, „ხორციელ – მიწიერი სურვილების ჩახშობის“ იდეალს უწოდებს და სწუხს, რომ აშოთ კურაპალატი იძულებული გახდა „გარეგნულად მაინც დამორჩილებოდა ეკლესიის მკაცრ განაჩენს“ – ო (გვ. 197). პროფ. ალ. ბარამიძეს აქ ავიწყდება, რომ თვითონ **მარქსიც** მომხრე იყო ასეთი მკაცრი განაჩენისა და არც საბჭოთა კანონმდებლობა არის მისი წინააღმდეგი. განა **დავით გურამიშვილიც**, რომელზედაც ასე კარგად ლაპარაკობს ბ. ბარამიძე, ამ სენს არ უგმობდა მის თანამედროვე ქართველებს! „გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხარჭასთან შეჰქმნეს რბოლანი“ – ო!

ბ. **კეკელიძისთვის** აქამდე დადებით და სასარგებლო მოვლენად ითვლებოდა მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში, ამ წიგნის ჩვენებით კი მათ ღვაწლს უცბად ფერი ეცვალა: „მისიონერები, როგორც ცნობილია, ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები რომის პაპისა და დასავლეთ ევროპის კაპიტალისა“, რომელთა „მოღვაწეობას და საქმიანობას არ ჰქონია გავლენა ქართულ მწერლობაზე“ – ო (გვ. 38). ასე მალე იქმნა დავიწყებული ანტონ კათალიკოსი და მისი სკოლა!?...

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბ. ბარამიძის, ისე ბ. კეკელიძის ნაწილიც, დაწერილია ლამაზი, მსუბუქი ენით, ლიტერატურულ ღირებულებათა სრული შეგნებით, ძეგლთა ავ – კარგიანობის მკვეთრი და ზუსტი შეფასებით. ამას ზედ ერთვის ის დაუფასებელი ღირსება, რომ მთელი თხზულების მანძილზე შეუწელებლად ჟღერს **სალი პატრიოტიზმის და მაღალი ეროვნული გრძნობის ძლიერი სიმები.**

\* \* \*

ახლა გადავიდეთ ზოგიერთ საჭოჭმანო საკითხების განხილვაზე. ამ წიგნში ბ. **კეკელიძეს** წამოუყენებია ერთი სულ ახალი აზრი, რასაც საგნად აქვს მოციქულთა ქადაგება საქართველოში.

**უკვე არ ახალი ამბავია, რომ მე – 10 – 11 საუკუნემდის საქართველოში არაფერი იცოდნენ მოციქულების ქადაგებაზე ქართველთა შორის** (იხ. ბ.ქ. N 19, გვ. 10 – 11). ამას ადასტურებს ქართლის მოქცევა და ლეონტი მროველის ისტორია. მე – 11 – ე საუკუნის დამდეგს კი ქართველობაში განმტკიცდა რწმენა, რომ ქართველებს ქრისტეს სჯული უქადაგა **ანდრია მოციქულმა**. რა ახსნას აძლევს კეკელიძე ამ ისტორიულ მოვლენას! იგი სწერს: „მეცხრე საუკუნის დამდეგს ბერძნულ ენაზე დაიწერა თხზულება ანდრია მოციქულის... მოღვაწეობის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ანდრიამ ქრისტიანობა იქადაგა ჩვენშიაც... ანდრია მოციქულს ბერძნული ტრადიცია თვლიდა კონსტანტინეპოლის განმანათლებლად. ეს გარემოება კონსტანტინეპოლის პატრიარქს აძლევდა საბუთს პრეტენზიებისათვის – ჩარეოდა ანდრია მოციქულის მიერ განათლებულ ხალხთა საეკლესიო ცხოვრებაში, მაშასადამე, – **ქართველების ცხოვრებაშიაც.** მეცხრე საუკუნეში... ასეთი პრეტენზიები უფრო უნდა გამომჟღავნებულიყო, განსაკუთრებით პატრიარქი **ფოტის** დროს. ამიტომ ჩვენში დაბადებულა და სურვილი გაბათილებული ყოფილიყო ბერძენთა პრეტენზიების

საფუძველი, სახელდობრ, ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენში ანდრიამ იქადაგა“ – ო (გვ. 101). ჩვენი აზრით პროფ. კეკელიძის შეხედულება სწორი არ არის.

1. ჯერ ერთი: ბერძნულ ტრადიციაში ცნობა ანდრიას ქადაგების შესახებ დასავლეთ საქართველოში არსებობდა არა მეცხრე საუკუნიდან, არამედ მე – 4 – 5 – ე საუკუნიდანვე.

2. რაკი ერთი და იგივე მოციქული ქრისტიანობას ავრცელებს როგორც საბერძნეთში, ისე საქართველოში, აქედან, ყოველი ექვის გარეშე, გამოდის დასკვნა, რომ ორივე ქვეყნის ეკლესიები ერთი და იგივე, თანასწორი უფლებებით არიან აღჭურვილნი და არავითარი საპრეტენზიო საბუთი არა აქვთ ერთმანეთის წინაშე. სწორედ ეს საბუთი არ გამოიყენა გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქელი პატრიარქის წინაშე ქართველთა ეკლესიის თავისუფლების დასაცავად? **ანტიოქიაში იქადაგა პეტრე მოციქულმა**, ჩვენში – **ანდრია მოციქულმა**, მაშასადამე თანასწორნი ვართო!

3. ეკლესიის თვალსაზრისით ეს თანასწორობის საბუთი ისე დამაჯერებელი იყო ყველასათვის, რომ სინამდვილეშიც ბიზანტიას არც ფოტის დროს და არც სხვა რომელიმე ხანაში, არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია საქართველოს ეკლესიის შესახებ.

4. საბოლოოდ, ბ. კეკელიძეს ხომ ლ. მროველი მე – 11 – ე საუკუნის მწერლად მიაჩნია; მაშ რა მიზეზით უარყოფს ეს უკანასკნელი რომელიმე მოციქულის ქადაგებას საქართველოში!? ჩვენი რწმენით ისტორია თხოულობს ისტორიულ საბუთს და არა სუბიექტურ თეორიებს.

რადგან კეკელიძის შეხედულებით ისტორიკოსი ლ. მროველი მე – 11 – ე ს. მოღვაწედ ითვლება და მისი გამგრძელებელია **ჯუანშერი**, ცხადი ხდება, რომ ჯუანშერიც მე – 11 – ე ს. მწერლად უნდა ჩაითვალოს. ამასაც თავისებური საბუთი გამოუძებნა ბ. კეკელიძემ: არჩილ მეფის წამების დასასრულს, „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებულია შემდეგი შენიშვნა: წიგნი ესე ქართველთა ცხოვრების აღიწერებოდა ჟამითი – ჟამად ვიდრე ვახტანგამდე. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა **ჯუანშერ ჯუანშერიანმა** ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტომი პირველი, ტფილისი, 1955 წ. გვ. 021 და 248, გამ. ს. ყაუხჩიშვილისა).

ვინაითგან **არჩილი** იწამა მერვე საუკუნის გასულს, ამ შენიშვნის თანახმად, ჯუანშერი უნდა იყოს მწერალი მე – 8 – 9 – ე საუკუნისა. მკითხველი იფიქრებს, ამაზე ცხადი და ნათელი რა უნდა იყოსო. მაგრამ ბ. კეკელიძე სულ სხვა რიგად მსჯელობს, იგი შენიშნავს: ამ მინაწერმა „სავალალო როლი ითამაშა არა მარტო ლეონტი მროველის, არამედ მისი გამგრძელებლის ჯუანშერის შრომის ფარგლების გათვალისწინების საქმეში“ – ო (გვ. 141). „ჯუანშერი ვერავითარ შემთხვევაში არჩილ მეფის ძმის წულის ქმარი, ე.ი. მე – 8 – ე საუკუნის მოღვაწე ვერ იქნებოდა, ვინაიდან მას ვახტანგის „ცხოვრებით“ სცოდნია პაჭანიკთა, თურქების მოწოლის გამო, გადასახლება დონისა და დუნაის შუა ნაწილიდან დასავლეთისაკენ. ამასკი ადგილი ჰქონდა არა უადრეს მე – 11 – ე საუკუნის ნახევრისა“ – ო (გვ. 141 – 142).

ყველაზე საკვირველი ამ საბუთში ის არის, რომ კეკელიძე, ყველგან და ყოველთვის, თვითონ ამ წიგნის იმავე (141) გვერდზეც, ვახტანგის ცხოვრების ავტორად სთვლის ლ. მროველს და არა ჯუანშერს, მაშ ჯუანშერი აქ რა შუაშია? მაინც გავყვეთ ბ. კეკელიძეს და გავარჩიოთ რაშია საქმე!

ვახტანგის ცხოვრებაში ვკითხულობთ: ვახტანგ მეფის მეთაურობით ქართველები შეესივნენ **ოსეთს**. „მაშინ იძლივნეს **ოვსნი** და ივლტოდა ბანაკი მათი“. ქართველები „განიბნივნეს ტყუენვად **ოვსეთისა**. შემუსრნეს ქალაქნი მათნი“ (ქ. ც. გვ. 156). ამას მოსდევს სულ ახალი ამბავი: „და განვიდეს (ქართველნი) პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო **პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა**, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ. და **ჯიქეთი** მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს **პაჭანიკნი** და **ჯიქნი** თურქთაგან: და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, **ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა**. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი და შეიქცა და

მოადგა ოვსეთსვე“ (ქ. ც. გვ. 156 – 157). აქ კი კვლავ იწყება ოვსების ამბავი. „და მეფენი ოვსთანი შელტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასიისათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი... (იხ. გვ. 157).

ამ ახალ ამბავში ლაპარაკია არა მარტო **პაჭანიკებზე**, არამედ **ჯიქებზედაც**. ეს ერთი: მეორედ, ეს ცნობა რაღაც შემდეგი დროის ჩანართის შთაბეჭდილებას სტოვებს. რადგან ბუნებრივი და თანამიდეგობითი გაგრძელება ოვსეთის აოხრებისა არის ოვსეთის მეფეთა ამბავი, თვითონ ეს ცნობაც პაჭანეთ – ჯიქეთზე არ არის ისტორიულად მართალი: იმპერატორი კოსტანტინე პორფიროგენეტის ისტორიიდან (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954 წ. გვ. 120) და მე – 8 – 9 – ე საუკუნეებში **ეპიფანე ბერის** მიერ შეთხზულ **ანდრია მოციქულის** მიმოსლვიდან ვიცით, რომ **ჯიქები** უკვე მეცხრე საუკუნეზე ადრე, აფხაზეთის საზღვრებზე, **ნიკოფსის** მიდამოებში ისხდნენ (იხ. პ. პეტერსის მიერ შესრულებული ლათინური თარგმანი გიორგი ათონელის ცხოვრებისა: ანალებ. ბოლანდ. 36 – 37, 1923, გვ. 116., შენიშ. 7). იგივეს გვეუბნებიან ქართული წყაროებიც: მათიანე ქართლისა და სუმბატის ქრონიკა (ქ. ც. გვ. 268, 382). და თუ ჯიქნი პაჭანიკებთან ერთად თურქებმა მათი ძველი ბინიდან გასდევნეს, ამას ადგილი ჰქონდა, რასაკვირველია, არა **მეთერთმეტე საუკუნეში**, არამედ უკვე **მეცხრე საუკუნის წინ**; მერე ვის შეუძლია კატეგორიულად განაცხადოს აქ მოთხრობილი ამბავი მე – 11 – ე საუკ. ცნობას შეიცავსო? ვინ არიან ეს თურქები? რას ნიშნავს სიტყვა **დასავლეთი**? მაშინ როცა ისტორიკოსი სულ არ იცნობს **დონს და დუნაის**?! ვის ძალუძს ზედმიწევნით გაერკვიოს კავკასიის და კასპიის ზღვის გადაღმა ძველად მომხდარ ამბებში. როდესაც იქ მეოთხე საუკუნიდან მოყოლებით აღმოსავლეთს მოხეთქილი ურდოები ერთი მეორეს წინ და უკან ერეკებოდნენ!

აწ განვიხილოთ ტექნიკური ტერმინი **„ქართლის ცხოვრება“**, როდის შემოვიდა და როდის იქცა ის საყოველთაო სახელწოდებად?

უძველეს ქართულ მათიანეთა, ე.ი. ისტორიულ ძეგლთა აღსანიშნავად საშუალო საუკუნის მწერლები ხმარობენ **„ქართლის მოქცევის“** გარდა, სხვა და სხვა სახელწოდებას: **„ძველნი მათიანენი“**, **„ცხოვრებანი ქართველთანი“**, **„ქართველთა ცხოვრება“**, **„ძველი მათიანე ქართლისა“** (კეკელიძე – ბარამიძე, გვ. 141), **„ყოვლისა ქართლისა ცხოვრებისა წიგნი“** (იქვე გ. 165). ტერმინი **„ძველნი მათიანენი“** და **„ცხოვრებანი ქართველთანი“** მოცემულია **რაჟდენის** წამებაში, რომელიც ბ. კეკელიძის ვარაუდით დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში. **„ქართველთა ცხოვრება“** შემოგვინახა **არჩილ მეფის** მეტაფრასტულმა მარტვილობამ. ბ. კეკელიძე მის შედგენასაც მიაკუთვნებს მეთორმეტე საუკუნეს. **„ძველი მათიანე ქართლისა“** გახსენებულია **დავით აღმაშენებლის** ისტორიაში (იხ. ქ. ც. გვ. 359). ამ ისტორიის დამწერია, კეკელიძის ჩვენებით, **არსენ ბერი საღირისძე** (კეკელიძე – ბარამიძე, გვ. 143). **„ყოვლისა ქართლისა ცხოვრებისა წიგნი“**. მამასადამე, ტექნიკური ტერმინი **„ქართლის ცხოვრება“** პირველად გვხვდება **„მეთორმეტე საუკ. პირველ ნახევარში არსენ ბერის** მიერ აღწერილს ნინოს მეტაფრასტულ ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: „ამას ყოვლისა ქართლისა ცხოვრებისა წიგნი ვრცლად მოგვითხრობსო“.

**რაჟდენისა და მეფე არჩილის** წამებათა თარიღს (მე – 12 – ე საუკ.) არავითარი მკვიდრი საბუთი არ უძღვის წინ. ამიტომ სრულიად დასაშვებია, რომ მათი წარმოშობა გადატანილ იქმნას მეთერთმეტე საუკუნეში. არჩილ მეფის მეტაფრასტული წამება საყურადღებოა ასევე ლ. მროველის მოღვაწეობის დასათარიღებლადაც. ამ წამების დამწერის აზრით, არჩილის ცხოვრება პირველად **„აღუწერია მის თანამედროვე მროველს, მაგრამ ეს შრომა დაკარგულა და ახლა გვაქვს მხოლოდ ის, რაც ქართველთა ცხოვრებაში შენახულაო“** (კეკელიძე. ქართული ლიტ. ისტორია, წ. 1, თბილისი, 1941, გვ. 497). კეკელიძე გადაჭრით უარყოფს ამ მოწმობას, როცა იქვე უმატებს: „ეს, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ ვიცით, რომ **ლეონტი მროველი** არ ყოფილა

არჩილის თანამედროვე“ – ო (იქვე, გვ. 497 – 498). კეკელიძის თქმით, რომ **ლეონტი მროველი** მართლა მეთერთმეტე საუკუნის მწერალი იყოს, განა დასაჯერებელია, რომ მის თანამედროვეს, არჩილის წამების შემდგენელს (მე – 11 – 12 – ე ს.ს.), უფრო სწორი და უფრო ზუსტი ცნობები არ ჰქონოდა ლეონ. მროველზე და მის სამწერლო მოღვაწეობაზე?! რაც არ უნდა იყოს, ჩვენი ჰაგიოგრაფის მონაცემი ერთ რამეს მაინც უყოყმანოთ ააშკარავებს, სახელდობრ იმას, რომ **ლ. მროველი არ შეიძლება ყოფილიყო მოღვაწე 11 – ე – სა.**

დაგვრჩა ორი სახელწოდება: „**ძველი მატიაწე ქართლისა**“ და თვითონ „**ქართლის ცხოვრება**“. ორივე თქმა ეკუთვნის, კეკელიძის რწმენით, **არსენ ბერს, მე – 12 – ე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეს.**

როგორც ვნახეთ, პირველი ტერმინი შემონახულია **დავით აღმაშენებლის ისტორიაში.** ეს უკანასკნელი არსენ ბერს დაუწერია 1123 – 1126 წლებს შორის. მის საბუთად, რომ „**ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგანვე თვისთა უფალთა**“, არსენ ბერი უთითებს ძველს ქართულს საისტორიო ძეგლებზე: „**ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიაწე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი**“ – ო (ქ. ც. გვ. 359). კ. კეკელიძე არკვევს ამ ტერმინის მნიშვნელობას და დაასკვნის, „**რომ ძველი მატიაწე ქართლისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მხრით არის საზოგადოდ კრებული ლეონტი მროველისა და ჯუანშერის საისტორიო შრომებისა**“ – ო (კეკელიძე – ბარამიძე, გვ. 141). ეს მოსაზრებაც, როგორც ეს ესმის კეკელიძეს, **საეჭვოდ მიგვაჩნია.**

კეკელიძის ჩვენებით **ლ. მროველმა** აღწერა თავისი ისტორია **1072 წლამდის;** მისი გამაგრებელია **ჯუანშერი,** რომლის შრომაც „**დამთავრებული ჩანს არა უადრეს 1072 წლისა, როდესაც ბაგრატ მე – 4 – ე გარდაიცვალა, და არა უგვიანეს ანაკოფიის ბერძენთაგან დაბრუნებისა. 1074 წელს**“ – ო (იქვე, გვ. 142). **ჯუანშენმა** თუ მისი შრომა დაასრულა 1074 წელს **და არსენ ბერმა** დავითის ისტორია 1126 წელს, ამ ორ თარიღთა შორის ქრონოლოგიურ მანძილად გვრჩება 52 წელი. განა წარმოსადგენია, რომ 52 წლის წინ შედგენილი ისტორიული ძეგლის დასახასიათებლად არსენ ბერს ეთქვა „**ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიაწე ქართლისაო**“ – ო? ასეთ პირობებში ტერმინის „**ძველი**“ – ს ხმარება განა სულ უაზრო არ იქნებოდა ისტორიკოსის მხრივ, მაშინ, როცა კეკელიძის ანგარიშით, **ლ. მროველს** თუ არა, **ჯუანშერს** მაინც თავისი ისტორია, თავად მისი, ე.ი. **არსენ ბერის,** ახალგაზრდობისას თუ სიყმაწვილეში დაუმთავრებია?! განა შესაძლებელია, რომ დღეს ვინმე სამოცი წლის ქართველი გამოდგეს და ი. ჭავჭავაძის ან აკ. წერეთლის 1904 წლამდე დაწერილი თხზულებანი ძველი ქართული ლიტერატურის დარგად მონათლოს?! ესეც ერთი საბუთი იმის ცხადსაყოფად, რომ **ლ. მროველი და ჯუანშერი არ შეიძლება იყვნენ მე – 11 – ე საუკუნის ისტორიკოსნი.**

რაც შეეხება „**ქართლის ცხოვრებას**“, ამ ტერმინის არსებობა ქართულ ლიტერატურაში ტექსტობრივ დამოწმებულია, როგორც ითქვა, **არსენ ბერის მიერ შედგენილ წ. ნინოს ცხოვრებაში.** ხოლო გამოსარკვევია, როდის შეიძლება შესულიყო ხმარებაში ეს სიტყვა. მისი არსებობა მე – 12 – ე საუკუნის პირველ ნახევარში, ცხადია, ბევრ რამეს გულისხმობს: მის წარმოშობას წინ უნდა უძღოდეს არა ერთის, არამედ რამდენიმე ისტორიული ძეგლის არსებობა, მათი შეწყნარება განათლებულ წრეებში მაინც, მათი შეკრება და შეერთება ერთ მთლიან ორგანოდ, ამგვარი კრებულის მიღება და დაკანონება საზოგადოების მიერ და საბოლოოდ მისთვის შესატყვისი სახელის დარქმევა, ამ სახელის საზოგადო ხმარებაში გადასვლა და ისეთი გავრცელება, რომ მისი გამოყენება ყველასთვის მისახვედრი იყოს და ახსნა – განმარტებას აღარ საჭიროებდეს. ყველა ზემოდ ნათქვამის ცხოვრებაში ხორცშესხმა და საბოლოო ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი მოვლენაა და მის სრულყოფას ესაჭიროება არა წლები, არამედ ზოგჯერ საუკუნოებიც. ამასთან ერ-



თად, სიტყვაში, რა დროსაც ტერმინი „ქართლი“ ერთად ერთი ზედმიწევნითი ამსახველი იყო იმ ქვეყნებისა, რომელთაც გულისხმობს მაშინდელი ისტორიული ძეგლები და იმ ხანად „ქართლს“ მეტოქედ წინ არ უდგა უფრო ძლიერი და უფრო მეტის შემცველი ტერმინი – სახელწოდება.

ხოლო ივ. ჯავახიშვილმა (ქართ. ერის ისტორია, 2, თბ., 1914, გვ. 284 – 286) ცხად ჰყო, რომ „ქართლი“ ანუ „ყოველი“ თუ „ერთობილი ქართული“, მერმინდელი საქართველოს შესატყვისად, ხმარებაში იყო მე – 11 – ე საუკუნემდის. მხოლოდ მე – 11 – ე საუკუნეში ჩნდება დღევანდელი სახელი „საქართველო“, რაც „ქართლის“ ადგილს იკავებს და მას სდევნის ხმარებიდან. მაგ. გრიგოლ ბაკურიანი თავის ტიპიკონში ხმარობს ქართლის წილ „საქართველოს“ (იხ. ჩემი გამოცემა გ. 51). ასევე იქცევა რუის – ურბნისის ძეგლის წერის შემდგენი. იგივე სიტყვა „საქართველო“ ორჯერ არის მოყვანილი დავით აღმაშენებლის ისტორიაშიც (ქ.ც. გვ. 319, 336). აქედან ირკვევა, რომ უკვე მე – 11 – ე საუკუნეში „ქართლს“ ახალი მეტოქე გასჩენია და იგი დაუმარცხებია კიდევ. ამ ისტორიულ სინამდვილის თანახმად, დასკვნა ბუნებრივი ხდება: ქართულ ისტორიულ ძეგლთა კრებულისათვის რომ პირველად მე – 12 – ე საუკ. მიეცათ საერთო სახელი, მაშინ იტყოდნენ და იხმარდნენ „საქართველოს ცხოვრებას“ და არა „ქართლის ცხოვრებას“, რაკი იმ დროს „ქართლი“ მისი ვიწრო და შეზღუდული მნიშვნელობით აღარ შეეფერებოდა მეთორმეტე საუკუნის არც ეროვნულ იდეალს და არც პოლიტიკურ – კულტურულ ვითარებას. მაშასადამე, ტერმინი „ქართლის ცხოვრება“ თავდაპირველად მაშინ წარმოიშვა, როდესაც ეს სიტყვა კიდევ ამართლებდა გიორგი მერჩულეს ნათქვამს: ქართლად ფრიადი ქვეყანა ადირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“, ე.ი. ბევრით უწინარეს მე – 12 – ე ს – ისა.

ამით ვათავებთ წინამდებარე წიგნის მოკლე მიმოხილვას. ამ წიგნმა, როგორც გვაუწყებს რედაქცია, „უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებანი ჩვენი მწერლობის განვითარების ისტორიული პროცესის შესაცნობად“. ამის გარდა, ის „უნდა გამოდგეს უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოდ“ (გვ. 5).

ქართულ ისტორიულ წყაროთა წარმოშობის ვითარება მიახლოებით შემდეგნაირად გვეხატება: მოთხრობილ ამბებთან ძალიან ახლო ხანაში პირველად გაჩნდა გრიგოლ დიაკონის მიერ შეთხზული, მოკლედ აღწერილი „წიგნი ქართლისა მოქცევისა“. ეს მცირე ნაწარმოები შეივსო და განივრცო მერვე საუკუნემდის, როდესაც შესდგა „მეფეთა ცხოვრება“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“: ეს ორი შრომა ცნობილია ლ. მროველის თხზულებად. ლ. მროველის გამგრძელებლად უნდა ჩაითვალოს ჯუანშერი, მოღვაწე მერვე საუკუნის გასულის ან მეცხრეს დასაწყისისა. ჯუანშერის ისტორიას მისდევს მეთერთმეტე საუკუნეში შედგენილი ე. წ. „მატიანე ქართლისა“, რომლითაც უსარგებლია, როგორც კ. გრიგოლიამ (ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954, გვ. 225 – 235) ცხადჰყო, წერს ს. ყაუხჩიშვილი (ქ. ც. გვ. 034 – 039) სუმბათ დავითისძეს, მის ბაგრატიონთა ცხოვრების აღწერისას მე – 11 – ე საუკუნეში. ამათ შემდეგ მოდიან „ცხოვრება დავით აღმაშენებლისა“ (12 ს.), „თამარ მეფის ორი ისტორია (13 ს.)“, „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე (13 ს.)“, „ჟამთა აღმწერელი მონღოლთა დროიდან“ და სხვა.

იხ. „ბედი ქართლისა“, N 24 – 25, 1957 წ.

## გ. კობახიძე მშვენიერი ქართველი ქალი და ბედი ქართლისა

ამა თუ იმ ტომის, ერის, ან რასის გარეგნულ მშვენიერებას უმთავრესად ამავე ტომის, ერის ან რასის ქალით აფასებენ ხოლმე. ქართველი ქალის მშვენიერებამ ძველთაგანვე შორს გაითქვა სახელი. ქართველი ერი ითვლება ერთ – ერთ ყველაზე უმშვენიერეს რასად დედამიწის ზურგზედა. რომელი ძველი და ახალი ენციკლოპედიაც არ უნდა გადაშალოთ, თქვენ აქ შეხვდებით ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ქართველი ქალის, სილამაზის წარმტაც აღწერილობას. ძველი და ახალი მოგზაურების ცნობებიც ერთხმად ადასტურებენ მათივე თვალით ხილულს ქართველი ქალის სიტურფეს, კეთილშობილურ აღნაგობას, თმა – თვალ – წამწამთა საოცარ სიმშვენიერეს, მომხიბვლელობას, მიმზიდველობას და ეშხს, მიმოხვრას, სინარნარე – სიკეკლუცეს, სინაზეს, გულკეთილობას და სხვა მრავალ, მეტად კეთილშეზავებულ თვისებებს. ხშირად მკითხველი გაჰკვირდება წაკითხულით და ძალაუნებურად ეკითხება თავის თავს: ნუთუ სამზეოში არსებობს ასეთი, არა ამქვეყნიური, სილამაზის ქალები, რომელიც მხოლოდ ზღაპრებში გაუგონია კაცს, ან დიდ მწერალთა ჩინებულ თხზულებებში ხელოვნებით ჩამოკვეთილნი წაუკითხავს? ჩვეულები-სამებრ, წაკითხულის შემდეგ, ადამიანი თავის ოცნებაში ჰქმნის დაუჯერებელი სილამაზის წარმოდგენებს. პირისპირ ნახვის შემდეგ კი უმეტესად მოლოდინი არ უმართლდება... და ეს მაშინაც კი, თუ მის წინაშე მდგომი არსება, მართლაც, განსაკუთრებული სილამაზისაა.

ქართველი ქალი ამგვარი მდგომარეობიდანაც გამარჯვებული გამოდიოდა. მისი სილამაზის რეპუტაცია იგივე რჩებოდა ყოველთვის. ხშირად კი მეტ ქებასაც მიიღებდა. მაგალითად, მე-17-ე საუკუნის ფრანგი მოგზაური ტურნეფორი ამბობს: ქართველი ქალები მათზედ თქმულს სილამაზის ქებას არამც თუ სავსებით ამართლებენ, არამედ მეტი შექების ღირსნიც არიანო. ამასვე იმეორებენ სხვანი მრავალნიც. ამ 130 წლის წინ რაინდი გამბა, საფრანგეთის კონსული თბილისში, სწერდა თავის წიგნში:

„Les Géorgiennes ne s'nt pas au – dessous de leur haute reputation de beauté; cette régularité de traits, don't les belles statues grecques nous ont laissé le modèle, une taille élancée, la blancheur de la peau, la douceur des regards, distinguent une Géorgienne”<sup>1</sup>.

მე – 20 – ე საუკუნის დასაწყისში ჰენრი ნორმანი შეკითხვას იძლევა და თვითვე ჰპასუხობს:

„განა ქართველი ქალები არიან ისეთი ლამაზები, როგორც ჩვენ ყოველთვის მათზედ გვეუბნებოდნენ? მე შემძლო შემემოწმებინა ფანჯრებში გამომზირალი, აგრეთვე, ქუჩაში გამვლელი ქალების სახეებით, რომ არსებობს განსაკუთრებული მშვენიერება მათ შორის – მშვენიერება იდეალურად გამოსახული მოყვანილობისა, მათი რასიული ტიპისათვის, მართლაც, შესაფერისი, დიდი, წყნარი თვალები, მკვრივი, სავსე პირი, ალიბასტრისებური კანი, ინდიგოსებრი შავი თმა... თქვენ გრძნობთ, რომ ესენი არიან ქალნი, რომელთა ტუჩებს შეუძლიათ ვნებიან სიყვარულზედ ჩურჩული, მაგრამ როდესაც ამისათვის დრო მოვა, იმღერებენ მალალ სიმღერებს, რომელითაც იგინი თავიანთ ქმრებს ბრძოლაში გზავნიან; რომელთა თითებს შეუძლიათ იპყრან ხანჯალი, ან სუბუქად ამოჰკრან ჩონგურის სიმებს თანაბარი წარმატებით“<sup>2</sup>.

<sup>1</sup>ib. Gamba, chev. De. “Voyage dans la Russie meridionale et particulièrement dans les provinces au dela du Caucase, Paris 1826, 2 vol (Chap. VII p.p. 184-199).

<sup>2</sup>ib. “All the Russias” travels and studies in contemporary European Russia, Finland, Siberia, the Caucasus and Central Asia, by Henry Norman, New York, 1903, p. 209.

ქართველ ქალთა და ვაჟთა სილამაზის რეპუტაციაზე მეორე ამერიკელი 1911 წელს სწერდა: „რაც უფრო მეტად ვხედავთ ჩვენ ვაჟებს და ქალებს საქართველოსას, მით უფრო მეტად შეგვიძლია შევფასოთ ის რეპუტაცია, რომელიც მათ აქვთ მოპოვებული მშვენიერთა შორის მთელი ქვეყნისა, ვერცერთს ქალაქში ქვეყნიერებისა ვერ იპოვით ისეთი რაოდენობის საუკეთესო შესახედაობის მამაკაცებს, როგორც ამას ვხვდებით ჩვენ თბილისის ქუჩებში; და ქალებს აქვთ ყველა ის მშვენიებანი, რომლითაც ისინი იდიდებიან.“<sup>1</sup>

ზოგიერთებს ეგონათ, რომ ქართველ ქალ – ვაჟთა სილამაზეს მათი ეროვნული ტანთსაცმელის განსაკუთრებული ნაკვთიანობა და ყალიბი კიდევ უფრო ალამაზებდა. თითქოს ეს სილამაზე დაიჩრდილებოდა იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, ქართველთ ჩააცმევდით ევროპიულ ტანთსაცმელს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველასათვის ნათელი ხდებოდა, რომ ტანთჩაცმულობას რასიულ სილამაზესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. და თუ ქართველნი ატარებდენ კოხტად შეკერილ ტანსაცმელს, ეს მათს გემოვნებას და ემხს ამტკიცებდა. ნაკვთიანს ტანზედ ტანსაცმელიც ნაკვთიანია!

ინგლისელი მოგზაური, **სირ რობერტ კერპორტერი**, თავხედობასაც არ მოერიდა და, მისი თბილისში ყოფნის დროს 1817 წ., გადაწყვიტა **ქართველი ქალი ენახა აბანოში**, რათა ამგვარად უკეთესად დაჰკვირებოდა მათი სხეულის სიმეტრიულ აგებულებას. მან ეს სურვილი შეისრულა. უცხოელის ამ უცნაურ საქციელს არავითარი აღშფოთება არ გამოუწვევია აბანოში მყოფთა შორის. სრულიად უზრუნველად განაგრძობდნენ თავის საქმეს. უცხოელიც, როგორც შეჰფერის ევროპიელს, გულცივად აწარმოებდა დაკვირვებას თავისი აზრის დასასაბუთებლად. ამგვარი უცნაური ინსპექციის შედეგად იგი იძლევა დასკვნას: „**ქართველ ქალთა მშვენიერება ყოველი დავის გარეშეა. მათ აქვთ მშვენიერი, შავი, დიდი თვალები, ძლიერ მწყობრ – ზომიერი მოყვანილობა და სასიამოვნო ნაზი გამომეტყველება სახეზედ. უნდა მივიღოთ, რომ ისინი ბუნებით საამო და სათნოებიანნი არიან**“.<sup>2</sup>

უცხოელებმა კარგად იცოდნენ, რომ საქართველო შესდგებოდა სხვადასხვა თანამომძე ტომებით დასახლებული კუთხეებისაგან. იცოდნენ, რომ ეს ტომები ერთისხლ და ერთხორცი იყვნენ, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობდა თავისებური, კუთხური განსხვავება, თვით გარეგნულ აღნაგობაშიც, კუთხურ ზნე – ჩვეულებებს თავი რომ დავანებოთ. ბევრი უცხოელისათვის ამ ტომობრივი განსხვავების შემჩნევა ძნელი იყო, მაგრამ კარგი დამკვირვებელი მაინც ამჩნევდა. ასეთ გონიერ დამკვირვებელთაგან გამოტანილი დასკვნით, **ქართველი ერი, მისი შემადგენელი ცალკეული ტომებით, წარმოადგენდა ერთს მთლიან, მკვირვად ჩამოსხმულ ეროვნულ ქმნილებას მისი კეკლუცი ქალებით, დარბაისელი მხცოვანებით, რაინდი ვაჟებით და მალხაზი ბავშვებით.** და თუ იგინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ეს განსხვავება არის მხოლოდ მრავალფეროვნულად გადაშლილი მშვენიერი თაიგული ერთი და იმავე ტიპისა, ერთი და იმავე წარმოქმნისა. უცხოელთა აღწერილობით წარმოდგენილი ქართველი ქალის სურათი, უმეტეს შემთხვევაში აღებულია ქართლელი ქალის ტიპითგან, ან დედაქალაქში, ან თვით ქართლის ტერიტორიაზედ.

მაგრამ ენერგიით და ყურადღებით სავსე ევროპიელები, გარდა ქართლისა, მიილტვოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისაკენაც: კახეთისაკენ, იმერეთისაკენ, სამეგრელოსაკენ და აფხაზეთისაკენ. არა სტოვებდნენ თუშ-ფშავ-ხევისურეთის, მთიულ-მოხევთა და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაღალ მთებსაც. ეწვეოდნენ მესხეთ-ჯავახეთის და გურია-აჭარას. – საქართველოს

<sup>1</sup>იბ. „Around the Blacksea”, by William Eleroy Curtis, New York, 1911, pp. 121-122.

<sup>2</sup>იბ. „Ker-Portert, „Voyage de Sir Robert KerPorter, en Géorgie, en Arménie”, édition anglaise avec planches 1817-20”. იბ. გერმანული თარგმანი, გვ. 142.

სხვადასხვა კუთხეებში პოულობდენ იმავე სიტურფეს, იმავე სინაზეს, იმავე წარმტაცნ ტიპს ქართველი ქალისას, მაგრამ თავისებურებით შემკულს და გაფურჩქვნილს. ვინ არ იცის, რომ მეგრელი ქალებიც იგივე სილამაზისანი არიან, რანიც არიან სხვა კუთხის ქალები, მაგრამ **მეგრულ ქალს მოეპოვება რაღაც უჩვეულო, აუწერელი, თავისი საკუთარი „მეგრული“ სიტურფე**, რომელიც მხოლოდ მის კუთვნილებას წარმოადგენს და რომელიც მას თან მოსდევს **დიდს სახელად ძველი მსოფლიოდანვე!**

იყო ერთი მოგზაური, მსწავლული, ცნობილი გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველების პროფესორი იენაში, **კარლ კოხი**, რომელმაც 1836 – 37 – 38 წლებში, ხან ცხენით, ხან ქმენით, შემოიარა მთელი საქართველო. აწარმოვა შესანიშნავი დაკვირვებანი ქართველ ხალხზედ, მის ზნე – ჩვეულებებზედ, თვით საქართველოს ბუნებაზედ და დაგვიტოვა ორ ტომიანი შრომა, მშვენივრად დაწერილი, ობიექტურად და სინდისიერად. – მან საერთო შეფასება გაუკეთა ქართველ ერს, როგორც ერთს მთლიანს, მაგრამ თავთავის ადგილზედ, ამა თუ იმ კუთხის აღწერილობაში, მრავალფეროვან სურათებს იძლევა. ეხება ქართველ ქალთა მშვენიერებასაც. იგი ქართლიდან შევიდა რაჭაში და მოიარა იგი. **რაჭის** აღწერილობას უძღვნა ერთი მოზრდილი თავი თავისი თხზულებისა. ერთგან აი, რას სწერს იგი რაჭველი ქალების შესახებ:

„მთელს იმერეთში არსად მინახავს ისეთი **მშვენიერი გოგონები**, როგორიც იქ ვნახე. გოგონების ელვარე, შავი თვალები აიძულებენ ყოველ ადამიანს მათ სამართლიანი განსჯა მიანიჭონ“.<sup>1</sup> გვ.130 – 131 და – 35 – 136ბ ტ. II 1843).

კოხის აღტაცებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია **სამეგრელოში**, როდესაც მან მთავრის ოჯახში იხილა გუნდი და გუნდი მშვენიერ მანდილოსანთა და ტურფა ასულთა. – მან ინახულა ხანში შესული მანდილოსანი, ლევან დადიანის მეუღლე **მართა**, ასული **წერეთლისა**, რომელსაც ძველი სილამაზის კვალი კიდევ არ დაჰკარგოდა. მან გაიცნო დადიანის უფროსი ქალიშვილი **ნინო**, მთელ კავკასიაში განთქმული მისი მშვენიერებით და **„საქართველოს ვარდად წოდებული**, მეუღლე თავად ბაგრატ – მუხრანელის, ბაგრატიონ – მუხრანელს თბილისიდან კარგად იცნობდა კოხი, ამიტომ ქართველმა თავადმა მას გააცნო თავისი ახლად შერთული მეუღლე. ამაზედ იგი სწერს:

„თავადის ასულმა მიმიღო გარშემორტყმულმა მრავალი თავისი ახალგაზრდა მეგობარი ქალებით, რომელნიც მშვენიერებით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ მათს ქალბატონთან შედარებით **იყვნენ ვარსკვლავნი**, რომელნიც პირველ საჩინო იქნებიან, თუ მზე მათგან განეშორება. თავადის სათნოება ნებას მრთავდა დივანზედ, მისი წარმტაცი მეუღლის გვერდით დავმჯდარიყავი, და ევროპიული ჩვეულებისამებრ – რომლითაც იგი სიამოვნებით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო, – რომ დავეკმაყოფილებინე, მან მოისურვა, რომ ყველა მანდილოსნები ჩემი თანადასწრებით **უთავსაბურავოდ** გამოჩენილიყვნენ. ჩემი კავკასიაში მოგზაურობის განმავლობაში ხშირად მქონია შესაძლებლობანი კავკასიელი ქალების, როგორც **ინდოგერმანული ხალხის** მშვენიერებით გაკვირვებულიყავი. მაგრამ როდესაც მე თავადის ასულის **ნინოს** გვერდით ვიჯექი, მეც იმ არაბივით, – რომელმაც პირველად ჩერქეზის ქალი რომ ნახა, ღვთაებრივობას ხოტბის სიმღერა შეუწყო, – მინდოდა წამომეძახა: **„ღმერთო, დიდ ხარ შენ და შენი ქმნულებანი საოცარი!**“ სიტყვის სრული მნიშვნელობით, **დაბრმავებული ვიჯექი უხმოდ და სუნთქვასაც კი ვერ ვბედავდი, რადგან ვშიშობდი: ჩემს სუნთქვას შეეძლო ანგელოზის ქმნილებისათვის მხოლოდ ვნება მიეყენებია. მორცხვად ავსწევდი თვალებს და კვლავ ჩავუშვებდი, რადგან სხივისანი მშვენიერება, რომლის ასე ახლოს ვიმყოფებოდი, ბორკავდა ყოველ ჩემს აზრს და გარსმერთყმოდა**

<sup>1</sup>ib. Koch, Karl, "Reise durch Russland nach dem Kaukasischen Isthmus in den Jahren 1836, 1837 und 1838. Struttgart und Tübingen, 1842-1843.

მე მაგიური ჯადოთი, რომელსაც მეც ტყვედ ვყავდი. იგი იყო აბრეშუმში, ოქროში და ვერცხლში ჩამჯდარი, მაგრამ რამდენად ესენი ყოველივე, აგრეთვე, ბრწყინავდენ, მაინც მხოლოდ უფერულ მნათობად რჩებოდნენ იმ მზის წინააღმდეგ, რომელიც გარს იდგა“.<sup>1</sup>

სხვა მოგზაური, **მორის ვაგნერი** იმერლებზედ ერთგან ასე სწერს:

„იმერეთის მოსახლეობაში იცნობა ქართული ძირითადი ტიპი, მაგრამ მათი ნაკვთები უფრო გამომეტყველებელი და კეთილშობილური არის. **იმერეთის ვაჟთა და ქალთა სილამაზე საქვეყნოდ განთქმულია.** მათი ზედმიწევნით ზომიერი, მწყობრი, კოხტა, კეთილშობილური სხეულის მოყვანილობანი წარმოადგენენ ბუნებრივ მოდელებს და მოსჩანან თითქოს იმ ბერძენ ხელოვანთა მიერ ჩამოქნილად, რომლებმაც **ანტინუსი** და **აპოლო** შეიქმნეს. აგრეთვე, პირსახის სილამაზით მსოფლიოს ცოტა ქვეყნებს შეუძლიათ შეუდარონ ძველი კოლხეთის მცხოვრებთ, **ხალხებს იმერეთისა, სამეგრელოსა, გურიისა და აჭარისას.** თვით ამაყი, გმირული წარმოსადგეობის **ჩერქეზი ვაჟკაცებიც** კი მათს უკან დგანან“<sup>3</sup>.

საქართველოში მრავალ წლების განმავლობაში მოგზაურობდა და მოღვაწეობდა ცნობილი გეოლოგი **ჰერმან აბიხი**, რომელმაც დასტოვა ორი ტომი თავისი წერილებისა. როდესაც იგი პირველად ჩამოვიდა თბილისში, მისი უპირველესი სურვილი ეს იყო: **თვალი მოეკრა ტურფა ქართველი ქალისათვის**, რომელიც ასე ქებული იყო ევროპაში და რომლის პირისპირ ხილვას, იგი ასე მოწადინებულ იყო. იგი ერთს წერილში სწერდა დედას და მეუღლეს:

„ხშირად თვით საბურავში გახვეული კვლავ მშვენიერი ქალის აღნაგი, პაწია ფეხებით და მაღალი ქუსლებიანი ქოშებით, თეთრი ჩითის ან ტილოს ქსოვილში მთელი სხეულით გახვეული, რომელსაც **შუბლს ქვევით თავისუფალი მხოლოდ სახე მოუჩანს**, არიან **ქებული ქართველი ქალები.** დღესაც კი იმსახურებენ იგინი თავიანთს სახელს; **მათი მშვენიერი, უმეტესად მუქი თაფლის ფერი ან შავი თვალები, მათი კეთილშობილური და მწყობრი ნაკვთები, და ნაზი კანის ფერი წარმოადგენენ მათს ეროვნულ თავისებურებას“<sup>4</sup>.**

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ამიერკავკასიაში იმოგზაურა ცნობილმა სოციოლოგმა **ბარონ აუგუსტ ფონ ჰაქსტაუზენმა**. ერთხელ იგი გზად მოდიოდა თბილისთან ახლოს. მის წინ გამოჩნდნენ მგზავრები: სამი ცხენოსანი, მათ შორის ერთი ახალგაზრდა ლამაზი მანდილოსანი. ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მხედრები ძალიან მშვენიერი შესახედავნი იყვნენ. უცბად ქალის ცხენს მოსამართავი მოეშვა და უნაგირი გადაქანდა ცალმხრივ. მშვენიერი ასული ისე სუბუქად და სწრაფად გადმოხტა ძირს, რომ მამა და ძმამ მიშველება ვერც კი მოასწრეს. თავისი ხელით სწრაფად შეამაგრა მოსართავები და ნიავივით მოევლო კვლავ ცხენს. განაგრძეს გზა. სინაზით აღსავსე ქალ – მხედარი, თავისი გაშლილი მანდილით, გვირგვინის მსგავსი ჩიხტით, ყელმოდერებული და ნაწნავებ – გადაშვებული, ზღაპრულ მზეთუნახავს ემსგავსებოდა. – დიდხანს იდგა გერმანელი ბარონი მტვრიან გზაზედ და გონზედ ვერ მოსულიყო. „თავი საშუალო საუკუნოების რაინდულ – რომანტიულ ხანაში მეგონაო, – ეუბნება ბარონი თავის მკითხველებს, – ასეთი ქალი და ასეთი სურათები მხოლოდ ამ პატარა, მაგრამ რაინდულსა და რომანტიულს ქვეყანაში (საქართველოში) თუ შეიძლება იხილოთ დღესო“ (იხ. Baron August von Haxthausen “Rtanrcaucasia”, Leipzig, 1856).

<sup>1</sup>იქვე. გვ. 190-194.

<sup>2</sup>ავტორს „იმერეთი“ განხილული აქვს ფართო გაგებით, ე.ი. რაჭა-ლეჩხუმთან ერთად.

<sup>3</sup>იხ. Nayner, „Der kaukasus in der Jahren 1843 bis 1846“, Dresden u. Leipzig, 1848.

<sup>4</sup>“Aus kaukasischen Ländern”, Reisebriefe von Hermann Abich. V. 1 1896 Wien, p. 56-57.

ეს მცირე ფურცლები როგორ დაიტევს მას, რაც ქართველი ქალის მშვენიერების შესახებ თქმულა ან დაწერილა? ამ ჯერად მცირედითაც დაგვმაყოფილდეთ!

ქართველი ქალის სიტურფე – სილამაზეს მარტო უცხო თვალი არ ამჩნევდა. ამ სილამაზეს ხედავდა, რა საკვირველია, თვით ქართველიც. მთელს ქვეყნიერებაზედ მგონი ისეთის სიდიადით და აღტაცებით სილამაზე – მშვენიერებას ვერვინ უმდეროდა, ისე შეფრფვინვით ვერვინ იცავდა და უვლიდა, როგორც ქართველი! **ქართველ ერს კულტად აქვს გადაქცეული ქალის თავგანისცემა.** ნინო, თამარი, ქეთევანი და სხვანი დიდებულნი ბანოვანნი **ნათელ – წმიდა ხატივით სულში აქვს ჩასვენებული ყოველ ქართველს.** რომელ უცხოელს შეუძლია აღწეროს ქართველი ქალის სიტურფე და მშვენიერება ისეთი დიდებულის ხელოვნებით, როგორც მას აღწერს თვით ქართველი?

**მსოფლიო პოეზიის პარნასზედაც ვერ იპოვით „ვეფხის ტყაოსანის“ შესადარ ქმნილებას! იგი სწორედ მშვენიერების გალობაა მხოლოდ! ქმნულ – კეთილობის და რაინდობის ხოტბაა, თავდადების და სიყვარულის სიმღერაა ხმატკბილი.** – ვისაც სურს ქართველი ქალის სილამაზის აღწერა წარუშლელი უკვდავი ფერებით, ენის ტკბილ – მუსიკალობით და კაზმულ – სიტყვაობით იხილოს და განიცადოს, მან უნდა შესვას შოთას მიერ მოწოდებული ფიალა, და მათრობელი ტკბილი შარბათით აღვსილი! **მხოლოდ ქართველს შეეძლო მინიჭებოდა შოთას გენია,** რადგან მხოლოდ ქართველს მოეპოვებოდა ყველაზედ უტურფესი ასული: **მაგიური წყარო ქმნისა და მშვენიერების შეუდარებელი სიმბოლო!** ქართველ ქალს უულამაზესთა შორის უპირველესად სთვლიან თვით უცხოელნი. მას ღირსეული მაგალობელი მეხოტბეც მიანიჭა ბედმა: **ცათა – სწორი გონებით, დიდი შოთა!** „ვეფხის ტყაოსანის“ ქალთა სახელები: „თინათინი“ და „ნესტან – დარეჯანი“ ქართველ თაობათა ათეულ წყებებს გადაეცა, ვითარცა სიმშვენიერის და აღმატებული სილამაზის ნაცვალსახელნი!

ქართულმა ხალხურმა პოეზიამ, ზეპირსიტყვაობამ, თქმულებებმა, გადმოცემებმა, ლეგენდებმა და ზღაპრებმა, მდიდრად შემოინახეს ქართველი ქალის სილამაზის გამომხატველი ნიმუშები. ვის არ გაუგონია შთაგონებით მოყოლილი ზღაპრები „ცხრა – კლიტულში“ დაბრძანებული „მზეთუნახავის“ შესახებ? – ამირანის თქმულებაში მოთხრობილია, თუ ამირანი როგორ შეებრძოლა **დრუბელთა მპყრობელს,** რომელსაც ჰყავდა შეუდარებელი სილამაზის ასული სახელად **კამარი.** კამარი ცხოვრობდა თვალწარმტაც სასახლეში, რომელიც მძიმე ჯაჭვებით ჩამოკიდებული იყო ცის თაღზედ. ამირანმა დალეწა ჯაჭვები, ჩამოაგდო სასახლე მიწაზედ და მოიტაცა მშვენიერი კამარი.

ასეთი მიუწვდომელია ქართველის ოცნება, რომელსაც „მზეთუნახავი“ ცის კიდემდეც კი მიჰყავს!

დღეს საქართველოს მთიან კუთხეებში კიდევ შეხვდებით ქალთა სახელებს, რომელიც წინად საყოველთაოდ იყო გავრცელებული მთელს საქართველოში და ახალ დროში თანდათან დავიწყებას მიეცა, შეიცვალა – რა უცხო და უშვერი სახელებით. გადარჩა მხოლოდ მთაში: თუშ – ფშავ – ხევსურეთსა, მთიულეთ – ხევში და რაჭა – ლეჩხუმში. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: **„მზია“, „მზექლა“, „მზისავარ“, „მზევინარი“, „პირიმზისა“, „მზევია“, „თვარისა“, „პირთვარისა“** (რაჭა), **„ნათელა“**, **„პირნათელა“** (რაჭა), **„შვენიერი“** (რაჭა<sup>1</sup>), **„პირლამაზა“** (იქვე), **„ვარდო“, „ვარდისა“, „ია“, „გულისვარდი“, „გულია“, „ციალა“, „მაყვალა“, „ნარგიზა“, „ნაზო“, „ნაზიბროლა“.**

<sup>1</sup>იოსებ იმედაშვილს აქვს პოემა „მშვენიერა“, რაჭული ლეგენდიდან აღებული.

ქართველი ქალის სილამაზემ თავისებურად იმოქმედა საქართველოს ცხოვრების ბედზედ, რომელთანაც შეკავშირებულია რამოდენიმე ათეული საუკუნის სისხლიანი თავგადასავალი.

ჩვენს მრავალ – ტანჯულ ქვეყანას ჰყავდა მოზღვავეებით ზედ მომდგარი ურიცხვი მტერი. საქართველოს გაცილებით მეტი განადგურება და გადაქელვა, ნგრევა და წვა ახსოვს, ვიდრე მშვიდობა და სიამე, აღშენება და დამკვიდრება! ამ მწარე ისტორიულ ქარცეცხლში ქართველი ქალის სილამაზემაც თავისი ბეგარა წაიღო ჩვენგან. თვით ქართველმა ქალმა კი უმწარესი ბედი იწვნია და განიცადა. უმწარესი, ვიდრე ოდესმე განუცდია და ხვედრია სხვა ერთა ქალებს!

**ერს თუ სურს გადაარჩინოს საკუთარი „მეობა“, დაიცვას მისი სულიერი და ხორციელი არსება წმინდად, მან უპირველეს ყოვლისა მოკრძალებით უნდა დაიცვას თავისივე ქალი. სხვადასხვა ერთა და ხალხთა სისხლის აღრევით იცელება გარეგნული შეხედულება, სახის მოყვანილობა, ტანადობა და იერი, რაც სხვადასხვა ერებს თავისებური სხვადასხვაობით მოეპოვებათ. წარმოიქმნება შენარევი ტიპები, განსხვავებული შენარევი ტიპები, განსხვავებული „ნამდვილისაგან“. შენარევი ტიპებს ახასიათებს სულ სხვაგვარი „შენარევი“ სულიერი თვისებები. თუ ქვეყნის თავზედ განუწყვეტილად ხდება თავდასხმები, დაპყრობები და მოძალადობა, შერევისაგან თანდათან გადაირეცხება ამ ქვეყნის ძველი საფუძველი და მის ადგილზედ სულ სხვაგვარი ხალხ ამოჰყოფს თავს. ბევრს დღევანდელ ერს მხოლოდ სახელი შერჩა ძველი. თორემ რასიულად სრულიად აღარ ჰგავს ძველ – ყოფილს.**

ქართველი ერი თავისი გამძლეობით სხვებისაგან გამოირჩეოდა და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებიდან შედარებით მრთელი და შენახული გამოვიდა.

საქართველოს ისტორიული მტრები ქართველი ერის მოუდრეკელობის და გაუტეხელობის მიზეზს ხედავდნენ უმთავრესად ქართველ ქალში. **ქალი იყო ოჯახის ბურჯი.** სწორედ იგი აყალიბებდა „ქართველურობას“, სძერწავდა უკვდავ სულს, უცნაურის ძალით შთაბერავდა ხოლმე ამ სულს თავის შობილს, რომლის აღმოფხვრა უკვე აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო. ასე მაგრობდა საქართველოს ეროვნულ „მეობის“ ციხე – დარბაზი, რომელსაც **დედა – ბოძად შეყენებული ჰყავდა ქართველი ქალი.**

მტერი მოწადინებით უტევდა ქართულ ოჯახს და შესაძლებლობის პოვნისას დედა – ბუდიანად უწყალოდ ანადგურებდა. ამით მას სურდა მოესპო ის კერა, რომლის ირგვლივ ღვიოდა სწორედ მტრისათვის ყველაზე საშიში ცეცხლი ქართული გამძლეობისა.

ქართველი ქალი მამაკაცის გვერდით ბრძოლითვე იცავდა თავს. – იარაღით, ხერხით, ქალური დიპლომატიით, მოთმინებით, კბილებით და ბრჩხილებით იცავდა იგი თავის თავსაც, თავის ბუდესაც და თავის სინდისსაც. ქართველი ქალის სიმამაცეს, სულიერ გაუტეხელობას და ერთგულობას უნდა ვუმადლოდეთ თუ დღეს ჩვენ კიდევ შეგვრჩა ქართული ცხვირები, თვალწამწამები, იერი, აგებულება, გამომეტყველება და, რაც მთავარია, ქართული სულიერი თვისებები. – დღესაც კი ძლიერ იშვიათი შემთხვევაა, რომ ქართველი უცხო ერის მამაკაცს შეეუღლოს, ამ მხრივ ქართველი მამაკაცები უფრო გადადიან წრეს, მაგრამ ძვირად ქართველი ქალი!

საქართველოში მონღოლების ბატონობის ხანა ას წელიწადს გაგრძელდა. მათგან ქართველ ერზე ძალდატანება დიდი იყო. მონღოლთა ბატონობამ დასცა საქართველოს ძლიერება და შეამცირა მოსახლეობის რიცხვი. მომთაბარე და ველური მონღოლები თავის წესისამებრ დაუნდობლად ხდიდნენ ნამუსს მათს მიერ დაპყრობილი ქვეყნის ქალებს. მონღოლებმა სისხლის შერევით ბევრს ხალხებს და რასებს შეუცვალეს სახე და სულიერი თვისებები. მაგალითად, **დღევანდელი რუსი უკვე აღარ ჰგავს მონღოლების მოსვლამდე არსებულ ძველ რუსს, რომელსაც მანამდე მწყობრი, სლავური, გერმანულთან მსგავსი, სახე და აგებულება მოეპოვებოდა. – რუსები ამჟამად**

შესახედობით და ბევრი სულიერი თვისებებით უკვე მონღოლებს წააგავენ. მათში ოცი პროცენტი თუ მოიპოვება კიდევ წმინდა სლავური ტიპები. ქართულ რასასთან მკვეთრად განსაზღვრული მონღოლური რასის შერევა, გამოიწვევდა საქართველოს სრულ გადაგვარებას და წარმოქმნიდა სულ სხვა სახის ერს, ვიდრე იყო და არის ეხლა. ამ საფრთხისაგან სამშობლო დაიხსნა ქართველმა ქალმა. – თუ მოძალადე მონღოლის ნაყოფი მუცლად ჰქონდა, იგი ან თავს მოიკლავდა, რომ „თესლი ბოროტი“ არ ეტარებინა ქართული საშოთი; ან დაელოდებოდა მომშობიარობას და ნაყოფს წამსვე მოაშოთობდა, რათა ამ გზით აღარ დარჩენილიყო „უცხო თესლი“ ჩვენს მიწაზედ. ძნელი წარმოსადგენი და გასაკვირია ეს საშუალებანი, მაგრამ ეს ასე ხდებოდა!

მონღოლებზე უარესი დღე გაუთენეს საქართველოს სპარსელებმა და ოსმალებმა. ამ ორმა ძლიერმა სახელმწიფომ განიზრახა საქართველოს ნაწილ – ნაწილად ჩაყლაპვა და მონელება. ეს მიზანი შეუსრულებელი დარჩა, მაგრამ მათი ცდა მათთვის უნაყოფოდ მაინც არ დამთავრებულა. დღევანდელი საქართველოს ოდენი ტერიტორია მთელი მისი მოსახლეობით შთაინთქა სპარსეთ – ოსმალეთის ზღვაში. – მთელი ოთხასი წლის განმავლობაში სპარს – ოსმალნი, და შემდეგ ლეკები, სწეწავდენ საქართველოს მიწა – წყალს. იტაცებდენ ქალებს, ბავშვებს, მამაკაცებს ჰყიდდნენ პირუტყვებივით აღმოსავლეთის ბაზრებზედ. ჩვენი ტურფა ქალებით აივსო სპარსეთ – ოსმალეთის ჰარამხანები და დაღესტნის აულები.

ქართველ ქალს გახელებით ეტევებოდენ ყველგან: გზაზედ, მთაზედ, წყაროზედ, შინ, გარეთ, ყანასა და ბოსტანში, ციხესა და კოშკში, ტყესა და ველში. ეტევებოდა ყველა: სპარსელი და ოსმალე, ლეკი და ხუნძახელი, შერვანელი და განჯელი, ოვსი და დიდო, ქისტი და ბალაური!“

თითქოს გადაიარა ჟამმა მრისხანემ საქართველოს თავზედ. მრავალ განსაცდელს გამოუხსლტით ხელიდან და ჩვენი თავი დღევანდლამდე მოვიტანეთ. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მაინც დიდი გასაჭირის და ახალი განსაცდელის ქვეშ დგას. თითქოს ერთხელ ადევნებული ბედი ქართლისა, თან გვდევს საკუთარი აჩრდილივით მარად! არ გვტოვებს განსაცდელი და მოლოდინი დიდი აღძვრებისა, რომელსაც შეუძლია ჩვენს ქვეყანას ყოფნა – არყოფნის საკითხი დაუყენოს. ჩვენი ვალია ამ ჟამდაც ვიყოთ ისეთივე მამაცნი, რაინც იყვნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები ჟამთა უკუნს!. ეხლაც გვყავს პირმშვენიერი ქართველი ქალები, რომელთა ხელშია დღესაც ჩვენი ქართული სახლობის გადარჩენის საშუალება საბოლოო განადგურებისაგან, დაცვა ტრადიციებისა და ჩვევების, ქართული სულიერი თვისებების და გარეგნული აღნაგობისა. ქალი ზრდის დღეს დაობლებულ ბავშვებს, რომელთა მამები ასიათასობით დაიღუპენ საქართველოსათვის სრულიად უმიზნო და მიუღებელ ომში 1941 – 1945 წლებში.

ახალი მტერი, რომელიც დღეს საქართველოში ბატონობს ძალით და ტერორით, ლამობს დაარღვიოს სულიერი სტრუქტურა ქართველი ერისა და გადაავაროს სხეული შერევით, სხვადასხვა ტომთა და ხალხთა ჩასახლებით საქართველოს მიწა – წყალზედ. – ამ დიდ საბედისწერო ჟამსაც იმედით უნდა შევცქეროდეთ ქართველის დედას. თუ იგი დაეცა, ვეღარაფერი იხსნის საქართველოს! აგია ეხლაც ერთად – ერთი მხსნელი სამშობლოსი. ვეთაყვანოთ მას! კვლავ მამა – პაპურად დავიფაროთ იგი, რადგან ქართველი ქალის დაცვა ნიშნავს სამშობლოს დაცვას! ნუ შეგვაკრთობს ჩვენი ბედი, რადგან იგი არის ჩვენი ბედი! ბედი: მშვენიერი ქართველი ქალისა და ბედი ქართლისა!

იხ. „ბედი საქართლისა“ ივლისი, 1951 წ. ნიუ – იორკი.



## სპირიდონ კედია ერთობის საკითხები

საბჭოთა მოსკოვის შემოსევა, ეს იყო წითელი იმპერიალიზმის გამოლაშქრება საქართველოს დასაპყრობათ, მის დამოუკიდებლობის მოსასპობათ. თავიდანვე ეს ასეც დააფასა ქართველმა ხალხმა; ამიტომაც ბრძოლის სიმბოლოთ ეროვნული დროშა აუშვა და მის ქვეშ ერთ მეგრძოლ ჯარათ დაირაზმა. ასე აღიმართა საბჭოთა მოსკოვსა და საქართველოს შუა ეროვნული კონფლიქტი მთელი თავისი უკომპრომისო ხასიათით. ამაშია საიდუმლო საქართველოს დაუშლელი სიმტკიცისა მოსკოვის პირისპირ. ეს შეგნებული ეროვნული მომენტი ჰხსნის იმასაც, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო გაუნელებლათ იბრძვის, ისე როგორც **ეროვნული ერთეული**. ამავე დროს კი საბჭოთა კავშირის რუსულ ტერიტორიაზე თითქმის აბსოლუტური მორჩილება დამყარდა. ესაა იმის ახსნაც, რომ საქართველოს და მის ბრძოლას სულ სხვა საერთაშორისო გამოძახილი ეძლევა.

საბჭოთა მოსკოვის ჯარების შემოჭრას რომ შინაური სოციალ – პოლიტიკური კონფლიქტის მნიშვნელობა მისცემოდა ქართველი ხალხის სულიერ განცდაში, რომ ეს მოვლენა ისე დაფასებულიყო, როგორც შინაური გადატრიალება, რომ ხალხის ერთ ნაწილს მასში დაენახა უბრალოთ და მარტივათ მენშევიკების ხელისუფლების დამხობა, ხოლო მის მეორე ნაწილს მარტო არასოციალისტური პარტიების ლიკვიდაცია და ყველა – კი იმაში დარწმუნებულიყო, რომ თვით საქართველოს დამოუკიდებლობა, თვით ქართველი ერის შეუვალობა ხელუხლებელი რჩებოდა, ეჭვს გარეშეა, საქართველოში ბრძოლის მთლიანი ეროვნული ფრონტი ცხოვრების აზრს იქნებოდა და მოკლებული და ამიტომ ვერრას გზით ვერ დამყარდებოდა; ხოლო ცალკეთ კლასიკური ან პარტიული ფრონტით ბრძოლა ან არ იწარმოებდა, ან მეტად გაუბედავი იქნებოდა. მაგრამ თებერვალ – მარტის ამბების უადრესად ეროვნულმა სარჩულმა ჩვენში სულ სხვა სინამდვილე დაამკვიდრა. ერთი ეროვნული დროშა და ერთი ეროვნული ფრონტი ყოვლად აუცილებელი გახდა; თვით საგანთა ლოდიკის გარდაუვალ დასკვნათ გადაიქცა.

მეორეს მხრით, საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლისა და გამარჯვების ინტერესის მიხედვით, უკვე მთელი აზროვნების ძალა და გონების დასკვნა შეგნებულათ გვავალებს, რომ ეროვნული მთლიანობა და ბრძოლის ერთობა არ დაირღვეს, ვიდრე მტერი ჩვენს სამშობლოში დგას. ამიტომაც ვიყავით, ვართ და ვიქნებით ამ ერთობის მომხრე.

ვისაც ეროვნული გზა თავის სავალ გზათ აურჩევია, ვისაც სამშობლოს უზენაესობა სწამს და მის სუვერენობისთვის ბრძოლა თავის მოქმედების საგნათ გაუხდია, ყველა შეგნებულათ ამ **ეროვნულ ერთობას** უნდა დაადგეს. ეს **გამარჯვების აუცილებელი პიროვნებაა**, მაგრამ უბრალო დეკლარაციის სფეროდან, ეს ერთობა უნდა ძირს ჩამოვიდეს და სინამდვილეში განხორციელდეს. სწორედ, ამ ადგილას და ამ მომენტში მას განსაცდელი უდარაჯებს. მართლაც, ამის შესასრულებლათ აუცილებელი ხდება ბევრი რამ საგნის დათმობა. უნდა მიტოვებულ იქმნას პირადი, ჯგუფური და კლასიური ინტერესი და ყველაფერი რაც ამ ინტერესთან არის დაკავშირებული, როგორც დოკტრინა, ან როგორც მოქმედება, უნდა დატოვებულ იქმნას პარტიული გეგემონიის სულისკვეთება და ყოველივე ის, რაც ამასთან არის გადაბმული, უნდა მიტოვებულ იქმნას ხელისუფლების ნაშთების ავადმყოფური სიყვარული და ნაცვლათ უნდა შეცნობილ იქმნას და უნდა მოეწყოს საერთო ეროვნული ხელმძღვანელი ორგანო, მიმდინარე ბრძოლის პირობების ცოცხალი საჭიროების მიხედვით და პირადი ღირსების კვალობაზე შერჩეულ პირთა საშუალებით – ყოველივე ეს სრულიათ ლოიალურათ და გულწრფელათ. როგორც ვხედავთ, ბევრ რამე-

ზე უნდა აიღოს ხელი, ვინც კი შეგნებულათ ეროვნულ გზას დაადგება. არ არის უბრალო საქმე იმ წარსულის ლიკვიდაცია, რომელიც გუშინ შენი ძლიერების ფაქტორი იყო, ხოლო დღეს ხელის შემშლელი გამხდარა. საჭიროა თავის დაღწევა ფაქტიურათ უკვე გაუქმებულ უპირატესობათა ფსიხოლოგიური ტყვეობისაგან, საჭიროა ნამდვილი სხვერპლიც, საჭიროა სულიერათ თავის დამღევა, რომ **პარტიის კაცის მაგივრათ სამშობლოს კაცი გახდეს და პარტიული პოზიციებიდან ეროვნულზე გადახვიდეს.** რაც უფრო მიუახლოვდებით ამ იდეალურ ვითარებას, იმდენათ უფრო მკვიდრი იქნება ჩვენი ბრძოლის პირობები.

შექმნილი გარემოების წყალობით, ეროვნული დოქტრინის და მოქმედების მთლიანობა, ეს ეროვნული ერთობა, უნდა დამყარდეს ორს სხვა და სხვა სივრცეზე, საქართველოში და საზღვარგარეთ, თვით ქართველ ხალხში და მის პოლიტიკურ ემიგრაციაში.

თვით საქართველოში, მტრის პირისპირ ყოფნამ და მასთან ბრძოლამ, ეს ერთობა ფორმალურიდან ბევრი სიძნელის შემდეგ, ნამდვილ ერთობათ გადააქცია; და მერე ერთად დაღვრილმა სისხლმა იგი დაურღვეველი სანქციით დააგვირგვინა. ამ ერთობას ორგანიზაციულათ თავიდანვე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ანსახიერებდა.

არ ითქმის ეს ერთობა იქ უფრო საჭირო ყოფილიყო, ვიდრე აქ. იგი ერთნაირათ სავალდებულოა იქაც და აქაც, ემიგრაციის და ხალხის ერთობა ერთმანეთს უნდა ჰარმონიულათ შეწყნოდა. გარემოება ისეა მოწყობილი, რომ ქართველი ხალხი, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძვის, ანგარიშიდან ვერ ამოშლის პოლიტიკურ ემიგრაციას, რომელიც მისებრ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იღვწის და რომელიც რიცხვთა შორის შეიცავს, დამოუკიდებლობის ემბლემათ, საქართველოს საელჩოს და ეროვნულ მთავრობას.

დღეს ხალხი და ემიგრაცია ორი ფაქტორია ერთი და იგივე საქმის. ყველა ამიტომ, ხალხი ემიგრაციის გავლენას ძალაუფლებურათ ეძლევა. ეს მით უფრო, რომ ამ ბრძოლაში იგი სულიერათ მოკავშირეს დაეძებს და ამ მხრივათაც, საფუძვლიანათ თუ უსაფუძვლოთ, თვალყური აქეთკენ უჭირავს; ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთად რომ ავიღოთ, აქაურობა მისთვის ილუზიის წყაროთ არის გადაქცეული. სწორეთ, ამიტომ ემიგრაციის ოდნავი განძრევა საქართველოში დიდ გაქანებას იწვევს; მისი ოდნავი შეცდომა მთელი კატასტროფის ხასიათს მიიღებს. და თუ ამ შეცდომას აქ მარტოოდენ ტაკტიკის, ან შეფასების შეცდომა დაერქმევა და საქმე ამით ამოიწურება, **საქართველოში მას ცოცხალი სხვერპლის სახეები მიეცემა.** აქედან აშკარაა, რა დიდი სიფრთხილე, რა ხასიათის შეწონილობა და რა გონებამოკრეფილობა მართებს ემიგრაციას; აშკარაა, თუ რამდენათ აუცილებელი იყო აქაური ხელმძღვანელი ორგანოს გაეტაკებული კონტროლი და რამდენათ უუსაჭიროესი, რომ ეს ორგანო ემიგრაციის გაერთიანებული ძალების ნამდვილი გამოსახულება ყოფილიყო. შემდეგ ნომერში დავინახავთ, თუ რა საბედისწერო სეკტანტობა და რა ბოროტი ნებისყოფა გადაეღობა წინ ამის დაცვა – განხორციელებას.

ქურნალი „**სამშობლოსათვის**“ (ეროვნული პოლიტიკის ორგანო **სპირიდონ კედიას** რედაქტორობით), N2, გვ. 4 – 5; პარიზი, სამშაბათი, 26 მაისი, 1925 წ.

## **სპირიდონ კედია** **ეროვნული დოკტრინისა და ორგანიზაციისათვის**

საქართველო დღეს სულ სხვა ქვეყანაა. იგი ერთიანად განირჩევა ამ ათი, ორმოცი, ასი წლის წინანდელი საქართველოსგან, თავისი ეროვნული სულისკვეთებით. ამ მხრივ, იგი უფრო ენათესავება **დავით აღმაშენებლის და თამარ – მეფის საქართველოს**.

ამ იშვიათი სახელმწიფოებრივი ექსპანსიისა და სიმტკიცის საუკუნეში თუ უცხოვრია ქართველ ერს ასეთი ძლიერი და საერთო ეროვნული აზრებითა და მიზნით, სწორეთ, რომ ამ შორეულთან მზგავსებაშია გამოსახული საქართველოს დღევანდელი უკიდურესი სიახლე. სულ რაღაც ხუთიოდე წლის მანძილზე მოხდა ეს უდიდესი **ეროვნული რენესანსი**.

ეროვნული მომენტი, რომელიც გუშინ არაფერს ნიშნავდა, დღეს ყველაფერია. სამშობლოს იდეა, რომელიც გუშინ შეგნებული ძაგების საგანი იყო, დღეს აგზნებულ საყოველთაო თავყვანისცემას იწვევს. **სამშობლოს სახელს ენაცვალა მრავალი ათასი საუკეთესო ქართველი**. სამშობლოს დროშის დასახსნელათ, სამშობლოს გამარჯვებისა და მისი თავისუფლებისათვის ამუშავდა მთელი ერი; მისთვის იბრძვის, ძალებისა და სიცოცხლის დაუზოგავათ. ამ მიზანმა შეიპყრო და სულერთიანათ მოიზიდა მისი განცდები, მისი გული და გონება. ამ საკითხის გარშემო დატრიალდა ერის კოლექტიური ნებისყოფა და მისი შემოქმედი ძალა.

ჭეშმარიტად, სულ სხვაა დღევანდელი საქართველო. **ჭეშმარიტად, თითუელმა ჩვენთაგანმა უღრმესი რევოლუცია გამოიარა, შეგნებისა და სინდისის**.

საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოში ქართველი ხალხის ბატონობა და მისი ნებისყოფის მბრძანებლობა, – აი საგანი, რომელიც თვითმპყრობელურათ დგას ქართველი ერის დღიურ წესრიგში და რომელმაც ყველაფერი დაჩრდილა. **სამშობლოს უპირველესობა, მისი უზენაესობა**, ყოველგან და ყველა პირობებში, უწინარეს ყოვლისა, მისი დაცვა, – აი ახალი იდეა, ის ახალი ძალა, რომელმაც ქართველი ხალხი დაიპყრა. აქედან გამომდინარეობს ერის სულიერი მისწრაფება, მისი ინსტინქტიური მოთხოვნილება, რომ **ქართველის ხელოვნება და მეცნიერება, მისი უნარი და გამჭრიახობა მარად ამ იდეის განხორციელებას ემსახურებოდეს**. ეს არის სრულიად ახალი სულიერი სინამდვილე, სრულიად ახალი გრძნობა და ახალი განცდა. და ეს ყველა ერთად აღებული, წარმოადგენს ერის ძირითად პსიხოლოგიურ ვითარებას, მის ძირითად მორალურ სიმტკიცეს, რომელზედაც ყოველთვის აგებულია ყოველი ერის შეგნებული ცხოვრება და მოქმედება. რამდენადაც მას შეეხამება ეს უკანასკნელი, იმდენათ უზრუნველყოფილია ერის განვითარების წონასწორობა და მისი თავდაცვის ნამდვილი კანონები. ეს ძირითადი ფსიხოლოგიური ვითარება საზღვრავს ერის რეალურ პოლიტიკას და მის საზოგადოებრივ კონცეპციას.

ამ მხრივ, დღეს საქართველოში ადგილი აქვს მეტად სახიფათო დაპირისპირებას.

**ერთ მხარეზეა** ქართველი ხალხი და მისი ეროვნული ინსტინქტის ძლიერი ამოქმედება; მისი ტრადიციული ძალების შეუპოვარი შემოწოლა და თავდაცვის გრძნობების გამახვილება; აქ აგზნებულია **სამშობლოს კულტი** და ყველა გაერთიანებულია მაღალ ეროვნულ მისწრაფებათა სინტეზში.

მეორე მხარეზეა ძველი პოლიტიკური კადრი, თავისი ხავსიანი დოკტრინით, ძველი დამხრვალი კონცეპციით და ძველი ორგანიზაციები, რომელიც უკვე ცხოვრებამ გადალახა და უკუაგდო. აქაა გონების საშინელი სიმჭლევე, ტვინის სრული უძრაობა, შემოქმედების დახშვა.

ისე მოხდა აღნიშნული დიდი ეროვნული გარდატეხა, რომ აქ არ თქმულა არც ერთი ახალი სიტყვა, არც ერთი ახალი აზრი, თითქოს ყველაფერი ისე იყოს, როგორც გუშინ; თითქოს დღესაც

ისეთივე შეგნება და შეხედულება გვექონდეს ერსა და სამშობლოზე, როგორც წინათ. არავისგან არავითარი აღსარება არც ქვეყნის წინაშე, არც საკუთარი სინიდისისა; თითქოს ჩვენში არავითარი ცვლილება მომხდარიყოს! ჩუმათ კი ვიტყვით ამ ცვლილებას, მაგრამ საჯაროთ არასოდეს. **ჩვენში ყველაფერი გაუბედავია და ქურდული, რადგან სუსტნი ვართ და უძლური.** ახლის შექმნის უმწეობის წინაშე, გვემინია ძველი არ დაგვარგოთ და იმას ვებლაუჭებით, რაც უკვე არ გვწამს და ცხოვრებასაც უარყვია.

**ერთ მხარეზეა** ეროვნული მასსა, ერთი გაბატონებული ეროვნული განცდა, ერთი ძირითადი გრძნობა და მიზანი.

**მეორე მხარეზეა** პოლიტიკური ხელობის სხვადასხვა წრე, თავ – თავის ორგანიზაციაში ჩაკეტილი. თითოეულ ამ წრეს აქვს საკუთარი დოკტრინა, რომელიც გამოჭრილია მისი ეგოისტურ სულისკვეთებაზე. ეს დოკტრინები გათიშვის და დაპირისპირების დოკტრინებია; ყოველი მათგანის მიზანია, ერის ცოცხალი ნაწილები ჯერ პსიხოლოგიურათ ერთმანეთს დააშოროს და მერე სასიკვდილოთ შეაჯახოს.

და ამიტომ, ყოველი მათგანი ასაბუთებს, ჰქმნის და აბატონებს მარტო ჯგუფის ეგოისტურ განცდას, მარტო მის ეგოისტურ გრძნობას და მიზანს და ამავე პროპორციით იგი ჰკლავს ეროვნული გრძნობის და მიზნის ერთობასა და მთლიანობას.

რომ ამ დოკტრინებს დღეს სიცოცხლის ძალა ჰქონდეს და საქართველოს სინამდვილეში გაუქმებული არ იყვნენ, შეუძლებელი იქნებოდა რაიმე ეროვნული ბრძოლა.

მაგრამ ჩვენი სიდეუხიერე სწორეთ იმაშია, რომ საქართველოს ახალი სინამდვილის შესაფერი არც დოკტრინა შეიქმნა და არც ორგანიზაცია და რომ ამ ახალ ქვეყანას ძველის ინერციით განაგებს და ეს თავის ბუნებით ანტიეროვნული, ხოლო გარემოების ძალით უკვე მკვდარი დოკტრინებია.

**თუ ინტელიგენცია ქვეყნის ტვინია**, მაშინ ამ ეროვნულ რევოლუციაში ეროვნული გრძნობითა და ინსტინქტით გამდიდრებულს ეროვნული შემოქმედებისა და მიზნის უკვდავი ძალებით ნაზიარებსა და სამშობლოს უზენაესობის რწმენით გაფოლადებულ ქართველ ხალხს საკუთარი თავი არ ბმია!

ახალ საქართველოს არ აქვს თავისი დოკტრინა, ახალ საქართველოს არ აქვს თავისი ორგანიზაცია. თუ ამას არ ეშველა, შეიძლება ყველაფერმა ფუჭათ ჩაიაროს და სიცოცხლისა და გამარჯვებისთვის მოწოდებული ქართველი ერის საღი სხეული თავიდან აყროლდეს და მოიწამლოს; შეიძლება საღი გრძნობა და ინსტინქტი მანიაკმა ტვინმა იმსხვერპლოს.

ისეთ დროში არ ვცხოვრობთ, რომ გამარჯვებისათვის საკმარისი იყოს მარტო გრძნობა და განცდა, არამედ საჭიროა დიდი გონების ძალა. და **ახალმა საქართველომ, რათა გაიმარჯვოს, უნდა შეჰქმნას თვისი ეროვნული დოკტრინა და საერთო ეროვნული ორგანიზაცია.** აუცილებელია, რომ გრძნობებმა და განცდებმა, ინსტინქტმა და მისწრაფებათ გარკვეული მოძღვრების ხასიათი მიიღონ, მცნებებათ ჩამოყალიბდნენ და გადაულახავ მოვალეობათ გარდაიქცნენ. და ეს ხასიათი, ეს ცნება და მოვალეობა უნდა ისწავლებოდეს ყოველგან, სკოლაში და მის გარეთ, ყოველი ასაკის ქართველთა შორის.

ქართველი ერის გაუქრობლობა და მტრებზედ გამარჯვება არ შეიძლება იყოს ჩვენი რიცხვის, ან ჩვენი ტენიკის ფუნქცია. უწინარეს ყოვლისა, **იგია ფუნქცია ჩვენი ზნეობრივი მთლიანობისა, ჩვენი ერის პსიხოლოგიური ერთობის.** ეს არის *conditio sine qua non*. ამიტომ მთელი ჩვენი გონების ძლიერება, მთელი შეგნება, მთელი ხელოვნება და მეცნიერება ამ სულიერი ერთობის შექმნას და მის განმტკიცებას უნდა ვამსახუროთ. **ვისაც სწამს სამშობლოს უზენაესობა, ვინც მის უკვდავებას**

ცოცხალ აზრათ და ზნეობრივ ვალდებულებათ განიცდის, ვისაც საქართველოს გამარჯვება და მისი მრავალჯამიერობა ცხოვრების მიზნად დაუსახავს, იგი ასპარეზზე უნდა გამოვიდეს, როგორც ქართველი ხალხის სულიერი, დოკტრინალური და ორგანიზაციული ერთობის მოციქული. ეს უნდა იყოს ყოველი ქართველის მუდმივი სოციოლოგია, მისი ფილოსოფია და პრაქტიკული მოქმედება; ამის გარეშე ჩვენი ხსნა არ არის.

პარტიული და კლასიური დოკტრინა და ორგანიზაციები თავის ბუნებით და დანიშნულებით ამას ებრძვის და ეპირისპირება. ამიტომაც დღეს გაუქმებულია კიდევაც მათი ნიშნობლივი თვისებანი და მხოლოდ იმდენათ ბოგინობენ ჩვენში, რამდენადაც ძალაუნებურათ სამშობლოს იდეას უფარდებიან. რისთვისაც გაჩენილი იყვნენ, იმისთვისაც მოკვდნენ და რასაც შეეფარდენ, იმისთვის მკვდრათ შობილი არიან. თავის დიდ უმრავლესობაში მათი მიმდევარი პიროვნულათ გამოიცვალა; ამ ორგანიზაციების ღობეები ცხოვრებამ დაშალა; ბევრი სხვადასხვა წრის და ორგანიზაციის ხალხი ერთმანეთს უფრო დაუახლოვდა, ვიდრე ზოგიერთი თვლის ძველ ერთ-მოაზრეს. მაგრამ ნაღობარს ვერავინ გადმოაბიჯა და ეს მკვდარი დოკტრინები და ორგანიზაციები ცოცხლებს ასაფლავებენ. ამ გახრწნას უნდა ბოლო მოეღოს!

დღეს გასაკეთებელია ერთი საქმე – საქართველოს გამარჯვების მომზადება. ეს მოითხოვს უღრმეს ეროვნულ აზროვნებას და მოქმედებას, ერთ ეროვნულ დოკტრინას და ერთ ეროვნულ ორგანიზაციას. ყოველი ქართველი უნდა ამაღლდეს ამის შეგნებამდე.

ცხოვრებამ მოსპო და წაღეკა პარტიული ასპარეზი, პროგრამა და მოქმედობა. ეს უნდა დაადასტუროს ჩვენმა გონებამ. ქართველი ხალხი გამოსულია სამშობლოს განთავისუფლების დიდი ეროვნული პროგრამით და მოითხოვს აზროვნების და მოქმედების გაერთიანებას. ეს უნდა მივცეთ მას. ძველი ორგანიზაციული დანაწილების მაგიერ, უნდა შეიქმნეს ერთი საყოველთაო ეროვნული ორგანიზაცია. ძველი კლასიური დოკტრინის ადგილი ეროვნული ერთობის დოკტრინამ უნდა დაიჭიროს. ვინც ასე აზროვნებს, ყველა მათ უნდა დასტოვონ ძველი დანაწილება და ერთ ოჯახში დადგნენ. ეს ახალი დალაგება იქნება წყარო ახალი შემოქმედებისა და სიმტკიცის. უნდა დაარსდეს ერთი ეროვნული კავშირის ორგანიზაცია, ერთი ეროვნული ლიგა.

აქ შემოვა ყოველი პატრიოტი ქართველი, გლეხი, მუშა, ინტელიგენტი, სტუდენტი, მხედარი, როგორც არა სოციალისტი ისე სოციალისტი, – ყველა ვისთვისაც პირველი ადგილი უჭირავს სამშობლოს იდეას და მის თავისუფლებას.

ქურნალი „სამშობლოსათვის“, N3, გვ. 1 – 3; პარიზი, ორშაბათი, 15 ივნისი, 1925 წ.

## **ნ. მარი** **ორი სურათი ანისში** **წმიდა ნინო და თამარ მეფე**

ანის ქალაქი ხშირად ხვედრია სამფლობელოდ ქართველთა მეფეებს, სომეხ ბაგრატიონთა მეფობის დავარდნის შემდეგ (1048). დავით აღმაშენებლის დროიდან კი ქართველების პოლიტიკური მნიშვნელობა აქა, როგორც სხვა მხარეებში, დღითი დღე ზრდილა. თამარ მეფის და მის მემკვიდრეების დროს ანისი თითქმის განუწყვეტლად საქართველოს მფლობელობაში ყოფილა. თვით როგორაობა ამ მფლობელობისა ჯერ კიდევ გამოსარკვევი საკითხია. სუფევს სხვადასხვა გვარი მასალა, რომლის განჩრეკა, შემოწმება და შეთანხმება განსაკუთრებით შრომას ითხოვს. აქაც სამკალი ბევრია, ოღონდ მომკალთ ვერ ვხედავთ.

პირადს ჩემ დაკვირვებას ჯერ თითონაც ვერ ვცნობ დასაბუთიანებლად და მის გამოქვეყნებას არ ვემუშრვი. მხოლოდ ვგონებ კი, რომ ორი დედააზრის გამოქვეყნება ანის ქალაქის მცოდნეთაგან ანაჩქარებ მჯელობად არ უნდა ჩამომერთვას. ერთი ისაა, რომ ქართველობის მფლობელობას ქალაქის ადგილობრივი შიდა ცხოვრება და მისი სომხური ხასიათი არ შეუცვლია. მეორე ისა, რომ, სხვა მხარეთა მსგავსად, ქართველი მეფეები ანის ქალაქს მართვიდნენ თავისებურად დამოკიდებულ თავადთა მიერ, ხოლო აქ, ანისში, მმართველნი თავადნი, უხანგრძლივეს მმართველ – პატრონნი, ისევ სომხები ყოფილან, ცნობილნი **მხარგრძელნი**. მიუხედავად ამისა, ქართველების ბატონობის დროიდან აქ არა ერთი ნაშთი უნდა იპოვებოდეს, მაგრამ დამარხულია ნანგრევთა ბორცვებში, მიწა მიყრილი, როგორც დიდძალი სიძველენი თვით ადრინდელ მკვიდრ მეპატრონების, ესე იგი სომხების.

ასეთ სიძველეთა აღმოჩენა მხოლოდ თხრით შეიძლება. რამდენიმე ნაშთი **ქართველთა მფლობელობის ხანისაგან** ანის ქალაქში ზეზედაც დარჩენილა, დედამიწის პირზე. ზოგ მათგანის გარემოება ცოტად თუ ბევრად ცნობილია სამეცნიერო მწერლობაში. სხვათაშორის, ცნობილია **წმ. გრიგოლის, სომეხთა განმანათლებელის, ეკლესიის მხატვრობა**, ეგრედ წოდებული, „ფრესკო“ **ქართული**, ზოგჯერ ბერძნულის და ქართულის წარწერებით. წმ. გრიგოლის ეკლესია ანის ქალაქში ბევრია; წელს თხრამ აღმოაჩინა უდიადესის სივრცით, შესამჩნევის გეგმით ტაძარი სომეხთა მეფის **გაგიკ პირველის** აშენებული, წმ. გრიგოლისვე პირველის აშენებული წმ. გრიგოლისვე სახელზე ქრისტეს შობის აქეთ ათასის წლის დამთავრებისთანავე. ხოლო ჩვენთვის საინტერესო, თავის გარეგან ქანდაკულის მორთულობით, თან კოპწია გუმბეთით, შიგ ფერადი ნახატებით. კეკლუცი ტაძარი წმ. გრიგოლისა განსაკუთრებით ცნობილია სახელწოდებით: „**სურათოვანი ეკლესია**“ (თათრ. ნახმლი ქილისე, სომხ. ნახშუნ ეკელეცი) ანუ „ბერძნული ეკლესია“ (eglise grecque). ორივე სახელწოდება, ცოტა არ იყოს, უცოდინარობაზე არის დამყარებული და ეხლა გარგნივ დამახასიათებლადაც უვარგისი გახლავს. სურათოვნება განსაკუთრებით ამ ეკლესიის დამახასიათებელ კუთვნილებას არ წარმოადგენს.

მხატვრობა ანისის ზოგ სხვა ეკლესიაშიც იპოვება და თან სომხური წარწერით. **ოთხმოცდათორმეტ წელში** აქ აღმოვაჩინე თხრითა პატარა, მაგრამ მშვენიერი, **მხატვრობის მექონი ეკლესია**, აგრეთვე, **წმ. გრიგოლის**. შესამჩნევია, რომ მხატვრობას ამ ამოთხრილ ეკლესიისა წარწერანი **მხოლოდ სომხურ ენაზე ჰქონია** (ნაწყვეტები ეხლაც ინახულება ანისის ნორჩ მუზეუმში). ცხადია, მხატვრობა თავისდათავად იმდენად ხელმოსაჭირავი საბუთი არ არის, რომ მის გამოისობით რომელიმე ანისის ეკლესია ბერძნებს მივასაკუთროთ და არა სომხებს. ამ მხრივ ჩვენდა საინტერესო წმ. გრიგოლის ტაძრის სახელწოდება „**ბერძნული ეკლესია**“, აგრეთვე, უსაფუძვლოა. სახელწოდება „ბერძნული ეკლესია“ იქნება სხვა გზით გამართლდეს ერთ დღეს, სახელდობრ, თუ „ბერძნულ“ სიტყვას ვიგულისხმებთ ეკლესიის პატრონთა **მორწმუნეობის დამახასიათებლად**, ესე იგი **ქალკედონურ მართლმადიდებლობის აღმნიშვნელად**. მაშინ ადვილი გასაგები იქნება არა თუ წმიდა მხატვრობა, რომელიც ყოველ შემთხვევაში **ქალკედონურ მართლმადიდებლობას უფრო შეემგვანება და მიეთვისება**, ვიდრე **სომხურ ეროვნულ ეკლესიას**, წინააღმდეგს ძველად ჩვეულებრივ არა თუ მხოლოდ მოქალკედონეთა, თვით ხატებისაც. ადვილ მისახვედრი შეიქნება ის გარემოებაც, რომ ეკლესიაზე იპოვება **წარწერები სამ ენაზე: ქართულზე, ბერძნულზე დ სომხურზე**, რადგან იმ დროს სომეხთა შორისაც იპოვებოდნენ **ქალკედონურ მართლმადიდებლობის მიმდევარნი**. თვით ამავე ეკლესიის აშენების ვრცელი წარწერა სომხური ენით ერთ საგულისხმო სიტყვას შეიცავს, რომელიც აგრე საეგებოდ წარმოთქმულ აზრს მხარს აძლევს. **ტიგრან ჰონენცი**, წარწერის ავქსონი სწერს, რომ ეგ ეკლესია „**ხატებით შევამკვი**. საგულისხმო აქ ის არის, რომ

ტიგრანი თვით სომხურ დედანში ხმარობს ქართულ სიტყვას „ხატ“. სომხურს, საზოგადოდ, სურათის და თვით ხატის აღსანიშნავად სიტყვა არ აკლია, და თუ მწერალს ქართული, ჩვეულებრივ ეროვნულ ქართული წარწერანი, ისე ჯვარისეული ქვა (სომხურად „ხაჩქარ“ – ს ეტყვიან), იგიც ქართულის წარწერით, დასავლეთის კედელში ჩადგმული, და ეკლესიაში დასაფლავებულთ სამარხი ქვების ქართული წარწერა. ერთგვარად ამავე აზრს ბანს აძლევს, კიდევაც ასულოვნებს მას ის ორი სურათი, რომლის ამზად შეტყობა მკითხველ საზოგადოებისთვის ამ წერილის საბაზს შეადგენს.

ერთი მათგანი უსათუო არის. უწარწეროდაც მხოლოდ ერთი გულისხმიერი შეხედვით კაცი მიხვდება, რომ წმ. ნინოს სურათი უნდა იყოს. ხელნი აღუპყრია ზე, ბაგენი სალამს ან ლოცვას აპირებენ, წარმოთქვან. წინ ეგებებიან დედანი. ასომთავრული წარწერა ქართულ განმარტებას, წმ. ნინოს და დედათა სურათებს უწარწეროდაც ხდის ადვილ გასაგებს. ეგ წმ. ნინოს ძვირფასი სახე, მთელტანოვანი, მეცამეტე საუკუნეში ფერად – ფერად დახატული, თავისდათავად უსასყიდლო განძს წარმოადგენს. სურათი ინახულება მარცხნივ დასავლეთის კარიდან შესვლისას ეკლესიის წინა ნაწილის მარცხენა ფრთის აღმოსავლეთის კედელზე. საინტერესოა თვით ადგილი, რადგან მას წინ მიუძღვის სომეხთა განმანათლებელი გრიგოლის მდიდრად დასურათებული წამება და ცხოვრება. ამ სურათებსაც წმ. გრიგოლის ცხოვრებიდან ქართული ასომთავრული წარწერები ჰმარტავენ. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ქვანიც, კედლის ქვანიც, „მასვე“ ღაღადებენ, ესე იგი მჭიდრო დამოკიდებულებას ქართველების და სომეხების ძველად მათ კულტურულ წინსვლის სასიქადულო ხანებში.

საზოგადოდ, ანის ქალაქი ცოცხალი მოწამეა იმ სინამდვილის, რომ კულტურულ მუშობას ადგილობრივ ძალთა მასში დაუახლოვებია მოწინააღმდეგე ერები, არა თუ ქართველნი და სომეხნი, თვით სპარს – თათრობაც და სომხობაც, საერო წარმატების და განვითარების გზა აღმოუჩენია, განსაცვიფრებელი მოქალაქეობრივი ერთობა შეუქმნია. ანისის შესწავლა უტყუარ, თვით ნივთეულს, უხვ საბუთებს გვაძლევს სათქმელად, რომ თუ ადგილობრივ შინაგანი კულტურულ მუშაობის შეჩერებისა და გაქარწყლების, ადგილობრივ მცხოვრებთა განგებით გაველურებისა. ეს ერთი ჩვენი სასაუბრო სიძველე, ანისეული სურათი წმ. ნინოსი, ეკუთვნის ქართველთა პოლიტიკური წარმატებისას უდიდეს ხანას. მაშინ ქართველთა მეფეები პატრონობდნენ ანის ქალაქს.

სწორედ ქართველების ამ პატრონობის დროს, რაიცა მონგოლების სრულ გაბატონებამდე გაგრძობილა, მაშასადამე, მეცამეტე საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედამდე, ისიც ათას ორას თხუთმეტ წლის შემდეგ, როდესაც ეგ წმ. გრიგოლის ეკლესია აუგია ტიგრან ჰონენცს სომხური წარწერის სიტყვით, სწორედ ვიმეორებ, ამ დროს თამარ მეფის სახე, ცოცხლივ ლეგენდა მოსილი, თვით თანამედროვე შემსხმელ – შემამკობელთაგან გაღმერთებული, უკვე ეროვნულ სასიქადულო გმირად, ეროვნულ იდეალის ხორცს შესხმულ პიროვნებად ბრწყინავდა საქართველოს მკვიდრთა გულში.

მაშინ ქართველობის მიმდევარ შეგნებულ მამულისშვილებს მისი სახელის მიმოფენა, მისი დიდების ქვეყნად განთქმა საერო საღვაწად მიაჩნდათ. უკიდურესი უვიცობაა, თავის პატივისცემის მონებრივი საზიზღი უარყოფაა, ოდეს ზოგ სხვათა მიხედვით თვით ქართველიც, და არა ერთი ჰფიქრობს, ვითომც ქართველებს იმ ძველ დროს მარტო ყაჩაღურად გაბედული მკლავის ძალა და ხრმლის ოსტატური მოხმარება შესწევდათ და მით იმარჯვებდნენ. ასეთი უსამართლო, ყოველ სინამდვილეს მოკლებული, აზრი მხოლოდ ისეთ დაცემულ ერში იჩენს ხოლმე თავსა,

სადაც თვითშეგნება, თავის ცნობისათანავე, ხელოვნურად ჩაყრუებულია და შინაგანის სიბნელისაგან ჭკუა – ცნება, მდიდარი ჭკუა – ცნებაც, თვით განვითარებულიც, მაგრამ გარეგნივ, მექანიური წვრთნით განვითარებული, იძულებულია საკუთარ შიდა თავისუფალ აზროვნებაზე, თავის სულიერ არსებობაზე ხელი აიღოს და მთელი თავისი გამჭრიახობა სხვის ნაღვეს ლექვას მონადომოს.

მეთორმეტე საუკუნეში, თვით მეცამეტის პირველ ნაწილში, საქართველოს საკუთარი ცხოვრების გული ძლიერად ძგერდა და ქართველ ეროვნულ იდეალს, მაშინ თამარ მეფის გაღმერთებულ პიროვნებაში განხორციელებულად მიჩნეულს, თავდადებით იმსახურებდა არა თუ მარტო მკლავს (საკმარისია, საზოგადოდ მოვიგონოთ მაშინდელი საქართველოს საზღვარი და გავლენა), არა თუ მარტო კალამს (სხვა რომ არ ვთქვათ რა, მოვიხსენებ ჩახრუხადესთანა შემსხმელს), თურმე მხატვრის ხელოვნებასაც.

გრიგოლ განმანათლებელის იმავე, აგრეთ წოდებულს, სურათოვან ეკლესიას ანისში მიეკვრის დასავლეთით პორტიკი, სვეტ – კამაროვანი ღია დარბაზი, ახლა ნახევარზე დიდად მეტი ჩამონგრეული. სვეტ – კამაროვანი ღია დარბაზის ჩრდილო – დასავლეთისკუთხესთან, დასავლეთის კედელზე კამარის ზევით, დახატულია მშვენიერი ქალი, გვირგვინოსანი, ვგონებ, უეჭველად თამარ მეფე. აქ არა თუ მარტივი სურათი იპოვება მეფე – ქალისა, აქ გახლავს მთელი კომპოზიცია: დასათურებულია ჩახრუხადის ქებათგან კარგად ცნობილი აზრი, ყოველ არსთა და მხეცთა მორჩილება თამარისადმი და მათგან მისი დიდება. სურათი ხანისაგან და ავადრისა ფერმიხდილია, ზოგან დაზიანებულიც. რამდენიმე საუკუნეა, რომ აწვიმს, ათოვს, და რასაც წვიმა და თოვლი ვერ აგებს, მას ამთავრებს სუსხიანი ზამთრისა და ზაფხულის მზე და მტვრიანი ქარი. მაგრამ ცოტაოდნად დაკვირვების შემდეგ, უმეტეს ნაწილს შინაარსისას კარგად ამჩნევთ.

თითქო ტახტზე, ისე, ნამდვილ ამაზონურად, ზის მეფე ძუ ლომზე („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“). ლომი მიისწრაფის მარცხნისკენ. უკანა ფეხები საშიშ კლანჭებით აქვს ლომს შეიარაღებული. ირგვლივ ქვევით და ზევით თავი მოუყრიათ ოთხფეხ და მფრინველ ცხოველებს. ზოგი მისდევს და მიეტრფის, ზოგი წინ უხვდება ან მიუბრის, ყველა მეფის მაქებელ – მადიდებელია. თამარის მარცხნივ: ლომის წინ: 1) ქვევით კრავი, 2) შუა ადგილს, ლომის პირის დაპირდაპირებით, რაღაც ცეცხლის მფრქვევი საგანი თუ ცხოველი, 3) კიდევ ზევით კუდგაშლილი მფრინველი. ლომის უკან, მეფის მარჯვნივ: 1) ქვევით ზღაპრული რამ მხეცი, მოქნილობით თითქო დათვი, ფეხები კაცის ხელთა მსგავსი, აღმა შეტრიალებული გულით, პირი საქებად ღია, პირიდან გასაოცრად მხილველის გაშლილი კაცის ხელი, თითქო რასმე აწოდებს მეფესა; 2) ზევით თეთრი მფრინველი და 3) კიდევ ზევით ვეშაპი, ისიც მეფისაკენ ქებათა მღაღადებელი.

თვით მეფე წაბლის ან ოქროსფერი თმითა და არა შავით. თავისუფლად შემოსილი, უკეთ ვსთქვათ, სამოსელ წამოსხმული ისე, რომ სამოსლის ზედაპირი მარცხენა მხარის ზევიდან ირგვლივ მარჯვენა ილლიას ქვეშ ჩაკეცილია. მშვენიერი ბროლის ყელი და სპეტაკი მარჯვენა მკლავი სრულიად შიშველია. აგრეთვე, ღიად ჩანს მუხლი, თითქო თავყანისმცემლების საამბორებლად. მეფეს არავითარი წმინდათა ნიშანი არ აქვს; რასაკვირველია, ნათელიც. თავს უმშვენებს მოქარგული ან სპეკალებით შემკული გვირგვინი. მარჯვნივ და მარცხნივ გვირგვინზე ჰკიდია ორ – ორი მარგალიტაცმული ძივი, იქნება სწორედ ის „მარგალიტი წყობილი“, რომელსაც შოთა თავის აწყობილ ლექსებს ადარებს („აქამდი ამზად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“). შიშველ მკლავს მეფისას მშვენიერად უხდება მარტივი სამაჯური. მარცხენა ხელში უჭირავს ჯვარით მოსილი სფერა, ხოლო მარჯვენაში – სკიპტრა. მეფის სახე და საზოგადოდ, სურათი ახლაც ცოცხალს შთაბეჭდილებას ახდენს. მარცხნივ, გვირგვინის დაპირდაპირებით, ქართული ასომთავრული



სწერია: „[...] რის ქბნი: არს (ტექსტი ძველი გაზეთიდან აღარ იკითხება სრულად) და დამახინჯებულიც არის. ვკითხულობ წარწერას აგრე: „თამარის ქებან□(ან ქება□) არს ეს“. მთელი სურათი, დიდია, თამარ მეფის ჩვეულებრივს, ძველ მოშირეთა შორის წარმოთქმული ქება – დიდების გამოხატულებას წარმოადგენს.

ამ ზამთარში ვეცდები, **წმ. ნინოსა და თამარ მეფის** სურათი გამოვსცე. ორივე უკვე გადმოვალბინე შეძლებისამებრ შეუძლებლად ბ – ნ **თოროს თორომანისა**, ძალიან გავარჯიშებულს ანისის ხუროთ – მოძღვრების სიძველეთ შესწავლაში.

**ანისის** ნანგრევები, აგვისტოს 6-ს.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. № 2884.

## ლევ მეტრეველი ქართული სული

ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლე თურმე საკმარისი ყოფილა, რომ მოესწროს ცხოვრების მრავალ და მრავალ სასწაულებრივ გარდაქმნას.

ჩვენ თვალთა წინაშე რამდენჯერ გადაიქროლა დროთა ბრუნვის ქარიშხალმა. გადასწვდა ადამიანიდან – ადამიანს, ქვეყნიდან ქვეყანას. ვის დაჰქროლა საბედისწერო საშინელებათ, ვის მოევლინა ნუგეშინის მცველ სიოდ.

ვის დაუქცია მრავალნი ტაძარნი დიდებისა და იქვე ჰმარხავს მას გავერანებულ ნანგრევთა შორის, ვის კი აღადგენს საუკუნეთა დავიწყებიდან და თავზედ ადგამს მეფურ გვირგვინს ღვთიურ კურთხევით.

რამდენს დაემსხვრა მკვიდროვან ქვით კარზედ აღგებული იმედთა იმედი. რამდენის სასოწარკვეთილ გულში კი აღენთო ცეცხლი აღდგომისა და განახლებისა!

დაუდგომელის სისწრაფითა და სისასტიკით ატრიალდა ბედის ჩარხი და გადასტყორცნის გარემოში ვისკენ – სიმუხთლეს და ვისკენ – წყალობას.

საქართველოს ას ჩვიდმეტ წლოვან ცაზე ნუ თუ უნებლიე სხივი მაინც დაწიალობდა, რომელიც აღგვითქვამდა მის გამოდარებას!

ღრუბელი ღრუბელს ემატებოდა, სიპირქუმე – სიპირქუმეს და ჩვენშიც ჩაილულებოდა ყოველივე რწმენა, რომ გვეხილა ბრწყინვალეობა თავისუფალის მზისა.

მამულიშვილთა გახელებული სიყვარული ერთ საიმედო ნაპერწკალსაც კი ველარა გრძნობდა და სასო – მიხდილთ მხოლოდ ნატვრაში აღმოხდებოდათ სული, ლოცვისაებრ სათქმელ ნატვრაში.

და მომავალის შეუძლებლობით ნუგეშაყრილნი გვერდსა ვუხვევდით ჩვენი წარსული ცხოვრების ღაღადს; მათიანეს ცეცხლმოდებულნი ფურცელნი ვეღარ ანათებდნენ; ჩვენს თვალში და ჩვენს გულში ისადგურებდა უცნაური, ზემონაბერი ურწმუნოება, რომ ჩვენ სამშობლოს თავი მალა არა სჭერია, არა ყოფილა თავისუფალი.

რომ განიშჰვალო წარსული სინამდვილით, უნდა ჰგრძნობდე თავდაუქცერელ ჟინს, მძლეოთა მძლე წყურვილსა და შესაძლებლობას მის განმეორებისას, აღდგენისას, განახლებისას.

მომავალი კი ბნელს გვიქადდა მხოლოდ და ამიტომ წარსულსაც წევდიადის ზეწარი გადაეკვროდა.

მაგრამ მსოფლიო გარდაქმნის ქარტეხილმა ისეთი თავზარი დასცა მშვიდობიანთა სამფლობელოს, ციდან ცაზე ისეთი აწიოკებით დაიწყო ელვა, ისე უღვთოდ მიაღავა – მოაღავა ღრუბელთა მუქარა, აქ რაზმი, რომ იქიდან უნებლიეთ გამობრწყინდა მზე, რომელმაც ნათელი მოჭვინა საქართველოს წამებულ სახეს.

**ზღაპარი, ნატვრა, ოცნება, ლოცვა სინამდვილედ იქცა, სინამდვილედ; ჩვენ თავისუფალნი ვართ, დამოუკიდებელნი, საქართველო ამბობს თავის სიტყვას, ხელში უპყრია თავისი დროშა, თავისი მახვილი.**

მაგრამ სად არის ის სიხარული და ზეაღმაფრენა, რომელსაც კაცი ელოდებოდა მსგავს ნეტარებაზე?

საქართველოს ნორჩ თავისუფლების სარბიელზე ჯერ თითქოს თავისუფლად არ ამომისუნთქია; გულში ჰბორგავს რაღაცა მოუსვენრობა, რაღაც ტკივილი, რაღაც ნაკლი ხელებ გაპყრობით ჰდაღადებს, ჰგოდებს.

და ეს რაღაც არის, რომ ქართველის გულში ჯერ არ დამკვიდრებულა ქართული სული, ქართული სული.

**სამშობლოს სიყვარული განიზომება სამშობლოს ენის სიყვარულით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ენა იყო უფლება აყრილი და შელახული.**

სამშობლოს სიყვარულზე ყველა აღიმაღლებს ხმას, მაგრამ ამ ხმის ამაღლებაში არ მესმის ქართული ენა, დარბაისლური ქართული ენა.

... და სადაც იგი არ მესმის, იქ ვერცა ვგრძნობ ქართულ სულს.

ჩვენ მთავრობას, ჩვენ ჯარს, საზოგადო დაწესებულებათ, ხალხს **სამშობლო ენათ ჯერ ისევ სხვა მიაჩნიათ და არა ქართული.**

ამ რამდენიმე დღის წინედ ერთ სუფრას შემომწკრივებოდნენ ორასამდე კაცი, სადაც მრავლად იყვნენ წარმომადგენელნი მთავრობის პირნი, პარლამენტის წევრები და საზოგადო ასპარეზედ მომუშავენი; **სამი – ოთხი საათის დროს გატარებაში, ერთად ერთი ადამიანის გარდა, იქ ქართული სიტყვა არავის დაუხარჯია.**

მოდი და ამის შემდეგ გული ნუ გეტკინება, ნუ იგრძნობ რაღაცა ნაკლს, რაღაცა კვნესას და წრფელის გრძნობით ნუ აღმოგხდება.

– **ღმერთო მიჰმადლე თავისუფალ ქართველ კაცს ქართული სულიც.**

სახალხო საქმე, 1919 წ. N 550, გვ. 2.

## **ა. მეუნარგია ალი ბეი ელ კებირ**

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი საამაყო მეფე **ერეკლეს** უღმობელი ხმალი მისი უბედური ერის უამრავი მტრების მიმართ იყო აღმართული, სწორედ მაშინ, მისი სამშობლოს ცუდი იღბლისაგან დასჯილი ერთი ქართველის, **ალი ბეის**, ხმალი თავს დასტრიალებდა საქართველოს დიდი მანძილით დაშორებული იმ **ეგვიპტეს** ინტერესებს, რომლის შვილთა მიერ შექმნილი კულტურა საფუძვლად დაედო დღევანდელი კაცობრიობის ცივილიზაციას.

ეგვიპტე და ქართველი – შეიძლება გასაკვირველი მოვლენა იყოს უცხოთათვის, მაგრამ ქართველმა კი კარგად უწყის, რომ მისი ქვეყნის შვილთა საუკეთესო ნაწილის დიდი მხედრული ნიჭი და ღირებულება მის სამშობლოს გარედ დახარჯულა: **ეგვიპტე, ინდოეთი, სპარსეთი, ოსმალეთი, რუსეთი და ვინ მოსთვლის კიდევ სად არ უბრძვიათ ჩვენს თანამემამულეთ?**

**ალი ბეი**, რომელმაც მთელი **ეგვიპტე** დაიპყრო და შემდეგ **სირიასაც** დაეპატრონა, ცნობილი იყო არა მარტო აზიაში, არამედ მისი ომების შვენიერ ეპიზოდებს მთელი ევროპაც ქონდა მოვლილი. ეს ალი რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ჯერჯერობით ვერ გამოვარკვეით, დაიბადა 1728 წელს საქართველოში, სახელდობრ **ახზაზეთში**, და ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდა ოსმალეთში მონად იქმნა გაყიდული. ეს მონა, როგორც ამ ქვეყანაში წესად იყო მიღებული, გაგზავნილ იქმნა იმ დროს ოტომანის ბატონობის ქვეშ მყოფ ეგვიპტის მილიციაში, სადაც მისმა სიმხნევემ და ყოველმხრივმა კარგმა თვისებებმა მას ძლიერ ჩქარა თავისუფლება მოუპოვეს. ამის შემდეგ ალი, ვითარცა ქართველი, პოლიტიკაში ჩაება; მაგრამ, დასაწყისში ბედმა უმტყუნა და მის მოწინააღმდეგეთა გამარჯვებამ მას ეგვიპტის დედაქალაქი **ქაირო** დაატოვებია. **ოსმან – ფაშამ**, დამასკოს ფაშალიდის მაშინდელმა მმართველმა, ყოველგვარი ღონისძიება იხმარა, რომ იგი შეეპყრო და დაესაჯა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

დრო და ხანმა განვლო. ალი ბეის მოწინააღმდეგენი ეგვიპტეში შესუსტდნენ, იბრაჰიმი გარდაიცვალა და ალი ქაიროში დაბრუნდა და აქ ოსმალეთის სულთანისაგან ბეის ხარისხი მიიღო (1757 წ.). ამ შემთხვევამ მას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა, რომ მისი მოსისხლე მტერის ოსმან – ფაშის მიმართ შური ეძია და საამისო სამზადისსაც შეუდგა. ჯერ მან შეჰქმნა 100.000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი, რომელიც ევროპის ყაიდაზე შეაიარაღა და თან სასტიკი დისციპლინა შემოიღო. მის ჯარში მონაწილეობა მიაღებინა იტალიელებს, ბერძნებს, ალბანელებს და რუსებსაც. ბოლოს ოსმალეთს გადაუდგა, **მექა** დაიპყრო, რომელიც აღმოსავლეთ – დასავლეთის საურთიერთო ცენტრად აქცია და ამ წმიდა ქალაქის შერიფს მისი თავიც სულთანათ – მეფედ გამოაცხადებინა თუ არა, მაშინათვე მანიფესტი გამოსცა, რომლითაც ეგვიპტე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა (1763 წ.), ხოლო თავისი თავი კი **სუდან – ეგვიპტეს** მეფეთა – მეფედ, ფარაონების მემკვიდრედ და წმიდა საფლავის განმათავისუფლებლად. ამავე დროს, რომ ომის გამოსაცხადებლად მიზეზი ეშოვა, ხსენებულ მანიფესტში, მისი მტერი ოსმან – ფაშა უდიერად მოიხსენია. შემდეგ მან მოიპოვა სირიაში, მაშინ განთქმული შეიხის, მოხუცი დაჰერის კავშირთან ერთად, რუსეთის, ვენეციის და საბერძნეთის სამხედრო დახმარება. თავის საკუთარ ზარაფხანებში მოსჭრა ფული, რომლის წარწერები ხალხს მოუთხრობდა, რომ ის იყო მპყრობელი ორივე ზღვისა და ხმელეთისა და ორივე წმიდა ქალაქისა ე. ი. **მეწამული** და **ხმელთა შუა ზღვისა, აზია და აფრიკისა, მექა და იერუსალიმისა**.

ოსმალეთი, რომელიც მაშინ **ბალკანეთში რუსეთს** ეომებოდა, ხოლო კავკასიაში **ერეკლე მეფეს**, მოკლებული იყო იმის უნარს, რომ ალის მოქმედების აღსაკვეთად შესაფერი ზომები მიეღო და უძღურის თვალებით შესცქეროდა ამ მისი ყოფილი მოხელის საქციელს, რომელიც ეგვიპტით არ კმაყოფილდებოდა, არამედ ვითომ ოსმან – ფაშის დასასჯელად, მაგრამ სინამდვილეში კი **სირიის** დასაპყრობად, ემზადებოდა.

ასეთი სამხედრო სამზადისით გართული ალი ბეის თავისი კერძო საქმეებიც არ ავიწყდებოდა: ერთხელ, როგორც მაშინ ჩვეულებად იყო, მან თავისი ჰარამხანის დასამშვენებლად **საქართველოდან ლამაზი ქალები ჩამოაყვანა** და მის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ამ უბედურთა შორის თავისი ღვიძლი და ამოიცნო. ალი ატირდა, თავის საყვარელ დას გადაეხვია, გადაჰკოცნა და სასახლეში დიდის მოწიწებით მიიღო. ბოლოს, ასეთ მოულოდნელ გარემოებით ეგვიპტეში მყოფი ქალი ცოლად შერთო მის მიერ გამოზრდილ და მისაებრ მონას ვინმე **მაჰმედს**, რომელიც ამ შემთხვევის გამო „გააკეთილშობილა“, ბეგობა მიანიჭა და სირიაში წასასვლელად გამზადებული ჯარის ერთ – ერთი ხელმძღვანელობაც კი შესთავაზა.

ალი ბეი სალაშქროდ აიყარა 1771 წელს; ჯერ მან დაამარცხა კილიკიის და ალექსის ფაშები, რომელნიც ოსმან – ფაშამ მის საწინააღმდეგოდ გამოგზავნა და შემდეგ თვით სირიის დედაქალაქი დამასკოც დაიპყრო. ამოწყვეტა იქ მყოფი ფაშას ლაშქარი, მაგრამ თვით ოსმან – ფაშა, თუმცა დაჭრილი, ხელიდან მაინც გაუსხლტა. ამრიგად, ალი ბეი ეგვიპტესთან ერთად მთელს სირიასაც დაეპატრონა, ოსმალეთი დაამარცხა. რამოდენიმე ხნის შემდეგ დამპყრობელ თავის სატახტო ქალაქში – ქაიროში – დაბრუნდა, ხოლო ახლად დაკავებული ადგილების გასამაგრებლად, მან თავისი სიძე მაჰმედ ბეი დიდძალი ლაშქარით დასტოვა.

ეს ის დრო იყო, როდესაც ალი ბეის მიზანი მიღწეული ჰქონდა და მისი ავტორიტეტი დღითიდღე მტკიცდებოდა, მაშინ როდესაც მისი მოქიშპე ბანაკი სულს დაფავდა. სწორედ, ასეთ დროს, სრულიად უმიზეზოდ და მაშასადამე, ალი ბეისათვის სრულიად მოულოდნელად, ეს მაჰმედ ბეი თავისი ჯარის ნაწილებით დამასკოდან მოიხსნა და ეგვიპტეში დაბრუნდა. ალი ბეის ლალატის სუნი ეცა, მაგრამ სიძის მიმართ მკაცრ ზომების მიღება მაინც არ მოისურვა, პირიქით, მას წინ მიეგება და მოწიწებით მიესალმა. დამასკოში ისევ ისე ოსმან – ფაშა დაბრუნდა.

ალი ბეიმ ამ მისთვის სამარცხვინო მდგომარეობის გამოსწორება მოისურვა და ამ მიზნით თავი მოუყარა ეგვიპტეს ყველა დიდებულებს, მათ ესაუბრა დამასკოს დაკარგვით შექმნილ მდგომარეობაზე, დაუსურათა მისი ხელმეორედ დაპყრობის აუცილებელი საჭიროება და ბოლოს იქვე ახლო მყოფი მაჰმედ ბეის ექსპედიციის ხელმძღვანელობა უბრძანა. ეს თავხედი ზეზე წამოიჭრა და მოურიდებელი კილოთი დაახლოვებით ასეთი პასუხი გასცა: საჭიროება არ მოითხოვს დამასკოში ხელმეორედ ჯარის გაგზავნას; პირიქით, ჩვენ გვმართებს სირიაში უკვე გაფანტული ლაშქარის უკან გამოწვევა და ოსმალეთთან შემარიგებელი პოლიტიკის წარმოება. დაამთავრა თუ არა თავისი სიტყვა, მაჰმედმა ხელი ხმაღზე დაიდო იმ განზრახვით, რომ ასეთი აშკარა წინააღმდეგობით გაბრაზებულ მეფეს მისთვის რამე არ ევნო. ალიმ ეს მეტიჩარა საქციელი არად ჩააგდო, დარბაისლურად წამოდგა და, თითქო განზრახ, თავის ჰარამხანაში გავიდა. აშკარა გახდა, რომ მის მიერ შვილივით გაზრდილი მაჰმედი ოსმალეთს ჰყავდა მოსყიდული და დამასკოს დაპყრობა სხვას დაავალა. მაჰმედ ბეი კი ზემო ეგვიპტეში გადაიკარგა; აქ მან მომხრეები გაიჩინა, ჯარი შეადგინა და გამაგრდა. ამ შემთხვევით შეწუხებული ალი ბეი უკვე იძულებული შეიქმნა მის წინააღმდეგ ზომები მიეღო და ისმაილ ბეი და კიდევ ერთი ბეის მეაურობით კარგა მოზრდილი ლაშქარი ზემო ეგვიპტეში გაგზავნა. ეს ჯარი მიუახლოვდა თუ არა მეამბოხის ბანაკს, მის ორ სარდალს შორის, ბრძოლის წარმოების თადარიგის ირგვლივ, უთანხმოება ჩამოვარდა და გაბრაზებულ ისმაილს მისი მეგობარი ბეი შემოაკვდა; ამ გარემოების გამო ის თავის ბატონის გულისწყრომას შეუშინდა და ჯარისა და ოფიცერთა დიდი ნაწილით მტრის მხარეზე გადავიდა. ჯარის ის პატარა ნაწილი კი, რომელმაც ალი ბეის მიმართ ერთგულება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი სიმრავლით დაუძლურებული, ისიც იძულებული შეიქმნა მტერს შეერთებოდა.

მეფემ შეიტყო თუ არა საქმის ნამდვილი ვითარება, მისი გამოსწორება თვითონ სცადა, მაგრამ ასეთი უცაბედი მოვლენებით გაძლიერებულმა მეამბოხემ მისი ლაშქარიც დაარბია. დამარცხებული ალი ბეი ქაიროში გამობრუნდა, აკრიფა თავისი ხაზინა, რაც 5 მილიონ ცეხინას უდრიდა, და ამალითურთ სირიაში გაიქცა, სადაც მან შეიხ დაჰერის დახმარებით ისევ ისე ლაშქარი შეადგინა და მაჰმედ ბეის\* საწინააღმდეგოდ ეგვიპტისაკენ დაიძრა. ამ ორი მოქიშპეს მხედრობა ერთმანეთს შეხვდა სალაჰიედში 1773 წლის 30 აპრილს, ხოლო რადგანაც ეს დღე პარასკევი იყო და მაშასადამე, მაჰმადიანთა სალოცავი დღე, მაჰმედმა საბრძოლველად გასვლა არ მოისურვა.

\*ეს მაჰმედ ბეი, აგრეთვე, ცნობილია მაჰმედ ბეი აბუ-დაადის სახელწოდებით.

გაბრაზებულმა ალი ბეიმ კი ამ შემთხვევას ანგარიში არ გაუწია, მტერს დაეჯახა და საშინელი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ ბოლოს უკუგდებული იქმნა და ისე მარჯვედ, რომ მისი ჯარის დიდი ნაწილი და სარდლობა ბრძოლის ველზე დარჩა.

**ალი ბეი** დამარცხდა, მაგრამ გაქცევა არ მოისურვა და რამოდენიმე ერთგულ ბეგებთან ერთად, როგორც დაჭრილი ლომი, ისე იბრძოდა. ბოლოს, როდესაც სასიკვდილოდ დაჭრილი ცხენიდან ის ძირს ჩამოვარდა, მას სწვდა მისი ყოფილი შეგირდი **მურად ბეი** და ხმლით თავში ჭრილობა მიაყენა. იცნო თუ არა მურადმა სისხლსა და მტვერში ამოსვრილი თავისი ბატონი, მყისვე ცხენიდან ჩამოხტა, მის წინ დაიჩოქა, ხელები დაუკოცნა და შენდობა სთხოვა. ასე მოიქცა **ისმაილ ბეი**, რომლის უგუნურმა საქციელმა მაჰმედ ბეის სიძლიერე მოუპოვა. სასიკვდილოდ დაკოდილი სულთანთ მეფე სიძის კარავში წაიყვანეს და როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი გამზრდელი ბატონი, მისი მაზლი ასეთ დღეში იხილა, უნებლიედ შეკრთა, ცრემლები ვერ შეიკავა, მომაკვდავ ალის წინაშე მუხლი მოიყარა, ხელზე აკოცა და შებრალების კილოთი დანაშაულის მიტევება შეევედრა.

ალი ბეის ასეთი ბედი მთელს ეგვიპტეს ელვის სისწრაფით მოედო. მის სანახავად თავი მოიყარეს ქვეყნის ყველა დიდებულებმა. ჯერ კიდევ მისდამი დიდი პატივისცემისა და მორიდების მქონენი, ესენი დაჭრილი ბატონის ირგვლივ გაშემებულნი ფეხზე იდგნენ. რა ეს შეამჩნია სასიკვდილოდ განწირულმა **ალი ბეიმ**, მათ უთხრა:

„დასხედით, ჩემო შვილნო, განსაცდელი, რომელშიდაც მე თქვენ მხედავთ, შემთხვევითი არ არის, არამედ ღვთის განაჩენის აღსრულება“ – ო. თან ცრემლები გადმოუშვა, რასაც თან დაჰყვა დამსწრეთა შორის მწარე ქვითინი და გოდება. დაჭრილი ალი ქაიროში წაიყვანეს და იქ 2 მაისს ჩასული ავადმყოფი მოათავსეს იმ შვენიერ სასახლეში, რომელიც დამშვიდებულ ცხოვრების მომლოდინემ თავის სარეზიდენციოდ თვითონ გააშენებინა, მაგრამ, მიუხედავად მეფის საკადრისი მოვლისა და პატივისცემისა, სისხლიდან დაცლილი ალი ბეი ჭრილობამ იმსხვერპლა 1773 წლის 6 მაისს.

ასეთმა მოულოდნელმა მოვლენებმა ბოლო მოუღეს იმ ალი ბეის, რომელმაც მონობით დაიწყო თავისი კარიერა და **ფატიმიდების იმპერიის** მპყრობელობით დაამთავრა. ეგვიპტეს მთელი ორი საუკუნის განმავლობაში (1382 – 1517 წ. წ.) განაგებდნენ ე. წ. **ჩერქეზთა დინასტიის მამელუკები**, მაგრამ ალის მათთან საერთო არც ჩამომავლობა ჰქონდა და არც სახელმწიფოებრივი მართვა – გამგეობის გაგება და მეთოდი. იგი არ ყოფილა ვულგარული დამპყრობი, არამედ მოევილინა იგი ეგვიპტეს, როგორც ნამდვილი **ეროვნული გმირი**, სადაც მან დაამკვიდრა მშვიდობიანობა, შემოიღო ახალი კანონები და მას შეუქმნა **სახელმწიფო აპარატი**.

მუსულმანურ სარწმუნოებას მისთვის ხელი არ შეუშლია კარგი განწყობილება აღედგინა ქრისტიანებთან, თუმცა ებრაელთა ერთ – ერთ უდიდეს მტრად ითვლებოდა. ის აღმოსავლეთურ ფანატიზმით არ ყოფილა დაბრმავებული, არამედ წარმოადგენდა ევროპიულად ჩამოყალიბებულ სახელმწიფო მმართველს. **ეკატერინე დედოფალთან** ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ დროს ხმელთა შუა ზღვაზე მომქმედ ადმირალი **ორლოვის** და **ვინმე სომეხ იაკობის** საშუალებით. როგორც დავინახეთ, მას კავშირი ჰქონდა, აგრეთვე, **იტალიასთან**, **საბერძნეთთან** და განსაკუთრებით კარგი განწყობილება შეინარჩუნა **საფრანგეთთან**. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის მიერ **ეგვიპტეში** გაგზავნილი ექსპედიციის უმთავრესი მიზეზთაგანი გახლდათ **ალი ბეის** მოლაღატე სიძე, **მაჰმედ ბეი**, რომელმაც ეს სახელმწიფო მტრად გადაიკიდა.

---

\*ეს **მაჰმედ ბეი** არ უნდა აგვერიოს იმ **მაჰმედ ალისთან**, რომელმაც შემდეგ **ალი ბეის** მიერ დაწყებული საქმე გააგრძელა და **ეგვიპტეს** დაეპატრონა (1832-1839 წ.).

წარმოდგენილი იქნებოდა, რომ მას კავშირი არა ჰქონოდა **ერეკლე მეფესთან**, რომელიც მაშინ იმ მტერს ებრძოდა, რომლისადმი უზომო ზიზღი და სიძულვილი ალი ბეის სამარეშიც კი ჩაჰყვა, მაგრამ, საუბედუროდ, ჯერჯერობით მაინც, საამისო წყაროები ვერ აღმოვაჩინეთ.

ალი ბეის უანგარო ღვაწლი და შრომა, მისი ცხოვრება და მის მიერ შექმნილი ლამაზი ისტორიის ფურცლები თუ ეგვიპტეს ეკუთვნის, მის მიერ მოპოვებული დიდება და სახელით უდავო უფლება აქვს იამაყოს იმ **საქართველომაც**, სადაც მან დღის სინათლე პირველად იხილა.

გაზეთი „საქართველოს გუშაგი“ (ეროვნულ – დემოკრატიული პარტიის ორგანო, რედაქტორი სპირიდონ კეღია).N 11 – 12 დეკემბერი, 1934 წ. პარიზი.

### **ვ. ნობაძე ბოლოსიტყვა**

დასრულდა ამ გვარად წიგნი **ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების** შესახებ. არც ისე მოკლე გამოდგა იგი, როგორც მეგონა, ხოლო სიგრძისათვის და განმეორებათათვის შენდობას ვითხოვ.

ამ რვეულთა გამოცემის დროს საგრძნობი დახმარება გამიწია თბილისელმა მოქალაქემ, **ივანე სვიმონის ძე მატინიანმა**. რასაკვირველია, მას მაღლობა მოვახსენე, რაზედაც მან მახვილად მიპასუხა: – როცა **რუსთაველს** საიქიოს შევხვდები, მაღლობა მან მითხრას – **ო!** ჩემი სიტყვის მოგებაც მოკლე იყო: – ვეჭვობ – მეთქი!

როგორც მკითხველისადმი უწყებულებაში აღვნიშნე, ცხადია, ამ ნარკვევით არ ამოიწურება აქ აღძრული საკითხები და გამოძიება უნდა კიდევ გაგრძელდეს, ვინაიდან შეცდომისაგან არავინ დაზღვეული არ არის.

ამ წიგნის რვეულებად დაბეჭდვამ ის შედეგი მაინც გამოიღო, რომ მკითხველნი გამომეხმაურნენ და შექებითაც გამამხნევეს. ვიეთმა მკითხველმა ქებასთან ერთად საყვედური მიმღვნა და ვინაიდან ყველა ასეთ საყვედურს მთლიანად და დასაბუთებულად ჩვენი მეცნიერი და მკვლევარი, **მამა მიქელ თარხნიშვილი** გამოთქვამს, ამიტომ აქ მას ვუპასუხებ და ეს იქნება დანარჩენთათვისაც გასაგონი.

პატივცემული **მიქელ თარხნიშვილი** (რომიდან) მწერს: – „ერთი დიდი თხოვნა მაქვს: დიდად გთხოვ და გემუდარები, ნუ ლანძღავთ თქვენს მოწინააღმდეგეთ, **ვეფხისტყაოსანის** მკვლევართ: ეს ყალბი მქმნელია, ეს უვიცია, ის უგუნური. მოწინააღმდეგის ასეთი გამასპინძლება არავისთვის არის სასარგებლო და საპატიო: არც თქვენთვის, არც მათთვის, ასეთი რამ მარტო შურსა და მტრობას სთესავს. კმარა სთქვათ, ბატონი იქსი სცდება ან ამისი მსგავსი რამ. **უცთომელი ხომ არავინ არის**. „ერარე ჰუმანუმ ესტ“ თქვენი საუკეთესო იარაღი თქვენივე გამარჯვება იქნება, სიმართლისა და ნამდვილის მიგნება“...

მამაო მიქელ, სიტყვა „ლანძღვა“ აქ გადაჭარბებულ გამოთქმად მიმაჩნია. მართალია, ზოგ მკვლევარს ვუწოდე „ყალბის მქმნელი“, „უგუნური“ და „უვიცი“. ამით მე სინამდვილე მხოლოდ შესაფერისი სახელით მოვინათლე. სხვა გვარ არ შეიძლება მოვეპყრა ვტ – ს იმ მკვლევართ, რომელთაც **ვეფხისტყაოსანი** თავის გასართობ და საჩხირკედლო აბუჩად ასაგდებ რამეთ მიაჩნიათ. მე გამწარებული და აღშფოთებული ვარ მხოლოდ იმის გამო, რომ „მკვლევარნი“ ზერელედ, უპასუხისმგებლოდ, ქარაფშუტულად, უვიცად და უდიერად ეპყრობიან და აგონჯებენ ვ, ტყაოსანს. მე ის კი არ მაბრაზებს, რომ ზოგ მკვლევარს ვტ – ის რომელიმე შაირი ვერ გაუგია, ვერ განუმარტავს (არც მე გამეგება ყველა!) ან ცუდად განუმარტავს, – ერთმა ვერ ახსნა რომელიმე

შაირი სწორად, არა უშავს რა, სხვა ვინმე მართლად განმარტავს მას! აღშფოთებული ვარ იმ „მკვლევართა“ წინააღმდეგ, რომელნიც „ყალბის მქმნელობას“ ეწევიან, და ვტ – ში უვიცობისა და სირეგვის გამო თავისი საკუთარი შესწორებითი ლექსები შეაქვთ, ან ახალ სიტყვებს ურთავენ.

თუ ვინმე მკვლევარმა ლექსი ვერ გაიგო, და რადგან მან ვერ გაიგო, ამიტომ მან მის გასაგებად თავისი საკუთარი შესწორება შიგ შეიტანა და ვეფხის ტყაოსნის შაირი დაამახინჯა, დაასახიჩრა.

მიბრძანეთ, მამაო, განა შესაწყნარებელია ის შესწორება, რომელი არა ერთსა და ორს მოუხდენია: სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ უვიცობისა და რეგვენობის გამო! თქვენ სასულიერო პირი ბრძანდებით და ასეთ „მკვლევართა“ შეუნდობთ? – თუგინდ იმ იმედით, რომ სხვა გამოასწორებს ამ „შეცდომას“! მაგრამ მე ასეთი „პატივება“ არ შემიძლია, რადგან ჩემი ყმაწვილობიდანვე ვეფხისტყაოსანს ვსწავლობ და გაგიყვებით მიყვარს იგი. ვით შეყვარებული, ვეღარ ვითმენ იმ უხამსობასა და უმსგავსოებას, სირეგვენს, რომლის მსხვერპლი ვეფხისტყაოსანი გამხდარა. აშკარა უვიცობა და ყალბის – მქმნელობა არაა შესანდობელი და ამის გამო ნუ დამძრახავთ.

სამაგალითოდ აქ მხოლოდ ერთი შაირის „შესწორებას“ გაგაცნობთ.

**ვეფხისტყაოსანის** გამომცემელი და რედაქტორი კონსტანტინე ჭიჭინაძე სწერს: –

„1524. გასწორება შეეხება მეორე სტრიქონს, „რომელსაც ასე კითხულობდენ აქამდე: „ბოლოდ ასე განაცხადნა გონებამან დაფარულნი“. გაუგებარია, თუ რა დაფარული განაცხადა გონებამ, „ან ვისმა გონებამ განაცხადა დაფარული. მთელი „ეს ტაეპი წარმოადგენს ასმათის სიტყვებს ნესტანისადმი, როდესაც ის ქაჯეთის ციხიდან მოიყვანეს ფრიდონისას. ზოგიერთ რედაქტორს, რომ ვერ გაურკვევია ამ სტრიქონის შინაარსი, ისე წარმოუდგენია, თითქოს თვითონ რუსთაველის სიტყვები იყოს ჩართული ასმათის სიტყვებში, მაგრამ არც ეს ყოვლად შეუწყნარებელი საშუალება სპობს გაუგებრობას, ვინაიდან ასმათის გონებას არაფერი დაფარული არა აქვს და არც აქ გაუცხადებია რაიმე დასაფარავი. ყველაფერს არკვევს ერთი გამოცვლილი სიტყვის აღდგენა. რუსთაველს ჰქონია უთუოდ ამ სტრიქონში არა გონებამან, არამედ განგებამან; მთელი სტრიქონი უნდა წავიკითხოთ ასე: ბოლოდ ასრე გააცხადნა განგებამან დაფარულნი (ან დაფარული, როგორც ზოგიერთ ხელნაწერშია). აქ ასმათის აზრი უკვე ნათელია სავსებით: ბოლოს განგებამ ასე გააცხადა, ანუ გამოაჩინა, მის მიერ დაფარული, ესე იგი მთელი ათი წლის განმავლობაში უკვალოდ დაკარგული ნესტან – დარეჯანი“ – ო.

ვტ. კონსტანტინე ჭიჭინაძის გამოცემა. მისი გასწორება, გვერდი 288.

მამასადამე, კ. ჭიჭინაძემ ბრძანა – ეს ლექსი გაუგებარია, ამიტომ მასში შესწორება უნდა შევიტანო! აქ „გონება“ კი არ უნდა იყოს, არამედ „განგება“ – ო.

ვთქვათ, მან ლექსი ვერ გაიგო, მაგრამ რა შუაშია აქ „ვეფხისტყაოსანი“! როგორ თავხედურად და მართლა ბრიყვულად „ასწორებს“ „ვეფხისტყაოსნის“ ამ ლექსს?! აი, მამაო, ასეთ „უპასუხისმგებლო“, ასეთ „უვიც“ დოსტაქარებს ვებრძვი და როგორც თქვენ მწერთ: „ვლანძღავ“.

ვთქვათ: ასმათის სიტყვა ნესტანისადმი გაუგებარია! ვინ შეეხვეწა ჭიჭინაძეს ეს „გაუგებრობა“ საკუთარი „შესწორებით“ გაეგებინებინა ჩვენთვის?

კ. ჭიჭინაძემ ვერ გაიგო იგი, მაგრამ იქნებ სხვა ვინმემ განმარტოს?! არა! მას „შესწორება“ შეაქვს და ვეფხისტყაოსანს ამახინჯებს და სახიჩარ ჰხდის.

თუ ასმათის სიტყვა ნესტანისადმი „გაუგებარია“, როგორღა არის გასაგები: ნესტანის წერილში ტარიელისადმი საჩივარი, რომელიც იმავე თქმას წარმოადგენს? რატომ იქ აღარ გაასწორა და არ გაგვაგებინა?

თავის წიგნში ნესტანი ტარიელის მიმართ სწერს:

„ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და

ჟამმან კრულმან,  
ველარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან,  
ნეტარ არ ქმნას უშენომან გულმან, შენგან  
დალახვრულმან,  
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“ (1295).  
რა „დამალული“ განუცხადა „გონებამან დაფარულმან?

„დამალული“ აქ არის ცნობა ნესტანის ყოფნის შესახებ. ნესტანი ტარიელისათვის იყო „დამალული“, დაკარგული, და ახლა კი ტარიელი გაიგებს ნესტანის არსებობის შესახებ, და ამგვარად მას, ტარიელს. ამ ამბავს „გაუცხადებს გონება დაფარული“.

რა არის ეს „დაფარული გონება“?

ეს ის „გონება“ არის, რომლის შესახებ ასმათი ნესტანს ეუბნება, როდესაც ისინი პირველად ერთმანეთს შეხვდებიან –

„ნესტან – დარეჯან ეხვევის, პირსა აკოცებს პირითა;  
უბრძანა“ „ჩემო, ვაგლახ მე შენცა აგავსე ჭირითა;  
აწ ღმერთმან მოგვცა წყალობა, ვცან მისი არსი ძვირითა;  
მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიხდი რითა!“ (1453)

საპასუხოდ –

ასმათ ჰკადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ – დაზრულნი,  
ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი,  
სიკვდილიცა სიცოცხლეთ მიჩნს, ოდეს გნახენ მხიარულნი,  
სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ – ყმანი მოყვარულნი“ (1453)

პირველ ლექსში ნესტანი ლაპარაკობს „დაფარული გონებისა“ შესახებ, ამ ლექსში კი ასმათი ლაპარაკობს „გონების“ შესახებ. ორივე ერთსა და იმავეს ამბობს: „გონებამ“ გაგიცხადა „დაფარული“-ო; ნესტანის სიტყვით „დაფარულმა გონებამ“ განაცხადა „დამალული“; ხოლო ასმათის სიტყვით: „გონებამან“ გააცხადა „დაფარულნი“. ეს ორივე თქმა ერთსა და იმავეს ეხება: „გონება“-ს.

რა არის ეს „გონება დაფარული“? რა არის ეს „გონება“?

საჭირო არ იყო არც სიბრძნისა და არც ღვთისმეტყველების შესწავლა, რათა ეს ორი ლექსი გასაგები გამხდარიყო!

(იხილეთ ჩემი: **„ვეფხისტყაოსანის ღვთისმეტყველება“**).

არავითარი ეჭვიც კი არ შეიძლება აღიძრას იმის შესახებ, თითქო ეს ორი ლექსი ვინმე გადამწერს დაემახინჯებიოს, და იქ „განგების“ ნაცვლად „გონება“ ჩაეწეროს! ყველა ძველ გადამწერს კარგად, ძალიან კარგად გაეგებოდა, თუ რა არის „გონება“, და ამ სიტყვას „განგებად“ არავინ გადააკეთებდა! ასეთი რამ მხოლოდ **მეოცე საუკუნის უფიცებს** შეუძლიათ მოიმოქმედონ!

მერმე რა ადვილი იყო იმის გამორკვევა, თუ რა არის „გონება“!

ეს მცნება: **„გონება“ თეოლოგიური ფილოსოფიას ეკუთვნის, და, მამაო ჩემო, ვისაც ღვთისმეტყველებაზე სულ მცირეოდენი წარმოდგენა აქვს, მას იოლად გაიგებდა. მაგრამ თეოლოგიას რომ თავი დავანებოთ და სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში ჩავიხედოთ?! ჩვენ იქ შემდეგს წავიკითხავთ:**

**„გონება** არს ხედვა უხორცო და დაუშრომელი „მომვლელი ყოვლისა. სამ სახედ ითქმის გონება: „გონება – ღმერთი, გონება – ანგელოზი, და „გონებაცა ჩვენი, საცნაურ არს მოგონებითა მოსაგონებელით“ – ო.



ამ განმარტების მიხედვით, ვეფხისტყაოსანის ეს ლექსი ძალიან ადვილი გასაგებია, და არც ერთი ეს შაირი არავითარ შესწორებას არ საჭიროებს, „დაფარული გონება“, ნესტანის სიტყვით და „გონება“, ასმათის თქმით, არის ღმერთი, „დაუშრომელი მოვლელი ყოვლისა“, ყოვლისა მცოდნე და ყოველის გამომაცხადებელი.

მხოლოდ უვიცთ და ბრიყვთ შეუძლიათ ასეთი თავხედობა და უდიერობა გამოიჩინონ ვეფხისტყაოსანის მიმართ... თავისი საკუთარი ლექსებით...

კიდევ ერთი შესწორება ყალბის მქნელი რედაქტორის კონსტანტინე ჭიჭინაძისა –

როდესაც ტარიელი ხატაეთს ილაშქრებს, მას ხატაელთა მეფე რამაზ არა ერთჯერ ძღვენს უფხავნის დამშვიდების საბაბით, და ამის გამო ტარიელი ამბობს –

„მე შემომძღვენეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი“...

უვიც რედაქტორს ეს სიტყვა „საშინელი“ არ მოწონებია და მას ასწორებს:

„გასწორება შეეხება პირველი სტრიქონის სარიტმო სიტყვას: „მე შემომძღვენეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი“. სრულიად უადგილოა აქ სიტყვა „საშინელი“. არავითარ საშინელებას ეს ძღვენი არ წარმოადგენდა“ – ო, ბრძანებს კ. ჭიჭინაძე, და იქვე ასაბუთებს – „ეს იქიდან სჩანს, რომ რამოდენიმე ტაეპით ქვემოთ კიდევ არის აღნიშნული რამაზის მიერ კარგი ძღვენის გამოგზავნა ტარიელისათვის: „კვლა უძღვნა ძღვენი მრავალი შესამოსელი ტანისა“ (470). ალბათ რუსთაველის დედანში ეწერა არა „საშინელი“, არამედ „საჩინელი“ ესე იგი გამოჩინებული, შესანიშნავი“ – ო (გვერდი 278 ვტ. – ისა).

კეთილ ინებოს კ. ჭიჭინაძემ და ეს ადგილი მონახოს იმ ოციოდე ხელნაწერში ვტყ., რომელნიც დაგვჩენია! ამ ხელს დავდებ მოსაჭრელად, თუ იგი რომელიმე ხელნაწერში სიტყვისა „საშინელი“ ნაცვლად იპოვნის სიტყვას „საჩინელი“! ალბათ ეწერაო! მამასადაძე, იმ წაწყმედილ გადაწყვერებს გადაუმახინჯებიათ ეს სიტყვა! და აი, კ. ჭიჭინაძე, ვტ. – ის გამომცემელ – რედაქტორი, თავის ვალდებულად რაცხს შესწორება გააკეთოს! დალოცვილის შვილი, ჯერ გარჯილიყო, ეს სიტყვა „საშინელი“ შეესწავლა, და მერმე გადაეწყვიტა მისი მოსპობა?! და მერმე რა ხშირად იხმარება ეს სიტყვა ძველ ქართულ მწერლობაში!

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (მეათე საუკუნე): „ღმრთისა საყდართა საშინელთა“...

იოანე მტბევარის საგალობელში (მეათე საუკუნე): „უცხო არს სახე შობისაი და საშინელ სიმდიდრე შენისა სახიერებისაი“ (ქრისტეო!)...

ჰაბოს მარტვილობაში: „რამეთუ საშინელ და წმიდა არს ყოვლად ძლიერი და საკვირველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისია (ქრისტესი)“...

იოანე ანჩელის გალობაში (მეთორმეტე საუკუნე) „საშინელსა ანჩის ხატსა უგალობ“... „მაცხოვრისა ხატსა საშინელსა“... „სახელი შენი წმიდაი და საშინელი“... „ანჩის ხატო საშინელო“... „მაცხოვრის ხატო საშინელო“... „ხატო საშინელო, სახიერო და მოწყალე“... „ხატო საშინელო“... „ტკბილი, სახიერი და მოწყალე პირი შენი დაატკბე ჩემ ზედა, ხატო საშინელო“... და სხვა ასე მრავალჯერ...

კათოლიკოს არსენ ბულმაისის მის მიერ დაწერილ ქებაში: „მოანიჭე მეფესა ჩვენსა ძღვევაი, ქრისტე ღმრთისა ხატო საშინელო“.

ანჩის ხატის წარწერაში: „ხელ ვყავ საშინელისა მის ხატისა პატივით მოქედად“... „ხატი ესე საშინელი ჩვენ მოსავთა მოგვანიჭა“...

ექვ. თაყაიშვილს მოაქვს წარწერა ერთი ხატისა – „ქრისტე საშინელო და სამების წმიდისა“... (არხეოლ. ეკსკურსი, თბილისი, 1913. გვერდი 93).

„საქართვე. მუზეუმის მოამბე“ – ში დაბეჭდილია ძველი წარწერა: „ყოვლად პატიოსანო და საშინელო ღვთის მშობელო ულხინე სულსა“... (თბილისი, 1926 წ. წიგნი 3. გვ. 118) და სხვა.

„ქართლის ცხოვრება“ – შიც არის ეს სიტყვა „საშინელი“ ნახმარი: „ღმერთო და საშინელო სვეტო ცხოველო, დაიცევ“... (მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება. გვ. 181). და სხვა და სხვა.

რედაქტორ კ. ჭიჭინაძის განმარტების მიხედვით: „საშინელი“ ხატი იქნებოდა საშინელების ხატი, შიშის დამტეხი და ზარის დამცემი – ხატი, ანგელოსი, ქრისტე, ღვთისმშობელი, სვეტიცხოველი და სხვ. თურმე შიშის გამომწვევი და ზარდამცემი ყოფილან! რასაკვირთელია, სიტყვას „საშინელი“ ერთი ძირითადი დედა აზრი აქვს: დიდი, დიდებული და სხვა ამგვარი.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსანის ლექსი –

მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საჭურჭლე საშინელი (422)

ნიშნავს: – ხატათის მეფის რამაზისგან ძღვნად მივიღე საჭურჭლე (განძეულობა) საშინელი ანუ დიდი, დიდებული, შესანიშნავი! და რა უფლება აქვს კონსტ. ჭიჭინაძეს დაასახიჩროს ეს ლექსი, გააყალბოს იგი, როდესაც რვა საუკუნის მანძილზე იგი არავის დაუგონჯებია?! მხოლოდ იმიტომ, რომ გადამწერლებსაც და მკითხველებსაც კარგად ესმოდათ ამ სიტყვისა „საშინელი“ მნიშვნელობა!, რაც დღევანდელ „მკვლევარს“ აღარ გაეგება!

ჩემდამი თქვენს წერილში, მამაო მიქელ, ერთი „შემასწორებლის“ „შესწორებას“ აღნიშნავთ, რომელი თქვენ არ მოგწონებიათ. კადნიერებით წინასწარ მოგახსენებთ, რომ ყველა „შესწორება“, რომელს თქვენ გაცნობიხართ, შეუწყნარებელია და დასაგმობიც...

უვიცობისა, უპასუხისმგებლობის გრძნობისა და ზერელობის შედეგად ვეფხისტყაოსანში არა ერთი და ორი „შესწორება“ შეუტანიათ, – ამ წიგნში მხოლოდ რამდენიმე შაირი აღვნიშნე, რომელიც აქ გასარჩევ საკითხს ეხებოდა, თორემ სხვაც მრავალია და მათ შესახებ თავ თავის ადგილზე იქნება მსჯელობა, და წინასწარ მოვიბოდიშებ, მამაო, თუ ყალბის მქნელთ და აშკარად მყვირალა უვიცთ სასტიკად მოვეპყრობი, მათ თავზე ხელს არ გადავუსვამ, – წინაუკმოდ: „გავლანძღავ“!

ამას ვეფხისტყაოსნის სიყვარული და მეცნიერების ღირსების დაცვა მავალეებს.

ბუენოს აირეს, ივლისი, 1954 წ.

შენიშვნა: სტატიის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, ვ. ნოზაძის ნაშრომთან ერთად,

შემონახული იყო შალვა ვარდიძის კელიაში.

### ვ. ნოზაძე

... ეს ნარკვევი ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველების შესახებ ისეთ ადგილზე დასრულდა, რომ მისი სარჩევის დაბეჭდვისათვის საჭირო გახდა ზედმეტ ფურცელთა დამატება; ამიტომ ვისარგებლე ამ შემთხვევით და მას ოთხი დანართიც მივუმატე.

პირველი დანართი ფერთა იმ სახელთ ეხება, რომელნი სულხან საბა ორბელიანს თავის ჩინებულ ლექსიკონში აქვს მოხსენებული. თუმცა მას ფერთა ანბანზე აქვს ჩამოთვლილი, მაინც ზოგი ფერის სახელი სხვა რომელიმე სიტყვის განმარტებაშია მოქცეული და ანბანს აცილებული. ყველა ასეთი სახელი ანბანზე მოვათავსე.

მეორე დანართი, თვალთა პატიოსანთა, იმ სახელთ ეხება, რომელნი სულხან საბა ორბელიანს აქვს თავის შესანიშნავ ლექსიკონში აღნიშნული.

მესამე დანართი კვიპრელი ეპისკოპოსის ეპიფანეს თხზულებაში მოთავსებულ თვალთა და ფერთა სახელთ ეხება, როგორც ეს ჩამოთვლილი და რუსულადაც აქვს ნათარგმნი **მოსე ჯანაშვილს**, და დაბეჭდილი დღეს იშვიათ და მიუწვდომელ **სზორნიკ მატერიალოვა** – ში. **მეოთხე დანართი** თვალთა პატიოსანთა არაბულ სახელთ ეხება. წინამდებარე ნარკვევში არა ერთჯერ მქონდა აღნიშნული ფრანგი მკვლევარის **კლემან მქულლეს** შრომა, რომელი მან 1868 წელს „**ჟურნალ აზიატიკ**“ – ში დაბეჭდა, ამ მეცნიერს გამორკვეული აქვს არა მარტო არაბულ ნაბეჭდ, არამედ ხელნაწერთა სახელნი თვალთა პატიოსანთა; ოღონდ ყველა სახელი მას არა აქვს ლათინური ასოებით გადმოცემული. ამიტომ ვთხოვე **ქართველ ბერს, მკვლევარსა და მეცნიერს, ჩემ ძველ ნაცნობს, შალვა ვარდიძეს**: ეს არაბულნი სახელნი ქართული გამოთქმით, ჩემთვის მოეწოდებინა. ჩემი თხოვნა მან გადაჭარბებით შემისრულა. აქ მთლიანად ვბეჭდავ მამა შალვა ვარდიძის წერილს, რომელი აღძრულ საკითხს შეეხება. გარჯისათვის მას გულითად მადლობას მოვასხენებ.

დასასრულ მოთავსებულია ჩემი „ბოლოსიტყვა“ და სარჩევი.

**შენიშვნა: ვ. ნოზაძის** ნაშრომის „**ვეფხისტყაოსნის**“ **ფერთა მეტყველება**“ და მასთან დაკავშირებული ბარათები დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. ავტორი ხშირად სტუმრობდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებულ მონასტერს. თვეობით ცხოვრობდა მონასტრის სასტუმროში და სარგებლობდა მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკით.

#### **ქ. რაჭველი (ქრისტეფორე რაჭველიშვილი) მოგზაურობა ანისსა და ერმიადინში გამგზავრება**

შაბათს, საღამოს, 14 ივნისს, ტფილისიდან გაემგზავრა **ერენის** გუბერნიისაკენ ექსკურსია **ანისის** ნანგრევებისა და **ერმიადინის** სანახავად. ექსკურსიაში 36 კაცი იყო, ნახევარი ქალები, ნახევარი – ვაჟები (ამათში 25 ქართველი იყო). მატარებელი გადიოდა 7 საათსა და 10 წუთზე და უკვე ექვს საათზე ბლომად მოგროვილიყვნენ ვაგზალში ექსკურსანტები. როგორც ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში მოხდება ხოლმე, ხუთიოდე კაცმა მაინც დაიგვიანა. სადგურზე ჟივილ – ხივილი იდგა, აქეთ – იქით სირბილი, ფაცური და მრავალჯერ წარმოითქვა: „დასხედით, დასხედით“. ბოლოს თითქმის ყველანი შევიკრიბენით და მატარებელიც დაიძრა.

ზემოური გახლავართ და უნდა მოგახსენოთ, აქეთკენ სულ არა ვყოფილიყავი. ძალიანაც მახარებდა ეს მგზავრობა. გზაში ამხანაგს ვეუბნებოდი, აქეთ ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, არც კი ვიცი, **ნავთლულსა** და **წმ. ბარბარეს ეკლესიას** იქით, ზღვაა თუ ხმელეთი მეთქი. ამხანაგიც არა ყოფილიყო აქეთკენ და ხუმრობითვე მიპასუხა:

– **სადახლომდე ხმელეთია**, მერე კი ზღვა უნდა იყვესო. იმასაც მხოლოდ სადახლო ენახა.

მოგზაურები გზაში ძალიან მხიარულობდნენ. არც გასაკვირველია, თითქმის ყველანი ახალგაზდანი ვიყავით. განსაკუთრებით კარგად ისინი გრძნობდნენ თავს, ვისთვისაც ამგვარი მოგზაურობა ახალი ხილი არა ყოფილა და შესაჩვევი იყო. ზოგიერთნი კი ვერ შეჩვეულიყვნენ ექსკურსიას, საერთო მხიარულებასა და ბაასში მონაწილეობას ვერ ღებულობდნენ, განზე, კუთხეში მიმსხადრიყვნენ და ამ „სოციალისტ – კომუნისტა“ წესწყობილებაში ძალაუნებურად „გაინდივიდუალისტებულიყვნენ“. **ტფილისიდან** წასვლის დროს ჩქარა შებინდდა. ამიტომ აქედან ბევრი რამ დაგვრჩა უნახავი. ეს ნაკლი იქიდან ჩამოსვლის დროს შევავსეთ; ის ადგილები, წინედ ღამე რომ გავიარეთ, დღისით გამოვიარეთ.

**ტვილისის** მიდამოები სილამაზესა და კეკლუცობას ვერ დაიკვებებს, მაგრამ **ერევნისაკენ** უარესი ყოფილა. სადგ. **სოღანლულიდან კარაკლისამდე** და ცოტა იქითაც, ბუნება მშვენიერია, მატარებელი კლდეთა შუა მიჰქროლავს და მიდამოებიც ტყითაა შემოსილი. ეს ნაწილი გზისა ოდნავ **ბორჯომის** ხეობასაც მოაგონებს ადამიანს თავის სილამაზითა. გასცდებით თუ არა კარაკლისს, იწყება საშინელი გზა: მთელი რვა-ცხრა საათის განმავლობაში კაცს ხისა და მცენარეულების დანახვა მოენატრება. იყურება მოგზაური ერთ მხარეს: თვალუწვდენელი მინდვრისა, ხრიოკი ადგილებისა, ქვისა და კლდეებს გარდა, ვერაფერს დაინახავს. მიიხედავს მეორე მხარესდა ისეთივე სურათია – ხრიოკ – უდაბური ადგილები. ბოლოს მოსწყინდება ერთფერობა და აღარც მიჰხედავს.

შორს, სადღაც სოფლები მოსჩანს. მგონია, მთელი ერევნის გუბერნია რო გადაატრიალოთ, ზოგიერთ სადგურს გარდა, ფიცრის შენობას ვერსად შეხვდებით. ქვა და ქვა! კლდე, სახლები, გალავანი – ყველაფერი ქვისაა! ზოგან გომურებსა და ალიზის სახლებსაც შეხვდებით, მაგრამ საერთოდ ყველგან ქვა გამეფებულია. ზოგიერთი სოფელი, შორიდან შეხედვით, სასაფლაოს მიაგვს. ეტყობათ, ძალიან ახლო – ახლო მოსახლეობენ. სახლები ბანიანია. ერთი სახლი არ შემიმჩნევია უბანო. აქაურები ძალიან უნდა იყვნენ ტყეს მონატრებულნი. რასაკვირველია, არც შემა აქვთ და მის მაგივრად ნეხვს და წივას ხმარობენ ცეცხლისათვის. **აქაური ბუნება ადამიანს ზღაპრად გაგონილ უდაბნოს მოაგონებს.** ყანაც ძალიან დაბალი იზრდება და ფეტვი, ზოგან იონჯას არ ასცილებია.

ასეთია საერთო შთაბეჭდილება იმ ქვეყნისა, რომელიც ოდესღაც **სომხეთის** ერთ ნაწილს შეადგენდა. ეხლაც, **ერევნის** გუბერნია, მგონი, ერთადერთი მხარეა, სადაც სომხები ბლომად არიან – 53 პროცენტამდე. თათრებიც ბევრი არიან და მცხოვრებთა 38% ისინი შეადგენენ.

გზაში საგულისხმო სადგური არსად შეგვხვდებოდა. ბოლოს შორით **გუმბრიც** გამოჩნდა. მატარებელმა ჩრდილოეთით შემოუარა და ბოლოს თვით გუმბრს მივადექით. იმდენი დრო არა გვქონია, აქ ვაგჩერებულიყავით და ქალაქი დაგვეთვალიერებინა. ვაგზალი ქალაქზე მოშორებითაა. შორიდან კი იგივე ბანიანი, დაბალი ქვითკირის სახლები მოსჩანდა და ზოგან ხეებსაც ამოეყო თავი. მადლობა ღმერთსა – მეთქი და ურწმუნომ კინალამ პირჯვარი გადავიწერე.

შაბათს საღამოს წასულნი, **ანისის** სადგურზე კვირას, დილის მეცხრე საათზე ვიყავით. გადაწყვეტილი გვქონდა, იმ დღეს **ანისის ნანგრევები** დაგვეთვალიერებინა და ღამის ორი საათის მატარებლით **ეჩმიადინს** წავსულიყავით. სადგურიდან ანისის ნანგრევებამდე კარგა მანძილია. თვითონ სადგური ძალიან პატარაა და მოუწყობელი. ღამის გასათევად საკმაო ოთახები არ არის და თქვენი უმორჩილესი მონა იძულებული იყო უცხო მოყმესავით ღამე ეთია. ისე გასჭირდა საქმე, უბრალოდ მისაწოლი ადგილი ვერ ვიშოვნე და ერთი საათის განმავლობაში მისაყუდებელ კიბეზე გვეძინა ორ ადამიანს. ნეკნების დამტვრევის გამო ანგარიში უნდა წარგვედგინა სადგურის უფროსისათვის, მაგრამ შევიბრალებთ და სიჩუმე ვარჩიეთ. **ანისის** სადგურთან ერთი სომხის დუქანია. ეს სასტუმროც არის, სასადილოც; დიდხანს მსჯელობა არ დაგვჭირვებია, 20 წუთის შემდეგ უკვე ანისის ნაქალაქევის გზას ვადექით. წინდაწინვე შეგვატყობინეს, შეიძლება ვერა იშოვნოთ – რა იქა და სანოვაგე წამოიღეთო. მართლაც, უმეტესობა ასე მოქცეულიყო.

გზად მაინც მოგვიხდა აქაური მასპინძლობის გაცნობა. სადგურიდან გავედით დილის ცხრის ნახევარზე და სულ სიცხე – პაპანაქებაში მივდიოდით. გზაზე სომხის ერთი სოფელი შეგხვდა – **ხარკოვი**. ძალიან გაგვაკვირვა ამისთანა სახელმა და გამოკითხვის დროს შემდეგი გამოიკვია: იმ წინა დროებში კავკასიის მთავარმართებელს **გოლიცინს** აქაურ სომხების ხარკოვის გუბერნიაში გადასახლება მოუწადინებია. გადასახლება ვეღარ მოხერხებულა, სომხები დასახლებულან ანისს

ახლო. ალბათ, „ხარკოვი“ მოსწონებიათ და სოფლისთვისაც ეს სახელი დაურქმევიათ. აქ ერთ დუქანთან მოვგროვდით, სიცხემ მოგვაწყურა და „ხარკოვის“ ლიმონადიც გიახელით. „ლიმონადი“ ერქვა წყალსა და შაქრის შეზავებას, მაგრამ წყურვილი თავისას მოითხოვდა. სომეხი მედუქნე გირვანქა ლავაშს ჯერ შაურად ჰყიდდა; რომ გაიგო, ბევრი უნდათო, ხელად გააშვიდკაპიკა. ერთობა გამოვიჩინეთ და ბოიკოტი გამოვუცხადეთ. მაშინ კი იკადრა, ისევ ძველ ფასად გაყიდვა. პატარა ბავშვები გაკვირვებით შემოგვცქეროდნენ უჩვევ სტუმრებსა.

**ანისს** მისასვლელად უეჭველად უნდა გადალახოთ მდ. **არფაჩაი**. იგი ძლიერ ვიწრო კალაპოტში მომწყვდეულა და ამიტომ ღრმა არის. ერთ ადგილას რაღაც **ნოეს კიდობნის** მსგავსი ნავი იყო და სულზე თითო შაური გამოგვართვა გადასვლაში. როგორც იყო გადავედით მეორე მხარეს. **მდ. არფაჩაი** ძლიერ მღვრივია; ზოგან ძლიერ მდორედ, უხმოდ მიდის, ზოგან ღრიალებს.

აქედან ანისამდე ძლიერ კლდოვანი, ქვიანი ადგილებია. მთელი გზის განმავლობაში ერთი წყარო არ შეგვხვედრია და წყურვილით ვიხოცებოდით. ბოლოს ანისსაც მივაღწიეთ.

გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1919 წ., № 653

**ქ. რაჭველი**  
**მოგზაურობა ანისსა და ერშიაზინში**  
**გამგზავრება**  
**(დასასრული)**  
**ანისის ნანგრევები**

შორიდანვე სჩანდა დიდებული ნანგრევები. კედელი ნაქალაქევისა წითელი ქვით არის ნაგები და საკვირველი სიმკვიდრით დაცული, თითქოს გუშინ აუშენებიათ და არა 6 – 7 სი წლის წინადაო. შევედით ანისში და ბარგი – ბარხანა „არქიმანდრიტს“ დავუტოვეთ. სწორედ კარგს დროს მივსულიყავით, რადგანაც **პროფ. მარი** იქ იყო. **ბ – მმა მარმა** თავისი მოწაფე გაგვაცოლა და იმან დაგვათვალაიერებინა ნაქალაქევი. ბევრი, ძალიან ბევრი შენობაა ანისში ისეთი, რომ ეხლანდელს არ ჩამოუვარდება, განათლებულს ადამიანსაც გააკვირვებს. რაცა ვნახეთ და მოვისმინეთ, ყველაფრის გადმოცემა შეუძლებელია. შეუძლებელია აღწერა იმ მშვენიერ, მკვიდრ და სულ თლილი ქვით აშენებულ პალატა სასახლე – ეკლესიებისა, ანისში ყოველ ნაბიჯზე რომ შეხვდება ადამიანსა. უყურებ ამ ქალაქს და გაკვირვებასა ხარ: ნუთუ ასეთ შენობათა აგების უნარი ჰქონიათ მე – X – XII საუკუნეში აქ მცხოვრებთაო. ცალკე ეკლესიათა აღწერას ვერ ვიკისრებ.. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ შენობათა უმეტესობა მე – X – XI საუკუნეს უფრო ეკუთვნის. არის **ქართული** ტაძრებიცა. უმეტესობა კი სომხებისაა.

ამ საქმეში დილეტანტი ვარ მეთქი რომა ვსთქვა, გადამეტებული თავის ქება იქნებოდა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც მოგახსენებთ. ეკლესიათა უმრავლესობას გარეგანი მხარე ლამაზი ვერა აქვს. ეტყობა, შიგნით **მსატვრობა მდიდრული** ყოფილა, თუმცა ჟამთა ვითარებას წარუშლია მისი კვალი. ეკლესიათა რიცხვი, როგორც მოვიხსენიე, ძალიან დიდია. ყველაზე ძველი ეკლესია გაშენებულია ნაქალაქევის ზემო ნაწილში და პირდაპირ გადაჰყურებს **მდ. არფაჩაის**. ეს გახლავთ სასახლის, ანუ კარის ეკლესია, აშენებული **622** წ. აქვე არის ციხე **მიჯნა – ბერდი**, სადაც ძველი აბანოების ნანგრევები დაცულია. ეკლესიებს გარედან ისეთი მდიდარი და წმინდად ნამუშევარი ჩუქურთმები არა აქვს, როგორც ქართული ეკლესიებისათვის შემიმჩნევია. გარდა ამისა, რაღაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ძლიერ ფართო გუმბათები. საქართველოს ეკლესიათა გუმბათებს, თაღები რომა აქვთ დატანებული, ჩუქურთმებით არის მოჭედილი. აქ მხოლოდ ზემოთა ნაწილი

არის ჩუქურთმიანი. ქართული ეკლესია კი განსხვავდება და ჩუქურთმაცა აქვს. არის მრგვალი ეკლესიებიცა.

თითქმის სამი საათის განმავლობაში ვათვალიერებდით ანისის ნანგრევებს, ვნახეთ, აგრედ-ვე, **გაგიკის ტაძარი**.

მეოთხე საათი იყო, როდესაც ყველანი **პროფ. მარის** ბინასთან შევიკრიბეთ. გამობრძანდა თვით პროფესორიც. იგი სადად იყო ჩაცმული და ვერავინ შეატყობდა, რომ სახელგანთქმულ მეცნიერს ჰხედავდა. მაღალ – მაღალი ადამიანია; მის სანდომიან სახეს შეერთებულა **აღმოსავლეთელი და ინგლისელი**. მოვიდა თუ არა, დიდ ხანს არ დაუყოვნებია, ანისის მუზეუმთან მიგვიყვანა. ეს მუზეუმი ახლად არის აშენებული და ორთავე მხარეს, წინ, არაბული და ქართული წარწერიანი ქვები აქვს დატანებული. პატივსაცემმა პროფ. მარმა დაიწყო ახსნა – განმარტება: ტკბილად, მშვენივრად საუბრობდა. ლაპარაკი ყველასთვის ადვილად გასაგები და სადა იყო.

ვიდრე პატივსაცემ პროფესორის ნათქვამს გადმოგვცემდით, ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ. **ანისი** ძველი სომხეთის დედაქალაქი იყო. ჯერ მეხუთე საუკუნეში ქრ. შ. აქ პატარა ციხე – სიმაგრე ყოფილა. მერვე საუკუნეში სომხის **ბაგრატიებს** ანისი აურჩევიათ სატახტო ქალაქად. ანისი ძლიერ გადიდებულა და გამშვენიერებულა მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც **ბიზანტიის მეფეს** – **კონსტანტინეს** დაუპყრია. ამბობენ, მაშინ ანისში 100 ათასი მცხოვრები ყოფილა და 1000 ეკლესია ჰქონიაო. შემდეგ ანისი ხან **ქურთების** ხელში ყოფილა, ხან **სელჯუკებისა**. მეთორმეტე საუკუნეში ქართველებმა რამდენიმეჯერ წაართვეს ანისი თურქებსა. **ანისი დიდხანს საქართველოსაც ემორჩილებოდა. მონგოლებმა** მეცამეტე საუკუნეში მთლად მოსრეს და გაანადგურეს ანისი. აქედან იწყება თანდათან მისი დაცემა.

**პროფ. მარმა** გვიჩვენა ქართული წარწერა, რომელიც მცხეთის კათალიკოსის **ეპიფანეს დროს ეკუთვნის. 1218 წ. ეპიფანე ანისში ჩასულა, რადგან აქაურთა ეკლესიაც საქართველოსაც ემორჩილებოდა.** ეპიფანეს ნდომებია მცხოვრებთა და სამღვდელოების მორიგება. უთანხმოება ჰქონიათ დრამის ფულის ნიადაგზე. ასე რომ, ამას წინად საქართველოში მოძრაობის დროს დრამის ფულს რომ ხშირად იხსენიებდნენ, ახალი არა ყოფილა, წინადაც არსებულა მაგისტანა უთანხმოებაო, დასძინა ბატონმა მარმა. ეპიფანეს გაურიგებია ეს საქმე. ამ წარწერას ბოლოს ხელს აწერს ანისის ქალაქის უფროსი. ეტყობა ანისს შინაურ საქმეში ავტონომია ჰქონია მინიჭებულიო.

შევედით მუზეუმში. ბევრი რამ ყურადსაღები გავშინჯეთ და პროფესორი **ნ. მარი** ერთ საათზე მეტს გვესაუბრა. მან აღნიშნა: ანისის შესწავლასა და გამოკვლევას მარტოდენ ადგილობრივი ხასიათი როდი აქვს, **საკაცობრიო მნიშვნელობა აქვსო.** მაგალითად, დაასახელა სიტყვა „**ჰასინჯუ**“, რომელიც აქაურ წარწერებში შეხვედრიათ და გაუგიათ კიდეც მისი მნიშვნელობა. „**ჰასინჯუ**“ – არაბულად ნიშნავს „თვითმართველობასაო“ და წესწყობილების მთელ სისტემას გვაცნობსო. მუზეუმში აუარებელი მასალა არის.

ამ მუზეუმის დათვალიერების შემდეგ წავედით მეორე მუზეუმში. ეს უფრო ძველია. იგი მოთავსებულია ძველისძველ შეკეთებულ მეჩეთის შენობაში, რომელიც ნაპრალთან გაუშენებიათ და მდინარე **არფაჩის** გადაწყურებს.

აქაც ძალიან ბევრი საგულისხმო გვითხრა ბატონმა **მარმა**. გვიჩვენა რამდენიმე ძველი ფული. **ფული სულ ქართული, არაბული და ბერძნული იყო. ჯერჯერობით ერთი სომხური ფულიც ვერ აღმოუჩენიათ.** ეტყობა აქ ფულს არა სჭრიდნენ. ბატონმა მარმა აღნიშნა, ანისის გაძლიერება მაშინ დაიწყო, როდესაც სხვის ხელში გადავიდაო, ე.ი. ბიზანტიელებისა და ქართველების ხელშიო. ჰკითხეს, მართალი არის თუ არა, რომ ასი ათასი მცხოვრები ყოფილა მე – XII საუკუნეში აქაო? რასაკვირველია, ასი ათასი მილიონზე ნაკლებია, იხუმრა მან... მაგრამ მაინც გადაჭარბებული

უნდა იყვესო. შემდეგ ბატონი მარი შეეხო ანისის დაცემის მიზეზებს. მიწის ძვრა, მცხოვრებთა ამოხოცვა სულ ლეგენდებია. საშუალო საუკუნეებში აქ სავაჭრო გზა გადიოდა. ამიტომ ქალაქი გაძლიერდა. შემდეგ გზა გაუქმდა და ქალაქი დაეცა, გაუქმდაო. ამნაირად ანისის დაცემის მიზეზი საეკონომიო ხასიათისა ყოფილაო.

სომხის ისტორიკოსებს ძალიან ცოტა უწერიათ ანისის თაობაზე. ქართველი და ბერძნის მატთანე უფრო მეტს გვეუბნებაო. ამის გამო ბატონი მარის მოწაფემ გადმოგვცა მარისავე სიტყვები: **სომხის ისტორიკოსებს ისტორია ცხოვრებისათვის ზურგშექცეულებს უწერიათო.**

სხვათა შორის ბატონმა მარმა გვიჩვენა **სპარსეთის გერბი, ქვაზე გამოსახული ლომი.** გვიამბო ლეგენდა ამ გერბის გაჩენის შესახებ: ერთ სპარსელს თუ სელჯუკს შეჰყვარებია ქართველი ქალი. ძლიერი სიყვარულის აღსანიშნავად ასეთი სურათი გაუკეთებია: **თავისი თავი ლომად გამოუსახავს და საყვარელი არსება მზედ.**

ბატონ მარს განმარტებისა და საუბრისათვის მაღლობა გადავუხადეთ და წამოსასვლელად განვემზადენით. ვისადილეთ.

ერთი ამბავი შეგვემთხვა. სადილს ხუთ მანეთად გავურიგდით და რომ გავათავეთ, ათი მანეთის ანგარიში წარმოგვიდგინეს: თურმე უბრალო წყალიც ეანგარიშნათ.

სადამოს შვიდ საათზე ანისიდან დავბრუნდით. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო და ნელ – ნელა მოვდიოდით. მდ. **არფაჩის** რომ მივუახლოვდით, სოფლის პატარა ბიჭები დაგვიხვდნენ, საქონელს მოერეკებოდნენ და რაღაცას მღეროდნენ. საკვირველია, სრულიად არ ჰგვანებია ჩვენი გლეხის ბიჭების სიმღერასა. **აღმოსავლეთის სიტკბო – სინაზე კი ეტყობოდა,** მაგრამ ამისთანა განსხვავებამ მაინც ძალიან გამაკვირვა.

იმ ღამეს **ეჩმიაძინს** წასვლა ველარ მოვახერხეთ და სადგურზე დავრჩით. მეორე დილის რვა საათზე ეჩმიაძინს გავემგზავრეთ. აქეთკენ ცოტა მწვანეს დაინახავს რასმე ადამიანი, განსაკუთრებით თვით **ეჩმიაძინში.**

დილის თორმეტის ნახევარზე ეჩმიაძინის სადგურზე ვიყავით. დავაპირეთ ეჩმიაძინს ეტლით გამგზავრება, რადგან ძალიან დაღლილი ვიყავით წინა დღის მოგზაურობითა. მეეტლეებმა რომ შეგვატყვეს გაჭირვება, ერთი ორად მოგვთხოვეს. აქაც ერთობა გამოვიჩინეთ და ბოიკოტი გამოვაცხადეთ. ბოლოს თითონ წამოგვეწივნენ გზაზე და თითქმის ყველანი ეტლებით გავემგზავრეთ.

**ვაგარშაპატი** თათრებითა დასახლებული და მხოლოდ ზემო ნაწილში არიან სომხები. გზაში თათრის ბავშვები გვხვდებოდნენ. ერთგან რამდენიმე შეგხვდა, ზოგი წყალში ბანაობდა, ზოგი იქვე იდგა შიშველი, სრულიად არ შერცხვენიათ და პირდაპირ გვიყურებდნენ, თითქმის არავინ დამალულა.

როგორც იყო, **ეჩმიაძინის მონასტერს მივედით:** ასე ნაშუადღევს ორი საათი იქნებოდა. სომხის კათალიკოსი იქ არა ყოფილა და მისი მოადგილე კი ვნახეთ. მონასტერში ძალიან კარგად გაგვიმასპინძლდნენ და ორმოცამდე კაცს სადილი მოგვართვეს. სადილამდე კარ – მიდამო დავათვალიერეთ.

ბევრი რამ არის ყურადღების ღირსი. ვნახეთ **წმ. გაიანეს ტაძარი,** მეოთხე საუკუნეში აშენებული. დავათვალიერეთ თვით მთავარი ტაძარი. მშვენიერი სანახავია. ეს ტაძარი სხვებში გამოირჩევა და გარედანაც ძალიან გალამაზებულია ჩუქურთმებითა. შიგნითაც ძალიან მოწყობილია. ამბიონი წმინდა მარმარილოსია. აუარებელი საუნჯე ინახება ამ ტაძარში, აუარებელი სიმდიდრე მოუგროვებიათ. არქიმანდრიტი მწუხარებით მოგვითხრობდა: აქ ძალიან კარგი

მხატვრობა იყო, მაგრამ კათალიკოსმა **ხრმინმა** გააღესინა თეთრად, ვითომ შეაკეთებინაო. ვნახეთ წმ. გაიანეს საფლავიც.

შემდეგ სადილად მიგვიწვიეს. არქიმანდრიტმა სალამი გვიძღვნა და სიტყვა წარმოსთქვა. სომხურად ლაპარაკობდა და ამიტომ თარჯიმანი დაგვჭირდა. სთქვა:

– ქართველობა და სომხობა ყოველთვის ერთად ყოფილან, კავშირი და ძმობა ჰქონიათო. როგორც არაქსი და მტკვარი ერთმანეთს არა ჰშორდება და ბოლოს ერთდება, ისე ქართველობა და სომხობა ერთმანეთის ძმობა – მეგობრობას ვერ დასთმობსო.

ექსკურსანტების სახელით უპასუხა ბ – მა ილია ნაკაშიძემ. აღნიშნა:

– ეგ მეგობრობა წინადაც ყოფილა, ისტორიაც გვემოწმება და ანისის ნანგრევებიც გვიჩვენებს, რადგან ქართველებისა და სომხების ეკლესიები არეულია ერთმანეთშიო.

ქართველებისა და სომხების ერთობისა და მთლად კავკასიის ერთა კავშირის სადღეგრძელო დავლიეთ და წამოსასვლელად განვეძმადენით.

თითქმის ყველგან სურათი გადავიღეთ.

ეჩმიაძინიდან მშვენივრად მოსჩანს არარატის მთა. მზიანი დღე იყო და მწვერვალზე სჩანდა, სულ თოვლით შემოსილი. მწვერვალს მაინც ეხვია გამსჭირვალე ღრუბელი და ეს უფრო ამშვენებდა სურათსა.

ნაწილი ექსკურსიისა ეჩმიაძინში დარჩა და მხოლოდ ჩვიდმეტი კაციღა წამოვედით უკან. დარჩენილები აპირებდნენ ეჩმიაძინის საფუძვლიანად დათვალიერებას და ერევნისაკენ გამგზავრებას. ჩვენ კი საამისო დრო არ გვქონია და ორშაბათს საღამოს რვა საათზე გამოვემგზავრეთ.

ყველანი ძალიან კმაყოფილნი იყვნენ მოგზაურობისა. თუმცა დაღალულიყვნენ, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობდნენ. ტფილისს რო მოგუახლოვდით, პირველი საათი იყო. ჩამოვედით ტფილისსა და მხიარულთა და კმაყოფილთ თავ – თავიანთ სახლს მივაშურეთ.

გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1912 წ. № 654.

### **გ. რცხილაძე ოსმალეთის საქართველო (მემორანდუმი)**

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს სტამბოლში გ. რცხილაძეს, წარუდგენია მემორანდუმი იმ საერთაშორისო კომისიის ამერიკულ სექციის უფროსისათვის, რომელიც მანდატებით არის ოსმალეთზე აღჭურვილი. მემორანდუმი შეეხება ოსმალეთის საქართველოს, ჭანეთ ლაზისტანს და თორთუმ – ისპირს და გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეს მხარე არ არის აღნიშნული, როგორც ქართველთა ტომის მოსახლეობის მხარე, იმ გამოკვლევებში, რომელიც მოხდა ამერიკის სექციის უფროსის თავმჯდომარეობით და რომელსაც მიზნად აქვს, რომ ევროპა – ამერიკას გააცნოს მახლობელი აღმოსავლეთის აწინდელი ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება. მემორანდუმი აღნიშნავს, რომ დასახელებული მხარეები საქართველოს დვიძლი ნაწილებია, მხოლოდ სხვადასხვა დროს მოგლეჯილი მის ტანისაგან ოსმალეთის მიერ, რომელიც დედასამშობლო – საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ.

მემორანდუმის ტექსტი შემდეგია:

ამერიკის სექციის უფროსს,  
თქვენო აღმატებულებავ!



თქვენი გამოჩენილი თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას, როგორც სჩანს, დაუმთავრებია ადგილობრივი შესწავლა იმ საკითხებისა, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთს შეეხება და ეხლა შესდგომია იმ დასკვნათა ერთმანეთთან შეთანხმებას, რომელიც უნდა იქმნას გამოტანილი დაგროვილი მასალებიდან.

იმ ცნობის მიხედვით, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში **სტამბოლის** პრესამ გამოაქვეყნა, სექციას დაწვრილებით განუხილავს **ოსმალეთის** იმპერიის ყველა ნაწილი; თუ არ ვსცდები, ოსმალეთის ერთი კუთხე მხედველობის გარეშე დარჩენილა, **სახელდობრ ორი სანჯაყი: ჭანეთი და ლაზისტანი და არზრუმის ვილაიეთის ჩრდილო დასავლეთი მხარე: ისპირი და თორთუმი**, რომელთა მოსახლეობა თითქმის სავსებით **მუსლიმან ქართველობისგან** შესდგება. ეს მხარეები საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის ღრმა რწმენით, უხსოვარ დროიდან, ინტეგრალურ საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. ამისთვის ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოკლედ მოვახსენო თქვენს აღმატებულებას ამ ტერიტორიის შესახებ შემდეგი რამდენიმე ცნობა:

1. **ჭანეთი და ლაზისტანი, ისპირი და თორთუმი** უხსოვარ დროიდან დასახლებული იყო ქართველთა რასის ერთი ჯგუფისაგან. რომელიც ისტორიკოსები – **პლიანი** და **არიანი** გადმოგვცემენ, რომ ეს სანაპირო ადგილები, მათ დროს, დასახლებული იყო **ლაზებისა და სანეგებისა** ანუ **სანნებისაგან**. ბერძენთა წყაროებში **სანეგები** ანუ **სანნები** წოდებულნი არიან **ცანებად** ან **ჭანებად**. ეს სახელწოდება დღემდის შერჩა ტრაპიზონის ერთ სანჯაყს, **ჭანეთს**. მთელ ამ მხარეში ლაზები და ჭანები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ლაზისტანში დღესაც იმ დიალექტზე ლაპარაკობენ, რომელსაც დღეს **მეგრელები** ხმარობენ.

ქართული ენა, როგორც ნაციონალური ენა, უმთავრესად სამი ქართული ხალხური დიალექტისაგან წარმოსდგა: **ლაზური, სვანური და ქართულისაგან**. ჩვენი ერის გრაფიულ და ლიტერატურულ განვითარებაში, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სწორედ ითამამა **ჭანურმა ან ლაზურმა დიალექტმა**. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ჭანები ან ლაზები უფრო ახლო იყვნენ ბიზანტიის ქრისტიანულ კულტურასთან, ვიდრე სხვა შტოები ქართულ რასისა და რომ **ისინი ერთგვარ ხიდს წარმოადგენენ საქართველოსა და ევროპას შორის**. აი, თუ რატომ ითამამეს ეგზომ დიდი როლი ჭანებმა და ლაზებმა საქართველოს ნაციონალურ ცივილიზაციის შექმნაში.

2. როდესაც დაუძღვრებულმა **ბიზანტიის იმპერიამ ოსმალეთს** თავისუფალი გზა გაუხსნა, რომ ჩრდილოეთს მოსდებოდნენ, **ჭანეთი, ლაზისტანი, ისპირი და თორთუმი**, როგორც საქართველოს მოსაზღვრე ადგილები, ოსმალთა შემოსევის პირველი მსხვერპლნი შეიქმნენ. ამავე დროს ოსმალებმა დაიუფლეს **მესხეთი, ჭოროხის ხეობა (ტაო – კლარჯეთი) და აჭარა (ბათუმისა და ოლთისის ოლქები)** და მთელი ეს მხარე საქართველოს ჩამოგლიჯეს. ამ დროიდან მოკიდებული ქართველები მუდამ იმ ცდაში იყვნენ, თუ როგორ დაებრუნებიათ ეს მხარე დედა – სამშობლოსთვის, მაგრამ ურიცხვ ბრძოლაში დასუსტებულებს ცდა ამაოთ დაურჩათ. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს ამ ნაწილებით შემოიერთეს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდებულა. ოსმალთა ბატონობა საქართველოსგან ჩამოგლეჯილ მხარეში უმთავრესად რელიგიურ სფეროში გამოითქვა, ყველგან **ქრისტიანიზმი მუსლიმანურ რელიგიად შესცვალეს**.

ადმინისტრაციულის თვალსაზრისით, ეს ქვეყნები დღემდე განცალკევებულ ხასიათს ატარებენ. **ჭანეთის სანჯაყში**, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობს და ოსმალთა სამასი წლის ბატონობის ზეგავლენით, ქართულმა მოსახლეობამ დაივიწყა თავისი სამშობლო ენა და დღეს ოსმალურს ლაპარაკობს; მაგრამ მას შენახული აქვს **ქართული ზნე და ადათი** ისე, როგორც ცხოველი შეგნება, რომ **იგი ჭანია და არა ოსმალა. ლაზისტანსა, ისპირსა და თორთუმში** ოსმალური გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცილებით უფრო სუსტი იყო. თუმცა ამ კუთხის

მამაკაცები ოსმალურსაც ლაპარაკობენ, მაგრამ ოსმალური უცხო ენათ აქვთ დასახული, მაშინ როდესაც ოჯახში ლაზურს ე.ი. ქართულს ხმარობენ კიდევ. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართული ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო იღვიძებს ლაზთა და ჭანთა შორის. მისწრაფება და მოქმედობა განათლებულ ლაზებისა სულ ერთიანად საქართველოსკენ არის მიმართული, რომელსაც ისინი თავიანთ **დედა – სამშობლოდ** სთვლიან.

3. ტერიტორიულის თვალსაზრისით, მთელი ეს მხარე გადაბმულია **ბათუმის** და **ოლთისის** ოლქებზე, **არტაანის** ოლქზე და **ახალციხის** პროვინციაზე. ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, საქართველოზე. ოსმალეთის იმპერიის სტატისტიკით, 1919 წელს ჭანეთში ოფიციალურად ირიცხებოდა სულ – 265.000 მუსლიმანი (მუსლიმანი ლაზი; შ.ფ.), 93, 739 ბერძენი და 27,518 სომეხი, მაშინ როდესაც მთელს ტრაპიზონის ვილაეთში მუსლიმანი იყო 921, 128; ბერძენი – 161874; სომეხი – 58,899. **ოსმალეთის ეს სტატისტიკა არ გვიჩვენებს მუსლიმანთა ეროვნებას.** უეჭველია იმ მოსაზრებით, რომ ყველა მუსლიმანი ოსმალად აქვს წარმოდგენილი. **ჩვენს დროში ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებელია ასეთი არევა ერთმანეთში რელიგიის და ეროვნების.** რაც შეეხება ჭანეთს, **ლაზისტანს, ისპირს და თორთუმს** მუსლიმანთა მოსახლეობის 95 პროცენტი **უდავოთ ქართულ რასას ეკუთვნის** და მხოლოდ უმნიშვნელო მცირე ნაწილი ოსმალებს მიეკუთვნება.

4. დაბრუნება საქართველოსთვის ოსმალთაგან წართმეული მისი ნაწილებისა შეადგენდა ერთ – ერთ მთავარ მუხლს იმ ხელშეკრულებისას, რომელიც დადებულ იქმნა 1783 წელს საქართველოს მეფე ერეკლე მეორესა და რუსეთის დედოფალ ეკატერინე მეორეს შორის. იმ პროვინციების დაბრუნება **დედა – სამშობლოს წიაღში ქართველი ხალხის ერთი უძლიერესი და უცხოველესი მისწრაფებაა.** ამ მისწრაფებას ეთანამშრომლება დიდი ქართველი ეროვნული მოძრაობა, რომელიც თანდათან ვრცელდება და ფესვებს იკიდებს ოსმალეთის საქართველოში. ეს მოძრაობა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცებისკენ ისწრაფვის, ისეთივე სადი და ცხოველმყოფელია, როგორც არიან ანალოგიური მოძრაობანი ყველა სხვა ხალხებში.

ანტანტამ მსოფლიო ომის უღელში თავი იმიტომ შეჰყო, რომ გაემარჯვებინათ უფლება და სამართლიანობის პრინციპებისთვის, ამიტომ საქართველოს მთავრობას და ხალხს ღრმად სწამს, რომ **პარიზის კონფერენცია** ქართველ ხალხს დაეხმარება და მიეშველება იმ უსამართლობის გამოსწორებაში, რომელმაც ამ სამი საუკუნის წინად, მას ჩამოჰგლიჯა უმშვენიერესი მისი ნაწილი და ხელში მისცა ოსმალეთს.

თქვენო აღმატებულება! ნება მიბოძეთ, ამასთან ერთად, წარმოგიდგინოთ მოკლე მიმოხილვა, რომელიც შეეხება ოსმალეთის საქართველოს და შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დეტალებს, რომლის აქ აღნუსხვა არ შემეძლო.

ვშთები რა ღრმა რწმენაში, რომ თქვენი აღმატებულება კეთილ განწყობილის თვალთ შეხედავს და თავის დროზედ მხარს დაუჭერს კიდევ საქართველოს ფარგლებში იმ ქართულ პროვინციების დაბრუნების საქმეს, რომელიც დღეს ოსმალეთის საზღვრებშია მოქცეული, გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი უღრმესი პატივისცემა.

**გ. რცხილადის** მემორანდუმის ტექსტის მანქანაზე ნაბჭდი ვარიანტი დაცულია სავანის არქივში. **გ. რცხილაძე** ხშირი სტუმარი იყო ამ სავანისა.

გაზეთი „**სამუსლიმანო საქართველო**“, №171, ბათუმი, 1919. გაზეთის ეს ნომერიც მხოლოდ ამ სავანის ბიბლიოთეკაშია შემონახული.

### პ. სარჯველაძე ძვირფას მეგობრის ხსოვნას

ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში – ახალი თაობა მთელი არსებით, იდეური გატაცებით გადაეშვა ახალი ცხოვრების ტალღებში. გახდა შეურყეველი დასაყრდნობი და ერთგული დამცველი ნორჩი რესპუბლიკის. **გოგიტა ფაღვას** თავგანწირული, მოუსვენარი აღმაფრენა სიმბოლური სახეობით მოსჩანს პოლიტიკური მოძრაობის ეკრანზე, რომლის გვერდით მრავალთა შორის **სანდრო მენადარიშვილი**, ნიჭით უხვად დაჯილდოებული, ურყევი ნებისყოფით და რწმენით შეიარაღებული ეუფლება და გზას იკაფავს პოლიტიკურ ასპარეზზე. ხდება ჯერ კიდევ ახალგაზრდა საპასუხისმგებლო ადგილზე. – ერთგული დარაჯი ჩაბარებულ საქმის...

ულარიბესი ოჯახიდან, სიმწრით გამოზრდილმა საშუალო განათლების მიღება შესძლო დიდის ნივთიერი გაჭირვებით. ახალგაზრდობიდანვე ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი არ იყო შემთხვევით მოსული **სოციალისტურ პარტიაში**, არამედ მასში ხედავდა იმ დიდ ძალას, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნებოდა მის გარშემო არსებულ სოციალურ და **ეროვნული ჩაგვრის დაძლევა**. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა. რის განხორციელებას შეუდგა დემოკრატიული სახელმწიფო, სოციალურ და ეკონომიურ რეფორმების გატარებით.

**სანდროც** გახდა ერთი საუკეთესო პიონერი შემოქმედებითი მუშაობის **შორაპნის** სამაზრო ერობის გვარდიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. მნიშვნელოვან პოლიტიკურ ყრილობებზე იგი იქცევის ყველას ყურადღებას. საჯარო გამოსვლებში მქლავნდება სახალხო ტრიბუნის თვისებები. **ენა მოქარგული, მჭერმეტყველური, დამაჯერებელი და** საქმიანი. დასავლეთ საქართველოში არა ერთ ადგილებში მას იწვევენ მიტინგებზე და მის სიტყვებს გულდასმით უსმენენ.

**საქართველოს – რუსეთისაგან დაპყრობამ სანდრო გადაისროლა არალეგალურ ორგანიზაციების სათავეში**. აქაც გამოჩნდა მისი უნარი და ენერჯია. მოქნილი, დაკვირვებული, ფრთხილი და ფხიზელი მოქმედებით, თანდათანობით, სხვებთან ერთად, საძირკველს უყრიდა, მიზანშეწონილ ფარგლებში აქცევდა იმ მასიურ უკმაყოფილებას, რომელიც უცხო ოკუპაციამ გამოიწვია და მიიყვანა **ერი შევიწროებული აგვისტოს აჯანყებამდე**. რომლის დამარცხების შემდეგ, უაღრესად მძიმე პირობებში შეუდგა დანგრეულ ორგანიზაციების თავის მოყრას, ფეხზე დაყენებას.

სანდროს ფეხდაფეხ დასდევდა „ჩეკის“ აგენტები. ის იძულებულია გადაიხიზნოს უცხოეთში. აქ მან ჩაიბარა ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობანი, როგორც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში, ისე მისი ნდობით აღჭურვილმა ინტერპარტიულ კრებულში და ჩვენ მეზობელ ერებთან დამოკიდებულებაში იყო ერთგული გამტარებელი აღებული ეროვნული ხაზის; საქართველოს უფლებებისთვის ბრძოლის ისტორია როცა დაიწერება, – იქ უსათუოდ გამოჩნდება გააფთრებული, შეუჩერებელი, ყოველდღიური და ყოველმხრივი საქმიანობის ქსელი, რომელიც აწარმოვა ერის ხელმძღვანელობამ უცხოეთში **ნოე ჟორდანას** მეთაურობით. სანდრო აქ მოსჩანს, როგორც ერთგული და დაუზარებელი თანამშრომელი, რომელმაც ეროვნული მთავრობის ნდობით ჩაიბარა უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტი ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში და საქმეს სიფრთხილითა და სიყვარულით უხელმძღვანელა. შესძლო დაემსახურებია ნდობა მასპინძლების და გახდა ერთი ხელმძღვანელთაგანი **კავკასიის ერთა გაერთიანებულ ორგანოში**.

ამ რამოდენიმე წლის წინად სანდრო განუკურნებელმა ავადმყოფობამ დასცა. ფიზიკური მოძრაობის საშუალება წაართვა და შრომას მოსწყვიტა. მას შერჩა საღი გონება და ჩვენთან კავშირში – თავისებურ ფხიზელ გამჭრიახობით უდგებოდა ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებს...

მეზობელ ერის ცივ მიწამ მიიზარა იგი; არ აუსრულდა ნატვრა – ენახა სამშობლო თავისუფალი, მაგრამ მის წინაშე ვალ მოხდილი ხსოვნა დარჩება წარუშლელი მის თანამებრძოლთა შორის...

ათეულ წლების მანძილზე მხარდამხარ, ერთად შრომაში ვხედავდი, ძმაო სანდრო, შენს თავდადებას და ქართული საქმის სიყვარულს. იმავე რწმენით და ერთგულებით, გავაგრძელებთ ეკლიან გზაზე სვლას – გამარჯვებისაკენ მიმავალს.

„ჩვენი დროშა“, N32. გვ. 19 – 20. 1960 წ. პარიზი.

### **პეტრე სურგულაძე მესხეთ – კლარჯეთის დამხმარე საზოგადოება**

ამ ბოლო დროს ბნელი ძალების წყალობით ქართველ ერს კიდევ ახალი გაჭირვება მოემატა. **მესხეთ – ჯავახეთში** არეულობამ გაანადგურა ხალხი, ბევრი უბინაოდ დარჩა, ბევრია მშვიერი და გაჭირვებული. საჭიროა დაუყოვნებლივ დახმარება, საჭიროა ერთხელ კიდევ მთელმა საქართველომ თავისი გულშემატკივრობა და გულუხვობა გამოიჩინოს. სწორედ, ამ მიზნისთვის დღეს მოწვეულია კრება, რომელმაც უნდა გამოიძიოს, თუ რა საშუალებით დავეხმაროთ ჩვენ გაჭირვებულ ძმებს. ქართველ ერს მეტად მძიმე მოვალეობა აწევს მრავალტანჯულ და ჩამორჩენილ კუთხის გამოცოცხლებაში. ოდესღაც საქართველოს მოწინავე კუთხე, აყვავებული ყოველმხრივ, დღეს მეტად ჩამორჩენილი და განკერძოებულია.

ამას კიდევ ზედ დაუმატეთ მრავალგზით აწიოკება და თქვენ თვალწინ გადაიშლება მეტად მძიმე ნახატი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი ერი გაითვალისწინებს ასეთ უმწეო მდგომარეობას ჯავახეთ – მესხეთისას, აგრეთვე, იმ დიად მნიშვნელობას, რომელიც ამ კუთხეს აქვს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და მრავლად დაესწრება დღევანდელ კრებას, რათა საერთო ძალით ხელი გავუწოდოთ ჩვენ გაჭირვებულ ძმებს.

**შენიშვნა: პეტრე სურგულაძე** დიდხანს ცხოვრობდა **სტამბოლში** და ხშირად სტუმრობდა სტამბოლის **ქართველ კათოლიკეთა ეკლესია – მონასტერს**, აქტიურად მონაწილეობდა ამ სავანეში გამართულ ღონისძიებებში, რომელიც ემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაგვირგვინების საქმეს; თანამშრომლობდა ამ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირებთან, რომლებიც მესხეთის შვილები იყვნენ. სავანეს ჰქონდა ქართული ანბანით საბეჭდავი მანქანა. ამიტომ აქ ხდებოდა ხელნაწერი ტექსტების ბეჭდვა და აქედან იგზავნებოდა საქართველოში არსებულ ჟურნალ – გაზეთებში დასაბეჭდად. ნაბეჭდი მასალის ერთი პირი რჩებოდა სავანის არქივში შესანახავად. ამიტომაც ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც შენახულია სავანის არქივსა და ბიბლიოთეკაში (შ.ფ.).

გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., №79.

### **პეტრე სურგულაძე მცირე შენიშვნა (წერილი, რედაქციის მიმართ)**

ქართველ ერს უსაშინლესი უბედურება თავს დაატყდა. თავისუფალს, თავდადებით მომუშავეს თავის ეროვნული შემოქმედების აღორძინებისათვის, მშვიდობიანობის მოყვარულს

და ყველა მეზობელთან თუ შორეულთან კეთილგანწყობილების მოსურნეს თავს დაესხა **ჩრდილოეთის ბარბაროსული ბრბო** და ხელი მიჰყო მის ძირან – ფესვიანად განადგურებას. და მერე როგორს? ეს გაცოფებული ხალხი, რომელმაც თავის საკუთარი სამშობლო არ დაინდო და გააპარტახა, კიდევ მეტი დაუზოგველობით ეცა ქართველს ერს. გაიცარცვა ხალხი უკანასკნელ ლუკმა პურამდე, აირია და განადგურდა ეკონომიური საქმიანობა, ჩაქრა, მოიშალა გონებრივი შემოქმედება, შეწყდა სახელმწიფოებრივი ამშენებლობა. ისტორიულ ქარ – ცეცხლში გამობრძმედილ ქართველ ერს კიდევ ერთხელ დასჭირდა მთელი თავისი ძალ – ღონე მოიკრიბოს და ძალმომრეობით მის კისერზე დადგმული ბარბაროსული უღელი მოიშოროს. ასეთ მძიმე ისტორიულ დროს ერის უმაღლესი ინტერესი მოითხოვს ყველა სასიცოცხლო ძალთა შეთანხმებულ მოქმედებას. მართალია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ საკმაოდ მომზადებული ვყოფილიყავით კარზე მომდგარ მტერის დასახვედრად. **ისტორიის წინაშე ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ ამ ჩვენი სისუსტისა და დაუდევრობისათვისა.** ვერც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი, ვერც ერთი საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტია გულზე ხელს ვერ დაიდებს და სინდისის წინაშე ვერ აღიარებს, რომ სრულიად ალალ – მართალი იყოს ჩვენ მოუმზადებლობაში. მაგრამ საკვირველია უმთავრესი:

**ბრალი ედება იმ პარტიას, რომელსაც ხელში ეჭირა მთავრობის ძალაუფლება.** მისი მრავალი შეცდომების წყალობით ქართველმა ერმა ვერ განახორციელა თავისი ძალ – ღონის მაქსიმუმის თავმოყრა უაღრეს განსაცდელის დროს, რამაც მტერს საოცრად გაუადვილა ჩვენზე გამარჯვება. მისი საგარეო პოლიტიკა ხშირად შორს გამჭვრეტილი და ჩინებულად მიზან – შეწონილი, უფრო ხშირად მოგვიანებული ინიციატივა და ინტესივობას მოკლებული გამოდგა, რათა, ქართველ ერისთვის მეგობრების და კეთილ – მყოფლების გამრავლებით უფრო გაემკვიდრებია მისი მდგომარეობა საერთაშორისო ოჯახში. ურემი გადაბრუნდა და გზაც გამოჩნდა. ეხლა ყველა ჩვენგანი მეტად თუ ნაკლებად ჩვენ შეცდომებს ვხედავთ. და თუ წარსულის კრიტიკას ვეწევით, არა იმ მიზნით, რომ ურთიერთ განხეთქილება, დავა და შუღლი გავაჩაღოთ. პირიქით, ამ კრიტიკამ მხოლოდ იმდენად უნდა მიიქციოს ჩვენი ყურადღება, რამდენადაც ის წარსული შეცდომების გათვალისწინებით მომავალ აღმშენებლობას გაგვიადვილებს; ჩვეულებრივ დროსაც გადაჭარბებული ჯგუფობრივი შეხლა ხშირად ერის სუვერენულ უფლების დამღუპველია. და ისეთ არაჩვეულებრივ დროს კი, როგორსაც დღეს ჩვენ განვიცდით, ერის გაერთიანებული, მთლიანი, შეზავებული მოქმედება უმაღლესი საარსებო პირობაა. მე არ ვამბობ, რომ სხვა და სხვა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა სრულიად ხელი აიღონ თავიანთ განკერძოებულ ინტერესებზე; არა, ეს შეუძლებელიცაა და არც საჭიროა. საჭიროა ურთიერთობის გაგება, ურთიერთის დათმობა, კერძო მიდრეკილებათა საერთო უმაღლეს მიზნისთვის დამორჩილება. სწორად და გულწრფელად მდგომარეობის შეგნება თუ გვექნება, მაშინ ჩვენთვის საოცრად ადვილი იქნება სწორი სამოქმედო გზის გამოძებნაც.

კარგა ხანია, ქართველი ერი თითქმის სავსებით პოლიტიკურ პარტიებათ ჩამოყალიბდა, ჩვენში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არ იცავდეს. რა საკვირველია, ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ იმ ორიოდ მოღალატეს, რომელთაც მტერს წინ წამოუძღვენ სამშობლოს ასაოხრებლად. სახელმწიფოებრივი პარტიების უმაღლესი მოვალეობა დღევანდელ მომენტში ეს არის, იხსნას ქართველი ერი გარეშე მტრისაგან, ხალხი გადაარჩინოს ფიზიკურ განადგურებას და ხელახლა **გაუხსნას ქართველ ერს საკაცობრიო შემოქმედების გზა.** ეს ისეთი უდავო დებულებაა, რომ ჩვენ იმედი გვაქვს, ვერც ერთი პარტია მას გზას ვერ აუხვევს და განზე ვერ გადგება. ურთიერთი დათმობა, ურთიერთი შეთანხმება და

საერთო ძალებით საერთო პოლიტიკურ იდეალის განხორციელება – აი, მომენტის დევიზი, სავალდებულო ყველასათვის.

### **მეზობელი (უცნობი ფსევდონიმი) პეტრე სურგულაძე**

სტამბოლში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოღვაწე, პეტრე სურგულაძე.

ორმოცდაათიან წლების მიწურულში ახალგაზრდა, სამოსწავლო სემინარიის კურს დამთავრებული პეტრე ჩვენი პარტიის პირველსა და სასახელო რაზმს დაუახლოვდა, მაგრამ მალე ის გაიტაცა **ნაციონალურმა იდეამ. სოციალდემოკრატიას** დაშორდა და ნაციონალურ ბანაკში გადავიდა, რასაც ბოლომდე შერჩა.

პეტრემ ნაციონალისტობაშიც შეინარჩუნა თავისი რევოლუციური ტემპერამენტი. ის ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, ვინც საქართველოს განთავისუფლების საკითხი ჯერკიდევ დიდ ომამდე პრაქტიკულ საკითხათ დააყენა და მისთვის ბრძოლას მთელი თავისი ენერგია და დრო მონადომა და პირადი კეთილდღეობა შესწირა. 1908 წელს, დატუსაღებას შემთხვევით გადარჩენილი, ის უცხოეთში გადაიხვეწა, საცა თავისებურათ ემსახურებოდა თავის იდეალს. საქართველოში პეტრე დაბრუნდა დამოუკიდებლობის ხანაში როგორც ნაც. – დემ. პარტიის წევრი. ის იყო **დამფუძნებელ კრების წევრი**, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის უკანასკნელ თვეებში გადავიდა **სტამბოლში**, საცა კომერციულ საქმეში ჩაება.

ოკუპაციის პირველ წლებში პეტრე თანამშრომლობდა სტამბოლის „**პოლიტიკურ კომისიაში**“, რომელიც საერთო ფრონტის ორგანო იყო. ის ბოლომდე მტკიცეთ იდგა მტრის წინაშე ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების გაერთიანების და საერთო ფრონტის ნიადაგზე.

ის იყო თავისი ერის თავდადებული მოსამსახურე, უანგარო მოღვაწე, პირდაპირი და სპეტაკი ადამიანი.

„თავისუფალი საქართველო“. N13.

### **კონსტანტინეპოლში**

2 თებერვალს კონსტანტინეპოლში მოხდა აქ მყოფ ქართველთა საზოგადო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა **პეტრე სურგულაძე**. კრებამ მოისმინა მოხსენებები საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლუცია რომელიც მოითხოვს, რომ **გენუის კონფერენციაზე** დაშვებული იქნეს საქართველოს კანონიერი მთავრობა და არა რუსეთის საბჭოთა მთავრობის აგენტი **ბუდუ მდივანი** და გამოყვანილი იქნეს საქართველოდან რუსის საოკუპაციო ჯარები.

**სამსონ ფირცხალავა („სიტყვა“)**  
**დღიური**  
**„ნალჩიკი“ თუ „შატბერდი“**

ეს ორი სახელი ჩვენი საზოგადო მოღვაწეობის ლოზუნგად ხდება. „ნალჩიკი“ თუ „შატბერდი“ საზღვრავს ჩვენი საერო მუშაობის მიმართულებას. ეს ორი სახელი შემთხვევითი არაა, ვიწროდ შემოფარგლულს ადგილს არ შეეხება. მართალია, **ნალჩიკი** შორს **რუსეთში**, **თერგის** ოლქში მივარდნილი ერთი სოფელია, ხოლო **შატბერდი**, ოდესღაც ქართველთა დიდებული კულტურული სავანე, დღეს უფრო ნანგრევებს წარმოადგენს, მას წინანდელი სახელიც კი დაუკარგავს და იქაურს მაჰმადიანს ქართველებს ქართული ოდნავად თუ შერჩენიათ; მაგრამ ამ ორმა სოფელმა ეხლა საზოგადო მნიშვნელობა მიიღო და მათი სახელები ახასიათებს ჩვენი ეროვნული პოლიტიკის მიდრეკილებას, თუ კი შეიძლება ითქვას, რომ ქართველებს რაიმე გარკვეული ეროვნული გეგმა გვაქვს.

გუშინ წინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ **ნალჩიკში** 47 კომლი ქართველი სცხოვრობს და წერა – კითხვის საზოგადოებას განუზრახავს მათთვის სკოლის დაარსება. ეს, ჩემი აზრით, დიდი პრინციპიალური შეცდომა იქნებოდა. არა იმიტომ, რომ ნალჩიკელი ქართველები ღირსნი არ იყვნენ დახმარებისა და სკოლისა, არამედ შეუძლებელია არსებითად, ხელი გავუწოდოთ შორსგარდახვეწილს ქართველობას მაშინ, **როდესაც სრულიად უყურადღებოდ ვსტოვებთ საქართველოს შუაგულში მცხოვრებ ქართველებს**; მაშინ, როდესაც, მაგალითად, დღეს ისე დაბეჯითებით მოითხოვს დახმარებას **ორასი ათასი მაჰმადიანი ქართველობა!** ეს არა თუ სრული უარყოფაა საერო პროგრამისა, ეს არა თუ დიდი შეცდომაა ეროვნების აღორძინების საქმეში, ეს მიუცილებელი უმადურობაა იმ ქართველი მოძმეების წინაშე, რომელთაც დაუფასებელი ღვაწლი დასდეს საერთოდ ქართულს კულტურას! მე მოგახსენებთ იმ ადგილების შესახებ, სადაც პირველად აღინთო ქართველი ერის შემოქმედების და ძლიერების ლამპარი, და სადაც დღეს ყველაფერი თითქმის გავერანებულია და მოწყვეტილი საერთო ეროვნულს ცხოვრებას. ამ ადგილებს ვუწოდებ დაუვიწყარი ისტორიული შატბერდის სახელს.

ერთმა განათლებულმა სომეხმა ნაღვლიანად მითხრა: ჩვენი გაზეთი **სამარყანდაში** უფრო მეტი ვრცელდება, ვიდრე **განჯაში** და ეს ჩვენ განა გვახარებსო? ეს სომხის ერის უბედურებაა, ეს ჩვენი დაღუპვის და გადაგვარების გზაა: **დღეს თუ სამარყანდის სომხობა სომხობს, ხვალ და ზეგ იგი აუცილებლივ ძალაუნებურად დაემორჩილება გარშემო გამეფებულს ეროვნებას და კულტურას და, ადრე თუ გვიან, დაჰკარგავს თავის ეროვნულს ელფერს.** ასეთია ბედი, **სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში მაინც, იმ ქართველებისა, რომლებიც, ძალით თუ ნებით გარდახვეწილან უცხო მხარეს.** გარდა ამისა, რაც უნდა მტკიცედ შეინარჩუნონ ქართული ეროვნება ნალჩიკელმა თუ სხვა ამგვარმა ქართველებმა, ისინი ვერასოდეს ვერ მიიღებენ სრულს აქტიურს მონაწილეობას საქართველოს საერო ცხოვრებაში, ვინაიდან ფიზიკურად არიან მოწყვეტილნი სამშობლოს. ძლიერ სასურველია, რომ საქართველოს დამორებულ ქართველობამ მიაწოდოს ერს თავისი წვლილი, მაგრამ, რაც უნდა დიდი იყოს ეს წვლილი, მას მაინც მეორე და მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს, ბედის თუ უბედობის, დაღუპვის თუ აღდგენის, განადგურების თუ აწყვავების, გამომჭედი და შემქმნელი საქართველოს საზღვრებში მყოფი ერია.

აი, ეს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ და ეს გარემოება უნდა იყოს ხელმძღვანელი ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. დანაშაულობაა დიდი, **ნალჩიკში** გავრბოდეთ, როდესაც საქართველოს საუკეთესო ადგილები მოკლებულნი არიან სკოლას, განათლებას, შეგნებას, ათას-

ნაირს ხიფათსა და განსაცდელს განიცდის. ეს გარემოება თვალწინ უნდა გვიდგეს განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი ეროვნული არსებობა ისეთს კრიზისს განიცდის, და ყოველ მხრივ შემოსეულნი მტრები ჩვენს სრულს მოსპობას ლამობენ. დღეს ჩვენ არა გვცალიან ნალჩიკისათვის; ნალჩიკელებმა თვით მიხედონ როგორმე თავიანთ საქმეს. ჩვენი მოვალეობა კი ჩვენ სხვა მხრისკენ მიგვიწევს, სხვა სამუშაოს გვაკისრებს. **მივხედოთ გამაჰმადიანებულ ქართველობას**, რომელიც დღეს ისე ძლიერ მოწადინებულია დანარჩენ საქართველოსთან სრულს ერთობასა და ძმობას. **გვეძახიან ძმები ძლიერის ხმით, მოგვიწოდებენ ქართული კულტურის აღსადგენად მათ შორის, მათ კეთილშობილურს სულს მოუწოდებს, ბანს აძლევენ სახელოვანნი ნაშთები და შეუძლებელია დადუმება.** ახლა დაყოვნება და დაგვიანება არ გვეპატიება, ვერავითარის მოსაზრებით ვერ გავიმართლებთ თავს მომავალი თაობის წინაშე.

„**შატბერდი**“ დიდია, ერთი სკოლა არ ეყოფა, საქმე მარტო სკოლითაც არა გაკეთდება, საჭიროა წიგნი, სხვა მუშაობაც. მაგრამ ყოველივე ეს გამოირკვევა, მხოლოდ უპირველესად უნდა გადაწყდეს არსებითად, რომ დაუყოვნებლივ გავსცეთ პასუხი **მაჰმადიან მოძმეებს** და მივეშველნეთ, დავებმართოთ საჩქაროდ ყველას ჩვენის ძალ – ღონით. სკოლები უნდა გაიხსნას ცენტრალურ ადგილებში; ამის გამო არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ერთის ფრიად პატივცემულ ადამიანის მოსაზრება, რომ სასურველია ქართული სკოლის გახსნა **ქობულეთში**: „სოფელი **ქობულეთი თაიგულია მთელი კინტრიშის** მაზრისა; მაზრის მკვიდრნი თავს იყრიან ყოველ პარასკევობით ქობულეთში, ზოგი სალოცავად, ზოგი სავაჭროდ, ზოგი სამართველოში საქმეების გასაგებად, ზოგი გასართობად და თვალის გასახელად. **ქობულეთის აზრი, მიმართულება, დადგენილება** – სახელმძღვანელოა კინტრიშის მაზრის ყველა სოფლისათვის. სხვაგან თუ სოფლის სასწავლებელი არსდება მოზარდ თაობისათვის, სხვაგან თუ სკოლა ავრცელებს მარტო წერა – კითხვას, ქობულეთის სასწავლებელი, გარდა პატარა შეგირდებისა პირველ დღიდანვე მიიზიდავს მოწაფეების მშობლებსაც და რადგან მათ დიდად სწყურიათ ქართულის ცოდნა, დღეს არ გამოსტოვებენ, რომ სასწავლებელში არ შევიდნენ და მასწავლებლებს არ წაკითხონ გაზეთი, წიგნი, არ ჰკითხონ მას დარიგება, არ გაუზიარონ თავის გულის ნადები და სხ. ასე დაყენებულ საქმეს დანარჩენი სოფლებიც თავის თავად წაჰბამავენ და ეს **ისეთი დიდებული საქმეა**, რომ მის განხორციელებისთვის არავითარს ხარჯსა და შრომას არ უნდა მოერიდოს ქართული კულტურული დაწესებულება.

ამას უნდა დავეუმატო, რომ ამჟამად **ქობულეთში** ორ – კლასიანი ნორმალური სასწავლებელი არსებობს, სადაც ქართულს სრულებით ადგილი არა აქვს დათმობილი. იგივე პირი მწერს: „ამ დღეებში მოწინავე ქობულეთლებმა სთხოვეს სახალხო სკოლების დირექტორს, **ქართული ენის სწავლება შემოიღეთ სასწავლებელშიო**, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი მიიღეს და განუცხადეს: „**ქართული არ გესაჭიროებათ**“... რასაკვირველია, ამ სიტყვებს არავითარი დამატება და განმარტება არ უნდა.

ასეთია საქმის დღევანდელი ვითარება. ამას დადადებს ძლიერის ხმით ჩვენი ეროვნული სინამდვილე და აქ ორჭოფობა, რყევა, გაუბედაობა შეუძლებელია. და ამ სინამდვილის დაჟინებულ მოთხოვნას, ჩვენს გონებას და გულს შეუძლია მხოლოდ ერთი პასუხი გასცეს:

„**შატბერდი**“ და არა „**ნალჩიკი!**“

**შენიშვნა: სამსონ ფირცხალავა** ხშირი სტუმარი იყო სტამბოლის ქართული სავანისა. მისი სტატიების დიდი ნაწილი, ხელნაწერების სახით, შენახული იყო აღნიშნულ სავანეში შესაბამის გაზეთებთან ერთად.

„სახალხო გაზეთი“, 1914. N1117.



## მღვ. გრ. ფერაძე (ბიოგრაფია)

გრ. ფერაძე დაიბადა 13 – 9 – 1899 სოფ. **ბაკურციხეში** (სიღნაღის მაზრა), სადაც მამამისი რომა-ნოსი მღვდლად იყო. სწავლობდა გრიგოლი **ტფილისის** სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1918 წელს; საკათალიკოსო საბჭომ მაშინდელ სემინარის რექტორის პროფ. **კეკელიძის** შუამდგომლობით მიმართა **გენერალ ფონ კრესს** გრ. ფერაძისათვის რომელიმე გერმანულ თეოლოგიურ ფაკულტეტზე სტიპენდიის მიცემის შესახებ, (ვინაიდან როგორც პირველი ხარისხით სწავლა – დასრულებისათვის მისი გაგზავნა რუსეთის რომელიმე აკადემიაში ბოლშევიკური რევოლუციის გამო შეუძლებელი იყო). **ფონ კრესსი** ოფიციალ მიმართვით შეჰპირდა საკათალიკოსო საბჭოს, მაგრამ გერმანიაში ამტყდარმა რევოლუციამ ამ გეგმას ხელი შეუშალა. გრ. ფერაძე წავიდა მასწავლებლად **ს. ზემო – ხანდაკში** (გორის მაზრა); 1919 წ. მას გაიწვევენ ჯარში და იგი მსახურებს **გორში, ბორჯომში** და **ახალციხეში**; ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ იგი მიდის მასწავლებლად **ს. მანავში** 1921 წ. მარტში; იმავე წელს გარე – კახეთის სამღვდელთა აგზავნის მას წარმომადგენლად მესამე საეკლესიო კრებაზე **გელათში**, სადაც მისი ევროპაში გაგზავნის საკითხი, ისევე პროფ. **კეკელიძის** და მიტრ. **ნაზარის** შუამდგომლობით, ხელმეორედ ისმება. ცნობილი მოღვაწე **არტურ ლაისტის** დახმარებით იგი სტოვებს საქართველოს 1921 წ.

**გერმანიაში** ჩამოსვლისას გრ. ფერაძე სწავლობს სამი წელიწადი **ბერლინის** უნივერსიტეტში (1922 – 25) და ერთ **ბონში**. თეოლოგიასთან ერთად, აგრეთვე, სწავლობს, აღმოსავლურ ენებს: **ძველ ებრაულს, სირიულს, არაბულს, კოპტურს** და **სომხურს**. 1926 წ. იგი აბარებს სადოკტორო გამოცდებს ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და მიემგზავრება **ბელგიაში** ცნობილ ბოლანდისტ **პეტერსთან** სამუშაოდ და იქიდან **ლუვენის** უნივერსიტეტში, სადაც რჩება ერთი წლით; შემდეგ ხერხდება ერთი წლით სტიპენდია **ინგლისში**, მაგრამ სამწუხაროდ, 1927 წ. **ბონში** კვდება ცნობილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი **გუსენი**, და მის ალაგას იწვევენ **გრ. ფერაძეს**. სამი და ნახევარი თვის ინგლისში ყოფნის შემდეგ, უბრუნდება ბონსს, სადაც დღევანდლამდე მუშაობს.

1927 წ. ცნობილ საეკლესიო კონფერენციაზე, **ლოზანაში**, გრ. ფერაძეს მიიწვევენ გერმანელ და შვეიცარელ (ძველი კათოლიკების) დელეგატთა რჩევით საქართველოს ეკლესიის კოოპტურ წარმომადგენლად.

გრ. ფერაძეს გამოქვეყნებული აქვს სხვა და სხვა ენაზე სამეცნიერო შრომანი და გამოკვლევანი, რომელთა შორის შემდეგი არიან;

ქართული ბერობის შესახებ (გერმანულ ენაზე)

ბერობის დასაწყისი საქართველოში (გერმანულად)

ქართველ ბერთა ლიტერატურული მოღვაწეობა **ათონის მთაზე** (ფრანგულად). შობის დღე-სასწაული **იერუსალიმში** მე – 7 საუკუნეში, ცნობილ ლიტურლისტ პრ. **ბაუმშტარკთან** ერთად. ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემები (გერმ.). წინაბიზანტიური ლიტურდიის შესახებ საქართველოში (გერმ.). ეს გამოკვლევა ჯერ მოხსენების სახით წაკითხულ იქმნა 1928 წ. **ბონში**, ორიენტალისტთა კრებაზე, სადაც შემდეგ პლენარულ კრებაზე გამოტანილ იქმნა რეზოლუცია ქართულ ლიტერატურული ნაშთების მნიშვნელობის და გერმანულ უნივერსიტეტებში მათი შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ეს რეზოლუცია წარედგინა **პრუსიის** განათლების მინისტრს **ბეკერს**.

პრობლემანი ქართულ სახარების თარგმნისა, – წაკითხული ვენაში, 1930 წ. და დაბეჭდილი. ძველი ქართული ლიტ. შესახებ საქართველოში (გერმ.) ეს გამოკვლევა იბეჭდება გაგრძელებით, დღემდე ხოლოდ ასოები: ა, ბ, ც, დ, ე, ფ, გ. (კეკელიძის კატოლოგის მიხედვით). ესკიზები ქართულ კულტურულ ცხოვრებიდან: 1) წმიდა გიორგის შესახებ, 2) სპეციფიური ქართული ბერობის შესახებ მართლმადიდებელ ბერობაში.

**გრიგოლ ფერაძე**  
**ქ ა დ ა გ ე ბ ა**  
**წარმოთქმული პირველ ქართულ მართლმადიდებელ წირვაზე,**  
**პარიზში, მაისის 31 – ს, 1931 წ.**

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

როგორც იყო, ჯადოსნური წრე გაირღვა და ჩვენ გვეღირსა უცხოეთში – ათი წლის შემდეგ აქ ყოფნისა – ჩვენი ქართული წირვის მოსმენა პრიმიტიულ პირობებში, რასაკვირველია. არა ისე როგორც ჩვენა ვართ ჩვეული საქართველოში – მდიდარ მოწყობილ საუცხოო ტაძრებში – სავსე ჩვენი ძველი ხატებით, გაწვრთნილ და გამოცდილ მგალობლებით; მაგრამ რაც დღეს არ გვაქვს, შეიძლება ის გვექნეს ხვალ. მთელი მომავალი ჩვენი მრევლის და ეკლესიის თვითულის თქვენთაგანის ხელშია და ჩემი პირველი თხოვნაა თქვენდამი: დაგვეხმარეთ, რომ ჩვენ აქ, უცხოეთში, შეგვეძლოს ჩვენი საკუთარი სამლოცველოს, ჩვენი რელიგიური და კულტურული ცენტრის შექმნა.

პირველი ქართული წირვა ამოდენა ხნის პაუზის შემდეგ უნდა იყოს განცდებით სავსე ყოველ აქ დამსწრესათვის. მოგონებანი ჩვენი წარსულიდან, როდესაც ჩვენ ვიყავით ჩვენს სამშობლოში. ცენტრი ამ მოგონებებში უკავია იმას, ვინც ჩვენ პირველად დაგვასწავლა სახელი ღვთისა, ვინც სცდილობდა ჩვენში ჩაენერგა სიყვარული და შიში ღვთისადმი, ვისაც პირველად ხელდაჭერილი დაჰყავდა ჩვენი თავი ეკლესიაში – **ჩვენი ქვეყნის მოწამეს – ჩვენ ქართველ დედას.**

ძვალ დამქნარი სხეული. ცრემლი ჩამოკვეთილი,  
ხშირად ჩამოსხვრეული, მუდამ ჩამოწვეთილი,  
სახე მხდარი, ხნიერი, ვედრებაში გართული,  
ლოცვა გულისხმიერი ზეცისკენ მიმართული...  
დედის ოთახი ყოველთვის თბილი,  
დაბალ კედლებზედ ძველი ხატები.  
ხატის წინ სამი თაფლის სანთელი  
და ვერცხლით სავსე პატარა ქისა.  
ხატზედ დოღბანდი და შარავანდედი  
ფოთოლ დამქნარი წმიდა შტო ბზისა...

ასეთი მოგონებანი არიან მხოლოდ მოგონებანი, თუ გნებავთ, სასიამოვნო და ტკბილი.

რელიგიური განცდა ამგვარ მოგონებებს არ დაერქმევა. რელიგიურ განცდათ იქცევა ეს მოგონება მაშინ, როდესაც ადამიანი, ამასთანავე, იგრძნობს, თუ მან რა დაჰკარგა და სიდიადეს ამ დანაკლისის და იმ ტკბილ მოგონებასთან ერთად აღმოხდება გულიდან ოხვრა:

საბრალო დედავ! ჩქარა გაჰქრა ჩემი მაისი  
და ბნელი ღამე, ოხ, რა ძნელი გასარღვევია!

მაგრამ ასეთი განცდაც რომ დღეს რომელიმეს ჰქონოდა, არის იგი პასიური და უილაჯო, როგორც მთელი ჩვენი თაობა. რელიგიურ განცდას არ სწამს სიძნელე და რელიგიურად განწყობილი ადამიანი თვით უკუნეთშიაც ხედავს ღვთის ნათელს, გინდაც სიბნელით გარემოცულს – და ტორტმანით, ნელი ნაბიჯით, გინდაც რომ გზაში ფეხი ათასჯერ დაუცურდეს, ან ქვას წამოჰკრას. მაინც იწრაფის და იშვერს ხელს ამ ნათლისაკენ, ისე როგორც, თუ გნებავთ, ახალ – ფეხამდგარი ბავშვი რომელიმე საგნისკენ, რომელიც მას იზიდავს.

რელიგიური განცდა, როდესაც ადამიანი ერთის მხრივ საშინელ წუთებს, წუთებს მარტოობისას, განიცდის, როს მზე არ მზეობს იმისთვის, დარი არ დარობს დარულად და ამასთანავე მისი გულიდან აღმოხდება ჰიმნი გაჟღენთილი ღვთისადმი სასოებით და წმიდა განგებაზედ სრულიად დაყრდნობით. შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაც გზასა ვლიდე, მტერთა ძლევა, ზღვაზედ ღელვა, ღამით მავნე განმარიდე.

რელიგიური განცდა არის ჩახედვა თავის სულში, განცდა თავის საკუთარ არარაობის, ყოველგვარ სულიერის, ყოველგვარ შეუძლებლობის რისამის გაკეთების ან და მოქმედების და ღვთის მადლის განცდა, რომელიც ავსებს ჩვენ ამ სიცარიელეს, აშრობს უდაბნოს ჩვენში დაბანაკებულს, სპობს, ან უსპობს საშუალებას მტერს ჩვენში დაბინავებულს და აძლევს ადამიანს ძალას მოქმედებისას, სიბრძნეს და გამჭრიახობას, სიმდაბლეს და სიმტკიცეს, სიყვარულს მტრისადმისაც კი, შეგნებას და შემეცნებას თვისი მოყვასისა, ამალღებს მას დღიურ, მხოლოდ მიწიერ მისწრაფებებიდან და აძლევს მას საშუალებას გარჩევისა: – რაა უკვდავი და რაა მომაკვდინებელი, წარმავალი და წარუვალი, საქმიდან, რომელიც ღირსია ბრძოლის ან მისწრაფების ან მსხვერპლის იმ საქმიდან, რომელიც ღირსია არაა არც ბრძოლის, არც მისწრაფების, არც მსხვერპლის გაწევისა.

აპათეოზსა რელიგიური განცდა აღწევს წინასწარმეტყველის სიტყვებში: –

„დეე, ვაჟკაცი დაეცნენ და ჭაბუკებმა დაჰკარგონ ძალა, ისინი კი, ვინც ესვენ უფალს, შეიმოსებიან ახალი ძალით. არწივის მსგავსად გაშლიან თავიანთ ფრთებს, და მათ სიარულს არ დაემჩნევა დაღლილობა და მათ სირბილს მტვერი“.

ესენი არიან სქემატურად რელიგიურ განცდათა ტიპები, და თუ დღეს აქ, ამ წირვაზე რომელიმე თქვენგანს ამგვარი ან რაიმე ამის მსგავსი განცდა ჰქონდა, მერწმუნეთ, არც დღეს დაჰკარგავს მადლი თავის გზას და იესო მაცხოვარი, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნისათვის და მრევლისათვის მსხვერპლად შეიწირა, დაიბანაკებს და ინახ იდგამს მასთან.

ჩვენ შევიკრიბებით დღეს აქ სალოცავად და ღვთისაგან დაწყებული საქმესათვის კურთხევის გამოსათხოვრად. ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ ჩვენ მან მოგვეცეს ძალა და უნარი, რომ აქ, უცხოეთში შეგვეძლოს ჩვენ რელიგიური ცენტრის შექმნა ყველა გარდმოხვეწილ ქართველთათვის და ჩემი პირველი თხოვნა თქვენდამია: – **ილოცეთ, ამ დიად მიზნის მისაღწევად; ილოცეთ, რომ ღმერთმან გარდმოგზავნოს თავისი მადლი იმ ქართველთა გულში, ვისაც ეს საქმე ცივად სტოვებს, ვინც ამ მიზნით დაინტერესებული არაა – აღაჭურვოს და აღაფრთოვანოს მთელი ემიგრაცია ამ საქმისათვის. თვით ჩემი მოვალეობა არის მძიმე და ძნელი და გთხოვთ, რომ ილოცოთ ჩემთვის, რათა შემეძლოს მე ჩემი სუსტი ძალით ოდნავაც ამ მიზნის მიღწევა, რათა მე შემეწიოს იგი, როცა კაცობრივი წუთები, ეჭვები და ბრძოლა შემიპყრავს, რათა მომცეს მე სული სიყვარულისა, სული მოთმინების და ისეთი ენა, რომ შემეძლოს თქვენში ცეცხლის ანთება, რომ ყოველი მსხვერპლი, რომელსაც თქვენ გამოიღებთ, მსხვერპლად კი არა, არამედ სრულიად ბუნებრივ და თავისთავად ცხად მოვალეობად გეჩვენოთ.**

ჩვენ ვართ მართლმადიდებელნი. მართლმადიდებელ რუსეთის ბატონობამ ჩვენში და ეკლესიის პოლიტიკურ იარაღად ხმარებამ, თვით ჩვენმა გადაგვარებამ და რელიგიურმა მოუვლელობამ, თითქმის ერთ საუკუნეზე მეტია, ჩვენში შეგნება და სიყვარული მართლმადიდებლობისადმი დაასუსტა. ჩემი პირველი მოვალეობა არის და იქნება გითხრათ: – მართლმადიდებლობა იყო და არის უდიდესი განძი, რომელიც ჩვენ ერს ოდესმე ჰქონია; ამ განძისათვის მსხვერპლად იწირებოდნენ ჩვენი წინაპრები, არჩევდნენ ყოველგვარ შეურაცყოფას და თვით სიკვდილს ფუფუნებას და თუ გნებავთ, პოლიტიკურ სარგებლობასაც. მართლმადიდებლობა არის თვით ღირებულება, – მხოლოდ და მხოლოდ ამისათვის ღირს ცხოვრება და სიკვდილიც.

ჩვენ ვართ წევრნი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის. ჩვენი ერი თუ არსებობს დღეს, ან აქვს რაიმე გასავალი მსოფლიოში, უნდა პირველად ყოვლისა, უმადლიდეს ამას ჩვენს ეკლესიას. მაგრამ თუ ეს ყველაფერი უწინ იყო, დღესაც ეკლესია არაა მუზეუმი, მღვდელი არ არის დაგვიანებული მგზავრი საშუალო საუკუნეების. – ეკლესიამ თავისი დანიშნულება და როლი კი არ მოსჭამა დღეს, არამედ მისი როლის თამაშობა იწყება დღეიდან. იმ ხანაში, რომელშიც ერს დაეკარგა უმთავრესი იდეალები და მიწას ჩასცქერია, როდესაც ყოველგვარი უზნეობა და უპატიოსნება სიწმინდის შარავანდედით იმოსება – მანქანა და ქარხანა და თვით სიმწვერვალემდე მიღწეული ბრძოლა არსებობისათვის – ადამიანში ადამიანობასა ჰკლავს და სპობს, დაქსაქსულ – დათნეულ პარტიებად დაყოფილ, ჩვენი ერის ხსნა და გამოსავალი არ სჩანს, – ყველაფერი გარეგნობით იმეცნება და შინაგან სულიერ საუნჯეთ, იმ საუნჯეთ, რომელნიც ადამიანს აფაქიზებენ, ასპეტაკებენ, ამალეებენ და ღვთაებას უახლოვებენ – ყოველგვარი ფასი და ღირსება დაეკარგათ. სწორედ მოვალეობაა დღეს ეკლესიის მედგრად თავისი ხმის ამალეობა და ჩემი მოვალეობაც იქნება გითხრათ: – ჩვენ ეკლესიას აქვს მომავალი, უკეთ, ჩვენ უნდა მივცეთ მას მომავალი, თუ გვსურს მომავალი ჩვენი ერის და არსებობა; იგი არაა მუზეუმი და მე ისე ნუ ჩამთვლით, როგორც მუზეუმის ობიექტს, არამედ როგორც მებრძოლი, რომელიც ეძებს მებრძოლებს თქვენი წრიდან – ღვთის მილიციას ჩვენი ეკლესიისათვის მომავალის შესაქმნელად.

თუმცა მოვალეობა ძნელია, მაგრამ მაინც შეიძლება უკეთესი პოზიცია მეკავოს მე თვით აქ, ვიდრე სხვა რომელიმე მღვდელს. ჩვენ ყველამ დავკარგეთ სამშობლო და ვართ გამორიყულნი უცხოეთში ბაბილონის ნაპირზე და ტყვეობაში. უკვე ათი წელიწადია ვცხოვრობთ ჩვენ აქ. ბევრი განვიცადეთ და გამოვიარეთ, ავიტანეთ და გვაქვს კიდევ ასატანი, ვიტანჯეთ და მომავალიც შეიძლება მხოლოდ ტანჯვებს გვინიბათებს. ჩემთვის ადვილი იქნება და თქვენთვისაც ადვილად მისახვედრი, როს გეტყვით: –

უმთავრესი ტანჯვა იმაში კი არაა, იყო გამორიყული სამშობლოდან – ეს არაა, ბატონებო, უდიდესი ღვთის სასჯელი. არამედ ის: – იყო გამორიყული ადამიანურ ღირსებიდან და პატიოსნებიდან.

ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი – მშობლებიდან ნამკვიდრი, ადვილად მოგებული, თუ ჩვენი ოფლით მონაპოვარი. ჩვენ დავკარგეთ ყველაფერი და მე მგონია თქვენ მიხვდებით, როდესაც გეტყვით – ყველაფერი ამ ქვეყნად წარმავალია, ყველაფერი ჰქრება, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, იყიდება ან გაიყიდება, ერთია განძი, რომელსაც ფასი არა დაედება და უკვდავია იგი, რომლისთვისაც თვით ღვთის ძემ ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ თავისი სიცოცხლე არ დაიშურა: ესაა ღირსება ადამიანის სული. ამ სულს, სულს ანგელოსთა უსპეტაკეს უნდა ვემსახუროთ აქ, რომ იგი დავიფაროთ უმწიკვლოდ და უბიწოდ უცხოეთში ათასგვარ განსაცდელიდან.

და ბოლოს ამ ათი წლის განმავლობაში ცხოვრებამ სხვა ერთა შორის ჩვენ დაგვანახა ჩვენი საკუთარი საუნჯე – სპეციფიკური ქართული, შექმნილი ათას თაობათა მიერ ჩვენში – ჩვენი

ქართული სული. ისიც ვნახეთ, რომ უცხოეთისათვის ეს ჩვენი საკუთარი არავითარ ინტერესს იწვევს; მათ აინტერესებთ ჩვენი ქვეყანა, როგორც მდიდარი ბუნებით და განძეულობით, და იმდენად პატივს გვცემენ, რამდენადაც ჩვენ გვაქვს შანსები შინ დაბრუნების, რომ მათ მივცეთ ჩვენ საშუალება ჩვენში განძთა და მადანთა ექსპლოატაციისა; ჩვენი საკუთარი სული კი არის უკეთილშობილესი და უძვირფასესი ყოველგვარ მადანთა და საუნჯეთა, და ეს სულია, ბატონებო, ჩვენი ეკლესია. თუ გვაქვს რაიმე ეროვნული თავმოყვარეობა, ნუ გახდით ჩვენს სულს რომელიმე უცხოელის დახმარებისაგან დამოუკიდებლად, არამედ თქვენ თვითონ მოუარეთ ამას. ჩვენ შეგვიძლია, თუ მოვკიდებთ ამას ხელს, თუ ყოველი ქართველი ემიგრაციაში თავის წვლილს არ დაზოგავს, თუ გვსურს არსებობა და ადამიანური არსებობა, თუ გვსურს ჩვენი ელფერის შენახვა უცხოეთში. თუ გვსურს საფრანგეთის ან სხვა რომელიმე ერში არ გავითქვიფოთ, თუ გვსურს, რომ ემიგრაციას რაიმე წარუვალა სამსახურის გაწევა შეეძლოს ჩვენ სამშობლოსათვის და მის აქ არსებობას რაიმე მიზანი დაესახოს, – დაგვებმარეთ ჩვენ აქ ჩვენი საკუთარი სამლოცველოს შექმნაში. ნუ გააქართველებთ ამ საკითხს – თუ ჩვენ ჩვენ საკუთარ თავს ვუშველით, ღმერთიც ჩვენ გვიშველის და დაგვებმარება.

იესო ქრისტეს სახელით იქმნას ჩვენი დასაწყისი. მან უპატრონა ჩვენ ერს და დაიფარა იგი მრავალ განსაცდელიდან, და დღესაც მისი მადლითა, წყალობითა და კაცთმოყვარეობით სუნთქავს ჩვენი ერი და ეკლესია, და მის მადლს – წყალობას და კაცთ – მოყვარებას, ბატონებო, უნდა შევავედროთ ჩვენი დაწყებული საქმე. კურთხევა უფლისა თქვენზედა მისითა მადლითა და კაცთ – მოყვარებითა ყოვლადე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ქურნალი „ჯვარი ვაზისა“, N1, 1931 წელი, პარიზი, გვ. 9 – 19. – გრ. ფერაძე.

### გრ. ფერაძე ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსი\*

ამა წლის 13-16-ს ოქსფორდში ყოფნა მომიხდა ბოდლენის სამკითხველოს ქართულ ხელნაწერებში პატროლოგიურ თხზულებათა შესასწავლად. მუშაობის დროს ხელში ჩამივარდა ერთი მხედრულად დაწერილი ხელნაწერი, 1835 წლით დათარიღებული მს. უორდროპ 6, გადაწერილი ლუკა ისარლოვის მიერ 12 – 5 – 8 – 8 1 – 12, 138 გვერდში ყდაში. ეს ხელნაწერი შეუძენია უორდროპს ზ. ჭიჭინაძესაგან ტფილისში 25 – 9 – 1894 წ. შესაძლებელია ეს ხელნაწერი გადასცეს ზ. ჭ. – ს ისარლოვის მემკვიდრეებმა სხვა ქაღალდებთან ერთად, ისარლოვის ლექსების გამოსაცემად (გამ. ზ.ჭ. ტფ. 1894 წ. 4. 153 გვ.), და შემდეგ ეს ხელნაწერი, რომლითაც ზ. ჭ. – ს ნაწილობრივ უსარგებლოა, დარჩენილა მის ხელში და რამოდენიმე ხნის შემდეგ (მაგრამ იმავე წელს) შეუძენია მისგან უორდროპს. ეს ხელნაწერი მოკლედ აღწერილია უორდროპის ქართულ წიგნთა კატალოგში ქ – 5 ეკა ჩერქეზიშვილის მიერ.

შინაარსი: გვ. 6 – 47 ორ – სვეტად შეიცავს ლექსიკონს ს. სულხანის მიბაძვით (თუ პირდაპირ გადმოწერილია) შედგენილი; გვ. 48 – 129. 134 – 136 სუფთა ქაღალდი; გვ. 130 – 133 ერთ სვეტად ლექსებს; ზოგ ლექსს აქვს ერთგვარი წარწერა. ზოგს, სამწუხაროდ, არა. ამ ლექსებს, რომელნიც

\*სამწუხაროდ, ს. გორგაძის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული ბესიკის ავტოგრაფი და ლექსები ხელთ არა მაქვს (იხ. ჩვენი მეცნიერება, N 1 (წელიწადი მეორე) გვ. 27-30; ეს ცნობა ამოღებულია კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტ. ტ. 2. (ტფილისი, 1924 წ. გვ. 481, შენიშ. 1).

მათი ენის მხრივ სხვა და სხვა ავტორებს უნდა ეკუთვნოდენ, შესაძლებელია მოუყარა თავი ბ. ლ. ი. როგორც ნიმუშებს თავისი მცირე შრომისათვის, რომელსაც ეწოდება: მოკლე კანონნი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებისანი (გამ. ჭ. მიერ გვ. 95 – 122). მართლაც, ხელნაწერში მოყვანილ ლექსებიდან ამ თხზულებაში ვხვდებით მხოლოდ ერთ ლექსს, სამ სალმობითა უფალმა ღმერთმა და სხვა (გვ. 105). ამ ლექსს ახასიათებს თვით ისარლოვი ესე: – ლექსის წყობილობის გვარი თუმცა ჩახრუხაულია, დაწერილი წარსულ საუკუნეში, მარა შინაარსი მაჯამა არისო.

ამ ლექსებში სამმა ლექსმა მიიზიდა ჩემი ყურადღება, რომელთაგან ორი ეკუთვნის **ბესიკს** (ერთი უკვე ცნობილია), თვით მესამე, ჩემის აზრით, უნდა ბესიკს მივაკუთვნოთ. ენა ამ ლექსის არის ბესიკის და თუმცა ამ ლექსის მოთავსება ბესიკის ლექსთა შორის მაინც და მაინც იმის დამამტკიცებელი არაა, რომ ეს ლექსიც უნდა, აუცილებლივ, ბესიკს მიეკუთვნოს, მაგრამ თვით ეს მოვლენაც აღსანიშნავია. ამას კიდევ შეგვიძლია დავურთოთ ერთი გარემოება, რომელზედაც ამ მოკლე წერილის დასასრულს იქნება საუბარი.

1. 130 ბესარიონ რომ გააგდო ბატონმა რუსეთს, წავიდა ბაქარ ბატონიშვილთან; ბა –დალში (?) ღვთის მშობლის სურათს შესხმა უთხრა ექსპრომტით.

„ჯერისებრი შესხმა შენი არვის ძალუმს, ღვთისა სძალო.

ჯუმლად შეკრბენ ქებად შენდა ანგელოზნი კაცი ქალო ხამს რომ გიძლ(ვ)ნან მკასი (?) საკმელი გუნდრუკ

მური ალო

ჯვარცმულისა წმინდა დედათ ცოდვა მკურნე დედუფალო.

ეს ლექსი გამოქვეყნებულია პირველად ზ. ჭიჭინაძის და შემდეგ ს. გორგაძის მიერ (ტფ. 1912. 234, 2). გვ. 170 ორი ხელნაწერის მიხედვით. მიუხედავად იმისა, ჩემი ზემოდ მოყვანილი ვერსია განსხვავდება გორგაძის ვერსიებიდან. 1. კონა მკასი მაგიერ შეიძლება იკითხებოდეს: კინამ – კასნი. კინამო – სუნელი ყვავილია: კასია – დარიჩინი (გორგაძე 230).

2) 133 რ.

ამის ავი კაცი ვიყავ, ტყვე არვის ვაყიდვინეო,  
შვიდი წლის ხმელი ქათამი ხეს შევსვი და ვაყივლეო,  
მწყეისტ (?) ვასუქე, ვადიდე, ჩიროს ქვეშ დავაძინეო,  
ოსმალს ქვეყნები წავართვი, მათგან ხარაჯა ავიღე,  
ამა საქმისა მომქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე.  
დიდ სოლომონ მეფის საფლავზე დაწერილი.

თუმცა მინაწერში არაა ნათქვამი, რომ ეს ეპიტაფია უნდა ბ. გაბაშვილს ეკუთვნოდეს, მაგრამ ეს დიდი მეგობრობა, რომელიც ამ ორ პიროვნებათა შორის არსებობდა, შესაძლებლად ხდის ამგვარ მოსაზრებას. ცნობილია აქამდისინ სამი ეპიტაფია ბესიკის სოლომონ პირველ, იმერთა მეფეზე (1752 – 1781)

სამივე გამოცემულია ს. გორგაძის მიერ (გვ. 181).

3). ეს მესამე ლექსი უფრო გაცილებით მაინტერესებს და მსურს ამაზე სპეციალისტთა ყურადღება მივაქციო.

132 რ.

დამტკიცებულ ჰყოს ეს მარად მზერამან,  
საწუთოს ბრუნვანი თქმად არ ეგების,  
ვით ბნელ ჰყო დღე ჩემი, განმყო მზე რა მან

ესრეთ მომნდოთ მისთა მახედ ეგების  
 ოდეს იწყოს ეტლმან (1) ვის და სადარად  
 ელვარე ჰყოფს კრთოლვით, სვიანთ სადარად,  
 უშიშრად ვალს უნებს ჰგონებს სად არად,  
 მუნით წვიმა ჰება წინა ეგების...  
 სოფლის შვება ცხადი გინა იგავი  
 დასასრულ განსჭრიტო არის იგი ავი;  
 თუმცა მისნი ნივთნი სრულად იგავი  
 უცილოდ განქარდეს ბოლოდ ეგების  
 სვე ბედი ვით ორთქლი, დამი (2) წამისა  
 განაქროს სოფელმან და მიწამ ისა;  
 მას სიცრუედ იგ ვერ დამიწამისა  
 ამიერ უმკვიდროდ ვინაცა ეგების;  
 საცთურთა მანაჲთ ჰსწნა მან გალია;  
 მით განხრწნა სიცოცხლე და მან გალია  
 მუხთლობით ლესული ჰსდვა მანგალია;  
 იავარ ჰყო ვანი (3) სადლა ეგების  
 წარმდგეს რა ჰაზრთა შინა ის ერი...  
 ეტყვის გლახ გულს ოდეს მათთან ისერი  
 აწ ნაცვლად შვებისა საკუდად ისერი;  
 მით გული უმეტეს ლახვარს ეგების,  
 ვის მკეთრი უბნობა და თქმა ახს ენით,  
 მოწმეთ უბრძანეთ და უხუცესთ ახსენით...  
 სოფლით განაწირი სავნად ახ – სენით,  
 ჰგრძნობა ამას ყოველ ავლად ეგების;  
 ლტოლვისა სამოსი ვინცა იცონა  
 გულისთქმა ბაგითურთ მტკიცედ იცონა...  
 მარად ცრემლით ლოცვა არა იცონა  
 არ შთავარდეს საფრხესა მას ეგებ ის,  
 ვის გასურს სოფლით იქმნა არა დაგული  
 საღმრთოს სიბრძნეს მიეც გონი და გული.  
 ბოროტისთვის გრძნობა მტკიცედ დაგული,  
 „ესრეთ იქმს საწუთრო ბევრ სახედ ავით  
 „ფრიად მის მკაცრ ჯვრეტა ხამს სახედავით;  
 „რეცა მაგალით ჰყო სახე დავით  
 „მით განერო სოფლის საცთურო ეგების“...

1. ბედი, ბედისწერა. 2. ორთქლი. 3. ბინა, სადგური.

ეს ლექსი შეუძლებელია იყოს თვით ისარლოვის, რომელიც ცოტა თუ ბევრად ნიჭიერ ლექსებს სწერდა, ის ამ ლექსს თავის საკუთარ ლექსთა კრებულში შეიტანდა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნად. მთელი ამ ლექსის კომპოზიცია, ენა, შინაარსი არც ერთ ისარლოვის ლექსს არ უდგება. თუმცა მე ქართულ საერო ლიტერატურის დარგში არ ვმუშაობ და

ამის გამო ჩემს აზრს ისეთი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტისას. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს **ბესიკს**.

თუ ჩვენ ბესიკის ცხოვრებას ერთი მხრივ და მეორე, თვით **ისარლოვის** ოჯახის მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მგონია, შეიძლებოდა (მხოლოდ ამით რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ მაინც) ამგვარ დებულების დასაბუთება.

როგორც ვიცით, **ბესიკი** (1750 – 1791 იასში) ანა **ბატონიშვილის** სიყვარულის გამო ტფილისში, **ირაკლი მეფის** მიერ გაძევებული, მირზის **იმერეთში** 1779 წ. მეფე **სოლომონ პირველთან**, რომელიც მას კარგად იღებს; 1781წ., როს სოლომონ პირველი გარდაიცვალა, ბესიკი სწერს ეპიტაფიებს. შემდეგ **დავით მეფესთან** მდივნობს და იგზავნება მისგანვე რუსეთს დესპანად (1790 წ. თარიღები ამოღებულია ს. გორგაძის გამოკვლევიდან). გარდაიცვალა **იასში**.

ლ. ისარლოვის (1814 – 1893) ოჯახი იყო ძლიერ დაახლოვებული იმერეთის მეფე **სოლომონ მეორესთან**, როდესაც 1810 წ. რუსებმა იმერეთი აიღეს და სოლომონ მეფე ტფილისში მოიყვანეს – სწერს ჭიჭინაძე (იხ. ლექსთა გამოც. გვ. 2), სოლომონ მეფემ მაშინათვე **ისარლიშვილები** იკითხა და დიდი დედა **ლუკა ისარლოვისა**. მეფის თხოვნა მალე აღასრულეს და ისარლიშვილები მივიდნენ მეფესთან. მეფეს ისარლიშვილის ბებია უკეთებდა საჭმელს და ყოველდღე მირთმევდა სადილად. მეფე დიდი პატივისმცემელი იყო ამ მანდილოსანისა. მეფე მას არას უმაღავდა, ასე დაახლოვებულნი ყოფილან ისარლოვის მშობლები მეფესთანა – ო.

თუმცა ჩვენი თანამედროვე მეცნიერები ბ.ზ. **ჭიჭინაძეს** ბევრ რამეს არ უჯერებენ, მაგრამ ეს ცნობა ჭიჭინაძისა, უნდა იყოს მაინც დამაჯერებელი. ეს გაგონილი ექნება თვით ოჯახში.

და თუ ეს ასეა, შესაძლებელია, მეფე სოლომონს ჰქონდა თან იმერეთიდან ჩამოტანილი კრებული ბესიკის ლექსებისა; **იმერეთის სამეფო კარზე ბესიკს დიდ პატივსა სცემდენ, და იქ მას თავადობაც კი ებოძა**. ეს კრებული **ისარლიშვილიანთ** ოჯახს ალბად ხელში ჩაუვარდა და რამოდენიმე ლექსი გადაწერეს. შემდეგ შეიძლება თვით ლ. ისარლოვმა თავის 1835 წ. გადაწერილ რვეულში, რომელიც ამ ჟამად **ოქსფორდში** ინახება, გადაიწერა.

გრ. ფერაძე, ჟურნალი. „**ჯვარი ვაზისა**“, N1, 1931 წ., პარიზი.

## **„ჯვარი ვაზისა“**

ემსახურება ემიგრაციაში საეკლესიო ცენტრის მოწყობას და ქართველთა შორის უცხოეთში რელიგიურ – ზნეობრივ გრძნობათა გაღრმავებას. გარდა ამისა, ეცდება, შეძლების და გვარად, ყოველ ნომერში მოათავსოს რაიმე მცირე გამოკვლევა ჩვენი წარსული ცხოვრებიდან.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი მეგობრების მისამართი და გაავრცელოთ ჩვენი ჟურნალი ემიგრაციაში.

ვინც პირველი ნომერის ღირებულებას არ გამოგზავნის (უცხოეთში ექვსი ფრანკი) მას მეორე ნომერი არ გაეგზავნება.

ჟურნალში იღებენ უახლოეს მონაწილეობას ბბ. ზ. **ავალიშვილი**, ილ. **დადეშკელიანი**, პრ. **ექვთიმე თაყაიშვილი**, პრ. **მიხ. წერეთელი** და სხვანი.

ჯვარი ვაზისა, N1, 1931, პარიზი.

შენიშვნა: უცვლელადაა დაბეჭდილი ავტორისეული ტექსტი.



**ვახტანგ ღამბაშიძე**  
**შორეული წარსულის მოგონება.**  
**ვეძღვნი პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას**  
**ექ. ვახტანგ ღამბაშიძის დღიურიდან**

1916 წლის შემოდგომა იყო. პროფესორი **პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი**, ჩვენი ცნობილი მეცნიერი, აპირებდა **თბილისში** ცოტა ხნით დაბრუნებას **აბასთუმნიდან**, სადაც წასული იყო საზაფხულოდ დასასვენებლად. ექიმი **კიკო მელიქიშვილი**, მისი ნათესავი, რომელსაც თბილისში ჩინებულად მოწყობილი სამკურნალო ჰქონდა, მოელოდა მას და გვპირდებოდა მის გამოსამშვიდობებელ საღამოზე დაპატივებას. ამ სამკურნალოში ვმუშაობდით ათიოდე ექიმი და თითქმის ყოველ დღეს ვხვდებოდით ერთმანეთს. ყველანი დიდის სიამოვნებით მოველოდით ამ სასიამოვნო შეხვედრას, რადგანაც დიდი პატივისცემელნი ვიყავით ჩვენი ცნობილი მეცნიერის; **ოდესის** ქართველ სტუდენტობას ყოველთვის სიამოვნებით აგონდებოდა ხოლმე ორი ცნობილი მეცნიერის, **ვასილ პეტრიაშვილის** და **პეტრე მელიქიშვილის** სახელი, მათი მეგობრული ურთიერთშორის დამოკიდებულება და ნამდვილი მამა – შვილური განწყობილება. **ოდესის** ქართველები ამ ორ პროფესორთან ერთად თითქოს ერთ ოჯახს წარმოადგენდნენ და ჩვენ, არა ოდესელ სტუდენტებისთვისაც – კი, ეს სასიამოვნო მოსაგონარად იყო გამხდარი. ამ ორთაგან, სამწუხაროდ, პროფესორი **ვასილ პეტრიაშვილი** ძალიან ადრე გარდაიცვალა (1845 წელს დაბადებული, 63 წლის ასაკის გარდაიცვალა 1908 წელს ქალაქ **კარლსბადში**). ოდესელ ქართველ სტუდენტებს მოესპოთ ასეთ ძვირფას ოჯახში მისვლის სიამოვნება. განსვენებულის მეუღლე, რომელიც დიდი ხელისშემწყობი იყო ყველაფერში ამ იშვიათი მეცნიერისა და ადამიანის, **ოდესაში** ველარ დარჩა. ამით მოისპო ეს შესანიშნავი კერა მოსწავლე სტუდენტობისათვის და მათაც მთელი ყურადღება და პატივისცემა პროფესორ **მელიქიშვილზე** გადაიტანეს.

მალე ექიმმა მელიქიშვილმა გვაცნობა მისი ნათესავი მეცნიერის ჩამოსვლა და ჩვენც მოგვიყარა თავი თავის ბინაზე. ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, რაც უფრო დიდებულად ეწყობა საზეიმო ვახშამი, მით უფრო გვიან სხდებიან სუფრაზე; დიასახლისს ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი და დრო საკმაო დაგვირჩა საუბრისათვის. ყველას გვსურდა პატივცემულ პროფესორთან ბაასი და ხან ერთი, ხან მეორე სარგებლობდა შემთხვევით, რომ მას გამობხაურებოდა. ასე ვიქნებოდით თხუთმეტამდე სტუმარ – მასპინძლიანათ, ყველანი ექიმები თავიანთ მეუღლეებით. ცოტა – ხნის საერთო ბაასის შემდეგ, ცალკე პატარ – პატარა ჯგუფებად დაყოფილნი, დარბაზის ყველა კუთხეში ჩამოვრიგდით. ხან ერთი ჯგუფი, ხან მეორე მიუჯდებოდა ხოლმე პროფესორს გამოსალაპარაკებლად. ჩემმა ჯერმაც რომ მოაღწია, მივუახლოვდი და ვსთხოვე, მცირეოდენის ხნით ჩემთვისაც დაეთმო თავისი ყურადღება.

პროფესორი მელიქიშვილი მე ბევრჯერ მყავდა ნახული, როდესაც საზაფხულოდ საქართველოში ჩამოდიოდა. ძალიან კარგად ვიცნობდი მის დას ქ – ნ **კეკეს**, ცნობილ **მოღვაწის**, **სერგო მესხის** ქვრივს, რომლისაგანაც ხშირად ვტყობულობდი პროფესორის ამბავს. ერთჯელ, მახსოვს, ბორჯომში შევხვდი ბ – ნ პეტრეს პროფესორ **ვასილ პეტრიაშვილთან**, სადაც დიდ ხანს ვიბაასეთ სამეცნიერო კითხვებზე. ეს შემთხვევა კარგად მოაგონდა ბ – ნ პეტრეს და ღიმილით მიპასუხა: დიდის სიამოვნებით, მაგრამ მე ვიცი თქვენი ჩვეულება, უთუოდ ქართულად დამელაპარაკებით და ვაი თუ, თუ ვერ მოვახერხო პასუხის მოცემაო.

ვისაც კი უნახავს პატივცემული პროფესორი, არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება მისი მშვენიერი გამომეტყველებისთვის: ჭარმაგი მოხუცი, სახე ღრმად ჩაფიქრებული, ღამაში ნაკვეთებით

შემოხაზული, ჭკვიანური, ღრმად გამსჭვრეტი თვალები, სასიამოვნო ღიმილი, გამომეტყველება უბრალო და თავმდაბალი, რაც დამახასიათებელია ყოველი დიდი და ღრმად განსწავლული მეცნიერის, ყოველგვარ ხელოვნურ მედიდურობას მოკლებული, რაც უფრო ხშირად ახასიათებს ზერელე ჭკუის, დაბალი ხასიათის მეცნიერთ, – ყველაფერი ეს ძალაუნებურად გიზიდავდათ ამ ადამიანის პირველ შეხვედრისთანავე და უნებლიეთ იმსჭვალეობდით უაღრესის პატივისცემით ეროვნული თავმოყვარეობის სანუგეშებლად და სასიქადულოდ.

თუმცა ჩემი კითხვები სამეცნიერო საგანს შეეხება, – ვუპასუხე მე პატივცემულ პროფესორს, – ვცდები ისე მარტივად და ადვილად გასაგები სიტყვებით გამოვსთქვა ჩემი სათქმელი, რომ ადვილად გაიგებთ ყოველივეს. თქვენ კი პასუხი რუსულად გამეცით, – ამის უფლებას მე არავის არ ვართმევ.

ამის შემდეგ დავიწყეთ საუბარი რადიუმის შემცველ ნივთიერების სხვა და სხვა თვისებაზე და რამდენად გავრცელებულია ეს ნივთიერება სხვაგან და კერძოდ, საქართველოში. შევხებით, აგრეთვე, რადიუმის სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხსაც. ყველაფერზე თავის განმარტებას მაძლევდა ჩვენი მეცნიერი და ეტყობოდა, რომ მშვენივრად ესმოდა ყოველივე ჩემი ნათქვამი.

სხვათა შორის მოვყევი ერთი მკვლევარის ნაწარმოების შესახებ საგულისხმო დაკვირვებას. მას შემთხვევით საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ დაბრუნებისას გარდაუვლია კავკასიონის ქედზე. გზაში რამოდენიმე ადგილს შეჩერებულა, ზოგან დასასვენებლად და ზოგან ღამის გასათევად. გზა და გზა სხვა და სხვა დაკვირვებაც მოუხდენია მეცნიერულის მიზნით. რუსეთში დაბრუნებულს, საფოტოგრაფიო გადასაღებ მინებზე შეუმჩნევია რაღაც ნიშნები, რომელიც მიემსგავსებოდა მხოლოდ რადიუმის ზედგავლენით გამოწვეულ ნიშნებს. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ ამნაირად აუხსნია ეს გარემოება: სადაც გადმოვლილ გზაზე უთუოდ ისეთ ადგილას გაჩერებულა, სადაც რადიუმის ნივთიერება ყოფილა და ამას თავისი გავლენა მოუხდენია მის მინებზე. სხვების ცნობითაც ადასტურებს, რომ კავკასიონის ქედზეც ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც ცხენს უკანა ფეხების სიღამბლე მოსდის, რომელსაც რაღაც ბალახის ჭმევით არჩენენო. **ასეთი უცნაური გავლენა მხოლოდ რადიუმს უნდა მიეწერებოდეს.** ამასთანავე, გამოკვლევითაა ახსნილი ამბავი **საბერძნეთის** მითოლოგიიდან. ერთ მეფეს, რომელსაც უნდა აეყვანა დედოფლად ერთი ვინმე მეტად ლამაზი ქალი, სულ სხვა შეპყვარებია და პირველისათვის თავი დაუნებებია. ამ პირველს, სასოწარკვეთილს განუზრახავს შურისძიებით თავისი მეტოქის მოსპობა. მას ჰქონია **კოლხეთიდან ჩამოტანილი იშვიათი თვლები**, რომლის თვისაზაც კარგად სცოდნია. მას გაუკეთებია ძვირფასად მოოჭვილი, იშვიათი სიღამაზის გვირგვინი და გარეშემო ეს თვლები ჩაუყოლებია. გაუგზავნია საჩუქრად თავის მეტოქესათვის, საზეიმო შემთხვევისათვის თავზე დასადგმელად. ერთ – ერთ ზეიმის დროს, ამ გვირგვინით დამშვენებული დედოფალი გამოსულა მოედანზე და დამდგარა მეფის გვერდით. რამოდენიმე ხნის შემდეგ დედოფალს გული შესწუხებია და გრძნობაც დაუკარგავს. მივარდნილან მხლებლები მისამველებლად და, როდესაც გვირგვინი მოუშორებიათ, მას გაჰყოლია შუბლისა და თავის დამწვარი კანის ნაჭრები. მაშინ ყველანი მიმხვდარან, რომ მიზეზი უბედურების სწორედ ამ გვირგვინში უნდა ყოფილიყო. შემდეგ მკვლევარი დასძენს, რომ **ეს მოვლენა შეიძლება მხოლოდ აიხსნას რადიუმის თვისებით.** გვირგვინის გამომგზავნელს კარგად უნდა სცოდნოდა მასში ჩატანებულ თვლების მავნებელი თვისება, შურის სამიებლად არჩეული. ამ ბერძნულად დაწერილი თხზულების შესახებ, რომლის არც სათაური და არც ავტორი აღარ მაგონდება ეხლა, მკვლევარი დასძენს შემდეგს: ასეთი უცნაური თვისების თვლები საბერძნეთში კოლხიდიდან გაჰქონდათ და შესაძლებელია, ასეთი თვისების

ახსნა რადიუმის და მისი მსგავსი ნივთიერების მეოხებით. უეჭველია, რადიუმის არსებობა შორეულ წარსულიდან ყოფილა ცნობილი და საქართველოს მდიდარ ბუნებაშიც ბევრგან უნდა იყოს საამისო ადგილებიო.

ყველაფერს ყურადღებით ისმენდა ჩვენი მეცნიერი და თავის შეხედულებასაც გამოსთქვამდა. უთუოდ მრავალ ადგილებზეა საქართველოს მთებში რადიუმის ნივთიერება, მაგრამ ჯერ, სამწუხაროდ, საამისო კვლევა – ძიებას არვინ აწარმოებსო. თანაც რადიუმის აღმოჩენა დიდი ხნის ამბავი არ არის და უთუოდ მეცნიერების წინმსვლელობა ამ დარგშიც ბევრს რასმეს აღმოაჩენს და ჩვენი საქართველოც ხომ ყველაფრით უხვად არის დაჯილდოებულიო. თქვენი მოყოლილი ამბავი მეტად საგულისხმოა და საყურადღებო, – მიჰსაუბრა ჩვენმა მეცნიერმა, რომელიც ისე გაიტაცა ამ საუბარმა, რომ თითქმის მთელი ლექციაც კი წაიკითხა რადიუმის შესახებ.

შემდეგ გადავედით პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ორ შესანიშნავ ნაწარმოებზე, **ღვინისა და რძის შესახებ, რომელიც თითქმის პირველ სამეცნიერო დარგის ღირსეულ ნაშრომს წარმოადგენს მე – 19 საუკუნის ქართულ მწერლობაში**. ამ ორივე ნაწარმოების, კერძოდ, საქართველოსათვის დიდ მნიშვნელობაზე ვისაუბრეთ. პროფესორი დიდად აქებდა თავის მეგობარ მეცნიერის ამ ღირსშესანიშნავ შრომას, მეტადრე მშობლიურ ენაზე დაწერილს, რომელიც მას თურმე ძალიან ყურადღებით ჰქონია წაკითხული.

შემდეგ ბ – ნი პეტრე შემეკითხა ჩემი სანატორიუმის შესახებ, რომელიც მე და მამაჩემმა ავაშენეთ პატარა ცემში 1904 წ. მას ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ამ დაწესებულების შესახებ. შევეხეთ დაწვრილებით მაღლობ ადგილების განსაკუთრებულ თვისების გამოყენებას მოზარდ თაობის გაჯანსაღებისათვის. ბევრი რამ გამომკითხა დაწვრილებით, როგორ ვაწარმოებდი იქ სხვა და სხვა დაკვირვებას და რა შედეგს მივაღწიე, რადგანაც ეს პირველად იყო საქართველოში დაწყებული. გავუზიარე ჩემი ათი წლის დაკვირვების საბოლოო დასკვნა, ათას ხუთას მოზარდ ქალ – ვაჟზე მოხდენილ ზეგავლენის შესახებ, რომელთაც ჩემთან ზაფხულობით ორი თვე და ნახევარი დაჰყვეს. დაწვრილებით გამომკითხა ყოველივე, მით უფრო, როდესაც ავუხსენი, რომ დაკვირვებას ვაწარმოებდი **საფრანგეთის** ორ მეცნიერთან შეთანხმებით. ერთი იყო **სორბონის** პროფესორი **ალფრედ ბინე** და მეორე ექიმი **ალფონს ლავერანი**, პირველი გამომკვლევე ჭაობის ციების – მალარიის სათავისა, მთელ მსოფლიოში ცნობილი. პირველს მათგანს ძალიან უნდოდა მთა – ადგილზე ნაწარმოები დაკვირვება, სისხლის შემადგენლობის ცვლილების, ფილტვების სუნთქვის პროცესის თვისებურობის, მაღალი ადგილის მზის სხივოსნობის განსაკუთრებული გავლენის შესახებ და სხ. ასეთ ცდას **პროფესორი ბინე** სორბონის ლაბორატორიაში უკვე აწარმოებდა საგანგებოთ მოწყობილ საცდელ ოთახში, სადაც შეიძლებოდა სურვილისამებრ ჰაერის გამოსრუტვით სათანადო სიმაღლის პირობების შექმნა, მაგრამ ასეთი ცდები მას არ აკმაყოფილებდა, რადგანაც ჰაერის დაწოლის გარდა, სხვა პირობები არ უდრიდა მაღლობის პირობებს.

ასეთი დაკვირვება მაღლობ მთიან ადგილებზე არავის არ უწარმოებია, და, თქვენ თუ ამას იკისრებთ, დიდ ნაკლს შეავსებთ; ერთად დავამუშავოთ ეს მასალა, და მე დავბეჭდავ ჩემს სამეცნიერო კრებულშიო, – მეუბნებოდა **პროფესორი ბინე**. მეორეს კი, ექიმ **ლავერანს**, რომელსაც ძალიან სწამდა მაღლობი ადგილის დიდი სარგებლობა ყოველ ჭაობის ცივებით ნაავადმყოფარისათვის, საჭიროდ მიაჩნდა მაღალ ადგილზე დაკვირვების წარმოება, თუ როგორ იცვლება მაღლობზე სისხლის შემადგენლობა მალარიით დაავადებულის სხეულში, თანდათანობით რამოდენიმე თვის განმავლობაში, რადგანაც საქართველოში ჭაობის ცივება ძალიან არის გავრცელებული, გირჩევთ, რომ, რაც შეიძლება მაღლობ ადგილზე ააშენოთ თქვენი სანატორიუმიო – მირჩევდა იგი. მე რომ ვუპასუხე, 1400 მეტრის სიმაღლე მქონდა ნავარაუდევ; სავსებით მოიწონა

ჩემი გადაწყვეტილება. ყველაფერს ამას გულდასმით ისმენდა ბ – ნი პეტრე და სხვა და სხვა კითხვებს მაძლევდა. დავრწმუნდი, რომ ყველაფერი კარგად ჰქონდა გაგებული ჩემი ნალაპარაკებიდან. დამპირდა, რომ უთუოდ მოვიდოდა მომავალს წელს ჩემი სანატორიუმის სანახავად და სამეცნიერო დაკვირვების მასალის გასაცნობად.

ამ მრავალფეროვანმა საუბარმა ორივენი ისე გაგვიტაცა, რომ სრულებით ვერ შევნიშნეთ, როგორ გაირბინა დრომ. არც შევჩერდებოდით, ალბად, რომ უცებ დიასახლისის ხმა არ გაგვეგო, რომელიც სუფრაზე გვიწვევდა. დიასახლისმა მიგვიწვია ყველანი დანიშნულ ადგილზე. ბ – ნი პეტრე საპატიო ადგილზე დასვეს და ჩვენც შემოვუსხედით დიდ სუფრას. როგორც წესი მოითხოვდა, მაშინვე შევუდექით სუფრის მეთაურის არჩევას. ძალიან ვსთხოვეთ მასპინძელს, მაგრამ არ დასთანხმდა. შემდეგ მე მომმართეს. მეც უარზე დავდექი, მაგრამ არ გამივიდა და ძალა – უნებურად უნდა დავთანხმებულიყავი.

პირველი სადღეგრძელო, რასაკვირველია, საპატიო სტუმრის უნდა ყოფილიყო. ყველამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და დიდის მოწიწებით შესვეს მშვენიერი ღვინო. ყველას ვსთხოვე სიტყვების მოსმენის დროს არ შეჩერებულიყვნენ და განეგრძოთ ვახშმობა. ამნაირად დროს არავინ გააცდენდა და არც სიტყვის მთქმელი იქნებოდა იძულებული, რომ თავისი სათქმელი შეეზღუდა, წინადადება მიიღეს, რადგანაც მიხვდნენ, რომ ჩემი სათქმელი მოკლედ არ ამოიწურებოდა. პროფესორს ვსთხოვე ზეზე დგომით არ დაღლილიყო და ამნაირად ჩემთვის სათქმელი გაედვილებია. სხვებმაც ძალიან სთხოვეს იგივე და პროფესორიც იძულებული იყო დათანხმებულიყო. ამნაირად მეც თავისუფლად ვიგრძენი თავი და სიტყვის შემოკლებაზე არ მიფიქრია.

დავახასიათე მოკლედ ძვირფასი პროფესორის სამეცნიერო მოღვაწეობა **ოდესის** უნივერსიტეტში. მოვიხსენიე, აგრეთვე, მისი ახლო მეგობრის, განსვენებულ **ვასილ პეტრიაშვილის** მეცნიერული ღვაწლი და მრავალ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა. ეს ორი პიროვნება ყოველთვის ერთად მოსაგონარი, ორ მეცნიერების ბურჯს წარმოადგენდა არა თუ ყველა ოდესელ სტუდენტებისათვის, არამედ დანარჩენ უნივერსიტეტის ქართ. სტუდენტებისათვისაც. რა სიამოვნებით აღსანიშნავია ის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც სუფევდა ამ ორ ცნობილ მეცნიერთა და ოდესის ქართველ სტუდენტთა შორის, როგორ რჩებოდა სამუდამო და სასიამოვნო მოსაგონრად ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგაც, ესეთი მეცნიერული და საოჯახო ურთიერთობა; **მამაშვილურის გრძნობით დამთბარი**, თავისიანებს და სამშობლოს დაშორებული ახალგაზრდობისათვის ეს ხომ დაუფასებელი რამ უნდა ყოფილიყო. ამას ყველანი გრძნობდნენ და აფასებდნენ. დასასრულ, მოვახსენე ჩვენს ძვირფასს სტუმარს შემდეგი:

ორ შესანიშნავ მეცნიერების ბურჯთაგან, სახელოვანი **ვასილ პეტრიაშვილი** უდროოდ მოგვაშორა უწყალო ბედმა. დავგრჩით ეხლა მხოლოდ თქვენ; ნება მოგვეცით, ბ – ნო პეტრე, გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და უებრო ჯანმრთელობა სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი აქ მსხდომნი და ჩვენთან ერთად ყველა შეგნებული ქართველი ამასვე ვინატრებდით თქვენთვის. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ერთი რამ უნდა დავსძინო ამ ჩვენს ნატვრას: უნდა გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ ძალიან მენანება თქვენი თავი რუსეთის ასპარეზისათვის. **რუსეთი დიდი სივრცისა და მრავალრიცხოვანი ქვეყანაა**, მას საკმაოდ მოეპოვება საკუთარი ძალები, სამეცნიეროც და სხვაც. ჩვენ ქართველებს კი, უკუღმართი პირობების გამო, ძალიან ცოტა გვყავს განსწავლული ხალხი და სულ მცირე რიცხვი მეცნიერების. რუსეთი, როგორც იტყვიან, უჩვენოდაც იოლად წავა, და ჩვენ კი სად უნდა ვეძიოთ საქართველოსათვის მეცნიერები გარეშე ქართველობისა? უცხო მეცნიერი ჩვენში მხოლოდ მეცნიერების წარმომად-

გენელი შეიძლება იქნეს, მაგრამ ის ვერ გახდება ქართველი მთელის არსებით, სულით და მიდრეკილებით, ამისათვის საჭიროა ქართველი მეცნიერი ქართველად დაიბადოს, ქართული წიაღში აღიზარდოს და ყოველი მისი თვისება ადგილობრივ ჰავასთან, მზესთან და საზოგადოებასთან იყოს შენივთებული. ხომ მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაფერი ბიოლოგიის გარდაუვალ კანონებზედ არის დამყარებული და არა რაიმე სხვა შემთხვევით მოვლენებზე. მაგალითად თქვენთვის, ბ – ნო პეტრე, საკმარისი არ არის რომ მხოლოდ ზაფხულობით ესტუმროთ თქვენს ქვეყანას და თქვენს თანამემამულეებს, რასაკვირველია, ჩვენ ამისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ, მაგრამ ეს საკმარისი არ მიმაჩნია. მაგალითად, მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსათვის უფრო საჭირო ბრძანდებით, ვიდრე რუსეთისათვის. გარდა ამისა, მთელი თქვენი არსება, **ქართული მარადიული სულიც**, დარწმუნებული ვარ, ამასვე მოითხოვს.

თქვენი სამეცნიერო ასპარეზი რომ აქ გადმოიტანოთ, სულ სხვანაირად იგრძნობთ თავს და სხვაგვარ ხალისს განიცდით სამეცნიერო მოღვაწეობისას. თქვენი ხანგრძლივი რუსეთის ასპარეზზედ მუშაობის მიუხედავად, **თქვენ რუსეთისათვის უცხო ხართ და არა ორგანული ნაწილი მისი დიდი სხეულისა**. არასოდეს არ დამავიწყდება განთქმული პროფესორის, ჩვენი თანამემამულის, **ივანე თარხნიშვილის** სამწუხარო მაგალითი; როგორც მოგეხსენებათ, იგი მეტად ცნობილი იყო მთელ რუსეთში და მეტადრე **პეტერბურგში**, სადაც მრავალი საზოგადოება ესწრებოდა მის განთქმულ საჯარო ლექციებს **ფიზიოლოგიის დარგისას**. რუსეთს გარეშეც იცნობდნენ მას და მეც ბევრჯელ მომისმენია საზღვარგარეთ მეცნიერთაგან ლექციებზე მოხსენებული მისი სახელი; რასაკვირველია, **არსად ქართველად არ იყო დასახელებული იგი**. როდესაც გარდაიცვალა ეს განთქმული და ყველასაგან პატივცემული პროფესორი, როგორც დამსწრეთ გადმომცეს, **ძლივს რამოდენიმე ადამიანი მისდევდა თურმე მის კუბოს**, ისიც იმ ქალაქში, სადაც მან შეაღია თავისი სიცოცხლე თვალსაჩინო მეცნიერულ მუშაობას. აი, სანამდე მიაღწია **რუსულმა უგულობამ!** მერე რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ **რუსეთისათვის ის მაინც უცხოელად დარჩა**. განა აქ, თავის სამშობლოში რომ ყოფილიყო, ასე უგულოდ შეხვდებოდნენ ასეთი პიროვნების აღსასრულს?! არა და არა! ამიტომაც, ბ – ნო პეტრე, უთუოდ უნდა დაუბრუნდეთ სამოღვაწეოდ თქვენს სამშობლოს, და საამისო შემთხვევაც კარგი გეძლევათ: სულ მოკლე ხანში ჩვენ გვექნება საკუთარი **სამეცნიერო ტაძარი, ქართული უნივერსიტეტი** ყველა ფაკულტეტებით. აი, ეს არის სწორედ სათქვენო ასპარეზი, სავსებით შესაფერისი, ღირსეული და თქვენი წარსული ნაყოფიერი მოღვაწეობის წარმატებით დაგვირგვინებული. სულით და გულით გისურვებთ, რომ მომავალ ქართულ უნივერსიტეტის პირველ რექტორად თქვენ ბრძანებულიყოთ, და თქვენი სამეცნიერო ლექციები რუსეთის მაგივრად საქართველოში ქართველ სტუდენტებისათვის გაგეგრძელებით. აი, მაშინ მიიღებთ თქვენ სრულს კმაყოფილებას, ხანშიშესულობა დაგავიწყდებათ, ახალგაზრდულის ცეცხლით შეხურდებით, მშობლიურ ნიადაგზე გადმოსვლით ძალა გაგიათკეცდებათ და ყოველმხრივად გაამშვენებთ **ჩვენს ნორჩ სამეცნიერო ტაძარს**. მე ამ სიტყვებს საოცნებოდ არ მოგახსენებთ, არამედ ნამდვილის და შეურყეველის რწმენით და იმედით. ღმერთმა მოგანიჭოთ დღეგრძელობა და თქვენთან ერთად მალე მოგვასწროს თქვენთვის და ჩვენთვის ნანატრ ამ ბედნიერ დღეს. ღმერთმა გაგიმარჯოთ თქვენ, ძვირფასო მეცნიერების ქურუმო, და **თქვენთან ერთად გაუმარჯოს ჩვენს მომავალ ქართულ უნივერსიტეტს!**

ყველანი რიგ – რიგობით მივუახლოვდით ძვირფასს სტუმარს და ცალ – ცალკე მივესალმეთ. მანაც აღტაცებულმა მადლობა გადაგვიხადა თვითუფლს და გვაცნობა, რომ საპასუხო სიტყვას ბოლოს იტყოდა.

როდესაც ყველანი თავის ადგილზე დავსხედით, აი, მაშინ შეიქმნა ერთი ამბავი. თითქმის ყველანი ალაპარაკდნენ და დაიწყეს ჩემი ბოლოსიტყვაობის შესახებ მეგობრული დაცინვა - აი, ოცნებაც ასეთი უნდაო - წამოიძახა ექიმმა ო. **თიკანაძემ**. რა კარგად იცის ჩვენმა ვახტანგმა ოცნების სამთავროში გადავარდნა. თვითონ გადახტება და შენც ძალაუნებურად მიგათრევსო - წამოიძახა **ექ. მელიქიშვილმა**, და მეგობრულის ღიმილით დამაჯილდოვა. „სე ნონ ე ვერო ე ბენ ტროვატო“ - წამოიძახა ერთმა. **სანდრო დიასამიძემ** ჩვეულებრივის ღიმილით გადმოძხედა, არაფერი არა სთქვა, უთუოდ შევებრალე, მაგრამ ცალი თვალის ქუთუთო თავისებურად თვალს ჩამოაფარა. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მაინცა და მაინც ჩემი ნაოცნებარის განხორციელება ძალიან არა სჯეროდა. ქმრებს მათი მეუღლეებიც აპყვნენ, ყველანი თავის მხრივ სხვა და სხვა აზრს ადგნენ, მაგრამ საერთოდ ეტყობოდათ, რომ ჩემი ნათქვამის განხორციელება მაინცა და მაინც საიმედოთ არ მიაჩნდათ. ბოლოს ერთმა ჩემმა მეგობარმა, უთუოდ ჩემს სანუგეშებლად წარმოსთქვა: რაც უნდა სთქვათ, ჩვენმა ვახტანგმა ისე კარგად იცის **ოცნების შეთამაშება**, სულ უცნაური რამეც რომ სთქვას, სიამოვნებით გაგიტაცებთ. თითქმის დაგაჯერებთ და ერთგვარ სიამოვნებას გაგრძნობინებთ. ამისთვისაც მადლობელი უნდა დავრჩეთო.

მე მადლობა შევსწირე თანაგრძნობისათვის და თანაც დავუმატე, რომ სრულებით არ მჭირდებოდა შებრალება, რადგანაც ჩემი ნაოცნებარის განხორციელება სრულებით საეჭვოდ არ მიმაჩნდა. ჩემს მეგობარს **ექ. თიკანაძეს**, რომელიც ისევ განაგრძობდა დაცინვის კილოთი ოხუნჯობას, ვუპასუხე:

- ჩემო ივანე, ოცნების სიჭარბეს რომ მიწუნებ, ხომ იცი, რომ **უოცნებო ბუნებაში მხოლოდ უბრალო ჯირკია და რატომ არ უნდა გაურბოდეს გონიერი ადამიანი ჯირკად გარდაქმნას?** განა მთელი ბიოლოგიის კანონები და ბუნების მრავალფეროვნება ამისათვის შევისწავლეთ, რომ ჯირკისნაირი არსებობა გავსწიოთ! მე ამ აზრისა არა ვარ და ვერც წარმომიდგენია ადამიანის ასეთი დაკნინება.

ჩვენი საპატიო სტუმარი ყველაფერს უსმენდა და, როგორც შეჰფერის ნამდვილ მეცნიერს, ჩვენს უბრალო კამათში არ ერეოდა. ამასობაში მან მოისურვა სამადლობელი სიტყვის წარმოთქმა და ყველანი სმენად გადავიქეციით.

- ბატონებო, - ცოტად აღელვებულმა დაიწყო პროფესორმა: - დღევანდელი დღე გამომყვება სასიამოვნო და დაუვიწყარ მოგონებათ. ექიმ ვახტანგის დღევანდელმა საუბარმა დამარწმუნა, რომ **ჩვენი ენა მეტად მდიდარი ყოფილა სამეცნიერო სიტყვებით**. რაც მკითხა და რაც მიაშბო მან, ყველაფერი ეს შეეხებოდა სამეცნიერო დარგს და ისე კარგად გამაგებინა ჩემმა მოსაუბრემ, რომ არ მეგონა, თუ ეს ასე ადვილი მოსახერხებელი იყო. ამ სიმდიდრესთან ერთად, **ქართული ენა მეტად სასიამოვნო და მუსიკალურიც ყოფილა**. ეს მე დღეს აშკარად ვიგრძენი საუბრის დროს. ორივე ეს რწმენა, ჩემში დაბადებული, თან მიმყვება, როგორც ახალი და სასიამოვნო აღმოჩენა. ამისათვის განსაკუთრებულ და გულწრფელ მადლობას მოვახსენებ ჩვენს ვახტანგს. რაც შეეხება ჩემს შესახებ ნანატრ მომავალს, ამისთვისაც დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ უნდა გულწრფელად გამოგიტყდე, რომ მე ოცნებითაც არ შემიძლია წარმოვიდგინო ასეთი მომავალი. **ვინ მადირსებს მე ასეთ ბედნიერებას, რომ ქართულ უნივერსიტეტს შევესწრო და მისი რექტორობაც მხვდეს წილად?** მაინც მადლობელი ვარ კეთილი სურვილებისათვის და საერთოდ თქვენი პატივისცემისათვის. მინდა წასვლის წინად მოგახსენოთ შემდეგი: - დღეს აი, აქ ყველასთან სიტყვას ვიძლევი. რომ რუსეთში ჩასვლისთანავე, შევუდგები ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლას. **ამიერიდგან ამას მე სამღვთო მოვალეობად ვისახავ**. ვეცდები, რომ ეს სამწუხარო ნაკლი შევივსო და **ქართული ენა კარგად შევითვისო**. ეს მართლაცდა უუსაჭიროესი რამ ყოფილა ქართველი მეცნიერებისათვის და

დღევანდელმა საღამომ კი ცხადათ შემაგნებინა. ამასთანავე, დიდი მადლობა გამოგვიცხადა ყველას, სტუმარსა და მასპინძელს.

ამაზედ საბოლოოდ კიდევ ვუპასუხე შემდეგი: - რადგანაც ასეთია თქვენი დღევანდელი გარდაწყვეტილება, რომელსაც ყველანი აღტაცებით ვეგებებით, ვკადნიერდები და ერთ პატარა რჩევასაც მოგახსენებთ, როგორც უუსაჭიროესს: **ყოველდღე უნდა იკითხოთ ხმამაღლა, როგორც რომ იტყვიან, დიაკვანივით, ნახევარ საათს მაინც, „ვეფხვისტყაოსანი“, „დაბადების წიგნი“, „სახარება“ ან „დავითის ფსალმუნები“, ან ჩვენ კლასიკოსთა ლექსები.** ეს უთუოდ საჭიროა, ჩვენში რომ იტყვიან, ენის გასატეხად. დანარჩენი ყოველდღიური მუშაობა კი ჩუმიად შეიძლება განაგრძოთ. სულ მოკლე დროში შეამჩნევთ შედეგს, მით უფრო რომ, ბევრი რამ უკვე იცით, ოღონდ ენა არა გაქვთ გაჩვეული. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე გამოგადგებათ ყოველივე ეს მომავალ უნივერსიტეტში, ქართველ სტუდენტთა საწვრთნელად. კიდევ გისურვებთ მშვიდობის გზას და მშვიდობითვე მალე სამშობლოში დაბრუნებას.

დასრულდა სასიამოვნო ნადიმი. გამოვემშვიდობეთ ძვირფასს სტუმარს, კიდევ მადლობა შევსწირეთ ჩვენს მასპინძელს, რომელთაც ასეთი იშვიათი და დაუვიწყარი საღამო გაგვატარებინა ჩვენ სასიქადულო მეცნიერთან ერთად და გამოვედით შინ დასაბრუნებლად. მივაცილეთ ჩვენი პროფესორი თავის ბინამდე, რომელიც იქვე ახლოს იყო სამკურნალოსთან და მხიარულის ბაასით შევუდექით **ვერის აღმართს**. გზაში მაინც კიდევ უბრუნდებოდნენ ხშირად ჩემს სადღეგრძელოს.

- ეს ერთი ძალიან უსურვე შენ ჩვენს პროფესორს, - წამოიძახა ერთმა, საიდან შეთხზავ ხოლმე ასეთ უცნაურ რასმეს და სხვ. ამაზე მე ვუპასუხე, რომ არ გამიკვირდებოდა მათი ასეთი უიმედობა იმ გადაგვარების შემდეგ, რაც ქართველ მოწაფეს ატყდება თავს, საშუალოდ უმორჩილდება იგი უმაღლესს სასწავლებელს, უცხო მხარეს, სადაც მშობლიური არაფერი ესმის მას. ამიტომაც თითქმის ყველა ეგრედ - წოდებული **თერგ - დაღეული პირები** უცნაურები გამოდიოდნენ და გამოდიან. ყველაფრის უარისმყოფელნი, ცხოვრების ხალისს და აღმაფრენას მოკლებულნი და უდროოდ გულ - გატეხილნი, ან კი რას უნდა ელოდეს ამათგან საწაღმართოს ჩვენი ქვეყანა ასეთ გადაგვარებულ პირთაგან, რომელნიც ოცნების წინააღმდეგნიც კი არიან და სხვა. ამასობაში მხიარულად დავბრუნდებით ყველანი თავისთავის ბინაზედ.

შემდეგმიდაც არა ერთხელ ვუბრუნდებოდით ამ საღამოს მოგონებას. არ გაიარა დიდმა ხანმა, **ექ. მელიქიშვილმა** წამაკითხა **ოდესით** მონაწერი წერილი, სადაც იწერებოდა შთაბეჭდილების შესახებ.

- გადაეცი ყველას ჩემი გულითადი სალამი და ისიც, რომ მე ჩემს აღთქმას მტკიცედ ვასრულებ? ყოველდღე ვვარჯიშობ და ვსწავლობ ქართულს და ვატყობ კარგ შედეგსო. ასეთი წერილები რამოდენიმეჯერ მოდიოდა 1916 წლის შემოდგომიდან 1917 წლის დამლევაამდე. თანაც დასძენდა, რაც დრო გადიოდა, როგორ თანდათან უადვილდებოდა მას ეს.

\*\*\*

**1918 წელს, 26 იანვარს, ქართულ უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში** დიდს საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველას დიდი სიხარული ეტყობოდა სახეზე. ყველა განსაკუთრებულ აღტაცებას განიცდიდა. საზეიმოდ მოსული ხალხი თითქოს სააღდგომო ლიტანიისათვის ემზადებოდა. ყველანი იქ ვიყავით, ვისთვისაც ეს ძვირფასი წამი დიდის ხნიდან ნანატრი და ნაოცნებარი იყო.

დანიშნულ საათს ამაღლებულ ადგილზე გამოვიდა ჩვენი ძვირფასი მეცნიერი **პეტრე მელიქიშვილი**, ხალხი სმენად გადაიქცა და ამ **ნორჩმა სამეცნიერო ტაძარმა** პირველად მოისმინა თავისი გამოჩენილი მეცნიერის მილოცვა და მისალმება. სახე მისი იყო ისე გაბრწყინებული, ისეთის

სიცოცხლით აღსავსე, რომ გეგონებოდათ ხანსა და მოხუცებულობას მისთვის ვერაფერი ვერ დაუკლიაო. ვინც დავესწარით ამ ბედნიერის დღეს და ვინც განვიცადეთ, ეს უზენაესი სიამოვნების წუთები, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ამ სიამეს. **საქართველოს ტანჯვის ასპარეზზე ასეთი ეროვნული აღტაცება საიშვიათო რამ იყო** და ამიტომაც ამ შესანიშნავმა განცდამ დაგვიტოვა სამუდამოდ წარუხოციელი კვალი.

დაასრულა მეცნიერმა თავისი საზეიმო სიტყვა. ჩამოვიდა ძირს და ყველანი მიემშრენ მისალოცავად. როდესაც ჩემმა ჯერმაც მოატანა, მივუახლოვდი, მანაც ჩემსკენ რამოდენიმე ნაბიჯით მოაშურა, ორივე ხელით ერთ – მეორეს ჩაჭიდებული განსაკუთრებულის სიამოვნებით ვულოცავდით ერთმანეთს.

– ძვირფასო პროფესორო, – მივმართე მე, – ნება მიბოძეთ გულწრფელად და განსაკუთრებულად მოგილოცოთ ეს **თქვენთვის და ყველა ქართველისათვის საზეიმო დღე**. ხომ გახსოვთ ის საღამო, როდესაც მე პირველად გისურვებთ ეს ბედნიერება და რასაც ასე შეუძლებელად სთვლიდით სხვებთან ერთად თქვენც? ის დანარჩენებიც, ეხლა აქ დამსწრენი, ყველანი ჩვენთან ერთად ზეიმობენ ამ დიდებულ დღეს! განსხვავება – კი ის არის, რომ იმათ ამ ზეიმს ყვავისებურად დასჩხავლეს და მე კი იმ დროიდანვე **საამურ მოლოდინს სუდარაში ვახვევდი** – ამ ჩემს ნაოცნებარს და ამიტომაც ყველაზე უფრო განვიცდი ამ სიამოვნებას. კიდევ გილოცავთ ამ ბედნიერებას და გისურვებთ დანარჩენი ჩემი წინასწარმეტყველებაც სავსებით აგხდენოდესთ **ჩვენი ახალი უნივერსიტეტის და სამშობლოს საკეთილდღეოთ!**

ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, – მიპასუხა აღფრთოვანებულმა პროფესორმა, – რომ მე ასეთს ბედნიერებას შევესწრებოდი! ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ **თქვენ ასეთი წინასწარმეტყველი გამოდგებოდით**. ეხლაც მესმის თქვენი მაშინდელი სიტყვები და რა ბედნიერი ვარ, რომ ასე მალე ამიხდა ყოველივე. კიდევ და კიდევ უაღრესად გმადლობ. თქვენი რჩევა სავსებით გამოვიყენე, შედეგსაც სასურველს მივალწიე, როგორც ხედავთ.

მეტი შეჩერება აღარ შეიძლებოდა; მოზღვავებული ხალხიდან ყველანი ცდილობდნენ მასთან მოსვლას, მისალოცავ სიტყვის თქმას და აღტაცების გაზიარებას.

საერთო მშვენიერს სურათს აგვირგვინებდა პროფესორების ჯგუფი, რექტორის გარშემო მყოფი და მეტადრე ჩვენი **სასიქადულო ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი**, რომლის სახეც კმაყოფილების და აღტაცების შარავანდედით იყო მოცული. სხვა დიდსა და დაუფასებელ ამაგთან ერთად, მან ის ამაგიც დასდო ქართულ უნივერსიტეტს, რომ **პირველი რექტორობა პროფესორ მელიქიშვილს არგუნა**. ამ **რაინდული საქციელით** მაგარი საფუძველი გაუსკვნა ჩვენს პირველ ტაძარს მეცნიერებისას: დამსახურებული და დიდი ხნის მუშაკი მეცნიერი დაუყენა სათავეში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **ქართული ნორჩი უნივერსიტეტისათვის**.

საითაც არ გაიხედავდით ამ ვებერთელა დარბაზში, ხედავდით ყველას აღტაცებულსა და კმაყოფილს.

სხვათა შორის, უნდა მოვიხსენოთ ის გარემოებაც, რომ ყველა „ურწმუნო თომამ“, ვინც დამსწრე იყო პროფესორის გამოსათხოვარი ნადიმისა, განსაკუთრებით მომილოცა ეს საზეიმო დღე და მითხრეს: – შენ გვაჯობე და ამისათვის, როგორც ნაგულისხმევი იყო, თითი უნდა მოვკაკვოთო!

**ახლად დაარსებულ სამეცნიერო ტაძარში**, მაშინვე გაჩაღდა სამეცნიერო სწავლა და მუშაობა. ამ მუშაობაში ჩაება ჩვენი ცნობილი მეცნიერიც. მას რამოდენიმე დარგში დასჭირდა მუშაობა, მან ყველგან თავისი ხანგრძლივი გამოცდილების კვალი დააჩინა. იგი თითქმის სავსებით გარდაიქმნა ამ ახალ ასპარეზზე. და ეს ხომ ასეც უნდა მომხდარიყო. მეცნიერი, რომელიც მოშორებული იყო თავის ბუნებრივ წიაღს, რომელსაც უცხო მიწაზე, უცხო ჰაერზე, უცხო გარემოში ხვდებოდა



მუშაობა და მოღვაწეობა, ფრთა – აღკვეცილი და შეზღუდული იყო ყველაფერში, სრულს ბუნებას იგი იქ სავსებით ვერ გადაშლიდა, აქ კი თავის სამშობლოში, რასაკვირველია, მას შეეძლო თავისი ბუნებრივი ძალების სავსებით გამოყენება. დასაყრდენია მხოლოდ ის გარემოება, რომ საუკეთესო ხანა თავისი საქმიანობისა მან შეაღია რუსეთს და საქართველოს ასპარეზი კი მას აღმოუჩნდა, როდესაც 68 წელს მიაღწია... მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის... ამ ახალ ასპარეზე, მართლაც, არაჩვეულებრივის ნაყოფიერებით შეუდგა მრავალფეროვან მუშაობას ჩვენი სასიქადულო მეცნიერი. ყოველგვარ კვლევა – ძიებისა და მეცნიერების დარგში, სადაც კი ქიმია იხსენიებოდა, ჩვენი მეცნიერი ხელმძღვანელობდა და მეთაურობდა საჭირო მუშაობას. ამდენ სამუშაოს, მეტად რთულს და მრავალფეროვანს მიტომ ახერხებდა, რომ **დიდს სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა სამშობლოში დაბრუნებით**. ხშირად ვხვდებოდი **თბილისში** პირველ ოთხ წელიწადს და ხშირად გაუზიარებია მას ჩემთვის ეს კმაყოფილება. არა ერთხელ გაგვიზიარებია ურთიერთისათვის გულწრფელი სინანული, რომ ისეთი გამოჩენილი მეცნიერი და მრავალის ღირსებით შემკული ადამიანი, როგორც იყო განსვენებული **ვასილ პეტრიაშვილი**, თავისი დიდი მეგობარი, ვერ შეესწრო ამ ბედნიერებას, **საქართველოს დედაქალაქის უნივერსიტეტის ხილვას და მის წიაღში მუშაობას!** ულმოებელმა სიკვდილმა უდროოდ წარიტაცა იგი. როგორ დაამშვენებდა ჩვენს ტაძარს მეცნიერებისას, რომ ბატონ პეტრეს ისიც ამოსდგომოდა თანამშრომლად. ხშირად ბევრ რამეს ვიგონებდით მისი წარსულიდან და სხვათა შორის რამოდენიმეჯერ მოვაგონე გამოჩენილი რუსის მეცნიერის, პროფ. **სეჩენოვის** ნათქვამი **ვასილ პეტრიაშვილის** შესახებ: როდესაც მას დაუმთავრებია ჩინებულად სწავლა **ოდესის** საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, მოუსურვებია სწავლის გაგრძელება და საპროფესორო მუშაობისათვის უცხოეთში გამგზავრება, **სეჩენოვს უთქვამს: „სად აზიელი და სად მეცნიერება“ – ო.**

ამის და მიუხედავად, **ბ.გ. პეტრიაშვილი** 1873 წ. გამგზავრებულა **ბონში**, 1874 წ. სახელოვნად ჩაუბარებია დისერტაცია მაგისტრის ხარისხით, 1877 წ. მიუღია დოქტორობა. 1878 წ. გაუგზავნიათ 2 წლით სამუშაოდ **პარიზის** უნივერსიტეტში. 1890 წ. დაუნიშნიათ **ოდესის** უნივ. ფიზ. – მათემ. ფაკულტ. დეკანათ და 1906 წ. აურჩევიათ რექტორად. ამ მეცნიერმა და შესანიშნავმა ადამიანმა ბევრი რამ შესძინა მშობლიურ და მსოფლიო სამეცნიერო მწერლობას. აი, ასეთი გამოდგა ეს არაჩვეულებრივი მეცნიერი, „**აზიელად**“ მონათლული, რუს მეცნიერის მიერ!..

ეს პროფ. **სეჩენოვი** ფიზიოლოგიის საუკეთესო მცოდნეთ ითვლებოდა მთელ რუსეთში, იცნობდნენ მას უცხოეთშიც. მასთან მუშაობდა ჩვენი თანამემამულე **ივანე რამაზისძე თარხნიშვილი**, 1864 წ. პეტერბ. სამხედრო – ქირურგიულ აკადემიაში შესულა. სწორედ, ამ პროფ. სეჩენოვის ხელმძღვანელობით შეუდგა იგი ფიზიოლოგიის შესწავლას. მან დაამთავრა სწავლა 1869 წ. ოთხი წლის თვალსაჩინო მეცნიერული მუშაობის შემდეგ, თარხნიშვილი, სამხედრო აკადემიის პროფესორთა დადგენილებით, გაგზავნილი იქმნა უცხოეთში მეცნიერული მუშაობისათვის. მან მრავალი საკითხი გამოარკვია, რამაც დიდი ყურადღება მიიპყრო მეცნიერებისა რუსეთში და საზღვარგარედაც. ამნაირად, პროფ. სეჩენოვს თავის ჯერ მოწაფის და შემდეგ თანამშრომელის მაგალითი, თვალწინ ედგა **ქართველი ადამიანის ნიჭიერებისა და შეგნებული მუშაობის დასტურად**. რად უნდა დასჭირვებოდა მას ამის შემდეგ ვ. პეტრიაშვილისადმი ისეთი სიტყვებით მიმართვა, რომელიც მხოლოდ უვიცსა და შეუგნებელ ადამიანს შეჰფერის?! მაგრამ ეს არის **რუსული ღვარძლიანობა და მედიდურობა „დამონებულისადმი“** და ერთის მხრით, **ველური ბუნების მარცვნიელი...** მეტადრე მას, როგორც ბიოლოგიური მეცნიერების კარგ მცოდნეს, უნდა გაეწია ანგარიში ჩვენში რასსიული თვისებისათვის და უუძველესი დროიდან ქართველების კულტურული არსებობისათვის, **ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც რუსის ხსენებაც არ იყო დედამიწის ზურგზე.**

მე ვიცნობდი სეჩენოვს. ჩემი პროფესორი იყო ფიზიოლოგიის. კარგი მცოდნე, გულკეთილი, სათნო და თავდაბალი ადამიანი, სავსებით მეცნიერულ კვლევა – ძიებაში თავჩარგული. ასეთ ადამიანს უვიცობა არ შეჰფეროდა. მაგრამ როდესაც მეცნიერი – რუსი „დამპყრობელის“ აზროვნებით გაიმსჭვალე, მაშინ იგი პოლიციურ შეგნებით იარაღდება, ყველას მტრულად უყურებს. სხვა ტომის კაცი ეჯავრება, არარაობათ მიაჩნია და ხშირად შეუსაბამოს აფიქრებინებს და ათქმევინებს.

როდესაც უკვე გაჩაღდა მუშაობა ჩვენს უნივერსიტეტში და მრავალი მეცნიერების მუშაკი შემოიკრიბა იქ, ერთჯელ ბ – ნ პეტრეს გავახსენე სეჩენოვის უცნაური შეხედულება და მოვახსენე: ეხლა რომ სეჩენოვი წამოდგეს საფლავიდან და დაინახოს მან ყოველივე ეს, ნეტავი რას იტყოდა? გააბათილებდა თავის ნათქვამს, თუ გულგახეთქილი ხელახლად ჩაწვებოდა საფლავში?!...

დიახ, დაარსდა ქართული უმაღლესი სასწავლებელი თბილისში, საქართველოს მტრების გასაცვიფრებლად და მოყვარის სასიხარულოდ. კვლავ დაინთო ლამპარი მეცნიერების ტაძარში, მე-19 საუკუნის დამპყრობელთაგან ჩამქრალი, სხვაგან გაფანტული ქართველი მუშაკნი შემოიკრიბნენ მის წიაღში და გაჩაღდა მუშაობა. ამ მუშაობაში თვალსაჩინო ნაწილია შეტანილი ჩვენ ძვირფას მეცნიერის მიერ. მომავლის ჟამთააღმწერელი უთუოდ კარგად შეაფასებს, როგორც ამ მეცნიერის, ისე იმათ ღვაწლსაც, ვინც შეჰქმნა ეს საშვილიშვილო საქმე.

ოთხი წლის განმავლობაში, ყოველთვის როდესაც ვხვდებოდი ბ – ნ პეტრეს, მას ეტყობოდა ჭაბუკური სიხალისე და სრული სულიერი კმაყოფილება ამ ახალს მშობლიურს ასპარესზე. უაღრესის აღტაცებით შევჰყურებდით მას, კმაყოფილებით აღსავსე, რომ მას ჩემი ნაწინასწარ-მეტყველავი სავსებით აუსრულდა. მეცნიერს კი ეტყობოდა სრული ბედნიერების განცდა, რომ ბოლოს მაინც ბედმა არგუნა მას ისეთი საიშვიათო ასპარეზი, რომლის წარმოდგენას იგი ოცნებითაც კი ვერა ჰბედავდა...

ჩვენი მეცნიერის დანარჩენი ხუთი წლის მოღვაწეობის ახლოსმხილველი აღარ ვყოფილვარ. რადგანაც გარემოებამ, სამწუხაროდ, დამაშორა მშობლიურ ასპარეზს... აქ უცხოეთში, კანტი – კუნტად მოსული ცნობებიდან ვტყობილობდით, რომ იგი მუდამ განაგრძობდა თავის მრავალფეროვან მუშაობას, რომ მან შეჰქმნა მთელი თაობა ქიმიკოსების, რომელნიც აგრძელებენ მის ნაკარნახევ მიმართულებით მუშაობას. მადლობელ საზოგადოებას და მის მოწაფეებს 1922 წ. დიდის ზეიმით გადაუხდიათ მეცნიერის მუშაობის 50 წლის თავი.

გარდაიცვალა ეს ძვირფასი მუშაკი 23 მარტს 1927 წ. 77 წლის ასაკში, თავის სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლის თავზე, დაუსაფლავებიათ ქართული უნივერსიტეტის წინ და მისი ქანდაკებაც შეჰყურებს თურმე იმ ტაძარს, რომელსაც მან შეაღია თავისი მოღვაწეობის ბოლო მეექვსედი ნაწილი. აქაც მას იშვიათი და სახარბიელო ბედი ეწვია; სამუდამო განსასვენებელი იმ ტაძრის წინ აღუჩინა, რომლის დამამშვენებელი ნაყოფიერი მუშაობისათვის მადლიერი სამშობლო მას ვერ დაივიწყებს...

(შენიშვნა: ვახტანგ ღამბაშიძე თვეობით ცხოვრობდა სტამბოლის ქართულ სავანეში. აქვეა დაცული წარმოდგენილი ტექსტის მანქანაზე ნაბეჭდი ვარიანტი).

## **ჯავით – ბეი (დავით ჩიქოვანი) ქართველი მაჰმადიანები ისმითის სანჯაკში**

კონსტანტინე პოლიდან ისმითამდე მატარებლით 4 საათის სამგზავრო იქნება. ქალაქი **ისმითი** მდებარეობს ისმითის ყურეს ჩრდილოეთით. ისმითის მაზრის, ანუ, როგორც იქ ეძახიან, სანჯაკის ქალაქია და შეიცავს 25,000 მცხოვრებს, რომელთა უმეტესობას ბერძნები და სომხები შეადგენენ და რომელნიც ვაჭრობა – ალბ – მიცემობას მისდევენ. უმცირესობას ოსმალნი და ქართველები შეადგენენ, რომელთა შორის ვაჭრები არიან.

ისმითის მიდამო მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს: სამხრეთით **ისმითის ყურე**, რომელიც დასავლეთით **მარმარილოს ზღვას** ერთვის, აღმოსავლეთით 15 – 20 ვერსის მანძილზე მოზრდილი და მოხდენილი **საბანჯის ტბა**, რომლის გარშემო ლამაზი ფერდობებია, ყანებით და სოფლებით მოფენილი.

ეს მხარე ბუნებრივად რაღაც განცალკევებულს კუთხეს წარმოადგენს, რომლის გარშემო მთებია, მეორე ფერდობები, მას მოჰყვება ვაკე და შემდეგ **საბანჯის ტბა** და ისმითის ყურე.

დაბა **საბანჯა**, რომელიც ისმითიდან მატარებლით ერთი საათის სამგზავრო იქნება, მდებარეობს საბანჯის ტბის სამხრეთით და მშვენიერ მიდამოს ბუნებრივი გულია.

ეს კი მთლად ქართული დაბაა, იქნება 100 წვრილი ვაჭარი, სულ ქართველობაა და თითქმის ქართული ყველამ იცის, ყოველ შემთხვევაში ლაზური (მეგრული) მაინც.

დაბა საბანჯის მიდამოებიდან მოყოლებული ისმითის ყურეს სამხრეთამდე 54 სოფელი გავიციანთ, ზოგი ახლოს, ზოგი შორიდან, რომელთა სახელებიც აქვე მოგვყავს. საზოგადოდ, ეს მხარე თხლად არის დასახლებული; არ ვიცი, უმეტესობას ვინ შეადგენს მთელ სანჯაკში, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ მრავალი სოფლებია ქართველებისა. ის **54 ქართველ მაჰმადიანთა სოფელი**, რომლის გაცნობაც ჩვენ მოგვიხდა, შეადგენს ნაწილს იმ ქართველთა სოფლებისას, რომელნიც იმყოფებიან ისმითის სანჯაკში.

ქართველებს გარდა, ხშირად შევხვდებით ამ მხარეში **აფხაზების** და **ჩერქეზების** სოფლებს, რომელნიც კავკასიიდან არიან გადასახლებულნი. უფრო იშვიათად შევხვდებით ოსმალთ, ალბანელთ, სომხებს და ბერძნებს.

აქაური ქართველები გადმოსახლდნენ **ბათომის** ოლქიდან 1878 წელს, როდესაც **სან – სტეფანოს** ხელშეკრულების ძალით რუსეთმა ბათომი ჩაიბარა.

მათ, როგორც მაჰმადიანებმა, არ ინდომეს რუსეთის იმპერიაში დარჩენა და უცხო მხარეს გადაიხვეწნენ უკეთესის მოლოდინით. ქართველი გადმოსახლებულნი, ანუ **მოჰაჯირები**, როგორც მათ ოსმალები უწოდებენ, გადასახლდნენ მცირე აზიის სამხრეთ – დასავლეთით, განსაკუთრებით ისმითის სანჯაკში და **ბრუსას** ვილაიეტში.

ოსმალეთის მაშინდელმა მთავრობამ ქართველი **მოჰაჯირები** დაასახლა **უმეტეს ნაწილად გაუშენებელ და ტყიან ადგილებში** და **რამდენიმე წლით გაანთავისუფლა გადასახადებისაგან**. დღეს ეს სოფლები მშვენიერ სანახაობას წარმოადგენენ: მდებარეობა აქვთ ვაკე ფერდობებში; ლამაზი შესახედავია, **მოგაგონებთ დასავლეთ საქართველოს სოფლებს**: განიერის და გრძელის ქუჩებით, დიდის და დაშორებულის ეზოებით. სახლები, სუფთა და გვარიანია, უმეტეს წილად არა ხის, როგორც მე მოველოდი, არამედ აგურის, კრამიტებით დახურულნი. ხშირია, აგრედვე, ორ – სართულიანი სახლებიც.

მცხოვრებთა ნივთიერი მდგომარეობა გვარიანი არის: მოჰყავთ ბევრი თუთუნი, პური და მისდევენ მეაბრეშუმეობას. ხილის გაშენებასაც ამ ბოლო დროს მიჰყვეს ხელი. ჭამა – სმა იმერული

აქვს: მჭადი და მისი შესაფერისი შეჭამანდები. მართალია, პური მოჰყავთ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მათთვის ხელსაყრელია პური გაჰყიდონ და სიმინდი იყიდონ. ღვინოზედაც არ არიან მწყრალად, თუმცა ყურანი უკრძალავს. მეზობლობენ უმეტეს წილად **აფხაზები** და **ჩერქეზები** და უფრო დაახლოვებული დამოკიდებულება აქვთ, როგორც ერთ ქვეყნიდან გადმოსახლებულთ.

თვითეულ სოფელს საკუთარი ხოჯა (მღვდელი) ჰყავს, რომელიც ამავე დროს სოფლის მასწავლებელიც არის.

ქართველებს აქ დიდი მხნეობა გამოუჩენიათ და მდიდრდაც არიან, მეურნეობის გარდა, ვაჭრობასაც ეწევიან, განსაკუთრებით **ლაზები**. დიდის სიამოვნებით აგიწერენ თავიანთ მხნეობას და შრომის მოყვარეობას. **იქ უსაქმურ ხალხს ადგილი არა აქვს და არც ისეთ უკუღმართ მოვლენებს, როგორც ჩვენში არის, ყაჩაღობა და ბავშვების მოტაცება.** ორი წლის წინად, როდესაც გავემგზავრეთ ამ მხარის გასაცნობად მე და მტკიცე პატრიოტი **პატრი შალვა ვარდიძე** მივაშურეთ დაბა საბანჯისაკენ და მატარებელში შეხვედრილ 2 ქართველის რჩევით ვიკითხეთ რამდენიმე საბანჯელი გამოჩენილი ქართველი.

საბანჯელებს პირველად ვერც კი წარმოედგინათ ჩვენი მოგზაურობის მიზანი და საზოგადოდ ეჭვის თვალთაც კი გვიცქეროდნენ, მაგრამ როდესაც ავუხსენით ჩვენი კეთილი სურვილები, იამათ, მიგვიღეს კარგად და გაგვაცნეს ერთი იმ პირთაგანი, რომელსაც ჩვენ დავეძებდით. ეს პირი აღმოჩნდა **ახმედ – ეფენდი მამიძე**, რომელიც ერთ დროს **კონსტანტინეპოლის** პოლიციაში მსახურობდა; იგი რუსეთის ქვეშევრდომია და სოფლად სცხოვრობს, როგორც კარგი მემამულე. ნაკითხი კაცია ოსმალურად და არაბულად, ძალიან უყვარს ყურანზე ლაპარაკი და საზოგადოდ ღვთის – მეტყველებაზე კამათი. ქართულიც კარგად იცის, პოლიტიკური მიმართულებით დიდი მოწინააღმდეგეა ითთაათის ანუ როგორც ჩვენ ვეძახით – ახალ ოსმალთა პარტიისა; იგი ემხრობა ლიბერალთა პარტიას ან თუ, როგორც ოსმალურად ეძახიან „ითთილაფისტებს“.

მისი დახმარებით დავათვალიერეთ როგორც დაბა **საბანჯა**, ისე მის გარშემო მდებარე მრავალი სოფლები. იმ ღამეს მისი სტუმარი ვიყავით და მშვენიერი პატივიც გვცა. მეორე დღე პარასკევი იყო და დაბაში ჩავიარეთ, რათა გვენახა ბაზრობა, რომელიც, დაბა **ხონის** მსგავსად, აქაც პარასკეობით სცოდნიათ, იმ დილასვე გამოვემშვიდობეთ ბევრ ახალ გაცნობილთ, პატარა დედა – ენები დავურიგეთ, რომელთაც ქართულ ანბანების ქვეშ ოსმალურად წავაწერეთ და ჩვენის მხიარულის და საინტერესო მოსაუბრე მამიძესთან ერთად გავსწიეთ გერმანელთა მატარებლით სადგურ **დერბენდისაკენ**. სადგურ დერბენდიდან გავყვევით ქართულ სოფლებს, სადაც ალაგ-ალაგ აფხაზებიც შეგვხვდნენ და მივედით სოფ. **ბალაბაში**. აქ მამიძემ მიგვიყვანა **ფერათ ეფენდი დიდგანიძესთან**, რომელთანაც ერთ ღამეს დავრჩით. დავათვალიერეთ ახლო – მახლო სოფლები და მეორე დღეს ისევ დერბენდში დავბრუნდით, სადაც ჩვენი პირველი მასპინძელი **მამიძე** გამოგვემშვიდობა და მატარებლით საბანჯისაკენ გასწია. აქედან ჩვენ ერთი ახალგაზრდა ლაზი გამოგვეყვანა, რომელმაც ქ. **ისმითში** თავის სასტუმრო „**ბათუმში**“ მიგვიწვია და შემდეგ გემით ისმითის ყურე გავცურეთ და მივედით სოფ. **კაზიკლისტში**, საიდანაც ფეხით წავედით სოფ. **ბორჩხამდე**. ბორჩხაში სცხოვრობენ **ბათომის** ოლქის **ბორჩხიდან** გახიზნული ქართველები.

ბორჩხა უმთავრესი სოფელია იმ მიდამოში და ირგვლივ მრავალი სოფელი ახლავს, მდებარეობს მალღობ ადგილზე და მშვენიერი გადასახედია სხვა სოფლებისკენ. არის 130 კომლი სულ ქართველობა შემდეგის გვარისანი: **ქერაბაძენი** (20 კომლი), **მინაძენი** (15 კომლი), **მისლაძენი** (10 კომლი), **დარბაიძენი** და **ნავინაძენი** (60 კომლი). ბორჩხაშიც დავრჩით ერთი დღე თანამგზავრ ახალგაზრდა ლაზის მამის **ჰაჯი – ისმაილ ყადიოღლი მინაძის** ოჯახში და მახლობელ სოფელთა დათვალიერების შემდეგ გავეშურეთ ისევ ქ. **ისმითისაკენ** და შემდეგ **სტამბოლისაკენ**.

ისმითის მაზრის მხოლოდ სოფლების სამ ჯგუფში ვიყავით: საბანჯის, ზალაბის და ბორჩხის; პირველს ახლავს 22, მეორეს 12 და მესამეს 20 ქართული სოფელი.

ამ სოფელში ყველანი ლაპარაკობენ დედა – ენაზე: ქართულად და ლაზურად (ჭანურად), განსაკუთრებით ქართველ ქალთა წყალობით, რომელთაც წმინდად შეინახეს ჩვენი გამაერთიანებელი და მომავალში ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურულად შემდუღებული სამშობლო ენა.

ეხლა მოვიყვანთ ცხრილს იმ სოფელთა, რომელიც ჩვენ გაკვრით გავიცანით და მცხოვრებთა რაოდენობასაც:

საბანჯა.... 160 კომლი  
ჩუბულკი.....80 „  
აჰმედიე .... 60 „  
მაჰმუდიე ..... 60 „  
აბაზ – ქეი ..... 20 „  
დერბენდი ..... 50 „  
შირინსულახია ..... 60 „  
შეისულიე .... 80 „  
თათარ ქეი .... 40 „  
ჩეფნე.... 100 „  
თელინ – კუნდუ .... 40 „  
ყაზანდერე ..... 30 „  
სერვეთიე .... 50 „  
ადსადირი .... 20 „  
დადინ – ლუდი .... 60 „  
**ბორჩხა** .... 130 „  
უმნიე ..... 10 „  
ჩერქეზ – ქეი ..... 20 „  
ლუფთიე .... 30 „  
სოფიე..... 25 „  
ბაშჯირე..... 30“  
ახმედიე .... 40 „  
ჩატალტაში .... 20 „  
ალაჩინი .....40 „  
ბალკაი ..... 34 „  
ბიჩქიდირე ..... 50 „  
გულდიბი .....50 „  
დიბეკტაში ...90 „  
თეზიე ..... 30 „  
**ალმიე**.....30 „  
იენი გელე ..... 50 „  
შევკეთიე .... 20 „  
იჯადიე ..... 20 „  
ნემეთიე ..... 15“

ხესენიე ..... 50 ,,  
 შეილიკი .....50 ,,  
 ჩურუჯ – ბაი ..... 30 ,,  
 მემურიე ..... 30 ,,  
 ფერადიე ..... 20 ,,  
 დაშემე ..... 60 ,,  
 ასორ – ქეი .....30 ,,  
 თათარ – ქეი ..... 30 ,,  
 ირშადიე ..... 50 ,,  
 მემნუნეიე ..... 90 ,,  
 ნაიდიე ..... 120 ,,  
 პაწა ჰამიდიე ..... 40 ,,  
 სენიე .... 50 ,,  
 სალამიე ..... 50 ,,  
 ულვიე ..... 50 ,,  
 ურიჩესმე ..... 30 ,,  
 შეჰრეთიე ....45 ,,  
 შუქრიე .....40 ,,  
 ჰაჯი – მერჯანიე ..... 60 ,,

სულ 2524 კომლია, კომლზე 8 სული რომ ვიანგარიშოთ  $8 \times 2524 = 20,192$  სული გამოვა. 8 სული ოჯახზე დიდად არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ქართველ მაჰმადიანთა ოჯახები მეტად მრავალრიცხოვანია. იგი წარმოადგენს **პატრიარქალურ ოჯახს**, სადაც რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა და დედ – მამა ერთად სცხოვრობენ. ამასთან ისიც უნდა დავუმატოთ, რომ **მაჰმადიანთ უშვილობა ცოდვით ეთვლებათ, რისთვისაც ისინი მეორე ცოლს ირთავენ**. ასეთია რაოდენობა იმ ქართველთა, რომელთა სოფლებზედაც ჩვენ მოგვიხდა გავლა და რომელნიც მხოლოდ ნაწილს შეადგენენ **ისმითის** სანჯაკის ქართველობისას.

აქაურ მცოდნე ქართველთა გამოკითხვით და დაკვირვებით სულ უნდა იყოს ქართველი გადასახლებული: **კონსტანტინეპოლსა, ისმითის სანჯაკსა და ბრუსას** ვილაეთში დაახლოვებით 100,000 ქართველი მაინც. ამ რაოდენობასთან, რასაკვირველია, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ ქართველთა რიცხვს, რომელნიც უძველეს დროიდან მოსახლეობენ მამა – პაპათა მიწა – წყალზე: **ლაზისტანსა და აჭარაში**, რომელთაც ანგარიშობენ 700,000 – მდე.

ამდენი რიცხვის ქართველობა სცხოვრობს ოსმალეთში და ჩვენს ეროვნულ – კულტურულ ცხოვრებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც **ისინი გაცილებით მალ-ლა სდგანან თვით მკვიდრ ოსმალებზე, როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად და გონებრივად**.

ქართველი სამაჰმადიანო ბევრ გამოჩენილ პირებს აძლევს ოსმალეთის სახელმწიფოს მრავალნაირ დარგში, **განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში**. ამის მიუხედავად, ისინი სრულიად გადაგვარებულად არ ჩაითვლება, რადგან ამის მიზეზი მათ ჰქონდათ და კერძო ლაპარაკში ბერვეჯერაც უთქვამთ. ამ კითხვას ეხლა არ შევეხები და შეიძლება მომავალში დავუბრუნდე. საზოგადოდ, კი ოსმალეთის ქართველობამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მისი მობრუნება არამც თუ საჭიროა, არამედ აუცილებელიც და შესაძლებელიც, თუ, რასაკვირველია, ჩვენ მეტ **ეროვნულ ენერჯიას** გამოვიჩენთ და **სათანადო ყურადღებას** მივაქცევთ ჩვენ მოძმე ქართველ მაჰმადიანებს.

**ბ.ჭ.**  
**(მაქარია ჭიჭინაძე)**  
**საქირო წიგნი**

1878 წელს, რაც აჭარა და ამის მიდამოები საქართველოს შემოუერთდა, მას შემდეგ ამ ახლად შემოერთებულის კუთხეებში ფოსტის ნაწილში მსახურებდა ბატონი **სოლომონ ასლანიშვილი**. ეს კაცი იქ დარჩა მსახურათ ბარე 30 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მან კარგად შეისწავლა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. **სოლომონ ასლანიშვილი** ქართველ მაჰმადიანთ შესახებ ქართულ გაზეთებში წერილებსაც ათავსებდა. იგი ქართულ გაზეთებში თანამშრომლობდა „**ბავრელის**“ ფსევდონიმით. მისი წერილები განუწყვეტლივ იბეჭდებოდა „**დროებაში**“, „**ივერიაში**“ და სხვა გაზეთებშიაც, რაც დიდის ინტერესით იკითხებოდა ქართველ საზოგადოებაში.

ჩვენ შევიტყვეთ ეხლა, რომ ამ გამოცდილს და ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრების კარგათ მცნობს და მასთანვე, ოსმალური ენის კარგათ მცოდნეს, შეუდგენია **ქართულ – ოსმალური ენის სახელმძღვანელო წიგნი** – ქართულის „**დედა ენის**“ მსგავსათ, სურათებით.

ეს წიგნი იქნება გასაღები და კარი ქართულის ენისა იმ ქართველ მაჰმადიანებში, სადაც ჟამთა ვითარების წყალობით ქართველებმა ქართული ენა დაკარგეს და დღეს ოსმალურათ ლაპარაკობენ; ასეთ ქართველ მაჰმადიანების რიცხვი ერთობ დიდია და მათ ეს წიგნი ძლიერ გაუადვილებს ქართული ენის შესწავლის საქმეს.

დამწერს ეს წიგნი წარუდგენია ჩვენს წერა – კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის და უთხოვნია მისი გამოცემა.

გაზეთი „**საქართველოს რესპუბლიკა**“, № 16, 1920 წელი.

**შენიშვნა:** გაზეთზე მიმაგრებულია ქაღალდი, რომელზედაც წერია: „**სამშობლოს ერთგულო შვილებო, უკვე თავისუფალი საქართველოს გამგებლებო, მთავრობავ! დროზე მოგვაშველეთ სოლომონ ასლანიშვილის „დედაენა**“, რომ სინათლე შევიტანოთ სამშობლოდან გადახვეწილ მილიონობით მუჰაჯირ ქართველთა ოჯახებში, რათა მათში იხაროს ქართულმა სულმა.

თქვენთვის დღენიადაგ მლოცველი მღვდელი **შალვა ვარდიძე**.

სტამბოლის ქართული სავანე, 1920 წლის 26 მაისის საღამო.

**საინტერესო ინფორმაციები**  
**ა) ახალი მსხვერპლი ბოლშევიკების ტერორის**

ასეთი სათაურით მოთავსებულია შემდეგი წერილი საფრანგეთის პრესაში ჩვენი უდროვოთ გარდაცვალებულ ამხ. **პარმენ ჭიჭინაძის** შესახებ:

„პ. ჭიჭინაძე, ერთი საუკეთესო წევრი საქართველოს მენშევიკური პარტიის, გარდაიცვალა ბოლშევიკების საპრობილეში. მისი დაკარგვა დიდ აღშფოთებას გამოიწვევს ქართველ ხალხში ახლანდელი მისი მმართველების წინააღმდეგ, რომელნიც შეუზრალელებელი ტერორის საშვალე-ბით განაგებენ ქვეყანას.

განსვენებული სოც. დემ. პარტიის ერთი მებრძოლი წევრთაგანი იყო 1896 წლიდან. 1903 წელს იგი ქუთაისის პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარეთ ითვლებოდა, როდესაც მეფის ჟანდარმებმა დაიჭირეს და **რუსეთში** გადაასახლეს, საიდანაც 1905 წელს დაბრუნდა. რეაქციის სასტიკ წლებში, რომელიც მოყვა 1905 წ. რევოლუციას, ის მუშაობდა როგორც წევრი ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის და თანამშრომლობდა პარტიულ გამოცემებში. 1911 წელს ის ხელახლა დაიჭირეს და

საქართველოდან გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 1918 წ. დაბრუნდა. გადასახლების ხანაში ის მონაწილეობას იღებდა **როსტოვის** რევოლუციურ მოძრაობაში და ამ ქალაქის წარმომადგენლად იქნა გაგზავნილი 1917 წელს **პეტერბურგის** დემოკრატიულ თათბირზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში. 1919 წელს დაინიშნა შინაგან საქმ. მინ. ამხანაგათ, ხოლო 1920 წელს სამხედრო მინისტრათ. მას ეს პოსტი ეჭირა უკანასკნელი ომის განმავლობაში, როცა საქ. რესპუბლიკას ბოლშევიკების და ქემალისტების ჯარი შემოესია.

ბოლშევიკების მართველობამ დაატუსადა უმიზეზოთ ეს ძველი მეზრძოლი და თუმცა ის მძიმეთ დაავათმყოფებელი იყო ციხეში, მაინც უარს ეუბნებოდა განთავისუფლებაზე და იგი მხოლოდ მაშინ გადაეცა ცოლშვილს, როცა უკვე სულთმობდავი იყო.

მის სახელს არ დაივიწყებს საქართველოს მუშათა კლასი.

„თავისუფალი საქართველო“, N 12, 1921 წ.

### **პარმენ ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო**

**პარიზი.** დავსტირით თავდადებულ მეზრძოლის **პარმენის** დაკარგვას, ვუთვლით მხურვალე თანაგრძნობას მის ოჯახობას. თავისუფალი საქართველო არ დაივიწყებს მის ამავს.

**ჟორდანია, გეგეჭკორი, რამიშვილი, კანდელაკი, ჩხეიძე, მდივანი, თაყაიშვილი, წერეთელი, ჩხენკელი, ჩხიკვიშვილი, საბახტარაშვილი, ელიგულაშვილი.**

**კონსტანტინეპოლი.** უზომოთ დაგვადონა ძვირფას ამხანაგის **პარმენის** უდროვოთ დაკარგვამ. დაულაღავი და მედგარი მეზრძოლი, ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებული **პარმენი** გახდა ბოლშევიკების ტირანიის მსხვერპლი. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ქართველი ხალხი არ დაივიწყებს მოღალატეთა ვერაგობას და თავის დროზე სამაგიეროს მიუზღავს მათ.

ჩვენ – სამშობლოს დაშორებული ამხანაგები – ვუცხადებთ გულწრფელ თანაგრძნობას მის დამწუხრებულ ოჯახს და ამხანაგებს.

**ა. გვარჯალაძე, ი. ჭავჭავაძე, ნ. ელიავა, ე. ლომთათიძე, დ. შარაშიძე, ნ. კალანდაძე, ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი, რ. ყიფიანი, კ. სულაქველიძე, ფ. ლორია, ვ. გოგუაძე, კ. ჭუმბურიძე, ნ. კორძია, ვ. წულაძე, მ. რუსია, რ. არსენიძე, ვ. ალიხანოვი, ნ. ნიჟარაძე, ბ. ჟღენტი, გ. ერაძე, რ. აუშტროვი, ა. იმუხვარი, ი. ჯანჯღავა, ს. გაბუნია, მ. კობერიძე, ი. ქარსელაძე.**

„თავისუფალი საქართველო“, N12, 1921 წ.

### **მგოსან ბაჩანას მოკვლა**

ბოლშევიკების მხეცობას საზღვარი არ აქვს. ისინი მოსვენებას არავის აძლევენ.

19 იანვარს სოფ. **ხელთუბანში** (გორის მაზ.) შემადრწუნებელი ამბავი მოხდა. **ხელთუბნის** თემის რევკომის თავმჯდომარემ **არტემ ფილიანცმა**, როცა გაფლანგა მთელი ქონება, რაც საქართველოს მთავრობას დარჩა, მერე ხელი მიჰყო ქურდ – ბაცაცობას. მისი ამხანაგები და დამქაშები მილიციონერები სისტემატიურ ქურდობას ეწეოდნენ, იპარავდნენ ქათმებს, თივას, საქონელს, თაფლს და სხვას.



გაქურდეს სხვათა შორის ადგილობრივი გლეხი **თედო რაზიკაშვილი** (ვაჟა – ფშაველას ძმა **ბაჩანა**). მოპარეს თავლი, ქათმები, ინდაურები და სხვა. ამ ნიადაგზე **თედო რაზიკაშვილი** ხშირად ამხელდა მათ, რის გამოც და მით უმეტეს იმიტომ, რომ მას სთვლიდნენ „მენშევიკების დამქაშათ“, გადაეკიდნენ: ჯერ თივა გადაუწვეს, ხოლო როცა ერთხელ რევკომის თავმჯდომარემ იხელთა დრო, გადასწყვიტა ბაჩანას მოკვლა; გაღეშილმა უბრძანა თავის უფროს მილიციონერს ესროლა რაზიკაშვილისათვის და მოეკლა. მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ ორი პატრონა ჰქონდა და ისიც ააცდინა.

რაზიკაშვილმა თავის დასაცველათ რევოლვერით იმოქმედა. დაჭრა მილიციის უფროსი და სასიკვდილოთ დაჭრა რევკომის თავმჯდომარე. ეს ამბავი გაიგეს რევკომის თავმჯდომარის ძმებმა და დამქაშებმა, გაიყვანეს ბინიდან **თედო რაზიკაშვილი** და იმ დროს იქ შესწრებული მისი ქვისლი **გაგნიძე**. ჩაიყვანეს სარდაფში, გაატიტვლეს და ცოფიანი ყვირილით, „ეს მენშევიკების ძალლი უნდა მოშორდეს წუთი სოფელსაო“ – სულ აკუწეს. მის ქვისლს **გაგნიძეს** უმოწყალოთ სცემეს და ნაცემი საავადმყოფოში წაიყვანეს.

შეატყობინეს მაზრის რევკომს. შედეგათ ის მოხდა, რომ მთელს ქონებას **თედო რაზიკაშვილისას** უყვეს კონფისკაცია, „ეს მენშევიკების ძალლია და ჩვენი მთავრობის მტერიო“. არ მისცეს ნება წესიერათ მიებარებინათ მისი ნაწამები სხეული მიწისათვის; გაათხრევენეს მისივე ეზოში საფლავი, ჩაყარეს მისი დაკუწული სხეული და მიაყარეს მიწა.

შემდეგ მოიწვიეს ხალხი და აყვირეს: „თედოს ქვისლი **გაგნიძე** და ცხრამდე მენშევიკები უნდა დაიხვრიტოსო“. ერთმა – ორმა გაბედა სიტყვის შებრუნება და მათაც უმოწყალოთ სცემეს.

ხალხი შეძრწუნებულია. ველურების დრო დადგაო, ყველა ამას ჩივის.

აი, ასე მხეცურათ გამოასალმეს წუთისოფელს ბოლშევიკებმა **სახალხო მგოსანი მოხუცი ბაჩანა**.

„თავისუფალი საქართველო“, N18, 1922 წ.

### **სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების გამო:**

მწარედ დავსტირით ხალხის ერთგული დარაჯის **სილიბისტრო ჯიბლაძის** დაკარგვას. ჩქარა დადგება დრო და მისი საფლავის ირგვლივ თავს მოიყრის მთელი ერი და მუხლმოდრეკილი ეამბორება მას.

**გეგეჭკორი და ჩხენკელი**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

ველოვობთ ძვირფასი **სილიბისტროს** უღმობელ სიკვდილს. მასზე მტირალი ქართველი ხალხი ღირსეულათ შეაფასებს მისი ჯალათების ვერაგობას.

**ბ. ჩხიკვიშვილი და კ.საბახტარაშვილი.**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

მწარე ცრემლებით მუხლ მოდრეკილი ვეამბორები მოხუცი გმირის **სილიბისტროს** ცხედარს.

**ჭ. ასათიანი.**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

„თავისუფალ საქართველოს“!

საქართველოს სოციალ – დემოკრატიული ცენტრის კამიტეტისათვის“.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან გრძნობა ღრმა მწუხარებისა **სილიბისტრო ჯიბლაძის** გარდაცვალების გამო. განსვენებული გახდა მსხვერპლი რუსეთის მოძალადე ბატონობისა საქართველოში და ამ ღრმა მწუხარებას თქვენთან ერთად გაინაწილებს მთელი საქართველო.

**მდივანი, ვეშაპელი, ჯაფარიძე, კობახიძე.**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

**კონსტანტინეპოლიდან:**

ჩემო ძვირფასო **სილია**, მამაზე უფრო ტკბილო და საყვარელო; რა გითხრა შენი უდროო სიკვდილის გამო? ვინ გაგვიწევს შენს მაგივრობას? ვინ გვასწავლის, ვინ შეგვაცვარებს თავდადებას?... იჭვებისა და რყევის ჟამს ვინ მოგვევლინება გამამხნეველათ და სულის სიმტკიცის მომნიჭებელათ, თუ არა ისევ შენი წმინდა სახე და შენი ცხოვრებისა და მოქმედების მაგალითი?...

შენ მებრძოლის სახელოვან სადარაჯოზე დალიე სული და ბევრ ჩვენგანს უკუღმართმა ბედმა ისიც კი გვარგუნა, რომ შენი ცხედარი საფლავამდის მიგვეცილებია!

**ნ. ხომერიკი**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

ცრემლით დავსტირით საყვარელ მასწავლებელს, ტკბილ მეგობარს და რევოლუციურ ბრძოლაში აღზრდილს ჩვენ კარგს **სილიას**. ერი გულში ჩაგისვამს. მუშათა კლასი ანდერძს უკლებლათ შეგისრულებს. კიდევ მოვალთ შენს სამარესთან ღია დროშებით. ახლა კი მშვილობით!

**რ. არსენიძე**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

მწარეთ დავსტირით საქართველოს დემოკრატიის მესაიდუმლის ძვირფას **სილიბისტროს** დაკარგვას. საქართველოს დემოკრატია კვლავ ივლის სილიბისტროს მიერ ნაჩვენები გზით და სათანადო პასუხს გასცემს ქართველი ხალხის ჯალათებს და მოღალატეებს.

**კ. გვარჯალაძე**

ქურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ ქართველი ერის სინდისის, მისი გულის მესაიდუმლეს, სოციალ – დემოკრატიული პარტიის დამაარსებლის, ბელადის, **სილიბისტრო ჯიბლაძის** ცხედარს.

დაუფასებელია შენი ღვაწლი და წმინდაა შენი ანდერძი, რომელსაც ქართველი ხალხი ავგოროზათ ატარებს და ასრულებს შენს საფლავზე მხურვალე, ცრემლმორეული ჩამომახებით.

**გ. ერაძე, კ. სალუქველიძე, ვ. ალიხანოვი, პ.ჩინიჯიშვილი, ვ. წულაძე, ნ. კალანდაძე, ემ. ლომთათიძე, ვ. ჟღენტი, ვყ. სულაქველიძე, ვ. ქარცივაძე, ა. კორძაია, კ. ნიჟარაძე, ვ. ჯუღელი, ნ. და ლ.**

ელიავები, მ. და ნ. რუსიაეზი. კ. ჭუმბურიძე, ივ. ჭავჭავაძე, ფ. ლორია, ვ. კაჩუხაშვილი, ნამეტია და ვ. გოგუაძეები, მარგარიტა წულაძე, არ. ემხვარი. რ. აუშტროვი, დ. შარაშიძე, ივ. ჯანჯღავა, კ. ჯაძეელი, კ. ბარნოვი, კ. ჟღენტა, ი. ქარსელიძე, იაკ. რუხაძე.

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

X X X

საქართველოს სოციალისტ – ფედერალისტთა პარტიის კონსტანტინეპოლში მყოფნი წევრნი ვუერთდებით საქართველოს ხალხის უღრმეს მწუხარებას, გამოწვეულს ჩვენში სოციალიზმის მამა – მთავრის, უდიდესი და უსპეტაკესი სახელოვანი ადამიანის გარდაცვალებით; მთელი მისი სიცოცხლე, თავგამოდებით ბრძოლა სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბატონმა **სილიბისტრო ჯიბლაძემ** ყველას გვაჩვენა. ამ იდეალებისათვის ბრძოლის გამო მოუსპეს მას ბოლშევიკებმა სიცოცხლე, უკანასკნელი წუთებიც კი.

მაგრამ არამც თუ იმ პარტიისათვის, რომლის დამაარსებელი და მამა – მთავარი იყო **სილიბისტრო**, არამედ მისი მოპირდაპირეთათვისაც და მთელი ქართველი ერისათვის მისი **სპეტაკი ხსოვნა სამარადისო** იქნება... მისი განაწამები რაინდული სული მუდამ ხელმძღვანელი იქნება ჩვენთვის ხალხისა და ქვეყნის განთავისუფლების საქმეში.

იგი ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნება.

მინდობილობით – კონსტანტინეპოლში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის სახელით – **ი. გოგოლაშვილი**.

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, N 18, 1922 წელი, პარიზი.

**შენიშვნა:** ეს სამგლოვიარო მასალები, ჟურნალიდან ამობეჭდილი, ცალკე შეკრული, ინახებოდა **სტამბოლის საგანის არქივში**.

**B (უცნობი ფსევდონიმი)**

## ქართველ ერის საცოდავი ნაშთები

ერთი ფრიად საყურადღებო წერილი მივიღე ამას წინად **სტამბოლიდან** ჩემი მეგობრისაგან. აი, ეს წერილიც. წაიკითხე, მკითხველო, გულდასმითა და სთქვი, მართლაც, საცოდავი არ არის ნაშთები ჩვენის ეროვნებისა, ან რას უნდა განიცდიდეს მნახველი ამ ნაშთებისა, ცოცხალ, მგრძობიარე ნაშთებისა, ან რას ვაკეთებთ ჩვენ ამ ნაშთებისათვის, ჩვენ, დანარჩენი საქართველო, რომელსაც თავი, კიდევ სრულ სიცოცხლის მქონედ მიაჩნია!

აი, წერილი. იქ ბევრი სხვა საყურადღებო რამაც არის:

„ძვირფასო მეგობარო!

მომიტევე, რომ ამოდენა ხანი გაგიჩუმდი. თუმცა შენი წერილები ყველა მომივიდა და ზოგი მაშინვე პასუხსა თხოულობდა, მაგრამ ისეთ საზიზღარ გუნებაზე ვიყავ, რომ კალმის აღება აღარ მეხერხებოდა. სულ ხვალისათვის ვდებდი ბარათსა და ასე დამიგვიანდა. მასალა კი ღვთის წინაშე ძალიან ბევრი იყო მოსაწერი; მაგრამ იმაში აქაურ ამბების მოწერა კი აღარა ღირს, რადგანაც მარტო გამეორება იქნება იმისა, რასაც ეგრე დაწვრილებით იცნობებიან ტელეგრამებით. მხოლოდ მოკლედ რომ გითხრა, საზოგადო მდგომარეობა ეს არის, რომ დღეს ბრძოლა პროვინციაშია გადატანილი. დღემდე იქიდან სულ ცუდი ხმები მოდის, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალნიც მარჯვედ იქცევიან. ამ ბოლო ხანებში ჯარი გაგზავნეს შავი ზღვისკენ **ბოსფორის** მეციხოვნე ჯარის გამო-

საცვლელად, მაგრამ ძველი მეციხოვნენი ნებით არ გამოდიან და იქნება შეტაკება მოუხდეთ. ჯარი ზღვისაგ გაგზავნეს და ხმელეთისაგ. **სტამბოლში** კი ჯერჯერობით სიწყნარეა, გარეგანი მაინც, და კონტრრევოლუციის ლიკვიდაციას ახდენენ. სასტიკად უსწორდებიან რეაქციონერებს; გაგებულნი გექნებათ აქაურ ჩამოხრჩობის ახალი ყაიდა: აიჩემეს, სადაც უფრო მეტი ხალხი დადის, ნამეტნავად ხიდზე, ჩამოჰკიდებენ კაცს პირ ახდილს და რამდენიმე საათობით, ხან ნახევარი დღით აყურებინებენ ხალხს. გუშინ და დღესაც ჩამოაღრჩეს სასახლის რამდენიმე ლალა. გამოძიებას ახდენენ და ვისაც კი მონაწილეობა უმტკიცდება **აბდულ – ჰამიდის** ოინში, აღარ ინდობენ. ძალიან მაგრა მოსცხეს მოლებსაც, მაინც კიდევ იმათი ემინიანთ, რადგანაც ისინი საქმეში რჯულს ურევენ და ამ ქადაგებას თურმე დიდი გასავალი აქვს ხალხში. **მოკლულ მოლებში ორი ქართველი ყოფილა**, რომელნიც, სამწუხაროდ, რეაქციას მიმხრობოდნენ.

წინად **შაქირ – ფაშა ერთგულშვილზე** გწერდი გაზეთში; რომ ის ამბავი ამოვიკითხეთ, ჩვენი მეგობარი მ. იმახოდა, ვიცოდი, რეაქციონერი იყო, რათ ერეოდა ის დალოცვილიო\*.

ყოფილი საზღვაო მინისტრი **რიზა – ფაშა ათაბეგიშვილი**, წინათაც გატყობინებდი, დაჭრით გადარჩა. ახალი ეს არი, რომ, როგორც შევიტყვეთ, მუსულმან ქართველებისაგან იმისი გადარჩენა ქართველ სალდათების საქმე ყოფილა. პარლამენტში მისვლისას რომ შტიკიანი სალდათები შემომჰხვევიან, ამათ დაუნახავთ და უცვნიათ, დაუძახნიათ ამხანაგებისათვის, ეგ ჩვენი კაციაო, და ასე დაუხსნიათ, თორემ იქვე გაათავებდნენ. ეხლა მინისტრობიდან გამოსულია და ავადმყოფობს. ამ დღეებში უნახავს მ.<sup>1</sup> – ს. გამხდარია ძლიერაო. საზოგადოდ, აქაური ქართველობა თავს არ ირცხვენს რეაქციის ტრფიალით და თითქმის ყველა ახალგაზრდა ოსმალთა მომხრეა, ზოგი ხომ თავსაც არა ზოგავს. იმათში ერთი, **ელიშვილიც** არის, **ისმაილ ბეი**, მართლა შეგნებული კაცი და ქართველ ეროვნების მომხრე. მთავარ მსაჯულად ითვლება. იგიც აქედან გაქცეული **სალონიკის** ჯარს მოჰყვა უკან; იმასაც კი თოფის დაჭერა სდომნოდა, მაგრამ ჯარს არ ეკადრებინა, თქვენ სხვანაირად გვჭირიხართო, მე სულ ეს ფიქრი მიტრიალებდა, – იმ მიზნით ხომ არ იბრძვის აქაური ქართველობა ასე თავგამოდებით ახალი ფორმისთვის, რა მიზეზითაც მანდაური ქართველობა იღებდა ისეთ ცხარე მონაწილეობას ჩვენს მოძრაობაში.

მე ძლიერ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც პირველ შეკითხვაზედვე ასეთი ჰანგი მომესმა ლაპარაკისა. ლაპარაკში გამოდიოდა, რომ აქაური ქართველობა მაინცა და მაინც არა ჰყვარებიან ოსმალებს. მთავრობას ხომ სძულებია და ძალიან უდევნია, – შინებია, თავიანთი კომიტეტი არ შეადგინონ ჩემს საწინააღმდეგოთაო. ქართველებიც ისე ყოფილან შეშინებულნი, რომ ერთი მეორესთან ვეღარ ჰბედავდა მისვლას. ასეთი მაგალითები მითხრეს, რომ ქართული დალაპარაკება რო ვისმე მოსდომნია, **იენიჯამში წასულა ჩუმად ქართველ კათოლიკებთან** დასალაპარაკებლად. მაშასადამე, თავის დაცვის ინსტიტუტმა გადაიყვანა ესენი ერთიანად ახალგაზრდა ოსმალთა ბანაკში. აქედან შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის ჩვენთვის სანუგეშო დასკვნაც, რომ აქაური ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რევოლუციაში არა როგორც ცალკე პიროვნებანი, რომელიმე ნიჭიერი ისმაილი ან ოსმანი, არამედ როგორც ერთი მთლიანი გვაროვნობა **ეროვნულ ტენდენციით**. ამას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. იგინი ლაპარაკში თავიანთსა და ოსმალთა შორის ცხად გარჩევასა სდებენ და **ქართველობისათვის ჯერ არ არიან დაკარგულნი**.

აბა, წარმოიდინე ეს სურათი: სტამბოლის ქუჩებზე ახალგაზრდა ქართველი თოფით შეიარაღებული და მხარ – ილღივ სავსე პატრონტამ გადაგდებული, რეაქციასთან საბრძოლველად

\*შაქირ-ფაშაზე ამბობდნენ – თავი მოიკლაო, მაგრამ თავი არ მოუკლავს და რეაქციის გარევისათვის კი, მგონი ისჯება.

<sup>1</sup> იგულისხმება მემედ აბაშიძე.

გამოსული, ღირს განა აღსანიშნავად? გულის უბეში პატარა ყურანი ჩაედო, ჩვენთან პალტოს ჩიბეში გადასდო და სიცილით გვითხრა, **შიშმა სარწმუნოება მომაგონაო**. ვიცი, შენი ამბავი, ამ სურათებზე ფიქრებს გააბამ და დარდებში გადახვალ. მართალია, მართალი!

ცარიელი სიტყვები რომ არ გეგონოს, ჩემი მტკიცება აქაურ ქართველობის შენარჩუნებაზე, აქვე გაგიზიარებ იმ კერძო მაგალითებს, რომლებსაც მე სრულებით შემთხვევით ვაწყდებოდი, მაგრამ ამით ფასი არ აკლდებათ და საზოგადო დასკვნაშიაც გამოგვადგებიან. შეიძლება ზოგი რამ უკვე მოგწერე და აქ გავიმეორო, მაგრამ არა უშავს რა. ამ შენიშვნებს ექნება დღიურის ხასიათი; ჩემის ზარმაცობით რიცხვებს არ ვინიშნავდი.

მანდედან რო წიგნები მოგვივიდა, მე და ჩვენი მეგობარი ა.<sup>1</sup> წავედით ქალაქების გამოსატანად **გალატაში** და გზაზე ლაპარაკით მივდიოდით; მე ხმამაღლა გაცხარებული ვეუბნებოდი: – დიახ, დიახ მეთქი. ამ დროს ორი თათრულად ჩაცმული დედკაცი გვერდი – გვერდს დაგვიახლოვდა და ერთმა მათგანმა, ჩვენს გასაგონად, რასაკვირველია, ჩადრის ქვეშიდან გამოგვძახა: – დიახ, დიახ ბატონოვო, და გაიარეს. აბა, ხომ იცი, ჩემი ამბავი, მე გული ამიმომრავდა, და შევდეგი, შედგა ა – ე გვენი ქართველები არიანო. მოდი, გავყვეთ უკან, გამოველაპარაკოთ მეთქი, მაგრამ აკრძალული რომ არის აქ ასეთი საქციელი, არ იკისრა. მე გავჯავრდი და პირველად დავწყველე ასეთი ჩვეულება, რომ, ვინ იცის, **იმათაც როგორ უნდოდათ ჩვენთან ქართული სიტყვის გაგება**, მაგრამ ნება კი არა გვქონდა, რომ აგვესრულებინა გულის წადილი და ამ უცხო ქვეყანაში ერთმანეთისათვის **სამშობლო ენაზე გაგვეცა ხმა**, ერთმანეთის ჭირი და ლხინი მოგვესმინა. დიდ ხანს მიღელავდა გული ამნაირ შეხვედრითა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე საქმეზე მივდიოდი მე და ჩვენი ნაცნობი ვ.<sup>2</sup> წვიმა იყო და ტრამვაიში ჩავსხედით. მე და ვ. ვლაპარაკობდით ჩვენს აქაურ საქმეებზე. ერთი ახალგაზრდა ბიჭი, წითელ ფესკიანი, დიდხანს გვიყურებდა, მაგრამ ჩვენ იმის სახის ფერის ცვლილებას ყურადღებას არ ვაქცევდით; ბოლოს ვეღარ მოითმინა საწყალმა და კილო შეცვლილ ქართულით გვკითხა: – თქვენ ქართველები ხართო? როცა ჩვენც ვინაობა გამოგვკითხეთ, იმანე თავის გვარი დაასახელა – **გოლომანიძე**, აჭარიდანო.. ჯერ კი დარწმუნებით ვერ გეტყვი და მე კი ჩემად შემჩნეული მაქვს, რომ აქაური **ქართველი თავის სადაურობას იმით კი არ გვიჩვენებს, სადაც არის დასახლებული, არამედ იმით საიდანაც არის გადმოსახლებული**. შეხედულებით მდაბიო ბიჭი იყო, უბრალო მოსამსახურე ჩანდა, ესეც გუნებაში მისაღებია.

წიგნების გამოსატანად სამნი წავედით ერთად დამოჟნაში, გაღმა **სტამბულში**. ყუთი იქვე გავხსენით და ჩვეულებისამებრ რამდენიმე წიგნი წარუდგინა ა – მ დაწესებულებას იმის შესამოწმებლად, თუ რა მოგვაქვს და რამდენი უნდა დაედოს ბაჟი. მანამ ისინი საქმეს გაგვითავებდნენ, სხვები წიგნებზე გვკითხავდნენ და როცა გაიგეს, ქართულია, იქვე ერთ კაცზე მიგვითითეს, ეგ ქართველიაო. ამ ლაპარაკზე მოტრიალდა ჩვენკენ მაღალ – მაღალი ჭაღარა კაცი. ჩვენ ვკითხეთ, ქართველი ხარ? დიახ ბატონოო. ა – მ გადაუშალა წიგნი და მიაწოდა, ეს ქართულიაო. იმანაც აიღო, კარგა ხანს დასცქეროდა და საცოდავად იღრიჭებოდა. **რასა გრძნობდა ნეტა, გული რას ეუბნებოდა, რა სულის მოძრაობას განიცდიდა?**

ვ – ს უნდოდა ვაჭრობა რომ დაეწყო აქაურ ქრისტიან და მუსულმან ქართველებთან ერთად. ქრისტიანი ქართველები უკვე დაითანხმა და აღდგომის წინა დღეებში მუსულმანებიც მოიწვია; კრებაზე კერძო თათბირი უნდა ყოფილიყო და ამიტომ ხუთის მეტი არ მოსულა: ორი იზმითელი

<sup>1</sup> ა – იგულისხმება **აბაშიძე მემედი**, რომელიც მაშინ თავს აფარებდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს.

<sup>2</sup> ვ – იგულისხმება **ვარდიძე შალვა**.

სუფთად ჩაცმული ახალგაზდა კაცი და სამიც აქ მყოფი: ორი სამსახურის კაცი და ერთიც ზემო ნახსენები **ისმაილ ბეი ელიშვილი**. ქართული სიტყვა – პასუხი უკლებლივ ესმით, **ვერ იგებენ მხოლოდ მძიმე ქართულით ნაწერს, უძნელდებათ**. ერთად ვაჭრობის დაწყობაზე თანაგრძნობას აცხადებდნენ, – ამას ჩვენც ვფიქრობდით და კაი საქმე იქნება, **სისხლი ერთი გვაქვსო**. ილაპარაკეს, ვინ შემოვიდოდა წევრებად **კონტრიძე, შანიძე, ზოიძე**, ამნაირი გვარები ისმოდა სახელების ჩამოთვლაში. **მე მცირე ხანს დამაფიქვდა, რომ უცხო გადაკარგულ ქვეყანაში ვზივარ**. ელიშვილი კაი საქმიანი და ქართველების მომხრე კაცი სჩანს. დიდ დახმარებას გვპირდებოდა, მაგრამ არ გაუფლია სულ ერთ კვირას, რომ ოსმალეთის ამბები დაიწყო და ისიც მოუცლელობისა გამო პირადათ აღარ გვინახავს.

14 აპრილს ახალ სულთნის პირველ სელამლიკზე მეც გავიარე **აიასოფისკენ**. დაბრუნებისას ი. დამხვდა და დამიწყო ლაპარაკი. ერთმა დედაკაცმა პირბადე ახსნილმა (ამ დღეს ბევრმა აიხადა პირს) დაგვიწყო ყურება და ილიმებოდა. **მშვენიერი სახისა იყო, ქართლ – კახეთში თავადიშვილის ოჯახში მინახავს იმისთანა ტიპის ქალი**. მანამ ათ ნაბიჯს გადასდგამდა, სულ ჩვენკენ იყურებოდა, ძლიერ მინდოდა ქართულად გამოლაპარაკება, ალბათ ისიც ამ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ან მე როგორ გავბედავდი, ან ის: თათრული მაინც ვიცოდე ეს ოხერი! ერთი გამარჯვება კი დავუმახე ქართულად, მიიბრუნა პირი და თავჩალუნული წავიდა. დავიჯერო არ იტანჯებოდა ის ადამიანი? განა მოვეწონე და იმიტომ მიყურებდა. **ჩვენგან დედა – ენა ესმა და ამან გადააბა იმის გული ჩვენ გულთან**, მერე ისიც გაიგო, რომ ჩვენ აქაურები არ ვიყავით და მოსულები ვართ მანდიდან. ვინ იცის, იქნებ უნდოდა ჩვენიდან აელო წარმოდგენა თავის მოძმე ხალხზე, **თავის სამშობლოზე, რომელსაც იცის ბედმა მოსწყვიტა და მოაშორა?** მეც ძლიერ დავიტანჯე და თან გაკვირვებული ვფიქრობდი: – **ბიჭო, თუ, ყოველ ჩვენს შემთხვევით დალაპარაკებაზე ჩვენი სიტყვა მუდამ ქართულ ყურს ესმის, მაშ სჩანს, იმათი რიცხვი აქ ათასობით უნდა ვიანგარიშოთ, თორემ ასობით რომ იყოს, ამოდენა ქალაქში სრულებით არ გამოჩნდებოდა**.

აღარ დამავიწყდება იმ ქალის სახე. მეტად ლამაზი იყო და პლატონიურად შამიყვარდა; **ვითარცა ერთი ხელუხლები სიწმინდე რამე**.

კონტრრევოლუცია რომ დაიწყო, მეორე დღეს დილით ვ – სთან შემოვიდა ხარბიეს ქართველი მოსწავლე **კადეტი ნიჟარაძე**, რომელიც კვლავაც მიხსენებია. ძლიერ შეშინებული იყო; გვითხრა, წუხელ თოფიანი ჯარი შემოგვიცვივდა და მოლას რომ არ შეეყენებინა, ამოგწყვეტდნენო. ჩვენ ვიგრძენით, რომ საქმე ცუდათ იყო. ვ.<sup>1</sup> – მმაც უთხრა და მერე მეც დავიმართობელავე და ვთხოვე, თუ საჭირო იქნებოდა, არ დაგვრიდებოდა, გინდა ჩვენთან მოდი და გინდა სხვა ტანისამოსს გიშოვნით – მეთქი. იმან მითხრა, ნათესავეები მყვანან და იმათას წავალ, სხვა ტანისამოსს – კი არ ჩავიცვამ: აქ ბევრი მიცნობს და არ მინდა, ჩემზე ვათქმევინო, რომ შეშინდა, **საქართველოს არ შევარცხვენო**. ეს სიტყვები ისეთ კილოზე სთქვა, რომ, ძმობას გეფიცები, შენ რომ იქ ყოფილიყავი, გადაეხვევოდი და აკოცებდი ამ ქართველს. **თვალთ არ უნახავს და საქართველო ახსოვს. ოღონდ იგი ნუ შერცხვება და თითონ თუნდა მოკვდეს**.

ამ ერთი კვირის წინად დიდი დღეობა ჰქონდათ აქაურ ქართველ კათოლიკებს, **ფერიქოიში** – ტაძრის დღეობა იყო. ხალხი დიდძალი იყო და მთავრობას, როგორც ჩვეულებაა ამისთანა შემთხვევაში, პოლიცია მოეგზავნა წესიერებისთვის. მონასტრის ერთმა მმთავრანმა მითხრა, იმათში ქართველიც ურევიაო და გამაცნო ერთი ჩასხმული შუახნის კაცი – ქართველი ხარო? – მკითხა. ქართველი ვარ – მეთქი. ძალიან გაუხარდა ჩემინახვა. **ქართველი კაცის ნახვა ძალიან გამეხარდება**

<sup>1</sup> „ვ“ – იგულისხმება კათოლიკე მღვდელი შალვა ვარდიძე.

ხოლმე, სისხლი ერთი გვაქვსო. მე თვითონაც აჭარიდან ვარო, ქედელი, რაშინ – ეფენდი მამიძე. ბიძაშვილები დღესაც აჭარაში ჰყოლია და თითონ კი პატარა წამოსულა (ალბათ ბათუმის ადების შემდეგ). შვიდი – რვა წელიწადი ისეთ ადგილს ვმსახურობდი, რომ ქართველი არ მენახა და ძალიან მომეწყინა, რომ ქართული არ მესმოდაო. ბოლოს შამხვდა ერთი ქართველი, ძალიან გამეხარდა, ორი წელიწადი ერთად დავრჩითო, მაგრამ ქართულს კარგა ვერ ლაპარაკობდა, ზემოური იყო; ზემოურები კარგა ვერ ლაპარაკობენ ქართულსაო.

გესმის, უბრალო პოლიციელი რომ განსჯაში შედის და არჩევს კარგსა და უხეირო ქართულსა? ამასთან მკვეთრად არჩევს სარწმუნოებასა და ეროვნებას, ანუ სარწმუნოებასა და სისხლს და გვარს, როგორც იგი ამბობდა. ქართულ ენის დაუვიწყებლობაზე რო ჩამოუგდე ლაპარაკი, იმან მითხრა, ჩვენს ოჯახში სხვა ენა არაა, ქართულს ვლაპარაკობთო, ჩვენი ბავშვი თათრულს ვერ შეისწავლის, თუ ქართული არ იცისო, დედაკაცებმა სულ არ იციან თათრულიო. მაშინ კი, სწორე გითხრა, დავემადლიერე თათრულ კარჩაკეტილობას; ალბად ამან შეინახა ქართული ენა აქაურ ქართველ ოჯახებში.

სალამომდე ფერიქიოში დავრჩით. წამოსვლა რომ დავაპირეთ, რაშიდ – ეფენდის დაუწყევტებნა მე და იმ მონასტრის ძმათაგანმა, მინდოდა თ.<sup>1</sup> – სთვის გამეცნობებინა და ბიბლიოთეკაც მეჩვენებინა, მაგრამ ველარ ვიპოვე. სიარულში წინ შეგვბდნენ მისი ამხანაგი პოლიციელები და მე ჩემ ამხანაგს ვუთხარი ქართულად, – აბა, მაგათ ჰკითხე, მაგათ ეცოდინებათ – მეთქი. იგი მივიდა და თათრულად დაუწყო ლაპარაკი, იმან ქართულად უპასუხა, მეც იმას ვეძებო. აღარ მოვძებნე ჩემი რაშიდ – ეფენდი, ამასთან მიველ ჩვეულებრივის სალამის შემდეგ; ვინაობის შეკითხვაზე მიპასუხა: – მე ვარ მარადიდელი შაქირ – ეფენდი კიკნაძეო. მარადიდი საქართველოშია და თითონ კი იქ, იზმითში ჰყოლია სახლობა და დედამა; მეორ – მესამე დღეს შემხვდა ქუჩაზე; დავდეგით, ვილაპარაკეთ, ხელს ხელიდან არ უშვებდა; მკითხა: – თქვენთან მონასტერში რომ ყმაწვილი კაცი ვნახე, რა ჰქვიათო; მან მითხრა, კიკნაძეები აქ სხვებიც არიანო და მინდა ვიკითხო, სად არიან, რომ წავიდე და ვნახო.

აი, მეგობარო, ის შაბეჭდილებანი და მაგალითნი, რომელთაც მე არ ვეძებდი და შემთხვევით ვაწყდებოდი. რომ სპეციალურ კვლევას შევუდგეთ, მაშინ რაღა იქნება? მე ისე გადმოგეცი შემთხვევანი, როგორც მოხდა, და შენ როგორც გინდა, ისეთი დასკვნა მიეცი და გაჰყევი ფიქრებსა.

ბ-ნმა მ – ბ<sup>2</sup> „დედა – ენაზე“ მითხრა, იქიდან გამოგზავნილებს ვერ წაიკითხავენ ჯერაო და ჩვენ უნდა შევადგინოთ ლექსიკონი, სასაუბრო ქართულ – თათრულიო. მე კი ვგონებ, რომ მ. სცდება; იმისი სიტყვები, მართალია, იმ ქართველებზე, რომელნიც ასიმილაციას დასდგომიან ან უკვე გადაგვარებულან და ქართულს მართლა მარტო თათრულით შეისწავლიან. მაგრამ რა საქმე აქვს ამნაირ სახელმძღვანელოს იმ ქართველ ოჯახებში, სადაც ბავშვს სკოლის ჰასაკამდე არ ესმის თათრული და სამშობლო ენის დამცველნი ქართველი დედები სულ ლაპარაკობენ ამ ენაზე. ამიტომ უმჯობესი იქნება ისევე ქართული დედაენები დარიგდეს.

P.S.ეს წერილი გათავებული მქონდა, რომ ერთი მუსულმანი ქართველი მოვიდა, შეგირდი, – ქართული ანბანი მინდაო. „დედა-ენა“ მივეცით; სხვებსაც უნდათო სწავლება. სწავლებას ჩვენ დავპირდით და წიგნები აღარა გვაქვს, საჭიროა უფრო „დედაენის“ პირველი ნაწილი, თუ მოახერხოთ, გამოგვიგზავნეთ რამდენიმე ათეული, სოფელშიაც გავიტანთ“.

<sup>1</sup> თ - ვინაობა უცნობია.

<sup>2</sup> მ-ბ - იგულისხმება მემედ აბაშიძე (აბაშიძე ბებედ-ბეგი).

და მართლაც, ჩემის მეგობრის თქმისა არ იყოს, რაებს ვნახავთ, რომ კარგად გამოვიკვლიოთ ყველა ჩვენი დაქსაქსულ მოძმის ადგილი, ცხოვრება, მდგომარეობა! რამდენი რამ საყურადღებო იქნება, რამდენ სხვა და სხვა გვარ მდგომარეობას განიცდიან, ალბათ, ეს ერთ დროის ძლიერ ერის მოჭრილი შტონი, – ზოგი უკვე გამხმარი; ზოგი ნახევრად გახარებული უცხო ნიადაგზე, ზოგი მსურველი სამშობლო მიწაზე გადმონერგვისა, ან მწყურვალე სამშობლოს განმაცხოვრებელ წვენი შესმისა და სიცოცხლის ახალ ნაკადულით მორწყვისა!..

როგორ უყურებს მერე ჩვენი საზოგადოება ამას? ეჰ! რამდენჯერ უნდა განვიმეოროთ თავის შესაწყენი რამეები! ათასჯერ და ათიათასჯერ. მაგრამ როგორ არ უნდა განვიმეოროთ, როდესაც ეს პრობლემა მთელის თავისის აუცილებლობით სდგას ქართველი ერის წინაშე და გადაწყვეტას თხოულობს. ავადმყოფს წამალი და ექიმობა უნდა, სანამ არ მოკვდება, ან არ მორჩება, პრობლემის გადაწყვეტას ცდა უნდა, სანამ არ მოისპობა, ან არ გადასწყდება, მანამდის კი განმეორება ყოველთვის საჭიროა და აუცილებელი; ბევრ მძინარასაც რომ მოსწყინდეს ერთისა და იმავეს მოსმენა, – nien déplaise!..

საქართველოს სწორედ ის მხარეები წარგვიტყვენეს, სადაც ღვიოდა ცეცხლი ჩვენის კულტურისა, და რომელსაც ეჭირა გეოგრაფიულად საუკეთესო სავაჭრო და სხვაგვარად საჭირო ადგილნი ჩვენის ქვეყნისა. თუ ისინი არ დავიბრუნეთ, შეუძლებელია აღდგენა ქართულ ეროვნულ საზოგადოებისა.

აი, პრობლემა! ამ პრობლემის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი ხსნა. დღეს ამ ნაწილებში ნაშთებიდაა მხოლოდ ჩვენი ერისა; ღირს თუ არა ამ ნაშთის განახლება, ხელახლა ქართულ ეროვნულ სულის ჩაბერვა დროთა ვითარებისაგან ჩვენგან წართმეულ სხეულების საუკეთესო ნაწილში? გადასახლებულნი ამ დიად საქმეში დიად დახმარებას გვიწევენ, რადგან მათ შორის ინტელიგენციაა, რომელსაც ჯერ კიდევ სრულიად არ დაუკარგავს ეროვნება, ქართველობა, ღირს თუ არა მათი დახმარება და მათი გამოყენება დიად ეროვნულ საქმისათვის? თუ კი სადმე დანგრეულ ტაძართა აღდგენა, ღირს შრომად, მთელ ეროვნულ ცოცხალი ნაშთის აღდგენა მით უფრო წმინდა მოვალეობა არ უნდა იყოს, გიჟს გარდა ყველასი? მით უმეტეს, რომ სწორედ ის ადგილები და ის ელემენტები წარმოადგენენ დღეს საცოდავ ნაშთებს, რომელიც ძირი, საძირკველი იყო და უნდა იყოს საქართველოსა, თუ საქართველოს კიდევ იმედი მაინც აქვს მომავალ ეროვნულ ცხოვრებისა?

მაგრამ, ვაი რომ თვით ჩვენა ვართ, ჩვენ, შუაგულ საქართველოში, საცოდავი ნაშთები! არას ვიტყვი, საზოგადოდ, ჩვენის ცხოვრების დამცირებაზე, დაცემაზე და სიდუხჭირეზე. ესე ყოველი კარგად ცნობილია ჩვენში, მუდმივი საგანია ლაპარაკისა, საჯარო და კერძო მსჯელობისა. პირადად ყოველი ჩვენგანიც კი საცოდავი ნაშთია ერთ დროს არსებულ მტკიცე ხასიათის მქონე ერისა. სწორედ, ასეთ საგანზე ლაპარაკის დროს გამოვარდება რომელიმე ჩვენივე მოძმე, მწერალის სახელის მატარებელი, და ერთს ისეთს უშნოდ და ულაზათოდ გაიცინებს, ისეთის ბოროტ – საწადელით აღსავსე. მაგრამ უძლური ბოროტის კილოთი ესვრის თუმცა გაცვეთილს, მაგრამ მაინც მის აღმზრდელ საქართველოს ნიადაგის მუდამ მტკეპნელ ტლინკებს... იმავე სპარსელ ქართველებს, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოდიხარ, – ეს რა ტიპი დაბადებულა საქართველოში, ვინ არის, ან რისი მომასწავებელია, – ჩვენი ისეთ დაცემისა და დაუძღურებისა, რომ „მოყვრისაგანაც“ კაცად არ მიჩნეული ამისთანა ვაჟბატონები წამდაუწუმ შეურაცხყოფას აყენებენ კიდევ რაღაც დარჩენილ ჩვენ წმინდა გრძნობებსა, თუ მტრის ჭკუის სიმჩატესა, რომ ასეთ რაღაცეებს და არა ვილაცებს ირჩევს ნახევრად მაინც ცოცხლად დარჩენილ ერის წინააღმდეგ საბრძოლველად? მერე რამდენია საქართველოში ამგვარი ტიპი, რომელთაც, საბედნიეროდ, წერა არ იციან!



ანდა თქვენი მორჩილი მონა... გუშინ წინ ჩემს მეგობრებთან ფრიად საინტერესო საგანზე ვკამათობდი. ძლიერ გავცხარდით. მე ჯერ ქართულად დავიწყე, მაგრამ რომ აღარ მეყო ქართული, ჩემდა შეუმჩნეველად მოვეყვებო რუსულს, ჩამოვატყავე მთელი თეორიები, ვილაპარაკე თითქმის ერთს საათს რუსულად, და მერე როგორი რუსულით!... ისეთი რუსულით, როგორიც გესმით ხოლმე ჩვენ დაწესებულებებში და განსაკუთრებით სათავადაზნაურო კრებებზე, სადაც ქართული აღარ ისმის ციცილონის სიკვდილის შემდეგ: კომენტარები საჭირო აღარაა.

და მარტო ენა აჭრელდა ჩვენი, შუაგულ საქართველოში მცხოვრებ ქართველთა? აჭრელდა თვით გული, გრძნობა, სული, ხასიათი, ვით რუკა საქართველოს ტერიტორიისა. როგორაა სიმტკიცეს მოკლებული ჩვენი ბუნება, – სიმტკიცესა და მთლიანობას. ჭრელი გულით, ჭრელი ენით, ჭრელი გრძნობითა და აზროვნებით, ჭრელი მთელის არსებითა, – აი რანი ვართ დღეს. მიჩვენეთ ერთი ნამდვილი ქართველი თვით შუაგულ საქართველოში! ვერა, ვერ მიჩვენებთ! პატარა ხანს იქით ტიპიც „აჭრელდება“ – ჩვენი, და განა ასეთნაირად დაზრული და თვით თავის ბუნებაში სიჭრელე – მოკიდებული ერთი დაკარგულსა და საუკუნოთა უწინარესს მოჭრილ სხეულის ნაწილებს კვლავ შეისისხლ – ხორცებს?!

ვეჭვობ, თუმცა კი:

„რა მიჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“.

დროება, 1909 წ. 10 ივნისი, N 126.

1. შენიშვნა: სტატიაში ნასესხები პიროვნება, წარმოდგენილი „მ“ ასონიშნით, არის მემედ – ბეგ აბაშიძე. იგი, როგორც რეპრესირებული პირი მაშინდელ საქართველოში, თავს აფარებდა ქალაქ სტამბოლს. ძირითადად ცხოვრობდა ნათესავ აბაშიძეებთან, ხუსეინ ბეგ აბაშიძის ოჯახისშვილებთან; მაგრამ ხშირად სტუმრობდა სტამბოლის ქართულ სავანესაც. სავანის წევრებთან ერთად, ცდილობდა შეექმნა წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ოსმალეთში გახიზნული მილიონობით ქართველისათვის. მანვე შეადგინა პატარა წიგნაკი „დედაენა“, კერძოდ: „პატარა ქართული ანბანი“, შედგენილი და გამოცემული ოსმალთა ქართველთათვის.

გამოცემა პირველი, სტამბოლი, ქართული საბეჭდავი, ფერიქვევი, 1914.

2. შენიშვნა: „ფერიქვევი“ (ახლანდელი „ფერიქოი“), ქართულად ითარგმნება როგორც „ანგელოზთა უბანი, სოფელი“. ეს მიდამოები დღეს შედის შიშლის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. ამ უბანშია ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია – მონასტერი, ბიბლიოთეკა და არქივი. მონასტერთან შექმნილი იყო ქართული სტამბა, სადაც 300 – ზე მეტი ქართულენოვანი წიგნი დაიბეჭდა; მათ შორისაა „პატარა ქართული ანბანიც“. სტამბა დაარსა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა 1870 წელს.

## სანდრო მენაღარიშვილის გარდაცვალება

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სტამბოლში გარდაიცვალა სანდრო მენაღარიშვილი 20 დეკემბერს 1959 წ. დასაფლავებულ იქნა მართლმადიდებელ ბერძენთა სასაფლაოზე („მეტამორფოზის“) 22 დეკემბერს 15 საათზე.

დასაფლავებას დაესწრენ სტამბოლში მყოფი ქართველობა, მასპინძლები და კავკასიის ერების წარმომადგენლები.

წარმოთქმული იქნა სიტყვები.

**ლ. ზურაბიშვილი**  
**სიტყვა, წარმოთქმული ქართული უნივერსიტეტის დაარსების 50 წლის თავზე,**  
**პარიზში**  
**ქართველთა სათვისტომოს სხდომაზე 1918 – 1968 წ.წ.**

ქალბატონებო და ბატონებო,  
ძვირფასნო თანამემამულენო,  
გახსნილად ვაცხადებ ამ საჯარო საზეიმო სხდომას, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის თავის აღნიშვნას მივუძღვევით.

(ეს კვირა დღეს დაემთხვა თავისით, უცაბედად, მაგრამ მოხდენილად, საქართველოს განმანათლებელის, წმიდა ნინოს დღესასწაულს...)

ნება მიბოძეთ, ვიდრე სიტყვას მივცემდე ჩვენ დღის წესრიგში აღნიშნულ პატივცემულ ორატორებს, მოგმართოთ ორიოდ სიტყვით.

მსოფლიო კულტურის ცენტრში, **პარიზში**, დღეს რომ აღვნიშნავთ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლის თავს, – ამას აქვს თავისი, განსაკუთრებული, სიმბოლური და თანაც მეტად რეალური, მნიშვნელობა.

ისტორიის სვლა და სახეობა ხომ თვითონ ცვალებადია, მაგრამ უფრო ცვალებადია ის, რომ თუ როგორ იწერება ეს ისტორია. ამიტომ, ამ შემთხვევაში, აუცილებელია სისწორით ითქვას, აღინიშნოს და კიდევ და კიდევ ყველგან განმეორებული იყოს ამ დიადი საქმის ნამდვილი ამბავი, რომლის გამრუდებაც დღეს ზოგი არა-სინდისიერი ისტორიკოსი ცდილობს...

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, ეს იყო ნატვრა და ღრმა მოთხოვნილება ქართველი ერის მოწინავე წრებისა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დაწყებული ყველა იმ კარგი ქართველისა, ვინც იღვაწა, რათა დაეარსებინათ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართული სკოლები და ჟურნალები, და მიაღწიეს კიდევ ქართული ორი გიმნაზიის გახსნას, სხვა ეროვნულ საქმეთა შორის.

მაგრამ სანამ საქართველო იყო რუსეთის ხელში, **თბილისს** თუ არგუნეს შტაბის რუსული შენობა, არსენალი, ფუნქციური კონსერვატორია და მავრიტანული სტილის ოპერა, გამუდმებით, კატეგორიულ უარს ეუბნებოდნენ უნივერსიტეტის თაობაზე, არამც თუ ქართულ ენაზე, მომაცადინეს, თვით რუსულზედაც! (ეს მაშინ, როდესაც არა მხოლოდ **პეტერბურგს**, **მოსკოვს** და **კიევს**, არამედ **ხარკოვს** და **ოდესასაც** ჰქონდათ ასეთი უმაღლესი განათლების დაწესებულებები)...

ყოველივე ამ პოლიტიკური დაბრკოლების მიუხედავად, თბილისის უნივერსიტეტის გახსნას შორიდანვე ამზადებდნენ ქართველი ერის რჩეული შვილები და ყველამ იცოდა, რომ ის მშვენიერი შენობა, რომელიც თავისი საშუალებით და მსხვერპლის გაღებით ქართველობამ აუშენა თავის საყვარელ „ქართულ გიმნაზიას“, თავიდანვე გათვალისწინებული იყო სანატრელი უნივერსიტეტისათვის.

და აი, როდესაც საქართველოს მოუწია იმ მომენტმა, როცა ქართველ ერს ეძლეოდა საშუალება თავისი საკუთარი გადაწყვეტილებების განადგობისა, **მან ნებაყოფლობითი, გადაწყვეტილი ნაბიჯით, აღადგინა ეროვნული და სახელმწიფოებრივი სრული სუვერენობა.**

ჯერ კიდევ 1917 წლის (12) 25 მარტს, მცხეთას შემდგარმა საქართველოს ეპისკოპოსთ – სამღვდელოების ყრილობამ აღდგენილად გამოაცხადა მრავალსაუკუნოვანი ქართული **ეკლესიის ავტოკეფალია** (რაც რუსეთის სინოდს გაუქმებული ჰქონდა 1811 წელში). ეს გახლდათ **საქართველოს სულიერი სუვერენობის აღდგენა.**

26 იანვარს 1918 წ. – უკვე დამოუკიდებელი კავკასიის პირობებში – მოხდა გახსნა თბილისის სახელმწიფო ქართული უნივერსიტეტის – მემკვიდრე გელათის და იყალთოს აკადემიებისა. ეს იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა: გონების სფეროში!

და ბოლოს –

26 მაისს 1918 წ. საქართველომ აღადგინა თავისი საერთაშორისო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სუვერენობა.

ყველასათვის ნათელია, რომ სამივე ეს, ერთი მეორის მიმყოლი, უდიდესი მნიშვნელობის აქტი, ამონახეთქია ქართველი ერის ნებისყოფისა ისტორიული სინამდვილიდან. ასევე ნათელია, რომ ყოვლად შეუძლებელია რომელიმე ამ აქტის დაკავშირება „ოქტომბრის რევოლუციასთან“, როგორც ამას ზოგიერთები ცდილობენ და რის ჩანერგვასაც ლამობენ, ირიბი საშუალებებით და მიკიბულ-მოკიბული წინადადებებით, რათა ქართველთა ის თაობანი, ვინც ამ დიადი ფაქტების მომსწრენი არ იყვნენ, ამაში დააჯერონ.

აი, ამიტომ დღევანდელი ჩვენი ყრილობა არის მნიშვნელოვანი. თქვენ მოისმენთ აქ არა მარტო ჩვეულებრივ მოგონებებსა და მოხსენებებს, არამედ ისტორიის სასამართლოს წინაშე ორმოცდაათი წლის თავზე მოტანილ უტყუარ მოწმობა-ჩვენებებს...

ჟურნალი „კავკასიონი“, ტ. XIII, გვ. 9, 1968 წელი, პარიზი.

**ლევან ზურაბიშვილი**  
**ნიკო ნიკოლაძის**  
**დაბადებიდან – 125 წლის**  
**და**  
**გარდაცვალებიდან – 40 წლისთავზე**

ნ. ნიკოლაძე დაიბადა ქუთაისში 14 სექტემბერს 1843 წ. – გარდაიცვალა თბილისში: 1 აპრილს 1928 წ.

თავისი სადოკტორო დისერტაცია მან წარადგინა ციურიხში; დაიბეჭდა ჟენევაში 1868 წელს. DU DESARMEMANT, ET, DE SES CONSEQUENCES ECONOMIQUES ET SOCIALES.

ნ. ნიკოლაძის ცხოვრებას, რჩეულ ნაწერებს, მსოფლმხედველობას და მოღვაწეობას, საქართველოში უძღვნეს რამოდენიმე მოზრდილი წიგნი და მრავალი საგაზეთო-საჟურნალო წერილი; მისი სახლი, **ჯიხაიშში**, აქციეს მუზეუმად და მისი პირადი არქივიც აღწუსხეს და ეს კატალოგი წიგნად დაბეჭდეს. შეიძლება, მაშ ითქვას, რომ **ნ. ნიკოლაძეს** საქართველო იცნობს და რომ მას ქართულმა რჩეულმა საზოგადოებამ, შეძლებისდაგვარად, ყურადღებაც და დიდი პატივისცემაც დაუმტკიცა.

არც არაფერი გვექნებოდა დასამატებელი – სათქმელი, რომ ყველა ამას თან არ ახლდეს ერთი დიდი ნაკლი და **პირველყოფილი ცოდვა**:

**ერთი:** ნ. ნიკოლაძის ყოველი სიტყვა, თუ მოქმედება სავალდებულოდ განხილულია მარქსისტ-ლენინისტური გამამრუდებელი შუშის ქვეშ – იმ ზომად, რომ ლამის ნიკო ნიკოლაძე გამოიყურება ორთოდოქსალურ მარქსისტად და საქართველოს რუსეთის ხელში დარჩენის მომხრედ! – ეს ხომ ხალხს ვერ შეაცდენს?!

რაც უფრო მავნე და სამწუხაროა: ნიკოს ყველა ბიოგრაფიიდან სავსებით ამოშლილია მისი ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის სამი-ოთხი წლის მანძილზე: განდევნილია და დავიწყებას მიცემული 1917-1921 წ.წ.

ეს პერიოდი ხომ საერთოდ საბჭოთა ლიტერატურაში ან სრულებით არ აისახება, ან თუ კი აისახება მხოლოდ გაკვრით, და მაშინ მას აუცილებლად ახლავს ზედსართავი სიტყვა „მენშევიკური“!

ამრიგად, კომუნისტები ცდილობენ მიჩქმალონ იმდროინდელი, ფეხზე წარმომდგარი საქართველოს ნამდვილი, სახელმწიფოებრივი და ეროვნული სახე. ისინი ცდილობენ ამ საშუალებით დააჯერონ ახალგაზრდები, რომ ეს იყო უმნიშვნელო, „ადგილობრივი“ ეტაპი ბოლშევიკ-მენშევიკთა პარტიული ბრძოლისა!

ვფიქრობ, სწორედ ასეთი „გაცენზურება“ ნ. ნიკოლაძის ბიოგრაფიისა და აზროვნებისა, გათვალისწინებული ჰქონდა „რეალისტური“ გონების პატრონს, შორსმჭვრეტელ ბაბუაჩემს, **ივანე ზურაბიშვილს**, როდესაც მან, უცხოეთიდან ოკუპირებულ საქართველოში დაბრუნების დროს, ამჯობინა **თან არ წაელო ის რამოდენიმე პირადი დოკუმენტი**, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩემი განმარტება იქნება მოკლე. უფრო დაწვრილებითი კვლევისათვის რაც საჭირო მასალები მოგვეპოვება.

მაგრამ ვიდრე შევუდგებოდე ამ მთავარ პერიოდს, ნებას მივცემ ჩემ თავს მოვათავსო აქ **ორი მოკლე ცნობა**, რომელიც ინტერესს მოკლებული არ არის და ვფიქრობ, ნაკლებად გავრცელებულია. ჯერ ის, რომ ლექსიკონის „ლარუს“- ის ექვსტომიან გამოცემაში (უკვე 1928 წლიდან) სწერია შემდეგი (ტომი 5. გვ. 73):

**NICOLADZÉ (NIKOLAS):** Publiciste et Homme Politique Géorgien, né aKoutais en 1843, mort aTiflis en 1928. Ses Oeuvres: littéraires, économiques, et politiques, écrites en Géorgien, et en Russe, le firent remarquer, mais ce qui lui valut sa popularité, ce furent les grands travaux qui furent, sur son initiative, entrepris au Caucase. C'est a lui qu'on doit la construction du Port de Poti, sur la mer Noire, les canalizations de Tiflis, et le développement de l'industrie de Manganèse de la région de Tschiatour.

რამდენადაც უცხოელ ლექსიკონს შეიძლება მოეთხოვოს, ეს ცნობა სწორიცაა და ზომიერიც.

**მეორე ცნობა** ეხება უფრო შორეულ წარსულს (და თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთ პატივცემულ ქართველ მეცნიერს აქვს აღნიშნული). ეს ისაა, რომ ჯერ კიდევ 1873 წელში, პარიზში ნიკო ნიკოლაძემ დაარსა **პირველი ქართული გაზეთი, საფრანგეთში, „დროშა“** და რომ მის პირველ ნომერშივე მას დასახული ჰქონდა როგორც **საზოგადოებრივი იდეალი: „თავისუფალი ფედერაცია კავკასიური ხალხებისა“**...

მაგრამ დავუბრუნდეთ საბჭოთა ცენზურის მიერ ისტორიიდან ამოშლილ წლებს.

ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური მოღვაწეობიდან ორი, 1918 წლის, მნიშვნელოვანი შემთხვევა აღწერილი აქვს პროფ. **ზურაბ ავალიშვილს** თავის შრომაში **„ნეზავისიმოსტ გრუზიი ვ მეჟდუნა-როდნოი პოლიტიკე“** (იგივე გამოიცა ინგლისურ ენაზე, ლონდონში (1940 წ.) სათაურით:

„The Independence of Georgia in International Politics“.

რუსულ გამოცემას ქართულად აწერია მიძღვნა: **„საქართველოსთვის აღსრულებულთა ხსოვნას – ახალთ საიმედოდ“**).

პროფ. **ზურაბ ავალიშვილის** მოწმობა მით უფრო ძვირფასია, რადგან ორივე შემთხვევაში ზ. ავალიშვილი თვითონ იყო მონაწილე აღწერილისა.

პირველი შემთხვევა, ეს იყო თურქულ-კავკასიური კონფერენცია **ბათუმში**, 1918 წ. მაისის შუა რიცხვებში.

მოგეხსენებათ: 1918 წლის დამდეგს ჩამოყალიბებულმა **დამოუკიდებელმა კავკასიის ფედერაციამ** უარი განაცხადა **ბრესტიტოვსკის** საზავო კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნაზე და

აირჩია ომის გაგრძელება **თურქეთთან** და საკუთარი პროვინციებისა და სამხრეთი საზღვრების დაცვა (ბრესტლიტოვსკში ხომ **ლენინის რუსეთმა** ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას **აგსტ-რია-გერმანია-თურქეთთან**, და თურქეთს დაუთმო **ართვინ-არდაგან-ყარსის ოლქები!**).

სამწუხაროდ, კავკასიურ ფედერაციას ძალა არ შესწვდა თურქეთის წინააღმდეგ ომი ეწარ-მოებინა. **კავკასიური ფრონტი** მოიშალა და იქიდან მომწყდარი **შვიდასათასიანი რუსის ჯარის გასტუმრება რუსეთისაკენ მძიმე ტვირთად დააწვა ნორჩ სახელმწიფოს**.

საკვირველი არ არის, რომ ამ პირობებში ჩვენი ფედერაცია ადვილად დამარცხდა და იგი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება დაეწყო თურქებთან **ბათუმში** (რომელიც მაშინ თურ-ქების ხელში იყო ჩავარდნილი); **კავკასიელები აქ იყვნენ პირისპირ თურქებთან**, რომელთა მოთხოვნილებაც ბრესტლიტოვსკის შემდეგ არ შემცირებულა, – პირიქით, გაიზარდა. თურქებს სურდათ აქ დიპლომატიურად შემომტკიცება იმისა, რასაც ძალით ხელში იგდებდნენ. ამიტომაც მეტად სერიოზულად მოექცნენ ამ კონფერენციას, რაც სჩანს უკვე მათი დელეგაციის შემადგენ-ლობის მიხედვით. მართლაც, აქ ჩვენ ვხედავთ თურქეთის საუკეთესო დიპლომატებს: – **ხალილ ბეი** (თურქეთის იუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგში პარლამენტის თავმჯდომარე); **ჯემალ-ფაშა** (საზღვაო მინისტრი); განთქმული **ვეხიბ-ფაშა** (მთავარსარდალი). გერმანიამ მეთვალყურის როლში მიავლინა ცნობილი ლენერალი **ფონ ლოსოვი**.

კავკასიის დელეგაციის ქართველი დელეგატები კი იყვნენ: **აკაკი ჩხენკელი** და **ნიკო ნიკოლაძე (ზურაბ ავალიშვილი – მათი საგანგებო მრჩეველი)**.

კავკასიურ დელეგაციაში არ სუფევდა სრული ერთსულოვნება, ვინაიდან აზერბაიჯანლები, რომელთაც თურქეთისაგან ტერიტორიულად საფრთხე არ მოელოდათ, ამ თანამორწმუნე-ბისადმი ერთგვარ ნდობასა და მიმზიდველობას განიცდიდნენ. ამიტომაც ქართველ დელეგატებს შეექმნათ საკუთარი მიზანი და გეგმაც მოლაპარაკებისა. ეს უკანასკნელი იყო მიმართული მოლაპარაკების „გაჭიანურებისაკენ“, რათა მოგებული დრო მოეხმარათ **გერმანიის ყურადღების მისაპყრობად**; შეექმნათ გერმანულ-თურქული ეკონომიური ინტერესების (კავკასიის მიმართ) აქტიური დაპირისპირება. ფაქტებმა ხომ კიდევ ნაწილობრივად გაამართლეს ეს ტაქტიკა.

აი, ამ მოლაპარაკებათა ანალიზთან დაკავშირებით **ზ. ავალიშვილი ბრძანებს:– ნიკო ნიკო-ლაძის „ამოუწურავი მეხსიერება, ბრწყინვალე მჭევრმეტყველება, ელვარე თვალელები – თეთრ წვერებ-თან და წარმოსადეგ ტანადობასთან შერწყმულნი, – მეტად სასარგებლოდ ხდიდა მის მონაწილეობას ამ საქმეში“-ო.**

**მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის შემთხვევა**, აგრეთვე, საქართველოს საგარეო პოლიტიკას ეკუთვნის, და შეიძლება ჩაითვალოს პირველის გაგრძელებად. ეს ხდება **ბერლინში** (ივნისი 1918 წ.), სადაც **ნიკო ნიკოლაძე** და **ზ. ავალიშვილი** მივლინებულნი არიან უკვე დამოუკიდებლობა – გამოცხადებული **საქართველოს რესპუბლიკის დელეგატად**, მოსალაპარაკებლად – ჯერ კიდევ არ დამარცხებული გერმანიის იმპერიის – მთავრობასთან. მათი მიზანია იურიდიული ცნობის მიღება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსი და ზემოდმოხსენებული გეგმის თანახ-მად: გერმანიასთან გარკვეული ეკონომიური ხელშეკრულების დადება (მთავარი მიზანი მაინც რჩება, გასაგებია, **თურქეთს კლანჭები გაახსნეინონ!**).

საქართველოს დელეგატებს შეხვედრა აქვთ თვით **რ.ფონ კიულმანთან** (იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრთან), მის მრჩეველ **დრ. სიმონს-თან** (რომელიც გახდება 1920 წ. რესპუბლიკური გერმანიის საგარეო მინისტრი), და სხვა გავლენიან პირებთან. ბოლოს ისინი მართმევენ გერმანიის მთავრობას **ქართულ მემორანდუმს**. ამის პოლიტიკური ნაწილი (საქართველოს საერ-თაშორისო უფლებები და საზღვრები) ეკუთვნის პროფ. **ზურ. ავალიშვილის კალამს**, ეკონომიუ-

რი მიმოხილვა კი – **ნ. ნიკოლაძისაა**. ამ უკანასკნელში მოცემულია ცნობები საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეზე და დასაბუთებულია სარგებლობა, რაც საქართველოსთან **მოკავშირობას** შეუძლია შესძინოს გერმანიას. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ გერმანელთა ყურადღება მიიპყრო მაშინ ნიკოს „ბ. ფ. კ.“-ს გეგმამ, ესე იგი, **ბერლინ-ფოთი-პეკინის** სავაჭრო გზის შექმნის წინადადება, რომ ამ საქმიანობამაც ერთნაირ შედეგებს მიაღწია, ეს ცხადდება ორი კონკრეტული ფაქტის არსებობით: 1). საგარეო მინისტრის, **ფონ-კიულმანის** სიტყვა იმპერიის რაიხსტაგში, საქართველოს საკითხის თაობაზე (ივლისში), 2). **ბრესტლიტოვსკის** ხელშეკრულების, გერმანულ-რუსულ დამატების (27 აგვისტო 1918 წ.) მე-13 მუხლი, სადაც **„საბჭოთა რუსეთი აცხადებს თანხმობას, რომ გერმანიამ იცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“**.

მართალია, გერმანიის დამარცხებამ (ნოემბერი 1918 წ.) ზემოხსენებულ ეკონომიურ ურთიერთობის გეგმებს მომავალი აღუკვეცა, მაგრამ ცხადია, ამ პოლიტიკურმა ნაბიჯებმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის მომზადებაში, რაც საქართველომ მიიღო შემდეგში: საბჭოთა რუსეთისაგან (7 მაისს 1920 წ.) და გერმანიის რესპუბლიკისაგან (20 სექტემბერს 1920 წ.).

გერმანიიდან დაბრუნებულ **ნიკო ნიკოლაძეს** ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აყენებს თავის ცენტრალური კომიტეტის თავში.

**დამფუძნებელ კრებაში არჩეული ნ. ნიკოლაძე** აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ უმაღლესი ორგანოს მუშაობაში.

საჭიროდ მიმაჩნია – ახალ თაობათა საყურადღებოდ – ხაზი გავუსვა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 116 წლის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფოებრივი მართვის პრაქტიკა, და ცარიზმის მიერ შექმნილი სტრუქტურა ნაწილობრივ გამოსადეგი აღარ იყო, ახალ პირობებში, ქართულმა ეროვნულმა პარტიებმა სწრაფად მოახერხეს საკუთარი სახელმწიფო აპარატის შექმნა, და თითქმის უმტკივნეულოდ, მეტად რთული მდგომარეობის მოგვარება. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოება, რომ 1914-18 წ. ომით სისხლდაცლილმა და ეკონომიურად დასუსტებულმა საქართველომ – თავისი დამოუკიდებელი არსებობის ბოლომდე – გასძლო და თავი დაიცვა თავისი მკვიდრი ძალით: მან ვერც სამხედრო, ვერც ფინანსური დახმარების მიღება ვერ მოასწრო (მაშინაც კი, როდესაც – 1921 წ. – ორმოცი დღის განმავლობაში ებრძოდა ოთხი მხრიდან შემოსეულ დაუძინებელ მტერს: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით – **რუსებს**, ხოლო სამხრეთით – **თურქებს**).

საქართველოს სახელმწიფოს ასეთი სწრაფი ფეხზე დადგომა მოწმობს უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის მუდმივ უნარიანობას, გამბედაობას და პოლიტიკურ სიმწიფეს – ვინაიდან მისი პოლიტიკური, ეროვნული **მაჯისცემა** 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მეორე დღესვე გახდა საგრძნობი – ცხოვრების ყველა სფეროში: **შეიქმნა ქართული ჯარი**, მარტში 1917 წ. ქართულმა სამღვდელოებამ ერთხმად დაადგინა **ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა**; 1918 წლის იანვარში **გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი**; საქართველოს სკოლა-გიმნაზიების **მეცადინეობა გადაყვანილ იქმნა რუსული ენიდან ქართულზე** და სწრაფად გამოიცა საჭირო სახელმძღვანელოები; დაიწყო ქუჩების რუსული სახელების ნაცვლად ქართული სახელებით შეცვლა და ყველა ქუჩის (და მაღაზიის) სახელგვარები **წაიწერა ქართულად**. სპორტულმა საზოგადოებამ **„შევარდენ“**–მა ფართოდ გაშალა ფრთები. ოპერაში დაიდგა მაშინ **„აბესალომ და ეთერი“**, **„კოტე და ქეთო“** და ბალეტი **„შოთა რუსთაველი“**. სახელმწიფო ჰიმნად იხმარებოდა **„დიდება“** (კ. ფოცხვერაშვილის მუსიკა). დაიბეჭდა **ქართული ფული**, საფოსტო და საღერბო ნიშნები.

ვერსალის კონფერენციაზე გაიგზავნა დიპლომატიური დელეგაცია. ბევრმა სახელმწიფომ გამოუცხადა იურიდიული ცნობა და საქართველომ მათ მიუგზავნა თავისი ელჩები. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის რამოდენიმე გემზე, **ფრიალებდა ქართული ეროვნული დროშა: შავი-თეთრი-და-შვინდის ფერი**, ესე იგი **თამარ მეფის ისტორიული ფერები** და საქართველოს შეემლო ეთქვა **შოთას სიტყვები** (ტ. 404) – „**ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ შავითა**“.

1920 წ. **ნიკო ნიკოლაძე** მეორედ მიემგზავრება დასავლეთ ევროპისაკენ, ისევ ოფიციალური დავალებებით. ეხლა ის მიყვება საქართველოს ფინანსთა მინისტრს, **კონსტანტინე კანდელაკს**, ეკონომიური-საფინანსო საკითხების მოსაგვარებლად. და ამათ შორის შავი ქვის ექსპორტის მოსაგვარებლად. აქვე ნახავთ თქვენ სახელმწიფო მინდობილობის სიგელის ფაქსიმილეს, **ნოე ჟორდანიას** ხელის მოწერით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი **ლეონიდე**, თავის მხრივ, ატანს **ნიკო ნიკოლაძეს** – „წმიდა ნინოს სახელობის საზოგადოების გამგეობის წევრს“ – თავის მინდობილობის სიგელს, **საკათალიკოზო ბეჭდის დასმით** (აქედან სჩანს, რომ **ნიკო ნიკოლაძე** არა მხოლოდ მორწმუნე ადამიანია, არამედ მეტიც: საქართველოს ეკლესიის საჭიროებანი მას მიაჩნია აქტუალურად და ღირსად მზრუნველობისა).

ვათავებ რა ამ მოკლე მიმოხილვას, ვიმეორებ, რომ ამ რამოდენიმე საბუთის ფაქსიმილეს გამოქვეყნების მიზანი ორმაგია: ერთი მხრივ ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის იმ მომენტების შევსება, რაც საქართველოს დღევანდელ პირობებში – ეს ნათელია – აკრძალულია; მეორე მხრივ, ერთი შუქი მაინც მინდა მოვახვედრო იმ ლამაზ სურათს, როცა იქმნებოდა **ჩვენი სამშობლოს სრული აღორძინების ეპოქა**, რომ გაგრძელებულიყო 1918 წელში აღდგენილი მისი სუვერენობა, ძალდატანებით და მუხანათურად წართმეული 1921 წლის თებერვალ-მარტში.

ჟურნალი „კავკასიონი“, ტ. XIII, გვ. 77-82, პარიზი, 1968 წელი.

## **ვიქტორ ნოზაძე** **სიტყვა ლევან ზურაბიშვილის დასაფლავებაზე**

„ღმერთებო, თქვენ არა ხართ მართალი!

თქვენ შექმენით ადამიანი და მას დაუწესეთ სნეულებანი, თქვენ კი მარად ჯანმრთელი ბრძანდებით. თქვენ შექმენით უსამართლობა ამ ქვეყანაზე, თქვენთვის კი სამართლიანობა აღიარეთ; თქვენ მიირთმევთ ტკბილ საზრდოს, ჩვენ კი შიმშილში ვცხოვრობთ; თქვენ მოგვანიჭეთ სიცოცხლე, მაგრამ დაგვიდგინეთ სიკვდილი, თქვენ კი უკვდავნი ბრძანდებით?!“

ასე მიმართავს ოთხი ათასი წლის წინად **ბაბილონ-სუმერელი** პოეტი ღმერთებს.

ასეთივე საყვედურით უნდა მივმართოთ ღმერთს.

რატომ, რისთვის მოგვტაცა უღმობელმა სიკვდილმა **საყვარელი ლევანი?** ჩვენი ლევანი მომქმედი, **ენერგიული მეზრძოლი საქართველოს თავისუფლებისათვის**.

რატომ დააოხლა მან მისი მშვენიერი ცოლშვილი?

რად დააოხლა მან ქართულ ეკლესიაზე ამაგდარობა?

რად დააოხლა მან ქართველების ეროვნულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობა?

რატომ მიატოვებინა მას მრავალ საქმეზე ზრუნვა?

სად არის სამართალი? სად არის სამართლიანობა? და ასეთ უსამართლობაზე გოდებს მეოთხე ათასწლეულ წლებში, „გილგამეშინის“ ავტორი, როცა ამბობს:

„ღმერთებმა ოდეს შექმნეს კაცი, სიკვდილი დაუწესეს კაცს; სიცოცხლე კი თავისთვის დაინარჩუნესო“... და დასაბამიდან დაწესებულმა ამ კანონმა–სიკვდილმა იმსხვერპლა ჩვენი ლევანი და დაგვტოვა ობლად, შეწუხებული და შეძრწუნებული.

ჩვენ რა ვქნათ?

ჩვენ ვგლოვობთ მას, და თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ეს სიკვდილი ყველას მოგველის და არც პირველი და არც უკანასკნელი იქნება ვინმე, ხოლო ბედნიერი არის ის, მხოლოდ იგი, ვინც ამ სოფლად სიყვარული და კარგი სახელი დაგვიტოვა ოჯახის და საზოგადოების გულში და არ მიეცემა იგი დავიწყების უფსკრულს, არა მარტო ჩვენს ხანაში, არამედ საუკუნოებში, მარადისობაში.

კურთხეულ არს სახელი მისი.

კრებული „კავკასიონი“, ტ. XVIII, პარიზი, 1976, გვ. 89.

### **გ. ყიფიანი ლევან ზურაბიშვილს**

დიდი დაპირებები უმზობამ დანაღმა,  
დავრჩით ქვეყნის გადაღმა საქართველოს მსახურნი,  
და შევცქერით მსოფლიოს მისგან გულგალახულნი...  
ღმერთმა უხვად გარგუნა: გული, გრძნობა, გონება,  
დიდ მამების საქმეთა ქვეყნად განმეორება.  
ვხედავ, როგორ გაფითრებს ჟამთა ცივი ზეწარი,  
თმებზე თეთრი გაფიფქებს, ზაფხულს ვერ გაეცანი...  
თბილი არის ქალაქი, გული ნათბილისარი...  
გზებზე ნასახლარები, უცხო, ნათილისმარი...  
ღამე ფერუცნაური, განთიადი თავდაღმა,  
თქვენმა უცხად სიკვდილმა, ჩვენი გული დანაღმა.

კრებული „კავკასიონი“, ტ. XVIII, პარიზი, 1976, გვ. 89.

### **სპირიდონ კედია ქართული პოლიტიკის ნიმუშები**

ისტორიულად ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების სხეულდება ყოველთვის კავკასიის სივრცის შემოკრების პოლიტიკით გათავებულა. ჩვენი გრძელი წარსულის ფაქტები ამოწმებენ, რომ ეს არ იყო ქართველობის იმპერიალისტური სიხარბის, ან მისი მტაცებელი ბუნების ნაყოფი, პირიქით, ისტორიის შუქზე ქართველი ერი ყოველთვის მოსჩანს, როგორც იშვიათი დიდსულოვნობის მატარებელი, მოკლებული ყოველგვარ მოძულეობას და აჩემებულ მტრობას; როგორც დარწმუნებული პატივისმცემელი და მოსარჩლე სხვა ერის უფლებისა და მემკვიდრეობის. ეს თვისება არ არის სიძაბუნის, ან სირბილის გამოსახულება. იმდენი შავბნელი დღე, მტერთა სიმრავლე და თავდასხმათა სიხშირე; იმდენი უღმობელი დარტყმა ბედისა, იმდენი სხვერპლი და



აოხრება, რამდენიც ქართველმა ხალხმა გამოიარა, არც ერთ ხალხს არ გადახედა. და მაშინ, როდესაც საუკუნეთა სიგრძეზე **ხალხთა ცხოვრების ქარიშხალში** ბევრი დიდი ერი და სახელმწიფო აღვიდა და განიავებულა, საქართველო, რომელიც ერთგვარი მეტნაკლებობით, თითქმის ყოველთვის ერთი და იმავე ზომისა ყოფილა. შედარებით პატარა ზომისა, დღესაც მტკიცედ სდგას, **როგორც მყარი და დაურღვეველი ეროვნული პიროვნება**. ეს ორი ისტორიული სინამდვილე: პირველი – დიდსულოვნობის რიგისა და მეორე – სიმტკიცისა – მუდამ ერთად თანამავალი, ჰკვანძვდა იმ მომხიბლავ საიდუმლოებას, რომელიც ყველას – მტერსაც და მოყვარესაც – პირველს ძალაუნებურად და მეორეს – ბუნებრივად, ყოველ დროს უცვნია და მოსწონებია. **ამაშია გამოთქმული ქართული სულის უტოლო სიმშვენიე და იერი**.

ქართველ საექსპანსიო ლტოლვას კავკასიის დასაჭერად სულ სხვა პსიხოლოგიური სარჩული ედო.

**კავკასია გეოგრაფიულად ერთი სტრატეგიული ნაკვეთია**. ამ ნაკვეთზე იჯდა ქართველობა, როგორც ძირეული მკვიდრი და თან როგორც მისი დიდი ნაწილის მფლობელი. ეს ორი ფაქტიური გარემოება თავიდანვე ჰქმნიდა მის ბუნებაში მთელი მხარის მეუფლის პსიხოლოგიას. ამიტომ ეს სტრატეგიული ნაკვეთი მას სრულიად ბუნებრივად ქართული მიწაწყლის გაგრძელებად ესახებოდა და **საკუთარი თავდაცვის რესურსად მიაჩნდა**.

ქართველმა მოდგამ, რომელიც დასავლეთით უკვე შავი ზღვის პირას იყო დამკვიდრებული, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიის ქედზე იყო მიბჯენილი, ამ ადგილებიდან ბუნებრივად კასპიის ზღვისაკენ მიიღტვოდა. აკი **ტფილისის სამეფო აივნიდან, თვალის ერთ დასავალზე შავი ზღვა მოსჩანდა და მეორეზე – კასპიისა! მტკვრის სათავის მფლობელი, ეხლა მტკვრის შესართავს უნდა დაპატრონებოდა**. შავი ზღვის ნაპირას ფესვებ გადგმული, ეხლა კასპიის ზღვის ნაპირზედაც უნდა გამაგრებულიყო. მის სხეულს უნდა დაეჭირა მთელი, კავკასიის ბუნებრივ ზღუდეთა შორის დაცემული სივრცე. ეს იყო ქართველთა მოდგმის ბუნებრივი სახელმწიფოებრივი მისწრაფება, კავკასიაში დაბინავების მომენტიდან, მისი სახელმწიფოებრივი მისწრაფება, მისი სახელმწიფოებრივი გაწეულობის ბუნებრივი დასავალი. **ამის მიუღწევლობის დრამატიული შედეგი განუყრელად დევნის საუკუნეთა სიგრძეზე საქართველოს ბედს და სწამლავს მის მომავალს**.

მართლაც, საქართველოს თავდაცვა, როდესაც ეს შესაძლებელი იყო, ყოველთვის წარმატებით ხდებოდა კავკასიის განაპირა ზღუდეებზე. საქართველოს დიდი სარდლობა მუდამ იმაზედ ზრუნავდა, როცა ომი აუცდენელი იყო, რომ მტრისათვის ბრძოლები, სწორედ, ამ შორეულ ბუნებრივ სიმაგრეთა ზონაში მიეცა. თუ აქ მტერი დამარცხდებოდა, ამით თავდაცვის ამოცანა ამოწურული იქნებოდა; თუ არა და ქართველი მხედრობა სიღრმეში შეიკვეცებოდა და ბრძოლებს ახალ-ახალ პოზიციებზე გააგრძელებდა. ამ განაპირა პუნქტებიდან საქართველოს შუაგულამდე კიდევ მოზრდილი მანძილი რჩებოდა და თავდაცვის საქმე ბევრ ახალ საღსარს გამოსძებნიდა. **ორი ზღვა: შავი და კასპიისა და კავკასიონის ორი ქედი: დიდი – ჩრდილოეთით და პატარა – სამხრეთით; ეს იყო ბუნებრივი სტრატეგიული სარტყელი**, რომელიც საქართველოს უშიშროებას და მის სახელმწიფოებრივ თავდაცვას ყველაზე უფრო უზრუნველჰყოფდა. ამ სტრატეგიულ ჩარჩოს დემოგრაფიული ამოვსება ქართველთა მოდგმის ჩამომავლობით, ან მისი პოლიტიკური დაჭერა – ქართველობის მუდმივი დროის **ეროვნული ამოცანა იყო**. მართალია, ამის დასამტკიცებლად ჩვენ არ მოგვეპოვება პირველი საუკუნეების, ხარის ტყავზე დაწერილი, პოლიტიკური ეტიუდები, თუ სახელმწიფოებრივ-სტრატეგიული გეგმები, მაგრამ საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ **პომპეის** დროის ქართველი უფრო ნაკლების სიცხადით ხედავდა ან **მტკვრის** მიმართულებას, ან **იალბუჯის** სიმაღლეებს. ხოლო კავკასიის გეოგრაფია, რაც დღეს არის, ის იყო ამ

ოცდახუთი საუკუნის წინადაც, როცა მას პირველად ესტუმრნენ ქართველი მოდგმის ტომები, ხოლო თავდაცვის საკითხი და მტრის მოგერიება იმ დროის ქართველობასაც იმავე სიმწვავით ედგა, რა სიმწვავითაც იგი დგას დღევანდელი ქართველობის წინაშეც.

მაგრამ ვინც ქართლის ცხოვრების ისტორიას გულდასმით განიხილავს, მისთვის ცხადი გახდება ქართველობის ეს ორგანიული ტენდენცია. ამის ყველაზე უფრო ეფექტურ დემონსტრაციას იძლევა ქართველი ერის ის შეუჩერებელი აღმატების მარში, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს გაერთიანებისა და მისი ძლიერების სრულყოფისაკენ, მარში, რომელიც დაიწყო **ლეონ მეორისა და აშოტ კურაპალატის დროს**, და დასრულდა **დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქით**. მართლაც, საკმარისია მოვიგონოთ დასავლეთ საქართველოდან, **აფხაზთა დინასტიის მეთაურობით**, წამოსული **გაერთიანების** პირველი გამარჯვებული მოძრაობა და ამას დავუმატოთ დიდი **დავით კურაპალატის** – უკვე ბაგრატიონთა დინასტიის – გონება-სავსე პოლიტიკა ამ პროცესის გაყოველთავეებისა ქართველთა მიწაწყალზე, **ბაგრატ მესამის** გარშემო, რომ ჩვენს თვალთა წინაშე გადმოიშალოს სისხლითა და ხორცით აღსავსე გეგმა – პირველ რიგში საქართველოს შემოკრებისა, ხოლო მეორეში – **მთელი კავკასიის**.

ბ-ნი ზ. ავალიშვილი, რომელიც აგვიწერს **დავით კურაპალატის** ეპოქას, ამ მოვლენას ასე აღნიშნავს: „მეთერთმეტე საუკუნის ზღურბლზე იმ მიმდინარეობის გვერდით, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ, ისახება მეორე მიმდინარეობა კავკასიურ პოლიტიკაში, ბიზანტიის სახელმწიფოს მეზობლად, რომელიც ამ გამოდმა მხრიდან უშუალოდ ბიზანტიის საზღვრებს ეხლებოდა, მიმდინარეობა, მომავალით აღსავსე და საკმაოდ ძლიერი, რომ ჯერ ბერძენთა იმპერიას გამკლავებოდა, ხოლო უფრო გვიან თურქთა შემოწოლას; მიმდინარეობა, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო სხვა და სხვა ქართული მიწების ერთ რკალში თავმოყრისაკენ, მაგრამ რომელსაც ამავე დროს თან პანკავკასიური ტენდენცია დაჰკრავდა“ \*

მაგრამ, რასაც საქართველოს ცხოვრების მეათე საუკუნეში და მეთერთმეტის ზღურბლზე ვხედავთ მხოლოდ როგორც ჩანასახს, ის ჩვენ გვესახება უკვე როგორც დიდებული დამთავრებული შენობა **დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში**. მაინც თავისი გაიტანა ქართველთა, საუკუნეთა სიგრძეზე, დაულალავად მოქმედმა შემკრელობითმა ნებისყოფამ! **დავით აღმაშენებლის** სკიპტრას ქვეშ პირველად გაერთიანდა მთელი ქართველთა მიწა-წყალი და პირველად ქართველთა სახელი შეიმოსა **სახელმწიფოებრივი ძლიერების ბრწყინვალე შარავანდედით**.

აღორძინდა დიდებული ქართული მონარქია, ეს გასაოცარი შეზავება ავტორიტეტისა და ლმობიერების, სრულიად უცხო ტიპი იმ აზიურ სამყაროში, რომელიც გარს ერტყა საქართველოს და სადაც მმართველობა და ტირანობა მუდამ ერთმანეთის სინონიმი იყო. **დავით აღმაშენებლის მონარქია ერთგვარი წინამორბედია ზოგიერთი ევროპის ქვეყნის ლიბერალური მონარქიისა, რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე საქართველოს მიწა-წყალზე აღმოცენებული!** ეს საქართველო არ იყო მარტო ერთ ქართულ მიწა-წყალზე დაკეცილი, მხოლოდ და მარტო ქართველობაზე დაბჯენილი. საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების პროცესი, როგორც ქართული სახელმწიფოებრივი გონიერების მოთხოვნილება და ფუნქცია თან ყოველთვის კავკასიის სხვა მიწა-წყალთა და სხვა მოსახლეობათა შემოკრების პროცესსაც შეიცავდა. ხოლო უკვე ერთხელ გაერთიანებული საქართველო, მთელი თავის ძალღონით ამ შემოკრების დამთავრებისათვის

\* იხილეთ ზ. ავალიშვილი:

«La succession du Curopalate David d'Iberie, dynastie de Tao».

იღვწოდა. საერთოდ კავკასიის ცხოვრებაში ყოველთვის ასე იყო: ან **პირველი არ იყო, ან პირველთან უსათუოდ მეორეც იყო**. ქართული და პანკავკასიური ნაწილები საქართველოს ინტეგრალური ეროვნული პროგრამისა უერთმანეთოდ ვერა სძლებენ. ან არც ერთია, ან აუცილებლად ორივეა ერთად. **ასეთია ბუნება კავკასიის გეო-ეთნო-პოლიტიკისა!**

დასავლეთით და აღმოსავლეთით შავი და კასპიის ზღვა, **დარუბანდი და ტუაპსე** – ჩრდილოეთით; **არზრუმ-ყარსიდან** კასპიის ზღვისაკენ გამართული ხაზი – სამხრეთით, – აი ის საზღვრები, რომლებშიაც მოქცეულია დავით აღმაშენებლის საქართველო, პირველი ქართული მონარქია. ამ საზღვრებში ქართული მიწა-წყლისა და ქართველობის გარდა თავმოყრილია კავკასიის მთელი არა-ქართულ ქრისტიანული და მუსულმანური ნაწილებიც. ეს არ არის მარტო საქართველო, არამედ ეს არის მთელი ქართული „იმპერია“; „იმპერია“ მეტად თავისებური, სადაც წევრთა ერთობა და მათი თავისებურობა იშვიათის ხელოვნებით არის შეთანხმებული.

ამ „იმპერიაშია“ **სომხეთიც**. იგი შემოსულია თავის ნებით და უნდა ითქვას დიდის აღტაცებით. საქართველოს ქვეშ თავის ამოფარება, ეს იყო მაშინ თავის გადარჩენის საუკეთესო საშუალება უკვე აღგვილი სომხეთის იმ ერთი ნაფლეთისათვის, რომელიც კავკასიაში იყო შემოწეული და **ბიზანტია** – მუსულმანთა თავდასხმებს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ აეყარნა. **დავით აღმაშენებელმა** შეიწყნარა სომეხთა ვედრება – ეს საქართველოს დიდ ინტერესებს ემსახურებოდა – თავს დაესხა მათზე გაბატონებულ **აზულსოვარს, გაანადგურა იგი და სომეხთა დედაქალაქი გაათავისუფლა მუსულმანთა ხანგრძლივი ბატონობისაგან...** „მივიდეს მეფე და კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა, ახლად წესი აუგეს და თვითონ მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახა: გიხაროდენ შენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი ურჯულოთა ხელთაგანაო“, ასე გადმოგვცეს მემატინე **ანისის აღების** შემდეგ ურჯულოთა ქონებისაგან წაბილწული ტაძრის ხელახალი კურთხევისა და სომეხთა დედოფლის ხელახალი წესის აგების ცერემონიას, სადაც უდიდეს როლს თამაშობს **დავით აღმაშენებლის** დიდებული პიროვნება, **საგანი მთელი მოზეიმე სომხის ერის აღფრთოვანებული თაყვანისცემისა და მადლობის**. ქართველი მონარქი საერთოდ სომეხთა დიდი კეთილისმყოფელია, მფარველობს მათ ყოველნაირად და **მრავალ მათგანს საქართველოში დასახლების ნებას აძლევს**. სომეხები ისე ასხამენ მას ხოტბას, როგორც ქართველები.

ამავე „იმპერიაში“ შემოდის, აგრეთვე, ამიერკავკასიის მუსულმანობაც. პატარ-პატარა სასულთნოებად დაყოფილი, სახელმწიფოებრივი თვითშედეულებისა და გაზრდის შინაგან მოთხოვნილებას ჯერ კიდევ მოკლებული; ეს **მუსულმანობა თავის თავად საქართველოსთვის არასდროს სახიფათო არ ყოფილა**. მაგრამ იგი გადაბმული იყო სისხლით და სარწმუნოებით დიდ მუსულმანურ ფორმაციებთან, რომელნიც დასავლეთი ქვეყნიერების დასაპყრობად იყვნენ დაძრულნი და **საქართველოს, როგორც აზია-ევროპის ხიდს**, ან როგორც ზურგის ქრისტიანულ ქვეყანას, პირველ რიგში ეხეთქებოდნენ და ამიტომ საშიშიც იმდენად, რამდენადაც იგი თანამგრძნობი იყო ამ თავის დიდ ნათესავთა ზრახვებისა და მიზნების. ამიტომაც საქართველოს თავდაცვა, მისი უშიშარი, მშვიდობიანი და შემოქმედი ცხოვრების უზრუნველყოფილი განვითარება მოითხოვდა, რომ ეს **მუსულმანობა ქართულ „იმპერიასთან“** ამა თუ იმ სახით შესხეულებული ყოფილიყო. საქართველოს დიდი მონარქი ამ ამოცანას ამოსწურავს **ზედმიწევნითი ხელოვნებით**. ვისი მკაცრი დასჯა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსევისათვის, ვისი დანათესავება და მფარველი მზრუნველობით დაკავშირება, – ხოლო საერთოდ მთელი **მუსულმანობის მიმართ გულსავსე პატივი და ღმობიერება; მეჩეთებში სიარული, და მუსულმანური რელიგიისადმი დარწმუნებული მოწიწება ქრისტიანული სარწმუნოების მზიდველი მეფისაგან, მისი**

მეცნატობა მუსულმან მგოსანთა და მეცნიერთა მიმართ, – ყოველივე ამან ერთად აღებულმა შეჰქმნა ის პსიხოლოგიური ჰავა, რომელმაც ამიერკავკასიის მუსულმანობა ოპტიმალურად დაუზავა და შეუხორცა ამ პირველ ქართულ „იმპერიას“.

იგივე მტკიცე ხელი და ლმობიერება ამ დიდებული ქართველი მეფისა უმეგობრებდა ქედის იქითა კავკასიასაც, ამ ქართულ „იმპერიას“. ერთა მეგობრობის გზით დაახლოვება, მეორეთა ძალით მორჩილებაში ჩაგდება, მესამეთა საქართველოში გადმოსახლება, ბევრთა სამსახურში აყვანა და დამსახურების კვალობაზე მათი დაწინაურება, – ყოველივე ეს მიმზიდველს ჰხადდა საქართველოსთან კავშირს და მის ფრთეთა ქვეშ თავის შეფარებას. ამგვარად, ქედის იქითა კავკასიაც მოზიდული იყო ქართული „იმპერიის“ ორბიტაში.

ამ მეთოდოლოგიური კომპლქსის შემწეობით, სადაც ერთნაირად მოსჩანს დიდი ადამიანის სიბრძნე და ხასიათი, ქართველთა ბრწყინვალე მეფემ საქართველოს დროშის ქვეშ მთელი კავკასია გააერთიანა. პირველად იხილა კავკასიის კონტინენტმა ძლიერი გაქანების სახელმწიფო შემოქმედება, პირველი დიდი სახელმწიფოებრივი ფორმაცია, ქართველთა გენიის ნაყოფი. საქართველომ პირველად მიაღწია თავის მუდმივ მისწრაფებათა საგანს, ორგანიული ზრდის ბოლო მიჯნებს; ჩადგა იმ საზღვრებში, საითკენაც იგი პირველი დღიდან მიიწევდა, სახავდა რა მათ თავისი დამოუკიდებელი არსებობის ბუნებრივ და ამიტომ აუცილებელ კუთვნილებად. ეს ბუნების ზღუდეებით შემოდგმული ტერიტორიული ერთეული ის სივრცე-ოპტიმუმი იყო, სადაც ქართველთა სულიერი ენერგია საუკეთესოდ ბინავდებოდა, რომ მაქსიმალურად გაეშალა თავისი პოტენციალური შემოქმედება, როგორც შინაურ ქართულ-კავკასიურ მსოფლიოში, ისე ექსტრა-კავკასიურ მსოფლიოშიაც. მაგრამ ეს სივრცე უკვე არ იყო მარტო ერთი ქართული ეთნოგრაფიული მასალით მოფენილი, როგორც ეს შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ ბედი უფრო ნაკლების მრისხანებით მოპყრობოდა ქართველთა მოდგმას. იგი განაწილებული იყო მრავალთა შორის და ამიტომაც, ვიდრე საქართველო ამ საზღვრებს გაითავისებდა, მან სწორედ ეს მრავალნი თავის უზენაეს ავტორიტეტს დაუკავშირა. მოხდა ის, რაც მანამდე არ ყოფილა და რაც მას შემდეგ არ განახლებულა. კავკასია, მანამდე რომ მარტო ფიზიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ეხლა გადაქცეული იყო ერთ ცოცხალ პოლიტიკურ სხეულად, ერთ დიდ სახელმწიფო ორგანიზმად, რომელიც ერთ ნებისყოფას ემორჩილებოდა – დავით აღმაშენებელისას და თავისი რესურსებით ერთ მიზანს ემსახურებოდა – ქართულ-კავკასიურს. წარმოიშვა დღემდე უცნობი ძლიერი საერთაშორისო ფაქტორი, მთელი ქართულ-კავკასიური „იმპერია“, რომელიც უკვე სხვა სიმბიძით აწევბოდა საერთაშორისო ურთიერთობის სასწორს.

ეს „იმპერია“, რომელიც საქართველოს ხერხემალზე ესვენა, დიდი შეწყნარებითა და პატივით იცავდა ყველა შემავალი ელემენტის ზნეს, ხასიათს, ადათს და სარწმუნოებას. მათი ცხოვრების წესწყობილება და მართვა-გამგეობა, მთელი მათი შინაურობა, მშობლიური წესებით ვითარდებოდა და არასოდეს ქართულ ჰეგემონიას ისინი ძალით გადაგვარების საშიშროების წინაშე არ დაუყენებია. თანამედროვე ტერმინს რომ მივუახლოვდეთ, ეს უფრო „კონფედერალურ“ სისტემას წააგავდა, რომელშიაც ყოველი წევრი შემოსული იყო, მართალია, საქართველოს ძლიერების პირდაპირი „შთაგონებით“, მაგრამ მაინც არა-საკუთარი ნება-სურვილისა, ან ინტერესის წინააღმდეგ.

ყოველი შემადგენელი ელემენტი ამ „იმპერიისა“ სარგებლობდა მისი საქვეყნო ძლიერებისა და პრესტიჟისაგან, მაგრამ ყველაზე უფრო სარგებლობდა თვით საქართველო, ამ „იმპერიის“ შემქნელი და მისი მაცოცხლებელი წყარო.

ჯერ კიდევ ამაზე ცოტა უფრო ადრე საქართველოს დამარცხებული ჰყავდა მუსულმანთა ქვეყნიერების დიდი კოალიცია და მისი სახელი უკვე დიდათ იყო განთქმული ქრისტეს საფლავის გარშემო ევროპა-აზიის დაჯახებულ ხალხთა შორის. ხოლო ამის შემდეგ საქართველოს უცემა გამოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე, უკვე როგორც მთელი კავკასიური კომპლექსის პოლიტიკური დინამიკისა, ეს იყო მისი სახელმწიფოებრივი შემოქმედების ახალი გრანდიოზული გამოცხადება, მისი უკვე დადასტურებული საერთაშორისო წონისა და სახელის ახალი გადიდებული საგარეო ექსპანსია.

ამგვარად, ხალხთა ცხოვრების ისტორიაში პირველად დათარიღებული იქმნა პანკავკასიური სახელმწიფოებრივი ეპოქა, ღვიძლი შვილი ქართული თაოსნობისა.

ეს არ იყო მარტო ქართული ხმალის, ან მარტო ქართული ხასიათის საქმე. არამედ ამასთან ერთად და უმეტეს ეს იყო ნაყოფი საქართველოს სულისა – ქართველთა დიდი კულტურული მემკვიდრეობისა და მათი განვითარებული სახელმწიფოებრივი გონიერების.

არც ერთ კავკასიის მკვიდრ ერს არ ხელეწიფებოდა ამ როლში გამოსვლა, ამ დანიშნულების ტვირთვა და მისი ასრულება. ეს იყო განგების მიერ საქართველოს საკუთრებად შემონახული მისია და ამ მისიას პირველად ხორცი შეასხა დავით აღმაშენებელმა, ქართველთა მოდგმის უდიდესმა ბემ.

გარდაცვალების დროს საქართველო და მასთან კავკასია მან დასტოვა ამომავალი დიდების ნამდვილ ბუნებრივ საფუძველზე. ეს არის ერთადერთი შემთხვევა საერთო ქართულ-კავკასიური ბედნიერებისა, როცა მთელი სამი ათასი წლის გაყოლებაზე იყო მხოლოდ ერთხელ სრულად გაერთიანებული ქართველობა და საქართველო და იყო მის გარშემო და მისი წყალობით მხოლოდ ერთხელ შემოკრებილი კავკასია, – ორივე ერთად მტკიცე და მორჭმული სახელმწიფო შიგნით, განთქმული და დიდათ გავლენიანი გარედ. ეს ბედნიერება აშენდა საქართველოს ერთობის საძირკველზე ქართული ჰეგემონური თაოსნობის ხელით. ეს შეამზადეს ქართულმა საუკუნეებმა და დაავირგვინა დავით აღმაშენებელმა.

დავით აღმაშენებლით დასრულდა ის ეროვნული დინამიზმი, რომელიც კავკასიის მიწა-წყალზე თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოს შესაქმნელად.

თავისი შემოქმედების ნიმუშად მან დასტოვა ბრწყინვალე ქართულ-კავკასიური სახელმწიფო. ხოლო თუ ეს დიდებული აღნაგობა ერთ დღეს თავზე დაგვენგრეოდა, მის კვლავ აღსადგენად მანვე გვიანდერძა მეთოდი, რომელსაც დიდ ქართველთა თაობებმა საუკუნეთა განმავლობაში შეალიეს თავიანთი ინსტიტუტი და გონიერება და რომელმაც კავკასიის კონტინენტზე აღმოაბრწყინა ქართული სახელმწიფოებრივი დიდება, – ეს მეთოდია ერთობა ქართველთა და შემოკრება კავკასიისა.

(ტექსტში დაცულია ავტორისეული სტილი)

გაზეთი „საქართველოს გუმაგი“, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო. რედაქტორი: სპ. კეცია. წელიწადი მესამე, N 8, გვ. 2-3-4, აგვისტო, 1934 წ., პარიზი.

**კარი მეშვიდე**  
**რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი**  
**კრებულზე – „წერილები სტამბოლის ქართული საჰანიდან“,**  
**თომი პირველი, 2017 წელი, ბათუმი**



**როინ მეტრეველი**

*საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*

**გურამ ლორთქიფანიძე**

*საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის წევრკორესპონდენტი*

## **ქართული არქეოგრაფიის დიდი მოახაბე სამშობლოში დაბრუნებული საბანძური**

წინასაარჩევნო პერიოდის პოლიტიკური ვნებათაღელვის ფონზე ქართული საზოგადოებისათვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა 2017 წლის ზაფხულში გამოსული წიგნი **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, I“**. ის შექმნილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რექტორი პროფ. მ. ხალვაში) ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის (დირექტორი პროფ. რ. მალაყმაძე) მეცნიერთა ჯგუფის მიერ, პროფ. შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით და მისივე რედაქტორობით. სარეცენზიო კოლექტიური ნაშრომი, რომელმაც თბილისში იხილა დღის სინათლე, გამომცემლობა **„სამშობლოში“** დაიბეჭდა. სამწუხაროდ, მეტად მოკრძალებული ტირაჟით. მის გაეღვებას „ქართული წიგნის“ სამყაროში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს – **„სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლარული და მემუარული მემკვიდრეობა“** უნდა ვუმაძღვოდეთ. კრებულის მოცულობა, ისევე როგორც შინაარსი, მეტად შთამბეჭდავია, შეიცავს 1032 ნაბეჭდ გვერდს, ანუ 65 თაბახს +48 საილუსტრაციო ფოტომასალა, მათ შორის ქართული სავანის მოამაგეთა პორტრეტებს, საარქივო დოკუმენტებს და სხვა საყურადღებო საარქივო მასალების პირებს. წიგნი მემორიალური ხასიათისაა. ის ეძღვნება სტამბოლის სავანის „ამაგდარი პიროვნებების მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების ხსოვნას“, რომელთა შთამომავლები დღესაც არ აკლებენ ყურადღებას ქართველ კათოლიკეთა ამ დიდებულ სავანეს – ეკლესია-მონასტერს, მის ეზოსა თუ ბაღს. კრებულს უცნაური ზედწერილი უძღვის: „უფასო გამოცემა“, ჩვენი აზრით კი, ამ ნაშრომში მოტანილ **საარქივო მასალებზე დაფუძნებული კვლევები ფასდაუდებელია**. უნებლიეთ გვახსენდება **სირიაში, შავ მთაზე XI საუკუნეში მოღვაწე შატბერდელ-იმერხეველი ქართველი სასულიერო მოღვაწის, მწიგნობარ დავით ჯიბისძის** სიტყვები:

„ღვთისაგან კაცთათვის მონიჭებული უპირველესი სიმდიდრე წიგნის მოძღვრებაი არს: მზე და მთოვარე ღმერთმან ხორცთა ჩჳენტა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნი სულთა ჩჳენტა განმანათლებლად მოგჳმადლნა“. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთი დატვირთვის მატარებელია აღნიშნული კრებული, რომელიც გვაცნობს სტამბოლის ქართულ სავანეში, ანუ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცულ საინტერესო ისტორიულ წყაროებს. ეს სავანე 1861 წელს დაუარსებია ახალციხელ მოძღვარს, მღვდელს, უგანათლებულეს სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს **პეტრე ხარისჭირაშვილს** (1818-1892 წწ.). მან სტამბოლის შუაგულში ე.წ. **„ფერი ქოში“** (თურქ. – ანგელოზების სოფელი) ქართველი ახალგაზრდებისათვის ეკლესია-მონასტერი და სასწავლებელი ააგო. რომის პაპმა მას პირადად დართო ნება ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერში **ლოცვები ქართულ ენაზე აღევლინათ**, გამოეცათ საეკლესიო წიგნები და სასკოლო სახელმძღვანელოები. როგორც

სამართლიანად არის აღნიშნული სარეცენზიო კრებულში, ამ წმინდა ქართულ სავანეში ახალგაზრდებს „ეროვნული სულისკვეთებით ნამდვილ ქართველებად“ ზრდიდნენ (გვ. 39). დიდი ემოციური დატვირთვა აქვს იმ ფაქტსაც, რომ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მისი დამფუძნებელ-აღმაშენებელი **პეტრე ხარისჭირაშვილია** დაკრძალული. ამ სავა-ნეს უკავშირდება გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო თავმჯდომარის, **დიდი ილიას** თანამოაზრის, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტის **გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის** (1839-1921) ცხოვრების უკანასკნელი დღეები. იცოდა რა რუსი კოლონიზატორების ბუნება, ის თავის ექვსსულიან ოჯახთან ერთად ემიგრაციაში გაჰყვა **ნოე ჟორდანის** მთავრობას; არსებული საარქივო მასალებით ის და მთელი მისი ოჯახი სტამბოლის ქართული სავანის ბინადარი იყო და ქართველი მუსლიმების შემოწირულობებით სარგებლობდა და საზრდოობდა. აქვე გარდაიცვალა. როგორც ქალბატონი **შუშანა ფუტკარაძე** ვარაუდობს, ის დაკრძალული უნდა იყოს სავანის მახლობლად, შიშლის უბანში მდებარე მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გიორგი ყაზბეგი ავტორია 1876 წ. თბილისში გამოცემული წიგნისა „**სამი თვე თურქეთის საქართველოში**“, რომელსაც წმიდა **ექვთიმე თაყაიშვილმა** „**ნამდვილი განძი**“ უწოდა. მან მიაკვლია ტბეთის საყდარში „**სულთა მატინეს**“, XI-XII-XVII სს. უძვირფასეს ხელნაწერს, **ილიას** შემდეგ ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ხოლო ჩვენ დღეს, სამწუხაროდ, მისი შთამომავლების ბედიც კი არ ვიცით, გარდა იმისა, რომ მათ სტამბოლის ქართველობა – „**ლტოლვილთა დამხმარე საზოგადოება**“ – მეურვეობდა. ამ საქველმოქმედო საქმის თავკაცი, სავანის საარქივო მონაცემების მიხედვით, **შალვა ვარდიძე** ყოფილა. უპრიანი იქნებოდა, **საქართველოს საკონსულოს დახმარებით** მოგვეძებნა ამ დიდი მამულიშვილის საფლავი, სათანადოდ მოვფერებოდით მის ხსოვნას, რაც ყველა ქართველის ვალია!

თუ დავესესხებით **ექვთიმე თაყაიშვილს**, სტამბოლის ქართული სავანისადმი მიძღვნილი კრებული ასევე „**ნამდვილი განძია**“, ავტორების (პროფ. შ. ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, დოქტორანტი შორენა ფუტკარაძე და სხვ.) დაუღალავი შრომის შედეგია. ამ წიგნის შექმნაზე ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ. წესრიგში მოიყვანეს სავანის არქივი და წიგნთსაცავი; უნდა ვიცოდეთ, რომ „სავანეში“ ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა და დღესაც არსებობს **აკაკი წერეთლის** სახელობის უნიკალური ბიბლიოთეკა. მისი წიგნადი ფონდი 70 ათასზე მეტ ბეჭდურ გამოცემას შეიცავს – მსოფლიო ხალხთა 17 ენაზე დაწერილ წიგნებს, უნიკალურ ჟურნალ-გაზეთებს; XIX ს. ქართულ პერიოდიკას, ბევრ ისეთ ისტორიულ წყაროს თუ პუბლიკაციას, რომელიც ჩვენში საერთოდ არ მოგვეპოვება! საქართველოში 1937 წლის „დიდი წითელი ტერორის“ დროს ბევრი საარქივო მასალა განადგურდა. საბედნიეროდ, აქედან ბევრი რამ სავანის არქივმა შემოგვინახა. პროფ. შ. ფუტკარაძის მიერ სტამბოლის ქართული მონასტრის საცავებში გამოვლენილია ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების პუბლიცისტური თუ კერძო, პირადი ხასიათის წერილები, მემუარული ჩანაწერები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს I რესპუბლიკის, ეროვნული მთავრობის სამსახურებრივი ბარათები, მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, ისტორიული წყაროები და მრავალი სხვა დოკუმენტი. მათ შორისაა, მაგალითად, I რესპუბლიკის გენერლის **გიორგი კვინიტაძის** ბრძანებები, პარიზელი ქართველი სტუდენტების წერილები, **ივ. ჯავახიშვილის**, **კ. გამსახურდიას**, **ზ. ფალიაშვილის**, **დ. არაყიშვილის**, **ი. კარგარეთელის** და სხვათა გზავნილების დედნები. სავანეში დავანებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი უნიკალური საარქივო მასალაა, რომელიც ასახავს მუსლიმი და ემიგრანტი ქართველების საზოგადოებრივ ცხოვრებას, მათ სოციალურ-



ეკონომიკურ მდგომარეობას XIX ს. მეორე ნახევრიდან XX ს. ოთხმოციან წლებამდე. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სტამბოლის ქართული სავანე ასზე მეტი წლის განმავლობაში გახლდათ საიმედო თავშესაფარი ყველა სამშობლოდაკარგული, დევნილი ქართველისათვის. აქ აქტიურ პატრიოტულ საქმიანობას ეწეოდნენ ისეთი საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ **მ. აბაშიძე, თ. ხიმშიაშვილი, ს. ასლანიშვილი, შ. ბათმანიშვილი, ზ. დიდიმამიშვილი, შ. ვარდიძე, მ. თამარაშვილი, გ. ზალდასტანიშვილი, მ. წერეთელი, პ. სურგულაძე, ალ. ხახანაშვილი, დ. ჩიქოვანი** და სხვ. ჩვენმა მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს, რომ გამოჩენილი მამულიშვილის **მ. აბაშიძის** 19 პუბლიცისტური წერილი, რომელიც საქართველოში განადგურდა, სტამბოლის სავანემ შემოგვინახა.

შვიდი კარისგან შედგენილ ამ ფუნდამენტურ ნაშრომში, რომელიც შეუწელებელი ინტერესით იკითხება, მკითხველი გაეცნობა აკაკი წერეთლის, ვლ. წერეთლის, კ. სალიას, გ. ნოზაძის, ირ. ბატონიშვილის, ახმედ ოსკან მელაშვილის, გ. მაჩაბლის, ს. მესხის ბარათებს, ემიგრანტი ქართველების მიმოწერას; ა. ურუშაძის, ი. შემაბერიძის, პ. ტატალაშვილის, ს. ველიჯანოვის, კ. სადათიერაშვილის, ფრანჩისკე ბეგიძის და სხვების ხელნაწერ მოგონებებს. გავიხსენოთ, რომ ლიტერატურის ეს ჟანრი – **მემუარული ლიტერატურა** – მკითხველი საზოგადოების შეუწელებელ ინტერესს იწვევს. იქნებ, ჩვენი გამომცემლობები, კერძოდ, „არტანუჯის“ მესვეურები, დაინტერესდნენ მათი შემდგომი ბედით.

ორიენტაციას ამ სქელტანიან წიგნში აადვილებს „პირთა და ფოტომასალის სარჩევი“, სამიეზელი (გვ. 1029-1032). საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ პროფ. **შ. ფუტკარაძისა და რ. მალაყმადის** მიერ გამოვლენილი საარქივო მასალები ამდიდრებენ არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებსაც, მათ შორის ენათმეცნიერებას (დიალექტოლოგია), ლიტერატურათმცოდნეობას, თურქულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიას.

კრებულის I კარის დასასრულს ავტორებს მოაქვთ წინასწარმეტყველური ამონარიდი გასული საუკუნის იტალიელი დიპლომატისა და მკვლევარის **ევგენი დალეჯიო დალესიოს** რომში გამოცემული და 1921 წ. მღვდელ **შალვა ვარდიძის** მიერ იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნიდან „ქართველები კონსტანტინეპოლში“, სადაც ვკითხულობთ: „**უცხოეთში გადმოხვეწილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისა გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და ილოცე, სულით განახლებული წადი და ჩაეხი ჩვენი ცხოვრების ტალღებში. შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილიშვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას**“ (გვ. 39).

სარეცენზიო წიგნის გამოსვლამდე, არა გვგონია, საქართველოში ვინმეს სცოდნოდა სომეხი კათოლიკეს ე.წ. მხითარისტის, მწერლისა და მეცნიერის, პედაგოგის **გევონდ ალიშანის** (1820-1901) სახელი. მისი მოღვაწეობა **შუშანა ფუტკარაძემ** და **პავლე ზაზაძემ** (გვ. 46-58) გამოამზებურეს. მათი კვლევის თანახმად, ცნობილ ფრანგ ორიენტალისტს **სენ მარტენს** დაუვალებია ალიშანი-სათვის, რომელიც ვენეციაში მხითარისტების სამეცნიერო ჟურნალს „ბაზმაკეპს“ რედაქტორობდა, სომხეთის ისტორიასთან ერთად ეკვლია საქართველოს წარსული. ვენეციაში გაუცნია მას **პეტრე ხარისჭირაშვილი** და მასთან ერთად დიდად უზრუნია ქართული სავანის დაარსებაზე **სტამბოლში**, სომხური კათოლიკური ეკლესიის მახლობლად. რაოდენ სიმბოლურია ისიც, რომ პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე**, სხვა ჯილდოებთან ერთად, **გ. ალიშანის მედლის კავალერია**. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სტამბოლის ქართველთა სავანე 1910 წლის 15 ივლისს პარიზში მიმავალ აკაკი წერეთელს მოუნახულებია.

პროფ. შ. ფუტკარაძისა და მის თანამებრძოლთა კვლევის შემდგომ, ვფიქრობთ, სავანე სტამბოლში ჩასული ქართველი ტურისტების განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს. ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია ისაც, ხომ 1921 წლის მარტისა და აპრილის თვეებში სამონასტრო კომპლექსის მეოთხე სართულის სასტუმროში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ **ნოე ჟორდანია** და მისი ეროვნული მთავრობის, კერძოდ, **დამფუძნებელი კრების წევრები**. არქივში შემონახულია ამასთან დაკავშირებული ცნობები.

სავანეში მოღვაწე უკანასკნელი სასულიერო პირი, მღვდელი **პეტრე ტატალაშვილი** 1961 წელს გარდაიცვალა. 1982 წლამდე სავანის საუნჯეს ჰპატრონობდა მონასტრის კარისკაცი **პავლე ადგულაძე**. მისი გარდაცვალების შემდეგ ეკლესია-მონასტრის ერთგული მოამაგენი არიან სტამბოლელი **ზაზაძეების** ოჯახის წევრები.

სტამბოლის ქართულ სავანეში, საბედნიეროდ, დღემდეა დაცული რელიკვიები, საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები. როგორც ამ ფასეული კოლექტიური მონოგრაფიის ავტორები აღნიშნავენ, თურქმა ხალხმა, **თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ** ხელუხლებლად შემოგვინახა ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი კერა. ამ სავანეში დაცული ეროვნული საუნჯის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. იმედი გვაქვს, რომ საქართველოში მოიძებნება სახსრები, რათა ამ წიგნის მომდევნო ტომების გამოქვეყნება უზრუნველყოფილი იყოს. გვინდა გვჯეროდეს, რომ სტამბოლის ქართული სავანე სულ მალე გახდება **საქართველო-თურქეთის მეგობრობის სიმბოლო**, ისევე როგორც **ლევია საფრანგეთში**.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობაა გამოხატული კრებულში სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის მიმართ, მათ საკმაოდ რთულ პირობებში შეძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული მეობა-ქართველობა, ქართული გვარი, ქრისტიანული რწმენა. 18-მილიონიან **სტამბოლში დღესაც ცოცხალია ქართული სული – ახალციხელი ზაზაძეებისა**, მოქმედია, ერთადერთი ქართული ქრისტიანული სალოცავი **შიშლის ლამაზ უბანში** (თურქ. „გურჯუ კათოლიკ ქილისესი“). ამიტომაც, მართლაც, განსაკუთრებით დასაფასებელი და მისაბამია **მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების** ფასდაუდებელი ღვაწლი ამ საგანძურის მოვლა-შენახვისა და მისი შესწავლის ორგანიზების საქმეში. დღეს ოჯახის ამ კეთილშობილურ ტრადიციას აგრძელებს ბაბუის სეხნია – **პავლე სიმონის ძე ზაზაძე**, ახალგაზრდა ნიჭიერი, განათლებული ბიზნესმენი, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პოლიგლოტი, **თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი**, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდის პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტამბოლის ქართული სავანის მეურვე, ერთგული პატრონი და მოამაგე, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების ორდენის მფლობელი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სტამბოლის ქართული სავანის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს პროფესორს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძეს**.

იგი 1989 წლიდან იკვლევს სავანის ბიბლიოთეკასა და არქივს. ამ საკითხთან დაკავშირებით წლების მანძილზე ქართულ პრესაში პერიოდულად ქვეყნდებოდა მისი პუბლიცისტური წერილები, დაიბეჭდა მისი მონოგრაფია **„სტამბოლის ქართული სავანე“** (2012 წ., გამომცემლობა „არტანუჯი“) ქართულ და თურქულ ენებზე. **პირველმა მან გააცნო ქართულ საზოგადოებას ეს საგანძური და ზაზაძეების ოჯახის ღვაწლი. ჭეშმარიტად მისაბამია მისი კვლევითი საქმიანობა. პირველად მანვე გააცნო ქართულ საზოგადოებას თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სულიერი სამყარო და შექმნა ძვირფასი საგანძური – მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“**, რომლის ორ ტომს კარგად იცნობს და აფასებს ქართველი მკითხველი..

**შ. ფუტკარაძე**, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის საერთო მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო. საჭირო მასალები მან ადრევე მოიძია მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირების საცხოვრებელი სენაკების შესწავლის პროცესში. სენაკები დიდი ხნის მანძილზე ჩაკეტილი გახლდათ, ამიტომ მას მეტად მძიმე (არახელსაყრელ) სანიტარულ პირობებში, სამწუხაროდ, თავისი **ჯანმრთელობის ხარჯზე, უხდებოდა კვლევითი საქმიანობა, მძიმე ფიზიკური და ინტელექტუალური ჯაფის გაწევა**. მისმა გარჯამ მეტად კეთილი ნაყოფი გამოიღო. სარეცენზიო წიგნი „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ ნამდვილად მიაღწევს ადრესატამდე, ქართველ მკითხველამდე. ჭეშმარიტად, უფაღმა „სულთა ჩჳენთა განმანათლებლად მოგჳიმადღნა“ ეს საოცარი კრებული. ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი ნაკლოვანებების აღნუსხვას, მით უმეტეს, რომ მათი უმეტესობა ტექნიკური ხასიათისაა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრებულის რეცენზენტები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იზა ჩანტლაძე** (თბილისი), პროფესორები **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** (ქუთაისი) და **ტარიელ ფუტკარაძე** (თბილისი). დიდი ამაგი მიუძღვით კრებულის მომზადება-გამოცემაში სარედაქციო საბჭოს წევრებს, საგრანტო პროექტის კონსულტანტებს, პროფესორებს **ბიჭიკო დიასამიძეს, ნოდარ კახიძეს**, აგრეთვე, ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლებს – **ელზა ფუტკარაძეს, ნარგიზ ახვლედიანს, ციალა ნარაკიძეს, სპეციალისტს შორენა ფუტკარაძეს**.

იმედია, ქართველი მკითხველი, სამეცნიერო საზოგადოება სულ მალე იხილავს კრებულის შემდგომ ნაკვეთებს და სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი წყაროების შემოსვლას, რომლებიც წარმოაჩენენ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიის მანამდე უცნობ მასალებს, თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლესი ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს, რითაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწივენ ჩვენს სამშობლოს.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 6 ოქტომბერი, 2017 წელი, N 35, გვ.4;  
რედაქტორი **თამაზ წივწივაძე**.

**Roin Metreveli**  
**Guram Lortkipanidze**

**Great Caretaker of Georgian Archaeography**  
**Treasury Returned to Homeland**

Amidst the pre-election political turmoil, the book “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul - 1” published in summer 2017 went unnoticed to the Georgian publicity. The book is compiled by the group of scholars of the Niko Berdzenishvili Research Institute (Director Prof. R. Malakmadze) of the Batumi Shota Rustaveli State University (Rector Prof. M. Khalvashi) under the supervision and editorship of Professor Shushana Putkaradze. The collective work under review was printed in the “Samshoblo” publishing house in regrettably small circulation. The appearance of the book in the world of “Georgian Book” was made possible owing to the research project – “Epistolary and Memoir Legacy of the Georgian Sanctuary in Istanbul”, sponsored by the Shota Rustaveli National Science Foundation. The volume as well

as contents of the collection is quite impressive, comprising 1032 printed pages, i.e. 65 sheets + 48 illustrative photo materials, including portraits of the caretakers of the Georgian cloister, archive documents and copies of other important archive materials. The book is of memorial type. It is “dedicated to Simon and Paul Zazadze, great caretakers and the Georgian Sanctuary in Istanbul”, whose descendants are still looking after the great sanctuary of the Georgian Catholics – monastery, the yard and the garden. The book has an unusual inscription on the front page – “Free of charge edition”. In our opinion, the researches and studies based on the archive materials of this book can be considered as invaluable. We are automatically reminded of the words of Davit Jibisdze, a Georgian religious scholar from Shatberdi-Imerkhevi, working at Black Mount in Syria in the 11<sup>th</sup> century:

“The most important gift granted by God to the mankind is literacy and knowledge of books: the Lord created the sun and the moon for the benefit of our flesh while books have been granted for the benefit of our souls”. We do not think it exaggerated to say that the given collection is the carrier of this very purpose by informing us about the interesting historical sources preserved at the Georgian cloister in Istanbul or the same as the library and archive of the Georgian Catholic Monastery in Istanbul.

The cloister had been founded in 1861 by Petre Kharischirashvili (1818-1892), a clergyman from Akhaltsikhe, highly educated religious and public figure. He built a church and a school for the Georgian youth in the center of Istanbul, the so called “Ferikoy” (Turk. - the village of angels) district. The Pope himself granted him the permission to serve liturgy in the Georgian language at the Georgian Catholic church-monastery, publish clerical books and school textbooks. As the collection rightfully remarks, in this holy Georgian monastery the youth “was brought up with national spirit as true Georgians” (p. 39). The fact that the founder and builder of the Georgian Catholic church in Istanbul, Petre Kharischirashvili is buried within the church, bears additional emotional effect. To the cloister is also related the last days of the prominent Georgian public figure, honorary chairperson of the Society for Spreading Literacy among Georgians, General-Lieutenant of the Russian Army Infantry Giorgi Nikolozovich Kazbegi (1839-1921). Being aware of the real nature of the Russian colonizers, he followed Noe Zhordania’s government in emigration together with his family of six members. According to the archive materials, he and his family were the inhabitants of the Georgian cloister in Istanbul and benefited from the donations of the Georgian Muslims. He died here. To Shushana Putkaradze’s supposition, he is buried in the cloister premises, at the Orthodox cemetery in the district of Shishli. Moreover, Giorgi Kazbegi is the author of the book “**Three Months in Turkish Georgia**”, published in Tbilisi in 1876, which was called by Ekvtime Takaishvili as “the real treasure”. He discovered “**A Chronicle of Souls**” in the Tbeti chapel – a precious manuscript of 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries; after Ilia Chavchavadze, he was the head of the Society for Spreading Literacy among Georgians. However, today we know nothing about the fate of his descendants except the fact that they were under care of the “Society Helping Refugees” of the Georgians in Istanbul. The initiator of this charity activity, according to the archive data, was Shalva Vardidze. It would be reasonable if we could find the grave of this outstanding countryman with the help of the Georgian Consulate and cherish his memory, which is the obligation of every Georgian!\

To quote Ekvtime Takaishvili, the collection dedicated to the Georgian Catholic cloister in Istanbul is a “**Real Treasure**” indeed, the result of the painstaking labor performed by the authors (Prof. Sh. Putkaradze, Roin Malakmadze, Elza Putkaradze, Naila Chelebadze, Tamila Lomtadize, PhD student Shorena Putkaradze, etc.). They have been working on the book for years. They put in order the archive and depository of the cloister. We should know that a unique library named after Akaki Tsereteli was

founded in the cloister as early as 1908 that still is functioning today. The book depository of the library comprises over 70 thousand printed publications – books and unique journals and newspapers written in 17 languages of the world population; 19<sup>th</sup> century Georgian printed periodicals including many historical sources or articles not found elsewhere!

During the “Great Red Terror” of 1937, a lot of archive materials were destroyed in Georgia. Fortunately, many of them have been preserved by the cloister archive. While working at the depositories of the Georgian monastery in Istanbul, Prof. Shushana Putkaradze has revealed a number of essayistic and private letters, memoirs or business letters written by Georgian political and public figures as well as the immigrated government members of the I Republic of Georgia; the documents depicting their lives and activities, historical sources and many other documents. These documents include orders of the General of the First Georgian Republic **Giorgi Kvinitadze**, letters of the Georgian students in Paris, etc.; also, the originals of the messages from **Iv. Javakhishvili, K. Gamsakhurdia, Z. Paliashvili, D. Arakishvili, I. Kargareteli** and others. The sanctuary places the numerous and diverse archive materials depicting public lives of Muslim and emigrant Georgians, their social and economic situation from the second half of the 19<sup>th</sup> century to the 1980s. we should also bear in mind that the Georgian cloister in Istanbul was a reliable shelter for every homeless and refugee Georgians for over a hundred years. Active patriotic activities had been conducted here by famous public figures such as **M. Abashidze, T. Khimshiashvili, S. Aslanishvili, Sh. Batmanishvili, Z. Didimamishvili, Sh. Vardidze, M. Tamarashvili, G. Zaldastanishvili, M. Tsereteli, P. Surguladze, Al. Khakhanashvili, D. Chikovani** and others. Our readers should also know that 19 essays written by outstanding patriot M. Abashidze that were destroyed in Georgia, have been preserved at the sanctuary in Istanbul.

The fundamental work consists of seven chapters that are read with uninterrupted interest. The readers get acquainted with the letters sent by Akaki Tsereteli, Vl. Tsereteli, K. Salia, G. Nozadze, Ir. Batonishvili, Akhmed Oskan Melashvili, G. Machabeli and S. Meskhi; correspondence between the emigrant Georgians as well as manuscript memories: A. Urushadze, I. Sheshaberidze, P. Tatalashvili, S. Velijanov, K. Sadatierashvili, Francisco Begidze and others. It should be noted that the literary genre of memoir literature raises great interest among readers. It would be good if our publishing houses, including “Artanuji” board, will be interested in the future fate of such materials.

The orientation inside this thick book is made easier by the “Index for names and photo-materials” (p. 1029-1032). It is remarkable that the archive materials revealed by Prof. Sh. Putkaradze and R. Malakmadze enrich not only the Georgian historiography but other fields of Humanities, including linguistics (dialectology), literary studies, history of Turkish-Georgian cultural relations.

At the end of Chapter One the authors provide a prophetic excerpt from the book “Georgians in Constantinople” by an Italian diplomat and researcher of the last century Eugeni Dalegio Dalesio, published in Rome and translated from Italian into Georgian in 1921 by Shalva Vardidze, which reads as follows: **“A Georgian, exiled to a foreign land, whatever denomination you are, come to this cloister and pray, leave with revived soul and join the waves of our everyday life. If not you, at least your descendants will see revived Georgia and Georgian people”** (p. 39).

Until the publication of the book under review, we doubt anyone in Georgia knew the names of an Armenian Catholic, the so called “Mkhytarist”, writer and scholar, teacher Gevond Alishan (1820-1901). His activities have been exposed to the daylight by Shushana Putkaradze and P. Zazadze (pp. 460-58). According to their research, a famous French orientalist San Marten had ordered Alishan, who at that

time was the editor of the Mkhitarist scholarly journal “Bazmakep” in Venice, apart from studying Armenian history, to study the history and past of Georgia as well. In Venice, Alishan met Petre Kharischirashvili and they decided to establish a Georgian cloister in Istanbul, nearby the Armenian Catholic church. It is symbolic that apart from many awards, Prof. Shushana Putkaradze is the holder of the G. Alishan Medal as well. It is also worth mentioning here that on his way to Paris via Istanbul, the Georgian sanctuary in Istanbul was visited by Akaki Tsereteli.

After the research conducted by Prof. Sh. Putkaradze and her team, we think that the Cloister will attract special attention of the Georgian tourist visiting Istanbul. It is worthy to note that in March and April 1921 Noe Zhordania and the members of his national government, namely the members of the Founding Assembly, lived and worked in the hotel on the fourth floor of the monastery complex. The archive contains information related to it.

The last clerical figure working at the monastery, clergyman Petre Tatalashvili, died in 1961. Until 1982 the treasury of the cloister was protected by the cloister attendant Pavle Adguladze. After his death it was the devoted Zazadze family in Istanbul, who undertook the care of the church and cloister.

Fortunately, the Georgian cloister in Istanbul still preserves to this day the relics or interesting museum exhibits. As the authors of this valuable collective monograph state, the Turkish people and the government of Turkish Republic have preserved this significant center of Georgian culture untouched. Only a small part of this national treasure kept in the Georgian sanctuary has been published so far. We hope that enough resources will be found in Georgia to provide the publication of the next volumes of the collection. We want to believe that the Georgian cloister in Istanbul will soon become a symbol of Georgia-Turkish friendship, like Leuville in France.

Special gratitude is expressed in the collection to the Zazadze family in Istanbul. In extremely difficult conditions they were able to preserve their Georgian identity, their Georgian surname and Christian faith. In 18-million Istanbul the Georgian spirit is still alive – of the Zazadzēs from Akhaltsikhe, and the only Christian chapel in the Shishli district is still functioning. Therefore, it is valuable indeed to respect the contribution of the father-son Paul and Simon Zazadzēs in preserving the treasure and organizing the study process of the materials. Today this noble tradition is continued by the grandfather’s namesake – Paul Zazadze, Simon’s son - a young talented and highly-educated businessman, graduate of Harvard University, polyglot, vice-president of the Foundation of Turkish-Georgian Culture and Education, president of the foundation of the Georgian Catholic church, doctor of economic sciences, trustee of the Georgian cloister in Istanbul, devoted patron and caretaker, holder of the Order of Merit of Independent Georgia.

Once again, we would like to remark that Professor Emeritus Shushana Putkaradze, doctor of philological sciences, is the person who has made invaluable contribution to the study and research of the Georgian sanctuary in Istanbul. She has been studying the library and archive of the cloister since 1989. For years, she has been publishing articles and letters in the periodicals related to the issue. Her monograph **“Georgian Sanctuary in Istanbul”** (“Artanuji” publishing house, 2012) was printed in Georgian and Turkish languages. She was the first to introduce this precious treasury and the contribution of the Zazadze family to the Georgian public. In addition, she introduced to the Georgians the spiritual world of the Georgians living in Turkey by creating a very important monograph – **“Georgian of the Chvneburebi”** the two volumes of which is so well known and respected by the Georgian readers.

As it was stated above, Sh. Putkaardze was the scientific supervisor of the grant project financed by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. She had searched for and accumulated all the necessary materials earlier during the process of studying cells of the clerical persons working in the monastery. The cells had been locked for a long time. Therefore, she had to conduct her research in extremely difficult (inconvenient) sanitary conditions, unfortunately, often at the expense of her health, working both physically and intellectually. Her labor has been fruitful. The book under review – “Letters from the Georgian Sanctuary” – will undoubtedly reach the addressee, Georgian readers. Truly, God has granted us this wonderful collection “for enlightenment of our souls”. We have reasonably avoided criticizing the drawbacks especially that the majority of them are the technical ones.

Finally, we would like to remark that the reviewers of the collection are: Doctor of Philological Sciences, Professor Iza Chantladze (Tbilisi), Professors Avtandil Nikoleishvili (Kutaisi) and Tariel Putkaradze (Tbilisi). Greta contribution was made to the preparation and publishing of the collection by the members of the editorial board, consultants of the grant project, professors Bichiko Diasamidze, Nodar Kakhidze, as well as the senior researchers of the Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research – Elza Putkaradze, Nargiz Akhvlediani, Tsiala Narakidze, specialist Shorena Putkaradze.

We do hope that the Georgian reader will soon receive the next parts of the collection and new sources enter the scholarly circulation that will reveal hitherto unknown materials from the history of our long-suffering motherland, interesting episodes from the recent history of the Turkish-Georgian cultural relations, thus providing invaluable service to our country.

Newspaper “Literaturuli Sakartvelo” (“Literary Georgia”), 6 October 2017, N35, p.4;  
Editor – Tamaz Tsivtsivadze

## **სტამბოლის ქართული სავანის მათიანა**

*„სიგოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ის სამშობლოსია“!*  
*სიმონ ზაზაძე*

გამოვიდა კრებული – **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ I** (2017). რედაქტორი პროფ. **შუშანა ფუტყარაძე**. ავტორები: პროფ. **როინ მალაყმაძე**, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **თამილა ლომთათიძე**, პროფ. **ელზა ფუტყარაძე**, რეცენზენტები: პროფესორები: **იზა ჩანტლაძე**, **ტარიელ ფუტყარაძე**, ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ამასთან მსურს ვთქვა—ავტორთა კოლექტივს, პროფ. შ. ფუტყარაძის ხელმძღვანელობით, გრანდიოზული შემკრებლობითი და კვლევითი მუშაობა ჩაუტარებია. კრებული შედგება 7 კარისაგან და მოიცავს 1032 გვერდს, რომელსაც თან ერთვის 50-ზე მეტი ფოტო-ილუსტრაცია.

კრებულში წარმოდგენილია (ქართულ ტიბიკონზე მდგომი) ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის (სტამბოლის ქართული სავანის) ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული პუბლიცისტური წერილები, მემუარული ჩანაწერები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საქმიანობის ამსახველი მასალები, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე ისტორიული წყაროები. აქვე უნდა შევნიშნოთ, – ეს ყველაფერი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სულიერი საუნჯისა, რომელსაც ინახავს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკა და არქივი.

კრებული საინტერესო იქნება როგორც ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, ისე ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

ვიდრე კრებულს მიმოვიხილავდე, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა პროფ. **შუშანა ფუტყარაძის** მოღვაწეობის შესახებ. გულახდილად ვამბობ, ჩემი ცხოვრების მანძილზე იშვიათად მინახავს მშობლიური ქვეყნის ისეთი გულანთებული პატრიოტი და ეროვნული მოღვაწე, როგორც გახლავთ ქალბატონი **შუშანა**. იგი დაუღალავი ენერგიითა და საოცარი ნიჭიერებით, ყოველდღიურად იღწვის ტაო-კლარჯეთის ტანჯული ისტორიის წარმოსაჩენად. ამის ნათელი დასტურია ამ რამდენიმე წლის წინ მის მიერ გამოცემული ვრცელი კრებული – **„ჩვენებურების ქართული“**. ამ წიგნში წარმოდგენილია მის მიერ **ტაო-კლარჯეთში** სამეცნიერო ექსპედიციის დროს რუდუნებით შეგროვილი და ჩაწერილი ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, დიალექტური უნიკალური მასალა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ **ნიკო მარის „შავშეთის დღიურის“** (1911) შემდეგ ეს კრებული ყველაზე მოცულობითია და ქართველ მეცნიერებს უხვ მასალას აძლევს კვლევა-ძიების ჩასატარებლად.

აღნიშნული კრებულის გამოცემა ქალბატონ **შუშანას** კიდევ ერთი დიდი მეცნიერული გამარჯვებაა. დავიწყოთ თუნდა მისი და **პაულა ზაზაძის** სტატიით – **„პეტრე ხარისჭირაშვილი – ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო კერების ფუძემდებელი უცხოეთში“**. ზოგიერთი შეიძლება შემომედავოს, მაგრამ, ვფიქრობ, **პეტრე ხარისჭირაშვილის** მოღვაწეობა



ერთგვარად ჩრდილშია მოქცეული. რამდენადაც **მიხეილ თამარაშვილის** ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილია და სათანადოდაც დაფასებული, **პეტრე ხარისჭირაშვილის**, ამ უდიდესი ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა, ნაკლებადაა შესწავლილი და აქედან გამომდინარე, ქართველ მკითხველ საზოგადოებას მწირი ინფორმაცია აქვს მის შესახებ. ამ ნაკლს ავსებს პროფ. **შუშანა ფუტკარაძისა** და **პაულა ზაზაძის** ზემოხსენებული წერილი. მასში გამოყენებულია არაერთი უცნობი და ნაკლებად ცნობილი საარქივო მასალა. ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის, თუ თვალს გადავავლებთ პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

**პეტრე (ლუკა) ხარისჭირაშვილი** დაიბადა **ახალციხეში**, კერძოდ, **რაბათში**, 1818 წლის 20 აპრილს. წერა-კითხვა პატარა პეტრეს შეასწავლა თავის დროზე ფრიად განათლებულმა პიროვნებამ, **სტეფანე აბინაშვილმა**, რომელიც მისი ნათლია იყო. სწავლის გაგრძელება მოახერხა **რომში, ვატიკანში**. 1840 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროის სწორ შეფასებას იძლევა სტატიის ავტორი. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველ კათოლიკეებს უმძიმესი ჟამი დაუდგათ. მეფის რუსეთის რეაქციული ძალების საშუალებით შემოღებული იქნა პოლიტიკა, რომლის მიხედვით ქართველ კათოლიკეებს მშობლიურ ენაზე წირვა აკრძალათ. მათ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე უნდა შეესრულებინათ. დაიწყო ქართველი კათოლიკეების სასტიკი დევნა-შევიწროება და იმდენად გათავხედნენ, რომ ამტკიცებდნენ, თითქოს, ქართველი კათოლიკეები ბუნებაში არ არსებობდნენ. თუ ვინმე იყო, ისინი იჩემებდნენ, რომ სომხური წარმომავლობისანი არიანო. ამ ანტიქართული იდეის მატარებელნი ყოველგვარ დაუშვებელ ხერხს მიმართავდნენ, რათა ქართველი კათოლიკეები სომხური ტიბიკონის ქვეშ მოექციათ. თავიანთ ბავშვებს სომხურად ნათლავდნენ, სომხურ სახელსა და გვარს არქმევდნენ. ეს ყველაფერი ხორციელდებოდა რუსი მოხელეების ხელით. რა თქმა უნდა, მათ უკან იდგნენ სომეხი სასულიერო პირები და მათი ხელშეწყობით მიმდინარეობდა ქართველთა დენაციონალიზაციის პოლიტიკა. ამ ბინძური პოლიტიკის შედეგი იყო, რომ **სამცხე-ჯავახეთში** მომრავლდნენ ბეჟანოვები, აზარიანები, შაყულიანები, ჩილინგაროვები, ხითაროვები და ა.შ. ამგვარ პროზელიტად ქცეული **პოლს შაყულიანი (ქილიმუზაშვილი)** განსაკუთრებით აქტიურობდა ქართველთა გასომხების საქმეში. ამის გამო ქართველმა კათოლიკებმა მას „**შავგულიანი**“ შეარქვეს.

ამ ანტიქართული კომპანიის წინააღმდეგ გაილაშქრეს **ივ. გვარამაძემ, მ. თამარაშვილმა** და სხვ. ქართველმა მოღვაწეებმა. მიხეილ თამარაშვილმა დაწერა მონოგრაფია – **„პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (1904)**. ეს წიგნი „**ქვათა ღაღადის**“ შემდეგ იშვიათი ნიმუშია სომეხი ანტიქართული მოღვაწეების ობიექტური კრიტიკისა და მათი ქართველმოდულებობის ბოლომდე მხილებისა.

სტატიის ავტორები მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობენ **პეტრე ხარისჭირაშვილის** მოღვაწეობის მეორე პერიოდს, როცა ვატიკანში სწავლა მიღებული **1840** წელს ბრუნდება **ახალციხეში**. ახალგაზრდა პატრიოტს მშობლიურ მხარეში დახვდა **პოლს შაყულიანის** შავბნელი საქმიანობა. პეტრე ხარისჭირაშვილი ამ ბოროტ ძალას მარტოდმარტო შეებრძოლა, მაგრამ „**ერთი მერცხალი გაზავბულს ვერ მოიყვანდა**“, როგორც მართებულად აღნიშნავენ სტატიის ავტორები. საჭირო იყო ქართულ ტიბიკონზე „**ეროვნული სულისკვეთების მქონე მღვდლების მომძლავრება**“. ამის გაკეთებას კი საქართველოში ვერ შეძლებდა შინაური თუ გარეული მტრების წყალობით. ამიტომ წავიდა საზღვარგარეთ ქართული საქმის მოსაგვარებლად. 1855 წელს ჯერ **სტამბოლში**, ხოლო შემდეგ **ვენეციაში** ჩავიდა და მხითარისტებთან დაიდო ბინა. როგორც სტატიის ავტორები წერენ – პეტრე ხარისჭირაშვილს დაურწმუნებია სომეხი მხითარისტები, რომ საქართველოში

არიან ქართველი კათოლიკენი და მათ სჭირდებათ სწავლა-განათლება, ლოცვა ქართულად და არასომხურად.

პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის გარეუბანში – **ფერიქოში** (ანგელოზის სოფელი) შეიძინა რამდენიმე ჰექტარი მიწა და ააშენა ეკლესია (1861), ამ ეკლესია-მონასტრის მნიშვნელობა აქაური ქართველი კათოლიკებისთვის მათში ქართული სულის აღორძინებისთვის განუზომელი მნიშვნელობის ფაქტი იყო. ეს კარგად აქვთ გადმოცემული ავტორებს, მაგრამ დამატებით მსურს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ისინი ხაზგასმით წერენ და ცალკე სტატიაც აქვთ ცნობილ სომეხ პოეტსა და ისტორიკოსზე, **გევონდ ალიშანზე** (1820-1901). როგორც ისინი გვატყობინებენ – გევონდსა და პეტრე ხარისჭირაშვილს შორის მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა ყოფილა. სომეხ პოეტს და ისტორიკოსს გარკვეული დახმარება გაუწევია სტამბოლში ქართული ეკლესიის დაარსების საქმეში. გულახდილად უნდა ვთქვა – ეს პირველად მათგან გავიგე. **სასურველი იქნება თუ მოიძიებენ საარქივო მასალას ამ ორი მოძმე ერის მოღვაწის ურთიერთობის შესახებ და ქართველ მკითხველ საზოგადოებას გააცნობენ.**

წიგნის რედაქტორს ქართული პრესის მიხედვით შეუსწავლია სტამბოლის ქართული სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში. კრებულში გაანალიზებულია „ივერიაში“, „დროებაში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“, „სახალხო საქმეში“, „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული მასალები, რომელნიც სტამბოლის ქართულ სავანეში გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მკითხველის წინაშე წარმოაჩენს ცოცხლად.

განსაკუთრებით საყურადღებოა და ქართველ მკითხველს გულზე მოხვდება **ელზა ფუტკა-რამის** სტატია „სტამბოლის ქართული სავანის საარქივო მასალები ათონის მთის შესახებ“.

დოკუმენტური მასალის საფუძველზე გადმოცემულია ათონის მთის ქართული მონასტრის ბერ-მონაზონთა მოკლე, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი ისტორია. ერთ დროს აქ 40 000 ქართველი ბერი მარტვილობდა და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ჟამთა სიავით ისარგებლეს ბერძნებმა და 1866 წლიდან საერთოდ აკრძალეს ქართველების მოღვაწეობა ათონის მონასტერში. ბერძნები უნამუსოდ დაეუფლნენ ათონის ქართულ მონასტერს. მოვიტანთ ფრაგმენტს ერთ-ერთი ქართველი სასულიერო პირის წერილიდან: „სირცხვილი ბერძნების ერს, მის მთავრობას და ეკლესიას“. ეს სამარცხვინო ფურცელი უნდა წახოცონ ბერძნებმა და დაუბრუნონ საქართველოს **ივერიონის მონასტერი** თავისი ქონებით, რომელსაც უწოდეს „ზვირონ“, რათა დაავიწყონ ქართული სახელწოდება ანდა საქვეყნოდ ითქვას მათი ავაზაკური საქციელი. ქართველმა ერმა ხმა უნდა ამოიღოს და მოითხოვოს თავისი, ძალადობით გატაცებული ქონება“, როდესაც შეეძლება (1920 წ.).

აგერ, ლამის საუკუნე გადის, მაგრამ **ათონისა და ჯვრის მონასტერი იერუსალიმში** ბერძნებს უკავიათ და ყველანაირად ცდილობენ წაშალონ ქართული კვალი და სახსნებელი. ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, გამახსენდა მუსლიმთა ოკეანეში მდებარე სტამბოლის ქართული მონასტერი. თურქეთის მთავრობას მისთვის ხელი არ უხლია, **ერთმორწმუნე ბერძნებმა** კი ყაჩაღურად მიიტაცეს ქართული მონასტერი და დღემდე მათ დაბრუნებაზე არ ფიქრობენ, ესეც ჩვენი ერთ-მორწმუნე ბერძნები!.. აღარაფერს ვამბობ რუსებზე!..

**„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ეს სამშობლოსია!“** – ეს სიტყვები ეკუთვნის სტამბოლის ქართული სავანის დიდ მოამაგესა და პატრიოტს **სიმონ ზაზაძეს**.

ამ ლეგენდარული პიროვნების და მისი მემკვიდრეების ეროვნულ მოღვაწეობას გვაცნობს **შუშანა და შორენა ფუტკარაძეების** სტატია „სტამბოლის ქართული სავანის მოამაგენი“. მკითხველი სიამოვნებით ეცნობა სტამბოლელი **ზაზაძეების** ღვაწლს ობლად დარჩენილი ეკლესია – მონასტრის მოვლა-პატრონობის საქმეში გაწეულს ბოლო 100 წლის განმავლობაში.

არ შემოდია აქვე არ მოვიხმო ბატონ სიმონ ზაზაძის ანდერძიდან მისი ოპტიმიზმით სავსე სიტყვები: – „ქართველი ხალხის გონიერება და შრომისმოყვარეობა გადაარჩენს საქართველოს. ჩვენი სამშობლო სულ მალე შვეიცარიასავით იქნება, ყველას უნდა სჯეროდეს ეს, ყველამ უნდა იზრუნოს დღენიდაღ ამისათვის. ხალხის სურვილს წინ ვერაფერი აღუდგება“. ჩვენის მხრივ, ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ – ღმერთმა გისმინოს, ბატონო სიმონ!

მეორე კარში თავმოყრილია სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, სამშობლოს მოსიყვარულე სასულიერო პირების პუბლიცისტური წერილები.

ამ მასალის უმეტესი ნაწილი ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია, ან ნაკლებად ცნობილი. მათში გაანალიზებულია სამუსლიმანო საქართველოში მცხოვრები ჩვენებურების ეროვნული და ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. წერილების ავტორები არიან **მიხაკო წერეთელი, მემედ აბაშიძე, შიო ბათმანაშვილი, ვინმე-მესხი, ზაქარია დიდიმამიშვილი, შალვა ვარდიძე, მიხეილ თარხნიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ თამარაშვილი** და სხვ.

მკითხველი სიამოვნებით წაიკითხავს იმ მონაკვეთს, სადაც დაბეჭდილია სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული ქართველ მოღვაწეთა – **ავთანდილ ურუშაძის, იოსებ შემახერძის, ლეონ გიგოლაშვილის, ფრანჩისკე ბეგიძისა** და სხვათა დღიურები, მოგონებანი.

ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში შემონახულ სასულიერო და საერო პოეზიის ნიმუშებს. დასასრულ მსურს აღვნიშნო ჩემი წერილის შესახებ. არაფერი არ მიშლიდა ხელს ეს მართლაც გამორჩეული კრებული, ზოგადად, ფართო-ფართო სიტყვებით შემელამაზებინა, მაგრამ, მე, მეორე გზა ავირჩიე, ვეცადე მისი რამდენიმე ავტორი და ამ კრებულის ღირებულება მათი სტატიების შინაარსის საფუძველზე გამეცნო მკითხველისათვის, რათა მეტი ინტერესი გამეღვივებინა ამ მნიშვნელოვანი წიგნის მიმართ, რომელსაც გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა, **მას დიდი ეროვნული და პატრიოტული დატვირთვაც აქვს.**

გაზეთი „**ლიტერატურული მესხეთი**“, მარტი, 2018 წელი, N3 (231), გვ. 8,  
რედაქტორი **ავთანდილ ბერიძე.**

**Bondo Arveladze**

## **Chronicle of the Georgian Cloister in Istanbul**

*“Our life is neither our mother’s nor father’s, but our motherland’s!”*

**Simon Zazadze**

A collection – **“Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul”** has been published (2017). Editor Prof. Shushana Putkaradze. Authors: Prof. Roin Malakmadze, Senior Researcher Tamila Lomtadze, Prof. Elza Putkaradze, reviewers: Professors: Iza Chantladze, T Ariel Putkaradze, Avtandil Nikoleishvili.

I would like to say that the team of authors under the leadership of Prof. Sh. Putkaradze has conducted a tremendous cumulative and research work. The collection consists of seven chapters and comprises 1032 pages with attached over 50 photo-illustrations.

The collection contains publicist papers, letters, memoirs, materials depicting the activities of the exiled Georgian democratic government, historical sources of different purpose and contents kept in the library and archive of the Georgian Catholic monastery (Georgian Sanctuary in Istanbul) functioning with Georgian typikon – liturgical rite. It should be noted here that all this is a small portion of the spiritual treasury preserved at the library and archive of the Georgian Catholic monastery in Istanbul.

The collection may be of interest for wide audience as well as researchers working on the issues of history, ethnography, linguistics, **Georgian-Turkish cultural relations**.

Before reviewing the book, I would like to say some words about Prof. **Shushana Putkaradze's** activities. To be honest, I have seldom met such devoted patriots and national figures as Ms Shushana is in my entire life. With tireless energy and miraculous talent, she strives daily to portray the difficult history of Tao-Klarjeti. A proof to this is a vast collection – “Georgian of the Chvneburebi” – published a few years ago. This collection presents unique folkloristic, ethnographic, dialectical materials she had collected and recorded during a scientific expedition in Tao-Klarjeti. It would not be an exaggeration to say that after Niko Marr’s “**Shavsheti Diaries**” (1911), this is the most voluminous, providing Georgian scholars with plentiful materials for research.

Publication of the mentioned collection is one more victory gained by Prof. Shushana Putkaradze. Let us start from the article written by herself and **Paula Zazadze** – “**Petre Kharischirashvili – the Founder of the Georgian Cultural-Educational and Spiritual Centers Abroad**”. Some may doubt but, in my opinion, Petre Kharischirashvili’s activities are somehow kept in shadow. As far as the life and deeds of Mikheil Tamarashvili is widely known to the Georgian society, the activities and merits of the great Georgian Petre Kharishchirashvili is less studied. Hence, the Georgian reader knows hardly anything about him and it is really regretting. This drawback is filled up by the above mentioned article by Shushana Putkaradze and Paula Zazadze. The article refers to the less known or unknown archive materials. It will be interesting to trace the episodes from life and activities of Petre Kharischirashvili.

**Petre (Luka) Kharischirashvili** was born in Akhaltsikhe, Rabati, on 20 April 1818. His godfather, Stephane Abinashvili, a highly-educated person for that time, taught him literacy – reading and writing. He managed to continue studies in Rome, namely, Vatican. He returned to his homeland in 1840. The author of the article gives a right assessment of that period. It was the time when Georgian Catholics had hard times. The reactionary forces of Tsarist Russia introduced the policy that banned the Georgian Catholics to serve liturgy in their native language, but in Armenian. A severe period of Georgian Catholics’ persecution began. They were so impudent that even claimed Georgian Catholics did not exist at all. And if there were such, they were of Armenian descent. The bearers of this anti-Georgian idea applied all types of unacceptable means in order to bring the Georgian Catholics under the Armenian rite. They used to baptize their children in the Armenian rite, gave them Armenian names and surnames. All this was accomplished through the Russian officials. Certainly, Armenian clericals stood behind them and it was through their support that the denationalization policy of the Georgians was taking place. The result of this dirty policy was that there appeared a lot of Bezhanovs, Azaryans, Shakulians, Chilingarovs, Khtarovs in Samtskhe-Javakheti. In the process of Armenization of the Georgians such proselyte named **Pogos**

**Shahkulyan (Chilimuzashvili)** was particularly active. Owing to this, the Georgian Catholics nicknamed him as “**Shavguliani**” (“with black heart”).

Iv. Gvaramadze, M. Tamarashvili and other Georgian figures declaimed against this anti-Georgian campaign. Mikheil Tamarashvili wrote a monograph – “Responding Armenian Writers who deny Georgian Catholics” (1904). After the book “Lamentation of Stones”, this monograph is a rare example of objective criticism of anti-Georgian Armenians and unmasking their hatred towards Georgians.

The authors of the article tell the readers in a very interesting way about the second period in Petre Kharischirashvili’s activities, when he returns to Akhaltsike in 1840 after finishing studies at Vatican. In his homeland, the young patriot stood face to face with the darkactivities of Pogos Shakulyan. However, he was alone, and according to a Georgian proverb, “One swallow cannot bring spring”. It was urgent to “strengthen the clergy with national spirit” over the Georgian typikon or rite. He knew he was unable to do this in Georgia due to internal and external enemies. Therefore, he went abroad to settle the Georgian matter. In 1855, he first went to Istanbul and then arrived in Venice and settled with Armenian Mkhitarists. As the authors of the article claim, Petre Kharischirashvili managed to persuade the Armenian Mkhitarists that there are Catholics in Georgia who need education and praying not in Armenian but Georgian language.

Petre Kharischirashvili bought several hectares of land in Ferykoi (Angel’s Village) district of Istanbul and built a church there (1861). The construction of this church was an event of utmost significance for the Georgian Catholics to revive Georgian spirit in them. The authors expressed this idea very well in the article but I want to draw readers’ attention additionally to one important fact this time. They highlight and separately write about a famous Armenian poet and historian, **Gevond Alishan** (1820-1901). As the authors say, there was a friendly and business relation between Petre Kharischirashvili and Gevond Alishan.

The Armenian poet and historian is said to have assisted him in establishing a Georgian church in Istanbul. Frankly speaking, I learnt the information from them for the first time. It would be a good job if they search for archive materials about the relationship between these two prominent figures of the brotherly nations and inform the public about their deeds.

The editor of the book has studied the cultural-educational activities of the Georgian sanctuary in Istanbul in the first quarter of the 20<sup>th</sup> century according to the Georgian printed media. The collection analyzes materials printed in the newspapers “Iveria”, “Droeba”, “Sakartvelos Respublika”, “Sakhalkho saqme”, “Sakhalkho Gazeti”, which revive in front of the readers the cultural-educational activities taking place at the Georgian cloister in Istanbul.

Particularly interesting and touching is the article by Elza Putkaradze – “Archive Materials on Mount Athos from the Georgian Cloister in Istanbul”.

Based on the documentary materials, the article describes brief but impressive history of the Georgian monks on Mount Athos. There were times when 40 000 Georgian monksperformed religious and translation activities here. The Greeks took the advantage of hard times and from 1866 banned the presence of Georgians in the monastery on Mount Athos. The Greeks treacherously took the Georgian monastery into their possession. As one of the clergies writes in his letter: “Shame on the Greek nation, its government and church”. The Greeks should remove this shameful leaf from their history and give back the Iveron Monastery to Georgia with its property, which they renamed as “Zviron” in order to forget

its Georgian name or reveal their insidious behavior. The Georgian nation should protest and demand back their forcefully deprived property, whenever possible” (1920).

It is already over century that the Greeks have occupied the monastery on Athos and the monastery of Cross in Jerusalem, doing their best to erase the trace of Georgians there. While writing these lines, I remembered the Georgian monastery in Istanbul, surrounded by the Muslim ocean but never touched by the Turkish government. It shows the real face of our Orthodox brothers – Greeks!.. Not to mention the Russians!..

“Our life is neither our mother’s nor father’s, but our motherland’s!” – these words belong to the great trustee and guardian of the Istanbul Georgian cloister, outstanding patriot **Simon Zazadze**.

The article by Shushana and Shorena Putkaradze – “Caretakers of the Georgian Cloister in Istanbul” is dedicated to the national activities of this legendary personality and his descendants. The reader is acquainted with the contribution of the **Zazadze family** in Istanbul to the care and patronage of the abandoned monastery for the last 100 years with great interest and pleasure.

I cannot help quoting here an optimistic citation from **Simon Zazadze’s** will: **“The wisdom and diligence of the Georgian nation will save Georgia. Our homeland will soon be like Switzerland, everyone should believe it, and everyone should strive for it day by day. Nothing can stop people’s desire”**. The only words we can add here is – God hear your pray, Mr Simon!

Chapter Two collects publicist letters of famous public figures, outstanding patriots and the clergy preserved at the Georgian cloister in Istanbul.

The majority of the materials is unknown or less known for the Georgian public. They analyze problematic issues on national and everyday level of the “chveneburebi” living in the Muslim Georgia. The authors of the letters are **Mikhako Tsereteli, Memed Abashidze, Shio Batmanashvili, a certain Meskhi, Zakaria Didimamishvili, Shalva Vardidze, Mikheil Tarkhnishvili, Aleksandre Khakhanashvili, Zakaria Chichinadze, Mikheil Tamarashvili** and others.

The reader will especially enjoy the part in which the diaries and memoirs of Avtandil Urushadze, Ioseb Sheshaberidze, Leon Gigolashvili, Francisce Begidze and others, preserved in the archive of the cloister are provided.

Georgian readers will first get acquainted with the examples of theological and secular poetry preserved at the Georgian cloister in Istanbul.

Finally, I would remark about my letter. Nothing prevented me from adorning this distinguished collection with words of praise. However, I have chosen the other way. I tried to acquaint readers with several authors and the general value of the book based on their articles, to awaken greater interest towards this significant book inasmuch as apart from its scholarly academic values, the book bears great national and patriotic importance.

Newspaper “Literaturuli Meskheti”, March, 2018, N3 (231), p. 8

Editor Avtandil Beridze

## ობლად დარჩენილი სავანე

2017 წლის 13 ივნისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის რექტორის **მერაბ ხალვაშისა** და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის **როინ მაღაყმაძის** მხარდაჭერით წიგნის **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** წარდგინება გაიმართა.

1989 წლიდან სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივს პერიოდულად სწავლობდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **შუშანა ფუტყარაძე**. ინტენსიური შესწავლა დაიწყო 2000 წლიდან, როდესაც ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით სტამბოლში შეიქმნა **თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი**. ფონდი შექმნეს თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები არიან, მაგრამ ახსოვთ თავიანთი ისტორიული სამშობლო - **საქართველო**, უყვართ ქართული კულტურა. მათი დახმარებით ფონდმა დაიწყო შუშანა ფუტყარაძის ხელმძღვანელობით **საქართველოდან სტამბოლში** ჩასულ მკვლევართა ჯგუფის დაფინანსება. ცხადია, მკვლევართა ჯგუფს ჰპატრონობდა და ფინანსურად უზრუნველყოფდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი **სიმონ პავლეს ძე ზაზაძე** და მისი ოჯახი. ეს ის პიროვნება გახლავთ, რომელიც წლების განმავლობაში აფინანსებდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ემიგრანტების მიერ დაარსებულ ჟურნალ-გაზეთებს. მათ შორის აღსანიშნავია ჟურნალები: **„ბედი ქართლისა“** (1948 წელს დაარსდა პარიზში), **„კავკასიონი“**, **„კრებული“**, **„გუშაგი“**, **„თავისუფალი საქართველო“**, **„სამშობლოსათვის“**, **„სახალხო საქმე“**, **„პრომეთე“** (ფრანგულ ენაზე)... გაზეთები: **„თეთრი გიორგი“**, **„საქართველოს გუშაგი“**, **„მამულიშვილი“**, **„სამშობლო“**...

ისმის კითხვა: რას ნიშნავს „სტამბოლის ქართული სავანე“, რა იგულისხმება ამ გამონათქვამში.

ეს არის ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკა და არქივი. ეს მონასტერი არ იყო მხოლოდ სასულიერო დაწესებულება. ეს იყო თურქეთში მცხოვრები ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების ერთიანობის, კულტურული ურთიერთობის კერა. მისი მიზანი იყო მუსლიმ ქართველს არ დაეკარგა თავისი ეროვნული ცნობიერება. აქ მოღვაწე სასულიერო პირები მუჰაჯირ ქართველებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, აცნობდნენ საქართველოს ისტორიას. ცნობილმა პიროვნებამ **ახმედ მელაშვილმა**, სწორედ, აქ შეისწავლა ქართული ანბანი, შეიყვარა საქართველოს წარსული. მისი მასწავლებლები იყვნენ **შალვა ვარდიძე** და **პავლე ანდლულაძე**. აქ თავს იყრიდნენ იქაური ქართველები დღესასწაულების: წმინდა ნინოს ხსენების, მარიამობის, ახალი წლის, საქართველოს დამოუკიდებლობის და ა. შ. აღსანიშნავად; ისმენდნენ ქართულ გალობას.

ამ მონასტერში მოღვაწეობდა უაღრესად განათლებული მღვდელი **შალვა ვარდიძე**, რომელმაც იცოდა უცხო ენები: ფრანგული, გერმანული, რუსული, არაბული. სიცოცხლის ბოლო პერიოდი მან გაატარა ბეირუთში. ცხოვრობდა **ლიზანის მთებში** არსებულ მონასტერში და კითხულობდა ლექციებს **ბეირუთის** ფრანგულენოვან უნივერსიტეტში. ის იყო პოეტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი. მან არაბულ ენაზე ბეირუთში გამოაქვეყნა ნაშრომი - **„საქართველოს ოქროს ხანა“**. არაბ მკითხველს გააცნო მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეფეების – **დავით აღმაშენებლისა** და

**თამარ დედოფლის** საქართველოს ეპოქა. იგი გარდაიცვალა **ბეირუთში**; დაკრძალულია ბეირუთთან, ახლოსმდებარე **ლიბანის მთის** მონასტერში.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი 120 წლის მანძილზე ემსახურებოდა თურქეთში გახიზნული ქართველების ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას. ფაქტიურად ეს იყო საზღვარგარეთ არსებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი ცენტრი. ამავე დროს, იგი იყო ერთგვარი თავშესაფარი საქართველოდან პოლიტიკური ნიშნით გადახვეწილი ქართველებისა .

1921 წლის მარტში ამ მონასტერს თავი შეაფარა **ნოე ჟორდანიას** მთავრობამ, დამფუძნებელი კრების დეკლარაციების უმრავლესობამ. სამი თვის მანძილზე ისინი ცხოვრობდნენ მონასტრის მეოთხე სართულზე მდებარე სასტუმროში და ელოდნენ საზღვარგარეთ წასასვლელი პასპორტების მიღებას. აქ მოღვაწე სასულიერო პირები კარგად ფლობდნენ ფრანგულ ენას და სწორედ მათი საშუალებით დაუკავშირდნენ ისინი საფრანგეთის საელჩოს და მიიღეს ევროპაში წასასვლელი პასპორტები.

საქართველოდან გახიზნული ქართველების ერთი ნაწილი მაშინ **სტამბოლში** დარჩა. მათ შორის იყვნენ **გიორგი ყაზბეგისა** და **პეტრე სურგულაძის** ოჯახის წევრებიც. ამ მონასტერში შეფარებული ცნობილი პიროვნებები წერდნენ პატრიოტულ პუბლიცისტურ წერილებს. ხელნაწერებს უმეტესად იქვე ტოვებდნენ. ემიგრანტი ქართველები ხშირად მალავდნენ თავიანთ ვინაობას, ამიტომაც ფსევდონიმებს იყენებდნენ. ზოგიერთი ავტორის ფსევდონიმი გახსნილია ახლახან გამოქვეყნებულ წიგნში – „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ (ტ. I, 2017 წ.).

ისმება კითხვა, როგორ შეაღწია ქალბატონმა **შუმანა ფუტკარაძემ** ამ მონასტერში? რანაირად შეძლო მონასტრის ბიბლიოთეკაში მუშაობის უფლების მოპოვება?

როგორც ირკვევა, ეს მარტო ღვთის წყალობა არ იყო. მოგეხსენებათ, რომ **შუმანა ფუტკარაძე** არის უაღრესად კეთილშობილი, ღვთისნიერი, თავისი კუთხისა და საქართველოსათვის თავდადებული ადამიანი, რომელსაც ყველაზე კარგად შეეძლო ჩაწვდომოდა სამშობლოდან გადახვეწილთა გულისტკივილსა და მამა-პაპათა ფუძის მონატრებას, რაც დადასტურდა კიდევ. სწორედ ამის შესახებ მოგახსენებთ ქვემოთ.

1988 წლიდან ქალბატონი **შუმანა** იყო დოქტორანტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **არნოლდ ჩიქობავას** სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. იმავე წლის ოქტომბერში გაიხსნა **სარფის** სასაზღვრო კარი; მაშინ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, რომ ესარგებლა ამ შემთხვევით და დაეწყო თურქეთში მცხოვრები ქართველების (როგორც ტაო-კლარჯეთში მცხოვრები, ისე მუჰაჯირი ქართველების) ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და ძირითადად მათი დიალექტური მეტყველების შესწავლა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ 1904 წელს **ნიკო მარმა** იმოგზაურა შავშეთის რაიონის ერთ ხეობაში, კერძოდ, **იმერხევში**, ჩაიწერა 15 ტექსტი და იმის შემდეგ იქ აღარავინ ჩასულა. 1917 წელს იმოგზაურა **ექვთიმე თაყაიშვილმა**, მაგრამ იქაურ ქართველთა მეტყველების ნიმუშები არ ჩაუწერია, ვინაიდან ის იყო ისტორიკოსი და არქეოლოგი.

სარფის კარის გახსნისთანავე ცნობილი გახდა, რომ **შუმანა ფუტკარაძე**ს თურქეთის რესპუბლიკაში ჰყავდა ბევრი ნათესავი. ესენი იყვნენ **ქართველი მუჰაჯირები**. ენათმეცნიერების ინსტიტუტში გადაწყდა, რომ სწორედ, ის გაეგზავნათ ამ სამუშაოს შესასრულებლად. განისაზღვრა სადოქტორო დისერტაციის თემა „**ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით**“. მას იქ ჰყავდა საკმაოდ ცნობილი ნათესავები - **თავდგირიძეები, ბეჟანიძეები, ხიმშიაშვილები**.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **შერიფ ხიმშიაშვილის** დის - **დილდარის** შთამომავალია შუშანა ფუტკარაძე.

1989 წლის მარტიდან შუშანა ფუტკარაძემ სპეციალური ვიზის საშუალებით მოახერხა სამ თვიანი მუშაობის უფლების მიღება თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველთა შორის. მოგზაურობა დაიწყო **ბურსის** ვილაიეთის **ინეგოლის** რაიონის სოფლებში. ერთ-ერთი ნათესავის - **ჰუსეინ თუნჩის** (თავდგირიძის) საშუალებით იგი მიწვეულ იქნა ქართველების გასაცნობად სტამბოლში. მისმა ახლო ნათესავებმა—**ენვერ ხიმშიაშვილმა**, **აჰმედ შენმა** (აბულაძემ) **ბასრი იაგუზმა** (ფუტკარაძემ), რომლებსაც მაშინ მაღალი თანამდებობები ეჭირათ მთავრობაში, იგი მიაწვევინეს **პავლე ზაზაძის** ოჯახს. მაშინ, 1989 წლის მაისში **პავლე ზაზაძე** იყო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია - მონასტერთან შექმნილი ქართველ კათოლიკეთა ფონდის პრეზიდენტი. **პავლე ზაზაძემ** სიხარულით მიიღო ქალბატონი შუშანა, რადგან დიდი ხანია არ ენახა საქართველოდან ჩასული სტუმარი. ფაქტიურად **პავლე ზაზაძე** იყო ერთადერთი პატრონი ობლად დარჩენილი კათოლიკური მონასტრისა და ეკლესიისა. ამ მონასტრის ბოლო მღვდელი **პეტრე ტატალაშვილი** გარდაიცვალა 1961 წელს; მონასტრის გამგე (მცველი) **პავლე აკობაშვილიც** უკვე გარდაცვლილი იყო (1982 წ.).

**პავლე ზაზაძემ** თავის შვილს **სიმონ ზაზაძეს** ჩამოართვა პირობა, რომ უპატრონებდა მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივს და იქ მუშაობის უფლება ექნებოდა **შუშანა ფუტკარაძეს**. მას მისცემდა საშუალებას გაცნობოდა არქივს და ბიბლიოთეკას. **პავლე ზაზაძემ** დაწერა ანდერძი შუშანა ფუტკარაძის სახელზე. მას თხოვა, რომ გაეწმინდა საუკუნოვანი მტკრისაგან ბიბლიოთეკა და შეესწავლა არქივში დაცული წყაროები, რომლებიც ახალ სიტყვას იტყოდა თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლეს ისტორიაში.

**პავლე ზაზაძე** 1966-1989 წლებში გახლდათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი. მისი გულისყური საქართველოსკენ იყო მიპყრობილი და ნატრობდა საქართველოში ჩამოსვლას და მისი მშობლიური სოფლის **უდეს** (**ადიგენის** რაიონი) მონახულებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწრო. 1989 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. ეკლესია-მონასტერთან არსებული ქართველ კათოლიკეთა ფონდის პრეზიდენტი 1989-2016 წლამდე იყო მისი შვილი **სიმონ ზაზაძე**.

1990 წლის ოქტომბრიდან შ. ფუტკარაძემ დაიწყო ამ ბიბლიოთეკისა და არქივის შესწავლა. მაგრამ მალე საქართველოში დაიძაბა პოლიტიკური სიტუაცია. მოხდა 9 აპრილის ტრაგედია, რომელსაც მოჰყვა ცნობილი მძიმე წლები, ხელისუფლების ცვლილებები.

1996 წლიდან შუშანა ფუტკარაძემ ნელ-ნელა განაახლა სტამბოლის სავანეში მუშაობა. 2000 წლიდან კი ინტენსიურად, რაც დასრულდა 2006 წელს. დანესტიანებული მონასტრიდან ლიცეუმის ახალ შენობაში გადაიტანეს წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, გაწმინდეს და ჩაალაგეს ყუთებში. ეს მასალები ინახებოდა ყუთებში 2006 წლიდან 2015 წლამდე. მაგრამ ისინი უყურადღებოდ არ დაუტოვებია **სიმონ ზაზაძეს**. ინახებოდა სპეციალურ საცავში.

**სიმონ ზაზაძე** - **პავლე ზაზაძის** ვაჟი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1989-2016 წლებში იყო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი. ის სრულყოფილად ფლობდა თურქულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, ბერძნულს, იტალიურს, ლათინურს, ესპანურს და ბუნებრივია ქართულს. იყო საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მილიონობით ქართველთა მეგობარი, სტამბოლის სავანეში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის მცველი. მისი წყალობით ეკლესიის გვერდით აშენდა დიდი შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსდა სავანის ბიბლიოთეკა და არქივი. რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის წევრებმა ამოალაგეს აღნიშნული

ყუთებიდან ბიბლიოთეკის საუნჯე და თაროებზე განალაგეს წიგნები, ხელნაწერები, გაზეთები და ა. შ. სწორედ **შუშანა ფუტკარაძის** თაოსნობით ასწლოვანი მტვერისაგან განთავისუფლდა ბიბლიოთეკის საგანძური და თანამედროვე დონეზე მოეწყო ბიბლიოთეკა.

2013 წელს რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, მოეწყო ექსპედიცია სტამბოლის ქართულ სავანეში. კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტის **სიმონ ზაზაძის** დახმარებით მოხერხდა სპეციალური საცავიდან ბიბლიოთეკისა და არქივის განთავსება ახალ შენობაში. საქართველოს ეროვნულმა ფონდმა დააფინანსა პროექტი, რომლის შემწეობითაც 1915 წლიდან დაიწყო მათი შესწავლა და გამოიცა კრებული - **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** პირველი ნაწილი. მომავალში გამოიცემა დანარჩენი ტომები.

ქალბატონი შუშანა ფუტკარაძის დამსახურება დიდია თურქეთში მცხოვრები ქართველების ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ისტორიის შესწავლის საქმეში, რომელმაც მარცვალ-მარცვალ შეკრიბა გაბნეული ქართული სიტყვის მარგალიტები და შთამომავლობას დაუტოვა **„ჩვენებურების ქართული“**. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული დიალექტოლოგიის წინსვლის საქმეში. კერძოდ, ტაო-კლარჯეთის ქართველთა მეტყველების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად გამოყო დიალექტების ახალი ჯგუფი - **„ტაო-კლარჯული დიალექტები“**. ამ ჯგუფშია: **იმერხეული, ნიგალური, მაჭახლური და ტაოს ქართული**. მისი შეხედულება გაიზიარა ქართულმა ენათმეცნიერულმა საზოგადოებამ. ის არის ავტორი 250-მდე სამეცნიერო ნაშრომისა. ტაო-კლარჯეთის თემაზე მას გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი და ორი მონოგრაფია - **„ჩვენებურების ქართული“ ტ. I, ტ. II (1993 წ., 2016 წ.)**.

ქართველ მკითხველს პირველად მან გააცნო ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ბიბლიოთეკა და არქივი. მან ამ თემას უძღვნა მონოგრაფია **„სტამბოლის ქართული სავანე“**, - **ქართულ და თურქულ ენებზე**. ორივე ნაშრომი დაიბეჭდა გამომცემლობა „არტანუჯში“ 2012 წელს. ახლახან მისი ხელმძღვანელობით რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებით გამოიცა მონოგრაფია, **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“**, რითაც მან გააცოცხლა სტამბოლში ობლად დარჩენილი ქართველთა სავანე. შუშანა ფუტკარაძე ქართული ხელნაწერების გადარჩენისა და მათი სამზეოზე გამოტანის კეთილშობილურ, რთულ, საპასუხისმგებლო, მაგრამ ამავე დროს დიდ ეროვნულ საქმეს უძღვება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყველა იმ სასულიერო პირის სული, რომლებიც ამ სავანეში მოღვაწეობდნენ და 1861 წლიდან 1981 წლამდე აგროვებდნენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძვირფას საგანძურს. გულითადად დავლოცოთ მამა-შვილი, დიდებული ქართველები - **პავლე და სიმონ ზაზაძეები**, რომლებმაც უპატრონეს სავანეს. გვჯერა, რომ სიმონ ზაზაძის შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ ამ გვარის - **ზაზაძეების ტრადიციას** და კვლავ შეუნახავენ ქართველ ხალხს ამ კულტურული მემკვიდრეობის ძვირფას საუნჯეს. სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის კეთილშობილურ ტრადიციას აგრძელებს **პავლე (უმცროსი) ზაზაძე**, დიდი ბაბუის სეხნია, რომელიც არის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული **ფონდის პრეზიდენტი**, თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების **ფონდის ვიცეპრეზიდენტი**.

**სტამბოლის ქართული სავანე არის საზღვარგარეთ არსებული ერთადერთი ქართული კულტურის ცოცხალი კერა**, რომელიც ერთგულადაა დაცული და მალე ჩადგება ქართველი ერის სამსახურში; იგი ბევრ საინტერესო ეპიზოდს შეჰმატებს თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული, კეთილმეზობლური ურთიერთობის უახლეს ისტორიას.

ჩვენი წინაპრების მიერ დაფუძნებული სტამბოლის ქართული კულტურის სახელოვანი კერა იყო და კვლავაც იქნება თურქი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის, კეთილმეზობლობის გამომხატველი დაწესებულება. სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის საფუძვლიანი შესწავლა უკეთესად წარმოაჩენს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების მუხლჩაუხრელ შრომას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

მარადიული ხსოვნა სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირებს, აწ გარდაცვლილ მამა-შვილს **პავლეს** და **სიმონ ზაზაძეებს**, რომლებმაც ობლად დარჩენილი სავანე შეგვინახეს და გადაგვირჩინეს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

იხ. გაზეთი „აჭარა P.S.“, 2017 წელი, 4-18 ივლისი, №15-16, რედაქტორი ჯემალ მეგრელიძე.

**Izolda Beltadze**

*Batumi Shota Rustaveli State University*

### **Forsaken Sanctuary**

On 13 June 2017, a presentation of the book “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” was held at the Batumi Shota Rustaveli State University, with the initiative and support of the Rector of the University Merab Khalvashi and director of the Niko Berdzenishvili Research Institute Roin Malakmadze.

Doctor of Philological Sciences, Professor Shushana Putkaradze has periodically studied the library and archive of the Georgian cloister in Istanbul since 1989. Systematic study began from 2000 related to the Christmas celebrations, ending in establishment of the Georgian-Turkish Education and Culture Foundation in Istanbul. The foundation was created by the Georgians living in Turkey who are the citizens of Turkey but remember and respect their historical homeland and love Georgian culture. With their support the foundation began to finance the group of researchers regularly visiting Istanbul under the leadership of Prof. Shushana Putkaradze. Obviously, the patron and financial provider of the research group was Simon Zazadze, a world famous businessman and philanthropist, together with his family. He was the person who financially supported a number of newspapers and journals founded by emigrants in European and American countries. Among them are: journals “Bedi Kartlisa” (founded in 1948 in Paris), “Kavkasioni”, “Krebuli”, “Gushagi”, “Tavisupali Sakartvelo”, “Samshoblosatvis”, “Sakhalkho Sakme”, “Promete” (in French); newspapers: “Tetri Giorgi”, “Sakartvelos Gushagi”, “Mamulishvili”, “Samshoblo”, etc.

A question arises: what does the Georgian cloister in Istanbul mean? What is meant under this expression?

It is a library and archive at the cloister (church-monastery) of the Georgian Catholics in Istanbul. The monastery was not a religious institution only. It was the center of cultural relations and unity of the Christian and Muslim Georgians living in Turkey. The aim of the center was to preserve national identity and consciousness to the Muslim Georgians. Clergymen here taught Muhajir Georgians reading and writing in Georgian, acquainted them with history of Georgia. A famous person **Akhmed Melashvili** learnt the Georgian alphabet here and fell in love with the past of Georgia. His teachers were Shalva Vardidze and Pavle Andguladze. It was the place where people gathered to celebrate holidays – St, Nino’s Day, St Mary’s Day, New Year, Independence Day of Georgia, etc. and listened to Georgian church songs and chanting.

A highly educated Georgian clergyman Shalva Vardidze used to work here. He spoke a number of languages: French, German, Russian, and Arabic. He spent the last period of his life in Beirut. He lived in the monastery in the Lebanon Mountains and conducted lectures at the Beirut University in French. He was a poet, critic and historian. In Beirut, he published an article – “The Golden Age of Georgia” – in Arabic and acquainted the Arabian readers with the epoch of worldly renowned Georgian kings – Davit Aghmashenebeli and Queen Tamar. He died in Beirut; is buried at the Lebanon mount monastery in the Beirut vicinities.

The church-monastery of the Georgian Catholics in Istanbul served to the strengthening of national identity in the Georgians exiled to Turkey for over 120 years. In fact, it was the one and only center of the Georgian national-liberation movement abroad. At the same time, it was a kind of shelter for the Georgians exiled from Georgia for political reasons.

In March 1921, the **Noe Zhordania** government and the majority of the founding meeting deputies found their shelter in this monastery. For three months, they lived in the hotel on the fourth floor of the monastery and waited for their passport to go abroad. The clergy working here spoke fluent French and it was through them that they contacted the Embassy of France and got European passports.

One part of the Georgians exiled from the homeland stayed in Istanbul. Among them were **Giorgi Kazbegi** and **Petre Surguladze** with their family members. Famous personalities sheltering under the roof of the monastery wrote patriotic publicist letters. In most cases, they left the manuscripts there. Emigrant Georgians often concealed their identity, using pseudonyms. The pseudonyms of some of the authors have been revealed in the recently published book - “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” (vol. I, 2017).

A question arises: how could Prof. Shushana Putkaradze penetrate into the monastery? How did she manage to acquire permission for working in the library?

As it turns out, it was not God’s mercy alone. We all know that Shushana Putkaradze is extremely noble, merciful, devoted person for her country and region who could best of all feel the pain of the exiled compatriots and longing for the ancestors’ hearth. It was rightfully confirmed. I will tell you about it below.

From 1988 Ms Shushana Putkaradze was a doctoral student at the Arnold Chikobava Institute of Linguistics of the Georgian National Academy of Sciences. In October the same year the Sarpi borderline was opened. The Scientific Board of the Institute of Linguistics decided then to take the advantage and start the study of the folklore, ethnography and dialect speech of the Georgians living in Turkey (those living in Tao-Klarjeti as well as the Muhajir Georgians).

From the scholarly sources, it is well known that in 1904 **Niko Marr** traveled in one gorge of the Shavsheti region, namely, **Imerkhevi**, and recorded 15 texts. No one had traveled there since then. In 1917, **Ekvtime Takaishvili** traveled there as well but he did not make any recordings of the local Georgians’ speech pattern inasmuch as he was a historian and archaeologist and not a linguist.

As soon as the Sarpi border was opened, it became clear that Shushana Putkaradze appeared to have many relatives in the Republic of Turkey. They were Georgian muhajirs. It was decided to send her to fulfil this task. The topic of the Doctoral dissertation was settled: “Peculiarities of South-Western Dialects of the Georgian Language according to the Speech of Tao-Klarjeti and Muhajir Georgians”. She has quite well-known relatives there – the Tavdgiridzes, the Bezhanidzes, the Khimshiashvilis. It should be noted that Shushana Putkaradze is the descendant of Sherif Khimshiashvili’s sister – Dildar.

From March 1989, Shushana Putkaradze managed to accept work permit among the Georgian living in Turkish republic for three months through a special visa. The journey began from the villages of Inegol region of Bursa vilayet. Through one of the relatives – Husein Tunchi (Tavdgiridze), she was invited to visit Istanbul in order to get acquainted with Georgians there. Her close relatives – Enver Khimshiashvili, Ahmed Shen (Abuladze) and Basri Iavuz (Putkaradze) who held important positions in the government at that time, allowed PAvle Zazadze's family to invite her. Then, in May 1989, Pavle Zazadze was the president of the Georgian Catholics Foundation, established at the Georgian Catholic Monastery in Istanbul. Pavle Zazadze received Ms Shushana with great pleasure and joy, as he had not seen a gust from Georgia for a long time. In fact, Pavle Zazadze was the only caretaker of the forsaken Catholic monastery and church. The last clergyman of the cloister – **Petre Tatalashvili** has died in 1961; neither the guardian of the monastery **Pavle Iakobashvili** was alive – he died in 1982.

Pavle Zazadze took a promis from his son, **Simon Zazadze**, to take care of the monastery library and archive and permit Ms Shushana Putkaradze to work there. Pavle Zazadze wrote a will on behalf of Shushana Putkaradze in which he asked her to clean the centenary dust away from the library and study the archive materials that would say a new word in the recent history of Georgian-Turkish cultural relations.

Pavle Zazadze was the president of the foundation at the Georgian Catholic Monastery in Istanbul in 1964-1989. His attention was directed towards Georgia and he wished to come to Georgia and visit his native village **Ude** (in **Adigeni** region). Unfortunately, his dream could not come true. He died in August 1989. His son Simon Zazadze served as the president of the foundation at the Georgian Catholic Monastery in Istanbul in 1989-2016.

Sh. Putkaradze started to study and investigate the library and archive from October 1990. However, soon the political situation in Georgia became tense, ending in the tragedy of 9 April, which was followed by the notorious hard times and governmental changes.

From 1996 Shushana Putkaradze gradually renewed working at the cloister. Intensive years of work were followed from 2000, up to 2006. The books, newspapers, journals, other materials were cleaned, packed in boxes and transferred from the damp monastery walls to a new building of lyceum. The materials were kept in boxes from 2006 up to 2015. However, Simon Zazadze did not leave them without attention. He took care to keep them in a special depository.

As we have mentioned above, **Simon Zazadze**, **Pavle Zazadze's** son, was the president of the foundation at the Georgian Catholic Monastery in Istanbul in 1989-2016. He was fluent in Turkish, French, English, German, Greek, Italian, Latin, and Spanish and of course, Georgian. He was a friend of millions of Georgians living in Georgia as well as different countries of the world. Moreover, he was the guardian and trustee of the Georgian cultural heritage preserved at the Istanbul sanctuary. With his support, a large building was constructed next to the church, on the first floor of which the cloister library and archive was located. The members of the grant project financed by the Shota Rustaveli Georgian Science Foundation took the library treasure out of the mentioned boxes and placed them on the shelves. It was under Shuhsana Putkaradze's leadership that the centenary dust was cleared from the library treasure and the library was arranged in the modern way.

In 2013, within the frames of the grant project financed by the Shota Rustaveli Georgian Science Foundation, an expedition was arranged in the Istanbul cloister. With the assistance of the president of the foundation at the Georgian Catholic Monastery in Istanbul **Simon Zazadze**, it was made possible to

transfer the library and archive from the special depository to the new building. The national Foundation of Georgia financed the project with the help of which their study has started since 2015 and the first part of the collection – “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” was printed. It will be followed with other volumes in near future.

Prof. Shushana Putkaradze’s contribution is great in the study of folklore, ethnography and history of the Georgians living in Turkey. She managed to collect the scattered pearls of the Georgian word through painstaking labor and left to the offspring “**Georgian of the Chveneburebi**”. Her merit is great in the advancement of Georgian dialectology. In particular, after the thorough study of the Tao-Klarjeti Georgian speech, she singled out a new group of dialects – “**Tao-Klarjeti dialects**”, comprising **Imerkheuli, Nigaluri, Machakhluri and Tao** Georgian. Her opinion was accepted and shared by the Georgian linguistic society. She is the author of over 250 scholarly works. On the topic of Tao-Klarjeti she has published about 100 works and two monographs - “Georgian of the Chveneburebi” – volume I and volume II (1993, 2016).

She was the first to introduce the library and archive of the **Georgian Catholic** cloister in Istanbul to the Georgian readers. She dedicated a monograph to the issue – “Georgian Sanctuary in Istanbul” – in Georgian and Turkish languages. Both works were printed in publishing house “Artanuji” in 2012. Recently a monograph – “Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul” was published under her supervision and with the financial support of the Rustaveli National Foundation, with which she has revived the forsaken Georgian cloister. Shushana Putkaradze is leading a noble, difficult, important and at the same time national activity of rescuing and revealing Georgian manuscripts.

Let all the clergy working at the cloister and collecting the precious treasure of Georgian cultural heritage from 1861 to 1981 rest in peace. God bless the son and father – **Pavle and Simon Zazadze**, great Georgians, who took care of the cloister. We believe that Simon Zazadze’s children and grandchildren will continue the tradition of the Zazadze family and further preserve the treasure of cultural heritage to the Georgian nation. Today, the noble tradition of the **Zazadze family** in Istanbul is continued by **Pavle Zazadze (senior), namesake of his famous grandfather. At present, he is the president of the Foundation at the Georgian Catholic Monastery in Istanbul as well as the Vice-President of the Turkish-Georgian Cultural and Education Foundation.**

The Georgian cloister in Istanbul is the only Georgian cultural center still functioning today. It is devotedly protected and soon will be in service to the Georgian nation. It will enrich the centuries-old Georgian-Turkish cultural and neighborly relations with many interesting episodes.

The distinguished center of Georgian culture in Istanbul, established by our ancestors has been and always will be the expression of goodwill cultural and friendly relations between the Turkish and Georgian people. The thorough study of the library and archive materials will better present the diligent labor of the Georgians working abroad in the history of struggle for independent Georgia.

Eternal commemoration to the religious figures working at the Georgian cloister in Istanbul, to the father and son **Pavle and Simon Zazadzes** who preserved for us the forsaken cloister for the benefit of the Georgian nation.
























შალვა ვარდიძე-შესრულებული  
იაკობ ნიკოლაძის მიერ




მიხაკო წერეთელი- შესრულებული იაკობ  
ნიკოლაძის მიერ





1920 წ. დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემული კონსტიტუციის პროექტი



1920 წ. დამფუძნებელი კრების მიერ გამოცემული კონსტიტუციის პროექტის ხელით ჩასწორებული გვერდები







მამა პეტრე ხარისჭირაშვილი-სტამბოლის ქართული სავანის დამფუძნებელი



მამა პეტრე ხარისჭირაშვილის საფლავი



სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მოღვაწე მღვდელმთავრების სია



სტამბოლის დვისმშობლის ქართული კათოლიკური ეკლესია



**ნიკო ნიკოლაძე**



**სპირიდონ კედია**



**ივანე ჯურაბიძე**



**ზეინაბ კედია და ლევან ჯურაბიძე**





**სიმონ და პავლე ზაზაძეები**



**პავლე ზაზაძე-სტამბოლის ქართული  
სავანის მოამბე**





**სიმონ და პავლე ზაზაძეების სტუმრობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესა და უნეტარესთან ილია II-სთან**



**ბსუ-ს ემერიტუს პროფესორი შუმანა ფუტკარაძე სტამბოლის ქართულ სავანეში. 2012 წელი**



**30 თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის დამფუძნებელ სსდომას მიესალმება შუმანა ფუტკარაძე. 2000 წელი**



სავანის არქივის აღწერისას შუმანა და ელზა ფუტკარაძეები. 2005წ.



პავლე ზაზაძე თარჯიმან ირმა დავითაძესთან ერთად. ფოთი. 1998 წ.





პავლე ზაზაძე სტუმრად საქართველოში. 2000 წ.



ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი რ. მალაყმაძე სავანის ბიბლიოთეკაში სიმონ ზაზაძესთან ერთად. 2013 წ.





ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფი სტუმრად სტამბოლის ქართულ სავანეში  
2013 წ



ზაზაძეების საგვარეულო სასაფლაო





სიმონ ზაზადის საფლავთან. 2017 წელი



სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში. მარცხნიდან მარჯვნივ შუმანა ფუტკარაძე, შორენა ფუტკარაძე, კლაუდია იმჯეა-ზაზაძე. 2014 წელი





სტამბოლის ქართულ სავანეში. მარჯვნიდან მარცხნივ შორენა ფუტკარაძე, პავლე ზაზაძე, შუმანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე. 2017 წელი



სტამბოლის ქართულ სავანეში. მარჯვნიდან მარცხნივ შორენა ფუტკარაძე, ნატალი ზაზაძე, როინ მალაყმაძე. 2017 წელი





სტუმრად ზაზაძეების ოჯახში. 2013 წელი



სტუმრად სიმონ ზაზაძის ოჯახში. 2017 წელი





სტუმრად სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში.  
მარჯვნივ მარცხნივ: შორენა ფუტკარაძე, პავლე ზაზაძე, შუმანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე.  
2018 წელი



საარქივო წყაროებზე მუშაობისას. 2018 წელი